4.6. სუბდიაფრაგმული ვაგოტომიის შემდეგ (პირველი 48 სთ) ზრდასრული ვირთაგვას ღვიძლის ჰეპატოციტების პლოიდობის ცვლილებებზე MEK ½ -ის ინჰიბიტორის (PD98059 ERK) ზეგავლენის შესწავლა;

4.7. ალოქსანის ინექციით გამოწვეული ჰიპერგლიკემიის პირობებში ღვიძლის ქსოვილიდან პარენქიმული უჯრედების ზრდის შემაკავებელი

ენდოგენური თერმოსტაბილური ცილების კომპლექსის გამოყოფა და შედარებითი შესწავლა;

4.8. სუბდიაფრაგმული ვაგოტომიის შემდეგ (პირველი 48 სთ) ზრდასრული ვირთაგვას ღვიძლის ქსოვილიდან პარენქიმული უჯრედების ზრდის შემაკავებელი ენდოგენური თერმოსტაბილური ცილების კომპლექსის გამოყოფა და შედარებითი დახასიათება.


კვლევის შედეგები და მათი განხილვა

ზრდასრულ ვირთაგვაში ალოქსანის ინექციით გამოწვეული ჰიპერგლიკემიის პირობებში ღვიძლის რეგენერაციის თავისებურებების შესწავლა აღდგენითი ზრდის საწყის ეტაპზე (ნაწილობრივი ჰეპატექტომიიდან 6 საათი)

ალოქსანური დიაბეტის მოდელის მისაღებად გამოვიყენეთ თეთრი ზრდასრული ვირთაგვები (130-150გ.). ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით ცხოველებში დიაბეტის განვითარებისთვის ალოქსანის ინექციის რეკომენდებული დოზა არის 150-180 მგ/კგ. აქედან გამომდინარე, ჩვენს ექსპერიმენტებში საცდელი ჯგუფის თითოეულ ცხოველს გაუკეთდა ალოქსანის 5%-იანი ხსნარის ინექცია (Ighodaro et al, 2017). ალოქსანის შეყვანით გამოწვეული ჰიპერგლიკემიის ხარისხის შესაფასებლად თითოეული ცხოველის სისხლში განისაზღვრა გლუკოზის კონცენტრაციის ცვლილება (ერთეული მგ/დლ) დინამიკაში. ამ მიზნით ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე: 0 სთ, 3 სთ, 6 სთ, 24 სთ, 30 სთ, 48 სთ, გლუკომეტრის გამოყენებით, როგორც საკონტროლო, ასევე საცდელი ჯგუფის თითოეული ცხოველის სისხლში განისაზღვრა გლუკოზის შემცველობა. გრაფიკზე (სურ. 1) წარმოდგენილია ზრდასრული თეთრი ვირთაგვების სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის ცვლილება ალოქსანის ინექციიდან პირველი 48 სთ-ის განმავლობაში. სურათიდან ნათლად ჩანს, რომ ალოქსანის ინექციიდან სამ საათში, ინტაქტურ ცხოველებთან შედარებით, საცდელი ჯგუფის ვირთაგვების სისხლში დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდა გლუკოზის რაოდენობა. შემდეგი სამი საათის განმვლობაში (3-6სთ) საცდელი ცხოველების 95%-ს აღენიშნა სისხლში შაქრის კონცენტრაციის კლების ტენდენცია. ინექციიდან 24-ე საათზე გლუკოზის აღნიშნული მაჩვენებლები, როგორც სურათიდან ჩანს, უტოლდება საკონტროლო ცხოველების შესაბამის მაჩვენებელს. ალოქსანის ინექციიდან 24სთ-ის შემდეგ სისხლში გლუკოზის კონცენტრაცია კვლავ იზრდება აღნიშნული გაზრდილი მაჩვენებლები, შენარჩუნებული იყო ექსპერიმენტის ბოლომდე (48 სთ-ის განმავლობაში), რაც იმაზე მიუთითებს, რომ

ალოქსანის ინექციის შემდეგ აღნიშნულ ვადაზე მიღწეული იქნა სტაბილური ჰიპერგლიკემია.

აღსანიშნავია, რომ ალოქსანის ერთჯერადი ინექციით გამოწვეული ჰიპერგლიკემიის, ჩვენ მიერ მიღებული მაჩვენებლები, ასევე, მთლიანად გლუკოზის კონცენტრაციის ცვლილების ამსახველი მრუდის ფორმა თანხვედრაშია ლიტერატურაში არსებულ მონაცემებთან (Lenzen, 2007).




სურათი 1. ალოქსანის ინექციის შემდეგ ზრდასრული თეთრი ვირთაგვების სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის ცვლილება დინამიკაში (0-48სთ)

2020-21 სასწავლო წელს სტუდენტური პროექტის - **„ჰიპერგლიკემიით გამოწვეული ფუნქციური დატვირთვის საპასუხოდ ჰეპატოციტების პოლიპლოიდიზაციის ცვლილებების შესწავლა ალოქსანური დიაბეტის განვითარების ადრეულ ეტაპზე“**, ფარგლებში, ჩვენს მიერ ნაჩვენები იქნა, რომ ალოქსანური დიაბეტის (თეთრი ზრდასრული ვირთაგვების ექსპერიენტული მოდელი) განვითარების საწყის ეტაპზე (48-ე სთ) გაზრდილ ფუნქციურ დატვირთვას ღვიძლი მაღალპლოიდური 4c ჰეპატოციტების (სავარაუდოდ, $G_{2\text{-}0}$ პოპულაცია) წარმოქმნით პასუხობს.

აღნიშნული კვლევა კი მიზნად ისახავს ფუნქციური დატვირთვის ადრეულ ეტაპზე მაღალპლოიდური ჰეპატოციტების ენდორეპლიკაციის გზით წარმოქმნის შესაძლებლობის შესწავლას, ამიტომ ექსპერიმენტების მომდევნო ეტაპზე შევისწავლეთ ზრდასრულ ვირთაგვაში ალოქსანის ინექციით გამოწვეული ჰიპერგლიკემიის პირობებში ღვიძლის რეგენერაციის თავისებურებები (ნაწილობრივი ჰეპატექტომიიდან 6 საათი). ამ მიზნით, ალოქსანის ინექციის შემდგომ 48-ე საათზე საცდელ ცხოველებ ჩაუტარდათ ღვიძლის ნაწილობრივი რეზექცია, ხოლო ამ უკანასკნელიდან 6 საათის შემდგომ შეფასდა ღვიძლის პროლიფერაციული აქტიურობა. ჰისტოგრამაზე (სურ. 2) წარმოდგენილია ჰეპატოციტების პროლიფერაციული აქტიურობა ალოქსანის ინექციიდან 48-ე საათსა და ალოქსანის ინექციის შემდგომ 48-ე საათზე ჩატარებული ჰეპატექტომიიდან მე-6 საათზე. სურათზე ნათლად ჩანს, რომ ჯგუფში „ალოქსანი 48-სთ + ჰეპატექტომია 6 სთ“ მიტოზური ინდექსი

დაახლოებით 30-ჯერ იზრდება ჯგუფ „ალოქსანი 48-სთ“-თან შედარებით. ჰეპატექტომიის შემდგომ მე-6 საათზე ადრეული მიტოზების აღმოცენება ადასტურებს იმას რომ, ალოქსანის ინექციიდან 48-ე საათზე გაზრდილი მაღლაპლოიდური 4c ჰეპატოციტები წარმოიქმნებიან ენდორეპლიკაციის მექანიზმით და გვაძლევენ ე.წ. $G_{2\text{-}0}$ პოპულაციას, ეს უკანასკნელნი კი პროლიფერაციის სიგნალის (ნაწილობრივი ჰეპატექტომია) მიღების შემდგომ გადადიან უჯრედული ციკლის მიტოზის ფაზაში და განაპირობებენ ადრეული მიტოზების აღმოცენებას (6 საათი).



სურათი 2. ზრდასრული თეთრი ვირთაგვების მიტოზური აქტიურობა ალოქსანის ინექციიდან 48-ე საათსა და ალოქსანის ინექციის შემდგომ 48-ე საათზე ჩატარებული ჰეპატექტომიიდან მე-6 საათზე.


ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადებზე (24 და 48 სთ) ზრდასრული ვირთაგვას ღვიძლის ჰეპატოციტების პლოიდობის ცვლილებებზე MEK ½-ის ინჰიბიტორის ზეგავლენის შესწავლა

ექსპერიმენტების მომდევნო ეტაპზე შევისწავლეთ თუ რომელი სასიგნალო გზით წარიმართება უჯრედებში ენდორედუბლიკაციის პროცესი, რის შედეგადაც წარმოიქმნება ზემოაღნიშნული მაღალპლოიდური 4c უჯრედები. დღეისათვის იდენტიფიცირებულია ოთხი მთავარი კასკადური გზა, რომელიც უზრუნველყოფს უჯრედის ციკლში შესვლას, ესენია: ERK 1/2; JNK1/2/3; p38 და ERK5 (ნებიერიძე, 2017). ზემოთ ხსენებული 4 სასიგნალო გზიდან ორის, ERK ½ და p38-ის, ბლოკირებით შევეცადეთ დაგვედგინა მონაწილეობს თუ არა აღნიშნული სასიგნალო გზები უჯრედების პოლიპლოიდიზაციის პროცესში. MEK1/2 ცილა ERK1/2 სასიგნალო კასკადის საკვანძო მოლეკულაა და დადგენილია, რომ MEK1/2 ცილის ინჰიბიტორის ინექციებით MEK1/2 კასკადური გზის ბლოკირება ახდენს ზეგავლენას ქოლესტაზურ ღვიძლში ჰეპატოციტების პოლიპლოიდიზაციის პროცესზე და იწვევს ოქტაპლოიდური უჯრედების წარმოქმნის ბლოკირებას. კერძოდ, ლიტერატურიდან ცნობილია, რომ MEK 1/2 სასიგნალო ცილების ინჰიბირების შედეგად ღვიძლის პარენქიმულ უჯრედებში ნაღვლის საერთო სადინარის ლიგირებიდან მე-2 დღეს შემცირდა დიპლოიდური უჯრედების რაოდენობა (2c), ხოლო გაიზარდა ტეტრაპლოიდური (4c, 2cx2)

უჯრედების შემცველობა. რაც შეეხება ოქტაპლოიდურუჯრედებს, ისინი საერთოდ არ მოიპოვება ღვიძლის პარენქიმაში (ნებიერიძე, 2017). ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ MEK1/2 კასკადური სასიგნალო გზა განაპირობებს ოქტაპლოიდური უჯრედების წარმოქმნას.

ჰისტოგრამაზე (სურ. 3) მოცემულია სხვადასხვა პლოიდობის უჯრედების რაოდენობრივი თანაფარდობის ცვლილება ალქოსანის ინქციიდან 48-ე საათზე და დიაბეტის განვითარების დროს ინჰიბიტორის ინქციიდან 48-საათზე. ჰისტოგრამაზე ჩანს, რომ ალოქსანის ინქციიდან 48-ე საათზე მცირდება დიპლოიდური (2c) და იზრდება ტეტრაპლოიდური (4c) უჯრედების რაოდენობა, ამ უკანასკნელთან შედარებით, ინჰიბიტორის ინექციის შემდგომ, არ იცვლება სხვადასხვა პლოიდობის უჯრედების თანაფარდობა.

საინტერესოა, რომ ქოლესტაზური ღვიძლისგან განსხვავებით დიაბეტის მოდელზე არ გამოვლინდა ოქტაპლოიდური უჯრედების მატება, ამიტომ, MEK1/2 ინჰიბიტორის ზემოქმედებით რასაკვირველია, ვერ დაფიქსირდებოდა აღნიშნული უჯრედების მატება.




სურათი 3. სხვადასხვა პლოიდობის ჰეპატოციტების რაოდენობის ცვლილება ალოქსანური დიაბეტის დროს MEK1/2 ცილის ინჰიბიტორის ზეგავლენით, დაავადების განვითარებიდან 48-ე სთ-ზე.

ალოქსანის ინექციიდან სხვადასხვა ვადაზე (24 და 48 სთ) ზრდასრული ვირთაგვას ღვიძლის ჰეპატოციტების პლოიდობის ცვლილებებზე p38 -ის ინჰიბიტორის ზეგავლენის შესწავლა

იგივე პროცესი შევისწავლეთ p38 ცილის ინჰიბიტორის გამოყენებით. p38-ის ინჰიბიტორი გამოვიყენეთ ალოქსანური დიაბეტის მოდელზე, რათა დაგვედგინა ამ გზის მონაწილეობა პოლიპლოიდიზაციაში. ალოქსანის ინექციიდან 32-ე საათზე საცდელ ვირთაგვებს გაუკეთდათ p38-ის ინჰიბიტორის ინექცია. უკვე 48-ე სთ-ზე კი, არათუ შემცირდა მაღალპლოიდური უჯრედები, არამედ გამოვლინდა 4c და 8c უჯედების მატება (სურ.4).

ლიტერატურიდან ცნობილია რომ p38 ჩართულია რამდენიმე პროცესის რეგულაციაში: პროლიფერაცია, დიფერენციაცია, ანთებითი პროცესები და აპოპტოზი. კერძოდ ნაჩვენებია რომ p38 დეფიციტურ უჯრედებში პროლიფერაციის გაზრდა შეჭიდულია დიფერენციაციის შეფერხებასთან. გარდა ამისა ნაწილობრივი ჰეპატექტომიის მოდელზე ნაჩვენებია p38 გენის დელეციის პირობებში პროლიფერადი სიმსივნური უჯრედების გამრავლება და პირიქით ვირთაგვას ემბრიონის კულტივირებულ ჰეპატოციტებში დნმ-ის სინთეზის დათრგუნვა იწვევდა პროლიფერაციის შეფერხებას. ამავე დროს ბილიარული ციროზის შემთხვევაში p38-ის დეფიციტის პირობებში გაძლიერდა ბინუკლეარიაცია. ნაჩვენებია, რომ p38 ახორციელებს ციტოკინეზის პროგრესიას (Tormos M.). ჩვენს შემთხვევაში მაღალპლოიდური უჯრედების ზრდა სწორედ p38-ის დეფიციტით აიხსნება.




სურათი 4. სხვადასხვა პლოიდობის ჰეპატოციტების რაოდენობის ცვლილება ალოქსანური დიაბეტის დროს p38-ის ინჰიბიტორის ზეგავლენით, დაავადების განვითარებიან 48-ე სთ-ზე.

ზრდასრული თეთრი ვირთაგვების ღვიძლში ჰეპატოციტების პოლიპლოიდიზაციის თავისებურების დადგენა სუბდიაფრაგმული ვაგოტომიის შემდეგ (პირველი 48 სთ)


შემდგომ ეტაპზე, მიზნად დავისახეთ გაგვერკვია თუ რეგენერაციის რა პროცესები წარიმართებოდა ღვიძლში პარასიმპატიკური დენერვაციით გამოწვეული ფუნქციური დატვირთვის დროს. ამისათვის გამოვიყენეთ სუბდიაფრაგმული ვაგოტომიის მოდელი, რომელიც გულისხმობს მეათე წყვილი კრანიალური ნერვის (Vagus) გადაჭრას დიაფრაგმის

ქვემოთ, რაც იწვევს მუცლის ღრუს ორგანოების, მათ შორის ღვიძლის, პარასიმპატიკურ დენერვაციას. შედეგებმა აჩვენა რომ სუბდიაფრაგმული ვაგოტომიიდან 22-ე საათზე საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით იცვლება სხვადასხვა პლოიდობის უჯრედების თანაფარდობა. კერძოდ, ღვიძლის პარენქიმაში საშუალოდ ორჯერ იზრდება უჯრედების რაოდენობა დნმ-ის მაღალი შემცველობით (მაღალპლოიდური უჯრედები: 4cX2 და 8c) (სურ.5).



სურათი 5. სუბდიაფრაგმული ვაგოტომიის ზეგავლენა ზრდასრული თეთრი ვირთაგვების ღვიძლში ჰეპატოციტების პლოიდობის ცვლილებაზე (ოპერაციიდან 22-ე საათზე).


შემდგომ ამისა, საჭირო გახდა დაგვედგინა ზემოაღნიშნული მაღალპლოიდური ჰეპატოციტების (4cx2 და 8c) წარმოქმნა მიმდინარეობს თუ არა პოლიპლოიდიზაციის ალტერნატიული მექანიზმით, ენდორეპლიკაციით. ამ მოსაზრების შესამოწმებლად, ზემოთ აღნიშნულ ვადაზე შევაფასეთ ღვიძლის ქსოვილის პროლიფერაციული აქტიურობის ცვლილებები კოლხიცინური მიტოზური ინდექსის განსაზღვრის გზით. აღმოჩნდა, რომ ოპერაციიდან 22-ე საათზე ჰეპატოციტების მიტოზური ინდექსი არ იცვლება საკონტროლო მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც ზრდასრული ვირთაგვების ინტაქტურ ღვიძლში ჩვეულებრივ მერყეობს დიაპაზონში 0-1‰ (სურ. 6).



სურათი 6. ზრდასრული თეთრი ვირთაგვების ღვიძლში ჰეპატოციტების პროლიფერაციული აქტივობის ცვლილება: 1. კონტროლი - ინტაქტური ცხოვლელები; 2. სუბდიაფრაგმული ვაგოტომია 22-ე სთ-ზე.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ სუბდიაფრაგმული ვაგოტომიით გამოწვეულ ცვლილებებს სავარაუდოდ თან სდევს ორგანოზე ფუნქციური დატვირთვის გაზრდა. ამის საპასუხოდ ღვიძლში ოპერაციიდან უკვე 22-ე საათზე მცირედ, მაგრამ სარწმუნოდ იზრდება პარენქიმაში მაღალპლოიდური უჯრედების რაოდენობა. ის ფაქტი, რომ მიტოზური აქტიურობის ზრდის გარეშე 22 სთ-ში მატულობს მაღალპლოიდური უჯრედების რაოდენობა, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ჰეპატოციტებში დნმ-ის კონცენტრაციის ჯერადი ზრდა ალტერნატიული მექანიზმით მიიღწევა. კერძოდ, პოლიპლოიდიზაციის კლასიკური მექანიზმის ანუ არასრული მიტოზის ნაცვლად, ჰეპატოციტებში აქტიურდება ე.წ. ენდორედუბლიკაციის მექანიზმი. მოსაზრების კიდევ უფრო გასამყარებლად, ჰორმონალური დისბალანსისა და ალოქსანური დიაბეტის დროს გამოყენებული რეზეცირებული ღვიძლის მოდელი გავიმეორეთ ჩვენი ექსპერიმენტების შემდეგ სერიაში. ამ მიზნით, სუბდიაფრაგმული ვაგოტომიის შემდგომ 22-ე საათზე ექსპერიმენტულ ცხოველებს ჩავუტარეთ ნაწილობრივი ჰეპატექტომია, რათა შეგვეფასებინა

მსგავსად ზემოაღნიშნული ორი მოდელისა, ამ შემთხვევაშიც აღმოცენდებოდა თუ არა ადრეული მიტოზები (ჰეპატექტომიიდან მე-6 საათი). ექსპერიმენტების ამ სერიაში აღნიშნული ჯგუფების ცხოველების ღვიძლში მიტოზური ინდექსის ცვლილება არ გამოვლინდა (სურ.7).




სურათი 7. ზრდასრული თეთრი ვირთაგვების ღვიძლში ჰეპატოციტების პროლიფერაციული აქტივობის ცვლილება: 1. კონტროლი - ინტაქტური ცხოვლელები; 2. სუბდიაფრაგმული ვაგოტომია 22-ე სთ-ზე; 3. პარციალური ჰეპატექტომია 22 სთ-იანი სუბდიაფრაგმული ვაგოტომიიდან მე-6 სთ-ზე.

საინტერესოა, რატომ არ გაიზარდა ამ შემთხვევაში ენდორედუბლიკაციის მექანიზმით მიღებული მაღალპლოიდური უჯრედების ხარჯზე მიტოზური ინდექსი, როგორც ეს მოხდა ორმხრივი ადრენალექტომიისა და ალოქსანური დიაბეტის მოდელზე. სავარაუდოდ, სუბდიაფრაგმული ვაგოტომიის პირობებში ენდორედუბლიკაციის გზით წარმოქმნილი $G_{2\text{-}0}$ უჯრედების M ფაზაში გადასვლა შეფერხდა, რაც შესაძლოა ღვიძლის პროლიფერაციული აქტიურობის დათრგუნვით არის გამოწვეული. ვინაიდან ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ჰეპატოციტებში ცთომილი ნერვის ღვიძლის ტოტის გადაჭრის შედეგად ითრგუნება პროლიფერაციული პროცესები, კერძოდ, ნაჩვენებია, რომ ვაგოტომირებულ ვირთაგვებში მიტოზური ინდექსი მცირდება ჰეპატექტომიიდან

2 დღის შემდეგ (Sakaguchi and Liu 2002). თუმცა გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ვაგუსსპეციფიკური ეფექტი მხოლოდ აფერხებს და სრულად არ თრგუნავს ღვიძლის რეგენერაციას. კვლევებიდან ცნობილი გახდა, რომ სუბდიაფრაგმული ვაგოტომია მხოლოდ პირველი 70 საათის განმავლობაში ანელებს ღვიძლის რეგენერაციის პროცესს (Qemoklidze et al. 2009).

სუბდიაფრაგმული ვაგოტომიის შემდეგ, საწყის ეტაპზე, ზრდასრული ვირთაგვას ღვიძლის ჰეპატოციტების პლოიდობის ცვლილებაზე MEK ½ ცილის ინჰიბიტორის ზეგავლენის შესწავლა

ზემოთ აღწერილ მოდელზე, მაღალპლოიდური უჯრედების წარმოქმნის მექანიზმის გარკვევის შემდგომ, ალოქსანური დიაბეტის მოდელის მსგავსად, საინტერესოდ მივიჩნიეთ დაგვედგინა MEK1/2 სასიგნალო გზის როლი.ამ მიზნით ექსპერიმენტების შემდგომ სერიაშიც გამოვიყენეთ MEK1/2 ცილის ინჰიბიტორი. სურათზე 8 წარმოდგენილია სუბდიაფრაგმული ვაგოტომიიდან 22-სთზე სხვადასხვა პლოიდობის ჰეპატოციტების რაოდენობრივი თანაფარდობის ცვლილების ამსახველი ჰისტოგრამები, სურათიდან ჩანს, რომ MEK1/2 ცილის ინჰიბიტორის ზეგავლენით ვაგოტომირებულ ღვიძლთან შედარებით, სარწმუნოდ იზრდება მხოლოდ 2cx2 უჯრედების რაოდენობა. ოქტაპლოიდური უჯრედების მოსალოდნელი სარწმუნო ცვლილებები, ანუ რაოდენობის კლება, არ გამოვლინდა (სურ.8).



სურათი 8. სხვადასხვა პლოიდობის ჰეპატოციტების რაოდენობის ცვლილება

სუბდიაფრაგმული ვაგოტომიის დროს MEK1/2 ცილის ინჰიბიტორის ზეგავლენით, ოპერაციიდან 22-ე საათზე.


მიღებული მონაცემების ანალიზის და დასკვნის გამოსატანად აუცილებლად მიგვაჩნია დამატებითი კვლევების ჩატარება.

სუბდიაფრაგმული ვაგოტომიისა და ალოქსანური დიაბეტის შედეგად გამოწვეული ფუნქციური დატვირთვის შედეგად ღვიძლის ქსოვილიდან პარენქიმული უჯრედების ზრდის შემაკავებელი ენდოგენური თერმოსტაბილური ცილოვანი კომპლექსის გამოყოფა და პოლიაკრილამიდის გელში ელექტროფორეზის მეთოდით შედარებითი დახასიათება

ცნობილია, რომ არსებობს პროლიფერაციის, დიფერენცირების და რეგენერაციის პროცესში ჩართული ზრდის მარეგულირებელი როგორც, ენდო ისე ეგზოგენური ფაქტორები. ნაჩვენებია, რომ ზრდასრული ვირთაგვების სხვადასხვა ქსოვილიდან მიღებული ზრდის შემაკავებელი - თერმოსტაბიოლური ცილების კომპლექსი ტრანსკრიპციის ინჰიბირების გზით ახდენს უჯრედების პროლიფერაციის დათრგუნვას.გამომდინარე აქედან, ექსპერიმენტების შემდგომ ეტაპზე, ჩვენს მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა პათოლოგიების დროს, ჰეპატოციტების ზრდის შემაკავებელი ენდოგენური თერმოსტაბილური ცილების კომპლექსის გამოყოფა და შედარებითი დახასიათება.

ამ მიზნით გამოვიყენეთ ზრდასრული ვირთაგვების კარგად შესწავლილი ორი ექსპერიმენტული მოდელი - ალოქსანური დიაბეტი და სუბდიაფრაგმული ვაგოტომია. აღნიშნულ მოდელებზე დადგენილია, რომ ორივე შემთხვევაში საწყის ეტაპზე (22სთ და 48სთ) ღვიძლზე იზრდება ფუნქციური დატვირთვა. აღნიშნულ

ვადებზე ღვიძლის ქსოვილებიდან სპირტული ექსტარაქციის გზით გამოვყავით თერმოსტაბილური ცილების კომპლექსები და ჩავატარეთ მათი შედარებითი ელექტროფორეზული ანალიზი. მე-9 სურათზე წარმოდგენილი ელექტროფოროგრამის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ მიუხედავად იმისა, რითი არის გამოწვეული ფუნქციური დატვირთვის გაზრდა(დენერვაციით თუ ალოქსანის ტოქსიკურიზემოქმედებით) ზემოთ აღნიშნულ ვადებზე ეს არ აისახება ჰეპატოციტებში ზრდის შემაკავებელი ენდოგენური ფაქტორების რაოდენობრივ შემცველობაზე(სურ.9).



სურათი 9. ცილების ნატიური გელ-ელექტროფორეზი პოლიაკრილამიდის გრადენტულ გელში (10-25%). 1. ვირთაგვას ნორმალური ღვიძლი, 2. დიაბეტური ღვიძლი, 3. მარკერი, 4. ვაგოტომირებული ღვიძლი.

დასკვნები:

1. სუბდიაფრაგმული ვაგოტომიისა და ალოქსანური დიაბეტის პირობებში გაზრდილ ფუნქციურ დატვირთვას ღვიძლი ენდორედუბლიკაციის მექანიზმის აქტივაციით და, შესაბამისად, უჯრედების G_{2-0} პოპულაციის წარმოქმნით პასუხობს;
2. p38-ის ინჰიბიტორის ინექციით განპირობებულ გაზრდილ ფუნქციურ დატვირთვას ღვიძლი ალოქსანური დიაბეტის განვითარების ადრეულ ეტაპზე ენდორედუბლიკაციის მექანიზმით წარმოქმნილი მაღალპლოიდური უჯრედების რაოდენობრივი მატებით პასუხობს;
3. ზრდასრული თეთრი ვირთაგვების ღვიძლზე გაზრდილი ფუნქციური დატვირთვის საპასუხოდ (ალოქსანური დიაბეტი) ენდორედუბლიკაციის გზით მაღალპლოიდური (4c) უჯრედების წარმოქმნა არ არის შეჩიდული MEK ½ სასიგნალო გზის აქტივაციასთან
4. სხვადასხვა პათოლოგიის პირობებში მასის დაკარგვის გარეშე ღვიძლზე გაზრდილი ფუნქციური დატვირთვა არ იწვევს ენდოგენური ზრდის

შემაკავებელი ცილოვანი კომპლექსის კომპონენტების რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების ცვლილებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Celton-Morizur, S., Merlen, G., Couton, D., & Desdouets, C. (2010). Polyploidy and liver proliferation: central role of insulin signaling. Cell cycle (Georgetown, Tex.), 9(3), 460–466. https://doi.org/10.4161/cc.9.3.10542
2. Ghiraldini, F. G., Silva, I. S., & Mello, M. L. (2012). Polyploidy and chromatin remodeling in hepatocytes from insulin-dependent diabetic and normoglycemic aged mice. Cytometry. Part A : the journal of the International Society for Analytical Cytology, 81(9), 755–764. https://doi.org/10.1002/cyto.a.22102
3. Mello, M. L., Aldrovani, M., Moraes, A. S., Guaraldo, A. M., & Vidal, B. (2009). DNA content, chromatin supraorganization, nuclear glycoproteins and RNA amounts in hepatocytes of mice expressing insulin- dependent diabetes. Micron (Oxford, England : 1993), 40(5-6), 577–585. https://doi.org/10.1016/j.micron.2009.02.010
4. Yamada T, Sogawa K, Kim JK, et al. Increased polyploidy, delayed mitosis and reduced protein phosphatase-1 activity associated with excess copper in the Long Evans Cinnamon rat. Res Commun MolPathol Pharmacol. 1998;99(3):283–304
5. Oxidative stress promotes pathologic polyploidization in nonalcoholic fatty liver disease; GéraldineGentric, Vanessa Maillet, Valérie Paradis , Dominique Couton, Antoine L'Hermitte, Ganna Panasyuk , Bernard Fromenty, Séverine Celton-Morizur, Chantal Desdouets; J Clin Invest; 2015 Mar 2;125(3):981-92. doi: 10.1172/JCI73957. Epub 2015 Jan 26.
6. Zhang, S., Lin, Y. H., Tarlow, B., & Zhu, H. (2019). The origins and functions of hepatic polyploidy. Cell cycle (Georgetown, Tex.), 18(12), 1302–1315. https://doi.org/10.1080/15384101.2019.1618123
7. ბაკურაძე, ე. (2006). ვირთაგვას ღვიძლის რეგენერაციის თავისებურებები ქოლესტაზის პირობებში (დისერტაცია).
8. ლაცაბიძე, ი. (2015). ალოქსანური დიაბეტის დროს პრეპარატი პლაფერონის დასინთეზური რადიონერტული ანდროგენ მეთილტრიენოლონის ზემოქმედების პირობებში პანკრეასში მიმდინარე კომპენსაციურ-ადაპტაციური პროცესები (დისერტაცია).
9. “МЕХАНИЗМЫ РЕГЕНЕРАЦИИ ПЕЧЕНИ КРЫС ПРИ АЛИМЕНТАРНОЙ ДИСЛИПИДЕМИИ”. ЗДОРОВЬЕ МЕДИЦИНСКАЯ ЭКОЛОГИЯ. НАУКА 4-5 (39-40) (2009).
10. Ighodaro, O. M., Adeosun, A. M., & Akinloye, O. A. (2017). Alloxan-induced diabetes, a common modelfor evaluating the glycemic-control potential of therapeutic compounds and plants extracts in experimental studies. Medicina (Kaunas, Lithuania), 53(6), 365–374. https://doi.org/10.1016/j.medici.2018.02.001
11. Lenzen, S (2007). The mechanisms of alloxan- and streptozotocin-induced diabetes. Retrieved April 05, 2021, from https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/18087688/
12. Ross, M. H., & Pawlina, W. (2015). Histology: A text and atlas. Philadelphia: Wolters Kluwer/LippincottWilliams & Wilkins Health.

13. Tormos, A. M., Rius-Pérez, S., Jorques, M., Rada, P., Ramirez, L., Valverde, Á. M., Nebreda, Á. R., Sastre, J., & Taléns-Visconti, R. (2017). p38α regulates actin cytoskeleton and cytokinesis in hepatocytes during development and aging. PloS one, 12(2), e0171738. https://doi.org/10.1371/journal.pone.0171738

14. ნებიერიძე, გ. (2017). ჰეპატოციტების პოლიპლოიდიზაციის სასიგნალო გზების შესწავლა ქოლესტაზური ღვიძლის მოდელზე.

პროექტში მონაწილე აკადემიური პერსონალი:

1.პროფ. დიანა ძიძიგური კონსულტანტი;

2. ირინა მოდებაძე - ღვიძლის ქსოვილის ნაცხების დამზადება, ფოლგენის რეაქციით დნმ-ს შეღებვა და კომპიუტერული პროგრამით ImageJ დნმ-ს კონცენტრაციის განსაზღვრს მეთოდების სწავლება და კონტროლი;

3. ეკატერინე ბაკურაძე - ღვიძლის უჯრედების პლოიდობის განსაზღვრა, მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი

4. ლევან რუსიშვილი - ქსოვილიდან გამოყოფილი ცილოვანი კომპლექსის შედარებითი ელექტროფორეზული ანალიზი

პროექტში მონაწილე სტუდენტები:

1. თორნიკე გოგოლაური (ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) - პროექტის ხელმძღვანელი.
2. გიორგი ალექსანაშვილი (დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა);
3. მერაბ სეფაშვილი (გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა);
4. გვანცა ნინიაშვილი (ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა);
5. ნოდარ ხვედელიძე (ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა);
6. თორნიკე ლევერაშვილი (ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამა);
7. მერაბ ჭანტურია (დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა).

2. გარდამავალი პროექტი: სილიკატური სტირინის შემცველი ახალი ხის კომპოზიტის შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შესწავლა ცოცხალ სისტემაზე ექსპერიმენტში.

პროექტში მონაწილე აკადემიური პერსონალი და სტუდენტი:

1.პროფ. დიანა ძიძიგური -სამეცნიერო ხელმძღვანელი; - პროფესორი);სილიკატური სტირინის შემცველი ახალი ხის კომპოზიტის ცოცხალ სისტემაზე ზემოქმედების შეფასება (7დღიანი თეთრი ვირთაგვების სხვადასხვა ქსოვილის მიკროსკოპული კვლევა)

2.ელენე თავდიშვილი -პროფესორი);სილიკატური სტირინის შემცველი ახალი ხის კომპოზიტის ცოცხალ სისტემაზე ზემოქმედების შეფასება (7დღიანი თეთრი ვირთაგვების სხვადასხვა ქსოვილის პროლიფერაციული აქტიურობის შეფასება) ;

3. მანანა ბრულავა -(სოხუმის უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი);სილიკატური სტირინის შემცველი ახალი ხის კომპოზიტის ცოცხალ სისტემაზე ზემოქმედების შეფასება (სისხლის ანალიზი)

5. ომარ მუკბანიანი - პროფესორი, ქიმიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - სილიკატური სტირინის შემცველი ახალი ხის კომპოზიტის დამზადება

6. გვანცა ნახუცრიშვილი - ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი სილიკატური სტირინის შემცველი ახალი ხის კომპოზიტის ცოცხალ სისტემაზე ზემოქმედების შეფასება(სისხლის ანალიზი და სხვადასხვა ქსოვილის მიკროსკოპული კვლევა).

ანოტაცია

მას შემდეგ რაც დადგინდა ფენოლ-ფორმალდეჰიდის ფისების საფუძველზე დამზადებული საამშენებლო ფილების ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება, აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა და გამოიკვეთა ეკოლოგიურად სუფთა, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო, ახალი კომპოზიციური მასალების შექმნის აუცილებლობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი იყო თეთრი ზრდასრული თაგვების სხვადასხვა ქსოვილის მორფოფუნქციურ აქტიურობაზე ქსილილირებული სტიროლის საფუძველზე დამზადებული ხის ახალი კომპოზიტის შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შესწავლა.
ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ხის ახალი კომპოზიტი,რომელშიც მერქნის ბურბუშელას შემაწებებლად გამოყენებულია ტრიეთოქსისილილირებული სტიროლი, არ იწვევს თეთრი ზრდასრული თაგვების პერიფერიულ სისხლში ლეიკოციტების საერთო რაოდენობის ცვლილებებს. არ გამოვლინდა ასევე, აღნიშნული კომპოზიტის უარყოფითი ზეგავლენა თეთრი ზრდასრული თაგვების სხვადასხვა ქსოვილის ჰისტოარქიტექტონიკასა და პროლიფერაციულ აქტიურობაზე.

3. აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის სტუდენთთა სამეცნიერო საზოგადოების სიმპოზიუმი:"საუბრები მორფოლოგიაზე" 2021. ssstsumd@tsu.ge.
დიანა ძიძიგური „სხვადასხვა პათოლოგიის საწყის ეტაპზე ღვიძლში კომპენსატორულ-ადაპტაციური მექანიზმების აქტივაციის თავისებურებების ექსპერიმენტული დასაბუთება+.

4. გარდამავალ კვლევებზე გამოქვეყნებული შრომები:

1.Kiparoidze, S., Karumidze, N., Bakuradze, E., Modebadze, I., Rusishvili, L., Kordzaia, D., Dzidziguri, D., 2021. Study of hepatocytes polyploidization peculiarities in cholestatic liver of adult rats. J. Molecular and cellular biomechanics. ISSN:1556-5300.

2. E Tavdishvili, I Modebadze, E Bakuradze, L Rusishvili, M Berulava, D Dzidziguri ISOLATION AND COMPERATIVE STUDY OF THE GROWTH INHIBITING THERMOSTABLE PROTEIN COMPLEX FROM THE BONE MARROW OF THE ADULT MICE Georgian Medical News 2021,318; 147-151

3. Chubinidze, D. Dzidziguri, O. Mukbaniani, M. Chubinidze, A. Petriashvili, **G. Petriashvili**, M. P. De Santo, M. D. Luigi Bruno, and R. Barberi, "Liquid Crystal Microspheres Based Light and Ph Controlled Smart Drug Delivery Systems Advanced Materials," Polymers, and Composites New Research on Properties, Techniques, and Applications, chapter 7. May **2021**

https://www.appleacademicpress.com/advanced-materials-polymers-and-composites-new-research-on-properties-techniques-and-applications/9781771889513

4.G. Nakhutsrishvili, M. Berulava, E. Tavdishvili, L. Londaridze, D. Dzidziguri.STUDY OF POSSIBLE NEGATIVE IMPACT OF A NEW WOOD COMPOSITE CONTAINING SILICATE STYRENE ON A LIVING SYSTEM IN EXPERIMENT . in press. https://www.appleacademicpress.com/advanced-materials-polymers-and-composites-new-research-on-properties-techniques-and-applications/9781771889513

დამატებითი ინფორმაცია:

აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახ. მედალი და პრემია 2021 წელს მიენიჭა პროფ. დიანა ძიძიგურს უკანასკნელ სამ წელიწადში გამოქვეყნებული მორფოლოგიური ნაშრომებისთვის.

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, გენეტიკის კათედრა.

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

* სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა
G სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

- თეიმურაზ ლეჟავა - კათედრის გამგე, სრული პროფესორი, ბმდ;
- თინათინ ჯოხაძე - ასოცირებული პროფესორი, ბმდ.
- მაია გაიოზიშვილი - ასისტენტ-პროფესორი, ბდ.
- ნიკოლოზ ბარათაშვილი - ლაბორატორიის გამგე, ბდ.
- თამარ ბუაძე, ლაბორანტი, ბდ;
- მარინე მენაბდე, ლაბორანტი, ბდ;
- თამარ სიგუა, ლაბორანტი, დოქტორანტი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები

ლეჟავა თ., ბუაძე თ., მიქაია ნ., ჯოხაძე თ., სიგუა თ., გაიოზიშვილი მ., მელქაძე თ.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
Epigenetic Activation of Ribosomal Cistrons in Chromatids of Acrocentric Chromosome 15 in Lung Cancer. ISSN 0095-4527

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
Cytology and Genetics. volume 55, pages 491–497 (2021)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
Springer

5) გვერდების რაოდენობა
7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მას შემდეგ, რაც ადამიანის გენომის პროექტი დასრულებულად გამოცხადდა, თანამედროვე გენეტიკის სტრატეგიული მიმართულება გახდა ფუნქციური გენომიკა, რომლის კვლევის სფერო მოიცავს დნმ-ს არამაკოდირებელი რეგიონების შესწავლასაც. აღნიშნული არამაკოდირებელი რეგიონები განლაგებულია ჰეტეროქრომატინში. ჰეტეროქრომატინის ფუნქციები ჯერჯერობით, საკმაოდ გაურკვეველი რჩება. თითოეული ადამიანის აკროცენტრული ქრომოსომის მოკლე მხრის ტელომერებს (13, 14, 15, 21, 22) აქვთ ჰეტეროქრომატინისგან შემდგარი სატელიტური ძაფები და ე.წ. ბირთვაკის მაორგანიზებელი რეგიონები (NORs). ადამიანის NOR შეიცავს რიბოსომური რნმ-ის 250-დან 670-მდე ასლს (rRNA) და ამ ასლების მხოლოდ 50% ტრანსკრიბირებს. ზოგიერთი აკროცენტრული ქრომოსომის ქრომატიდებში სატელიტური ძაფები დაკავშირებულია ერთმანეთთან და ქმნიან „სატელიტურ ასოციაციებს“, რომლებიც ყოველთვის ტრანსკრიპციულად აქტიურია. სატელიტური ასოციაციების ფენომენი არის წინა ინტერფაზაში ბირთვის სტრუქტურისა და ფუნქციის უაღრესად სპეციფიკური მაჩვენებელი. კიბოს დროს, rDNA ადამიანის გენომში შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს.

მოცემულ კვლევაში განისაზღვრა რიბოსომური ცისტრონების ეპიგენეტიკური ცვალებადობა ფილტვის კიბოს დროს. აღმოჩნდა, რომ ქრომატიდული სატელიტური ასოციაციების სიხშირე ერთ უჯრედზე იყო მნიშვნელოვნად მაღალი ($p<0.05$) ფილტვის კიბოთი დაავადებულ პაციენტებში (1.76±0.08) ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი 22-დან 45 წლამდე კლინიკურად ჯანმრთელ ადამიანებში (საკონტროლო ჯგუფი) (1,35±0,03). საკონტროლო ჯგუფში, მე-15 ქრომოსომის ქრომატიდების ასოციაციური აქტივობა უფრო დაბალი იყო ($p<0.01$), ვიდრე სხვა ქრომოსომების ქრომატიდების შემთხვევაში. საკონტროლო ჯგუფისგან განსხვავებით, მე-15 ქრომოსომის ქრომატიდები ფილტვის კიბოთი დაავადებული პაციენტების შემთხვევაში, ასოციაციებში ჩართვის უფრო მაღალი აქტივობით ხასიათდებოდა ($p<0.05$), ვიდრე სხვა აკროცენტრულ ქრომოსომათა ქრომატიდები და შეესაბამებოდა აქტივობის შემდეგ რიგს: 15>13=14>21>22. მსგავსი ფენომენი დაფიქსირდა ჰომოლოგიური ქრომოსომების ქრომატიდების ასოციაციებისთვის (15:15) ფილტვის კიბოთი დაავადებულ პაციენტებში, და მნიშვნელოვნად აღემატებოდა ამ ტიპის ასოციაციების მაჩვენებელს ჯანმრთელ საშუალო ასაკის პირებში ($p <0.001$).

შედეგებმა აჩვენა, რომ სატელიტური ძაფების დიფერენციალური აქტივობა მე-15 ქრომოსომის ქრომატიდებში, ფილტვის კიბოთი დაავადებული პაციენტების შემთხვევაში, ხასიათდება ეპიგენეტიკური ცვალებადობით, რაც ხაზს უსვამს სატელიტური ასოციაციების შესწავლის მნიშვნელობას დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სტრატეგიის თვალსაზრისით.

აკროცენტრულ ქრომატიდებში რიბოსომული ცისტრონების აქტივობის ეპიგენეტიკური ცვალებადობის შესწავლა პათოლოგიების დროს, არის ახალი მიმართულება მედიცინისათვის, რომელიც მიზნად ისახავს მომავალში დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი სტრატეგიების განსაზღვრას.

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიოლოგიის დეპარტამენტი, მცენარეთა ფიზიოლოგიის მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

მარიამ გაიდამაშვილი, ასოცირებული პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
ეკა ხურციძე, ლაბორანტი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.2.
1) **დასრულებული** (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. კრიოპრეზერვაციის ეფექტური მეთოდების შემუშავება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი საქართველოს მერქნიანი მცენარეების გენეტიკური რესურსების გრძელვადიანი კონსერვაციისათვის
FR17-444 - ეკოლოგიური ბიოტექნოლოგია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2017-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. 1. მარიამ გაიდამაშვილი (ხელმძღვანელი)
ეკა ხურციძე (მკვლევარი)
თამარ კუჭავა (მკვლევარი)
ნინო ქებურია(მკვლევარი)
მაია ხურციძე(მკვლევარი)
.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კონსერვაცია თამაშობს ფუნდამენტურ როლს ეკოლოგიური და ეკონომიკური მნიშვნელობის მცენარეული სახეობების შენარჩუნებაში. კრიოპრეზერვაცია, ანუ ულტრადაბალ (-196°C) ტემპერატურაზე თხევად აზოტში გაყინვით პრეზერვაცია წარმოადგენს მცენარეთა კონსერვაციის სტრატეგიებიდან ერთადერთ ტექნიკას, რომელიც გარანტირებულად იძლევა

ე.წ. ურჩი თესლის მქონე და ასევე, ვეგეტატიურად გამრავლებადი მცენარეების უსაფრთხო, ხანგრძლივი ვადით კონსერვაციის შესაძლებლობას. პროექტის ფარგლებში შემუშავდა კრიოპრეზერვაციის ეფექტური გზები გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მერქნიანი მცენარეების გრძელვადიანი კონსერვაციისათვის. კვლევა განხორციელდა საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეებზე, რომლებიც ტყის ბიოცენოზების დომინანტურ ან ედიფიკატორ სახეობებს წარმოადგენენ და იმყოფებიან გადაშენების საფრთხის წინაშე დაბალი თვითგანახლების და დაავადებების გამო. კონსერვაციისთვის გამოყენებული იყო სხვადასხვა ტიპის ექსპლანტი და შესწავლილი იქნა მათი ვალიდურობა კრიოგენულ შენახვასთან მიმართებაში. მერქნიანი მცენარეების კრიოპრეზერვაცია განხორციელდა ისეთი თანამედროვე მეთოდებით, როგორიცაა დეჰიდრატაცია-ერთსაფეხურიანი გაყინვა, PVS2-დამოკიდებული ვიტრიფიკაცია, ინკაფსულირებული ექსპლანტების ვიტრიფიკაცია-ერთსაფეხურიანი გაყინვა. ინოვაციური მიდგომები იქნა გამოყენებული ინკაფსულირების მეთოდის შემუშავებაში, რის შედეგადაც მიღწეული იქნა ესპლანტის გაუმჯობესებული სიცოცხლისუნარიანობა და პროპაგულების გაყინვისშემდგომი რეგენერაციის უკეთესი მაჩვენებლები. კრიოპრეზერვაციასთან ასოცირებული ფიზიკო-ქიმიური ცვლილებების გამოვლენის მიზნით განხორციელდა ხსნადი შაქრების, მცენარეული სტეროლების და პოლიამინების ანალიზი. გამოვლენილი იქნა კორელაცია სპეციფიკურ ბიონაერთების დაგროვებასა და კრიოპრეზერვაციის ეფექტურობას შორის. სახეობათა გენეტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნების ანალიზი განხორციელდა ფენოტიპური ვარიაციების განსაზღვრის გზით მორფოლოგიური დესკრიპტორების გამოყენებით. კრიოპრეზერვაციის გამოყენებული მეთოდებიდან ყველაზე უფრო ეფექტური აღმოჩნდა ზიგოტური ემბრიონული ღერძის დეჰიდრატაცია-ერთსაფეხურიანი გაყინვა და ინკაპსულირება-ვიტრიფიკაციის ტექნოლოგიები. აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენებისას მცენარის სისცოცხლისუნარიანობის ინდექსი ავლენდა ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს. პროექტის შედეგები იძლევა ეროვნული გენეტიკური რესურსების კოლექციების გრძელვადიანი კოლექციების შექმნის და კონსერვაციის შესაძლებლობას კრიობანკის სახით, რომელიც იქნება გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეული გენოფონდის გარანტირებული დაცვის საფუძველი.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1. Gaidamashvili, M., Benelli, C.
Zygotic embryos for the efficient long-term conservation of a Georgian provenance of sweet chestnut: an overview.
Acta Horticulturae 2021 (*in press*). Proceedings of IX International Scientific and Practical Conference on Biotechnology as an Instrument for Plant Biodiversity Conservation (physiological, biochemical, embryological, genetic and legal aspects).
Proceedings of International Society for Horticultural Science (ISHS) Symposia and the International Horticultural Congress. ISSN 0567-7572 print and ISSN 2406-6168 electronic.

რეზიუმე: ტყის ეკოსისტემებს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად. ევროპული, ანუ ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa* Mill.) მიეკუთვნება მერქნიან ტყის სახეობებს *Castanea*-ს გვარში. იგი დომინირებს დასავლეთ საქართველოს მთიან ტყეებში და უკავია ტყით დაფარული ტერიტორიების უმეტესი ნაწილი. დაბალი თვითგანახლების და დაავადებების გამო წაბლის ტყეების დიდ მასივებს გადაშენების საფრთხე ემუქრება. *Castanea sativa* შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში სახელმწიფო

მოწყვლადი (VU) ქვეშ და ექვემდებარება კონსერვაციის ღონისძიებებს მცენარეთა დაცვის გლობალური სტრატეგიის საპასუხოდ. სწრაფად განვითარებადი ინ ვიტრო ტექნოლოგიები ხსნის ახალ შესაძლებლობებს ხის მცენარეული მასალის უსაფრთხო ex-situ კონსერვაციისთვის. ქსოვილთა კულტურიდან მიღებული სხვადასხვა ექსპლანტანტები, როგორიცაა კენწრული კვირტები, მუხლოვანი კვანძები, სომატური ემბრიონები, ემბრიოგენური უჯრედული ხაზები და ემბრიონული ღერძები ფართოდ არის გამოყენებული კონსერვაციის მიზნით, რათა უზრუნველყონ Castanea გვარის გენეტიკური რესურსების მდგრადობა. წინამდებარე მიმოხილვა ფოკუსირებულია ზიგოტური ემბრიონების წარმატებულ გამოყენებაზე ქართული ადგილწარმოშობის წაბლის გენეტიკური რეზერვების კონსერვაციისთვის და აჯამებს ბოლოდროინდელ მიღწევებს გრძელვადიანი კონსერვაციის შესაძლებლობებით. აქვე, შეფასებულია ემბრიონების კრიოგენული კონსერვაციის სხვადასხვა ტექნიკის ეფექტურობა, როგორიცაა: ნიმუშის დეჰიდრატაცია-„ერთსაფეხურიანი გაყინვა“, PVS2-ვიტრიფიკაცია და ინკაფსულაცია-ვიტრიფიკაცია. განხილულია ზიგოტური ემბრიონების გამოყენების უპირატესობები საფრთხის ქვეშ მყოფი საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების უსაფრთხო და ეფექტური გრძელვადიანი კონსერვაციისთვის.

2. Gaidamashvili, M.; Benelli, C.
Threatened woody plants of Georgia and micropropagation as a tool for in vitro conservation. DOI: https://doi.org/10.3390/agronomy11061082.
Agronomy 2021, 11, 1082.
MDPI, Basel, Switzerland.

რეზიუმე: საქართველო კავკასიის ძირითადი ნაწილია; იგი ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ გამორჩეულ ბიომრავალფეროვნების რეგიონად. საქართველოს ბიომრავალფეროვნების უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია ტყის ეკოსისტემებთან, რომლებიც მოიცავს ქვეყნის ტერიტორიების დაახლოებით 38%-ს. საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ტყის ფიტოცენოზის მრავალ უნიკალურ სახეობას ემუქრება გადაშენება ან/და გენეტიკური დაბინძურება სხვადასხვა გარემო და ანთროპოგენური ფაქტორების უარყოფითი ზემოქმედების გამო. სახეობათა ინ ვიტრო კონსერვაციის პრაქტიკაში ბიოტექნოლოგიური მიდგომების დანერგვამ შეიძლება მნიშვნელოვნად დააჩქაროს სახეობათა დაცვის პროცესები, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის ფიტოგენეტიკური ფონდის მდგრადობას. წინამდებარე მიმოხილვა აჯამებს საქართველოს წითელ ნუსხის საფრთხის ქვეშ მყოფი ზოგიერთი მერქნიანი მრავალწლიანი სახეობის ამჟამინდელ მდგომარეობას, რომლებიც მიეკუთვნებიან გვარებს *Castanea*, *Quercus* და *Betula*, და რომლებიც წარმოადგენენ ტყის ფიტოცენოზის დომინანტურ ან ედიფიკატორ სახეობას. განხილულია მათი ინ ვიტრო გამრავლების მიზანშეწონილობა კონსერვაციის მიზნით.

3. Gaidamashvili, M.; Khurtsidze, E.; Kutchava, T.; Lambardi, M.; Benelli, C.
Efficient protocol for improving the development of cryopreserved embryonic axes of chestnut (*Castanea sativa* Mill.) by encapsulation–vitrification. DOI: https://doi.org/10.3390/plants10020231
Plants 2021, 10(2), 231.
MDPI, Basel, Switzerland.

რეზიუმე: შემუშავებულია კრიოკონსერვაციის ოპტიმიზირებული პროტოკოლი წაბლის (Castanea sativa Mill.) ემბრიონებისთვის (EAs) ინკაფსულაცია-ვიტრიფიკაციის პროცედურის საფუძველზე. ემბრირონული ღერძები ასეპტიკურად იყო დამუშავებული და ინკაფსულირებული ალგინატის კაპსულებში 0.3% (w/v) აქტივირებული ნახშირით (AC) ან მის

გარეშე. ჩაშენებული ემბრიონები დეჰიდრატირებული იყო მცენარეთა ვიტრიფიკაციის PVS2 ხსნარით. ამისთვის გამოიყენებოდა დამუშავების სხვადასხვა დრო 0-დან120 წთ-მდე, რასაც მოჰყვა პირდაპირი იმერსია თხევად აზოტში. კრიოკონსერვირებული ემბრიონი ღერძები, რომლებიც ინკაფსულირებული იყო AC-ით, აჩვენა გადარჩენა უფრო მაღალი (70%) ხარისხი, ვიდრე AC გარეშე (50%). ემბრიონული ღერძების 64 პროცენტი, AC შემცველობის სინთეტეზური თესლიდან შემდგომში განვითარდა როგორც მთლიანი მცენარე. მცენარეთა ხელახალი ზრდა უფრო სწრაფი იყო AC-ს შემცველ ინკაფსულირებული EA-ებში რომელიც აჩვენებდა გაძლიერებულ პოსტკრიოკონსერვაციულ აღდგენას და 2 სმ-ზე მეტი ფესვის დაგრძელებას გამოლღობიდან ხუთი კვირის შემდეგ. შედეგები მიუთითებს, რომ ინკაფსულაცია-ვიტრიფიკაციის მეთოდი აქტივირებული ნახშირით წარმოადგენს ეფექტურ მეთოდს *Castanea sativa* ემბრიონული ღერძების გრძელვადიანი კონსერვაციისთვის.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1. მარიამ გაიდამაშვილი

   The use of zygotic embryos for the efficient long-term conservation of a Georgian provenance of sweet chestnut: An overview.

   IX International Scientific and Practical Conference on Biotechnology as an Instrument for Plant Biodiversity Conservation (physiological, biochemical, embryological, genetic and legal aspects).

   ბანგკოკი, ტაილანდი 12-13 ივლისი, 2021.

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ბიოლოგიის დეპარტამენტი, გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
ნინო არჩვაძე, ბ.მ.დ. - ასისტენტ პროფესორი, გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი
ნინო ინასარიძე, ბმდ. - გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, პროექტების სამეცნიერო ხელმძღვანელი, კოორდინატორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

აზიური ფაროსანას (Halyomorpha halys)ბიოლოგია და რისკის შეფასება დასავლეთ საქართველოს აგრარულ კულტურებში: მონიტორინგისა და ალტერნატიული მენეჯმენტის სხვადასხვა საშუალების ანალიზი

აგრარული მეცნიერებები, აგრარარული ბიოტექნოლოგიები
(#NFA-SRNSFG-18-115)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 16.11 2018 – 16.11.2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნინო ინასარიძე - სამეცნიერო ხელმძღვანელი
ნინო არჩვაძე - მკვლევარი
მაკა მურვანიძე - კოორდინატორი
არნოლდ გეგეჭკორი, მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აზიური ფაროსანას პოპულაციის მართვისა და მონიტორინგის ალტერნატიული საშულებების შეფასების მიზნით ჩატარდა საველე მონიტორინგის სამუშაოები ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში მდებარე თხილის კომერციულ საექსპერიმენტო ნაკვეთზე, რომლის ზომა 12 ჰექტარია. ნაკვეთი დაიყო წარმოსახვით ექვს ნაკვეთად. რომელთაგან თითოეულის ზომა დაახლოებით 2 ჰა-ს წარმოადგენდა. 2-2 ნაკვეთი შეირჩა მართვის სხვადასხვა საშულებებისთვის. მათ შორის:

- *2 ნაკვეთი - მიიზიდე და მოკალი სადგურები დამონტაჟებული თხილის ნარგაობების გარეთ. სულ - 14 სადგური, სადგური წარმოადგენს 2 მ სიმაღლის ბადეს, რომელზეც დამაგრებულია 5 ცალი ფერომონიანი სატყუარა და ყოველ კვირა იწამლება ეფექტური ინსექტიციდით - ტალსტარი (მოქმედი ნივთიერება - ბიფენტრინი)*
- *2- ნაკვეთი - სასაზღვრო წამლობა, ნაკვეთები იწამლება გარშემო, ტრაქტორის საშუალებით.*
- *2 ნაკვეთი - ფერმერის სტანდარტული წამლობის გეგმა, ნაკვეთები იწამლება ფერმერის მიერ მისივე შერჩეული სტანდარტული სქემითა და პერიოდულობის დაცვით.*

თითოეულ ნაკვეთში დამაგრდა 2-2 ფერომონიანი ხაფანგი, რომელთა საშუალებით ხორციელდებოდა მონიტორინგი მავნებლის პოპულაციაზე. მონიტორინგის მიზნით ტარდებოდა რეგულარული საველე გასვლები ორ კვირაში ერთხელ. საველე გასვლების დროს ხდებოდა მავნებლის რაოდენობის ზუსტი აღრიცხვა თითოეულ ხაფანგსა და "მიიზიდე და მოკალი" სადგურებზე. ასევე ინტრუქციის შესაბამისად ხდებოდა სატყუარების შეცვლა.

სეზონის განმავლობაში სამჯერ, ორ-ორ კვირიანი შუალედით მოხდა თხილის ხარისხის შეფასება. მოხდა დაკრეფილი თხილის გულის ხარისხის სორტირება შემდეგი სქემით: საღი, ცარიელი, ფაროსანას ნაკბენი და დამპალი.

აზიური ფაროსანას ფენოლოგია შეფასდა კლიმატური მონაცემების ჭრილში.

პირველი სეზონის განმავლობაში მიღებული მონაცმების მიხედვით, საუკეთესო შედეგები აჩვენა "მიიზიდე და მოკალი" მიდგომამ: ინსექტიციდით გაჟღენთილი ბადეებით შემოსაზღვრულ ნაკვეთებში ყველაზე მცირე რაოდენობით აღინიშნა აზიური ფაროსანას დაჭერილი ინდივიდები. ხოლო ყველაზე ცუდი შედეგები აღინიშნა ფერმერის სტანდარტული მიდგომით შეწამლულ ნაკვეთებში, სადაც დაჭერების რაოდენობა ყველაზე მეტი აღმოჩნდა.

თხილის ხარისხი იკლებდა მონაცემების აღების თარიღის პარალელურად. დაზიანების ყველაზე დიდი რაოდენობა აღინიშნა ბოლოს (3 აგვისტოს) შეგროვილ მონაცემებში, როდესაც დაზიანებულმა ნაყოფმა შემოწმებული თხილის 14% შეადგინა, ხოლო აქედან ფაროსანას ნაკბენი 7%-ში აღინიშნებოდა. ფაროსანას მიერ გამოწვეული დაზიანება მეტი იყო ნაკვეთების განაპირას მდებარე ხეებზე და ნაკლები ნაკვეთის სიღრმეში, რაც ფაროსანას დაჭერებით მიღებულ მონაცემებთან ერთად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მავნებელი ნაკვეთებში მიგრაციას პერიმეტრიდან იწყებს და შესაბამისად, პერიმეტრის დაცვას გადამწყვეტი როლი უნდა მიენიჭოს.

რაც შეეხება სხვა კულტურების დაზიანებას, გამოკვლეულ იქნა სიმინდის, ვაშლის, ბუშმალას, მსხლის, ხურმისა და ატმის კულტურები. ივნისიდან დაიწყო ბუშმალასა და ვაშლის დაზიანება, თუმცა განსაკუთრებული ზიანი მიადგა ბუშმალას. ამ ხეხილზე ყველაზე მეტი იყო მავნებილს დაჭერები, ხოლო რაც შეეხება ნაყოფს, ივნისის ბოლოსთვის ნაყოფი სრულად განადგურდა მავნებლის მიერ. ვაშლის ნაყოფზე ასევეაღინიშნებოდა მავნებლის ნაკბენები, რამაც მისი ხარისხის დაქვეითება გამოიწვია. მსხალი აზიური ფაროსანას "საყვარელი" მასპინძელი მცენარეა. აქ დამაგრებულ ხაფანგში ყველაზე მეტი დაჭერები ივლისის განმავლობაში აღინიშნა, თითო ნაყოფზე 30-მდე ნაკბენით. მავნებლის რაოდენობა ატამზე ნაკლებია. ხაფანგში მხოლოდ მცირე რაოდენობით იმაგოები აღინიშნა, კვერცხის დადების ფაქტები არ აღინიშნა ვიზუალური დაკვირვებით. მავნებლის აქტიურობა ხურმაზე მოგვიანებით დაიწყო ნაყოფის გამოტანასთან

ერთად, ოქტომბრისთვის დაზიანების რაოდენობა მომატებული იყო. რაც შეეხება სიმინდს, ყანაში დაკვირვებები ჩატარდა მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებით. მავნებლის რაოდენობა მინიმალური იყო და აღინიშნებოდა მხოლოდ შეწამლული გადეების სიახლოვეს, სადაც ფერომონები იყო განთავსებული. სიმინდის მარცვლის ხარისხზე მავნებელს არ უმოქმედია.

მიმდინარე პროექტის ფარგლებში მოხდა ასევე სხვადასხვა ტიპის ხაფანგების ეფექტურობის შეფასება სენაკში, 200ჰა ფართობის მქონე თხილის ბაღის პერიმეტრზე. მოხდა ე.წ. "თავშესაფარი ხაფანგების" და კომპანია ტრესეს ძველი და ახალი დიზაინის წებოვანი ხაფანგების ეფექტურობის შედარება დაჭერების მხრივ. მონიტორინგი ტარდებოდა მაისიდან სექტემბრის ბოლომდე. კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე მეტი დაჭერებით გამოირჩეოდა "თავშესაფარი" ხაფანგები, ეფექტურობით მეორე ადგილზე იყო ახალი დიზაინის წებოვანი ხაფანგები, ხოლო მესამე ადგილზე - ძველი დიზაინის მქონე წებოვანი ხაფანგები. მიუხედავად მეტი ეფექტურობისა, ახალი დიზაინის წებოვანი ხაფანგების გამოყენება მეტად მოუხერხებელია. დიდი წებოვანების გამო ხაფანგები დამაგრების პროცესში ეკრობა ხელებზე, რაც მას მოუხერხებელს ხდის.

პროექტის შედეგების საფუძველზე მომზადდა სამეცნიერო სტატია, რომელიც გადაცემულია დასაბეჭდად.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1.

1) **გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის** დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

„ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში" – CoLLab

გამოყენებითი ბიომეცნიერებები
**აგრო, კვება, ჯანდაცვა, გარემოს დაცვით ბიოტექნოლოგიები*

ENI/2020/417-316
ევროკავშირი/ერასმუს პლუსი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.08.2020 – 1.08.2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნინო ინასარიძე - ხელმძღვანელი;
ზურაბ ქუჩუკაშვილი - რეგიონული კოორდინატორი;
ნინო არჩვაძე - სასწავლო პროცესის კოორდინატორი;

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გაგრძელდა ევროკავშირის მხარდაჭერით 2020 წლის აგვისტოში დაწყებული პროექტი „ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში (ENI/2020/417-316). პროექტის მისიაა ხელი შეუწყოს ლაბორატორიული მომსახურების დარგის ახალგაზრდა პროფესიონალთა კომპეტენციების გაძლიერებასა და დასაქმებას თბილისსა და საქართველოს რეგიონებში (იმერეთი, აჭარა, კახეთი) ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში უწყვეტი განათლების ერთიანი პლატფორმის შექმნის გზით.

პროექტი მიზნად ისახავს: საქართველოს ოთხ უნივერსიტეტში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაინერგოს ლაბორატორიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები;თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პარტნიორებისუშუალო მონაწილეობით, შეიქმნას და დაინერგოს პედაგოგთა/ტრენერთა პროფესიული გადამზადების კურსები, რომლებიც შეძლებენ, რომ მომავალში ადგილზე მოამზადონ დაინტერესებული პირები ლაბორატორიული უსაფრთხოების მიმართულებით; შეიქმას ონ-ლაინ პორტალი, რომელიც გააერთიანებს 2 ძირითად კომპონენტს ა) ცოდნის საერთაშორისო პლატფორმა/ფორუმი, რომელზეც ყველა დაინტერესებული პირი მიიღებს საინტერესო და საჭირო განახლებად ინფორმაციას; ბ) ერთიანი ონ-ლაინ დასაქმების/კარიერული განვითარების პორტალი, რომელშიც გაერთიანდება ლაბორატორიული მომსახურების სფეროში არსებული ვაკანსიების, სტაჟირების, გადამზადების პროგრამების, საგრანტო კონკურსებისა და სხვა სახის ინფორმაცია; განვითარდეს თანამშრომლობა უნივერსიტეტებსა და კერძო და სახელმწიფო ლაბორატორიებს შორის სტაჟირების პროგრამების ინიცირებისა და განხორციელების გზით.

პროექტი ხორციელდება კონსორციუმის მიერ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით. კონსორციუმში თსუ-თან ერთად ჩართულები არიან: დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია და საქართველოს ბიოტექნოლოგიის ასოციაცია. პროექტის საერთაშორისო პარტნიორები არიან: ტერამოს უნივერსიტეტი, ბიომეცნიერებებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი და მილანის უნივერსიტეტი, კლინიკური მიკრობიოლოგიის და ვირუსულოგიის ლაბორატორია.

საანგარიშო წელს პროექტში ჩართული თსუ-ს პერსონალი გადამზადდა პროექტით დაგეგმილ გადამზადების ტრეინინგებში როგორც საქართველოში, ისე ევროპულ პარტნიორ უნივერსიტეტებში (ლუბლიანა (სლოვენია), ტერამო და მილანი (იტალია)).

ევროპელი და ქართველი პარტნიორების მიერ მომზადდა და თსუ-ს მიერ დაისტამბა ქართულენოვანი სახელმძღვანელო - „ბიოლოგიური და ლაბორატორიული უსაფრთხოება“. თსუ გამომცემლობა. თბილისი, 2021.

2.

1) **გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის** დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

„ლაბორატორიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უწყვეტი განათლების კურსები ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში“ – CoLLab

გამოყენებითი ბიომეცნიერებები
**აგრო, კვება, ჯანდაცვა, გარემოს დაცვით ბიოტექნოლოგიები*

586383-EPP-1-2017-1-SI-EPPKA2-CBHE-JP
ევროკავშირი/ერასმუს პლუსი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
15.10.2017 – 15.10.2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნინო ინასარიძე - ხელმძღვანელი;
ნინო არჩვაძე - სასწავლო პროცესის კოორდინატორი;
ნუნუ -მიცკევიჩი, ინდუსტრიასთან ურთიერთობის კოორდინატორი;
ზურაბ ქუჩუკაშვილი - ლაბ. და კურიკულუმის კოორდინატორი;
ელენე ჩერქეზია - აკადემიური კოორდინატორი;
დიანა ძიძიგური -კონსულტანტი პროგრამის განახლების მიმართულებით;
ნანული დორეული - კონსულტანტი ხარისხის უზრუნველყოფის დარგში.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3,გლობალური დათბობა იწვევს მყინვარების მასის დაჩქარებული ტემპით კარგვას კავკასიონის მთებსა და მთელ მსოფლიოში. ამ სწრაფი დნობის (მყინვარის უკან დახევის) შედეგად, გამყინვარებული ზედაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება დაიფაროს ნაშალი მასალით, რასაც ოპტიკური დისტანციური ზონდირების სისტემები ხშირად ვერ განასხვავებს ხმელეთის მიმდებარე ზედაპირისგან. აქ წარმოგიდგენთ ინსტრუმენტთა პანელს - DebCovG-carto-ს, რათა გამოვყოთ ნაშალი მასალით დაფარული და ნაშალი მასალისაგან თავისუფალი მყინვარული ზედაპირები არამყინვარული რაიონებიდან. ალგორითმი იყენებს სინთეზური დიაფრაგმის მქონე რადარით მიღებულ თანმიმდევრულ გამოსახულებებს და თოვლის ნორმალიზებული სხვაობის ინდექსს, რომელიც გამოიყენება სატელიტის ოპტიკურ მონაცემებში. საველე GPS-ის მონაცემების გამოყენებით უშბისა და ჭალაათის მყინვარების საზღვრების დისტანციური ზონდირებით დადასტურება აჩვენებს, რომ Sentinel-1-ის წყვილი გამოსახულების (2019) გამოყენებამ იდენტური აღმავალი და დაღმავალი ორბიტებიდან შეიძლება არსებითად გააუმჯობესოს ნაშალი მასალით დაფარული მყინვარული ზედაპირის გარჩევა. ინსტრუმენტთა პანელი - DebCovG-carto იყენებს მრავალ ორბიტას, რათა მოახდინოს ნაშალი მასალით დაფარული მყინვარული ზედაპირების კარტირების ავტომატიზაცია. ეს ახალი ავტომატური მეთოდი გვთავაზობს ნაშალი მასალის არსებობით გამოწვეული მყინვარების კარტირების ცდომილების სწრაფად გამოსწორების შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად აჩქარებს გამყინვარებული ზედაპირების ავტომატურ კარტირებას, ვიდრე სხვა სუბიექტური მეთოდების გამოყენება.

4,საველე გამოკვლევებისა და თემატური გამოცემების საფუძველზე შედგა კოლხეთის ნაციონალური პარკის შესახებ ანგარიში და რუკა. სადაც გამოიყო 4 მსხვილი არიალი. კოხეთის ტყეები, პალიასტომის ტბა, წყლისა და ჭაობის სავარგულები, შავი ზღვის აკვატორია. ამ არეალებში გამოვლინდა 25 ეკოსისტემური მომსახურება. ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების შედეგად, მხოლოდ ნაწილობრივი შეფასება იმ სიკეთეების, რომელსაც წარმოგვიდგენს

ნაციონალური პარკი (7 ეკოსისტემური მომსახურება) შეადგენს 10,5 მილიონ აშშ დოლარს წელიწადში.
მიღებული ფულადი შეფასება საფუძვლად დაედო ეკოლოგიურ-ეკონომიკურ რუკას. სხვადასხვა ტიპის ეკოსისტემების ღირებულების სივრცობრივი განაწილების ვიზუალიზაციისათვის.
შედეგები შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს სანაპირო ზოლის ტერიტორიული დაგეგმარებისთვის. ბუნებრივი დაცული ტერიტორიების ეკონომიკური ღირებულებების დემონსტრირებისათვის.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მაღლაკელიძე რ., მაღლაკელიძე გ.
2. მელაძე გ.
3. მელაძე გ.

2) მოხსენების სათაური
1. : კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სივრცობრივი იდენტიფიკაცია და გამოყოფის ზოგიერთი საკითხი

2. საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოება - ახალი გამოწვევები.

3. მოკვდაობა როგორც საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების ერთ-ერთი გამოწვევა.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 09-10. 12. 2021 წელი. ქ.გორი

2. 9-10 დეკემბერი,. 2021. თსუ, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი.

3. 19 დეკემბერი. თბილისი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა).

1, კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სივრცობრივი იდენტიფიკაცია და გამოყოფის ზოგიერთი საკითხი ავტორების მიზანს შეადგენდა ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსებისა და კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების არსის ახლებური წარმოჩენა 2000 წლის

ლანდშაფტური კონვენციის საფუძველზე. ასევე კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ახლებური იდენტიფიკაცა და გამოყოფის ზოგიერთი საკითხის თანამედროვე ხედავა. ამ ახალი მიდგომის მნიშვნელობა დიდია მეცნიერებასა და პრაქტიკისათვის. მეცნიერული თვალსაზრისით ლანდშაფტის ბუნებრივი და კულტურული საწყისის კორდინაციის წინაპირობაა. პრაქტიკისათვიოს კი სამეურნეო ღონისძიებათა კომპლექსური ანალიზის და დაგეგმარების საფუძველი. იმ რეგიონულ და საერთაშორისო პროექტების განხორციელების წინაპირობაა, რომლებიც უშუალო კავშირშია ბუნებრივი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან.

2. თანამედროვე საქართველო მრავალი დემოგრაფიული გამოწვევის წინაშე დგას. ჩვენს მიერ განხილულია: შობადობის, მოკვდაობის და მოსახლეობის დაბერების გამოწვევები, რომლებიც უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ არსებულ დემოგრაფიულ სიტუაციას.

საქართველოში არსებული დემოგრაფიული პრობლემები, განსაკუთრებით გამწვავდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, რასაც ხელი შეუწყო ქვეყანაში შექმნილმა უმწვავესმა სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც გამოწვეული იყო დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში - ქვეყანაში მომხდარი ცნობილი მოვლენებით. აღსანიშნავია, რომ არსებული დემოგრაფიული პრობლემები - რომლებიც 90-იანი წლების გამოძახილია, სათავეს გაცილებით ადრე იღებენ და მათი ახსნა მხოლოდ 90-იან წლებში განვითრებული მოვლენებით არ არის მართებული.

შობადობის ანალიზისათვის გამოყენებულია რიგი დემოგრაფიული მაჩვენებლები (შობადობის ზოფადი კოეფიციენტი, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი), მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნების ფონზე საქართველოში არსებული შობადობის დონე მაღალია, იგი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას. უკანასკნელ წლებში ქვეყანაში შემცირებულია რეპროდუქციული ასაკის (15-49 წლის) ქალების აბსოლუტური რაოდენობა, რაც სავარაუდოდ მომავალში ნეგატიურად იმოქმედებს შობადობაზე.

მოკვდაობის გამოწვევა ერთ-ერთი უნმიშვნელოვანესია ქვეყნისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დემოგრაფიული გადასვლის იმ საფეხურზე (მე-4 საფეხური) მყოფი ქვეყნისათვის როგორიცაა საქართველო, მატულობს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელობა. სამწუხაროდ ქვეყანაში ძალიან მაღალია მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების მაჩვენებლები - განსაკუთრებით სამუშაო ასაკებში მყოფი მამაკაცების შემთხვევაში. თუკი დავუშვებთ, რომ საქართველოში იქნებოდა ისეთივე მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები, როგორიცაა გერმანიაში (სტანდარტიზაციის მეთოდი გამოყენებულ იქნა 2017 წლისათვის), ჩვენი გაანგარიშებით 65 წლამდე ასაკში

საქართველოში ნაადრევად გარდაიცვალა 5.3 ათასი მამაკაცი და 1.3 ათასი ქალი. სულ ნაადრევად გარდაცვლილთა რაოდენობამ 6.6 ათასი შეადგინა. მოკვდაობა პირდაპირ კავშირშია სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელ ხანგრძლივობასთან. აღნიშნული მაჩვენებელი 1960-2020 წწ. მამაკაცებში არ შეცვლილა და 69,1 წელი შეადგინა. ქალების შემთხვევაში კის 1.9 წლით გაიზარდა და 77.7 წელი შეადგინა (2020 წელი).

2021 წლის 1 იანვრის მონაცემებით, საქართველოში 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 15.1%-ს შეადგენდა, რაც ორჯერ აღემატებოდა გაეროს სტანდარტით მიღებულ მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების დონეს.

შექმნილი გამოწვევების საპასუხოდ, აუცილებელია ქვეყანაში გატარდეს შესაბამისი გრძელვადიანი მიზანმიმართული პოლიტიკა.

3. საქართველოში მოკვდაობის სფეროში მიმდინარე პროცესები ერთ-ერთ მნიშვნელოვან დემოგრაფიულ გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან მასზე დიდადაა დამოკიდებული მოსახლეობის ბუნებრივი მატება. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დემოგრაფიული გადასვლის იმ საფეხურზე (მე-4 საფეხური) მყოფი ქვეყნისათვის როგორიცაა საქართველო, მატულობს მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე. აღნიშნული ფაქტი დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებას წარმოადგენს, რაც დასტურდება მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების მნიშვნელობებიდან გამომდინარე. მოკვდაობის სფეროში არსებულ ვითარებას გაცილებით რეალურად ასახავენ მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტების მაჩვენებლები, რომლებიც საკმაოდ მაღალია საქართველოში - განსაკუთრებით სამუშაო ასაკებში მყოფი მამაკაცების შემთხვევაში. თუკი დავუშვებთ, რომ საქართველოში იქნებოდა ისეთივე მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები, როგორიცაა გერმანიაში (სტანდარტიზაციის მეთოდი გამოყენებულ იქნა 2017 წლისათვის), ჩვენი გაანგარიშებით, 65 წლამდე ასაკში საქართველოში ნაადრევად გარდაიცვალა 5.3 ათასი მამაკაცი და 1.3 ათასი ქალი. სულ ნაადრევად გარდაცვლილთა რაოდენობამ 6.6 ათასი შეადგინა. მოკვდაობა პირდაპირ კავშირშია სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელ ხანგრძლივობასთან. აღნიშნული მაჩვენებელი 1960-2020 წწ. მამაკაცებში არ შეცვლილა და 69,1 წელი შეადგინა. ქალების შემთხვევაში კის 1.9 წლით გაიზარდა და 77.7 წელი შეადგინა (2020 წელი). ჩვენი გაანგარიშებით კოვიდ-19 პანდემიის შედეგად 2020 წელს საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა 0.6 წლით შემცირდა.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ნოდარ ელიზბარაშვილი.

2. ნოდარ ელიზბარაშვილი.
3. ნოდარ ელიზბარაშვილი.
4. Olimpiu Pop, Daniel Germain, Ionela-Georgiana Gavrilă, Mariam Elizbarashvili, პოპ ოლიმპიუ; ჟერმენ დანიელ; გავრილია იონელა-ჯორჯიანა; ელიზბარაშვილი მარიამ
5. მარიამ ელიზბარაშვილი, ბელა კვირკველია, შალვა ელიზბარაშვილი, თამარ ხუნწელია, მარინა ტატანაშვილი, მაია ქიმერიძე.
6. მარიამ ელიზბარაშვილი, ბელა კვირკველია, ელიზბარ ელიზბარაშვილი, შალვა ელიზბარაშვილი, თამარ ხუნწელია.
7. მარიამ ელიზბარაშვილი, მაგდა ცინცაძე, ცეზარი მშვენიერა

2) მოხსენების სათაური

1. Landscape Function for Urban Planning

2.Natural factors of ecological assessment of landscapes potential (On the example of landscapes of Georgia).

3.ლანდშაფტის მართვის და ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის მეთოდოლოგიური საფუძვლები.

4. Dendrogeomorphic reconstruction of debris-flow activity in Mazeri Valley, Greater Caucasus, Georgiaღვარცოფის მოქმედების დენდროგეომორფოლოგიური რეკონსტრუქცია მაზერის ხეობაში, დიდი კავკასიონი, საქართველო.

5. Creation of Geographical Information System for Highways of Kvemo Kartli (Georgia) საავტომობილო გზების გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა ქვემო ქართლისათვის (საქართველო)

6. Dangerous and Adverse Weather Events in Kvemo Kartli (Georgia) - ამინდის საშიში და არაკეთილსასურველი მოვლენები ქვემო ქართლში (საქართველო).

7. Simulation of Temperature and Precipitation Climatology for Georgia using RegCM4 - ტემპერატურისა და ნალექების სიმულირება საქართველოსათვის RegCM4-ის გამოყენებით.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. . University of Lisbon, Portugal, 7-10 Sept 2021
2.გროზნო (რუსეთი). 14 ოქტომბერი, 2021.
3.ერევანი (სომხეთი). 2-4 ოქტომბერი, 2021.
4. EGU General Assembly 2021, 19-30 აპრილი,
5. ოტავა, კანადა, ონლაინ კონფერენცია - 2nd International Conference on Environmental Science and Applications (ICESA'21), 21-23 ნოემბერი, 2021
6. ოტავა, კანადა, ონლაინ კონფერენცია - 2nd International Conference on Environmental Science and Applications (ICESA'21), 21-23 ნოემბერი, 2021

7. ოტავა, კანადა, ონლაინ კონფერენცია - 2nd International Conference on Environmental Science and Applications (ICESA'21), 21-23 ნოემბერი, 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ლანდშაფტთა ფუნქციების განსაზღვრა ლანდშაფტური დაგეგმარების საკვანძო საკითხია. გა სა გებია, რომ ამგვარი საქმიანობა არაერთი პროფილის სპეციალისტის მონაწილეობითაა შესაძლებელი, რომლებიც ითვალისწინებენ ნებისმიერი ტიპის ტერიტორიის ლან დ შაფტურ-ეკოლოგიურ ვითარებას – მისი სტრუქტურისა და ფუნქციონირების თავისებურებებს, თანამედროვე მდგომარეობას, ზემოქმედების (ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური) ფორმებსა და მასშტაბებს, პოტენ ციალს, მდგრადობას, იმ სოციალურ-ეკონომიურ ფუნქციებს, რომლებიც დააკის რა ან შესაძლე ბელია დააკისროს საზოგადოებამ. ამის გამო, ლანდშაფტთა ფუნქციების დადგენა მჭიდროდ უკავშირდება ტერიტორიის ეკოლოგიურ და სო ციო-ფუნქციონალურ ანალიზს და სინთეზს.

ლანდშაფტთა ფუნქციების განსაზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ეტა პად უნდა ჩაითვალოს ლანდშაფტთა ეკოლოგიური პასპორტიზაცია, რომელიც სასურველია მოიცავდეს ინფორმაციას: ლანდშაფტის ფარგლებში მიმდინარე ეკოლოგიურ პროცესებზე, ლანდშაფტის სტრუქ ტურულ-ფუნქცი ონალურ თავისებურებებზე, ცალკეულ კომპონენ ტთა რესურსულ პოტენცი ალზე, მდგრადობააზე და ა.შ.

ლანდშაფტთა ფუნქციები დაკავშირებულია ორ მომენტთან:

1. ლანდშაფტის ფუნქცია, განპირობებული საზოგადოების მოთხოვნებით და
2. ლანდშაფტის ფუნქცია, განსაზღ ვ რული მისი თანამედროვე მდგომარეობით ან პოტენციალით.

პირველი ტიპის სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციათა რა ოდე ნობა გაცილებით მეტია, ვიდრე მეორის. პირველი ტიპი მოიცავს საზო გა დოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს და შესაბამისად, ლანდშაფტთა ფუ ნ ქ ციების მრავალგვაროვნება სწორედ ამით აიხსნება. პირველი ტიპის ფუნქ ცი ათა კლასიფიკაციის შედეგად შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი ძირითადი ჯგუფები:

1. აგრო ლანდშაფტები;
2. სამეცნიერო-საგანმანათლებლო დანიშნულების ლანდშაფტები;
3. რეკრეაციულ-ესთეტიკური დანიშნულების ლანდშაფტები;
4. ისტორიული ლანდშაფტები;
5. კულტურული ლანდშაფტები;
6. ურბანული ლანდშაფტები;

7. ბუნების დაცვისა და გარემოს რე გუ ლირებისათვის საჭირო ლანდშაფტები.

ლანდშაფტის ფუნქციათა მეორე ტიპში შესაძლებელია გამოიყოს ორი ჯგუფი: **ძირითადი:** 1. რესურსწარმოებითი (სასოფლო-სამეურნეო სავარგუ ლები, სატყეო ტერიტორიები, სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი ტერიტო რიები და ა.შ.); 2. გარემოსაღმდგენი (წყალშემქმნელი, თვითგაწმენდის, ბიოტური რეგულირების და ა.შ.); 3. რე სურსულ-ინფორმაციული ანუ ბუნების დაცვითი (სანაკრძალო, სამეცნიერო, საგანამანათლებლო ფუნქციის მქონე ლანდშაფტები); **მეორე ხარისხის:** 4. რეკრეაციული და 5. ურბანული.

ლანტშაფტმა შესაძლებელია ერთდროულად შეასრულოს ერთი ან რამ დენიმე ფუნქცია, რომლებიც შეიცვლება საზოგადოების მოთხოვნებიდან და გეოეკოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე. ურბანიზებულ ტერიტორიებზე ლანდშაფტს ძირითადად მრავალფუნქციური დანიშნუ ლება გააჩნია. ბევრ ქვეყანაში ლანდშაფტთა ფუნციების რეგუ ლი რება სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია აყვანილი და ტერიტორიული და გეგ მა-რების ძირითად მიმართულებად ითვლება.

სტატაში განხილულია ლანდშაფტთა ძირითადი ფუნქციები და მათი განსაზღვრის მეთოდოლოგიური ასპექტები ურბანულ დაგეგმარებაში. განსაზღვრულია საქართველოს ისტორიული დედაქალაქის – მცხეთის ლანდშაფტების ძირითადი ფუნქციები, საკლასიფიკაციო ერთეულები და ლანდშაფტური დაგეგმარების შედეგები.

2. მდგრადი განვითარება, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, შეიძლება ჩაითვალოს გეოგრაფიული მეცნიერებისა და გეოგრაფიული განათლების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად. ის არა მარტო ახსენებს გეოგრაფიის ყველა დარგს, არამედ მოითხოვს მათ სისტემატიზაციას. ასევე მნიშვნელოვანია იმ ტერიტორიული ერთეულების საკითხი, რომლებიც შეიძლება გახდეს მდგრადი განვითარების გეოგრაფიული კვლევის აქცენტი.
ლანდშაფტის დაგეგმვა სწრაფი და მრავალფეროვანი - განვითარებადი სამეცნიერო და პრაქტიკული მიმართულებაა. თუმცა, კვლავ რჩება კითხვები ლანდშაფტის ანალიზისა და სინთეზის, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პოტენციალისა და ლანდშაფტების ფუნქციის კომპლექსურ შეფასებასთან.
შეფასებულია საქართველოს ლანდშაფტების რესურსი და რეკრეაციული პოტენციალი, ასევე მათი მდგრადი განვითარების მახასიათებლები. განხილული იყო ლანდშაფტის პოტენციალის არსი, მისი ტიპები, ლანდშაფტის პოტენციალის განსაზღვრის კრიტერიუმები.

3. ლანდშაფტური და ეკოლოგიური თავისებურებები დაკავშირებულია შემდეგ მახასიათებლებთან:

ფერდობების დახრილობა იზრდება სიმაღლის მატებასთან ერთად და მერყეობს 100-დან 500-მდე. ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს ეროზიის და დენუდაციის პროცესების ინტენსივობას.

ბრტყელ ზონას ახასიათებს ჩაძირვა, წელიწადში 2-4 მმ, რაც იწვევს მეორად წყალდიდობას და დაგროვების პროცესების გაძლიერებას; ასვლის პროცესი იწყება დაბალი მთებიდან, რაც მაქსიმალურია ცენტრალურ კავკასიაში და აღწევს 6-10 მმ წელიწადში (სხვა წყაროების მიხედვით - 15 მმ წელიწადში). ზრდა დაკავშირებულია როგორც მიწისძვრებთან, ასევე დენუდაციური პროცესების ინტენსივობასთან. შუა მთებს ტექტონიკური მოძრაობის გამო ზვავები ახასიათებს;

მეწყრული პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია რელიეფის ფერდობთან, ტექტონიკურ მოძრაობებთან, გეოლოგიურ სტრუქტურასთან და ატმოსფერულ ნალექებთან, შესაბამისად, ისინი ინტენსიურია მთიან ნაწილში. სიმაღლის მატებასთან ერთად მცირდება მეწყრული პროცესების ინტენსივობა.

სიმაღლის მატებასთან ერთად ზვავსაშიშროების პროცესების ინტენსივობა იზრდება. ამ მხრივ გამოირჩევა საშუალო და მაღალი მთები. უხვი ნალექი (წვიმა და თოვლის დნობა) ხელს უწყობს წყალდიდობის განვითარებას შუა მთების მდინარეებში, ხოლო მაღალ მთებში ძლიერი ფიზიკური ამინდი და მყინვარების ფიზიკური ეფექტია. წყალდიდობის პროცესები რეგიონისთვის ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს.

კლიმატის ცვლილების გამო მყინვარების ფართობი სწრაფად მცირდება და მათი რიცხვი მატულობს დამსხვრევის გამო. დათბობის ხანგრძლივმა ხასიათმა შეიძლება გაზარდოს აქტიური გეომორფოლოგიური პროცესების ხარისხი, რომლის პრევენცია შესაძლებელია მხოლოდ ტყის ფართობების გაზრდით და ადგილობრივი მოსახლეობის ეკოლოგიური განათლებით.

სიმაღლის მატებასთან ერთად გადამწყვეტი ხდება ფერდობის დახრილობა და სტაბილურობა. ეროზიულ-დენუდაციური პროცესები ძირითადად ვითარდება სამხრეთ ექსპოზიციის ფერდობებზე, ხოლო დენუდაციური-ეროზიული პროცესები - ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე.

ზვავების სიხშირე პირდაპირ დამოკიდებულია რელიეფის დახრილობაზე და ნალექების რაოდენობაზე (თოვლის რაოდენობაზე). ეს მაჩვენებლები ხასიათდება საშუალო და მაღალი მთებით, სადაც მოსახლეობა პრაქტიკულად მუდმივად არ ცხოვრობს. თუმცა მდინარე ენგურის ხეობაში კატასტროფული ზვავების არაერთი შემთხვევაა ცნობილი.

ენგურისა და კოდორის ხეობებს ახასიათებს ნიადაგის ეროზიული პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია ძლიერ ნალექთან და თოვლის დნობასთან. განსაკუთრებით მაღალია სახნავი მიწის ზედაპირული გამორეცხვის დონე წყლის ეროზიის გამო, რაც კიდევ უფრო ამცირებს სოფლის მეურნეობის ეფექტურობას.

2021 წელს გამოქვეყნებული ნაშრომების სია.

ლანდშაფტური დაგეგმარებისა და რეგიონული გეოგრაფიის კათედრა.

1. ელიზბარაშვილი ნ. ინტეგრაციული გეოგრაფიის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. ,,საქართველოს გეოგრაფია“ , #11. თსუ. ISSN 1512 – 1267.

2. მელაძე გ. საქართველო შობადობის გლობალური პროცესების ფონზე . ,,საქართველოს გეოგრაფია“ , #11. თსუ. ISSN 1512 – 1267.

3. Nodar Elizbarashvili; Zurab Laoshvili; Giorgi Dvalashvili; Rusudan Elizbarashvili. Geographical Diversity of Georgia and Perspectives of Planning of Geoparks (Geo Heritages). Global Geographical Heritage, Geoparks and Geotourism. Chapter 1. Springer. Print ISBN: 978-981-15-4955-7; Electronic ISBN: 978-981-15-4956-4 ; https://link.springer.com/chapter/10.1007/978-981-15-4956-4_1

4. Nodar Elizbarashvili, Nino Sulkhanishvili, Rusudan Elizbarashvili. Main Problems of The Sustainable Development of South Caucasus and Processes of Transformation of Landscapes (Ecosystem) Diversity Conservation and Sustainability in Asia. Vol.1: Prospects and Challenges in West Asia and Caucasus, Chapter 12. Springer. https://doi.org/10.1007/978-3-030-59928-7_12

5. იულიან-ჰორია ჰოლობაკა, ლევან გ. ტიელიძე , კინგა ივან, მარიამ ელიზბარაშვილი, მირსეა ალექს, დანიელ ჟერმენ, სორინ ადრიან პეტრესკუ, ოლიმპიუ ტრაიან პოპ და გიორგი გაფრინდაშვილი .Multi-sensor remote sensing to map glacier debris cover in the Greater Caucasus, Georgia. მულტისენსორული დისტანციური ზონდირება მყინვარული ნაშალის საფარის კარტირებისათვის დიდ კავკასიონზე საქართველოში of Glaciology, Volume 67, Issue 264 , 2021. Published by Cambridge University Press. https://doi.org/10.1017/jog.2021.47 Journal

6. ს. მ. კოზლოვი, ტ.მ. კრასოვსკაია, თ.პ.გორდეზიანი, . რ.ვ. მაღლაკელიძე. კოლხეთის ნაციონალური პარკის (საქართველო) ეკოსისტემური მომსახურების კარტოგრაფირება მისი ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების საფუძველზე (რუსულ ენაზე). ინტერკარტო.ინტერგისი.ტერიტორიის გეოინფორმაციული მომსახურება. საერთაშორისო კონფერენციის მასალები. Москва МГУ. https://doi.org/10.35595/2414-9179-2021-1-27-112-125

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ჰიდროლოგიის, ოკეანოლოგიის და მეტეოროლოგიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
პროფ. დავით კერესელიძე, ასოც.პროფ. კახაბერ ბილაშვილი, ასოც.პროფ. ვაჟა ტრაპაიძე, ასისტ.პროფ.გიორგი ბრეგვაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2. 2

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი:
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართული კულტურული მემკვიდრეობის გეოინფორმაციული კარტოგრაფირება-ანალიზი ძველი თურქული დავთრების მიხედვით ((#HE-18-448)
ძირითადი მიმართუება: საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი,
ქვემიმართულება: 1.5 დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი,
კატეგორია: გეომეცნიერებანი, მრავალდარგობრივი დისციპლინები

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2018-2021
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):**
დალი ნიკოლაიშვილი - პროექტის ხელმძღვანელი, გეოგრაფი, გის-სპეციალისტი.
დავით სართანია - პროექტის კოორდინატორი, ისტორიკოს-ეთნოლოგი, ისტორიის დოქტორი.
დარეჯან კირთაძე - ტოპონიმიკის სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი.
მანანა კვეტენაძე - თსუ დოქტორანტი კარტოგრაფიის განხრით.
ვაჟა ტრაპაიძე - გეოგრაფი
თედო გორგოძე - გის-სპეციალისტი
ავთანდილ უჯმაჯურძე - ისტორიკოსი
მარიკა ჯიქია - თურქოლოგი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):
პროექტის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევის შედეგი იქნა მიღწეული:

- *ოსმალური დავთრების კლასიფიკაცია.*

ცნობილია, რომ ოსმალეთის იმპერიაში მოსახლეობის დაბეგვრისა და მრავალრიცხოვანი სამოხელეო აპარატის შენახვისათვის სხვადასხვა სახის დავთრები დგებოდა. აღნიშნული დავთრები თავისი შინაარსით, ხასიათითა და დანიშნულებით ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამ დავთრების ტიპების შესახებ არაერთხელ დაიწერა სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ მცირე კორექტივები შევიტანეთ ამ კლასიფიკაციაში. მიხეილ სვანიძის მიხედვით იყო: სულთნის დივნის ჩანაწერები, ოსმალეთის მთავრობის დადგენილებათა დავთრები, ყოველდღიური შემოსავლებისა და ხარჯის აღრიცხვის დავთრები, საანგარიშო დავთრები და სხვა. მათ გვერდით არსებობდა ოსმალების მიერ დაპყრობილი მხარეების აღწერის დავთრები. ისინი მ. სვანიძის მიხედვით ` ორი სახისა იყო: 1. დიდი დავთარი და 2. მცირე დავთარი. ოსმალურ სიტყვებს „მუფასალს“ და „იჯმალს“ ქართულად შეესატყვისება ვრცელი (დიდი, დაწვრილებითი) და მოკლე (მცირე). ამდენად, მ. სვანიძის მიხედვით ოსმალების მიერ დაპყრობილი ტერიტორიებისთვის დგებოდა 2 სახის დავთარი: ვრცელი და მოკლე. დაპყრობილი მოსახლეობის აღწერის შემთხვევაში 2 სახის დავთარზე საუბრობს პროფესორი ნოდარ შენგელიაც.

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ დავთრები 3 ძირითადი სახის იყო: ვრცელი დავთარი, მოკლე დავთარი და „ცვლილების დავთარი“. ვრცელ ანუ დიდ დავთარში დეტალურად აღიწერებოდა თითოეული გეოგრაფიული ობიექტი მასში მცხოვრებთა რაოდენობის, რელიგიის და მათზე დაკისრებული ვალდებულებების ზუსტი ნუსხით. მიეთითება, თუ რომელი დასახლება (სოფელი, რაბათი, ციხე-სიმაგრე) რომელ ნაჰიეს ეკუთვნის, ეს უკანასკნელი კი რომელ ლივასა (სანჯაყში) და ვილაიეთში შედის. ზოგჯერ მიეთითება თუ სად იწყება სოფელი და სად მთავრდება, ვის ემეზობლება, რომელი მიკროტოპონიმი მდებარეობს მის ფარგლებში თუ მფლობელობაში (უბანი, მამული, ვენახი, სათესველი, საძოვარი, არხი). ჩამოთვლილია დასახლებაში მცხოვრები კომლები ოჯახის უფროსი მამაკაცის სახელისა და მამის სახელის მოხსენიებით. იქვეა მითითება თითოეულის რელიგიურ კუთვნილებაზე. შემდეგ კი ამ დასახლებაზე გაწერილი გადასახადებია ჩამოთვლილი, მათი ფიზიკური ოდენობით (ქილა, მანი, ბათმანი, ...) და ფულად ერთეულში (ახჩა). ამის მიხედვით ვიგებთ, თითოეულ სოფელში თუ რა სახის სამეურნეო აქტივობას ჰქონდა ადგილი და რა ოდენობით იყო იგი დაბეგრილი. ამიტომ ისინი ფაქტობრივად დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდიან გარკვეული მხარის შესახებ.

დიდი დავთრის შედგენის შემდეგ დგებოდა მოკლე დავთარი, რომელშიც ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა რანგის მოხელეთა შემოსავლის წყარო და ოდენობა იყო დასახელებული გარკვეული დასახლებული ობიექტების მითითებით. აქ მხოლოდ დასახლებებია დასახელებული და აღნიშნულია თუ ვის ეკუთვნის იგი და რამდენი აქვს მისგან შემოსავალი ამ პირს. ამდენად, ამ დავთრიდან ბევრი რამის გარკვევა არაა შესაძებლელი. იგი გამოდგა ტოპონიმიის შესასწავლად და ამა თუ იმ დასახლების ადმინისტრაციული მიკუთვნებულობის დასადგენად. ასევე შესაძლებელი გახდა გაგვეგო, თუ რა ოდენობის გადასახადი

ჰქონდა დაკისრებული ამა თუ იმ დასახლებას. შესაბამისად მოკლე დავთრის მონაცემები შევადარეთ სხვა წყაროს და პირველ რიგში, დიდი დავთრის ცნობებს და დადგინდა სამეურნეო ცხოვრების განვითარების დინამიკა.

ამდენად, მოკლე დავთარს ოსმალეთის ხელისუფლებისათვის მათ სამსახურში მყოფი პერსონების საკონტროლო ფუნქცია ჰქონდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჯერ ვრცელი დავთარი დგებოდა და შემდეგ, როცა გარკვეული იყო თუ რომელ დასახლებას ოსმალთა ხელისუფლებისათვის რა ოდენობის შემოსავლის მიცემა შეეძლო, მის ბაზაზე ადგენდნენ მოკლე დავთარს.

ჩვენ მოგვეპოვება სამცხე-საათაბაგოს, ანუ როგორც ოსმალები უწოდებდნენ ჩილდირის ვილაიეთის 2 სრული აღწერა. ესაა 1574 წლისა [1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 2016] და შემდეგ 1595 წლის [გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, 19412] აღწერები. თუმცა ამ დავთრებიდან ჩანს, რომ მათ წინ უსწრებდა სხვა აღწერები, რომელთა მასალები ჩვენს ხელთ არაა, მაგრამ მათში ხშირია მითითებები ძველ დავთრებზე. გამოდის, რომ 1574 წლისათვის ოსმალებს უკვე ჰქონიათ ეს მხარე აღწერილი და საგანგებო დავთარიც შეუდგენიათ. 1574 წ. ხელახლა, მეორედ აღუწერიათ მესხეთი, ხოლო შემდეგ კი 1595 წელს მესამედ.

რადგანაც ჩვენთვის ცნობილი თითქმის ყველა დავთარს აქვს მინაწერები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველ 3 წელიწადში რეალური ვითარების გადამოწმებისას უნდა გაკეთებულიყო მოქმედ დავთრებში უკვე მომხდარი ცვლილებების მიწერა. მაგრამ დროის ხანგრძლივ პერიოდში მომხდარ ცვლილებებს დავთრის თავისუფალ ადგილებზე, ველზე ყოველთვის ვერ მიაწერდნენ, ვინაიდან ფურცლის თუნდაც დიდი ფორმატი უსასრულოდ ბევრ ახალ ჩანაწერს ვერ დაიტევდა. ამიტომ მყისიერად ამ დავთრებში ცვლილებების შეტანა ვერ მოხერხდებოდა. ნებისმიერი სახელმწიფოს ბიუროკრატიული საქმისწარმოება კი წერილობით გაფორმებულ დოკუმენტებზეა დამყარებული. შეუძლებელია სულთნის მიერ გამოცემული „ბარათი“. ამ ტიპის დავთარს მ. სვანიძე `არასრულ იჯმალ დავთარს~ უწოდებს.

ჩვენ სათანადო მასალების ხელმიუწვდომლობის გამო დაბეჯითებით რაიმეს თქმა გვიძნელდება, მაგრამ გვიჩნდება კითხვები: რატომ არ შეიძლება იოკლამა დავთარი, რომელსაც ც. აბულაძის აზრით, საკონტროლო მნიშვნელობა აქვს, 2-3 წელზე მეტი ხნისთვის შედგეს? ანუ რატომ არ შეიძლება, რომ დავუშვათ ამგვარი ჩანაწერები სისტემატურად ტარდებოდეს და ეს შემოწმებული, დაზუსტებული ინფორმაციები ცალკეული მხარეებისა და წლების მიხედვით თანდათანობით შედიოდეს ამ მიზნით შექმნილ დავთარში? ამდენად, ამ დავთარში, რომელსაც ჩვენ „ცვლილებების დავთარი“ ვუწოდეთ, მოხელეთათვის ქონების ბოძების ან ჩამორთმევის და შემდეგ სხვათათვის გადაცემის ინფორმაცია იყო აღნუსხული. ამ უკანასკნელთ დღეს მკვლევართათვის მხოლოდ სხვა ცნობების შემავსებელი ან საკონტროლო ფუქცია აქვთ და ჩვენც სწორედ ასე ვიყენებთ მათ. ცხადია, კვლევის ძირითადი ტვირთი სწორედ დიდ დავთრებზე მოდის.

ერთი რამ კი ცხადია და ნათელი, რომ ჯაბა დავთრად წოდებული დოკუმენტი თვისებრივად განსხვავდება იჯმალ დავთრისაგან და ამიტომ მისგან გამოცალკავება და დამოუკიდებლად განხილვა სჭირდება. პირველ რიგში, უნდა გათვალისწინებულ იქნას, რომ ჯაბა დავთარი დგებოდა ოსმალთა ხელისუფლების კანცელარიაში განსხვავებით ვრცელი და მოკლე დავთრებისა. ეს უკანასკნელნი ხომ იქმნებოდა აღსაწერ ადგილებზე _ ტერიტორიის სოფელ-სოფელ შემოვლით. მეორეც, ჯაბა დავთარში არაა დაცული აღსაწერი ტერიტორის სრული გეოგრაფიული მომცველობა, როგორც ეს ვრცელ და მოკლე დავთრებშია მოცემული; მესამეც, აქ არაა დაბეგრილი მოსახლეობის კომლები და არც ცალკეული გადასახადის სახეებია ნაჩვენები; მეოთხეც, აქ არაა ლენის - ხასის, ზიამეთის თუ თიმარის ყველა მფლობელი მოცემული ტერიტორიის სრული გეოგრაფიული მომცველობით ჩამოთვლილი. ამის მსგავსი რამ „ჯაბა დავთარში“ არაფერია. მას მხოლოდ ერთი თავისებურება აქვს. ესაა გარკვეული ინფორმაციის დალაგება ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით, ანუ ჯაბა დავთარში სხვადასხვა სახის ინფორმაცია საკუთრების ფლობის თემაზე დავთარში შეტანილია წლების აღმავალი მიმდევრობით.

ვრცელი და მოკლე დავთრის შედგენის შემდეგ რისთვის უნდა ყოფილიყო აუცილებელი კიდევ ერთი დავთრის შექმნა, სადაც ქრონოლოგიურად იქნებოდა მასალები შეტანილი? ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ პასუხი მარტივია. გარკვეული სივრცის მქონე ტერიტორია აღიწერებოდა ადგილზე მონახულებით და დგებოდა ვრცელი და მოკლე დავთრები. ანუ ვრცელი და მოკლე დავთრების შედგენა, რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელებულიყო ის, ერთჯერადი მოვლენა იყო. ამ მოვლენას დავთრის საბოლოო გაფორმების თარიღი და სულთნის თუღრა დაესმებოდა. ჯაბა დავთარი კი სულთნის კანცელარიაში წლიდან წლამდე ივსებოდა ახალ-ახალი ინფორმაციით და ამდენად, მისი შედგენა არ იყო ერთჯერადი აქტი.

ჩვენთვის საკვლევი დავთრების კიდურა თარიღია 1574 და 1835-/36 წლები და ამიტომ კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოც ამ წლებით შემოიფარგლება.

- ოსმალურ დავთრებში ასახული ტერიტორიის არეალის დადგენა.

ჩვენამდე მოღწეული ოსმალური დავთრები მთლიანად საქართველოს კი არ აღწერენ, არამედ მხოლოდ მის გარკვეულ ნაწილს, მაგრამ მაინც ისინი ვრცელ ტერიტორიას მოიცავენ. თითოეული დავთარი გარკვეულ ტერიტორიას აღწერდა.

ოსმალური ძალმომრეობის მიხედვით კი საქართველოს ტერიტორია სამ ნაწილად შეიძლება დაიყ

პირველია საქართველოს ის ტერიტორია, სადაც ოსმალებმა მრავალჯერ ილაშქრეს, დაიმორჩილეს და დახარკეს კიდევაც, მაგრამ სრული დაპყრობა ვერ მოახერხეს. ასეთია დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი. ოსმალებმა რამდენჯერმე ილაშქრეს აქ, მათი გარნიზონი სხვადასხვა დროს ქართულ საზღვაო ქალაქებშიც (ბათუმი, ფოთი, ცხუმი) კი იდგა, მაგრამ მთელი მხარის პოლიტიკური

დამორჩილება მხოლოდ გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეძლეს. მთლიანი დაპყრობა და ოსმალურ ყაიდაზე გარდაქმნა კი _ ვერა.

ეორეა საქართველოს ტერიტორია, რომლის დაპყრობა ოსმალებმა შეძლეს, მაგრამ შენარჩუნება კი _ ვერა. ასეთია აღმოსავლეთი საქართველო. აქაც არაერთხელ ულაშქრიათ ოსმალებს, მაგრამ მხოლოდ ერთხელ შეძლეს მისი ნაწილის - ქართლის დაპყრობა.

მესამეა საქართველოს ის მხარე, სადაც ოსმალებმა თავისი განზრახვა ბოლომდე მიიყვანეს. ესაა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ანუ სამცხე-საათაბაგო. ოსმალებმა იგი ხანგრძლივი პერიოდით დაიკავეს და მოახერხეს მისი `ოსმალეთის ყაიდაზე~ გადაყვანა3, ანუ აქ მართლაც განახორციელეს მხარის მთლიანი ინკორპორაცია და ოსმანიზაცია. თუმცა არც ეს ტერიტორია უნდა შევაფასოთ ცალსახად. სამცხე-საათაბაგოს იმ არეალში, რომელიც ოსმალების მიერ დაუპყრობელ საქართველოს ტერიტორიას უშუალოდ ემიჯნებოდა, ნაკლები იყო ოსმალური გავლენა. ეს ეხება უმთავრესად (და არა მარტო) თანამედროვე საქართველოს ფარგლებში მოქცეულ სამცხე-საათაბაგოს ჩრდილოეთ ნაწილს (სამცხე, ჯავახეთის ჩრდილოეთი ნაწილი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი). რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს დანარჩენ, უფრო სამხრეთით მდებარე ნაწილს (კოლა, არტაანი, ერუშეთი, არტანუჯი და სხვ.), აქ ოსმალური გავლენა გაცილებით დიდი იყო, რისი ამოკითხვაც ზემოთ დასახელებული დავთრებიდანაცაა შესაძლებელი.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო გაგვერკვია, თუ რა ვითარება აღირიცხა ოსმალების მიერ დაპყრობილ ტერიტორაზე თავად ოსმალური დოკუმენტებით და როგორია იქ ქართული სუბსტრატი. ეს ვითარება ხომ საუკუნეების მანძილზე გრძედებოდა და საინტერესოა, თუ როგორ მიმდინარეობდა „ოსმალურ ყაიდაზე“ გადასვლის პროცესი. ხაზგასმით რომ აღვნიშნოთ, კვლევის მიზანი უმთავრესად მიმართული იყო ოსმალეთის იმპერიის მიერ ინკორპორირებული და ოსმანიზებული ქართული ტერიტორიისა და მისი მკვიდრების ყოფის გამოვლენისაკენ. ამიტომ ჩვენი კვლევის არეალში არ შედის საქართველოს ის ტერიტორიები, რომლებიც ოსმალებს გარკვეულ პერიოდში ჰქონდათ დაკავებული, თუმცა არაინკორპორირებული (საგანგებო დავთრები ამ ტერიტორიებისათვისაც ჰქონდათ შედგენილი). ამ მიზეზით ამდავთრებს წინამდებარე ნაშრომში არ ვსწავლობთ.

დასკვნები:

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ

- მიუხედავად იმისა, რომ დავთრები ფრიად საყურადღებო ძეგლებია, რომელიც უხვ მასალას გვაძლევს მხარის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის, ისტორიული გეოგრაფიის და ონომასტიკის შესასწავლად, ზოგიერთი მათგანი ნაკლულია. მაგალითისათვის მოგვყავს „1574 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“.

მართალია, იგი შეიცავს სრულყოფილ ცნობებს 2 ლივის (ოლთისისა და დიდი არტაანის) შესახებ, რისი თქმაც არ შეიძლება არტანუჯის ლივაზე. აქ მხოლოდ 1 ნაჰიეს შესახებ გვაქვს ცნობები, დანაჩენი 3 ნაჰიეს ფურცლები მოცემულ დავთარში

არაა და ალბათ, დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. თუმცა არაა გამორიცხული, რომ წინამდებარე დავთრის სხვა პირიც არსებობდეს, სადაც ეს ნაკლული ფურცლები შეიძლება აღმოჩნდეს. ასევე ითქმის დავთრის დასაწყისზე. იგიც უთუოდ ნაკლულია. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს დავთრის დასაწყისში თორთომის ნაჰიეს ხსენება, რომელიც მხოლოდ 1 სოფლით - თორთომის ეკლესიის რაბათითაა წარმოდგენილი. იგიც სრული არაა. ჩამოთვლილია მხოლოდ სოფელში მცხოვრები კომლები და მათზე გაწერილი გადასახადი კი არაა წარმოდგენილი. დავთარი კი ხომ სწორედ გადასახადების ასაკრეფად დგებოდა და იგი არავის გამორჩებოდა.

- დავთრებში ზოგან მითითებული სოფელი, დავთრის შედგენის მომენტისათვის უკვე ნასოფლარია და იგი ასევე უნდა იყოს აქ მოხსენიებული (და არა როგორც სოფელი). მაგალითისათვის მოგვყავს 1595 წლის გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. აქ ზოგიერთი დასახელებული სოფელი სინამდვილეში ნასოფლარია, ვინაიდან არ ჰყავს მუდმივი მოსახლეობა (არ არის მითითებული კომლთა არც რაოდენობა და არც მათი სახელები). ს. ჯიქიაც აღნიშნავს, რომ ეს სოფლები დაცარიელებულია ომების შედეგად, თუმცა მათ სოფლად იხსენიებს. ამასთან დავძენთ, რომ სოფლების დაცარიელების მიზეზი ასევე იქნებოდა ქრისტიან მოსახლეობაზე გაწერილი გადასახადთა დიდი ოდენობაც, რაც მკვიდრი ადგილებიდან მათ აყრასა და სხვაგან, უფრო უსაფრთხო ადგილას დასახლებას იწვევდა. შესაბამისად ეს დაცარიელებული სოფლები ნასოფლარებად მივიჩნიეთ, რაც ჩვენს მიერ ჩატარებულ სტატისტიკურ გამოთვლებშიც აისახა შესაბამისად. ამასთან სრულიად ვიზიარებთ ს. ჯიქიას გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამ დაცარილებულ სოფლებში გადასახადს იხდიდნენ მეზობელი სოფლის ის მცხოვრებნი, რომლებიც აქ მიწას ამუშავებდნენ.

- სოფლებზე დეტალურად გაწერილი გადასახადები შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს არა მარტო აგროკულტურების გავრცელების არეალი, არამედ სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის ზონები, დარგობრივი სტრუქტურა, შინამრეწველობის სახეები, ერთმანეთს შეუდარდეს მოსახლეობის შემოსავლები და სხვ.

- ანთროპონიმების ან შუა საუკუნეების საქართველოსათვის დამახასიათებელი მაღალი სოციალური ფენის, ან სასულიერო წარმომადგენლების დასახელების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ ამა თუ იმ ნაკვეთის ქართველი მფლობელი, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათი ჩანაცვლებაც მუსლიმანებით. ასეთი ცნობები მოგვეპოვება, ვრცელ დავთრებში.

- „გურჯისტანის ვილაიეთის რუკაზე“ [ასლანიკაშვილი, 1953] დატანილი 6 საზღვარი ისტორიულია და იგი მრავალი თვალსაზრისითაა საინტერესო და საკვლევი. საინტერესოა საკითხი, თუ რის საფუძველზე გატარდა „საქართველოს ისტორიული საზღვარი“ და რა წყაროებს ეყრდნობოდა ავტორი. ამ მხრივ, ყველაზე უპრიანი იქნებოდა იმავე თუ არა დაახლოებით მსგავსი მასშტაბის რუკ(ებ)ის გამოყენება. ასეთი კი ერთადერთი იყო - ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ისტორიული რუკა“ [1923], ყოველ შემთვევაში იმდროისათვის მაინც. ორივე რუკა საშუალო მასშტაბისაა: „გურჯისტანის რუკა“ _ 1:300,000, ხოლო „საქართველოს

ისტორიული რუკა“ – 1:420,000 მასშტაბის. ორივე საზღვრის კონტურების ურთიერთშედარებამ გვიჩვენა, რომ იგი მთლიანად ემთხვევა ძვ.წ. I საუკუნეს (ანუ როგორც ივ. ჯავახიშვილს აქვს აღნიშნული: „I საუკუნის ქრ.წ.“), რაც იმის მტკიცების უფლებას გვაძლევს, რომ „გურჯისტანის რუკაზე“ გატარებული საქართველოს ისტორიული საზღვარი ზუსტად ასახავს ივანე ჯავახიშვილისეულ ვერსიას. „გურჯისტანის რუკაზე“ გატარებული საქართველოს ისტორიული საზღვარი ზუსტად ასახავს ივანე ჯავახიშვილისეულ ვერსიას.

ამასთან ამავე რუკაზე ასახული ოლთისის ლივა, მართალია შესულია 1595 წლის დავთარში, თუმცა ის გვიანდელი მინაწერია და რეალურად არ ასახავს 1595 წლის მდგომარეობას. შესაბამისად რიგი რუკებზე ჩვენ ოლთისის ლივა არ დავიტანეთ.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. Black Sea CONNECT „საზღვაო კვლევების და ინოვაციების კოორდინირება შავ ზღვაზე“, გრანტი 860055 - ევროგაერთიანება “HORIZON 2020”

2. BRIDGE-BS - Advancing Black Sea Research and Innovation to Co Develop Blue Growth within Resilient Ecosystems, „შავი ზღვის კვლევებისა და ინოვაციების ხელშეწყობა ლურჯი ზრდის თანაგანვითარებისათვის მდგრადი ეკოსისტემების შენარჩუნების პირობებში გრანტი #101000240 - ევროგაერთიანება “HORIZON 2020”

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2019-2022

2. 2021-2025

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ვალერიან მელიქიძე, სალომე კობაიძე, მამუკა გვილავა, ვაჟა ტრაპაიძე, თორნიკე რაზმაძე, ზურაბ სავანელი

2. ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ვალერიან მელიქიძე, სალომე კობაიძე, ირინე ბარამიძე, მადონა ვარშანიძე, ვაჟა ტრაპაიძე, რამაზ მიქელაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტის Black Sea CONNECT ძირითადი მიზანია ბურგასის ხედვის დოკუმენტზე დაფუძნებული SRIA-ს ოპერატიული სამოქმედო გეგმების განვითარების ხელშეწყობა. შავ ზღვას აქვს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსი და ფართო პოტენციალი ლურჯი ეკონომიკის განვითარებისათვის შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნებში. აღნიშნული რესურსების გამოყენებას ევროკავშირი ხელს უწყობს ერთობლივი კვლევების განვითარებით, ინოვაციური საგზაო რუკისა და ეროვნული პოლიტიკის შემუშავებით. ამ კონტექსტში იქნა შემუშავებული ე.წ. „ბურგასის ხედვის დოკუმენტი“, რომელიც ამოქმედდა 2018 წელს და მასში წარმოდგენილია საერთო მიდგომები 2030 წლისათვის პროდუქტიული, ჯანმრთელი, რეზისტენტული, მდგრადი და ღირებული შავი ზღვისათვის. დოკუმენტი მხარდაჭერილია შავი ზღვის ქვეყნების მინისტერიალის დეკლარაციით. ასევე, შავი ზღვის ლურჯი ზრდის ინიციატივის ფარგლებში შემუშავებულია სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგი (SRIA), რომელიც გამოყოფს შავი ზღვის ოთხ ძირითად გამოწვევას, ესენია: ცოდნა შავი ზღვის შესახებ, შავი ზღვის ლურჯი ეკონომიკა-ლურჯი ზრდა, ერთობლივი საკვანძო ინფრასტრუქტურა და პოლიტიკა, მოსახლეობის კეთილდღეობა და საწარმოო ძალების გაძლიერება.

2021 წელს გამოვლინდა სრია-ს პრიორიტეტები საქართველოსთვის, ჩატარდა სამუშაო და საგანმანათლებლო შეხვედრები.

2. პროექტი BRIDGE-BS გვთავაზობს შავი ზღვის უნიკალური ეკოსისტემური სერვისების გაუმჯობესებული მართვის საჭიროებებს დაფუძვნებულს მულტიდისციპლინურ, მრავალსექტორულ მიდგომებზე, რომელიც აგებულია რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებზე. პროექტის ძირითადი მიზნებია - შავი ზღვის ცოდნის ბაზის შექმნა, შავი ზღვის ჯანსაღი ეკოსისტემის მდგრადობის შეფასება, ადაპტირებული მენეჯმენტის შემუშავება, მულტისტრესორებთან გამკლავებისათვის ინოვაციების სტიმულირება და მონიტორინგის მხარდაჭერა, სოციალურ-ეკონომიკური და სოციალური ინოვაციების ხელშეწყობა, ლურჯი ზრდის შესაბამისად ბიზნეს მოდელების და სტარტაპების ხელშეწყობა, მონაწილეობა მეცნიერებაზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებში, განათლებისა და შესაძლებლობების განვითარებაში.

3.2.დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. ,,შავი ზღვის სანაპირო ზოლში საზღვაო ნარჩენების შემცირების ინოვაციური მეთოდები და ტექნოლოგიები" RedMarLitter, BSB-552, (JOP BSB 2014-2020)

2. EMODNEet 4_Chemistry, ემოდნეტ 4 ქიმია, EASME/EMFF/2018/1.3.1.8/lot4/SI2.810314

3. ემოდნეტ ინჯენშენ-2, EMODnet Ingestion and safe-keeping of marine data-2 EASME/EMFF/2018/1.3.1.8/SI2.810021

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2018-2021

2. 2019-2021

3. 2020-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. კოორდინატორი - კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები ინესა კუზანოვა, ვაჟა ტრაპაიძე

2. ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი,შემსრულებლები: ნინო მაჩიტაძე, ვახტანგ გვახარია, ნინო მაჩიტაძე, ვაჟა ტრაპაიძე, თორნიკე რაზმაძე

3. ხელმძღვანელი-კახაბერ ბილაშვილი, შემსრულებლები: ზურაბ სავანელი, თორნიკე რაზმაძე, ვაჟა ტრაპაიძე, ირაკლი პაპაშვილი, გრიგოლ რუხაძე

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტ RedMarLitter ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ძირითადი აქტივობები:
   - მოხდა მყარ ნარჩენებზე და ჩამდინარე წყლებზე არსებული ინფორმაციის შეგროვება შავი ზღვის რეგიონებში;
   - განხორციელდა სამიზნე ტერიტორიების ნარჩენების მონიტორინგი;
   - შეიქმნა შავი ზღვის მყარი ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ინტერაქტიური რუკა/პლატფორმა, სადაც განთავსებულია საზღვაო მყარი ნარჩენების მონაცემები;
   - მიმდინარე მონიტორინგული კვლევების გათვალისწინებით მოხდა „ცხელი წერტილების" იდენტიფიცირება;

- შემუშავდა ნარჩენების განაწილების და წყლის დინებების განვრცობის მათემატიკური მოდელი.
- განისაზღვრა სანაპირო ზოლის დამაბინძურებელი მყარი ნარჩენების ძირითადი კატეგორიები და შეფასდა მათი რაოდენობრივი ცვლილებები;
- ჩატარდა ტრენინგები და საინფორმაციო შეხვედრები;

კონსორციუმის წევრებთან ერთად შემუშავდა ზღვის გარემოში მყარი ნარჩენების მდგრადი მართვის სახელმძღვანელო და ცხელი წერტილების იდენტიფიცირებისა და ნარჩენების შემცირების ღონისძიებების მეთოდოლოგია, სადაც მოცემულია შავი ზღვის წყალშემკრებ აუზში მდებარე და ზღვის გარემოზე გავლენის მქონე საზღვაო მყარი ნარჩენების იდენტიფიკაციის, შეფასებისა და კლასიფიცირებისათვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომელიც თანხვედრაშია ევროგაერთიანების მიერ მიღებულ სტანდარტებთან. სახელმძღვანელო დაეგზავნა სამიზნე ჯგუფებს: მუნიციპალიტეტებს, უნივერსიტეტებს, საზღვაო სფეროსთან დაკავშირებულ სამთავრობო სტრუქტურებს, არასამთავრობო სექტორს და სხვა. რის შედეგად მიღებული იქნა რამოდენიმე ათეული პოზიტიური შეფასება.

2. საზღვაო დაკვირვებათა და მონაცემთა ევროპული ქსელი (EMODnet) პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სახის აქტივობები: საქართველოში არსებული საზღვაო ქიმიური მონაცების მოძიება, მიღებული სტანდარტების შესაბამისად ფორმატიზება და ევროპულ ბაზებში განთავსება.
3. პროექტის ფარგლებში მოხდა ახალი საზღვაო მონაცემების მიღებისა და ასიმილაციისათვის სამუშაოების ჩატარება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, მოძიებელი ახალი და არსებული მონაცემების დამუშავება და შეტანა პროექტის ფარგლებში საზღვაო მონაცემთა ევროპულ ბაზებში, ახალი სისტემის ტესტირება და გავრცელება მონაცემების პოტენციურ მფლობელთა შორის. საზღვაო მონაცემთა ფორმატიზება, ინვენტარიზაცია და გის-ში დამუშავება.

4. პატენტები

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემი სადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდებისრაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები
1.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

5) გვერდების რაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1. **ავტორი/ავტორები:** Nikolaishvili D., Sartania D., Kvetenadze M., Kirtadze D., Trapaidze V.

სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI: Analysis of the Social-economic Situation of Akhaltsikhe Liva according to the Great Register of Gurjistani Vilayet, E-ISSN: 2667-9760

ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი: Georgian Geographical Journal, # 2 (2).

https://journals.4science.ge/index.php/GGJ/issue/archive

https://doi.org/10.52340/gs

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

სტატიაში წარმოჩენილია ოსმალეთის მიერ XVI საუკუნეში დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთ სააქართველოს იმ მხარის მეურნეობის ცალკეული დარგების ანალიზი, რომელიც ოსმალებმა იმთავითვე გურჯისტანის ვილაიეთად მონათლეს. მეცხოველეობა და სხვა დამხმარე დარგები განხილულია 1595 წლის ოსმალური დოკუმენტის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. გურჯისტანის ვილაიეთი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს დიდ ნაწილს მოიცავდა, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილია თანამედროვე საქართველოს ფარგლებში, დანარჩენი კი ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრის _ თურქეთის რესპუბლიკაშია. კვლევის შედეგად შეიქმნა გის-ის მონაცემთა ბაზა, რომლის საფუძველზეც შედგა სხვადასხვა სახის თემატური რუკა და სხვა საილუსტრაციო მასალა. დავთარში მოცემული მონაცემების მიხედვით დადგინდა გურჯისტანის ვილაიეთის მეცხოველეობის ტერიტორიული განაწილების თავისებურებანი და მისი

ცალკეული დარგების სამეურნეო მნიშვნელობის თანაფარდობა. ნათელი გახდა, რომ XVI საუკუნის ბოლოსათვის აღნიშნულ ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობა მრავალმხრივ სამეურნეო აქტივობას ეწეოდა და ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდა ქართული ტრადიციული სამეურნეო ყოფა.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელია ნოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდებისრაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
6.3. კრებულები
1) ავტორები
1.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. D. DEMETRASHVILI, K.BILASHVILI, N.MACHITADZE, N. TSINTSADZE, V.GVAKHARIA, N.GELASHVILI, V.TRAPAIDZE, I.KUZANOVA

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. NUMERICAL MODELING OF MARINE LITTER DISTRIBUTIONIN GEORGIAN COASTAL WATERS OF THE BLACK SEA (in the process of reviewing).

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Journal of Environmental Protection and Ecology (JEPE)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

5) გვერდების რაოდენობა
1. 8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო წყლებში მცურავი საზღვაო ნარჩენების განაწილების რიცხვითი მოდელირება ზღვის მყარი ნარჩენების მონიტორინგის მონაცემების გამოყენებით. მონიტორინგი განხორციელდა ფოთისა და ბათუმის სანაპირო ზოლში 2019 წლის სექტემბერში ევროკავშირის პროექტის RedMarLitter-ის ფარგლებში. მცურავი საზღვაო ნარჩენების მოდელირებისათვის გამოყენებულია 2D არასტაციონარული ადვექციურ-დიფუზიური მოდელი, რომელიც შერწყმულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოფიზიკის ინსტიტუტის (RM-IG) შავი ზღვის დინამიკის რეგიონულ მოდელთან. RM-IG არის რეგიონული პროგნოზირების სისტემის ბირთვი შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაწილისთვის და ეფუძნება ოკეანის ჰიდროთერმოდინამიკის განტოლებების სრულ სისტემას, რომელიც დაწერილია დეკარტის კოორდინატულ სისტემაში. მოდელირების შედეგებმა აჩვენა ადვექციისა და დიფუზიის პროცესების მნიშვნელოვანი როლი მცურავი მყარი ნარჩენების სივრცით-დროით განაწილებაში

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი, ნიადაგების გეოგრაფიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით: პროფესორი ლია მაჭავარიანი (კათედრის გამგე), ასოცირებული პროფესორი ბესიკ კალანდაძე; კათედრასთან არსებული ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიის თანამშრომლები (უფრ. ლაბორ. გულნარა აფციაური, ლაბორ. ელენე ნიკოლაიშვილი, ლაბორ. იამზე შელია)

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. "გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე წყალსაცავის ნეგატიური ზემოქმედების შეფასების მეთოდიკა" (FR-18-009); საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოსშემსწავლელი მეცნიერებანი; ოკეანოგრაფია, ჰიდროლოგია, წყლის რესურსები
2. "წყალსაცავების პოზიტივები და ნეგატივები" – მონოგრაფია (SP-21-070); საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი; საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2019 (21.02)-2022 (21.02)
2. 2021 (23.07)-2022 (23.01) – 6-თვიანი საგამომცემლო პროექტი

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ლია მაჭავარიანი (პროექტის ხელმძღვანელი); გიორგი მეტრეველი (მკვლევარი); ზაზა გულაშვილი (კოორდინატორი).
2. ლია მაჭავარიანი (პროექტის ხელმძღვანელი); გიორგი მეტრეველი (მკვლევარი); ზაზა გულაშვილი (კოორდინატორი).

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. FR-18-009 პროექტის ფარგლებში კვლევის მესამე ფინალურ პერიოდში შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

შესწავლილია წყალსაცავში ნატანის აკუმულირებისა და შენაკადების კალაპოტების მოსილვის მექანიზმი; ახალი ტიპის მათემატიკური გამოსახულების [I=f(Hk,Dm,Ri)] გამოყენებით შეიქმნა წყალსაცავის მოსილვის ბოლო ფაზაში მდინარის "წონასწორული კალაპოტის" ზღვრული დახრილობის

გაანგარიშება, მოხდა მისი აპრობაცია რამდენიმე მოქმედ წყალსაცავზე; შემუშავდა წყალსაცავში ნატანის კარიერების სივრცითი განლაგების მეთოდი (პლაჟამგები, სამშენებლო, აგრარული და სხვ. მიზნებისათვის).

შეფასებულ იქნა დასახლებულ პუნქტებზე წყალსაცავის ზემოქმედების ფორმები. კერძოდ: განხორციელდა პოტენციური რისკის ქვეშ მყოფ ზონებში წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება, გრძელვადიანი პროგნოზირება და მართვის სარეკომენდაციო სქემის ჩამოყალიბება პროგრამული უზრუნველყოფის AQUATOOL-ის გამოყენებით; შემუშავდა მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის დატბორვის რისკების განმსაზღვრელი კრიტერიუმები; წყალსაცავების დამპროექტებლებისათვის ჩამოყალიბდა სარეკომენდაციო წინადადებები მოსახლეობის უსაფრთხოების გასათვალისწინებლად. ჩამოყალიბდა გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოებაზე წყალსაცავის გავლენის შეფასების კომპლექსური მეთოდიკა.

პროექტის ფარგლებში მომზადდა და წარდგენილ იქნა გამოსაქვეყნებლად სტატია "Assessment Scheme of Water-Reservoirs Impact on Grounwater" ციტირებად და რეცენზირებად საერთაშორისო რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში GEOMATE – ISSN: 2186-2982 (Print), ISSN: 2186-2990 (Online).

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. <u>გარდამავალი პროექტი</u>

3. For optimal planning of investments distribution and decreasing of credit risks, it is crucial to have selected projects ranked within deeply detailed investment model. To achieve this, a new approach developed in this article involves three stages. The first stage is to reduce a possibly large number of applicants for credit, and here the method of expertons is used. At the second stage, a model of improved decisions is built, which reduces the risks of decision making. In this model, as it is in MADM + MODM, expert evaluations are presented in terms of utility, gain, and more. The attributes that influence the selection of applicants and the relevant crediting decisions are naturally distinguished by interactions and interdependencies. A new method of possibilistic discrimination analysis (MPDA) was developed for the second stage to address this phenomenon. The method generates positive and negative discrimination measures for each alternative applicant in relation to a particular attribute. The obtained discrimination pair reflects the interaction of attributes and represents intuitionistic fuzzy numbers (IFNs). For the aggregation of applicant's discrimination intuitionistic fuzzy assessments (with respect to attributes) new intuitionistic aggregation operators AsP-IFOWA and AsP-IFOWG are defined and studied. The new operators are certain extensions of the well-known Choquet integral and Yager OWA operators. The extensions, in contrast to the Choquet aggregation, take into account all possible interactions of the attributes by introducing associated probabilities of a fuzzy measure. At the end of the second stage, these operators rank the applicants selected in the previous stage, evaluate the ranking indexes for them and select the best few applicants from the ranked list for the third stage. At the third stage we construct the bi-criteria discrete intuitionistic fuzzy optimization problem for making the most profitable investment portfolio with new criterion - 1. Maximization of total ranking index of selected applicants' group and classical criterion - 2. Maximization of total profit of selected applicants' group. An illustrative real example is given. The example gives the Pareto fronts obtained by both new operators, the Choquet integral and Yager OWA operators also well-known TOPSIS approach, for selecting applicants and awarding credits. In the role of fuzzy measure is taken the possibility measure defined on the attributes, which were built from expert evaluations. The comparative analysis identifies the applicants who will receive the funding sequentially based on crediting resources and their requirements. It has become apparent that the use of the new criterion has given more credibility to applicants in making optimal credit decisions in the environment of extended new operators, where the phenomenon of interaction of all attributes was also taken into account.

4. The attributes influencing the decision-making process in planning transportation of goods from selected facilities locations in disaster zones are considered. Experts evaluate each candidate for humanitarian aid distribution centers (HADCs) (service centers) against each uncertainty factor in q-rung orthopair fuzzy sets (q-ROFS). For representation of experts' knowledge in the input data for planning emergency service facilities locations a q-rung orthopair fuzzy TOPSIS (Technique for Order Preference by Similarity to Ideal Solution) approach is developed. Based on the offered fuzzy TOPSIS aggregation a new innovative objective function is introduced which maximizes a candidate HADC's selection index and reduces HADCs opening risks in disaster zones. The HADCs location and goods transportation problem is reduced to the bi-criteria problem of partitioning the set of customers by the set of service centers: 1) Minimization of opened HADCs and goods transportation total costs; 2) Maximization of HADCs selection index. Partitioning type transportation constraints are also constructed. Our approach for solving the constructed bi-criteria partitioning problem consists of two phases. In the first phase, based on the covering's matrix, we generate a new matrix with columns allowing to find all possible partitioning of the demand points with the opened HADCs. In the second phase, using the generated matrix and our exact algorithm we find the partitioning – allocations of the HADCs to the centers corresponded to the Pareto-optimal solutions. The constructed model is illustrated with a numerical example.
5. The boundary value problem for a class of higher-order nonlinear partial differential equations is considered. The theorems on existence, uniqueness and nonexistence of solutions of this problem are proved.

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი

ასისტენტ პროფესორი ლიანა ლორთქიფანიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1. დიალოგური სისტემების ქართულენოვანი ინტერფეისი. დარგი: ინფორმატიკა. მიმართულება: კომპიუტერული ლინგვისტიკა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2021-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ლორთქიფანიძე ლიანა	პროექტის ხელმძღვანელი
2. ამირეზაშვილი ნინო	მეცნიერ თანამშრომელი
3. თუშიშვილი ანა	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

4. თუშიშვილი მიხეილი	უფროსი მეცნიერ თანამშრომელი
5. კლოიანი მანველი	მეცნიერი თანამშრომელი
6. მაკრახიძე ლევანი	უფროსი ტექნიკოსი
7. სამსონაძე ლია	მეცნიერ თანამშრომელი
8. ჩიკოიძე გიორგი	მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
9. ჩუტკერაშვილი ანა	მთავარი მეცნიერ თანამშრომელი
10. ჯავაშვილი ნინო	მეცნიერ თანამშრომელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მომხმარებლის ქართულენოვანი შეკითხვა/მოთხოვნის დამუშავების პროცესი შედგება მორფოლოგიური, სინტაქსური და სემანტიკური ანალიზის თანმიმდევრული შესრულებისგან [1].


მომხმარებლის შეკითხვა/მოთხოვნის დამუშავების პირველ ეტაპზე ტარდება მორფოლოგიური ანალიზი. წინადადების თითოეული სიტყვისთვის ფორმალურ აღნიშვნაში იქმნება კავშირები, რომლებიც განსაზღვრავენ შესაბამისობას გრამატიკული კატეგორიების მნიშვნელობებისთვის[2]. მორფოლოგიური ანალიზის შედეგად განისაზღვრება თითოეული სიტყვის მორფოლოგიური მახასიათებლები, მაგალითად, ბრუნვა, უღლება, მეტყველების ნაწილი და სხვა.

სინტაქსური ანალიზის ეტაპზე წინადადებაში გამოიყოფა სიტყვათა შორის მიმართებები. შემდეგ განისაზღვრება წინადადების ძირითადი და მეორადი წევრები და წინადადების ტიპი. სინტაქსური ანალიზი ტარდება ეტაპობრივად: წინადადების ფორმალური სტრუქტურის აღწერისას გამოიყენება მორფოლოგიური ანალიზის ეტაპზე მიღებული ინფორმაცია და ქართული ენის სინტაქსური და ლექსიკური წესები [3].

ბუნებრივენოვანი შეკითხვა/მოთხოვნის დამუშავების შემდეგი ნაბიჯი მისი სემანტიკური წარმოდგენის აგებაა. ამ შემთხვევაში მომხმარებლის ქართულენოვანი მოთხოვნის სემანტიკური წარმოდგენა ემყარება GeWordNet თესაურუსის მონაცემთა ბაზის სემანტიკური მოდელის მონაცემებს [4]. ასეთი წარმოდგენა სტანდარტული კონცეპტუალური ენის გამოხატულებაა. ამრიგად, ყალიბდება მოთხოვნის K-რეპრეზენტაცია (Knowledge representations) [5]. მომავალში, მოთხოვნის K-რეპრეზენტაცია გადაისახება SQL მოთხოვნაში, რომელიც იგზავნება მონაცემთა ბაზაში. შედეგად, სურ. 1-ზე წარმოდგენილი პროცესის მონაცემთა გარდაქმნა ასე გამოიყურება:


მომხმარებლის NL შეკითხვა/მოთხოვნა → მოთხოვნის K-რეპრეზენტაცია →SQL მოთხოვნა

GeWordNet თესაურუსის სემანტიკურ მოდელში აღწერილი ცნებები და მათ შორის კავშირების სახეები - სინსეტები [იხ. 6,7] შენახულია რელაციურ ბაზაში. ცნებებს შორის კავშირები ასახავენ ER (Entity→Relationship ერთეული →კავშირის სახე) სინსეტს GeWordNet თესაურუსის შესაბამის დიაგრამაში. ერთეულს (E) შეუძლია წარმოადგინოს ადამიანების, საგნების, მოვლენების, ადგილმდებარეობების ან კონცეპტების კატეგორია განსახილველ სფეროში. ერთეულის ნიმუში არის გარკვეული კავშირის ცნების (R) კონკრეტული მაგალითი. მაგალითად, ჯონ სმიტი (E) არის ერთ-ერთი დასაქმებული (R) სუბიექტი. კავშირები შეიძლება იყოს ერთი ერთთან 1: 1, ერთი ბევრთან 1: N, ან ბევრი ბევრთან N:M.



სურ.: 1. ქართულ-ენოვანი შეკითხვა/მოთხოვნის დამუშავების პროცესი GeWordNet თესაურუსის მონაცემთა ბაზის სემანტიკური მოდელის გამოყენებით

მაგალითად, წითელის კავშირების აღსაწერად ნაჩვენებია სინსეტები სურათ 2-ზე. დიაგრამის კავშირებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოთვლილი ცნების არსებობა [8]. ამ დროს ცნების მნიშვნელობა დამოკიდებულია დაკავშირებული ცნებების მნიშვნელობებზე. მაგალითად, ბოლშევიკების სინონიმებად წარმოდგენილია წითლები და მარქსისტები. ხოლო სურ.3-ზე წარმოდგენილი ჰიპონიმური კავშირიდან გამომდინარე, სემანტიკურ მოდელში შესაძლებელია აღიწეროს თანმიმდევრობა, რომელიც წარმოადგენს ელემენტების ჩამონათვალს. ამ შემთხვევაში, თანმიმდევრობის ფარგლებში მიეთითება ბოლშევიკური პარტიის წევრები: ლენინი, ბუხარინი და სხვ..



სურ.2.

მონაცემთა ბაზის სემანტიკურ მოდელში ასევე შეიძლება შევიდეს მიმდევრობები, რთული და შედგენილი SQL მოთხოვნების ფორმირების გამარტივების მიზნით [14]. მიმდევრობა განსაზღვრავს კონკრეტული კლასის ნიმუშების ერთობლიობას. მაგალითად, ბოლშევიკური პარტიის წევრების ნაკრები შეიძლება განისაზღვროს, როგორც იმ პიროვნებების ნაკრების ქვესიმრავლე, რომელთა ჰიპონიმი არის ბოლშევიკი, ან მარქსისტი, ან წითელი.

უმარტივეს შემთხვევაში მომხმარებლის შეკითხვა/მოთხოვნის K-წარმოდგენა შეიძლება მოცემული იყოს როგორც ობიექტი, რომელსაც მოჰყვება ამ ობიექტის თვისებების (გასაღები, მნიშვნელობა) სახით:

პარტიის წევრი (პარტია, ბოლშევიკური)

ფორმალური მოთხოვნა ასე შეიძლება გამოიყურებოდეს:

მოთხოვნილი ობიექტი (მოთხოვნა 1, პარტიის ყველა წევრი (ერთეული, M1),

აღწერა 1 (პარტია * ((ერთეული, M1): p1, პარტია (p1, ბოლშევიკური)))

ამ შემთხვევაში "პარტიის ყველა წევრი" არის მონაცემთა ბაზაში განსაზღვრული პოლიტიკური კლასი, "პარტია" არის ველი პოლიტიკურ კლასში და მონაცემთა ბაზის ველის შესაბამისობა ბუნებრივ ენაზე არსებულ სახელთან არის მითითებული მონაცემთა ბაზის სემანტიკურ მოდელში. საბოლოოდ, ასეთი მოთხოვნა გარდაიქმნება SQL მოთხოვნად:

select * from political_group where political_group.party =’ Bolshevist’


შეკითხვა/მოთხოვნის დამუშავება, რომელიც შეიცავს თანწყობილ წინადადებებს

სემანტიკურ მონაცემთა ბაზის მოდელის გამოყენებით ბუნებრივენოვანი შეკითხვა/მოთხოვნების დამუშავების შემოთავაზებული მიდგომის ერთ-ერთი უპირატესობა არის უფრო რთული SQL მოთხოვნების დამუშავების და ფორმირების უნარი. შეკითხვა/მოთხოვნა შეიძლება შეიცავდეს თანწყობილ წინადადებებს. მსგავსი მოთხოვნები საკმაოდ ხშირია, განსაკუთრებით მონაცემთა ბაზის სხვადასხვა ცხრილიდან საერთო მონაცემების მოძებნის დროს.


განვიხილოთ შემდეგი შეკითხვის მაგალითი:

ყველა ლინგვისტი, ვინც წვლილი შეიტანა სემანტიკის მიმართულებაში.

კონკრეტულ შემთხვევაში GeWordNet თესაურუსის კავშირები წარმოდგენილია სურ. 3-5-ზე.



სურ. 3.



სურ. 4.

ჰიპონიმი:

არსებითი სახელი: computational linguist

არსებითი სახელი: grammarian, syntactician

არსებითი სახელი: Hebraist

არსებითი სახელი: lexicographer, lexicologist

არსებითი სახელი: neurolinguist

არსებითი სახელი: phonetician / ფონეტიკოსი

არსებითი სახელი: phonologist / ფონოლოგი

არსებითი სახელი: psycholinguist

არსებითი სახელი: semanticist, semiotician / სემანტიკის სპეციალისტი, სემანტიკოსი, სემიოტიკოსი

არსებითი სახელი: sociolinguist

სურ. 5.

სემანტიკურ ბაზაში მონაცემთა შენახვის სტრუქტურის გათვალისწინებით, მომხმარებლის შეკითხვა/მოთხოვნის გარდაქმნის პროცესი შეიძლება დაიშალოს შემდეგ ეტაპებად:

1. მუშაობის მიმართულებების/სპეციალობების იდენტიფიკატორების შერჩევა, რომელთა სახელი შეესაბამება მოთხოვნას;

2. იმ პირების პოვნა, რომლებიც არიან ლინგვისტები;

3. ნაპოვნი ლინგვისტებიდან იმ პირების ამოჩევა, რომლებიც სემანტიკოსები არიან.

შემოთავაზებული მიდგომა ითვალისწინებს მონაცემთა ბაზის საკმაოდ მოქნილ მიბმას GeWordNet თესაურუსის სინსეტებთან. ბუნებრივი ენის ცნებებისა და რელაციური ბაზის შესაბამისი ცხრილის ველების დასაკავშირებლად შესაძლებელია შუალედური ცხრილების გამოყენება. ამ დროს კავშირი შეიძლება იყოს პირდაპირი (პარტიის ველი შეესაბამება ველს party), ან შეიძლება ფორმატირებული იყოს მონაცემთა ბაზაში ჩასმული მოთხოვნის სახით, რაც შესაძლებელი იქნება, მიღებული გამოსახულების K-წარმოდგენის მონაცემთა ბაზის SQL-მოთხოვნად გარდაქმნით, წინასწარ განსაზღვრული შაბლონის გამოყენებით.

ლიტერატურა

1. ლორთქიფანიძე ლ.: ქართველური ენების მორფოლოგიური ანალიზატორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული N21, 2017, გვ. 108-111.
2. ლორთქიფანიძე ლ., ჯავაშვილი ნ.: საერთაშორისო სტანდარტი EAGLES ქართული ტექსტური კორპუსის ანოტირებისთვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული N17 2013 წ. გვ. 118-130.
3. დოკვაძე ე. სიტყვა "ქარის" აღწერა ლექსიკური ფუნქციებით. სსიპ არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული #11, თბილისი, 2007, გვ. 252-256.
4. Lortkipanidze L., Amirezashvili N., Chutkerashvili A., Javashvili N., Samsonadze L.: Syntax Annotation of the Georgian Literary Corpus. Theoretical Computer Science and General Issues. 11th International Tbilisi Symposium on Logic, Language, and Computation, TbiLLC 2015, Tbilisi, Georgia, 21-26 September, 2015, Revised Selected Papers. Publisher: Springer-Verlag Berlin Heidelberg, 2017.
5. Vladimir A. Fomichov, Theory of K-representations as a Comprehensive Formal Framework for Developing a Multilingual Semantic Web, 2010, https://www.researchgate.net/publication/220166167.
6. ლ. ლორთქიფანიძე, ნ. ჯავაშვილი: ჰიპონიმური ხის ავტომატური ფორმირება ქართულ WordNet-ში. სემიოტიკის VII საერთაშორისო კონფერენცია „ქაოსის და კოსმოსის სემიოტიკა". ბათუმი, 21-23 ოქტომბერი, 2016. http://bsu.edu.ge/upload/semiotika_2016. Pdf.
7. ლორთქიფანიძე ლ.: ქართული ენის GeWordNet ლექსიკონისთვის ჰიპონიმური ხის ავტომატური ფორმირების ალგორითმი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. თბილისი, 25-28 იანვარი, 2016. http://conference.ens-2016.tsu.ge/lecture/view/494.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები
1. **ლ. ლორთქიფანიძე**

2) სტატიის სათაური, ISSN
1. **ლინგვისტური ცოდნის ბაზა ქართული ენისთვის, ISSN 0135-0765**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული №25**

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. **თბილისი შპს „საჩინო"**

5) გვერდების რაოდენობა
1. **7 გვ.**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ინფორმაციის მიღება ტექსტიდან და მისი ავტომატური დამუშავება კომპიუტერული ლინგვისტიკის და ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ ამოცანის შესასრულებლად კი აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი ბუნებრივი ენის ლინგვისტური ცოდნის ბაზა.

ლინგვისტური ცოდნის ბაზა არის მონაცემთა სპეციალური სტრუქტურა, რომელიც ემსახურება ბუნებრივი ენის ობიექტებისა და მათი ურთიერთობების შესახებ საწყისი, შუალედური და საბოლოო ინფორმაციების შენახვასა და ეფექტურად გამოყენებას.
სტატიაში აღწერილია ქართული ენის ლინგვისტური ცოდნის ბაზის შემუშავება ექსპერტული სისტემის საშუალებით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **ლიანა ლორთქიფანიძე**

2) მოხსენების სათაური
1. **ლინგვისტური ცოდნის ბაზის კომპაილერი ქართული ენისთვის**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. **სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, 7-8 ოქტომბერი 2021 წ.**

მოხსენების ანოტაცია *(საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად ენობრივ ტექნოლოგიებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. ენობრივი ტექნოლოგია აღარ არის ვიწრო საძიებო სფერო მხოლოდ ენათმეცნიერებისათვის. საძიებო სისტემები უფრო და უფრო ინტელექტუალური ხდება და ემსახურება მთელ საზოგადოებას ზოგადი ინტერნეტ-მომხმარებლიდან დაწყებული მაღალი დონის სპეციალისტამდე.
დღეს მსოფლიოში გაჩნდა პროგრამული უზრუნველყოფის კლასი, სადაც ადამიანსა და კომპიუტერს შორის კომუნიკაცია ყველაზე ეფექტურია ბუნებრივენოვანი ინტერფეისის გამოყენებით. ვირტუალური ასისტენტები, როგორიცაა Siri, Google Assistant (Google Now), Amazon Alexa, Microsoft Cortana, Bixby, Voice Mate, Alice(Алиса) იყენებენ ინტერნეტ-რესურსებს და ბევრ სხვადასხვა სახის შეკითხვაზე შეუძლიათ პასუხის გაცემა. ასევე, ბოლო პერიოდში ფართოდ გავრცელდა ჩათ-ბოტები, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს პროგრამულ სისტემასთან ბუნებრივი ენის გამოყენებით დაამყაროს კავშირი. ბუნებრივენოვანი სამომხმარებლო ინტერფეისი აქტიურად გამოიყენება დიალოგურ სისტემებში, სადაც მომხმარებლის კითხვაზე პასუხის მისაღებად ინფორმაცია იძებნება შესაბამის მონაცემთა ბაზაში. ამ დროს მომხმარებელს არ უნდა ესაჭიროებოდეს მონაცემთა ბაზის შიდა სტრუქტურის ცოდნა და SQL მოთხოვნების ხელით შექმნა. მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ბუნებრივ ენაზე მოლაპარაკე მომხმარებლის მიერ დასმული შეკითხვის (მოთხოვნის) სტრუქტურირებული მონაცემთა ბაზის მოთხოვნად გარდაქმნა.
ინფორმაციის მიღება ტექსტიდან და მათი ავტომატური მოპოვება კომპიუტერული ლინგვისტიკის და ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ ამოცანის შესასრულებლად კი აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი ენის ლინგვისტური ცოდნის ბაზა.
ლინგვისტური ცოდნის ბაზა არის მონაცემთა სპეციალური სტრუქტურა, რომელიც ემსახურება ბუნებრივი ენის ობიექტებისა და მათი ურთიერთობების შესახებ საწყისი, შუალედური და საბოლოო ინფორმაციის შენახვასა და ეფექტურად გამოყენებას. ცოდნის ბაზაში უნდა შევიდეს შემდეგი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტები:

- მორფოლოგიური ცოდნის ბაზა
- სინტაქსური ცოდნის ბაზა
- სემანტიკური ცოდნის ბაზა
- პრაგმატული ცოდნის ბაზა

ცოდნის ბაზისთვის უნდა შემუშავდეს ეფექტური ოპტიმიზაციის ალგორითმი, რომელიც გაადვილებს სხვადასხვა სფეროებში ლექსიკონ-თესაურუსების შექმნას, მათ გამდიდრებას და საძიებო სისტემის განვითარებას.

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ბუნებრივ ენაზე პიროვნებასა და კომპიუტერულ სისტემას შორის კომუნიკაციის პროცესის სიმულაცია, საჭიროა შემუშავდეს ცოდნის წარმოდგენის მეტაენა. ის უნდა შეიქმნას ცოდნის გარკვეული სფეროს აღსაწერად და ამ ცოდნის შესაბამის ინტელექტუალურ სისტემაში ჩასასმელად. ბუნებრივი ენისგან განსხვავებით, რომელიც არის განვითარებადი და დროში ცვალებადი სისტემა, ცოდნის წარმოდგენის ენა უნდა იყოს ლიმიტირებული. მასში უნდა შევიდეს ამოსავალი ერთეულები (ლექსიკონი) და მათი გამოყენების და ინტერპრეტაციის წესები (გრამატიკა).

ქართული ენის ლინგვისტური ცოდნის ბაზის კომპაილერის საშუალებით:

- შესაძლებელი იქნება ქართული ენის სხვადასხვა დარგობრივი სფეროს შესაბამისი დიალოგური სისტემების უზრუნველყოფა.
- ქართული ენისთვის შემუშავდება დასწავლადი თესაურუსის ალგორითმი. ალგორითმში გათვალისწინებული იქნება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფერო და, შესაბამისად, ლექსიკონის გამდიდრება დარგობრივი ტერმინოლოგიით.
- ქართული ენის ლინგვისტური ცოდნის ბაზა ხელს შეუწყობს ქართული ტერმინოლოგიური მასალის დოკუმენტირებას.
- ქართული ენის ლინგვისტური ცოდნის ბაზა საფუძვლად დაედება ქართულენოვანი დიალოგური სისტემების განვითარებას.

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი,
თეორიული ინფორმატიკის კათედრა

კათედრის შემადგენლობა:
პროფესორი ალექსანდრე გამყრელიძე (კათედრის გამგე), ასოცირებული პროფესორი ლელა ალხაზიშვილი, ასოცირებული პროფესორი ბეჟან ღვაბერიძე, ასოცირებული პროფესორი რევაზ ქურდიანი, ასისტენტ პროფესორი ნანა ოდიშელიძე.

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Nugzar Shavlakadze, Nana Odishelidze, Francisco Criado-Aldeanueva	The investigation of singular integro-differential equations relating to adhesive contact problems of the theory of viscoelasticity.	The Journal of Applied Mathematics and Physics (ZAMP) (Zeitschrift für angewandte Mathematik und Physik), Volume 72, Issue 2, article id.42, pp.1-15.	Birkhäuser Verlag	15
2	L. Alkhazishvili, M.Iordanishvili, T.Tadumadze	A delay optimization problem for the linear control system with the mixed initial condition.	Seminar of I. Vekua Institute of Applied Mathematics REPORTS, Vol. 47, 2021.	Publishing House of VIAM	11
3	Lela Alkhazishvili, Medea Iordanishvili	The Linear Problem of Optimization of Delay Parameters with the Mixed Initial Condition.	იღია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXV საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2021 წლის 21-24 აპრილი	Publishing House of VIAM	1
4	E. Khmaladze, R. Kurdiani, M. Ladra	On capability of Leibniz algebras	Georgian Mathematical Journal 28 (2), 271-279, 2021	De Gruyter	9

5	R. Kurdiani	Lie triple systems and Leibniz algebras	Georgian Mathematical Journal 28 (1), 109-116, 2021	De Gruyter	8
6	A. Gamkrelidze, G. Giorgadze	On the Notion of the Basis of Finite Dimensional Vector Space	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 15, no. 4, 2021	Georgian Nation1al Academy Press	5

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის **ტექნიკური ინფორმატიკის კათედრა**

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით პროფ. მანანა ხაჩიძე - კათედრის გამგე; ასოც. პროფ. მაგდა ციცნცაძე, ასოც. პროფ. ლელა მირცხულავა, ასისტ. პროფ. მაია არჩუაძე, ასისტ. პროფ. პაპუნა ქარჩავა.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. **ქართული ლექსიკოგრაფიული საინფორმაციო სისტემა -** მეცნიერების დარგი - საინფორრმაციო და საკომპუნიკაციო ტექნოლოგიები, სამეცნიერო მიმართულება - ინფორმაციის დამუშავება.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2021 - 2025

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. მანანა ხაჩიძე - ხელმძღვანელი
2. მაგდა ციცნცაძე - მკვლევარი
3. მაია არჩუაძე - მკვლევარი
4. გელა ბესიაშვილი - მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ზოგადი მიზანია ქართული ენის ლექსიკოგრაფიული ინტერნეტ პორტალის შექმნა, რომელიც ერთ სივრცეში გააერთიანებს ქართული ენის სხვადასხვა ოფიციალურ ელექტრონულ ლექსიკონებს, და ასევე საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პროფესიონალებს განაახლონ/შეავსონ არსებული ლექსიკონები და შექმნან ახალი პორტალზე განთავსებული პროგრამული ხელსაწყოების გამოყენებით. საინფორმაციო პორტალის ძირითადი ჩარჩოს შემუშავება
ამ ეტაპზე შეიქმნა საინფრმაციო სისტემის მოდელი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროექტის ყველა ამოცანის შესაფამისი ფუნქციონალის უზრუნველყოფა ყველა ტიპის მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.

საინფორმაციო სისტემაში ცალკე ადგილი დაეთმობა ვებ სივრცეს **„თარგმნითი ლექსიკოგრაფია უნივერსიტეტში“,** სადაც განთავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია:

- თარგმნითი ლექსიკოგრაფიის შესახებ ზოგადად;
- ლექსიკოგრაფიის არსებული მდგომარეობა საქართველოსადა კერძოდ თსუ-ში;
- სიახლეები სფეროს შესახებ;
- მიმდინარე და პერსპექიული პროექტები;
- სამეცნიერო პუბიკაციები;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებები;
- ბლოგი „ლექსიკოგრაფი“, რომლის საშუალებიტაც დაინტერესებული პირები სეძლებენ აზრის ურთიერთგაცვლას და გაზიარებას.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.**კლიმატის ცვლილების პროგნოზირებული ზემოქმედების შეფასება საქარველოში ძალიან მაღალი გარჩევა დობის კლიმატური მოდელის გამოყენებით" -** დედამიწიას შემსწავლელი მეეცნიერებები, № FR-19-8110

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2020-2023
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. მაგდა ცინცაძე - კოორდინატორი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კლიმატის ცვლილების სიმულაციები (RegCM + AOGCM)
1. აქტივობა - RegCM-ის სიმულაციები საანგარიშო პერიოდისთვის 1986-2005.
2. აქტივობა - RegCM-ის სიმულაციები მომავლისათვის, საუკუნის დასასრული პერიოდისთვის

კერძოდ, რეგიონალური კლიმატის ცვლილების სიმულაციები განხორციელდა RegCM4-ით რომელიც უკვე მორგებული და კონფიგურირებული იქნა. მოდელი გაშვებული იქნება HadGEM2-ES, MPIESM-MR და GFDL-ESM2M AOGCMs ორმაგი "ნესთინგის" კონფიგურაციით (AOGCM - RegCM50კმ - RegCM-12 კმ). სიმულაციები ისტორიული პერიოდისათვის, მომავალი შემარბილებელი სცენარისათვის (1.5 C გლობალური დათბობა), და მომავალი ბიზნეს როგორც ჩვეულებრივი სცენარისათვის (RCP 8.5) შესრულდა თვითეული AOGCM-ით. ისტორიული საანგარიშო პერიოდი თვითეული სიმულაციისათვის იყო 20 წელი 1985- 2005 წწ, რომელიც მიიჩნევა რომ არის 0.5 C-ით თბილი ვიდრე პრეინდუსტრიული დონე. ბიზნეს როგორც ჩვეულებრივი (RCP 8.5) სიმულაცია შესრულდება 2080-2100 წლებისათვის, AOGCM-ს აუთფუთის გამოყენებით რომელიც ფორსირებულია RCP 8.5 ატმოსფეროს სათბური აირების კონცენტრაციით. 1.5 დათბობის სცენარი მოიიღება თვითეული AOGCMRCP 8.5-ის სიმულაციის გამომავალი შედეგების მოპოვებით როცა 20 წლიანი გლობალური საშუალო ტემპერატურა გაიზარდა 1.0 C-ით ისტორიულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით. მიმდინარეობს მიღებული შედეგების ანალიზი, კერძოდ წლიური, სეზონური, თვიური ტემპერატურებისა და

ნალექების და ასევე ექსტრემალური კლიმატური მოვლენების ანალიზი. შედეგების ანალიზისას თითოეული სიმულაციის პირველ წელს არ მიიღება მხედველობაში, რათა მოდელს მივცეთ საშუალება "სპინ აფის". "

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები
1. მანანა ხაჩიძე
2. მირანდა მახარაშვილი
3. ნინო ბანცური
4. ვანო კობაიძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. Architecture of the Georgian Lexicographic System - ქართული ლექსიკოგრაფიული სისტემის არქიტექტურის შესახებ - e-ISSN: 2278-0661,p-ISSN: 2278-8727

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. IOSR Journal of Computer Engineering (IOSR-JCE) e-ISSN: 2278-0661,p-ISSN: 2278-8727, Volume 23, Issue 4, Ser. II (Jul. –Aug. 2021)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. IOSR JOURNALS

5) გვერდების რაოდენობა
1. 5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ნაშრომში განხილულია ქართული ლექსიკოგრაფიული სისტემის შემუშავების კონცეპტუალური მოდელი, რომელიც წარმოდგენილია საინფორმაციო სისტემის დაპროექტების ჭრილში. არწერილია ამ სისტემის ჩარჩოს ელემენტები და მათი ფუნქციონალური დამიშნულება. შემოთავაზებულია ლექსიკოგრაფიული საინფომაციო სისტემის კონცეპტუალური ჩარჩო დიაგრამის სახით და მისი გაფართოებული ხედი მონაცემთა საცავებთან ბმაში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. მანანა ხაჩიძე
2. მაგდა ცინცაძე
3. მაია არჩუაძე

2) მოხსენების სათაური
1. On Georgian Text Processing Toolkit Development

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. თბილისი, 16-18 დეკემბერი 2021 წ.

მოხსენების ანოტაცია *(საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*
დღესდღეობით დიდი მონაცემების დამუშავება უნივერსალურ გამოწვევად ითვლება. ინფორმაციის წყარო იმდენად მრავალფეროვანია, რომ დიდი რაოდენობით მონაცემები წარმოდგენილია ძირითადად არასტრუქტურირებული ფორმით, რომელიც მუდმივად იზრდება.
დიდი მონაცემები აღარ არის მხოლოდ „დიდი“ სახელი, ის არის ყოველდღიური რუტინის ნაწილი და აღწერს სტრუქტურირებული და/ან არასტრუქტურირებული ინფორმაციის წყაროს, რომელიც არ ექვემდებარება დამუშავებას ტრადიციული მეთოდებითა და ინსტრუმენტებით. დიდი მონაცემები თანამედროვე საინფორმაციო საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. დიდი მონაცემების მრავალფეროვნება მათი ფორმებისა და წარმოშობის წყაროების მიხედვით მოითხოვს დამუშავების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას. შესაძლებელია არსებული მეთოდების შეჯერება ამ პრობლემის კონტექსტში არსებული მეთოდების ხელახალი გადახედვით, ასევე სხვადასხვა მეთოდების გაერთიანების გზით, რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული.
ბუნებრივი ენის დამუშავება (NLP) არის ხელოვნური ინტელექტის ფორმა, რომელიც ეხმარება მანქანას ბუნებრივ ენაზე მოწოდებული ტექსტის „წაკითხვაში“ და „აღქმაში“. NLP ტექნოლოგიები მოიცავს მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შორის ენობრივ, სემანტიკური, სტატისტიკური და მანქანური სწავლების ტექსტის შინაარსის ამოცნობის მიზნით - მიიღეთ სემანტიკური, კონტექსტი. ტექსტის მნიშვნელობის გასაგებად, NLP ეხმარება მანქანებს „აღიქვან“ წინადადებები ისე, როგორც ადამიანები მართავენ. ენის გაურკვევლობასთან გამკლავების მიზნით ფართოდ გამოიყენება ავტომატური მრიცხველების მეთოდოლოგია, POS ტეგინგები, ცნებების ამოღება და კავშირების იდენტიფიკაცია, ნერვული ქსელები და ა.შ.

ანგარიშის ფორმა № 2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა
დეპარტამენტის **სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია**

ჯულიეტა გაგლოშვილი - ლაბორატორიის ხელმძღვანელი;

მაკა ოდილაძე - უფროსი ინჟინერი;

ირმა ასლანიშვილი - უფროსი ინჟინერი;

ცოტნე მსხალაძე - უფროსი ინჟინერი

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	Tariel Khvedelidze **Irma Aslanishvili**	On the Behavior of One Finite Automaton in a Fuzzy Environment. DOI 10.4108/eai.27-2-2020.2303236	Proceedings of the 2nd International Conference on ICT for Digital, Smart, and Sustainable Development, ICIDSSD 2020, February	Published 2021-03-11 Publisher EAI Copyright © 2020–2021 EAI	5

სტატიაში განიხილება განუზღვრელობის პირობებში სასრული სიმრავლის ალტერნატივებიდან რაიმე კრიტერიუმის მიხედვით საუკეთესოს არჩევის ამოცანა. კერძოდ, განიხილება კრინსკის სასრული ავტომატის ფუნქციონირება ფაზი - გარემოში, რომელიც აჯილდოებს ან აჯარიმებს ავტომატს შესრულებული მოქმედებისათვის მიკუთვნების ფუნქციის რაიმე ფიქსირებული მნიშვნელობებით, რომლებიც არ არიან დროზე დამოკიდებულები. ავტომატს ფაზი გარემოს შესახებ აპრიორული ინფორმაცია არ გააჩნია, რაც უზრუნველყოფს ავტომატის სიმეტრიულობას: ერთი და იმავე სიგნალის (დაჯილდოება ან დაჯარიმება) მიმდევრობითი მოსვლისას ავტომატის ქცევა უნდა ერთნაირია. თუ შემთხვევით გარემოში ავტომატების ქცევის ანალიზი დაფუძნებულია მარკოვის ალბათური ჯაჭვების კლასიკურ აპარატზე, რომელსაც თავის მხრივ საკმაოდ სერიოზული დასაყრდენი აქვს სტატისტიკაში, ფაზი სიმრავლეების თეორიას ჯერჯერობით ანალოგიური ექსპერიმენტალური ბაზა არ გააჩნია. მარკოვის ჯაჭვების აპარატის არაალბათურ შემთხვევაზე განზოგადების შედეგად ავტომატების ქცევის ანალიზი შესაძლებელი გახდა უკვე ფაზი გარემოშიც ჩატარებულიყო. სწორედ მარკოვის განზოგადოებული ერგოდული ჯაჭვების თვისებების გამოყენების საშუალებით შესწავლილია კრინსკის სასრული ავტომატის ფუნქციონირება ფაზი გარემოში და ნაჩვენებია,

რომ აღნიშნული სასრული ავტომატი ფაზი გარემოში ექვემდებარება დასწავლას და უფრო ხშირად იმ მოქმედებას ასრულებს, რომლისთვისაც ჯარიმის მიკუთვნების ფუნქციის მნიშვნელობა მინიმალურია.

Considered by the behavior of the finite automaton in a fuzzy environment that punishes or encourages an automaton with some fixed membership functions that are independent of time. Using the properties of the generalized Markov chain it is shown that the finite automaton under consideration in a fuzzy environment learns and more often performs that the action the punishment for which is minimal.

სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის მნიშვნელოვანი აქტივობები

პანდემიის პირობების გათვალისწინებით და იმის გამო, რომ მიმართულება გადავიდა სწავლების დისტანციურ ფორმაზე, სასწავლო სამეცნიერო ლაბორატრიამ, კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის მოთხოვნების შესაბამისად განახორციელა შემდეგი სასწავლო და მეთოდური ხასიათის სამუშაოები:

- მუდლის პლატფორმის შესაძლებლობების დეტალური განხილვა;
- თსუ - ს სასწავლო პორტალზე კურისის გახსნა - დისტანციური სწავლება მუდლის პლატფორმის გამოყენებით;
- სემინარების ჩატარება კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის თემაზე - დისტანციური სწავლება მუდლის პლატფორმის გამოყენებით;
- სხვადასხვა სცენარების ვიდეო ინსტრუქციების ჩაწერა შუალედური და ფინალური გამოცდების მუდლის პლატფორმის გამოყენებით ჩატარების შესახებ;
- მუდლის პლატფორმის გამოყენებით სხვადასხვა საგნებში შუალედურის და ფინალური გამოცდების მომზადება, დაგანრიგება და ჩატარებაში მონაწილეობა.

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება - - -ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, მათემატიკური ანალიზის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით - მათემატიკური ანალიზის კათედრა; კათედრის გამგე - პროფესორი უშანგი გოგინავა (ხანგრძლივ მივლინებაშია), კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი - ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ახობაძე; კათედრის წევრები: ასოცირებული პროფესორი თენგის კოპალიანი, ასოცირებული პროფესორი ლერი გოგოლაძე, ასოცირებული პროფესორი ვახტანგ ცაგარეიშვილი, ასისტენტ-პროფესორი ანა დანელია, ასისტენტ-პროფესორი გივი ნადიბაიძე, ასისტენტ-პროფესორი რუსუდან მესხია, ასისტენტ-პროფესორი შალვა ზვიადაძე , ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე აპლაკოვი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. ფუნქციათა კლასები და აპროქსიმაციის პრობლემები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, 1.1 მათემატიკა, კატეგორია: 1.1.1 წმინდა მათემატიკა, FR-18-1599

2. ფუნქციათა კლასები და ჰარმონიული ანალიზის პრობლემები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, ქვემიმართულება: 1.1 მათემატიკა, კატეგორია: 1.1.1 წმინდა მათემატიკა, YS-19-480;

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 20/02/2019 - 19/02/2022
2. 2019 - 2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ახობაძე თეიმურაზ (პროექტის ხელმძღვანელი), ზვიადაძე შალვა (პროექტის მენეჯერი), დანელია ანა (ძირითადი შემსრულებელი), გივი ნადიბაიძე (ძირითადი შემსრულებელი), კობა ივანაძე (ძირითადი შემსრულებელი), გოგნაძე გიორგი (ძირითადი შემსრულებელი)

2. შალვა ზვიადაძე ახალგაზრდა მეცნიერი, თეიმურაზ ახობაძე (მენტორი)

4) *გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

1. გამოიცა სამეცნიერო სტატია.

A. Danelia. On some local properties of the conjugate function and the modulus of smoothness of fractional order, Transactions of A. Razmadze Mathematical Institute. Volume 2021, 175, issue 3, 337-343 (ISSN 2346-8092) (ნაშრომში შესწავლილია შეუღლებული ფუნქციების მიმართ ფუნქციური კლასების ინვარიანტობის საკითხი. კერძოდ, მიღებულია წილადური რიგის კერძო უწყვეტობის მოდულების ტერმინებში ფუნქციური კლასების ინვარიანტობის დარღვევის საკითხი უწყვეტ ფუნქციათა სივრცეში. მიღებულია პირდაპირი შეფასებები და სათანადო მაგალითების საფუძველზე დადგენილია ამ შეფასებების სიზუსტე).

მიღებულია დასაბეჭდად სამეცნიერო სტატია.

T. Akhobadze and G. Gognadze. On the summability of Fourier series by the generalized Cesaro method, Journal of Contemporary Mathematical Analysis (Armenian Academy of Sciences)*;* (კარგადაა ცნობილი, რომ ჯამებადი ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი შეიძლება იყოს განშლადი ყველა წერტილში, ამიტომ არსებობს მრავალი საკმარისი პირობა, რომელიც განაპირობებს აღნიშნული მწკრივების კრებადობას (თანაბარ კრებადობას). ერთ-ერთი ასეთი ზოგადი პირობაა ე.წ. ლებეგისა და გერგენის ნიშანი. წინამდებარე ნაშრომში დამტკიცებულია ლებეგისა და გერგენის კრებადობის ნიშანი ფურიეს მწკრივების განზოგადებული ჩეზაროს საშუალოებისათვის).

გადაეცა გამომცემლობებს ოთხი სამეცნიერო სტატია:

T. Akhobadze and K. Ivanadze. On Salem test for general Dirichlet integrals, Siberian Mathematical Journal. (ნაშრომში დამტკიცებულია სალემის ტესტისა და მისი შედეგების ანალოგები განზოგადებული დირიხლეს ინტეგრალებისათვის. კერძოდ, მიღებულია დინის, დინი-ლიპშიცის და კიტას ნიშნები დირიხლეს განზოგადებული ინტეგრალებისათვის.)

T. Akhobadze and K. Ivanadze. Note on classes of functions of generalized bounded variation (განხილულია $(p(n),\¨)$ -აბსოლუტურად უწყვეტი ფუნქციები და დამტკიცებულია დებულება იმის შესახებ, რომ (გარკვეულ შემთხვევაში) ეს კლასი არის საკუთრივი ნაწილი $BV(p(n)\uparrow\infty,\¨,[0,2\®])$ -ისა. დადგენილია ამ კლასებისათვის ტრიგონომეტრიული სისტემის მიმართ ფურიეს კოეფიციენტების

რიგი. ამასთან მიღებულია ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების თანაბარი კრებადობის კრიტერიუმი.)

G. Nadibaidze, On the nagative order Cesáro summability of double series with respect to block-orthonormal systems. Georgian Math. J (მოცემულია დებულებები, რომლებიც დაკავშირებულია ბლოკებში ორთონორმირებული ორჯერადი მწკრივების $(C,-1<\sim<0,\ -1<\ \ <0)$ - მეთოდით თითქმის ყველგან შეჯამებადობასთან. კერძოდ, მიღებული შედეგებიდან შეიძლება დავადგინოთ ვეილის მამრავლები ორჯერადი $\Delta_{p,q}$ −ორთონორმირებული სისტემის მიმართ უარყოფითი რიგის ჩეზაროს საშუალოებისთვის.)

A. Danelia, G. Chelidze, M. Suladze. Numerical parameters characterizing the nonemptiness of intersection of embedded sets. (ნაშრომში დამტკიცებულია, რომ იმ ბანახის სივრცეებში, რომლებშიც ყოველ შემოსაზღვრულ სიმრავლეს აქვს ჩებიშევის ცენტრი, ერთმანეთში ჩალაგებული შემოსაზღვრული ჩაკეტილი სიმრავლეების თანაკვეთა არაცარიელია პარამეტრის კრიტიკული მნიშვნელობის დროს.)

მზადდება სამეცნიერო სტატია.

G. Gognadze. On the asymptotic estimation for general Dirichlet Integrals (განზოგადებული დირიხლეს ინტეგრალებისათვის მიღებულია ასიმპტოტური შეფასებები. ამ შეფასებებიდან, როგორც კერძო შემთხვევა, მიიღება სტეპანეცის ცნობილი დებულება.)

2. გრანტის ფარგლებში მიმდინარე კვლევისას შემოღებულია ვინერის აზრით სასრული ვარიაციის ფუნქციათა კლასის განზოგადება, როდესაც ექსპონენტა არამუდმივი ფუნქციაა.

ნაჩვენებია, რომ აღნიშნული კლასის განსაზღვრა ხერხდება მაშინაც კი, როდესაც ექსპონენტა არსებითად შემოუსაზღვრელი ფუნქციაა, განსხვავებით კასტილოს, მორიენტესისა და რაფიეროს შემოღებული ანალოგიური კლასისგან ცვლადი მაჩვენებლით, რომელიც განისაზღვრება, მხოლოდ შემოსაზღვრული ექსპონენტებისთვის. აგრეთვე ნაჩვენებია, რომ ახალი კლასი სიმრავლურად უფრო მცირე არ არის კასტილოს, მორიენტესისა და რაფიეროს კლასზე, ამასთან აგებულია შემოსაზღვრული ექსპონენტა, რომლისთვისაც კასტილოს მორიენტესისა და რაფიეროს კლასი ახლად განსაზღვრული ფუნქციათა კლასის საკუთრივი ქვესიმრავლეა.

ნაჩვენებია, რომ ჩვენი განსაზღვრული სივრცე არის ბანახის არასეპარაბელური სივრცე. დამტკიცებულია, რომ თუ ერთი ექპონენტა ფუნქცია ნაკლებია მეორე ექსპონენტა ფუნქციაზე არგუმენტის თითქმის ყველა მნიშვნელობისთვის, მაშინ ადგილი აქვს უწყვეტ ჩადგმას პირველი სივრცისა მეორეში. დამტკიცებულია, რომ თუ ექსპონენტა ფუნქცია არსებითად შემოსაზღვრულია, მაშინ ამ კლასის ყოველი ფუნქციისთვის ყოველ წერტილში არსებობს სასრული მარჯვენა და მარცხენა ზღვრები. აგებულია მაგალითი ექსპონენტა ფუნქციისა, რომლის შესაბამის კლასში არსებობს ფუნქცია, რომელსაც არ გააჩნია ცალმხრივი ზღვარი წერტილში. დამტკიცებულია, რომ არსებითად შემოსაზღვრული ექსპონენტა ფუნქციის შესაბამის კლასში ფუნქციების წყვეტის წერტილთა სიმრავლე არაუმეტეს თვლადი სიმძლავრისაა. აგებულია არსებითად შემოუსაზღვრელი ექსპონენტა ფუნქცია, რომლის შესაბამის კლასში არსებობს ფუნქცია, რომლის წყვეტის წერტილთა სიმრავლე კონტინუმის სიმძლავრისაა.

არსებითად შემოსაზღვრული ექსპონენტებისთვის დამტკიცებულია ჰელის ამორჩევის თეორემის ანალოგი.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები
4.1. საერთაშორისო პატენტები:
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1. ალექსანდრე აპლაკოვი, უშანგი გოგინავა, თამაზ ზერეკიძე, შალვა ზვიადაძე, ბაჩუკი მესაბლიშვილი, რუსუდან მესხია

2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. სახელმძღვანელო თითქმის მზადაა გამოსაცემად. მიმდინარეობს კორექტურული სამუშაოები.

ვვარაუდობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით მის გამოცემას 2022 წელს. ამჟამად წიგნი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თსუ-ს ვებგვერდზე:
https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/leqc.kursi.pdf

2.

4) გვერდების რაოდენობა
1. 238

2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია ეკონომიკური და ბიზნესის ადმინისტრირების პროფილის სტუდენტებისთვის. მის შესაქმნელად გათვალისწინებულია მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში მოქმედი მსაგავსი სახელმძღვანელოების შინაარსი და სტრუქტურა. წიგნში გადმოცემულ თეორიულ მასალას თან ახლავს არაერთი საილუსტრაციო მაგალითი დეტალური ამოხსნითურთ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკური ამოცანების მათემატიკურ მოდელირებას. თითოეული ლექციის ბოლოს მოცემულია პრაქტიკული სავარჯიშოები დამოუკიდებელი მუშაობისთვის.

5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. Goginava U., Saatashvili, A.
2. Goginava Ushangi, Said, Salem Ben.
3. Goginava Ushangi, Oniani Giorgi.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1. Conjugate transforms on dyadic group.
   https://doi.org/10.3103/S1068362321010027
2. Convergence in measure of Fejér means of two parameter conjugate Walsh transforms.
   http://dx.doi.org/10.7153/mia-2021-24-09
3. On the divergence of subsequences of partial Walsh-Fourier sums.
   http://dx.doi.org/10.1016/j.jmaa.2020.124900

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. *Izv. Nats. Akad. Nauk Armenii Mat.* **56** (2021), no. 1, 16--34.
2. *Math. Inequal. Appl.* **24** (2021), no. 1, 115--128.
3. *J. Math. Anal. Appl.* **497** (2021), no. 2,

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Armenia, *Izv. Nats. Akad. Nauk Armenii Mat.*
2. *Math. Inequal. Appl.*
3. *J. Math. Anal. Appl.*

5) გვერდების რაოდენობა
1. 19
2. 14
3.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. შესწავლილია მარტივი ფურიე-უოლშის შეუღლებული მწკრივების ნორმით კრებადობის საკითხები. დადგენილია ორმხრივი შეფასებები ფურიე-უოლშის შეუღლებული მწკრივების შესაბამისი კერძო ჯამების გულების ინტეგრალური ნორმებისათვის. მოყვანილია მაქსიმალური ორლიჩის სივრცეები, რომლისთვისაც ადგილი აქვს ინტეგრალური ნორმით კრებადობას.

2. შესწავლილია ორმაგი ფურიე უოლშის შეუღლებული მწკრივები და დადგენილია აუცილებელი და საკმარისი პირობები იმისათვის, რომ აღნიშნული მწკრივების ფეიერის საშუალოები იყოს ზომით კრებადი. სიმრავლეთა კატეგორიის ტერმინებში დახასიათებულია ასეთი თვისების მქონე ფუნქციათა კლასები.

3. ცნობილია, რომ თუ ნატურალურ რიცხვთა ქვემიმდევრობა წარმოადგენს ერთობლივ სასრულ ვარიაციას, მაშინ მისი ფურიე-უოლშის მწკრივი კრებადია თითქმის ყველგან. ბალაშოვმა დასვა ამოცანა, ხომ არ იქნებოდა ეს თვისება აუცილებელიც. კონიგინმა გასცა მას უარყოფითი პასუხი და ააგო ნატურალურ რიცხვთა ისეთი ქვემიმდევრობა, რომელსაც არ აქვს სასრული ვარიაცია და ამასთან მის გასწვრივ ყველა ინტეგრებადი ფუნქციის ფურიეს-უოლშის მწკრივები თითქმის ყველგან კრებადია. ამასთან დაკავშირებით კონიაგინმა დასვა ამოცანა: დადგენილი იქნეს აუცილებელი და საკმარისი პირობები ქვემიმდევრობაზე, რომლის გასწვრივ ყველა ინტეგრებადი ფუნქციის ფურიე-უოლშის მწკრივები იქნებიან თითქმის ყველგან კრებადი, ჩვენს მიერ ნაწილობრივ გაცემულია კონიაგინის კითხვაზე პასუხი და საკმაოთ ფართო ქვემდევრობათა კლასისათვის დამტკიცებულია, რომ ასეთი ქვემიმდევრობების გასწვრის ყველა ინტეგრებადი.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები
1. Tengiz Kopaliani, Nino Samashvili, Shalva Zviadadze
2. leri Gogoladze
3. leri Gogoladze, Vakhtang Tsagareishvili
4. leri Gogoladze
5. Vakhtang Tsagareishvili
6. Vakhtang Tsagareishvili
7. Vakhtang Tsagareishvili
8. Vakhtang Tsagareishvili

9. Ana Danelia
10. Teimuraz akhobadze, Giorgi Gognadze

2) სტატიის სათაური, ISSN
1. Extension of the best polynomial approximation operator in Musielak–Orlicz spaces print: ISSN 0033 - 3883, online: ISSN 2064 - 2849
2. On the problem of convergence of double functional series to $+\infty$
3. On the absolute convergence of general Fourier series
4. On the absolute convergence of orthogonal series
5. Smooth functions and general Fourier coefficients
6. Differentiable functions and its Fourier coefficients
7. The variation of General Fourier coefficients of Lipschitz class functions.
8. Lipschits class functions and its Fourier coefficients.
9. On some local properties of the conjugate function and the modulus of smoothness of fractional order
10. On the summability of Fourier series by the generalized Cesáro method

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Publicationes Mathematicae Debrecen, Year: 2021 Vol.: 99 Fasc.: 1-2 (https://publi.math.unideb.hu/contents.php)
2. Journ. of Contemp. Math. Anal. (Arm. Acad. of scien.), 2021, Vol.56, N.1, pp.23-29, ISSN 1068-3623
3. Publ.Math.Debrecen, მიღებულია დასაბეჭდად, 30 აპრილი, 2021, ISSN 00333883,20642849
4. Georgian Math.Journal, მიღებულია დასაბეჭდად, 29 ნოემბერი, 2021, ISSN 1072-947X
5. Contemporary Math. Analysis, მიღებულია დასაბეჭდად, 14 თებერვალი, 2021წელი.ISSN1068-3623
6. Georgian Math. Journal, მიღებულია დასაბეჭდად, 30 მარტი, 2021 წელი.ISSN 1072-947X
7.Acta mathematica Hungarica, მიღებულია დასაბეჭდად, 2 ნოემბერი, 2021წელი.ISSN 0236-5294
8.Mathematica slovaca. მიღებულია დასაბეჭდად, 1 ივლისი, 2021 წელი.ISSN 1337-2211.
9. Transactions of A. Razmadze Mathematical Institute. Volume 175, issue 3. ISSN 2346-8092
10. Journal of Contemporary Mathematical Analysis (Armenian Academy of Sciences) მიღებულია დასაბეჭდად, 11 ივნისი, 2021წელი

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Published by the Institute of Mathematics, University of Debrecen, Hungary.
2. Armenia
3. Hungary
4. Georgia
5. Armenia
6. Georgia
7. Hungari
8. Slovacia
9. Tbilisi
10. Armenia

5) გვერდების რაოდენობა
1. 12
2. 7
3. 14
4. 6
5. 11
6. 1
7.16
8.10

9. 7
10. 11

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.Mazzone და Cuenya-ს (F. Mazzone and H.H. Cuenya. Maximal inequalities and Lebesgue's differentiation theorem for best approximant by constant over balls, J. Approx. Theory 110 (2001), no. 2, 171-179) მიერ შემოღებული იქნა მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა საუკეთესო აპროქსიმაციის ოპერატორი გაგრძელდეს L^p სივრციდან L^{p-1} სივრცეზე. ანალოგიური პრობლემა ორლიჩ-ლორენც სივრცეებისათვის გადაწყვეტილი იყო Levis და Cuenya-ს მიერ (F.E. Levis and H.H. Cuenya, Gateaux differentiability in Orlicz - Lorentz spaces and applications, Math. Nachr. 280 (2007), no. 11, 1282-1296). ჩვენ მიერ დამუშავებული მეთოდით ანალოგიური პრობლემა გადაწყვეტილია მუსელაკ-ორლიჩის სივრცეებისათვის.

2. ნ.ნ.ლუზინის მიერ 1915 წ. დასმული პრობლემა ტრიგონომეტრიული მწკრივების დადებით ზომის სიმრავლეზე $+\infty$ -კენ კრებადობის შესახებ ამოხსნილ იქნა 1988 წ. ს.ვ.კონიაგინის მიერ. ბუნებრივად ისმის კითხვა ლუზინის პრობლემის შესახებ ორჯერადი ტრიგონომეტრიული მწკრივებისათვის. ნაშრომში მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს პასუხი დასმულ კითხვაზე.

3. ს.ბანახის მიერ დამტკიცებული იქნა, რომ ფუნქციის კარგი დიფერენციალური თვისებები არ იძლევა გარანტიას მისი ზოგადი ორთონორმირებული სისტემების მიმართ ფურიეს მწკრივის კრებადობის შესახებ. ნაშრომში ნაპოვნია პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადი ორთონორმირებული სისტემის ფუნქციები, რათა ლიფშიცის კლასის ყოველი ფუნქციის ფურიეს მწკრივი ამ სისტემის მიმართ იყოს აბსოლუტურად კრებადი. ნაჩვენებია, რომ ნაპოვნი პირობები არ არის გაუმჯობესებადი გარკვეული აზრით.

4. ნაშრომში განხილულია

$$\sum_{k=1}^{\infty} |c_k(f)|^r ¥_k, \qquad r \in (0,2),$$

მწკრივების კრებადობის საკითხი, სადაც $c_k(f)$ არის $f \in L_2([0,1])$ ფუნქციის კოეფიციენტები ზოგადი ორთოგონალური სისტემის მიმართ, ხოლო $(¥_k)$ არის არაუარყოფითი რიცხვების მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს საკმარისად ზოგად პირობებს. მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს ს.ბ.სტეჩკინის, ა.ა.კონიუშკოვის და ბ.ი.გოლუბოვის შესაბამისი დებულებები.

ამ მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: 900^{0}C ტემპერატურაზე სპილენძის საფენზე შესაძლებელია გრაფენის თხელი ფენის ფორმირება. ასეთი ტექნოლოგიის მექანიზმი საკმაოდ მარტივია. ნახშირბადის შემცველი გაზის და არგონის ნარევის გახურებისას 400^{0}C -ზე მაღალ ტემპერატურებზე ხდება ნახშირწყალბადების დაშლა ნახშირბადის და წყალბადის ატომებად. ტემპერატურის ზრდისას, უკვე 650^{0}C - დან იწყება ამ გამოყოფილი ნახშირბადის დალექვა სპილენძის საფენის ზედაპირზე და, განსხვავებით წინათ განხილული ეპიტაკსიური პროცესისაგან, ისინი ვერ შედიან სპილენძის ფირფიტის მოცულობაში, რადგანაც მასში ნახშიბადის ხსნადობა 1000-ჯერ და კიდევ უფრო მეტჯერ მცირეა განხილულ მეტალებთან შედარებით. ამის გამო ნახშირბადის ატომები გროვდებიან სპილენძის საფენის ზედაპირზე და ქმნიან გრაფენის კლასტერებს. ტემპერატურის შემდგომი ზრდისას იზრდება როგორც საფენის ზედაპირზე გრაფენების კლასტერთა რაოდენობა, ასევე მათ მიერ დაკავებული ფართობების ზრდის ალბათობები. ამასთან სპილენძის საფენზე შეუძლებელია მრავალფენიანი გრაფენის ფენების მიღება, რადგან სპილენძი წარმოადგენს კატალიზატორს ნახშიბადის ატომების დალექვისთვის და ამიტომ, როცა იგი იფარება გრაფენის მონოფენით, იგი უკვე იზოლირებულია ნახშიბადის შემდგომი ატომებისათვის. ეს კი ამ ფენაზე გრაფენის შემდგომში ფენების განთავსების ალბათობას თითქმის ანულებს. გარდა ამისა ასეთნაირად მიღებული გრაფენი მარტივად შეიძლება იქნას გადატანილი სხვა, უფრო სასურველი შემადგენლობის საფენზე. როგორც ვხედავთ ამ აღწერილი მეოთხე მეთოდით შეიძლება იქნას მიღებული შედარებით დიდი ფართობის გრაფენის მონოფენა.




ქვემოთ მოცემულია, აირფაზიდან ქიმიური დაფენის მეთოდით, გრაფენის მიღების ჩვენს მიერ კონსტრუირებული დანადგარის მოკლე აღწერილობა.

პროექტის მიხედვით დანადგარი შედგება ორი კოაქსიალური კვარცის მილისგან (1,2), რომელთა დიამეტრებია, შესაბამისად, 80 და 50 მმ. მილები ჰორიზონტალურადაა მყარად ჩამაგრებული ფოლადის სადგარში (1) ორ ღარებიანი მილტუჩა სისტემის (4) საშუალებით, რომელთა ღარები აღჭურვილია ვაკუუმური რეზინის საფენებით. მილტუჩები ცივდებიან შტუცერების (6) საშუალებით მასში გამავალი ტექნიკური წყლით. კვარცის მილებს შორის სივრცე შტუცერების (5) საშუალებით დაკავშირებულია ვაკუუმურ და აირმიმწოდებელ სისტემებთან. სადგარზე დატანებულ მილზე (7) გორგოლაჭების (8) სასუალებით თავისუფლად მოძრაობს ურიკა (9), რომელზედაც მოთავსებული ღუმელს (10) შეუძლია ურიკასთან ერთად გადაადგილება და მასში მოთავსებული მილის სასურველი ნაწილის გახურება. ღუმელში დატანებული თერმოწყვილები, რომლებიც მიერთებულია თერმორეგულატორთან და მათი საშუალებით ხდება ღუმელში ტემპერატურის დარეგულირება.

ნახ. 2 გრაფენების მისაღები დანადგარების პროექტი

ნახ. 3-ზე წარმოდგენილია გრაფინის დანადგარის ელექტრული ბლოკ-სქემა. ქსელიდან ძაბვა მიეწოდება დანადგარის მართვის ფარს -1, საიდანაც დენი მიეწოდება PHO-ს - 2, რომლის

გამოსავალი მიერთებულია ტრანსფორმატორის - 3 პირველად კოჭასთან; ტრანსფორმირებული ძაბვა, რომელიც იმართება PHO-თი და კონტროლირდება ვოლტმეტმეტრით -4, დაიყვანება 30 ვ-ზე (30 ვ ძაბვა საჭიროა ჩვენს მიერ გამოყენებული ღუმელის ნორმალური ფუნქციონირებისათვის) და, ტირისტორების ბლოკის - 5 გავლით, მიეწოდება ღუმელის -6 მომჭერებს. ღუმელში ტემპერატურა იზომება თერმოწყვილების საშუალებით. თერმოწყვილებიდან ელექტრული სიგნალი მიდის თერმორეგულატორზე -7, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ტირისტორების ბლოკთან. ტირისტორები, მათ სამართავ კონტაქტზე თერმორეგულატორიდან მისული სიგნალის შესაბამისა, აწარმოებენ ღუმელის ჩართვის ან გამორთვის ოპერაციებს, რისი წყალობითაც ღუმელში მყარდება საჭირო ტემპერატურა.



ნახ.3. გრაფენის დანადგარის ელექტრული ბლოკ-სქემა
1 - მართვის ფარი; 2 – PHO; 3 - ტრანსფორმატორი; 4 - ვოლტმეტრი;
5 - ტირისტორების ბლოკი; 6 - ღუმელი; 7 - თერმორეგულატორი.

ჩვენს მიერ კონსტრუირებული დანადგარის საშუალებით გრაფენის მიღების ტექნოლოგიური პროცესი ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ. კოაქსიალური კვარცის მილებიდან მცირე დიამეტრისას ვახვევთ სპილენძის ფოლგას და მასთან ერთად ვათავსებთ დიდდიამეტრიან კვარცის მილში. ვაკუუმური რეზინის საფენები იძლევიან იმის სასუალებას, რომ კოაქსიალურ მილებს შორის სივრცე იზოლირებული იქნას გარემოსგან. ვაკუმური სისტემის საშუალებით ამ არედან, შტუცერი -5-ის გავლით (იხ. ნახ. 2) გამოიტუმბება ჰაერი. ამის შემდეგ ვაკუუმური ონკანი იკეტება და ახლა მეორე ასეთივე ონკანიდან ინერტული აირი არგონი შედის მილთა არეში. ამის შემდეგ იგივე ონკანის გადაკეტვით და ვაკუუმის სისტემის გახსნით კვლავ ვღებულობთ ვაკუუმს. ამ პროცესს რამდენჯერმე ვიმეორებთ და მილებს შორის ჰაერისაგან კარგად გასუფთავებულ არეს ვავსებთ უკვე არგონისა და პროპანის ნარევით და ონკანების გადაკეტვით ვაღწევთ მილთა შორის არის სრულ იზოლაციას. აღნიშნული ნარევის ოპტიმალური წილობრივი შემადგენლობა და წნევა ექსპერიმენტების სასუალებით უნდა დადგინდეს. ამის შემდეგ ვახურებთ ღუმელს. 400 – 450^0 C -იდან დაწყებული პროპანი იწყებს დაშლას ნახშირბადის და წყალბადის ატომებად. ტემპერატურის მომატებით ამ პროცესის ინტენსივობა იზრდება და 800 - 900^0 C - შუალედში ნახშირბადის ატომები

ეფინებიან სპილენძის ფოლგას. ტემპერატურის ზრდისა და გაცივების ტემპები, საბოლოო ტემპერატურა და დაფენის დროს ხანგრძლივობა ექსპერიმენტების დროს დადგინდება.

ამგვარად, საბიუჯეტო თემის „გრაფენის მიღების ტექნოლოგიების შემუშავება“ პირველი წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები სრულად და დროულად იქნა ჩატარებული და დღეისათვის ჩვენს მიერ შექმნილი დანადგარი მომზადებულია გამოსაცდელად.

ლიტერატურა

1. Meyer JC, Geim AK, Katsnelson MI, Novoselov KS, Both TJ, Roth S. The structure of suspended grapheme sheets. Nature. 2007 Mar I; 446(7131): 60-3, doi: 10.1038/nature05545. PMID: 17330039.

2. Harris, P.J.F. Transmission Electron Microseopy of Carbon: A Brief History. C 2018, 4, 4. https://doi.org/10.3390/c4010004.

3. J.C.Charlier, P.C.Eklund, J.Zhu, A.C.Ferrari, Electron and phonon properties of grapheme: Their relationship with carbon nanotubes

4. Balandin, A.A., Ghosh, S., Bao, W., Calizo, I., Teweldebrhan, D., Miao, F., & Lau, C.N. (2008). Superior Thermal Conductivity of Sinle-Layer Graphene. Nano Letters, 8(3), 902-907, doi: 10.1021/nl0731872

3. K.S. Novoselov, A.K. Geim, S.V. Morozov, D.Jiang, Y.Zhang, S.V. Dubonos, I.V. Grigorieva, A.A. Firsov. Electrie Field Effect in Atomically Thin Carbon Films, Science, 306, pp. 666-669, 2004:DOI: 10.1126/seienee, 1102896

4. Phaedon Avouris, Zhihong Chen, Vasili Perebeinos, Carbon-based electronics, Nat Nanotechnol, 2007, doi: 10.1038/nnano. 2007.300. Epub 2007.

5. L.Hao, J.Gallop, S.Goniszewski, O.Shaforost, N.Klein, and R.Yakimova, Non-contanct method for measurement of the microwave conductivity of grapheme, Appl.Phys. Let. 103, 123103(2013); https://doi.org/10.1063/1.4821268

6. Timo Schwamb, Brian R Burg, Niklas C Schirmer and Dimos Poulikakos, An electrical method for the measurement of the thermal and electrical conductivity of reduced grapheme oxide nanostructures, Nanotechnology 20(40), 405704, ppl -5, 2009.

7. M.B. Klarskov, H.F.Dam, D.H. Petersen, T.M.Hansen, A.Lowenborg, T.J. Boothl, M.S.Schmidt, R.Lin, P.F.Nielsen and P.Boggild, Fast and direct measurements of the electrical properties of grapheme using micro four-point probes, Nanotechnology 22(2011) 445702 (6pp).

8. Lee, C., Wei, X., Kysar, J.W.,& Hone, J. (2008). Measurement of the Elastic Properties and Intrinsic Strength of Monolayer Graphene. Science, 321 (5887), 385 – 388. Doi: 10.1126/science, 1157996.

9. Geim, A.K. (2009). Graphene: Status and Prospects. Science, 324(5934), 1530-1534, doi: 10.1126/science. 1158877 ლიტერატურა

შემსრულებლები: თ.ქამუშაძე, ა.ბერძენიშვილი, ზ.რაზმაძე, დ.მაჭავარიანი, მ.ჯოჯუა, შ.მირიანაშვილი.

2. **II-VI ტიპის ნახევარგამტართა ბაზა ზე მაღალეფექტური მზის ბატარიების შექმნა (ფოტოენერგეტიკა).**

II-VI ნახევარგამტართა უნიკალური ელექტრო-ფიზიკური თვისებების გამო შესაძლებელი გახდა ხარისხობრივად ახალი ელექტრონული მოწყობილობების დამზადება და თანამედროვე ტექნიკის ისეთი დარგების განვითარება, როგორებიცაა მიკრო-ნანოელექტრონიკა, მაღალი ეფექტურობის მზის ელემენტების წარმოება, ლაზერული ტექნიკა და სხვა.

მიუხედავად ამისა არსებობენ სიძნელეები, რომლებიც ზღუდავენ ამ მასალათა ფუნქციალურ სესაძლებლობათა სრულად რეალიზაციას და შესაბამისად მათ ფართომაშტაბიან გამოყენებას ახალი თაობის მიკროელექტრონულ სისტემებში.

ამ მასალების, თეორიულთან მიახლოებული პარამეტრების მქონე, ეპიტაქსიური ფენებისა და სტრუქტურების მისაღებად, აუცილებელია ფენათა სასაზღვრო არეებში მიმდინარე დიზიკო-ქიმიური პროცესების საფუძვლიანი შესწავლა და მათი მიზანმიმართული მართვა.

გამოიკვლევებმა აჩვენა, რომ მრავალფენიან ეპიტაქსიურ სტრუქტურებში ადგილი აქვს ატომების მიგრაციას, რაც იწვევს მინარევებითა და დეფექტებით გამდიდრებულ სასაზღვრო არეების წარმოქმნას. ამასთან ერთად, მოსაზღვრე ფენების გამტარებლობის ტიპების და აკრძალული ზონების სიგანეთა სხვაობები, როგორც წესი, იწვევს მოცულობითი მუხტით გამდიდრებულ ან გაღარიბებულ არეთა გაჩენასაც, რის გამოც ძნელდება სტრუქტურის პარამეტრების დადგენა, საეჭვო ხდება მათი გამოკვლევისათვის არსებული სტანდარტული მეთოდების გამოყენება, განსაკუთრებით ზეთხელი ფენებისა და სტრუქტურებისათვის.

პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე: ეპიტაქსიური სტრუქტურების პარამეტრების გაზომვის ზოგიერთი მეთოდის სრულყოფას; ეპიტაქსიური სტრუქტურების გარდამავალ არეებში მინარევებისა და დეფექტების იდენტიფიკაციას, მათი განაწილების პროფილებისა და წყაროების დადგენას.

II-VI ნახევარგამტარები ფართოდ გამოიყენება გამომსხივებელ და ფოტომიმღებ სტრუქტურების შესაქმნელად სპექტრის მწვანე, ლურჯი, იისფერ და ულტრაიისფერ დიაპაზონში.

მიუხედავად ამისა, ამ კლასის ნაერთებისათვის, მოცემული ქიმიური შემადგენლობის მქონე, მყარი ხსნარების სტრუქტურულად სრულყოფილი ეპიტაქსიური ფირებისა და სტრუქტურების მიღება დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

აღმოჩნდა, რომ ჰეტეროეპიტაქსიური ფირების ხარისხობრივი მაჩვენებლები ძლიერად არის დამოკიდებული დეფექტების სიმკვრივეზე, რომლებიც ფენების ზრდის საწყის ეტაპზე წარმოიქმნება. II-VI/GaAs – ის შემთხვევაში დეფექტების წარმოქმნის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს საფენის ქიმიური ურთიერთქმედება VI ჯგუფის ელემენტებთან, რომლის დროსაც წარმოიქმნება III ჯგუფის ჰალკოგენიდური შენაერთები. ასე მაგალითად, ZnSe/GaAs ჰეტეროსტრუქტურების მიღებისას თავს იჩენს Se-ის ნარჩენი ორთქლის საფენის ზედაპირთან ურთიერთქმედების პრობლემა, რაც იწვევს, ეპიტაქსიური პროცესის დაწყებამდე, საფენისადმი არაკოჰერენტული დეფექტური ფენის ფორმირებას, რომელიც სტექიომეტრულად ახლოსაა Ga_2Se-ის შემადგენლობასთან.

ნაჩვენები იქნა, რომ მოლეკულურ-კონითი ეპიტაქსიის პროცესში დეფექტების სიმკვრივის მნიშვნელოვან შემცირებას იწვევს GaAs-ის ბუფერული ეპიტაქსიური ფენის შეყვანა, რომელიც წინ უნდა უსწრებდეს II-VI ფენის ფორმირებას. ამ მეთოდით შესაძლებელი

გახდა, დამატებითი თერმოდამუშავების გარეშე, GaAs -ის სუფთა სტაბილიზირებული ზედაპირის მიღება და შედეგად Ga_2Se ფენის წარმოქმნის მნიშვნელოვანწილად გამორიცხა.

ZnSe/GaAs ჰეტეროსტრუქტურების მიღების პროცესში საფენის (GaAs) Se-ის ორთქლთან ურთიერთქმედება შესაძლებელია შეიზღუდოს, აგრეთვე თუ GaAs -ის ზედაპირს VI ჯგუფის ელემენტების კოჰერენტული თხელი ფენით დაფარავთ, ე.ი. მოვახდენთ GaAs-ის ზედაპირის ქიმიურ პასივაციას.

გარკვეულ პრობლემას ქმნის ის გარემოებაც, რომ II-VI ნაერთებს (ZnS, ZnO, ZnSe) მონოპოლარულად n-ტიპის გამტარებლობა აქვთ. P-ტიპის მასალის მიღება სერიოზულ ტექნოლოგიურ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რაც უფრო ზღუდავს ხარისხიანი p-n გადასასვლელების მიღებას სტანდარტული მეთოდებით.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია II-VI შენაერთების მიღების ახალი ტექნოლოგიის შემუშავება, რათა შესაძლებელი გახდეს, როგორც მოცულობითი კრისტალების, ასევე ეპიტაქსიალური ფენებისა და სტრუქტურების შემადგენლობის მართვა საჭირო მიმართულებით.

პროექტი ითვალისწინებს, როგორც p-ტიპის კრისტალების, ასევე p-n გადასასვლელის მქონე ეპიტაქსიური სტრუქტურების მიღებას, რომელთა ბაზაზეც შესაძლებელია შეიქმნას მაღალი პარამეტრების ფოტომიღებები და გამომსხივებლები (მათ შორი ლაზერები), რომელთა ფუნქციონალური დიაპაზონი III-V ნაერთების ბაზაზე შექმნილ მათ ანალოგიებთან, გაცილებით ფართო იქნება. (სპექტრალური დიაპაზონი, ტემპერატურა, წნევა, რადიაციული მდგომარეობა და სხვა.).

პროექტის შემსრულებელი: მ.შერვაშიძე, თ.ბუთხუზი, ე.კეკელიძე, ლ.ტრაპაიძე.

3. სოფლის მეურნეობაში დღემდე გამოყენებული შხამქიმიკატებისა და პესტიციდების ჩანაცვლება ალტერნატიული საშუალებებით (ოზონი, წყალბადის ზეჟანგი).

2019 წელს დაწყებული ექსპერიმენტი, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში დღემდე გამოყენებული პესტიციდებისა და შხამქიმიკატების ალტერნატიული, ბიოსაშუალებებით, ჩანაცვლებას. რიგი სირთულეების მიუხედავად მიმდინარე წელსაც (2021წ.) აქტიურად გრძელდებოდა მუშაობა პროექტზე. ამ მიზნით ფართოდ იქნა გამოყენებული ჩვენს მიერ წარმოებული ოზონოგენერატორები და წყალბადის ზეჟანგის დაბალპროცენტიანი ხსნარი. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის მიღების ამ უნიკალურმა ექსპერიმენტმა 2021 წელს უფრო ფართო მაშტაბი მიიღო, ანუ თუ გასულ წელს ოზონოგენერატორს ვენახის შესაწამლად ქვეყნის 12 ლოკაციაზე იყენებდნენ წელს ექსპერიმენტში დამატებით კიდევ 15 ფერმერი ჩაერთო. თუ გასულ წელს ოზონირებული წყლით ვაზის და ბოსტნეულის შეწამლა ძირითადად ზურგის აპარატებით ხდებოდა, წელს ექსპერიმენტის სახით ორ ფერმერს ტრაქტორის მისაბმელ ცისტერნებზე დავუმონტაჟეთ ოზონოგენერატორები და მით მოახდინეს ვაზის შეწამლა. ექსპერიმენტმა გაამართლა, რადგან მიგნებული იქნა წყლის ოზონირების დროის გახანგრძლივების პრობლემა, კერძოდ, 20გრ/სთ სიმძლავრის ოზონოგენერატორი, რომელიც საჭიროა ერთ ტონიანი ცისტერნის დასაოზონირებლად და რომელიც 25-30 წუღი მუშაობის შემდეგ 15 წთ. უნდა შეაასვენო, მის ნაცვლად აპარატში ჩავდგით 10გრ/სთ-ის სიმძლავრის ორი აგრეგატი, რომლებიც, მუშაობენ პარალელურ რეჟიმში 5 წუთიანი ინტერვალით. ანუ ამით გადაწყდა აპარატში კომპრესორის

გადახურების პრობლემა და შესაძლებელია ოზონოგენერატორი საათობით შეუსვენებლად ვამუშაოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ საექსპერიმენტო ლოკაციაზე დაავადება იმ სახით, რომ მოსავლის რაოდენობა შემცირებულიყოს, ადგილი არ ჰქონია.

ამავე დროს, ინდივიდუალურ მეწარმეთა დონეზე, ოზონის ფართომაშტაბიან გამოყენების ხელს უშლის წყალხსნარში ოზონის კონცენტრაციის არამდგრადობა და მისი მკვეთრი დამოკიდებულება ტემპერატურაზე (ოთახის ტემპერატურაზე მისი კონცენტრაცია წყალსხნარში საათში ორჯერ მცირდება).

აღნიშნულის გამო მიმდინარე წელს, პარალელურად გაგრძელდა ექსპერიმენტი, ამავე მიზნით, წყლბადის ზეჟანგის გამოყენების კუთხით. გასული წლის 15 ლოკაციას გამოაკლდა 3 ფერმერი და დაემატა 17. უნდა აღინიშნოს, რომ წყალბადის ზეჟანგი ჩვენი გლეხისათვის გამოსაყენებლად უფრო იოლი და ხელმისაწვდომი, ამიტომ ყველამ ზუსტად შეასრულა ჩვენი მითითება და მნიშვნელოვანი სახის დაავადებას ადგილი არცერთ ლოკაციაზე არ ჰქონია.

წლის განმავლობაში ზემოთ აღნიშნულ ექსპერიმენტების შესახებ სამჯერ მოეწყო თითო საათიანი გამოსვლა ტელევიზიით, 18-ჯერ თითო საათიანი გამოსვლა საპატრიარქოს რადიოში. ასევე გამოქვეყნებული გვაქვს 7 სამეცნიერო შრომა. წელს დაიწერა და ეროვნულ ბიბლოთეკას გამოსაცემად გადაეცა მონოგრაფია ქვევრის მეღვინეობის უძველეს ტრადიციულ ტექნოლოგიებზე. აღნიშნულ მიმართულებით მუშაობა მომავალ წელსაც გაგრძელდება.

4. მაღალი პარამეტრების მქონე ოზონატორების კონსტრუირება და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში

მიმდინარე (2021 წელი) ჩვენს ინსტიტუტში შექმნილი და გამოცდილი იქნა ახალი კონსტრუქციის, მრავალფუნქციური ოზონგენერატორი, რომლის მაოზონირებელ ელემენტად გამოყენებულია დაბალი წნევის პლაზმა, ელექტროდათ კი სპეციალურად დახვეული ალუმინის გამტარი გენერატორი მუშაობს მაღალ სიხშირეზე და შედარებით დაბალ ძაბვაზე - 3 კვ.

ახალ ოზონატორს შეუძლია მუშაობა უწყვეტ რეჟიმში. მისი წარმადობა შეიძლება ვარირებდეს ფართო ინტერვალში (3-20) გრ.სთ. ენერგოდანახარჯები კი 1 გრ. ოზონის მისაღებად არ აღემატება 3 ვატ.სთ რაც საკმაოდ დაბალია.

ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ ახალი კონსტრუქციის ოზონატორის გამოსავლიანობა ორჯერ და უფრო მეტჯერ მაღალი, ხოლო პროდუქციის ღირებულება მკვეთრად დაბალი, ბაზარზე დღეს არსებულ სტანდარტულ ოზონგენერატორებთან მიმართებაში.

მისი ფართომაშტაბიანი გამოყენება ადამიანთა საქმიანობის სხვადასხვა სფეროში (მედიცინა, სოფლის მეურნეობა და სხვა) ეკონომიკურად ფრიად მომგებიანი იქნება.

ამჟამად მზადდება დოკუმენტაცია მის დასაპატენტებლად.

3. და 4. პროექტების შემსრულებლები: ვ.შველიძე, ჯ.ბურჯანაძე, მ.ელიზბარაშვილი, ჟ.გაბრიჭიძე, ნ.შავთვალაძე, შ.მირიანაშვილი.

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება - ქიმიის დეპარტამენტი - ბიოორგანული ქიმიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
Კკათედრის გამგე – ქიმ.მეცნ.დოქტორი, **პროფ. რამაზ გახოკიძე**

1. ნელი სიდამონიძე - ასოცირებული პროფესორი, ქიმიის მეცნ. დოქტორი
2. რუსუდან ვარდიაშვილი - სასწ./სამეც. ლაბ. გამგე, ქიმიის მეცნ. კანდიდატი
3. მაია ნუცუბიძე - სასწ./სამეც. ლაბ. უფრ. ლაბ., ქიმიის მეცნ. კანდიდატი
4. ამირან ფიცხელანი - მოწვეული ლაბორანტი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი
5. ქეთევან ონაშვილი – დოქტორანტი
6. ლევან სამარგულიანი - დოქტორანტი
7. ქეთევან ჯაშიაშვილი - დოქტორანტი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1. **“გლიკოზილამინების წარმოებულების სინთეზი - ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატების ძიების ახალი გზა“ -სინთეზირებული ნაერთების სავარაუდო ბიოლოგიური აქტივობის შესწავლა PASS(Prediction of Activity Spectra for Substances) პროგრამით“**
2) 2019-2023 წწ
3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ასოც.პროფ. ნელი სიდამონიძე - ხელმძღვანელი**
2. **პროფ. რ.გახოკიძე**
3. **რ. ვარდიაშვილი**
4. **მ. ნუცუბიძე**
5. **ქეთევან ონაშვილი**

2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

N-გლიკოზილამინებმა და მისმა წარმოებულებმა მეცნიერების დიდი ყურადღება დაიმსახურადა სამედიცინო პრაქტიკაში მათი გამოყენება აქტუალური გახდა. N-გლიკო–ზიდებს იყენებენ მედიცინაში ცენტარალური ნერვული სისტემის სტიმულატორად, მედიატორებად, ასევე სოფლის მეურნეობაში მას მოიხმარენ მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის ნაერთების სინთეზი, სინთეზის მეთოდების დამუშავება და შესწავლა.

ჩვენი სამუშაოს მიზანი იყო ისეთი N-გლიკოზიდების სინთეზი რომლებიც ციკლში შეიცავენ ბენზოლის ბირთვს. როგორც ცნობილია ბენზოლის ბირთვის შემცველი ნაერთები საინტერესოა ფიზიოლოგიური აქტიურობის მხრივ: პ-ამინობენზოის მჟავა წარმოადგენს ტუბერკულიოზის სამკურნალო ძვირფას პრეპარატს, პ-ამინოსალიცილის მჟავა გამოიყენება როგორც ვიტამინი, აღსანიშნავია ასევე პ-ამინობენზოის მჟავას წარმოებულები: ანესთეზინი, ნოვოკაინი, სტრეპტოციდი და სხვა. სწორად ამიტომ ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე აქტიურად მიმდინარეობს N-გლიგლიკოზიდების და მისი წარმოებულების სინთეზი.

2021 წელს ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე **დაცული იქნა 3 სამაგისტრო ნაშრომი** და ამჟამად კათედრაზე გრძელდება კვლევით პროცესები, სადაც ჩართულია **3 დოქტორანტი და 3 მაგისტრანტი:**

2021-ში მაგისტრანტების მიერ **დაცული სადიპლომო ნაშრომები:**

1. **ლევან სამარგულიანი** - „N,β-ანესთეზინ D-ქსილოპირანოზილამინის N-ნიტროზირების ახალი მეთოდი და სინთეზირებული ნაერთის სავარაუდო ბიოლოგიური აქტიურობის დადგენა

ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. ნელი სიდამონიძე
ქიმ.მეცნ.კანდ. რუსუდან ვარდიაშვილი

2. მირანდა ღონღაძე - „N-β-N-ნიტროზო-(p-ამინობენზოის მჟავას ეთილესთერილ)-2,3,4-ტრი-O-აცეტილ-L- არაბინოპირანოზილამინის სინთეზის ახალი მეთოდი და კვლევა“.

ხელმძღვანელები: ასოც.პროფ. ნელი სიდამონიძე
ქიმ.მეცნ.კანდ. მაია ნუცუბიძე

3. ანა ქიქავა - - „2,3;5,6-დი-0-იზოპროპილიდენ-D-მანოფურანოზის კონდენსაცია p-ამინობენზოის მჟავასთან და სინთეზირებული ნაერთების სავარაუდო ბიოლოგიური აქტივობის პროგნოზირება PASS მეთოდით“.

ხელმძღვანელები: პროფ. რამაზ გახოკიძე
ქიმ.მეცნ.კანდ. მაია თათარიშვილი

ამჟამად სამაგისტრო ნაშრომებზე აგრძელებენ კვლევით საუშაოებს შემდეგი მაგისტრანტები:

ლალიაშვილი ლაშა (მაგ. მე-2 კურსი)
აბესაძე ანზორ (მაგ. მე-2 კურსი)
სხირტლაძე ნანა (მაგ. I კურსი))

ჩვენს მიერ სინთეზირებული ნივთიერებების სავარაუდო ბიოლოგიური აქტივობის შესწავლა მოხდება PASS (PredictionofActivitySpectrafor Substances)-ის პროგრამის დახმარებით. PASS (Prediction of Activity Spectra for Substances)–ორგანული ნივთიერებებისთვის ბიოლოგიური აქტიურობის სპექტრის პროგნოზი.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. "აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად ეკოლოგიურად სუფთა საშუალებათა გამოყენების სტრატეგია"

2. პროექტის დაწყების და დამთავრების წლები 2017-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფ.რ.გახოკიძე- პროექტი სხელმძღვანელი

2. ამირან ფიცხელანი - მოწვეული ლაბორანტი, ბიოლ. მეცნ. დოქტორი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აზიურმა ფაროსანამ უდიდესი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობას, განადგურდა თხილის პლანტაციები,სიმინდის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავალი.გადარჩენილ ნაყოფთა (მაგ. თხილის)ნაწილი, ქიმიური პრეპარატების გამოყენების გამო, კვებისთვის უვარგისია, რასაც ადასტურებსევროპაში ექსპორტირებულ თხილზე ჩატარებული სანიტარულ-ჰიგიენური ექსპერტიზა. მავნებელმა მწერმა და, მით უმეტეს, მის საწინააღმდეგოდ გამოყენებულმა პესტიციდებმა გამოიწვია მთელი რიგი, მაგალითად, მიკოტოქსიკური, დაავადებების წარმოშობა, რაც ერთმანეთთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იმყოფება. მწერების შემოსევამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო და დიდი სისწრაფით ვრცელდება ქვეყანაში. მავნებელი მწერების პოპულაციების მრავალჯერად გაზრდას ხელს უწყობს კლიმატის ცვლილებები (მაგალითად, გლობალური დათბობა), ტყის ხანძრები და სხვა ფაქტორები.

თსუ-ის ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებულია ახალი სტრატეგია აზიური ფაროსანას (და მცენარეთა სხვა მავნებლების) წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ეფუძნება მათ მიერ ჩატარებულ ფუნდამენტურ გამოკვლევებს ბიოორგანული ქიმიის, ბიოფიზიკის და გენეტიკის სფეროში.

1. დაავადებების, მავნებლების და სხვა არახელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედების მიმართ მცენარეთა არასპეციფიკური რეზისტენტობის გაზრდა და ადჰეზიის შემცირება ბიოენერგოაქტივატორების საშუალებით;
2. მავნებელი მწერის ქიტინური ჯავშნის დაშლის ოპტიმალური პირობების შემუშავება, რაც მნიშვნელოვნად გააიოლებს დეზინფექციას;
3. იმ ფერმენტთა აქტიურობის შემცირება, რომლებიც აქვეითებს პესტიციდების დეზაქტივაციას მწერის ორგანიზმში;
4. ახალი თაობის რეპელენტების შექმნა და გამოყენება;
5. ბუნებრივ პოპულაციათა შესამცირებლად წერის გენერაციულ ორგანოებსა და სასქესო უჯრედებში ცვლილებების გამოწვევა ქიმიური და ფიზიკური აგენტების – ქემოსტერილიზატორების (ახალი ტიპის ანტიმეტაბოლიტები, მწერის ჰორმონთა ანალოგები და სხვ.), მიკროტალღური გამოსხივების და ჰიდროოზონაციის მეთოდებისგ ამოყენებით.
6. ადამიანის და გარემოს მიმართ უვნებელი პრეპარატების შექმნა და მათი საშუალებით აზიური ფაროსანას სელექციური ლიკვიდაცია.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები
4.1. საერთაშორისო პატენტები:
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

4.2. ეროვნული პატენტები
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.2. სახელმძღვანელო

1) სიდამონიძე ნ.ნ. ტაბატაძე ლ.ვ.,

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

„ბუნებრივ ნაერთთა ქიმია“. ISBN 978-9941-25-790-2

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“ 2021 წ.

4) გვერდების რაოდენობა - 280 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელო შედგენილია საუნივერსიტეტო პროგრამის შესაბამისად ბუნებრივ ნაერთთა ქიმიაში. წიგნში მოტანილი მასალა სრულად ასახულია საგნის სილაბუსში. სახელმძღვანელოში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესო ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები: ბუნებრივი ფენოლური ნაერთები, სტეროიდები, ალკალოიდების ბუნებაში გავრცელება და მათი როლი ცოცხალ ორგანიზმებში და ა.შ. თეორიული ნაწილის თითოეულ თავს ერთვის შესაბამისი ლაბორატორიული სამუშაოები - დეტალურად აღწერილი ექსპერიმენტით.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტის ქიმიის სპეციალობის სტუდენტებისათვის. წიგნი დაეხმარება სტუდენტებს ბუნებრივ ნაერთა ქიმიის

სრული კურსის - თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებაში, ლაბორატორიაში მუშაობის დროს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები
1.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები
1.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

5) გვერდების რაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1. L.B.Tabatadze, **N.N** **Sidamonidze**,R.O. Vardiashvili, K.Z.Onashvili. , p.355-361.

2) სტატიის სათაური, ISSN

1. Synthesis and Biological Activity of 2,3,4,6-tetra-0-acetyl-1-0-(2-chlo-ro-3-phenylthio-propyl)-β-D-gluco-pyranose.

ISSN1512-1887

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Annals of Agrarian Science. Elsevier. v.17, N3
2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
.
5) გვერდების რაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები

1. N. N. Sidamonidze, R. O. Vardiashvili, and M. O. Nutsubidze. Reaction Hydrosilylation of Allyl-2, 3, 4-Tri-O-Acetyl-b-D-Ramnopyranose with Methyl- and Phenylcyclodisilazanes.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

Advanced Materials, Polymers, and Composites. New Research on Properties, Techniques, and Applications.

ISBN: 9781003105015.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. **Part 22. 2021.**

4) გვერდების რაოდენობა - 8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) - სტატიაში განხილულია 1-0-ალილ-2,3,4-ტრი-O-აცეტილ-β-L-რამნოპირანოზის (1) ჰიდროსილილირების რეაქცია 1,3-ბის (დიმეთილსილილ)-2,2,4,4-ტეტრამეთილციკლოდისილაზანთან და 1,3-ბის (დიფენილსილილ) -2,2,4,4-ტეტრაფენილციკლოდისილაზანთან, კატალიზატორის - $Co_2(CO)_8$ თანდასწრებით. სინთეზირებულია 1,3-დი- [3- (2,3, 4-ტრი-O-აცეტილ-β-L-რამნოპირანოზილოქსი) პროპილდიმეთილსილილ] -2,2,4,4-ტეტრამეთილციკლო-დისილაზანი და 1,3-დი [3- (2,3,4-ტრი-O-აცეტილი -β-L-რამნოპირანოზილოქსი) პროპილდიფენილსილილი]-2,2,4,4-ტეტრაფენილციკლოდისილაზანი. მიღებული ნაერთების სტრუქტურა დადგენილია ანალიზის ფიზიკო-ქიმიური მეთოდებით. ასევე განხილულია კატალიზატორის მოქმედების მექანიზმი. ნაერთები გადაცემულია სავარაუდო ბიოლოგიური აქტიურობის დასადგენად.

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები
1.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. L.V. Tabatadze, N.N. Sidamonidze, D.B. Gulbani, D.J. Iremashvili;
2. „ Synthesis and biological activity of Hepta-O-acetyl-1-O-(2-chloro-3-phenyl thio propyl)-D-maltose“

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
Georgian Scientists, Vol. 3 Issue 4, 2021.
https://doi.org/10.52340/gs.2021.11.01

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი,
5) გვერდების რაოდენობა - 6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) - ნახშირწყლების წარმოებულები გამოირჩევიან ბიოლოგიური აქტივობის ფართო სპექტრით, რაც დასტურდება ფარმაცევტული ქიმიის სხვადასხვა დარგში დაფუძნებული ნახშირწყლებისგან დამზადებული პრეპარატების წარმატებული გამოყენებით. ნახშირწყლების ნაერთის კვლევის შედეგად შესწავლილია კავშირი უნიკალურ სტრუქტურასა და მის ქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებებს შორის. ლიპოფილური თვისების მქონე შაქრის ბირთვის შეყვანა დადასტურებულ მედიკამენტებში ან ბიოლოგიურად აქტიურ მოლეკულაში უმეტეს შემთხვევაში აუმჯობესებს მოლეკულის ბიოლოგიურ მახასიათებელს, ძლიერდება წამლის ლიპოფილურობა და ამავე დროს მცირდება ტოქსიკურობა და გვერდითი უარყოფითი ეფექტები. კატალიზატორის, ბენზოილ პეროქსიდის თანაობისას სინთეზირებულია ახალი გოგირდის შემცველი გლუკოზიდი: ჰეპტა-O-აცეტილ-1-O-(2-ქლორ-3-ფენილთიოპროპილ)-D-მალტოზა. შესწავლილ იქნა დეზაცეტილირების შედეგად მიღებული პროდუქტის - 1-O-(2-ქლორ-3-ფენილთიოპროპილ)-D-მალტოზის ბაქტერიციდული თვისებები. კომპიუტერული პროგრამის PASS (Prediction of Activity Spectra for Substance) დახმარებით შესაძლებელი გახდა ნივთიერებების აქტივობის დიაპაზონის პროგნოზირება. სინთეზირებული ნაერთების სტრუქტურა განისაზღვრა ფიზიკურ-ქიმიური კვლევის მეთოდებით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1.

2) მოხსენების სათაური

1.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1.

2) მოხსენების სათაური

1.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრა
მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი
სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით კათედრის გამგე პროფ. ო.მუკბანიანი

მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორიის გამგე ელიზა მარქარაშვილი (უფროსი მკვლევარი) უფროსი ლაბორანტი იზაბელა ესართია, ლაბორანტი დონარი ოტიაშვილი, უფროსი ლაბორანტი ნიკოლოზ კვინიკაძე, კომპოზიციური მასალების განყოფილების გამგე ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ჯიმშერ ანელი, მაკრომოლეკულების სინთეზის განყოფილების გამგე ქიმიის დოქტორი თამარ თათრიშვილი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. „ახალი ეკოლოგიურად სუფთა კომპოზიტები მცენარეული ნედლეულისა და ტრიეთოქსისილილირებული პოლისტიროლის ბაზაზე“.
რუსთაველი სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში გამარჯვებული გრანტი FR-19-795

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
28.02.2020 -28-02-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ომარ მუკბანიანი- პროექტის ხელმძღვანელი

2. თამარ თათრიშვილი - ძირითადი შემსრულებელი

3. ელიზა მარქარაშვილი- ძირითადი შემრულებელი

4. ლევან ლონდარიძე - ახალგაზრდა მეცნიერი

5. ჯიმშერ ანელი - დამხმარე პერსონალი

6. ნუგზარ მოგელაძე - დამხმარე პერსონალი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე) -პროექტის მიზანია ფორმალდეჰიდისგან თავისუფალი ახალი კომპოზიციური მასალების მიღება განახლებადი მცენარეული ნედლეულის ბაზაზე, გაზრდილი ფიზიკურ და მექანიკური თვისებებით, მაღალი ეკოლოგიურობით, მიღების მარტივი ტექნოლოგიით, მიკროორგანიზმებისადმი მდგრადობით, რომელიც შეესაბამება ყველა იმ თანამედროვე მოთხოვნებს რომელიც წაეყენება ანალოგიურ მასალებს.

ახალი კომპოზიციური მასალების მისაღებად მცენარეული ნედლეულის ბაზაზე, სადაც პირველად იქნა გამოყენებული როგორც შემკვრელი და მაარმირებელი აგენტი სტიროლი და ვინილტრიეთოქსისილანი (in situ თანაპოლიმერიზაცია) სხვადასხვა ხარისხით 6, 10 % და ასევე ორგანო/არაორგანული დანამატები, ანტიპირენები, ანტიდამჟანგველები. ამ მიზნით პირველ რიგში შესწავლილი იქნა სტიროლის და ვინილტრიეთოქსისილანის თანაპოლიმერიზაციის რეაქციები 1:1 თანაფარდობით, 0.5-1% დიკუმილის პეროქსიდის თანაობისას 80-90^{o}C ტემპერატურაზე და მიღებული იქნა შესაბამისი თანაპოლიმერები.

-თანაპოლიმერის შედგენილობა და აღნაგობა დამტკიცებული იქნა იწ, ^{1}H, ^{13}C და Cozy ბმრ სპექტრებით. სტიროლი და ვინილტრიეთოქსისილანი შერჩეული იქნა სპეციალურად. სტიროლი ზრდის კომპოზიციურ მასალის სიმტკიცეს, ანუ ახდენს მასალის არმირებას, ხოლო ტრიეთოქსისილილური ჯგუფები შეასრულებენ შემკვრელი აგენტის როლს. ხოლო მათი in situ თანაპოლიმერიზაციით მიღებული თანაპოლიმერი ერთდროულად ასრულებს, როგორც მაარმირებელი ისე შემკვრელი აგენტის როლს, რის შედეგადაც შემავსებელი და შემკვრელი აგენტი წარმოქმნიან უწყვეტ ფაზას.

-მიღებული იქნა კომპოზიციური მასალები ფოთოლის და ახალი შემკვრელების სტიროლის (3%) და ვინილტრიეთოქსისილანის (3%) თანაობისას, ცხლად დაპრესვის მეთოდით 160-210 ^{o}C ზე და 5, 10 და 15 ატმოსფერულ წნევაზე, დიკუმოლის ზეჟანგის როგორც ინიციატორის თანაობისას.

-კომპოზიციური მასალებისათვის ჩატარებულ იქნა FTIR, სპექტრული გამოკვლევები. შესწავლილი იქნაა კომპოზიციური მასალების ზედაპირის მორფოლოგია, ოპტიკური, სკანირებად ელექტრონული მიკროსკოპიული და ენერგოდისპერსიული X-სხივური მიკრო-ანალიზური მეთოდებით.

-კომპოზიციური მასალებისათვის შესწავლილი იქნა სიმკვრივე და ფიზიკურ მექანიკური თვისებები: დარტყმითი სიბლანტე, სიმტკიცე გაღუნვაზე, სიმტკიცე გატეხვაზე.

-კომპოზიციური მასალებისათვის შესწავლილი იქნა წყალშთანთქმის მნიშვნელობები 3 და 24 საათიანი ექსპოზიციის პირობებში.

-დადგენილი იქნა სხვადასხვა თერმოდინამიკური ფაქტორების წნევა, ტემპერატურის გავლენა წყალშთანთქმაზე და ფიზიკურ მექანიკურ თვისებებზე.

-ჩატარებული იქნა კომპოზიტების თერმული გამოკვლევები: თერმოგრავიმეტრული ანალიზი, გარბილების ტემპერატურა ვიკატის მეთოდით.

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. O. Mukbaniani, J. Aneli, T. Tatrishvili, E. Markarashvili

2. Witold Brostow, Inmaculada Cañadas, Hanna Fałtynowicz, Osman Gencel, Omari Mukbaniani and Rimantas Levinskas.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Solid polymer electrolyte membranes on the basis of fluorosiloxane matrix.

https://doi.org/10.23939/chcht15.02.198

2. Fire resistance of polymers

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Chem. & Chem. Technol., Vol. 15, No. 2, 198-204, 2021,
2. Journal of Materials Education, Vol. 43 (3-4) : 117-142, 2021.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. უკრაინა
2. აშშ

5) გვერდების რაოდენობა
1. pp. 198–204.
2. pp.117-142

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შესწავლილია 2,4,6,8-ტეტრაჰიდრო-2,4,6,8-ტეტრამეთილციკლოტეტრასილოქსანის (D4H) ჰიდროსილილირების რეაქციები 2,2,3,3,4,4,5,5-ოქტაფტორპენტილ აკრილატით 1:4.2 თანაფარდობით პლატინის კატალიზატორების თანაობისას და მიღებულია შესაბამისი მიერთების პროდუქტი D_4^R. განხორციელდა D_4^R-ის ციკლის გახსნის პოლიმერიზაცია მშრალი კალიუმის ჰიდროქსიდის თანდასწრებით და მიღებული იქნა სავარცხლის ტიპის პოლიმერები 2,2,3,3,4,4,5,5-ოქტაფტორპენტილ პროპიონატის გვერდითი ჯგუფების რეგულარული განლაგებით. სინთეზირებული პროდუქტი D_4^R და პოლიმერებისათვის შესწავლილია FTIR, 1H, 13C და 29Si NMR სპექტრები. მყარი პოლიმერული ელექტროლიტური მემბრანები მიღებულ იქნა პოლიმერების სოლ-გელის რეაქციების შედეგად ტეტრაეტოქსისილანთან ერთად, რომელიც დოპირებულია ლითიუმის ტრიფტორმეთილსულფონატით (ტრიფლატი) და ლითიუმის ბის(ტრიფტორსულფონილ)იმიდით. აღმოჩნდა, რომ პოლიმერული ელექტროლიტური მემბრანების ელექტრული გამტარობა ოთახის ტემპერატურაზე იცვლება $(1{,}9\cdot10^{-6})$ – $(5{,}9\cdot10^{-10})$ $S\cdot cm^{-1}$ დიაპაზონში.

პოლიმერები კარგად არის ცნობილი, როგორც ადვილად აალებადი. მეორეს მხრივ, პოლიმერების გამოყენება - როგორც ასეთი, ასევე როგორც კომპოზიტებისა და საფარების შემადგენელი კომპონენტები - სწრაფად იზრდება. ჩვენ განვიხილავთ პოლიმერებს და პოლიმერებზე დაფუძნებულ მასალებს აალებადი თვალსაზრისით. ჩვენ ასევე უფრო მოკლედ აღვნიშნავთ ეფექტებს ხანძარი ადამიანებზე. განხილულია გარკვეული ზომები ამ აალებადი შეზღუდვის მიზნით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. T. Abuashvili, L. Londaridze, I. Esartia, D. Otiashvili, E. Markarashvili, T. Tatrishvili, O. Mukbaniani.
2. Sh. Chikhladze, S. Tskitishvili, L. Kakalashvili, T. Tatrishvili, O. Mukbaniani.
3. N. Kvinikadze, L. Londaridze, A. Zedgenidze, D. Dzidziguri, O. Mukbaniani.
4. O. Mukbaniani, L. Londaridze, E. Markarashvili, T. Tatrishvili, J. Aneli. July, 2021, p. 73.

https://icsp7.tsu.ge/data/file_db/icsp7/abstracts_21.07icsp7.pdf

2) მოხსენების სათაური
1. Composite materials on the basis of leaves and ecologicaly friendly coupling agent.
2. Wood polymer composites.

3. Wood polymer composites on the basis of new coupling agent.
4.Triethoxysilylated styrene as a new coupling agent in wood composites

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 7th International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials,Tbilisi, Georgia,27-30 July, 2021, p. 2https://icsp7.tsu.ge/data/file_db/icsp7/abstracts_21.07icsp7.pdf..
2. 7th International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials,Tbilisi, Georgia,27-30 July, 2021, p. 18.https://icsp7.tsu.ge/data/file_db/icsp7/abstracts_21.07icsp7.pdf.
3.7th International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials,Tbilisi, Georgia,27-30 July, 2021, p. 60. https://icsp7.tsu.ge/data/file_db/icsp7/abstracts_21.07icsp7.pdf
4. 7th International Caucasian Symposium on Polymers & Advanced Materials,Tbilisi, Georgia,27-30 July, 2021, p. 73. https://icsp7.tsu.ge/data/file_db/icsp7/abstracts_21.07icsp7.pdf

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

წიგნები

1. ო.მუკბანიანი, თ.თათრიშვილი. „მაკრომოლეკულური ქიმია“, სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის – მეორე გამოცემა, გამომცემელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 1-302, 2021 წ. (ქართულ ენაზე).

2. ო.მუკბანიანი, თ.თათრიშვილი. „მაკრომოლეკულური ქიმია“, სახელმძღვანელო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის – მეორე გამოცემა, გამომცემელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 303-614, 2021 წ. (ქართულ ენაზე).

3. Applications of Biodegradable and Bio-Based Polymers for Human Health and a Cleaner Environment. Editors: Iuliana Stoica, Omari Mukbaniani, Neha Kanwar Rawat, A. K. Haghi. Publisher Apple Academic Press Inc, pp. 584, 2021.
https://www.appleacademicpress.com/applications-of-biodegradable-and-bio-based-polymers-for-human-health-and-a-cleaner-environment-/9781771889766

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება:
ორგანული ქიმიის და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა;
ორგანული ქიმიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით:

ორგანული ქიმიის და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრა:
ხელმძღვანელი: აკადემიკოსი შოთა სამსონია,
სრული პროფესორი: შოთა სამსონია
ასოცირებული პროფესორები: ი.ჩიკვაიძე, მ.ტრაპაიძე
ასისტენტ-პროფესორი: ე. კაცაძე

ორგანული ქიმიის სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტი

№	სახელი გვარი	თანამდებობა	სამეცნიერო წოდება
1	შოთა სამსონია	ინსტიტუტის დირექტორი	ქიმ. მეცნ. დოქტ.
2	იოსებ ჩიკვაიძე	დირექტორის მოადგილე	ქიმ. მეცნ. დოქტ.

I. ჰეტეროციკლურ ნაერთთა ქიმიისა და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის განყოფილება

#	სახელი გვარი	თანამდებობა	სამეცნიერო წოდება
1	იოსებ ჩიკვაიძე	განყოფილებისგამგე	ქიმ. მეცნ. დოქტ.
2	ელენე კაცაძე	უფროსი მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ. აკად. დოქტ.,
3	ნანა ჩიკვაიძე	უფროსი მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ. აკად. დოქტ.
4	დალი ყაჯრიშვილი	უფროსი მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ.აკად. დოქტ.
5	ნაირა ნარიმანიძე	უფროსი მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ. აკად. დოქტ.
6	ნინო ნიკოლეიშვილი	უფროსი მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ.აკად .დოქტ.
7	ლია კვირიკაძე	უფროსი მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ.მეცნ.კანდ.
8	თამარ ციცქიშვილი	უფროსი მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ. აკად. დოქტ.
9	ლია ბობიხიძე	მეცნიერ-მკვლევარი	დოქტორანტი
10	ნინო ზვიადაძე	ტექნიკური მუშაკი	მაგისტრი

2) კონდენსირებული ბისინდოლებისა და სპირონაერთების განყოფილება

1	მარინა ტრაპაიძე	განყოფილების გამგე	ქიმ. მეცნ. დოქტ.
2	ნუნუ ოვსიანიკოვა	უფროსი მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ. აკად. დოქტ.
3	ნანა ესაკია	უფროსი მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ. აკად. დოქტ.
4	სოფიკო კვინიკაძე	ტექნიკური მუშაკი	მაგისტრი

3) ალიციკლურ ნაერთთა ქიმიის განყოფილება

	დავით ზურაბიშვილი	განყოფილების. გამგე	ქიმ. აკად. დოქტ.
2	მედეა ლომიძე	უფროსი მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ. აკად. დოქტ.

3	ივანე გოგოლაშვილი	მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ. მაგისტრი
4	თინათინ ბუკია	მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ. აკად. დოქტ.
6	თამარ თაბატაძე	მეცნიერ-მკვლევარი	მაგისტრი
7	მარინა სოსელია	მეცნიერ-მკვლევარი	დოქტორანტი
8	ალექსანდრე ვანიშვილი	ტექნიკური მუშაკი	მაგისტრანტი

4) ინტელექტუალური საკუთრების განყოფილება

1	ნინო სამსონია	განყოფილების გამგე	ქიმ. აკად. დოქტ.
2	ნინო იაშვილი	მეცნიერ-მკვლევარი	ქიმ. აკად. დოქტ.

5) ინსტრუმენტული კვლევისა და ელემენტური ანალიზის განყოფილება

1	მედეა გუდავაძე	განყოფილების გამგე	ქიმ. მაგისტრი
2	ნინო თავართქილაძე	ტექნიკური მუშაკი	ქიმ. მაგისტრი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. არომატული ინდოლშემცველი ჰეტეროციკლები და მათი ნაწარმები: სინთეზი, თვისებები, გარდაქმნები, მექანიზმები.

1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

1.4. ქიმიური მეცნიერებანი, ორგანული ქიმია

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

მიმდინარე ეტაპი 01.2021-10.2022

პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ხელმძღვანელი - შ. სამსონია,

ძირითადი შემსრულებლები: ი. ჩიკვაიძე, დ. ყაჯრიშვილი, ნ. ჩიკვაიძე, ნ. ნარიმანიძე; ლ.კვირიკაძე; თ.ციცქიშვილი; ნ.ნიკოლეიშვილი, დოქტორანტები: ლ. ბობოხიძე;

მაგისტრანტები: ბაკალავრიატის სტუდენტები: ა. ცუცქირიძე, მ. ტურიაშვილი, ა. ჩაბრავა,

2. **მრავალბირთვიანი კონდენსირებული აზოტშემცველი ახალი ჰეტეროციკლური სისტემების წარმოებულების სინთეზი და კვლევა; „დიპიროლობენზოქინოქსალინის რიგის ტრიმეთინური ციანინის წარმოქმნა ვილსმაიერის რეაქციის პირობებში“**

1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

1.4. ქიმიური მეცნიერებანი, ორგანული ქიმია

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

მიმდინარე ეტაპი 01.2021-10.2022

შ. სამსონია - ხელმძღვანელი,

მ. ტრაპაიძე - ძირითადი შემსრულებელი,

ნ. ნიკოლეიშვილი - უფროსი მეცნიერ-მკვლევარი

მაგისტრანტი - ს. კვინიკაძე

3. **6-(1H-ინდოლ-2-ილ)ქინაზოლინ-2,4-დიამინის სინთეზი**

1.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;


1.4. ქიმიური მეცნიერებანი, ორგანული ქიმია

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
მიმდინარე ეტაპი 01.2021-10.2022
ხელმძღვანელი შ. სამსონია,
ძირითადი შემსრულებელი ე. კაცაძე,
მაგისტრანტი მ. ბუხაიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ინდოლის ბირთვის შემცველი მრავალი ბუნებრივი და სინთეზური ნივთიერება ხასიათდება მრავალფეროვანი ბიოლოგიური აქტიურობით, როგორიცაა: ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ანთების, სოკოს, სიმსივნის და მრავალი სხვა დაავადების საწინააღმდეგო მოქმედებით. გამოკვლევის სტრატეგიული მიზანია ახალი, ბიოლოგიურად აქტიური ინდოლური ნაერთების გამოვლენა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესწავლილია ახალი ინდოლური ნაერთების მიღების შესაძლებლობა 2-ამინოდიფენილის (1) საფუძველზე.


სქემა 1




2-ამინოდიფენილის (1) ჰიდროქლორიდი წყალში საკმაოდ ცუდად იხსნება, რაც აძნელებს დიაზოტირების და დიაზონიუმის მარილის აღდგენის პროცესებს, შესაბამისად 2-ჰიდრაზინოდიფენილი (2) მიიღება დაბალი გამოსავლიანობით. ასევე დაბალი გამოსავლიანობით მიიღება მე-3 და 5 ჰიდრაზონები. ჩატარებულია ამ ჰიდრაზონების (მე-3, მე-5 X=NO_2, Br) ინდოლიზაციის რეაქციები პოლიფოსფორმჟავაში და მის ესტერებში. ეს სამუშაოები დროებით შეჩერებულია ლაბორატორიების სრული დემონტაჟის გამო, რაც დაკავშირებულია თსუ მეორე კორპუსის სარემონტო სამუშაოებთან.

თეორიულად იქნა შესწავლილი ზოგიერთი სინთეზირებული ნაწარმის პოტენციური ფარმაკოლოგიური აქტიურობა **პროგრამის** - Pass online (Predictive services, understanding chemical-biological interaction), http://way2drug.com/passonline/ მიხედვით. ნივთიერება ჩაითვლება აქტიურად თუ მისი აქტიურობის ალბათობა Pa>0,7. მე-7-12 ნაერთებისათვის დაფიქსირებულია ტუბერკულოზის (Antituberculosic) და მიკობაქტერიების (Antimycobacterial) საწინააღმდეგო, ანტიკონვულსიური (Anticonvulsant) და ეპილეფსიის საწინააღმდეგო (Antiepileptic) აქტიურობის, აგრეთვე ზოგიერთი ფერმენტის ინჰიბირების უნარის საკმაოდ მაღალი ალბათობა. ამ მხრივ შედარებით მდიდარია ბის(ინდოლ-5-ილ)მეთან-3,3'-დიკარბ-ჰიდრაზიდის (12) აქტიურობის დიაპაზონი. კვლევის მიზნებთან დაკავშირებით საინტერესო მოსალოდნელი აქტიურობა აღმოჩნდა სარძევე ჯირკვლის აპოკრინული კარცინომის


(Apocrine Carcinoma) დიაგნოსტიკის პროცესისათვის. ამ პათოლოგიის დამადასტურებელი ცილის ბიომარკერის HMGCS2 მსგავსი აქტიურობის ძალიან მაღალი ალბათობა Pa =0,920 დაფიქსირდა მე-7და 8 ჰიდრაზონისათვის, რომლებიც მიღებულია 3-ფორმილ-2-ეთოქსიკარბონილინდოლის ნაწარმების კონდენსაციით იზონიკოტინოილჰიდრაზიდთან.

7		All Pa>Pi Pa>0,3 Pa>0,7



0,920	0,002	HMGCS2 expression enhancer
0,826	0,003	Antituberculosic
0,796	0,004	Antimycobacterial
0,588	0,005	PfA-M1 aminopeptidase inhibitor
0,545	0,012	Transcription factor STAT3 inhibitor
0,499	0,021	Transcription factor STAT inhibitor
0,530	0,054	Cytoprotectant
0,433	0,011	Mcl-1 antagonist
0,460	0,070	Antiviral (Picornavirus)
0,384	0,006	ATPase stimulant


8		All Pa>Pi Pa>0,3 Pa>0,7

0,918	0,002	HMGCS2 expression enhancer
0,771	0,003	Antituberculosic
0,714	0,005	Antimycobacterial
0,668	0,009	Antiviral (Picornavirus)
0,611	0,026	Cytoprotectant
0,575	0,006	PfA-M1 aminopeptidase inhibitor
0,545	0,012	Transcription factor STAT3 inhibitor
0,532	0,014	Transcription factor STAT inhibitor
0,483	0,011	Focal adhesion kinase 2 inhibitor
0,464	0,009	Mcl-1 antagonist

9		All Pa>Pi Pa>0,3 Pa>0,7


0,799	0,004	CYP2A8 substrate
0,754	0,007	Anticonvulsant
0,739	0,005	Antiepileptic
0,698	0,010	HMGCS2 expression enhancer

		0,707	0,021	5-O-(4-coumaroyl)-D-quinate 3'-monooxygenase inhibitor
		0,647	0,004	GABA receptor agonist
		0,651	0,009	Cytochrome P450 stimulant
		0,654	0,016	Chloride peroxidase inhibitor
		0,583	0,004	MAP kinase 1 inhibitor
		0,575	0,003	GABA receptor antagonist
		0,572	0,003	GABA A receptor antagonist
		0,571	0,008	Alzheimer's disease treatment
10				
		All	Pa>Pi	Pa>0,3	Pa>0,7
		0,862	0,005	Protein kinase inhibitor
		0,646	0,003	Glycogen synthase kinase-3 beta inhibitor
		0,643	0,004	CYP2C9 inhibitor
		0,638	0,003	Glycogen synthase kinase-3 inhibitor
		0,647	0,068	CDP-glycerol glycerophosphotransferase inhibitor
		0,566	0,002	Glycogen synthase kinase-3 alpha inhibitor
		0,544	0,005	CYP3A4 inhibitor
		0,546	0,028	Fibrolase inhibitor
		0,532	0,074	Pseudolysin inhibitor
		0,503	0,052	Preneoplastic conditions treatment
11				
		All	Pa>Pi	Pa>0,3	Pa>0,7
		0,882	0,000	Beta-Lysine 5,6-aminomutase inhibitor
		0,882	0,001	Ethanolamine oxidase inhibitor
		0,833	0,008	Taurine dehydrogenase inhibitor
		0,819	0,004	Amine dehydrogenase inhibitor
		0,691	0,001	Diaminopimelate epimerase inhibitor
		0,691	0,011	Glutamine-phenylpyruvate transaminase inhibitor
		0,663	0,012	Threonine aldolase inhibitor
		0,636	0,003	Maillard reaction inhibitor
		0,638	0,020	Phosphatidylserine decarboxylase inhibitor

		0,594	0,010	Antimycobacterial
		0,587	0,006	Antituberculosic
12		All Pa>Pi Pa>0,3 Pa>0,7		
		0,882	0,000	Beta-Lysine 5,6-aminomutase inhibitor
		0,878	0,001	Ethanolamine oxidase inhibitor
		0,803	0,013	Taurine dehydrogenase inhibitor
		0,760	0,006	Glutamine-phenylpyruvate transaminase inhibitor
		0,729	0,006	Amine dehydrogenase inhibitor
		0,700	0,001	Diaminopimelate epimerase inhibitor
		0,663	0,007	Antimycobacterial
		0,655	0,003	Maillard reaction inhibitor
		0,635	0,005	Phenylalanine(histidine) transaminase inhibitor
		0,606	0,005	Antituberculosic

2. შესწავლილია ადრე სინთეზირებული დიპიროლობენზოქინოქსალინის რიგის ფიშერის ფუძის ბიფუნქციონალური ანალოგის ფორმილირება ვილსმაიერის რეაქციის მიხედვით სუბსტრატისა და ვილსმაიერის კომპლექსის სხვადასხვა თანაფარდობის პირობებში. 1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,8,8-ტეტრამეთილ-2,7-დიმეთილიდენდიპიროლო[1,2,3-d,e:3,2,1-i,j]ბენზო[g]ქინოქსალინის ფორმილირებისას ფუძისა და ვილსმაიერის კომპლექსის მოლური თანაფარდობისას -1:5, 40^{0}C-ზე 30 წთ-ის მორევის შემდეგ, დიალდეჰიდის **2** წარმოქმნასთან ერთად, სარეაქციო არეში ქრომატოგრაფიულად ისევ შეინიშნება საწყისი ფიშერის (1) ფუძის არსებობა. ტემპერატურის მომატება **60**^{0}C-ზე იწვევს სარეაქციო არის ფერის მკვეთრ ცვლილებას, საწყისი მოყვითალო-წითელი შეფერილობა იცვლება ინტენსიური ლურჯი შეფერილობით. რეაქციის შედეგად გამოყოფილი იქნა ლურჯი კრისტალები, რომელთაც ჩატარებული სპექტრალური ანალიზის შედეგად მიეწერა რეაქციის ანომალური პროდუქტის ტრიმეთინური ციანინის სტრუქტურა **3** ანალოგიურად ნაერთისა **3a,** რომელიც წარმოიქმნება ინდოლინური ფიშერის ფუძის ურთიერთქმედებისას ფიშერის ალდეჰიდთან.

სქემა 2



ფიშერის ფუძის (**1**) ფორმილირება ჩატარებულ იქნა ასევე ჰელმუტ-ფრიტცის მიხედვით 35°C ვილსმაიერის კომპლექსის დიდი სიჭარბის (1:45) პირობებში 2 საათის განმავლობაში. ამ პირობებში გამოყოფილ იქნა ფიშერის ალდეჰიდის ბის-ანალოგი - 2,7-დი(ფორმილ-მეთილიდენ)-1,4,5,8-ტეტრაჰიდრო-1,1,8,8-ტეტრამეთილდიპიროლო[1,2,3,d,e:3,2,1-i,j]ბენზო-[g]ქინოქსალინი (**2**) 67% გამოსავლიანობით.


ნაერთის **5** UV, ЯМР-^{1}H და მასს-სპექტრების მონაცემები არ ეწინააღმდეგება წარმოდგენილ სტრუქტურას.

ამრიგად, დიპიროლობენზოქინოქსალინის რიგის ფიშერის ფუძის ბის-ანალოგის ფორმილირებისას ვილსმაიერის რეაქციის პირობებში 60^{0}C ჩვენს მიერ გამოყოფილია ანომალური პროდუქტი - ტრიმეთინური ციანინი, რომლის მიღება შეიძლება აიხსნას თავდაპირველად წარმოქმნილი დიალდეჰიდის (**2**) ინტერმედიატის - ბისდიმეთილამინოვინილური ნაწარმის **A** - კონდენსაციით საწყის ფიშერის ფუძესთან

2.2პროექტის მიზანია, პეტრიწის ფილოსოფიის კვლევა შუა საუკუნეების ბიზანტიურ ფილოსოფიასთან მიმართებაში, შინაარსობრივი შედარებების საფუძველზე. ბიზანტიური ფილოსოფიიდან, კვლევა მოიცავს მიქაელ ფსელოსის, ნიკოლოზ მეთონელისა და გეორგიოს გემისტოსის შემოქმედებას. შესრულებულია შედარებითი კვლევა განგებისა და ბედისწერის, გონების, პლატონისა და არისტოტელესადმი დამოკიდებულების საკითხში (აქედან ნაწილი აისახა პუბლიკაციებში და საკონფერენციო მოხსენებებში, იხ. ჩამონათვალი ქვემოთ). 2022-2023 წელს

იგეგმება კვლევის გაფართოვება ფსელოსის Philosophica minora-ში შემავალი ნაშრომების გათვალისწინებით, აგრეთვე პლეთონის გარემოცვის ჩართვით (გიორგი სქოლარიოსი, კარდინალი ბესარიონი). ეს შექმნის საფუძველს მომავალში ანალოგიური თემების პარალელური კვლევისთვის იტალიურ რენესანსში.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

2.1. დემიურგის საკითხის კვლევა იოანე პეტრიწის შრომაში

2.2. პლატონისა და არისტოტელესადმი დამოკიდებულების კვლევა იოანე პეტრიწისა, მიქაელ ფსელოსის, ნიკოლოზ მეთონელისა და გეორგიოს გემისტოს პლეთონის ფილოსოფიებში

2.3. 'ნუსის' (გონება) საკითხის კვლევა მიქაელ ფსელოსის, იოანე პეტრიწისა და ნიკოლოზ მეთონელის ფილოსოფიებში

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2.1. 2020-2021

2.2. 2019-2021

2.3. 2020-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

2.1. ლელა ალექსიძე

2.2. ლელა ალექსიძე (ქართველ და უცხოელ კოლეგებთან თავისუფალი თანამშრომლობის საფუძველზე: აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კონფერენციებში, ვორკშოპებში და საერთო პუბლიკაციებში მონაწილეობა)

2.3. იგივე რაც 2.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.1კვლევა წარმოადგენს დემიურგის და, შესაბამისად, პლატონის "ტიმაიოსის" კვალის ანალიზს პეტრიწის კომენტარებში პროკლეს თეოლოგიის საფუძვლებზე". ეს გულისხმობს გონების სხვადასხვა ასპექტების ანალიზს, აგრეთვე შემოქმედებითი მიზეზის საკითხს. პროექტის შედეგები გამოქვეყნებულია სტატიის სახით ინგლისურ ენაზე. ანოტაციისთვის იხ. ქვემოთ, 6.4: "The Demiurge in Ioane Petritsi's Commentary on Proclus' Elements of Theology".

2.2კვლევა ითვალისწინებს პლატონისა და არისტოტელესადმი დამოკიდებულების შესწავლას იოანე პეტრიწისა და პლეთონის ფილოსოფიაში. კვლევა გამოქვეყნდა სტატიის სახით ინგლისურ ენაზე, ანოტაციისათვის იხ. ქვემოთ, 6.4: "Petritsi and Plethon on the Differences of Aristotle from Plato", აგრეთვე 7.1.: "Aristotle in Neoplatonic context: Michael Psellos, Nicholas of Methone, Ioane Petritsi".

2.3კვლევა მოიცავს გონების საკითხის ანალიზს მიქაელ ფსელოსის, იოანე პეტრიწისა და ნიკოლოზ მეთონელის ფილოსოფიებში. კვლევის შედეგები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია, ნაწილობრივ კი წარმოდგენილი იყო საკონფერენციო მოხსენებების სახით, გადაცემულია ან მზადდება გამოსაცემად გადაცემისთვის. ანოტაციებისთვის იხ. ქვემოთ, 5.5.: "განგება, ბედისწერა, ჩვენ: ნეოპლატონური პარადიგმები პეტრიწსა და პლეთონთან", აგრეთვე 6.4.: "Michael Psellos and Ioane Petritsi on Intellect"; "La hiérarchie ontologique dans le commentaire de Ioane Petritsi sur les *Éléments de théologie* de Proclus", 7.2.: "Nicholas of Methone and Ioane Petritsi on Intellect"

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. **„ანთიმოზ ივერიელი-ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“ (# FR-19-7625) ფუნდამენტური კვლევები/ ფილოსოფია**

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2020 მარტი-2022 მარტი

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი-ანასტასია ზაქარიაძე

პროექტის კოორდინატორი -გიორგი გრიგოლაშვილი

პროექტის ძირითადი პერსონალი: დეკანოზი ალექსი ქშუტაშვილი, ირაკლი ბრაჭული, დემურ ჯალაღონია, ვალერიან რამიშვილი

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის მეორე ეტაპზე გაგრძელდა სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება, ტექსტების რუმინული და ბერძნული ტექსტების თარგმანი და ანალიზი, მუშაობა მონოგრაფიაზე და ანთიმის ტექსტების ინგლისურად თარგმანი და სამენოვანი პარალელური ტექსტების კრებულის მომზადება, ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის ისტორიული, კულტურული და თეოლოგიური სიტუაციის ანალიზი. პროექტში ჩართულ უცხოელ ექსპერტთან ბუქარესტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ვიორელ ვიზურეანუსტან მიმდინარეობდა კონსულტაციები უწყვეტ რეჟიმში, ზუმის პლატფორმაზე, სკაიპ ჩართვების სახით და სხვა ელექტრონული კომუნიკაციის ფორმის გამოყენებით, მომზადდა ორი საერთაშორისო კონფერენციისათვის და ერთი საფაკულტეტო კონფერენციისათვის ანალიტიკური მოხსენებები, რომლის მასალები გამოქვეყნდა ელექტრონულად, ასევე ჩატარდა მეორე თეორიული სემინარი თეზისები განთავსდა ელექტრონულად, ჩატარდა სტუდენტთა ვორქშოფი ახალციხეში, ანთიმოზ ივერიელის ელექტრონული ბიბლიოთეკაში განთავსდა ელექტრონული წიგნები,პროექტით გათვალისწინებული ანთიმოზ ივერიელის თხზულებების თარგმნილი და კომენტირებული ტექსტები. პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, ერთერთ ამოცანად დაგეგმილი იყო სამეცნიერო მივლინება რუმინეთში. იგი შედგა 2021 წლის 26 სექტემბერი-01 ოქტომბერს. სამეცნიერო მივლინებაში ჩართული იყო სამი პირი: პროექტის ხელმძღვანელი თსუ ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი ა.ზაქარიაძე, და ძირითადი შემსრულებლები: თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, დეკანოზი ალექსი ქშუტაშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი ირაკლი ბრაჭული. მივლინების ყოველი დღე გაწერილი

იყო ჩვენი სტუმრების : რიმნიკუს ეპარქიის ეპისკოპოსის, თეოლოგიის დოქტორის ვენიამინის მიერ და ბუქარესტის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანის, პროექტის კონსულტანტის პროფ. ვიორელ ვიზურეანუს მიერ. რიმნიკუს რეგიონში, სადაც მოღვაწეობდა ანთიმოზ ივერიელი როგორც რიმნიკუს ეპისკოპოსად. აქ ანთიმი ფართოდ შლის თავის სასტამბო-განმანათლებლურ საქმიანობას, აშენებს და აღადგენს აარა ერთ მონასტერს. ჩასვლითანავე ანთიმოზი მოაწყობს ახალ სტამბას, სადაც იმავე წელს ბერძნულ ენაზე ბეჭდავს პოლემიკური შინაარსის დოგმატურ წიგნს *„სიხარულის ტომი“.* ხოლო რუმინულ ენაზე ბეჭდავს *„ანტოლოგიონს“* , ასევე ბეჭდავს რუმინიულ ენაზე, თავის პირველ ორიგინალურ ნაშრომს *„მოკლე სწავლება სინანულის საიდუმლოს შესახებ“*,მას მოყვება არაერთი წიგნი სხვადასხვა ენებზე. 1708 წელს ანთიმოზ ივერიელი გადადის ბუქარესტში, სადაც მას ირჩევენ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად.

რიმნიკუს რეგიონის მთავარი ქალაქი რიმნიკუ ვალჩეა და ზოგადად მთელი ეს რეგიონი ანთიმის პატრონტაჟის ქვეშაა. შესაბამისად, მისი ხსენების დღეს აღინიშნება ქალაქის დღეც-იმართება ანთიმისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიება-სამეცნიერო კონფერენციები, საზეიმო ლიტურგიები, გამოფენები, საზეიმო კონცერტები და სხვ. ჩასვლისთანავე ქართული დელეგაცია შეუდგა მუშაობას. მათ მოინახულეს კოზიას მამათა სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ანთიმის ეპისკოპოსობის პერიოდში დასრულდა. ამ კომპლექსში არსებული კარის ეკლესიის კედელზე შენარჩულებულია ანთიმის სიცოცხლეში შესრულებული ფრესკა. გაეცნენ ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნად ფომდს და ხელნაწერებს/ასლებს. მუზეუმში დაცულ არტე ფაქტებს.

საღამოს პროექტის მონაწილეები ჩაერთნენ ანთიმის სახელობის სამონასტრო კომპლექსის სააქტო დარბაზში გამართულ სამდღიანი სამეცნიერო კონფერენციის „ანთიმოზ ივერიელი-სულიერი, კულტურულ-საგანმანათლებლო და მხატვრული აქტივობის კომპლექსური მანიფესტაცია“ მუშაობაში. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ „წმ. ანთიმოზ ივერიელის“ კულტურული ფონდი და ასევე მედიევისტიკისა და ადრე მოდერნის შესწავლის ცენტრი“ანთიმოზ ივერიელი“. კონფერენციზე მოხსენებებით წარსდგნენ ქართველი მეცნიერებიც. ნაყოფიერი საკონფერენციო დღეების მანძილზე დელეგაციის წევრები შეხვდნენ არაერთ მეცნიერს, რომელიც ანთიმის და მისი ეპოქის პრობლემებს იკვლევენ. მათ შორის პროფ. იოანე ლაზარს, რომელიც ანთიმის შესახებ კვლევის ავტორია. მან ქართველი სტუმრებს გადასცა წიგნები, მათ შორის საკუთარი მონოგრაფია-“ანთიმოზ ივერიელი-ქრისტიანობის მქადაგებელი“. კონფერენციის ორგანიზატორებმა შესთავაზეს ქართველ მეცნიერებს პუბლიკაციების მომზადება ანთიმოზ ივერიელისადმი მიძღვნილ ჟურნალში დასაბეჭდად. ხოლო საზეიმო ლიტურგიის დასრულების შემდეგ მამა ალექსი მიწვეული იყო საჯარო ქადაგებისთვის. მან ისაუბრა ათიმოზ ივერიელის ღვაწლზე და ასევე ქართთული სამეცნიერო დელეგაციის მიზნების შესახებ. მომდევნო დღეებში ქართველი მკვლევარებმა იმუშავეს მონატრების-ტრაიანი, ოზერო, გოვორა, ტულჩეა,ბისტრიცა, რიმნიკუ-ვალჩეა, ფედელეშოიუ და სხვ. ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში. მოიპოვეს მდიდარი მასალა-ანთიმის პერიოდის არტეფაქტების, სამუზემო ექსპონატების, მონოგრაფიების, ხელნაწერთა სახით. ყველა მასალა ფოტოებზეა წარმოდგენილი. მივლინებაში ნაყიდი და საჩუქრად მიღებული წიგნები გადაეცემა ანთიმის კუთხეს, ელექტრონული მასალა კი გადაეცემა ასატვირთად ანთიმის ბიბლიოთეკას. ბუქარესტში გატარებული დრო ასევე ძალიან ნაყოფიერი გამოდგა მომავალი გეგმებისა და სამეცნიერო კვლევების მიმათულებით. ერთის მხრივ თეოლოგებთან, მეორეს მხრივ ფილოსოფოსებთან შეხვედრებმა მდიდარი მასალა მოაპოვებინა ქართველ მეცნიერებს.

გამოვყოფთ რუმინეთის საპატრიარქოს სინოდის ბიბლიოთეკაში გატარებულ დროს, მისი ხელმძღვანელის, თეოლოგიის დოქტორ პოლიკარპე ჩიტულესკუს მიერ მოწყობილი უძველესი გამოცემების გამოფენაზე გამოტანილი მდიდარი მალასების გაცნობას. აქვე გაიმართა ანთიმის მკვლევარ მიქაელ სტანჩიუსთან შეხვედრა. ფილოსოფიის ფაკულტეტზე გაიმართა შეხცედრები ფაკულტეტის პროფესორებთან, პროექტის უცხოელ კონსულტანტთან პროფ. ვიზურეანუსთან.,

დელეგაციამ იმუშავა ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში, გაეცნო ახალ პუბლიკაციებს, დაისახა მომავლის საინტერესო გეგმები. თბილისში ჩატარდა მივლინების ანგარიშის საჯარო პრეზენტაცია. თსუ გაზეთში განთავსდა შესაბამისი მასალა, სადაც გაშუქდა სამეცნიერო მივლინება რუმინეთში.
პროექტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ჩატარდა დაგეგმილი ვორქშოპი ახალციხის უნივერსიტეტში. მასში მონაწილეობდნენ ანატასია ზაქარიაძე - პროექტის ხელმძღვანელი, გიორგი გრიგოლაშვილი - პროექტის კოორდინატორი, დემურ ჯალაღონია - პროექტის ძირითადი პერსონალი, ირაკლი ბრაჭული - პროექტის ძირითადი პერსონალი, ვალერიან რამიშვილი - პროექტის ძირითადი პერსონალი, დეკანოზი ალექსი ქშუტაშვილი - პროექტის ძირითადი პერსონალი. ასევე თსუ ფილოსოფიის მიმართულების სტუდენტები. ახალციხის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა პროექტის პრეზენტაცია. მასში მონაწილეობას იღებდნენ ახალციხის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, მიმდინარეობდა ასევე ონლაინ ჩართვის რეჟიმში დაინტერესებული პირების დასწრება. პროექტის აქტუალურ თემებზე ისაუბრეს პროექტში ჩარტულმა პროფესორებმა და სტუდენტმა რომელიც მუშაობა ანთიმოზ ივერიელის მემკვიდრეობის კვლევაზე. ვორქშოფი გაშუქდა ტელევიზიით. მივლინების მონაწილეებმა მოინახულეს ანთიმის სოფელი უდე, იქ განლაგებული სამონასტრო კომპლექსი.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.
2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1.

2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1.

2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1.

2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1.

2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.1 დემურ ჯალაღონია-შემდგენელი და სამეცნიერო რედაქტორი
6.1 ირაკლი ბრაჭული
9.1. მამია სურმავა
10.1. ნანა გულიაშვილი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.1 .ყოფიერების მეტაფიზიკური და ანთროპოლოგიური ასპექტები ფილოსოფიაში (ადამიანის მეტაფიზიკური და ეგზისტენციალური ,,წუხილები''), ISBN978-9941
6.1„ზეკაცის ჰერმენევტიკა. ჰიეროფანიები და ენერგეტიკული პარადოგმები“
9.1პოლიტიკის ფილოსოფიის კონცეფტები. დემოკრატია,ISBN 978-9941-33-100-8
10.1. . რომანტიზმის ესთეტიკა

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თსუ საგამომცემლო პროგრამა ლოგოსი
6.1თბილისი, გამომცემლობა „აქტი“
9.1.თბილისი, „უნივერსალი“
10.1. გადაცემულია გამოსაცემად, გამომცემლობა ,,მერიდიანში“

4) გვერდების რაოდენობა
1.1. გვ.284
6.1. 240
9.1. 235 გვერდი
10.1. 230 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.1ვაჟა ნიბლაძის უაღრესად ორიგინალური ნაშრომი ონტოლოგიის ფუნდამენტურ საკითხებს და ექსისტენციალურ პრობლემებს ეძღვნება. მისი კვლევის სფერო მოიცავს სხვდასხვა ეპოქებსაც.

ნაშრომი წარმოადგენს მეტად რთული და საინტერესო მოაზროვნეების შემოქმედების სისტემურ განხილვას და ახალი თვალსაზრისით დალაგებას...

სამყაროს ნებისმიერი მსოფლმხედველობრივი (მათ შორის ფილოსოფიური) სურათი დაფუძნებულია ყოფიერების (საერთოდ არსებობის) რაობის გარკვევაზე. შესაძლოა ეს იყოს ყოფიერების პრობლემის სპეციალური კვლევა, ანდა მისი “მიღება”, აღიარება მისი ამა თუ იმ, უკვე არსებული გადაწყვეტისა.

ადამიანი, როგორც მსოფლმხედველობრივი არსება, წარმოადგენს "ყოფიერების გაგების მიხედვით ყოფნას" (ჰაიდეგერი) [1].

საერთოდ, ნებისმიერი მსოფლმხედველობა ყოველთვის გარკვეულ ღირებულებებს ეყრდნობა და ამა თუ იმ ღირებულებათა იერარქიის გამოხატულებას წარმოადგენს. ხოლო არსებობა, ყოფნა, იმთავითვე დადებით პრედიკატად იქნა მიჩნეული. ღირებულებათა საფუძველში იქნა ჩადებული, როგორც ნებისმიერი ღირებულების უმთავრესი ატრიბუტი[2]. საქმე არსებობის (ყოფნის) "როგორობას" (რომელობას) ეხებოდა.

არსებობის, როგორც ასეთის, ფარგლებს "გარეთ" ჩვენი ცნობიერება პრინციპულად ვერ გადის. არა-არსებული, როგორც ასეთი (პარმენიდეს "არარსი", ნეოპლატონიზმის "ზეარსი", არსებობა-არარსებობის გარეთ მდგომი "ლოგიკურის" სფერო ლასკთან, ჰაიდეგერის "არარა", ნუცუბიძის "არსებულზე მეტი", ანდა ეგრეთ წოდებული "ჯერარსი", როგორც გარკვეულ ღირებულებათა ერთობლიობა და ა.შ.), ჩვენს წარმოდგენაში არსებულის სახით მაინც, უკვე იძენს რაღაცდაგვარი არსებულის სტატუსს, ანუ გარკვეული სახით არსებობას უკვე გულისხმობს. არსებობისაგან მთლიანად "დაცლილი", ჩვენი ცნობიერების ველში ვერ შემოვა, რადგანაც ცნობიერების ველში შემოსვლა უკვე ყოფნაა, თუნდაც მხოლოდ, როგორც ჩემი ცნობიერების მიერ წარმოდგენილი, წარმოსახული, მოაზრებული ამა თუ იმ სახით (მატერიალური, არამატერიალური, რეალური, ირეალური, ფსიქიკური, ლოგიკური, იდეალური, ზებუნებრივი, ტრანსცენდენტური, იმანენტური, "ჯერარსული" და ასე შემდეგ. რაც გნებავთ ის დაარქვით). ამის დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ჰუსერლის "წმინდა მე", როგორც ინტენციონალობა (მიმართულობა რაიმეზე, საკუთარი თავის ჩათვლით), რომელიც ჰუსერლის გულმოდგინე მცდელობის მიუხედავად – არსებობისაგან "განთავისუფლებული" სახით ყოფილიყო "დაჭერილი", ისევ და ისევ, ერთ-ერთ არსებულად (მართალია სპეციფიკურ, განსაკუთრებულ არსებულად) იქცა, როგორც "წმინდა ცნობიერების" მიერ საკუთარი თავის "წმინდა არსებობის" რანგში დანახვა (რაც დეკარტის "Cogito"-ს საზღვრებში დარჩენას ნიშნავს). ანუ არსებობის საკითხის მორიგი გადაწყვეტა გამოვიდა.

ჩვენს ცნობიერებას თუ რაიმე აქვს თანდაყოლილი, შინაგანი და უმთავრესი (აპრიორული, როგორც კანტი იტყოდა), ეს არის არსებობის "სათვალით ცქერა". ყველაფრის (მათ შორის სკუთარი თავის) "დანახვა" რაღაცდაგვარ არსებულად. არსებობის "სათვალით ყურება", ჩვენი ცნობიერებისათვის "ჭვრეტის" უზოგადესი აპრიორული ფორმაა. იგულისხმება როგორც გრძნობადი ჭვრეტა, ასევე რაციონალური და ირაციონალური.

ზოგადად, ღირებულება იზომება იმისდა მიხედვით, თუ რა სახის არსებობა "მიენიჭა" (ან ჰქონდა) ჩვენი ცნობიერების "თვალში" ამა თუ იმ ცალკეულ საგანსა თუ მოვლენას. მოჩვენებითი თუ ნამდვილი, დროებითი თუ მარადიული, ჭეშმარიტი თუ მცდარი, გრძნობადი თუ რაციონალური და ასე შემდეგ[3].

პირველ რიგში რას ნიშნავს, ღმერთის მიერ სამყაროს "შექმნა", თუ არა არსებობის "გაჩენას". ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად თუ პირიქით (ასეთი თვალსაზრისიც არსებობს), ორივე შემთხვევვაში საკითხი დგას, პირველ რიგში, არსებობის შესახებ. "ღმერთობის" უპირველესი ატრიბუტი მისი უეჭველი არსებობაა [4]. ღმერთის "ნათლობის" სახელია არსებობა – "მე ვარ რომელი ვარ"; "მე ვარ მყოფი"; "მე ვარ ღმერთი მყოფი, რომელი ვარ". ბიბლიის მიხედვით ღმერთი თავის თავს ყოფნად, არსებობად მოიხსენიებს; საკუთარ თავს არსებობას ეძახის სახელად (შესაქმე, 3, 14)[5]. ამას ეფუძნება ღმერთის არსებობის დასაბუთების ე.წ. ონტოლოგიური არგუმენტიც – ღმერთის ცნებიდან მისი არსებობის გამოყვანა, რაც კანტის აზრით, მთელი მანამდელი ფილოსოფიის ძირითად საქმედ ითვლებოდა.

ამდენად, გარკვეულწილად, მსოფლმხედველობრივი (მათ შორის ფილოსოფიური) ცნობიერების განვითარების გზა, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ყოფიერების და მის შესახებ სპეციფიკური განსჯის (ყოფიერებაზე აზროვნების) ცვალებადობის ისტორია.

ზოგადად ცნობიერების[6], კერძოდ კი აზროვნების ბუნების, მისი არსების სხვადასხვაგვარი განსაზღვრებები ფილოსოფიის ისტორიაში საკმაოდ ბევრია. ერთ-ერთი მათ შორის უდაოდ არის აზროვნების გაგება, როგორც (საერთოდ) არსებობის გაცნობიერების, მისი დადასტურების ან უარყოფის ყველაზე საიმედო საშუალება, ინსტრუმენტი, გნებავთ უტყუარი მოწმე. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლაპარაკია მეტაფიზიკური სფეროს არსებობის შესახებ და არა მხოლოდ გრძნობად-აღქმად სინამდვილეზე. მეტაფიზიკური ყოფიერების აღმომჩენი (ვინიცის, შეიძლება "გამომგონებელიც") ხომ ჩვენი ცნობიერებაა, თავისი გამოვლენის უმაღლეს საფეხურზე, რომელსაც საკუთრივ აზროვნება ეწოდება სახელად, და უკვე სოფისტების მტკიცებით, წარმოადგენს უმთავრეს მოწმეს და მსაჯულს "არსებულისა, როგორც არსებულისა და არარსებულისა, როგორც არარსებულისა". (აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოფისტებამდე პარმინდეც ლაპარაკობდა აზროვნებაზე, როგორც ყოფიერების მთავარ "მოწმეზე" – "…Единственный «свидетель» бытия в мире – это мысль. Только она, по выражению Парменида, видить, что «отсутствующее присутствует»"[7]. აქ იგულისხმება სწორედ "მეტაფიზიკური, სუბსტანციური არსი", რომელიც შეგრძნებებში და აღქმებში არ გვეძლევა. ის რასაც შეგრძნებებით და აღქმებით ვწვდებით, პარმენიდესთვის ხომ არანამდვილი, წარმავალი და მოჩვენებითია).

6.1თანამედროვე აზროვნების ე.წ. „ნეოკონსერვატორული ნაკადი" ამ პუნქტში „ბიბლიურ მსოფლმხედველობას" ემყარება. მადლის ბიბლიური გაგების თანახმად, პირველადამიანმა საკუთარი ნებით გაიუცხოვა უქმნე¬ლი ენეგიები. ცოდვითდაცემიდან სულთმოფენობამდე, ბიბლიის დასაწყისიდან სახარების დასასრულამდე, უქმნე¬ლი ენერგიები-განმაღმრთობელი მადლი – უცხო ხდება ადამიანური ბუნებისათვის, მისი არსებობის ბაზისური ფორმისათვის, რასაც სოციოლოგები „ცხოვრების წესს" ან „ყოველდღიურობას" უწოდებენ. მხსნელი ქარიზმა აღარ ეძლევა კერძო ადამიანს. ქარიზმა მასზე მხოლოდ გარედან ზემოქმედებს, მაშინაც კი როცა რჩეულში შე¬დის იგი მისთვის დროებით მინიჭებულ გარეგან და უცხო ძალად რჩება. არც ერთი ქარიზმატი ძველი აღთქმისა მას პირად თვისებად არ აღიქვამს. ქარიზმა არც კი ეხება პიროვნების არსს, ისე `გადმოდის მასზე" და ასევე `განეშორება მას". ქარიზმატი გარეგანი ძალის ინსტრუმენტია. ასე¬თია ძველი აღთქმის სპონტანური ქარიზმატიზმი; ასეთი ინსტრუმენტები არიან ძველი წინას¬წარმეტყველნი. გან¬ღმრთობა ანუ პიროვნების მადლისმიერი შეერთება ღმერთთან შეუძლებელი ხდება. მადლმა მიიღო ყოველდღიური ცხოვრების სამეფოსადმი უცხო და რეპრესიული იდეოლოგიური სუპერსტრუქტურის სახე.

ძის ჰიპოსტასის გამოცხადებით გაიხსნა პიროვნუ¬ლი განღმრთობის ჰორიზონტი. შესაძლო გახდა მადლის შინაგან-ექსისტენციალური მიღება და პერსონული შეწყნარება: ორი ნების თანაშემწეობა – დიოფიზიტური სინერგია. ძის მეოხებით ადამიანის ზოგადი ბუნება შეუერთდა სამებას, ხოლო სულიწმინდის ცხოველმოქმედებით თითოეული ქრისტიანი იქცა სამების ქმნილ ჰიპოსტასად.

მადლი შემოდის სწორედ ყოველდღიურობის ყველაზე რეალურ ზონაში, ე.ი. იმ ზონაში, რომელიც „აქ და ახლა" უშუალოდ ხელმისაწვდომია. ქრისტეს მეშვეობით „არაქმნილი ენერგია" ობიექტურობიდან გადავიდა ინტერსუბიექტურ სამყაროში, რომელსაც თითოეული სუ¬ბი¬ექტი იზიარებს სხვა სუბიექტებთან ერთად.

`ცხოვრება ქრისტეში" – ესაა უწყვეტი ძალისხმევა მადლის შეწყნარებისათვის. ქმნილებისეული ჰიპოსტასების „პერსონალურ ბირთვში"(მ. შელერი) მუშაობს თავისუფალი ნება, რომელიც მუდმივად ახორციელებს არჩევანის აქტებს. მცდარ არჩევანს შეუძლია მადლისგან შეუღწევადი გახცადოს ქმნილი ჰიპოსტასი. რაკი ყო-ველი პიროვნება მიწყივ არჩევანშია, ამიტომ მიწყივ იმყოფება „მადლის დინამიკურ მდგომარეობაში" ყოველი ქრისტიანი, ანუ ყოველი ქმნილი ჰიპოსტასი სამებისა ყოველთვის მეტ ან ნაკლებ, ხან მეტ და ხან ნა¬კ¬ლებ მადლშია და ამავე დროს ყველანი ყოველთვის მეტად ან ნაკლებად მადლსმოკლებულნი არიან.

საეკლესიო იერარქია – პატრიმონალური ტიპის სასულიერო ხელისუფლება – საწესჩვეულებო და რიტუალურ თანაყოფიერებაშია სამებასთან. ამაშია ხსნის რეგულარული ქარიზმატიზმი, ან როგორც ვებერი იტყოდა „ინსტიტუციონალური მადლი". ვლ. ლოსკი აღნი¬შ¬ნავს, რომ ცოდვის დეტერმინიზმიდან არ უნდა ჩავვარდეთ ხსნის დეტერმინიზმში. საწესჩვეულებო და რიტუალური მხარისადმი ჭარბი რწმენა „ხსნის მაგიად" აქცევს კონფესიურ ლიტურგიას. ვლ. ლოსკი ამ პოზიციაში ხაზს უსვამს ექსისტენციალური ასპექტის მნიშვნელობას. ადამიანის შინაგან ძალისხმევას წილი უძევს თვით საიდუმლოს ქმედითობაში. იგი მონაწილეობს ხსნის ყველა მუხლში.

`ექსისტენციალური დროის პირველადი ექსტატიურ-ჰორიზონტულობიდან", ძრწოლისა და სინდისის გამოცდილებიდან და იმ ესქატოლოგიური განწყობებიდან, რომელთა წყაროები ადამიანის კონტროლს გარეთაა, შესაძლო ხდება ხსნის კომფესიური ჰორიზონტის შესა¬კუთრება. ამგვარ შესაკუთრებაში „უქმნელი ენერგია" ეხება ადამიანის „შინაგან პერსონულ ბირთვს", რომელიც ყოველ ცალკეულ ქცევაში თავისებურად რეალიზდება. სინდისის მამხილებელი შეტყობინება ფილოსოფიურ დისკურსში უადრესატო ძახილია, ხოლო რელიგიურ საწიერში სინანულის საიდუმლოს აღსრულებასა.

ალბერ შვაიცერმა ერთგან შენიშნა: „სინდისი, რომელიც არ ქეჯნის, ეშმაკის მონაჩმახიაო". სინდისი ქეჯნით მუშაობს. იგი გვწვავს. ესაა სიყვარულის (სიმპატიის) ყველაზე ელემენტარული და ამავე დროს ყველაზე საწყისური აპოფატური ფორმა. სინდისის, როგორც `მამხილებელი გონების" ძალა მხოლოდ სინანულის საიდუმლოში გარდაიქმნება „შინაგან უქმნელ ენერგიად". კირკეგორი ამბობს მარიამ მაგდალინელზე: `ამ ქალში უძლიერესია ძალა სირცხვილისა, უფრო ძლიერი, ვიდრე თვით სიცოცხლეა". ცოდვილ დედაკაცში შემოდის `სიცოცხლეზე უფრო ძლიერი" უქმნელი ენერგია და იხსნის მას.

ალბერ კამიუ „სიზიფეს მითში" წერს: `სიყვარულში სხვა არჩევანი არ არსებობს: ან დონ ჟუანი უნდა იყო, ან წმინდანი. წმინდანი ირჩევს მარადიულ სიყვარულს, ანუ სიყვარულს, რომლის საფუძველია სიკვდილის შემდეგ უკვდავი არსებობის რწმენა. დონ ჟუანი რჩება მოკვდავი არსებობის ფარგლებში; აქ მას ერთადერთი გზა რჩება: „გამეორება სიყვარულში" ანუ მარადიული კვლავდაბრუნება სასიყვარულო აქტისადმი. ამ უკანასკნელი გზის უპერსპექტივობაზე წინა პარაგრაფებში უკვე იყო ლაპარაკი. ახლა რაც შეეხება იმას, რასაც კამიუ უწოდებს „წმინდანი სიყვარულში~.

სიკვდილი და სიყვარულის ცნებები, გაგებული უფრო ფართო აზრით, ვიდრე ფსიქო-ფიზიკური და სოცი¬ო¬-პოლიტიკური სიდიდეები, მსოფლმხედველობის უძირეულესი პოსტულატებია. სიკვდილის პოზიტიურ ფუნქციაზე უკვე იყო ლაპარაკი.. ახლა რაც შეეხება სიყვარულს. მაქს შელერი ამბობს: `სიყვარული და სიძულვილი ქმნიან ჩვენი ინტენციონალურ-ემოციონალური ცხოვრების უმაღლეს საფეხურს... სიყვარულის აქტი წარმოადგენს აღმომჩენ მოძრაობას, რომლის მდინარება¬შიც მიწყივ ახალი და უფრო მაღალი, მოცემული არ¬სე¬ბისათვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობი ღირებულებანი გაშუქდებიან და გაბრწყინდებიან". მაშასადამე, სიყვარული პიონერივითაა და მიეწერება პირველაღმომჩენის ფუნქცია, ხოლო სიკვდილი – მთლიან პიროვნებად არსებობის კონსტიტუციური ინსტანციაა. ორივე მათგანი განიმარტება, როგორც ყოველდღიურობის მმართველი და მისგან გამყვანი ექსტაზები. არსებობს უღრმესი კავ¬შირი ამ ორ ექსტაზს შორის. იმდენად ღრმაა ეს კავშირი, რომ ბევრი ავტორის აღიარებით, ვისაც განუცდია ერთი, განუცდია მეორეც; ერთის გამოცდილება შეუძ¬ლე-ბელია მეორის გარეშე. სწორედ ამ ორი ექსტაზის ურთიერთგადაკვეთის არეში ხორციელდება მათი საზრისული ურთიერთუზრუნველყოფა. ეს არეა პირველადი სასიცოცხლო გამოცდილებისა და საზრისული, ანუ `უქმნელი ენერგეტიკის" წყარო. სიყვარული მსოფლმხედვე¬ლობ¬რივ მასშტაბში არის რადიკალურად ესქატოლოგიური ცნება და ამდენადაა განუყრელი სიკვდილის ცნებისაგან. აღსანიშნავია, რომ მ. შელერთან სიყვარულის აქტის ღირებულებითი ბირთვი დამოუკიდებელია ცოცხალი ორგანიზმის ორგანიზაციის ყოველგვარი აქამდე ცნობილი სახეობისაგან. ამ დებულების

ფი¬ლოსოფიური უეჭველობა საშუალებას იძლევა სიყვა¬რუ¬ლი გავმიჯნოთ ეროტიული ილუზიისა და თვითგაუცხოებისაგან. აქ იგულისხმება პრინციპული შესაძლებლობის დაშვება.

სიყვარულის ესქატოლოგიური კონცეფცია უდევს საფუძვლად რუსთაველის მსოფლმხედველობას.

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე ძლევა მეც, დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასატანისა,
ცოდვათა შემსუბუქება, მუნ თანა წასატანისა".

`მიჯნურობის" გამომცდელი იღებს `სიკვდილის" ანუ საზრისული დასასრულის გამოცდილებას. მიჯნური უკანასკნელი მნიშვნელობის მქონე ამოცანის აღმსრულებელია.

თეოლოგიური ენით რომ ვთქვათ, აქ მოცემულია `კურთხეული სამკუთხედი": მე-მოყვასი-მესსია ქრისტე. „მომეც სურვილიო". „სურვილი" უნარია. აქ ფონად იგუ-ლისხმება უძლურება `მე"-მ საკუთარი თავით აწარ¬მო¬ოს ხსნა. მხსნელმა `ძალითა მის მიერითა" მიანიჭოს `სა¬სიკვდილო" ანუ ესქატოლოგიური სიყვარული. მაგრამ თვით ამ `უნარის" შინაარსია სიცოცხლის სრული თვითდახარჯვა, უნაშთოდ გაცემა, თვითმსხვერპლშეწირვა, `სა¬კუთარი თავის" დათმობა. სწორედ ამაშია სიყვარულის ქრისტიანული კონცეფციის არსი: `ვისაც თავისი სული უყვარს, იგი დაკარგავს მას, ხოლო ვისაც თავისი სიცოცხლე სძულს ამ წუთისოფელში, იგი საუ¬კუ¬ნო სიცოცხლისთვის შეინახავს მას" (იოანე. 12.25). გად¬მო¬ცემულია რუსთაველისაული სიყვარულის ფორმულით: `რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია", მხოლოდ გაცემულია „შენი", „მუნ თანა წასატანი".

იოანე პეტრიწი არაჩვეულებრივად პოპულარულია ჩვენში. მისი `რეიტინგი" მხოლოდ რუსთაველისას თუ ჩამოუვარდება. პოპულარულია ტექსტი, რომელიც სულ ათიოდე სპეციალისტისათვის თუ იქნება მისაწვდომი. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტია.

პეტრიწის ნააზრევის მთლი¬ანობით გაგებას ესაჭიროება აქტიური გაგებით ჰორიზონტი, რომლითაც იგი შემოვა `ჩვენს დროში", რო¬გორც თანამედროვე და ცოცხალი სიბრძნის ფაქტორი. ასეთი მიდგომა გულისხმობს `პეტრიწის ჰერმენევტიკას".

ჰერმენევტიკა „ჰერმესის" საქმიანობის, მისი ხელობის შესწავლაა. ჰერმესი კი შიკრიკია – ადამიანების „ამბები" ღმერთებთან მიაქვს, ხოლო ღმერთებისას ადამიანებს ატყობინებს. ბერძნული `ანგელოსიც" ქართულად `ღვთის წარგზავნილად" ან `მთხრობელ არსებად" ითარგმნება. ყოველივე რაც არსებობს ისიც და რაც არ არსებობს, მაგრამ არსებულზეც აღმატებულია – ყველანი `მეტყველებითი" ბუნებისანი არიან. მეტყველება „ლაპარაკია", ეს კი ისეთ შეტყობინებას გულისხმობს, რომელიც პასუხგაცემულ-გაგებული უნდა იქნეს.: ყოველი¬ვე `მეტყველებს", `გველაპარაკება", `გვეძახის". ძახილს უნდა გამოეპასუხონ. მაშინ იგი საუბარი – დიალოგი იქნება. ამგვარი კოსმიური საუბარი „ყოველივესი ყოვე¬ლი¬ვესთან" არის სწორედ `პეტრიწისეული ჰერმენევტი¬კა".

პეტრიწის ფილოსოფიაში სამყარო შედგება სართულებრივად განლაგებული შრეებისაგან: 1. ოთხი სტიქი¬ონი: მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი; 2. დიანოიე – სული; 3. ნოემა – გონება; 4. ნამდვილი არსი; 5. ერთებრივ რიც¬ხვთა სფერო; 6. სფერო პირველი საზღვრისა და პირ¬ველი უსაზღვროებისა; პირველმიზეზი, პირველლოგოსი თავის თავიდან გამოასხივებს (ემანირებს) მთელ ამ შრეებს და ისევ თავის თავში აბრუნებს. ამ ღვთიური გამოსხივების საზრისი იმაშია, რომ ესაა `გზავნა", შეტყობინება სხვადასხვა დონეზე. თითოეული ხარისხი სამყაროსი იგივე `ინფორმაციის" საფეხურია. ყოველი მათგანი იმდენად არსებობს რამდენადაც `ცნობას" გადასცემს მომდევნო საფეხურს და იღებს წინამორბედისაგან. აქედან, არსებობის უზენაესი პრინციპი: `რა¬საცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია". ესაა `უქმნელი ენერგეტიკის" ტრფიალის ენერგეტიკის უზუსტესი ფორმულა.

პეტრიწი ამბობს: ყოველი შრე ერთდროულად არის გამგონეც და გასაგონოიც; შემმეცნებელიც და შესა¬მე¬ც¬ნებელიც. არსნი ერთმანეთს (ცნობას) გადასცემენ და იღებენ. ერთმანეთს ეძახიან და გამოეპასუხებიან, - უგონებენ, უჯერებენ, ერთმანეთისა ესმით, უგებენ ერთმა¬ნეთს, უყვართ

ერთმანეთი. სუფევს სიკეთისა და სიყვარულის მონიზმი: ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია”.

ასეთია გაგებითი ყოფიერება, რომელსაც ფილოსოფოსნი, პეტრიწის სიტყვით, `განვმარტავთ შეწევნითა პირველსიტყვისა უფლისა ქრისტესითა”. ის რასაც კამიუ `სიყვარულში წმინდანს~ უწოდებდა მთლიანად ემყარება რელიგიურ ექსისტენცს; მისი დემონსტრირებაა მოცემული თ. დოსტოევსკის `ძმები კარამაზოვების~ ფინალში. ბავშვები ეკითხებიან ალიოშას: „კარამაზოვ, ნუთუ მართალია ის რასაც რელიგია ამბობს, რომ ჩვენ მკვდრეთით აღვსდგებით და გავცოცხლდებით და კვლავ შევხვდებით ერთმანეთს?“ და ალიოშა პასუხობს: „უთუოდ აღვსდგებით, უთუოდ შევხვდებით და მხიარულად, სიხარულით მოვუყვებით ერთმანეთს რაც თავს გადაგვხდა.“

10.1. . წიგნში ,,რომანტიზმის ესთეტიკა“ განხილულია გერმანული ფილოსოფიური იენის რომანტიკოსთა სკოლა. ამ სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც გერმანულ ჟურნალ ,,ათენეუმთან“ თანამშრომლობდნენ. ესენია: ფრ შელინგი, ფრ შილერი, ძმები გუსტავ და ფრ. შლეგელები, ლუდვიგ ტიკი, ნოვალისი. ასევე განხილულია ფიხტეს, კანტის და ჰეგელის გავლენა რომანტიზმის ფილოსოფიის ჩამოყალიბებაზე და გოეთეს შემოქმედება რომანტიზმთან კავშირში.

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

6.1. ირაკლი ბრაჭული

10.1. ნანა გულიაშვილი

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

6.1. „რა არის ფილოსოფია? დამწყებთა წიგნი“ISBN 978-9941-9699-0-4

10.1. ხელოვნების ფილოსოფია

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

6.1. თბილისი, გამომცემლობა „carpediem“

10.1. გამომცემლობა ,,მერიდიანში“

4) გვერდების რაოდენობა

6.1. 170 გვერდი

10.1. 420 გვ.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.1ფილოსოფიის ანბანის შესწავლა ნულოვანი დონიდან. იგულისხმება რომ აქამდე არანაირი საქმე არ გვქონია ამ უცნობ საგანთან. ამ "შესავალმა" უნდა ჩამოგვიყალიბოს ფილოსოფიის ნათლად მოხაზული დიაპაზონი. უფლება გვაქვს ამ წიგნის პირველივე გვერდებიდან მოველოდეთ გაგვაგებინოს რით არის დაკავებული ამ საგნის შემსწავლელი. პირველ რიგში ვიკითხოთ: რამდენად ნულოვანია ჩვენი სასტარტო მდგომარეობა? ამ შეკითხვით, ჩვენ უკვე ვხდებით დამწყები ფილოსოფოსები.

როგორც "ვეფხისტყაოსნის" მკითხველებს და მთხრობელებს ერთხელ მაინც დაგვიმოწმებია ფილოსოფოსი პლატონი. ე.ი. რაღაც შეხება უკვე გვქონია ფილოსოფიასთან. ეს, ასე ვთქვათ, ჩვენი მწიგნობრული წყაროდან. ცხოვრების ყოველდღიურობაშიც ზოგჯერ გაიჟღერებს სიტყვა

"ფილოსოფია". მაგალითად, "რას ფილოსოფოსობ?!" ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც წინასწარი გაგება უკვე გვაქვს იმის შესახებ თუ რა იგულისხმება ამ სიტყვაში.
მაშასადამე დამწყების გონება არ არის უდაბნო, რომელზეც სახლდებიან ფილოსოფიის ელემენტები; არც ჭადრაკის ცარიელი დაფაა, რომელზეც ფიგურები ჯერ არ დაულაგებიათ და არც ცარიელი სასწავლო დაფაა, რომელზეც მასწავლებელმა უნდა დაწეროს გაკვეთილის ფორმულები. დამწყების ინტელექტუალურ აქტივში მოცემულია გარკვეული შინაგანი წანამძღვები, რომელიც შეიცავს "მოფილოსოფოსე" პოტენციას. შესაძლოა ამ "წანამძღვრებს" უფრო ღრმა კავშირი ჰქონდეს ფილოსოფიის რაობასთან, ვიდრე ყველა ფილოსოფიურ მეცნიერებას.
Bმოდით ამ "წანამძღვრებზე" ვთქვათ ცოტა უფრო გასაგებად. ვუწოდოთ მას ცხოვრების მეცნიერებამდელი ან თუნდაც "სტიქიური" გაგება. სწორედ ცხოვრების ამ წინასწარ გაგებაზეა აშენებული მთელი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. ამ "წინმსწრებ გაგებას" ორი წყარო კვებავს:

ჩვენს მიერ წაკითხული "დიადი წიგნები", რომლებშიც ლაპარაკია სამყაროსა და ადამიანის რაობაზე. ასეთი წიგნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია "წიგნთა წიგნი" ბიბლია. ის მოგვითხრობს ღმერთის მიერ სამყაროსა და პირველი ადამიანების შექმნაზე. მათ ცოდვითდაცემაზე და სამოთხიდან განდევნაზე. გარდა ამისა უკვე ვიცნობთ ხელოვნების ქმნილებებს, ან შეიძლება უკვე წაკითხული გვაქვს რომელიმე იმ ფილოსოფოსის წიგნიც, რომლებიც საოცრად ადვილად იკითხება, მაგალითად პასკალის "აზრები" ან ნეტარი ავგუსტინეს "აღსარებანი".

საკუთარი ცხოვრების გამოცდილება, ის რაც გვიცხოვრია და განგვიცდია. ერთი ფილოსოფოსის საფლავს მისივე სიტყვები აწერია. "ორი რამ აღავსებს სულს სულ უფრო მზარდი განცვიფრებითა და მოწიწებით, რაც უფრო ხშირად და დიდხანს ვფიქრობთ მასზე: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს თავზე და მორალური კანონები ჩემში."

ასეთ გამოცდილებას უშუალოდ უკავშირდება სამყაროს და თვითონ ჩემი რაობის გაგება. ამგვარად მე ყოველწამიერად შევიცნობ ჩემი ცხოვრების კავშირებს ყველა ხილულ და უხილავ სამყაროებთან. სწორედ ჩემს მიერ განცდილ ამ განცვიფრებასა და მოწიწებას ძალუძთ მიბიძგონ ძიებისაკენ: რა ხდება? რატომ ხდება? Uუფრო მოგვიანებით დავიწყო შესაბამისი მეცნიერების შესწავლა, რომელშიც ეს ძიება უკვე მეთოდურად წარმართული სისტემატური კვლევის სახეს იღებს. Eეს ის ეტაპია, როცა გვიჩნდება ფილოსოფიასთან როგორც მეცნიერებასთან და სასწავლო საგანთან შეჭიდების სურვილი.
მაშასადამე უკვე ვიცით, რომ ფილოსოფიას ორი წყარო კვებავს: წიგნები და ცხოვრება. რომელი უფრო მნიშვნელოვანია? ილია ჭავჭავაძე გვაძლევს საუკეთესო პასუხს: "არც მთლად უწიგნურობა ვარგა და არც სულ წიგნებიდან ყურება". ვინც ფილოსოფიური ცოდნის შენობაში აპირებს შესვლას, მან უნდა იცოდეს, რომ ფილოსოფოსობა ვერ დაერქმევა "ტვინის ჭყლეტას", რომელიც ცხოვრებას უშუალოდ არ აკვირდება, მაგრამ სასაცილო იქნება ყველა, ვინც შესაბამისი წიგნების წაკითხვისა და სასწავლო საგნების ჩაბარების გარეშე "ფილოსოფოსობს".

ცხოვრებაშიც და წიგნებშიც გვიხდება შეხვედრა სიტყვა "ფილოსოფიასთან". რას ნიშნავს ეს სიტყვა? სად, როგორ, რატომ წარმოიშვა ეს სიტყვა? პირველად ვინ წარმოთქვა იგი? დავიწყოთ ამ ერთი, ერთადერთი სიტყვის შინაარსის გაგებით. შევჩერდეთ ამ ერთი სიტყვის წინაშე. ამით ჩვენ ფილოსოფიის დაბადების მოწმობას მოვიპოვებთ.
რა ვიცით ამ სიტყვის შესახებ? ვიცით, რომ ეს სიტყვა ბერძნულია. ის ორი სიტყვის: ფილეია – ტრფობა და შოფია – სიბრძნე კომპოზიტია. მაშასადამე სიტყვა-სიტყვით ის სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს. ვინ წარმოთქვა იგი პირველად? არ ვიცით! მაგრამ ვიცით, რომ ბერძენი იყო.ვარაუდით ეს იყო პითაგორა (ან შესაძლოა ჰერაკლიტე ეფესელი). მან ცალ-ცალკე არსებული ეს ორი სიტყვა: ფილეა და შოფია

შეაერთა, სამარადჟამოდ შეაუღლა. ჩვენ არა ვართ ბრძენნი, ჩვენ მხოლოდ სიბრძნის მოყვარენი ვართ - უთხრა მან თავის თანამოაზრეებსა და მოწაფეებს.

Eეს მოხდა ჩვ. წ. VI საუკუნეში. აქვე გავიხსენოთ, რომ სწორედ იქ და მაშინ იშვნენ სიტყვები: გეომეტრია, პოლიტიკა, დემოკრატია, მუსიკა და სხვა. მაშასადამე ბერძნული სიტყვა "ფილოსოფია" არის ჩვენი, დამწყები ფილოსოფოსების გზის მაჩვენებელი, რომელსაც მივყვებით და იმედი გვაქვს ამ სიტყვის ქარაგმა რამეს გვაპოვნინებს.

ფილოსოფია ბერძნულია არა მარტო თავისი წარმოშობით, არამედ შეკითხვის დასმის წესითაც. აზროვნება კი სხვა არაფერია თუ არა შეკითხვების დასმისა და მათზე პასუხის ძიების უნარი. ფილოსოფია არის აზროვნების თავისებური წესი, რომელიც საბერძნეთში წარმოიშვა.

ყველა ეს შეკითხვა ყოველთვის ხელახლა განსამარტავი რჩება, მით უმეტეს კითხვა ფილოსოფიის რაობის შესახებ. სიტყვა "სიბრძნის მოყვარე" იმ რიგის სიტყვაა, როგორიცაა სიტყვები: პატივმოყვარე, ვერცხლისმოყვარე და ა.შ. ე.ი. ფილოსოფოსი არის კაცი, რომელსაც სიბრძნე უყვარს, ვინც მასთან მეგობრობს, მასთან თანხმობაში იმყოფება.

სიტყვა "ბრძენი", ქართულ ენაში "ბერძენს" უკავშირდება. ქართული სიტყვა "ბრძენი" გვეუბნება, რომ ბრძენი ბერძენთა წესით მოაზროვნეა. ხოლო ამგვარი აზროვნება არის თვით სიცოცხლის ზეიმი და ცხოვრების აზრი. სამი უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი,- სოკრატე, პლატონი და არისტოტელე ასწავლიდნენ, რომ ფილოსოფია არის მზადება, წვრთნა, ტრეინინგი მარადიული სიცოცხლის ზეიმისათვის. ბერძნებმა სამყაროს პირველმიზეზს მიაწერეს სიცოცხლე და თვითმოძრაობა და ეს შეხედულება გაავრცელეს ზნეობრივ და პოლიტიკურ სფეროზე.

ბერძნებში სამყაროს იდუმალება გაოცებას იწვევდა, მათ შორის გამოირჩნენ კაცები, რომლებმაც შეაბიჯეს გაოცებით გახსნილ თვალსაწიერში და შეუდგნენ ძიების ლტოლვით, ეროსით, ეროტიკით შთაგონებულ საქმიანობას.

ჩვენ ვერაფერს გაუგებთ სიტყვა "ფილოსოფიას" თუ არ გავითვალისწინეთ ძველი საბერძნეთის განმსაზღვრელი ორი ფაქტორი: ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო, პოლისი და მისტერიები, მისნობა, ჯადოქრობა, უკვდავ ოლიმპიელ ღვთაებათა კულტი. პოლისის შესახებ ჩვენ ისტორიიდან ვიცით, რომ ეს იყო მონათმფლობელური დემოკრატია, თავისუფალ მოქალაქეთა არჩევანზე დამყარებული საჯარო დაწესებულებების მმართველობა. ათენის მოქალაქეთა ყურადღებას იქცევდა ერთ უცნაური კაცი სოკრატე, რომელიც ამბობდა: "მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი". ის დადიოდა ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე და ყველას იწვევდა ჭეშმარიტების შესახებ კამათში.

ყველა მნიშვნელოვან საკითხზე ათენის მოქალაქენი დელფოს სამისნოს მიმართავდნენ ხოლმე. სოკრატეს შესახებაც დელფოს მისანს ჰკითხეს: ვინ არის სოკრატეზე ბრძენი? მისანმა ღვთაებათა ჩაგონებით უპასუხა: არავინაა ამ ქვეყნად სოკრატეზე ბრძენი!

არის თუ არა ეს თვით ღვთაება აპოლონის პასუხი? მიუხედავად იმისა, რომ სოკრატეს სწამს უკვდავთა არსებობა, ის მაინც ცდილობს გამოიძიოს პასუხის ჭეშმარიტება. ის ცდილობს იპოვოს თავისზე ბრძენი. ამ ძიებაში მიხვდება, რომ მისნის პასუხი ჭეშმარიტია და ღვთიური სფეროებიდან მომდინარეობს. სოკრატე სხვებზე ბრძენია, იმიტომ, რომ მან არაფერი იცის, მაშინ როდესაც სხვებს ჰგონიათ, რომ რაღაც იციან. მიუხედავად იმისა, რომ სოკრატეს არც ერთი ღვთაება არასოდეს დალაპარაკებია, (შესაძლოა ამიტომაც) საკუთარი და სხვების სიბრძნეს გამოცდას უტარებს ე.ი. ფილოსოფოსობს. და ამ საქმეში წვრთნას სთავაზობს ყველას, ვინც ამას მოისურვებს. სოკრატული გაკვეთილები ტარდება უშუალოდ ქუჩებში, მოედნებზე, ბაზრობებზე, ნადიმებზე სტადიონებზე. ესაა ფილოსოფოსის მისია. ამ მისიის შესრულება სასიკვდილო საფრთხეს შეიცავს. იმის გაგება, რომ მისი ცოდნა სინამდვილეშიი არცოდნაა, ბევრ პატივცემულ მოქალქეს არ სიამოვნებს. მათ სასამართლოში უჩივლეს სოკრატეს.

სოკრატე ათენის სასამართლომ გაასამრთლა ორი მუხლით: უღმერთობა და ახალგაზრდობის გარყვნა. სასამართლომ სოკრატე დამნაშავედ ცნო და სიკვდილით დასჯა მიუსაჯა საწამლავის შესმით. 399 წელს 70 წლის სოკრატემ სიკვდილმისჯილთა საკანში საწამლავი დალია.

სოკრატე არ წერდა, არაფერი დაუწერია. ის თვლიდა, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში, კითხვა-პასუხში, დიალოგში, კამათში იბადება ჭეშმარიტება. ამიტომ უარი უნდა ვთქვათ ჩლუნგ მონოლოგურობაზე და გავაცნობიეროთ ჩვენი არცდონა. მცოდნე ცოდნის მოსაპოვებლად აღარ იზრუნებს.

10.1. . წიგნში - ხელოვნების ფილოსოფია - განხილულია ხელოვნების ფილოსოფიური არსი ხელოვნების წარმოშობიდან პოსტმოდერნიზმის ჩათვლით. ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსების სოკრატე, პლატონი, არისტოტელე მათი აზრი ხელოვნებაზე ზოგადად და ცალკეულ დარგებზე ამ დარგების გარდასახვა ეპოქების შესაბამისად, თუ როგორ იცვლებოდა ხელოვნების იდეალი. კლასიკური და მოდერნისტული ხელოვნება მათი მსგავსება განსხვავებები და დღევანდელი პოსტმოდერნული ხელოვნება. ანტიკური ტრაგედია და კომედია მოდერნისტული აბსურდის თეატრი, ასევე პარალელები ევროპული ხელოვნებასა და აღმოსავლურ ხელოვნებასშორის და მათი ესთეტიკური იდეალების შედარება - ფილოსოფიური ანალიზი. წიგნი განკუთვლილია სტუდენტებისთვის და არა მარტო.

5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

2.1. ვალერიან რამიშვილი

2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

2.1. Problems of personal development in the modern society „Что есть симулякр у делеза“ ISBN 978-966-937-825-5

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

2.1. kharkiv, Ukraine 2021

2.

4) გვერდების რაოდენობა

2.1. ,გვ.80-86

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.1. დელეზის აზრით, მთავარია დავადგინოთ პლატონის მეტაფიზიკის შექმნის პირადი მოტივი და ამ მოტივიდან გამომდინარე შედეგი. პლატონმა ჯერ დაადგინა ონტოლოგიური გათიშულობა და შემდეგ იგი გამოიყენა ადამიანების დაყოფისთვის, თუ მისი თავდაპირველი მოტივი იყო ადამიანების დაყოფა და ამისთვის მოიგონა ონტოლოგიურად გაყოფილი სამყაროს მოდელი? ეს ნიშნავს, რომ პლატონიზმის გაგება და პლატონიზმის დამხობის მიზეზები და შედეგები განსხვავებულია. დელეზი თვლის, რომ ადამიანების დაყოფას განსხვავებული კრიტერიუმებით საფუძველი დაუდო პლატონმა და პლატონიზმის დამხობა ნიშნავს ადამიანების დაყოფის და დახარისხების წესების ცვლილებას და ამ დაყოფის პლატონისეული კრიტერიუმის უკუგდებას.

(მისი აზრით, მან ყურადღება არ მიაქცია სიმულაკრს, როგორც ადამიანის არსებობის განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც დღეს ადამიანის ყოფიერების გაბატონებული ტიპია.

აუცილებელია პლატონის მოტივაციის გაგება და ამ მოტივაციის მცდარობის დასაბუთება. რა არის პლატონიზმის მთავარი შედეგი და რა არის პლატონის ფარული მოტივაცია, რამაც განსაზღვრა პლატონიზმის შექმნა? ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა თვითონ ნიცშეს და დელეზის ფილოსოფოსობის მოტივაციის დადგენაც. სიმულაკრს არ აქვს ბრალის განცდა. პლატონისეული დაყოფის პრინციპი ადამიანის უნერგავდა ბრალის ცნობიერებას. ეს ნიცშესთვის მიუღებელია. ნიცშესთვის მთავარი ექსისტენციალური კითხვა იყო "რატომ". მას აინტერესებდა მისი პირადი უბედურების მიზეზი: რატომ მე? ეს მან დაიმსახურა, რადგან ცოდვილია, ადამიანის იდეას თუ იდეალს არ შეესაბამება თუ ეს სრულიად შემთხვევითი ფაქტია? ნიცშე კითხულობს: რატომ უნდა მქონდეს მე ცოდვილის, ბრალეულის, ნაკლოვანის ცნობიერება და ჩემი უბედურება ავხსნა ამ ფაქტით?

დელეზის აზრით, ადამიანში არ არის არავითარი მისწრაფება სიკეთისაკენ, იდეალისკენ, ადამიანი ესწრაფვის მხოლოდ თავისუფლებისკენ, ყოველგვარი იდეის, იდეალის, სტანდარტის ბატონობისაგან, რასაც ადამიანი უნდა ბამავდეს. ვთქვათ არ უნდა არსებობდეს ადამიანთა დაყოფის და შეფასების არავითარი სტანდარტი, რაც ადამიანთა თანასწორობას და თავისუფლებას ზღუდავს. ამგვარი თავისუფლება ადამიანთა საზოგადოებას ქაოსად ხომ არ აქცევს? ეს არის თავისუფლება ყველაფრისაგან თუ ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ?
რას ნიშნავს და როგორი უნდა იყოს ურთიერთობა ადამიანთან, რომელმაც არ იცის თუ ვინ არის. ხდება ადამიანის მიერ პიროვნულობის გაქრობა. "აღარ არის სწორი შეხედულება. შემეცნების ადგილს იკავებს რაღაც ირონიული შეჯიბრი, შეტაკების ხელოვნება, რომელიც ცოდნისა და შეხედულების მიღმა დევს." ეს არის პლატონიც გამოქვაბულის ადამიანის ყოფიერების წესი. "სიმულაკრში მოცემულია გარკვეული შეშლილობა და გარკვეული შეუზღუდავი ქმნადობა." ამ მარადიულ ცვალებადობას არ აქვს წესრიგი, იგი ქაოსია. თუ სამყარო არის მარადიული კვლავდაბრუნების ქაოსი, მაშინ რას შეაქვს მასში წესრიგი. "მარადიული კვლავდაბრუნება არის ქაოსი, დამდგენი ქაოსის ძალაუფლება." დელეზს არ მოსწონს ადამიანების დაყოფის პლატონისეული პრინციპი და დელეზის აზრით, პლატონმა მოახდინა სიმულაკრის დისკრეტიზაცია, ამიტომ ახდენს სიმულაკრის რეაბილიტაციას, იგი მას მიიჩნევს უსამართლოდ უკუგდებულს და აღიარებს მის შემოქმედებით პოტენციალს. რაც ნიშნავს განსხვავებულობის რეაბილიტაციას, როდესაც ადამიანი განსხვავდება ნორმალურობისგან.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

8. 1. მამუკა დოლიძე

9.1. მამუკა სურმავა

9.2. მამია სურმავა

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

8. 1. kosmiuri harmonia, sicocxlisa da adamianis cnobierebis warmoSoba., gv. 141 – 151. რეცენზირებულია, ჰყავს სარედაქციო საბჭო, ISBN 9783319775159 9783319775166

ნაშრომი ბეჭდურია

9.1. „კ. კაციტაძის ფილოსოფიური შეხედულებები";

9.2„ადამიანი როგორც ექსისტენცია და თავისუფლების პრობლემა ექსისტენციალისტურ ფილოსოფიაში".

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
8. 1. Jurnali - “analeqta huserliana“, tomi 121
9.1. ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედია, http://encyclopedia.ge/ka/authors/28
9.2„აფინაჟი“, https://apinazhi.ge/journal/183--.html

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
8.1. gamomcemloba “Springer”, აშშ. ნიუ ჰემპშირი, ჰანოვერი
9.1. თბილისი
9.2. ქუთაისი

5) გვერდების რაოდენობა
8. 1. გვ. 141-151
9.1.10 გვ
9.2. 20 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

8.1 ესთა სამყაროს წარმოდგენა მხოლოდ ფიზიკური რეალობის სახით აშკარად აფერმკრთალებს იმ ფსიქო-ემოციურ შინაარსს, რასაც კოსმოსი შეიძენს ადამიანის მიმართ. ვარსკლავებით მოჭედილი ცა არის ჩემი ზე-შთაგონების, ჩემი სულიერი შემოქმედების წყარო. დაუშრეტელია ეს შემოქმედებითი ენერგია, რადგან კოსმოსი, როგორც ციურ სხეულთა ნათლით მოსილი მთლიანობა ღიაა პირველყოფილი, უსასრულო ქაოსის წინაშე. მაგრამ ქაოსში დრო და სივრცე ვერ განიცდის ობიექტივაციას. ქაოსის სრული გაურკვევლობა და ინდეტერმინიზმი საფუძველს ვერ ქმნის მიზეზობრივად ჩამოყალიბდეს მანძილისა და ხანგძლივობის საზომი ინტერვალი, რათა სივრცე- დრომ შეიძინოს ფიზიკური აზრი.

მეორე მხრივ, სამყაროს ბიბლიური გენეზისი გვიჩვენებს, რომ პირველყოფილი, ზე-სივრცე-დროული ქაოსი არ არის აზრს მოკლებული წყვდიადი. იგი გაჟღენთილია აზრისეული სიცხადით.

ღვთის სიტყვა, რომელიც იყო უწინარეს საუკუნეთა, შეიძლება გავიგოთ როგორც ქაოსის ფარული ინტენციონალობა კოსმოსის მიმართ. ამ საწყისი მიზანმიმართების შედეგად, უწესრიგობიდან, გრავიტაციული კრისტალიზაციის შედეგად ჩნდება ციურ სხეულთა მოწესრიგებული სისტემა – კოსმოსი. კოსმიური წესრიგის არსობრივ ნიშნად მიგვაჩნია ის, რომ ვარსკვლავთა სფერო გაშლილია დროსა და სივრცეში და პოტენციურად წარმოადგენს ციურ სხეულთა თვითრეფლექსირებად სისტემას. რეფლექსიის სწორედ ამ შესაძლებლობის განხორციელებას წარმოადგენს მატერიის არაორგანული სტიქიიდან ორგანული ბუნების აღმოცენება, ბუნებაში სიცოცხლის გაჩენა და მისი განვითარება ადამიანის ცნობიერების დონეზე. ცნობიერების რეალიზაცია სულაც არ არის შემთხვევითი მოვლენა სამყაროში. ცნობიერება, როგორც უზენაესი წესრიგის თვითრეფლექსიის ფაქტი, სიცოცხლისა და ადამიანის პირველსახეზე, აბსოლუტურ გონზე მიუთითებს. სიტყვის ინტენციონალობით არის გაჟღენთილი ზესთა სამყარო. ღვთის ცოცხალი სიტყვა არის ის საზრისული მოძრაობა, რომელიც ადამიანის ლოგიკური აზროვნების პარალელურად ქმნის კოსმოსის გეომეტრიულ სტრუქტურას.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მეგა-ფიზიკური სამყარო ღიაა იდეათა სფეროსა და საზრისთა წარმოშობის ფენომენოლოგიური განზომილების მიმართ.

ამიტომ კოსმოსი არ ამოიწურება მხოლოდ ობიექტური რეალობით და დაკავშირებულია სიცოცხლის წარმოშობის სუბიექტურ ძალებთან, რომლებიც ქმნიან დროის საზრისს. ეს სუბიექტური პროცესი მოიცავს მთელ სამყაროს და ქმნის გარკვეულ თავისუფლებას და განუზღვრელობას ვარსკვლავთა სისტემაში. ასეთი თავისუფლების და განუზღვრელობის გამო კოსმოსი, როგორც თვითგაფართოებადი სისტემა, არ წარმოადგენს აბსოლუტურად შეცნობად სამყაროს. კოსმოსის იდუმალება არის არა შესაბამისი ინფორმაციის ნაკლებობის შედეგი, ან კოსმოლოგიური თეორიის სისუსტე, არამედ სწორედ აღნიშნული განუზღვრელობის, თავისუფლების და ტალღურ-საზრისული მოძრაობის გამოვლენა. გალაქტიკების გაფართოებას და განუზღვრელობას პოზიტიური მნიშვნელობა აქვს. იგი ავლენს კოსმოსის ღიაობას პირველყოფილი ქაოსის წინაშე და განსაზღვრავს ადამიანის შემოქმედებით განვითარებას სამყაროს მარადიულ სიცოცხლეში.

9.1კ. კაციტაძის ფილოსოფიური შემოქმედება, მისი პუბლიკაციებიდან გამომდინარე, სამ ეტაპად იყოფა. ესენია: 1) ადრეული პერიოდი, რომელიც გერმანული კლასიკური იდეალიზმის გავლენით არის აღბეჭდილი და ძირითადად, 80-იან წლებზე „მოდის“, 2) შუა, გარდამავალი პერიოდი - 1990-1991 წწ., როცა მის პუბლიკაციებში პირველი პერიოდისათვის ნიშანდობლივი თემების პარალელურად ჩნდება ჰაიდეგერთან დაკავშირებული თემებიც და 3) გვიანი, „ჰაიდეგერიანული“ პერიოდი (1992-2012 წწ.), რომლის ფარგლებში გამოქვეყნებულ შრომებში მკაფიოდ ჩანს ჰაიდეგერის იდეების გავლენის და შესაბამისი მიდგომის რეალიზების კვალი. კ. კაციტაძის ინტელექტუალურ მემკვიდრეობაში დიდი ყურადღება ეთმობა ფილოსოფიის ისტორიული განვითარების ცალკეული ასპექტებისა და შედეგების, სხვადასხვა ეპოქის ფილოსოფოსთა ნააზრევის კვლევას. ამ ხასითის ნაშრომთა შორის „სუბიექტის აქტივობის პრობლემა XVII-XVIII საუკუნეების ევროპულ ფილოსოფიაში“ თავისი მოცულობით, ქრონოლოგიური მოცვის მასშტაბით, სისტემურობითა და თეორიული შედეგებით ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტია. ის, ავტორის დახასიათებით, „წმინდა“ ფილოსოფიის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემას ეხება, რომელზეც პასუხის გაუცემლად არა მხოლოდ ახალი დროის ფილოსოფიის სპეციფიკის გარკვევა, არამედ თანამედროვე ფილოსოფიის წინაშე მდგარი რიგი ონტოლოგიური, გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაც შეუძლებელია. ნაშრომი კვლევის ობიექტს ონტოლოგისტური პარადიგმის თვალთახედვით განიხილავს, რაშიც ნათლად ჩანს მ. ჰაიდეგერის იდეების გავლენა. ***თემატიკა.*** კ. კაციტაძემ რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოაზროვნის, სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური შეხედულებების კვლევას. იგი ყურადღებას უთმობს დოდაშვილის ფილოსოფიური ხედვის ძირითადი მახასიათებლების იდენტიფიცირებას. კ. კაციტაძე არ იზიარებს დოდაშვილის მატერიალისტობის შესახებ საბჭოთა ფილოსოფიის ისტორიაში გავრცელებულ მოსაზრებას. იგი აანალიზებს დოდაშვილის „ლოგიკის“ იმ დებულებებსაც, რომლებიც, ერთი შეხედვით, ავტორის მსოფლმხედველობის დუალისტურ ხასიათზე მეტყველებენ. იგი გამორიცხავს დოდაშვილის განმანათლებლად შერაცხვას, რის პარალელურადაც დეტალურად განსაზღვრავს გერმანულ კლასიკურ იდეალიზმთან მის დამოკიდებულებას.

9.2. როგორც დიაქრონულ, ისე სინქრონულ განზომილებაში თავისუფლების სხვადასხვა გაგება არსებობს. მათ შორის ორი მიდგომა შეიძლება გამოიყოს: 1) სპინოზასათვის, ჰეგელისათვის და სხვა არაერთი ფილოსოფოსისათვის დამახასიათებელი: თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა და 2) არადეტერმინისტული: არადეტერმინისტული: თავისუფლება შეცნობილი შესაძლებლობაა. ექსისტენციალისტური ფილოსოფიის თანახმად, თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტურ მახასიათებელს წარმოადგენს. თუმცა ამავე დროს მას თავისუფლებისაგან გაქცევის მცდელობაც ახასიათებს. ადამიანს უნიკალური ბუნება აქვს. იგი ისეთი არსებულია, რომელსაც თავისი ვინაობა,

მეტიც, არსებობაც კი პრობლემად აქვს მოცემული. ამის ერთ-ერთი არსებითი გამოვლინებაა ის ფაქტი, რომ ადამიანს შეუძლია იპოვოს კიდეც და დაკარგოს კიდეც საკუთარი თავი. სხვაგვარად, თავისუფლება ადამიანის გულისგულია. იგი არ არის ნივთი, საგანი, არამედ ექსისტენციალია. ადამიანისათვის ფუნდამენტურ ყოფნის ამგვარ წესში განსაცდელია დავანებული: მთელი მისი ცხოვრება საკუთარი ვინ-აობის (და არა - რაობის) ძერწვა-ფორმირებაა. სტატიაში ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ ექსისტენციალისტების აზრით, ადამიანი შუაგულური არსებად გვევლინება, საპირისპიროდ ცხოველისა, რომელიც მთლიანად ჩაწერილია „ბუნებრივ ლანდშაფტში“.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1.1. დემურ ჯალაღონია

1.2დემურ ჯალაღონია

1.3დემურ ჯალაღონია

2.1 ლელა ალექსიძე

5. 1 ანასტასია ზაქარიაძე

5.2. ანასტასია ზაქარიაძე

7.1.ნაპო კვარაცხელია

7.2. ნაპო კვარაცხელია

8.1მამუკა დოლიძე

10.1. ნანა გულიაშვილი

10.2. ნანა გულიაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. 1. მერაბ მამარდაშვილის ფენომენი-ქართველი სოკრატე ISSN 2233-3568;

1.2 თავისუფლების როგორც უპირობო უფლების ფილოსოფიურ-პოლიტიკური გააზრება (ამერიკული მოდელი).ISSN 1512-1585

1.3. ადამიანის ეგზისტენციალური ,,წუხილები” - ვაჟა ნიბლაძე, ISBN978-9941

2.1 “განგება, ბედისწერა, ჩვენ: ნეოპლატონური პარადიგმები პეტრიწსა და პლეთონთან”. ISBN 978-9941-18-348-5

5. 1 მხატვრული დისკურსის ქრისტიანული პარადიგმა-ანთიმოზ ივერიელი ISSN 2233-3568;

5.2. განათლების ფილოსოფიის ფუტუროლოგიური პარადიგმა

7.1. ,,შემეცნების მითოლოგიური გაგება“ ISSN 1512-2468

7.2. შემმეცნებელი სუბიექტისა და ცოდნის მიმართების პრობლემა“ (ნ. თომაშვილის თანაავტორობით) ISSN 1512-2468

8.1. ანალოგია სიცოცხლის ფენომენოლოგიასა და კვანტური ფიზიკის ფენომენოლოგიას შორის. რეცენზირებულია, ჰყავს სარედაქციო საბჭო, ISBN 11378662 ნაშრომი ბეჭდურია

10.1. მედიუმი - რომანტიზმის ფილოსოფიასა და საგნობრივ ესთეტიკას შორის.

10.2. ხელოვნების გაგების ზ. კაკაბაძისეული ვერსია

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1.1 ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი #11

1.2. „ამერიკის შესწავლის საკითხები“, #8

1.3. ყოფიერების მეტაფიზიკური და ანთროპოლოგიური ასპექტები ფილოსოფიაში (ადამიანის მეტაფიზიკური და ეგზისტენციალური ,,წუხილები'')
2. 1"ნეოპლატონიზმი: მოძღვრება და მისი რეცეფცია". ედიტორი: თამარ ცოფურაშვილი.
5.1. ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი# 11/2021
5.2. „ამერიკის შესწავლის საკითხები", #8 ISSN 1512-1585
7.1. ,,ფილოსოფიური ძიებანი",კრებული 24
7.2. ,,ფილოსოფიური ძიებანი"კრებული XXV,
8.1. ჟურნალი „სერტა". 12,
10.1. ფილოსოფიური ძიებანი კრებული ტ. XXV.
10.2. ფილოსოფიურ თეოლოგიური მიმომხილველი

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. 1თსუ გამომცემლობა
1.2. თსუ გამომცემლობა
1.3.თსუ საგამომცემლო პროგრამა ლოგოსი
2.1ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის გამომცემლობა, თბილისი 2021.
5.1თსუ გამომცემლობა
5.2. თსუ გამომცემლობა
7.1. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, ,,უნივერსალი",
7.2. საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია, ,,უნივერსალი",
8.1.მადრიდის ნაციონალური უნივერსიტეტი. მადრიდი, ესპანეთი, 2021 წ.
10.1. თბილისი ,,უნივერსალი"
10.2. თსუ გადაცემულია დასაბეჭდად

5) გვერდების რაოდენობა
1.1 გვ. 12-22
1.2 გვ. 466-482
1.3.გვ.5-15
2.1გვ. 59-84
5.1. გვ. 173-184
5.2 გვ. 466-482
7.1. გვ. 75-88,
7.2. გვ. 34-45,
8.1.გვ. 61-77. .
10.1. 8 გვ.
10.2. 9გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.1ადამიანი საკუთარი ხედვითი ჰორიზონტიდან აღწერს საკვლევ ფენომენს. თუ კვლევა ადამიანს ეხება, საქმე უფრო რთულადაა, რადგან ადამიანი აღწერს იმას, რასაც ის ხედავს, განიცდის და დაკვირვებით ქმნის ხატს. ნაწილობრივ ამით აიხსნება, რატომ გვიამბობენ ადამიანები ერთსა და იმავე ამბავს სხვადასხვანაირად. ხატი მსგავსი უნდა იყოს პერსონის, რაც ძალზე რთულია. საბოლოოდ საინტერესოა, ისტორია თუ რა განაჩენს გამოუტანს ამა თუ იმ პიროვნებას. რა ღირებული ჩაიდო დამკვირვებლის თვალთახედვიდან მისი პერსონის ,,გასახსნელად'', რამდენადაა პერსონასთან ხატი და მსგავსი...

ბევრჯერ მიფიქრია მერაბ მამარდაშვილზე, მის ფენომენზე, ,,უცნაურ'' აზროვნებაზე... ყოველთვის ერთი და იგივე აზრი მებადებოდა, ძნელია ამ კაცზე წერა... ფიქრი, აზრი მაინც არ ეშვებოდა მასზე განსჯას. ეს მტანჯველი ფიქრი იყო, მაგრამ ამ დროს რაღაც ლაგდება ცნობიერების ღრმა შრეებში. იმდენად რთული ბიოგრაფიის კაცია, მის ბიოგრაფიაშიც უნდა ეძებო მისი ფენომენის გაანალიზების საწყისები. როგორც დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ფიხტე ბრძანებდა: ,,რა კაციცა ადამიანი, ისეთ ფილოსოფიას ირჩევს''.

მერაბ მამარდაშვილზე როდესაც განსჯას ვიწყებთ, ცნობიერებაში ამოტივტივდება მისი ცხოვრებიდან სხვადასხვა ამბავი, შევეცდები, გადმოვცე ეს ამბები ჩემი თვალსაწიერიდან. ამბები თავგადასავალია პიროვნების, სადაც ჩამალულია ამ ფენომენის იდუმალება, რომლის გახსნა ბუნებრივია, ძნელია, მაგრამ დაგვეხმარება მისი პორტრეტის შექმნაში.

1.2 დიდი ბრიტანეთისაგან განთავისუფლებით და დამოუკიდებლობის მოპოვებით დაიწყო ამერიკის ახალი სახელმწიფოს დაფუძნება, სადაც წინა პლანზე წამოწეული იქნა თითოეული ადამინის უფლებების დაცვა, რაც უპირველესად პიროვნების თავისუფლების გამოვლენის საწინდრად იქცა.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაიდგა 1776 წელს, როდესაც გამოცხადდა ,,დამოუკიდებლობის დეკლარაცია''. მას მოჰყვა აშშ კონსტიტუცია, რომელიც შეიქმნა 1887 წელს ფილადელფიაში, რასაც 1791 წელს დაემატა თავისუფლების უფლებათა ბილი. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება მოხდა ამერიკის კონგრესის მიერ 1776 წლის 4 ივლისს ფილადელფიაში, რომელიც თომას ჯეფერსონმა შეადგინა.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მთელს მსოფლიოში არცერთი სხვა ერი არ იცნობდა ხელისუფლების დაყოფისა და გამიჯვნის პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების მექანიზმებს, არსად სხვაგან არ ეპყრათ ხელთ ძალაუფლება მათ, ვინც თავად მართულია. ამ სულისკვეთებით იქმნებოდა აშშ კონსტიტუცია.

დამფუძნებელი მამებმა შესძლეს კანონიერების და მმართველობის ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვებოდა. ეს იდეები ასახულია ალექსანდრე ჰამილტონის, ჯეიმს მედისონის და ჯონ ჯეის დაწერილ სტატიებში, რომელიც ჩვენთვის ცნობილია ფედერალისტური წერილების სახელით.

ამერიკული კონსტიტუციისგან, ხელსაყრელ პირობათა მთელი სამყარო შეიქმნა.

შეიძლება ითქვას, რომ ფედერალისტური წერილები განმარტებაა ამერიკის კონსტიტუციის, ასევე უნდა ითქვას, რომ ფედერალისტური წერილები არის კონსტიტუციის ფილოსოფია. ფედერალისტური წერილების მიზანი იყო მოსახლეობის დარწმუნებულობა კონსტიტუციის აუცილებლობაში და იმ ველის შემოფარგვლვა, რომელიც საჭირო იქნებოდა კონსტიტუციის მომავალი ინტერპრეტაციისათვის. რაც ახალ პოლიტიკურ-ფილოსოფიურ ჰორიზონტს ხსნიდა თავისუფლების გააზრებისათვის.

დამოუკიდებლობის დეკლარაციაში აღნიშნულია: ,,ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია, რომ მათ შემოქმედმა მიანიჭა გარკვეული უპირობო უფლებები, მათ შორის სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა''.

დასავლური საზოგადოებისათვის, ეს უფლებები მიიჩნეოდა ადამიანის, მოქალაქის ერთ-ერთ ჭეშმარიტ უფლებად, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალებას.

ნათლად ჩანს, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციის შექმნისას, საფუძველი ლოკის პოლიტიკურ-ფილოსოფიური იდეებია. ლოკისათვის მნიშვნელოვანია, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანები თანასწორი უფლებებით უფრო ადრე, ვიდრე შეიქმნებოდა სახელმწიფო. ბუნებრივი უფლებების დაცულობა ხელისუფლების შეზღუდვის გზით უნდა მოხდეს. რადგან ხელისუფლება ყოველთვის ცდილობს ძალის კანონიერ გამოყენებას, რის საფუძველზე ანხორციელებს თავისუფლების შეზღუდვას და აქცევს ადამიანის ქცევას კონტროლის ჩარჩოებში.

ყველა დროში ყველა ხელისუფლება მოითხოვს მოქალაქისაგან მათივე მართვის პროცესში თავისუფლების ,,წილის'' დათმობას. ახალი დროის პოლიტიკური ფილოსოფიური აზროვნების სიდიადე მდგომარეს სწორედ იმის გააზრებაში, რომ გაღებული თავისუფლების წილის სანაცვლოდ ადამიანი თავისუფლებას მოიპოვებს. სწორედ დამოუკიდებლობის დეკლარაცია ამ სულისკვეთებითაა გამსჭვავლული.

ჯონ ლოკი არის მოაზროვნე, რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის ძირითადი იდეები. რომელიც ეხება ადამიანის უფლებების კონცეფციას, სამოქალაქო საზოგადოების იდების ანალიზსს, სახელმწიფო ძალაუფლების შეზღუდვის აუცილებლობას და ა.შ.

ლოკისეული ბუნებრივი უფლების კონცეფცია პოლიტიკურ-ფილოსოფიური აზრის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კონცეფციას წარმოადგენს.

ჯონ ლოკის პოლიტიკური ფილოსოფიის კონცეპტუალურ ანალიზს თუ განვახორციელებთ, ვნახავთ რომ ბუნებით უფლებები მთავარი პრინციპია, და ამოსავალი ღირებულებაა ლიბერალიზმისათვის. ამ იდეებმა ამერიკის კონსტიტუციის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშეს.

ჯონ ლოკი ბუნებრივ უფლებებად მიიჩნევდა ,,სიცოცხლეს, თავისუფლებას და საკუთრებას''[1].

ლოკის აზრით, მთავარი მიზეზი იმისა, რატომაც ადამიანები უარს ამბობენ ბუნებრივ მდგომარეობაზე და თანხმდებიან სახელმწიფოს შექმნაზე, პოლიტიკური საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ნებაყოფლობითია ასეთი გაერთიანების შექმნის ერთადერთი გზა კი ურთიერთშეთანხმებაა, თავისუფალ, თანასწორ და რაციონალურ ინდივიდთა ურთიერთშეთანხმება. მისმა თითოეულმა წევრმა ნებაყოფლობით თქვა უარი საკუთარი თავისა და საკუთარი ქონების დაცვის ბუნებით უფლებაზე.

1.3. ადამიანის ეგზისტენციალური ,,წუხილები'' - შესავლის მაგიერი

ვაჟა ნიბლაძემ ფილოსოფოსობის ისეთი გზა განვლო, რომლიც დაძლევასაც ბევრი ადამიანი ვერ შეძლებდა. იგი გახლდათ ჭეშმარიტების მაძიებელი. ის მხოლოდ ფილოსოფოსობდა და ფილოსოფიით ცხოვრობდა. მაგრამ მას არ დაცალდა...

მისი ხსოვნისათვის პატივის მისაგებად გადავწყვიტეთ მისმა მეგობრებმა გამოგვეცა მისი ნაშრომები მონოგრაფიად. დიდი ჯაფა კი შევალიეთ ამ დიდ საქმეს მაგრამ ღირდა გარჯად. მომავალი თაობები გაეცნობიან ამ საინტერესო წიგნს, ნახავენ უაღრესად სათუთი სულის პიროვნების, ექსისტენციალურ პრობლემებზე მოფიქრალი კაცის ნააზრევს.

ვაჟა ნიბლაძის წრმოდგენილი ნაშრომი, რომელსაც დაერქვა ,,ყოფიერების მეტაფიზიკური და ანთროპოლოგიური ასპექტები ფილოსოფიაში'' (ადამიანის მეტაფიზიკური და ეგზისტენციალური ,,წუხილები''), რთულ და მრავალფეროვან სააზროვნო ფილოსოფიურ პრობლემატიკას აანალიზებს. მისი ორიგინალობა იმაშია რომ ამ ნაშრომთა კრებულში უშუალოდ ჩანს ავტორის ,,წუხილები'' და ექსისტენციალური ბინდისფერი სევდა, რისი მატარებელი გახლდათ ამ წიგნის ავტორი.

ვაჟა ნიბლაძე უცნაური ბედის და ფილოსოფიური თავგადასავლების მატარებელია. მის წიგნს ,,ადამიანის მეტაფიზიკურ და ეგზისტენციალურ ,,წუხილებს'' აქვს თავისი ბიოგრაფია-თავგადასავალი, რომელიც განუყოფელია

მისი ავტორის ხვედრთან. თუ მამარდაშვილს დავესესხებით ის ,,შინაგან ემიგრაციაში'' იყო. მან ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლის დასაწყისშივე შეძლო იდეოლოგიური კლიშედან გამოსვლა.

ვაჟა გამორჩეული პიროვნება იყო, მან იცოდა ფილოსოფია და კარგადაც ფილოსოფოსობდა. ის გონიერი, სიბრძნის მოყვარული კაცი იყო.

ვაჟა ნიბლაძე ამ ნაშრომში ჰერმენევტიკულ წიაღსვლებს აკეთებს ტერმინ angoisse-ს გასახსნელა, რასაც სარტრი ,,თარგმნის'' გერმანულ ტერმინს Angst, ქართულში შეესატყვისება ტერმინი შიში, ხოლო Angst-ის გადმოსაცემად ქართულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში თითქმის უკვე დამკვიდრებულად ითვლებოდა ტერმინი-ძრწოლა, განსხვავებით შიშისაგან.

როგორც ავტორი აღნიშნავს ქართულში, ტერმინს angoisse, შეესაბამება შემდეგი მნიშვნელობები: ნაღველი, სევდა, კაეშანი, წუხილი, ურვა. ამ ტერმინთაგან იმ მნიშვნელობის ზუსტად გადმოსაცემად, რაც სარტრის მიერ მოძებნილია angoisse -ის ცნებაში და რასაც იგი გადმოსცემს მისი ფილოსოფიის კონტექსტში, ყველაზე უფრო ახლოსაა ურვასთან, საკუთარი თავის წინაშე საკუთარი თავისივე გამო, უკიდურესი წუხილისა და სიმძიმილის აზრით.

რაც შეეხება წუხილის ცნებას, იგი მას ურვის ერთგვარ სინონიმად იყენებს.

სრული თავისუფლების ზიდვა სრული პასუხისმგებლობის ზიდვაა, რაც მოსვენებას უკარგავს ადამიანს საკუთარი თავის წინაშე. თავისუფლება სიმძიმილია. ადამიანი წუხს მისით და ურვა იპყრობს მას.

მან შესძლო გადმოეცა თუ სარტრმა, როგორ შესძლო ადამიანის ყოფიერების, როგორც თავისუფლების, დახასიათებისას წინა პლანზე წამოეწია უკიდურესი წუხილი, აუტანელი და თანაც გარდაუალი სიმძიმილი, ანუ ურვა.

და მან მოახდინა ამ ტერმინის ქართულად გამოთარგმნისას არჩევანი გაეკეთებინა მისი ზუსტ შესატყვისობაზე. ამიტომაც შეჩერდა ძველ ქართულ ტერმინზე ურვა, რითაც ამავე დროს, სცადა ამ კარგი ქართული სიტყვის ერთგვარი აღდგენა.

ასე ვრცლად ავტორი იმიტომ მსჯელობს ამ ცნებაზე, რომ მკითხველის ყურადღება (angoisse) თარგმანსა და გაშიფრვაზე გაამახვილოს, რათა რაც შეიძლება სრულყოფილად მოახერხოს სარტრის ძირითადი ფილოსოფიური კრედოს - ადამიანის აბსოლუტური თავისუფლების და ამით მისი დასჯილობის და დაწყევლილობის მისეული გააზრების სიღრმისეული წვდომა, რაც ურვის ცნების გარეშე, მას მთელ თავის სპეციფიკას დაუკარგავდა.

მოგეხსენებათ სარტრის ფილოსოფიის მიხედვით ადამიანი პასუხისმგებელია ყველაფერ ადამიანისეულზე საკუთარი თავის ჩათვლით, მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე და არავითარ გარეშეზე, ღმერთი იქნება იგი თუ ბუნება, არ არის დამოკიდებული თავისი თავის თავისივე არჩევანში. როგორც ვაჟა ნიბლაძე წერს ,,ამიტომ იგი შეძრწუნებული კი არ არის გარეშედან მომდინარის და რაიმე გარეგანის წინაშე, არამედ ნაღვლობს თავის თავს საკუთარი თავის წინაშე თავისივე თავის გამო. მას საკუთარი თავის - „თავისუფლებისაგან განთავისუფლება“ უნდა და ამით პასუსხისმგებლობის აცილება; მაგრამ, რამდენადაც ეს შეუძლებელია იმის გამო, რომ თვით ამ სურვილის პასუხისმგებლობაც მას აკისრია და მისი თავისუფლების გამომხატველია სწორედ, რომ იგი მარად მსჯავრდებული დარჩება თავისუფლებით და პასუხისმგებლობას ვერასოდეს დააღწევს თავს, მას თავისუფლება სევდად ექცევა, რაც მისი შინაგანი, სულიერი წუხილის წყარო ხდება. სწორედ იმით, რომ სარტრმა ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის ამარად მიტოვებულ არსებად გამოაცხადა, რომელსაც არც ღმერთის და არც სხვა რაიმე ტრანსცენდენტურის არავითარი შიში და არც იმედი არ შეიძლება რომ ჰქონდეს, რომ იგი ყველაფერ ადამიანისეულზე თავისი თავის ჩათვლით, ეულად აგებს პასუხს, რომ ყველაფერი ადამიანისეული ავიც და კარგიც მისი ბრალია''.

როგორც სარტრი ამბობს: ,,ადამიანი მსჯავრდებულია იყოს თავისუფალი; მას მისჯილი აქვს თავისუფლება; იგი დასჯილია თავისუფლებით“. სწორედ ვაჟა ნიბლაძის მცდელობაა დაგვანახოს რომ, სარტრის მთელი ფილოსოფია, კერძოდ კი მისი უმთავრესი ტრაქტატი: ,,ყოფიერება და არარა“,

ამ დებულებათა (რაც მისი ფილოსოფიის ქვაკუთხედს შეადგენს) გაშლას და დასაბუთებას ემსახურება, რომელთა მთელი შინაარსიც, საბოლოო ჯამში არჩევანის გაკეთების, ანუ გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებაზე დაიყვანება.

ვაჟა ნიბლაძის გამოსვლაში ჩანდა დიდი ერუდიცია, ექსისტენციალური საკითხების ღრმა გააზრების ადამიანამდე მიტანის უნარი. მან მოხსენებაში შეძლო ფილოსოფიის ახალ საფეხურზე გადასვლის გააზრების აუცილებლობა ეჩვენებინა. მან ამ დღიდან თავის კვლევის საგნად აქცია ფრანგული ექსისტენციალისტები: სარტრი, კამიუ და გერმანელი ფილოსოფოსი ჰაიდეგერი.

ჩვენმა მასწავლებელმა პროფესორმა ვახტანგ ერქომაიშვილმა კონფერენციის დასრულების შემდეგ იხუმრა; ,,აქამდე ძრწოლაში ვიყავით და დღეიდან ვაჟამ ურვაში ჩაგვყარაო''. ამ დღიდან ვაჟა იყო ყველა კონფერენციაზე თუ ფილოსოფოსთა თავყრილობაზე ანგარიშგასაწევი ფილოსოფოსი. ის ფლობდა ფრანგულს, გერმანულს, რუსულს, ნაწილობრივ ინგლისურ და ბერძნულ ენებს.

ვაჟა ნიბლაძის ბოლო დროის მუშაობის ძირითადი მიმართულება მოიცავდა ექსისტენციალიზმს, ონტოლოგიას და გნოსეოლოგიას.

მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები ორიგინალური ხასიათის იყო. ასე ვიტყოდი, იგი გახლდათ საქართველოში ფრანგული ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი, ჭეშმარიტი მოქალაქე და მამულიშვილი. იგი არაორდინალური პიროვნება იყო, ხარისხებს არ მიელტვოდა, ბოლოს გადაწყვიტა მიეხედა ამ საქმისათვის, მაგრამ

ვაჟა ფიქრობდა მონოგრაფიის გამოცემას, რაც სამწუხაროდ ვერ მოასწრო. სამწუხაროდ ჩვენ მოგვიწია ამის გაკეთება.

ბოლოს რომ ვინახულე, მას ენატრებოდა უნივერსიტეტი, სავლე წერეთელის ფილოსოფიის ინსტიტუტის ძველი ,,კოჰორტა''. აღმიწერა თავისი ავადმყოფობა და თავისი ჩვეული ექსისტენციალური ,,სამედიცინო ფილოსოფიური საუბრით“ ფაქტიურად გამომეშვიდობა, ვერ ვტოვებდი... მითხრა წადიო, საწოლში კედლისკენ გადაბრუნდა, თითქოსდა დაახშო ამქვეყნიური სივრცე... იმ ღამეს გარდაიცვალა.

ვაჟას ოჯახს შევპირდით მისი შრომების მონოგრაფიად გამოცემას. საკმაო დრო გავიდა ვაჟა ნიბლაძის გარდაცვალებიდან. სხვადასხვა გარემოებებმაც შეგვიშალა ხელი, მაგრამ სტატიების მოძიებამ, დაბეჭდვამ, მისმა დალაგებამ გარკვეული დრო წაიღო.

უაღრესად ორიგინალური წიგნი გამოვიდა, უნდა ითქვას, რომ მეტად რთული და საინტერესო ტექსტია. გამოსაცემად ბევრი შრომა და დაბრკოლების გადალახვა მოგვიხდა, ამ გრძელსა და რთულ გზაზე ბევრმა ადამიანმა შეძლო თანადგომა.

ვაჟა ნიბლაძემ ამ წიგნით დააგვირგვინა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. ღირსეულად შესრულდა დასახული მისია. ვაჟას სული ხაროობს ორსავე სოფელსა ზედა.

2.1სტატია წარმოადგენს შედარებით კვლევას განგებისა და ბედისწერის გაგებისა და ურთიერთმიმართების საკითხების მეთორმეტე საუკუნის ქართველი ნეოპლატონიკოსისა და მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეების ბიზანტიელი პლატონიკოსის, ბიზანტიური ფილოსოფიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენლის, პლატონიკოსი გეორგიოს გემისტოსის, პლეთონად წოდებულის, ფილოსოფიებში. კვლევის შედეგად მიღებული შედეგების თანახმად, ორივე ფილოსოფოსისთვის განგებისა და ბედისწერის საკითხების გაგებაში ანტიკური პლატონიზმი, კერძოდ, პროკლეს ფილოსოფია არსებით წყაროს წარმოადგენდა. ამასთანავე, სახეზეა განსხვავებები ამ საკითხის გაგებაში ორ ფილოსოფოსს შორის: განგებისა და ბედისწერის ურთიერთმიმართების ინტერპრეტაციით პეტრიწისეული გაგება ახლოს არის პროკლესა და, საერთოდ, ნეოპლატონიზმისთვის დამახასიათებელ ტენდენციასთან: პეტრიწი, პროკლეს მსგავსად, მიიჩნევს, რომ განგების ძალა ყველაფერზე ვრცელდება, თუმცა ფიზიკურ სამყაროში ბედისწერაც მოქმედებს და შემთხვევითობებსაც აქვს ადგილი. რაც შეეხება პლეთონს, მისი ფილოსოფია, ნეოპლატონიკოსებთან

და პეტრიწთან შედარებით, გაცილებით უფრო ფატალისტური და დეტერმინისტულია, რითიც ის სტოელებს ჰგავს. ნეოპლატონიკოსებისა და პეტრიწისგან განსხვავებით, როგორც ჩანს, პლეთონთან განგება და ბედისწერა ფაქტობრივად გაიგივებულია. ეს ერთი ძალაა, რომელიც ყველგან, როგორც გონისეულ, ასევე ფიზიკურ სამყაროში მიზეზშედეგობრიობის კანონების თანახმად მოქმედებს. ვინაიდან, პლეთონის თანახმად, პირველსაწყისი კეთილია, ამიტომ ყველაფერი კეთილი განზარხვითა და საზრიანი ჩანაფიქრით არის მოწყობილი. ადამიანის მიზანი და მისი თავისუფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მან ეს ჩანაფიქრი გონივრულად გაშიფროს და მის შესაბამისად იმოქმედოს, რაც, პლეთონის აზრით, ინდივიდუალური, საზოგადოებრივი, აგრეთვე ნაციონალური ხსნისა და წარმატების საწინდარი უნდა იყოს.

5.1განხილულია მხატვრული დისკურსის ქრისტიანული პარადიგმის მახასიათებლები ანთიმოზ ივერიელის სახისმეტყველების მაგალითზე. მისი პოეტური ნიმუშებისა და სხვა თხზულებების კვლევის შედეგად დადგინდა რომ ანთიმის სტილისტური შედარებები და მეტაფორები, პლასტიკური გამოსახულებები და ეპითეტები მას შუა საუკუნეების ქრისტიანული ტექსტების დიდ შემოქმედთა შორის აყენებს. ანთიმის სახისმეტყველებაში ხასიათდება მუდმივი ზრუნვით სიტყვისადმი, ერთგულებით ენის სიწმინდის დაცვისადმი, ენაში გამოვლენილი სამყაროს მშვენიერებისადმი.
5.2. აშშ-ის განათლების ისტორია დიდწილად წარმოადგენს მომავლის მიზნებისა და ამოცანების შესახებ ისტორიას. სპეკულაციური გეგმების უმრავლესობა, რომლებიც მიმართული იყო საგანმანათლებლო რეფორმაზე, მიზნად ისახავდა მათი თანამედროვე სიძნელეებისა და პრობლემებისგან თავისუფალი სამყაროს მოქალაქეთა აღზრდას. ამერიკელი ფუტუროლოგი ფილოსოფოსები, რომლებიც განათლების ფილოსოფიის თანამედროვე ტრენდს ქმნიან, თანხმდებიან, რომ ფუტუროლოგიური განათლების ფილოსოფია უნდა იყოს ღია, გლობალური, ინტერდისციპლინარული, სინერგიული, ორიენტირებული კულტურულ სინთეზზე. ფუტუროლოგები ერთხმად აცხადებენ, რომ განათლების მეცნიერებები ვერ ახერხებენ განათლების თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად სწარაფადცვლად გარემოში მყოფი თანამედროვე საზოგადოების უზრუნველყოფას. ცხადია, რომ XXI საუკუნეში ცვლილებათა ტემპი უფრო მზარდია, XX საუკუნესთან შედარებით. ძველი თაობის აღმზრდელები, რომელთაც აკისრიათ სწავლა-აღზრდის პროცესის წარმართვა, სავარაუდოდ, აღმოჩნდებიან აბსოლუტურად განსხვავებულ რეალიაში, იმგვარში, რომ მათ ყველაზე თამამ ფანტაზიებსაც გასცდება. სწავლების არსებული კურიკულუმები, რომელიც წარსული დროის განათლების მოდელებს ემყარება, არაადექვატურია ახალგაზრდა თაობის მოთხოვნებთან შედარებით. მათი დისკურსი სხვა სიბრტყეშია განლაგებული და განსხვავებულ საკომუნიკაციო საშუალებებს საჭიროებს.
7.1.,,შემეცნების მითოლოგიური გაგება
გნოსეოლოგია, როგორც ფილოსოფიის უძველესი დარგი, თავისი განვითარებისა და მიღწეული შედეგების მიუხედავად, დღესაც აგრძელებს არსებობას ახალი იდეებისა და კონცეფციების წარმოშობითა და ტრადიციული საკვლევი პრობლემებისადმი ინოვაციური მიდგომებით. თანამედროვე ფილოსოფთა მეცნიერული ინტერესის სფეროს კვლავაც წარმოადგენს შემეცნების თეორიის ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: შემეცნების ბუნება (რაობა) და შემეცნების პროცესის პირობები და საფუძვლები; ცოდნის წყაროები და შემეცნების ობიექტი; შემეცნების სუბიექტი და მისი ქმედებები ცოდნის მისაღებად და სინამდვილის ენაში გამოსახატად; შემეცნების პროცესის შინაარსი, ფორმები და კანონზომიერებები, ცოდნის განვითარება გრძნობადი და რაციონალური შემეცნებით და ამ განვითარების კანონზომიერებები; და ბოლოს, შემეცნების შედეგები, ჭეშმარიტება და მისი წვდომის პრობლემები.
7.2.შემმეცნებელი სუბიექტისა და ცოდნის მიმართების პრობლემა“ (ნ. თომაშვილის თანაავტორობით)

თანამედროვე მეცნიერების განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს ეპისტემოლოგია წარმოადგენს. დღეს მისი ძირითადი მახასიათებელი შემეცნების პრობლემების კონკრეტულ-მეცნიერული კვლევებისადმი ორიენტაციაა. მთელს მსოფლიოში ფართო გავრცელება ჰპოვა ევოლუციურმა ეპისტემოლოგიამ, რომლის მიხედვითაც შემეცნების პროცესის ანალიზი მიმდინარეობს ევოლუციის თანამედროვე თეორიის ბაზაზე.

8.1. კვანტური თეორიის ფენომენოლოგიური ინტერპრეტაცია მიკროსამყაროში სუბიექტის შეყვანას გულისხმობს. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს, რომ დამკვირვებელი სუბიექტი ქმნის მიკროსამყაროს რეალობას. ფიზიკური რეალობა არსებობს თავისთავად, მიუხედავად იმისა, აკვირდება მას ადამიანი თუ არა; და მაინც დაკვირვების, ანუ გაზომვის სიტუაცია ატომურ სამყაროში პრინციპულად განსხვავდება კლასიკურ-ფიზიკური შემეცნების სიტუაციისგან. იგი არ დაიყვანება მხოლოდ ფიზიკურ ურთიერთქმედებაზე გამზომ ხელსაწყოსა და ატომურ ობიექტს შორის. ატომური სიტუაციის "უცნაურობა" ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული სიტუაცია ერთგვარად "სუბიექტივირებულია". გამზომი ხელსაწყო აქ არ წარმოადგენს ჩვეულებრივ ფიზიკურ სისტემას, იგი თამაშობს სუბიექტის ცნობიერების როლს ატომური ობიექტის მიმართ, უფრო სწორედ წარმოადგენს სუბიექტის ექსრაპოლაციას ადამიანის გარეთ, ფიზიკურ რეალობაში. ასეთი რამ სავსებით დასაშვებია, რადგან არათუ ადამიანის ცნობიერებაში, მთელ ობიექტურ სინამდვილეში მიმდინარეობს იდეათა რეალიზაციის, საზრისების წარმოშობისა და ცვალებადობის "სუბიექტური" პროცესი, რის გამოც ფიზიკური მოვლენები არ დაიყვანება ცალსახა მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე, არამედ გვაქვს მათი გარკვეული თავისუფლებაც, რაც მიკროსამყაროში ატომური პროცესების ინდეტერმინიზმსა და ალბათურ ხასიათში გამოიხატება.

სუბიექტური ყოფიერების შეჭრა ობიექტურ რეალობაში ნიშნავს იმას, რომ მატერიას (ფიზიკურ რეალობას) გააჩნია უნარი თავისთავად, ადამიანის ჩარევის გარეშე მოახდინოს საკუთარი შემეცნებითი სიტუაციის ინტერპრეტაცია. ამიტომ კონკრეტულ კვანტურ სიტუაციაში ობიექტურად გვეძლევა არა მხოლოდ სუბიექტ-ხელსაწყოს სისტემა, არამედ ის გზაც, რა გზითაც ეს სიტუაცია თავის თავს გვიჩვენებს დეტერმინისტული ან ინდეტერმინისტული ინტერპრეტაციის სახით. მატერიის აღნიშნული თვითინტერპრეტაცია ყოველთვის ახდენს კონკრეტულ არჩევანს და გამორიცხავს ერთი, საერთო ჭეშმარიტების მოცემულობას კვანტური დეტერმინიზმის არსებობის ან არარსებობის შესახებ.

10.1.სტატიაში განხილულია ფრიდრიხ და გუსტავ შლეგელების შემოქმედება, როგორც მედიუმი ფილოსოფიასა და საგნობრივ ესთეტიკას შორის. განხილულია ძმები შლეგელების ფილოსოფიური და მხატვრული შემოქმედების ნიმუშები, მათი შედარებისას გამოკვეთილია თუ როგორ გადადის ფილოსოფიური იდეები მხატვრულ მაწარმოებში.

10.2. ზ. კაკაბაძე ხელოვნების გაგებას აკავშირებს ცხოვრების გაგებასთან, რადგან ერთიც და მეორეც ექვემდებარება გამოსახულებებს, რომელთა უკან იგულისხმება მოტივაცია. მოტივაცია კი თავის მხრივ განაპირობებს ქმნილების ხასიათს, რწმენის ეპოქაში შექმნილ ხელოვნების ნაწარმოებში იდეები ქრონოლოგიურად დროშია განფენილი, ხოლო ცენტრის გარეშე არსებულ ნაწარმოებებში იდეები სივრცეშია განლაგებული და ამიტომ აქ ცენტრალური იდეების მოძიება შეუძლებელია და ყველა თვალსაზრისით თანაბარძალოვანია. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ზ. კაკაბაძის თვალსაზრისს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1.
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
2.1. Lela Alexidze
2.2. Lela Alexidze
2.3. Lela Alexidze
2.4. Lela Alexidze
4.1 აკაკი ყულიჯანიშვილი
4.2. აკაკი ყულიჯანიშვილი
5.2ანასტასია ზაქარიაძე
6.1ირაკლი ბრაჭული
6.2ირაკლი ბრაჭული
8.1 მამუკა დოლიძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
2.1. “Michael Psellos and Ioane Petritsi on Intellect”. ISSN print: 1224-0869; ISSN online: 2065-9474
2.2. “The Demiurge in Ioane Petritsi’s Commentary on Proclus’ *Elements of Theology*”. ISSN 0325-0725; e-ISSN 1852-7353; DOI: 10.36446/rlf2021224
2.3. “Petritsi and Plethon on the Differences of Aristotle from Plato”. ISBN: 978-3-7520-0600-1 (print); EISBN: 978-3-7520-0083-2 (Ebook); https://doi.org/10.29091/9783752000832
2.4. “La hiérarchie ontologique dans le commentaire de Ioane Petritsi sur les *Éléments de théologie* de Proclus”. ISBN: 9791037008893
4.1ქსელური კულტურა - ცოდნა ძალაუფლება
4.2. ეკოლოგიური კულტურა და კულტურის ეკოლოგია
5.1. The Coexistence Model of Religious and Secular Discourses Anthim the Iberian. ISBN: 978-1-53618-904-9. / რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების თანაარსებობის მოდელი-ანთომოზ ივერიელი-
6.1.ფილოსოფიის სამი კონტური.ISSN 2233-3568
6.2. ჰიეროფანიის ფენომენის გაგებისათვის. ISSN სამეცნიერო ჟურნალი ლოგოსი# 9
8.1.ფენომენოლოგია, როგორც შემოქმედების ფილოსოფია. 2021 წ

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
2. 1. Theologia Orthodoxa. Vol. 66, no. 1 (June 2021).
2.2. Revista Latinoamericana de Filosofía. Vol. 47, N1 (otoño 2021)

2.3. Héritages platonisiens et aristotéliciens dans l'Orient et l'Occident (IIe-XVIe siècles). Actes du colloque de Tbilissi, juin 2019. Édité par Tiziana Suarez-Nani, Tamar Tsopurashvili. Scrinium Friburgense. Veröffentlichungen des Mediävistischen Instituts der Universität Freiburg Schweiz. Band 54 (2021)
2.4. Relire les *Éléments de théologie* de Proclus. Réceptions, interprétations antiques et modernes. Éditeurs: Gwenaëlle Aubry, Luc Brisson, Philippe Hoffamn, Laurent Lavaud (2021)
4.1 ბათუმის უნივერსიტეტის შრომები
4.2 ფილოსოფიურ თეოლოგიური მიმომხილველი
5.1Religion and Public Life" ISBN: 978-1-53618-904-9/რელიგია და საზოგადოებრივი ცხოვრება"
6.1. Understending the fenomen of hierophany: Religion and public life, book ID 19416
6.22. ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი# 10;
6.3. ჟურნალი ლოგოსი# 9
8.1. ჟურნალში - "ფილოსოფიურ - თეოლოგიური მიმომხილველი". 11, 2021 წ.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
2.1. Studia Universitatis Babes-Bolyai. Guest editor Frederick Lauritzen
2.2. Centro de Investigacionas Filosofías. Buenos Aires. Argentina
2.3. Wiesbaden, Reichert Verlag
24. Paris, Hermann philosophie
4.1 ქ. ბათუმი ,,ბსუ - გამომცემლობა"
4.2 თსუ გადაცემულია დასაბეჭდათ.
5.1. N. Y. Nova Publishers Science. Humanities, Newly Published Books, Nova, Religion, Religion and Society. **Series**: Religion and Society **BISAC**: REL070000
ნიუ-ორკი, გამომცემლობა Nova Publishers Science. სერია-რელიგია და საზოგადოება.
6.1 Nova Science Publishers, Inc. NY.
6.2 თბილისი, თსუ
6.3 თბილისი , თესუ
8.1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.რეცენზირებულია, ჰყავს სარედაქციო საბჭო, ISSN 22333568 ნაშრომი ბეჭდურია

5) გვერდების რაოდენობა
2.1. გვ. 7-38.
2.2. გვ. 149-165
2.3. გვ. 147-162
2.4. გვ. 69-90
4.1. 9.
4.2. 10.
5.1 გვ. 45-55
6.1. 10
6.2. 10
6.3. 12
8.1. გვ. 40 - 59

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.1. სტატია (ინგლისურ ენაზე) წარმოადგენს გონების, როგორც ონტოლოგიური ჰიპოსტასის გაგების პარალელურ ანალიზს მიქაელ ფსელოსისა და იოანე პეტრიწის ფილოსოფიებში. ფსელოსის შესახებ კვლევას საფუძვლად დაედო, ძირითადად, მისი კომპილაციური ნაშრომი De omnifaria doctrina (თავები 21-30), და, აგრეთვე, მისი მცირე ზომის ფილოსოფიური ნაშრომები Philosophica minora II (კერძოდ, ტექსტები 2, 9, 10, 12, 21, რომლებიც ეხება გონებას და სადაც გათვალისწინებულია პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლები"). რაც შეეხება პეტრიწს, მისი შეხედულებები გონების შესახებ განხილულია პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლების" კომენტარების მიხედვით, ფსელოსთან შინაარსობრივად შესაბამისობაში მყოფი ფრაგმენტების საფუძველზე. სტატია შედგება ვრცელი შესავლისგან, ვრცელი პირველი თავისგან, რომელშიც განხილულია ფსელოსის "ომნიფარიადან" შესაბამისი ადგილები და გამოკვლეულია პეტრიწის გაგებასთან მათი მიმართება, ხოლო ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია ფსელოსის "ფილოსოფიკა მინორას" ხსენებული ტექსტების ანალიზი, კვლავ პეტრიწთან მიმართების გათვალისწინებით. ნაშრომის ბოლო ნაწილს წარმოადგენს დასკვნა, რომელშიც გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: მსგავსებები ფსელოსისა და პეტრიწის თეორიებს შორის გონების საკითხის ინტერპრეტაციაში აიხსნება არა იმდენად ფსელოსის უშუალო გავლენით პეტრიწზე, რამდენადაც იმით, რომ ისინი საერთო ნეოპლატონური წყაროებით სარგებლობდნენ.

2.2. სტატია (ინგლისურ ენაზე, რეზიუმე ესპანურად) წარმოადგენს იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში (პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლებზე" კომენტარების მიხედვით) დემიურგის საკითხის ანალიზს, ანუ პლატონის "ტიმაიოსის" გარკვეული თემების როლის კვლევას პეტრიწის ფილოსოფიაში, კერძოდ, ხილული - მატერიალური კოსმოსის შემოქმედთან დაკავშირებულ საკითხებს. სტატიის მიზანია, განიხილოს პრობლემა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: პეტრიწთან უმაღლესი ერთის და დემიურგის, როგორც უნივერსუმის შემოქმედის დახასიათება, ერთი მხრივ, ზოგ შემთხვევაში, თითქმის იდენტურია, მაშინ როდესაც, მეორე მხრივ, დემიურგი განასახიერებს უფრო დაბალ საფეხურს ონტოლოგიურ იერარქიაში, ვიდრე ტრანსცენდენტური ერთი ან თუნდაც კოსმიური პარადიგმა - ნამდვილი არსი. სტატია შედგება (1) შესავლისგან და შემდეგი შინაარსის თავებისგან: (2) პლატონის "ტიმაიოსი" პეტრიწის კომენტარებში; (3) ნამდვილი არსის თემა პეტრიწთან; (4) დემიურგთან დაკავშირებული სხვა პრობლემები; (5) შემოქმედებითი (დემიურგიული) მიზეზის საკითხი და არისტოტელეს კრიტიკა; (6) დასკვნა.

2.3. სტატია (ინგლისურ ენაზე) წარმოადგენს კვლევას ორი პლატონიკოსის მიერ (ქართველი იოანე პეტრიწი, მე-12 საუკუნე, და ბიზანტიელი გეორგიოს გემისტოს პლეთონი, მე-14-15 საუკუნეები) პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების ურთიერთშედარებისა. პეტრიწის შესახებ კვლევა განხორციელდა პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლებზე" მისი კომენტარების ბაზაზე, ხოლო პლეთონის შესახებ კვლევა განხორციელდა მისი ნარკვევის საფუძველზე, რომელსაც ეწოდება "არისტოტელეს პლატონისგან განსხვავებების შესახებ". ნაშრომი შედგება აბსტრაქტისგან, (1) შესავლისგან, (2) პეტრიწის შესახებ თავისგან (ქვეთავები: 1. პლატონის ტრადიციის უპირატესობა; 2. არისტოტელეს ფილოსოფიის პოზიტიური ასპექტები); (3) პლეთონის შესახებ თავისგან, რომელშიც განხილულია არისტოტელეს თეორიების შედარება პლატონის ფილოსოფიასთან (თემები: ზოგადი შეფასება; ღმერთი როგორც უზენაესი საწყისი; იდეების (ფორმების) გაგება; არსება, ძალა და მოქმედება ინდივიდუალური გონებებისა და სულების შემთხვევაში; არისტოტელეს მიერ კაუზალურსა და დროში წარმოქმნას შორის განურჩევლობა; შემთხვევითი და აუცილებელი მოვლენების ინტერპრეტაცია; პლეთონის მიერ არისტოტელეს ზოგადი შეფასება); (4) დასკვნა, სადაც გამოთქმულია მოსაზრება, რომ პეტრიწის ნაშრომში მეტად არის გამოკვეთილი ნეოპლატონური ტენდენცია - პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიების თანხმობა (თუმცა პლატონის უპირატესობით), ვიდრე

პლეთონთან, რომლის დამოკიდებულება არისტოტელესადმი მკვეთრად უარყოფითია და კრიტიკა ზოგჯერ ობიექტურობას მოკლებული.

2.4. სტატია (ფრანგულ ენაზე) წარმოადგენს კვლევას იოანე პეტრიწის კომენტარებისა პროკლეს “თეოლოგიის საფუძვლებზე” ონტოლოგიური იერარქიის ასპექტით. (სტატია შესულია პარიზში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის შედეგად შედგენილ კრებულში, რომელშიც წარმოდგენილია ნეოპლატონიზმის უმნიშვნელოვანესი მკვლევარების ნაშრომები, მიძღვნილი პროკლეს “თეოლოგიის საფუძვლების” ინტერპრეტაციებისადმი აღმოსავლურ და დასავლურ ტრადიციებში). სტატია შედგება ვრცელი შესავლისგან, რომლის მიზანი იყო ევროპელი სპეციალისტებისთვის (განსაკუთრებით, ფრანკოფონული სამყაროსთვის) ზოგადი წარმოდგენის შექმნა (1) პეტრიწის ცხოვრებასა და ფილოსოფიურ მოღვაწეობაზე, (2) ტექსტის ხელნაწერულ ტრადიციაზე, (3) პეტრიწის შემდგომ, მისგან მომდინარე ტრადიციაზე. ნაშრომის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მეორე თავი, რომელსაც ეწოდება “ონტოლოგიური იერარქია”. ის, თავის მხრივ, ქვეთავებად იყოფა. (1) პირველ ქვეთავში, წინასწარი შენიშვნების სახით, მოკლედ არის განხილული პეტრიწის თარგმანისა და კომენტარების ფორმა და სტილი; (2) მეორე ქვეთავი ეხება უშუალოდ უსხეულო არსთა იერარქიის ანალიზს, ზე-არსი ერთისა და არსზე ‘დაბლა’ მყოფი მატერიის ჩათვლით (მოცემულია შედარებები ნიკოლოზ მეთონელის სტრუქტურასთან); (3) მესამე ქვეთავში განხილულია იერარქიული სისტემის საფუძვლები, კერძოდ, ის ძირითადი თემები პეტრიწის კომენტარში, რომლებიც გადამწყვეტია იერარქიული სტრუქტურისა და მიმართებების ასახსნელად. ესენია: (ა) არსთათვის დამახასიათებელი საკუთრივი ‘ერთი’; (ბ) შესაძლებლობისა და სინამდვილის დიალექტიკა; (გ) უნივერსალური ღვთაებრივი განგების ძალა; (დ) შედეგის უკუსწრაფვა (“უკუტრფობა”) მიზეზთან. ნაშრომის მესამე თავი წარმოადგენს დასკვნას, რომელშიც, სტატიის ძირითადი შედეგების შეჯამებასთან ერთად, დასახულია პეტრიწის ნაშრომის კვლევის პერსპექტივები საერთაშორისო ნეოპლატონური კვლევების კონტექსტში.

4.1.თანამედროვე სწრფად ცვალებად სამყაროში მიმდინარე პროცესებმა, ინტერნეტიზაციამ ტრანსნაციონალური კორპორაციების არსებობამ, ძირეული ცვლილებები გამოიწვია საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ინტერნაციონალიზაცია და ლიბერალიზაციამ, სავაჭრო ბარიერების გაუქმებამ, ხელი შეუწყო ე.წ. ქსელური საზოგადოების ჩამოყალიბებას. ქსელური საზოგადოება და კულტურა იქცა გლობალიზაციის ეპოქის დომინანტურ გარკვეულობად, სადაც ცოდნა წყვეტს თვითმიზნურ არსებობას, იგი ხდება ოპერაციონალისტური და უკავშირდება ძალაუფლებას.

4.2. სტატია წარმოადგენს ზ. კაკაბაძის ფილოსოფიური მემკვიდრეობის გარკვეულ შეჯამებას.

მისი ცნობილი სტატიის ,,ბუნების ერთი უცნობი ასპექტის შესახებ“ გაჩენილი ინსპირაცია, სადაც ავტორი გამოთქვამს ღრმა და ორიგინალურ აზრს, რომ ბუნებას და ლანდშტაფს აქვს გავლენა ადამიანის მენტალობის ჩამოყალიბებაზე. აქედან გამომდინარე ბუნების ხელყოფა იწვევს კულტურის ხელყოფას, კულტურის ცვლილებას.

მეორეს მხრივ ზ. კაკაბაძის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში არსებული გამოკვლევები, ეს შეეხაება ადამიანს, ფენომენოლოგიურ კვლევებს, ხელოვნებასა თუ კულტურას საბოლოო ჯამში შეგვაგონებს, რომ კულტურის დაკარგვა, დაკნინება თავის მხრივ იწვევს ადამიანის სასიცოცხლო გარემოს განადგურებას, მაშასადამე ზ. კაკაბაძე ხაზს უსვამს ადამიანისა და ბუნების ერთიანობის ,,თანამშრომლობის“ იდეის აუცილებლობას.

5.1 გაანალიზებული და დასაბუთებულია, რომ წმინდა ანთიმოზ ივერიელის სოციალური პროექტი ქრისტიანული დისკურსის ველზე სეკულარულის თანაარსებობის წარმატებულ ნიმუშად

წარმოდგება. ანთიმოზ ივერიელის საგანმანათლებლო პარადიგმის ცენტრშია სხვადასხვა ხერხით ცოდნის ტირაჟირება- მრევლის განათლება. ამ მიზნით ის პირველყოვლისა მიმართავს ქადაგებას. წმინდა ანთიმოზ ივერიელის ქადაგებებიდან ნათლად ჩანს როგორც ახალი და ძველი აღთქმის ტექსტების, წმინდა მამების სწავლების, ასევე მისი თანადროული სამეცნიერო ტექსტების- საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და ფილოსოფიური შრომების ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. მას ხშირად მოყავს ციტატები არისტოტელიდან, პლატონიდან, ნეოპლატონიკოსებისა და ანტიკური ხანისა და სხვა პერიოდის ფილოსოფოსებიდან. ასევე ჩანს მის განსწავლულობა ეკლესიისა და მსოფლიო ისტორიაში.. მისი ქადაგებებიდან ადამიანები სწავლობდნენ არა მხოლოდ სულიერებას, არამედ ბუნებისმეტყველებას, ფილოსოფიას და მედიცინასაც კი. საგანმანათლებლო საქმიანობის მეორე ვექტორი გულისხმობს მონასტრის ფარგლებში სასწავლო დაწესებულების გახსნას. ანთიმი ამ მიზნით აარსებს სკოლას. ანთიმოზ ივერიელის მონასტრის ტიპიკონში მკაფიოდ არის გაწერილი თუ რა სისტემით ინდა მოხდეს ბავშვთა განათლება. უპოვარ ბავშვთა განათლებას ენიჭება უპირატესობა. ასევე საგანმანათლებლო სოციალური პროექტის უმთავრესი ვექტორია ბეჭდვითი საქმიანობა.

6.1 მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში, ისევე როგორც ევროპაში ფილოსოფიური პრობლემატიკის კვლევის ცენტრში მოქცეცული იყო გნოსეოლოგიური პრობლემატიკა, რომელიც თანდათან გადაიზარდა ტრანსცენდენტალურ ფენომენოლოგიაში. რუდოლფ ოტოს შრომებიდან საფუძველი ეყრება რელიგიის ფენომენოლოგიას. საქართველოში იგივე პროცესები მოგვიანებთ, მე-20 საუკუნის ბოლოს გამოიკვეთა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საქრთველოში ფილოსოფიურ (და საერთოდ, ჰუმანიტარულ) აზროვნებაში დომინირებდა ჰაიდეგერისეული „რომანტიკული ჰერმენევტიკა“. იგი გამოხატავდა განმანათლებრული პროექტის და „დიდი ნარატივების „ კრიტიკისა და დესტრუქციის ტენდენციას. რელიგიისა და მითის ფილოსოფიის ახლებური შტუდიები საქართველოში დაუკავშირდა საკრალურის ფენომენოლოგიას, „ ნუმინოზურის „ კონცეფციას, კულტურის თეოლოგიას, მირჩა ილიადეს „ჰიეროფანიების“ თეორიასა და სხვა თანამედროვე მიდგომებს. ეს ითქმის იმ ავტორებზე, რომლებთაც არ აკმაყოფილებდათ დიურკ ჰემის რელიგიის სოციოლოგია და რელიგიასა და მითში უფრო ღრმა ინტენციებს ეძებდა. სოციოლოგისტური მიდგომებისაგან განსხვავებულ ძიებებს გამოხატავდა ზურაბ კიკნაძის „ქართული მითოლოგია“ (2016 წ) , კახა კაციტაძის „HOMO MILITARIES “ (2001 წ). აღსანიშნავია სხვა გამოკვლევებიც, რომლებიც თემის ანალიზისას ითვალისწინებდა ე.წ პოსტმოდერნული კონდიციის თავისებურებებს. ამ ნაშრომებში გამოყენებული იქნა რ. ბარტის, მ. ფუკოს, ჟ. დელეზის ფსიქოანალიტიკური მითის თეორიის და სხვა მონაცემები. მითისა და რელიგიის თეორიული მოდელირების ეს ცდები ემყარება ქართული მითოლოგიისა და რელიგიური გამოცდილების ამსახველ მდიდარ და მრავალფეროვან მასალას, რომელიც მსოფლიო რელიგიისა და მითის ისტორიის მნიშვნელოვან ნაწლს წარმოადგენს. განსაკუთრებით საინტერესოა ეს მასალა „ ცოცხალი მითის“ თეორიის თვალსაზრისით .

8.1. ფენომენოლოგიური ფილოსოფია, რომელიც ბრენტანოსა და ჰუსერლის კონცეფციათა საფუძველზე აღმოცენდა, ფრიად უცნაურ ფილოსოფიურ მოძღვრებად გვესახება. უცნაურობა იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ფენომენოლოგია ვერა და ვერ ჩამოყალიბდა როგორც ფილოსოფიური ცოდნის სისტემა. რა არის ფენომენოლოგია და რაში მდგომარეობს ფენომენოლოგიური მეთოდი, ამ კითხვებზე თვითონ ედმუნდ ჰუსერლსაც ბოლომდე არ ჰქონდა გარკვეული პასუხი. მიუხედავად ამ გაურკვევლობისა, ფენომენოლოგიამ უდიდესი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ფილოსოფიაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეგზისტენციალიზმი, ჰაიდეგერის ახალი ონტოლოგია და სხვა წამყვანი ფილოსოფიური კონცეფციები მეტ-ნაკლებად თავიანთ ორიგინალობას და მნიშვნელოვნებას სწორედ ბრენტანოს და ჰუსერლის ინტენციონალურ სწავლებას უნდა უმადლოდენ.

ჩვენი ფიქრით, მეთოდისა და კონცეფციის ეს განუზღვრელობა პოზიტიური მომენტია ფენომენოლოგიურ იდეათა განვითარებაში. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს შემოქმედების ფილოსოფიასთან, რომელიც თავისი არსით განსხვავდება ტრადიციული ცოდნისგან. ფენომენოლოგია არ მიისწრაფის დასრულდეს და ჩაიკეტოს როგორც სრულიად გარკვეული და ფუნდამენტურად ჩამოყალიბებული ცოდნა. იგი წარმოადგენს ვარაუდების, დაშვებების, მინიშნებების ღია სისტემას, გახსნილს შემოქმედებითი აზროვნების უსასრულო პერესპექტივაში. სწორედ ასეთი "ღიაობა" ქმნის XX საუკუნის ამ უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობის ხიბლსა და ჯადოს, სწორედ ეს გვაძლევს უფლებას ფენომენოლოგიური მიდგომა გამოვიყენოთ თანამედროვე აზროვნების მრავალფეროვან სამყაროში, ადამიანის მენტალურ ქმედებათა ზღვარდაუდებელ შემოქმედებაში.

ამ პოზიციიდან ახლებურად მოსჩანს მთელი ფილოსოფიური ტრადიცია. ჰუსერლის პრეტენზია, რომ ფენომენოლოგიამ მიაღწიოს სიმწიფის ასაკს როგორც მკაცრმა (და არა ზუსტმა) მეცნიერებამ, არ შეიძლება გაგებულ იქნას პირდაპირი აზრით. თუნდაც იმიტომ, რომ ფენომენოლგია, წილნაყარი შემოქმედებითი აქტის იდუმალებასთან, მუდამ ახალგაზრდულ გატაცებად რჩება და ვერასდროს მიაღწევს სიბერეს. ფენომენოლოგია ვერასდროს შეიგრძნობს საკუთარ თავს, როგორც ზუსტად ჩამოყალიბებულ მოძღვრებას არსებობისა და არსის შესახებ. ის მუდამ ცოცხალი სწავლებაა, მისი დაუფლების პროცესში ადამიანი გონების ლოგიკურ თანმიმდევრობას კი არ ეუფლება, საკუთარ გულისძგერას ისმენს, თავისუფლების გასაოცარ წყურვილს და სიხარულს შეიგრძნობს, ამსხვრევს რაციონალური აზროვნების ჯაჭვს და საერთოდ ვერ ეგუება გონების ვერავითარ ჩარჩოებს, თუნდაც ჭეშმარიტების დადგენის მიზნით და მისიით. ჭეშმარიტება არის ჭეშმარიტების ძიების პროცესი – აი, ის ერთადერთი, რაც შეიძლება გვითხრას ფენომენოლოგიურად მოაზროვნე შემოქმედმა.

თავისუფლების უსაზღვროება, საითკენაც მიისწრაფის ფენომენოლოგი, სულაც არ ავალდებულებს მას ეძიოს ჭეშმარიტება. იქნებ, ჭეშმარიტებაში ყოფნა არ საჭიროებს მის ძიებას, აღმოჩენას, დადგენას და გამოთქმას?! ჭეშმარიტებაში ყოფნა, როგორც ფენომენოლოგიური განწყობის არსობრივი მომენტი, თვითშემეცნების შეუძლებლობას ესაზღვრება, ის ადამიანის თვითყოფნის მიუწვდომელი წყაროა. ჭეშმარიტება ადამიანის "მეობის" ისეთი მოცემულობაა, სულ მუდამ რომ ხელიდან უსხლტება აზროვნების სიცხადეს და ლოგიკური მსჯელობის ბადეს. ჭეშმარიტება სახავს შემოქმედების გზას, როგორც ცისკრის ვარსკვლავი, წინ რომ მიუძღოდა მოგვებს ბეთლემისაკენ. მისი თვალისმომჭრელი სხივი არა მხოლოდ ფილოსოფიურ წიაღსვლას ანათებს, ის მხატვრულ მუზასაც ეთამაშება, ლიტერატურის, პოეზიის, მუსიკის, ფერწერის, თეატრის ... სილამაზის ხელოვნებათა დაუსრულებელ ფერიცვალებას მოიცავს.

ამიტომ, გასაკვირი არც არის, რომ ფენომენოლოგიური განწყობა ფილოსოფიისა და მწერლობის ერთიანობას გულისხმობს. მოაზროვნე, რომელიც ქვეშეცნეულად მიჰყვება ცნობიერების ნაკადს, მხატვრული და ფილოსოფიური აზროვნების ერთიან დინებაშია ჩაძირული. ის ფილოსოფოსიც შეიძლება იყოს და მწერალიც. შემოქმედებითი აზროვნების ტალღა მას იდეათა სამყაროდან ლიტერატურულ სახეთა ქმნადობის წიაღში მიაქანებს. სამყაროს ქმნადობის და მისი შემეცნების გზა ისე შემპარავად ერწყმის ერთმანეთს, რომ გული და გონება ცნობიერების ერთ ინტენციონალურ ნაკადში ერთიანდება. ადამიანი ფიზიკური არსებობიდან ესთეტიკურ ფასეულობათა მარადიულ სფეროში გადადის.

ბრენტანოს და ჰუსერლის მოძღვრებათა ღიაობა შემოქმედების პროცესის მიმართ ფერს უცვლის როგორც ფილოსოფიას, ასევე მხატვრული ლიტერატურას. ფილოსოფიაში აღარ ხდება ადამიანის ცნობიერების გრადაცია მისი ფსიქოლოგიური ფუნქციების მიხედვით. გრძნობა, გონება, წარმოსახვა, ნებელობა, ინტუიცია – ფსიქოემოციური ენერგიის გამოვლენათა ეს სიმრავლე ერთიანდება აზროვნების ერთ, ინტენციონალურ ნაკადში. ეს შეუქცევადი ნაკადი

ლოგიკურ საზრისს იძენს ყოფიერების ინდივიდუაციის და არა არსებულის განზოგადოების გზით. თუ დავაკვირდებით, აქ შემეცნების პროცესის ახალ, იდუმალ გარდასახვასთან გვაქვს საქმე, ძალიან რომ წააგავს მხატვრულ შემოქმედებას. ხდება იდეაციის ცოცხალი პროცესის გასვლა რაციონალური აზროვნების ფარგლებიდან და "ლოგოსით" წარმართული ნაკადის გაშლა სახეთაქმნადობის ზღვარდაუდებელ სივრცეში.

გონების საზღვრების მსგავსი დარღვევა ხდება ლიტერატურის სამყაროშიც. ავტორის "სიკვდილის" თემა, ასე მძაფრად რომ ჟღერდა მე-XX საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობაში, თანამედროვე მწერლობის ფენომენოლოგიურ საწყისებზე მიანიშნებს.

შეიძლება ითქვას, რომ ე.წ. ინტელექტუალური პროზა, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან რომ ჩამოყალიბდა როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ფენომენი, არათუ ენათესავება, სიღრმისეულად წვდება თანადროული ლიტერატურული სამყაროს ახალ მიღწევებს. დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას ავტორისა და მკითხველის თანაშემოქმედების და აგრეთვე ავტორისა და მხატვრული პერსონაჟის, განსხვავების და ერთიანობის საკითხი.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პროზა არსებითად ცნობიერების ნაკადის ლიტერატურის ერთერთი საინტერესო განშტოებაა. დოსტოევსკის, ჯეიმს ჯოისის, მარსელ პრუსტის, ფრანც კაფკას, თომას მანის, უილიამ ფოლკნერის, სამუელ ბეკეტის, გაბრიელ მარკესის და სხვათა ავანგარდისტულ იდეებს, თავისებურად ქართული პოეზიისა და პროზის ტრადიციათა განვითარებით ეხმაურება ოთარ ჭილაძის, თამაზ ჭილაძის, ოთარ ჩხეიძის, ჯემალ ქარჩხაძის, გურამ დოჩანაშვილის და სხვა ავტორთა ინტელექტუალური პროზა.

ფენომენოლოგიის დამსახურებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ უახლესი დროის ფილოსოფია ღრმად შეიჭრა თანადროულ მხატვრულ ლიტერატურაში. ჰუსერლის მეთოდის შემოქმედებითმა გამოყენებამ ზღვარი წაშალა ფილოსოფიასა და მწერლობას შორის. სუბიექტის და ობიექტის ფენომენოლოგიური ერთიანობის საფუძველზე მოხდა ავტორისა და ლიტერატურული პერსონაჟის შერწყმა. ნაწარმოებმა, ამის გამო, შეიძინა ერთგვარი დამოუკიდებლობა ავტორ-სუბიექტის ნებისგან. თითქოს მხატვრული შინაარსი რაღაც ნამდვილად მიმდინარე, თვითმოძრავი ნაკადი იყოს, რომელიც დასაბამს მწერლის ჩანაფიქრიდან იღებს, მაგრამ შემდგომ ვითარდება თავისი საკუთარი გზით. მართალია, პერსონაჟის ასეთი უცნაური დაუმორჩილებლობა ზოგადადაც შეინიშნება კლასიკური ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ სწორედ ბრენტანოს და ჰუსერლის მიერ აღმოჩენილმა გონების ინტენციონალობამ გააძლიერა და თამაშის ახალ წესად დაამკვიდრა ნაწარმოების თვითმოძრაობის ეფექტი.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. 1.დემურ ჯალაღონია

1.2. დემურ ჯალაღონია

1.3. დემურ ჯალაღონია

2.1Lela Alexidze

3.1. ვალერიან რამიშვილი

3.2ვალერიან რამიშვილი

4. 2 აკაკი ყულიჯანიშვილი

5.1. ანასტასია ზაქარიაძე

5.2. ანასტასია ზაქარიაძე

5.3. ანასტასია ზაქარიაძე

7.1.ნაპო კვარაცხელია
8.1.მამუკა დოლიძე
8.2. მამუკა დოლიძე
9.1. მამია სურმავა
9.2. მამია სურმავა
9.3. მამია სურმავა
2) მოხსენების სათაური
1. 1. თავისუფლების როგორც უპირობო უფლების ფილოსოფიურ-პოლიტიკური გააზრება (ამერიკული მოდელი)
1.2. .თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია ახალი გამოწვევების წინაშე
1.3. ზურაბ კაკაბაძის ფენომენი
2.1Aristotle in Neoplatonic context: Michael Psellos, Nicholas of Methone, Ioane Petritsi" (ინგლისურ ენაზე, ერთ საათიანი მოხსენება, ძირითადი მომხსენებელი - keynote speaker)
3.1 "პროტესტანტიზმიდან პოსტმოდერნამდე ამერიკულ კულტურაში"
3.2. „მანი და სიმულაკრი როგორც ადამიანის ყოფნის წესები"
4.2 .კულტურის ეკოლოგია
5.1. ბუნების უფლებები vs უფლებები ბუნებაზე - ეკოეთიკური პერსპექტივა.
5.2. როდის არის ადამიანი კაცი? ბიოტექნოლოგიებით გამოწვეული ეთიკური დილემები
5.3. ამერიკული განმანათლებლობა-გზა რელიგიური თავისუფლებიდან ლიბერალურ რელიგიამდე.
7.1ადამიანის ,,ბუნებრივი მდგომარეობის'' შესახებ
8.1. ამერიკელი თანამედროვე ფილოსოფოსის, რობერტ სოკოლოვსკის შეხედულება ხელოვნური ინტელექტის შესახებ.
8.2.ბუნებრივი და ხელოვნური ინტელექტი. ენა და ცნობიერება,გონება და ტვინი კომპიუტერი, როგორც ხელოვნური ინტელექტი
9.1. ლუდვიგ ვიტგენშტაინი ენის საზღვრების შესახებ (კრიტიკული ანალიზისათვის)/Wittgenstein about the Limits of language (Critical Analysis
9.2. ზურაბ კაკაბაძის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ერთი ასპექტის შესახებ (თავისუფლება როგორც ტრანსცენდენცია)/About one aspect of Zurab Kakabadze's philosophical anthropology (Freedomas as movement of Transcendence)
9.3. დემოკრატიული მსოფლიო ახალი გამოწვევების პირისპირ

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.1 . თავისუფლების როგორც უპირობო უფლების ფილოსოფიურ-პოლიტიკური გააზრება (ამერიკული მოდელი)
1.2. თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფია ახალი გამოწვევების წინაშე
1.3. ზურაბ კაკაბაძის ფენომენი
2.1.საერთაშორისო ვორკშოპი Aristotelianism in Easter Christianity, 20-22 სექტემბერი, 2021, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სავლე წერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტის ორგანიზებით, ონლაინ. (გათვალისწინებულია გამოქვეყნება 2022 წელს)
3. 1. ამერიკათმცოდნეობის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია
4.1 თსუ
3.2ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერნეცია: ზურაბ კაკაბაძე 95

5.1. იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:" ზურაბ კაკაბაძე – 95." თსუ. 17. 11. 2021

5.2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეთხუთმეტე საფაკულტეტო კონფერენცია. თსუ 05-07.07

5.3. ამერიკისმცოდნეობის ყოველწლიური მე-22 საერთაშორისო კონფერენცია, თსუ. 23-25 მაისი.

7.1.15 ივლისი, თბილისი, ფილოსოფიის აკადემია

8.1. 20 - 22 მაისი 2021 წ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი 22-ე საერთაშორისო კონფერენცია,

8.2. 2021 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

9.1. 2021, თბილისი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილისადმი)

9.2. 2021, 18 ნოემბერი, თბილისი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოსოფიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ზურაბ კაკაბაძე – 95)

9.3. ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

10.1. 2021, 5 ივნისი, თბილისი (უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაცია, ვებინარი „უსაფრთხოების ფილოსოფია“, http://usma.ge/news/file/vebinaris%20anonsi2.pdf?fbclid=IwAR2T8b3J5TkR2MMtgtRSgvG33PY8VJDbn8s1duKZ0jP3jB1S1DdMF43gHLA

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1.1 განთავსდა ელექტრონულად

1.2 მთელი მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე პოლიტიკური ფილოსოფიის წინააღმდეგ დიდი შტურმი ხორციელდებოდა. მეცნიერების პრეტენზიის მქონე ფილოსოფიური დისციპლინები მის საჭიროებას ეჭვქვეშ აყენებდნენ.

საზოგადოებაში მომხდარმა ბოლოდროინდელმა ცვლილებებმა ღრმა კვალი დაატყო პოლიტიკური ცოდნის ხასიათსა და მისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ამის მიუხედავად ლეო შტრაუსმა განსაზღვრა პოლიტიკური ფილოსოფია, როგორც პოლიტიკურ საგანთა ბუნების გაგების შესახებ ნორმატიული დისციპლინა, რომელსაც აინტერესებს არა ,,არსებული როგორი არის'', არამედ ის თუ არსებული ,,როგორი უნდა იყოს“.

პოლიტიკურ ფილოსოფოსთა მთელი არმანდა ჩაერთო ფარულ თუ ცხად დისკუსიაში. არნახულ სიმძაფრით წამოიწია წინა პლანზე თითქოსდა დოგმად მიღებულმა ფენომენებმა, როგორიცაა თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, ხელისუფლება, ძალაუფლება. სრულიად ახალი დისკურსმა მოიცვა პოლიტიკურის ველი. გაჩნდა ახალი კონცეპტები; საზღვრითი ცნება, ინტერდისციპლინარული დისკურსი და ა.შ.

ჩვენს დროში განსაკუთრებით როულზის შეხედულება აღმოჩნდა წყალგამყოფი, სადაც გააზრებული იქნა, რომ პოლიტიკური ფილოსოფია მორალის ფილოსოფიის განშტოებაა. ჰანა

არენდტმა კი ხელისუფლება პოლიტიკის პირველსაწყის ელემენტად მიიჩნია. ნოზიკმა თანასწორობის იდეა წამიწია წინა პლანზე და ა.შ. სხვა მოაზროვნეებმა განსხვავებული დისკურსები შემოგვთავაზეს.

პოლიტიკური ფილოსოფიის ცნებებმა, კატეგორიებმა ტრანსფორმაცია განიცადეს. მრავალმა მოაზროვნემ გაიზიარა პოლიტიკის ფილოსოფიაზე როულზისეული შეხედულება. თუმცა ზოგჯერ განსხვავებულ დასკვნამდე მიდიოდნენ. საბოლოოდ სამართლიანობის თეორიამ გამოიწვია მრავალი ავტორის დაეჭვება, ხომ არ დააკნინა ,,სამართლიანობის თეორიამ'' პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტები და არეალი.

თანამედროვე პოლიტიკურ ფილოსოფიაში გამოვკვეთა სამი ნიშანი, რომელიც არსებულ ვითარებას კარგად ახასიათებს.

პირველი ლიბერალიზმი სადღეისოდ გაბატონებულ მიმართულებად გადაიქცა.

ლიბერალიზმი გახდა სადღეისოდ ზნეობრივი და პოლიტიკური შეფასების აბსოლუტური სტანდარტი. ლიბერალიზმი გადააქცია მეტაენად, მოიპოვა პრივილეგია, რომ იყოს მსაჯული იმისა, თუ როგორ ენაზე მეტყვლებენ სხვები.

ლიბერალიზმმა შეითვისა სხვა მიმართულებების მორალი, თითქოს გამდიდრდა, მაგრამ თავისებურ იდეოლოგიურ ესპერანტოდ გადაქცევის საფრთხე დაემუქრა''.

დღეს თითქოსდა არავინაა ავტორიტეტი, რომ მოეპყრა ღვთაებრივი მოწიწებით. დამთავრდა ,,გურუს'' პერიოდი.

როულზმა კარგად გააცნობიერა არსებული ვითარება. 1993 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამეტურ ნაშრომში ,,პოლიტიკური ლიბერალიზმი'' საკმაოდ განსხვავებული ფილოსოფიური თვალსაზრისი შემოგვთავაზა. რამაც მას საშუალება მისცა შემდგომ პოლიტიკური ფილოსოფიის ბუნება და საზღვრები ოთხ ფუნქციით განესაზღვრა.

ბუნებრივია ფილოსოფოსები, პოლიტიკური მეცნიერებები, ფსიქოლოგები თეოლოგები... ჩაერთნენ ფუნდამენტურ დისკურსში. სწორედ ჩემი მოხსენების მიზანს წარმოადგენს პოლიტიკური ფილოსოფიის ახალ ჰორიზონტზე დილემური პრობლემების კონცეპტუალურად გააზრება და ახალი პოლიტიკური დისკურსის გამოწვევების გაანალიზება.

2.1მოხსენება (ინგლისურ ენაზე) წარმოადგენს ვრცელ ანალიზს (ტექსტი დაახლ. 20 გვერდი) ნეოპლატონურ კონტექსტში არისტოტელესადმი დამოკიდებულების, კერძოდ, შუა საუკუნეების აღმოსვლეთ ქრისტიანულ ინტელექტუალურ გარემოში, კონკრეტულად კი მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეების ორ ბიზანტიელ ავტორთან, მიქაელ ფსელოსთან და ნიკოლოზ მეთონელთან, და დაახლოებით მათ თანამედროვე ქართულენოვან იოანე პეტრიწთან (სამივე მოაზროვნის განსახილველი ნაშრომები პირდაპირ კავშირშია პროკლეს ფილოსოფიასთან). მოხსენება (და შესაბამისი სტატია, რომელიც მზადდება) წარმოადგენილია შემდეგი ნაწილების სახით: 1. შესავალი, რომელშიც გადმოცემულია ნაშრომის მიზანი და აღნიშნულია ის ტექსტები, რომელთა საფუძველზეც არის კვლევა განხორციელებული (ფსელოსთან ეს არის მისი ე.წ. Omnifaria doctrina, მეთონელთან მისი *Anaptyxis,* ხოლო პეტრიწთან მისი კომენტარი პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლებზე"), მოკლედ არის წინასწარ დახასიათებული თითოეული ამ მოაზროვნის მიდგომის სპეციფიკა არისტოტელეს ფილოსოფიისადმი. 2. ნაშრომის მეორე თავი ეძღვნება მიქაელ ფსელოსის ხსენებულ წიგნს. აქ, კონკრეტულად, არისტოტელესადმი დამოკიდებულება შესწავლილია შემდეგი ფილოსოფიური თემების კონტექსტში: (ა) სულის, გონებისა და იდეების საკითხები; (ბ) მოძრაობის მიზეზები და სახეები; (გ) ელემენტები, სიცარიელე და კოსმოსი. 3. ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება ნიკოლოზ მეთონელს. ის შედგება შემდეგი ქვეთავებისგან: (ა) მეთონელის ზოგადი დასკვნა არისტოტელეს შესახებ, მის მიერ შესავალშივე გამოთქმული, რომლის თანახმად არისტოტელე "არაა უკეთესი სხვა ელინ ბრძენ ადამიანებზე'; (ბ) ნიკოლოზ მეთონელის მიერ მიერ პროკლესა და არისტოტელეს შეხედულებებს შორის უთანხმოების ჩვენება არსთა მოძრაობის საკითხთან დაკავშირებით; (გ)

არისტოტელეს პირველი არსების თეორიის დაპირისპირება პლატონის ‘ზოგადობებთან” (უნივერსალიებთან); (დ) ნიკოლოზ მეთონელის კრიტიკა საგანთა უსასრულობის დაშვების თეორიისა და ამ კონტექსტში არისტოტელეს მოხსენიება და მისი (მცდარად) გამოყენება პროკლეს წინააღმდეგ; (ე) სულთა შესახებ პროკლეს თეორიის კრიტიკა და ამისთვის არისტოტელეს მოშველიება. 4. ნაშრომის მეოთხე თავი პეტრიწს ეძღვება. შესავალში და ამ თავის პირველ ქვეთავში ზოგადად დახასიათებულია მისი დამოკიდებულება პლატონური და არისტოტელური ტრადიციის მიმართ, შემდეგ განხილულია თემები: (ა) უსხეულო და სხეულოვანი გვარების გარჩევა; (ბ) სულის პლატონური და არისტოტელური გაგება; (დ) შემოქმედებითი მიზეზის გაგება; (ე) დროის გაგება; (ვ) პლატონური ფილოსოფიის უპირატესობა არისტოტელესთან შედარებით თეოლოგიის სფეროში (სხვა ყველა ზემოთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებითაც პეტრიწი განმარტავს პლატონური ხაზის უპირატესობას არისტოტელესთან შედარებით). შემდეგ, განხილულია ასევე ის თემები, რომლებშიც პეტრიწი იზიარებს არისტოტელეს თეორიას, თუმცა ამ თემების არისტოტელესეული განმარტება, ძირითადად, ზოგადად მისაღები იყო ანტიკური ნეოპლატონიზმისთვის, რასაც პეტრიწიც იზიარებდა. ეს თემებია: (ა) ლოგიკის მნიშვნელობა ფილოსოფიური კვლევისთვის; (ბ) არსებას, ძალასა და მოქმედებას შორის დიალექტიკური ურთიერთმიმართება; (გ) გონისმიერი აზროვნების მექანიზმი: მოაზროვნე სუბიექტის იდენტობა აზროვნების საგანთან; (დ) მატერიის, როგორც ფორმის ნაკლებობის გაგება; (ე) სამყაროს მარადიულობის გაგება. 5. ნაშრომის მეხუთე ნაწილს წარმოადგენს დასკვნა, სადაც მოკლედ არის შეჯამებული სამი ფილოსოფოსის (ფსელოსი, მეთონელი, პეტრიწი) არისტოტელეს ფილოსოფიისადმი დამოკიდებულების თავისებურებები.

1.3. განთავსდა ელექტრონულად

რომელიც პოლიქრომიის საუკეთესო ნიმუშადაა მიჩნეული. კერძოდ კი, მასზე ფართოდ გამოყენებული ინკრუსტაციით შემკობის საკითხს, რომელიც ამ პერიოდის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად იქცა. საგანგებოდ ამ თემის კვლევამ მოგვცა საშუალება გამოგვეყო ტიპოლოგიურად სამი განსხვავებული ჯგუფი ინკრუსტირების სტილში, რომელიც ერთ ყელსაბამზეა წარმოდგენილი. მათ შორის გამორჩეული მდიდრულობითა და სირთულით ხასიათდება ამ ნიმუშის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ოქროს მხატვრულად დამუშავებულ ჩარჩოში ჩასმული აქატის კულონი. საბოლოოდ კი, სამკაულის განხილული ტიპი ნათლად გვიჩვენებს ოქრომჭდლობაში ამ ტექნიკური ხერხის გამოყენებით სტილისტური მრავალფეროვნების დანერგვაზე.

5. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში უკვე ქრისტეს მოციქულთა მიერ იწყება.ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვათა“ გეოგრაფიის მიხედვით წმ. მოციქული ქრისტიანობის საქადაგებლად სამჯერ ყოფილა საქართველოში. წმინდანს მესამე მოგზაურობისას ერთხანს თან ახლდნენ სვიმონ კანანელი, მატათა, ბართლომე და თადეოზი. ამ მოგზაურობის შესახებ ქართლის ცხოვრება გვაუწყებს, რომ როცა მოციქულმა მიაღწია სვანეთს, „მას ქუეყანასა მთავრობდა დღეთა მათ დედაკაცი ვინმე მთავარი, რომელსა ჰრწმენა ქადაგებად მოციქულთა. და მატათა სხუათა მათ თანა მოწაფეთა დაშთა მათკერძოთა,

წლების მანძილზე თანდათან დაგროვდა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, რომელმაც ქართულ წყაროთა გადმოცემას დაუახლოვა ქრისტიანობის გავრცელების პირველი გზები. ბევრი რამ ამ მასალაში ქრისტიანული სიმბოლოების გამომხატველი საგნებია, რომელშიც, ნათლად აისახებოდა ახალი რელიგიის იდეოლოგია და დამოკიდებულება წარმართულ გარესამყაროსთან. თითოეულ მათგანზე ეპოქის კვალია დატოვილი და ამ თვალსაზრისით, სიმბოლოები სვანეთის კულტურული მდგომარეობისა და გარესამყაროსთან ურთიერთობის ნიშნის მატარებელია.

სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები დღეისათვის საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. მიუხედავად ამისა, გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების სვანეთის ცხოვრების ზოგიერთი სპეციფიკური მხარის ჩვენება მკრთალად წარმოგვიდგება. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი რეგიონის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მთელ რიგ არსებით საკითხებზე. საეკლესიო კრებათა მატიანეები და საერო სახის სხვადასხვა ხელნაწერები, მაღალმხატვრული ოქრომჭედლობა, დახვეწილი არქიტექტურა, `სვანური ფერწერის მხატვრული სკოლა“, ეკლესიებში დაცული დიდძალი განძეულობა და ქრისტიანული კულტურის მრავალი სხვა კომპონენტი, სვანეთში ქრისტიანული იდეოლოგიის ყოვლისმომცველ ხასიათს და საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების მაღალ დონეზე მეტყველებს. სვანეთში ქრისტიანული ხელოვნების განვითარება, რომელსაც ახასიათებს არაერთი თავისებურება, ქართული ხელოვნების განვითარების სინქრონულად მიედინებოდა და მის ნაწილს წარმოადგენდა.

ადრე შუასაუკუნეების სვანეთში ქრისტიანული იდეოლოგიის ხასიათსა და საეკლესიო ცხოვრების დონეზე მეტყველებს მდ. ენგურისა და ცხენისწყალის ზემო წელზე გამოვლენილი სამაროვნები და ეკლესიები: ფხუტრერში, სოლში, ხოფურში, ბაბილში, მაზერში და ნესგუნში. ძეგლების გაცნობა და ისტორიული წყაროების ანალიზი მტკიცედ ასაბუთებს სვანეთის მოსახელეობაში როგორც ქრისტიანული რწმენის სიმტკიცეს, ისე საზოგადოებრივ ურთიერთობაში ეკლესიის მნიშვნელოვან როლს.

6. უკანასკნელ ხანებში წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური და სხვა მასალის მონაცემების შუქზე მტკიცდება დებულება იმის თაობაზე, რომ სვანებს უძველეს ხანასა და ადრეულ შუა საუკუნეებში უფრო ვრცელი ტერიტორია ეჭირათ, ვიდრე შემდგომ პერიოდში (ჩართოლანი, 1996: 12-145; Битадзе, 2002: 123; Джапаридзе, 1989: 34-123; კვიციანი

და სხვა:2015: 79). ეს შეეხება სვანეთის როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ისე ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრებს. ამ მხრივ, განსაკუთრებული ინტერესის მომცველია და ნაკლებად შესწავლილი სვანთა კავკასიონის მთიელთა ურთიერთობები.

კავკასიონის მთიანეთში უხვად შემონახული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის დარგობრივი მეცნიერული შესწავლის შედეგად, სადღეისოდ უკვე ცნობილია სვანეთის საპატიო ადგილი და როლი, არა მარტო კოლხურ არამედ მთლიანად კავკასიის კულტურებს შორის. განსაკუთრებით საინტერესო ინფორმაციას იძლევა სვანეთის, რაჭისა და ლეჩხუმის არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური ძეგლები; გ.ლორთქიფანიძე, და სხვ., 2008: 3-99). რელიგიურ – მითოლოგიური, ენობრივი, ეთნოგრაფიული და სხვა მასალები. მათი შედარებითი ანალიზი აშკარად მიგვითითებს ამ კულტურული მემკვიდრეობის ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ კავშირებზე, არა მარტო კოლხეთის და მთლიანად კავკასიის, არამედ ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ხანის, ბერძნული სამყაროს კულტურებთან, რასაც ბუნებრივია, საფუძვლად ედო, მეზობელ და შორეულ რეგიონებთა სვანეთის ხანგრძლივი სავაჭრო – ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები.

არქეოლოგიური მონაცემებით კაკასიონის მთავარი ქედის მაღალმთიანი ზოლის სამეურნეო ათვისება ნეოლითის ხანაში იწყება (გრიგოლია,1977: 156). უძველეს პერიოდებში სვანეთის კონტაქტები გარე სამყაროსთან ხორციელდებოდა ხევისპირა, გვერდითი და უღელტეხილებზე გამავალი გზებით, რომელთა რაოდენობა 50 აღემატება პერიოდებში პროტოყობანურ და ყობანურ ხანაში, როგორც ჩანს, ეს კონტაქტები უფრო ძლიერდება (კვიციანი და სხვა., 2015: 56).

გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანაში სვანეთი კავკასიის კულტურის სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ძლიერი კერაა. მისი სიმძლავრე აღემატებოდა ლითონზე ადგილობრივ მოთხოვნილებას. ფერადი და იშვიათი ლითონებით ამარაგებდა კავკასიას და შესაძლოა უფრო შორეულ რეგიონებსაც.

სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული მასალები უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ კავკასიის რეგიონის სავაჭრო - ეკონომიკური ურთიერთობებისათვის სვანეთს გააჩნია საკუთარი ბუნებრივი და სამეურნეო - ეკონომიკური ბაზა: მძლავრი სამთამადნო, მეტალურგიული და ხელოვნური წარმოება, სპილენძი, რკინა, ფერადი მადნეული და იშვიათი ლითონები, ძვირფასი ბეწვეული, ავეჯის დასამზადებლად საჭირო მერქანი, ფისი, ცვილი, თაფლი და სხვა სავაჭრო ნომენკლატურა, რითაც კავკასია, წინა აზია და ბერძნული სამყარო იყო დაინტერესებული.(ჩართოლანი,1996: 138)

კავკასიონის მთიელებთან სვანეთის კავშირ-ურთიერთობებს ადასტურებს აგრეთვე შეხვედრები მითოლოგიურ და რელიგიურ ასპექტებში.

კოლხეთის მთიან ზოლში დაფიქსირებული ძველი სამიმოსვლო გზების მიმართულებების, გამტარუნარიანობის მონაცემებისა და არქეოლოგიური ძეგლების განლაგების შედარებითი ანალიზი მიგვანიშნებს, რომ მთიანი ზოლის საგზაო სისტემების გამტარუნარიანობის სეზონური ხასიათის მიუხედავად, კავკასიონის მთაგრეხილი თავისებური გამაერთიანებელი ხერხემლის ფუნქციასაც ასრულებდა, მის გარშემო მოსახლე ტომების ურთიერთობაში. ხოლო სვანეთი გეოგრაფიული მდებარეობისა და კულტურული ნაკადების მიმართულებათა შესაბამისად ,,შემაერთებელი ხიდია'' კავკასიონის ქედის ორივე მხარის ქვეყნებისათვის. (კვიციანი, 2000: 56-63)

მეცნიერებმა მშვენივრად იციან, რამდენად მყარია და მტკიცე კავკასიელი მთიელების საყოფაცხოვრებო წყობის ტრადიციები: მათი საცხოვრებლის ტიპები, . შრომის იარაღების ფორმები, ტანსაცმლის ტიპები, სამკაულები, ორნამენტები და ა.შ.კავკასიის მთიანეთის ტერიტორიაზე ქართული წარმოშობის ტოპონიმები, ქართული (სვანური) ტიპის კოშკები.(კვიციანი, 1999: 152-160).

ქართული (ქრისტიანული) მატერიალური ძეგლების არსებობა არ უნდა იყოს სვანთა და კავკასიონის მთიელთა მხოლოდ მეზობლური ურთიერთობის შედეგი, არამედ ეს ფაქტები მეტყველებენ ჩრდილოეთ კავკასიაში სვანური ეთნიკური ელემენტის არსებობაზე უძველესი დროიდან დღემდე.მხოლოდ ბალყარეთის რეგიონში დაფიქსირდა 90 ასეთი სვანური გვარი. ტოპოგრაფია ასეთია

(ლაშკუდა , ჟაბოლარ, ლალვერ, ლაკრან, გაგიშ, და ა.შ. ყარაჩაიში 30 (უშგულანი, , ხურზუკი, ლაბგვიარი, დალარ ბაჩა-ზოგი, თებერდა, კლუხორ ხატიფარა, სენტი, შუანგპინი და ა.შ.) : ბოტაევი-კახიანი, გეკიევ-კახიანი, ებზეევი-არღვლიანი , ოთარლარ-დადეშქელიანი, ჟაბელარ-დადეშქელიანი, რახაილარ-რეხვიაშვილი ,ქერმანოვ- ქურდანოვ-ქურდიანი, შახმურზაევი-გუჯეჯიანი. შუანოვი - სვანის მხარე, ჩარკუიანოვი - ჩარკვიანი, ჯაპუევი-ჯაფარიძე, ხუბიევი - ხვიბლიანი, წულკიანოვი - წულუკიანი, მეჩიევ-მიმჩუევი - მიბჩუანი და სხვები.

7. საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ადამიანის ნაშთების გათვალისწინებით, საქართველოში უძველეს მოსახლეებად მიიჩნევიან **1.8 მლნ წლის წინათ აფრიკიდან მიგრირებული** და პირველ ევროპელებად აღიარებული ,,ზეზვა და მზია". ამ პირველ იმიგრანტთა გამოჩენასთან ერთად, საქართველო გახდა გლობალური მიგრაციული პროცესების აქტიური მონაწილე.

მიგრაციულ ნაკადთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესის წარმოქმნია: **ბერძნული კოლონიზაცია.** ძველი წელთაღრცხვით IV საუკუნის ბოლოს აღმოცენდა ქართლის ანუ იბერიის სახელმწიფო. საქართველოს ისტორიაში სწორედ აქ გვხვდება პირველად მიგრაციის კიდევ ერთი, დღეს საკმაოდ აქტუალური სახე, **ურბანიზაცია.** ქართლის პირველი მეფის, **ფარნავაზ I-ის დედა** იძულებული გახდა ოჯახი სპარსეთში გაეხიზნა, საქართველოში დაბრუნებული 20 წლის ფარნავაზი თავის მხრივ ძლევამოსილი კავშირებით და შეგროვებული ძლიერი ჯარით განდევნის აზოს ჯავახეთში. ფარნავაზის ძეს, **საურმაგ I-საც** მოუწია აჯანყებული ერისთავების წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად დედულეთში, **დურძუკეთში** წასვლა, საიდანაც სწორედ მას მიეწერება ჩრდილო კავკასიიდან კავკასიელ ტომთა გადმოსახლება საქართველოს მთიანეთში.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით, საბოლოოდ გამოიკვეთა ქართველი ერის კულტურული იერსახე. ეს იყო ისეთი გარდატეხა, რომლის მსგავსი არც მანამდე და არც მას შემდეგ არ მომხდარა ქართველი ერის ისტორიაში. ამიერიდან ქრისტიანობა (სხვა რელიგიებთან დაპირისპირებაში) ქართველების ყველაზე დიდი განმსაზღვრელი გახდა. ყველა ის, ვინც აღიარებდა ქრისტიანობას და წირვა-ლოცვას ქართულად ასრულებდა, ქართველად ითვლებოდა, მისი ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად. მაჰმადიანი **არაბი აბო** უკვე ქართველია, მას შემდეგ, რაც მან მიიღო ქართული აღსარება ქრისტიანობისა. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ქართული წყაროების მონათხრობი მირიან მეფის შესახებ, რომელმაც IV ს-ის დასაწყისში საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ცნობილია, რომ **მირიანი სპარსი** იყო. ამრიგად, უცხო, არაქართული ჩამომავლობის ადამიანი შეიძლებოდა გამხდარიყო ქართველი. ასეთი იყო მირიან" (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 378).

დავით აღმაშენებელმა განახორციელა ერთი ძალიან საინტერესო იდეა, რომელმაც მიგრაციის დიდი ნაკადი წარმოშვა ჩრდილოეთ კავკასიიდან მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს გადაწყვეტილება **ყივჩაღების ჩამოსახლება** იყო. ყივჩაყები სწრაფად ასიმილირდნენ ქართველებში. უპირველესად, ისინი ქრისტიანდებოდნენ. ეს არის კოლექტიური იდენტობა. კოლექტიური იდენტობის ცნება საკმაოდ ახალია. ის უახლეს წარსულში შემოიტანა იტალიელმა მკვლევარმა, ანტონიო მელუჩიმ. კოლექტიური იდენტობა სოციალური იდენტობისაგან იმით განსხვავდება, რომ ის აღნიშნავს არა ინდივიდის ადგილს ჯგუფში, არამედ მთლიანად ჯგუფის (თავად ჯგუფის) იდენტობას. კოლექტიური იდენტობის ცნება ჯგუფური/სოციალური მოქმედების საინტერპრეტაციო კონცეპტუალური ინსტრუმენტია მაშინ, როცა სოციალური იდენტობა მხოლოდ ინდივიდუალური თვითკატეგორიზაციის პროცესს აღწერს (Meluci, 1996). ერთ-ერთი მოცემულობა და უმნიშვნელოვანესი თეორიული კონცეპტი, რომელიც კოლექტიური იდენტობის ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს, არის ეთნიკურობა. ის ჯგუფში გაერთიანებული ადამიანების კოლექტიურ იდენტობას გამოხატავს. შემდგომი საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ისტორიაში მიგრაციის უმეტეს ნაწილს დამპყრობელთა შემოსევები წარმოადგენდა. ჯერ **მონღოლების**, შემდეგ კი **ირანის** და **ოსმალეთის**,

აგრეთვე **ლეკების**, რომლებიც პერიოდულად შემოდიოდნენ, აოხრებდნენ საცხოვრებლებს და იტაცებდნენ მოსახლეობას. ქართული საისტორიო წყაროებით აშკარაა, რომ ფეოდალური პერიოდის აფხაზი და დვალი (ეს უკანასკნელი XVII ს-ში, როგორც ცალკე ინდივიდუალური ერთეული, ქრება) ისეთივე ქართველად გაიაზრებოდა, როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში მცხოვრები დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზები თანაცხოვრობდნენ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის სხვადასხვა წარმომადგენლებთან (მეგრელები, სვანები) ერთად. საკუთრივ აფხაზების განსახლების არეალი ახალი ათონის ჩრდილო-დასავლეთით იყო. ქართველები მათ ყოველთვის ეთნონიმ "აფხაზით" მოიხსენიებდნენ და აფხაზების ჩამოთვლა ქართულ საისტორიო წყაროებში ხდებოდა ქართველთა სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფების გვერდით. ერთიანი ქართული ეთნოსი (ქართველი ერი) ინტენსიურად ისრუტავდა სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულებს. ის ფართოვდებოდა და თვისობრივად იცვლებოდა: "ქართველი ერი წარმოშობით რთული შემდგენლობისა არის, თავისი ტომობრივი წარმოშობის მიხედვით მასში შედიან არა მარტო ერთი ტომის შვილები, არამედ მონათესავე სხვა ტომის შვილები და გარდა ამისა, აგრეთვე, სხვა ტომის შვილებიც. შეიძლება პირდაპირ ითქვას გადაჭრით იმის შესახებ, რომ ყველა მნიშვნელოვან ერთეულს კავკასიაში თავისი წვლილი უძევს ქართულ ეროვნებაში" (ს.ჯანაშია).

8. აძიკვის (გოხნარის) წმიდა გიორგის ეკლესია და სამაროვანი მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, მანგლისიდან სამხრეთ-დასავლეთით 20 კმ-ზე, მდინარე ბზისწყლის ხეობაში, სოფელ გოხნარის განაპირას.. ზ.დ. 1378-1390 მეტრზე . GPS კოორდინატები: **X - 0443488** Y- **4611501** H=**1376**

აღნიშნული ხეობა საკმაოდ სტრატეგიულ და განვითარებულ ხეობას წარმოადგენდა, რაზეც მეტყველებს სხვადასხვა ისტორიული, კულტურული თუ სხვა დანიშნულების ნაგებობები.

რაც შეეხება წმიდა გიორგის ეკლესიას იგი XI -საუკუნით თარიღდება (ხარაძე,2014:207) იგი საკმაოდ მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. სტილისტურად დარბაზული ტიპის ეკლესიაა ორი მინაშენით. ნაგებია ადგილობრივი ალგეთის რუხი თლილი ქვის მოზრდილი ფილებით.გხვდება საშენი ლოდების შეპირისპირების ტექნიკა,კონსტრუქცია სხვადასხვაა შუა წყობაში ცუდად დამუშავებული ტექნიკაა.ჩანს რამდენიმე სამშენებლო ეტაპი.ეს დადასტურდა ჩრდილოეთ კედლის მინაშენის გაწმენდის დროსაც.ყველაზე საგულისხმო აღნიშნულ ტაძარზე როგორც ისტორიული, ისე ძველი ქართული სახვითი ხელოვნების თვალსაზრისით არის ბაზალტის ბარელიეფი, რომელიც დატანებული იყო აძიკვის ეკლესიაზე მიშენებული ეგვტერის კედელში (1,85 × 0,85 მ, ბაზალტი, პირი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში). მასზე გამოსახულია ოთხი ფეხზემდგომი მამაკაცი(მკვლევართა ვარაუდით - დიდებულები).ბარელიეფს ოთხივე მხრივ შემოუყვება ასომთავრული წარწერა (პალეოგრაფიულად X-XIII სს.) . აღნიშნული წარწერა პირველად ექვთიმე თაყაიშვილს წაუკითხავს: „ქ. სახელითა ღმთისაჲთა მე ვარაზბაკურ შევსწირე მიწაჲ თავნარული აძიკურსა ეკლესიასა სალოცავად სულისა ჩუენისა, ვინ შეუცვალოს ანუ ლოცვისაგან კიდე რასაც ენუკევდეს, კრულ იყოს ღრმთისა დაუსაბამოჲსა პირითა ამინ“.(თაყაიშვილი,2018: ბარელიეფზე გამოსახულ პირთა სახელებს მკვლევრები სხვადასხვანაირად კითხულობენ: "ელქატმონ, შოთაჲ, გამრეკელ, ავაგ" (ინგოროყვა,1963: 123). "შოთაჲ, გამრეკელ, ბეშქენ, ვარაზბაკურ" (ბერძენიშვილი,1964:273) პ. ინგოროყვას ვარაუდით, ბარელიეფზე შეიძლება გამოსახული იყო შოთა რუსთაველი. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ბარელიეფის ხასიათი და წარწერა თვით აძიკვის ასომთავრულ წარწერას (XI-XII სს.) უნდა უკავშირდებოდეს და იურიდიული აქტის (მიწის შეწირვის) დამტკიცება-მოწმობას გამოხატავდეს.დღეისდღეისობით აძიკვის ეკლესია საკმაოდ სავალალო მდგომარეობაშია, ჩამონგრეულია სახურავი და კამარები. აგრეთვე სხვადასხვა ხეების ფესვებისგან საკმაოდ დაზიანებული ტაძრის დანარჩენი კედლებიც. იგი სასწრაფო ყურადღებას და დახმარებას ითხოვს.

2020 წლის 24 ივლისიდან 24 სექტემბრამდე არქეოლოგიური ექსპედიცია **(ხელმძღვანელი პროფ.ზ. კვიციანი)** საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა გოხნარის ეკლესიის ეზოში. პროექტის

ფარგლებში იგეგმებოდა ძეგლის გაწმენდა ველური მცენარეული საფარისაგან, ნაშალი და ნაყარი ფენებისაგან და სამშენებლო ნარჩენებისაგან გაწმენდა. შესასწავლ ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ობიექტების გავრცელების არეალის და რაობის დასადგენად იგეგმებოდა საცდელ-საძიებო თხრილების გაჭრა. თხრილების განლაგებას, ინტენსივობას და სიღრმეს განაპირობებს მცენარეული საფარი,რელიეფი, გეოლოგიური ქანების განლაგება და კულტურული ფენების განლაგება-ინტენსივობა.ეკლესიის გარე პერიმეტრის ჩრდილო-დასავლეთის კუთხის მიწის (ნაყარი) გატანის შედეგად გამოჩნდა ჩრდილო-დასავლეთით მთელ გაყოლებაზე ტაძრიდან 2.95 სმ დაშორების კედელი. ტაძრიდან დასავლეთით 1.90 სმ სიგრძეზე დადასტურდა გალავნის კედელი. მისი სიგანე დასავლეთ მხარეს უდრის 110 სმ. გალავანი გრძელდება ჩრდილოეთითაც. ჩრდილოეთით გალავნის კედლის სიგანე უდრის 1 მეტრს.პრეპარაციისას ამოდიოდა ბათქაშების ფრაგმენტები.საკმაო რაოდენობით გამოვლინდა ცხოველის ძვლები, კერამიკის ფრაგმენტი. მათ შორის აღსანიშნავია თხელკეციანი, მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები,ჩრდილოეთ კედლის გასუფთავების დროს ნაყარ ფენაში აღმოჩნდა ჯამის ძირის ფრაგმენტები. იგი მოჭიქულია ნაკაწრი წარწერებით. ასევე დაფიქსირდა თიხის მილებისა და კრამიტის ფრაგმენტები. დასავლეთი კედლის გაგრძელებაზე აღმოსავლეთით სამკვეთლოს გარეთ დაფიქსირდა 2 ცალი, ხოლო სამკვეთლოში 1 ცალი სატყორცნი ლოდი. შესაძლოა ფილაკავანისგან იყო ნატყორცნი.

აძიკვის თიხის ნაწარმი,თიხის სტრუქტურით,გამოწვის ტექნიკით და ორნამენტით უახლოეს პარალელებს პოულობს მე-11-12 სს მოჭიქულ კერამიკასთან.

პროექტის ფარგლებში შედიოდა აძიკვის სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე სამარხი ქვების ლოდების პრეპარაცია.ეს საფლავის ლოდები დიდი ოსტატობით არის გათლილი და ბრწყინვალე კომპოზიციითაა წარმოდგენილი. ერთ-ერთ საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერა პროფ.გიორგი ოთხმეზურმა ასე წაიკითხა:

ასომთავრული : 1დიდ ას ღნი მიოწდვს(ბოლო ასოა იოტა) 2.ონდკთამსთს ქარაგმების გახსნით: 1.დიდ ა(რ)ს ღ(მრთისა)ნი მიოწდ(ო)ვ(ლი)ს(ა)- ბოლო ასოა იოტა 2. ო(ფალმა)ნ დ(ა) კ(ეთილ)თა მ(ი)ს(თა)თ( )ს პირველი სტრიქონის ბოლო გრაფემათა ჯგუფი შეიძლება გაიხსნას ასე: მიო( )წ(ვ)დ(ომ)ვ(ლი)ს(ა)- ბოლო ასოა იოტა იქ სადაც ფრჩხილები ღიადაა დატოვებული უნდა იყოს ვიე.

ძნელია თქმა, ვინ უნდა იყოს აქ დაკრძალული, მაგრამ ჩვენი წინასწარი ვარაუდია, რომ ვინაიდან გოხნარი დიდგორის ველთან ახლოს (შესაძლოა ბრძოლა ამ ადგილზეც მიმდინარეობდა) მდებარეობს და ქრონოლოგიურ ჩარჩოშიც ჯდება, შესაძლოა აქ დიდგორის გმირები იყონ დასვენებული. ასევე არ გამოვრიცხავთ სამშვილდის გმირებს. ყველა შემთხვევაში აქ საქართველოსთვის თავდადებული გმირები განისვენებენ და მათი დაფასება (მოვლა, შესწავლა-კვლევა) ყველა ქართველის ვალია.

ამრიგად აძიკვის ეკლესიისა და სამაროვნის სრული შესწავლისათვის საჭიროა მომავალში არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება,რომელიც დააზუსტებს ძეგლის ხასიათს და მასშტაბებს.

9. წარმართული ხანის ქართული დამწერლობის სამი ეტაპი. კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, წარმართული ხანის დამწერლობის ისტორიაში სამი ეტაპი გამოიყოფა: პალეო-ქართული, გარდამავალი და პროტო-ქართული.

პალეო-ქართული დამწერლობა. ამ თემასთან დაკავშირებით უკანასკნელ წლებში ქართულ არქეოლოგიურ მასალაში გამორჩეული ადგილი დაიკავა გრაკლიანი გორის მონაპოვარმა, სადაც ძვ.წ. X საუკუნის წარწერა აღმოჩნდა. 2018 წელს აღმოჩნდა ქვის ლანგარზე „B“ წარწერის ასოებით შესრულებული კიდევ ერთი მოკლე წარწერა, რომელშიც, ჩემი აზრით, საუბარია იმაზე, რომ ამ ქვის ლანგარში ორი „იბერიული მინა“ ხორბალი (ანუ 2X363 = 726 გრ.) ეტევა.2. გარდამავალი ხანა. ერთადერთი წყვეტილი განვითარების ამ სისტემაში არის გარდამავალი ხანა ანუ ძვ.წ. IX-V საუკუნეები.

3. პროტო-ქართული დამწერლობა ჩნდება ძვ.წ. IV საუკუნეში და გამოყენებაში რჩება ახ.წ. IV საუკუნის ჩათვლით.

10. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შემდგომ ხანაში, ამ რეგიონში დაიწყო ბერძნული კერამიკის ინტენსიური იმპორტი. კოლხეთის ძირითადი სავაჭრო პუნქტები, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა ადგილას მდებარეობდა, ინტენსიურ სარედისტრიბუციო საქმიანობას ახროციელებდა ძვ.წ. VI-I საუკუნეებში. ერთ-ერთი ყველაზე ძლავრი სადისტრიბუციო ცენტრი იყო ძველი ვანი, სადაც თავს იყრიდა კოლხეთის შიდა ბაზარზე შემოსული ნაირგვარი კერამიკა. ვანიდან იმპორტული კერამიკის გადანაწილება ხდებოდა არა მხოლოდ კოლხეთის შიდა რაიონებში, არამედ კოლხეთის ფარგლებს გარეთაც, რისი დასტურიც არის სამხრეთ საქართველოში, აწყურში აღმოჩენილი ბერძნული კერამიკა. ბერძნული იმპორტი აღმოჩენილია აწყურის ნაქალაქარის კულტურულ ფენებში, რომლებიც ძვ.წ. VI-I საუკუნეებს განეკუთვნება: იონიური თასის ფრაგმენტი (ძვ.წ. VI საუკუნის მიწურული), რომელიც კოლხეთის გარეთ, ნამოსახლარებზე მოპოვებულ იმპორტულ ნაწარმში ყველაზე ადრეულია. დანარჩენი იმპორტი, ზოგადად, განეკუთვნება პერიოდს ძვ.წ V საუკუნის შუახანებიდან ვიდრე ძვ.წ. II საუკუნემდე (ატიკური - ათენი- წარმოების ძვ. წ. V-IV საუკუნების შავლაკიანი და შავფიგურული კერამიკის ფრაგმენტებმა. ანცუტ -ის ჯგუფის სკიფოსი, რომელიც ძვ.წ. 480-470 წწ. თარიღდება. ასევე იმპორტული წარმოებისაა 80 -მდე თვალადი მძივი). ნამოსახლარის შესწავლისას აღმოჩენილი იმპორტულის მიბაძვით დამზადებული მასალა იყოფა ორ ჯგუფად: ბერძნულისა (ლუთერიუმები და ფიალები) და აქემენიდურის მიბაძვით დამზადებული (მოხატული დოქები) ნივთები. ამ ფონზე უაღრესად საინტერესოდ გამოიყურება აქემენიდურ ირანში დამზადებული რამოდენიმე ჭურჭელი, აგრეთვე, ბრინჯაოს კალენდარი.

მომდევნო პუნქტი, სადაც ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული იმპორტული კერამიკა არის აღმოჩენილი და მდებარეობს აღმოსავლეთ კოლხეთს გარეთ, არის ტახტიძირი. ხოლო უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი, სადაც სრულიად მოულოდნელი, მაგრამ კულტურის ინფილტრაციის (და, შესაძლოა, არა მხოლოდ კულტურის!) თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის ბერძნული ნიმუშებია აღმოჩენილი, არის გრაკლიანი გორა. აქ მოპოვებულია საქართველოში ყველაზე ადრეული ბერძნული დეკორატიული ელემენტები, რომლებიც ძვ.წ. V-IV საუკუნეებს განეკუთვნება. აღმოჩნდა, აგრეთვე, ძვ.წ. V-II საუკუნეების ბერძნული იმპორტული კერამიკის ფრაგმენტები. რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, გრაკლიანზევე აღმოჩნდა აქემენიდურ სტილში მოხატული, მაგრამ ბერძნული ლაგინოსის ფორმის მქონე დოქი, რომელიც ქართლშია დამზადებული.

ცალკე უნდა აღინიშნოს აწყურში, წნისსა და ტახტიძირში მიკვლეული ბერძნული დაკრძალვის წესის (“ქარონის ობოლი”) დადასტურების ფაქტების შესახებ.

ამ მცირერიცხოვანმა ფაქტებმა, შესაძლოა, სრულიად შეცვალოს საქართველოს ჰინტერლანდში ძვ.წ. V-IV საუკუნეებში განვითარებული კულტურული ურთიერთობების ვექტორი და იგი დასავლეთის მიმართულებით გადახაროს.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ვახტანგ ლიჩელი

2. **ანა თეთრუშვილი**

2) მოხსენების სათაური

1. The Stages of Development of the Local Script in Georgia of the Pagan Age. Pro Georgia.

2. „Investigation of the grinding installation as a result of economic productivity and cultural diffusion“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ვარშავის უნივერსიტეტის წმ. გრიგოლ ფერაძის სახელობის კავკასიოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია, ვარშავა, პოლონეთი, 4-8 დეკემბერი, 2021

2. ერლანგენი, გერმანია, 4.11.2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

2.კოლოქვიუმი ეხებოდა საფქვავი ინსტალაციების წარმომავლობის, გავრცელების სავარაუდო გზებისა და დანიშნულების კვლევას. სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების შედეგად საფქვავი ინსტალაციების პარალელები მოიეძებნა თურქეთში, მოლდოვასა და ისრაელში. უკვე არსებული ინსტალაციებისა (საქართველო, რუმინეთი, ბულგარეთი) და ახლად დამატებული ეგზემპლარების შესწავლის შედეგად გაკეთდა შეფასების კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც გამოიყო ინსტალაციების ტიპოლოგიურ-ტექნიკური მახასიათებლები. კოლოქვიუმზე წარდგენილ იქნა საქართველოს პრეისტორიული ხანის არქეოლოგიის მოკლე მიმოხილვა.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

სხვა აქტივობა:

საერთაშორისო კონფერენციის ხელმძღვანელი:

1. ვარძიის საერთშიროსო კონფერენცია, 27-31 მაისი, 2021

საჯარო ლექციები/ლექციების კურსი:

1. ვ. ლიჩელი. სკოლის მოსწავლეებთან (13. 04. 2021) თემა: ინტელექტუალური ინოვაციები ბრინჯაოს ხანის შიდა ქართლში.
   ანოტაცია: ლექციის ძირითადი თემა იყო გრაკლიანზე აღმოჩენილი წარწერები და მათი მნიშვნელობა.

2. ვ. ლიჩელი. ჩავატარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 103 წლისადმი მიძღვნილი „წლის პირველი საჯარო ლექცია“ თსუ-ში თემაზე: ორი არქეოლოგიური ფაქტის კომენტარი (12. 02. 2021).

ანოტაცია: პირველი საჯარო ლექციის ჩატარების პატივი წილად მხვდა და შესაბამისად, ლექციის თემა იყო ცივილიზაციის იმ საფეხურების ჩვენება და განხილვა, რომელსაც ქართულმა საზოგადოებამ მიაღწია 3000-2400 წლის წინ, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დამწერლობის შექმნაში გამოიხატა და რაც არქეოლოგიურად არის დადასტურებული.

3. **ვ. ლიჩელი. დავაარსე და ჩავატარე** საერთაშორისო ლექციების კურსი ახალგაზრდა არქეოლოგებისათვის ***“The past as an inspiration”***, რომლებიც ჩაატარეს ევროპის უნივერსიტეტების წამყვანმა პროფესორებმა:

- Stone Age Archaeology – Prof. Paolo Biagi (Ca’Foscari University of Venice, Italy) –February 8;
- Early Bronze Age in Georgia and International relations – Prof. Elena Rova (Ca’Foscari University of Venice, Italy) – March 1;

- Late Bronze Age in Georgia and Near East – Prof. Walter Kuntner (Innsbruck University, Austria) – March 15;
- Writing as a symbol of civilisation – Prof. Mario Fales (University of Udine, Italy) – April 5;
- Iron Age in Caucasus and Asia Minor – Prof. Michael Freikman (University of Jerusalem, Israel) – April 19;
- The world of Urartu and The South Georgia – Prof. Roberto Dan, (Tuscia University/ISMEO, Italy) – April 26;
- Cimmerians and Scythians in the Caucasus and the Near East (8th-7th centuries BC– Prof. Askold Ivantchik (CNRS, Bordeaux, France) May 3;
- Classical World and Georgia – Prof. *David Braund (University of Exeter)* – May 10;
- Greek, Scythian, Thracian and Colchian antiquities in the Ashmolean Museum – Prof. Michael Vickers (University of Oxford, England) – May 17;
- "Caucasia between Rome and Parthia"– Dr. Leonardo Gregoratti (University of Durham, United Kingdom) – May 24;
- Iranian World and Georgia – Prof. Eberhard Sauer *(University of Edinburgh,* Scotland) – June 7;
- Early Byzantine Epoch and Georgia – Prof. Annegret Plontke-Luening (University of Jena, Germany) – June 14.
- Cities and the Mongol Conquest: Urban Change in the Caucasus and Central Asia 1200-1400 -Prof. Katie Campbell (King's College - Cambridge University) – June 21.
- Late Bronze Age in Western Iran- recent discoveries – Prof. Sandra Heinsch – Kuntner (Innsbruck University, Austria) – June 28

ანოტაცია: ამ სალექციო კურსმა გამოიწვია განსაკუთრებული ინტერესი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნებშიც, რომელთა შორის განსკუთრებით გამოირჩევა ავსტრიის, გერამანიისა და იტალიის სტუდენტობა.

4. ვ. ლიჩელი. ჩავატარე ლექციების კურსი ბუდაპეშტის (უნგრეთი) ო. ლორანდის უნივერსიტეტში (12-18 დეკემბერი, 2021) თემებზე:
    a. *Homo erectus* and stages of the ancient history of the Caucasus and Georgia
    b. From Aegean to Mesopotamia: Bronze age in the Caucasus and international relations 4th –2nd mill. BC
    c. Intellectual innovations in Georgia: Grakliani hill excavations
    d. Argonauts voyage: myth and reality
    e. Cultural priorities in Georgia: Greeks or Achaemenids?

ანოტაცია: სალექციო კურსის მიზანი იყო ქართული ცივილიზაციის ეტაპების წარმოჩენა და იმისი ჩვება, თუ როგორ ეყრებოდა საფუძველი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, ქართული ადგილობრივი კულტურული ფენომენეის ფორმირებას და იმ საერთაშორისო კონტაქტებს, რომლებიც არქეოლოგიურად არის დადასტურებული.

არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი (ვ. ლიჩელი):

1. გრაკლიანი გორა - 15.05 – 27.09.
2. სოფტადესი (კვიპროსი) – 07.10-04.11

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.

არქეოლოგიის ს/ს ინსტიტუტის პუბლიკაციების სია
(2021 წელი)

პროფ. ვახტანგ ლიჩელი

1. „საუბრები არქეოლოგიაზე“. 978-99940-903-7-2, თბილისი, „კლიო“. 160 გვ.

2. The place of millet in food globalization during Late Prehistory as evidenced by new bioarchaeological data from the Caucasus. https://doi.org/10.1038/s41598-021-92392-9, WWW.nature.com/scientificreports. Scientific Reports | 11: 13124, Scientific Reports. 11 p.

3. Preliminary Report on Archaeological Excavations in Sophtades, Cyprus. Pre-Byzantine pottery. Ancient Civilizations from Scythia to Siberia 27, Leiden, The Netherlands. Brill. 5 p. 328-336.

4.. The Stages of Development of the Local Script in Georgia of the Pagan Age, “Caucasica Antiqua et Christiana”, Ed. D. Kolbaia, Volume I, Warsaw. 2021, p.115-133

ასოც. პროფ. ზ. კვიციანი.

სვანეთი, ლახამულის სახარება-ოთხთავი(მოკლე მიმოხილვა). საქართველოს ეროვნული არქივი. 2021.

ასოც. პროფ. მარინე ფუთურიძე

1. ადრეყორღანული კულტურის ოქრომჭედლობის ერთი ნიმუშის გააზრებისათვის: ანანაურის ყორღანის პექტორალი. ISBN 978-9941-9519-2-3, ლიტერატურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ათუმი, ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021, 7 გვერდი (გვ. 3 - 9).

2.სირია-პალესტინის არქეოლოგიური კონტექსტი სამხრეთ კავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურაში (ღუზისებური ცული, ქვაბი, რაპირა). ISSN 2298-0377, „აღმოსავლეთმცოდნეობა“, ტ. 10, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021, 15 გვერდი.

ასოც. პროფესორი კონსტანტინე ფიცხელაური

1. „უძველესი მეტალურგიული ცენტრი საქართველოში“ ISSN 2667-9221, „სამხრეთ კავკასია - არქეოლოგიური კონტექსტი“, თბილისი, ონლაინ ჟურნალი. 39 გვ.

არქ. დოქტორი ანა თეთრუაშვილი

1. **“Typological and Functional study of sickle inserts from Central Caucasus (Based on the Materials from Grakliani Hill)”. Paperback ISBN: 9789464260007 | Hardback ISBN: 9789464260014, Beyond use-wear traces. Going from tools to people by means of archaeological wear and residue analyses. Sidestone press, The Netherlands, Leiden, 2021. 5p.**

ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი -

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით - - -
პროფ. ქეთევან ხუციშვილი (ხელმძღვანელი), ასოც. პროფ. როზეტა გუჯეჯიანი, ასოც. პროფ. თეიმურაზ გვიმრაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1. საქართველოს საზღვრები: საზღვრების ეთნო-კულტურული განზომილებები, ისტორია, ეთნოლოგია

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2020-2025
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. გ. ჭეიშვილი (ხელმძღვნელი), შემსრულებლები: ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი, ნ. მინდაძე, ნ. აზიკური, ქ. ალავერდაშვილი, ნ. ჩირგაძე, ლ. ნებიერიძე, გ. მამარდაშვილი, ზ. იოსელიანი, თ. ქამუშაძე
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ხევის სასაზღვრო ზოლის ეთნოგრაფიული თავისებურებები და საზღვრების მატერიალურობა და სიმბოლურობა

საზღვრები, როგორც ადამიანთა საზოგადოების სიცრცითი ორგანიზაციის საშუალება ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო კაცობრიობისათვის. თუმცა, საზღვრების კვლევები, როგორც სპეციალური სამეცნიერო მიმართულება შედარებით ახალგაზრდაა. ამ საკითხებისადმი ინტერესი განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც მეცნიერებმა გააცნობიერეს საზღვრების წინააღმდეგობრივი ბუნება და მათი გავლენა საზოგადოებების არა მხოლოდ სივრცობრივ-გეოგრაფიულ, არამედ მნიშვნელობით-იერარქიულ ორგანიზაციაზე. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, გლობალური ეკონომიკის არასტაბილურობამ და ტერორიზმთან დაკავშირებულმა უსაფრთხოების პრობლემებმა, კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შესძინა საზღვრების კვლევას. საზღვრები ერთი მხრივ განიხილება, როგორც გეოპოლოტიკური დაყოფის ინსტრუმენტი, თუმცა სახელმწიფოთაშორისი საზღვრების გარდა, დღეს სამეცნიერო ინტერესის სფეროშია მოქცეული კულტურული, სიმბოლური და სხვადასხვა ტიპის სოციალური საზღვრები. საზღვრები სულ უფრო ხშირად განიხილება იდენტობისა და ყოველდღიურობის დისკურსში. სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი კითხვები უკავშირდება საზღვრების მნიშვნელობის ცვლილებას, ეკონომიკური კავშირების არსებობა-არარსებობას და მის რეგიონალურ განვითარებაზე გავლენას, ყოველდღიური ყოფისა და იდენტობის მიმართებას სასაზღვრო ზონაში და სხვ. ეს და

საზღვრების კვლევასთან დაკავშირებული სხვა საკითხები კომპარატივისტული ისტორიული, სოციოლოგიური და გეოგრაფიული პერსპექტივით შეიძლება გაანალიზდეს. საზღვრები განხილულ იქნა ანთროპოლოგიური პერსპექტივით ხევის მონაცემების საფუძველზე. საზღვრები გაანალიზდა, როგორც ფუნდამენტური სოციალური ფენომენი, რომელიც საკმაოდ წინააღმდეგობრივია ბევრი თვალსაზრისით. მათი ანალიზი შესაძლებელია განგრძობითობისა და დისკრეტულობის პარადოქსის გათვალისწინებით. დისკრეტულობა გულისხმობს საზღვრების რეალურად არსებობას. იმის აღიარებას, რომ მათი მეშვეობით ხდება სივრცის სტრუქტურება. ამავდროულად საზღვრების განგრძობითობის აღიარება უარყოფს მათ ობიექტურ არსებობას და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მათი იდენტიფიცირება. ზემოთქმულიდან გამომდინარე საკმაოდ პრობლემურია საზღვრების რომელიმე ჰომოგენური სოციალური თეორიის ფარგლებში კვლევა. ამასთან პირველადი ამოცანა სივრცის, ადგილის და ტერიტორიის გაგების ანალიზია, სწორედ ამ ცნებათა სოციალური მნიშვნელობვბის ახსნა მოგვცემს საშუალებას განალიზდეს საზღვარი როგორც სივრცის სოციალურ ადგილად - კონკრეტულ სივრცედ ქცევის იარაღად. ტრადიციული სახელწიფოთაშორისი საზღვრების კვლევიდან სამეცნიერო ინტერესმა გადაინაცვლა ეთნო-კულტურული არეების კვლევისკენ, სხვადასხვა სოციო-სივრცითი და გეოგრაფიული მასშტაბებით, ლოკალურიდან და მუნიციპალურიდან, გლობალურ, რეგიონალურ და ზესახელმწიფოებრივ დონეებამდე. საინტერესო გახდა "არმატერილური", წარმოსახვითი თუ სიმბოლური საზღვრების კვლევა, კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და რელიგიური საზღვრების დადგენა, ადამიანთა საზოგადოებებზე მათი რეალური თუ უხილავი გავლენების ანალიზი. ამათან საზღვრები აღარ აღიქმება, როგორც სტატიკური წრფეები თუ მონაკვეთები, არამედ ისინი წარმოიდგინება ინსტიტუციებად, პროცესებად და სიმბოლოებად. ამ პერსპექტივით ისინი დაკავშირებულია ერთი მხრივ ტერიტორიული კონტროლის, უსაფრთცხოების, სუვერენულობის, ძალუფლებითი ურტიერთობების, და მეორე მხრივ ყოველდღიურობის, სოციალური სადემარკაციო ხაზების, იდენტობის კონსტრუქციის საკითხებთან. ჩნდება კითხვა თუ რა მიმართებაშია საზღვრების რეკონფიგურაციისა და ცვლილება, სოციო-კულტურული იდენტობისა და ყოფის რეკონსტრუქციასთან; არის თუ არა ეთნიკური თუ კულტურული იდენტობების ჩამოყალიბება და ტრანსფორმაცია საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებული; რა გავლენა აქვს ყოველდღიურობაზე საზღვრის გადაღმა მობილობის შეზღუდვას, ნაწილობრივ ან სრულ აღკვეთას. საზღვრების მახასიათებლები გაანალიზდა კროს-სასაზღვრო კოოპერაციის, უსაფრთხოების და კონტროლის, მიგრაციის და მოსახლეობის გადადგილების, ჰიბრიდულობის და ტრანსნაციონალიზმის საკითხებთან მიმართებით. თანამედროვე სამყაროში სახელმწიფო საზღვრის მნიშვნელობა შეცვლილია; საერთაშორისო საზღვრები არ წარმოადგენს წინაღობას ადამიანების, საქონლისა და იდეების მოძრაობისთვის. საზღვრების კვლევა განსაკუთრებით მნიშნვლეოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. არ არის გადაჭრილი დემარკაციის საკითხი, კონფლიქტის ზონების არსებობა იწვევს საზღვრის ცნების მუდმივ გადახედვას, ცვლაბადია მიდგომები კონკრეტული სასაზღვრო ზონებისადმი. კვლევის მიზანია წარმოადგინოს მეტნაკლებად სრული სურათი გეოგრაფიული საზღვრების კონცეპტუალურ, სიმბოლურ თუ წარმოსახვით საზღვრებთან მიმართების შესახებ. ხევი – საქართველოს სასაზღვრო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარე - საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში მუდამ წარმოადგენდა სამეფო ხელისუფლების დასაყრდენ ერთგულ რეგიონს, ერთეულს, რომელსაც ქვეყნის ჩრდილო საზრვრის კონკრეტული მონაკვეთის დაცვა ევალებოდა.

ხევის ლოკალურ-ტერიტორიული ერთეული დღეს წარმოდგენილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სახით და განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის საზღვრის დაცვისა და ეკონომიკური ცირკულაციის კუთხით (სამხედრო გზა), ასევე, იგი მნიშვნელოვანია მასში შემონახული ეთნოგრაფიული თავისებურებების თვალსაზრისითაც.

ხევის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული შუასაუკუნეების წერილობით საისტორიო ძეგლებში, ადგილზე შექმნილ საისტორიო თხზულებაში (მაგალითად, გერგეტის ხევის სულთა მატიანეში) და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებში. უმდიდრესია ხევის ეთნოგრაფიული აღწერილობანიც, როგორც წყარო ამ მხარის ტრადიციული ყოფისა და კულტურის რეკონსტრუირებისათვის, რაც დიდწილად ქმნის თანამედროვე სოციო-კულტურული პროცესების არაერთ სეგმენტს. ჩემი ნაშრომის საკვლევი თემატიკაც სწორედ ამ კონკრეტული მიმართულებით დაიგეგმა: ეთნოანთროპოლოგიური კვლევის მეთოდებით გამოვლენილიყო ხევის თანამედროვე ვითარება; ხევის როლი ამჟამინდელი საქართველოს ყოფაში;

ხევის, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე საზღვრისპირა რეგიონის ცხოვრებაში ამ ფაქტით განპირობებული ლოკალური თავისებურებანი.
აღწერილ იქნა ხევში არსებული სოციო-ეკონომიკური ვითარება, პრობლემატიკა, გამოვლინდა ჩვენს დროში მოქმედ ხალხურ დღეობათა კალენდარი და ნოვაციები.
კვლევის არეალი განივრცო ევის ისტორიულ მიწა-წყალზეც, რომელიც გასაბჭოების დროიდან მოქცეულია რსფსრ-ს ღემადგენლობაში და გამოვლინდა იქ არსებული თანამედროვე სურათი – ეთნიკურ ქართველთა განსახლების არეალი, მათი პრობლემატიკა, ეთნიკური იდენტობის საკითხები.

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.
2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები
4.1. საერთაშორისო პატენტები:
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები
1. ხუციშვილი ქ., ხოსიტაშვილი მ. (რედაქტორები)
2. ხუციშვილი ქ. (რედაქტორი)

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში (საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული), ISBN 978-9941-9750-0-4
2. მასალები საქართველოს ეთნოგრაფისათვის 28-2 ISSN 2667-9582

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. . თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
2. თბილისი, მერიდიანი

4) გვერდების რაოდენობა
1. 319 გვ.
2. 368 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს ანთროპოლოგთა ასოციაციის ორგანიზებით და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 2019 წლის 24-26 ოქტომბერს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია: ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში. ინტერკულტურული კომუნიკაციის საკითხი თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების (გლობალიზაცია, მიგრაციები, კონფლიქტები) გამო განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს. საქართველო ისტორიულად გამორჩეული ქვეყანაა თავისი მრავლაფეროვნებით, რამაც განაპირობა მშვიდობიანი თანაცხოვრების ტრადიციული სისტემებისა და ჯგუფთაშორისი საკომუნიკაციო არხების ჩამოყალიბება; განსაკუთრებული ეთნოგრაფიული რეალიებისა და ქცევის მოდელების განვითარება. აქ მულტიკულტურულ გარემოში უძველესი დროიდან უწყვეტი იყო ურთიერთობა განსხვავებული ეთნოკულტურული, რელიგიური თუ ლინგვისტური ჯგუფების წარმომადგენელთა შორის. უწყვეტი პროცესი იყო კულტურათაშორისი ურთიერთობები, მთელ რიგ რეალიათა გაცვლა და გაზიარება. დროთა ვითარებაში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციეტალური სიტუაციის ცვლილება იწვევდა საქართველოს ეთნო-კულტურული რუკის ცვლილებებს, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენდა ინტერკულტურულ კომუნიკაციაზე. ამ საკითხების კვლევა და დისკუსია მათ ირგვლივ იმედი გვაქვს წვლილს შეიტანს თანამედროვე გამოწვევების ანალიზში. კრებულში შესულია 25 ავტორის სტატია ქართულ და ინგლისურ ენებზე.

2. "მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის" (მსე) წინამდებარე ნომერი ეძღვნება გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგის ჯულიეტა რუხაძის დაბადებიდან 100 წლისთავს. ჯულიეტა რუხაძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქართული ეთნოლოგიური სკოლის განვითარების სათავეებთან იდგა. იგი 1945 წლიდან მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს მატერიალური კულტურის ეთნოლოგიური კვლევის განყოფილებას, მისი დამსახურებით მოწესრიგდა არქივი და შეიქმნა ქართველ ეთნოლოგთა 1924-1994 წლების შრომების ანოტირებული ბიბლიოგრაფია (ეთნოგრაფია-ეთნოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია). ჯ. რუხაძეს ეკუთვნის შესანიშნავი

მონოგრაფიები და სტატიები, მან სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა სრულიად ახალი ეთნოგრაფიული მასალა, მისი ინტერესების სფეროში შედიოდა ქართული ხალხური დღესასწაულებისამეურნეო ურთიერთობები, ლოკალურ-ტერიტორიული ჯგუფების ყოფა და კულტურა. ჯულიეტა რუხაძე თავად გახლდათ მსე-ს რამდენიმე ტომის რედაქტორი. კრებულში წარმოდგენილია 20 სტატია.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1.
2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.
2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

5) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ხუციშვილი ქეთევანი
2. ხუციშვილი ქეთევანი
3. გუჯეჯიანი როზეტა
4. გუჯეჯიანი როზეტა
5. გვიმრაძე თეიმურაზი

2) სტატიის სათაური, ISSN
1. მეხსიერების ადგილების ტრანსფორმაცია: მემორიალთა ახალი მნიშვნელობებით დატვირთვა პოსტსაბჭოთა საქართველოში, ISSN 2667-9477 977-2667-9-4700-4
2. Georgia – the case of intercultural realtions (*საქართველო ინტერკულტურული ურთიერთობების მაგალითი)*, ISBN 978-9941-9750-0-4
3. ეთნო-რელიგიური ინტერკულტურალიზმი მართლმადიდებელ არაბთა მაგალითზე. ISBN 978-9941-9750-0-4
4. ქართული ხალხური საკარნავალო რიტუალები თურქეთის რესპუბლიკის ეთნიკურ ქართველთა შორის. ISSN 2667-9582
5. ნეკრესობა ISSN 2667-9582

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ქრონოსი #2

2. ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში (საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული)
3. ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში (საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული).
4. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის 2 (28).
5. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის 2 (28).

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, მერიდიანი
2. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
3. თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
4. თბილისი, მერიდიანი
5. თბილისი, მერიდიანი

5) გვერდების რაოდენობა
1. 11 გვ.
2. 10 გვ.
3. 14 გვ.
4. 16 გვ.
5. 10 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მეხსიერების კვლევა ერთ-ერთ ინტერდისციპლინარულ, აქტუალურ მიმართულებათაგანია. საკითხის მნიშვნელობას განაპირობებს მისი ისეთ პრობლემებთან კავშირი როგორიცაა იდენტობის ფორმირება, ჯგუფის შიდა კავშირების შენარჩუნება–განგრძობითობა, კულტურული მახასიათებლების თაობებზე გადაცემა და შესაბამისად საზოგადოებისა და კულტურის ფუნქციონირების არსში გარკვევა. მეხსიერება–მახსოვრობის კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი საზოგადოებებისათვის არის, განსაკუთრებით პოსტსოციალისტურ და პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც მწვავედ დადგა მანამდე დამკვიდრებული, „ოფიციალური“ ისტორიების გადახედვის საკითხი. ამ მიდგომის ფარგლებში შესაძლებლად ჩავთვალეთ განგვეხლა პოსტსაბჭოთა საქართველოში საბჭოთა მონუმენტების ბედი. მაგალითად წარმოვადგენთ სოფელ ზემო ალვანის მემორიალს, რომელიც მეორე მსოფლო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმია მიძღვნილი. ასეთი ადგილების ანალიზი მათ სემიოტიკრ ლანდშაფტებად განხილვის ფარგლებშია შესაძლებელი.ისინი საინტერესოა, რადგან მხოლოდ ერთი საზოგადოების შიგნით არსებული ძალაუფლებითი ურთიერთობების მაგალითის გარდა ერის ფორმრების და მისი ძალაუფლების ლეგიტიმაციის საშუალებაცაა.მონუმეტებთან ბრძოლა არ ცვლის მემკვიდრეობას.დისონანსური, ნეგატიური მემკვიდრეობა. ანალიზს საჭიროებს. ამისთვის სრული კონტექსტების ცოდნა და განხილვაა საჭირო. მემორიალის კოლექტიური ღირებულებით-სიმბოლური შინაარსი შესაძლებელი მეხსიერების სხვადასხვა შრეებით იყოს განსაზღვრული და კონკრეტული, ერთი ისტორიული პერიოდის გამოცდილებას არ ეფუძნებოდეს, შესაბამისად ასეთის ხატებადაც ვერ აღიქმება.

2. საქართველოში, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გამო ჩამოყალიბდა მულტიეთნიკური გარემო. აქ ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სხვადასხვა ეტნიკური, რელიგიური თუ ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლები. მათ მშვიდობიან თანაცხოვრებას ხელს უწყობდ ერთად ცხოვრების განმავლობაში ჩამოყალიბებული მრავალასპექტიანი ეთნოგრაფული პრაქტიკა. მშვიდობიანი თანაცხოვრების სისტემებს სოციო-

კულტურული ურთიერთობის სხვადასხვა ელემენტთან ერთად ქმნიდა სპეციფიკური რელიგიური პრაქტიკაც - გაეზიარებინათ სალოცავები. ასეთი ურთიერთობები მახასიათებელია მულტიკულტურული საზოგადოებებისათვის, რომლებიც ყველა საშუალებას იყენებენ ერთიანი სოციეტალური სივრცის შექმნისათვის. სტატიაში განხილულია მართლმდიდებელთა და მუსლიმთა მიერ გაზიარებული სალოცავების არსებობის რელიგიური პრაქტიკა, როდესაც ერთი და იგივე ტერიტორიას ენიჭება წმნდა ტერიტორიის დატვირთვა, ან როდესაც სხვადასვა ამღსარებლობის წარმომადგენლები ჩარტული არიან საერო რიტუალში. რელიგიასთან ერთად ინტერკუტლურულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანია ეკონომიკური ურთიერთოებების გამოყენებაც. საქართველო ისტორიულად არის მაგალითი მშვიდობიანი თანაცხოვრების უზრუნველყოფისა, სწორედ ინტერკულტურული დიალოგის გზით.

3. ნაშრომში ასახულია 2015-2018 წლების საველე კვლევის შედეგები. კვლევა ჩატარდა თურქეთის რესპუბლიკაში კომპაქტურად მცხოვრებ მართლამდიდებელ არაბთა დასახლებლ პუნქტებში (ჰატაის რეგიონში, მის მთავარ ქალაქ ანტაქიაში, რომლის ისტორიული სახელი ა ანტიოქია, უკვე მასთან შეერთებულ სოფელში, სახელად „სარლარ“-იში და სოფელ თოქაჩლი-ში), აგრეთვე სტამბოლსა და მის კუნძულებზე. ნაშრომში წარმოდგენილ იქნა თურქეთის რესპუბლიკის მართლმადიდებელ არაბთა ყოფისა და რელიგიური ვითარების ამსახველი თანამედროვე ეთნოგრაფიული სურათი. გამოვლინდა, რომ თურქეთის რესპუბლიკაში მართლმადიდებელ არაბთა ჯგუფები ცხოვრობენ კომპაქტურადაც და გაფანტულადაც მთელ თურქეთში. ქრისტიანი არაბი მოსახლეობა წარმოადგენს მრევლის აქტიურ ნაწილსაც, ბევრი მათგანი სასულიერო პირია, ბევრიც მსახურობს ამა თუ იმ ეკლესიის მომვლელად. წარმოჩინდა რთული დემოგრაფიული სურატი: ჰატაის თურქეთთან შეერთების შემდეგ ჰატაი დატოვა 40000-მდე ქრისტიანმა არაბმა. ისინი დღეს მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულნი და დაახლოებით 139000-ს სულს შეადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ჰატაის რეგიონში მოსახლეობის არაბულმა ნაწილმა მკვეთრად იკლო, მართლმადიდებელი ქრისტიანი არაბები კვლავ სახლობენ ჰატაის რეგიონში, ქალაქადაც და სოფლებშიც. ჰატაის 12 რაიონიდან ისინი ჯერ კიდევ უმრავლესობას ქმნიან სამ რაიონში: სამანდაღში, ალთინოზუსა და რეიჰანლიში. ქრისტიანმა არაბებმა იციან არაბული და თურქული. საშინაო ენა მათთვის კვლავ არაბულია, ანუ, თუ უცხო არ ესწრება მათ საუბარს, ისინი ერთმანეთში საუბრობენ არაბულად. მეტად კეთილმეგობრული განწყობა და დამოკიდებულება აქვთ არაბებს ქრისტიან ასურელთა და სომეხთა თემებთან. ისინი ეკუთვნიან „ანტიოქიისა და მთელი აღმოსავლეთის რომაულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს“. ქრისტიან მოსახლეობას ბევრი პრობლემა აქვს: ქრისტიანი მოსახლეობის რიცხვის იკლებს, გარე მიგრაცია აქტიურია, გრძელდება ჩუმი ასიმილაციის პროცესი, სირიაში ომი, ქრისტიანთა დევნა ბევრგან მსოფლიოში დ ა. შ. აღწერილია სოფელ თოქაჩლის ისტორია და თანამედროვე ყოფა: დემოგრაფია, რელიგიური ვითარება, დღესასწაულები, ქორწინებისა და დაკრძალვის ტრადიციები, მეურნეობის დარგები.

4. ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და თურქეთის სხვა რეგიონებში კომპაქტურად მცხოვრებ ქართველთა შორის შემონახულია ქართული ხალხური საკარნავალო სისტემის რამდენიმე ლოკალური ვარიაცია: „ბეროზანა“, „ბეროზიე“, „ფადიკო“, „ფათიკო“, „ფათიეს თამაში“, „გურიელა“/„კურიელა“/„კვირიელა“. ეს რიტუალები თურქეთის ქართველტა შორის სრულდებოდა ძველით ახალწელს და შუამთობის/მარიობის დღეობებზე. რიტუალები აქაც, როგორც მთელ საქართველოშიც, მრავალი ისტორიული დანაშრევისაგან შედგება. ცხადია, რიტუალები მომდინარეა არქაული ხანიდან, მოკვდავ-აღდგენადი ღვთაებებისა და ბუნების ძალთა აღორძიებისადმი მიძღვნილი წეს-ჩვეულებებიდან, შემდეგ მას ემატება ქრისტიანული რელიგიით განპირობებეული ზოგიერთი ელემენტი და ბოლოს უკვე ისლამური ყოფითი კულტურიდან მომდინარე ტერმინოლოგია. ტაო-კლარჯული საახალწლო რიტუალის ყველა კომპონენტი დიდ მსგავსებას ავლენს საქართველოს ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის ლოკალურ ტრადიციებთან, მათ შორის თუშ-ფშავ-ხევსურულ, აგრეთვე, სვანურ, მეგრულ საშობაო და საახალწლო რიტუალებთან (ტაო-კლარჯული „გურიელა“/„კურიელა“/„კვირიელა“ და სვანური „კვირიოლა“ და „ლიკურიელ“, მეგრული „კირიალესა“, ან ხევსურული საშობაო თამაშობანი და სხვ.); ხოლო საზაფხულო ბერობანა განსაკუთრებით მსგავსია აჭარული და მესხური ტრადიციებისა. ეს რიტუალები ნაწილია თურქეთის ქართველთა ეთნიკური კულტურისა და მათი თვითმყოფადობის მასულდგმულებელი მოტივებია. სწორედ ამიტომაც გაცოცხლდა ხალხური საკარნავალო ელემენტები ახალ დღესასწაულზეც – „ქართულ ზეიმზე“.

5. საქართველო მდიდარია ისტორიული ძეგლებით და მათ კარზე მიმდინარე დღესასწაულების რაოდენობითა და თავისებურებებით. ერთ-ერთი ასეთი დღესასწაულია ნეკრესობა, სადაც დღესაც ხდება ქრისტიანული სარწმუნოებისათვის იშვიათი გამონაკლისი, მსხვერპლად ღორის შეწირვა. ნეკრესის მონასტერი მდებარეობს ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ შილდიდან 7-8 კილომეტრის დაშორებით, ,,ნაზვრევის გორაზე“. აქ ამჟამად შემორჩენილია უძველესი სამნავიანი ბაზილიკა სამლოცველო სენაკითა და სხვა სათავსებით, რომელსაც დ. ჩუბინაშვილი IV საუკუნით ათარიღებს. აღნიშნულ ტერიტურიაზე ალაზნის ველის ზედა წელში წყაროები ადასტურებენ ძველი ქალაქის ,,ნელქარისის“ (ნეკრესის) არსებობას. ნეკრესში საეპისკოპოსო დაუმკვიდრებია აბიბოს ნეკრესელს VI საუკუვეში, აქედან ვრცელდებოდა ქართლის რელიგიური და პოლოტიკური გავლენა გაღმა მხარზე და დაღესტნის ნაწილზე (დიდოეთზე). ნეკრესობის დღესასწაული იმართებოდა და დღესაც იმართება 7 იანვარს (ახალი სტილით) ნაქალაქარის ტერიტორიაზე. აქ თავს იყრიდა დიდი რაოდენობის ხალხი ახლომდებარე სოფლებიდან. 6 იანვარს მლოცველები თითქმის ოჯახის სრული შემადგენლობით, ,,გადაჩარდახებული“ ურმებით, სურსად-სანოვაგით დატვითულნი გაუდგებოდნენ ნეკრესის გზას. თან მიჰყავდათ შესაწირი ცხოველები და ქათმის მამალი. ნეკრესის შესაწირ ხარს ,,ბერიზვარა“ ერქვა, ღორს - ,,ლომტახი“. მიჰქონდათ სპეციალურად ამ დღისათვის დაყენებული ღვინო ,,ნეკრესის ზედაშე“. აცხობდნენ პურს და ქადებს ,,ნაზიარები“ ცომისაგან. წინარსწარ ამ დღისათვის ამზადებდნენ ,,ფუტკრის ზედაშესაც“. საინტერესოა, წარსულში წარმათობამ და შემდგომ ქრისტიანობამ, როგორ დაუშვა სალოცავში ღორის შეწირვა? ს. მაკალათიას აზრით ღორის შეწირვის მსგავსი წესი არსებობდა ძველ საქართველოში (სამეგრელო - ,,მირსობა“, სვანეთი - ,,მეისარები“, გურია - ,,მოსარიობა“) მაკალათია ამას მითრას კულტს უკავშირებს. ამავე აზრს იზიარებს ბერძენი მეცნიერი სოკრატეს ანგელიდისი. მისი აზრით სიტყვა ,,ნეკრესი'' ბერძნულიდან უნდა მომდინარეოდეს (რუსული თარგმანით ნიშნავს მსხვერპშეწირვას) არსებობს ნეკრესის სხვა ახსნაც. ,,ნეღრეს“ ერთ-ერთ აღმოსავლურ ენაზე ნიშავს ,,ქარს“. ჩვენთვის ჯერ კიდევ დაუზუსტებელია რა კავშირი შეიძლება იყოს ,,ქარს'', ,,ნეკრეს'' და ,,ნელქარის'' შორის. ნეკრესში ღორის მსხვერპლად შეწირვასთან დაკავშირებით ადგილობრივ მოსახლეობაში შემორჩენილია, რამდენიმე ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავებული ლეგენდა, თუ როგორ იხსნეს ,,ტახებმა“, ,,კერატებმა'' კახეთი მტერთა თავდასხმებისაგან (მტრები კი სხვადასხვა ლეგენდის მიხედვით არიან: ირანელები, თათრები, ლეკები.) ადგილობრივი მოსახლეობის წარმოდგენით ღორის მსხვერპლად შეწირვის ტრადიცია აქედან უნდა მომდინარეობს. ჩვენი აზრით ეს ტრადიცია დაკავშირებული უნდა იყოს ადგილობრივ სამეურნეო კულტთან.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.

2.

4) გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1.
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. ხუციშვილი ქეთევანი
2. გუჯეჯიანი როზეტა

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. Anthropological study of violence as a element of culture, DOI 10.51582/interconf.7-8.04.2021.041
2. The Shaliani Icon: Hitory an Narrations. DOI 10 51582/INTERCONF. 7-8.06.2021.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Proceedings of the 2nd International Scientific and Practical Conference Thoery and Practice od science: key aspects, N49
2. Scientific Collection Interconf, Scientific Trends and Trends in the Context of Globalization, N.60

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Rome, Italy, InterConf Scientific Publishing Center
2. Umea, Sweden, InterConf Scientific Publishing Center

5) გვერდების რაოდენობა
1. 8 გვ.
2. 12 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ძალადობის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვლნელოვანესი პრობლემაა.იგი განსაკუთრებით აქტუალურია კავკასიისთვის. კავკასიის ეთნოგრაფიული მონაცემები ადასტურებს ძალადობის ფორმების კავშირს საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარების გარკვეული ეტაპისთვის დამახასიათებელ ღირებულებათა სისტემებთან და ძალადობის ფორმათა დინამიკის დამოკიდებულებას საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე. ძალადობის ფორმები, რომლებიც გამოიყენება ტრადიციულ საზოგადოებებში შიდა ურთიერთობების დასარეგულირებლად, განხილულია, როგორც კულტურული ფაქტები, რომელთა შესწავლაც საჭიროებს არა მხოლოდ მათი ინსტრუმენტალური, არამედ აგრეთვე ფუნქციონალური ასპექტების კვლევას. სტატიაში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფული მონაცემებისა და წერილობითი წყაროების საფუძველზე გაანალზებულია ძალადობის ისეთი ინსტრუმენტალური ფორმა როგორციაა სისხლისაღება.

2. ნაშრომში განხილული „შალიანის“ ხატის შესახებ არსებული სამეცნიერო წყაროები დაეთნოგრაფიული მასალა. აღწერილია ამ ხატის წარმომავლობის მოკლე ისტორია და მისი სულიერი თუ სოციალური როლი სვანეთის ტრადიცულ ყოფაში. გამოკეთილია დასკვნები: ხატის მომდინარეობა აფხაზთა სამეფოს დედაქალაქ ქუთაისიადან, მისი კავშირი აფხაზთა მეფეთა - შავლიანთა- დინასტიასთან, ამ დინასტიის წარმომავლობა სვანეთიდან. შეკრებილია ყველა ლეგენდა-გადმოცემა, რომლებიც გავრცელებულია ბალსზემო, ბალსქვემო და ქვემო სავნეთში. შედარებულია ამთში შემონახული ინფორმაცია. ამავე დრო, წარმოჩენილია ხატის საკრალური და სოციალური ფუნქციები სვანეთის ტრადიციულ ყოფასა და თანამედროვებაში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ხუციშვილი ქეთევანი
2. ხუციშვილი ქეთევანი
3. ხუციშვილი ქეთევანი
4. ხუციშვილი ქეთევანი
5. ხუციშვილი ქეთევანი
6. ხუციშვილი ქეთევანი
7. გუჯეჯიანი როზეტა
8. გუჯეჯიანი როზეტა, ხუციშვილი ქეთევანი
9. გუჯეჯიანი როზეტა
10. გუჯეჯიანი როზეტა
11. გუჯეჯიანი როზეტა
12. გუჯეჯიანი როზეტა
13. გუჯეჯიანი როზეტა
14. გუჯეჯიანი როზეტა
15. გვიმრაძე თეიმურაზი

2) მოხსენების სათაური
1. ეთნიკურ ტერმინთა და იდეოლოგიათა მიმართება
2. იოჰანა შტიგლერი - საქართველოს მკვლევარი
3. ამერიკელი ანთროპოლოგი ქალები
4. ისტორიულ დიასპორათა კვლევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში
5. რელიგიური ადგილის კონსტრუქცია: ბორჯომის წმ. სერაფიმე საროველის ეკლესიის მაგალითი
6. მუზეუმის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში (ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმების მაგალითი
7. ტერმინ „ხალხის“ შესახებ.
8. ივანე ჯავახიშვილი სინკრეტიზმის პრობლემების კვლევის სათავეებთან
9. საკრალურ სივრცულ მოდელთა სოციალური ასპექტები შუასაუკუნეების სვანეთში
10. ამერიკელი ეთნოანთროპოლოგები თურქეთელ ქართველთა ყოფისა და კულტურის შესახებ.
11. თურქეთელ ქართველთა ტრადიციული ყოფა და თანამედროვეობა (ძირითადი ასპექტები).
12. ტბეთის თემის წარსული და თანამედროვეობა საისტორიო და ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით (შავშეთი, თურქეთის რესპუბლიკა).
13. ბეროზანასა და ფატიკოს/ფადიკოს ტრადიცია ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და მარმარლოს ზღვის რეგიონის ეთნიკურ ქართველთა შორის
14. მუზეუმების როლი ქართულ ხალხურ დღესასწაულთა რევიტალიზაციის საქმეში
15. ნეკრესობა

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 12 აპრილი 2021, თბილისი
2. 5-6 ივლისი 2021, თბილისი
3. 20-22 მაისი, თბილისი
4. 2-3 ივლისი, თბილისი
5. 9-10 ივლისი, თბილისი
6. 5-7 ნოემბერი, ბათუმი
7. 12 აპრილი, თბილისი.
8. 23 აპრილი, თბილისი
9. 14-15 მაისი, ქუთაისი
10. 20-22 მაისი, თბილისი
11. 2-3 ივლისი, თბლისი
12. 5-6 ივლისი**, თბილისი**
13. 9-10 ივლისი, თბილისი
14. 5-7 ნოემბერი, ბათუმი
15. 9-10 ივლისი, თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ეთნიკური ტერმინოლოგია, ანუ ტერმინები და კონცეპტები, რომლებიც ეთნიკურ ერთობათა აღსანიშნავად გამოიყენება ყოველთვის იყო მსჯელობის საგანი. საკითხს რამდენიმე ასპექტი გააჩნია და ჩამოყალიბდა განსხვავებული მიდგომები. სამეცნიერო დისციპლინათა განვითარებამ, პირველ ყოვლისა კი ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის განვითარებამ ახალი დღის წესრიგი გააჩინა, სადაც ტერმინოლოგიური აპარატის გამართვა უმპირველეს საკითხად იქცა. რაც თავის მრივ თეორიულ-მეთოდოლოგიური განვითარების შესაბამისად მიმდინარეობდა. ე.ი. იმის მიხედვით თუ როგორ მოაზრებდა საზოგადოების

სტურქტურას, მისი განვითარების ეტაპებს, საერთოდ კაცობრიობის ისტორიას ესა თუ ის ანთროპოლოგიური სკოლა თუ თეორია. დროთა განმავლობაში, კონკრეტული ეთნოგრაფიული მაგალითების შესწავლის საფუძვლეზე ჩამოყაბდა დისციპლინის ფარგლებში გაზიარებული ტერმნები ისეთები როგორიცაა თავად ეთნოსი, ეთნიკური ერთობა, ჯგუფი, ერი/ნაცია და სხვ. ამ პერიოდშივე თეორიული მიდგომები და თეორიები, რომლებიც ამ ტერმინთა დეფნიციებს დამატებით კონოტაციებს მატებდა, როგორიცაა პრიმორდილისტური და კონსტრუქტივისტული თეორიული ჩარჩოები. განსაკუთრებული ვითარება ჩამოყალიდა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სივრცეში. სადაც წამყვანი იდეოლოგია მაქრსიზმ-ლენინიზმი საზოგადობისა და კულტურის ფორმაციულ-ევოლუციონისტურ იდეოლოგიას ეუძნებოდა. ამასთან საბჭოთა სივრცეში ჩამოყალიბდა ეთნოსის ოფიციალური-იდეოლოგიზირებული თეორიები, რამაც განსაზღვრა ეთნიკურ ტერმინთა ტემინოლოგიური აპარტი. შედეგად მოხდა დასავლური და საბჭოთა ტერმინოლოგიის დაშორება. და დღეას ვიმკით შედეგებს, როდესაც განსხვავებული მნისვნელობებით გამოყენებული ტერმინები, ან განსხვავებული ტერმინებით ვცდილობთ კომუნიკაციას.

2. იოჰანა შტიგლერი (1962-2007) ავსტრიელი ანთროპოლოგი 1980-90-იან წლებში საველე კვლევას აწარმოებდა საქართველოში, სომხეთში, ყაზახეთში, თურქმენეთსა და ისრაელში. მისი კვლევის ძირითადი თემატიკა ნათესაობის სისტემები და ეთნიკური ინტეგრაციის პროცესები იყო. მისი ეთნოგრაფიული ნაშრომების ნაწილი თავმოყრილია მონოგრაფიაში “ნათესაობა, კულტურა, რელიგია: სოციოანთროპოლოგიური ნარკვევები საქართველოზე”, რომელიც უკვე ავტორის გარდაცვალების შემდეგ 2011 წელს გამოსცა ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ (OAW). ნაშრომი ეფუძნება ეთნოგრაფიულ მასალას, რომელიც ავტორმა 1989-1997 წლებში შეკრიბა საქართველოში. ეს არის ფართო მასშტაბიანი პოლიტიკური, ეკომომიკური და სოციალური ტრანსფორმაციების პერიოდი საქართველოში, რს გამოც 1990-იანი წლებიდან ქართველი ეთნოგრაფებისთვის მანამდე ჩვეული ეთნოგრაფიული ექსპედიციები აღარ ტარდებოდა და აღარ ხდებოდა მასალის სისტემატური ფიქაცია, სწორედ ამიტომ იოჰანა შტიგლერის ნაშრომები განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს და მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს იმდროინდელი საქართველოს ყოფის შესახებ. თუმცა, ი. შტიგლერი ისტორიული ანთროპოლოგიის თემებით იყო დაინტერესებული. მისი ძირითადი კვლევის საგანი ქართული ნათესაობის სისტემა იყო. მეორე საკითხი, რაც ი. შტიგლერის სამეცნიერო ინსტერესს განსაზღვრავდა ესაა ქართველი ებრაელების ეთნიკური ინტეგრაციის პრობლემები. მოხსენებაში განვიხილავ იოჰანა შტიგლერის მონოგრაფიაში მოცემულ მასალას და მის დასკვნებს.

3. დიდია ქალების წვლილი ამერიკული ანთროპოლოგიური სკოლის განვითარებაში, XIX საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყეს მუშაობა ქალმა ანთროპოლოგებმა და ამავე პერიოდიდან მთხრობელი ქალების ხმაც გაჟღედა ანთროპოლოგიურ ნაშრომებში. დიდია მათი როლი, როგორც ეთნოგრაფიული საველე სამუშაოების წარმოებაში და მასალის ფიქსირებაში, ასევე მეთოდოლოგიური და თეორიული მიდგომების განვითარებაში. ამასთან, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ანთროპოლოგიის ინსტიტუციურ განვითრებაშიც. მოხსენებაში განვიხილავთ ამერიკული ანთროპოლოგიის რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალი წარმომამდგენელის საქმიანობას. ერთ-ერთი პირველი ქალი ანთროპოლოგი გახლდათ ელის კანინგემ ფლეთჩერი (1838-1923). იგი 1903 წელს აირჩიეს ვაშინგტონის ანთროპოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტად, იყო ამერიკის ფოლკლორის საზოგადოების პირველი პრეზიდენტი ქალი, მეცნიერების განვითარების ამერიკის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. იკვლევდა სიუს ინდიელების კულტურას. იგი იყო ინდიელების მუსიკალური კულტურის კვლევის პიონერი. მონაწილობდა 1887 წელს კონგრესის მიერ დაუესის აქტის შემუშავებაში, რომელიც არეგულირებდა ინდიელთა საკუთრებისა და მოქალაქეობის საკითხებს. ფემინისტი მკვლევარი ელსი კლიუს პარსონსი (1875-1941) ინდიელების კულტურას სწავლობდა. იგი იყო ჟურნალის „ამერიკული ფოლკლორი“ რედაქტორი და ამერიკის ფოლკლორის ასოციაციის პრეზიდენტი 1919-1920 წლებში, ასევე ამერიკის ეთნოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი 1923-1925 წწ. ელის პარსონსი იყო ამერიკის ანთროპოლოგთა ასოციაციის პირველი ქალი პრეზიდენტი. მან აღზარდა შემდგომი თაობის გამორჩეული მკვლევარები, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია რუთ ბენედიქტი (1887-1948), რომელიც ელის პარსონსთან ერთად ფრანც ბოასის მოწაფეც იყო. რ. ბენედიქტი მუშაობდა ჩრდ. ამერიკის ინდიელების, იაპონიის კულტურებზე. მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა

ანთროპოლოგიურ თეორიაში, მისი ნაშრომი „კულტურის მოდელები“ კულტურის კვლევის ახალ მეთოდოლოგიას გვთავაზობს, კერძოდ რ. ბენედიქტი კულტურის ეთოსის კვლევას მიიჩნევს ძირითად ამოცანად. მან დასვა პირველად საკითხი კულტურისა და პიროვნების მიმართების შესახებ. აღსანიშნავია პირველი აფრო-ამერიკელი ანთროპოლოგი ქალი ზორა ნილ ჰარსტონი (1891-1960). ზ. ჰარსტონიც ფ. ბოასის მოწაფე იყო. იგი აფრიკულ-ამერიკულ ფოლკლორს, აფრიკულ დიასპორას და აფრიკულ-ამერიკულ და ევროპულ კავშირებს სწავლობდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფიგურაა მარგარეტ მიდი (1901-1978). იგი სწავლობდა ოკეანიის ხალხებს, მათ აღზრდის სისტემებს, სექსულობას, გენდერს, კვების სისტემასა და მედიცინას. იგი ერთ-ერთი პირველი იყო ვიზუალური ანთროპოლგიის განვითარების სათავეებთან. მ. მიდი აქტიური საზოგადო მოღვაწეც იყო, არაერთი საერთაშორისო თუ ეროვნული ორგანიზაციის ლიდერი. მისი თეორიები აღზრდისა და გენდერის შესახებ დღესაც აქტუალურია.

4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საკვლევ მიმართულებებში განსაკუთრებული ადგილი უკავიაისტორიულ დიასპორათა კვლევას. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ეტაპი საზღვრების გახსნის შემდეგ ინტენსიური მიმოსვლის შესაძლებლობამ გააჩნია. უპირველესი მიმართულება რა თქმა უნდაქართულ-თურქული ურთიერთობებია, რაც ყოველთვის იყო ქართველ მეცნიერთა ინტერესის საგანი. ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ლინგვისტები და სხვა დისციპლინების წარმომადგენლები ამ საკითხს სხვადასხვა პერსპექტივით იკვლევდნენ და იკვლევენ. ქართველ მკვლევართათვის განსაკუთრებით საინტერესოა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა. სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან ერთად ამ მიმართულებით კვლევა მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის სახლეობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტშიც. ეთნოლოგიის ინსტიტუტი 1939 წელს დაარსებული ეთნოგრაფიის კათედრის მემკვიდრეა. ეთნოლოგიურ კვლევებს ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. სხვა საკითხებთან ერთად 2006 წლიდან ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების ფარგლებში იწყება თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ყოფის, ტრადიციული ეთნიკური, რელიგიური და სამეურნეო მახასიათებლების შესწავლა. კომპლექსური კვლევის ძირითადი მიმართულებებია: ყოველდღიური ყოფის ელემენტები, მიგრაციული პროცესები, სულიერი კულტურა, ხალხური დღესასწაულები, ტრადიციული ყოფის ტრანსფორმაცია და სხვ.. ეთნოგრფიულად შესწავლილია ართვინისა და არზრუმის, ასევე თურქეთის ცენტრალური და შავი ზღვის რაიონები. არსებული ინფორმაცია და ახალი ეთნოგრაფიული მასალა გახდა საფუძველი ინსტიტუტის სასწავლო პროგრამის ფარგლებში შექმნილიყო ახალი სასწავლო კურსი - “ქართველები საზღვარგარეთ”, რომელშიც დიდი ადგილი სწორედ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ეთმობა. ამ საკითხებზე ინსტიტუტის ეგიდით ეწყობა კონფერენციები, სემინარები და საჯარო ლექციები. მიმდინარე საკვლევ პროექტთა შორის აქტიურად მუშავდება პროექტი: “თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ეთნიკური ქართვლების თანამედროვე ყოფა და კულტურა”.ასეთი კვლევები ახალი ცოდნის დაგროვებას და რეგიონში არსებული სიტუაციის რელისტურ აღქმას უწყობს ხელს.ეს საკითხებია განხილული სტატიაში.

5. ადამიანთა ყოველდღიურობა გარკვეული მატერიალური გარემოთია რეგულირებული და განსაკუთრებული დატვირთვა საკრალურ ობიექტებსა და სივრცეზე მოდის, რადგან მათთანაა დაკავშირებული სპეციფიკური ინდივიდუალური და კოლექტიური ემოციები და ქმედებები. საკრალური, წმინდა ადგილის საკითხის ანალიზი რამდენიმე კუთხითაა შესაძლებელი, მათგან საკვანძო ხდება გარკვევა იმისა, თუ რა არის საკრალურობის განმსაზღვრელი – საკრალური ობიექტები თუ რიტუალური ქმედებები. ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს. ედმუნდ ლიჩის მიხედვით, ადამიანები „მენტიფაქტების“ (იდეების) მატერიალურ სიმბოლიზაციას ახდენენ რელიგიური რიტუალის სახით და ამ გზით ანიჭებენ მნიშვნელობებს გარემოს. მირჩა ელიადეს შემოაქვს „იეროფანიის“ კატეგორია ობიექტის საკრალიზაციის პროცესის გასაგებად და საკრალური–პროფანულის ოპოზიციას აქცევს კვლევის ამოსავალ წერტილად. ჰ. კერლოტი საკრალურს ქაოსისა და კოსმოსის მაკავშირებელ რგოლად განიხილავს. ფრ, ჰაილერი კი ყურადღებას იმაზე ამახვილებს, რომ ადამიანებისთვის აუცილებელია ღმერთის იდეის კონკრეტულ, ხილულ ობიექტთან დაკავშირება, რასაც კულტურა ახორციელებს. რელიგიური ადგილის კონსტრუქციას თავისი მახასიათებებლი და წესები გააჩნია, რაც განისაზღვრება

რელიგიური სისტემის საფუძვლეზე ჩამოყალიბებული კანონიკური მიდგომებით, კოსმოგონიური შეხედულებებით და დამკვიდრებული პრაქტიკით.წმ სერაფიმე საროველი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი დიდი წმინდანია. იგი განსაკუთრებით პოპულარული ბოლო ათწლეულების მანძილზე გახდა საქართველოში. საქართველოში სერაფიმე საროველის სახელობის რამდენიმე ტაძარი ფუნქციონირებს. მათგან გამორჩეულია ბორჯომის წმ. სერაფიმე საროველის ეკლესია, რომლის მიმდებარე ტერიტორია მოწყობლია "ახლომდებარე უდაბნოს" სახელით ცნობილი ტერიტორიის მსგავსად, სადაც უკენასკნელი წლები გაატარა წმინდნმა. ბორჯომის ეკლესიის მიმდებრედაც განლაგებულია კელია, ჭის მაკეტი, სალოცავი ლოდი და ბილიკები. ეს ადგლი თითქოსდა "ახლომდებარე უდაბნოს" მაკეტს წარმოადგენს, რომელიც ფოტოსურათის მიხედვით აიგო. ადგილი საკმაოდ ცნობილი და ხალხმრავალია. ამ ადგილის გაჩენა, მისთვის საკრალური მნიშვნელობის მინიჭება და მთელ რიგი რიტუალური პრაქტიკის დამკვიდრება თვალსაჩინოს ხდის რელიგიურობის ფორმების პლურალიზაციას. თანამედროვეობა გავლენას ახდენს რელიგიური ადგილის კონსტრუქციაზე და ნორმატულ მიდგომებთან ერთად მნიშვნელოვან ფაქტორებად კონკრეტული კულტუული კონტექსტები გვევლინებიან.

6. ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმების მოწყობის იდეა მე-19-ე საუკუნის სკანდინავიაში იღებს სათავეს, ნორვეგიელები და შვედები იყვნენ პიონერები, რომელთაც ტრადიციული გლეხური სახლები საგამოფენო ობიექტებად აქციეს.ღია ცის ქვეშ მუზეუმის იდეაა ღია სივრცეში განთავსებული შენობა-ნაგებობები, სხვადსხვა სახის არტეფაქტები და მატერიალური კულტურის ობიექტები წარუდგინოს დამთვალიერებელს.ასეთი ტიპის მუზეუმები საკმაო პოპულარობით სარგებლობდა თავიდანვე და დღესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს.ძირითადად ეს არის ეთნოგრაფიული მუზეუმები, რომელთა მთავარი ლოზუნგი იყო და არის "იცნობდე შენს თავს". ამ ლოზუნგით განისაზღვრება ამ მუზეუმების მიზანი და მასზე ორიენტირებული სამოქმედო სტრატეგია. მიზანი კი საკუთარი კულტურის ელემენტების დაცვა-შენარჩუნება, პრეზენტირება და ამ გზით იდენტობის განმტკიცებაა.ე.ი. პირველადი ფუნქცია არა უცხოთათვის თავის გაცნობა, არამედ საკუთარი მოქალაქეებისათვის ადგილობრივი კულტურის წარდგენაა.ამ მიზნით ახორციელებენ სხვადასხვა სახის პროექტებს, გამოიყენება თანამედროვე ტექნიკური საშუალებები, რომ სამუზეუმო სივრცე უფრო მიმზიდველი გახდეს დამთვალიერებლებისთვის. საქართველოში ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ 1966 წლიდან ფუნქციონირებს ესაა გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლის გიორგი ჩიტაიას იდეითა და ძალისხმევით დაარსდა.იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ კუს ტბის მიდამოებში განთავსებულიყო საქართველოს მინიატურული მოდელი, რომელშიც წარმოგენილი იქნებოდა საქართველოს ისტორიულ-ტერიტორიული ერთეულები მათთვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურითა და გარემოთი.რეგიონებში შეძენილ იქნა არქიტექტურული ნიმუშები, სამეურნეო და საოჯახო ინვენტარი და ზონებად დაყოფილ ტერიტორიაზე განთავსდა. აკად. გიორგი ჩიტაიას თავდაპირველი ჩანაფიქრით მუზეუმის თანამშრომლებს უნდა გაეცოცხლებინათ ტრადიციული ყოფა.ამ იდეის ნაწილობრივი განხორციელება საქართველოს ეროვნული მუზეუმის პროექტებით გახდა შესაძლებელი, როდესაც დაიგეგმა და ამუშავდა სხვადასხვა სახის გასართობ-შემეცნებითი პროგრამები. როგორც თავად მუზეუმის განაცხადშია ნათქვამი ეს საგანმანათლებლო დაწესებულებაა, იგივე ფუნქცია ჰქონდათ და აქვთ ამ ტიპის მუზეუმებს მთელს მსოფლიოში - საზოგადოებას გააცნოს ყოველდღიური ყოფის ისტორია.ეს დანიშნულება უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც გლობალიზაცია-მოდერნიზაციის პროცესები რიგ შემთხვევებში ლოკალური კულტურებისთვის საფრთხეებად იქნა აღქმული. ეთნოგრაფიული მუზეუმები იდენტობის გამყარებას უწყობენ ხელს, თვალსაჩინოდ წარმოადგენენ კულტურულ განგრძობითობას, გარკვეული ასპექტით "ტაძრებადაც" კი გვევლინებიან, სადაც არტეფაქტები შემეცნებითთან ერთად ემოციურ გვლენასაც ახდენენ და გარკვეული "რიტუალების" შესრულებისკენ უბიძგებენ მნახველს, რითიც ხდება მათი სოციალური ჩართულობის უზრუნველყოფა.

7. მოხსენებაში საუბარი იყო ტერმინ „ხალხის“, როგორც ეთიკური ერთობის აღმნიშვნელი ტერმინის, მართებულად გამოყენების საჭიროებაზე. გამოიკვეთა ტენდენცია მმას-მედიაში ამ ტერმინის არამართებულად გამოყენების შესახებ. არაერთი ფაქტი იქნა წარმოდგენილი, როდესაც „ხალხი“ გამოიყენება ლოკალურ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობის კრებითად აღმნიშვნელ ტერმინად როგორც ეთნოსის სახელი. განზოგადდა ეს პრობლემა და განხილულ იქნა თავის დროზე ამავე პრობლემის წამომჭრელი ცნობილი ეთნოლოგის - მიხეილ გეგშიძის - დიდი დამსახურება ეთნიკურ ტერმინთა მნიშვნელობების მართებულ;ად მისადაგებისათვის ქართული ყოფის მიმართ.

8. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებში დიდი ადგილი უკავია ქართველი ხალხის ეთნოგენეზის, ტრადიციული ყოფისა და კულტურის თემატიკას. სხვა საკვლევ პრობლემებთან ერთად, ივანე ჯავახიშვილმა, წინ წამოწია სინკრეტიზმის კვლევის საკითხიც. სინკრეტიზმის კვლევა რელიგიის ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი თემაა და ის განსაკუთრებით საყურადღებოა ხანგრძლივი ისტორიის მქონე ეთნოსთა კულტურის ანალიზის დროს. ბუნებრივია, რომ ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ეთნიკური კულტურის წიაღში არსებობდა რამდენიმე რელიგიური სისტემა, რომელთა ათვლასაც ვიწყებთ არქაული მსოფლხედვიდან და მოვყვებით ჩვენს დრომდე. შესაბამისად, ეთნოგრაფიული მასალის დეტალური ანალიზი ავლენს ქართველთა რწმენა-წარმოდგენათა ფორმირების ეტაპებსა და ეპოქალურ ცვლილებათა დინამიკას. ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, ქართველთა ტრადიციულ რელიგიურ კულტურაში გარკვევით იკითხება რელიგიურ სისტემათა შერევისა და ტრანსფორმაციის ელემენტები. მეცნიერი აანალიზებს ქართველთა წარმართობის (ანუ, ქრისტიანობამდელი რელიგიის) არსს არსებული წყაროების საფუძველზე, აღადგენს ქართველთა არქაულ ღვთაებათა პანთეონს და უძველეს რწმენა-წარმოდგენათა ანარეკლს აფიქსირებს მეოცე საუკუნის დასაწყისის ყოფაშიც და კონკრეტული ფაქტების განზოგადებით მსჯელობს არქაული კულტურის ქართული ნაირსახეობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ივანე ჯავახიშვილის დასკვნები არ არის კატეგორიული, ის ყოველთვის უშვებს ეთნოგრაფიული ფაქტის განსხვავებულად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. მაგალითად, ლამპრობის ხალხურ ტრადიციას ივანე ჯავახიშვილი სინკრეტულ რიტუალად მიიჩნევს, უკავშირებს ამ ტრადიციას მთვარის კულტს და ამავე დროს ავლენს მის ქრისტიანულ არსსაც – აანალიზებს რა საისტორიო წყაროებს და მოგვითხრობს, რომ „ლამპრა“ იყო ქრისტიანული დღესასწაულის მირქმის/მიგებების ძველი ქართული სახელი; ან, მსჯელობს რა აღმოსავლეთ ქართველ მთიელთა ყოფაში არსებული ღვთაების – კვირიას შესახებ, ღვთაების სახელს ხსნის ძველი ბერძნული ლექსიკით, როგორც უფლის დღეს, უფლისადმი მიძღვნილ დღესასწაულს და სხვ. უაღრესად მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებები სვანურ ხალხურ დღეობათა ხანდაზმულობისა და მათში არქაული, ანტიკური ხანისა და შემდგომ უკვე ქრისტიანული რელიგიის გავლენით წარმოქნილი რწმენა-წარმოდგენების შესახებ და სხვ. ივანე ჯავახიშვილის მიდგომა სინკრეტულობის კვლევის პორბლემისადმი აქტუალურია ჩვენს დროშიც, როდესაც ამ მოვლენის კვლევა ახალი გამოწვევების წინაშეა, მიმდინარეობს ახალი კონცეპტების შემუშავება-დამკვიდრება და ფართოვდება მეთოდოლოგიური მიდგომებიც.

9. მოხსენებაში განხილულ იქნა სვანეთში შექმნილ წერილობით საისტორიო ძეგლებსა და ეთნოგრაფიულ მასლაში შემონახული ცნობები საკრალურ ადგილთა სოციო-კულტურული ასპექტების შესახებ. რეკონსტრუირდა შუასაუკუნების სვანეთის მოსახლეობის მსოფლხედვის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი: სივრცის საკრალიზაციის – ძეგლის ან გეოგრაფიული ლოკალური არეალისათვის საკრალური არსისა დ აფინქციის მინიჭების განმაპირობებელი მიზეზები. წრმოჩინდა თანამედროვე მაგალითებიც.

10. თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ ისტორიულ ქართულ მიწა-წყალზე (ტაო-კლარჯეთი, თანმედროვე ართვინის, არტაანის, არზრუმის რეგიონები) და, აგრეთვე, მარმარილოს ზღვისა და შავი ზღვის რეგიონებში.
მარმარილოს ზღვისა და შავი ზღვის რეგიონებში ქართული დასახლებები ჩნდება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ე. წ. მუჰაჯირობის პროცესის შედეგად. საქართველოდან გადასახლებულ მუსლიმ ქართველთა ნაწილი განსახლდა ბურსის ვილაიეთში, სადაც ერთ-ერთ ვრცელ დასახლებას ქართველები ქმნიან ინეგოლის რაიონში. ინეგოლში დღემდე ქართველებითაა დასახლებული 12-მდე სოფელი და ქართველები ქალაქ ინეგოლის სოციალურ ყოფაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

სწორედ ინეგოლის რაიონის ერთი ქართული სოფლის – ხეირიეს (ძველი სახელით – „მაჭახელი“, ოფიციალური სახელით „ჰაირიე“), დაინტერესდნენ ცნობილი ამერიკელი ეთნომუსიკოლოგი პირტერ გოლდი და ანთროპოლოგი პოლ მაგნარელა. ორივე მათგანი ქართველთა ყოფით დააინტერესა თურქეთელმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ახმეთ მელაშვილმა (1922-198 წწ.).

პიტერ გოლდი 1968 წელს ეწვია ბურსის რეგიონს და ახმეთ მელაშვილის დახმარებით შეისწავლა ინეგოლის რაიონის სოფელ ხეირიეს ქართველთა ეთნომუსიკალური კულტურა: შეკრიბა ფოლკლორული მასალა და მოახდინა მასალის ტექნიკური ფიქსაცია, რითაც თანამედროვეობას, მთელ მსოფლიო კულტურას შემოუნახა უმდიდრესი ადგილობრივი ქართული ეთნომუსიკალური მემკვიდრეობა.

1970-იან წლებში თურქეთის ქართველთა ტრადიციული ყოფითა და კულტურით დაინტერესდა ამერიკელი ანთროპოლოგი პოლ მაგნარელა. იგი 1969-1970 წლებში იკვლევდა ბალიკესირის მხარეში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთა თანაარსებობისა და მიგრაციის საკითხებს. ახმეთ მელაშვილმა პოლ მაგნარელაც დააკავშირა ინეგოლის რაიონის სოფელ ხეირიეს ქართველებს. პოლ მაგნარელა ჩავიდა სოფელ ჰაირიეში და დაიწყო ადგილობრივ ქართველთა სოციო-კულტურული მახასიათებლებისა და მიმდინარე პროცესის შესწავლა. გამოიკვლია სოფლის ისტორია, ყოფა და კულტურა, აღწერა სოფლის ძირითადი ეთნოგრაფიული ნიშნები: ეკონომიკური ვითარება, ისტორიული რაკურსი, სოციალური ყოფის თავისებურებები. კვლევის შედეგები აისახა პოლ მაგნარელას მონოგრაფიაში: Magnarella, Paul J. The Peasant Venture: Tradition, Migration and Change among Georgian Peasants in Turkey. Schenkman Publishing Company: Cambridge, MA, 1979. 1997 წელს პოლ მაგნარელას მონოგრაფია ითარგმნა თურქულადაც· ამჟამად ქართველი ეთნოლოგები ვამზადებთ მონოგრაფიის ქართულ თარგმანს (ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი).

11. მოხსენებაში წარმოდგენილ იქნა თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე ქართველთა კომპაქტური განსახლების არეალი. წარმოჩენილ იქნა იქნა ეთნიკურ ქართველთა ეთნიკური იდენტობის ძირითადი მახასიათებლები, აღიწერა მათი ტრადიციული ყოფითი კულტურა, ენობრივი ვითარების ამსახველი სურათი. ყურადღება გამახვილდა პრობლემებსა და განვითარების პერსპექტივებზე. წარმოჩინდა ქართველთა ურბანული კულტურის თავისებურებანიც. დახასიათდა ქართული სათვისტომოებისა და კულტურის ცენტრების როლი და არსი.

12. ტბეთი ისტორიული შავშეთის შემადგენელი ძველი სოფელია და მისი მკვიდრნი ქართული წარმომავლობისანი არიან, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის 70-იანი წლებისათვის იქაურთა დიდ ნაწილს შეეცვალა ეთნიკური იდენტობა და ნელ-ნელა შეიზღუდა ქართული ენის გავრცელების არეალი. 1925 წლიდან სოფელს ოფიციალურად დაერქვა „ჯევიზლი“, რაც „ჯაკლიანს“ ნიშნავს, მაგრამ დღემდე სოფლის ძველი სახელი კვლავ გამოიყენება და მას თურქულად ხმოვნის ჩამატებით –„ტიბეტ“– წარმოთქვამენ.

ტბეთი შავშეთის დღევანდელი ადმინისტრაციული ცენტრიდან, რომელსაც ჰქვია შავშათი (ისტორიული სათლელი) დაშორებულია 13 კილომეტრით. 2010 წლის სტატისტიკით სოფლად ცხოვრობს 362 ადამიანი. სოფლის შუაგულში ტბეთის მონასტრის ნანგრევია.

მიუხედავად ეთნიკური იდენტობის შეცვლისა, სოფლის ყოფა ტიპური მაგალითია ამ რეგიონის ტრადიციული ქართული კულტურულ-სამეურნეო ტიპისა, კვლავ შენარჩუნებულია ქართული ხალხური არქიტექტურის ადგილობრივი ვარიაცია – შავშურ-იმერხეული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი; ცოცხალია მემინდვრეობის, მესაქონლეობის, მეფუტკრეობისა და ხელოსნობის დარგები: მჭედლობა, ქვითა და ხით ხუროობა, მეთუნეობა; ტრადიციული კვებითი სისტემა, ისტორიული მიკრო და მაკრო ტოპონიმიკა და სხვ. ეს სოფელი აქტუალურია მომლოცველობითი ტურიზმის კუთხითაც, რადგან იქ მდებარეობს ტბეთის მონასტერი.

ბოლო წლების განმავლობაში ტბეთელთა შორის გაჩნდა აზრი, რომ აღდგეს ტბეთის მონასტერი, რათა ის გახდეს ტურიზმისათვის მიმზიდველი ადგილი. 2020 წლის განმავლობაში Van Yüzüncü Yıl University-ის ასიტენტ პროფესორი, არქეოლოგი ოსმან აიტეკინი ახორციელებდა ტბეთის მონასტრის გაწმენდით სამუშაოებს (არზრუმის მუზეუმის დირექტორატის ხელმძღვანელობით).

ტბეთისა და ტბეთის მონასტრის ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი წყაროა ფაქირ ბაიკურთის (1929-1999 წწ.) მოთხრობა „ჯევიზლის ეკლესია“. წყარო თარგმნა მზია გურგენიძემ. ფაქირ ბაიკურთი 1950-იან წლებში შავშეთის მხარეში მასწავლებლად მუშაობდა. ის იყო სოციალ-დემოკრატიული მსოფლხედვის მქონე მწერალი და პუბლიცისტი.

ფაქირ ბაიკურთმა შავშეთის მხარეში მუშობის დროს ადგილობრივთაგან შეკრიბა მდიდარი ეთნოგრაფილი მასალა (ტბეთის ეკლესიის შესახებ არსებული გადმოცემები, ეკლესიის ნგრევის ისტორია), რომლის საფუძველზეც დაწერა მოთხრობა „ჯევიზლის ეკლესია“. ეს მოთხრობა შესულია მის წიგნში „ეფკარის გორა“, რომელიც რამდენჯერმე გამოქვეყნდა. ფაქირ ბაიკურთის მოთხრობა „ჯევიზლის ეკლესია“ საყურადღებო წყაროა სოფელ ტბეთის ყოფისა და ტბეთის ღვთისმშობლის მონასტრის ისტორიის შესწავლისათვის.

13. დაბეჭდილია

14. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სხვა მხარეთმცოდნეობით თუ ეთნოგრაფიულ მუზეუმებში დაცულია მრავალი ექსპონატი, რომლებიც ტრადიციული ქართული სულიერი კულტურის ერთ-ერთი მთავარი ელემენტის – ქართული ხალხური დღესასწაულების ატრიბუტებს წარმოადგენენ, ასახავენ მათ არსს, ისტორიას და ვიზუალურ გამოვლინებებს. ასეთი ექსპონატებია: სარიტუალო დროშები, ბუკები და საყვირები, სარიტუალო პურების ტვიფარ-ყალიბები, საკარნავალო სამოსი, ნიღბები და ა. შ. ყოველ ასეთი შინაარსისა და დანიშნულების ექსპონატს აქვს თავისი კონკრეტული სარიტუალო ფუნქცია და როლი.

ქართული ხალხური დღესასწაულები კულტურის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. დღესასწაულთა ნაწილი არქაული დროიდან მომდინარეობს, ნაწილიც ანტიკურ ხანაშია ფორმირებული, უმრავლესი დღესასწაული ქრისტიანული კულტურის შედეგია, ძველი აღთქმისა და სახარებისეული სიუჟეტებიდან და წმინდანთა ცხოვრებიდან მომდინარეა. არის კონკრეტულ სატაძრო დღეობათა ვრცელი ჩამონათვალიც. გვაქვს დღესასწაულები, რომლებიც ამა თუ იმ ისტორიული მოვლენას უკავშირდება (დიდგორობა, წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი ლამპრობა, ზეზვაობა და სხვ.). ცალკე დგას დღეობათა საკარნავალო ნაწილი: ადრესაგაზაფხულო ციკლის დღეობები (ბერიკაობა, ყეენობა, შახობიე, ფადიკო, ბერობანა, კეისაროობა და სხვ.) რომლებიც სრულდებოდა და ნაწილობრივ ახლაც სრულდება საქართველოს ყველა ისტორიულ-ლოკალურ ერთეულში და სახალხო კარნავალების სახე ჰქონდა/აქვს. ამ ტიპის დღეობათა ერთი ჯგუფი გვხვდება საშობა-საახლწლო ციკლშიც. დღეეობები კულტურის ცოცხალი ნაწილია. ბევრი დღეობა ახლაც სრულდება და ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დატვირთავს იძენს მუზეუმებში დაცულ ექსპონატთა ფუნქცია. ბუნებრივია, ყოველ დღეობას ახლდა მისი კონკრეტული სარიტუალო ატრიბუტიკა, რომელთა დიდი ნაწილი ყოფაში უკვე აღარ გვხვდება. ამგვარი სარიტუალო ნივთები მუზეუმებმა შემოინახეს.

დღესასწაული ლოკალურ ჯგუფთა ერთიანობის, სოლიდაროობის, ხალხური სადღესასწაულო მენეჯმენტის, თემის ერთობისა და მასში მყოფი ყველა წევრის თანაბარუფლებიანობის გამოვლინებაცაა. ამიტომ მას დღემდე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული საზოგადოების ცხოვრებაში და მათი შემდგომი სიცოცხლისუნარიანობისათვის აცილებლად გვესახება მუზეუმთა საგანმანათლებლო როლის აქტივიზაცია. რისი ერთი ფორმა ლექცია-სემინარებისა და წარმოდგენების მოწყობაცაა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი აქტიურად იყენებს ამ შესძლებლობას და სხვადასხვა პროგრამებს სთავაზობს სკოლის მოსწავლეებსა და ახალგზრდებს (მაგ. საახალწლო, სააღდგომო დღესასწაულთა ციკლების შესახებ ინტეგრირებული ლექციები და სხვ.). ამ გზით იზრდება ახალი თაობის ინფორმირებულობა და მათი ინტერესიც ტრაცდიციული კულტურის მიმართ. მუზეუმებს აკისრიათ მნენომური ფუნქცია, ისინი იცავენ და ახალი თაობებისთვის ხელმისაწვდომს ხდიან, არა მხოლოდ მატერიალურ არტეფაქტებს, არამედ ცოდნას ამ ნიმუშების უტილიტარული თუ ფუნციურ-იდეოლოგიური დანიშნულების და გამოყენების შესახებ. კიდევ ერთი საშუალება სამუზეუმო ექსპონატთა ასლების მომზადება-გავრცელებაა საზოგადოებაში. ანუ, ექსპონატისათვის ახალი სიცოცხლის მინიჭება თანამედროვე ყოფაში. რაც ხელს შეუწყობს ტრადიციული გამოყენებით ხელოვნებისადმი და ტრადიციული დღესასწაულებისადმი ინტერესის ზრდას, გაზრდის მუზეუმების მნიშვნელობას და განამტკიცებს კულტურული მემკვიდრეობითობის აღქმას.

15. დაბეჭდილია

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1.
2.

2) მოხსენების სათაური
1.
2.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.
2.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.**

ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პუბლიკაციების სია (2021 წელი)

1. ხუციშვილი ქეთევანი, მეხსიერების ადგილების ტრანსფორმაცია: მემორიალთა ახალი მნიშვნელობებით დატვირთვა პოსტსაბჭოთა საქართველოში, ISSN 2667-9477 977-2667-9-4700-4, ქრონოსი #2 თბილისი, მერიდიანი.
2. ხუციშვილი ქეთევანი, Georgia – the case of intercultural realtions (***საქართველო ინტერკულტურული ურთიერთობების მაგალითი)***, ISBN 978-9941-9750-0-4, ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში (საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული) თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.
3. ხუციშვილი ქეთევანი, Anthropological study of violence as a element of culture, DOI 10.51582/interconf.7-8.04.2021.041 Proceedings of the 2nd International Scientific and Practical Conference Thoery and Practice od science: key aspects, N49 Rome, Italy, InterConf Scientific Publishing Center.
4. გუჯეჯიანი როზეტა, ეთნო-რელიგიური ინტერკულტურალიზმი მართლმადიდებელ არაბთა მაგალითზე. ISBN 978-9941-9750-0-4 ეთნოკულტურული მრავალფეროვნება და ინტერკულტურული კომუნიკაცია საქართველოში (საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული) თბილისი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.
5. გუჯეჯიანი როზეტა, ქართული ხალხური საკარნავალო რიტუალები თურქეთის რესპუბლიკის ეთნიკურ ქართველთა შორის. ISSN 2667-9582 მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის 2 (28). თბილისი, მერიდიანი.
6. გუჯეჯიანი როზეტა, The Shaliani Icon: Hitory an Narrations. DOI 10 51582/INTERCONF. 7-8.06.2021. Scientific Collection Interconf, Scientific Trends and Trends in the Context of Globalization, N.60 Umea, Sweden, InterConf Scientific Publishing Center.
7. გვიმრაძე თეიმურაზი, ნეკრესობა ISSN 2667-9582 მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის 2 (28). თბილისი, მერიდიანი.

საქართველოს ისტორიის სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით: ინსტიტუტის ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი თედო დუნდუა; ისტორიის დოქტორი პროფესორი ჯაბა სამუშია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ასოცირებული პროფესორი მიხეილ ბახტაძე, ისტორიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი აპოლონ თაბუაშვილი, ისტორიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი ბონდო კუპატაძე, ისტორიის დოქტორი ასოცირებული პროფესორი ქეთევან ნადირაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ასოცირებული პროფესორი დიმიტრი შველიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ასოცირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე ბოშიშვილი, ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ნათია ფიფია, ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ქუთათელაძე, ისტორიის დოქტორი ასისტენტ-პროფესორი ლერი თავაძე (სწავლული მდივანი)

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, 6. ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1. ისტორია და არქეოლოგია, 6.1.1. ისტორია, Fr 18-22-16

2. ქორეპისკოპოსი და მეფე: კახეთის პოლიტიკური ისტორია VIII-XII საუკუნეებში. „საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი“ 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი, 7.6 ჰუმანიტარული მეცნიერებები, 7.6.1. ისტორია და არქეოლოგია (SP-21-225)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2019-2022

2. 2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ხელმძღვანელი ასისტ. პროფ. ნათია ფიფია; კოორდინატორი ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე; ძირითადი პერსონალი პროფ. თედო დუნდუა

2. პრექტის ხელმძღვანელი ლერი თავაძე, პროექტის კოორდინატორი ალექსანდრე ბოშიშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მიმდინარე წელს საპროექტო ჯგუფი მუშაობდა საზღვარგარეთ აღმოჩენილ ბერძნულ-რომაულ წარწერებზე (ჯამში 25 წარწერა). წლის ბოლოს დაგეგმილია მონოგრაფიის „ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“ დასრულება ქართულ და ინგლისურ ენებზე. მომზადდა 4 სტატია, მათ შორის 3 საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალისთვის

- სტატია მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალში (ინდექსირებულია შემდეგ ბაზებში: ERICH +, WEB OF SCIENCE, SCOPUS - Identifying King Amazasp of Iberia, Queen Dracontis and a Royal Official Anagranes Mentioned in Three Greek Inscriptions Found in Mtskheta. MAIASP. მიღებულია დასაბეჭდად
- საზღვარგარეთ ჩატარებული კონფერენციის მასალები - Greeks on the East Coast of the Black Sea Littoral (settlement and migration patterns). Proceedings of the International Conference – People in Motion in the Ancient Greek World. May 17-18. 2021. მიღებულია დასაბეჭდად
- სტატია მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში - Roman Affiliations of Iberian Royal Family – Basilissa Ulpia. Classical Quarterly. გაგზავნილია სარეცენზიოდ
- სტატია საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში - ანტიკური ხანის ბერძნული წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო (დასავლეთ საქართველო) // საერთაშორისო კონფერენციის „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“, (24-25 სექტემბერი 2020, თბილისი) 2021, მასალები. იბეჭდება

გრანტის ფარგლებში ასევე მომზადდა და წაკითხული იქნა მოხსენება 3 საერთაშორისო კონფერენციაზე:

- ბერძნული წარწერები აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო // საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“, 23-24 სექტემბერი, 2021 თბილისი. იხ.
- Greeks on the East Coast of Black Sea Littoral (settlement and migration patterns). People in Motion in the Ancient Greek World. 17-18 მაისი, 2021, მადრიდი, ესპანეთი.
- „არიანესთან დაკავშირებული კიდევ ერთი წარწერა სოხუმის ციხიდან“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ ანტიკური და ბიზანტიური სამყარო ინტერდისციპლინური კვლევების შუქზე“, სექტემბერი.

2. პროექტის ნაშრომში (ლერის თავაძის მონოგრაფია) წარმოდგენილია კახეთის საქორეპისკოპოსოსა და კახეთ-ჰერეთის სამეფოს ისტორია VIII-XII საუკუნეებში. მასში მოცემულია საქართველოს ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გაერთიანების წარმოშობის, განვითარებისა და დაცემის ისტორია როგორიცაა კახეთის საქორეპისკოპოსო და მისი პოლიტიკური გაგრძელება – კახეთ-ჰერეთის სამეფო.

ჩვენს ნაშრომში გამოყენებული იქნება ახლადგამოვლენილი ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალა, ასევე ნარატიულ წყაროთა ახალი გამოცემები. უკანასკნელ დროს გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია განხორციელდა. გამოქვეყნდა მრავალი უცნობი წარწერა. მათი საგულისხმო ნაწილი IX-XII საუკუნეებით თარიღდება. შესაბამისად, აღნიშნული ნარწერათა მონაცემები გათვალისწინებულია ჩვენს ნაშრომშიც.

გარეჯის წარწერების გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს კახეთის სხვა ტერიტორიაზე გამოვლენილ წარწერებსაც. ამათგან ორი, კალაურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ახლადგამოვლენილი ეპიტაფია და ქოჩალოს ეკლესიის წარწერა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. პირველი წარწერის მიხედვით, ცნობილი ხდება კახეთ-ჰერეთის სამეფოს უცნობი დედოფლისა და ტახტის მემკვიდრის ელენეს ვინაობა, რომელიც კვირიკე III დიდის ასული გახლდათ; ხოლო მეორე წარწერის მიხედვით დადასტურებულია ქართულ ნარატიულ წყაროებში კახეთის ქორეპისკოპოსად ცნობილი დავითის მეფის ტიტული და უცნობი მეფის აბულალას მმართველობა ჰერეთში, რომელსაც „მატიანე ქართლისა“ მხოლოდ მთავრის ტიტულით მოიხსენიებს.

ახლადგამოვლენილი ნუმიზმატიკური მასალა ადასტურებს კახეთის და კახეთ-ჰერეთის მეფეთა განკარგულებით მონეტების მოჭრას. დადასტურებულია რამდენიმე მეფის მიერ ფულის მოჭრის ფაქტი, რაც ნაშრომში შესაბამისად არის ასახული.

უკანასკნელ ხანებში გამოიცა მრავალი უცხოური ისტორიული წყარო, მათი დიდი ნაწილი ცნობილი მწერლების ნაშრომებია, ისინი უკვე ხელმისაწვდომია სხვადასხვა ენაზე. მაგ. ქართულ ენაზე

გამოიცა „სომხური გეოგრაფიის“ თარგმანი, რუსულ ენაზე თომა არწრუნის თხზულება, ინგლისურ ენაზე ალ-ტაბარის ორმოცტომეული, ასევე კონსტანტინე პორფიროგენეტის „ცერემონიათა წიგნის“ ორტომეული და მრავალი სხვა. ყველა აღნიშნული და სხვა გამოცემა შესაბამისადაა ასახული საკონკურსოდ წარმოდგენილ ჩვენს მონოგრაფიაში.

ზემოთ ხსენებული ახალი ისტორიული მასალის, ბოლო წლებში გამოქვეყნებული წყაროებისა თუ უკვე დიდი ხნის წინ დაწერილი სამეცნიერო ლიტერატურის შესაბამისი ანალიზის შედეგად მომზადებულია ახალი მონოგრაფია, სადაც ახლებულად იქნება განხილული კახეთის საქორეპისკოპოსოს დაარსება, ქორეპისკოპოსთა მოღვაწეობა, კახეთისა და ჰერეთის გაერთიანება, კახეთ-ჰერეთის მეფეთა მოღვაწეობა და რანთა და კახთა სამეფოს ბაგრატიონთა მონარქიაში ინტეგრაცია. ამგვარად, აღნიშნული ნაშრომი საინტერესო იქნება VIII-XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხების განხილვისთვის.

3.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1.

2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1.

2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1.

2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1.

2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. Tedo Dundua, Emil Avdaliani
2. დიმიტრი შველიძე
3. დიმიტრი შველიძე
4. დიმიტრი შველიძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. Georgia as a Part of Integrated Europe; DOI: 10.13140/RG.2.2.31191.60320
2. პოლიტიკური შეუღლებები ძველ საქართველოში. (მეორე დამატებითი მასალებით შევსებული გამოცემა)
3. აი, ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი! (მეორე დამატებითი მასალებით შევსებული გამოცემა)
4.პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Tbilisi
2. თბილისი. „ჩემი გამომცემლობა“
3. თბილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
4. თბილისი. გამომცემლობა „არტანუჯი“

4) გვერდების რაოდენობა
1. 104
2. 70 გვ.
3. 440 გვ.
4. 710 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. წიგნის სრული ვერსია იხილეთ:
https://tsu-ge.academia.edu/TedoDundua/Drafts
https://www.researchgate.net/publication/351300405_Georgia_as_a_Part_of_Integrated_Europe
2. მეორე გამოცემაში დაზუსტდა რიგი ეპიზოდებისა, შეუღლებათა ისტორიიდან. მაგ., თამარ მეფის სავარაუდო საქმროების ვინაობა და ალბათობა; დავით აღმაშენებლის ასულის შირვანში დედოფლობის როლი და ზოგიერთი დეტალი; დადგენილია დავით ნარინის მეუღლის სახელი; დაზუსტებულია შეუღლებათა საბოლოო ცხრილები და სხვ.
3. მეორე გამოცემას დაემატა ახალი მასალები, რომლების წყალობითაც დადგინდა ბევრი ბიოგრაფიული და პოლიტიკური მონაცემები ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის შესახებ. აღვნიშნავთ, რამდენიმე მათგანს: დავამატეთ კროპოტკინისა და ჩერქეზიშვილის მიმოწერა; დავამატეთ ჩერქეზიშვილის დიდი დამსახურება, ოლივერ უორდროპის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბრიტანეთის წარმომადგენლად ჩამოსვლის პერიპეტიების შესახებ. ბიოგრაფიას დაემატა მასალები აგრეთვე, ჩერქეზიშვილის მონაწილეობის შესახებ საქართველოს ეროვნული საბჭოს მუშაობაში და ა. შ. მეტიც შეიძლება ითქვას, რომ მაქვს არაერთი ცნობა და სავარაუდო წყაროები,

რომელთა გამოკვლევა ბევრად მეტ მასალების გამოვლენის საშუალებას მომცემს ჩერქეზიშვილის უაღრესად მასშტაბური ურთიერთობების შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მოღვაწეებთან. მაგრამ ეს უკვე სხვა, განსაკუთრებით, ახალგაზრდა მკვლევარებმა უნდა გააკეთონ, რომლებთანაც ინტენსიური თანამშრომლობა მაქვს.

4. ეს გამოცემა „არტანუჯმა“ განახორციელა, წიგნის პოპულარიზაციის მიზნით, გამომდინარე, შესაბამისი მოთხოვნიდან, მკითხველთა მხრიდან. მასში არაფერი ახალი არ შემიტანია 2008 წლის გამოცემის შემდეგ.

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. დიმიტრი შველიძე

2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. საქართველოს უახლესი ისტორია (1917-2012)

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი. „მერიდიანი“.

2.

4) გვერდების რაოდენობა

1. 423 გვ,

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელოში ვცადე უახლესი ისტორიის ბევრი საკითხი ახლებურად გამეაზრებინა. თითოეულ თავში მოვლენები გადმოცემულია - მეტი კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების პროცესის ჩვენების მეთოდით. მაგ., საქართველოს ერთა ლიგაში მიღების საკითხი გადმოცემულია - პროცესის ჩვენებით. სხვა სიახლეები: დეტალურადაა გადმოცემული მეორე მსოფლიო ომში ქართველების მონაწილეობა, გმირული ეპიზოდები და რამდენიმე ქართული დივიზიის საბრძოლო გზა; შევეცადეთ რამდენადმე განსხვავებული მიდგომით აგვეხსნა აფხაზური სეპარატიმის მიზეზები და ევოლუცია; მისგან აბსოლუტურად განსხვავებული ოსური აგრესიული ნაციონალიზმის მოვლენა, რომელსაც არანაირი სამართლებრივი გამართლება არ გააჩნდა; დეტალურადაა გადმოცემული შევარდნაძის ორივე მმართველობის, მჟავანაძის, პატიაშვილის, გამსახურდიას და სააკაშვილის მმართველობის პერიოდები და დასათაურებაც თავებისა, მმართველების პერიოდების მიხედვითაა დასათაურებულ-განხილული. შევეცადეთ, ხელისუფალთა მმართველობის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, მიუკერძოებლად განგვეხილა და შეგვეფასებინა.

5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

1. ქეთევან ქუთათელაძე
2. ქეთევან ქუთათელაძე
3. ქეთევან ქუთათელაძე
4. ქეთევან ქუთათელაძე

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. სამეცნიერო კრებული „ბაღვაში“ (BAGVASHI) – ISBN 978-9941-9745-3-3

2. „კავკასიის კარი - საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე“, მასალები - ISBN 978-9941-8-3424-0

3. წმინდა გრიგოლ ფერაძის მე-2 საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი დიდგორის ბრძოლი 900 წლისთავისადმი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები - ISBN 978-9941-8-3678-7

4. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია, პროგრამა და მოხსენებათა თეზისები - ISBN 978-9941-8-4016-6; DOI:10.6084/m9.figshare.17241626

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამომცემლო-სარედაქციო სამსახური (გადაცემულია სტამბას, ბარდება წლის ბოლოს)

2. თბილისი, დაიბეჭდა სტამბა „კოლორში“

3. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

4. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

4) გვერდების რაოდენობა

1. გვ.208-241

2. გვ. 189-208 (ქართულად), გვ.209-225 (ინგლისურად)

3. გვ. 100-104 (ქართულად), გვ. 159-160 (ინგლისურად)

4. გვ. 23-25

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ბაღვაშები ქვემო ქართლში. კლდეკარის ერისთავთა ბაღვაშთა საგვარეულომ, პოზიტიური როლი ითამაშა ქვემო ქართლის მიწების დაცვის საქმეში გარეშე ძალთაგან. მათ შეზღუდეს თბილისის არაბი ამირას ტერიტორიული იურისდიქცია და მტკიცე ზღუდედ დაუდგნენ სამხრეთიდან მომავალ სომხებს და თბილისისკენ წინსვლის საშუალება არ მისცეს.

„მატიანე ქართლისას“ ცნობით, ლიპარიტ I ბაღვაშმა დაიკავა „ქუეყანანი თრიალეთისანი“, ფაქტობრივად იგი წაართვა ბაგრატიონთა საგვარეულოს უმცროს შტოს, რომელიც ფლობდა ამ მხარეს და მფარველად მათი მოწინააღმდეგე, ბაგრატიონთა შუათანა შტოს წარმომადგენელი დავით ბაგრატის ძე აირჩია. თრიალეთი „ბუნებრივი გზასაყარი“ იყო, დაქსელელი სხვადასხვა სავაჭრო და სამხედრო გზებით. სამხრეთ საქართველოდან ჯავახეთზე გამოვლით მასზე გადიოდა შიდა ქართლისკენ მიმავალი გზები. ლიპარიტ ბაღვაშმა თრიალეთი და მისი მიდგომი მხარეები ერთ საერისთავო ქვეყნად აქცია კლდეკარის ცენტრობით.

„კლდეკარი“ კარის სეგმენტით ნაწარმოები ტოპონიმია, რომელიც კლდეთა გასასვლელს ნიშნავს. ეს ციხე აკონტროლებდა სტრატეგიული მნიშვნელობის გზებს. X საუკუნის II ნახევარში ბაღვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელი რატი ბაღვაში ფლობდა მტკვრის სამხრეთით ქართლს – „თრიალეთს, მანგლისხევსა და სკვირეთს“. მანგლისხევი (ალგეთის ხეობა) თრიალეთის მიმდგომი მხარეა, იგი თბილისის ამირებისთვის უნდა ჩამოერთვათ ბაღვაშებს, ხოლო სკვირეთი (ვერის ხეობა) – ქვემო ქართლში შემოსული სომეხი ბაგრატუნებისთვის. IX საუკუნის მეორე ნახევარში მათ სკვირეთი თბილისის ამირებს სამშვილდის შემდეგ წაართვეს. X საუკუნის მეორე ნახევარში ქვემო ქართლში შექმნილ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში სკვირეთი აღარ შედიოდა, რომელიც უკვე ბაღვაშთა საგვარეულოს ხელშია.

ბაღვაშთა მფლობელობა გომარეთის პლატოზეც ვრცელდებოდა, რასაც ამტკიცებს ზურტაკეტ-წალკის ეპიგრაფიკული ძეგლები. ძირითადად წარწერებში ბაღვაშთა ზეობის დრო არის მითითებული და არ მოიხსენიება საქართველოს მეფე, რაც მათ დამოუკიდებელ მმართველობაზე მიუთითებს. ზურტაკეტიც, ასევე მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული თვალსაზრისით. აქედან მიემართებოდა გზები, როგორც თრიალეთის, ასევე ჯავახეთის და აბოცის მიმართულებით, ერთი გზა შედიოდა ფინეზაურის და დმანისის ხეობაში.

თრიალეთში დამკვიდრების შემდეგ, ბაღვაშებმა ატენის ხეობაც მიიერთეს. მასზე თრიალეთიდან მოემართებოდა ერთ-ერთი მთავარი გზა შიდა ქართლისკენ. არ გამოვრიცხავთ, რომ რატი ბაღვაში, რომელიც არ ემორჩილებოდა ბაგრატ III-ეს, ცდილობდა თავისი პოზიციების შენარჩუნების მიზნით, დავით კურაპალატის მფარველობაში გადასულიყო.

ბაღვაშთა საგვარეულოს კლდეკარის საერისთავო აღმოსავლეთის მიმართულებით უნდა გაეფართოვებინათ, ამ მხრიდან მას თბილისის საამირო ესაზღვრებოდა. ბაღვაშები ცდილობდნენ ალგეთის ხეობის შუა წელზე გაბატონებას, რადგან მანგლისის ფლობით მათ ალგეთის ზედა წელი ეპყრათ. ლიპარიტ ბაღვაშმა ამირას ბირთვისის ციხე წაართვა, რომელიც ლიპარიტის დამორჩილების შემდეგ, საბოლოოდ მეფემ ჩამოართვა მას.

კლდეკარის საერისთავოს „მამულად“ ჩამოყალიბებას ლიპარიტ IV ბაღვაშის დროს ჩაეყარა საფუძველი, რომელმაც ისარგებლა მეფესთან წარმატებით და მრავალ სამეფო და საერსითავო მიწას დაეუფლა. XI-XII საუკუნეების მიჯნაზე წყაროში მოხსენიებულ „მამული ლიპარიტეთში“ არგვეთის გარდა „ქართლის მამულიც“ იგულისხმება. ბაგრატ IV-ემ ლიპარიტის ძეს ივანეს უბოძა „მამული არგუეთისა და ქართლისა“ და ასევე, სპასალარობა.

1065 წელს ბაგრატ IV-ემ სამშვილდე აიღო, რომელიც ქციას შუა დინებაზე მდებარეობდა. თრიალეთის ფლობით ბაღვაშთა საგვარეულო ქციის ხეობის ზედა წელს აკონტროლებდა, მის შუა წელზე გაბატონებაც უკვე მათ პოლიტიკურ გეგმებში შედიოდა. გარდა ამისა, ალგეთ-ქციის წყალგამყოფ ბედენის ქედზე თრიალეთისკენ მიემართებოდა მაგისტრალური გზა. გზა მიემართებოდა აგრეთვე ჭივჭავის ხეობაზე, რომელიც სამშვილდესთან უერთდება ქციას. ამის შემდეგ ნათელია, თუ რატომ ენდომებოდათ ბაღვაშებს სამშვილდის ხელში ჩაგდება. ასევე, ბაგრატიონთა მხრიდან სამშვილდის ფლობით საფრთხე შეექმნებოდა მათ სამამულო მმართველობას თრიალეთში.

ბაგრატ IV-ის ძემ ახალგაზრდა მეფემ გიორგი II-ემ დიდგვაროვანთა აჯანყების შემდგომ ჯერ უბოძა ივანე ბაღვაშს სამშვილდე, მეორედ განდგომის დროს კი ივანე უკვე დამკვიდრდა კლდეკარსა და სამშვილდეში. თუმცა, მალევე 1073 წელს სამშვილდე მალიქ-შაჰმა აიღო, ივანე ბაღვაში ცოლთან და შვილიშვილთან ერთად ტყვედ ჩაიგდო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორბელთა საგვარეულო არის სამშვილდეში დამკვიდრებულ ბაღვაშთა განშტოება, რომლის სახელიც მომდინარეობს სამშვილდის ძველი სახელწოდებიდან – ორბის ციხე. 1073 წლიდან 1110 წლამდე სამშვილდე თურქთა ხელშია, სანამ დავით აღმაშენებელის მეფობის დროს არ განთავისუფლდა იგი.

ბაღვაშთა სამოღვაწეო ასპარეზიდან წასვლის შემდეგ ქართულ წყაროში ჩნდება ივანე ორბელის სახელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სამშვილდის აღებაში. 1073 წლიდან 1110 წლამდე 37 წელია გასული. სავსებით შესაძლებელია, რომ ივანე ორბელი ივანე ბაღვაშის შთამომავლად მივიჩნიოთ. სტეფანოს ორბელიანის ერთი ცნობა მიუთითებს ამ ფაქტზე: დავით აღმაშენებელმა დაუბრუნა ივანე ორბელს ერთგული სამსახურისთვის `ადგილად დარბაზისად სამშვილდე~, რომელიც ეკუთვნოდა მის წინაპრებს, დაუბრუნა ის მისი შემოგარენით, სამეფო სიგელითა და ბეჭდით დაუმტკიცა მამულად. გარდა სამშვილდისა, ივანე ორბელს მიეცა ლორე სოფლებითა და აგარაკებით. Aამრიგად, ივანე ორბელის წინაპარი ივანე ბაღვაში გამოდის, რადგან 1072 წლამდე სამშვილდე სამეფო საკუთრებაშია, მცირე ხნით, ბაღვაშთა კუთვნილებაში ყოფნის შემდეგ კი 1073-1110 წლებში იგი თურქთა ხელშია.

საერთო საგვარეულო სახელები ივანე და ლიპარიტი, ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტორია ორბელთა და ბაღვაშთა საგვარეულოების ნათესაობის. შემდეგი არგუმენტი აღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ არის სამშვილდე და მისი შემოგარენი, სადაც ბაღვაშებს და ორბელებს უხდებოდათ მოღვაწეობა, რომელიც ორივე გვარისთვის მამულს წარმოადგენდა. ორივე საგვარეულოს თანამდებობები – სპასალაროზა და ქართლის ერისთავობა აგრეთვე ამტკიცებს, რომ ორბელებმა წინაპართა თანამდებობები შეინარჩუნეს.

2. **დარიალის სახელწოდება „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით და მისი დიალექტური შესატყვისობანი.** საყოველთაოდ გაზიარებულია, რომ **„დარიალან“** მომდინარეობს სპარსული „დარ“ (კარი) და „ალან“ (ოსთა) სახელწოდებისგან, რასაც „ოვსთა კარის“ მნიშვნელობით ხსნიან. ეს სიტყვა უფრო გვიანდელია, როდესაც „ალანების“ სახელწოდებით კავკასიის გადმოსასვლელებიდან ხალხთა მასების მოწოლა დაიწყო. ბერძნულ-რომაული წყაროები ამ სახელწოდებას არ იცნობს.

კავკასიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გასასვლელს, „იბერიის, სარმატიის, კავკასიის, კასპიის კარის“ სახელით ცნობილ „დარიალანს“ „ქართლის ცხოვრებაში“ ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი, „არაგვის კარს“ უწოდებს, სადაც „დარიალის კარი“ იგულისხმება. მდ. თერგიც, რომელიც გაივლის დარიალს და „ოსეთის ველზე“ მიედინება, „არაგვად“ იწოდება. ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი მას „ქართლის არაგვად“ და „ოსეთის არაგვად“ მოიხსენიებს. ვახუშტი ბატონიშვილი უფრო აკონკრეტებს და აღნიშნავს, რომ ამ მდინარეს ეწოდებოდა ლომეკის-მდინარე ძუელად, „და აწ უწოდებენ თერგსა“. „ქართლის ცხოვრებაში“ გზა, ციხე და კარ-გასასვლელი **„დარიალ“ / „დარიალანის“** სახელწოდებითაა მოხსენიებული. ცალსახად ხაზგასმულია, რომ დარიალის ხეობა და ციხე ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შემოდიოდა და კონტროლდებოდა ქართლის მეფეთა მიერ. ქართველ მეფეებსაც და გარეშე მტრებსაც მხოლოდ დარიალის ხეობის და კარ-გასასვლელის შემდეგ შეეძლოთ ჩასვლა „ველსა ოსეთისასა“.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ანასეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მდინარეს, რომელიც დარიალის ხეობაში მიემართება, „დარიეალო რქÂან“. თეიმურაზ ბაგრატიონიც აღნიშნავს, რომ კავკასიის ორი კარიდან ერთ-ერთი არის „კარი დარიელასი (ესე იგი ხევისა“), რომელიც მოემართებოდა „ლომეკის გზით (ესე იგი თერგის მდინარის გზით“). ამრიგად, მდინარეს, რომელიც ქმნის დარიალის ხეობას „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ეწოდება „არაგვი“ და „დარიეალო“ და შესაბამისად, ორივე სახელწოდება „არაგÂს-კარი“ და „დარიალის კარი“ გასასვლელს ნიშნავს თერგის ანუ დარიალის ხეობაში.

ქართული წყაროების მიხედვით, კონკრეტულად მდინარე არაგვის ხეობიდან თერგის ხეობაში გადასვლა ჯვართა ყელიდან ხდებოდა: „გარდავლეს ჯუართა ყელი და ჩავიდეს დარიელს“

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი ასახელებს **„დარიალ/დალარას“** და „კარს“ სომხურ თარგმანში „დურ“ ფორმით გადმოგვცემს. „დარიალ/დარიალანის“ გარდა, „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში დარიალი მოიხსენიება, როგორც **„დარულა / დარალა / დარიაელო“; „და:რღალა/ დარღანისა“; „დარლანისა / დარალანისსა“; „დარიანისასა“.**

ვაინახურ ენებზე „გასასვლელი“-სა და მასთან დაკავშირებული სიტყვების აღნიშვნაში ფიგურირებს „დალარ“ სეგმენტი. არ გამოვრიცხავთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში და ზოგიერთ ნუსხაში მოხსენიებული „დალარ/დალარა/დარალა/დარულა“ დარიალანის დამახინჯებული ფორმა კი არ უნდა იყოს, არამედ გასასვლელის კონკრეტული სახელწოდება, რომელსაც სემანტიკურად სავსებით შეესაბამება დარიალის ანუ თერგის ვიწრო და კლდოვანი სტრატეგიული მნიშვნელობის კარ-გასასვლელის სახელწოდება.

ქართულმა ენამ და მისმა ზოგიერთმა დიალექტმა უმნიშნელოვანესი ინფორმაცია შემოგვინახა დარიალის სახელწოდებასთან დაკავშირებით. თუშურ დიალექტზე **„დარიელ“**-ი თვალთვალს, „ჩუმად თვალყურის ჭერას“ ნიშნავს, „უდარიელა-უთვალთვალა“. ქართლურ დიალექტზეც **„დარილ“**-ი თვალთვალს, ზვერვას, დარაჯობას, „საფარიდან თვალყურის დევნას“ ნიშნავს. კახურ დიალექტზე

„დადარიელება“ დადარაჯებას, ჩასაფრებას და თვალთვალს აღნიშნავს. სამალავის მნიშვნეობით, ასევე საინტერესოა სიტყვაა **„დარანი“**, რომელიც საქართველოს მთისა და ბარის დიალექტებზე საიდუმლო ხვრელს, ციხის სარდაფს, ტყვეთა დასამწყვდევს, შიშიანობის დროს სამალავს ან რაიმე ამოთხრილს ნიშნავს. მისი შესატყვისია გურულ დიალექტზე **„დარნა/დარნე“**, ორმო ან მოგრძოდ გამოთხრილი მიწა. სულხან-საბა ორბელიანი მას განმარტავს, როგორც კლდეში ან მიწის ქვეშ უჩინარი შესასვლელი. **დადარნება, ედარნა** ჩასაფრებას ნიშნავს. **„სადარანო/სადარნე/სადარნო“** კი უნდა გავიგოთ, როგორც საზვერავი.

„დარიალის“ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მოხსენიებული ფორმებიდან საინტერესოდ მიგვაჩნია **„დარღალა“**, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს „ა(ღ)შენებული დარანი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნამდვილად არსებობს იმის ალბათობა, რომ ზემოთ განხილული სახელწოდებების მიხედვით, დარიალის ეტიმოლოგიაში ბუნებრივად და ადამიანის მიერ გამაგრებული სამალავების, საფრების და სათვალთვალო სიმაგრეების, კლდოვან-ჩახერგილი ადგილების სახელწოდება ვიგულისხმოთ, რომელსაც ფიზიკურ-გეოგრაფიული კუთხით ჩრდილოეთიდან მოწოლილი ნაკადის შესაჩერებლად სადარაჯო და შემაკავებელი დანიშნულება ექნებოდა.

3. **თურქთა ექსპანსიის არეალი და სამიმოსვლო გზები XI-XII სს-ის მიჯნაზე „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.** სულთანი ალფ-არსლანი 1065 წელს საქართველოს შემოესია. მან ჯერ სამშვილდე აიღო, შემდეგ კი თრიალეთში გადავიდა, შემდეგ ჯავახეთში და ახალქალაქი აიღო. მისმა მარბიელმა ჯარმა კი ყუელის-ყური, შავშეთი, კლარჯეთი და ტაო დალაშქრა ფანასკერტამდე. ახალქალაქის შემდეგ სულთანმა ანისი აიღო, სადაც იგი ჯავახეთიდან სომხეთისკენ მიმავალი გზით მოხვდებოდა. ეს გზა აბოცზე და პალაკაციოზე გაივლიდა. გარდა მნიშვნელოვანი სამოვრებისა, ეს ადგილი იმითაც იყო თურქთათვის მიმზიდველი, რომ გზის ერთი შტო ანისისკენ მიემართებოდა, მეორე კი ყარსისკენ.

ალფ-არსლანის მეორე ლაშქრობა კახეთ-ჰერეთში მოხდა. ამ დროს საქართველოს მეფე ბაგრატი „იყო გალაშქრებული აღებად კახეთისა“. ბაგრატი იძულებული გახდა ქართლში დაბრუნებულიყო. სულთანმა ამჯერად ბაგრატზე გაილაშქრა. სავარაუდოთ იგი კახეთიდან გადმოსული მუხრან-ნაჭარმაგევის გზით მოხვდებოდა შიდა ქართლში. მან მარბიელი ჯარი გაუსია მეფეს არგვეთში, რომელიც სვერის ციხემდე არბიეს. თვითონ „დადგა კარბსა და მერმე ჩამოდგა შერთულთა“. კარბი შიდა ქართლის ვაკეზე პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს, ხოლო, „შერთული“ _ ვარიანის ზემოთ, სადაც დიდი და პატარა ლიახვი ერთმანეთს ერთვის. სვერის ციხე „სუერის ხევზეა“, რომელიც კაცხის წყლის ზემოთ მოერთვის ყვირილას. სვერი ქართლ-იმერეთის დამაკავშირებელი გზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. ბაგრატი არ დაემორჩილა სულთანს, რომელიც მძიმე ზამთრით შეწუხებული ქართლში დაბრუნდა. თბილისი და რუსთავი განძის ამირა ფადლონს გადასცა, რომელსაც ამ ქალაქებზე დაყრდნობით სულთნის ინტერესები უნდა გაეტარებინა. თბილისისა და რუსთავის მიმდგომ ტერიტორიებზე ჩამომდგარი თურქებიც დაცული უნდა ყოფილიყვნენ. ისტორიკოსის თქმით, სულთნის ძალები 500 000-ს აღწევდა. ვფიქრობ, აქ მხოლოდ ლაშქარი არ იგულისხმება, არამედ ჯართან ერთად თანმხლები ხალხი, რომელიც ახალი ტერიტორიების დაკავების მიზნით შემოიყვანეს. აღნიშნულს ადასტურებს ის, რომ წყალდიდობის შედეგად, გაზაფხულზე მოვარდნილმა მტკვარმა „წარიღო მრავალი სული, რომელი დარჩომოდა სულტანსა“. ბაგრატმა ისარგებლა ფადლონის ტყვედ ჩაგდებით და თბილისი თავის გავლენის სფეროს დაუბრუნა. ფადლონის გათავისუფლების სანაცვლოდ მეფეს მოართვეს „გაგით კლიტენი“. პარალელურად, მან კვლავ აიღო „რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმიდანი, ქავაზინი“.

თურქთა მოწოლის შედეგად, საქართველოს შემდგოომმა მეფე გიორგი მეორემ მალე დაკარგა კარის ციხე-ქალაქი მიმდგომი ქვეყნით, რომელიც გრიგოლ ბაკურიანის ძემ გადასცა მას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვამცნობს, რომ კარი დაეპყრა ვინმე ამირა აჰმადს, რომელიც თურქთა

დიდი რაოდენობით თავს დაესხა გიორგი II-ეს „ყუელს გარემდგომსა“. შემდეგ ბიზანტიისკენ მიმავალ სხვა თურქ ამირებს მოუწოდა საქართველოზე გაელაშქრათ. კარი, როგორც სასაზღვრო მხარე, ერთ-ერთი პლაცდარმი იქნებოდა საქართველოზე თავდასხმისთვის.

ისტორიკოსი გვამცნობს, რომ „ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა“. მტერმა ქუთაისი, არტანუჯი და კლარჯეთის უდაბნონი ერთ დღეში დაწვა. გაზაფხულიდან დაზამთრებამდე მოდიოდნენ და არბევდნენ ქვეყანას. ეს ფაქტი „დიდი თურქობის“ სახელით მოიხსენიება, რომელსაც თან ახლდა ის მძიმე პროცესები, როდესაც ხდება ორი განსხვავებული კულტურის შეჯახება.

გიორგი II მალიქ-შაჰს ეწვია და ხარკი იტვირთა. სულთანმა თითქოს საქართველო გაათავისუფლა „ზედამარბეველთაგან და მოსცა კახეთი და ჰერეთი“, თუმცა, დიდი ჯარიც გამოაყოლა, რომ უსაფრთხოდ ჩასულიყვნენ და კახეთი დაეკავებინათ. ისინი ვეჟინის ციხეს შემოეწყვნენ, რომლის აღება თურქთა ჯარით მეფისთვის არ იყო სახარბიელო. იგი იძულებული გახდა, თანმხლები თურქებისთვის სადგურად „იორის პირი“ მიეცა („სუჯეთი და ყოველი ქუეყანა იორის პირი კუხეთი“). ვფიქრობ, ეს ადგილები, ჯერ კიდევ, ალფ-არსლანის შემოსევის დროს მოექცა თურქთა ყურადღების ცენტრში და გიორგი II უბრალოდ აიძულეს, რომ მშვიდობის სანაცვლოდ გადაეცა ეს ნაბიჯი.

მდგომარეობა დიდად არ გამოსწორებულა, ამჯერად თურქები საქართველოში გამოსაზამთრებლად ჩამოდგებოდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავს თურქული ტომების ჩამოდგომის არეალს: „ზამთრისა მოწევნასა თანა ფალანგებითა მათითა ჩამოდგიან ჰავჭალას და დიღომს, ჩაღმართ მტკურისა და იორის პირთა, რამეთუ მათი იყო სადგური“. ეს ადგილები ზამთრის საძოვრებად გამოიყენებოდა მართლაც, თურქნი ჩამოდგებოდნენ „მტკურისა და იორის პირსა დიღმითგან განძამდე დედაწულითურთ [ვინაჲთგან არს ადგილი იგი ზამთარ ბალახიან-ტყიანი და ნადირთა სავსე]“. მტკვრისა და იორის პირს ჩამომდგარ თურქებს მეფე თავს ესხმოდა, ანადგურებდა მათ, არაერთგზის, არამედ მრავალჯერ. ბუნებრივია, ერწუხის ბრძოლის შემდეგ იორის პირს ჩამომსხდარ მომთაბარე თურქებს აღარ დაედგომებოდათ კახეთ-ჰერეთში.

ისტორიკოსის ცნობით, „ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი და ყოველი სამშვილდე და აგარანი თურქთა ჰქონდეს“, რაც ნიშნავს იმ ფაქტს, რომ ციხე- ქალაქების ფლობა მათ მიმდგომ მხარეებში თურქთა განსახლების არეალსაც ჰგულისხმობდა. როგორც წესი, შემოდგომიდან „ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პირსა მტკურისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავამდე, და იორის პირთა“. გამოსაზამთრებლად ეს ადგილები მშვენიერი ყოფილა - „ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა და თჯთოფერი და საშუებელი ყოველი“. ამ ადგილებში ისინი ხარგებით (ცხოველის ტყავით დახურული კარვები) დგებოდნენ, უამრავი რაოდენობის ცხენი, ჯორი, ცხვარი და აქლემი ჰყავდათ, სავარგულებით სარგებლობდნენ, ნადირობდნენ, ქალაქებთან ვაჭრობდნენ, სანაპირო მიმდებარე ტერიტორიებს არბევდნენ, რაც ჰგულისხმობდა ტყვეთა და ალაფის ხელში ჩაგდებას. გაზაფხულიდან იწყებდნენ სვლას „მთათა სომხითისა და არარატისასა“, სადაც ასევე მშვენიერი ველები ხვდებოდათ წყაროებით. ისტორიკოსი აღნიშნავს, იმდენად დიდი რაოდენობა იყო მათი, რომ ითქმებოდა - „ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არსო“, ვახუშტი ბაგრატიონი აბოცსაც ასახელებს, სადაც პირუტყვთა სიმრავლე ყოფილა „თივის სიბევრისათჳს“. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიც აღნიშნავს, რომ „თურქმანნი ზაფხულობით სომხეთის მთებში ადიოდა და საზამთროდ მდინარე მტკვრის ნაპირებზე ჩამოდგებოდა“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თურქთა ჩამოდგომას ტაოშიც ასახელებს: თურქები მშვიდად ისხდნენ „ბასიანამდე და მთად კარნიფორისად“. ქართლ-მესხეთის ჯარი ერთმანეთს კლარჯეთში შეხვდა, შეუმჩნევლად დაესხა მათ თავს და გაანადგურეს. სამშვილდისა (1110) და განსაკუთრებით რუსთავის (1115) დაკარგვის შემდეგ „ზარ-ცემულ იქმნენ თურქნი“, რადგან რუსთავის,

აღმოსავლეთით მდებარეობს ყარაიას დიდი ველი, რუსთავის ჩრდილოეთით მტკვრის კიდეზე კი ყარაღაჯის ჭალა. ეს ადგილები მათთვის ზამთრის საძოვრებს წარმოადგენდა.

საქართველოში თურქ/თურქმანთა გამოსაზამთრებელ ადგილად, ასევე, მტკვრის პირი მიიჩნეოდა. დასავლეთ საქართველოში („აფხაზეთს ბიჭვინთამდე“) გადასული მეფის არყოფნით გათამამებული თურქები აგრეთვე, „გულდებით ჩამოდგეს მტკურისასა“. დავითი არ მოერიდა საშინელ ქარბუქს და თოვლს, ლიხის მთა გადმოიარა, ქართლში გამზადებული ლაშქარი დახვდა და ხუნანს თავს დაესხა მოწინააღმდეგეს. მტკვრამდე და გაგიდან ბერდუჯამდე მოსრეს უამრავი თურქი, ისე, რომ ამბის მთხრობელი არ დარჩენილა. გაზაფხულზე, როდესაც მტკვარი მოდიდდა, ამით ისარგებლეს და „ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულდებითა“. მეფემ მტკვარი გადაცურა ყივჩაღებთან ერთად და გაანადგურა ისინი, შემდეგ ორი დღე არბევდა ბარდავს.

მიუხედავად, დიდგორზე მიღწეული გამარჯვებისა და მთელი რიგი წარმატებებისა, ჯავახეთი, კოლა, კარნიფორი, ბასიანი, სპერი კვლავ რჩებოდა თურქთა ჩამოსხდომის ადგილად. მეფემ, ამ ადგილებში, სადაც კი თურქმანნი ნახა, ყველგან მუსრი გაავლო, „ჩამოვლო ბუღთა-ყური, და დაწუნა ოლთისნი“, თრიალეთში დაბრუნდა გამარჯვებული. დავითის მიერ, სამხრეთ კავკასიაში, თურქთა წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის დამაგვირგვინებელი შედეგი იყო ანისის აღება, რამაც უდიდესი საყრდენი გამოაცალა მათ ძალებს. ალფ-არსლანის მიერ აღებული ქალაქი ქართველი მეფის იურისდიქციის ქვეშ მოექცა.

4. **ლილო“ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.** სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „რა თოვლი აჭრელდეს იგი არის ლილო“ ანუ „თოვლჭრელი“. გურულ დიალექტზე გვაქვს სიტყვა „ლილოჭრელი“, რომელიც ნიშნავს „გაზაფხულზე ალა-ალაგ თოვლის“ დნობას, „ლილო“ ლეჩხუმურ დიალექტზეა „რილო“ – „თოვლნადები ადგილი“, რაჭულ დიალექტზე „ლილო-ჭრელი“ არის „რილო-ჭრილო“, „რილება“ ნიშნავს თოვლის ალაგ-ალაგ გადნობას, მოხევურ დიალექტზე თოვლჭრელი არის „ჭროლი“, როდესაც გაზაფხულზე თოვლი ალაგ-ალაგ არის გამდნარი, „ზედაპირი აჭრელებულია და ამას ეძახიან ჭროლს“.

ქართული წყაროების მიხედვით, ლილო ისტორიულ კუხეთში შედიოდა, რომელიც შემდეგ კახეთად იწოდებოდა. „ქართლის ცხოვრებაში“ რამდენიმე სახელწოდება შემოგვრჩა „ლილოს“ სეგმენტით: **„ლილოს სერი“, „ლილო და ლილოს-ქუემოთი“, „ლილოს მთა“, „შარობის ლილო“, „ქვიტკირის ლილო“, „ლილოს ტბა“, „ლილოს ტბის მინდვრები“, „ლილოსა ზედა“, „ლილოს დაბნები“, „ლილოს გუერდის სოფელი ახალდაბა“, „ორსავ სამეფოს ლილო“, „ბაგრატის ლილო**“. იოანე ბატონიშვილის ცნობით, ლილო სამეფო საკუთრებაშია და **„აშკარეთად“** წოდებულია.

ბერი ეგნატაშვილი მოიხსენიებს „ლილოს სერს“, სადაც ხევძმრიდან გადიოდა საზღვრის ერთი მონაკვეთი ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის. ვახუშტი ბაგრატიონი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მეოთხე სასასპეტოს აღმოსავლეთი საზღვარი ლილოზე გადიოდა, „რომელი განვლის ხაზი შარობის ლილოსასა აღმოსავლით-სამჴრითკენ ლოჭინამდე, რომელსა ეწოდების ომანის ჴევი“ ... ხოლო ლილოდამ ჩრდილოთკენ მიადგების ჴევ-ძმარს“. ვახუშტი ასევე ასახელებს „ქვიტკირის ლილოს“ _ „ავჭალის ბოლოს არს ჴევძმარი, ჩამოვარდების მშრალი ჴევი ქვითკირის ლილოდამ მტკურამდე. და ეს არს საზღვარი აწინდელი ქართლ-კახეთისა“ (ვახუშტი ბაგრატიონი 1973: 333, 537). ყველაზე სრულად ზემოაღნიშნულ საზღვარზე ინფორმაციას „დასტურლამალი“ შეიცავს, კერძოდ - „ჴევძმრის ყვითელი ფლატე, ქვიტკირის გაღმა სერის გზა რომ შესდევს, ავა მაღალს ლილოზედ, დიდი მუხა[ა]; აშქავეთის თავი, ქვაბთ კლდისთავი, იმისი ღელე რომ ჩაიტანს, ლოჭინს გაღმა სამანაო გზა...“ (ქსძ, II, 1965: 371).

„ლილოსა ზედა“ დაბანაკებული იყვნენ სვიმონ მეფე დედოფალ ნესტან-დარეჯანთან, ასევე დარბაისლები თავიანთ თანამეცხედრეებთან ერთად. ისინი აქედან ერთად ადევნებდნენ თვალ-ყურს სვიმონ მეფის წარმატებულ მანევრს თბილისში მყოფი ოსმალების წინააღმდეგ. ეს ადგილი თავშესაქცევი და სტრატეგიულიც რომ იყო ადასტურებს ვახუშტის ცნობები, რომლის მიხედვით, ვახტანგ V-ის ერთ-ერთი ვაჟის ლუარსაბის ქორწილი გადაიხადეს „ლილოსა ზედა დიდებით

წარჩინებული“, ასევე, გიორგი XI „ლილოსა ზედა“ დაბანაკდა, „რათა დაიპყრას კახეთი“ და კახეთში თავის წარმომადგენლები გაგზავნა, უკან მობრუნებულები „მოვიდნენ წინაშე გიორგი მეფისა ლილოსავე“. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ „ლილოები“ და „ლილოს დაბნები“ ვახტანგ VI -ის დროს დაურბევიათ კახელებსა და ჭარელ ლეკებს მაჰმად ყული ხანის - კონსტანტინეს ბრძანებით. „ღმრთაების გუჯარში“ „ლილონი“ რუსთველის სამწყსოშია მოხსენიებული, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ლილონი, გლდანი და ჯაჭვნი ანგარებითა და მძლავრობით მიეტაცათ ქართლისა კათალიკოზთა და თბილელთა“ (ქსძ, II, 1965: 363, 364). დოკუმენტის სხვა ნაწილშიც ვკითხულობთ, რომ „ლილო სრულიად სამწყსო რუსთველისა“ ყოფილა.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მარიამ ჩხარტიშვილი
2. მარიამ ჩხარტიშვილი
3. მარიამ ჩხარტიშვილი
4. მარიამ ჩხარტიშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. ნინოს ცხოვრების უძველესი რედაქცია
DOI: 10.6084/m9.figshare.17067434.v1
ISBN 978-9941-8-3678-7
2. ისტორიული რეპრეზენტაცია და წყაროთა მონაცემების სინქრონიზების პრობლემა: გვიანი ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის კვლევის მაგალითი (მეფე ვარაზ-ბაკური).
DOI: https://doi.org/10.6084/m9.figshare.17192756.v1
3. მთა და მთიელები ქართული იდენტობრივ ნარატივში
DOI: 10.6084/m9.figshare.17067578.v1
ISBN 978-9941-8-3424-0
4. მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის“ წყაროთა იდენტიფიკაციისათვის: „მოქცევაი ქართლისაი“
DOI: https://doi.org/10.6084/m9.figshare.17166995.v1

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. წმინდა გრიგოლ ფერაძის მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისადმი თბილისი, საქართველო 2021 წლის 20 – 21 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, 2021
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცონეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიეტო კონფერენცია, პროგრამა და თეზისები, 2021
3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კავკასიის კარი - საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე 25-27 ივნისი, 2021. მოხსენებები
4. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფერენცია მოხსენებები „ჰუნიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები“ მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი 23-24 აპრილი, 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი
2. თბილისი

3. თბილისი
4. თბილისი

5) გვერდების რაოდენობა
1. გვ.107, 138.
2. გვ.2
3. გვ.240-259
4. გვ.55-56

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გვიანი ანტიკურობის ეპოქის ქართულ სახელმწიფოში – ქართლის სამეფოში – ქრისტიანობის ოფიციალურ იდეოლოგიად აღიარებას მეოთხე საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში. ქრისტიანობის ქართლის სამეფოს ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების ისტორიამ ასახვა ჰპოვა სხვადასხვა წერილობით წყაროში. მათ შორის ფაქტების სისრულით ქართული წყარო გამოირჩევა. ესაა ქართველთა განმანათლებელი ქალის ღვაწლის ამსახველი თხზულება წმინდა ნინოს ცხოვრება. ამ თხზულების უძველესი (მოკლე და ვრცელი) რედაქციები დაცულია მოქცევაი ქართლისაიში . „მოქცევაი ქართლისაი“ აღმოჩენილი იქნა XIX საუკუნეში. ამ დროიდან მოყოლებული მასში ჩართული წმინდა ნინოს ცხოვრების ვრცელი რედაქცია მკვლევართა ცხოველ ინტერესს იწვევს. ახალი დროის ქართველოლოგიის ფუძემდებლები ი. ჯავახიშვილი და კ. კეკელიძე არ მიიჩნევდნენ მას სანდო საისტორიო წყაროდ, რადგან თვლიდნენ, რომ ის ქართველთა გაქრისტიანების შემდგომ მრავალი საუკუნის შემდეგ არის შექმნილი. წმინდა ნინოს კულტის დამკვიდრებასაც ქართლის გაქრისტიანების შემდეგ მრავალი საუკუნის შემდეგ ვარაუდობდნენ. წმინდა ნინოს ცხოვრებაზე ამგვარი შეხედულება არ ეფუძნებოდა რაიმე მყარ არგუმენტაციას. მიუხედავად ამისა, ეს შეხედულება სიცოცხლისუნარიანი აღმოჩდა, რადგან ამ თვალსაზრისს მათ ავტორთა დიდი სამეცნიერო ავტორიტეტი უმაგრებდა ზურგს. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან მე წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული ციკლის კვლევა დავიწყე. ამ კვლევის შედეგად ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ქართველთა განმანათლებლის მოღვაწეობის შესახებ პირველი ტექსტის შექმნა ქვეყნის მოქცევის შემდეგ რამდენიმე საუკუნის შემდგომ სრულიად დაუსაბუთებელი ვარაუდია, ისევე როგორც სრულიად დაუსაბუთებელია აზრი იმის შესახებ, რომ წმინდა ნინოს ღვაწლი საუკუნეების განმავლობაში ქართველებს დავიწყებული ჰქონდათ და მერე უცებ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით გაიხსენეს, უცხოურ წყაროებში მოიძიეს ცნობები, განმანათლებლის ცხოვრება სახელდახელოდ შეადგინეს და კულტიც მყისიერად დანერგეს. მრავალწლიანი კვლევის შედეგად მე სრულიად განსხვავებულად წარმოვადგინე წმინდა ნინოს ციკლის ისტორია და მისი პროტოძეგლის წარმოშობის ვითარება და თარიღი. კერძოდ, ვაჩვენე, რომ წმინდა ნინოს ცხოვრების თავდაპირველი ტექსტი შეიქმნა ქართლის მოქცევის თითქმის თანადროულად, რომ დღეს ამ უძველესი ძეგლის რეპრეზენტატორი არის მოქცევიაი ქართლისაიში ჩართული წმინდა ნინოს ცხოვრების ვრცელი რედაქცია, რომელმაც მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში რედაქტირებისა, დაინარჩუნა თავდაპირველი სტრუქტურა და ძირითადი ფაქტები.

2. ნაშრომი განიხილავს ქართულ („მოქცევაი ქართლისაი“, „ქართლის ცხოვრება“) და უცხოურ წყაროებს (ამიანე მარცელინე, ‘პეტრე იბერის ასურულენოვანი „ცხოვრება“) მონაცემებს ქართლის მეფის ვარაზ-ბაკურის შესახებ. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ეს მონაცემები ერტმანეთს არ ეწინააღმდეგება. მათი ერთიანობაში გააზრება საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ქართლის ამ მეგის შთამბეჭდავი პორტრეტი.

3. იდენტობრივი ნარატივი ეს არის დისკურსი, რომელიც წარმოადგენს პასუხს ერისათვის ეგზისტენციალური მნიშვნელობის კითხვებზე: „ვინ ვართ“? „ვინ ვიყავით“? „როგორია ჩვენი მომავალი“? „რა არის ჩვენი არსებობის საზრისი“? ამ ნარატივს კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებული ერთობის (ჩვენ-ჯგუფის) კულტურული ელიტა ქმნის: ხდება საზიარო ისტორიული

გამოცდილების ფაქტების განსაზღვრა და მათი რეინტერპრეტაცია ერთიან კონტექსტში. იდენტობრივი ნარატივის მეშვეობით ადამიანებს უყალიბდებათ ჯგუფური სოლიდარობის განცდა.ეროვნული იდენტობრივი ნარატივები მრავალი თემის მომცველია. არსებითად ესაა თხრობანი მშობლიური ერის (უკვე რეალურის ან პოტენციურად არსებულის) რაობაზე. განიხილება ჩვენ-ჯგუფის წარსული, მისი სოციალური აღნაგობა და სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა, რეგიონალურ იდენტობათა მიმართება ეროვნულ იდენტობასთან, ფასეულობათა სისტემა, მორალურ ვალდებულებათა სქემა, კულტურული უნიკალურობა (ენა, რელიგია, მიღწევები ხელოვნებაში თუ ტექნიკაში), ეთნიკური რჩეულობა, გლობალური მისია, ერად ყოფნის ღვთაებრივი ნებით განპირობებულობა, საერთო ბედისწერა და მომავალი, ეროვნული ხასიათის თავისებურებანი, მიმართება „სხვებთან“ (ეთნიკურ ჯგუფებთან ქვეყნის შიგნით და სხვა ერებთან ქვეყნის გარეთ), მშობლიური მიწის საკრალურობა, და ა.შ. მოკლედ, იდენტობრივი ნარატივი მოიცავს ყველაფერს, რაც უკავშირდება კოლექტიური „მეს“ ანუ „ჩვენ“-ის განმარტებას. თანამედროვე დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში იდენტობრივ ნარატივებს განსაკუთრებული ინტერესით სწავლობენ. საქართველოში კვლევის ეს მიმართულება ნაკლებად გამოკვეთილია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ქართველ ჰუმანიტართა მნიშვნელოვანი ნაწილი ერის ფენომენს ხედავს ესენციალისტურად. პირადად მე ერის კონსოლიდების პროცესს განვიხილავ კონსტრუქციონისტული პოზიციით, აქედან გამომდინარე იდენტობრივი ნარატივის კვლევა ჩემთვის პრიორიტეტია. ადრე გამოქვეყნებულ გამოკვლევებში უკვე გავაანალიზე ქართულ იდენტობრივი ნარატივის სხვადასხვა საკითხი და ავტორს განსაზღრული ჰქონდა თითოეული მათგანის კავშირი ნაციონალიზმის ფუნდამენტურ იდეალებთან(ჩხარტიშვილი 2009, ჩხარტიშვილი 2011, ჩხარტიშვილი 2020: 7-27). წინამდებარე ნაშრომში ძიებანი აღნიშნული მიმართულებით გრძელდება. კონკრეტულად, გავაანალიზებ თემას, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „ეროვნული ლანდშაფტის კონცეპტუალიზება“.

ტერიტორია კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობების ერთ-ერთი უმთავრესი მარკერია, შესაბამისად, იდენტობრივ ნარატივებში სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია მშობლიურ მიწის შესახებ დისკურსს. საკრალიზებული ლანდშაფტები, რომელნიც ინიშნება ამ მიწაზე, არის „მეხსიერების ადგილები“ (ნორა 1989: 7-24). მათი ერთი ნაწილი ხელოვნურად იქმნება შესაბამისი დარგის პროფესიონალების მიერ, მეორე ნაწილი კი ბუნებრივი წარმოშობისაა. ისინი (ასევე სპეციალისტების ძალისხმევით) ეროვნულ სიმბოლოდ იქცევა და ივსება ეროვნული კონსოლიდაციის პროცესისათვის ხელშემწყობი კულტურული საზრისით. სტატია ეხება მთას, მთურ ლანდშაფტის, როგორც ქართული იდენტობის მარკერს. ეროვნული იდენტობრივი ნარატივი არის აბსტრაქცია, რომელიც გვევლინება სხვადასხვა ტექსტის ერთობლიობის სახით. ამ ტექსტების ერთ-ერთი სახე მხატვრული ლიტერატურაა. სწორედ მას გამოვიყენებ წყაროდ ამ გამოკვლევაში. დასმული პრობლემის კვლევისათვის ეს წყარო ყველაზე უფრო რელევანტურია.

4. მოხსენება მიზნად ისახავს განსაზღვროს გვანანტიკური პერიოდის სომხური ისტორიოგრაფიის დიდი წარმომადგენლის მოსე ხორენელის თხზულების „სომხეთის ისტორიის“ მეორე წიგნის 86-ე თავის წყარო.აღნიშნული თავი ეძღვნება ქართველთა გაქრისტიანების ისტორიას და ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს, რომელსაც ხორენელი ნუნეს სახელით მოიხსენიებს. თავის ბოლოში ისტორიკოსი აკეთებს დამოწმებას აგათანგელოსზე. აქედან გამომდინარე მკვლევართა ნაწილს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ამ თავისათვის ხორენელის წყარო არის აგათანგელოსი. მიუხედავად იმისა, რომ აგათანგელოსის ციკლის თხზულებათა არცერთ აქამდე ცნობილ რედაქციაში და არც მასთან ასოცირებულ რომელიმე ტექსტში წმიდა ნუნეს შესახებ მონაცემები არ გვაქვს. ივარაუდება, რომ ხორენელი იმოწმებს აგათანგელოსის ჩვენამდე მოუღწეველ რედაქციას, რომელშიც იყო წმიდა ნუნეს შესახებ ინფორმაცია.ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი იქნება არგუმენტები იმის საჩვენებლად, რომ აღნიშნული თავის ძირითადი ნაწილის წყარო არის „მოქცევაი ქართლისაის“ პროტოგრაფული რედაქცია.რაც შეეხება აგათანგელოსის დამოწმებას განსახილველი

თავის ბოლოში, ამ ფაქტის ახსნა შემდეგია: დამოწმება ეხება არა ხორენელის მთელ თხრობას წმიდა ნუნეს შესახებ, არამედ ამ თხრობის მხოლოდ ბოლო ფრაზას, კონკრეტულად კი იმ წინადადებას, სადაც ხორენელი საუბრობს წმიდა ნუნეს სამისიონერო მოღვაწეობის არეალის საზღვრებზე. ირკვევა, რომ ეს ფრაზა, მართლაც, ინსპირირებულია აგათანგელოსის თხზულებით, კერძოდ, მისი ცნობით წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არეალის საზღვრების შესახებ. საქმე ისაა, რომ აგათანგელოსის ცნობა წმიდა გრიგოლის სამოღვაწეო არეალის საზღვრების შესახებ ამავე დროს შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ინფორმაცია იმის თაობაზე თუ სად არ უღვაწია წმიდა გრიგოლს. ეს კი, თავის მხრივ, შეიძლება მივიჩნიოთ იმაზე ირიბ მინიშნებად თუ სად იღვაწა წმიდა ნუნემ. ეს ის ადგილებია, სადაც წმიდა გრიგოლი არ ყოფილა. ამ ლოგიკით, აგათანგელოსი, მართლაც, გამოდის წმიდა ნუნეს სამოღვაწეო არეალის საზღვრების შესახებ ხორენელის ინფორმაციის წყარო. სწორედ ესაა განსახილველი თავის ბოლოში აგათანგელოსის დამოწმების მიზეზი და არა ის, რომ 86-ე თავის ძირითადი ნაწილის წყარო ხორენელისათვის იყო აგათანგელოსი.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1) ავტორი/ავტორები

1. Tedo Dundua, Emil Avdaliani
2. Tedo Dundua, Emil Avdaliani
3. Tedo Dundua, Emil Avdaliani
4. Tedo Dundua, Emil Avdaliani
5. Tedo Dundua, Emil Avdaliani
6. Tedo Dundua, Emil Avdaliani
8. Tedo Dundua, Natia Phiphia
9. Tedo Dundua
10. Tedo Dundua, Natia Phiphia, Leri Tavadze
11. Tedo Dundua
12. ლერი თავაძე
13. Leri Tavadze
14. აპოლონ თაბუაშვილი
15. აპოლონ თაბუაშვილი
16. ნათია ფიფია, ქეთევან ციმინტია
17. ალექსანდრე ბოშიშვილი, ლერი თავაძე, ეკა კვირკველია, აკაკი ჩიქობავა
18. ნიკოლოზ ჯავახიშვილი
19. ნიკოლოზ ჯავახიშვილი
20. დიმიტრი შველიძე
21. მარიამ ჩხარტიშვილი
22. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. Georgia through the Asian Eyes – Mongols and Georgia
2. Euro-Asian Transit & Georgian Finances in the Middle Ages
3. Universal Styles of Clothing as Seen on Georgian Money
4. Fashion on Georgian Money
5. Non-dominant Languages for Imperial Coins: Greek and Georgian Cases
6. Western Politicians in Georgian Propaganda

7. Imitations of the Roman Coins in “Transcaucasian” States
8. Rulers on Money: Case of Georgia
9. International Scientific Conference “The Battle of Didgori – 900”
10. Georgian and European Armies in Action
11. პუბლიკაციების სია/Works
12. არმია VIII საუკუნის საქართველოში.
13. Some Details on the Biography of David Agmashenebeli
14. გეორგიევსკის ტრაქტატის წინაპირობები: რუსეთის იმპერიის სტრატეგიული ინტერესები და საქართველო XVIII საუკუნის 70-იან წლებსა და 80-იანი წლების დასაწყისში/Prerequisites for the Treaty of Georgievsk: Strategic Interests of the Russian Empire and Georgia in the 1770s and Early 80s
15. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა 1774-1782 წლებში
16. Commensality in the Age of David Aghmashenebeli and Queen Tamar
17. კვირიკე რანთა და კახთა მეფის ასულის ელენეს ეპიტაფია
18. ანწუხი და ანწუხელნი საქართველოს ისტორიაში (XIV-XVIII საუკუნეები), ISSN 1512-3154
19. გამყრელიძეთა საგვარეულოს ისტორიიდან, ISSN 1987-9970
20. საქართველოს დამფუძნებელი კრება – ნოე ჟორდანიას კონცეფციის მიხედვით
21. Modern Nation with Deep Ethnic Roots: Georgian Identity over *the longue durée*
ISSN 9771987956000
22. გიორგი ოთხმეზური 1954-2021. ხსოვნა

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Georgia Today, 31 January
2. Georgia Today, 10 February
3. Georgia Today, February 24
4. Georgia Today, March 11
5. Georgia Today, October 9
6. Georgia Today, October 15
7. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII ტომი
8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII ტომი
9. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII ტომი
10. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII ტომი
11. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII ტომი
12. საისტორიო კრებული. ტ. 8. მხედარი
13. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVII
14. რუსეთის ექსპანსია კავკასიაში და საქართველო. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობის კვლევის ფონდი. თბ. 2021.
https://www.gfsis.org/ge/publications/russian-expansion
15. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XVII
16. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII ტომი

17. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII ტომი
18. თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის ისტორიის გამყოფილების შრომათა კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 25-ე ტომი, თბილისი
19. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII ტომი
20. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII ტომი
21. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, 2021, XXIII
22. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XVII ტომი

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. http://gtarchive.georgiatoday.ge/news/23755/Georgia-through-the-Asian-Eyes-%e2%80%93-Mongols-and-Georgia
2. http://georgiatoday.ge/news/23878/Euro-Asian-Transit-and-Georgian-Finances-in-the-Middle-Ages
3. https://georgiatoday.ge/universal-styles-of-clothing-as-seen-on-georgian-money/
4. https://georgiatoday.ge/fashion-on-georgian-money/
5. https://georgiatoday.ge/non-dominant-languages-for-imperial-coins-greek-and-georgian-cases/
6. https://georgiatoday.ge/western-politicians-in-georgian-propaganda/
7. თბილისი. თსუ გამომცემლობა
8. თბილისი. თსუ გამომცემლობა
9. თბილისი. თსუ გამომცემლობა
10. თბილისი. თსუ გამომცემლობა
11. თბილისი. თსუ გამომცემლობა
12. მხედარი, თბილისი.
13. თსუ გამომცემლობა. თბილისი.
14. თბილისი. ელექტრონული ჟურნალი https://www.gfsis.org/ge/publications/russian-expansion.
15. თბილისი. თსუ გამომცემლობა
16. თბილისი. თსუ გამომცემლობა
17. თბილისი. თსუ გამომცემლობა
18. თბილისი. „„პრინტჯეო“.
19. თბილისი. თსუ გამომცემლობა
20. თბილისი. თსუ გამომცემლობა
21. თბილისი, „მერიდიანი“
22. თბილისი. თსუ გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

1. გამოცემულია ელექტრონული სახით
http://gtarchive.georgiatoday.ge/news/23755/Georgia-through-the-Asian-Eyes-%e2%80%93-Mongols-and-Georgia
2. გამოცემულია ელექტრონული სახით
http://georgiatoday.ge/news/23878/Euro-Asian-Transit-and-Georgian-Finances-in-the-Middle-Ages

3. https://georgiatoday.ge/universal-styles-of-clothing-as-seen-on-georgian-money/
4. https://georgiatoday.ge/fashion-on-georgian-money/
5. https://georgiatoday.ge/non-dominant-languages-for-imperial-coins-greek-and-georgian-cases/
6. https://georgiatoday.ge/western-politicians-in-georgian-propaganda/
7. გვ. 35-47
http://geohistory.humanities.tsu.ge/ge/procedings.html
8. გვ. 326-340
9. გვ. 341-343
10. გვ. 344-348
11. გვ. 366-423
12. გვ. 213-259
13. გვ. 349-353
14. 16 გვ.
15. გვ. 197-221
16. გვ. 354-360
17. გვ. 453-475
18. 20 გვ.
19. გვ. 123-195.
20. გვ. 222-231.
21. 15 გვ.
22. გვ. 476-479

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიის ლინკი იხილეთ
http://gtarchive.georgiatoday.ge/news/23755/Georgia-through-the-Asian-Eyes-%e2%80%93-Mongols-and-Georgia
2. სტატიის ლინკი იხილეთ
http://georgiatoday.ge/news/23878/Euro-Asian-Transit-and-Georgian-Finances-in-the-Middle-Ages
3. სტატიის ლინკი იხილეთ
https://georgiatoday.ge/universal-styles-of-clothing-as-seen-on-georgian-money/
4. სტატიის ლინკი იხილეთ
https://georgiatoday.ge/fashion-on-georgian-money/
5. სტატიის ლინკი იხილეთ
https://georgiatoday.ge/non-dominant-languages-for-imperial-coins-greek-and-georgian-cases/
6. სტატიის ლინკი იხილეთ
https://georgiatoday.ge/western-politicians-in-georgian-propaganda/
7. სტატიის ლინკი იხილეთ
http://geohistory.humanities.tsu.ge/ge/procedings.html
8. სტატიის ლინკი იხილეთ
http://geohistory.humanities.tsu.ge/ge/procedings.html
9. სტატიის ლინკი იხილეთ
http://geohistory.humanities.tsu.ge/ge/procedings.html
10. სტატიის ლინკი იხილეთ
http://geohistory.humanities.tsu.ge/ge/procedings.html
11. ლინკი იხილეთ

http://geohistory.humanities.tsu.ge/ge/procedings.html

12. ეხება საქართველოს და ქართული ქვეყნების არმიას მერვე საუკუნეში.

13. ეს არის კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენების ტექსტი, მომზადებული სტატიის სახით. სტატია ეხება დავით აღმაშენებლის ბიოგრაფიის ორ დეტალს. ავტორის აზრით, დავითის დედა ელენე იყო კახეთ-ჰერეთის მეფე გაგიკის ასული, ხოლო მათე ედესელთან მოხსენიებული თოტორმე გახლდათ მეფის ნახევარძმა, გიორგი მეორის უკანონო შვილი. იხილეთ ლინკი

http://geohistory.humanities.tsu.ge/ge/procedings.html

14. სტატია ეხება შემდეგ საკითხებს: 1775 წლიდან რუსეთის იმპერიამ ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ქართულ მხარესთან და ქართველი მეფეების ელჩების რუსეთში გადაადგილება აკრძალა; 1782 წელს კი რადიკალურად შეცვალა თავისი დამოკიდებულება, რაც (დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე) ოსმალეთთან მოსალოდნელ ომს უკავშირდებოდა – იმპერია 1768-1774 წლების ომის მსგავსად ამჯერადაც ქართველი მეფეების ომში ჩაბმის გეგმას ამუშავებდა. ტრაქტატის გაფორმება სწორედ ამ საკითხს უკავშირდებოდა.

15. სტატიში, ერთი მხრივ, ყურადღება გამახვილებულია 1774-1781 წლებში ქართლ-კახეთისა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობების განსაკუთრებულ გაუარესებაზე, მეორე მხრივ, დადგენილია ტრაქტატის დადების წინ რუსულ-ქართული მოლაპარაკებების დაწყების თარიღი. როგორც წყაროებიდან ირკვევა, აღნიშნული მოლაპარაკებები დაიწყო 1782 წლის ზაფხულში და არა იმავე წლის შემოდგომაზე, იაკობ რაინეგსის საქართველოში ჩამოსვლის დროს. მოლაპარაკებების დაწყების თარიღი ზუსტად ემთხვევა იმპერიის მხრიდან ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყების მზადებას.

16. სტატიაში განხილულია ნადიმის ფორმა ძველ საქართველოში, ასევე ნადიმის მოწყობის მიზეზები, აღინიშნულია, რომ საერთო სუფრა (ქეიფი) ზოგადად სხვადასხვა მიზეზებით ეწყობოდა, მათგან აღსანიშნავია, ქორწილები, ქელეხები, უცხოელი სტუმრის დახვედრა, ახალი წლის აღნიშვნა, რელიგიური დრესასწაულების აღნიშვნა, ასევე საველე სამუშაოების შემდეგ ნადიმი და ა.შ.

17. სტატიაში საუბარია 2017 წელს, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. კალაურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში აღმოჩენილი საფლავის წარწერის შესახებ. ეპიტაფია ეკუთვნის კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III დიდის ასულს ელენეს.

18. სტატიაში ქრონოლოგიურად არის შესწავლილი, თუ რა როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიაში ანწუხის თემმა და მისმა მკვიდრმა მოსახლეობამ - ანწუხელებმა. გამოკვლევაში დადგენილია ანწუხის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული საზღვრები და მისი ურთიერთმიმართება საქართველოსთან. ანწუხი მდებარეობს თანამედროვე დაღესტნის რესპუბლიკის თლიარატის რაიონში, რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც თლიარატაა. ამის გამო, ხუნძი (ავარიელი) ხალხის ერთ-ერთ სუბეთნოსად ცნობილ ანწუხელებს (თვითდასახელება - “анцукъал”), რომელთა რაოდენობაც 50 ათასს აღემატება, - თლიარატელებსაც უწოდებენ. ანწუხური - ხუნძური (ავარიული) ენის სამხრეთულ დიალექტს განეკუთვნება. ანწუხს, რომელიც რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში შედიოდა ღუნიბის ოლქის, ხოლო 1920 წლიდან - რუსეთის სფსრ-ის შემადგენლობაში, 1921-1926 წლებში ანწუხ-კაპუჭის რაიონი ერქვა. თლიარატის რაიონის რამდენიმე სოფელი მოგვიანებით გადასცეს მისსავე მეზობელ წუნტის რაიონს და მასში შემავალ ბეჟტის ადმინისტრაციულ ერთეულს. ანწუხელნი ძირითადად თლიარატისა და წუნტის რაიონებში ცხოვრობენ. XX საუკუნის შუა ხანებში მათი ნაწილი დაღესტნის სხვა დასახლებულ პუნქტებში გადასახლდა. დაღესტნის ეს რაიონები ჩრდილოეთიდა ესაზღვრება კახეთის რეგიონის შემადგენლობაში შემავალ ახმეტის (რომელიც მოიცავს თუშეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს), თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებს. ხუნძები, რომლებიც ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში სსრ კავშირის დაშლამდე კომპაქტურად ცხოვრობდნენ, ხოლო მათი მცირე ნაწილი იქ დღემდე შემორჩა, სწორედ ანწუხისა და კაპუჭის თავისუფალ მეთემეთა შთამომავლები არიან. ხუნძთა თვითდასახელებაა „მაარულალ“ ანუ „მთიელი“, ხოლო ამ ერის ერთერთი სუბეთნიკური ჯგუფი - ანწუხელნი საკუთარ თავს მოიხსენიებენ თვითსახელწოდებით „მარახშალ“,

რაც ლაზათიანს, შნოიანს ნიშნავს. მშობლიურ ანწუხურთან ერთად, ანწუხელებმა ხუნძურიც სრულყოფილად იციან. ეს ენა მათ აერთიანებს მათივე მონათესავე ხუნძ ხალხთან, რომლის რაოდენობაც მილიონს აღემატება.

19. სტატია გამყრელიძეთა საგვარეულოს წარსულისა და მის გამოჩენილ წარმომადგენელთა მოღვაწეობის ისტორიის ერთ მთლიანობაში შესწავლის პირველი ცდაა. ნაშრომი იყოფა ათ ნაწილად: 1) გამყრელიძეთა წარმომავლობა და განსახლების თავდაპირველი არეალი - რაჭა; 2) გამყრელიძეთა იმერეთის განშტოებანი; 3) გამყრელიძეთა ქვემო ქართლის განშტოება - შანშიაშვილნი; 4) გამყრელიძეთა შიდა ქართლის განშტოება; 5) გამყრელიძეთა კახეთის განშტოებანი; 6) გამყრელიძეთა სამეგრელოს განშტოებანი; 7) აზნაურ გამყრელიძეთა ოჯახები XIX საუკუნის შუა ხანებში; 8) ქართულ ლიტერატურაში ასახული გამყრელიძე-შანშიაშვილნი (XIX საუკუნე); 9) გამყრელიძეთა საგვარეულოს გამოჩენილი წარმომადგენლები (XIX საუკუნის მიწურულიდან); 10) გამყრელიძეთა თანამედროვე რაოდენობა და განსახლების არეალი.

20. 1918 წლის შემოდგომაზე საქართველოს ხელისუფლება ემზადებოდა დამფუძნებელი კრების არჩევნებისა და მოწვევისათვის. პოლიტიკურ ელიტაში მიმდინარეობდა მსჯელობა, კრების სტრუქტურის, დანიშნულებისა და სხვა კომპონენტების შესახებ. მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ 1918 წლის აგვისტოს ბოლოს და 1919 წლის დასაწყისში ორი მოხსენება გააკეთა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს წინაშე. ამ მოხსენებებში მან ჩამოაყალიბა კონცეფცია დამფუძნებელი კრების ფუნქციონირებისა და დანიშნულების შესახებ. სტატიაში დეტალურადაა განხილული ჟორდანიას მოხსენებები. დავასკვნით, რომ მისი კონცეფცია საფუძვლად დაედო საქართველოს დამფუძნებელი კრების მუშაობას.

21. სტატიაში ძირითად ხაზებში და კომპაქტურად წარმოდგენილია ქართული იდენტობის ისტორია. . ქრონოლოგიური ჩარჩოები არის ძალიან ფართო. იგი ეფუძნება ავტორის ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებს და მათ ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს. სტატია ინგლისურ ენაზე, რადგან ის არის საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების გაფართოებულ ვარიანტს. კვლევა იწყება მისი ნაციონალური ეტაპით , გრძელდება წინა-მოდერნული ეპოქით მიყვანილია საწყის სტადიამდე. ვინაიდან ეს გამოკვლევა მოხსენდა საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც ჩატარდა სომხეთის მატენადარანის ორგანიზებით, ავტორი შესადარებლად წარმოადგენს მასალას სომხური ეროვნული იდენტობის ისტორიიდან. ამ თვალსაზრისით ნაშრომის სრულიად ახალია, რადგან ამგვარი სედარება მანამდე არასოდეს გაკეთებულა. ავტორს ერის ფენომენი ესმის კონსტრუქციონისტულად. ასე ხედავს ის როგორც ქარტული, ისე სომხურ იდენტობას.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. Tedo Dundua, Giorgi Dundua

2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. Catalogue of Georgian Numismatics. Second edition

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Athens. Demetrius Siatras

2.

4) გვერდების რაოდენობა

1. 400
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. აღნიშნულ წიგნი „ქართული ნუმიზმატიკის კატალოგის“ ოთხტომეულის ინგლისური ვერსიის მეორე გამოცემაა. კატალოგში მიმოხილულია შემდეგი სამონეტო ჯგუფები: კოლხური თეთრი; ალექსანდრეს და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ქართული მინაბაძები; ბაგადატ ბიურატის ძის მონეტები; ე.წ. სავლაკის მონეტები; დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები; ვანში (?) მოჭრილი სპილენძის ანონიმური მონეტები; არისტარქე კოლხის დრაქმა; ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები; რომაული ფულის იბერული მინაბაძები; ქართულ-სასანური დრაქმები; თბილისში მოჭრილი არაბული დირჰემები და მათი იმიტაციები; ქართულ-ბიზანტიური მონეტები, ქართული საკრედიტო ფული (XII საუკუნე-XIII საუკუნის 20-იანი წლები), ქართველ მეფეთა მონეტები XIII-XIV საუკუნეებში, მონღოლური საოკუპაციო მონეტები, XIII-XV საუკუნეების დასავლურქართული ფული, XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა მონეტები, სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა XVII საუკუნის-XIX საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში.
იხ. აღნიშნული გამოცემის ონლაინ ვერსიის ახალი ლინკები:
http://geonumismatics.tsu.ge/public/home/en
http://geonumismatics.tsu.ge/public/home/ge

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.
2.

4) გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები

1) ავტორები

1. ნათია ფიფია
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. Proceedings of the International Conference – People in Motion in the Ancient Greek World
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. მადრიდი, ესპანეთი
2.

4) გვერდების რაოდენობა
1. 8 გვ.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განხილულია ბერძნების კოლხეთის ტერიტორიაზე განსახლების თანმიმდევრობა, ასევე ადგილობრივებთან მათი ურთიერთობის მოდელები, აღნიშნულია, რომ ერთის მხრივ, არსებობდა ჰინტერლანდსა და ზღვისპირეთს შორის ურთიერთობა, მეორეს მხრივს, აქ მცხოვრები ბერძნები მიგრირებდნენ ხშირად და დადიოდნენ საბერძნეთსა და კოლხეთს შორის, ხოლო ადგილობრივები ბერძნებთან ვაჭრობის მიზნით ხშირად მიგრირებდნენ შრომითი მიზნებით.
2.

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები
1. Tedo Dundua, Emil Avdaliani
2. Tedo Dundua, Emil Avdaliani
3. Tedo Dundua, Emil Avdaliani
4. Tedo Dundua, Emil Avdaliani
5. Tedo Dundua, Emil Avdaliani
6. Tedo Dundua, Emil Avdaliani
7. Tedo Dundua, Emil Avdaliani
8. Tedo Dundua, Emil Avdaliani
9. Natia Phiphia
10. მარიამ ჩხარტიშვილი
11. მარიამ ჩხარტიშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. European Mints for Georgian Money – Analysis
2. European Mints for Georgian Money – Analysis
3. Georgia through Asian Eyes: Mongols and Georgia –Analysis
4. Universal Styles of Clothing as Seen on Georgian Money
5. Universal Styles of Clothing as Seen on Georgian Money
6. Silk, Spices and Oil – “Transcaucasian” Trade Route and Georgia
7. Non-dominant Languages for Imperial Coins: Greek and Georgian Cases
8. Western Politicians in Georgian Propaganda
9. Identifying King Amazasp of Iberia, Queen Dracontis and a Royal Official Anagranes Mentioned in Three Greek Inscriptions Found in Mtskheta
10. Narrative Sources on the Creation of Georgian Alphabet
ISSN 1230-1604
11. Symbolic Geography of the Georgian Identity Narrative:

Conceptualising Europe / the West
ISSN 978-88-6719-183-3

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Eurasia Review, January 23
2. One News Page, January 23
3. Eurasia Review, February 1
4. Eurasia Review, March 4
5. One News Page, March 4
6. Academia Letters, May
7. Eurasia Review, October 10
8. Eurasia Review, October 18
9. Proceedings in Archaeology and History of Ancient and Medieval Black Sea Region
10. PRO GEORGIA.JOURNAL OF KARTVELOLOGICAL STUDIES. # 31
11. Dipartimento Asia, Africa e Mediterraneo
Università degli Studi di Napoli "L'Orientale". Heteroeuropeanisations:
(In)capacity to Stay Marginal edited by Yordan Lyutskanov, Benedikts Kalnačs and Gaga Shurgaia
Series Minor XCII — 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. https://www.eurasiareview.com/23012021-european-mints-for-georgian-money-analysis/
2. https://www.onenewspage.com/n/World/1zmzz1mdqt/European-Mints-For-Georgian-Money-Analysis.htm
3. https://www.eurasiareview.com/01022021-georgia-through-asian-eyes-mongols-and-georgia-analysis/
4. https://www.eurasiareview.com/04032021-universal-styles-of-clothing-as-seen-on-georgian-money/
5. https://www.onenewspage.com/n/World/1zn0w4za6n/Universal-Styles-Of-Clothing-As-Seen-On-Georgian.htm
6. https://www.academia.edu/49057476/Silk_Spices_and_Oil_Transcaucasian_Trade_Route_and_Georgia
7. https://www.eurasiareview.com/10102021-non-dominant-languages-for-imperial-coins-greek-and-georgian-cases/
8. https://www.eurasiareview.com/18102021-western-politicians-in-georgian-propaganda-oped/
9. Nizhnevartovsk, Online
10. Warshaw
11. Napoli

5) გვერდების რაოდენობა
1. https://www.eurasiareview.com/23012021-european-mints-for-georgian-money-analysis/
2. https://www.onenewspage.com/n/World/1zmzz1mdqt/European-Mints-For-Georgian-Money-Analysis.htm
3. https://www.eurasiareview.com/01022021-georgia-through-asian-eyes-mongols-and-georgia-analysis/
4. https://www.eurasiareview.com/04032021-universal-styles-of-clothing-as-seen-on-georgian-money/
5. https://www.onenewspage.com/n/World/1zn0w4za6n/Universal-Styles-Of-Clothing-As-Seen-On-Georgian.htm
6. https://www.academia.edu/49057476/Silk_Spices_and_Oil_Transcaucasian_Trade_Route_and_Georgia
7. https://www.eurasiareview.com/10102021-non-dominant-languages-for-imperial-coins-greek-and-georgian-cases/
8. https://www.eurasiareview.com/18102021-western-politicians-in-georgian-propaganda-oped/

9. 7 გვ.
10. გვ. 101 -113.
11. გვ. 389 -428.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიის ლინკი იხილეთ
https://www.eurasiareview.com/23012021-european-mints-for-georgian-money-analysis/
2. სტატიის ლინკი იხილეთ
https://www.onenewspage.com/n/World/1zmzz1mdqt/European-Mints-For-Georgian-Money-Analysis.htm
3. სტატიის ლინკი იხილეთ
https://www.eurasiareview.com/01022021-georgia-through-asian-eyes-mongols-and-georgia-analysis/
4. სტატიის ლინკი იხილეთ
https://www.eurasiareview.com/04032021-universal-styles-of-clothing-as-seen-on-georgian-money/
5. სტატიის ლინკი იხილეთ
https://www.onenewspage.com/n/World/1zn0w4za6n/Universal-Styles-Of-Clothing-As-Seen-On-Georgian.htm
6. სტატიის ლინკი იხილეთ
https://www.academia.edu/49057476/Silk_Spices_and_Oil_Transcaucasian_Trade_Route_and_Georgia
7. სტატიის ლინკი იხილეთ
https://www.eurasiareview.com/10102021-non-dominant-languages-for-imperial-coins-greek-and-georgian-cases/
8. სტატიის ლინკი იხილეთ
https://www.eurasiareview.com/18102021-western-politicians-in-georgian-propaganda-oped/

9. მცხეთაში აღმოჩენილი სამი ბერძნული წარწერა საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ძველი იბერიის სამეფო კარის შესახებ, თუმცა, თითოეული ადამიანის იდენტიფიცირება, რომელიც წარწერებშია მოხსენიებული, განსაკუთრებით მეფისა, საკმაოდ პრობლემურია. მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული შესაძლებლობები ამ პრობლემის გადასაჭრელად. იბერიის მეფე სამივე წარწერაშია მოხსენიებული, ერთ მათგანში სრულადაა მისი სახელი წარმოდგენილი, მეორეში - ნაწილობრივ, ხოლო მესამეში მეფის სახელი დაკარგულია, თუმცა ერთმა მონაკვეთმა მაინც შეიძლება მოგვცეს გარკვეული მინიშნებები მის ვინაობაზე ან თუნდაც იმის შესახებ, რომ იბერიის კარზე შეინიშნებოდა რომაული მისწრაფებები. დედოფალი დრაკონტისი ცნობილია მხოლოდ ერთი წარწერით. რაც შეეხება სამეფო მოხელეს - მთავარსარდალს და იბერიის მეფის ერთადერთ მინისტრს, ანაგრანესს, რომელიც თავად იყო ყველა მშენებლობის დამფინანსებელი, ის სამივე წარწერაშია მოხსენიებული. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ამ წარწერებში მოხსენიებულ მეფე ამაზასპის იდენტიფიკაციის პრობლემაზე და მთავარ თემასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1. ავტორთა ჯგუფი (ირმა რატიანი - ხელმძღვანელი
გაგა ლომიძე - მონაწილე, რედაქტორი
სოლომონ ტაბუცაძე - რედაქტორი)

2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ლიტერატურული ჟანრები (იბეჭდება)
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. GECLA Press, თბილისი
2.

4) გვერდების რაოდენობა
1. 158 გვერდი
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. მომზადდა პირველი გამოცემა, რომლის შევსებული გამოცემის მომზადებაც დაგეგმილია მომავალ წელს. მიმდინარე გამოცემა აერთიანებს შემდეგ საკითხებს: ეპოსი და დიდი ეპიკური ჟანრები: ანტიკური ეპოსი, ანტიკური რომანი, პიკარესკული რომანი, სარაინდო რომანი, ბაროკოს რომანი, სენტიმენტალური რომანი, ანტიუტოპიური რომანი, რეალისტური რომანი, კლასიკური და პოსტმოდერნისტული რომანი, საოჯახო რომანი, ავტობიოგრაფიული რომანი. საშუალო და მცირე ეპიკური ჟანრები: ნოველა, აგიოგრაფიული პროზა, ესეი, მინიატურა, ესკიზი, ლიტერატურული ზღაპარი, ფენტეზი, სამეცნიერო ფანტასტიკა. დრამა და დრამატული ჟანრები: ტრაგედია, კომედია, აბსურდის დრამა. ლირიკა და ლირიკული ჟანრები: მცირე ლირიკული ჟანრები, ეპიკური ჟანრები, პოემა, ბალადა, ლექსი პროზად, კონკრეტული პოეზია, ფიგურული ლექსი, გაბაასება, ვერლიბრი. აღნიშნული გამოცემა უკიდურესად დროული იქნება უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებისა და სტუდენტებისთვის და სახელმძღანელოს ფუნქციას შეასრულებს.
გაგა ლომიძის ნაშრომი „რეალისტური რომანი“ ეძღვნება რეალისტური რომანის თავისებურებებს, მის წარმოშობას და სახესხვაობებს.

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. ირმა რატიანი
2. ირმა რტიანი, მაკა ელბაქიძე

3. მიშელ ფუკო/ მთარგმნელი გაგა ლომიძე
4. გაგა ლომიძე
5. სოლომონ ტაბუცაძე
6. ანა ლეთოდიანი
7. ანა ლეთოდიანი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Teaching Comparative Literature in Soviet and Post-soviet Georgian Universities/ Comparative Literature Around the World: Global and Local. Ed. By Eugene Eoyang, Gang Zhou and Jonathan Hart. ISBN - 9782745354693, EAN 13 – 9782745354693.
2. *Rustaveli's Worldview and Christian Theology*.
3. ცინიკოსები და მათი ხერხები, **ISSN:** 1512-2514
4. გალაკტიონის რუსთაველი (იბეჭდება)isbn 978-9941-0-1052-1
5. ფოლკლორული და ლიტერატურული ზღაპრის ურთიერთმიმართებისათვის. ISSN 1512-2514
6. თამარ მეფის სახე და ლომის სიმბოლო – ინტერპრეტაცია; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტში ჩატარებული VI სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა" მასალები (გადაცემულია დასაბეჭდად);
7. სიმბოლო-პოლიტიკური პროცესების გააზრების მნიშვნელოვანი ასპექტი ("ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") ; დაიბეჭდება სამეცნიერო ჟურნალ "სემიოტიკის" XXI ნომერში (გადაცემულია დასაბეჭდად);
8.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Comparative Literature Around the World: Global and Local
2. Proceedings of International Symposium.

3. სჯანი, #22

4. გალაკტიონოლოგია, IX

5. ჟ. სჯანი #22, 2021

6.VI სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა"
7. სამეცნიერო ჟურნალ "სემიოტიკის" XXI ნომერში

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Paris. Honore Champion. 2021.
2. University of Primorska, Koper, Slovenia.

3. თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა

4. თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა

5. თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა

6. ქ. თბილისი
7. ქ. თბილისი

5) გვერდების რაოდენობა
1. 14
2. ბეჭდვაშია.
3. 161-172
4. იბეჭდება
5. 5
6.-
7.-

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატია ეთმობა შედარებითი ლიტერატურის სწავლების პოლიტიკას და პრქტიკას მე-20 და 21-ე საუკუნეების საქართველოში.
2. სტატია ეთმობა შოთა რუსთაველის ტექსტის თეოლოგიურ ასპექტებს.
3. სტატია არის 1983 წელს წაკითხული ლექცია, რომელიც მიშელ ფუკომ ცინიკოს ფილოსოფოსებს ძველ საბერძნეთში, კერძოდ, დიოგენეს რიტორიკულ ხერხებს მიუძღვნა.
4. სტატიაში განხილულია რუსთაველის და მისი „ვეფხისტყაოსნის“ გალაკტიონისეული რეცეფცია მის სხვადასხვა ლექსში და ამ თვალსაზრისით გამოყოფილია ტენდენციები.
5. თანამედროვე ეპოქაში ზღაპარი წმინდა სახით ანუ ტრადიციული საზღაპრო ტიპური თხრობის ფორმით იშვიათად გვხვდება, რადგან ლიტერატურული ზღაპარი სესხულობს სხვა ჟანრების _ რომანის, დრამისა და პოეზიის გამოცდილებას და ამით იმდიდრებს თავის იდეურ და პოეტიკურ არსენალს. აქ ვხვდებით სათავგადასავლო და დეტექტიური ჟანრის თხზულებებს, სამეცნიერო ფანტასტიკისა და პაროდიული ლიტერატურის ელემენტებს, რამაც ეს ჟანრი მრავალფენოვან და მრავალდონიან მხატვრულ მოვლენად აქცია.

   თანამედროვე ლიტერატურული ზღაპარი როგორც ჟანრი წარმოადგენს საზღაპრო თხრობის სტილების, ტიპების და ფანტასტიკური ლიტერატურის ნაზავს, რაც თხზულების რთულ სემანტიკურ ვარიანტს ბადებს და ეს კი ავტორის იდეების სხვადასხვა დონეზე ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

6. თამარ მეფის სახე და ლომის სიმბოლო – ინტერპრეტაცია

   ცხოველთა სამყარო მდიდარი წყაროა სიმბოლოებისა და იკონოგრაფიისათვის. ერთ-ერთი საინტერესო და გავრცელებული სახეა ლომი. სხვადასხვა შემთხვევაში, ის განსხვავებული ტროპის სახით გვხვდება.
   მოხსენება შეეხება ლომის სახის თამარ მეფესთან მიმართებასა და ამ ურთიერთკავშირის ინტერპრეტაციას.

თამარ მეფის ლომთან შედარების რამდენიმე მაგალითს ვხვდებით, იოანე შავთელის „აბდულმესიანში“, ასევე მემატიანეებთან.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წარჩინებულთა წინაშე ლაშა-გიორგის მიერ წარმოთქმული სიტყვები,- „ნათქვამი არის ძუელთა, ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია. და ეს სიტყვა მეფეთ მეფეს დედას ჩემს თამარზედაც ითქმის. აწ მე მოგავსენებ დასა ჩემსა რუსუდანს“.ფრაზა, რომელსაც მემატიანის გადმოცემით, ლაშა-გიორგი წარმოთქვამს, „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ტაეპის რემინისცენციაა. რუსთველის მოხმობილ სტრიქონს სხვადასხვა მკველევარი განსხვავებულად გაიაზრებს. ერთნი მიიჩნევენ, რომ აქ სამეფი ოჯახის წარმომადგენელთა შორის თანასწორობა იგულისხმება, სხვათა შეხედულებით კი, გენდერული თანასწორობის იდეა.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტსა თუ ტექსტის ცალკეულ პასაჟებთან ანალოგიის გათვალისწინებით თამარის მმართველობის პერიოდზე მსჯელობისას, ან თუნდაც, ლომისა და თამარის სახეთა ურთიერთმიმართების გააზრებისას, საყურადღებოა არაერთი ფაქტორი. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია თამარის გამეფებასთან დაკავშირებული პერიპეტიები.

თამარის, მეფე-ქალის პოზიციის განმტკიცებას, მისი ტახტზე ასვლის კანონიერი უფლების, მიზანშეწონილობისა თუ სამართლიანობის ხაზგასმას ისტორიული ჟანრისათვის, თითქოს, არცთუ ჩვეული, სიმბოლოთა ენის საშუალებით ცდილობს „ისტორიანი და აზმანი შარავადედთანის“ ავტორი. ერთია, ისტორიული ფაქტების პირდაპირი აღწერა და სხვაა სიბოლოთა გამოყენებით იმ მოვლენათა შინა-არსზე მინიშნება, რომელიც, ერთი შეხედვით არ ჩანს.

ლომი – ბიბლიური მამამთავრის, იაკობის მეოთხე ძის, იუდას ემბლემაა, მეფობის სიმბოლოა. იესო ქრისტე იწოდება “იუდას ტომის ლომად” * (გამოცხ. 5. 6). ბიბლიური გადმოცემით, იუდას ტომიდან წარმოდგნენ მეფეები, მთავრები. იუდას ტომიდან იყო ისრაელის მეფე დავითი, რომლის შტოსგან იყო ღვთისმშობელი და ხორციელად იშვა იესო ქრისტე. ქართული ისტორიული წყაროების თანახმად, ბიბლიური დავითის შთამომავლებად იწოდებიან ბაგრატიონები**, მათ შორის, რა თქმა უნდა, თამარიც, მისი გვირგვინის შემამკობელ ძვირფას ქვათაგან ერთ-ერთი, იაკინთი, ეპიფანე კვიპრელის ეგზეგეტიკური ხასიათის ნაშრომის „თვალთაის“ მიხედვით, სწორედ იუდას შესაბამისი პატიოსანი თვალია.

ლაშა-გიორგის მიერ წარმოთქმული სიტყვებსა და რუსთველის ფრაზას შორის კავშირის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, აქ ლომის ძუ და ხვადი ლეკვების თანასწორობაში, უფრო სამეფო ოჯახის წარმომადგენელთა შორის თანაბარუფლებიანობა უნდა იგულისხმებოდეს და არა გენდერული თანასწორობა.

7. სიმბოლო-პოლიტიკური პროცესების გააზრების მნიშვნელოვანი ასპექტი ("ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი")

ისტორიული წარსულის აღქმა გამოცდილებით შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა მისი გაშიფვრა და რეკონსტრუქცია (უსპენსკი), ასეთ დროს ნიშნები, კოდები, სიმბოლოები გვეხმარება ისტორიული ქრონიკების დაფარული, გაურკვეველი ადგილების რეკონსტრუირებაში. მოვლენათა სიმბოლიზაციის თვალსაზრისით გამორჩეულია შუა საუკუნეები. ამ პერიოდში პოლიტიკური სფეროც საკრალურად იქცა.ამ პერიოდში სამეფო ძალაუფლების გამომხატველ რეგალიათაგან (გვირგვინი, ტახტი, სკიპტრა...), სიმბოლური თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გვირგვინს, რადგან მასში ფოკუსირდა შუა საუკუნეების სრული პოლიტიკური პეიზაჟი (ლე გოფი) ამ კონტექსტში გავიაზრებთ თამარ

მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულების ერთ პასაჟს, კერძოდ, თამარის გვირგვინის შემამკობელ ძვირფას ქვათა (იაკინთი (რუბინი), ზურმუხტი) სიმბოლიკას.

მე-12 საუკუნეში არც ერთ ქვეყანას ქალი არ მართავდა და თამარის გამეფებასაც ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ მოჰყოლია. ვფიქრობთ, ისტორიკოსი ძვირფას ქვათა სიმბოლიკის საშუალებით მიგვანიშნებს თამარის, მართალია, ქალის, მაგრამ, რაც მთავარია, ბაგრატიონი მეფის ღვთაებრივ ჩამომავლობასა და შესაბამისად, მეფობის უფლებაზე. თამარ მეფის გვირგვინის შემამკობელი ძვირფასი თვლების სიმბოლიკა (იაკინთი სამართლიანობას, ზმირი სიბრძნეს გამოხატავს) მიანიშნებს მეფობის ბიბლიურ იდეალზე ანუ სამართლიან და ბრძენ მმართველზე. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს „ისტორიანი და აზმანის“ ავტორს სიმბოლური ენისთვისაც მიუმართავს მეფე-ქალის ავტორიტეტის განსამტკიცებლად. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი სხვა ქართველ მემატიანეთაგან გასხვავებით, შედარებით ვრცლად აღგვიწერს თამარ მეფის, იმ, გვირგვინს, რომელიც კორონაციის (მეფედ პირველად კურთხევის) დროს თავად მამამ, გიორგი III-ემ დაადგა მას თავზე.

ვფიქრობთ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ საანალიზოდ მოხმობილი პასაჟი კიდევ ერთი დასტურებაა იმისა, რომ პოლიტიკური პროცესების გააზრება-შეფესაბისათვის, სიმბოლო, მართლაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ირმა რატიანი
2. სოლომონ ტაბუცაძე
3.ანა ლეთოდიანი
4.ანა ლეთოდიანი

2) მოხსენების სათაური
1. *გაკვეთილები პანდემიის ეპოქიდან* / საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და თემატური გამოცდილება“.
2. მოდგმის გადარჩენის სახელით (დავით კლდიაშვილის მოთხრობა „მიქელა“)

3. თამარ მეფის სახე და ლომის სიმბოლო – ინტერპრეტაცია
4. სიმბოლო-პოლიტიკური პროცესების გააზრების მნიშვნელოვანი ასპექტი ("ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი")

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 2021. თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, საქართველო.
2. თბილისი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი 2021 წ. 22-24 სექტემბერი

3. ქ. თბილისი; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, დისტანციურ ფორმატში; 2021 წ-ის 23 ოქტომბერი;
4. ქ. თბილისი; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, დისტანციურ ფორმატში; 2021 წ-ის 11, 12 დეკემბერი;

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1.

2.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Irma Ratiani
2. Irma Ratiani/ Maka Elbakidze
3. Irma Ratiani
4.Gaga Lomidze

2) მოხსენების სათაური

1. *The Place of Small Literatures* in the World Literary Scope
2. *Rustaveli's Worldview and Christian Theology*
3. *Nizami Studies in Soviet and Post-soviet period Georgian Criticism*.
4. Nizami Ganjavi and the 12 th-18 th Century Georgian Literature

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. London Center for Interdisciplinary Research. 2021
2. International Symposium, University of Primorska, Koper, Slovenia. 2021
3. Nizami Ganjavi International Forum. Baku, Azerbaijan, 2021
4. ბაქო, აზერბაიჯანი, NIZAMI GANJAVI INTERNATIONAL FORUM, "Nizami Ganjavi: Bridge between cultures", 24-26 ნოემბერი, 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1.-
2.-
3.-
4.მოხსენებაში განხილულია ნიზამი განჯელის შემოქმედების რეცეფცია მე-12-მე-18 საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში, „თამარიანიდან" ნოდარ ციციშვილის შემოქმედებამდე. განხილულია ის თავისებურებები, რომლებიც ახასიათებდა ნიზამის შემოქმედების ინტერპრეტაციას ქართულ

ლიტერატურაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსთაველის და დავით გურამიშვილის შემოქმედებაში ნიზამის პოემების რეცეფციას, მათ შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.**

თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პუბლიკაციების სია:

(2021 წელი)

1. რატიანი ირმა, *რუსთაველის სამი რეალობა.* ჟურნალი სჯანი #22ISSN: 1512-2514 e-ISSN: 2346-772X. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 54-79

2. რატიანი ირმა, სიცოცხლის გაკვეთილები პანდემიის ეპოქიდან. ჯოვანი ბოკაჩო, დეკამერონი. საერთაშორისო სიმოზიუმის - „ლიტერატურა და პანდემია. თემატური და ისტორიული გამოცდილება“ - მასალები http://conference.litinstituti.ge/ka/

3. რატიანი ირმა, *მოქალაქე დავით მაღრაძის პოეზიაში.* პოემა ბარაქიან მიწაზე. სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, გამომცემლობა ჩვენი მწერლობა. გვ. 15-24.

4. რატიანი ირმა. *Teaching Comparative Literature in Soviet and Post-soviet Georgian Universities*. In: Comparative Literature Around the World: Global and Local. Ed. By Eugene Eoyang, Gang Zhou and Jonathan Hart.
   ISBN - 9782745354693, EAN 13 – 9782745354693. Paris. Honore Champion. pp. 105-119.

5. რატიანი ირმა, ელბაქიძე მაკა. *Rustaveli's Worldview and Christian Theology*. Proceedings of International Symposium. University of Primorska, Koper, Slovenia. (იბეჭდება).

6. ლომიძე გაგა. *გალაკტიონის რუსთაველი.* გალაკტიონოლოგია, IX (იბეჭდება)
7. ტაბუცაძე სოლომონ. *ფოლკლორული და ლიტერატურული ზღაპრის ურთიერთმიმართებისათვის.* ჟურნალი სჯანი #22. ISSN: 1512-2514 e-ISSN: 2346-772X. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. ლეთოდიანი, ანა. *თამარ მეფის სახე და ლომის სიმბოლო – ინტერპრეტაცია.* ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტში ჩატარებული VI სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ მასალები (გადაცემულია დასაბეჭდად);
9. ლეთოდიანი, ანა. *სიმბოლო-პოლიტიკური პროცესების გააზრების მნიშვნელოვანი ასპექტი ("ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი")* . სამეცნიერო ჟურნალი სემიოტიკა. XXI. თბილისი, 2021. გვ. 172-182; file:///C:/Users/User/Downloads/SEMIOTICS%20XXI%20_%202021%20(1).pdf
10. ლეთოდიანი ანა. *„ცხორებაი და წამებაი კოსტანტისი ქართველისაი, რომელი იწამა გაბილოისა მეფის, ჯაფარის მიერ". რამდენიმე ასპექტის გააზრებისათვის.* კრებული: ქართული ჰაგიოგრაფია. (ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი). თბილისი, 2021;
11. ლომიძე გაგა. მიშელ ფუკო. ცინიკოსები და მათი ხერხები.(სამეცნიერო თარგმანი) სჯანი #20 (II), თბილისი, 2021, GCLA პრესი, გვ. 161-172
12. ლომიძე გაგა. ჰომოეროტიკა ქართულ ლიტერატურაში. ინდიგო,(სამეცნიერო თარგმანი) #48, თბილისი, 2021, გამომცემლობა „ინდიგო“, გვ. 32-39
13. ტაბუცაძე სოლომონ. ლიტერატურისმცოდნეობითი კომპილაციები (ლიტერატურათმცოდნეობითი სტატიების კრებული გამოცემულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ეგიდით. რედაქტორი: ირმა რატიანი) თბ., გამომცემლობა 'უნივეერსალი', 2021 წ. 199 გვ. ISBN 978-9941-33-056-8

14. ტაბუცაძე სოლომონ. მოდგმის გადარჩენის სახელით (დავით კლდიაშვილის მოთხრობა „მიქელა“). ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. XV საერთაშორისო სიმპოზიუმი – ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და ტემატური გამოცდილება (მასალები. 236-241 გვ.) (ელვერსია, PDF). ISSN 1987-5363 თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2021, (გადაცემულია დასაბეჭდად)

თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

† აკად. თამაზ გამყრელიძე (ხელმძღვანელი),
ასოც. პროფესორები: რუსუდან ასათიანი, თინათინ ბოლქვაძე, მარინე ივანიშვილი, ივანე ლეჟავა, ეთერ სოსელია

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები
2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.
2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.
3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.
2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. საერთაშორისო გრანტი, დაფინანსებული DFG (Deutsche Forschungsgemeinschaf) ფონდის მიერ: **Focus sensitivity in formal grammar: a cross-linguistic approach.**
ენათმეცნიერება, საინფორმაციო სტრუქტურები

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2021-2024

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. Rusudan Asatiani - International cooperation partner: ‘advisor on Georgian’

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი დაფინანსდა ნოემბერში და, ბუნებრივია, საწყის ეტაპზეა. მიმდინარეობს თეორიული საფუძვლების შემუშავება, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, კონკრეტული ენობრივი მასალის მოგროვების სტრატეგიის განსაზღვრა და საკვლევი ენობრივი მასალის მომცველი ეფექტიანი გაზის სტრუქტურის ფორმირება.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.
2.
2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.
3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
4. პატენტები
4.1. საერთაშორისო პატენტები:
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.
2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.
3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.
4.2. ეროვნული პატენტები
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.
2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.
3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.
2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.
2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.
4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.
2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.
4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.
2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

5) გვერდების რაოდენობა
1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. რ. ასათიანი
2. რ. ასათიანი
3. რ. ასათიანი
4. თ. ბოლქვაძე
5. მ. ივანიშვილი
6. მ. ივანიშვილი
7. მ. ივანიშვილი, †თ. გამყრელიძე
8. მ. ივანიშვილი
9. ე. სოსელია
10. ე. სოსელია

2) სტატიის სათაური, ISSN
1. ფუნქციური სიტყვების მეტყველების ნაწილებად კვალიფიკაცია ლაზურში
ISSN 1512-0473
2. The Proto-Kartvelian and Proto-Indo-European Common Typological Feature: An Active Alignment(?)
WOS: 000346263000010
ISBN 978-9941-18-362-1
3. წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა და სიტყვათა რიგი არაბულში
ISBN 978-9941-36-000-8
4. იაფეტური თეორიის აღზევება და დაცემა ნაწილი მეორე: მზადება ენობრივი დისკუსიისათვის - 1949-1950 წლები
ISSN 1512-0473
5. Lexical Exceptions in the Comparative Reconstruction of the Kartvelian Languages: Words for ‘oak’,
WOS: 000346263000010
ISBN 978-9941-18-362-1
6. ქართულ ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის განვითარების სათავეებთან: აკაკი შანიძე,
ISSN 2346-8106
7. Academicians Akaki Shanidze and Giorgi Akhvlediani - Forerunners of a New Theoretical Movement (“Structuralism”) in Linguistics
ISSN 0132-1447
8. მცენარეთა სახელების სემიტური ნასესხობები ქართულ ოთხთავში: *ზეთის ხილი.*
ISBN 978-9941-36-000-8
9. On the Specification of Basic Colour Terms in Georgian
WOS: 000346263000010
ISBN 978-9941-18-362-1
10. სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები ქართულში
ISBN 978-9941-36-000-8

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ენათმეცნიერების საკითხები - 2020 *(გრიფი 2021)*
2. G. Tsereteli Institute of Oriental Studies. 1960-2020. Selected Papers *(დაიბეჭდა 2021 წელს)*
3. აკად. კონსტანტინე წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო შრომათა კრებული *(გრიფი 2021)*
4. ენათმეცნიერების საკითხები - 2020 *(გრიფი 2021)*
5. G. Tsereteli Institute of Oriental Studies. 1960-2020. Selected Papers *(დაიბეჭდა 2021 წელს)*

6. სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება, VI-VII
7. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე - Bulletin of the Georgian National Academy of Sciences (Moambe)- *(იბეჭდება)*
8. აკად. კონსტანტინე წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო შრომათა კრებული *(გრიფი 2021)*
9. G. Tsereteli Institute of Oriental Studies. 1960-2020. Selected Papers *(დაიბეჭდა 2021 წელს)*
10. აკად. კონსტანტინე წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო შრომათა კრებული *(გრიფი 2021)*

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი: თსუ გამომცემლობა
2. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა
3. თბილისი: თსუ გამომცემლობა
4. თბილისი: თსუ გამომცემლობა
5. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა
6. თბილისი: თსუ გამომცემლობა
7. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა
8. თბილისი: თსუ გამომცემლობა
9. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა
10. თბილისი: თსუ გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა
1. 13 გვერდი
2. 13 გვერდი
3. 8 გვერდი
4. 25 გვერდი
5. 6 გვერდი
6. 10 გვერდი
7. 6 გვერდი
8. 7 გვერდი
9. 8 გვერდი
10. 8 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. *ლაზურში ზმნური სიტყვაფორმის ზოგადი მორფემული სტრუქტურაა:*
*(1)მტკიცებითი ნაწილაკი + (2) ზმნისწინები + (3) პირის ნიშნები + (4) ხმოვანპრეფიქსები + **(5) ძირი** + (6) სერიების ფუძეთა მაწარმოებლები + (7) უწყვეტლის მაწარმოებელი + (8) კავშირებითი და პირობითი კილოს მაწარმოებლები + (9)თურმეობითების მაწარმოებელი -ერე- + (10)სუბიექტური III პირის ნიშნები + (11)ობიექტის მრავლობითობის მაწარმოებელი + (12)მომავალი დროის მაწარმოებელი უღლებადი მეშველი ზმნა „უნონ“ ან მაწარმოებელი -ერე- + (13)პირობითობის -კონ + (14) თურმეობითების მაწარმოებელი დორენ/დორტუნ/დორტას + (15) კითხვითი ნაწილაკი + (16) სხვათა სიტყვის ნაწილაკი + (17) მაკავშირებელი ნაწილაკი.*
საზოგადოდ, თეორიული თვალსაზრისით, მეტყველების ნაწილების გამოსაყოფად კონკრეტულ ბუნებრივ ენაში აუცილებელია, რომელიმე სიტყვათა ჯგუფისათვის დამახასიათებელი სემანტიკურ-ფუნქციური განსხვავებულობის გარდა, ფორმალურად (მორფოლოგიურად თუ სინტაქსურად) სპეციფიკური ყალიბებისა თუ პარადიგმების არსებობა და თუ ამგვარი ფორმალური განსხვავებულობა არ დასტურდება, მაშინ მეტყველების შესაბამისი ნაწილის ამ ენის გრამატიკულ სისტემაში გამოყოფა გამართლებული არაა, მეტიც - მიუღებელია (შანიძე 1973, გამყრელიძე და სხვ. 2008). ამ კუთხით,

განსაკუთრებით პრობლემურ ჯგუფს ქმნიან ლაზურშ დამხმარე მნიშვნელობის მქონე, ე.წ. მცირე, არასრული, ფუნქციური სიტყვები (resp. კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები). ისინი ფორმაუცვლელი ერთეულებია და, ამდენად, ფორმალურად განსხვავებულ მორფოსინტაქსურ ყალიბებს ვერ ქმნიან. ასეთი ერთეულების კლასიფიცირება კონკრეტულ მეტყველების ნაწილად, თუკი ვერ ხერხდება კონკრეტული ლექსიკური ერთეულის კონკრეტულ ფუნქციასთან მეტნაკლებად ცალსახა დაკავშირება, თუნდაც ერთი კონკრეტული, ფორმალურად გამორჩეული კონტექსტის შემოფარგვლით, განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს.

*ამგვარ თეორიულ სირთულეს ქმნის ლაზურში თანდებულების, კავშირების და ნაწილაკების დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილებად გამოყოფა. ამ ერთეულების ფუნქციური ომონიმურობისა და კონკრეტული ფუნქციების ფორმალური გაუმიჯნაობის გამო, დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილებად მათი (ანუ, კავშირის, თანდებულის და ნაწილაკის) გამოყოფა გართულებულია და მკაცრ თეორიულ საფუძველს მოკლებულია. უმეტეს შემთხვევაში, ერთი და იმავე ფორმის მქონე სიტყვის ზოგადი ფუნქციის დაკონკრეტება მხოლოდ დისკურსისა თუ სპეციფიკური ლინგვისტური კონტექსტების შემოფარგვლითაა შესაძლებელი, რომელთა ფორმალური გამიჯვნა (კონკრეტული ფუნქციის ფარგლებში) ვერ ხერხდება (გარდა შემთხვევებისა, როდესაც კითხვითი, სხვათა სიტყვისა და მაკავშირებელი ნაწილაკების პოზიციები მკაცრად განსაზღვრულია). ამდენად, თეორიულად უფრო გამართლებული და გამართული ჩანს ამ ელემენტების უფრო ზოგადი (არასპეციფიზირებული) კვალიფიკაცია მეტყველების ერთ - ფორმაუცვლელ, დამხმარე, მხოლოდ გრამატიკული ფუნქციის მქონე - მეტყველების ნაწილად, რომელსაც პირობითად შესაძლებელია **ფუნქციური სიტყვები** ვუწოდოთ.*

2. *ქართველურ ენათა მონაცემების ფორმალური და სემანტიკური თუ ფუნქციონალური ანალიზისა და ინტერპრეტაციების შედეგად შეიძლება დავასკვნათ:*

- *საერთოქართველური ფუძეენის პრექართველური დონე გვიჩვენებს I/II˜III დიქოტომიის ფორმალური დაპირისპირებისა და 'პიროვნობის' კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესს (დიაქრონიული განვითარების I, II და III ეტაპები);*
- *პროტოქართველური შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს აქტიურ ენად, რაც განპირობებულია, ზმნური სემანტიკის გათვალისწინების ფონზე, 'პიროვნობის' კატეგორიის სემანტიკურ როლებად გადააზრება-გაფართოების პროცესით (დიაქრონიული განვითარების IV-V ეტაპები): -[თ.ნ.] (resp. Ad), მარკირებული მიცემითით (*-ს), უპირისპირდება არამარკირებულ დანარჩენ როლებს (Ag, +[თ.ნ.] და P, [თ.ნ.]-ის მიხედვით აპრიორულად გაუდიფერენცირებელ არგუმენტს);*
- *აქტიური კონსტრუქციების შემდგომ განვითარებას ლოგიკურად მივყავართ 'გახლეჩილი' ერგატიული კონსტრუქციების ფორმირებისაკენ: +[თ.ნ.] (resp. Ag), მარკირებული ზმნური კლასებისა და დრო-კილოების მიხედვით ან მოთხრობით, ან სახელობითით, უპირისპირდება, ერთი მხრივ, Ad-ს (-[თ.ნ.]-ს, მარკირებულს მიცემითით) და, მეორე მხრივ, არამარკირებულ P-ს (ნების მიხედვით ნეიტრალურ არგუმენტს წარმოდგენილს ან არამარკირებულ სახელობითში, ან, -[თ.ნ.]-თან კოგნიტიური სიახლოვის გამო, მარკირებულ მიცემითში). ასეთი გარდასახვით პროტოდონეზევე ჩასახული ერგატიული კონსტრუქცია დამოუკიდებლად ფორმირდება ქართველურ ენებში (დიაქრონიული განვითარების VI ეტაპი);*
- *სემანტიკაზე ორიენტირებული აქტიური წყობის მქონე პროტოსისტემა თანამედროვე ქართველურ ენებში გარდაისახება სინტაქსური ფუნქციების მარკირებაზე ორიენტირებულ სისტემად; პროცესი იწყება სუბიექტური P-ს წარმოდგენით სახელობითი ბრუნვით, ხოლო ობიექტური P-სი - მიცემითით (ან, ოპტიმალიზაციის ძალით, მოთხრობით Ag-თან ერთად კომბინაციაში - სახელობითით); და გრძელდება მოთხრობითში წარმოდგენილი Ag-არგუმენტის S-ად ინტერპრეტაციით. ამგვარი პროცესების შედეგად საბოლოოდ ფორმირდება ერგატიული კონსტრუქციები ქართველურ ენებში (დიაქრონიული განვითარების VII ეტაპი).*

3. *არაბულში სახელთა მარკირებულობა-არამარკირებულობის ცვლა ძირითადად საინფორმაციო სტრუქტურის ცვლას, საინფორმაციო ნაკადში გარკვეული ინფორმაციის დაწინაურებას, უკავშირდება. არაბული ენის ზედაპირულ სტრუქტურებში ეს პროცესი ფორმალურად ლოგიკურ დასასრულამდეა მიყვანილი: ჩვეულებრივ არამარკირებული, სახელობითში მდგარი სუბიექტი კოგნიტიურად*

გამორჩეულ (მარკირებულ) სახელად ქცევის შედეგად ფორმალურადაც მარკირებულ სახელად იქცევა – ის წარმოდგენილია ირიბ (ბრალდებით) ბრუნვაში. ეს ხდება სუბიექტის დაწინაურებისას, ან სუბიექტისა და მის მიერ ჩადენილი მოქმედების სასურველად, შესაძლებლად და ა.შ. წარმოდგენისას (ანუ, როდესაც სუბიექტი აღარაა 'ჩვეულებრივი', პროტოტიპული). ასევეა, როდესაც სუბიექტი სხვა სიტუაციასთან (resp. შემადგენელ წინადადებასთან) დეტერმინირებულ მიმართებას ამყარებს. რაც შეეხება კანონიკურად მარკირებულ, ბრალდებითში ან ნათესაობითში მდგარ ობიექტს, იგი დაწინაურების შედეგად ფუნქციურად მთავარ, არამარკირებულ სახელად იქცევა და, შესაბამისად, სახელობით ბრუნვაში გადმოდის. სახელთა დაწინაურება (ტოპიკალიზაცია ან ფოკუსირება) განსხვავებული ხარისხით შეიძლება მიმდინარეობდეს: დაწინაურების ხარისხის ზრდასთან ერთად იზრდება წინადადებაში მისი გამომხატველი ფორმალური მაჩვენებლების 'რაოდენობაც' და უფრო რთული მორფოსინტაქსური პროცესების შესაბამისად უფრო მეტად იცვლება (ფორმალურად) ნეიტრალურ კონსტრუქციასთან შედარებით დაწინაურებულსახელიანი კონსტრუქცია. მაგალითად, S-ის დაწინაურების გამოხატვის ორი შესაძლებლობა: (I) S-ის მხოლოდ წინ გადმოსმა; და (II) წინ გადმოსმასთან ერთად, ნაწილაკის გაჩენა და ბრუნვის შეცვლა – დაწინაურების ორ განსხვავებულ ხარისხზე შეიძლება მიგვანიშნებდეს. ობიექტის დაწინაურების განსხვავებულ ხარისხს უნდა შეესაბამებოდეს, ასევე, შესაბამისი სპეციფიკური კონსტრუქციები. ამ კონსტრუქციების მიხედვით დაწინაურების ხარისხი იზრდება და ამ პროცესის საბოლოო დასრულების, ობიექტის საფოკუსო ცენტრად ქცევის დამადასტურებელი კონსტრუქციები უნდა იყოს არაბული ენის პასიური კონსტრუქციები, რომელთა ინდოევროპულ ენათა პასივებთან შედარებით უფრო ფართო პრაგმატიკული გამოყენება და თავისებური ნიშნები (სუბიექტის სრული გაუჩინარება; პასივების არა მხოლოდ გარდამავალი, არამედ გარდაუვალი ზმნებიდანაც კანონიკური წარმოება; რეფლექსივებთან მათი თანხვედრა; ზმნის უპირო ფორმად ქცევა; სინთეზური პასივების უპირატესობა; და სხვ.) უფრო ადეკვატურად იხსნება O-ის დაწინაურების ხარისხის ზრდის დამაფიქსირებელი კონსტრუქციების იერარქიული ჯაჭვის მოხმობით:

(I) ობიექტი იცვლის მხოლოდ პოზიციას;

(II) ობიექტი იცვლის პოზიციას, ზმნასთან ჩნდება შესაბამისი ნაცვალსახელოვანი სუფიქსი (ზოგჯერ სათანადო ნაწილაკთან ერთად);

(III) ობიექტი რჩება ირიბ, ბრალდებით ბრუნვაში, ზმნა იქცევა უპირო ფორმად;

(IV) ობიექტი იცვლის პოზიციას და ბრუნვას (გადმოდის სახელობითში), ზმნასთან ჩნდება შესაბამისი ნაცვალსახელოვანი სუფიქსი (ზოგჯერ სათანადო ნაწილაკთან ერთად);

(V) ობიექტი იცვლის ბრუნვას (გადმოდის სახელობითში) და იქცევა ქვემდებარედ, იცვლება ზმნის მორფოლოგიური სახეც: აქტიურ ზმნათათვის დამახასიათებელი გახმოვანების ნაცვლად, გვაქვს ზმნის ე.წ. პასიური კონსტრუქციისათვის დამახასიათებელი გახმოვანება.

დაბოლოს, სუბიექტის ან ობიექტის დაწინაურებისას სახელთა ფუნქციური საპირისპირება ბრუნვათა მიხედვით ფაქტიურად მოხსნილია და შედეგად ბრუნვათა მიხედვით არადიფერენცირებული სტრუქტურები წარმოიქმნება: S-ის დაწინაურებისას, S და O, ორივე, წარმოდგენილია ბრალდებითში; O-ის დაწინაურების დროს კი ორივე, S და O, წამოდგენილია სახელობითში. ბრუნვათა მიხედვით არადიფერენცირებული ეს მოდელები გვიჩვენებენ, რომ სახელთა ფუნქციები ორი კატეგორიის – 'დაწინაურება' და 'სუბიექტი/ობიექტი' – თანაკვეთის შედეგად სტრუქტურულად გათანაბრდა, თუმცა ინფორმაცია მათი კატეგორიალური მნიშვნელობების შესახებ არ დაკარგულა: 'S/O' და 'დაწინაურება', ორივე, ფორმალურად ფიქსირებულია:

დაწინაურება *– დაწინაურებული სახელის წინადადების საწყის პოზიციაში გადასმა; სახელთა არადიფერენცირებული მოდელების წარმოქმნა;*

სუბიექტი *– სუბიექტის მოთავსება 'inna (ან მისი ჯგუფის) ნაწილაკების მომდევნო პოზიციაში;*

ობიექტი *– ობიექტის შესაბამისი ნაცვალსახელოვანი სუფიქსის (ზოგჯერ შესაბამის ნაწილაკთან ერთად) გაჩენა ობიექტის კანონიკურ პოზიციაში, ზმნის მომდევნოდ.*

წინადადების მთავარ წევრთა დაწინაურების შედეგად წარმოქმნილი სპეციფიკური მორფოსინტაქსური კონსტრუქციები შემდეგი კოგნიტიური პროცესებით შეიძლება აიხსნას:

გარკვეული სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება კანონიკურად არამარკირებული ან მარკირებული სახელის ხაზგასმა-გამოკვეთა, მისი ჩვეული, პროტოტიპული როლის შეცვლა, მისთვის განსაკუთრებული, სპეციფიკური ხასიათის მინიჭება. ეს "განსაკუთრებულობა", რაც მის კოგნიტიურ მარკირებულობას გულისხმობს, ენობრივ დონეზეც ფორმალური მარკირებით (ანუ, მათთვის

დამახასიათებელი ჩვეული ბრუნვების შენაცვლებით) გამოიხატება; მაგალითად, ნომინატიური წყობის ენებში არამარკირებული S სახელობითის ნაცვლად ბრალდებითშია, ხოლო O ბრალდებითის (ან იშვიათ შემთხვევაში, ნათესაობითის) ნაცვლად – ნომინატივში.

4. *1949-1950 წლები მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ სწორედ ამ დროს შეირყა ოფიციალური დამოკიდებულება მარის თეორიის მიმართ – იოსებ სტალინს გაუჩნდა ეჭვი, რომ მარის თეორია არ იყო მარქსისტული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მარისტული მარქსისტულს აღარ ნიშნავდა. სტალინი ალბათ დამოუკიდებლად არ მისულა ამ აზრამდე. მას ეხმარებოდნენ ამ თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. გარე ფაქტორებმა ხელი შეუწყო იოსებ სტალინის ჩარევით საბჭოთა ენათმეცნიერებიდან ნიკო მარის სახელის ამოგდებას, ხოლო თვით სტალინს მრავალ სახოტბო სახელთან ერთად შეემატა კიდევ ერთი სახელი: „მეცნიერების კორიფე“. 1949 წელს იოსებ სტალინმა, დაიწყო ფიქრი მარის თეორიის კრიტიკაზე. ამ წელს იმართებოდა შეხვედრები, პარტიული მუშაკებისა და მეცნიერების კონსულტაციები მარის თეორიის ყველა ღირსებისა და ნაკლის გამოსავლენად. ამ დროს ყველაზე მეტი დისკუსია გაიმართა მარქსისტულ ენათმეცნიერებაზე. სსრკ მეცნიერებათა აკადემია ხაზგასმულად ნიკო მარის იაფეტური თეორიის ერთგული რჩებოდა და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა ყველას მთელი საბჭოეთის მასშტაბით, თუ ვინმეს კრიტიკული აზრი გამოუთქვამს მარის თეორიაზე მთლიანად ან მის რომელიმე დებულებაზე. მაშინ, როცა მთელი საბჭოეთის მასშტაბით ენათმეცნიერები ნიკო მარის თეორიის გაძლიერებაზე ფიქრობდნენ, წარმოდგენაც არ ჰქონდათ საბჭოთა ენათმეცნიერებაში მოსალოდნელი სერიოზული ცვლილებების თაობაზე, რომელიც იოსებ სტალინმა ძალიან ვიწრო ჯგუფთან ერთად დაგეგმა. სტატიაში განხილულია საარქივო მასალები შსს ყოფილი კომუნისტური პარტიის, საქართველოს ცენტრალური არქივის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქივის საარქივო დოკუმენტებიდან და თსუ არქივიდან აკად. გიორგი ახვლედიანის პირადი არქივის მონაცემები.*

5. *შედარებითი რეკონსტრუქციის დროს ხშირად შესადარებელი ენების ფორმები ვერ დაიყვანება ფუძეენის ერთ საწყის ფორმაზე. ზოგჯერ დაბრკოლებას წარმოადგენს არა მასალის უკმარისობა, ან კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების დარღვევა, არამედ ბგერათშესატყვისობათა ორი ფორმულის გადაკვეთა. ასეთ შემთხვევაში, ფუძეენის „მონოლითურობის“ დაურღვევლად, ივარაუდება დუბლეტური ფორმების არსებობა, რასაც მივყავართ ფუძეენის აღდგენილ ფორმაში ან ფონემათა თავისუფალი ვარიირების შესაძლებლობის, ან ლექსიკური გამონაკლისების დაშვებამდე. მონათესავე ენათა ფონოლოგიური, მორფოლოგიური და ლექსიკური იზოგლოსების შესწავლის საფუძველზე მოპოვებული ლინგვისტური მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებზე. კერძოდ, წინარე ენის მატარებელთა პირველსაცხოვრისზე, ბუნებრივ გარემოზე (ფლორა, ფაუნა, კლიმატი...), მათ მატერიალურ და სულიერ კულტურაზე ამ სიტყვის ფართო გაგებით. ამგვარ მიდგომას კულტურის ლინგვისტურ პალეონტოლოგიას უწოდებენ (თ. გამყრელიძე).*
ექსტრალინგვისტურ „საგანთა სამყაროს“ ელემენტთა რეკონსტრუქცია, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ლინგვისტური მიმართებები, ანუ დავაზუსტოთ ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ენის სემანტიკურ პლანს, რადგან სემანტიკური სტრუქტურის კვლევა მარტივად შეუძლებელია წმინდა ლინგვისტური ფაქტების საზღვრებიდან გამოსვლისა და კულტურის ისტორიის ტიპოლოგიური მონაცემების გათვალისწინების გარეშე. ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა ავხსნათ ლექსიკური გამონაკლისები პროტოდონეზე და მოვახდინოთ არქეტიპების ადეკვატური სემანტიკური რეკონსტრუქცია. ნაშრომში წარმოდგენილია „მუხა“ მნიშვნელობის ეტიმოლოგია და რეკონსტრუქცია ქართველურ ენათა მონაცემების მიხედვით.
*პროტო-ქართვ. *მ₁ელ- „ხე, მუხა“ : ქართ. ძელ- „ხე, ძელი, ბოძი, სვეტი, ფუძე, ფიცარი“ : მეგრ.-ლაზ. ჯა(ლ)- „ხე“ : სვან. ჯიჰ-რა//ჯმ-რა//ჯი-რა „მუხა“. საინტერესოა ის ტიპოლოგიური პარალელიზმი, რაც ვლინდება ქართველურ და ინდოევროპულ „მუხა“ მნიშვნელობასთან დაკავშირებულ რეკონსტრუირებულ პროტოფუძეებს შორის.*

6. *აკაკი შანიძისა და გიორგი ახვლედიანის შემოქმედება უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული, არამედ აგრეთვე ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ისინი, ფაქტობრივად, იმ თეორიულ-ლინგვისტური მიმდინარეობის წინამორბედნი აღმოჩნდნენ, რომელიც შეიძლება*

დახასიათდეს როგორც ენის სტრუქტურულ-ფუნქციური (ფუნქციონალურ-ფონოლოგიური) ანალიზი. ეს ფაქტი, სამწუხაროდ, ნაკლებადაა ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის და ჩვენი მოვალეობაა ფართოდ გავაცნოთ მას მათი ნააზრევი და დამსახურებული ადგილი მივუჩინოთ მსოფლიო ენათმეცნიერების ისტორიაში. ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება ძირითად მომენტებში შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ერთ-ერთი ადრინდელი ნაირსახეობა სტრუქტურალიზმისა მორფოლოგიის სფეროში. მის მიერ შემუშავებული პროცედურა მორფოლოგიური ანალიზისა ნათლად გამოხატულ ,,სტრუქტურალისტურ“ ხასიათს ატარებს. სტრუქტურალიზმის მიმდინარეობათაგან ა. შანიძის გრამატიკული შეხედულებანი ყველაზე მეტ საერთოს პრაღის სკოლის (ე.წ. ,,ფუნქციონალური ლინგვისტიკის“) იდეებთან და მეთოდებთან ამჟღავნებენ. აკაკი შანიძის კვლევის მთავარი ამოცანა, პრაღელების მსგავსად, იყო სისტემის შინაგანი კანონზომიერებების გამოვლენა ,,სტრუქტურულ მთლიანობაზე“ ყურადღების გამახვილებით. მან შექმნა მოძღვრება, ფუნდამენტური საფუძველი ქართული ენის შემდგომი სინქრონიული კვლევისა.

გიორგი ახვლედიანის თეორია „აქცესიური“ და „დეცესიური“ კომპლექსების შესახებ, რომელიც მან ქართველური ენების მონაცემების საფუძველზე შეიმუშავა, ზოგადლინგვისტური ხასიათისა აღმოჩნდა, რამდენადაც აქ დადგენილი კანონზომიერებანი თანხმოვანთა შეერთებისა დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ენათა დიდი უმრავლესობისათვის. როგორც ბოლო ხანებში გაირკვა, „აქცესიურ-დეცესიურობის“ თეორია ეფექტური საშუალებაა აგრეთვე ინდოევროპულ ენათა მთელი რიგი ისტორიული კანონზომიერების გამოსავლენად და ასახსნელად, რაც ამ თეორიას ინდოევროპული ენების შედარებით-ისტორიული შესწავლის სამსახურში აყენებს და, ამდენად, გიორგი ახვლედიანის სახელს ინდოევროპული ენათმეცნიერების ისტორიაშიც თვალსაჩინო ადგილს უმკვიდრებს.

7. *ქართულ ოთხთავში მცენარეთა სახელების კვლევისას შევეცადეთ გვეპასუხა შემდეგ ძირითად კითხვებზე: როგორ ხდება მცენარეთა სახელების გადმოცემა ქართული ოთხთავის ტექსტებში - სესხებით, თარგმნით, მსგავსი სემანტიკის მქონე ეკვივალენტის ჩანაცვლებით? არის თუ არა ოთხთავში დადასტურებულ მცენარეთა სახელებს შორის საერთო-ქართველური ძირები? ნასესხებ ლექსიკასთან ერთად იხმარება თუ არა საკუთრივ ქართული (ქართველური) სინონიმური ფორმები? ნასესხები მასალა სახარების ტექსტის მეშვეობით შემოვიდა ქართულ ენობრივ სისტემაში თუ მანამდეც არსებობდა? რა კულტურული, რელიგიური მოტივები უკავშირდება ამა თუ იმ მცენარის სახელს მოცემულ კონტექსტში? როგორია ქართული და ნასესხები ძირების დისტრიბუცია (მაგალითად, იმის მიხედვით, ენდემურია, იზრდება თუ არა ეს მცენარე საქართველოში)? რამდენად ადეკვატურია ლექსიკური ეკვივალენტები და რით აიხსნება ცთომილებები? და ა. შ.*

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ქართული ოთხთავის ტექსტებში დადასტურებულ სემიტურ ნასესხობაზე, კერძოდ, ზეთის ხილზე. სახარებაში ვკითხულობთ: მიეახლა... მთასა თანა, რომელსა ჰრქჳან ზეთის ხილთაჲ ლ. 19, 29; ღამე განვიდის და იქცევინ მთასა მას, რომელსა ჰრქჳან ზ. ხ., ლ. 21, 37; მოვიდეს მთასა მას ზეთის ხილთასა, მ. 21, 1; 26, 30; ვ˜ა ჯდა თავადი მთასა მას ზ. ხ., მ. 24, 3; რაჟამს მიეახლნეს... მთასა თანა ზ. ხ. მრ. 11, 1; ჯდა რაჲ იგი მთასა მას ზ. ხ., მრ. 13, 3; განვიდეს მთასა მას ზ. ხ., მრ. 14, 26; წარვიდოდა... მთასა მას ზ. ხ., ლ. 22, 39; ვითარ მიიწია იგი შთასავალსა მას მთისა ზეთის ხილთაჲსა, ლ. 19, 37.

ძველი ქართული ენის ტექსტებში აღნიშნული სახელისთვის წარმოდგენილი უხვი საილუსტრაციო მასალა (ზეთი, ზეთაგანი, ზეთის ხე, ზეთის ხეოანი, ზეთის-ხილი, ზეთის-ხილოვანი) მოწმობს იმას, რომ აღნიშნული ფუძე უძველესი დროიდან დამკვიდრებულა ქართულ ლექსიკაში.

ქართულში ზეთ- ფუძის სესხების ზუსტი გზის (არამეული, სირიული თუ არაბული) განსაზღვრა მხოლოდ ფონეტიკაზე დაყრდნობით რთულია, თუმცა აღნიშნული ფუძის სემიტური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს. ***ზეთის ხილ-****: Olea europaea L.: ქართ. ზეთის ხილი [zetis xili]; ბრძ. ἐλαια ἡ [elaja]; ლათ. oliva (f.); ებრ. זית [zayiä]; სომხ. ձէթենի [jet'eni]; არაბ. زيتون [zajtūn]; زيتون [zeʿyt, zeʿytūn]; თურქ. zeytin; ინგ. Olive; გერმ. Ölbaum (m.); ფრანგ. olivier (m.); რუს. оливковое дерево, маслина.*

8. *ყოველი მეცნიერული თეორია არის განსახილველი ობიექტის ამა თუ იმ თვალსაზრისით შესწავლის შედეგად მიღებულ დებულებათა მწყობრი სისტემა. დროთა განმავლობაში იცვლება ხედვა საკვლევ ობიექტზე, იქმნება ახალი თეორიები, ახალი პარადიგმა ცვლის ძველს და პარადიგმათა ამგვარი მონაცვლეობა განაპირობებს მეცნიერების განვითარებას, მის ახალ საფეხურზე ასვლას. მეცნიერების ისტორია განისაზღვრება იმ იდეების საფუძველზე, რომლებიც მკვიდრდება. ახალ თეორიას ძველი თაობა, როგორც წესი, ძნელად იღებს, მაგრამ ესეც ბუნებრივია. საზოგადოდ, ასეა მეცნიერების ყველა დარგში, ასეა - ენათმეცნიერებაშიც. ენათმეცნიერების განვითარების გზაზე იცვლებოდა მიდგომები ენის შესწავლისადმი, შესაბამისად, ენობრივი ანალიზიც სხვადასხვა თვალსაზრისით წარმოებდა, სხვადასხვა დონეზე და განსხვავებული რაკურსით. თამაზ გამყრელიძე თეორიული ენათმეცნიერების ისტორიას განიხილავს როგორც „მეცნიერულ პარადიგმათა“ ერთგვარ მონაცვლეობას დროსა და სივრცეში და წარმოდგენილი შვიდი პარადიგმიდან IV პარადიგმის ფარგლებში ასახელებს ფერდინანდ დე სოსიურის „სინქრონიულ ლინგვისტიკას“: ა) სტრუქტურული ლინგვისტიკა (ნ. ტრუბეცკოი, რ. იაკობსონი); ბ) დესკრიფციული ლინგვისტიკა (ლ. ბლუმფილდი და ამერიკელი სტრუქტურალისტები); გ) ენობრივი ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალიები (ჯ. გრინბერგი, გ. კლიმოვი...).*

სტრუქტურული ლინგვისტიკის დიფერენციალური ნიშან-თვისებები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ოთხი პრინციპის მიხედვით: 1. დისკრეტულობის პრინციპი: ენა შედგება სასრული რაოდენობის დისკრეტული ელემენტებისგან; 2. სტრუქტურულობის პრინციპი: ენა წარმოადგენს დისკრეტული ელემენტების არა რაღაც მოუწესრიგებელ სიმრავლეს, გროვას, არამედ გარკვეული წესით ორგანიზებულ სისტემათა ერთობლიობას, ანუ სტრუქტურას, სადაც თითოეული ერთეულის ფუნქცია განისაზღვრება არა იზოლირებულად, არამედ სხვა ერთეულებთან მიმართებაში; 3. ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპი: ენის თვალსაზრისით იდენტურია ის, რაც ფუნქციურად ეკვივალენტურია. ფორმალური იგივეობა (ე.ი. იგივეობა გამოხატულებისა) არ არის საკმარისი და აუცილებელი პირობა ენობრივი ერთეულის იდენტიფიკაციისთვის; 4. სინქრონიულობის პრინციპი: ენობრივ ერთეულთა გამოყოფა, მათი გაერთიანება სტრუქტურულ კლასებში და მათ შორის ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სინქრონიული ანალიზის საფუძველზე. დიაქრონია განიხილება როგორც ცალკეულ სინქრონიულ ჭრილთა თანმიმდევრობა დროში, ანუ, უფრო ზუსტად, როგორც პროცესი გადასვლისა ერთი სინქრონიული მდგომარეობიდან მეორეში.

ზემოხსენებულ ოთხ პრინციპს ემყარება ენის სტრუქტურული ანალიზის მთელი პროცედურა, რომლის საშუალებითაც მკვლევარი ცდილობს გამოყოს ენობრივი ერთეულები და კატეგორიები და აღმოაჩინოს მათ შორის არსებული ფუნქციონალური დამოკიდებულებანი (გ. მაჰავარიანი 1967).

სტატიაში განხილულია აკ. შანიძის მიერ ენის კვლევის სტრუქტურალისტური მიდგომების ძირითად ასპექტები.

9. *სტატია მიზნად ისახავს გაზისური ფერის ტერმინების დადგენას ფერთა კატეგორიზაციის იმ უნივერსალური მოდელის მიხედვით, რომლის ავტორები არიან ამერიკელი მეცნიერები ბ. ბერლინი და პ. კეი.*

ქართულში ფერისა თუ შეფერილობის აღმნიშვნელი ბევრი სიტყვა არსებობს. აღნიშნული სიმრავლიდან გამოყოფილია გაზისურ ფერთა 7 ტერმინი , რომლებიც თითქოს აკმაყოფილებენ ბერლინისა და კეის კრიტერიუმებს. ეს ტერმინებია: თეთრი, შავი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, რუხი. აღნიშნული კრიტერიუმების მე-4 (ბოლო) პუნქტის მიხედვით, გაზისური ფერის ტერმინი უნდა იყოს მეტად გავრცელებული და ყველასთვის ერთნაირად ნაცნობი.

მე-4 პუნქტის გადამოწმების საუკეთესო საშუალებაა ე.წ. სიის ტესტი. ამგვარი სიის ტესტი ჩავატარეთ 40--მდე ცდისპირის მონაწილეობით და აღმოჩნდა, რომ ტერმინი რუხი კრიტერიუმის მე-4 პუნქტს ვერ აკმაყოფილებს, თუმცა, სამაგიეროდ, აღნიშნულ პუნქტს, ტესტის შედეგების გათვალისწინებით, აკმაყოფილებს ტერმინი ყავისფერი, რომლის გაზისურობას მხარს უჭერს დამატებითი კრიტერიუმები (ბერლინისა და კეის კრიტერიუმები 4 ძირითად და 4 დამატებით კრიტერიუმს მოიცავს) და გაზისურ ფერთა ქართული სისტემა სრულ შესაბამისობაშია ბერლინისსა და კეის უნივერსალურ მოდელთან.

10. *როგორც ცნობილია ქართული ენა მდიდარია თანხმოვანთკომპლექსებით და მათთვის, სტრუქტურის თვალსაზრისით, დამაახასიათებელია დიდი მრავალფეროვნება. ძირის ფარგლებში,*

თანხმოვანთკომპლექსების მაქსიმალური სიგრძე არის 6. თანხმოვანთკომპლექსთა რაოდენობა, ძირის თავკიდურ პოზიციაში, კომპლექსისი სიგრძის მიხედვით, შემდეგია: ორწევრა კომპლექსები – 223, სამწევრა კომპლექსები – 199, ოთხწევრა კომპლექსები – 85, ხუთწევრა კომპლექსები – 15, ექვსწევრა კომპლექსები – 5.

თანხმოვანთკომპლექსთა ასეთ მრავალფეროვნებას ქართულში დიაქრონიული საფუძველი აქვს. საქმე ისაა, რომ საერთოქართველურ ფუძეენაში რეკონსტრუირებულია სონანტები, რომლებიც თანხმოვანთა მეზობლობაში რეალიზდებოდნენ მარცვლოვანი ალოფონის სახით. ქართულ ენაში სონანტთა რეფლექსები სონორი (არამარცვლოვანი) თანხმოვნებია და ამდენად, თანხმოვნთა მეზობლობაში რეალიზებული მარცვლოვანი სონანტები ქართულში თანხმოვანთკომპლექსების შემადგენელ კომპონენტებად წარმოგვიდგნენ.ვამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, რომ სონორების შემცველ თანხმოვანთკომპლექსების რაოდენობა მთელი რაოდენობის 82,3%-ს შეადგენს. სტატიაში წარმოდგენილია სამწევრა კომპლექსების ანალიზი, სტრუქტურები მოცემულია სქემების სახით და გამოვლენილია დამახასიათებელი ფონოტაქტიკური კანონზომიერებანი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.
2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.
4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.
2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.
4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1.
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.
4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. მ. ივანიშვილი, ი. ლეჟავა

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. Distributive and Acoustic Analysis of [q'] and [ʔ] Consonants in Megrelian
ISSN 1747-9339

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Language@Leeds Working Papers. Issue 1, 2020
(ციფრულად გამოქვეყნდა 2021 წელს)
https://www.latl.leeds.ac.uk/wp-content/uploads/sites/49/2021/03/Ivanishvili-Lezhava_2020.pdf

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Leeds, University of Leeds

5) გვერდების რაოდენობა
1. 24 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. განსხვავებას ქართულ თანხმოვანთა სისტემისგან მეგრულში ქმნის ɻ თანხმოვანი. დისტრიბუციული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ /ყ/ და /ɻ/ მეგრული ენის თანხმოვანთა სტრუქტურაში ორი დამოუკიდებელი ფონემაა. ɻ მეორეული ბგერაა ყ-დან მომდინარე, პირველ ეტაპზე გვქონდა ყ || ɻ ვარიანტების თავისუფალი მონაცვლეობა, ხოლო შემდეგ, აღმოჩნდნენ რა კონტრასტულ პოზიციებში, ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ ფონემებად. მეგრული მეტყველების ციფრული აკუსტიკური ანალიზი შესრულებულია კომპიუტერული პროგრამებით. აკუსტიკური სურათის მიხედვით ɻ მეგრულში თავკიდურ პოზიციაში გლოტალური მსკდომია (მაგარი შემართვა), ხოლო ინტერვოკალურ პოზიციაში გამჟღერებული ფარინგალური აპროქსიმანტი ლარინგალიზაციით. სწორედ ɻ ბგერის ასეთი რთული ბუნება უნდა იყოს განსხვავებული, ზოგჯერ წინააღმდეგობრივი აღწერის მიზეზი (ცაგარელი 1880, ყიფშიძე 1914). ყ თანხმოვანი მეგრულში ფაკულტატიურად რეალიზდება გლოტალიზებული ხშულის, სპირანტის ან სპირანტოიდის (ინტერვოკალურ პოზიციაში) სახით. აღსანიშნავია, რომ სპირანტული წარმოთქმა უფრო დამახასიათებელია ჰარმონიულ კომპლექსში და ინტერვოკალურ პოზიციაში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. რ. ასათიანი
2. რ. ასათიანი
3. თ. ბოლქვაძე

4. თ. ბოლქვაძე
5. მ. ივანიშვილი
6. მ. ივანიშვილი
7. ი. ლეჟავა
8. ე. სოსელია

2) მოხსენების სათაური
1. ნიშნის პრობლემა თანამედროვე სოციუმში
2. წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა და სიტყვათა რიგი არაბულში
3. Soviet Language Politics and Linguistic Minorities of Georgia
4. ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები საქართველოს კანონებში სახელმწიფო ენისა და რეკლამის შესახებ,
5. მცენარეთა ებრაული სახელები ქართულ ოთხთავში
6. მცენარეთა სახელების სემიტური ნასესხობები ქართულ ოთხთავში: *ზეთის ხილი*
7. აბრუპტივი, გლოტალიზებული თუ მკვეთრი?
8. ფონოტაქტიკური მიმართებანი ქართული ენის თანხმოვნებს შორის.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 23-24 აპრილი, თბილისი.
2. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 20-21 დეკემბერი, 2021.
3. 6th International Conference - Development of Georgian-Ossetian Relationship, 13-15 October, 2021, Tbilisi.
4. სამეცნიერო კონფერენცია - სალიტერატურო ენის საკითხები,თსუ, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 25 აპრილი, 2021, თბილისი.
5. სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი მაკა გოცირიძის 65 წლისთავისადმი, 2021, თბილისი.
6. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 20-21 დეკემბერი, 2021.
7. ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 13 აპრილი, 2021, თბილისი.
8. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 20-21 დეკემბერი, 2021.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. რ. ასათიანი
2. თ. ბოლქვაძე

2) მოხსენების სათაური
1. Morphological Adaptation of Russian and Turkish Borrowings in Georgian
2. Challenges of Language Politics in Modern Georgia

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 53rd ASEEES Annual Convention, - December 1-3, 2021, USA, (Virtual Convention)
2. 53rd ASEEES Annual Convention, - December 1-3, 2021, USA, (Virtual Convention)
https://www.aseees.org/sites/default/files/downloads/ASEEES%202021%20Virtual%20Program%20final.pdf

დამატებითი ინფორმაცია

1. სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ჟურნალის "ენათმეცნიერების საკითხები" – 2020 (გამოდის 2021 წელს) აღწერილობა:

ჟურნალი "ენათმეცნიერების საკითხები" (ISSN 1512-0473) ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოდის 1999 წლიდან. სამეცნიერო ჟურნალი წარმოადგენს მნიშვნელოვან რეცენზირებად, ორენოვან, პერიოდულ გამოცემას. ჟურნალის რედკოლეგიის წევრები არიან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიური მიმართულების წარმომადგენლები და თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლები, ხოლო სარედაქციო საბჭოს წევრები – გამოჩენილი ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერები. ჟურნალს 2007 წლიდან გამოსცემს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა და ჟურნალის ყოველი ნომერი (ISSUES OF LINGUISTICS) განთავსებულია თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე და სოციალურ სამეცნიერო ქსელში - academia.edu. "ენათმეცნიერების საკითხების" 2020 წლის ნომერი გამოირჩევა სტატიათა თემატური მრავალფეროვნებით და ეძღვნება ენათმეცნიერების ისტორიის, ონომასტიკის, ფრაზეოლოგიის, ქართველური ენების, ფონეტიკის, ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, მოდალური სემანტიკის, ეტიმოლოგიისა და ლექსიკოლოგიის საკითხებს. ასევე წარმოდგენილია იგორ მელჩუკის ნაშრომის თარგმანი – „შესაძლებლობათა აღრიცხვა როგორც ლინგვისტური ტიპოლოგიის ერთ-ერთი მეთოდი“.

2. სარედაქციო საქმიანობა

- †თ. გამყრელიძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალის - "ენათმეცნიერების საკითხების" მთავარი რედაქტორი.
- რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, მ. ივანიშვილი, ი. ლეჟავა, ე. სოსელია – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალის – "ენათმეცნიერების საკითხების" სარედაქციო კოლეგიის წევრები.
- მარინე ივანიშვილი - რედაქტირებული ტექსტები: წინაწარმეტყველებაჲ ამბაკუმისი SB1, SB2, SB3 (21.04.21), ებისტოლე იერემიასი OJ, ებისტოლე იერემიასი SB, წიგნი ეზრასი მეორე OJUDFS (19.05.21), ქებათა ქება სოლომონისა O, ქებათა ქება სოლომონისა S (16.06.21), წიგნი ესთერისი B (B1, B2, B3), წიგნი ესთერისი DFI, წინაწარმეტყუელება იოველისი SBG (1,2,3) (21.07.21), სიტყუანი ნაუმისნი B. ლემების რედაქტირება: ჩ, ც, ძ, წ. (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აკად. გ. წერეთლის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი).

3. კონფერენციების ორგანიზება

1. რუსუდან ასათიანი - საერთაშორისო სიმპოზიუმის და ტუტორიალების: TbiLLC-2022 - საორგანიზაციო ჯგუფის წევრი.

2. თინათინ ბოლქვაძე - ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი (თსუ, ენის სახელმწიფო დეპარტამენტი, გ. ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება), 13 აპრილი 2021, თბილისი.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პუბლიკაციების სია:

(2021 წელი)

1. საქართველოში გამოცემული სტატიები

1. რუსუდან ასათიანი, The Proto-Kartvelian and Proto-Indo-European Common Typological Feature: An Active Alignment(?), *G. Tsereteli Institute of Oriental Studies. 1960-2020, Selected Papers,* თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, *(დაიბეჭდა 2021 წელს)* (13გვ.)
WOS: 000346263000010
ISBN 978-9941-18-362-1

2. რუსუდან ასათიანი, ფუნქციური სიტყვების მეტყველების ნაწილებად კვალიფიკაცია ლაზურში, *ენათმეცნიერების საკითხები - 2020,* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2021, (13 გვ.)
ISSN: 1512-0473

3. რუსუდან ასათიანი, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა და სიტყვათა რიგი არაბულში, *აკად. კონსტანტინე წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო შრომათა კრებული,*
თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2021, (8 გვ.)
ISBN 978-9941-36-000-8

4. თინათინ ბოლქვაძე, იაფეტური თეორიის აღზევება და დაცემა ნაწილი მეორე: მზადება ენობრივი დისკუსიისათვის - 1949-1950 წლები, *ენათმეცნიერების საკითხები - 2020,* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2021, (25გვ.)
ISSN: 1512-0473

5. მარინე ივანიშვილი, Lexical Exceptions in the Comparative Reconstruction of the Kartvelian Languages: Words for 'oak', G. Tsereteli Institute of Oriental Studies. 1960-2020. Selected Papers, თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, *(დაიბეჭდა 2021 წელს), (6 გვ.)*
WOS: 000346263000010
ISBN 978-9941-18-362-1

6. მარინე ივანიშვილი, ქართულ ენათმეცნიერებაში სტრუქტურალიზმის განვითარების სათავეებთან: აკაკი შანიძე, სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება, VI-VII, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2021 (10 გვ.)
ISSN 2346-8106

7. მარინე ივანიშვილი, †თამაზ გამყრელიძე, Academicians Akaki Shanidze and Giorgi Akhvlediani - Forerunners of a New Theoretical Movement ("Structuralism") in Linguistics, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, (6 გვ.) *(იბეჭდება).*
ISSN 0132-1447

8. მარინე ივანიშვილი, მცენარეთა სახელების სემიტური ნასესხობები ქართულ ოთხთავში: *ზეთის ხილი.* აკად. კონსტანტინე წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო შრომათა კრებული, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2021, (7 გვ.)
ISBN 978-9941-36-000-8

9. ეთერ სოსელია, On the Specification of Basic Colour Terms in Georgian, G. Tsereteli Institute of Oriental Studies. 1960-2020. Selected Papers, 9. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, *(დაიბეჭდა 2021 წელს)* (8 გვ.)
WOS: 000346263000010

ISBN 978-9941-18-362-1

10. ეთერ სოსელია, სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები ქართულში, აკად. კონსტანტინე წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო შრომათა კრებული, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2021, (8 გვ.)

ISBN 978-9941-36-000-8

2. უცხოეთში გამოცემული ციფრული სტატიები

1. მარინე ივანიშვილი, ივანე ლეჟავა, Distributive and Acoustic Analysis of [q'] and [ʔ] Consonants in Megrelian, Language@Leeds Working Papers. Issue 1, 2020, Leeds, University of Leeds,
(ციფრულად გამოქვეყნდა 2021 წელს) (24 გვ.)

ISSN 1747-9339

https://www.latl.leeds.ac.uk/wp-content/uploads/sites/49/2021/03/Ivanishvili-Lezhava_2020.pdf

2. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა საქართველოში

1. რუსულდან ასათიანი, ნიშნის პრობლემა თანამედროვე სოციუმში, ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 23-24 აპრილი, 2021

2. რუსულდან ასათიანი, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა და სიტყვათა რიგი არაბულში, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 20-21 დეკემბერი, 2021.

3. თინათინ ბოლქვაძე, Soviet Language Politics and Linguistic Minorities of Georgia, 6th International Conference - Development of Georgian-Ossetian Relationship, 13-15 ოქტომბერი, 2021, თბილისი.

4. თინათინ ბოლქვაძე, ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები საქართველოს კანონებში სახელმწიფო ენისა და რეკლამის შესახებ, სამეცნიერო კონფერენცია - სალიტერატურო ენის საკითხები,თსუ, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 25 აპრილი, 2021, თბილისი.

5. მარინე ივანიშვილი, მცენარეთა ებრაული სახელები ქართულ ოთხთავში, სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი მაკა გოცირიძის 65 წლისთავისადმი, 2021, თბილისი.

6. მარინე ივანიშვილი, მცენარეთა სახელების სემიტური ნასესხობები ქართულ ოთხთავში: *ზეთის ხილი,* აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 20-21 დეკემბერი, 2021.

7. ივანე ლეჟავა, აბრუპტივი, გლოტალიზებული თუ მკვეთრი? ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 13 აპრილი, 2021, თბილისი.

8. ეთერ სოსელია, ფონოტაქტიკური მიმართებანი ქართული ენის თანხმოვნებს შორის, აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 20-21 დეკემბერი, 2021.

3. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა უცხოეთში

1. რუსულდან ასათიანი, Morphological Adaptation of Russian and Turkish Borrowings in Georgian, 3rd ASEEES Annual Convention, - December 1-3, 2021, USA, (Virtual Convention).
https://www.aseees.org/sites/default/files/downloads/ASEEES%202021%20Virtual%20Program%20final.pdf

2. თინათინ ბოლქვაძე, Challenges of Language Politics in Modern Georgia, 53rd ASEEES Annual Convention, - December 1-3, 2021, USA, (Virtual Convention).
https://www.aseees.org/sites/default/files/downloads/ASEEES%202021%20Virtual%20Program%20final.pdf

კულტურის კვლევების
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
ნინო ჩიქოვანი, პროფესორი (ხელმძღვანელი)
ქეთევან კაკიტელაშვილი, ასოცირებული პროფესორი
ივანე წერეთელი, ასოცირებული პროფესორი
მაია ქვრივიშვილი, ასისტენტ პროფესორი
ირაკლი ჩხაიძე, ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე. *საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი FR-18-3459*

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2019-2022

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნინო ჩიქოვანი, მკვლევარი
2. ქეთევან კაკიტელაშვილი, მკვლევარი;
3. ივანე წერეთელი, მკვლევარი;
4. ირაკლი ჩხაიძე, მკვლევარი;
5. მაია ქვრივიშვილი, მკვლევარი;
6. ქეთევან ეფაძე, მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.კვლევით პროექტში „საქართველო: ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე“ მონაწილეობს კულტურის კვლევათა ინსტიტუტის ხუთი მკვლევარი. მიმდინარე წლის ამოცანის შესაბამისად, დამუშავდა პროექტის შემდეგი ნაწილები: 9 აპრილი როგორც პარადიგმული მოვლენა; თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება; „ბნელი 90-იანები“: ყოველდღიურობის ტრავმა; 90-იანი წლების ტრავმული მოვლენები ლიტერატურულ ტექსტებში; 9 აპრილის როგორც კულტურული ტრავმის ჩამოყალიბების პროცესი 1989-2019 წლების ქართული პრესის მასალების მიხედვით. მომზადდა კვლევის შედეგების ამსახველი ტექსტი და ინგლისური ენაზე თარგმანი. ტექსტი გადაეგზავნა რედაქტორს. კვლევის შედეგები წარდგენილი იყო რამდენიმე ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე. მომზადდა სტატიები გამოსაქვეყნებლად.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. „ქართული ნაციონალური იდენტობა და „მეხსიერების ადგილები“: წარსულის კონსტრუირების დომინანტური და ალტერნატიული პერსპექტივები“. *საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი FR17_624*

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2018-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ნინო ჩიქოვანი - მკვლევარი
2. ქეთევან კაკიტელაშვილი - მკვლევარი
3. ირაკლი ჩხაიძე - მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.კვლევითი პროექტის „ქართული ნაციონალური იდენტობა და ‘მეხსიერების ადგილები’: წარსულის კონსტრუირების დომინანტური და ალტერნატიული პერსპექტივები” ფარგლებში, რომელსაც ასევე ახორციელებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შვიდი მკვლევარი, თსუ კულტურის კვლევათა ინსტიტუტის 3 მკვლევარის ამოცანა იყო: 1. მთაწმინდის პანთეონის, როგორც მეხსიერების იმ ადგილის შესწავლა, რომელმაც „სიმბოლური არის“ მნიშვნელობა დღემდე შეინარჩუნა. ისტორიული განგრძობადობის სრულიად თვალსაჩინო ფაქტთან ერთად, მისი სოციალური ფუნქცია და დანიშნულება ეპოქების მიხედვით იცვლებოდა, ისევე როგორც ხერხები, რომლებიც გამოიყენებოდა მისი მნიშვნელობის შენარჩუნებისათვის; 2. ილია ჭავჭავაძის, როგორც ქართული იდენტობის უმნიშვნელოვანესი ფიგურის მიმართ დამოკიდებულების ცვლილების ძირითადი ეტაპების და მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზი. მკვლევრებმა დაასრულეს საკვლევ საკითხებზე მუშაობა, რიმელთა ძირითადი შედეგები აისახა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „Caucasus Survey“ გამოქვეყნებულ სტატიებში, ხოლო ვრცელი ვარიანტი 2021 წლის მარტის დასაწყისისთვის დაიბეჭდება ილიას უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ წიგნში, პროექტის ანალოგიური სახელწოდებით.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. „მრავალფეროვნება რეალობაში: მუშაობა ეთნიკურ უმცირესობებთან უკრაინაში, საქართველოსა და გერმანიაში“ ლაიფციგის მოლდოვას ინსტიტუტის (გერმანია), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევათა ინსტიტუტისა და იური ფედკოვიჩის სახელობის ჩერნოვცის ეროვნული უნივერსიტეტის (უკრაინა) პროექტი, ფონდის „მეხსიერება, პასუხისმგებლობა და მომავალი“ (EVZ) დაფინანსებითა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით (32.5.1C160016.0).

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 01.08.2021 – 30.11.2021
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნინო ჩიქოვანი - საქართველოს ჯგუფის ხელმძღვანელი
2. ქეთევან კაკიტელაშვილი - კოორდინატორი საქართველოს მხრიდან

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზნის შესაბამისად, სტუდენტები და ახალგაზრდა მკვლევრები საქართველოდან (10 მონაწილე) იკვლევდნენ საკითხს - რას ნიშნავს იყო „უმცირესობა“ საქართველოში, რამდენად მიიჩნევენ თავს უმცირესობად სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები, რა გამოწვევების წინაშე დგანან ისინი, როგორ ხედავენ მათი დაძლევის გზებს და საკუთარ პერსპექტივას, როგორც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები. ახალგაზრდები გაეცნენ მრავალფეროვნებას რეალობაში, რომელიც ბევრად უფრო საინტერესო და მრავალწახნაგოვანი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინათ. პროექტში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდები, რომლებიც სიამოვნებით უზიარებდნენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას. თეორიული ცოდნის შეძენა-გაღრმავების გარდა, მათ ჩაატარეს საველე სამუშაოები წალკის, ახალქალაქის, ახალციხის მუნიციპალიტეტებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ კულაშში, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბანძაში, ქუთაისში, გაეცნენ თბილისის მრავალკულტურულ მემკვიდრეობას. მუშაობის შედეგები აისახა პროექტის მონაწილეთა მიერ მომზადებულ ფილმში (https://www.youtube.com/watch?v=cA1Gq1UMRFM), რომელიც წარმოდგენილი იყო 29 ნოემბერს, პროექტის მონაწილე სამივე ქვეყნის ერთობლივ სამუშაო შეხვედრაზე.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები
1. მაია ქვრივიშვილი
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. „დღესასწაულის, როგორც მეხსიერების ადგილის როლი იდენტიფიკაციის პროცესში“. აბრეშუმის გზის მე-16 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია, მასალების კრებული #16. ISBN: 978-9941-8-3942-9
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, შვი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
2.

4) გვერდების რაოდენობა
1. 8 გვერდი
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კულტურული რევოლუცია, რომელიც დაიწყო 1920-იან წლებში და გაგრძელდა საბჭოთა კავშირის ლეგალურ არსებობამდე, ემსახურებოდა ახალი ადამიანის, საბჭოთა სოციალისტური ერის შექმნას. ბოლშევიკების მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა, რომლებმაც გავლენა მოახდინა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, გამოიღო თავისი შედეგი და შექმნა ეგრეთ წოდებული ჰომოსოვიეტიკუსი: მორჩილი და არაკრიტიკული ადამიანი, პრივილეგირებული პარტიული ნომენკლატურა და საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავდა საბჭოთა ადამიანის ხასიათს. ქართული საბჭოთა კულტურა იყო მთელი საბჭოთა კულტურის განუყოფელი ნაწილი, შესაბამისად, ქართული საბჭოთა იდენტობა და მისი ჩამოყალიბება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთიანი საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბებასთან. საბჭოთა ცივილიზაციაზე საუბრისას ბ. ბროდელმა აღნიშნა, რომ ეს არის საზოგადოება, რომელმაც განიცადა სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მუტაცია, რამაც გამოიწვია ახალი, საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბება.

იდენტობა, ისევე როგორც კულტურა მთლიანობაში, არის ისტორიული ფენომენი - ექვემდებარება დროის ცვალებადობას. იდენტობა აბსტრაქტული ცნებაა და ის დაკავშირებულია ინდივიდის, ერთიანობის, ეთნოსის, ერის, კულტურის და ა.შ. ადამიანისადმი საკუთარი კუთვნილების დადგენა მისი შინაგანი ცხოვრების პირობებს მოითხოვს. მისი ცვლილება დამოკიდებულია კონტექსტზე, რომელშიც ის არსებობს.

მეხსიერების ჩამოყალიბება მიზანმიმართული პროცესის შედეგია და ეს მიზნები, გამომდინარეობს კონკრეტული საზოგადოების კონკრეტული მიზნებიდან. საქართველოს საბჭოთა წარსულმა ცხადყო, რომ კოლექტიური მეხსიერება არა მხოლოდ პოლიტიკური პროცესების შედეგია, არამედ მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია.

პიერ ნორას აზრით, მეხსიერების ფესვები არსებობს რეალობაში, რომელიც გამოხატულია: ჟესტებით, გამონათქვამებითა და საგნებით და ა.შ. შ. ფრანგი ისტორიკოსი მათ "მეხსიერების ადგილებს" უწოდებს. ამ მხრივ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა ქართული საბჭოთა „მეხსიერების ადგილები“, რომელიც ასახავს ქართული საბჭოთა კოლექტიური მეხსიერების ფორმირების პროცესს.

საბჭოთა მეხსიერების საკმაოდ რთული და მრავალფეროვანი ფორმირების პროცესში, რომელიც ჩამოყალიბდა საბჭოთა ადამიანური იდენტობის მარკერების პარალელურად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პიერ ნორას მეხსიერების სიმბოლურმა არეებმა, რომელიც მოიცავდა როგორც დღესასწაულებს, ასევე მასთან დაკავშირებულ რიტუალებს, ასევე იუბილეებს და და ა.შ. რიტუალიზებულმა საბჭოთა დღესასწაულებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა იდენტობის შექმნაში და განმტკიცებაში. მათ კარგად შეასრულეს საბჭოთა „მეხსიერების ადგილების“ როლი. საბჭოთა დღესასწაულების აღნიშვნა საბჭოთა სიმბოლიკის თანხლებით მასობრივი დემონსტრაციების ფონზე მიმდინარეობდა. ეს კარნავალიზებული დღესასწაულები მნიშვნელოვანი იყო ახალი იდენტობისთვის. ეს იყო საბჭოთა დღესასწაულების ერთგვარი კასკადი. რელიგიური, ეროვნული, ტრადიციული სახალხო დღესასწაულებმა დაიმსახურა ბოლშევიკების რისხვას და აკრძალული იყო მთელი 70 წლის განმავლობაში. მაგალითად, ისპანახობა, შობა, აღდგომა, ყვავილობა, სასოფლო-სამეურნეო და სახალხო დღესასწაულები. ისინი შეცვალეს და გაჩნდა საბჭოთა არდადეგები. თითქმის ყველა პროფესიას ჰქონდა თავისი დაბადების დღე და შესაბამისად თარიღი, მაგრამ მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი და პომპეზური გამოირჩეოდა, რომელთაგან ზოგიერთი განსაკუთრებით აღინიშნა. ამის მიზეზი იყო მათთვის მნიშვნელობის მიცემა, რასაც საბჭოთა იდენტობის მარკერი ჰქვია. ზეიმი, როგორც „მეხსიერების ადგილები“ თავისი მასობრივი ბუნებით, უზრუნველყოფდა საბჭოთა კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში. (7 ნოემბერი, 25 თებერვალი, 23 თებერვალი, 8 მარტი, 9 მაისი, 1 მაისი და სხვ.). დღესასწაული, როგორც თარიღი, ხაზს უსვამს მემკვიდრეობას, ასტიმულირებს ახალ იდეებს, განსაზღვრავს საზოგადოების მომავალ ქმედებებს. საბჭოთა ხალხისთვის ეს დღესასწაულები საერთო ეროვნული იყო, რომელიც, როგორც ეროვნული დღესასწაული, ინსტიტუციური დღესასწაულის არქეტიპი იყო, მუდმივად ემოციებითა და სადღესასწაულო განწყობით დატვირთული. დღესასწაული მეხსიერების სიმბოლური არეა, რომელიც გავლენას ახდენს იდენტობის ჩამოყალიბებაზე, აძლიერებს ერს/საზოგადოებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1.
2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.
2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

5) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ივანე წერეთელი
2.

2) სტატიის სათაური, ISSN
1. **„ტრავმა და ტრიუმფი ლიტერატურულ ტექსტებში: დამოუკიდებლობის შემდგომი საქართველო“. ISSN 1987-8583**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. **სპეკალი N14**
2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. **თბილისი**
2.

5) გვერდების რაოდენობა
1. 7
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
მეოცე საუკუნე „ტრავმების საუკუნედ“ იწოდება. კოლექტიური ტრავმის შესწავლა კულტურის კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა. დაგროვდა სხვადასხვა ქვეყანაში ტრავმის შემთხვევათა შესწავლის გამოცდილება. საქართველოს რეალობა ტრავმების თეორიათა ჭრილში ნაკლებადაა გაანალიზებული. საბჭოთა კავშირის დაშლას, დამოუკიდებლობის მოპოვებას, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის რადიკალურ ცვლილებას თან ერთვოდა არაერთი ტრავმული მოვლენა: 1989 წლის 9 აპრილი, 1991-1992 წლების თბილისის სამოქალაქო ომი, კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში, ბუნებრივი კატაკლიზმები (მეწყერები,

მიწისძვრები, წყალდიდობები). ნაშრომის მიზანია ვნახოთ, რამდენადაა ასახული დამოუკიდებლობის შემდგომ შექმნილ მხატვრულ ლიტერატურაში 90-იანი წლების ტრავმული მოვლენები, როგორაა იგი გაანალიზებული, გააზრებული და ინტერპრეტირებული. კონკრეტული კვლევის (case study), შინაარსობრივ ანალიზსა (კონტენტ-ანალიზი) და დისკურსის ანალიზის მეთოდების გამოყენებით, შევეცდებით ვაჩვენოთ, რამდენად შეესაბამება საქართველოს შემთხვევას „ტრავმისა და ტრიუმფის“ ეპითეტები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები

1) ავტორები

1.

2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.

2.

4) გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. ნინო ჩიქოვანი
2. ქეთევან კაკიტელაშვილი, ირაკლი ჩხაიძე
3. ქეთევან კაკიტელაშვილი
4. ირაკლი ჩხაიძე
5. მაია ქვრივიშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. მთაწმინდის პანთეონი: მეხსიერების ადგილი და იდენტობის სიმბოლო. https://doi.org/10.1080/23761199.2020.1871242 2.
2. „ეროვნული ფიგურა როგორც მეხსიერების ადგილი: ილია ჭავჭავაძის რეინტერპრეტაციები 1910-1940-იან წლებში“, DOI: 10.1080/23761199.2021.1961552.
3. „ქართველი ისრაელები თუ საქართველოს ებრაელები. ქართველ ებრაელთა იდენტობის რელიგიური და ნაციონალური განზომილება“, doi:10.1163/18748929-bja10061
4. საქართველოს ორი სხვა: ნაციონალიზმი და იდენტობის ბრძლა პოსტსაბჭოთა ერ-სახელმწიფოში https://doi.org/10.1515/9783110729290
5. ახალი ქართული საზოგადოების მშენებლობა (XIX-XX საუკუნეები). DOI: https://doi.org/10.34619/p1fz-emjf. ISBN: 978-989-8956-21-7

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Caucasus Survey
2. Caucasus Survey
3. Journal of Religion in Europe 14 (3-4).
4. Nationalism in a Transnational Age
5. Monografia entrevistas atas antologia seminários documentos relatórios textos selecionados fontes. #4, 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Routledge, Taylor&Francis Group, February 2021
2. Routledge, Taylor&Francis Group, 9 August, 2021.
3. Brill, 20 December, 2021
4. De Gruyter Oldenbourg
5. ლისაბონი, პორტუგალია, Instituto de História Contemporânea

5) გვერდების რაოდენობა
1. 15
2. 15 გვერდი
3. 27 გვერდი
4. 18 გვერდი
5. 13 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში შესწავლილია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, როგორც მეხსიერების ადგილი, რომელის შექმნის დღიდან დღემდე ინარჩუნებს სიმბოლურ მნიშვნელობას. საქართველოში საპატიო სასაფლაოს, შემდგომში კი პანთეონის შექმნის იდეა მე-19 საუკუნის მიწურულს გაჩნდა და, როგორც ჩანს, პარიზის პანთეონიდან იყო ნასესხები. ისევე როგორც ევროპის ქვეყნებში, იგი ქართველთა იდენტობის გამოკვეთის პრობლემას უკავშირდებოდა და საერთო მეხსიერების ჩამოყალიბების მნიშვნელოვან საშუალებად მიიჩნეოდა. პანთეონი ამ იდენტობის საყრდენი ფიგურების ირგვლივ შექმნილ სივრცედ, განსაკუთრებით გამორჩეული ადამიანების სამუდამო განსასვენებლად ესახებოდათ. 1890-იან წლებში იდეა აქტიურად განიხილებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა, თუმცა პანთეონი მხოლოდ 1929 წელს შეიქმნა. მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის სტატუსმა ბევრი რამ განსაზღვრა მთაწმინდის შემდგომ ისტორიაში - როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე მისი დასრულების შემდეგ. ჩვენი მიზანი იყო, თვალი მიგვედევნებინა პანთეონის იდეისა და მთაწმინდის, როგორც ქართული იდენტობის სიმბოლოს ტრანსფორმაციისთვის თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში; შეგვესწავლა, როგორც მუშაობდა და მუშაობს მთაწმინდის პანთეონი როგორც მეხსიერების ადგილი, როგორ და რატომ იცვლებოდა მისთვის მინიჭებული მნიშვნელობები, რომელთა საფუძველზე ყალიბდებოდა საერთო მეხსიერება - ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მსაზღვრელი. ნაშრომი ემყარება მთაწმინდასთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, ფაქტობრივ მასალასა და თეორიულ მსჯელობებს, რომლებიც მოცემულია ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომებში, სხვადასხვა მედიასაშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომლებიც გააზრებულია კოლექტიური მეხსიერების თეორიის ჭრილში.

2. ილია ჭავჭავაძე გამორჩეულია იმ ფიგურათაგან, რომელთა დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე საყოველთაოდაა აღიარებული. ილია საკულტო ფიგურაა ქართული საზოგადოების თითქმის ყველა სეგმენტისთვის. როგორც ფართო საზოგადოებრივ დონეზე, ასევე

ინტელექტუალურ წრეებში, ბევრს საუბრობენ მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, თუმცა, ილია ჭავჭავაძის საყოველთაო აღიარება არ არის საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველი. ჯგუფებს, რომელთათვისაც ილია საკულტო მოღვაწეა, სრულიად განსხვავებული ხედვები აქვთ საქართველოს სახელმწიფოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ერის მშენებლობის ფორმები, საზოგადოების განვითარების მოდელები და მიმართულებები, საგარეო-პოლიტიკური კურსი და სხვა. მეხსიერების კვლევების პერსპექტივიდან ილია ჭავჭავაძის ფენომენის შესწავლა იმ მხრივ არის საინტერესო, რომ მისი სახელი ერთ-ერთი ყველაზე მანიპულირებადია საქართველოს უახლეს ისტორიაში. მისადმი დამოკიდებულება რამდენჯერმე რადიკალურად შეიცვალა ამ პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური რეჟიმების/კონტექსტების ვითარების ცვლილებასთან ერთად. კვლევის მიზანია მეხსიერების თეორიების პერსპექტივიდან ილია ჭავჭავაძის სახელთან დაკავშირებული ნარატივების დინამიკაში გაანალიზება, იმის ჩვენება, თუ როგორ ტრანსფორმირდა ეროვნული ფიგურა მეხსიერების ადგილად და როგორ ჩადგა სოციალისტური იდეოლოგიის სამსახურში. გამოკვლევის ძირითადი ამოცანაა ნარატივების ბრძოლის ანალიზი, რომელიც, საბოლოოდ, მკაცრ იდეოლოგიურ ჩარჩოში მოქცეული მეხსიერების ოფიციალური პოლიტიკის სრული ტრიუმფით დასრულდა.

3. ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს ქართველ ებრაელთა იდენტობის ერთგვარად გაორებული იდენტობის ევოლუცია მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში. სტატია ყურადღებას ამახვილებს 1910-იანი წლების პერიოდზე, როდესაც ქართველ ებრაელთა იდენტობის ნაციონალური და რელიგიური განზომილებები ჩამოყალიბდა. ნაშრომში გაანალიზებულია ქართველ ებრაელთა იდენტობის სამი ურთიერთდაპირისპირებული მოდელი და ის ფაქტორები, რომელთაც მათი ჩამოყალიბება განაპირობა. სტატიაში ასევე განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921) საკანონმდებლო ლივრცეში მიმდინარე დისკუსია ქართველ ებრაელთა იდენტობის შესახებ.

4. 1980-იანი წლების ბოლოდან, ქვეყნის დამოუკიდებლობა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში აღმოცენებული ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მიზანი გახდა. მიზნის მიღწევისა და სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ, 1990-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ქართული საზოგადოებისთვის ურთულეს გამოწვევად იქცა. საბჭოთა სისტემის დეკონსტრუქციის პროცესში, ქართველებმა იდენტობის ახალი კონსტრუქციისა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის ძიება დაიწყეს. ამ დროიდან, იდეამ ქართველთა ევროპული წარმოშობისა და დასავლეთთან მჭიდრო კავშირის შესახებ მყარად მოიკიდა ფეხი საჯარო და აკადემიურ სივრცეებში (Coene 2016: 31) „ევროპელობის“ იდეა ჯერ კიდევ თამაშობს ერთ-ერთ საკვანძო როლს ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში, თუმცა, დასავლეთისადმი დამოკიდებულება არ არის ცალსახად პოზიტიური. პოლიტიკურ დონეზე ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პარალელურად, რომელიც ქართული ნაციონალური პროექტის ძირითად გზავნილად იქცა, დასავლეთისადმი შიშმა და უნდობლობამ თანდათან დაიპყრო ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი. სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები დასავლეთის დემონიზებას ახდენენ, თუმცა, ახლო წარსულისგან განსხვავებით, ამჯერად „დასავლელი დემონი“ არა „საბჭოთა სამშობლოს“, არამედ დიდი ისტორიის მქონე, ტრადიციულ, ორთოდოქსულ ქვეყანას ემუქრება. ნაშრომი მიზნად ისახავს ორი განსხვავებული, დაპირისპირებული და, ამავე დროს, მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებული ტენდენციის შესწავლას საქართველოს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში.

5. სტატიაში განხილულია რამდენიმე საკითხი: ქართული საზოგადოების განვითარების პერსპექტივები განსხვავებულ ისტორიულ რეალობაში - რომანოვების და საბჭოთა რუსული იმპერიების ბატონობის დროს, ახალი ქართული საზოგადოების იდენტიფიკაციის პროცესები და მისი თავისებურებანი. განხილულია იდენტობის პროცესების დინამიკა და სტრუქტურების ჩამოყალიბება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მიმდინარე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ფონზე. იდენტობის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება გარდამავალ ეპოქებში. რუსეთმა დაარღვია ქართული პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და კულტურული იდენტობა. მთელი XIX საუკუნე მიმდინარეობდა ქართველი ერის ბრძოლა დამოუკიდებლობის აღსადგენად. მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკამ დააჩქარა ქართველების რუსიფიკაციის პროცესი და მათი ინტეგრაცია რუსულ სახელმწიფო ინსტიტუტებში. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ სხვა სიბრტყეში გადაინაცვლა. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქართველების და საქართველოს ადგილისა და როლის ძიების საკითხი. ქართველმა მოღვაწეებმა კარგად აუღეს ალღო შექმნილ სიტუაციას და სწორად განსაზღვრეს ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები და სირთულეები. დასახეს მომავალი განვითარებისთვის საჭიროა და აუცილებელი გეგმები,რომელთა განხორციელება გარანტი იქნებოდა ქვეყნის ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად განვითარებისა. საქართველოს განვითარების ვექტორი შეიცვალა 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ, როდესაც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაცია-ანექსია, რის შედეგადაც შეფერხდა, საერთოდაც შეწყდა ეროვნული განვითარება; მოხდა ქართული საზოგადოების დეგრადაცია და ტრანსფორმაცია.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნინო ჩიქოვანი
2. ნინო ჩიქოვანი
3. ნინო ჩიქოვანი, ქეთევან კაკიტელაშვილი
4. ქეთევან კაკიტელაშვილი
5. ქეთევან კაკიტელაშვილი
6. ქეთევან კაკიტელაშვილი
7. ივანე წერეთელი
8. ივანე წერეთელი
9. ივანე წერეთელი
10. ივანე წერეთელი
11. ირაკლი ჩხაიძე
12. ირაკლი ჩხაიძე
13. მაია ქვრივიშვილი
14. მაია ქვრივიშვილი

2) მოხსენების სათაური

1. თბილისის ომი და სამოქალაქო დაპირისპირება: ჰერმეტულად დალუქული ნარატივები.

2. „დრო, რომელშიც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, იმ ღამეს დაიწყო“.
3. ქართეველ ებრაელთა იდენტობის საკითხი XIX საუკუნის მიწურულის საქართველოში.
4. ყოველდღიურობა როგორც ტრავმა: 1990-იანი წლების საქართველოს მაგალითი.
5. ებრაული იდენტობა საქართველოში საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ.
6. აღმსარებლობა და ეთნიკურობა: ქართველ ებრაელთა და ქართველ მუსლიმთა იდენტობის კონსტრუირების მოდელები.
7. 90-იანების ტრავმა, როგორც წარსულის გააზრების პარადიგმა.
8. საქართველოს ანექსია და საბჭოთა წარსული, როგორც კულტურული ტრავმა.
9. მეხსიერება თუ ნოსტალგია? საბჭოთა წარსული ქართულ მხატვრულ ტექსტებში.
10. „ტრანზიციაში დაკარგულები“: სოციალიზმის ნოსტალგია თანამედროვე საქართველოში.
11. ეროვნული პოპულიზმის და დასავლეთი თანამედროვე საქართველოში.
12. დასავლეთი როგორც „ცარიელი აღმნიშვნელი“: პოპულიზმი თანამედროვე საქართველოში.
13. დღესასწაულის, როგორც მეხსიერების ადგილის როლი იდენტიფიკაციის პროცესში.
14. სამოქალაქო ომი საქართველოში: მეხსიერების ფუნქციური არეები.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტ, XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი. თბილისი, 5-6 ივლისი, 2021.
2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოლონიური და პოსტკოლონიური მემკვიდრეობა: წარსული, აწმყო და მომავალი“ (კონფერენცია ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავს). თბილისი, 9-10 დეკემბერი, 2021.
3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კოტე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი. თბილისი, 20-22 დეკემბერი, 2021.
4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები“, 23-24 აპრილი, 2021, თბილისი.
5. ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ“, 27-29 მაისი, 2021, თბილისი.
6. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი. 5-6 ივლისი, 2021, თბილისი.
7. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები“, 23-24 აპრილი, 2021, თბილისი.
8. ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ“, 27-29 მაისი, 2021, თბილისი
9. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი. 5-6 ივლისი, 2021, თბილისი

10. თბილისის მუზეუმების გაერთიანების მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ქართული კულტურა და XX საუკუნე" თბილისი, საქართველო, 2021 წლის 6 და 7 დეკემბერი.
11. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტ, XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი. თბილისი, 5-6 ივლისი, 2021.
12. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კოლონიური და პოსტკოლონიური მემკვიდრეობა: წარსული, აწმყო და მომავალი" (კონფერენცია ეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავს). თბილისი, 9-10 დეკემბერი, 2021.
13. აბრეშუმის გზის მე-16 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია, 2021 14-15 ოქტომბერი 2021წ, თბილისი. www.silkroad.ibsu.edu.ge
14. XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, 5-6 ივლისი 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. დეკემბრის ბოლოს თეზისები გამოქვეყნდება თსუ გამომცემლობის მიერ მომზადებულ კრებულში.

2. ნაშრომი ეხება 1989 წლის 9 აპრილს, როგორც მოვლენას, რომელმაც შეარყია საბჭოთა სისტემის ფარგლებში მცხოვრები საქართველოს საზოგადოების ცხოვრება და დიდი ხნით განსაზღვრა საზიარო მეხსიერება და იდენტობა. ამგვარ ხდომილებას, რომელიც, როგორც წესი, უკიდურესი ძალადობით არის გამოწვეული და რომელიც ცენტრალურ ადგილს იჭერს ეროვნულ მეხსიერებაში, ალეიდა ასმანი პარადიგმულ მოვლენას უწოდებს. მისი „კულტურული გადამუშავება" ხდება საისტორიო და მხატვრულ, მემუარულ და დოკუმენტურ ლიტერატურაში, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში; შედეგად, ყალიბდება კულტურულ ნიმუშზე დაფუძნებული ნარატივი, რომელიც განსაზღვრავს მოვლენის მნიშვნელობას და მის ემოციურ დატვირთვას. ნაშრომში შესწავლილია 9 აპრილის ნარატივი, რომელშიც თავი მოიყარა ტრავმისა და ტრიუმფის ელემენტებმა; რეზონანსი, რომელმაც განსაზღვრა მნემონიკური ხიდის გადება 9 აპრილსა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლასთან დაკავშირებულ რამდენიმე მოვლენას შორის, რამაც განამტკიცა ისტორიული განგრძობადობის განცდა. შესწავლილია, როგორ განსაზღვრა 9 აპრილმა არა მხოლოდ წარსულის კონკრეტული ფაქტების მნიშვნელობა, არამედ იქცა მომავალი ისტორიისა და მეხსიერების ათვლის წერტილად; როგორ განაპირობა პარადიგმულმა მოვლენამ რუსთაველის გამზირის კონკრეტული მონაკვეთის ჩამოყალიბება პარადიგმულ სივრცედ, სადაც იწერება საქართველოს თანამედროვე ისტორია. კვლევა ემყარება 9 აპრილთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ემპირიული მასალის ანალიზს, რომელიც გააზრებულია კოლექტიური მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის თეორიათა ჭრილში.

3. სტატიაში გაანალიზებულია ქართველ ებრაელთა იდენტობის ჩამოყალიბების ადრეული ეტაპი ამ პროცესის ძირითადი თავისებურებების გამოკვეთის მიზნით. ნაშრომში ნაჩვენებია თუ როგორ აღიქმებოდა ებრაული თემი, მისი როლი და სამომავლო პერსპექტივა საქართველოში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი იმპერიულ სივრცეებში ეთნიკური, კულტურული და რელიგიური იდენტობების ფორმირების პერიოდია. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოშიც; აქტუალიზდა ქართული იდენტობის განსაზღვრის საკითხი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ ვართ ჩვენ - ქართველები, ვინ არიან სხვები, სად და რა ნიშნით გადის ზღვარი ჩვენსა და სხვას შორის, ვინ და რა

ნიშნით შეიძლება იყოს ზღვარს შიგნით ან მის მიღმა. იდენტობის ფორმირება თავისთავად რთული და კომპლექსური პროცესია. საქართველოში საკითხის პრობლემურობას განაპირობებდა როგორც საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური სიჭრელე, ასევე თავად ქართველი ეთნიკური ჯგუფის რელიგიური არაერთგვაროვნება. ქართული იდენტობის განსაზღვრა გულისხმობდა, ერთი მხრივ, ქართველთა ერთობის გამოკვეთას, მეორე მხრივ კი, ამ ერთობის სხვა ეთნიკურ-რელიგიურ ერთობებთან მიმართების ჩამოყალიბებას. შესაბამისად, ნაციონალიზმის ეპოქის საქართველოში წინ წამოიწია სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების იდენტობის განსაზღვრის პრობლემამ. სწორედ ამ კონტექსტში გახდა აქტუალური საქართველოში მცხოვრები ქართულენოვანი ებრაელების იდენტობის, ქართულ იდენტობასთან მისი მიმართების საკითხი. იდენტობის კვლევების ჭრილში გაანალიზებულია გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული მრავალფეროვანი ტექსტები. ისინი, უმთავრესად, ქართულ პერსპექტივას გამოხატავენ, რამდენადაც ამ პერიოდში ებრაელი ავტორების პუბლიკაციები გამონაკლისის სახით გვხვდება.

4. კოლექტიური ტრავმის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად გარდამტეხი სოციალური ცვლილებები მიიჩნევა. საქართველოში ამგვარი ტრავმატოგენური ცვლილებების ხანა იყო 1980-იანი წლების მიწურულისა და 1990-იან წლების პოსტკომუნისტური ტრანზიციული პერიოდი, რომელიც აღინიშნა ზღვრული, გარდამავალი მდგომარეობით ერთი, ნგრევის პროცესში მყოფი სისტემიდან მეორე - ჯერ კიდევ შეუმდგარი რეალობისაკენ. ნაშრომის მიზანია, კოლექტიური ტრავმის თეორიის ჭრილში გააანალიზოს აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ყოველდღიური და ინდივიდუალური განზომილება და წარმოაჩინოს, თუ როგორ გავლენას ახდენდა გარდამტეხი ცვლილებები რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე, მათ (თვით)განცდაზე, განწყობაზე, მსოფლხედვასა და იდენტობაზე; როგორ აღიბეჭდა ეს დრო იმ თაობის მეხსიერებაში და როგორ აფასებენ ისინი 1990-იან წლებსს უკვე დაახლოებით სამი ათწლეულის გადასახედიდან. ნაშრომში გაანალიზებულია ზეპირი ისტორიები, ტელეგადაცემები, ბლოგები, სოციალური მედია, 90-იანი წლების ამსახველი დოკუმენტური ვიდეომასალა, პუბლიკაციები და სხვა წყაროები, რომლებიც ასახავს 90-იანი წლების მოვლენებსა და ყოველდღიურ ყოფას, მათ იმდროინდელ და რეტროსპექტიულ აღქმას, ადამიანების ემოციებსა და განწყობებს. მრავალფეროვანი ემპირიული მასალა ცხადყოფს, რომ 1990-იანი წლების გამოცდილება კოლექტიური ტრავმის ნიმუშია: მას მიენიჭა მატრამვირებელი მნიშვნელობა, რომელიც გაძლიერდა კომუნიკაციის პროცესში და განზოგადებული ფორმით დამკვიდრდა საჯარო სივრცეში, რაც მოვლენის ტრავმად ჩამოყალიბების წინაპირობაა. 1990-იანი წლების საქართველოს მაგალითი ზუსტად შეესაბამება ტრანზიციული კოლექტიური ტრავმის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს. ემპირიული მასალის საფუძველზე ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ კონსტრუირდა 90-იანი წლების ტრავმული ეთოსი: როგორ მოიცვა შიშმა, სასოწარკვეთამ, დაუცველობის, დაბნეულობის და უპერსპექტივობის დამთრგუნველმა განცდამ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, რომლებიც უეცრად მოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტების, მომძლავრებული კრიმინალისა და სოციალური სიდუხჭირის პირისპირ აღმოჩნდნენ; როგორ გართულდა მათთვის საკუთარი ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა გარემოში, რომელთანაც შეუთავსებელი აღმოჩნდა მათი ღირებულებათა სისტემა და მორალური პრინციპები.

5. ნაშრომი მიზნად ისახავს ებრაული იდენტობის კონსტრუირების გაანალიზებას საბჭოთა პერიოდის საქართველოში 1920-1930-იან წლებში. 1920-იან წლების დასაწყისში კორენიზაცია-ნატივიზაციის საბჭოთა პოლიტიკა შეცვალა ინტერნაციონალიზმის ახალმა იდეოლოგიამ, რომლის მიზანი ერთიანი საბჭოთა ხალხის ფორმირება იყო. 1920-იანი წლების დასაწყისში ებრაული იდენტობის გაძლიერებისკენ მიმართული მოძრაობა თანდათან მინელდა. 1920-იანი წლების ბოლოსა და 1930-იანი წლების დასაწყისისათვის ებრაული იდენტობის ფორმირების პროცესში ახალი

მიმართულება იჩენს თავს, რომელიც საბჭოთა ებრაელის ფორმირებისაკენ იყო მიმართული. ეს იდეა ნათლად არის ასახული 1931 წლის გაზეთ „კომუნისტის“ ერთ-ერთ სტატიაში, სადაც აღნიშნულია, რომ „აქ დაიბადა ახალი ადამიანი: ებრაელი მუშა, ებრაელი გლეხი“. საბჭოთა საქართველოში შეიქმნა რამდენიმე ებრაული ორგანიზაცია, ასევე ებრაული კოლმეურნეობები. ახალი კოლმეურნეობების ასაშენებლად შერჩეული იყო არა ტრადიციული ებრაული დასახლებები, არამედ სხვა, ახალი ტერიტორიები, სადაც ხდებოდა ებრაელთა გადასახლება და მათი სასოფლო სამეურნეო სფეროში დასაქმება. ახალი პოლიტიკის მიზანი ებრაელთა ცხოვრებაში „ახალი ეპოქის“ დასაწყისად მიიჩნეოდა. ეს გულისხმობდა ებრაელთა „კულტურული ჩამორჩენილობის“ დაძლევას, ტრადიციული ცხოვრების წესის რადიკალურ ცვლილებას. ეს ცვლილება ორი გზით უნდა განხორციელებულიყო: პირველი იყო ებრაელების გამიჯვნა ერთი მხრივ, სინაგოგებისაგან, ხოლო მეორე მხრივ - ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობისაგან. ვაჭრობა, რომელიც ტრადიციულად ებრაელთა საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენდა, საბჭოთა იდეოლოგიის თანახმად, არალეგალური იყო და რეაქციულ ხასიათს ატარებდა.

6. მოხსენებაში განხილულია საქართველოში ნაციონალური იდენტობის ფორმირების ადრეული ეტაპი. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ფაქტორების ურთიერთმიმართების საკითხზე ქართული ნაციონალური იდენტობის განსაზღვრის პროცესში. საქართველოში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აქტუალიზებული ეთნიკური, რელიგიური და კულტურული იდენტობების განსაზღვრის პროცესში დისკუსია უმთავრესად ფოკუსირებული იყო შემდეგ კითხვებზე: ვინ ვართ ჩვენ, ქართველები? ვინ არიან სხვები? რომელი ფაქტორები/მარკერები განსაზღვრავენ მიჯნას ჩვენსა და მათ შორის? ვინ და რის საფუძველში უნდა იყოს მიჩნეული როგორც ჩვენიანი და სხვა? იდენტობის კონსტრუირება კომპლექსური პროცესია. საქართველოს შემთხვევაში ეს პროცესი კიდევ უფრო პრობლემატური იყო ქვეყნის ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების და, განსაკუთრებით, ქართული ეთნიკური ჯგუფის რელიგიური მრავალფეროვნების გამო. ამგვარად, არამართლმადიდებელი ქართველების ნაციონალური მიკუთვნებულობა განსაკუთრებით აქტუალური საკითხი იყო. გარდა ქართველი მუსლიმების, კათოლიკეები დად გრიგორიანებისა, ქართველი ებრაელების საკითხიც აქტიური განხილვის საგანი იყო. ამ კონტექსტში რელიგიის მნიშვნელობა ნაციონალური იდენტობის განსაზღვრაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. სანაცვლოდ ყურადღება გამახვილდა საერთო ისტორიული გამოცდილებისა და კულტურულ ფაქტორებზე (ენა, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები). კვლევა ეყრდნობა მე-19-20 საუკუნეების მიჯნის მრავალფეროვან საგაზეთო პუბლიკაციებს, რადგან იმ პერიოდისათვის გაზეთი ასახავდა არა მხოლოდ ინტელექტუალთა თვალთახედვას, არამედ წარმოაჩენდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ტენდენციებს.

7. ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია.

8. შესწავლილმა მხატვრულმა ტექსტებმა მრავალი კუთხით, ბევრი წახნაგით წარმოაჩინა და ემოციურად მისაწვდომი გახადა 90-იანების სამყარო: იმდროინდელი ცხოვრება, განცდები და განწყობები, სიხარული და ტკივილი, სიყვარული და სიძულვილი, მოლოდინი და იმედგაცრუება. ამასთანავე, ამ ტექსტებმა ეპოქის კრიტიკული გააზრების შესაძლებლობა მოგვცა. კვლევამ მკაფიოდ დაგვანახა 1990-იანი წლები როგორც გამარჯვების ტრავმა, რომლის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თავად ამ ნაწარმოებებმა. 90-იანების სამყაროს კანონებითა და თამაშის წესებით განპირობებული ფაბულა მოგზაურობს ტექსტიდან ტექსტში და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. სხვა მედიებთან ერთად და, შესაძლოა, მათზე უფრო მკაფიოდაც, მხატვრულმა ტექსტებმა წარმოაჩინა 9 აპრილი როგორც ტრიუმფისა და ტრავმის მომცველი, მკაფიოდ განსაზღვრული და

კონსტრუირებული მოვლენა. მისგან განსხვავებით, სამოქალაქო ომი არაარტიკულირებულ, ჩამოუყალიბებელ მოვლენას დარჩა, რომლის სახელწოდებაზეც კი არ არის საზოგადოებაში კონსენსუსი. 9 აპრილი, გარდა 9 მარტის გაცოცხლებისა, ხდება მთლიანად წარსულის გადააზრების ახალი პარადიგმა. დამოუკიდებლობის შემდგომ ლიტერატურულ და ცხოვრების მთხრობელ ტექსტებში წარსული ახლებურადაა გააზრებული.

9. ნოსტალგია არა მხოლოდ წარსული მოვლენების გალამაზებული მოგონებაა, რაც ადამიანებმა „სინამდვილეში“ განიცადეს, არამედ სოციალური კონსტრუქცია და თხრობაა ამ წარსულის შესახებ. ავტორი საუბრობს "მეორადი ნოსტალგიაზე", იგი სხვისი ნოსტალგიური მოთხრობებიდან მიღებული, ნასესხები, "მოპარული" განცდაა, ისეთივე ძლიერი, დამაჯერებელი, ისეთივე "ავთენტური" შეიძლება იყოს, როგორც "პირველადი ნოსტალგია". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინმეს შეუძლია იგრძნოს ნოსტალგია გარკვეული პერიოდის გასვილის შემდეგაც, მაშინაც კი, თუ მან ეს სინამდვილეში არ განიცადა. წარსულის პოზიტიური გამოსახულებები დღეს ადვილად მიიღება პოპულარული ისტორიის, მედიის, პოლიტიკური რიტორიკისა და სხვა საზოგადოებრივი დისკურსიდან და არა მხოლოდ "ცოცხალი" გამოცდილებიდან.

10. ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა ვისაუბროთ საქართველოში საბჭოთა წარსულისადმი ნოსტალგიური სენტიმენტების არსებობის შესახებ? სად ჩანს, როგორ გამოიხატება და რატომ უნდა არსებობდეს საბჭოთა წარსულისადმი ნოსტალგიური დამოკიდებულება თანამედროვე ეტაპზე. როგორც აღმოჩნდა, წარსულისადმი ნოსტალგიური დამოკიდებულება არ არის მხოლოდ ქართული საოზგადოების ექსკლუზივი და ის ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ამ პრობლემის გააზრებისათვის განვიხილეთ სლოვენიელი მკვლევრის, ლუბლიანას უნივერსიტეტის პროფესორის მიტია ველიკონიას სტატია სათაურით „ტრანზიციაში დაკარგულები: სოციალიზმის ნოსტალგია პსოტ-სოციალისტურ ქვეყნებში“. შევეცდები ველიკონიას თეორიულ მსჯელობაზე დაყრდნობით ქართულ რეალობაში საბჭოთა წარსულისადმი ნოსტალგიური დამოიკიდებულების გამოხატულების რამდენიმე მაგალითი ვაჩვენო, ვანოხოთ შეიძლება თუ არა საბჭოტა ნოსტალგიაზე საქართელოში საუბარი და მსჯელობა.

11. 1980-იანი წლების ბოლოდან, ქვეყნის დამოუკიდებლობა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში აღმოცენებული ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მიზანი გახდა. მიზნის მიღწევისა და სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ, 1990-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ქართული საზოგადოებისთვის ურთულეს გამოწვევად იქცა. საბჭოთა სისტემის დეკონსტრუქციის პროცესში, ქართველებმა იდენტობის ახალი კონსტრუქციისა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის ძიება დაიწყეს. ამ დროიდან, იდეამ ქართველთა ევროპული წარმოშობისა და დასავლეთთან მჭიდრო კავშირის შესახებ მყარად მოიკიდა ფეხი საჯარო და აკადემიურ სივრცეებში (Coene 2016: 31) „ევროპელობის“ იდეა ჯერ კიდევ თამაშობს ერთ-ერთ საკვანძო როლს ქართული იდენტობის ფორმირების პროცესში, თუმცა, დასავლეთისადმი დამოკიდებულება არ არის ცალსახად პოზიტიური. პოლიტიკურ დონეზე ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პარალელურად, რომელიც ქართული ნაციონალური პროექტის ძირითად გზავნილად იქცა, დასავლეთისადმი შიშმა და უნდობლობამ თანდათან დაიპყრო ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილი. სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები დასავლეთის დემონიზებას ახდენენ, თუმცა, ახლო წარსულისგან განსხვავებით, ამჯერად „დასავლელი დემონი“ არა „საბჭოთა სამშობლოს“, არამედ დიდი ისტორიის მქონე, ტრადიციულ, ორთოდოქსულ ქვეყანას ემუქრება. ნაშრომი მიზნად ისახავს ორი განსხვავებული, დაპირისპირებული და, ამავე დროს,

მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებული ტენდენციის შესწავლას საქართველოს პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში.

12. დეკემბრის ბოლოს თეზისები გამოქვეყნდება თსუ გამომცემლობის მიერ მომზადებულ კრებულში.

13. მოხსენება გამოქვეყნებულია.

14. ნაშრომის მიზანია საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის - სამოქალაქო ომის გააზრება, მეხსიერების ფუნქციური არეების საშუალებით. ამ თვალსაზრისით, ჩვენ შევეცადეთ, გავცნობოდით და გაგვეანალიზებინა სამოქალაქო ომის "მეხსიერების ადგილები", კონკრეტულად კი სატელევიზიო სივრცე. წარსულის აღქმა და მეხსიერების ფორმირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, და შესაბამისად, დროში ცვალებადია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ "წარსულის ხსოვნა აწმყო იდენტობას განსაზღვრავს".
ისევე როგორც კანზასში, არიზონაში, ნებრასკასა თუ ტექსასში მონტანას ტერიტო რიაზე საზღვრის ეპოქის დასასრული რამდენიმე ფაქტორის ერთობლიობამ განაპირობა: მომთაბარე ინდიელთა რეზერვაციაში დასახლება, აღმოსავლეთ შტატებთან დამაკავში რე ბელი საკომუნიკაციო სისტემის განვითარება, ბიზონების ჯოგების გაქრობა, სატრანს პორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, მონტანაში – რკინიგზის, შემდეგ კი ავტომობილის გამოჩენა, რელიგიური და საგანმანათლებლო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, სოფლის მეურნეობის განვითარება, ტერიტორიის ეკონომიკური განვითარება. თუმცა, სპეციფიკური გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, მონტანაში საზღვრის გაქრობის პროცესი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა. სტატიაში გაანალიზებულია მონტანას ტერიტორიაზე საზღვრის გაქრობის პროცესის ძირითადი თავისებურებები. მონატანს სახით ძველი დასავლეთის უკანასკნელ, ყველაზე შორეულ რეგიონშიც წარსულს ჩაჰბარდა საზღვრის ეპოქა, რაც, თავისთავად, მთლიანად ამერიკის დასავლეთის ისტორიაში დიდი გარდატეხის დასაწყისი იყო.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1.
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1.
2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.
2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

5) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ვასილ კაჭარავა
2. ელენე მეძმარიაშვილი
3.ელენე მეძმარიაშვილი
4. მიხეილ ბარნოვი
5.თემურ კობახიძე

2) მოხსენების სათაური
1. ე.შევარდნაძე და რ.რეიგანის ადმინსტრაცია, საბჭოთა დიპლომატიის ახალი სახე
2. მელანია ტრამპი - შეერთებული შტატების პირველი ქალბატონი
3. ქალთა საკითხები დამოუკიდებელი საქართველოს განათლების სისტემაში (ისტორიის სწავლების მაგალითით)
4. ცხენების გატაცება ამერიკის დაბლობის ინდიელთა ყოველდღიურობაში
5. ,,უილიამ ფოლკნერის „ხმაურსა და მძვინვარების“ შექსპირული ასოციაციები “

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 2021 წლის 15-18 მაისი, ამერიკისმცოდნეობის 22-ე საერთაშორისო კონფერენცია.
2. 2021 წლის 15-18 მაისი, ამერიკისმცოდნეობის 22-ე საერთაშორისო კონფერენცია.
3. დეკემბერი, თსუ, ახალი და უახლესი ისტორიის ინსტიტუტის კონფერენცია.
4. 2021 წლის 15-18 მაისი, ამერიკისმცოდნეობის 22-ე საერთაშორისო კონფერენცია.
5. 2021 წლის 15-18 მაისი, ამერიკისმცოდნეობის 22-ე საერთაშორისო კონფერენცია.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ე.შევარდნაძე და რ.რეიგანის ადმინსტრაცია, საბჭოთა დიპლომატიის ახალი სახე

მოხსენებაში განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ედუარდ შევარდნაძის დანიშვნის შედეგად ამერიკა-სსრკ-ს ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებები. გაანალიზებულ იქნა შევარდნაძისა და რეიგანის დიპლომატიური ურთიერთობების ძირითადი ასპექტები და ის, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ ე.შევარდნაძე საბჭოთა დიპლომატიის ახალ სახედ.

ელენე მეძმარიაშვილი

1. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/konf2020saboloo.pdf
2. https://dspace.tsu.ge/handle/123456789/841

ცხენების გატაცება ამერიკის დაბლობის ინდიელთა ყოველდღიურობაში

მიხეილ ბარნოვი

მოხსენებაში ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ და ვიზუალურ მასალაზე, ასევე ინდიელთა ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით განხორციელდა შაიენების ტრადიციული ცოხვრების რეკონსტრუქცია. შეძლებისდაგვარად გაცოცხლებული იქნა 1860-70-აინი წლების ინდიელთა სოციალური რეალობა, ანუ ამერიკის დიდი ვაკეების მომთაბარეთა ცხოვრების ბოლო ათწლეული. შაიენების ტრადიციულ კულტურაში ცხენის კულტურა გაანალიზებულ იქნა შიგნიდან, ემიკური პოზიციიდან. მოხსენებაში განხილული იქნა ცხენის კულტურასთან დაკავშირებული ინდიელთა მორალურ-ეთიკურ ღირებულებები, მათი და მსოფლმხედველობა, კოსმოლოგია, დამოკიდებულება გარემსაყაროსადმი, ინდიელთა მიერ მიწისა და საცხოვრებელი სივრცის აღქმის თავისებურებები. აქცენტი გაკეთდა შაიენების კულტურაში ტრადიციული ოჯახის მნიშვნელობაზე.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ელენე მეძმარიაშვილი
2. თემურ კობახიძე

2) მოხსენების სათაური

1. ისტორიის სწავლების პრობლემები საქართველოში
2. ,,შიში და ძრწოლა ტ.ს.ელიოტის „სუინი აგონისტში“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2-3 დეკემბერი, სტრასბურგი, საფრანგეთი, ევროსაბჭო, ევროპაში ისტორიის სწავლების ობსერვატორია.
2. დეუსტოს უნივერსიტეტი, ბილბაო, ესპანეთი. 2021 მარტი (ზუმით).

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ელენე მეძმარიაშვილი

ისტორიის სწავლების პრობლემები საქართველოში

2021-2022 - გარდამავალი პროექტი, DVV International-ისა და კოებერის ფონდის დაფინანსებული: ისტორიის კონკურსი 5 ქვეყანაში, ისტორიის მასწავლებელთა ტრენინგი თემაზე: გენდერი და ქალთა საკითხები დამოუკიდებელი საქართველოს განათლების სისტემაში. სიახლეები ისტორიის სწავლებაში.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის პუბლიკაციის სია
(2021წელი)

1. ვასილ კაჭარავა, რონალდ რეიგანის ადმინისტრაცია და პოლონეთის კრიზისი,„ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“,1 (25), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2021 თსუ გამომცემლობა, თბილისი, ISSN 1512-3154 გვ. 177-191.
2. ვასილ კაჭარავა, რონალდ და ნენსი რეიგანები ნარკოტიკების წინააღმდეგ, ამერიკის შესწავლის საკითხები, ტომი 8 თსუ გამომცემლობა, თბილისი, ISSN 1512-1585 გვ. 185-191.
3. ელენე მეძმარიაშვი, ლიტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკა ქალთა საკითხებში 2017-2019. ამერიკის შესწავლის საკითხები, ტომი 8 თსუ გამომცემლობა, თბილისი, ISSN 1512-1585, გვ.
4. 371-380
5. მიხეილ ბარნოვი, საზღვრის გაქრობა მონტანაში (1864-1889) ამერიკის შესწავლის საკითხები, ტომი 8, თსუ გამომცემლობა, თბილისი, ISSN 1512-1585, გვ. 121-133.
6. თემურ კობახიძე, ,,მითოპოეტიკური სივრცე და გზის მითოლოგემა ჯოზეფ კონრადის ნოველაში „წყვდიადის გული“ ჟურნალი „სჯანი“ N22 თბილისი გვ.130-160.
7. თემურ კობახიძე, „უნაყოფო მიწის“ სიმბოლური ხატი.“წიგნი „პოემა ბარაქიან მიწაზე“, რედ. როსტომ ჩხეიძე თბილისი, ჩვენი მწერლობა გვ.24-37.

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - - -

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით -

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი - პროფ. დარეჯან გარდავაძე

არაბისტიკის კათედრა

1. დარეჯან გარდავაძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
2. მაია ანდრონიკაშვილი – ასოცირებული პროფესორი
3. ნინო ეჯიბაძე – ასოცირებული პროფესორი
4. გიორგი ლობჟანიძე – ასოცირებული პროფესორი
5. მარიამ ნანობაშვილი – ასოცირებული პროფესორი
6. ხათუნა თუმანიშვილი - ასოცირებული პროფესორი
7. ნინო დოლიძე – ასისტენტ პროფესორი

ირანისტიკის კათედრა

8. თეა შურღაია – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
9. მარინე ალექსიძე – ასოცირებული პროფესორი
10. ფატმან ანთაძე-მალაშხია – ასოცირებული პროფესორი
11. მანანა კვაჭაძე – ასოცირებული პროფესორი
12. მზია ბურჯანაძე – ასოცირებული პროფესორი

თურქოლოგიის კათედრა

12. მარიკა ჯიქია – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
13. ელისაბედ ბჟალავა – ასოცირებული პროფესორი
14.ნანული კაჭარავა – ასოცირებული პროფესორი
15.ქეთევან ლორთქიფანიძე – ასოცირებული პროფესორი
16. მზისა ზუსკივაძე – ასისტენტ პროფესორი

ებრაისტიკა–არამეისტიკის კათედრა

17.მარიამ ჩაჩიბაია – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
18.მამუკა ბუცხრიკიძე – ასოცირებული პროფესორი

არმენოლოგიის კათედრა

19.ნათია ჩანტლაძე – ასოცირებული პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
20.დალი ჩიტუნაშვილი – ასოცირებული პროფესორი

ასირიოლოგიის კათედრა

21.ირინე ტატიშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
22. ნინო სამსონია – ასოცირებული პროფესორი
23.მაია ღამბაშიძე – ასოცირებული პროფესორი

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა

24. გიული ალასანია – პროფესორი
25. ნანი გელოვანი – პროფესორი
26. ნანა გელაშვილი – ასოცირებული პროფესორი
27. მირიან მახარაძე – ასოცირებული პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. ორი ოსმალური დავთარი და დოკუმენტები ბათუმის შესახებ; ქართველოლოგია, FR-19-7386
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2020-2023
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. 1.ზაზა შაშიკაძე (ხელმძღვანელი) დავთრებზე მუშაობა; 2.მირიან მახარაძე (კოორდინატორი) სხვადასხვა ფონდებში დოკუმენტებზე მუშაობა; 3.ალკაზარ კაშია (ახალგაზრდა მეცნიერი) თურქულენოვანი მასალის თარგმნა დამუშავება.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტის ორი ოსმალური დავთარი და დოკუმენტები ბათუმის შესახებ დაიწყო 2020 წელს და მთავრდება 2023 წელს. მიზანს წარმოადგენს 1700-იან წლებში შედგენილი ორი უმნიშვნელოვანესი ოსმალური ხელნაწერი დოკუმენტის - ,,ბათუმის სადროშოს ვრცელი და მოკლე დავთრების“ მეცნიერული დამუშავება - გაშიფვრა, თარგმნა, აკადემიური კვლევა და მონოგრაფიად გამოცემა. დოკუმენტები ინახება ანკარის მიწის და კადასტრის მთავარი სამმართველოს არქივში. მათი ასლები დაცულია სტამბოლში, პრეზიდენტის საარქივო სამმართველოს ოსმალურ არქივში. ბათუმი ოსმალეთის იმპერიაში ცალკე სადროშოს სახით იყო გაერთიანებული. იგი სხვადასხვა დროს ვილაიეთის ცენტრიც იყო. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მოცემულ პერიოდში ბათუმის სადროშო, დღევანდელი ქალაქის და მიმდებარე ტერიტორიების (დღევანდელი აჭარის 20-მდე სოფელი) გარდა შედიოდა ისტორიული ჭანეთიც. დოკუმენტები შეიცავს დიდი რაოდენობით ვრცელ ჩანაწერს, რომელთა წაკითხვა, თარგმნა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ნათელს მოჰფენს ბათუმის და მთელი რეგიონის ისტორიის ისეთ საკითხებს, რომელიც დღემდე უცნობია ქართული საზოგადოებისათვის. მათი გამოქვეყნება უთუოდ პირველწყარო იქნება საკითხით დაინტერესებულ პირთათვის. პროექტის ფარგლებში 2021 წელს გაიშიფრა და ითარგმნა ორივე ოსმალური დავთარი. ამავე დროს მოეწყო მივლინება სტამბულის ოსმალურ არქივში, სადაც მოძიებული იქნა დოკუმენტები XVII საუკუნის ბათუმის შესახებ. მზადდება სტატია XVII საუკუნის ბათუმის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ოსმალური დავთრების მიხედვით.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. XVI-XVIII საუკუნეების ახალციხე-არტანუჯის რეგიონი ოსმალური დავთრების მიხედვით ქართველოლოგია; FR 17_230
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2017-2021
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. მირიან მახარაძე (ხელმძღვანელი) დავთრებზე და ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეზე მუშაობა; ნოდარ შენგელია (კოორდინატორი) დავთრებზე მუშაობა); ნინო სურმავა (ახალგაზრდა მეცნიერი). ოსმალურში არაბული შესატყვისების თარგმნა.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტის მიზანს წარმოადგენდა XVI-XVIII საუკუნის ახალციხე-არტანუჯის რეგიონის უცნობი ოსმალური დავთრების თარგმნა, გამოკვლევა და გამოქვეყნება. ამავე დროს პროექტის მიზანს წარმოადგენდა ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეების თარგმნა და გამოქვეყნება. თავდაპირველად პროექტით გათვალისწინებული იყო ორი მონოგრაფიის გამოცემა, თუმცაღა მუშაობის პერიოდში აუცილებელი გახდა, რომ მესამე მონოგრაფიაც გამოცემულიყო. პროექტის ორ მონოგრაფიაში მომზადდა და გამოიცა სემდეგი დავთრები: 1. არტანუჯის ლივის აღწერის ვრცელი დავთარი. აღნიშნული დავთარი სიაქათის ხელითაა შესრულებული და განეკუთვნება XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს. არტანუჯის აღწერის ვრცელ დავტარში გაერთიანებულია არტანუჯის, ტაოსკარის, ფასინისა და იშხნის ნაჰიეები. და დასახელებულია 200-ზე მეტი სოფელი, მათი კომლობრივი რაოდენობა და ოსმალური გადასახადები; 2. ბათუმის ლივის აღწერის ვრცელი დავთარი. აღნიშნულ დავთარზე შედგენის თარიღი მითითებულია, კერძოდ 1704 წლის სექტემბერი. ბათუმის ლივა სედგება ათინას, არხოვას, ლაზის, გონიოს და ჰემშინის ნაჰიეებისაგან. ბათუმის ლივის აღწერის ვრცელ დავთარში დასახელებულია 500-ზე მეტი სოფელი, ამ სოფლების კომლობრივი რაოდენობა და ოსმალური გადასახადები. არტანუჯისა და ბათუმის ლივის აღწერის ვრცელი დავთრები გამოვიდა ერთ მონოგრაფიად. მონოგრაფია შედგება შესავალი ნაწილისგან, ქართული თარგმნისგან, გაშიფრული ოსმალური ტექსტისგან და დედანისგან. მონოგრაფიას ტან ახლავს ინგლისური რეზიუმე. აღნიშნული მონოგრაფიის გვერდების რაოდენობაა 816; 3.თორთუმის ლივის აღწერის ვრცელი დავთარი. წყარო სავარაუდოდ XVII საუკუნისაა და ინახება ანკარის თაფუსა და კადასტრის არქივში. თორთუმის ლივის აღწერის ვრცელი დავთარი შედგება თორთუმის სოფლებისგან, ლასქავის, აჰჩერექის, ხახულის (ხახოს) ნაჰიეებისგან თორთუმის ლივის აღწერის ვრცელ დავთარში დასახელებულია 300-ზე მეტი სოფელი, ამ სოფლების კომლობრივი რაოდენობა და ოსმალური გადასახადები. 4; სპერის (ისპირის) ლივის აღწერის მოკლე დავთარი XVII საუკუნის წყაროა. აღნიშნულ დავთარში რეგისტრირებულია 280-მდე თიმარი. 5. ფასინის ლივის აღწერის მოკლე დავთარი XVI საუკუნის წყაროა. აღნიშნულ დავთარში შვიდი ზიამეთი და 79 თიმარია მოხსენიენული. 6.აჭარის ლივის აღწერის ვრცელი დავთარი XVI საუკუნის მეორე ნახევრის წყაროა. აღნიშნულ წყაროში შედის ზემო და ქვემო აჭარის ნაჰიეები. ზემო აჭარის ნაჰიეში შესულია 59 სოფელი, ხოლო ქვემო აჭარის ნაჰიეში 35 სოფელი. 7. არტანუჯის მოკლე /იჯმალ/ დავთარი XVII საუკუნის წყაროა, თუმცარა მასზე გვხვდება XIX საუკუნის 30-იანი წლების მინაწერებიც. 8 ახალციხის ლივის აღწერის მეციხოვნეთა /მუსთაჰფაზების/ მოკლე დავთარი XVII საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება მასში გადმოცემულია მეციხოვნეთა კუთვნილი სოფლები დაახლოებით 300. თორთუმის, სპერის, ფასინის, აჭარის, არტანუჯის მოკლე და ახალციხის მეციხოვნეთა დავთარი გამოვიდა ცალკე მონოგრაფიად. მონოგრაფია შედგება შესავალი ნაწილისგან, ქართული თარგმნისგან, გაშიფრული

ოსმალური ტექსტისგან და დედანისგან. მონოგრაფიას თან ახლავს ინგლისური რეზიუმე. აღნიშნული მონოგრაფიის გვერდების რაოდენობაა 888.

ცალკე მონოგრაფიად გამოვიდა ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად განსაზღვრული იყო თურქეტის რესპუბლიკაში ქალაქ ანკარაში ვაყუფების არქივში დაცული 602 შიფრით ცნობილი 1562/63 წლის დოკუმენტზე მუშაობა, თუმცაღა კვლევის შედეგად აღმოჩნდა სტამბულის არქივში დაცული ამავე წლის მოკლე ვაყუფ-ნამე და 1979 წლის ლალა მუსტაფა ფასას ვაყუფ ნამე, გარდა ამისა პირად არქივში მივაკვლიეთ სოფელ დოლოგანის აღწერასაც, რომელიც ეკუთვნოდა ვაყუფს, ამიტომ ყველა ეს დოკუმენტი ვთარგმნეთ და გამოვიკვლიეთ და ერთ მონოგრაფიად შევკარით. მონოგრაფია შედგება 268 გვერდისგან.

გარდა ზემოხსენებული მონოგრაფიისა პროექტის ფარგლებში გამოიცა ორი სტატია ერთი ადგილობრივ და მეორე საერთაშორისო ჟურნალში. პროექტის ფარგლებში პროექტის ხელმძღვანელმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. შარჯას წიგნის საერთაშორისო ბაზრობის მთარგმნელობითი პროგრამის "არაბული ლიტერატურა უცხოურ თარგმანებში" გრანტი
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2020-2021 წწ.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. დარეჯან გარდავაძე (მთარგმნელი, აკადემიური წინასიტყვაობის ავტორი); გამომცემლობა „ინტელექტი“ (გამომცემელი).
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. გამოიცა ქართულ ენაზე თანამედროვე ლიბანელი და სირიელი ავტორების რომანების აკადემიური თარგმანები ვრცელი წინასიტყვაობით:
   იმან ჰუმაიდან იუნისი, ველური თუთა (რომანი). არაბულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო დარეჯან გარდავაძემ. გამომცემლობა „ინტელექტი“, 154 გვ.
   ხალიფ ხალიფა, სიკვდილი მძიმე შრომაა (რომანი). არაბულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო დარეჯან გარდავაძემ. გამომცემლობა „ინტელექტი“, 248 გვ.
2.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები
1. ნანი გელოვანი
2. გიული ალასანია
3. მირიან მახარაძე, ზაზა შაშიკაძე
4. გიორგი ლობჟანიძე
5. დალი ჩიტუნაშვილი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. თბილისის მუსლიმური თემი (1801-1917) - ISBN 978-9941-8-3335-9
2. ფარსადან გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება (რედაქტორი-გონელი არახამია)
3. ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ ISBN 9789941269547

4. ჯალალ ედ-დინ რუმი. არსთა მესნევი. წიგნი მეორე. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჟანიძემ/ტექსტოლოგიური კვლევა/ ISBN 978-9941-30-724-9
5. ექვთიმე მთაწმიდელი, მცირე სჯნაქსარი, ტექსტი, გამოკვლევა და სამეცნიერო აპარატი მოამზადა დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი, 2021, ISBN 978-9941-9745-4-0

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, გამომცემლობა - კოლორი.
2. თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი.
3. თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი და გამომცემლობა Orient-ი.
4. გამომცემლობა „სულაკაურის გამომცემლობა“, თბილისი.
5. თბილისი. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

4) გვერდების რაოდენობა

1. 637 გვ.
2. 470გვ.
3.268 გვ.
4.541 გვ.
5.231გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კონფესიის სოციალურ-სამართლებრივი სტატუსი — რელიგიის ინსტიტუციონალიზაციის მთავარი ასპექტია, რადგანაც ის განსაზღვრავს რელიგიისა და საზოგადოების, რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს. წინამდებარე ნაშრომში ის განხილულია ორი ასპექტით: ერთი მხრივ, განხილულია რუსეთის იმპერიის კონფესიური პოლიტიკა სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში და სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციის ურთიერთობის სხვადასხვა ფორმები რეგიონის მუსლიმ სასულიერო წოდებასთან, ხოლო მეორე მხრივ, გაანალიზებულია თბილისის მუსლიმური თემისა და ისლამური ინსტიტუტების საქმიანობა. წინამდებარე ნაშრომში მონოგრაფიულადაა შესწავლილი 1801-1917 წლებში თბილისის მუსლიმური თემის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი: ა) რუსეთის კონფესიური პოლიტიკა და თბილისში ამიერკავკასიის მუსლიმთა (შიიტური და სუნიტური) სასულიერო მმართველობების ჩამოყალიბება და საქმიანობა. განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია რუსული ხელისუფლების ურთიერთობაზე რეგიონის მუსლიმური საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილთან — სასულიერო წოდებასთან და გამოვლენილია არსებითი პრობლემები ამ ურთიერთობის პროცესში. ბ) თბილისის მუსლიმური თემი /სოციო-კულტურული და კონფესიური სპეციფიკა; მუსლიმი მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები; სპარსული თემი; აზერბაიჯანული თემი: ტერმინების („აზერბაიჯანი“, „აზერბაიჯანელი“, „თათარი“, „აზერბაიჯანელი თურქები“) ურთიერთმიმართება, აზერბაიჯანული პრესა თბილისში (1832-1917), 1905 წლის სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი, 1905-1907 წლების რუსეთის რევოლუცია და აზერბაიჯანული თემი; თბილისის მეჩეთები: ისტორიის რეპრეზენტაცია; გორხანა: მუსლიმთა სასაფლო); ისლამური დღესასწაულები და თბილისის მუსლიმური თემი/. გ) თბილისის მუსლიმური სასწავლებლები: რუსეთის იმპერიის საგანმანთლებლო პოლიტიკა და თბილისის მუსლიმური თემი; შიიტური და სუნიტური მუსლიმური სასწავლებლები; შიიტური სემინარია; სუნიტური მუსლიმური საქველმოქმედო სასწავლებელი; გორის სამასწავლებლო სემინარიის აზერბაიჯანული განყოფილება, როგორც ძირითადი ცენტრი მასწავლებელთა მოსამზადებლად; სპარსული სკოლა; მუსლიმ ქალთა განათლება და ძირითადი სასწავლებლები (სასწავლო პროგრამები, სასწავლო-მეთოდური მასალები და სხვ.);
ნაშრომი ეყრდნობა ძირითადად საარქივო მასალებს (200-ზე მეტი დოკუმენტი), რომელთა დიდი ნაწილი პირველად შემოგვაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში.

2. XVII საუკუნის ქართეველი მემატიანის ისტორიული ნაშრომი. ფარსადან გორგიჯანიძის “ისტორიის” პირველი სამი ნაწილი, რომელიც მოიცავს პერიოდს ქრისტიანობის გავრცელებიდან XVII საუკუნის 60-იან წლებამდე, კომპილაციური ხასიათისაა. მისი წერისას ავტორს გამოუყენებია ზეპირგადმოცემები, ქართული, სპარსული და სომხური წყაროები. ფარსადან გორგიჯანიძის “ისტორიის” შედარებამ თამარის ისტორიკოსის შრომასთან (“ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი”) და “ასწლოვან მატიანესთან” გამოავლინა მთელი რიგი ისეთი წაკითხვები, რომლებიც “ქართლის ცხოვრების” ბევრად უფრო ძველი და სრული ნუსხიდან მომდინარეობენ, ვიდრე ჩვენთვის ცნობილი ნუსხებია. ამდენად, მის “ისტორიას” რიგ შემთხვევაში პირველწყაროს მნიშვნელობაც კი ენიჭება. გორგიჯანიძის “ისტორია” 1694 წლის პირველ ნახევარზე წყდება. განსაკუთრებით ღირებულია XVII ს-ის ისტორიის მისეული გადმოცემა – 1635-1695 წლების ამბები, თვითმხილველისა და პროირანული ორიენტაციის მქონე ისტორკოსის მიერ ასახული მოვლენები. გორგიჯანიძის თხზულებაში მნიშვნელოვანი ცნობებია წარმოდგენილი ირანის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიიდან. ავტორი წერდა ხალხური, ბუნებრივი კილოთი, საინტერესოდ, ხშირად საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოადგენდა ისტორიულ ფაქტებს. მკვლევართა აზრით, თავისი პროფესიონალიზმით, პირუთვნელობითა და ობიექტურობით იგი არ ჩამოუვარდებოდა თანადროული სპარსელ ისტორიკოსებ და XVIII საუკუნის ევროპული იდტირიოგრაფიის სიმაღლეზე იდგა.

3. ლალა მუსტაფა ფაშას მრავალფეროვანი კარიერული ცხოვრებიდან ჩვენთვის საინტერესოა არზრუმის ბეგლარბეგობის წლები, როდესაც მან ააშენა მეჩეთი და ვაყუფებად შესწირა მრავალი ქართული სოფელი და მიწა-წყალი, რასაც ეძღვნება ჩვენი ნაშრომი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ვაყუფნამეს პირველი ნაწილი თარიღდება 1563 (ჰიჯრით 971) წლით. მისი ძირითადი ტექსტი არაბულია 1952 წელს ლათინური შრიფტით გაათურქულა ოსმან ქესქიოღლუმ. ინახება თურქეთის რესპუბლიკის ვაყუფების გენერალური სამმართველოს ვაყუფთა სარეგისტრაციო განყოფილებაში, რიგის ნომრით - 608. მისი ქართული თარგმანი შეასრულა მირიან მახარაძემ. ქართულ თარგმანში დაზუსტებულია ტოპონიმიკა, რომელიც ქესქიოღლუს ძირითადად არასწორი ფორმებით აქვს წაკითხული.

სტამბოლის საპრეზიდენტო საარქივო სამმართველოს (Presidensy of the Republic of Turkey Directorate of State Archives) ოსმალურ არქივში Ev. VKF, Dosya 20, Gömlek 16/1, 16/2 შიფრით დაცულია ორი ვაყუფნამე. მათი თარგმანი შეასრულა ზაზა შაშიკაძემ. პირველი მათგანი ორი ნაწილისგან შედგება. დათარიღებულია 1563 წლით და არის ზემოთ აღნიშნული, დოკუმენტის დანამატი/გადანაწერი. მასში დაცული ინფორმაცია მსგავსია, თუმცა პირველი ვარიანტი უფრო ვრცელი უნდა იყოს. სტამბოლის ვარიანტი ორიგინალი ხელნაწერი დოკუმენტია. ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი არაბულენოვანია და არ ხერხდება ანკარისეული გალათინირებულ და გათურქულებულ ტექსტთან შედარება. ამიტომაც, ჩვენ ნაშრომში მოგვაქვს ორივე ტექსტი. ვაყუფ-ნამეს ახლავს ცალკე საბუთი (16/3), რომელზეც მისი შემდგენლების და ვაყუფის შესყიდვის მოწმეებისა და თანამდებობის პირთა ხელმოწერები და ბეჭდებია დასმული.

დოკუმენტის შესავალში ნათქვამია, რომ 1563 წელს სულთან სულეიმანს ლალა მუსტაფა ფაშასთვის ქართველი ბეგების მფლობელობაში მყოფი ზოგიერთი ტერიტორიის შესყიდვისა და ვაყუფად ქცევის ნება დაურთავს. აქვე სულთანი მოითხოვს პირობას, რომ მიწების შესყიდვა უნდა მომხდარიყო მხოლოდ ორმხრივი თანხმობით. სამეფო და სხვა სავაყუფო მიწების ხელშეუხებლობაც ერთ-ერთი პირობათაგანი იყო. 1563 წლის ვაყუფ-ნამეში შესულია შავშეთ-მაჭახლის, აჭარის და ლივანის ტერიტორიაზე მდებარე სოფლები და მიწები, ანუ ის ტერიტორიები, რომელიც ამ დროს უკვე ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

როგორც ვაყუფ-ნამეს ტექსტიდან ირკვევა, მიწები მთლიანად ქართველი მფლობელებისგან არის შესყიდული, გარდა ტრაპიზონის ბაზარში მდებარე ათი მაღაზიისა, აქვე, ქალაქის მახლობლად მდებარე დეგირმენ დერესის სამი წისქვილისა და არზრუმში, იაყუთიეს მეჩეთის გვერდით მდებარე ბაზრის საწყობებისა. დოკუმენტში ყველა ვაყუფის საზღვრების ჩამოთვლისა და მისი მდებარეობის ლოკალიზაციას მოყვება თითქმის იდენტური ტექსტი, რომელიც გადმოგვცემს, რომ იგი მთელი თავისი კანონიერი უფლებით, ტერიტორიით და ა.შ. შესყიდულია ამა თუ იმ კონკრეტული პირის მიერ და მთლიანად ექვემდებარება მეჩეთს. შეყიდვა დამოწმებულია სანჯაყის, საბეგლარბეგოს ყადის და რომელიმე სხვა თანამდებობის პირის ხელმოწერით.

რაც შეეხება მეორე ვაყუფ-ნამეს, იგი 1579 (ჰიჯრით 87) წელს არის შედგენილი და მასში ძირითადად შეტანილია ის ვაყუფები, რომელიც ლალა მუსტაფა ფაშას ,,აღმოსავლეთის ლაშქრობის“ დროს დაპყრობილ ტერიტორიებზე მდებარეობს. წესისამებრ, ვაყუფ-ნამეებში მოცემული პირობების შეცვლა არ შეეძლო არცერთ ხელისუფალს, მაგრამ როგორც ჩანს დროთა განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა. ჩვენ წიგნში მოტანილი გვაქვს 1722 წლით დათარიღებული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც აჭარის ერთ-ერთი სოფელი დოლოგანი, რომელიც აღნიშნული მეჩეთის ვაყუფი იყო, აჭარის სანჯაყბეგმა გამოისყიდა. დოკუმენტის დედანი ინახება თავდგირიძეების ოჯახში.

საფიქრებელია, რომ ვაყუფ-ნამეების შედგენის დროს, სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე (ენობრივი სფეციფიკა, დოკუმენტის შედგენის ადგილი და სხვა), შესაძლებელია შევხვდეთ ზოგიერთ უზუსტობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ფასეულია. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დოკუმენტები ძალიან საინტერესოა მისი შედგენის პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესწავლის თვალსაზრისითაც. მათში ხშირად ვხვდებით ინფორმაციას მოვლენების, კონკრეტული პიროვნებების და სხვათა შესახებ, რაც დამოწმებულია აღნიშნული პერიოდის სხვა წყაროებითაც. ეს კი მათ უტყუარობაზე მეტყველებს.

4. ჯალალ ედ-დინ რუმის ეს წიგნი მეორე ნაწილია რუმის უმთავრესი ნაწარმოების, ექვსნაწილიანი პოემის – „არსთა მესნევისა“. არაბულ-სპარსული ლექსთწყობის, „არუდის“ სპეციფიკური სალექსო საზომის – „მასნავის“ – ფორმით შექმნილ ამ უკვდავ პოემას თავისი დიდი მნიშვნელობის გამო ზოგჯერ „სპარსულ ყურანადაც“ მოიხსენიებენ. ნაწარმოები აღმოსავლური (მუსლიმური) მისტიციზმის ნამდვილ ენციკლოპედიად გვევლინება და თავს უყრის მისი შექმნის დროისათვის ისლამურ სამყაროში წამოჭრილ ყველა მნიშვნელოვან სააზროვნო ტენდენციას. ამ ტენდენციათა გარკვევაში ქართველ მკითხველს თარგმანს თანდართული კომენტარები დაეხმარება.

5. ნაშრომი წარმოადგენს მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების ცნობილი ქართველი მოღვაწის ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „მცირე სვინაქსარის“ ტექსტის გამოცემას შესაბამისი სამეცნიერო აპარატით. ექვთიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „მცირე სჳნაქსარი“ კონსტანტინეპოლური საღვთისმსახურო პრაქტიკის ერთ-ერთი ადრეული ქართულად თარგმნილი ტექსტია, მისი შესწავლა კი მნიშვნელოვანია ქრისტიანული ლიტურგიკის ისტორიის გასააზრებლად. გამოცემაში შესწავლილია ექვთიმესეული კალენდარი გიორგი მთაწმიდელისა და პატმოსის სვინაქსარებთან მიმართებით, ასევე თარგმანში წარმოდგენილია სვინაქსარული ცხოვრებების, ჰიმნოგრაფიული მასალისა და წმინდა წერილის საკითხავების ტექსტოლოგიური კვლევა.

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

1.
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.
2.

4) გვერდების რაოდენობა

1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ხათუნა თუმანიშვილი
2. დალი ჩიტუნაშვილი
3. დალი ჩიტუნაშვილი/დ. გოგაშვილი/
4. ნათია ჩანტლაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. ანდაზის დეკოდირებისათვის სამეტყველო აქტში (სირიულდიალექტური არაბული და ქართული მასალის მაგალითზე); ჟურნალის DOI: https://doi.org/10.52340/idw
2. ხანმეტი ოთხთავის უცნობი ხელნაწერი, DOI:10.51.36.4/26679604.jcpr.2021.v02
3. კალკოსის სახარება, DOI:10.51.36.4/26679604.jcpr.2021.v02
4. ძველი სომხური წერილობითი წყაროები პეტრე იბერის შესახებ,ISBN: 978-9941-9730-7-9; DOI: 10.6084/m9.figshare.17693732

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. „კულტურათაშორისი დიალოგები“ . ტომი 6 (2021): შრომები (ენა და ენათმეცნიერება) ; E-ISSN 2667-999X; ISSN: 2233-3401; საიტი: https://journals.4science.ge/index.php/IDW
2. კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, II
3. კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, II
4. კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, II

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თელავი. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
3. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
4. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

5) გვერდების რაოდენობა

1. 8გვ.

2. 13 გვ. (320-333)
3. 11 გვ. (497-507).
4. 14გვ. (118-131).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ცნობილი მოვლენაა, რომ მოცემული ენობრივი კოლექტივის (კულტურის) ნებისმიერი მენტალურად სრულყოფილი წევრი ინტუიტიურ დონეზე განარჩევს ანდაზას სხვა ვერბალური ფორმებისაგან და დიდი განსწავლულობის გარეშე ფლობს მისი სწორად აღქმისა და გამოყენების „წესებს". მოცემული ჟანრის ეს მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც ანდაზის სიტუაციურ კონტექსტში ოპერირებისას კომუნიკატორთა ქვეცნობიერზე გადის, მეტად ართულებს ამ რაკურსით თეორიულ პლანში მის გააზრებას (მით უფრო, თუ სხვა კულტურის მონაცემებს ვეხებით). ამიტომ არის მნიშვნელოვანი ის ფაქტორი, რომ აქტუალიზაციისას კომუნიკატორებს აკავშირებთ საერთო ეთნოცნობიერებაში მოქცეული ,,გონებრივი ენა" - „Mental language" (რ. ჰასკელი) ამიტომ ესმით მათ ერთმანეთის „პარემიული ენა". სამეტყველო აქტში რეალიზებისას კი ამა თუ იმ ანდაზის ზედაპირული – ექსტერორეცეპტორული (I სასიგნალო სისტემა – ტექსტი, ფორმა) და სიღრმისეული – ინ-ტერორეცეპტორული (II სასიგნალო სისტემა – ქვეტექსტი, განზოგადებული მნიშვნელობა) სიგნალების მიღებით მოქმედებაში მოდის „თანახმიერ ცნობიერებაში" (ე. ბერნი) მოქცეულ კომუნიკატორთა თანდაყოლილი შემეცნებით-წარმოსახვითი უნარ-ჩვევები – განზოგადებული სიბრძნის გადატანა ტიპიურ სიტუაციაზე (მოცემულ სააზროვნო სივრცეში დადგენილი) სათანადო ლოგიკური მიმართებების გამჟღავნების გზით.

ანდაზა მოვლენათა სიღრმეებიდან არსებითის ზედაპირზე ამოტანას (სიღრმისეული სინამდვილის შემეცნებას) მასში (ცნებად) „ჩადებული" დასკვნის – საზოგადოდ გამოცდილი სიბრძნის საშუალებით ახორციელებს. ოპერირებისას ირთვება („ანალოგიურ აზროვნებაზე დაფუძნებული") მეტაფორული „ცნებითი ძრავა", რომლის სრულყოფილ ამუშავებას მხოლოდ „ორი საგნის კავშირი" (ივ. რიჩარდსი) ვერ უზრუნველყოფს. მისი დეკოდირების „ცოდნა" კომუნიკატორთაგან არა მხოლოდ „სენსორული აღქმის" (ხატის) დონეზე აზროვნებას (რაც, საკმარისია, მაგ., გამოცანის შემთხვევაში), არამედ, ცნებითი აზროვნების „უნარ-ჩვევებს" ითხოვს... მასში მოცემული მსჯელობა და დასკვნა, ცნებით ოპერირებას ეფუძნება. ანუ, ანდაზის (ფორმალური და აზრობრივი) ფაბულის კონსტრუქტი საგანთა და (გარკვეულ ცნებად ჩამოყალიბებულ) მოვლენათა ანალოგიებზე აგებული კავშირია.

ნაშრომში შეპირისპირებით-ტიპოლოგიურ პლანში გაანალიზებულია საერთო სემანტიკურ მოდელში მოქცეული არაბულ-ქართული აზრობრივი პარალელები. გააზრებულია, როგორ ხდება თითოეულში კოდირებული არსებითის ზედაპირზე ამოტანა. გამოვლენილია კონკრეტული აზრობრივი მოდელის ფორმირებაში თითოეული ეთნოსი რა გამოცდილებას ეყრდნობა (მისი ქვეცნობიერი რა გენეტიკური ინფორმაციის მატარებელია მოცემულ შემთხვევაში) – **ცნებითი აზროვნების** რა ანალოგიებზეა აგებული დეკოდირებისას მიმდინარე აზრმდებლობის პროცესი. შესაბამისად, რა სახის წარმოსახვით-ლოგიკურ მიმართებებს (საგანთა და მოვლენათა რა სახის კავშირებს) გვთავაზობს მოცემული ანდაზების კონსტრუქტი რადიკალურად განსხვავებულ ეთნოკულტურათა ჩარჩოებში.

არაბულენოვანი მაგალითები მოპოვებულია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ (სირიელი, ლიბანელი) ინფორმანტებისგან.

2. სტატიაში შესწავლილია დაღესტანში, მახაჭკალის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაცული ქართულ-არაბული პალიმფსესტი. პალიმფსესტის შესახებ ცნობილი გახდა 2013 წელს, მის შესასწავლად 2018 წელს სპეციალური ექსპედიცია შედგა დაღესტანში. 83 ფურცლისაგან შედგენილი პალიმფსესტის ქვედა ფენაში აღმოჩნდა ქართული ოთხთავის ხანმეტი ვერსია, რომელიც პალეოგრაფიული და ტექსტოლოგიური კვლევის მიხედვით მეექვსე საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. ტექსტოლოგიური თავლსაზრისით, ოთხთავის ნაწილი დგება ადიშური ოთხთავის რედაქციასთან, ლუკას სახარების ფრაგმენტები კი სრულიად განსხვავებულ თარგმანს წარმოადგენენ და მათი შესწავლა საინტერესოა ქართულად წმინდა წერილის თარგმნის ისტორიის თვალსაზრისით.

3. სტატიაში განხილულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მეცამეტე საუკუნის ხელნაწერი, კალკოსის ოთხთავი. ხელნაწერი გასული საუკუნის 90-იან წლებში შემოვიდა ქართულ ხელნაწერ ფონდში და მაშინვე მიიქცია სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება. ხელნაწერის არშიებზე დაცული ანდერძ-მინაწერები საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ხელნაწერის თავგადასავალს მისი შექმნის დღიდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე.

4. ჩვენს ნაშრომში განვიხილავთ სომხურ წერილობით წყაროებს, სადაც შემონახულია ცნობები პეტრე იბერის შესახებ. სირიულ და ქართულ წყაროებთან მათი შედარება-შეპირისპირებით კი გვინდა გამოვკვეთოთ ის ინფორმაცია, რომელიც დაცულია მხოლოდ სომხურ ტრადიციაში, ვნახოთ რით განსხვავდება ის სირიული პირველწყაროებისგან, შემდეგ კი დავსვათ საკითხი ამ განსხვავებათა გაჩენის მიზეზებზე.

სომხურ ენაზე ჩვენამდე მოაღწია მოკლე ბიოგრაფიულმა ცნობამ პეტრე იბერის და სომეხთა აღმსარებლობის მიმართ მისი დამოკიდებულების შესახებ, აგრეთვე „პლერიფორიების“ მოკლე რედაქციამ. ორივე მათგანი ერთად დასტურდება მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის“ სომხურ თარგმანში, ხოლო „პლერიფორიები“ აგრეთვე გვხვდება ცალკე თხზულებად საღვთისმეტყველო ხასიათის კრებულებში, როგორიცაა მაგ. „ეპისტოლეთა წიგნი“, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლური ფონდის სომხურ კოლექციაში დაცული Arm. 130 ხელნაწერი, აგრეთვე ერევნის მატენადარანის კოლექციის Mat. 686, Mat. 1290, Mat.1396, Mat. 1712, Mat. 1770, Mat. 6686, ხელნაწერები.

მიღებული შედეგების შუქზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომეხმა ავტორებმა პეტრე იბერი გაიცნეს მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის“ წყალობით, როგორც პალესტინაში მოღვაწე ქართველი უფლისწული, რომელიც არ უჭერდა მხარს ქალკედონის კრებას. სომხურ თარგმანში მათ კიდევ უფრო გააზვიადეს მისი ანტიქალკედონური პოზიცია, წარმოადგინეს კიდევ უფრო გავლენიან, მონოფიზიტობისათვის უფრო მეტად შეურიგებელ მებრძოლად და მიაწერეს მას სომეხთა, როგორც სამაგალითო მართლმადიდებლების, განსაკუთრებული პატივისცემა.

ჩვენი აზრით, ასეთი ცვლილებების მიზანი შემდეგია: XIII ს-ის ორმოციან წლებში საქართველო ჯერ კიდევ დომინირებს პოლიტიკურ ასპარეზზე, გარკვეულ ზეწოლას ახდენს სომეხთა ეკლესიაზე და ჩვენ ვაკვირდებით ქართულ-სომხური კონფესიური დავის მორიგ ეტაპს, რაზეც არა ერთი თანადროული სომხური თუ ქართული წყარო მოგვითხრობს. როდესაც მიქაელ ასურის „ჟამთააღმწერლობის“ სომეხი მთარგმნელი გებულობს მონოფიზიტთა დამცველ, აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის მეტად გავლენიან და პატივცემულ პირზე, ეროვნებით ქართველზე, თანაც სამეფო ოჯახის წარმომადგენელზე, ვფიქრობთ, რომ მან სცადა ამ ძლიერი არგუმენტის გამოყენება სომეხთა სარწმუნოების გასამართლებლად ქართველებთან კამათში, მით უფრო, თუ მან ისიც იცოდა, რომ ქართულმა ეკლესიამ სწორედ ამ დროს მოახდინა პეტრე იბერის კანონიზაცია - წმინდანად შერაცხა ის.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მირიან მახარაძე, ზაზა შაშიკაძე
2. მზისა ბუსკივაძე
3. ნინო სამსონია
4. მაია ღამბაშიძე
5. მაია ღამბაშიძე
6. მაია ღამბაშიძე
7. დარეჯან გარდავაძე
8. ნინო ეჯიბაძე
9. ხათუნა თუმანიშვილი

10. მარიამ ნანობაშვილი
11. ზ. ალექსიძე, ***დ. ჩიტუნაშვილი***
12. ხ. გაფრინდაშვილი, ***დ. ჩიტუნაშვილი***, ი.ხოსიტაშვილი
13. თეა შურღაია
14. თეა შურღაია
15. მზია ბურჯანაძე
16. მზია ბურჯანაძე
17. მარიკა ჯიქია
18. მარიკა ჯიქია, ნუცა წერეთელი
19.მარიკა ჯიქია
20. მარიკა ჯიქია
21. მარიკა ჯიქია
22. მარიკა ჯიქია
23. მარიკა ჯიქია
24. მარიკა ჯიქია
25. ნანი გელოვანი
26. გიული ალასანია
27. ნანა გელაშვილი
28. ნანა გელაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. სტამბოლის საპრეზიდენტო საარქივო სამმართველოს ოსმალურ არქივში დაცული საგადასახადო აღწერის დავთრები ქართული ტერიტორიების შესახებ. ISSN 249-285X
2. პოსტმოდერნისტული ელემენტები ელიფ შაფაქის რომანში „სიყვარულის ორმოცი წესი“ (ინტერტექსტუალობა, ორმაგი კოდირება, პლაგიატი, მოლაპარაკე სახელები, ISSN 2298-0377
3. ხორბლის უხვი მოსავლის მიღების შუამდინარული რიტუალის ინტერპრეტაციისთვის, ISSN 2298-0377
4. Who were the Proto-Georgians? ISSN: 2449-285X
5. ხეთური კანონები (თარგმანი, კომენტარი) ISSN: 2449-285X
6. ეგვიპტურ-ხეთური სამეფო წერილები. ISSN: 2298-0377
7. ლიბანის სამოქალაქო ომის თემაზე შექმნილი იმან ჰუმაიდანის რომანების პოეტიკა. ISSN 2720-7870
8. მრავლობითის ფორმათა სპეციფიკისთვის არაბულში, ISSN 2298-0377.
9. მცირე პარემიის კონსტრუირების ძირითად შემადგენელთა საკითხისათვის (არაბული ანდაზების კორპუსზე ქართული შესატყვისებით) - ISSN 1512-0694
10. ირანული გავლენა აბასიანთა ეპოქის არაბულ კულტურაზე, ISSN 2298–0377
11. ბიბლიოთეკები და წიგნების რეპერტუარი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში - ISBN 978-9941-9730-6-2
12. ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ (მატენადარანის ქართული ფრაგმენტების ფონდი) ISBN 978-9941-9730-6-2
13. მარინა ცვეტაევას ერთი ლექსის მასკულინური თარგმანი. ISSN 2720-7870
14. “ანდაზებისა და საანდაზო ლექსების ლოტო“. ISSN 1512-1941
15. ისლამური რევოლუცია და ირანელი ემიგრანტები ფარიბა ვაფის საბურველს მიღმა - ISSN: 2587-4780
16. გაგრძელება იქნება? (ფარიბა ვაფის რომანი „დასასრულის შემდეგ“) ISSN 2298-0377
17. ქართველებმა თებერვლის 26-ს ვამჯობინეთ 26 თებერვალი. ISSN 2346-8105
18. Integration of borrowings in Urum from Tsalka - ISSN 2298-0377
19. ნიკო სამადაშვილის პოეტური ქვეყნიერება. ISSN 1987-6823
20. başıaçık-ის ტიპის კომპოზიტები თურქულში. ISSN 2587-4780
21. ჯემალ აჯიაშვილის პოეტური მეტყველება, ISSN 1512-0473
22. თურქული წარმომავლობის *იალღუზი* ქართულსა და ოსურ ისტორიულ ანთროპონიმიაში

23. ფიცის კონცეპტის ერთი სახეობა ქართულსა და თურქულ ენებში ISSN 2667-9582
24. რამდენიმე არაბული ნასესხობის შესახებ თურქულში.
25. გოჩა ჯაფარიძის (1942-2020) სამეცნიერო მოღვაწეობა. ISSN 1987-7285
26. როდის გარდაიცვალა საქართველოს მეფე ბაგრატ V? ISSN 1987-7285
27. იაპონური კულტურა უძველეს ხანაში. ISSN 1312-06-94
28. უნდილაძეთა საგვარეულოს აღსასრული სეფიანთა ირანში სპარსულ წერილობით წაროთა შუქზე, ISSN 1987-95-63

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, VI, 2021
2. აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10
3. აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10
4. *History, Archaeology, Ethnology, N VI, 2021, საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი,*
5. History, Archaeology, Ethnology, N VI, 2021, საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი.
6. აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10.
7. რეცენზირებადი ჟურნალი (N1) „სამეცნიერო კვლევები: თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები“.
8. აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10.
9. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. ტომი XXXV.
10. აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10
11. ენრიკო გაბიძაშვილი 90
12. ენრიკო გაბიძაშვილი 90
13. რეცენზირებადი ჟურნალი (N1) „სამეცნიერო კვლევები: თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები“.
14. ცივილიზაციური ძიებანი, N19, 2021,
15. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XIII.
16. აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10.
17. ქართველური ენათმეცნიერება, VI – VII. ეძღვნება აკადემიკოსს აკაკი შანიძეს.2019 -2020.
18. აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10.
19. ლექსმცოდნეობა, XIII, 2021
20. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. XIII 2021
21. ენათმეცნიერების საკითხები, 2020 გრიფით 2021
22. ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები. კონფერენცია ეძღვნება იოანე იალღუზიძეს – მასალები. VII საერთაშორისო კონფერენცია.
23. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II(28)
24. ტიპოლოგიური ძიებანი, VIII , 2021.
25. საისტორიო კრებული. წელიწდეული, 8
26. საისტორიო კრებული. წელიწდეული, 8
27. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები #XXXV
28. ქართული წყაროთმცოდნეობა #XXIII

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2. თბილისი, თსუ გამომცემლობა
3. თბილისი, თსუ გამომცემლობა
4. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
6. თბილისი, თსუ გამომცემლობა
7. თბილისი, თსუ გამომცემლობა
8. თბილისი, თსუ გამომცემლობა
9. თბილისი, თსუ გამომცემლობა
10. თბილისი, თსუ გამომცემლობა
11. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
12. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
13. თბილისი, თსუ გამომცემლობა
14. თბილისი, თსუ გამომცემლობა
15. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
16. თბილისი, თსუ გამომცემლობა.
17. თბილისი, თსუ გამომცემლობა.
18. თბილისი, თსუ გამომცემლობა.
19. თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა
20. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
21. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2021
22. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2021
23. თბილისი. მერიდიანი 2021
24. თბილისი. ქართული აკადემიური წიგნი 2021
25.თბილისი, კოლორი, 2021.
26. თბილისი, კოლორი, 2021.
27. თბილისი, თსუ გამომცემლობა
28.თბილისი, შპს „პრინტჯეო“

5) გვერდების რაოდენობა

1. 14გვ.
2. 11გვ (56-66)
3.10 გვ. (188-197)
4.24 გვ.
5. 28 გვ.
6. 5 გვ.
7. 6 გვ.
8. 14 გვ. (გვ. 90-103).
9. 12 გვერდი (75-87)
10. 22გვ. 168-189
11. 7 გვ. (75-87)
12. 8 გვ. (475-483)
13. 17 გვ.: 107-113
14. 7 გვ.
15. გვ. 74-82.
16. გვ. 49-57
17. 10 გვერდი, 292 - 301
18. გვ.146-160.
19. 10 გვერდი, 209 - 218
20. 8 გვერდი, 66 -73
21. 7 გვერდი
22. 4 გვერდი, 396 -399

23. 8 გვერდი
24. 6 გვერდი
25. 20 გვ. (77-96).
26. 15 გვ. (178-192)
27. 56-69
28. 9 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. თურქეთის რესპუბლიკის არქივებში, მრავალი, სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებთან ერთად, დაცულია საგადასახადო მიზნით შედგენილი აღწერის ,,დავთრები“, რომელიც მოიცავს ისტორიულ ქართულ ტერიტორიებს. ზოგიერთი დოკუმენტის დედანი ინახება ანკარის მიწისა და კადასტრის სამმართველოს არქივში, თუმცა მათი ასლებიც, სხვებთან ერთად, თავმოყრილია სტამბოლის საპრეზიდენტო საარქივო სამმართველოს ოსმალურ არქივში.

დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ პირველი აღწერა აღნიშნულ ტერიტორიებზე ჩატარდა 1573/74 წელს. მათ შორისაა ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომელიც მოიცავს ისტორიულ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიებს - არტაანს, ტაოს, არტანუჯს და ლიგანის ხეობის ზედა ნაწილს. დოკუმენტს წინ დართული აქვს გურჯისტანის ვილაეთის ვრცელი ,,კანუნ-ნამე“. ამავე თარიღს ეკუთვნის ,,გურჯისტანის ვილაეთში“ შემავალი მცირე არტაანისა და ყარსის სადროშოებში და მცირე არტაანში შემავალი ზვარეს, ჩრდილის, ხოჯევანის და ყარსის სადროშოებში შემავალი ვერიშანის, დოშკაიას, ოლთისის, გერმუჩეკის ნაჰიეებში თიმართა გაცემის მოკლე დავთრები.

დავთრების ფონდში, 558 შიფრით დაცულია ,,ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“, რომელიც მოიცავს მდინარე აჭარისწყლის მთელ ხეობას. აქვეა ,,აჭარის ლივის მოკლე დავთარიც“.

1588 წლით დათარიღებული ყარსის, არტაანის, ქაღიზმანის გეჩმანის ლივების ხასების, ზეამეთების და თიმარების გაცემის მოკლე დავთარი 627 შიფრით არის დაცული. 1595 წლითაა დათარიღებული მამირვანის, მცირე არტაანისა და ყარსის ლივების მოსახლეობისა და მათი შემოსავლების აღრიცხვის ვრცელი დავთარი**.** აქვე გვხვდება 1139 შიფრით დაცული არტანუჯის ლივის ვრცელი დავთარი, რომელიც არტანუჯის ხეობის გარდა მოიცავს ტაოსკარს, იშხანს და კახისს.

ბათუმის შემოგარენისა და აღმოსავლეთ ჭანეთის ტერიტორიებს ეხება 1138 და 1140 შიფრით დაცული ვრცელი და მოკლე დავთრები, რომელიც შესაბამისად 1705 და 1706 წლებში არის შედგენილი.

1632 წლით არის დათარიღებული ყარსის, ზარუშადის, არტაანის, გეჩვანის და ქაღიზმანის სანჯაყების თიმარებისა და იჯარების აღმრიცხველი მოკლე დავთარი. ამავე ტერიტორიებს ეხება 807 შიფრით დაცული, 1678 წლის მცირე დავთარი.

ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი 1728 წლით დათარიღებული თბილისი ვილაეთის მოსახლეობისა და შემოსავლების აღწერის ვრცელი დავთრები.

სტატიაში ვრცლად არის წარმოდგენილი ინფორმაცია მოცემული დოკუმენტების შესახებ და საუბარია თუ რამდენად მნიშვნელოვანია ისინი ქართული (და არა მარტო) ისტორიოგრაფიისათვის.

2. ადამიანი პოსტმოდერნისტული ეპოქისადმი ეპისტემოლოგიურ დამოკიდებულებას ავლენს. იგი არკვევს, რა „მოუხერხოს“ ამ სამყაროს, როგორი დამოკიდებულება გამოიმუშაოს მის მიმართ. პოსტმოდერნისტული ლიტერატურა ზედმიწევნით ასახავს პოსტმოდერნისტული ეპოქის ადამიანის სულიერი კრიზისს. ეს სულიერი კრიზისი კი იმდენად მძაფრია, რომ იგი „ხსნის გზას“ გარდასულ დღეთა, გარდასულ მსოფლმხედველობათა და რწმენისა და ფილოსოფიის საუკეთესო გამოცდილებაში ეძებს. ამის ნათელი დასტური თანამედროვე ქალი ავტორის, ელიფ შაფაქის, შემოქმედებაა. ელიფ შაფაქი ლიტერატურულ სამყაროში 1980 წლიდან გამოჩნდა. მისი შემოქმედება თემატიკისა და მხატვრული-გამომსახველობითი ხერხების თვალსაზრისით მეტად საინტერესო კვლევის საგანია. მწერლის რომანები ერთგვარი სახის ისტორიაა, რომელიც, რეალური და ირეალური სამყაროს შეერთებით იქმნება. მწერლის შემოქმედებაში წარსულის, მოდერნიზაციის, გაუცხო-

ების, იდენტობის, ფილოსოფიის საკითხები მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ელიფ შაფაქის ბიოგრაფია, ისეთივე საინტერესოა, როგორც მისი შემოქმედება. ` რომანი სიყვარულის ორმოცი წესი~ სტრუქტურით სრულიად შეესაბამება პოსტმოდერნისტული რომანის სტილს.

3. ნაშრომში განვიხილავთ ძველ შუამდინარეთში არსებული საირიგაციო სისტემის მართვის ტრადიციას, ლურსმულ ტექსტებს, რომლებშიც არხების მმართველებად მეფეები გვევლინებიან. სანამ უშუალოდ ქ. ურუქის მეფის, ენმერქარის მიერ ჩატარებული საირიგაციო რიტუალის ახსნას შევეხებით, წარმოგიდგენთ ქ. ლარსას მეფის, რიმ-სინ I-ის წარწერას, ასევე ქ. ლაგაშის ენსის, ენთემენას აგურის წარწერას. ტექსტი მოგვითხრობს, თუ როგორ ახერხებდნენ შუამდინარეთის მკვიდრნი წყლის მარაგის შექმნას. ტექსტში ფიქსირდება აგური და ბიტუმი, რომლებიც წყალგამძლე მასალაა და დღესაც გამოიყენება ჰიდრო პროექტებისთვის.

არსებული სამეურნეო ტექსტები და მეფეთა წარწერები ცხადყოფენ, რომ შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოებს ჰქონდათ განვითარებული საირიგაციო სისტემები, რომელთაც სრულყოფილად მართავდნენ და წყლის დონესაც აკონტროლებდნენ. ტექსტებში მოხსენიებულია არხების ზედამხედველიც, რომელსაც – ***guggallum*** ეწოდებოდა. მიუხედავად მნიშვნელოვანი ფუნქციისა, ისინი იშვიათად გვხვდებიან ადმინისტრაციულ ტექსტებში. ლურსმულ ტექსტებში დაფიქსირებულია შემდეგი საირიგაციო ტერმინები: ***Ikum*** *(აქად.)* — 60/60 მეტრის კონსტრუქცია დამბებს და არხებს შორის; ***nag-kud*** *(აქად.)* — არხებთან არსებული მოგრძო აუზის ფორმის კონსტრუქცია (90 მეტრის სიგრძის და 2 მეტრის სიღრმის), იგივე რეზერვუარი;

ნაშრომში განხილული ტექსტები ენმერქარის შემდგომი პერიოდისაა. მათ ერთმანეთისაგან რამდენიმე საუკუნე აშორებს. არხების გაყვანისა და წყლის მართვის ცოდნის სათავეში კი ქ. ურუქის პირველი დინასტიის მეფეები უნდა მდგარიყვნენ. ნაშრომში განვიხილავთ შუმერული ეპოსის „ენმერქარი და არათას ბატონი“ ტექსტის 308-329 სტრიქონებს, რომლებიც უნდა აღწერდეს საირიგაციო რიტუალს, როდესაც მეფემ ურთულეს ამოცანას ასრულებს. ენმერქარი წარმოაჩენს ხორბლის მოყვანა-დანამვის უკიდეგანო შესაძლებლობებს ურუქში, რაც საირიგაციო სისტემის სრულყოფილ მართვას უკავშირდება. ტექსტის მიხედვით, მეფე ახერხებს საკმაოდ დიდი რაოდენობის ხორბლის დანამვას. თუმცა, აღნიშნული რიტუალის მეტაფორული ენიდან გამომდინარე, მაინც ბუნდოვანი რჩება, თუ როგორ აღწევს ენმერქარი ამ მიზანს.

განხილული ტექსტების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ენმერქარმა არხების „რეზერვუარის“ – ***Ikum***-ის წყალი გამოიყენა, რომლის შუმერული შესატყვისი ***-eg*** სწორედ ურუქის მეფეთა ეპოსებში ფიქსირდება. აქადური ***Ikum*** შეესატყვისება შუმერულ ***eg***-ს, რომელიც ითარგმნება, როგორც „დამბა“, „არხი“. ეს სიტყვა პირველად ენმერქარის მემკვიდრის, ლუგალბანდას ეპოსში ფიქსირდება იმავე მნიშვნელობით. ენმერქარმა გახსნა წყალი არხის ***Ikum***-იდან (იგივე შუმ. ***eg***), ანუ 60/60 მეტრის კონსტრუქციიდან და შეძლო მთელი წლის მოსავლის დანამვა. ამგვარად, ურუქის მეფემ ურთულესი ამოცანის შესრულება შეძლო.

ნაშრომში ასევე განვიხილავთ ლურსმულ ტესტებში დაფიქსირებულ საირიგაციო ტერმინს ***Nag-ku(d)***, რომელიც მოგრძო აუზის ფორმის კონსტრუქციად არის მიჩნეული. სიტყვის პირველი მარცვალი ***nag*** შუმერული ზმნაა, რომელიც „დალევას“, „სმას“ ნიშნავს და სასმელ წყალს, წყურვილის მოკვლას უკავშირდება. სიტყვის სემანტიკა შესაძლოა გვაძლევდეს უფლებას, რომ ტექსტის 310-ე სტრიქონის სიტყვები: „მეფემ შეუერთა ევფრატი ტიგროსს“ ამ რეზერვუარიდან წყლის გაშვებად მივიჩნიოთ, რომლის მართვაშიც ენმერქარი კარგად უნდა ყოფილიყო დახელოვნებული.

ნაშრომში შეჯამებულია ძვ.წ. III-II ათასწლეულის ლურსმულ ტექსტებში დაფიქსირებული საირიგაციო ტერმინები:

1. *ikum* (აქად.) (შუმ. Eg) — დამბებსა და არხებს შორის არსებული 60/60 მეტრის კონსტრუქცია;
2. *nag-ku(d)* (აქად.) — არხებთან არსებული მოგრძო აუზის ფორმის კონსტრუქცია (90 მეტრის სიგრძის და 2 მეტრის სიღრმის), რეზერვუარი.
3. *gugallum* - არხე ის მმართველი.

ენმერქარის რიტუალის ტექსტში უცნობი რჩება ორი ტერმინი: ***eš-da*** — წმინდა თასი, ჭურჭელი, რომლის მნიშვნელობა უცნობია და ***lidga*** — საზომი, სავარაუდოდ, მიწის. ერთი ცხადია, ორივე მათგანი უკავშირდება საირიგაციო საქმიანობას, შესაძლოა —არხების სადრენაჟო სისტემასაც, რაც არსებობდა შუამდინარეთის ქალაქ-სახელმწიფოებში, თუმცა ლურსმული ტექსტები არ გვინახავენ მათ აღწერილობას და, შესაბამისად, არც მათი მოხმარების წესს. სავარაუდოა, რომ ***eš-da*** და ***lidga*** მეფის საკრალური იარაღები იყო. ტექსტის მიხედვით, მეფე თავად დგამს ოქროს ***ეშდას*** ჭურჭლებს შორის და თვითონვე ამაგრებს ***ლიდგას*** მიწაზე. მათი მოხმარების საიდუმლოც მხოლოდ მეფეს უნდა სცოდნოდა.

4. ბოლო წლებში რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება გამოითქვა პროტო-ქართველების გენეტიკური წარმომავლობისა და მათი განსახლების შესახებ. სამწუხაროდ, ამ მოსაზრებების სიმრავლის გამო დაინტერესებული მკითხველი ვეღარ ხვდება,რომელს დაუჭიროს მხარი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული კვლევა სცილდება ყოველგვარ, უზუსტობას და გარკვეული დასკვნების გაკეთება მხოლოდ ფაქტების საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ შეიძლება. ჩვენი ნაშრომი მიზნად ისახავს პროტო-ქართველების წარმომავლობის ფაქტებზე დაფუძნებული კვლევის შედეგების ჩვენებას. ძველაღმოსავლური წყაროებისა და უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის შედეგად, ვფიქრობთ, შესაძლებელია ქართველურ ტომთა ეთნოგენეზისის შესახებ შემდეგი დასკვნის გამოტანა: გენეტიკურად მონათესავე ძველანატოლიურ და ქართველურ ტომთა (ძვ. წ. I ათასწლეულში ხათების, ქასქების, მუსქების, ძვ. წ. I ათასწლეულში კი - დაიაენი/დიაოხისა და კულხას და სხვ.) ურთიერთკავშირს საფუძვლად დაედო - და ეს კავშირი დიდად განაპირობა - მეტალურგიის საწარმო პროცესების (მადანმოპოვების, მადანდამუშავებისა და ლითონდამუშავების) ფართომასშტაბით განხორციელებამ, ასევე - ამ პროცესში როგორც აქ მცხოვრებ ტომთა, ასევე მეზობელ ეთნოსთა უშუალო თუ ნაწილობრივმა მონაწილეობამ და ერთიანი რელიგიურ-იდეოლოგიური სისტემის - ერთიანი კულტის წარმოქმნამ ქართველურ ტომთა სახლობის მთელ ტერიტორიაზე. შედეგად - ჩამოყალიბდა ერთიანი ცნობიერება, რამაც, ბუნებრივია, შექმნა კიდეც წინაპირობები მომდევნო პერიოდში კოლხეთისა და იბერიის სამეფოთა ჩამოყალიბებისათვის.
და თუ დავუშვებთ (და ამის საშუალებას უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენებიც გვაძლევს), რომ სწორედ ხათები და ქასქები (თუ საერთოდ, ერთიდაიგივე ხალხზე არ გვაქვს საუბარი) უნდა იყვნენ ე.წ. „პროტოკოლხები“, ხოლო მათ უშუალო მეზობლებს – მუსქებს ასევე მივიჩნევთ ქართველურ ეთნოსად, მაშინ საშუალება გვეძლევა ჩვენი ქვეყნის ისტორია ძვ. წ. XV საუკუნემდე დავაძველოთ.

5. მოცემულია ძველ ანატოლიაში (ამჟამინდელი თურქეთი) ძვ. წ. მე–2 ათასწლეულში მცხოვრები ხალხის – ხეთების კანონების კრებულის ქართული თარგმანი და კომენტარები.
ხეთები ამჟამინდელი თურქეთის ერთ-ერთი უძველესი ინდოევროპელი მოსახლენი იყვნენ, რომლებიც ცენტრალურ ანატოლიაში, კერძოდ კი, მდინარე ყიზილ–ირმაკის(ხეთური მარასანთია, ბერძნ. ჰალისი), ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის დასაწყისში გამოჩნდნენ და ძლიერი სამხედრო სახელმწიფო შექმნეს. ჩვენამდე მოაღწია ხეთების დედაქალაქ ხათუსაში(თან. ბოღაზქოი) ნაპოვნმა არაერთმა ლურსმნული დამწერლობით შესრულებულ მათიხის ფირფიტამ, რომელთა შორის გვხვდება როგორც ისტორიულ-პოლიტიკური, ასევე, ადმინისტრაციული, ლიტერატურული თუ რელიგიური შინაარსის ტექსტები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია–კანონთა კრებულები. ხეთური ტექსტების კატალოგის მიხედვით, ხეთური კანონების ფირფიტებს მინიჭებული აქვს 291 და 292 ნომრები (CTH 291, 292). ნაპოვნია ტექსტის რამდენიმე ვარიანტი, რომლებიც სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება: ტექსტის 4 ასლი იმპერიამდელი პერიოდით თარიღდება(დაახლ. ძვ. წ. 1650–1500); გვაქვს ასევე იმპერიის პერიოდის ასლები(ძვ. წ. 1500–1180).

6. რამსეს II-სა და ხათუსილი III-ს მმართველობის პერიოდში (ძვ. წ. XIV ს), ეგვიპტისა და ხეთების სამეფო კართა შორის ინტენსიური მიმოწერა მიმდინარეობდა. ადრესატები უმთავრესად, თვითონ ქვეყნის მმართველები იყვნენ, თუმცა, გვხვდება ასევე სამეფო კარის სხვა წარმომადგენელთა კორესპონდენციაც. წერილების უმეტესობა აღმოGჩენილია ხეთების დედაქალაქ ხათუსაში. ისინი დაწერილია მაშინდელ საერთაშორისო ენაზე – აქადურად, თუმცა, გვხვდება აგრეთვე დედოფალ ფუდუხეფას მიერ ხეთურად შედგენილი წერილი, რაც სავარაუდოდ, შემდგომში აქადურად უნდა თარგმნილიყო. წერილების მთავარი შინაარსი – ეგვიპტესა და ხეთებს შორის მშვიდობის და ძმობის

დამყარება იყო. მიმოწერა წინ უძღოდა დინასტიურ ქორწინებას, როდესაც რამსეს II-მ ცოლად შეირთო ხეთების მეფე ხათუსილი III-სა და დედოფალ ფუდუხეფას ქალიშვილი და ამით ამ ორ დიდ იმპერიას შორის სამუდამოდ განმტკიცდა ერთობა. შესაბამისად, ეს წერილები შინაარსობრივად ავსებენ ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული სახის წერილობით წყაროებს და ხელს გვიწყობენ ეგვიპტისა და ხეთების იმპერიის ურთიერთობის უფრო კონკრეტული სურათის დადგენაში.

7. არაბული ლიტერატურის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ იმან ჰუმაიდანი არის XX საუკუნის 70-იან წლებში ლიბანურ მწერლობაში დაწყებული ე.წ. ქალური რომანის ტრადიციების გამგრძელებელი – მწერლობის იმ ნაკადისა, რომელსაც გამოარჩევს თხრობის ახალი ტექნიკის, გამოხატვის ორიგინალური, ავთენტური ფორმების ძიება. ამ მწერალი ქალებისთვის ლიტერატურული პლატფორმა, მწერლობა, კერძოდ, რომანი კათარსისის ერთგვარ ფორმად იქცა, ომის გამოცდილება კი კალმის ხელში აღებისა და ცხოვრების ქაოსში საკუთარი პიროვნულობის ძიების საშუალებად. ეს იყო ერთგვარი ჰუმანისტური ნაკადი და მშვიდობიანი პროტესტი ომის ძალადობრივი, საშინელი სახის წინააღმდეგ. ბუნებრივია, ლიბანელ რომანისტ ქალთა ეს „ომის ლიტერატურა“ ტრადიციულ ფემინისტურ დისკურსსაც შეიცავს, სადაც გარკვეული გენდერული კონფიგურაციები, სექსუალობა და სექსუალური უფლებებიც გამოდის წინა პლანზე. ამ თვალსაზრისით იმან ჰუმაიდანი საკმაოდ რეალისტური ხედვით გამოირჩევა – გარდა საყოველთაო ნეგატივისა, ის ომს ცვლილებებისთვის ქმედით ფაქტორადაც აღიქვამს, როცა ტრადიციულად დაცული ღირებულებების ომის პირობებში დაუცველად ქცევა და რღვევა, სოციალური ნორმების ნგრევა გარკვეულწილად სიახლეებს უხსნის ხოლმე კარს, საზოგადოების რეკონსტრუქციისა და ნოვატორული ელემენტების შემოტანის საშუალებას იძლევა.

ბევრი ლიტერატურათმცოდნე და ლიტერატურის თეორეტიკოსი თანხმდება იმაზე, რომ ლიტერატურა, როგორც ასეთი, დიდწილად რეალობის ასახვაა და იმ ისტორიული და სოციო-კულტურული კონტექსტის გადმოცემა, რომელსაც ამ ლიტერატურის შემქმნელი ავტორები ეკუთვნიან. მწერალთა გარემო იმაზე ბევრად მეტს განსაზღვრავს ხოლმე მათ მწერლობაში, ვიდრე თავად აცნობიერებენ ამას წერისას. მართალია, მოდერნისტებისგან განსხვავებით, იმანი ჰუმაიდანის ყველა რომანი გამოკვეთილი სიუჟეტის მატარებელია, მაგრამ მოდერნისტული რომანის „ღია“ სტრუქტურა, დაუსრულებელი ფინალი, ციკლური დრო და მთავარ გმირთა განუწყვეტელი შინაგანი მონოლოგები მწერალს სწორედ მოდერნისტული ხელწერის ავტორად წარმოგვდგენს.

8. სტატიაში განხილულია არაბულ ენაში მრავლობითი რიცხვის ზოგიერთი ფორმის სპეციფიკა. შესავლის სახით, მოცემულია ერთზე მეტის აღმნიშვნელ ფორმებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის ავტორისეული გადააზრება, როგორც შემდგომში განხილული საკითხების ერთგვარი საბაზო ინფორმაცია, რომლის გათვალისწინებითაც გაიშლება მსჯელობა. კონკრეტულად, დადგენილია, რომ არაბულში ერთზე მეტის (resp. სიმრავლის) მარკერებად გამოიდიან: სონორი, გრძელი ხმოვანი, ან ამ ორი კომპონენტიდან ერთდროულად ერთზე მეტის შემცველი მარკერები.

სტატია კონცენტრირებულია ორი ძირითადი საკითხის გარშემო:

ა) ორობითისა და მრვალობითის ფორმათა ურთიერთმიმართების საკითხი პირის ნაცვალსახელებისა და ნაცვალსახელურ სუფიქსთა მონაცემების ბაზაზე. დადგენილია, რომ მხოლობითის ფორმები საფუძველს ქმნიან მრავლობითის ფორმებისთვის, და უკვე ისინი - საფუძველს ქმნიან ორობითი ფორმებისთვის: huwa > hum > humā, სხვა სიტყვებით, მხოლ. > მრავლ. > ორ. და არა ასე: მხოლ.> ორ. > მრავლ.

ბ) გაანალიზებულია ზემო ეგვიპტის მეტყველებაში ზმნურ ფორმებში ბოლოკიდური ჭარბი mīm-ის საკითხი. საბოლოოდ, მიღებულია დასკვნა, რომ ეს mīm-ი, რომელიც გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში შარბატოვის მიერ კვალიფიცირდა, როგორც ძველი სემიტური მიმაციის ნაშთი, წარმოადგენს სიმრავლის (ერთზე მეტობის) მარკერს. მეორე მხრივ, დანახულია თანხვედრა შარბატოვისეულ თეზისთან. საბოლოოდ, მიღებულია დასკვნა, რომ მრავლობითის გამომხატველი ბოლოკიდური -m ეგვიპტურ მეტყველებაში ზმნაში არის იგივე, რაც მრავლობითის გამომხატველი ბოლოკიდური -m სახელებში, მაგრამ მეორე მხრივ, ის ასევე შეიძლება ჩაითვალოს სემიტურ მიმაცია/ნუნაციად, რომელიც სემიტური ენების ზოგ ფორმაში გაუქმდა, ზოგში კი დღემდე შემორჩა, თუნდაც რედუცირებული სახით.

9. მცირე პარემიულ ჟანრებს შორის, ყველასათვის გასაგები, ერთი შეხედვით მარტივი და დახვეწილი ანდაზა საკმაოდ რთული სპეციფიკის პარემიას წარმოადგენს. ეს გარემოება ალბათ განპირობებულია ფაქტორთა იმ მრავალმხრივი სპექტრით, რომელიც უდაოდ მონაწილეობს მისი ფორმალური და აზრობრივი ფაბულის შექმნაში: მოცემული ეთნოსის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი, სოციალური რეალობა, ცნობიერება, ენა, აზროვნება, ხელოვნება (საკუთრივ, ფოლკლორი) და ა.შ. ეს ყოველივე ადამიანთა მოღვაწეობის სოციალური და სულიერი ასპექტებია, კვლევის ეს სფერო კი, სავსებით ობიექტურად, ყველაზე რთულად ითვლება.

კვლევის გამოცდილებით მიღებული შედეგების საფუძველზე (გ .პერმიაკოვი; ნ. ბარლი; არ. კრიკმანი) ზოგადად ვლინდება ანდაზის აზრობრივი სტრუქტურის ფუნდამენტური საყრდენი: სამყაროს შემეცნების პროცესში რაიმე მოვლენის შესახებ მიღებული გამოცდილების ერთი სფერო საფუძვლად ედება მეორეს, რითაც კონკრეტული შინაარსობრივი ფორმით წარმოდგენილი აზრი განზოგადებული სიბრძნე ხდება.

ნაშრომი, საანალიზოდ აღებული არაბული მაგალითების (ქართული შესატყვისებით) საფუძველზე, მიზნად ისახავს დასმული საკითხის თეორიულ პლანში გააზრებას. ზოგად მოცემულობაზე დაყრდნობით, კონკრეტულად გამოსავლენად, როგორ, რა სემანტიკური წესებით ხორციელდება ანდაზის ზოგადაზრობრივი ფაბულის კონსტრუირება, დეშიფრირება და გამოყენება? ამავდროულად, თითოეულის (შინაარსობრივ და აზრობრივ) ფორმირებაში უშუალოდ რა სახის (ღია თუ ფარული) შემადგენლები ოპერირებს.

წარმოდგენილ კორპუსში განხილულმა მაგალითებმა, ერთი მხრივ, დაადასტურა ანდაზის რთული აზრობრივი ფაბულის აგებულების ზოგადი საყრდენი: სამყაროში დაფიქსირებული ერთი მოვლენის თვისებები (ლოგიკური მიმართებების დახმარებით) ასოცირდება, საფუძვლად ედება მეორეს და ზოგადაზრობრივ დატვირთვას იძენს. ამავდროულად, ცხადი გახადა, რომ კონკრეტული ანდაზის კონკრეტულ ვითარებაზე მორგებისას აქტივირდება და თავის მრავალშრიან აზრობრივ პოტენციალს ამჟღავნებს არა მხოლოდ ესა თუ ის ცალკეული კომპონენტი, არამედ მოცემული ანდაზის კონტექსტში მოცემულ სინტაგმატურ კავშირებზე აგებული მთლიანი შინაარსი, მასში გამოხატული კერძო ნიშნულებით და მახასიათებლებით. ანუ, მისი სინტაგმატური ბუნება, პრაქტიკულად, მასში ჩაშიფრული პარადიგმატული ბუნების ილუსტრირებას ახდენს. ეს პროცესი სწორედ იმ საგანთა და მოვლენათა შორის არსებულ ლოგიკურ მიმართებათა წვდომის საფუძველზე ხორციელდება, რაც დადგენილი და მიღებული ნორმაა მოცემული ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში, მის სააზროვნო სივრცეში.

არაბულენოვანი მასალა ჩაწერილია და თარგმნილი არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ არაბი (სირიელი, ლიბანელი) ინფორმანტებისაგან.

10. ნაშრომში გაანალიზებულია აბასიანთა სახალიფო კარზე მიმდინარე მნიშვნელოვანი კულტურული პროცესები, უპირველეს ყოვლისა – მთარგმნელობითი საქმიანობა ბერძნულიდან არაბულად. კრიტიკულადაა განხილული მოსაზრებები, რომელთა თანახმადაც ეს საქმიანობა სირიელი ქრისტიანების ანდა ბრძენი ხალიფების ინიციატივა იყო. ნაჩვენებია, რომ მთარგმნელობითი საქმიანობა გამომდინარეობდა იმ სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობიდან, რომელიც აბასიანთა ეპოქაში შეიქმნა. რაც მთავარია, საგანგებოდაა მსჯელობა იმაზე, რომ აბასიანთა სახელმწიფოში დიდი იყო სპარსული ზოროასტრული იმპერიის გავლენა, რაც კულტურის სფეროში, მათ შორის – მთარგმნელობით საქმიანობაშიც აისახა.

სტატიაში წარმოდგენილი მასალის საფუძველზე მიღებულია შემდეგი დასკვნები: ბერძნულ–არაბული მთარგმნელობითი საქმიანობა იყო ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინება აბასიანთა ეპოქის კულტურის უმაღლესი დონისა; ეს მთარგმნელობითი საქმიანობა იმავდროულად აღნიშნული კულტურული წარმატების საწინდარიც იყო; ბერძნულ–არაბულ მთარგმნელობით საქმიანობაში ტექნიკურად დიდი როლი შეასრულეს სირიელმა სწავლულებმა; ასევე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მეცენატი ხალიფების მოღვაწეობას; რაც ყველაზე მთავარია ჩვენი სტატიისათვის: აბასიანთა სახალიფოში მეტად აქტუალური გახდა ზოროასტრული იმპერიული პოლიტიკის ელემენტები, ძალაუფლების ლეგიტიმაცია ასტროლოგიური ნიშნით; აბასიანები თავს აცხადებდნენ არა მხოლოდ წინასწარმეტყველი მუჰამადის, არამედ ძველი აქამენიანებისა და სასანიანების ლეგიტიმურ მემკვიდრეებადაც; ირანში მიიჩნევდნენ, რომ ბერძნებმა ავესტიდან მოიპარეს ყოველოგვარი ცოდნა, ამიტომაც ბერძნულიდან ისევ საჭირო იყო ამ ყველაფრის თარგმნა და უკან დაბრუნება; ამანაც

გარკვეულწილად ხელი შეუწყო აბასიანთა სახალიფოში ბერძნულიდან აქტიური მთარგმნელობითი საქმიანობის წამოწყებას.

11. ქართულმა ხელნაწერებმა, ისტორიულმა დოკუმენტებმა და ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებმა საინტერესო ინფორმაცია შემოგვინახა შუა საუკუნეების ქართულ სამონასტრო ცენტრებში დაცული წიგნადი ფონდის შესახებ. ყველაზე ადრინდელი ცნობა მეათე საუკუნეს მიეკუთვნება, სინურ ხელნაწერში პალიმფსესტის სახით არის შემორჩენილი და სინას ქართული ბიბლიოთეკის შესახებ გვიამბობს. ამას გარდა შემონახული გვაქვს ცნობები ჯვრის მონასტრის, ზედაზნისა და გარეჯის, კაპათისა და პეტრიწონის მონასტრების წიგნად ფონდებზე. ქართულ ხელნაწერთა ანადერძ-მინაწერებმა შემოგვინახა ძალიან საინტერესო ცნობები, რომლებიც ადასტურებს კერძო ბიბლიოთეკების არსებობასაც, მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ცნობა სინას მთაზე არსებული „კჯრიკეს ქვაბის“ შესახებ, რომელშიც, სავარაუდოდ, ამ ბერის კუთვნილი წიგნები ინახებოდა და რომელსაც მონასტრის ქართული საძმოს წარმომადგენლებიც აქტიურად იყენებდნენ. სტატიაში საუბარია ასევე წიგნადი რეპერტუარისა და მისი შევსების თავისებურებების შესახებ შუა საუკუნეების ქართულ სამონასტრო ცენტრებში.

12. სომხეთის მესროპ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტის – მატენადარანის - ქართულ ხელნაწერთა კოლექციამ დიდი ხანია მიიპყრო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება. ეს კოლექცია განსხვავებულ მასალას შეიცავს: ხელნაწერები, საცავი ფურცლები, ფრაგმენტების ფონდი და ორენოვანი დოკუმენტები. მატენადარანის ქართული ხელნაწერების ფრაგმენტების ფონდი ჯამში 56 ფრაგმენტს მოიცავს, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო IX-XIX საუკუნეებით შემოიფარგლება. ტექსტებში გამოყენებულია ქართული დამწერლობის სამივე სახეობა: ასომთავრული, ნუსხური, მხედრული. ქართული ფრაგმენტების ფონდმა შემოინახა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგი - ბიბლიოლოგია (№№8, №28, 32), ლიტურგიკა (№№2, 5, 7), ჰიმნოგრაფია (№№24, 41, 46), ასკეტიკა (№№8, 32), ჰაგიოგრაფია (№18) და სხვ. ქართული ფრაგმენტების კოლექციის მნიშვნელობას წარმოაჩენს ფონდში 5 პალიმფსესტური ხელნაწერის გამოვლენა. აქედან ოთხი ხელნაწერი - №№4, 9, 13 (ქვედა ფენა ნუსხური), 37 (ქვედა ფენა ასომთავრული) - ქართულია, ერთი ფრაგმენტი (№11) კი – ქართულ-სომხური, რაც კულტურათა შეხვედრის კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეთერთმეტე საუკუნის პირველი ნახევრის დიდი სვინაქსარის ფურცლები, რომლებმაც სამხრეთ საქართველოს ისტორიის შესახებ საინტერესო მინაწერები შემოგვინახა. ფრაგმენტების ფონდში ინახება უძველესი იერუსალიმური ლექციონარისა და ოთხთავის წინარეათონური რედაქციის ხელნაწერების ფრაგმენტებიც, ასევე, დღეისათვის უკვე დაკარგული კიდევ ერთი მრავალთავის ფურცლები. სრულიად უნიკალურია ევსებიოს პამფილელის თხზულების - „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და სასწაულნი წმიდისა და ღმერთშემოსილისა სილიბისტროს ჰრომთა პაპისაჲ“ - უცნობი ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერი და იოანე სინელის კლემაქსის განსხვავებული თარგმანი.

13. მარინა ცვეტაევას ორსტროფიანი უსათაურო ლექსის „Я – страница твоему перу„ (1918) ორი ქართული თარგმანი არსებობს. მოხსენებაში განხილულია ვ. კოტეტიშვილის თარგმანი („შენი კალმისთვის მე ვარ ფურცელი“), რომელიც, ავტორის აზრით, ოსტატური თარგმანია, თუმცა მასკულინური ელფერით აღბეჭდილი.

თარგმანის ანალიზს ლექსის კონცეპტუალური გააზრება უსწრებს წინ, რასაც ამ ტექსტის ადეკვატურად თარგმნისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. დედნის ტექსტში თვალშისაცემია პირველი პირის მხოლობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელის სიხშირე. ორსტროფიან ტექსტში ის ხუთჯერ არის გამოყენებული. ლექსი იწყება ამ ნაცვალსახელით და მისი განსაკუთრებული ადგილი აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს თარგმანში.

ორიგინალის ტექსტში „როლები“ ასე ნაწილდება:

„მე“ (შენთვის) - თეთრი ფურცელი, შავი მიწა;

„შენ“ (ჩემთვის) - კალამი, სხივი და წვიმის სინოტივე.

ასეთი განაწილებით მხარეებს მკაფიო ადგილი და სტატუსი ენიჭებათ, რაც, ურთიერთობების პარიტეტულობას გულისხმობს.

სამყარო ორ სიბრტყედ არის გაყოფილი - ლირიკული გმირი („მე“) და მისი მუზა. სამყაროს მთლიანობისთვის ორივე კომპონენტი თანაბრად აუცილებელია. პოეტი მეორე მხარეს უცხადებს მორჩილებას ისე, რომ მის თანაბარ პარტნიორად რჩება.

კონცეპტუალურად უმართებულო ჩანს თარგმანში გაჩენილი „თუ გავუძელი“, რომელიც ეჭვს, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობას გამოხატავს, რასაც გამორიცხავს ის სტატუსი, რომელსაც ცვეტაევა თავის ლირიკულ გმირს არგუნებს.

ამ სტატუსთან და მთლიანად ლექსის სულისკვეთებასთან შეუსაბამოა მეორე სტროფის მეორე სტრიქონის ასეთი თარგმანი: *„ვით სხივს და წვიმას გელი ღაღადით“.* ორიგინალში არსად არის (არც უნდა იყოს!) შედარება, რადგან პოეტი საკუთარ და „მეორე მხარის“ ფუნქციებს მკაფიოდ მიჯნავს, ზუსტ დეფინიციას იძლევა, ანალოგიებს არ საჭიროებს. ლექსის პათოსის გათვალისწინებით, ზედმეტი ჩანს „ღაღადით ლოდინი“, რომელიც ქართულ თარგმანში გაჩნდა.

მარინა ცვეტაევას ამ ლექსის თარგმნისას პირველი პირით წარმოდგენილი ლირიკული გმირი არ შეიძლება იყოს „მომლოდინე“, „მოღაღადე“, „მვედრებელი“. ეს ქალის როლის მასკულინური აღქმაა, რომელიც პოეტის დამოკიდებულებას არ ემთხვევა.

14. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართული საზოგადოება და, განსაკუთრებით, ქალები, გატაცებული იყვნენ რუსული ლოტოს თამაშით. სავარაუდოდ, ამ ფაქტმა მისცა ბიძგი ანდაზების ლოტოს იდეის დაბადებას საქართველოში. პირველი ასეთი ლოტო 1887 წ. გამოსცა ანდრია ღულაძემ (1857-1920 წ.).

2009 წ. ამ სტატიის ავტორმა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლეის ბიბლიოთეკაში ოლივერ უორდროპის არქივში მიაკვლია 1892 წელს ოზურგეთში (საქართველო) გამოცემულ “ქართული მწერლობიდამ ამოკრებილ ანდაზებისა და საანდაზო ლექსების ლოტოს” ლოტოს ბროშურის გარეკანზე მითითებული კრიპტონიმიდან ირკვევა, რომ მისი შემდგენელია სასულიერო პირი ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი (1861-1937?)

უორდროპის არქივში დაცული ეგზემპლარი ამ ლოტოს ერთადერთი თითქმის სრული ეგზემპლარია მსოფლიოში: იგი შედგება ბროშურის, 24 სათამაშო ფურცლისა და 90 პატარა კვადრატული მუყაოსგან (უორდროპის კოლოფში 89 არის, ერთი აკლია).

თამაშს საკმაოდ მარტივი პრინციპი აქვს. თანხმლებ ბროშურაში სრულად არის მოცემული “ლოტოს” 90 ანდაზა თუ აფორიზმი. ნ. ოქორომჭედლიშვილმა უპირატესობა მწერლობიდან აღებულ საანდაზო ლექსებს მიანიჭა. ბროშურაში არც ლექსების ავტორები და არც წყარო მითითებული არ არის. მასალის ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა ამ ტექსტებისა და მათი ავტორების უმეტესობის იდენტიფიცირება. ესენია: რუსთაველის “ვეფხისტყაოსანი” (29), ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ სპარსულიდან (ქაშეფის “ანვარე სოჰაილი”) თარგმნილი “ქილილა და დამანა” (15), დავით გურამიშვილის “დავითიანი” (14) და სხვ. რამდენიმე საანდაზო ლექსის ავტორისა და წყაროს იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

“ლოტოში” გამოყენებული ზოგიერთი პოეტური ნიმუში დღეს ცნობილისგან განსხვავებული ვარიანტით არის წარმოდგენილი.ეს ვარიანტულობა მაშინდელი გამოცემების განსხვავებული წაკითხვებით ან იმით აიხსნება, რომ „ლოტოზე“ მუშაობისას ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი საკუთარ მეხსიერებას ეყრდნობოდა. სავარაუდოა, რომ ლოტოსთვის მასალის შერჩევისას ნ. ოქრომჭედლიშვილი გაზეთ „ივერიის“ რამდენიმე ნომერში (1883-1894) გამოქვეყნებულ „საანდაზო ლექსებსაც“ იცნობდა და ითვალისწინებდა. ამ ლექსების შემკრებად ი. გრიშაშვილი ილია ჭავჭავაძეს მიიჩნევს.

უცნობია, თუ რა ბედი ეწია ამ ლოტოს. ასევე უცნობია ამ გამოცემის ტირაჟი. როგორც ჩანს, მეორედ ის აღარ დაბეჭდილა, თუმცა ხელახალი გამოცემის იმედი ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილსაც ჰქონია. გაურკვეველია, რამდენად შეასრულა ამ ლოტომ ის აღმზრდელობითი ფუნქცია, რომელსაც მას შემდგენელი აკისრებდა. დიდი ალბათობით, მაშინ მან რუსულ ლოტოს კონკურენცია ვერ გაუწია და მიივიწყეს, ისევე, როგორც ანდრია ღულაძის მიერ შედგენილი ანდაზების პირველი ლოტო.

სტატიაში ხაზგასმულია საქართველოში მოგვიანებით გამოცემული ანდაზების ლოტოების შესწავლის აუცილებლობა და პერსპექტიულობა.

15. რევოლუციური ირანისა და მისი პოსტრევოლუციური მდგომარეობის შესახებ რომანში საკმაო მასალაა, თუმცა, ძირითადად, შეფარულად და „გაკვრით“ მოტანილი. სათქმელის ნახევრად თქმის მანერა ამ შემთხვევაში, როდესაც ისლამურ რევოლუციაზე წერს, ცხადია, დიდწილად მკაცრი ცენზურითაა გაპირობებული. მწერალი თავადაც საუბრობს ინტერვიუებში ამ საკითხზე და იმასაც უმატებს, რომ, ოფიციალური ცენზურის გარდა, არსებობს თვითცენზურაც, რომელიც, ერთი მხრივ, ოფიციალური ცენზურის არსებობას უწევს ანგარიშს და, მეორე მხრივ, ავტორისეულ შინაგან ხმას უგდებს ყურს. ავტორისთვის კი მოვლენების და სათქმელის ნახევარტონებში ხატვის ტექნიკა ბუნებრივი და ორგანულია. ის მუდამ ასე საუბრობს. ეს მისი სამწერლო სტილია.
მომენტები, რომლებშიც პოსტრევოლუციური ირანის რელიგიური მოთხოვნებისგან გამოწვეული დისკომფორტი და დაძაბულობა ჩანს, ბევრია რომანში, თუმცა მწერლის ძირითადი სათქმელი თავად რევოლუციის პერიოდს უკავშირდება. პერიოდს და პრობლემას, რომელმაც ქვეყანას კიდევ ერთი დიდი ჭრილობა გაუჩინა, მოუშუშებელ ტკივილად რომ ექცა მის ხალხს. ეს პრობლემა ემიგრაცია გახლავთ. საკითხი, რომელიც თანამედროვე სამყაროში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

16. ფარიბა სხვადასხვა თემაზე წერს, მაგრამ მისი ფიქრი მუდამ სიყვარულის მრავალფეროვან გამოვლინებას დასტრიალებს... სიყვარულს დედა-შვილს, ცოლ-ქმარს, და-ძმას, მეგობრებს, შეყვარებულებს შორის; სამშობლოს, ბუნების, მშვენიერების სიყვარულს... მწერლისთვის ადამიანის სიცოცხლის წყარო და ძალა მუდამ სიყვარულია. ამდენად, მისი მუდმივი ფიქრის საგანია, რამ შექმნა ან რამ აქცია სიყვარული ასეთად; და, რაც მთავარია, რა როლი და პასუხისმგებლობა აქვს თავად ადამიანს ამ პროცესში...
მწერლისეული ძიების გზაზე მკითხველი პერსონაჟებთან ერთად ეჯახება იმ სტრუქტურებს თუ ინსტიტუციებს, რომლებზეც თავად ავტორი საუბრობს: პატრიარქალურ ტრადიციებს, მყარად ჩამჯდარ, ჩვეულებად ქცეულ ადათ-წესებს, ლოკალურ თუ გლობალურ კატაკლიზმებს, ძალადობას, ფსიქოლოგიურ ბარიერებს და მრავალ სხვა დისკომფორტს.

17. XIX საუკუნიდან ქართულ სინამდვილეში ფაქტობრივად დაკანონდა თვის რიცხვის რაოდენობითი რიცხვითი სახელით გამოხატვის მანიფესტაცია (გამონაკლისით – პირველი). ჩვენი ცხოვრება წელი-წადის 12-თვიანი ციკლით არის სტრუქტურირებული, ჩამონათვალში ყოველი თვე ერთგზის სახელდება. იანვარი ერთია და 31 ვერ იქნება, აპრილი ლურჯი აუცილებლად შეიძლება, მაგრამ არა 27... უცხოენოვანი გავლენა გამოვრიცხეთ. არც ძველსა და საშუალ ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის უპირატესად პოსტპოზიციური წყობა არ უნდა იყოს ამის გამომწვევი მიზეზი, რადგან ახლისათვის დომინანტური ნათესაობითიანი ფორმის პრეპოზიციულობა ბუნებრივია ყველა ეპოქის ქართულისათვის.მივმართოთ წერილობით წყაროებს:„აღსრულებაჲ მისი თთვესა -- ოკდონბერსა ათჩვიდმეტსა...“(„შუშანიკის წამება“ (V ს.);„...განვაწესეთ სახსენებელი...ოკდონბერსა ოცდაცხრასა... („სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“(X ს.);„...იმსახურებოდის თვესა მაისსა **ოგ**...“(„იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება“(XI ს.). ამ მაგალითებში წყობა კი არის პოსტპოზიციური, მაგრამ საზღვრული მოსალოდნელი ნათესაობითის ნაცვლად შეთანხმებულ მიცემითშია. ნათესაობითიანი ფორმები:...ფებერვლის **ი** ...(წერილი ერეკლე II-ისა,1770), სრულ იქმნა ...დეკენბრისა თვისა **გ** (თეიმურაზ II-ის წერილი,1753). სრულ იქმნა...დეკემბრის **ა** (ს.-ს.ორბელიანის ლექსიკონი,1756). ...ენკენისთვის **კგ** („ვეფხისტყაოსნის“ გადამ-წერის ანდერძი,1671). გრიგოლ ორბელიანი –ნოემბრის 7 დღესა, მარტის 8-სა, ასევე -- 23 სეკდემბერი. ნიკოლოზ ბარათაშვილი – მაისის 28-სა დღესა, ასევე – 21 აგვისტოს, და ოქტომბრის 31-სა. გიორგი წერეთელი –186... წლის ოქტომბრის 20-ს, 186... წლის დეკემბრის შუას დააპრილის გასულს, დეკემბრის 15 იყო, ასევე: 1888 წლის 22 დეკემბერი.ილია ჭავჭავაძე – 1860 წელსა ნოემბრის 5-სა დღესა, 1861წ. 15 თიბათვისას(?), 12 მკათათვისა. უპირატესად დღევანდელ ნორმას იყენებს. ასევე ვაჟა-ფშაველაც. ტერენტი გრანელი ხშირად აფიქსირებს ლექსის თხზვის თუ ამ „ლექსად ყოფნის“ თვესა და რიცხვს და ხან გენიტიურ კონსტრუქციას იყენებს – დღეს სამია ივნისის, მინდა იყოს ცამეტი (“Memento mori“),

ხანაც ექვემდებარება არამართლზომიერ, თუმცა გაბატონებულ ტენდენციას: რვა სექტემბრის ქარიანი დღეა („ირას“). მურმან ლებანიძესთან ასეა:„თოვს ხეობაში ოქტომბრის ჩვიდმეტს,დღეს წერისას დათარიღება უპირატესად ციფრებით ხდება: 26.02.2021... ეს დრომ მოიტანა. მანამ კი ქართველებმა თვის დღის რიგითობის აღსანიშნავად ენის შინაგანი ლოგიკის კვალობაზე კანონზომიერი თებერვლის ოცდამეექვსე (დღეს) თუ არა, თებერვლის ოცდაექვსს ვამჯობინეთ მარტივი აღნიშვნა – 26 თებერვალი; ავირიდეთ რიგობითობის პრეფიქს-სუფიქსური წარმოება, ამჟამად პრეპოზიციული წყობაც ჩვენთვის უფრო ბუნებრივია. ქართული ენის განვითარების მრავალსაუკუნოვან წიაღში გამოტარებული ეს მოვლენა დადებითი კონოტაციის ფაქტია.

18. ორი საუკუნის წინ საქართველოს ტერიტორიაზე ბერძნების გადმოსახლება უკავშირდება ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთის იმპერიას შორის. ბერძნების ორი ნაკადი იყო – პონტოელებისა და თურქულენოვანების. თურქულენოვანნი დასახლდნენ წალკის რაიონში. მათი სამეტყველო ენა თურქული ენის ერთ-ერთი დიალექტია და მას ურუმული ეწოდება. საბჭოთა საქართვე-ლოში რუსულმა ენამ ძლიერი გავლენა მოახდინა ურუმულზე და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბერძნები განათლებას რუსულ სკოლებში იღებდნენ. სტატიაში წარმოდგენილია ანალიზი იმისა, თუ როგორ ხდება რუსული ენობრივი ერთეულების ინტეგრაცია ურუმულში. ზოგადად ნასესხობები ემორჩილება ურუმული ენის გრამატიკის ნორმებს, რაც აადვილებს სახელებისა და ზმნების ინტეგრაციის პროცესს. ურუმთა მეტყველებაში მძლავრობს რუსული კლიშეები და ადაპტაციის გარეშე ხდება რუსული წინადადებებისა და ფრაზების სესხება; მცირე რაოდენობით დაფიქსირდა ქართული, აზერბაიჯანული და ბერძნული ლექსიკური ერთეულები. რამდენიმე ენობრივი ლექსიკური ფენის შემცველი ურუმული შეიძლება ჩაითვალოს „შერეულ“ ენად.

19. წინამდებარე წერილში წარმოვაჩენთ ნიკო სამადაშვილის პოეტურ ქვეყნიერებას. იგი ენის წიაღში ეძებს საშუალებებს სათქმელის გამოსახატავად, სიტყვათა ახალი სემანტიკურ-სტილისტიკური წახნაგების გამოსავლენად.ეს არ არის მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც არ გვხვდება სალიტერატურო ენაში როგორებიცაა: ნისლეთი, ნისლობა, ღრუბლნარა, ბინდდარა, დანახვისი, უბინადარი, უცაო, ნისლებნათიბი და სხვ. მისი ლექსების ქსოვილში მიმობნეული სინტაგმები, გამონაკლისის გარეშე, ნოველების სათაურებია. აი, ისინიც: ფეხმძიმე ნისლები, ავდრების ცოდვა, ბუერა სევდა, ლანდებთან ბაასი, ხნიერი გამოქვაბულები, ელამი დაისები, დარდების სითბო, ჩამქრალ ხსოვნებთან, მბჟუტავ სიზმრებთან, ბედის ავდრები, ფერადი ხსოვნებით, საუკუნეთა ყამირი, გაცრეცილი ქარები, თალხი სიზმრები, ფიქრების ზვინი, მარადისობის უდაბნოებში, სიყალბის რიდე და სხვ. ექსპრესიულია სამწევრა სიტყვათშეხამებები: ლაჟვარდების ყრუ მდუმარება, ფიქრების დიდო ხმელეთო, ღრუბლის ნაწოლი სივრცე და სხვ. პოეტის ხატოვანი აზროვნება ძლიერია, მოჭარბებულად მამაკაცურია; გასაოცარი კომპრესიის მეშვეობით ჩვენს გონებაში იტვიფრება წუთისოფლის ძირითადი პარამეტრები.

20. თურქული ენის სიტყვათთხზვის სეგმენტში გვხვდება ისეთი ფორმები, რომელშიც ფიგურირებს III პირის კუთვნილებითი აფიქსდართული სახელი და რომლის წარმოთქმაც აღძრავს ამ სიტყვისათვის მსაზღვრელი წევრის არსებობის ასოციაციას. წინამდებარე წერილში განვიხილავთ შედგენილ სიტყვათა ერთ ტიპს, რომლის პირველი კომპონენტი სხეულის ნაწილის ან შინაგანი ორგანოს აღმნიშვნელი ლექსემაა, ხოლო მომდევნო წევრი კი მისი როგორობის მაჩვენებელი ზედსართავი სახელია. ასეთი ტიპის რთული სიტყვა გამონაკლისის გარეშე იდიომატურია. ამ კონსტრუქტის მოდელი ასეთია: არსებითი სახელი + III პირის მხ. რიცხვის კუთვნილებითი აფიქსი + ზედსართავი სახელი: baş ‘თავი’+ ı (POSS III P.SING) +açık ‘ღია’ – ‘ თავი მისი ღია’. ქართველთათვის ეს თურქული კომპოზიტი უცილოდ აკაკი წერეთლის მოთხრობის მთავარი პერსონაჟის სახელს – ბაშიაჩუკს – მიემართება, ხოლო აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთათვის მას სხვა დატვირთვაც აქვს: ოსმალო მემატიანეები იმერეთის სახელდებისას ჩვენი ქვეყნის ამ კუთხეს მხოლოდ başıaçık-ით მოიხსენიებდნენ.

21. სიტყვის მნიშვნელობის განსხვავებული ნიუანსები, სემანტიკურ სტრუქტურათა გართულება და გაუბრალოება ლექსიკური ერთეულის მრავალწახნაგოვანი არსებობის გამოვლენაა პოეტურ ტექსტში. ყოველ პოეტს ხომ თავისი პოეტური ლექსიკონი, მყარი სემანტიკური რიგი, სიტყვათა შორის კავშირთა თავისი სამყარო აქვს. შემოქმედის სასიტყვეთი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში ხშირად შემონახულია ნაკლებად ცნობილი ან ჟამთა სვლის გამო სრულიად მივიწყებული და ზოგჯერ უცნობი ინფორმაციაც კი. სიტყვაწარმოების მოდელთა წარმოდგენა, ფაქტობრივად, ენის სიტყვაწარმოებითი სისტემის აღწერა არის ენის პოტენციური შესაძლებლობა, რითაც რეალიზდება პოეტური სიტყვათქმნადობა. წერილში წარმოჩენილია ჯემალ აჯიაშვილის პოეტური სიტყვათთხზვა. განვიხილავთ დერივატებსა თუ კომპოზიტებს, რომლებიც სავსებით სწორია წარმოების თვალსაზრისით და, ამავდროულად, უჩვეულოა შინაგან კავშირთა მოულოდნელობის გამო.

22. ქართველთა და ოსთა პირის სახელებად თუ გვარსახელთა ფუძედ გვხვდება თურქული წარმომავლობის არა მხოლოდ ანთროპონიმები, არამედ მრავალნაირი სიტყვაფორმები.

თურქულ ენათათვის დამახასიათებელი უკანაენისმიერი ხშული ნაზალი /ŋ/ აღარ შემორჩა თანამედროვე ენებს – თურქულს, აზერბაიჯანულს, ყარაჩაულს, ბალყარულს, ყუმუხურს და სხვ. ამ დროს კი ქართულში თურქულ ნასესხობათა (მათ შორის -- ანთროპონიმთა) კვალობაზე ამ ბგერის შემცველ სიტყვებში /ŋ/ 7 (!) რეფლექსითაა დადასტურებული:
1. /ŋ/ >/ng/; 2./ŋ/ >/nγ/; 3. /ŋ/ >/n/; 4. /ŋ/>/g/;/5. ŋ/ >/γ/; 6. /ŋ/>/m/; 7. /ŋ/>/vm/. თურქულ ენათა დიაქრონიული ფონოლოგიის ფაქტია შემდეგი მოვლენა: ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მთელ რიგ სიტყვებსა და აფიქსებში ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში ძირითადად იხმარებოდა ვიწრო ბაგისმიერი ხმოვნები /u,ü/ ნაცვლად არა- ბაგისმიერი /ı, i/-ისა. მაგ., *altun* 'ოქრო', *demür* 'რკინა' ნაცვლად დღევანდელი *altın* და *demir* ფორმებისა. ეს მიიჩნევა ძველი სალიტერატურო თურქულის წარმოთქმის დამახასიათებელ ნიშნად, რადგან ბოლოკიდურ მარცვალში ხმოვნის ლაბიალობას არა აქვს დისტინქციური ფუნქცია. ამ ფონოლოგიური პროცესების შედეგად ქართველთა ანთროპონიმულ სივრცეში აღმოჩნდა თურქული /*jalŋuz*/ 'ერთადერთი' იალღუზ-ის (ŋ/>/γ/) სახით. ეს სიტყვა გვხვდება პირის სახელადაც (მაგ.,სვანეთსა და სამხრეთ საქართველოში), ასევე გვარების – იალღუზა-შვილი, იალღუზისშვილი, იალღუზიშვილი, იალღუზიძე – ფუძეში. იალღუზიშვილები აზნაურები იყვნენ. მათი გვარი შეწყდა მე-18 საუკუნის 80-იან წლებში. მათ მამულში დასახლდნენ გაბარათები, რომლებმაც იმდროინდელი სამართლის შესაბამისად იალღუზიშვილთა/ იალღუზისძეთა გვარსახელი მიიღეს. სწორედ მათ შთამომავალს – იოანე იალღუზისძეს – ეკუთვნის პოემა "იალღუზიანი", რომელიც გადმოგვცემს ოსეთის მეფის შვილის იალღუზინის საგმირო საქმეებს. ამდენად ეს თურქული სიტყვა ოსურ ისტორიულ ანთროპონიმიაშიც ფიგურირებს.

23. დაფიცების სემანტიკური ველი ქართულში საკმაოდ ვრცელი და დაძმობილებასთან გადაკვე-თილი აღმოჩნდა. მასში 30-ამდე ლექსემისა თუ სინტაგმის გარდა შემდეგი ერთეულებიც შედის: ფიც-ვერცხლი, ფიცვერცხლნაჭამი, ფიცნაჭამი. ფიც-ვერცხლის ჭამა ძმადშეფიცვის ერთ-ერთი წესია. ორი (ან მეტი) ვაჟკაცი არაყსა, ლუდსა ან ღვინოში თავიანთი იარაღის ვერცხლს (ან ტყვიას) ჩაფხეკდა და დალევდა; ამის შემდეგ ისინი ძმები ხდებოდნენ.კი არ შეჭამდნენ, არამედ დალევდნენ... თუმცა ტერმინალურ სტრიქონში ჭამის მომენტია დაფიქ-სირებული. ქართულ სასიტყვეთში შიშიც „იჭმევა", სირცხვილიც და ჯავრიც. სავარაუდოდ, ფიცთან მიმართებით ანალოგიური სემანტიკური სვლა შესაძლებელია. ფშაური დიალექტში გუბაზ გოგატიშვილს **დალევა** ზმნა ხუთი მნიშვნელობით აქვს წარმოდგენილი; მეოთხეა ჭირნახულის გაფუჭება, წახდენა, შეჭმა, **დალევა რომ შეჭმაა,** ჩვენთვის საინტერესო გამოდგა. იქვე ამ ძირისაგან ნაწარმოები სიტყვა **სა-ლევ-ელ-ი** ასეა განმარტებული: ზამთრისათვის შენახული სურსათი, ის, რაც უნდა **შეიჭამოს**. ანუ ამ -**ლევ**-ძირს **ჭამა** უკავშირდება. მყარს ვერ ვუწოდებთ, თუმცა ვარაუდის სახით ფშაურ (რაც უმთავრესი დიალექტია ჩვენი კვლევის ობიექტი სიტყვისა) კონტექსტში ამ ორი ლექსემის სინონიმურობა ერთგვარი მხარდაჭერაა **ჭამა-სმის** ერთ სემანტიკურ ველში მოაზრებისათვის. აღსანიშნავია, რომ თურქულში, აზერბაიჯანულში, თურქმენულსა და უზბეკურში ფიცის, დაფიცების სემანტემა **ფიცის დალევით** არის გამოხატული: ant 'ფიცი', içmek 'დალევა'; ant içmek ' დაფიცება'; ერთიც უნდა ითქვას: თურქებს სიგარეტის, აგრეთვე ნარგილეს მოწევის პროცესის აღსანიშნად გამოყენებული აქვთ სწორედ „დალევა" ზმნა: O sigara içiyor 'ის სიგა-რეტს ეწევა' (სიტყვასიტყვით – ის სიგარეტს სვამს). ძმადნაფიცობის კუთხითაც ერთგვარი ბმა არის თურქულ ენობრივ მასალასთან: 'ფიცით ძმა' ახსნილია

როგორც 'სისხლით ძმა': ადამი-ანები მცირე ჭრილობიდან გამონადენ ერთმანეთის სისხლს წოვენ ან ლოკავენ და ძმები ხდე-ბიან.ფიცის კონცეპტის მსგავსი ენობრივი მასალით გამოხატვამ ქართულსა და თურქულ ენებში დაგვისახა ეთნოსთა ამ კუთხით ტესტირების იდეა, რადგან, როგორც ჩანს, ზოგი სვამს და ზოგიც ჭამს ფიცს...

24. თანამედროვე თურქულში ცნობილი პურისტული რეფორმების შედეგად ნასესხობათა რიცხვმა შესამჩნევად იკლო. მით უფრო შეიძლება ამის თქმა, თუ მას იმ სალიტერატურო ენას შევუდარებთ, რომელიც თურქული კლასიკური ლიტერატურის ენად მოიაზრება. ამის მიუხედავად არაბიზმების რაოდენობა ჯერაც დიდია. განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ მათ სასულიერო სფეროსა და დღევანდელ სამთავრობო-საკანცელარიო საქმიანობაში. თუმცა ერთი განსხვავებაა: დღესდღეობით არაბიზმებს თითქმის ყველა სფეროში მეტოქეობას უწევს არსებული თუ ახლადშექმნილი თურქული სინონიმური ლექსემები: არაბული წარმომავლო-ბის hususiyle-ს 'კერძოდ' აშკარად ჯაბნის თურქული özellikle; არაბული alim 'მეცნიერი' კი იხმარება, მაგრამ უპირატესად გვხვდება თურქული bilgin; არაბული münazara 'კამათი' სტატისტიკურად დიდად ჩამოუვარდება თურქულ tartış-ს. ასევეა არაბ. hal 'მდგომარეობა' და თურქ. durum, არაბ. hadise 'მოვლენა' და თურქ. Olay და სხვ.

აღმოჩნდა,რომ რიგი სიტყვებისა თურქულში წყაროენისეული მნიშვნელობით დამკვიდრებულან, თუმცა ისეთი ბგერითი ინვენტარით ფუნქციობენ, რომელიც ამ ერთეულთა არაბულისეული ფონემატური შემადგენლობის იდენტური არ არის. რამდენიმე ისეთ ნასესხობას წარმოვაჩენთ, რომელთაც გაუფართოვდათ წყაროენისეული მნიშვნელობა, ან პირიქით _ დაუვიწროვდათ.

25. გოჩა ჯაფარიძე კარგად იყო ცნობილი ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში, როგორც გამორჩეული, ფართო მასშტაბის მეცნიერი, საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკვანძო პრობლემათა მკვლევარი. მისი შრომების ნაწილი დაბეჭდილია რუსულ, უკრაინულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და არაბულ ენებზე, რამაც მას დამსახურებული აღიარება მოუპოვა სამეცნიერო წრეებში. წინამდებარე ნაშრომში დეტალურადაა განხილული და შეფასებული მისი სამეცნიერო მოღვაწეობა, მისი მთავარი სამეცნიერი ნაშრომების თემატიკა: საქართველოსა და ისლამური სამყაროს ისტორიული კონტაქტები, ისლამი, ისლამური და ქართული ნუმიზმატიკა და მეტროლოგია, ქრონოლოგია და ვექსილოლოგია, ონომასტიკა (ტოპონიმიკა, ანთროპონიმიკა, ეთნონიმიკა), დიპლომატიის ისტორია, ქართველი მამლუქები ეგვიპტეში, ქართველები წმინდა მიწაზე.

26. ნაშრომში, განხილული მასალიდან გამომდინარე, დასკვნა არის ის, რომ ბაგრატი არ გარდაცვლილა არც 1393, არც 1395 ან 1396 წელს. ეს, როგორც ჩანს, მოხდა რამდენიმე წლის შემდეგ. მაგრამ ფარსადანის ინფორმაცია მაინც არ იძლევა შესაძლებლობას ბაგრატის გარდაცვალების ზუსტი თარიღის დასადგენად, ვინაიდან ის, მართალია, ეყრდნობა სანდო სპარსულ წყაროებს, მაგრამ არაიშვიათად ცვლის მოვლენათა თანმიმდევრობას. სავარაუდოდ, ეს უნდა მომხდარიყო 1400-1401 წწ. და არა ბირთვისის ციხის აღებასთან ახლოს. ამის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგიც: 1401 წ. 28 ნოემბრის სიგელი გიორგი მეშვიდისა გვაუწყებს, რომ ბაგრატი უკვე გარდაცვლილია (დაკრძალულია მცხეთაში), ხოლო გიორგი მამის „საფლავს", სვეტიცხოველს ამოუკვეთავს „აროდეს დებულ" ვალდებულებას. ასეთი წყალობა დიდად არ სცილდება ხოლმე დასაფლავების დროს.

საეჭვოა, რომ ფარსადანს ცნობა ბაგრატზე რაიმე წყაროს გარეშე თვითონ შეეთხზა. ვფიქრობთ, არ არის მოწყვეტილი რეალობას ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა იმის შესახებ, რომ თემურმა მართლაც შეუარა მეფე ბაგრატს თბილისში, და ცხენებიც მოასვენა. როგორც ჩანს, ბაგრატი, მას შემდეგ, რაც ისლამი მიიღო, მორჩილებაში იმყოფებოდა და არანაირი აქტიური მოქმედებით ან წინააღმდეგობით არ იჩენდა თავს. ბრძოლას განაგრძობდნენ ძირითადად მისი შვილი გიორგი, ზოგიერთ შემთხვევაში ძმებთან ერთადაც და სხვა რეგიონების გამგებლები. როგორც ჩანს, გიორგის, ისევე როგორც თემურის საპასუხო ნაბიჯები შეთანხმებისაკენ, გადაიდგა მხოლოდ თემურისგან საქართველოს მეფედ აღიარებული ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ, რაც დასრულდა ორი მწვავედ დაპირისპირებული მხარის დაზავებით. ის, რომ ბაგრატი იძულებული გახდა ისლამი მიეღო, ქართულ წყაროებში ნახსენებია,

თუმცა მის შემდგომ ბედს, შესაძლოა, ქართული წყაროები შეგნებულად უვლიან გვერდს, ან ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ გააჩნიათ და შეცდომით მიიჩნევენ, რომ ის ცოცხალი აღარ არის.

27. უძველესი პერიოდის იაპონიის ისტორიისა და კუტურის შესწავლა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, რაც უ. ყ. განპირობებულია იმ ეპოქის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების სიმწირით. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ახ. წ. მე-5 საუკუნემდე იაპონელებს საკუთარი დამწერლობა არ გააჩნდათ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხშირი მიწისძვრები და სხვა სტიქიური უბედურებები იაპონიის არქიპელაგზე , ხელს უშლიდა ადრეული ხანის მატერიალური კულტურის ძეგლების უხვი რაოდენობით შემონახვას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უაღრესად დიდია არქეოლოგიური მასალის მნიშვნელობა. იაპონიის არქიპელაგის პალეოლითის ანუ ძველი ქვის ხანის (ძვ. წ. 40000-13000) მატერიალური კულტურის ძეგლები მეტად მწირია. მათ შესახებ საუბარი მხოლოდ ქვის იარაღის ტიპოლოგიის მიხედვითაა შესაძლებელი. იაპონიის ისტორიის შემდგომი პერიოდია ე. წ. ჯომონი (ძვ. წ. 13000-მე-3 ს.). ამ პერიოდის კულტურამ განსაკუთრებით გაითქვა სახელი საკულტო დანიშნულების შესანიშნავი ჭურჭლით, რომელსაც სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებები ამშვენებდა. არქეოლოგიური მასალიდან ირკვევა, რომ ხსენებულ პერიოდში ადამიანები უკვე ხმარობდნენ სამკაულებს - ნიჟარის, ქვების, თიხის სამაჯურებსა და საყურეებს. იაპონიის ისტორიის შემდეგი პერიოდი იაიოის სახელითაა ცნობილი და ის რკინა-ბრინჯაოს ხანას შეესატყვისება (ძვ.წ. მე-3-ახ. წ. მე-3 სს.). იაიოის ნაკეთობები, დამზადების ტექნოლოგიის თვალსაზრისით, ძირეულად განსხვავდებოდა წინა პერიოდის არქეოლოგიური მასალისგან. მათთვის დამახასიათებელი იყო სადა და მარტივი ფორმები, სწორხაზოვანი მოხატულობა და პლასტიკურობა. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია და ერთმანეთთან შეჯერებულია იაპონიის უძველესი პერიოდების მატერიალური კულტურის ძეგლები და არტეფაქტები.

28. სეფიანთა ირანში (1501-1722) უნდილაძეების მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ ცნობები დაცულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში. ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმატებული კარიერის მიუხედავად, ხსენებული საგვარეულოს აღსარული მეტად სავალალო და ტრაგიკული აღმოჩნდა. ამის მიზეზებზე თუ საბაბებზე აზრთა სხვადასხვაობაა წრილობით წყაროებში და შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაშიც ცალსახად გამოკვეთილი თვალსაზრისი არ ფიქსირდება. წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება ფოკუსირებულია უნდილაძეების მოღვაწეობის დამასრულებელ ეტაპზე, გაანალიზებულია მათი კარიერული დაღმასვლის მიზეზები და შედეგები. საამისოდ საუკეთესო პირველწყაროებად გვევლინება XVII საუკუნის სპარსული საისტორიო თხზულებები, რომელთა ავტორები მათ მიერ აღწერილი მოვლენების თანამედროვენი, ზოგ შემთხვევებში კი თვითმხილველებიც იყვნენ. ასეთ ნაშრომთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ისქანდერ მუნშის „გაგრძელება“ (რომელიც მისი ფუნდამენტური თხზულების - „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის“ გაგრძელებას წარმოადგენს), მოჰამმად მა'სუმის „ცხოვრების მოკლე აღწერილობა“, მოჰამმად იუსუფის „სამოთხე“ და აბუ ალ-მაფახერ თაფრეშის „შაჰ სეფის ისტორია“, რომელთა ცნობები საქართველოს შესახებ ჩვენს მიერ იქნა თარგმნილი სპარსულიდან ქართულად. განხილულ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებო ინფორმაცია მოიპოვება ასევე XVII საუკუნის სპარსულ ლიტერატურულ თეზქერეებში ანუ ანთოლოგიებში. მათი გადმოცემით, სეფიანთა ირანის ლიტერატურულ ასპარეზზე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ და პოპულარობით სარგებლობდნენ ალავერდი-ხან უნდილაძის შთამომავლები, რომლებიც შაჰ სეფი I-ის მიერ ამ საგვარეულოს მიმართ განხორციელებულ რეპრესიებს გადაურჩნენ.

განხილულ სპარსულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების პარალელური ინფორმაციის შემცველ სხვა წყაროებთან შეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილ ნაშრომში გამოტანილია სათანადო დასკვნები. კერძოდ, უნდილაძეების მიმართ განხორციელებული სასტიკი სადამსჯელო ოპერაციებისათვის კატალიზატორის როლი შეასრულა 1632 წლის შემოდგომაზე დაუდ-ხან უნდილაძისა და მეფე თეიმურაზ I-ის მიერ ორგანიზებულმა აჯანყებამ, რომელი სეფიანთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. თუმცა, ზოგიერთ წყაროში საამისოდ სხვა მიზეზიც

სახელდება. კერძოდ, თითქოს შაჰ სეფი ინფორმირებული იყო იმის თაობაზე, რომ ძმები უნდილაძეები შაჰ აბას I-ის უკანონო ვაჟის გამეფებას აპირებდნენ და ამის გამო გადაემტერა მათ. ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია ის ისტორიული რეალობაც, რომ შაჰ სეფი გამეფებისთანავე ნეგატიურად იყო განწყობილი უნდილაძეების მიმართ, რომლებიც თავიანთ მომხრეებთან ერთად, უპირისპირდებოდნენ ირანში აღზევებულ ქართველთა მეორე დაჯგუფებას ხოსრო-მირზას (შემდგომში ქართლის ვალის - როსტომის) მეთაურობით, რომელსაც თავად შაჰ სეფი ლობირებდა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები

1) ავტორები
1.

2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. ნინო სამსონია, გიული შაბაშვილი
2. მზისა ბუსკივაძე
3. მზისა ბუსკივაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Some ancient Roots of Kartvelian and Southern Mesopotamian Lexical Units", ISBN 987-83651 35-07-0
2. Gürcü ve Türk Kültüründe Ejderha Simgesi, / დრაკონის სიმბოლო ქართულ და თურქულ კულტურაში/ ISBN: 978-605-69012-7-0
3. The issue of time in Ahmet Hamdi Tanpinar's novel "Institut of Time" according to Mikhail Bakhtin's theory of kronotop) Doi Number :http://dx.doi.org/10.25068/dedekorkut414

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Caucasica Antiqua et Chriastiana, edited by David Kolbaia,Volume 1.
2. Doğan Kaya 70 . yaş hatırası
3. DEDE KORKUT The Journal of International Turkish Language & Literature Research.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Faculty of Oriantal Studies University of Warsaw, 2021
2. Vilayet Kitabevi. Istanbul
3. Samsun/ Türkiye

5) გვერდების რაოდენობა
1. 8 გვ.
2. 7გვ. (423-428).
3. 10გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. შუმერულ ტექსტებზე მუშაობისას, მთავარ სირთულეს, სამწერლობო ტრადიციის არარსებობა წარმოადგენს. შესაძლოა ფირფიტის კოლოფონებში დაცული ყოფილიყო რა¬იმე ინფორმაცია ტექსტის წარმომავლობის, ისტორიის, ასევე ხელ-ნაწერის სხვასხვა ვარიანტების შესახებ, მაგრამ გადამწერი ამის შესახებ არაფერს ამბობს. შუმერულ ენაში ტოპონიმებისა და ღმერთების სახელები აშკარად

წინაშუმერული წარმოშობისაა, რადგან არ ხერხდება მათი შუმერული ეტიმოლოგიების დადგენა. ანალოგიურ პრობლემას ვაწყდებით სიტყვა ენგურთან დაკავშირებით, რომელიც შუმერული წარმომავლობისა არ უნდა იყოს. მაგალითად, შუმერული ღმერთებისა და ტოპონიმების მრავალი სახელი, დრავიდულ ლექსიკას უკავშირდება. არსებობს მოსაზრება, რომ სამხრეთ მესოპოტამიაში, დრავიდული ენა ყოფილიყო გავრცელებული, ამ ტერიტორიაზე შუმერების შემოსვლამდე. ამ ვარაუდის საფუძველს კი, არსებული ლექსიკური ერთეულები გვაძლევენ, მაგალითად: შუმ. eridu – (ქალაქი შუმერში) დრავიდულად –"ადგილი", ზოგან "სივრცე". Buranun–შუმ. ევფრატი, დრავიდულად –"მდინარე" და ა. შ.

არსებობს მოსაზრებაც, რომ შუმერული ლექსიკის უდიდესი ნაწილი არც დრავიდული ან სემიტური და არც ნახურ-დაღესტნური წარმოშობისაა. იგი გარკვეულ მსგავსებას ავლენს ქართველური ენების ლექსიკურ მარაგთან. ეს მსგავსებები კი, ნაწილობრივ, შესატყვისობების კანონად შეიძლება ჩამოყალიბდეს, რაც მომავალი კვლევების საქმეა. ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალა, შუმერული პოეტური ტექსტების თარგმანზე მუშაობისას მოვიძიეთ. არსებული ლურსმული ტექსტები თითქმის ერთი ათასწლეულის (ძვ.წ.III ათასწლეული) სურათს წარმოგვიდგენენ, რაც როგორც არსებული საკითხის, ასევე ძველი ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის კულტურული ურთიერთობებისთვის, კიდევ ერთი ნათელი დასტურია.

2. სტატიაში განხილულია ქართულ და თურქულ კულტურაში გველეშაპის სიმბოლო, აღნიშნული საკითხის კვლევისას გამოყენებული იქნა „დედე ქორქუთის წიგნის" მესამე ხელნაწერი და ქართული ამინარის ეპოსი, სტატიაში ყურადღება გამახვილებულია გველეშაპის დამარცხებასა და მის ტყავში გახვევის სიმბოლოზე.

3. სტატია ეხება მე-20 საუკუნის გამოჩენილი თურქი მწერალის აჰმედ ჰამდი თანფინარის რომანში „დროის მარეგულირებელი ინსტიტუტი" დროისა და სივრცის საკითხს. საკითხის კვლევისას ყურადღება გავამახვილეთ ქრონოტოპულ მოდელებზე, რომელბიც ერთი მხრივ ტოპოგრაფიასთან არის კავშრში, ხოლო მეორე მხრივ პერსონაჟებთან. შევეხეთ დროის სუბიექტივისტურ და ობიექტივისტურ თეორიებს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ირინე ტატიშვილი, ლევან გორდეზიანი
2. ნინო სამსონია
3. დარეჯან გარდავაძე
4. დარეჯან გარდავაძე
5. დარეჯან გარდავაძე
6. ნინო ეჯიბაძე
7. ნინო ეჯიბაძე
8. ნინო ეჯიბაძე
9. ნინო ეჯიბაძე
10. მაია ანდრონიკაშვილი
11. ხათუნა თუმანიშვილი
12. ხათუნა თუმანიშვილი
13. ხათუნა თუმანიშვილი
14. ხათუნა თუმანიშვილი
15. მარიამ ნანობაშვილი
16. მარიამ ნანობაშვილი
17. ნინო დოლიძე
18. . ხათუნა გაფრინდაშვილი, ***დალი ჩიტუნაშვილი,*** ირმა ხოსიტაშვილი
19. დალი ჩიტუნაშვილი
20. ნათია ჩანტლაძე
21. მ. ალექსიძე.
22. გრ. ბერაძე, **მ. ალექსიძე,** თ. მოსიაშვილი.

23. ფატმან ანთაძე-მალაშხია
24. ფატმან ანთაძე-მალაშხია
25. ფატმან ანთაძე-მალაშხია
26. ფატმან ანთაძე-მალაშხია
27. ფატმან ანთაძე-მალაშხია; ანდრო ნიანკინი
28. ფატმან ანთაძე-მალაშხია; საბინა კაზიმოვი
29. მანანა კვაჭაძე
30. მანანა კვაჭაძე
31. მზია ბურჯანაძე
32. მარიკა ჯიქია
33.მარიკა ჯიქია
34. მარიკა ჯიქია
35. მარიკა ჯიქია
36. მარიკა ჯიქია
37. მარიკა ჯიქია
38. მარიკა ჯიქია, ნუცა წერეთელი
39.მარიკა ჯიქია
40. ნანული კაჭარავა
41.მარიამ ჩაჩიბაია
42. მამუკა ბუცხიკიძე
43. მარიამ ჩაჩიბაია
44. ნანა გელაშვილი
45. ნანა გელაშვილი
46. ნანა გელაშვილი
47. ნანა გელაშვილი
48. ნანა გელაშვილი
49. ნანა გელაშვილი
50. ელისაბედ ბჟალავა

2) მოხსენების სათაური

1. ილუიანქას ტექსტის ინტერპრეტაციისთვის
2. ხორბლის უხვი მოსავლის მიღების შუამდინარული რიტუალის ინტერპრეტაციისთვის
3. ლიტერატურული ტექსტი როგორც სტუდენტისთვის ლექსიკოლოგიურ-სემანტიკური ცოდნის გადაცემის ერთ-ერთი წყარო
(იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ოქროს ქვიშა“ უდაბნოსა და თიღისმა/ავგაროზის აღმნიშვნელი სიტყვების/ლექსემების მაგალითზე)
4. ამინ არ-რეიჰანის „ჯიჰანის“ ახალი სიცოცხლე, როგორც ჰიპოტექსტისა ჰიპერტექსტისათვის მატიას ენარის რომან „კომპასში“.
5. მოდერნისტული ლიტერატურის ელემენტები იმან ჰუმაიდანის რომანებში.
6. არაბული არაბთათვის როგორც მეორე ენა
7. სინონიმია და ძირთა მინიმალური წყვილები არაბულში.
8. თანამედროვე ქართული მასმედია და თანამედროვე ქართული ენა.
9. პარალელიზმი და კალამბური არაბულში.
10. ტრანსფიქსი, თემის კატეგორია, გვარი და დერივაცია სალიტერატურო არაბულის მორფოლოგიაში.
11. ერთი არაბული ფრთოსანი გამოთქმის პოეტური ეტიმოლოგიისთვის
12. მცირე პარემიის კონსტრუირების ძირითად შემადგენელთა საკითხისათვის
(არაბული ანდაზების კორპუსზე ქართული შესატყვისებით)
13. ანდაზის დეკოდირებისათვის სამეტყველო აქტში (სირიულდიალექტური არაბული და ქართული მასალის მაგალითზე)

14. ენათშორისი პარემიული მოდელების ეკვივალენტობის განსაზღვრისათვის (არაბული და ქართული მასალის შეპირისპირებითი ანალიზის მაგალითზე)
15. ქართული თარგმანების მნიშვნელობა ქრისტიანული არაბული მემკვიდრეობის შესწავლისათვის
16. არაბული წყაროები ქართლის მოქცევის შესახებ.
17. ალ-ჰარირის კლასიკური მაკამების როლი 21-ე საუკუნეში
18. ჰომილეტიკური და ეგზეგეტიკური ტექსტები პალიმფსესტებში
19. რამდენიმე დაკვირვება სინურ ხელნაწერზე O/sin.geo-96
20. XVIII ს-ის ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების ერთი ახალი ეპიზოდი
21. საქართველო XVIII-XIX საუკუნეების სპარსულ პოეზიაში.
22. ქართველები სეფიანთა ირანში: უნდილაძეების საგვარეულოს წარმომადგენლებთან დაკავშირებული XVII საუკუნის რამდენიმე სპარსული და არაბული წარწერის შესახებ.
23. სპარსულ ნასესხობათა ერთი ტიპისათვის ქართულში
24. ქართულ უნივერსიტეტებში სპარსულის სწავლების რიგ საკითხთათვის.
25. ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსულ ზოგიერთ შორისდებულთათვის.
26. ოსურ ნასესხობათა თემატური და მორფოლოგიური ასპექტისათვის ქართულში.
27. სპარსულ და რუსულ ნასესხობათა კოლოკვიალიზაციისათვის ქართულში
28. აზერბაიჯანულის შუამავლობისათვის სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებში.
29. ხაყანი შირვანელის პოეზიის ზოგი ასპექტის შესახებ: ქართული რეალიები
30. ენობრივი განვითარების დინამიკის შესახებ გომბორელ ლაიჯთა მეტყველებაში: ლექსიკის საკითხები
31. ფარიბა ვაფის ბრმა და თვალხილული ჩიტები
32. თურქული წარმომავლობის პერსონაჟები ქართულ პოეზიაში
(თურქი, ხაზარი, ყივჩაღი, პაჭანიკი, თათარი) .
33. Выдающийся мастер слова и гуманист Махтумкули Фраги
34. ნიკო სამადაშვილის პოეტური ქვეყნიერება
35. ფიცის კონცეპტის ერთი სახეობა ქართულსა და თურქულ ენებში
36. დევთეროლოგიის ისტორიიდან
37. თურქული წარმომავლობის იალღუზი ქართულსა და ოსურ ისტორიულ ანთროპონიმიაში
38. ნასესხობათა ინტეგრაცია წალკურ ურუმულში
39. ლექსწყობის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული ცვლილების თაობაზე
40. ქართული ენის სწავლება და ქართველოლოგიური კერები თურქეთში.
41. სირიული მეტრიკა
42. სიზმრის ფენომენი შმუელ იოსეფ აგნონის მხატვრულ აზროვნებაში
43. სირიული პოლემიკური მწერლობის შესახებ
44. ებრაელთა ჩინეთში დასახლების ისტორიიდან
45. იაპონიის საგარეო პოლიტიკური კურსი მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში
46. სამურაების სამხედრო ფენის აღსასრული იაპონიაში
47. ბუდისტური არქიტექტურის სპეციფიკური მახასიათებლები
48.სეფიანთა პირველი კონტაქტები საქართველოსთან
49.შაჰ თამაზ 1-ის სამეფო ტახტის მემკვიდრეები სპარსულ წერილობით წყაროთა შუქზე

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თსუ, 20-22 დეკემბერი, 2021
2. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თსუ, 20-22 დეკემბერი, 2021
3. 2021 წლის 19-20 სექტემბერი; მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია: მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

4. მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VII სამეცნიერო კონფერენცია.2021 წლის 20 სექტემბერი; თბილისი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
5. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-15 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. 2021 წლის 5-6 ივლისი. თბილისი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
6. თსუ, 29-30 სექტემბერი.
7. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-15 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. 2021 წლის 5-6 ივლისი. თბილისი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
8. თსუ, 13-14 აპრილი
9. თსუ, 28 იანვარი
10. კონსტანტინე წერეთლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, თსუ, 22 დეკემბერი, 2021
11. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 23-24 აპრილი, 2021. ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია - „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები“.
12. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 27-29 მაისი, 2021. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ“ - მიძღვნილი ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი.
13. თელავი. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
29-30 ოქტომბერი, 2021. https://journals.4science.ge
VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „კულტურათაშორისი დიალოგები“.
14. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 20-21 დეკემბერი, 2021.
აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.
15. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 28 ოქტომბერი
16. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე–100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 20–22 დეკემბერი
17. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე–100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 20–22 დეკემბერი.
18. თბილისი, საქართველოს ეროვნული არქივი, 24-25 სექტემბერი:
https://archive.gov.ge/ge/saertashoriso-konferentsia-1
19. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 20-21 მაისი
20. 30.09.2021 თბილისი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
21. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე–100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 20–22 დეკემბერი
22. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ახლო აღმოსავლეთი და კავკასია.კულტურა, ისტორია, პოლიტიკა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. 16-18 დეკემბერი, 2021.
23. სამეცნიერო კონფერენცია(ეძღვნება სემიტოლოგი ებრაისტის მანანა(მაკა) გოცირიძის 65-ე წლისთავს). – 28.01.2021. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრა. ჩატარებულია ზუმის პლატფორმაზე.
24. მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში. – 29.09.2021-30.09.2021. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ვილნიუსის უნივერსიტეტი. ჩატარებულია ზუმის პლატფორმაზე.
25. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ(ეძღვნება ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს). – 27-

29.05.2021. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ჩატარებულია ზუმის პლატფორმაზე.
26. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები.“ – 13-14.10.2021. თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება.
27. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია. – 28.10.2021. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჩატარებულია ზუმის პლატფორმაზე.
28. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თსუ, 20-22 დეკემბერი, 2021.
29. XV საფაკულტეტო-სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი, პროგრამა, 5-6 ივლისი, თბილისი 2021
30. კონსტანტინე წერეთლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. – 20-21.12.2021.
31. 30.09.2021 თბილისი,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.
32. 2021 წლის 28 იანვარი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აღმოსავლეთმცოდნე-ებრაისტის, მანანა (მაკა) გოცირიძის 65-ე წლისთავისადმი (zoom-ის პლატფორმა).
33. 2021 წლის 17 მაისი. zoom-ის პლატფორმა. თურქმენეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
34. 2021 წლის 23-24 ივნისი. zoom-ის პლატფორმა (თსუ, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი)
35. 2021 წლის 9 -10 ივლისი. zoom-ის პლატფორმა; თსუ ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. ჯულიეტა რუხაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.
36. 2021 წლის 22 ივლისი, თსუ, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი სამეცნიერო კონფერენცია: მესხეთი ოსმალური დავთრების მიხედვით (XVI-XIX სს.)
37. 2021 წლის 13 – 14 ოქტომბერი. თსუ, VII საერთაშორისო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“. კონფერენცია ეძღვნება იოანე იალღუზიძეს.
38. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თსუ, 20-22 დეკემბერი, 2021
39. 2021 წლის 21 დეკემბერი. თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერე ბათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტის IV კონფერენცია - ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.
40. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თსუ, 20-22 დეკემბერი, 2021
41. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თსუ, 20-22 დეკემბერი, 2021
42. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თსუ, 20-22 დეკემბერი, 2021
43. მანანა (მაკა) გოცირიძის 65 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, თსუ, 28 იანვარი, თბილისი, 2021
44. მანანა გოცირიძის 65 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნ. კონფერენცია. 28 იანვარი 2021 წელი, თბილისი - თსუ

45. შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის მე-6 სამეცნ. კონფერენცია „შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები ინტერდისციპლინური კვლევების სპექტრში“. 15-16 აპრილი 2021 წელი, თბილისი - თსუ
46. მე-15 საფაკულტეტო სამეცნ. კონფერენცია მიძღვნილი აკად. კ. წერეთლის 100 წლის იუბილესადმი.5-6 ივლისი 2021 წელი, თბილისი-თსუ
47. მე-5 საერთაშორისო სამეცნ. კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“. 23-24 ოქტომბერი 2021 წელი, ბათუმი - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.
48.მე-6 საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი საქართველოსა და ირანის პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი. 17 დეკემბერი, 2021 წელი, თბილისი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი.
49. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თსუ, 20-22 დეკემბერი, 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. გველეშაპთან ბრძოლის მოტივი არაერთი ხალხის მითებსა თუ ზღაპრებში გვხვდება. მათ შორისაა ხეთური მითი ამინდის ღვთაების გველეშაპთან/ გველთან (ხეთ. MUŠilluyanka-) შერკინების შესახებ, რომელიც უკვე ასი წელია მეცნიერთა ყურადღებას იპყრობს. მოხსენებაში ახლებურადაა გააზრებული ტექსტში ნახსენები ღვთაებების (ცის და ამინდის ღვთაებების, ცალიანუს) ურთიერთმიმართება და ამის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ ილუიანქას ტექსტში ჩართულ პასაჟებს - მითსა თუ რიტუალს კომპოზიციურად აერთიანებს არა მხოლოდ მითის მთხრობელი – ქურუმი ქელა, არამედ მათი ძირითადი პერსონაჟიც – ნერიქის ამინდის ღვთაება.

2. დაბეჭდილია

3. სწავლების პრაქტიკაში უკვე კარგად დანერგილია, რომ არამშობლიური ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზანი უცხო ენის/ენების ფლობაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებში არა მხოლოდ ამ უცხოენოვანი კულტურის წვდომაა ლიტერატურის მეშვეობით, არამედ შესასწავლი ლიტერატურული ტექსტების ან ამ ტექსტებიდან შერჩეული ამონარიდების დედანში კითხვისა და ანალიზის გზით ამ ენაზე მხატვრული აზროვნების წერილობითი გადმოცემის ენობრივი ფორმებისა და საშუალებების შესწავლაც გახლავთ, ამ ენის სემანტიკური და სტრუქტურული კანონზომიერებების ათვისება, რაც, საბოლოოდ, მაღალი ენობრივი კომპეტენციების განვითარებას უწყობს ხელს სტუდენტებში. ლიტერატურის სწავლის პროცესი, მხატვრული ტექსტის გაგება დედანში სტუდენტს მხატვრული და ესთეტიკური გემოვნების განვითარებასთან, უნივერსალური ფასეულობების, ჰუმანური და ტოლერანტული ღირებულებების შეძენასთან ერთად ენის აქტიური გამოყენების, სხვადასხვა ტიპის, ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი წერილობითი ტექსტის კითხვისა და გაგების უნარებს გამოუმუშავებს. სწორედ ამას ემსახურება ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლების მეთოდი და სტრატეგიები.
მოხსენებაში არაბისტიკის ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში თანამედროვე არაბული ლიტერატურის სწავლების მაგალითზე ნაჩვენები იქნება ლიბიელი ავტორის, ლიბიური ლიტერატურის ცოცხალი კლასიკოსის იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანის „ოქროს ქვიშის“ არაბულენოვან დედანში უდაბნოსა და თიღისმა/ავგაროზის მნიშვნელობებთან დაკავშირებული სიტყვების/ლექსემების სემანტიკური ველის სიფართოვე და მათი კონცეპტუალური დატვირთვა დედანში, მათი ქართულ თარგმანში გადმოსვლის გზები და თარგმანში მისადაგებული ქართული ლექსიკური შესატყვისები. საილუსტრაციო მაგალითების ანალიზის საფუძველზე მოხსენებაში განზოგადებულად იქნება წარმოჩენილი ლიტერატურული ტექსტით სტუდენტისთვის მიცემული ლექსიკოლოგიურ-ლინგვისტურ-სემანტიკური ცოდნის მნიშვნელობა და აუცილებლობა მაღალი ენობრივი კომპეტენციების გამოსამუშავებლად.

4. მოხსენების მიზანია, მატიას ენარის, თანამედროვე ფრანგი აღმოსავლეთმცოდნის, მწერლისა და მთარგმნელის გახმაურებულ პოსტმოდერნულ რომან „კომპასში“, რომელიც 2015 წელს გამოიცა და

ამავე წელს გონკურის პრემია მიიღო, ამინ არ-რეიჰანის, არაბული ემიგრანტული ლიტერატურული სკოლის, – „მაჰჯარის“, – თვალსაჩინო ორენოვანი ლიბანელი ავტორის ერთ-ერთი ადრეული ტექსტის „ჯიჰანის“ კვალის გამოვლენა, მისი ინტერპრეტაცია, როგორც ინტერტექსტუალური დიალოგის ახალი ვარიანტისა. აღმოსავლეთ-დასავლეთის პარადიგმა როგორც პრეტექსტს, ისე ჰიპერტექსტს გასდევს თავიდან ბოლომდე. ორივე ტექსტში აღმოსავლეთ-დასავლეთის ბინარული წყვილი ძალაუფლებისა და სიყვარულის, სხვისი დაუფლებისა და სხვაზე ბატონობის გზით მიღწეული ბედნიერების ისტორიებთანაა მჭიდროდ გადახლართული, პრეტექსტის (ჰიპოტექსტის) – ამინ არ-რეიჰანის „ჯიჰანის“ – ძირითადი აზრი გარკვეულწილად ტრანსფორმირებულია „კომპასში“, გარდა იმისა, რომ შეცვლილია მისი ისტორიულ-გეოგრაფიულ-დროითი კონტექსტი, თუმცა მთელი რიგი მინიშნებებით მაინც ადვილია მისი ამოცნობა. „კომპასის“ ავტორის არჩევანიც ამ საუკუნის წინ, 1917 წელს ამერიკაში, ნიუ იორკში გამოცემული ტექსტის სიუჟეტის გამოყენებისას, ვფიქრობ, სწორედ ეს აღმოსავლურ-დასავლური თემა უნდა ყოფილიყო, რადგან რომანი „კომპასი“ აღმოსავლეთმცოდნეობითი სპეციფიკით საოცრად დატვირთული, ინტერტექსტებით უხვად გაჯერებული ძალიან საყურადღებო ნაწარმოებია, რომელიც მთლიანად აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპირისპირებებზეა აგებული.

5. ლიბანის სამოქალაქო ომის თემაზე შექმნილი იმან ჰუმაიდანის რომანები, ერთი შეხედვით, შინაარსობრივად ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი ნაწარმოებებია, მაგრამ გარკვეული სიუჟეტური პარალელები მათში, ასოციაციები, ლიტერატურული სახეებისა და პერსონაჟების, მათი სახელების გამეორება რაღაც ერთიან, ღია მეტაფიზიკურ სივრცეს ქმნის, რომელსაც ძალიან მყიფე სივრცითი და დროითი საზღვრები აქვს, აქ წარსული იჭრება აწმყოში და დაღს ასვამს მომავალს, აქ ყველაფერი ლიბანის გარშემო ტრიალებს, სულ ერთია, რომანების პერსონაჟები ლიბანში რჩებიან თუ სამშობლოს ავბედობას გარიდებულნი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხე-კუნჭულში ემიგრანტებად დაეხეტებიან.
ფოლკნერისეული გავლენები იმან ჰუმაიდანის ყველა რომანში იგრძნობა, თუმცა „სხვა ცხოვრებანი“ ამ მხრივ ნამდვილად განსაკუთრებულია. ფოლკნერისეული დროთა კავშირის რღვევა და წარსული, რომელიც წარსულ დროში კი არ რჩება, არამედ მთავარ გმირთა აწმყო ცხოვრებაში გადმოინაცვლებს, მომავალსაც კი ის განსაზღვრავს, მათი ბედისწერაა თითქოს.
ავტორი რომანის მხატვრულ დროს ციკლურ ფორმას აძლევს, რაც მოდერნისტული რომანის პოეტიკის, მოდერნისტული ქრონოტოპის დამახასიათებელი ნიშანია. დროის სვლის ციკლურობა რომანის გმირებისთვის სატანჯველად ქცეულა. ციკლური დრო და მისი ტრაგიკული აღქმა მწერლისა და მისი რომანების პერსონაჟებისთვის ხშირად მსოფლმხედველობის ნაწილია. საკუთარი თავის ძიებაში გზას დამდგარი იმან ჰუმაიდანის რომანების გმირები მრავალგზის გარდაიქმნებიან, უკანაც ბრუნდებიან, შინისკენ მიმავალი გზა მათი თვითძიების ნაწილია... ნოსტალგია, სამშობლოსკენ სწრაფვა, მშობლიურ ქალაქში მარადიული დაბრუნება, ოღონდ შეცვლილ სამშობლოში, შეცვლილ მშობლიურ ქალაქში, სხვა ადამიანად დაბრუნება მის გმირებს ბედისწერად ექცათ.

6. არაბოფონური სამყაროს რეალობაა მოსახლეობის დიდი ნაწილის გაუცხოება სალიტერატურო არაბული ენის მიმართ. აღნიშნულ პრობლემას ვერ ჭრის არაბული ქვეყნების მთავრობების ძალისხმევა გაუნათლებლობის დაძლევის მიმართულებით. სალიტერატურო არაბულის ცოდნა გულისხმობს ფორმალურ განათლებას. არაბები არიან ამა თუ იმ დიალექტის, მაგრამ არა სალიტერატურო ენის, მატარებლები. ამ გაუცხოებას ადასტურებს დაკვირვებანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არაბ სტუდენტებზეც, რომლებიც სალიტერატურო არაბულზე წერისას უშვებენ შეცდომებს გრამატიკისა და ლექსიკის სფეროში უმეტესად ინსპირირებულთ არაბულის სასაუბრო ფორმებში დამკვიდრებული ნორმებით. სხვა სიტყვებით, სტუდენტები სალიტერატურო ენაზე წერისას ტექსტში გამოიყენებენ დიალექტიზმებს. მეორე მხრივ, გვხვდება ფსევდოკორექციის შემთხვევებიც (როგორც ჰიპო-, ასევე ჰიპერსწორება). სალიტერატურო ენაზე საუბრისას ასეთი ახალგაზრდები კიდევ უფრო მეტად ბრკოლდებიან, ვიდრე წერისას, რადგანაც მეტყველება გარკვეული ტემპთან ადაპტირებასაც გულისხმობს. საბოლოოდ, გამოდის, რომ არაბი სტუდენტები, მიუხედავად იმისა, რომ მათ უმრავლესობას აქვს სკოლაში სალიტერატურო ენის შესწავლის გამოცდილება, სწავლობენ ამ ენას, პრაქტიკულად, როგორც მეორე ენას, და არა როგორც მშობლიურს.

აღნიშნული პრობლემა ცნობილია და საკითხი სათანადო სამეცნიერო წრეებში მწვავედ დგას. პრობლემის გადაჭრის გზად ხანდახან (უცხოენოვანი სპეციალისტების მიერ) დასახულია სალიტერატურო ენის მოდერნიზება და მისი დაახლოება დიალექტებთან. ეს შეთავაზება სერიოზულ საფრთხეებთანაა დაკავშირებული და კლასიკურ ენაზე შექმნილ მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობასთან შემდგომი, უფრო მაღალი ხარისხის, გაუცხოებისკენ პირდაპირი გზაა. ამავდროულად, არაბულ ქვეყნებში ფუნქციონირებს ე.წ. სტანდარტ ენა, რომელიც არის კიდეც სალიტერატურო ენის მოდერნიზებული ვერსია, მაგრამ მისმა არსებობამ პრობლემის გადაჭრა ვერ შეძლო. არაბულ ისტორიაში იყო მცდელობები ადგილობრივი დიალექტების ეროვნულ ენებად გამოცხადებისაც, რაც საბოლოოდ, საბედნიეროდ, უარყოფილ იქნა.

პრობლემის გადაწყვეტის გზად შეიძლება იქცეს არა ენის, არამედ – ენის სწავლების მოდერნიზება. უფრო დეტალურად: არაბულის აღწერის ორი ტრადიციიდან – ევროპული არაბისტიკისა და საკუთრივ არაბულის – ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის უნდა შეირჩეს ის მიდგომა, რომელიც სწავლების პოზიციიდან უფრო მარტივადა და უნიფიცირებულად აღწერს მოვლენას. საბოლოოდ, სწავლების მეთოდიკის მოდერნიზება შესაძლოა დავსახოთ სალიტერატურო ენის უკეთესად ათვისების საშუალებად, რამაც შეიძლება მოხსნას, ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეამციროს პრობლემა.

7. მოხსენება მიზნად ისახავს არაბული ენის მასალის საფუძველზე სინონიმიის საკითხებში გარკვევის მცდელობას. მასალა განხილულია დიგლოსიურ ჭრილში, სათანადო სინქრიონიული და დიაქრონიული მონაცემების გათვალისწინებით.

1. არაბულში დასტურდება შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე აღსანიშნს შეესაბამება სხვადასხვა აღმნიშვნელი არაბოფონური სამყაროს სხვადასხვა რეგიონში; ამავდროულად, სიფრთხილეს მოითხოვს ისეთი ლექსემები, რომლებიც რეგიონული პოლისემიურობით ხასიათდებიან.

2. სიტყვათა ერთი ნაწილი, რომლებიც შეიძლება სინონიმებად ჩავთვალოთ, ენის განვითარების განმავლობაში, სემანტიკური ტრანსფორმაციის შედეგად დაუახლოვდა ერთმანეთს; მათი ამოსავალი მნიშვნელობები განსხვავებული იყო, თუმც კი მიახლოებულ სემანტიკურ ველს წარმოადგენდნენ.

3. არსებობს მოსაზრება, რომ არაბული ძირის ამოსავალი იყო ორთანხმოვნიანი შემადგენელი, რომელმაც შემდგომში, გარკვეულ მორფთა შერწყმის შედეგად, გაიძლიერა შემადგენლობა სამ და ოთხთანხმოვნიანამდე. ამის დასტურად შეიძლება წარმოვადგინოთ საკმაოდ მრავალრიცხოვანი წყვილები ძირებისა (და მათი სათანადო დერივატების), რომლებსაც ორი ძირისეული თანხმოვანი იდენტური აქვთ, ხოლო მათი ზოგადი სემანტიკა მიახლოებული ან იდენტურია; ამასთანავე, ნათქვამი არ გულისხმობს ამ ძირთა ყველა შემდგომი დერივატის იდენტურ მნიშვნელობას.

4. საბოლოოდ, არაბულში სინონიმიის არსებობის მიზეზებად შეიძლება დასახელდეს სინქრონიაში – რეგიონალიზმი, ასევე – ლექსიკურ ერთეულთა დიაქრონიული სემანტიკური და ძირთა დიაქრონიული მორფოფონეტიკური ტრანსფორმაციები.

8. გასაგებია, რომ მასმედია საზოგადოებაში ინფორმატორის ფუნქციასთან ერთად ერთგვარი ენობრივი ინდიკატორის როლსაც ასრულებს და თანამედროვე სოციოლინგვისტურ სურათზე გარკვეულ გავლენას ახდენს. თავის მხრივ, ენის სპეციფიკის ფორმირება მასმედიაში დამოკიდებულია მისი ფუნქციონირების რეალიებზე (უცხოენოვანი მასალის სწრაფი თარგმანის აუცილებლობა, რის დროსაც ხშირად თავიდან ვერ იცილებენ ლექსიკურ, სტილისტურ, სინტაქსურ გავლენებს და მისთ.). თანამედროვე ენაში კი, პრესის ენიდან გადმოდის და მკვიდრდება გარკვეული ტენდენციები. ამ კონტექსტში, ერთმანეთისგან გასამიჯნია: ა) შემთხვევები, რომელთა ინსპირატორია მოცემული ენის შიგნით მიმდინარე პროცესები. სალიტერატურო ენა – როგორც ასეთი – სტანდარტიზებული, ნორმირებული ენაა. თუკი ტენდენცია, რომელიც სალიტერატურო ენის პოზიციიდან შეცდომად აღიქმება, ამავე ენის საფუძველზეა აღმოცენებული – მოვლენის მიმართ დამოკიდებულება რამდენადმე ლოიალური შეიძლება იყოს, შესაძლებელია ენაში მისი დაშვების საკითხზე მსჯელობაც; ბ) შემთხვევები, რომელთა ინსპირატორია უცხო ენა/ენები და რომელთა გავრცელების საფუძველია ექსტრალინგვისტური ფაქტორები, ხშირად – მოცემული უცხო ენის არასაკმარისი ცოდნა.

მოხსენება შეეხება მასმედიის ენიდან თანამედროვე ქართულში შემოსულ ტენდენციებს და მიზნად ისახავს საკითხის დასმას მათი კორექტირების მიზანშეწონილობის შესახებ.

9. პარალელიზმი, როგორც მხატვრული თვითგამოხატვის საშუალება, არაბულში ძალიან პოპულარულია და არა მხოლოდ გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ, ზოგადად, არაბული მჭევრმეტყველების ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენს.

მოვლენა, რომელსაც პარალელიზმი შეიძლება ეწოდოს, არაბულში ორ ჯგუფად უნდა განვიხილოთ:

1) შემთხვევები, როდესაც ერთმანეთის გვერდით, ერთ ფრაზაში, გამოყენებულია ფორმით განსხვავებული, მაგრამ მნიშვნელობით ძალიან მიახლოებული, პრაქტიკულად იდენტური, ლექსემები, რაც გადმოსაცემი აზრის ჰიპერბოლიზაციას ემსახურება;

2) შემთხვევები, როდესაც ერთმანეთის გვერდით, ერთ ფრაზაში, გამოყენებულია სხვადასხვა მნიშვნელობის, მაგრამ ფორმალური თვალსაზრისით რაიმე პრინციპით გაერთიანებული ლექსემები (ხან კი სინტაგმები), რაც ასევე შეიძლება ემსახურებოდეს აზრის ხაზგასმას, ჰიპერბოლიზებას, ან უბრალოდ, კარგად აგებული ფრაზის ატრიბუტად განიხილებოდეს. ამ, მეორე, ქვეჯგუფში, თავი მხრივ, ასევე ორი სხვადასხვა ტიპის შემთხვევები ერთიანდება: ა) სადაც პარალელიზმი აგებულია ერთი და იმავე გრამატიკული მოდელით წარმოდგენილ სიტყვებზე (მასდარი-მასდარი, მიმღეობა-მიმღეობა და მისთ.), და ბ) სადაც სიტყვები შერჩეულია ისე, რომ ჟღერადობრივადაც კონსონანსშია ერთმანეთთან; ამ შემთხვევაში, პარალელიზმი პრაქტიკულად მინიმალური წყვილების მონაცვლეობაზე აიგება.

აქვე უნდა განვიხილოთ კალამბური თავისი ორი ვარიაციით: შემთხვევები აგებული ა) ერთი და იმავე ბგერითი შემადგენლობის მქონე სიტყვებზე, და ბ) ომონიმიის პრინციპზე.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება აქ ჩამოთვლილი მხატვრული ხერხების საილუსტრაციო მასალა განხილული არაბული ენის განვითარების ტენდენციების გამოვლენის კონტექსტში.

10. N. Fink-ისათვის არაბული ძირის ფლექსიური (wurzelflektierend) ტიპის ენაა. ალ. ლეკიაშვილისთვის არაბული ძირი „ვერ იგუებს აფიქსს“. მართლაც, არაბული თანხმოვნური შემადგენლობის ძირი ვერასოდეს დაირთავს სუფიქსს, პრეფიქსს, ინფიქსს და ცირკუმფიქსს, თუ არა ტრანსფიქსთან ერთად, თუ ე. წ. შინაგან ვოკალიზმს ანუ შინაგან ფლექსიას განვიხილავთ როგორც ტრანსფიქსს (ასეა მიღებულია სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ ლინგვისტიკაში). თანხმოვნური შემადგენლობის ძირში ჩართული (გამხლეჩი) ერთი ან მეტი ვოკალი ძირითადად წარმოადგენს დამხმარე მორფს, მაგრამ არსებობს გამონაკლისებიც – ტრანსფიქსი ზოგჯერ თანხმოვნებისგან შემდგარ ძირთან ერთად ქმნის ახალ ძირეულ მორფს, ანუ ფუძეს ან ყალიბს (მოდელს); მაგალითად: raǧul: riǧl, šaǧar: šaǧr და სხვ. ჩანს, ძირეული მორფის სტრუქტურაში ხმოვანიც მონაწილეობს. ფლექსიურ, დამხმარე მორფებს ტრანსფიქსი წარმოადგენს შემდეგ შემთხვევებში: I თ. qatala: III თ. qātala, muqaddim: muqaddam (აქტივისა და პასივის მიმღეობები), მხ. kitāb: მრ. kutub და სხვ. ხშირად ტრანსფიქსი გრამემას გამოხატავს პრეფიქსთან ერთად, მაგ.: kataba: ʾaktaba, ან პრეფიქსთან და სუფიქსთან ერთად. მაგ.: ṣadīq: ʾasdiqā, ტრანსფიქსი (შინაგანი ვოკალიზმი) ვლინდება მარცვლის შექმნის (წარმოთქმის გაადვილების) ფუნქციითაც, ხოლო ზოგიერთ ზმნიზედაში, წინდებულსა და კავშირში, შესაძლოა, ცარიელ მორფად იქნეს კვალიფიცირებული.

11. ზოგადად, ხალხური ანდაზები, ანდაზური თქმები, გამოცანები და მისთ. აგებულებით, როგორც წესი, ძალზე დახვეწილია და შთამბეჭდავი. ამგვარი ფრთოსანი თქმების გრამატიკული და ფონოლოგიური მოცემულობა გარკვეულწილად მისი იდეური შინაარსის ფორმირებაშიც იღებს ქვეცნობიერად მონაწილეობას და აქტუალიზაციისას შთამბეჭდავობის ხარისხზეც აისახება.

მოხსენებაში ერთი არაბული მაგალითის (ფორმალური და სემანტიკური შემადგენლების კომპლექსური გააზრების) საფუძველზე, განიხილება, როგორ, რა ზოგადი და, უკვე შემდგომ, საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი რა კერძო საშუალებებით იქმნება მოცემული ფიგურალურად გამოხატული საზოგადოდ გამოცდილი და დამკვიდრებული შეფასება — არსებული ენობრივი კოლექტივის სამეტყველო და სააზროვნო სივრცეში. საანალიზო მასალად არაბული ფოლკლორიდან აღებულია კარგად გარითმული, მწყობრად ორგანიზებული მაგალითი. მისი რიტმული აგებულების საფუძველს, უმეტესწილად, სარითმო სეგმენტებთან ერთად, გარკვეული პარალელური კონსტრუქციების, ე.წ. გამეორებადი „გრამატიკული ფიგურის“ და „ბგერითი ფიგურის“ (ჯ. ჰოპკინსი), თანაარსებობა ქმნის. გაანალიზებულია ის კომბინირებული მექანიზმი, რომლის სინქრონული ამუშავებითაც მიიღწევა კონკრეტული ანდაზის ფორმალური და შინაარსობრივი მთლიანობა.

პარალელიზმის გარკვეულ სახეობათა (ეკვივალენტური გრამატიკული კონსტრუქციების და რეგულარულად გამეორებადი ფონოლოგიური წყობის და სხვ.) დადგენით, ერთი მხრივ, განისაზღვრა

კონკრეტული ანდაზის რიტმიზების გამომწვევი ფაქტორები, და, მეორე მხრივ, გამოვლინდა ამ ფორმალური შემადგენლების მატერიალიზება და ორგანული შეთავსება მოცემული ფიგურალური თქმის სემანტიკაში, მის იდეურ შინაარსში.

კერძოდ, ირკვევა, რომ განხილულ ფრთოსან გამოთქმაში მოქმედი პოეტური ეტიმოლოგიის თვალსაჩინო შემადგენლები თუ ფარული მექანიზმები ქვეცნობიერ დონეზე მუშაობენ და ლოგიკური ასოციაციების სათანადო იმპულსებს იძლევიან. ეს იმპულსები აქტუალიზაციისას გარკვეულწილად „ეხმარება“ მოცემული ფიგურალური გამოთქმის ხატში ჩადებული (ცნებითი აზროვნების დონეზე მიმდინარე) სიღრმისეული სემანტიკის ფორმირებას და მის გახსნას. ანალიზმა აჩვენა, რომ ფორმალური სურათი, სიღრმისეული სემანტიკის შთამბეჭდავობის ხარისხის პირდაპირპროპორციულია. ანუ, რაც მეტად დახვეწილი და მდიდარია ფორმა, მეტად შთამბეჭდავია დეკოდირებული დედააზრი და მისი კონტექსტში აქტუალიზაციის დროს თანმდევი ეფექტი.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები პრობლემის ზოგადთეორიულ მხარესაც მოიცავს.

საანალიზო მასალა ჩაწერილი და თარგმნილია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ არაბი (სირიელი, ლიბანელი) ინფორმანტებისაგან.

12. [მოხსენების სრული ვერსია გამოქვეყნდა თსუ სამეცნიერო კრებულში - „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“ , ტომი XXXV. (იხ.: ზემოთ)]

13. [მოხსენების სრული ვერსია გამოქვეყნდა „კულტურათაშორისი დიალოგები“ . ტომი 6 (2021): შრომები (ენა და ენათმეცნიერება), იხ.: ზემოთ] https://journals.4science.ge/index.php/IDW

14. მოხსენება მიზნად ისახავს არაბული და ქართული პარემიული ეკვივალენტური მოდელების განსაზღვრის და შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე გამოვლინოს, როგორ, რა ზოგადი და, ამავდროულად, თითოეულისთვის დამახასიათებელი რა კერძო საშუალებებით იქმნება მოცემული სიბრძნე მოცემულ ლინგვოკულტურულ სივრცეებში – „წარმოსახვათა ერთობის“ (ბ. ანდერსონი) განსხვავებულ სისტემებში.

დღეს, მიმდინარე ეპოქალური გამოწვევების ფეხდაფეხ (მძლავრი კულტურული ექსპანსიის პირობებში) პარემიოლოგია გლობალურ ჭრილში სვამს საკითხს საანდაზო ენის ფუნქციაზე ტრადიციულ და თანამედროვე კულტურაში. მეცნიერებს უმნიშვნელოვანესად მიაჩნიათ განსხვავებულ კულტურათა მონაცემების შეპირისპირებითი კვლევა, რათა მიღებულ იქნას საერთაშორისო ანდაზების ერთობლივი მარაგი მათი მრავალფეროვანი ფუნქციებით სხვადასხვა კულტურაში. თანადროული მოთხოვნების შესაბამისად, ლოგიკურია, იცვლება მიდგომებიც. როგორც ჩანს, ეს პროცესი მეტად დაკვირვებულ და ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს. არაბული და ქართული ანდაზური ფონდების შედარებამ გვიჩვენა, რომ ენათშორისი ზუსტი მონაცემების მისაღებად საჭიროა იმაზე დიდი ინფორმაციის მოპოვება, ვიდრე (ტრადიციულად მიღებული) ფიქსირებული პარემიული ტექსტების დედნიდან „ბუკვალური“ თარგმნა და ამ ფონზე ეკვივალენტების დაძებნის მცდელობა იძლევა. ანდაზების ლექსიკონების გაცნობამაც დაგვარწმუნა, რომ პარალელებად გაგებული ერთეულები, რიგ შემთხვევებში, ზუსტი ანალოგები არ არის. განსაკუთრებით ღრმად მეტაფორულ ერთეულებში „დაფარული“ არსებითის წვდომას, მოცემული „მეტაფორული აზროვნების“ (ჯ. ვიკო) სივრცეში (საგნებსა და მოვლენებს შორის) დადგენილი წარმოსახვითი ლოგიკური მიმართებების სწორი შეცნობა იძლევა. ამავდროულად, უცხოენოვანი მასალის განხილვა და შედარება უპირობოდ უნდა მოხდეს ადეკვატურ „სიტუაციურ ნიშაში“ გააზრების საფუძველზე, რათა თავიდან იქნას აცილებული გარკვეული ცდომილებანი. ვინაიდან წერილობით თუ ზეპირ კომუნიკაციაში მათი მართებული გამოყენება უეჭველად მოითხოვს სემანტიკური შეფერილობისა და სტილისტური მახასიათებლების ზუსტ ცოდნას.

დასკვნები პრობლემის ზოგადთეორიულ მხარესაც მოიცავს.

არაბულენოვანი საანალიზო მასალა, რომელიც წარმოდგენილი იქნება მოხსენების დროს, მოპოვებულია არაბული პირველწყაროდან, უშუალოდ არაბი (სირიელი, ლიბანელი) ინფორმანტებისაგან.

15. საქართველოს უშუალო კონტაქტი ჰქონდა არაბულ სამყაროსთან 400 წელზე მეტი პერიოდით. თბილისი წარმოადგენდა საემიროს, რომელსაც ჯაფარიდები მართავდნენ. იმხანად არაერთი არაბული

სიტყვა შემოვიდა ქართულში თარგმანების მეშვეობით, ასევე ისინი ნასესხები იყო არაბთაგან ქართველთა მიერ ზეპირი მეტყველების გზით. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია არაბული ეპიგრაფიკული ძეგლები. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქართველ მეფეთა მონეტებზე XI-XII საუკუნეებში წარწერები შესრულებული იყო არაბულ ენაზე. საქართველო ვრცლადაა აღწერილი არაბ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა შრომებში. განათლებულმა ქართველებმა კარგად იცოდნენ არაბული. მათ ის არ მიაჩნდათ მხოლოდ ისლამური ცივილიზაციის ენად, რაც ნათლად ჩანს სინას მონასტერში აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერებზე გაკეთებული არაბული მინაწერებიდან. იმ პერიოდის ქართველმა სასულიერო პირებმა კარგად იცოდნენ ქართული და არაბული ენები ისევე, როგორც ბერძნული.

ქართველებმა განსაკუთრებით აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყეს VIII საუკუნეში, რაც ემთხვევა ქრისტიანული არაბული ლიტერატურის აღმოცენებას. არაბულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები ძირითადად ჩამოყალიბდა წმ. საბასა და წმ. ხარიტონის ლავრებში, ასევე ღვთისმშობლის მონასტერში სინაზე.

არაბულიდან ქართულად ნათარგმნ ტექსტთა შორის არის ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური თხზულებები, ასკეტიკური ძეგლები, ე. წ. „სწავლანი“, რომელთა ავტორები არიან იოანე ოქროპირი, ბასილი დიდი, ეფრემ ასური და სხვ. წინამდებარე ნაშრომში დაწვრილებით იქნება გაანალიზებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, როგორიცაა *რომანოზ ახლის წამება, ანტონი რავახის ცხოვრება, ფსევდოდიონისე არეოპაგელის ცხოვრება, პანსოფი ალექსანდრიელის წამება, ელიანოზის წამება, კვირიკეს ცხოვრება.* ზოგიერთ შემთხვევაში ამ თხზულებათა ბერძნული ან არაბული ვერსიები დაკარგულია (მაგალითად, რომანოზ ახლის წამებისა).

არაბულიდან ქართულად თარგმნის პროცესი ადასტურებს ქრისტიანული არაბული ლიტერატურის პრესტიჟულობას პალესტინაში. ქართულმა ვერსიებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს წმინდა მიწის მონასტრებში შექმნილ ლიტერატურაში აბასიანთა პირველ საუკუნეში არაბული ენის გამოჩენის ისტორიის დადგენასა და შესწავლაში.

16. ბერძენი ბერი ნიკონი, რომელიც XI საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ანტიოქიის რეგიონში, ამიტომაც შავმთელად იწოდა, შუა საუკუნეების მელქიტური ლიტერატურის მნიშვნელოვან ავტორთა რიცხვს განეკუთვნება. მან სამი მოზრდილი წიგნი დაგვიტოვა, ისინი ჯერ კიდევ არაა შესწავლილი ზედმიწევნით. მისი თხზულების – „საყვარელ ქართველ სულიერ მამათა და ძმათა შესახებ“ (რომელიც ქართველთა გაქრისტიანებასა და მათი ეკლესიის ისტორიას ეხება) – განხილვის საფუძველზე წინამდებარე ნაშრომით გვსურს მოკრძალებული წვლილის შეტანა ნიკონის შრომების შემდგომი შესწავლის საქმეში. განსაკუთრებითაა გამახვილებული ყურადღება წყაროებზე, რომლებსაც ნიკონი იყენებდა, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ მიიღეს მისი ნაშრომი მომდევნო თაობებმა.

ქართველთა შესახებ ნიკონის თხზულებისა და ამავე საკითხებზე ეფრემ მცირის „უწყებაის“ შედარება ავლენს, რომ პირველი მათგანი აშკარად მეორეს ეყრდნობა, ვინაიდან მათ შორის გასაოცარი დამთხვევებია როგორც შინაარსის, ასევე კომპოზიციის თვალსაზრისით. ამრიგად, იმ თეზისს, რომ ორივე ავტორი დამოუკიდებლად მუშაობდა, ვეღარ გავიზიარებთ.

ნიკონის შრომები თარგმანების საშუალებით მალე ხელმისწვდომი გახდა არაბი მკითხველისთვისაც. შუა საუკუნეების მიწურულს ისინი თითქმის მივიწყებული იყო და XVII საუკუნეში ხელმეორედ აღმოჩენას უნდა უმადლოდეს მელეთიუს ქარმასა და მაკარიუს იბნ აზ–ზაიმს, ამ ორ ცნობილ მელქიტ სასულიერო პირსა და სწავლულს. მეორე მათგანი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ყველაფრით, რაც საქართველოს უკავშირდებოდა, ამიტომაც ნიკონის შრომა მნიშვნელოვან წყაროდ იქცა რამდენიმე თხზულებისათვის, სადაც მაკარიუსი საქართველოს ეკლესიის საკითხს შეეხო.

17. 2020 წელს ნიუ-იორკში არაბი კლასიკოსის ალ-ჰარირის (1054-1122) მაკამების ინგლისური თარგმანი გამოიცა. მაღალფარდოვანი ენისა და სიტყვათა თამაშის გამო ეს ტექსტი ევროპაში თავიდანვე უთარგმნელად მიიჩნიეს. გარდა იმისა, რომ მაკამებში გარითმულ პროზას ცვლის პოეზია, დახვეწილ სტილს კი – მოხეტიალე მათხოვართა მეტყველება, მაგ., 28-ე მაკამაში გვხვდება სულ უწერტილო ფრაზები, მე-6-ში მხოლოდ წერტილიანი ასოებისგან შემდგარ სიტყვას უწერტილო ასოებისგან შემდგარი ცვლის; მე-8, 35-ე, 43-ე, 44-ე მაკამებში გარითმული პროზითა თუ ლექსით გადმოცემული ამბავი ისეთი მრავალმნიშვნელობიანი სიტყვებისგან შედგება, რომ მისი შინაარსის გაგება ორგვარად შეიძლება; მე-16-ში გვხვდება პალინდრომები, მე-17-ში მთავარი გმირის ქადაგება თავიდანაც შეიძლება

წაიკითხო და ბოლოდანაც; 32-ეში სიტყვების თამაშით აგებული გამოცანებია და ა.შ. ჯერ კიდევ სილვესტერ დე სასი მიუთითებდა ალ-ჰარირის „მაკამების“ ფრანგული თარგმანის შესავალში (1822) – აქ მთავარი ფორმაა და მისი თარგმნა შეუძლებელიაო. მართლაც, ყველა ის მთარგმნელი, რომელმაც მაკამების ლექსიკურ თარგმანს მიჰყო ხელი, ფაქტობრივად ხელმოცარული დარჩა.

18. ქართული პალიმფსესტების შესწავლა გასული საუკუნის ოციან წლებში დაიწყო და დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება. 2015-2017 წლებში, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით განხორციელებული პროექტის ფარგლებში მოხერხდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში დაცული ქართული პალიმფსესტების სრული კატალოგის მომზადება და ქვედა ფენებში არსებული ტექსტების იდენტიფიცირება და კლასიფიკაცია. პროექტის დასრულების შემდეგ მუშაობა გაგრძელდა და ტექსტების კიდევ ერთი ნაწილის დადგენა გახდა შესაძლებელი. პალიმფსესტების შესწავლამ გამოავლინა ბევრი ისეთი ხელნაწერი, რომლის ქვედა ფენამ ჰომილეტიკური და ეგზეგეტიკური ტექსტები შემოგვინახა. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პალიმფსესტური ხელნაწერი, რომელიც ჰომილეტიკურ მასალას შეიცავს, ხანმეტი მრავალთავია - S-3902. მრავალთავის ტექსტი გასული საუკუნის 20- იან წლებში გამოაქვეყნა აკაკი შანიძემ. კიდევ ერთი ხანმეტი მრავალთავი გამოვლინდა H-1850 პალიმფსესტური ხელნაწერის ქვედა ფენაში. ხელნაწერი შეიცავს სებერიანოს გაბალოვნელის ბზობის საკითხავის ხანმეტი ტექსტის ფრაგმენტს. ამოკითხული მასალა ვარიანტულად სხვაობს სინურ მრავალთავში დაცული ამავე ტექსტისაგან, თუმცა, განსხვავებების მიუხედავად, ორივე ხელნაწერის ტექსტი ერთ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. ასევე ხანმეტი მრავალთავის მესამე ხელნაწერის ფრაგმენტიც (Svan) უნდა იყოს დღემდე არაიდენტიფიცირებული, მაგრამ გაშიფრული ტექსტი.

19. დაბეჭდილია

20. ქართულ-სომხური ურთიერთობები არაერთ საუკუნეს ითვლის და ძალზე მრავალფეროვანია. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ სომხურიდან ქართულად თარგმნის ისტორიაზე და წარმოგიდგენთ აქამდე უცნობ მთარგმნელს, ტერ ზაქარია კაკონაშვილს და მის ნაშრომს. სომხეთში, ერევნის მატენადარანის ქართულ ხელნაწერთა ფონდში, აღმოჩნდა ქართულ ენაზე მხედრულით შესრულებული კრებული MM-81, რომელიც საღვთისმეტყველო ხასიათის 36 დიდაქტიკურ ტექსტს აერთიანებს, მწირად გაფორმებულია მინიატურებით და ახლავს გადამწერის ანდერძი და მოსახსენებლები. კრებული საინტერესოა როგორც თავისი შედგენილობით, ისე გამიზნულობის, შექმნის ადგილისა და შემდგენლის ვინაობის გამო. კრებულის შესწავლამ დაგვანახა, რომ ის შეიქმნა სურამში, აქ მცხოვრებ სომეხთა ახალი თაობის სწორი რწმენით აღსაზრდელად, მათთვის სომხური საეკლესიო ტრადიციის გასაცნობად და შესათვისებლად; კრებული დაიწერა ქართულ ენაზე, რადგანაც სომხურად კითხვა და სწავლა სურამში მაცხოვრებელ სომეხ ახალგაზრდებს აღარ შეუძლიათ - სავარაუდოდ, ენობრივად ან სრულად არიან გაქართველებულნი, ან მხოლოდ სასაუბრო დონეზეღა ფლობენ სომხურს; ეს კი, თავის მხრივ, ადასტურებს სურამში სომხური საეკლესიო კერის არსებობას, რომელსაც საშუალება ჰქონდა, ადგილზე ეწარმოებინა სამწერლობო და მთარგმნელობითი საქმიანობა, ეზრუნა სომხური სარწმუნოებრივი ტრადიციის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე; სომხურიდან ქართულად მთარგმნელთა რიცხვს შეემატა კიდევ ერთი კონკრეტული სახელი - ზაქარია კაკონაშვილი, სურამის მკვიდრი, სომეხი ხუცესი; ქართლში და, კერძოდ, სურამში სომხები უკვე დიდი ხნის ფეხმოკიდებულნი ჩანან და ქართულ გარემო- 116 სთან კარგად ადაპტირებულნი, - ისინი თავისუფლად ფლობენ ქართულს, შესაძლოა, სომხურზე უკეთაც კი, მათ ათვისებული აქვთ ქართული სახელები - ბეჟანი, მამუკა, შაქრუა და სხვა, გვარიც ქართულ ყაიდაზე აქვთ - კაკონაშვილი; ზაქარიას დამოკიდებულება ქართველების მიმართ კეთილგანწყობილია, ის სომხებსაც და ქართველსაც ერთნაირად უსურვებს სიკეთეს და ლოცულობს მეფე ერეკლეს დღეგრძელობისთვის.

21. საქართველო და ქართველების თემა სპარსულ პოეზიაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩნდება. ეს ტრადიცია XVIII-XIX საუკუნეებშიც გაგრძელდა: ამ პერიოდის სპარსულ ლიტერატურაში გვხვდება საქართველოსადმი და, განსაკუთრებით, თბილისისადმი მიძღვნილი არა მარტო ლექსები, არამედ პატარა პოემებიც კი. საფი ხალხალის (XVIII ს.) 350-ბეითიანი მესნევის – „ქალაქ თბილისის ქება“ – თავების დასათაურება კარგად გამოკვეთს იმ საკითხებს, რომლებიც სპარსელი პოეტების მუზა ხდებოდა: თბილისი და მისი შემოგარენი, მომხიბვლელი ქართველი ქალები, თბილისის ცნობილი

აღმოსავლური აბანოები და ქართული ღვინო. ეს თემები მეტ-ნაკლები ინტენსივობით მეორდება XIX საუკუნის სპარსელი პოეტების - ფათჰოლაჰ ხან შეიბანის, ანდალიბ ქაშანის, მირზა სადეყ ყარაბაღის, ვაფა დაღესთანისა და სხვათა ლექსებში. ამ პოეტების უმეტესობა საქართველოსთან ბიოგრაფიულად იყო დაკავშირებული, თუმცა მათ ლექსებს მეტწილად საფუძვლად უდევს არა იმდენად თვითმხილველის ემოციები, არამედ სპარსელთა ცნობიერებაში უკვე არსებული ხატი საქართველოსი და, განსაკუთრებით, თბილისისა, რომელიც ორ უმთავრეს შემადგენელს მოიცავს. პირველი (თბილისი – ამქვეყნიური სამოთხე) შეფასებითი ხასიათისაა და მოდის შიიტური შუასაუკუნეობრივი ტრადიციიდან, რომლის მიხედვითაც თბილისი ერთ-ერთ „ღვთისგან რჩეულ ქალაქს“ წარმოადგენდა. ამ ტრადიციის გამომახილი უნდა იყოს ეპითეტი „დარ ალ-სორურ“ – სიხარულის, ტკბობის ქალაქი, რომელიც XIX საუკუნემდე შემორჩა თბილისს ირანელთა შორის. მეორე (თბილისი – ქალაქი, სადაც შეიხ სანა'ანს ქართველი ქალი შეუყვარდა) კონკრეტული ამბის შემცველია და უკავშირდება ძველი აღმოსავლური ლეგენდის გვიანდელ ინტერპრეტაციას, რომელიც საქართველოში XVIII-XIX საუკუნეებში გახდა პოპულარული. XVIII-XIX საუკუნეების სპარსელი პოეტების საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები უდავოდ საყურადღებოა, როგორც ქართულ-სპარსული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის კიდევ ერთი საინტერესო სფერო. 9 ლიტერატურა: • ალექსიძე, მ. - Alexidze, M. (2009). Le cheikh Sana'an et Tiflis/Tbilissi, "La Georgie entre Perse et Europe", Paris: "L'Harmattan.

22. მოხსენება შეეხება XVII საუკუნის ეპიგრაფიკულ მასალას, რომელიც დაკავშირებულია სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ასპარეზზე აღზევებული უნდილაძეების საგვარეულოს ორი ყველაზე გავლენიანი წარმომადგენლის - ალავერდი ხანის და იმამყული ხანის სახელებთან. კერძოდ, განხილულია პროზაული და პოეტური სპარსული და არაბული წარწერები ქ. მეშჰედში ალავერდი ხანის აკლდამიდან, ქ. შირაზში ძველი საკრებულო მეჩეთიდან, ქ. გოლფაიეგანში აკლდამა-სამლოცველოდან „ემამზადეიე ჰეფდაჰთან“ და ირანელების მიერ ჰორმუზის აღების შედეგად ნადავლის სახით ხელში ჩაგდებული პორტუგალიური ზარბაზნებიდან.

23. სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა ხანგრძლივობამ განაპირობა სპარსულიდან შემოსულ ნასესხობათა სპეციფიკური ტიპის, კერძოდ, ციკლურ ნასესხობათა არსებობა ქართულში. ამგვარ ერთეულებად მოვიაზრებთ იმ ნასესხობებს, რომლებიც ციკლურად, ანუ სპარსული ენის ისტორიის ორ სხვადასხვა – საშუალო და ახალ პერიოდში შემოვიდნენ ქართულში. ამ სახის ნასესხობებათა ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ძირითადი ნიშანი მათი სხვადასხვაგვარი ფონეტიკური შეთვისებაა, რასაც თავად საშუალო და ახალ სპარსულს შორის არსებული ფონეტიკური განსხვავებები განაპირობებს.
რაც შეეხება განსახილველ ნასესხობათა მორფოლოგიურ შეთვისებას, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება მორფოლოგიური კატეგორიის ცვლილება. კერძოდ, ესაა საშუალო სპარსული ზედსართავი **čāpuk** „სწრაფი, მკვირცხლი“>ქართულში გაარსებითებული **ჭაბუკი** გაარსებითებული ზედსართავი„ჯერ კიდევ დაუვაჟკაცებელი ახალგაზრდა, ყმაწვილკაცი.“ (შდრ. მორფოლოსემანტიკურად უცვლელი ციკლური პარალელი: ახალი სპარსული ზედსართავი **čābok** „სწრაფი, მკვირცხლი“> **ჩაუქ**).
სემანტიკური შეთვისების თვალსაზრისით, დასტურდება როგორც სემანტიკური უცვლელობის, ასევე სემანტიკური ცვლილების შემთხვევები. სემანტიკური ცვლილებისას ეტიმონსა და ნასესხობას შორის დასტურდება ჰიპო-ჰიპერონიმული(მაგალითად, ახალი სპარსული **rama/räme** „ჯოგი, ფარა“>**რემა** „ცხენის ჯოგი“) ან იმპლიკაციური მიმართება(მაგალითად, საშუალო სპარსული **ramak** „ჯოგი, ფარა“>**რემაკი** „გაუხედნავი ჭაკი ცხენი ან ვირი“).
საკუთრივ ციკლურ ნასესხობებებს შორის არსებული სემანტიკური მიმართებები წარმოდგენილია როგორც შინაარსობლივი იგივეობით (მაგალითად, **ზირაკი/ძირაკი/ზირა/ძირა** „მწვანილის სახეობა“), ასევე განსხვავებით(იხ. **რემაკ**-ი/**რემა**-ს მაგალითი).

24. საუბრობენ რა უცხო ენის სწავლებაში პოსტმეთოდური ხანის დადგომაზე, რიგი მეცნიერები მიუთითებენ,რომ ეს სწავლება სხვადასხვაგვარი მეთოდისა თუ მიდგომის კომბინირებულ გამოყენებას, პრაქტიკისა და თეორიის სხვადასხვა პერსპექტივიდან შეკავშირებას უნდა ეფუძნებოდეს(J.Richards&T.Rodgers 2001: 250). ტიპოლოგიურად ორიენტირებული სწავლება ამარტივებს უცხო ენის შეთვისებას.

სპარსული ენის ცოდნის ნულოვანი დონისთვის გამიზნული და სტუდენტებთან რამდენიმეგზის წარმატებით აპრობირებული ჩვენ მიერ შემუშავებული ერთსემესტრიანი საუნივერსიტეტო საცდელი კურსი სწორედ ტიპოლოგიურ მიდგომასა და შესაბამისად, სპარსულ და ქართულ ენათა მსგავსება-სხვაობათა წარმოჩინებაზეა ორიენტირებული. ამ კურსში ენობრივმა შეპირისპირებამ მოიცვა ფონეტიკურ-პროსოდიული, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ასპექტები. გამოყენებული იყო ასევე სპარსულ-ქართული მრავალსაუკუნოვანი ენობრივი ურთიერთობების შედეგად შემოსული ნასესხობათა რესურსი, რამაც ხელი შეუწყო სტუდენტთა ადაპტირებას სრულიად უცხო ენობრივ გარემოსთან.

ადაპტაციის გაადვილებას ემსახურებოდა ასევე პირველი ორი-სამი სასწავლო კვირის განმავლობაში სპარსულ სიტყვათა ტრანსკრიბირებული სწავლება მცირედ მოდიფიცირებული ქართული ანბანის მეშვეობით, რომელიც ზედმიწევნით მოერგო სპარსულ ბგერით სისტემას. ამავდროულად სპარსული ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულებისა და მარტივი კომუნიკაციური მოდელების ქართული ტრანსკრიფციით დაუფლების პარალელურად სტუდენტები პირველივე ლექციიდანვე სწავლობდნენ მათთვის საკმაოდ უჩვეულო და ფონეტიკური თვალსაზრისით ნაკლოვან სპარსულ ანბანს.

სპარსულ ნასესხობათა მნიშვნელოვანი ნაწილი დღემდე აქტიურად ფუნქციონირებს ქართულში, ნაწილი კი ხმარებიდან გავიდა. რიგ შემთხვევებში ქართულში შემოსული ნასესხობისა და მისი სპარსული ეტიმონის მიმართება გულისხმობს სემანტიკურ ცვლილებას, მონოსემიზაციას ან პოლისემიზაციასა და სტილისტურ მარკირებას. ამგვარი ნასესხობები უცხო ენის შეთვისების საწყის ეტაპზე შემაფერხებელ და დამაბნეველ ფაქტორად გვევლინება და ამიტომაც ისინი არ გამოგვიყენებია.

დამწყებ სტუდენტებთან ნასესხობები და მათი ეტიმონები შემდეგი ნიშნებით შეირჩა: ხშირად გამოყენებული, სტილისტურად ნეიტრალური და მსესხებელ ენაში სემანტიკურად უცვლელი სახელადი, ძირითადად, საგნობრივი შინაარსის ლექსიკა. საგნობრივ-სემანტიკურმა ჯგუფებმა სპარსულ-ქართულ მიმართებათა შემთხვევაში ძირითადად მოიცვა საკვების, ჭურჭლის, ინტერიერისა და ექსტერიერის კომპონენტთა სახელწოდებები, სპარსულიდა ქართულში შემოსული ეთნონიმები და ტოპონიმები, ასევე სპარსულიდან ქართულში კალკირებული იდიომები. საილუსტრაციო მაგალითებში ვიყენებდით ქართულში დამკვიდრებულ სპარსულ ანთროპონიმებს.

ამგვარ მკაფიო და გაურთულებელ შესატყვისობებზე გეზის აღებამ დამწყებ სტუდენტებს გაუადვილა სპარსულის შეთვისების პროცესი და კარგი ბაზა შეუქმნა სწავლების შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად.

ვფიქრობთ, ამგვარი კომბინირებული მიდგომების მორგება ნაყოფიერი იქნება იმ სტუდენტებთანაც, რომელთა მშობლიურ ენაში არსებობს ხშირად გამოყენებულ სპარსულ ნასესხობათა მარაგი.

გასათვალისწინებელია ასევე დროის მოგების მიზნით სპარსული ანბანის სწავლის პარალელურად საბაზისო ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულების დაუფლება კარგად მორგებული ტრანსკრიფციის საშუალებით.

25. სპარსულ და ქართულ ენებს შორის არსებულმა ხანგრძლივმა წერილობითმა და ზეპირმეტყველებითმა ურთიერთობებმა განაპირობა სპარსულ ნომინაციურ და კომუნიკაციურ ერთეულთა ჭარბი სესხება ქართულში. კომუნიკაციურ ერთეულთა, კერძოდ, შორისდებულთა სესხების ძირითადი მიზეზი ზეპირმეტყველებითი ურთიერთობებია. ეს სიტყვები გვიანდელ, დაახლოებით XVI საუკუნის შემდგომ ნასესხობებს წარმოადგენენ.

ჩვენ მიერ განხილულია 15 შორისდებული მათი მორფოსემანტიკური შეთვისების თვალსაზრისით. ეს ერთეულები ძირითადად წარმოდგენილია ორი ეტიმოლოგიური ჯგუფით: წმინდა სპარსული სიტყვებითა(**აფერუმ**<სპარს. **āfarin**; **აფსუს**<სპარს. **āfsus**; **ზახრუმა**<სპარს. **zahr-e mār**; **ზურნა**<სპარს. **zornā**/**sornā**; **ფეშქაშ**<სპარს. **piškes**; **შაბაშ**<სპარს. **šā(d)bāš**) და სპარსული გზით შემოსული არაბიზმებით(**ალალ**-ი<სპარს. **halāl**; **არამ**-ი<სპარს. **harām**; **არიქა**<სპარს. **harakat**; **ბარაქალა**<სპარს. **bārakalla(h)**; **მახლას**<სპარს. **maxlas**; **სალამ**-ი<სპარს. **salām**; **ეს ოხერი**<სპარს. **āxer**; **ხეირ**-ი<სპარს. **xeir**). დასტურდება ასევე ერთი ჰიბრიდული ერთეული **ხაბარდა**<სპარს. **xabardār**, რომელიც შედგება არაბული **xabar**-ისა და სპარსული **dār**-ისგან.

ზოგიერთ ზემოხსენებულ ნასესხობას მათ სპარსულ პარალელთა მსგავსად, ახასიათებს გრამატიკული პოლისემიის ისეთი სახეობა, როცა ერთი და იგივე სიტყვა გვევლინება შორისდებულად და არსებით ან ზედსართავ სახელად.

ორ შემთხვევაში სპარსულიდან ნასესხები გრამატიკული პოლისემანტი ქართულში მონოსემიზდება და მხოლოდ შორისდებულის შინაარსითაა წარმოდგენილი.

სამი სპარსული გრამატიკული მონოსემანტი ქართულში პოლისემიზებულია და ფუნქციონირებს როგორც არსებითი ან ზედსართავი სახელი და შორისდებული.

დასტურდება ერთი შემთხვევა, როცა არსებითი სახელი სპარსულიდან ქართულში გადმოტანილია ორი ფონეტიკური ფორმითა და შესაბამისად, ორი სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიით(არსებითი სახელი და შორისდებული).

ზოგიერთი ეს ნასესხობა ხმარებიდანაა გამოსული, რაც განაპირობა სპარსულ-ქართულ ზეპირმეტყველებით ურთიერთობათა შეწყვეტამ.

26. ნასესხობათა თვალსაზრისით, ქართველურ ენათა ოჯახს ისტორიულად კონტაქტირებად ენათაგან მხოლოდ ოსურთან აკავშირებს სიმეტრიული ენობრივი ურთიერთობები. ამ სიმეტრიულობაზე ხაზგასმით მიუთითებდნენ ვ. აბაევი და გ. ახვლედიანი, აღნიშნავდნენ რა, რომ ქართველურ ენებში დასტურდება არაერთი ოსური ნასესხობა, ოსურში კი შესულია რიგი ქართველური სიტყვები(1949:76; 1960:173).

ქართულში შემოსული ოსური ნასესხობები წარმოდგენილია სამი მორფოლოგიური კატეგორიით: არსებითი სახელებით, ზედსართავებით,ზმნებითა და ზმნისედით. მ. ანდრონიკაშვილის მიერ გამოვლენილ ნასესხობათაგან(1966:40-141) 57 არსებითი სახელია, 25 ზმნის ფუძედ გვევლინება, ხოლო 16 ზედსართავი სახელია და ერთი ზმნიზედა.

დასტურდება გრამატიკული პოლისემიის რამდენიმე შემთხვევა, როცა ერთი და იგივე ოსური ფუძე წარმოდგენილია მეტყველების სხვადასხვა ნაწილში, მაგალითად, *ზმნა* **ზა/ზავ** „მოგება, შობა(პირუტყვის მიერ)“: ი-**ზვ**-ებ-ა „ხვასტაგნი(საქონელნი, პირუტყვნი *ფ. ა.-მ.*) შობენ“(ორბელიანი, 1991-1993), *არს. სახ.* მე-ე-**ზვ**-ი „ხვასტაგი მშობელი“(ორბელიანი, 1991-1993), ნე-**ზვ**-ი „თხანი დედალნი“(ორბელიანი, 1991-1993), *ზედ. სახ.* უ-**ზვ**-ი „ბერწი(ცხოველზე)“(ორბელიანი, 1991-1993) მ. ანდრონიკაშვილის მიხედვით, მომდინარეა ოსური **zajyn**/**izajun**-იდან „მოგება, შობა(პირუტყვის მიერ)“, რომლისთვის ამოსავალია ძველი ირანული ***zan**-/**zay**- „ჩასახვა, გაჩენა, შობა“(1966:88). ხსენებული ნასესხობის ოსურიდან და არა სხვა ირანული ენიდან მომდინარეობაზე მიუთითებს ოსურ და ქართულ პარალელთა შეზღუდული ვალენტობა, კერძოდ, შობის, გაჩენის მიმართება მხოლოდ პირუტყვთან, საქონელთან. იხილეთ ასევე ოსური **zyn**/**zin**-იდან(„ძნელი, რთული“) მომდინარე **ძნ**- ძირი ძველ ქართულ ზმნაში მ-ი-**ძნ**-ავ-ს „მიჭირს, მიძნელდება“, ზმნიზედაში **ძნ**-ი-ად და ზედსართავში **ძნ**-ელ-ი „რთული“.

რიგ შემთხვევებში ეტიმონისა და ნასესხობის მნიშვნელობა სრულად ემთხვევა ერთმანეთს. ამავდროულად დასტურდება როგორც მხოლოდ სემანტიკური, ასევე მორფოსემანტიკური ცვლილებები, როცა ქართულში იცვლება ოსური ეტიმონის მორფოლოგიური კატეგორია.

თემატური თვალსაზრისით, ქართულში შემოსული ოსური ნასესხობები საკმაოდ მრავალფეროვანია. გვხვდება სხვადასხვა შინაარსის ზმნები(მაგალითად, მოძრაობის, წვის, მეტყველების და ა.შ.) და ზედსართავები(მაგალითად, ფერის, ოდენობის, პიროვნული თვისებების გამომხატველი და ა.შ.). არსებითი სახელები წარმოდგენილია აბსტრაქტული და მეტწილად კონკრეტული, ანუ ძლიერი სემანტიკის სიტყვებით. ამ უკანასკნელში ძირითადად ჭარბობს ყოფითი ლექსიკა, მაგალითად, საკვების, სამოსის, სამუშაო იარაღების სახელწოდებები და ზოონიმები.

ოსურ ნასესხობათა ნაწილი დღემდე აქტიურად ფუნქციონირებს ქართულში, ნაწილი კი, მაგალითად, ყოფითი შინაარსის რიგი არსებითი სახელები ლექსიკურ არქივშია გადასული.

27. ნასესხობათა ადაპტაცია სხვადასხვა(ფონოლოგიურ, ორთოგრაფიულ, მორფოსინტაქსურ, სემანტიკურ) ასპექტს გულისხმობს. ვფიქობთ, ასევე უსათუოდ გასათვალიწინებელია ადაპტაციის სტილისტური მხარე და მისი განმაპირობებელი ფაქტორები.

M. Haspelmath-ისა და U. Tadmor-ის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში ნასესხობათა ადაპტაციის ხარისხი სხვა ფაქტორების პარალელურად, უკავშირდება ნასესხობის სიძველეს(2009:42). ამის გათვალისწინებით, ერთმანეთს შევადარეთ ქართულში გვიანდელი სპარსულიდან და რუსულიდან შემოსული ნასესხობები მათი სტილისტური ადაპტაციის, კერძოდ, კოლოკვიალიზაციის მიხედვით. ზემოხსენებულ დონორ ენათა ქართულთან ურთიერთობის ხანგრძლივობა ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება. სპარსული ისტორიულად ყველაზე უფრო ხანგრძლივად კონტაქტირებადი ენაა

ქართულთან, ხოლო ქართულსა და რუსულს მხოლოდ ორსაუკუნოვანი, თუმცა ძალზე ინტენსიური ურთიერთობები აკავშირებთ.

ძველი და საშუალო სპარსულიდან შემოსულ ნასესხობათა მსგავსად, ახალი სპარსულიდან სეფიანთა პერიოდამდე(1501-1722 წწ.) შემოსული ნასესხობები ქართულში დამკვიდრებულია სტილისტურად ნეიტრალური ფორმით ან გამოსულია ხმარებიდან. რაც შეეხება სეფიანთა ეპოქასა და მის შემდგომ პერიოდებში შემოსულ ნასესხობებს, მათი ნაწილი ხმარებიდანაა გამოსული, მცირე ნაწილი ფუნქციონირებს სტილისტურად ნეიტრალური სახით, ხოლო უმეტესობა კოლოკვიალიზებულია.

ძველი, საშუალო და სეფიანთა პერიოდამდე ახალი სპარსულიდან შემოსული ნასესხობები შემოწმებულია მ. ანდრონიკაშვილთან წარმოდგენილი სიტყვების (1966; 1996), ხოლო გვიანდელი ნასესხობები ნ. ბართაიას მიერ გაანალიზებული ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ დადასტურებული მასალის მიხედვით(2011).

რუსულიდან შემოსულ ნასესხობათა მოძიების წყარო, გარდა რუსულიდან შემოსული ევროპეიზმებისა და ინტერნაციონალიზმებისა, თანამედროვე ქართული ზეპირმეტყველება იყო.

კოლოკვიალიზებულ რუსულ და გვიანდელ სპარსულ ნასესხობათა ეტიმონები მეტწილად სტილისტურად ნეიტრალურია. ქართულში მათი კოლოკვიალიზაციის მიზეზად ორ გარემოებას მივიჩნევთ: 1)ამ ნასესხობათა მცირე „ასაკს“; 2)მათ შემოსვლას ზეპირმეტყველებითი გზით. როგორც ჩანს, ამ გზით შემოსული კოლოკვიალიზებული ნასესხობები მხოლოდ გარკვეული „დაძველების“ შემდეგ ნეიტრალიზდება სტილისტურად ან გადის ხმარებიდან.

სპარსულიდან ნასესხები კოლოკვიალიზმები ამჟღავნებენ არქაიზაციის ტენდენციას, რაც ბუნებრივად აიხსნება ქართულსა და სპარსულ ენებს შორის უშუალო ზეპირი კონტაქტების შეწყვეტით.

კოლოკვიალიზებული გვიანდელი სპარსული ნასესხობები, სემანტიკური თვალსაზრისით, მეტ–ნაკლებად გადააზრებულია, მაშინ როცა რუსიზმები ინარჩუნებენ ეტიმონის მნიშვნელობას. ამგვარ განსხვავებას ორი მიზეზი აქვს: 1) ქართული ენის სპარსულთან ურთიერთობის ხანგრძლივი, ხოლო რუსულთან ურთიერთობის ხანმოკლე ისტორია; 2)სპარსულსა და ქართულს შორის ცოცხალი კონტაქტის გაწყვეტის ფონზე რუსულ–ქართული ენობრივი ურთიერთობების სიმჭიდროვე, რაც განაპირობებს ეტიმონისა და ნასესხობის მაქსიმალურ სემანტიკურ სიახლოვეს.

28. ნასესხობათა ადაპტაცია სხვადასხვა(ფონოლოგიურ, ორთოგრაფიულ, მორფოსინტაქსურ, სემანტიკურ) ასპექტს გულისხმობს. ვფიქობთ, ასევე უსათუოდ გასათვალიწინებელია ადაპტაციის სტილისტური მხარე და მისი განმაპირობებელი ფაქტორები.

M. Haspelmath-ისა და U. Tadmor-ის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში ნასესხობათა ადაპტაციის ხარისხი სხვა ფაქტორების პარალელურად, უკავშირდება ნასესხობის სიძველეს(2009:42). ამის გათვალისწინებით, ერთმანეთს შევადარეთ ქართულში გვიანდელი სპარსულიდან და რუსულიდან შემოსული ნასესხობები მათი სტილისტური ადაპტაციის, კერძოდ, კოლოკვიალიზაციის მიხედვით. ზემოხსენებულ დონორ ენათა ქართულთან ურთიერთობის ხანგრძლივობა ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება. სპარსული ისტორიულად ყველაზე უფრო ხანგრძლივად კონტაქტირებადი ენაა ქართულთან, ხოლო ქართულსა და რუსულს მხოლოდ ორსაუკუნოვანი, თუმცა ძალზე ინტენსიური ურთიერთობები აკავშირებთ.

ძველი და საშუალო სპარსულიდან შემოსულ ნასესხობათა მსგავსად, ახალი სპარსულიდან სეფიანთა პერიოდამდე(1501-1722 წწ.) შემოსული ნასესხობები ქართულში დამკვიდრებულია სტილისტურად ნეიტრალური ფორმით ან გამოსულია ხმარებიდან. რაც შეეხება სეფიანთა ეპოქასა და მის შემდგომ პერიოდებში შემოსულ ნასესხობებს, მათი ნაწილი ხმარებიდანაა გამოსული, მცირე ნაწილი ფუნქციონირებს სტილისტურად ნეიტრალური სახით, ხოლო უმეტესობა კოლოკვიალიზებულია.

ძველი, საშუალო და სეფიანთა პერიოდამდე ახალი სპარსულიდან შემოსული ნასესხობები შემოწმებულია მ. ანდრონიკაშვილთან წარმოდგენილი სიტყვების (1966; 1996), ხოლო გვიანდელი ნასესხობები ნ. ბართაიას მიერ გაანალიზებული ი. გრიშაშვილის „ქალაქურ ლექსიკონში“ დადასტურებული მასალის მიხედვით(2011).

რუსულიდან შემოსულ ნასესხობათა მოძიების წყარო, გარდა რუსულიდან შემოსული ევროპეიზმებისა და ინტერნაციონალიზმებისა, თანამედროვე ქართული ზეპირმეტყველება იყო.

კოლოკვიალიზებულ რუსულ და გვიანდელ სპარსულ ნასესხობათა ეტიმონები მეტწილად სტილისტურად ნეიტრალურია. ქართულში მათი კოლოკვიალიზაციის მიზეზად ორ გარემოებას მივიჩნევთ: 1)ამ ნასესხობათა მცირე „ასაკს“; 2)მათ შემოსვლას ზეპირმეტყველებითი გზით. როგორც ჩანს, ამ გზით შემოსული კოლოკვიალიზებული ნასესხობები მხოლოდ გარკვეული „დაძველების“ შემდეგ ნეიტრალიზდება სტილისტურად ან გადის ხმარებიდან.

სპარსულიდან ნასესხები კოლოკვიალიზმები ამჟღავნებენ არქაიზაციის ტენდენციას, რაც ბუნებრივად აიხსნება ქართულსა და სპარსულ ენებს შორის უშუალო ზეპირი კონტაქტების შეწყვეტით.

კოლოკვიალიზებული გვიანდელი სპარსული ნასესხობები, სემანტიკური თვალსაზრისით, მეტ–ნაკლებად გადააზრებულია, მაშინ როცა რუსიზმები ინარჩუნებენ ეტიმონის მნიშვნელობას. ამგვარ განსხვავებას ორი მიზეზი აქვს: 1) ქართული ენის სპარსულთან ურთიერთობის ხანგრძლივი, ხოლო რუსულთან ურთიერთობის ხანმოკლე ისტორია; 2)სპარსულსა და ქართულს შორის ცოცხალი კონტაქტის გაწყვეტის ფონზე რუსულ–ქართული ენობრივი ურთიერთობების სიმჭიდროვე, რაც განაპირობებს ეტიმონისა და ნასესხობის მაქსიმალურ სემანტიკურ სიახლოვეს.ქართულში ნასესხები შვიდი სპარსიზმის ფონეტიკური ან სემანტიკური ფორმა მიუთითებს ამ სიტყვათა აზერბაიჯანული მეშვეობით შემოსვლაზე.

29. მხატვრული ტექსტების, თეზქერეებისა და ანთოლოგიების მიხედვით, გარკვეული წარმოდგენა გვექმნება შირვანშაჰთა სასახლის კარზე მიმდინარე ცხოვრების შესახებ – პოეზიის ადგილისა და დანიშნულების შესახებ, კარის პოეტთა როლისა და ხვედრის შესახებ. საქართველოს მეზობლად მდებარე შირვანის კულტურულმა ცხოვრებამ მე-12 საუკუნეში მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწია. მძლავრი სპარსულენოვანი ლიტერატურული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია ხაყანი – შირვანშაჰთა კარის პოეტი. ხაყანი შირვანელს მეხოტბე პოეტის მძიმე ხვედრი ერგო. მის შემოქმედებაში არის სასახლის კარის ლირიკაცა და ციხის ელეგიებიც, სოფლის სამდურავიც, სუფი პოეტის ფილოსოფიური ჭვრეტაც... ხაყანის ყასიდები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მუსიკალობით, ფორმის სირთულით; გადატვირთულია ფილოსოფიური ტერმინებით, რიტორიკული ფიგურებით, ისტორიული და ლიტერატურული რემინისცენციებითა და მინიშნებებით. ხაყანი დედით ქრისტიანულ წრეებს უკავშირდებოდა და კარგად იცნობდა ქრისტიანულ სამყაროს; იგი კარგად იცნობდა საქართველოს, იცოდა ქართული ენა, მიმოწერა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან; პოეტის ლექსებსა და პირად წერილებში ასახულია მისი კონტაქტები საქართველოს სამეფო სახლთან. მეტად საინტერესოა ხაყანი შირვანელის ოდა – მიძღვნილი ქართველი მეფისადმი. ლექსის ადრესატი არის დემეტრე პირველი (ბერობაში – დამიანე), დავით აღმაშენებლის ძე, ძმა თამარისა – შირვანშაჰ მანუჩაჰრის ცოლისა. კულტურათა დიალოგი გრძელდება 29 ხაყანი ხოტბას ასხამს მას, როგორც სახელმწიფოს საყრდენს, ქრისტიან მონარქს; მიანიშნებს ბერმონაზვნური ცხოვრების პერიოდზეც და ბოლოს შესთხოვს, უშუამდგომლოს შირვანის მბრძანებელთან, მოაპოვებინოს ჰაჯის შესრულების უფლება... უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსი – მიძღვნილი ქართველი მეფისადმი, ხაყანის სხვა ხოტბებთან შედარებით უფრო მოკრძალებულია, ზომიერი, დახვეწილი, ზღვარს გადაცილებული ჰიპერბოლებისაგან თავისუფალი. ხაყანიმ მიიღო პირველი ჰაჯის ნებართვა, დემეტრეს წყალობით აისრულა სანუკვარი ოცნება და მოილოცა წმინდა ადგილები.

30. საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. საინტერესო ლინგვოკულტურული სიტუაციის თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი გომბორი. გომბორი ეთნიკურად და ენობრივად შერეული სოფელია, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან მოყოლებული, აქ გარდა ქართველებისა, ცხოვრობდა პოლონური წარმომავლობის რუსულენოვანი მოსახლეობა (ძირითადად, რუსეთის იმპერიული არმიიდან დემობილიზებული ჯარისკაცები). ეს ფაქტი, გარკვეულწილად განაპირობებდა სოფლის ენობრივ ცხოვრებას – გომბორში ქართულ ენასთან ერთად ფუნქციონირებდა რუსული ენაც. გასული საუკუნის პირველი ათეული წლებიდან ამ მიდამოებში ჩამოსახლება იწყეს ამიერკავკასიისა და ირანის მეზობელი ოლქებიდან საშოვარზე წამოსულმა სხვადასხვა მუსლიმურმა ეთნიკურმა ჯგუფებმა; მათ შორის იყვნენ აზერბაიჯანის დაბა ლაჰიჯიდან ლტოლვილი – ირანული მოდგმის, რამდენადმე გათურქებული და ორენოვანი (თათურ - აზერბაიჯანული) ეთნოგრაფიული ჯგუფი და ირანის აზერბაიჯანიდან ლტოლვილი, თურქული მოდგმის, აგრეთვე ორენოვანი (აზერბაიჯანულ - სპარსული) ეთნოგრაფიული ჯგუფი. დაბა

ლაჰიჯიდან ლტოლვილები საკუთარ თავს „ლაიჯებს“ უწოდებენ, ხოლო თავიანთ სამეტყველო ენას – „ლაიჯურს“. ეს მეტყველება თათური ენის მუსლიმური დიალექტის კილოკავს წარმოადგენს. ლაჰიჯიდან ლტოლვილთათვის გომბორში ოთხენოვანი სიტუაცია შეიქმნა. პრაქტიკულად, ყველა გომბორელი ლაიჯი ფლობს ე.წ. „ორ მშობლიურ ენას“ – ლაიჯურს (თათურს) და აზერბაიჯანულს; ყველა გომბორელი ლაიჯი ფლობს ქართულ და რუსულ ენებს… გომბორელ ლაიჯთა ლექსიკის ძირითად ბირთვს წარმოადგენს საერთოირანული წარმოშობის სიტყვები, აქვეა ასახული ყველა ის ნასესხობა, რაც თათური ენისათვის არის დამახასიათებელი. იგი ინარჩუნებს ადრე შეძენილ ნასესხობებს, რომელთა მნიშვნელოვან ფენას წარმოადგენს თათურ ლექსიკაში დამკვიდრებული აზერბაიჯანული სიტყვები; მეტ-ნაკლებად შემონახულია არაბული ნასესხობანი – მუსლიმურ კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები. ლექსიკის გაფართოება ხდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ტექნიკური, საყოფაცხოვრებო ტერმინებითაც ინტერნაციონალური, ქართული და რუსული ნასესხობების ხარჯზე. თათური ენის სხვა კილოკავებისაგან განსხვავებით, გომბორელ ლაიჯთა ლექსიკაში გამოიყოფა ქართულ ნასესხობათა პლასტი, ეს არის საყოფაცხოვრებო ხასიათის ლექსიკა, აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული ლექსიკა, სასკოლო-საგანმანათლებლო ლექსიკა და სხვა; ე.წ. „ეგზოტიზმები“, ეთნონიმები, ტოპონიმები, ტანისამოსისა და კერძების აღმნიშვნელი სახელწოდებანი და ა.შ. ერთი სიტყვით, ქართველი ხალხის კულტურასთან, მეურნეობასთან და ცხოვრების წესთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები. 1980-იანი წლებიდან ვიკვლევთ გომბორელ ლაიჯთა ყოფისა და მეტყველების საკითხებს. მოპოვებული მასალა საინტერესო სურათს გვიხატავს როგორც მიგრაციული პროცესებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის, ისე ენობრივი ორიენტაციისა და საკუთრივ ენობრივი განვითარების თვალსაზრისი.

31. ფემინისტური თემა, ე.წ. ქალის საკითხი, დღესდღეობით გენდერულ პრობლემად ცნობილი მთელ მსოფლიოში, პატრიარქალურ აღმოსავლეთში უფრო გვიან მოექცა საზოგადოებრივი ინტერესის არეალში, ვიდრე დასავლეთში, თუმცა დაახლოებით იგივე გზა განვლო და დღევანდელ დღემდე მოვიდა. დღეს გენდერულმა საკითხმა სხვა დატვირთვა შეიძინა. გაჩნდა ახალი კითხვები: რა მოიტანა ემანსიპაციამ, როგორ განვითარდა ეს პროცესი და მიიღო თუ არა ქალმა ყველაფერი ის, რისთვისაც იბრძოდა?! არანაკლებ საინტერესოა, რა მისცა ამ მონაპოვარმა მამაკაცს, როგორც გენდერული ბალანსისა თუ დისბალანსის მასკულინურ ნაწილს?! რა ერგო მემკვიდრეობად მას პატრიარქალური სინამდვილიდან და რამდენად შეიცვალა მისი ცნობიერება?! ვფიქრობ, თანამედროვე საზოგადოებისთვის (ისევე, როგორც ლიტერატურისთვის) საინტერესო კვლევის საგანს წარმოადგენს გენდერული ბალანსის აღდგენის თუ ახლებური დისბალანსის შექმნის პრობლემა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ემანსიპაციის მონაპოვრების სიღრმისეული გააზრება. თანამედროვე ირანელი მწერლის, ფარიბა ვაფის, რომანი „დასასრულის შემდეგ“ თანამედროვე ირანული საზოგადოებისთვის ბევრ აქტუალურ პრობლემას იტევს, თუმცა ჩემი დღევანდელი მოხსენება მათგან ერთს - გენდერულ პრობლემატიკას - შეეხება. ფარიბა ვაფი სწორედ ამ თვალსაზრისით გახდა პოპულარული თანამედროვე დასავლურ სამყაროში და, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მისი თუნდაც ერთი რომანის ამ ასპექტით განხილვა. რომანში სხვადასხვა თაობის ქალების ცხოვრება და ამ ცხოვრებისადმი მიმართება ჩანს. უფროსი თაობის წარმომადგენელი - როიასა და ფათემეს დედა - თავს „ბრმა ჩიტს“ უწოდებს. „დარწმუნებული იყო, რომ ბრმა ჩიტია. ამბობდა, არ ვიცი, ან როდის გავთხოვდი და ან - რისთვისო“ (ვაფი, 2021: 118). დროთა განმავლობაში ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობებისადმი მიმართება შეიცვალა. მომდევნო თაობები თავს ბრმა ჩიტებს აღარ უწოდებენ.

32. მოხსენებაში წარმოჩენილია აწ გადაშენებული თუ დღესაც ცოცხალი თურქული წარმომავლობის პირთა ხსენება გრიგოლ რობაქიძის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის, შოთა ნიშნიანიძის, ანა კალანდაძის, გოდერძი ჩოხელის, თამარ ფარჩუკიძის, ვანო თორელის, ლაშა გახარიას, ედუარდ უგულავას პოეტურ თხზულებებში. ციტატებს ახლავს კომენტარები.

33. მოხსენებაში შევეცადეთ XVIII საუკუნის დიდი თურქმენი პოეტის, ფილოსოფოსის, მოაზროვნისა და ჰუმანისტის, მაჰთუმყულის შემოქმედებაში გამოგვეკვეთა ბიოგრაფიული მომენტის ასახვა ლექსებში; კერძოდ, როგორ უყვარდა მენგლი და როგორ გააყოლეს იგი მდიდარ კაცს. გულმოკლული პოეტის ემოციები ამ ფაქტის გამო მაღალი პოეტური ოსტატობითაა გადმოცემული.

34.დაბეჭდილია

35.დაბეჭდილია

36. დევთერდარის ინსტიტუტს საფუძველი ჩაეყარა XIV.საუკუნის ბოლოდან. დევთერდარი < არაბული defter ‘ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც აღრიცხავს გადასახადების, შემოსავლებისა და მოსახლეობის შესახებ ინფორმაციას’ + dar < სპარსული პროფესიის მაწარმოებელი აფიქსი(.შდრ. ხაზინადარი, დახლიდარი‘) დევთერდარი არის ის ჩინოვნიკი, რომელიც ზედამხედველობას უწევდა ოსმალეთში სახელმწიფოს ყველა ფინანსურ საქმეს; რომელიც პასუხისმგებელი იყო ოსმალეთის სახელმწიფოს ფინანსურ საქმეებზე.წინა მუსულმანურ-თურქულ სახელმწიფოებში ხაზინადრის მოვალეობას ასრულებდნენ მაღალი თანამდებობის პირები, რომლებსაც მუსტევფი ეწოდებოდა.

37. დაბეჭდილია

38. დაბეჭდილია

39. ქართულ პოეზიაში აღმოსავლური ლექსწყობის შემოსვლა-დამკვიდრებას ჰქონდა სოციალური სარჩული და ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებითაც იყო გამოწვეული. XVII საუკუნის დასაწყისში თეიმურაზი სპარსეთში გაემგზავრა და დაწერა კიდეც: “სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი”). როსტომ მეფემ „დასდო სრულიად სპარსთ კანონნი სპარსთა ენითა წოდება სახელოთა და, ამასთანა, საკრავნიცა და სიმღერაცა მან შემოიღო და გაამრავლა საქართველოსა შინა“; შემდეგ ვახტანგ მეფემან, მერეთ მეფე თეიმურაზმა), შემდგომად მეორემან მეფე ირაკლიმ, ვინაიდგან იყო ესეცა სპარსეთსა გაზრდილი ბესარიონ გაბაშვილისგან თქმული ხმა, რომელ არს მუხანბაზად წოდებული სპარსის ენითა”... დიახ, სპარსული ენა, გავლენის დომინანტური სფერო _სპარსული პოეზია. მაგრამ ზენდების დინასტიას ყაჯართა (ყაჯარები თურქული ეთნოსია) დინასტია ჩაენაცვლა, ანუ ირანის სამეფო დინასტია იცვლება თურქული მოდგმით. და გავლენაც შეიცვალა – „დაწინაურდა“ თურქული წარმომავლობის სალექსო ფორმა.

მოხსენებაში წარმოვაჩენთ გარდამავალი ხანის ქართულ პოეზიაში თურქული წარმომავლობის მყარ სალექსო ფორმას – უჩლამას <სიტყვისგან /üç/‘სამი’ და ნიშნავს სამნაწილიანს, სამი სეგმენტის შემცველს. ქართულ პოეტიკურ სივრცეში ამ აღმოსავლური სალექსო ფორმის სახელწოდება უჩლამის. ამ ტერმინით ისეთი ლექსი ივარაუდება, რომლის თითოეული სტროფი სამი ტაეპისაგან შედგება, ხოლო ყოველ სტროფს, ჩვეულებრივ, ორტაეპიანი რეფრენი ემატება. თვით ტერმინი უჩლამა სპეციალისტებისთვის არის ხელმისაწვდომი და პოპულარობით დიდად ჩამორჩება მუხამბაზს, ყაზალსა თუ რობაიას... იგი არც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშია, არც მამუკა ბარათაშვილის “ჭაშნიკში” არ განიხილება, არც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ ფიგურირებს, არც ლიტერატურათმცოდნეობის ლექსიკონშია. ქართველ პოეტთაგან ამ ფორმას მიმართავდნენ: ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი თუმანიშვილი, დავით ბატონიშვილი (გიორგი XIII-ის ვაჟი), იოსებ მელიქიშვილი, თამაზ ქობულაშვილი, თეკლა ბატონიშვილი, რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე და სხვანი. XIXსაუკუნის ქართული პატრიოტული ლირიკის 3 შედევრიდან – რაფიელ ერისთავის “სამშობლო ხევსურისა”, ილიას “ჩემო კარგო ქვეყანავ”, აკაკის “განთიადი” – პირველი ორი სწორედ უჩლამის ფორმით არის დაწერილი. ვთვლით, რომ ქართულ პოეზიაში ამ თურქულ-აზერბაიჯანული ლექსწყობის შემოსვლა-დამკვიდრება ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებითაც იყო გამოწვეული.

40. ქართულმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ თურქეთის ოთხ, ყარსის, არდაჰანის, რიზესა და დუზჯეს უნივერსიტეტებში გახსნილია ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებები. ართვინის უნივერსიტეტის წესდებაში დევს კავკასიოლოგიის განყოფილების გახსნა, მაგრამ ჯერჯერობით ეს მიმართულება არ ამოქმედებულა. მოხსენებაში ვისაუბრებთ თითოეულის შესახებ.

როგორ მიდის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება თურქეთში? მიგვაჩნია, რომ თურქეთის უნივერსიტეტებში ქართული ენა (პირველ ეტაპზე მაინც) ქართველმა თურქოლოგებმა უნდა ასწავლონ. ქართველი მასწავლებელი, წმინდა ქართველოლოგი იქ ისედაც ყოველთვის საჭირო იქნება, სანამ არ აღიზრდება ამ საქმის სათანადო დონეზე შემსრულებელი თურქი სპეციალისტები. როგორც იქნა ნავსი გატყდა და საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რომელიც წინ უძღოდა ქართველოლოგიური

მიმართულებების გახსნას თურქეთში, წარმატებით დაგვირგვინდა. შუაგულ თურქეთში სტუდენტი მოდის ქართული ენის, ლიტერატურის, კულტურისა და ისტორიის შესასწავლად და შენ არ გაქვს უფლება ათქმევინო მას, რომ ვერ ასწავლი, რომ აზუთხინებ, რომ ვერაფერს აგებინებ. ჩვენ უნდა გავუადვილოთ თურქებს ქართული ენის (მათთვის საკმაოდ რთული ენის) სწავლა ქართველი თურქოლოგების დახმარებით. ჩვენ უნდა შევაყვაროთ მათ საქართველო, ქართული ენა და ქართველები. უნდა ვასწავლოთ ქართული უფრო მომხიბლავად, მიმზიდველად, მათი მშობლიური ენის დახმარებით და ეს ხელეწიფებათ ქართველ თურქოლოგებს.
როგორი მდგომარეობაა თურქეთის ქართველოლოგიურ კერებში კადრების თვალსაზრისით? ვინ თუ არა ჩვენ უნდა ვასწავლოთ თურქებს ქართული? ქართველი თურქოლოგები დიპლომის მიხედვით, პირველ რიგში, არიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები და მერე თურქული ენის სპეციალისტები და თარჯიმნები. ვფიქრობთ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრამ, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან ერთად, მომავალში მჭიდრო ურთიერთობები უნდა იქონიოს თურქეთის სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებში აღმოცენებულ ქართული ენისა და ლიტერატურის ცენტრებთან. ესენი უნდა დაკომპლექტდნენ ჩვენი პროფესიონალი კადრებით და არა შემთხვევით, პროტექციით მოხვედრილი სპეციალისტებით. მით უმეტეს, დღეს, თანამედროვე საქართველოს პირობებში, ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორი მონდომებით ეწევიან საკუთარი ენისა და კულტურის პროპაგანდას თურქები და ამას აღწევენ თავიანთი მასწავლებლებისა და ჩვენი აღზრდილი კურსდამთავრებულების დახმარებით. შედეგიც არ აყოვნებს. დღეს თურქული ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ენაა საქართველოში. ნამდვილად არ გვაწყენდა, გადაგვეღო მათი მაგალითი და გვესწავლებინა ქართული თურქეთში ისე, როგორც ისინი ასწავლიან და პოპულარიზაციას უწევენ თურქულს საქართველოში. თურქოლოგიის კათედრების მოვალეობა არ არის მხოლოდ თურქული ენის სწავლება ქართველი სტუდენტებისათვის. გამოჩნდა ახალი გზა, ახალი მიმართულება. ქართველმა თურქოლოგებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თურქებისათვის ქართული ენის სწავლებაშიც. მეცნიერული მუშაობა, ახალი სახელმძღვანელოების შედგენა და მისთ. უნდა გაძლიერდეს ამ მიმართულებითაც.

41. უძველეს სირიულ პოეტურ თხზულებებში სირიული მეტრიკა წარმოადგენს კარგად ორგანიზებულ, სრულყოფილ სისტემას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მისი სათავე ბევრად უფრო ადრეულ ხანას განეკუთვნება, ვიდრე ეს ლიტერატურული ძეგლებია შექმნილი. ებრაულ მეტრიკასთან მსგავსება სრულიად აშკარაა , მაგრამ იმის მტკიცება, რომ ისინი იდენტურია, რაც განსაკუთრებული არგუმენტაციის გარეშეც ცხადია, მცდარი იქნება თუ მხედველობაში გვექნება ამ ენათა განსხვავებული აქცენტები და მათი აღორძინების პერიოდებს შორის დროში სხვაობა .

სირიული მეტრიკა ეფუძნება ორ პრინციპს, მათგან ერთის ფესვები ენაში ძევს, ხოლო მეორე კი მისი კონვენციური შემადგენელი ნაწილია: ეს არის სიტყვის მახვილისა და მარცვალთა დათვლის პრინციპი. პირველი ნიშნავს იმას, რომ ყველა სირიული სტრიქონი მახვილიან და უმახვილო მარცვალთა ცვალებადობის შედეგად წარმოიქმნება, როცა სტრიქონში მახვილიანი მარცვალი აღმავალია, ხოლო უმახვილო კი დაღმავალი. ეს კანონი სტრიქონის ბუნებისათვის გადამწყვეტია.

სტრიქონის ცვალებადობა, რომ მაქსიმალურად ერთგვარი ყოფილიყო, სირიელებმა შექმნეს მეორე კანონი: მათ სურდათ, რომ სტრიქონებს, რომლებსაც რითმა მართავს, ასევე ერთნაირ მარცვალთა რიცხვი დაეთვალა, თუმცა ეს უკანასკნელი ისე არ განხორციელდა, რომ არ მომხდარიყო ზოგიერთ სტრიქონში ერთი მარცვლის დაგრძელება ან დამოკლება, როგორც ეს ნორმით იყო გათვალისწინებული.

მოხსენებაში შესწავლილი და გაანალიზებულია ცნობილი მკვლევრების ჰ.გრიმის ვ.მაიერის, თ.ნოლდეკეს, რ.დიუვალისა სხვათა მოსაზრებები სირიული მეტრიკის შესახებ.

42. ერთ-ერთი მთავარი ინტერტექსტი, რომელიც აგნონის მრავალი თხზულების თხრობას გამსჭვალავს, არის ბიბლიური „სიზმარ-ზმანება“ – ქებათა ქება. მწერლის არაერთი ნაწარმოების არაორდინალური დასასრული დაუმთავრებელი სიზმრის ალუზიას წარმოადგენს. გამოვყოფთ აგნონის სამ თხზულებას, რომელთა შექმნის პროცესში, ვფიქრობთ, ავტორის გულისყური ბიბლიური ქებათა ქებისა და მიდრაშის შირ ჰაშირიმ რაბასკენ იყო მიპყრობილი. ეს ქმნილებებია: „სიფურ ფაშუტ“, „აგუნოთ“ და „შვუათ ემუნიმ“. აგნონის გაუნელებელი ინტერესი ქებათა ქების ტექსტისადმი კარგად მოეხსენებოდათ ისრაელელ რედაქტორ-გამომცემლებს და მისი რვატომეულის მე-3 ტომს ალ ქაფოთ მანულ („კარის სახელურზე“) უწოდეს, რაც გამოძახილია ქებათა ქების 5: 5-6 ქებისა: „აღვდეგ მე შემოყვანად მეტრფისა

ჩემისა. ჩემთა ხელთაგან დასწვეთდა მურრი, და თითთაგან ჩემთა ეწვეთებოდა მურრი კარის სახელურს. გავუღე კარი მეტრფესა ჩემსა... მაგრამ გაბრუნდა მეტრფე ჩემი და წავიდა. სული ჩემი ილეოდა მის ხმაზე. ვეძებდი მას და ვერ ვპოვებდი...“ „ვეძებდი მას და ვერ ვპოვებდი“ არის ფრაზა, რომელიც შმუელ აგნონის მრავალი მნიშვნელოვანი ქმნილების თემატური გასაღებია. მიჯნურთა განშორების დრამა არის მთავარი კოლიზია, რომელიც განსაზღვრავს ყველა სხვა მოქმედებასა და მდგომარეობას აგნონის მხატვრულ აზროვნებაში. ფსევდონიმიც „აგნონ“ (ნამდვილი გვარია ჩაჩკესი) სწორედ ამ ტანჯვის გამომხატველია. იგი მომდინარეობს წმინდა მიწაზე მწერლის მიერ შექმნილი პირველი მოთხრობის სახელწოდებიდან „აგუნოთ“, რაც უქმროდ დარჩენილ ქალებს ნიშნავს. ნიშანდობლივია, რომ აგნონის სამწერლო კარიერის სათავეში სწორედ ეს მოთხრობა დგას. აღნიშნულ მოთხრობაში სევდიანი ამბისა და უიღბლო ქორწინების ფონს წარმოადგენს ტრადიციული ებრაული შეხედულება ბედნიერი და ჰარმონიული ქორწინების შესახებ. მიდრაშში ბერეშით რაბა დაბადების წიგნის შესაბამისი ადგილი შემდეგნაირად არის განმარტებული: „ერთმა ქალმა რაბი იაკობ ბენ ხალაფთას ჰკი- 55 თხა: „რამდენ დღეში შექმნა უფალმა სამყარო?“ – „ექვს დღეში, როგორც ნათქვამია, „ექვს დღეში შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“, მიუგო რაბიმ. – „მას აქეთ რასა იქმს უფალი?“ – „მას აქეთ უფალი ზის და წყვილებს ერთმანეთს აკავშირებს: ამა და ამ კაცის ქალიშვილს ამ მამაკაცთან...“ მოკლედ, მიდრაში აცხადებს, რომ ოჯახის შექმნაში ღმერთის ხელი ურევია. აქვე ჩნდება საჭირბოროტო კითხვა: თუ თვით უფალი აწყვილებს, რატომ ეყრებიან ადამიანები ერთმანეთს? და, საერთოდ, რატომ არის ამდენი ცოდვა-უბედურება ღვთისგან ქმნილ სამყაროში? „სამყარო ჰარმონიული შექმნა ღმერთმა, მაგრამ მისმა ჭურჭელმა ვერ გაუძლო ღვთიური ნათლით აღვსებას და დაიმსხვრა. ჩვენ დამსხვრეულ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ყველგან და ყველაფერში ნაპრალი გადის. ბზარი, ნაპრალი და უფსკრული დამახასიათებელია ადამიანური ურთიერთობებისთვისაც“ – ასე უპასუხობს ამ მარადიულ კითხვას ცნობილი კაბალისტი იცხაკ ლურია. აგნონის ფსევდონიმიც სწორედ დარღვეულ სამყაროს გვახსენებს. თითქოს ღრმა პესიმიზმით აღბეჭდილი აგნონის სახელი, რომელიც სამყაროს დისჰარმონიულობას აცხადებს, ამავე დროს დიდი შინაგანი ოპტიმიზმითაა გამსჭვალული – ღმერთი ხომ აუცილებლად შეუნდობს ცოდვას, რომლის ხსოვნას ასე ცოცხლად ინახავს კაცი, რადგან როგორც თალმუდი ამბობს: „ღმერთს ახსოვს ის, რაც კაცს ავიწყდება, და ავიწყდება ის, რაც კაცს ახსოვს“.

43. ისლამის თანამედროვე მკვლევრები ადასტურებენ ებრაელებისა და ქრისტი-ანების არსებობას სამყაროში, რომელშიც იშვა ისლამი. არსებობს სულ რამდენიმე ფრიად გაბედული გამოკვლევა, მათ შორის ერთ-ერთს ავტორი უწოდებს „ყურანის უცხო წარმო¬შო¬ბის ლექსიკას“ და ამასთანავე გამოთქვამს მოსაზრებას ადრეული ხანის ისლამის ქრისტიანული, ებრაულ/სამარიტული თუ მანიქეველური წარმომავლობის შესახებაც კი. მაგრამ დღეს მკვლევრები უმეტესწილად დუმან ფართო რელიგიურ-კულტურული მატრიცის შესახებ, რომელშიც გაჩნდა მუჰამედი და ისლამი, განსაკუთ-რებით კი იმ ნაწი¬ლის შესახებ, რომელიც მოიცავს სირიულენოვანი ხალხის არამეულ მემკვიდრეობას. სწორედ ამიტომ თანემდროვე მკვლევრები შესაძლოა უფრო მეტად არიან პასუხის¬მგებ¬ლები საქმის ამგვარი ვითარების გამო, ვიდრე მათი უინტერესობის გამო, შეესწავლათ ისლამი რელიგიის ისტორიის მეთოდოლოგიის თვალთახედვით. ძალზე მცირენი არიან ისლამის მკვლევრები, ვინც იცის სირიული, რომ არაფერი ვთქვათ არამეულ ენაზე მეტყველი ხალხის რელიგიის ისტორიისა და კულტურის ცოდნაზე უფრო ზოგადად.

ასევე მცირენი არიან სირიელი მკვლევრები, რომელთა არაბულისა და ადრე¬ული ხანის ისლამის ცოდნა შეესაბამება ამ სფეროში კომპარატიული კვლევის მოთხო¬ვ¬ნებს. მაგრამ ეს არ გულისხმობს VIII-XIII საუკუნეების აღმოსავლური ეკლესიების სირიულ-ენო¬ვან მწერლებს, რომლებიც ისლამის სამყაროში ცხოვრობდნენ. მათ ყურადღების მიღმა დატოვეს არა მხოლოდ ისლამის წარმოშობის მიზეზები, არამედ რიგი შესანიშნავი ნაშრომებისა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქრისტიანული რწმენის დაცვას მუსლიმთაგან მომდინარე რელიგიური გამოწვევებისაგან და ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ისლამის სარწმუნოებაზე მოქცევის ტალღისათვის. მოხსენების მიზანია, ყურადღების გამახვილება სირიულ თხზულებებზე, რომელიც იშვიათ საშუ¬ალე¬ბას იძლევა თვალი გავადევნოთ, თუ როგორ შეხვდნენ სირიულენოვნი ქრისტი¬ანები ისლამის გამოწვევას სავარაუდოდ ადრე VIII საუკუნეში.

44. ებრაელი ხალხის კონტაქტები ჩინეთთან დაიწყო დიდი აბრეშუმის გზის ამოქმედების შემდგომ (ძვ. წ. მე-2 საუკუნე), რომელმაც ერთმანეთს შეახვედრა დასავლური სამყარო და აზიის რეგიონი პირველი

ტრანსკონტინენტური სავაჭრო მაგისტრალის მეშვეობით. წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ებრაელების ჩინეთში ჩასვლისა და მათი იქ დასახლების საკითხებს. აღნიშნული ამბების შესახებ ინფორმაცია დაცულია მე-9-14 საუკუნეების არაბულ, სპარსულ, ჩინურ და ევროპულ წერილობით წყაროებში, რომელთა თანახმად, ებრაელთა პირველი ტალღა ჩინეთში ირანიდან და ინდოეთიდან მოხვდა აბრეშუმის გზის მეშვეობით. თუმცა, ამასთან დაკავშირებით ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულ თარიღებს ასახელებენ. წყაროები ცალსახად აფიქსირებენ ებრაელთა აქტიურ და წარმატებულ საქმიანობას სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით ვაჭრობა-ხელოსნობაში, მათი თემებისა და კოლონიების არსებობას ჩინეთის სხვადასხვა ქალაქში.

ებრაელების დიდი ჯგუფების კომპაქტურად დასახლება ჩინეთში დაიწყო თანგის დინასტიის მმართველობის ხანაში (618-907), კერძოდ, მე-8 საუკუნეში. ამ მხრივ გამორჩეული იყო ქ. ქაიფენი, სადაც მათი პირველი თემი შეიქმნა და პირველი სინაგოგა აიგო. ხაზგასასმელია, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ებრაელებმა, ქვეყნისათვის ერთგული სამსახურის წყალობით, ჩინეთის ხელისუფლებისგან ფართო სპექტრის უფლებები მიიღეს. ამასთანავე მათ შეუზღუდავად შეეძლოთ აღესრულებინათ თავიანთი ყველა რელიგიური თუ ყოფითი ადათ-წესები. ფაქტობრივად, „ჩინელ“ ებრაელთა უფლებები თითქმის გათანაბრებულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებთან ანუ ისინი უკვე აღჭურვილნი იყვნენ კულტურული ავტონომიის ყველა კომპონენტით. იმავდროულად, ნებსით თუ უნებლიეთ, თანდათან დაიწყო ებრაელთა გარკვეული დოზით ასიმილაცია ჩინურ კულტურასთან, კონფუციანურ იდეოლოგიასთან და ზოგადად, შუა საუკუნეების ჩინურ რეალობასთან.

45. 1854 წელს აშშ-ს მიერ იაპონიის ძალდატანებით გახსნის შედეგად ქვეყნის ისტორიის ახალი ფურცელი გადაიშალა. კერძოდ, დასრულდა იაპონიის ხანგრძლივი თვითიზოლაციის ხანა (1639-1854), რომელიც იმით აღინიშნა, რომ ის დასავლეთის დიდი სახელმწიფოების არა თანაბარუფლებიან პარტნიორად, არამედ მათზე დამოკიდებულ ქვეყნად იქცა. აშშ-იაპონიას შორის დადებული პირველი ხელშეკრულების თანახმად, აშშ-მ მთელი რიგი პრივილეგიები მოიპოვა იაპონიაში. ქვეყანაში იმხანად არსებული კრიზისული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, ხელისუფლება იძულებული იყო ევროპის სახელმწიფოებთანაც ანალოგიური კაბალური და უთანასწორო ხელშეკრულებები გაეფორმებინა, რომლებიც ბღალავდნენ ქვეყნის ეროვნულ სუვერენიტეტს.

მონარქიის რესტავრაციამ 1968 წელს და 1871-1873 წლების ბურჟუაზიული ხასიათის რეფორმებმა იაპონია ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. მართალია, საწყის ეტაპზე იაპონიის ხელისუფლება დიდი ენთუზიაზმით შეუდგა დასავლური ნიმუშის მიხედვით ქვეყნის გარდაქმნას, თუმცა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ევროპეიზაციის დანერგვის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა და ფართომასშტაბიანი ანტიდასავლური მოძრაობა გაიშალა. ნათლად გამოიკვეთა, რომ დასავლური ნორმებისა და ინსტიტუტების დამკვიდრება საფრთხეს უქმნიდა იაპონურ ეროვნულ ფასეულობებს. აქედან გამოდინარე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ვექტორიც შეიცვალა და გაჩაღდა ე. წ. „თეთრი ბარბაროსების“ წინააღმდეგ მიმართული კამპანია. იაპონიის მმართველმა წრეებმა გააჟღერეს იაპონელი ხალხის უფლება და ვალდებულება იმის თაობაზე, რომ მათ „თეთრი ბარბაროსებისგან“ უნდა დაეცვათ არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ კორეა, ჩინეთი და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები. დასახული მიზნის განსახორციელებლად იაპონია მოხერხებული პოლიტიკური სვლებით ლავირებას ახდენდა როგორც დასავლეთის, ისე აზიის ქვეყნებთან მიმართებაში. შედეგად, XIX საუკუნის მიწურულს იაპონიამ მოახერხა ყველა ზემოთ ხსენებული კაბალური ხელშეკრულების გაუქმება. დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერვენციისგან განთავისუფლების შემდეგ კი ის თავად დაადგა კოლონიური ექსპანსიის გზას, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა წარმატებულ საომარ მოქმედებებში კორეის წინააღმდეგ და ჩინეთ-იაპონიის ომში (1894-1895). გარდა ამისა, იაპონიის გავლენის სფეროში ეტაპობრივად მოექცა შორეული აღმოსავლეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების დიდი ნაწილი. ასე რომ, XIX საუკუნის ბოლოსთვის იაპონია უკვე მძლავრ კოლონიურ იმპერიას წარმოადგენდა

46. შუა საუკუნეების იაპონიის განუყოფელ კომპონენტს სამურაების სამხედრო ფენა წარმოადგენდა. მათი პირველი რაზმები მე-8 საუკუნეში ჩამოყალიბდა, რომელთა მთავარი მოვალეობა სიუზერენისათვის ერთგული სამსახურის გაწევა და მისი დაცვა იყო, როგორც ომიანობის, ისე მშვიდობიანობის პერიოდში. ქვეყანაში მიმდინარე პერმანენტული ფეოდალური შიდა ომების

პირობებში, მეტად აქტუალური იყო სამურაების სამხედრო ძალების არსებობა და სათანადოდ გამოყენება. აქედან გამომდინარე, მათი უფლებამოსილება სულ უფრო ფართოვდებოდა და მე-16 საუკუნისათვის ხსენებული სამხედრო ფენა იაპონიის ყველაზე პრივილეგირებულ კლასად ჩამოყალიბდა.

სამურაების პრესტიჟული სტატუსი რადიკალურად შეიცვალაა 1867/1868 წლების ბურჟუაზიული რევოლუციის (ე.წ. მეიჯის რესტავრაციის) და გატარებული რეფორმების შედეგად. კერძოდ, 1867 წლის მიწურულს იაპონიაში დაემხო სამხედრო-ფეოდალური მმართველობის სისტემა - ტტოკუგავას შიოგუნატი (ამ აქტით აღდგენილ იქნა იმპერატორის ერთმმართველობა) და მასთან ერთად დასრულდა სამურაების ხანაც. ახალ პოლიტიკურ რეალობაში, როდესაც იაპონია ვესტერნიზაციის გზას დაადგა, სამურაების ფენა უკვე დრომოჭმული ფეოდალური ურთიერთობების გადმონაშთად აღიქმებოდა და შესაბამისად, ის ისტორიის კუთვნილება უნდა გამხდარიყო. ხაზგასასმელია, რომ ამ პროცესებს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია; ადგილი ჰქონდა უფუნქციოდ დარჩენილი სამურაების ამბოხებებს, შეტაკებებს სამთავრობო ჯარებთან და სხვ. მათგან ყველაზე მასშტაბური იყო 1877 წლის აჯანყება, რომელსაც მეთაურობდა სახელოვანი პოლიტიკური მოღვაწე და „უკანასკნელი სამურაის“ სახელით ცნობილი, საიგო ტაკამორი. სისხლიანი კონფლიქტი სამთავრობო ჯარებსა და ამბოხებულებს შორის ექვსი თვე გრძელდებოდა და საბოლოოდ სამურაების მარცხით დასრულდა.

47. დაბეჭდილია

48. სხვადასხვა წერილობით წყაროებში დაცული ცნობების თანახმად, სეფიანების პირველი კონტაქტები საქართველოსთან ჯერ კიდევ მათი სახელმწიფოს წარმოქმნამდე დაიწყო (XVI საუკუნის დამდეგს). აღნიშნული დროისათვის საქართველო დანაწევრებული იყო ცალკეულ ფეოდალურ სამეფოებად. მიუხედავად ამისა, ის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა როგორც რეგიონში, ისე ზოგადად საერთაშორისო სარბიელზე. ყიზილბაშურ ტომთა ლიდერებს და მათ მომავალ შაჰს - ისმაილს (1487-1524) სათანადოდ ჰქონდათ გაცნობიერებული საქართველოს განსაკუთრებული გეო-სტრატეგიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა და ამიტომაც ის იმთავითვე მათი თვალთახედვის არეალში მოექცა. სპარსული წყაროების ცნობით, 1500 წლის ზაფხულში, ისმაილმა სამხრეთ საქართველოში ყიზილბაშთა ლაშქარი გაგზავნა ხოლეფა-ბეგის სარდლობით, რომელიც იქიდან ურიცხვი ნადავლით დაბრუნდა. სავარაუდოდ, აღნიშნული სამხედრო ექსპედიციის მიზანს მხოლოდ ალაფის აღება წარმოადგენდა, რადგანაც ჯერ კიდევ სახელმწიფოს ფორმირების პროცესში მყოფ ყიზილბაშებს იმხანად ფიქრიც არ ძალუძდათ საქართველოს დაპყრობა-დამორჩილებაზე. საქმე ის იყო, რომ ხელისუფლების სათავეში მოსასვლელად, ისინი სხვადასხვა მოწინააღმდეგე ძალებთან პერმანენტული ბრძოლებით იყვნენ დაკავებულნი და შესაბამისად, მათ უპირველეს მიზანს უზენაესი ხელისუფლებისაკენ გზის გაკაფვა წარმოადგენდა. ევროპულ წყაროთა ცნობით, ალვენდ აყ-ყოიუნლუსთან ბრძოლის წინ, ისმაილმა დახმარებისათვის ქართველ მეფე-მთავრებს მიმართა, სამაგიეროდ კი მათ იმ ხარკისგან განთავისუფლებას დაპირდა, რასაც ისინი აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს (1468-1501) უხდიდნენ. რამდენადაც ქართველი მეფე-მთავრებისთვის მიმზიდველი აღმოჩნდა ეს პირობა, მათ ქმედითი დახმარება გაუწიეს ისმაილს. წყაროებში ხაზგასმულია ქართველთა ლაშქრის გადამწყვეტი როლი ამ ბრძოლაში ყიზილბაშების გამარჯვებაში.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სხვადასხვა წყაროებში დაცული ცნობები ერთმანეთისგან განსხვავებულია, თუმცა ისინი კი არ გამორიცხავენ, არამედ გარკვეულწილად ავსებენ ერთმანეთის ინფორმაციას. წყაროების მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, მოვლენათა განვითარება შემდეგნაირად წარმოჩინდება: თავიანთი უფლებამოსილების დემონსტრირების, ასევე ალაფის მოპვების მიზნით, ყიზილბაშთა ლაშქრის ნაწილმა 1500 წელს სამხრეთ საქართველო დაარბია, მომდევნო 1501 წლის გაზაფხულზე კი ისმაილი ქართველ მეფეებს უკვე მშვიდობიანი მიზნით დაუკავშირდა - ალვენდ აყ-ყოიუნლუსთან ბრძოლაში დახმარების თხოვნით. ხსენებულ ბრძოლაში ყიზილბაშებმა და მათ მხარდამხარ მებრძოლმა ქართველთა ლაშქარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, რითაც დასრულდა ყიზილბაშთა ბრძოლა უზენაესი პოლიტიკური

ძალაუფლებისათვის. 1501 წლის შემოდგომაზე ისმაილი თავრიზში შაჰინშაჰად ეკურთხა და საფუძველი ჩაუყარა სეფიანთა სახელმწიფოს.

49. სეფიანთა დინასტიის მონარქებს შორის, შაჰ თამაზ I ყველაზე დიდხანს - ნახევარი საუკუნე იმყოფებოდა სამეფო ტახტზე (1524-1576). თავისი ზეობის უმეტესი ნაწილი მან ჯერ ოზბეგებთან, შემდეგ კი ოსმალეთის იმპერიასთან მძიმე ომებში გაატარა. სიცოცხლის ბოლო 11 წელი კი მას სასახლის კედლები არ დაუტოვებია, მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდა, მეტ ყურადრებას ტრადიციულ ხელოვნებას უთმობდა. იქიდან გამომდინარე, რომ თავისი ზეობის ბოლო პერიოდში ის პასიურ ცხოვრებას ეწეოდა, ეს ადეკვატურად აისახა ქვეყნის მდგომარეობაზე. მოხუცი შაჰი სასახლეში იყო გამოკეტილი, ქვეყანაში კი ამ დროს უაღრესად მძიმე ვითარება იყო, გახშირდა აჯანყებები, განსაკუთრებით მასშტაბური იყო თავრიზის 1571-1573 წლების აჯანყება. შექმნილი ვითარებით მოხერხებულად სარგებლობდნენ ყიზილბაშური ტომების ამირები, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ, რათა სამეფო ტახტისკენ გზა გაეკაფათ თავიანთი რჩეული კანდიდატისათვის. აღნიშნულ პროცესებს, თავის მხრივ, ბევრი მსხვერპლი, დაპირისპირებული ძალების და უფლისწულთა სისხლიანი ტრაგედიები, ასევე სხვა დრამატული მოვლენები ახლდა თან. ცხადია, რომ ეს ყველაფერი ნეგატიურად აისახებოდა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე.

წარმოდგენილ ნაშრომში სწორედ ამ პერიოდის მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებზე და მათ შედეგებზეა ყურადღება ფოკუსირებული, რომლებიც განხილულია სხვადასხვა საისტორიო წყაროთა მონაცემების საფუძველზე. ხაზგასასმელია, რომ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება სპარსულ პირველწყაროებს, რამდენადაც მათი ავტორები თავიანთ ნაშრომებში აღწერილი მოვლენების თანამედროვენი ან ზოგ შემთხვევებში თვითმხილველებიც იყვნენ. სპარსულ საისტორიო თხზულებებში დაცული ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია შეჯერებულია სხვა წყაროთა მონაცემებთან და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, გამოტანილია სათანადო დასკვნები.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი ზეობის ბოლო წლებში შაჰ თამაზი ხშირად ავადმყოფობდა და მოახლოებულ აღსასრულსაც უთუოდ, გრძნობდა, ის მაინც არ აჟღერებდა სამმეფო ტახტის მემკვიდრის სახელს. მე-16 საუკუნის 70-იანი წლებისათვის შაჰ თამაზის მრავალრიცხოვანი შვილებიდან ცოცხლად დარჩენილ უფლისწულებს შორის, შაჰის ტახტის დასაკავებლად სამი სავარაუდო კანდიდატი იკვეთებოდა: უფროსი ვაჟი - მოჰამადი, მომდევნო - ისმაილი, რომლებიც შაჰ თამაზს თურქომანი ქალისგან ჰყავდა, და უმცროსი - ჰეიდარი, რომელიც მას ქართველი სულთან-ზადე ხანუმისგან ჰყავდა. რამდენადაც მოჰამადი სუსტი ჯანმრთელობისა იყო, თან თითქმის უსინათლოც, მას ტახტის მემკვიდრედ არავინ მოიაზრებდა. ისმაილი იმხანად ხანგრძლივ პატიმრობაში იმყოფებოდა (1556 წლიდან), მამის ეჭვიანობის გამო. მიუხედავად ამისა, ყიზილბაშურ ტომთა ნაწილს და ჩერქეზ დიდებულებს მისი გამეფება სურდათ. ამრიგად, იმხანად არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სამეფო ტახტის ყველაზე რეალურ კანდიდატად ჰეიდარი ჩანდა. მითუმეტეს, რომ მას საკმაოდ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები უმაგრებდნენ ზურგს. მე-16-17 საუკუნეების საისტორიო წყაროთა ცნობით, ჰეიდარის გამეფების მომხრეთა შორის, ზოგიერთ ყიზილბაშურ ტომთან ერთად, იყვნენ მისი ნათესავები დედის მხრიდან - ირანში აღზევებული ქართველი პოლიტიკური ელიტა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ მე-16-17 საუკუნეების წერილობითი წყაროების თანახმად, უფლისწული ჰეიდარი შაჰ თამაზის ყველაზე საყვარელი შვილი იყო. თუმცა, ჰეიდარის გამეფების მცდელობა შაჰ თამაზის გარდაცვალების ღამეს (1576 წლის 14 მაისი), სისხლიანი ტრაგედიით დასრულდა, რომლის დროსაც ხსენებული უფლისწული მოწინააღმდეგე დაჯგუფების მიერ ვერაგულად იქნა მოკლული.ამის შემდგომ ისმაილის მომხრე ყიზილბაშებმა და ჩერქეზებმა ისმაილი ციხიდან გაათავისუფლეს და 1576 წლის აგვისტოში ამ უკანასკნელმა შაჰის ტახტი დაიკავა. მისი ხანმოკლე ზეობა დესპოტიზმით და ტირანიით აღინიშნა. ამას ზედ დაერთო მისი ანტიშიიტური იდეოლოგიური კურსი, რომელსაც მან სუნიტური ისლამი დაუპირისპირა. როგორც საისტორიო წყაროები ერთხმად აფიქსირებენ, სწორედ თავის განსხვავებულ რელიგიურ პოლიტიკას ემსხვერპლა შაჰ ისმაილ II. კერძოდ, წელიწადნახევრიანი ზეობის შემდეგ, ის ნარკოტიკებით იქნა მოწამლული.

სამეფო კარი კვლავ შიდა ომის ასპარეზად იქცა. ბოლოს, ბედის ირონიით, სეფიანთა სახელმწიფოს მომდევნო შაჰი მოჰამად ხოდაბანდე გახდა, რომელსაც თავის დროზე არავინ მოიაზრებდა ქვეყნის უზენაესი ხელისუფლის რანგში. ის ყიზილბაშ დიდებულთა ხელში მარიონეტად იქცა, უნიათო შაჰის ხელში სეფიანთა სახელმწიფო ქაოსმა და განუკითხაობამ მოიცვა. ყიზილბაშურმა ნომადურმა არისტოკრატიამ სრული თავისუფლება მოიპოვა და თავის სურვილისამებრ განაგებდა ცალკეულ ვილაიეთებს. მათ შორის მიმდინარე პერმანენტულ შიდა ომებს ახალ რეალობაში ზედ ერთვოდა დაპირისპირება ყიზილბაშურ ტომებსა და ირანულ არისტოკრატიას, ასევე სხვა ეთნიკურ და პოლიტიკურ ძალებს შორის. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ირანში ახლად აღზევებული ე. წ. მესამე ძალა - კავკასიური ეთნიკური ელემენტი ქართველებისა და ჩერქეზების სახით.

ირანში არსებული მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ სრულად იყო ინფორმირებული ოსმალეთის ხელისუფლება, რომელიც ხელსაყრელ დროს ელოდა ირანთან ომის გასაახლებლად. რამდენადაც იმხანად შექმნილი სიტუაცია სწორედ ასეთად იქნა მიჩნეული, სულთანმა მურად III-მ (1574-1595) აღარ დააყოვნა და 1578 წლის გაზაფხულზე ოსმალთა არმია საქართველოსკენ დაიძრა,რითაც ირან-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო (1578-1590).

50. კონცეპტი ერის სულიერების სარკეა, რომელიც ზოგჯერ თაობიდან თაობას გადაეცემა და არ კარგავს ემოციურობისა და მგრძნობელობის განცდას, ზოგჯერ კი მხოლოდ ათწლეულებს უძლებს და ეპოქის ცვლილებასთან ერთად იცვლება.

ჩვენი კველევის საგანი, კონცეპტი „memeleket" (სამშობლო) მიეკუთვნება, უნივერსალურ ზოგადსაკაცობრიო კონცეპტთა რიცხვს, ისე როგორც მაგ.; „რწმენა", „თავისუფლება" და სხვა, რომლებიც ხელს უწყობს ეროვნული კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბებას.

იმისთვის რომ კვლევა სრულფასოვანი ყოფილიყო პირველ რიგში გავაანალიზეთ სხვადასხვა პერიოდში თურქულ ენაში კონცეპტ „memeleket"–ის (სამშობლო) გამოხატვის ლექსიკური ერთეულები და მათი გამოყენების არეალი, რომელიც შევადარეთ/შევუპირისპირეთ თურქეთელი ქართველების მეტყველებაში გამოყენებულ ლექსემებს. შედეგად გამოიკვეთა რომ თურქეთელი ქართველები კონცეპტ „სამშობლოს" გამოსახატავად იყენებენ ორ ლექსემას: „Vatan" და „Memleket". რომელთაგან „Memleket " ისტორიული სამშობლოს – საქართველოს– მარკერია, ხოლო „Vatan" დაბადების ადგილის, ქვეყნის–თურქეთის.

Vatan (وَطَنْ) არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს: ქალაქს, რაიონს, ოლქს, დაბადების ადგილს.

ლექსემა „memleket" ლექსიკონში განმარტებულია როგორც :1. Bir devletin egemenliği altında bulunan toprakların bütünü, ülke. (სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ გაერთიანებული ტერიტორიები, ქვეყანა). 2.Bir kimsenin doğup büyüdüğü yer, şehir, yurt (დაბადების ადგილი, ქალაქი, ქვეყანა). ლექსიკონებში მოცემული განმარტებები, ადამიანურ ურთიერთობათა კონტექსტში, შესაძლოა ორი მნიშვნელობით იქნეს გაგებული; ერთის მხრივ, როგორც ხალხის/ერის განსახლების ან/და განსაზღვრულ ტერიოტორიაზე დაფუძნება/დამკვიდრების ადგილი, სამშობლო. მეორეს მხრივ კი, როგორც ოჯახის კუთვნილი მიწა/ტერიტორია.

შეიძლება ვივარაუდოთ, *რომ სწორედ ადამიანური ურთიერთოებების კონტექსტი უდევს საფუძვლად იმ ფაქტს, რომ კონცეპტი „Memleket"–ია სამშობლოდან გადასახლებული „მუჰაჯირების" სულიერების სარკე. სწორედ „Memleket"–ით გამოხატავენ იმ ემოციურ და კულტურულ–ისტორიულ კავშირს სამშობლოსადმი რომლიდანაც იძულებით გადაასახლეს 19 საუკუნის 80–იან წლებში.*

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მირიან მახარაძე
2. დარეჯან გარდავაძე
3. ნინო ეჯიბაძე
4. ნინო ეჯიბაძე
5. ნინო ეჯიბაძე

6. დალი ჩიტუნაშვილი
7. ქეთევან ლორთქიფანიძე
8. ნანული კაჭარავა
9. მარიკა ჩაჩიბაია
10. მარიკა ჩაჩიბაია
11. ნანი გელოვანი

2) მოხსენების სათაური

1. ქართველები სელიმ I და ისმაილ I დაპირისპირებაში
2. არაბული ენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ტრადიცია და თანამედროვე გამოწვევები
3. 1. ةيوفاهمجر كاي صاوخ ضعبلسინქრონული თარგმანის ზოგიერთი თავისებურების შესახებ)
4. Dialectal Form itfa'al: Origin and Function (დიალექტური ფორმა itfa'al: წარმოშობა, ფუნქცია)
5. يغمراجلاهيلعاتاهلبنيقطنالرغظيوعلاةغللهلاعيچصاوخარაბული ენის სწავლების სპეციფიკა უცხოენოვანთათვის: საუნივერსიტეტო სწავლება)
6. Arabic-Georgian Palimpsest in Dagestan

7. შუასაუკუნეების ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ფიქსირებული ზოგიერთი თურქული ნასესხობის შესახებ.Ortaçağ Gürcü Edebi Eserlerinde Saptanan Bazı Türkçe Alıntılar Hakkında.
8. წარდგინება ილჰან აკინის რომანისა „უხმო ქვითინი - ქართველთა გადასახლება“, საკუთარი თარგმანი.
9. Historical Sources on the Meeting of Basil of Caesarea and Ephraim the Syrian/ისტორიული წყაროები ბასილი კესარიელისა და ეფრემ ასურის შეხვედრის შესახებ.
10. Historical and Theological Preconditions of the Identity of Pseudo-Dionysius the Areopagite and Peter the Iberian.
11. The Persian school "Ettefaq-e Iraniyan".

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 4-6 ნოემბერი 2021, თურქეთი, სტამბულის უნივერსიტეტი
2. ეგვიპტის კულტურის სამინისტროს კულტურის უმაღლესი საბჭოსა და კაიროს უნივერსიტეტის არაბული ენისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებული არაბული ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფორუმი „არაბული ენა და მსოფლიო“. 2021 წლის 21 დეკემბერიეგვიპტის კულტურის სამინისტროს კულტურის უმაღლესი საბჭო (ონლაინ).
3. ბეირუთი, 28-30 ივლისი

4. ჰეიდელბერგი, 30 ივნისი-2 ივლისი

5. ონლაინ კონფერენცია: www.arabic-dep.org, 11 დეკემბერი

6. გერმანია, ჰამბურგი, 7-8 ოქტომბერი
7. საერთაშორისო, ბილგე თონიუქუქის ხსოვნისადმი მიძღვნილი თურქეთის ლინგვისტური საზოგადოების მიერ ორგანიზებული, რიგით IX ყურულთაი -ანკარა 2021 სექტემბერი(კონფერენცია ჩატარდა ონლაინ) . IX Uluslararası Türk Dili Kurultayı Bilge Tonyukuk Anısına, Eylül 2021/Ankara
8. მიგრაცია და მიგრაციის კვლევის ცენტრი, დუზჯეს უნივერსიტეტი, თურქეთი;დუზჯეს უნივერსიტეტი (თურქეთი), ზუმის რეჟიმი, 24.08.2021
9. 2021 LISBON 30th International Conference on "Literature, Languages, Social Sciences and Education"
10. West East Institute, 19382 West Chester, PA, USA, International Academic Conference on Humanities and Social Sciences (Online/ Offline) november, 29-30, 2021, [#9057]

10. Nineteenth International Conference on New Directions in the Humanities. Complutense University of Madrid, Madrid, Spain. https://thehumanities.com/2021-conference. 30 ივნისი–2 ივლისი, 2021.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. XVI საუკუნის დასაწყისში სეფიანთა ირანის ჩამოყალიბებამ იძულებული გახადა ოსმალეთის იმპერია უფრო გაეაქტიურებინა თავისი აღმოსავლური პოლიტიკა. ოსმალეთ-ირანის დაპირისპირებაში მისი გეოგრაფიიდან გამომდინარე მოიაზრებოდნენ ქართველებიც. ჯერ კიდევ სელიმის უფლისწულობის პერიოდში საქართველოს საზღვარზე, მოხდა ბრძოლა ისმაილსა და სელიმს შორის, რომელშიც ირანელთა მხარეს ქართველებიც მონაწილეობდნენ. სოლაქ-ზადეს ცნობის საფუძველზე ჩვენ გამოგვაქვს ვარაუდი, რომ შესაძებელია ისმაილი დაეხმარა ქართველებს უფლისწული სელიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის შემდეგაც ქართველებმა მას 9 000-იანი ჯარით დახმარება გაუწიეს თეთრბატკნიანთა წინააღმდეგ ბრძოლასა და სეფიანთა იმპერიის ჩამოყალიბებაში. სელიმის უფლისწულობის პერიოდში ოსმალეთ-ირანის დაპირისპირება გამოიწვია, სელიმის საქართველოში შემოჭრამ და ქალაქ ქუთაისის დარბევამ. გარდა იმისა, რომ ირანი საქართველოს თავის ქვეშევრდომად მოიაზრებდა, ოსმალებმა გზად აიღეს სეფიანთა ირანის მიერ ანატოლიაში დაკავებული ტერიტორიები. ქართველების როლი ოსმალეთ-ირანის დაპირისპირებაში უფრო გაძლიერდა სელიმის გასულთნების შემდეგ. იტალიურ დოკუმენტებში მოყვანილია ცნობები ქართველების მონაწილეობაზე ჩალდირანის ბრძოლაში და მათი ქმედებები ბრძოლის შემდეგ, როგორც შაჰის ასევე სულთნის მხარეს. ოსმალეთი და ირანი ჩაებნენ 1515 წელს სამცხე-საათაბაგოში დაწყებულ დინასტიურ ბრძოლაში. ყვარყვარე III-მ ისმაილის დახმარებით შეძლო სამცხე-საათაბაგოში გაბატონება, რომელიც შემდეგ ოსმალთა დახმარებით განდევნა მისმა ბიძა მანუჩარმა. თუმცა სელიმ I-ის ეგვიპტეში ლაშქრობით ისარგებლა ყვარყვარემ და ირანეთტა დახმარებით მანუჩარი განდევნა ოსმალეთში.
გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ამ პერიოდის ოსმალეთ-ირანის დაპირისპირებაში ქართველთა როლი აისახება ისმაილის მიერ ჩამოყალიბებულ ანტიოსმალურ კოალიციაში და ზოგიერთ იტალიურ ცნობაში, რომლის მიხედვითაც ქართველებმა მონაწილეობა მიიღეს სელიმ I-ის მიერ განხორციელებულ ეგვიპტის ლაშქობაში.

2. მოხსენებაში წარმოჩენილი იყო არაბული ენის სწავლების საუკუნოვანი ტრადიცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამ ტრადიციის სამეცნიერო მიზნები, ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებანი და არაბული ენის სწავლების თანამედროვე გამოწვევები ზოგადად საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში და კონკრეტულად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სწავლების პრაქტიკულ-გამოყენებითი ასპექტები და მიზნები.

3. მოხსენება შეეხებოდა სინქრონული თარგმანის სპეციფიკას პრაქტიკული პოზიციიდან. განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სინქრონისტი მთარგმნელისთვის აუცილებელი უნარები, სინქრონული თარგმანის განხორციელებისთვის საჭირო დამხმარე ატრიბუტიკა. მოხსენება ასევე მიმოიხილავდა სპეციალიზირებული კვლევების შედეგებს, რომლებიც განხორციელდა სინქრონისტ თარჯიმანთა ტვინზე დაკვირვებების შედეგად.

საბოლოო ჯამში, მოხსენების მიზანი იყო, სინქრონული თარგმანის სფეროში არსებული გამოცდილების მიმოხილვის ფონზე გამოყოფა იმ საკითხებისა, რომლებზე კონცენტრირებაც აუცილებელია ასეთი თარგმანისთვის ახალი თაობის კადრების მომზადებისთვის.

4. არაბულ დიალექტებში ფუნქციონირებს დერივაციული მოდელი itfa‘al, რომელიც უცხოა სალიტერატურო ენისთვის და გამოხატავს პირველი თემის უკუქცევით მნიშვნელობას. სტრუქტურის მიხედვით, ფორმა itfa‘al არის უფრო რთული, ვიდრე მესამე თემა და უფრო მარტივი, ვიდრე მეხუთე თემა. რადგანაც მეოთხე ნაწარმოები თემა დიალექტებში არ ფუნქციონირებს, არაბისტიკის ისტორიაში იყო არაბისტიკაში მიღებულ ნუმერირებაში საკვლევი თემისთვის მეოთხე ადგილის მინიჭების მცდელობა. ეს ინიციატივა არ დამკვიდრდა, რაც სამართლიანია. არაბულში უკუქცევითი მნიშვნელობა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე თემების ფორმებისთვის გადმოიცემა t და n მარკერებით ნაწარმოები დერივაციული ფორმებით: მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე. ბოლო ორი, რომლებიც

ფორმალურად პირველ თემას უკავშირდებიან, წარმოების ტიპის მიხედვით, განსხვავდებიან მეხუთე და მეექვსე თემებისგან. ამათგან მეშვიდე თემა დიალექტებში შედარებით იშვიათად გვხვდება. ინფიქსული წარმოება არაბულისთვის არაა დამახასიათებელი. სალიტ. მერვე თემა, რომელიც არის ერთადერთი ინფიქსიანი თემა, მომდინარეობს tafa'al[a] პრეფიქსიანი ფორმისგან. საკვლევი ფორმა უნდა იყოს სწორედ ამ ფორმის დიალექტური ვერსია, რომელიც სალიტერატურო ენაში შენარჩუნდა მეტათეზირებული ვარიანტით, ხოლო დიალექტებმა ის პირველადი ფორმით შემოინახეს. ამასთანავე, ეს ფორმა აქტიური მნიშვნელობის ზმნებისთვის, მეხუთე და მეექვსე თემებთან ტანდემში, წარმოადგენს პასივისა და უკუქცევითობის გადმოცემის უნიფიცირებულ და მარტივ საშუალებას.

5. მოხსენება შეეხება საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში უცხოენოვანთათვის არაბული ენის სწავლების სპეციფიკას. კერძოდ, განხილულია შემდეგი საკითხები: რომელი არაბული ვასწავლოთ? იგულისხმება არაბულის კლასიკური, თანამედროვე სტანდარტული და დიალექტური ფორმები. წარმოდგენილია დებულება, რომ საუნივერსიტეტო განათლებისას, საწყის ეტაპზე, აუცილებელია კონცენტრირება სალიტერატურო ენაზე, რაც, შემდგომში, იძლევა საშუალებას უფრო მარტივად მივაწოდოთ სტუდენტს არაბულის სასაუბრო ფორმებიც. აქცენტირებულია ის საკითხიც, რომ განსხვავებით, ვთქვათ, ევროპეისტიკული დისციპლინებისგან, სადაც სტუდენტის სასტარტო კომპეტენციები ენაში საკმაოდ მაღალია, აღმოსავლური ენების სწავლებისას პროფესურას უწევს შეიმუშაოს ისეთი მეთოდიკა, რომელიც საშუალებას მისცემს საბაკალავრო სწავლების ბოლოს გავიდეს იმავე შედეგებზე, რაზედაც გადიან ევროპეისტიკის შემთხვევაში, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის შემთხვევაში, სტუდენტის სასტარტო კომპეტენციები ენაში, როგორც წესი, ნულოვანია. მიმოხილულია ასეთი შედეგის მიღეწვისთვის საჭირო მეთოდიკა.

მეორე საკითხი, რომელზედაცაა კონცენტრირებული მოხსენება, შეეხება არაბული დიალექტების სწავლების როლსა და თავისებურებებს. ხაზგასმულია, რომ მიდგომები ამ კუთხით პრინციპულად უნდა განსხვავდებოდეს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე. თუკი საბაკალავრო საფეხურზე ამოსავალია პრაქტიკული მიზნები, სამაგისტრო სწავლება უნდა მოიცავდეს გაღრმავებულ თეორიულ კურსს დიალექტოლოგიაში, რომლის ფონზეც დიალექტის შესწავლა მოიცავს ეკოლინგვისტურ მრავალფეროვნებას მოცემული ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიული კილოკავის დეტალიზებული დესკრიფციით, რამაც, საბოლოო ჯამში, უნდა გაგვიყვანოს იმ შედეგზე, რომ სტუდენტს სირღმისეულად ესმის არაბული დიალექტების განვითარების პრინციპები, ხედავს ენის განვითარებისთვის პრინციპულ მოვლენებს, განასხვავებს მათ კერძო მნიშვნელობის შემთხვევებისგან და ხედავს არაბული დიალექტების ადგილს სემიტური ენების ერთიან სურათში.

6. მოხსენებაში საუბარი იყო დაღესტანში, მახაჩკალაში გამოვლენილი უცნობი ქართულ-არაბული პალიმფსესტის შესახებ. პალიმფსესტი საკმაოდ ადრეულია და ოთხთავის ხანმეტ ტექსტს შეიცავს, რაც მისი მე-5-მე-6 საუკუნეებით დათაირღების საშუალებას გვაძლევს. ხელნაწერი შეიცავს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებათა ფრაგმენტებს. მარკოზისა და იოანეს ფრაგმენტები მცირე ვარიანტული სხვაობით მიჰყვება ადიშის რედაქციის ქართულ ოთხთავს. ლუკას სახარება კი დამოუკიდებელი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

7. საუკუნეების მანძილზე საქართველოს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა თურქულ სამყაროსთან.ქართულ ისტორიულ წყაროებში ხშირად ვხვდებით თურქთა ტომობრივ სახელებს:ჰუნებს, ხაზარებს, ყივჩაღებს, სელჩუკებსა და ოსმალოებს. თურქული სამყაროს გავლენა ქართველთა ყოფა-ცხოვრებაზე ნათლად აისახა ქართულ სასაუბრო და ლიტერატურულ ენებზეც, რადგან როგორც ცნობილია ენები იზოლირებულად, ერთმანეთისგან მოწყვეტით არ ვითარდებიან.ჩემსა და ჩემი კოლეგების მიერ მიკვლეული და შესწავლილი თურქული ნასესხობები ამის ნათელი დასტურია.ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ვალერიან გაბაშვილი თავის ყურადსაღებ სტატიაში „საქართველო და თურქული სამყარო XI -XIII საუკუნეებში“წერდა, რომ ამ პერიოდში თურქულიდან ქართულში მხოლოდ ადმინისტრაციული და სამხედრო ტერმინები დასტურდება, კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე საერთოდ არ არის საუბარიო. ჩვენი აზრით, ქართველებსა და თურქებს შორის არსებული სამხედრო დაპირისპირებათა პარალელურად ადგილი ჰქონდა კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობებსაც,რასაც თვალნათლივ ადასტურებს

მოპოვებული და გაანალიზებული მასალა.რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანის“ ქართულ ვერსიაში, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“, ჩახრუხაძის „თამარიანსა “და შავთელის „აბდულმესიანში“ჩვენ მივაკვლიეთ რიგ თურქულ ნასესხობებს, ჯამში ოცდაშვიდ ლექსემასა და თხუთმეტ თხზულ სახელს. მოხსენებაში საუბარი გვექნება სამ ლექსიკურ ერთეულზე.ესენია: „ყოლბი“, „ბაღა“და „სიალფე“.

8. ეთნიკურად ქართველი მწერალი ილჰან აკინი 20-მდე რომანის ავტორია. ილჰან აკინი (წინაპართა გვარი ბერიძე) დაიბადა თურქეთის დუზჯეს პროვინციის სოფელ მუნჯურლუში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, არაბულ, ქართულ და ჰინდის ენებზე. მწერლის რომანებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, „უხმო ქვითინი - ქართველთა გადასახლება“, „წმინდა ბარბარე & ნიკომედია,“ „ოქროს საწმისი“ და სხვ. ამ უკანასკნელში მწერალს საინტერესო, თავისებური, მისეული ხედვა აქვს არგონავტების კოლხეთში ჩამოსვლისა და ოქროს საწმისის გატაცების შესახებ.

ილჰან აკინის რომანი „უხმო გოდება (ქართველთა გადასახლება)“ ქართველ მუჰაჯირთა მიგრაციის მძიმე წლებზე მოგვითხრობს. მწერალმა ისტორიის მწარე ფურცლებს - ქართველთა მუჰაჯირობას რომანის სახე მისცა და ამ წიგნში აჭარიდან გადასახლებული ერთი ოჯახის ფონზე განზოგადებულად აღწერა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ოსმალეთში გადასახლებული ქართველების სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა, ბედისწერა და ის მწარე ხვედრი, რომელიც ისტორიამ მათ არგუნათ. რომანში უამრავი სიტყვა მოცემულია ქართულად და ფრჩხილებში მათ განმარტებები ახლავს. ეს ის სიტყვებია, ხეხილის, ყურძნის თუ სიმინდის ჯიშებია, რომელიც ავტორს ბავშვობიდან მახსოვრობაში ჩარჩენია, რომელთაც უფრთხილდება და ესათუთება.

ილჰან აკინის ეს რომანი 2014 წელს გამოიცა „დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის“ ფინანსური მხარდაჭერით. მისასალმებელია, რომ წიგნი სწრაფად გაიყიდა და 2015 წელს ხელმეორედ გამოქვეყნდა უკვე გამომცემლობა „მეტამორფოზის“ მიერ. რომანის ქართული თარგმანი დაიბეჭდა TEDA-ს დაფინანსებით გამომცემლობა აკადემიური წიგნი - „საგას“ მიერ. ქართული საზოგადოება განებივრებული არ არის მუჰაჯირობის, დედასამშობლოს ფესვებს მოწყვეტილი ემიგრანტების თემაზე დაწერილი მხატვრული ნაწარმოებებით. იმედს ვიტოვებთ, ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდება ამ რომანს.

9. თეოდორემ და სოზომენმა, რომლებმაც შექმნეს თავიანთი საეკლესიო ისტორია მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში, ისევე როგორც ფსევდო-ამფილოქემ ბასილის ცხოვრებაში, შექმნეს ცნობა ბასილისა და ეფრემის შეხვედრის შესახებ კაპადოკიაში. ამ ცნობის თანახმად, ბასილიმ აკურთხა ეფრემი დიაკვნად. ეფრემმა სასწაულებრივად მიიღო ღვთივკურთხეული მადლი – ბერძნული ენის ცოდნა. შედარებით გვიანდელი ხანის ენკომიაში ეფრემის შესახებ, რომელიც არასწორად მიეწერებოდა გრიგოლ ნოსელს კიდევ უფრო მეტად იქნა გავრცობილი წმ. ეფრემთან ასოცირებული სამონასტრო და ასკეტური სახისმეტყველება.

მკვლევართა უდიდესი ნაწილისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ეფრემ ასურის ბიოგრაფიის დეტალების უმეტესი ნაწილი ლეგენდურია, ან უკეთეს შემთხვევაში არ არის სარწმუნო. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ეს ცნობები არ არის ანგარიშგასაწევი.

ფსევდო-ამფილოქეს „ბასილის ცხოვრებაში“ ბასილისა და ეფრემის მოულოდნელ შეხვედრასთან დაკავშირებით შესაძლოა დაისვას საფუძვლიანი კითხვა იმ მოტივების შესახებ, რამაც განაპირობა ეს ფიქტიური შეხვედრა. ხომ არ არის ეს ორი ბიოგრაფიის დაკავშირების მცდელობა: ორივე საეკლესიო მოღვაწე ცხოვრობდა ერთმანეთთან ახლო მანძილზე, ორივე მათგანი ჩართული იყო რეგიონში არიანობისა და სხვა მწვალებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ ისინი სადმე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს? ან, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, ეს იყო ბერძნულენოვანი სირიელების სურვილი აემაღლებინათ ეფრემის ავტორიტეტი მისი სახელის ბასილის სახელთან დაკავშირებით.

როგორც ჩანს, ამ ცნობის მთავარი მიზანი არის ეფრემის დამკვიდრება ბერძნულენოვან ეკლესიაში. ის მეტად აღარ არის გამიჯნული, არამედ ტრანსფორმაციის შედეგად გახდა ბერძნული ეკლესიის

წევრი. მისი ცხოვრება და თხზულებები ბერძნული და ორთოდოქსული ეკლესიის მემკვიდრეობის ნაწილია, რომელიც შორსაა ნებისმიერი საეჭვო მწვალებლობისაგან, რომელმაც მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული შერყვნა სირიელთა უდიდესი ნაწილის ბერძნული შეხედულებები. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ თაყვანისმცემელთა მცდელობა გაემყარებინათ თავიანთი კავშირი ეკლესიის ერთ-ერთ უდიდეს გმირთან, მაგრამ საკუთრივ ბერძენთა საჩუქარი ასევე შეიძლებოდა ინტერპრეტირებული ყოფილიყო არა როგორც მოწყალება გაღებული პროვინციელი სირიელისადმი ან სირიელი ბიოგრაფის მცდელობა პატივი მიეგო მისთვის სიკვდილის შემდეგ. ეს უფრო იყო მცდელობა ჩაერთო ეფრემი ბერძნულენოვანი თეოლოგების სამწყსოში, რომელსაც შეეძლო შეექმნა შესანიშნავი თეოლოგიური თხზულებები და მისთვის არ იქნებდა დაბრკოლება ბერძნული ენის არცთუ კარგი ცოდნა. უფრო მეტიც, ამ საჩუქრის მიღება და ბასილის მიერ მისი დიაკვნად კურთხევა შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო როგორც „სირიელთა დიდების“ აშკარა დაქვემდებარება იმ საუკუნის უდიდესი მაელინიზებელი ეპისკოპოსისადმი, ბასილის ავტორიტეტისადმი. ყოველ შემთხვევაში, ეს ტექსტი შეიძლება განიმარტოს, როგორც ეფრემის კავშირის გაძლიერება ბერძნულოვან ეკლესიაასთან ღვთიური წყალობით ან ელინიზაციისა და საეკლესიო სუბორდინაციის მეშვეობით.

10. სტატიაში განხილულია უაღრესად საინტერესო და საკამათო საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ერთ-ერთ დიდ წარმომადგენელთან, დიონისე არეოპაგელთან და მეხუთე საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწის პეტრე იბერელის ვინაობასა და მოღვაწეობასთან. ქართული თარგმანი „ცხოვრების“ სირიულ ტექსტთან შედარების გარეშე საკმარისი არ არის პეტრე იბერელის საკამათო ბიოგრაფიული ფაქტებისა და მისი რელიგიური მრწამსის დასადასტურებლად. მართალია, ქართული თარგმანი განსხვავდება სირიული წყაროსგან, მაგრამ მისი გაუფასურება არასწორი იქნება. ქართული და სირიული ცხოვრების შედარებითი შესწავლა შესაძლებელს ხდის „აღადგინოს მნიშვნელოვანი ისტორიული ნაწილი“. უფრო მეტიც, „ცხოვრების“ ქართულ ვარიანტში დაცულია გარკვეული მნიშვნელოვანი მონაცემები, რომლებიც ნათელს ხდის სირიულის ბუნდოვან საკითხებს, პირველ რიგში ამ კომპოზიციის ავტორის ვინაობას, მის ურთიერთობას პეტრე იბერელთან და ა.შ., რაც კიდევ ერთი გამოსაკვლევი საკითხია.

11. 1905 წელს თბილისში, რუსეთში ირანის ელჩის მირზა ჰასან-ხან მოშირ ად-დოულესა და თბილისში ირანის გენერალური კონსულის მოფახამ ას-სოლთანის თაოსნობით, დაარსდა ირანის საქველმოქმედო საზოგადოება „ეთეფაყ-ე ირანიან“ („ირანელთა კავშირი“). მოგვიანე
ბით, ირანის გენერალური კონსულის შუამდგომლობით და საქველმოქმედო საზოგადოების დაფინანსებით, თბილისში გაიხსნა სპარსული სკოლა (მედრესე) – „ეთეფაყ-ე ირანიან“ ან „ითთიფაკ“ („კავშირი“). ის მდებარეობდა თბილისის „მუსლიმურ უბანში“ – შეითან-ბაზარი, რის გამოც შეითან-ბაზრის სკოლასაც ეძახდნენ.

ირანელი მოგზაურები დიდ ინტერესს იჩენდნენირანელი მოგზაურები დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა სწავლა-განათლებისადმი. ყაჯართა პერიოდის სპარსულ სამოგზაურო და მემუარულ ლიტერატურაში დაცულია საყურადღებო ცნობები თბილისის სპარსული სკოლის შესახებაც, რომლებიც თარგმნილია ქართულ ენაზე და შემოტანილია სამეცნიერო მიმოქცევაში. თუმცა, ეს საკითხი სპეციალური შესწავლის საგანი გამხდარა. წინამდებარე ნაშრომში კომპლექსურადაა განხილული და გაანალიზებული თბილისის სპარსული სკოლის ისტორია საარქივო მასალების საფუძველზე.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

1.2021 წლიდან არმენოლოგიის კათედრა ახორციელებს პროექტს: შუა საუკუნეების სომხური საისტორი წყაროების თარგმნა-შესწავლა. პროექტში ჩართული პერსონალი:1. ნათია ჩანტლაძე (პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებელი); 2. დალი ჩიტუნაშვილი; 3. ნინო აფციაური; 4. თინათინ ევდოშვილი 5. ნინო გოქაძე; 6. ხათუნა გაფრინდაშვილი 7. ირმა ხოსიტაშვილი.

სამეცნიერო-კვლევით პროექტის მიზანია შუა საუკუნეების იმ სომხური საიტორიო წყაროების თარგმნა, შესწავლა და გამოსაცემად მომზადება, რომლებიც დღემდე არ ყოფილა ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული. შესაბამისად არაა სრულად შემოსული ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში. პროექტის ფარგლებში დადგეგმილია როგორც ცალკეული თხზულებების, ასევე „მცირე ქრონიკების“ სახელით ცნობილი სომხური ხელნაწერებისათვის დართული „ჰიშატაკარანების“ და ქრონიკათა გაგრძელებების თარგმნა და კომენტირება. ეს მუშაობა არმენოლოგიის კათადრის პერსონალის მხრიდან დიდი ხანია დაწყებულია, მაგრამ ამჯერად განისაზღვრა დროითი ფარგლები, როდესაც მრავალწლიან და მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით მუშაობა უნდა შეჯამდეს და საბოლოო სახე მიეცეს. 2021 წლის ბოლოსთვის - ***ნათია ჩანტლაძემ*** დაასრულა მუშაობა მიქაელ ასურის „ქრონიკის“ მეთოთხმეტე საუკუნის სომხური თარგმანზე, ტექსტი თარგმნილია და მზადდება გამოსაცემად, კვლევითი სამუშაოს კიდევ ერთი ნაწილი სტატიის სახით დაიბეჭდა ზაზა ალექსიძისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში; ***დალი ჩიტუნაშვილმა*** დაასრულა აჰარონ ვანანდელის (მე-10 ს.) „ნინოს ჯვრის ისტორიის“ თარგმნა, მომზადდა სტატია აჰარაონ ვანადელის ისტორიის სვინაქსარული ვერსიის შესახებ; მიმდინარეობს მუშაობა ტექსტის კომენტირებაზე; ***ირმა ხოსიტაშვილმა*** დაასრულა იაკობ კარინელის (მე-17 ს.)თხზულების „ისტორია კარინისა“ თარგმნა, მზად არის გამოკვლევაც, მიმდინარეობს მუშაობა კომენტარებზე ; ***ნინო აფციაურმა*** წარმოადგინა მასალები საქართველოში დაცული სომხური ეკლესიების ისტორიის შესახებ, ამზადებს გამოსაცემად აგათანგელოზის „სომხეთის ისტორიის“ თარგმანს. ამას გარდა, პროექტის მონაწილეების მიერ ერთობლივი სამუშაოს ფარგლებში თარგმნილია „სომხური ჰიშატაკარანებისა“და ქრონიკათა გაგრძელებების 7 ტექსტი.

1. აღმოსავლური ჟურნალის - არაღანი (გამოდის წელიწადში ორჯერ) - გამოცემა. რედაქტორი - მზია ბურჯანაძე/ირანისტიკის კათედრა/.
2. სამეცნიერო ჟურნალის -აღმოსავლეთმცოდნეობა - მე-10 ნომრის გამოცემა.
3. თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის კათედრის, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს, ილიაუნის სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს უნივერსიტეტის ორგანიზებით 2021 წლის 11 დეკემბერს ჩატარდა თურქოლოგიური სემინარი თემაზე: ქართული თურქოლოგია წარსული, აწმყო, მომავალი.
4. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ებრაისტიკა-არამეისტიკის სასწავლო-სამეცნიერო კათედრის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ორგანიზებით 2021 წლის 20-22 დეკემბერს გაიმართა აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია.
5. აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენცია წელს მიეძღვნა აკად. კონსტანტინე წერეთლის ხსოვნას. კონფერენცია გაიმართა 24 დეკემბერს. დაიბეჭდა მოხსენებათა თეზისები.
6. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის“ მიმართულებამ 2021 წლის 15-16 აპრილს ჩააატარა მე-6 სამეცნიერო კონფერენცია „შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები ინტერდისციპლინური კვლევების სპექტრში“.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პუბლიკაციების სია

(2021 წელი)

მონოგრაფიები

1. ნანი გელოვანი. თბილისის მუსლიმური თემი (1801-1917). თბილისი, კოლორი, 2021.
2. გიული ალასანია. ფარსადან გორგიჯანიძე. საქართველოს ცხოვრება (რედაქტორი-გონელი არახამია)
3. მირიან მახარაძე, ზაზა შაშიკაძე. ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფ-ნამეები საქართველოს შესახებ. თბილისი, 2021.
4. გიორგი ლობჟანიძე. . ჯალალ ედ-დინ რუმი. არსთა მესნევი. წიგნი მეორე. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჟანიძემ/ტექსტოლოგიური კვლევა/. თბილისი, 2021.
5. დალი ჩიტუნაშვილი. ექვთიმე მთაწმიდელი, მცირე სჯნაქსარი, ტექსტი, გამოკვლევა და სამეცნიერო აპარატი მოამზადა დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი, 2021.

სტატიები

1. ხათუნა თუმანიშვილი. ანდაზის დეკოდირებისათვის სამეტყველო აქტში (სირიულდიალექტური არაბული და ქართული მასალის მაგალითზე); – კულტურათაშორისი დიალოგები“ . ტომი 6 (2021): შრომები (ენა და ენათმეცნიერება); თელავი. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. დალი ჩიტუნაშვილი. ხანმეტი ოთხთავის უცნობი ხელნაწერი. - კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, II. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
3. დალი ჩიტუნაშვილი/დ. გოგაშვილი/. კალკოსის სახარება. - კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, II. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
4. ნათია ჩანტლაძე. ძველი სომხური წერილობითი წყაროები პეტრე იბერის შესახებ. - კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, II. თბილისი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
5. მირიან მახარაძე, ზაზა შაშიკაძე. სტამბოლის საპრეზიდენტო საარქივო სამმართველოს ოსმალურ არქივში დაცული საგადასახადო აღწერის დავთრები ქართული ტერიტორიების შესახებ. - *History, Archaeology, Ethnology, N VI, 2021, საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი,* 14გვ. 327-336.
7. ნინო სამსონია. ხორბლის უხვი მოსავლის მიღების შუამდინარული რიტუალის ინტერპრეტაციისთვის. - აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10, გვ.188-197.
8. მაია ღამბაშიძე. Who were the Proto-Georgians? *History, Archaeology, Ethnology,* N VI, 2021, საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი, **24 გვ. 127-161.**
9. მაია ღამბაშიძე. ხეთური კანონები (თარგმანი, კომენტარი). - *History, Archaeology, Ethnology,* N VI, 2021, საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი, **28გვ. 357-384.**
10. მაია ღამბაშიძე. ეგვიპტურ-ხეთური სამეფო წერილები. - აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10. 5გვ.224-230.
11. დარეჯან გარდავაძე. ლიბანის სამოქალაქო ომის თემაზე შექმნილი იმან ჰუმაიდანის რომანების პოეტიკა. - რეცენზირებადი ჟურნალი (N1) „სამეცნიერო კვლევები: თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები“. 6გვ.
12. ნინო ეჯიბაძე. მრავლობითის ფორმათა სპეციფიკისთვის არაბულში. - აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10. 14 გვ. (გვ. 90-103).
13. ხათუნა თუმანიშვილი. მცირე პარემიის კონსტრუირების ძირითად შემადგენელთა საკითხისათვის (არაბული ანდაზების კორპუსზე ქართული შესატყვისებით) - კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. ტომი XXXV. 12 გვერდი (75-87)

14. მარიამ ნანობაშვილი. ირანული გავლენა აბასიანთა ეპოქის არაბულ კულტურაზე. - აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10, 22გვ. 168-189.
15. ზ. ალექსიძე, ***დ. ჩიტუნაშვილი.*** ბიბლიოთეკები და წიგნების რეპერტუარი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში. - ენრიკო გაბიძაშვილი 90. 7 გვ. (75-87)
16. ხ. გაფრინდაშვილი, ***დ. ჩიტუნაშვილი***, ი.ხოსიტაშვილი. ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ (მატენადარანის ქართული ფრაგმენტების ფონდი). - ენრიკო გაბიძაშვილი 90. 8 გვ. (475-483).
17. თეა შურღაია.მარინა ცვეტაევას ერთი ლექსის მასკულინური თარგმანი.რეცენზირებადი ჟურნალი (N1) „სამეცნიერო კვლევები: თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები". 17 გვ.: 107-113
18. თეა შურღაია. "ანდაზებისა და საანდაზო ლექსების ლოტო". - ცივილიზაციური ძიებანი, N19, 2021, 7 გვ.
19. მზია ბურჯანაძე. ისლამური რევოლუცია და ირანელი ემიგრანტები ფარიბა ვაფის საბურველს მიღმა. - ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, XIII, გვ. 74-82.
20. მზია ბურჯანაძე. გაგრძელება იქნება? (ფარიბა ვაფის რომანი „დასასრულის შემდეგ").აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10, გვ. 49-57.
21. მარიკა ჯიქია. ქართველებმა თებერვლის 26-ს ვამჯობინეთ 26 თებერვალი. - ქართველური ენათმეცნიერება, VI – VII. ეძღვნება აკადემიკოსს აკაკი შანიძეს.2019 -2020. 10 გვერდი, 292 – 301.
22. მარიკა ჯიქია, ნუცა წერეთელი. Integration of borrowings in Urum from Tsalka. - აღმოსავლეთმცოდნეობა / Oriental Studies #10. გვ.146-160.
23.მარიკა ჯიქია. ნიკო სამადაშვილის პოეტური ქვეყნიერება. - ლექსმცოდნეობა, XIII, 2021, 209 -218.
24. მარიკა ჯიქია. başıaçık-ის ტიპის კომპოზიტები თურქულში. - ახლო აღმოსავლეთი და საქართველო. XIII 2021, 8 გვ. 66-73.
25. მარიკა ჯიქია. ჯემალ აჯიაშვილის პოეტური მეტყველება. - ენათმეცნიერების საკითხები, 2020 გრიფით 2021, 7 გვ.
26. მარიკა ჯიქია. თურქული წარმომავლობის *იალღუზი* ქართულსა და ოსურ ისტორიულ ანთროპონიმიაში. - ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები. კონფერენცია ეძღვნება იოანე იალღუზიძეს – მასალები. VII საერთაშორისო კონფერენცია.4 გვერდი, 396 -399.
27. მარიკა ჯიქია. ფიცის კონცეპტის ერთი სახეობა ქართულსა და თურქულ ენებში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II(28), 8გვ.
28. მარიკა ჯიქია. რამდენიმე არაბული ნასესხობის შესახებ თურქულში. - ტიპოლოგიური ძიებანი, VIII , 2021. 6 გვ.
29. ნანი გელოვანი. გოჩა ჯაფარიძის (1942-2020) სამეცნიერო მოღვაწეობა.საისტორიო კრებული. წელიწდეული, #8, 20 გვ. (77-96).
30. გიული ალასანია. როდის გარდაიცვალა საქართველოს მეფე ბაგრატ V? საისტორიო კრებული. წელიწდეული, #8, 8, 15 გვ. (178-192)
31. ნანა გელაშვილი. იაპონური კულტურა უძველეს ხანაში. - კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები #XXXV, 56-69.
32. ნანა გელაშვილი. უნდილაძეთა საგვარეულოს აღსასრული სეფიანთა ირანში სპარსულ წერილობით წაროთა შუქზე. - ქართული წყაროთმცოდნეობა #XXIII, 9გვ.

სტატიები/უცხოეთში დაბეჭდილი/

1.Nino Samsonia, Giuli Shabashvili. Some ancient Roots of Kartvelian and Southern Mesopotamian Lexical Units", Caucasica Antiqua et Chriastiana, edited by David Kolbaia,Volume 1. Faculty of Oriantal Studies University of Warsaw, 2021, 8გვ.

2. Mzisa Buskivadze. Gürcü ve Türk Kültüründe Ejderha Simgesi, / დრაკონის სიმბოლო ქართულ და თურქულ კულტურაში/ - Doğan Kaya 70 . yaş hatırası, Vilayet Kitabevi. Istanbul, 7გვ. (423-428).

3. Mzisa Buskivadze. The issue of time in Ahmet Hamdi Tanpinar's novel "Institut of Time" according to Mikhail Bakhtin's theory of kronotop). - DEDE KORKUT The Journal of International Turkish Language & Literature Research. Samsun/ Türkiye, 10 გვ.

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი
ინსტიტუტი შედგება ორი კათედრისაგან:
ა) ახალი ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელი: პროფესორი რამაზ ქურდაძე.

ბ) ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის ხელმძღვანელი: პროფესორი დარეჯან თვალთვაძე.

ინსტიტუტთან არსებობს ორი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი:
ა) ძველ ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი „ორიონი“, ხელმძღვანელი: აკადემიკოსი მზექალა შანიძე.

ბ) ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ცენტრის ხელმძღვანელი: -

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
პროფესორი რამაზ ქურდაძე, ახალი ქართული ენის კათედრის ხელმძღვანელი;
პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრის ხელმძღვანელი;
ასოცირებული პროფესორი კახა გაბუნია,
ასოცირებული პროფესორი ინგა სანიკიძე,
ასოცირებული პროფესორი სალომე ომიაძე,
ასოცირებული პროფესორი რუსუდან ზექალაშვილი,
ასოცირებული პროფესორი მაია ლომია,
ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი-სუბარი,
ასოცირებული პროფესორი ნინო შარაშენიძე,
ასოცირებული პროფესორი გიული შაბაშვილი,
ასოცირებული პროფესორი ანა ხარანაული,
ასოცირებული პროფესორი ლელა ციხელაშვილი,
აკადემიკოსი მზექალა შანიძე, ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი „ორიონი“-ს ხელმძღვანელი
მკვლევარი მარინე ოდიკაძე,
ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრი ცენტრის ხელმძღვანელი -
უფროსი ლაბორანტი დოდო შონია,
ლაბორანტი სოფია შამუგია,
ლაბორანტი დოდო ქიტუაშვილი,
ლაბორანტი გიორგი ქიტოშვილი,
ლაბორანტი თინათინ ჯიქურაშვილი.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. **„უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ FR17_388**
ენათმეცნიერება; საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები, კოდი 7

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 20.12.2017 – 20.06.2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. პროფ. **რამაზ ქურდაძე** (სამეცნიერო ხელმძღვანელი)
2. ასოც. პროფ. **მაია ლომია** (მკვლევარი, კოორდინატორი)
3. ფილოლოგიის დოქტ. , მეცნიერ-თანამშრომელი ნინო ჭუმბურიძე (მკვლევარი)
4. დოქტორანტი თამარ ჩანქსელიანი (ახალგაზრდა მკვლევარი)
5. ასოც. პროფ. **ქეთევან მარგიანი** (ექსპერტ-კონსულტანტი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ზემოაღნიშნული გრანტისთვის 2021 წელი არის დასრულების წინა ეტაპი და მიმდინარე წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები: დამუშავდა აგვისტო-სექტემბერში სამეგრელოსა და სვანეთში ველზე მოპოვებული მასალები; ანკეტური საველე მასალების სტატისტიკური მონაცემები შეუდარდა ერთმანეთს; დამუშავებული ემპირიული მასალა ჩაერთო კვლევაში; მომზადდა მონოგრაფიის პირველადი ვერსია, დაზუსტდა სარჩევი, შემოკლებათა ნუსხა; შეივსო: გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების, ინფორმატორების სია, დანართები. მონოგრაფიაში ჩასართავად დამუშავდა და შეჯერდა გრანტის ფარგლებში საერთაშორისო კონფერენციებზე წაკითხული ინგლისურენოვანი და გერმანულენოვანი მოხსენებები, თემატურ-შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებითა და საილუსტრაციო მასალის ტრანსლიტერაციის, გლოსირების ერთგვაროვანი წესებით. გრანტის ფარგლებში 2021 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადდა შემდეგი საკონფერენციო მოხსენებები:
1. არა/არ ნაწილაკიანი ზმნური და სახელური მოდელები „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ ტექსტსა და ინგლისურენოვან თარგმანებში (რ. ქურდაძე, მ. ლომია); 2021 წლის 8 იანვარი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საჯარო სხდომა მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი.
2. ერთი სახის უკუთქმითი წინადადების შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ (რ. ქურდაძე, მ. ლომია, ქ. მარგიანი); 3. უარყოფის ნაწილაკები ქართული ენის დიალექტებში (ნ. ჭუმბურიძე); 2021 წლის 10 თებერვალი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, აკად. ქეთევან ლომთათიძის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა.
4. ნ თანხმოვნის შემცველი უარყოფითი ნაწილაკების შესახებ ქართველურ და ინდოევროპულ ენებში (საკითხის დასმის წესით) (რ. ქურდაძე, მ. ლომია, ქ. მარგიანი); 2021 წლის 26 თებერვალი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საჯარო სხდომა, მიძღვნილი აკადემიკოს აკაკი შანიძის ხსოვნისადმი პროგრამისა და თეზისების ბმული: https://old.tsu.ge/ge/faculties/humanities/institutes-and centers/institute_of_georgian_language/e_publications//
5. რუსეთუმე ფორმის სეგმენტაციის საკითხები (მ. ლომია); 5-6 ივლისი, 2001 წელი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულ ტეტის XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი.
6. *არ* და მისი ფარდი ნაწილაკები ზმნურ ფორმებთან ქართველურ ენებში: სემანტიკური დიფერენციაციის საკითხი (რ. ქურდაძე, მ. ლომია, ქ. მარგიანი, ნ. ჭუმბურიძე); 9-11. XI, 2021 წელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო სიმპოზიუმი; პროგრამა და თეზისები: https://ice.ge/of/?page_id=5661

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. "იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება"(ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი FR17_170)

სამეცნიერო მიმართულება: ჰუმანიტარული მეცნიერებანი; ქვე-მიმართულება: ენათმეცნიერება და ლიტერატურა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 20.12.2017
2. 20. 04. 2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **დარეჯან თვალთვაძე** (პროექტის ხელმძღვანელი და ძირითადი შემსრულებებლი);
2. სოფიო სარჯველაძე (პროექტის კოორდინატორი და ძირითადი შემსრულებელი)
3. ელგუჯა გიუნაშვილი (ძირითადი შემსრულებელი);
4. თინათინ ჯიქურაშვილი (ძირითადი შემსრულებელი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)]

2017 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტი „იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება" (N FR 17-170), რომლის მიზანს წარმოადგენდა ახალი აღთქმის წიგნის, იოანეს სახარების, ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება უძველესი სრული თუ ფრაგმენტული ხელნაწერების მიხედვით, უნდა დასრულებულიყო 2020 წლის დეკემბერში, მაგრამ პანდემიით შექმნული სირთულების გამო მისი შესრულების ვადა გახანგრძლივდა და პროექტი 2021 წლის 20 აპრილს დასრულდა.

პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა იოანეს სახარების ტექსტის შემცველი 51 ძველი ქართული ხელნაწერი (სრული, ფრაგმენტული ნუსხები და ლექციონარებში დაცული საკითხავები) და იოანეს სახარების კრიტიკულად დადგენილი ტექსტი გამოსაცემად მომზადდა **წინაათონური პერიოდის 28 ხელნაწერის** *(X- A-89/A-844, ხანმეტი ოთხთავის პალიმფსესტური ფრაგმენტები; C - ადიშის ოთხთავი ს.ი.ე.მ. 22 (897 წ.); A[d] ანბანდიდი (IX-X სს.); O - ოპიზის ოთხთავი (Ivir. georg. 83, 913 წ.); D - ჯრუჭის I ოთხთავი (H –1660, 936 წ.), E - პარხლის ოთხთავი A – 1453 (973 წ.), R -Sin.Geo.O. 15 (978 წ.), P - Sin.Geo O. 30-38 (979 წ.), s - S-405 (X ს.), fr.-13 - H -3181, 1 ფ. (X ს.), B - ბერთის I ოთხთავი, 998 წ. MS Georgian 1(ჰიუსტონის ბიბლიოთეკა, ჰარვარდი, აშშ); T - წყაროსთავის ოთხთავი A-98 (X ს), b - ქურაშის I ოთხთავი A-1699, H-1886, H-1887 (X ს.); L -ტბეთის ოთხთავი (995წ.) რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა (პეტერბურგი); A - ქსნის ოთხთავი A-509; (Xს.); F - ურბნის ისოთხთავი A 28 (XI ს.); M - მესტიის ოთხთავი, ს.ი.ე.მ. 1, 1033 წ.; G - პალესტინურ იოთხთავი (1048 წ.); M - მარტვილის ოთხთავი, S-391 (1r-140v) (X ს); 141r-193v (1050 წ.); o - Kut-176 (X-XI სს.); h - H-1240 (XI ს.); S - Sin.Geo.O. 16 (XI ს.); c - S-962 , ქუთ.-668 (1 ფ.) (1054 წ.); v - Kut-363 (XI ს.); l – ლიხაურის ოთხთავი Q-645 (XI ს.); fr-17 - H-1792 (XI ს.); w – Vienna Georg.1 (XI ს.); t - A-18 (XII სს.),* **გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის 12 ხელნაწერის** *(α- ალავერდის ოთხთავი, A-484, 1054 წ.; α – კალიპოსის ოთხთავი, Kut. 76, 1060 წ.; V - ვატიკანის ოთხთავი X ს.; n - შავი მთის ოთხთავი,*

*A 845; o– Ivir. georg. 62, XI ს.; N - Sin.- 19, 1074 წ.; Q - Jer.-49, XI ს.; H - ვანის ოთხთავი, A-1335, XII-XIII სს.; I - ეჩმიაძინის ოთხთავი, XII-XIII სს..; K - გელათის ოთხთავი, Q-908 , XII-XIII სს.; f – იენაშის ოთხთავი, ს.ი.ე.მ. მესტია #73, XIII ს; d - ქურაშის II ოთხთავი (XII-XIII სს.)*და **ლექციონარის 11 ძველ ქართულ ხელნაწერში დაცული იოანეს სახარების საკითხავების მიხედვით** *(Lx - ხანმეტი ლექციონარი სინიდან (Gr.-2058/1); Le - ხანმეტი II ლექციონარი H-1445; Lh - ჰაემეტი ლექციონარი (H-1329, VIII s.); Lk - კალის ლექციონარი (X ს.); Lc - O/Sin-47 (977 წ.); Ls - სინის ლექციონარი O/Sin-37 (982 წ.); Ll - ლატალის ლექციონარი (X ს.); Lg - გრაცის ლექციონარი (X ს.) (Gr.-2058a); Lp - პარიზის ლექციონარი (XI ს.); Lz - O/Sin-63 (X ს.); Ly - O/Sin-74 (X ს.).*

მომზადებულ გამოცემაში, რომელიც გამოქვეყნდა ელექტრონულად (http://ogg.tsu.ge/), იოანეს სახარების თითოეული მუხლის ტექსტი ჩაწერილია რედაქციების, ჯგუფებისა და ქვეჯგუფების მიხედვით ცალ-ცალკე ჰორიზონტალურად ისე, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა ექმნება, იოანეს სახარების რომელ ხელნაწერში რა ტექსტი იკითხება. მუხლების გასწვრივ მითითებულია ლიტერები, რომელიც გვიჩვენებს, თუ რომელი ხელნაწერის მიხედვითაა წარმოდგენილი ტექსტი და რომელმანუსკრიპტშია ამ ადგილას ლაკუნა. მუხლს ქვემოთ განთავსებულია ხელნაწერთა ვარიანტული წაკითხვები, სადაც აისახა მცირე სხვაობები, ორთოგრაფიული და კალმისეული შეცდომები. ამგვარადვეა მომზადდებული და სახარების ძირითად ტექსტს ერთვის იოანეს სახარების ძველ ქართულ ლექციონარების საკითხავებში დაცული ტექსტიც.

იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის ხელნაწერის შესწავლისა და ჩატარებული ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად მიღებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც აისახა პროექტის ფარგლებში შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომებში და კონფერენციებზე წარდგენილ მოხსენებებში; მომზადდა და ფონდში წარდგენილ იქნა პროექტის საბოლოო ანგარიში, რომელშიც კვლევის შედეგები ასეა ჩამოყალიბებული:

1. სახარების ძველი ქართული თარგმანის ტექსტის თარგმნა-რედაქტირების ხანგრძლივ პროცესში (V-XI სს.) გამოიყოფა ორი ძირითადი პერიოდი: I - წინაათონური და II - ათონური. წინაათონურ პერიოდში (X საუკუნის ბოლომდე) უკვე არსებობდა ქართული ოთხთავის ორი უძველესი რედაქცია (ადიშური და ოპიზური//პროტოვულგატური) და მათი სინთეზის შედეგად მიღებული ნარევი ტექსტიც. X-XI საუკუნეების მიჯნიდან ინტენსიურად იწყება სახარების ბერძნულ ორიგინალთან დაახლოების პროცესი, რაც XI საუკუნის შუა წლებში გიორგი ათონელისეული ტექსტის (ათონური რედაქციის) ჩამოყალიბებით დასრულდა. სახარება-ოთხთავის ტექსტის ბერძნულის მიხედვით შემდგომი გადამუშავება, რომელიც ელინოფილ მთარგმნელთა მოღვაწეობას უკავშირდება (XII-XIII სს.), მხოლოდ ეგზეგეტიკური ხასითის თხზულებებში გვხვდება და სახარება-ოთხთავის ახალი რედაქციის შექმნას არ ისახავდა მიზნად.

ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის პირველ ეტაპზე ბიბლიურ წიგნთა დინამიკური (მოდალურ-ადაპტური) მეთოდით შექმნილ თარგმანებს ორიგინალის ტექსტისადმი შედარებით თავისუფალი დამოკიდებულება ახასიათებთ, მაგრამ X საუკუნის ბოლოდან ზოგადად ქართული კულტურის და, კერძოდ, ბიბლიურ წიგნთა თარგმნის ისტორიაშიც ახალი ეტაპი იწყება. ამ პერიოდის მთარგმნელთა სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს, ერთი მხრივ, ქართულისახელმწიფოს მიერ რელიგიურ-პოლიტიკური ორიენტაციის ბიზანტიისაკენ აღება, და მეორე მხრივ, ის მულტილინგვური სოციოკულტურული გარემო, რომელშიც ქართველ მწიგნობრებს უხდებათ მოღვაწეობა ქვეყნის გარეთ არსებულ სამონასტრო ცენტრებში, რაც ქართველებს ადრეული ქართული თარგმანების კრიტიკული თვალით შეფასებისკენ უბიძგებს. მალევე იწყება არსებული თარგმანის ბერძნული ტექსტების მიხედვით გასწორების პროცესი, რისი შედეგიც ასახულია სახარების არსებული რედაქციების ბერძნულთან შედარების საფუძველზე შექმნილი ე.წ. გარდამავალი ჯგუფის ხელნაწერებში, რომლებიც, ძირითადად, სწორედ X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის შუა წლებამდეა გადაწერილი. უკვე XI საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ქართველ მთარგმელთა საქმიანობას განსაზღვრავს ელინოფილური კონცეფცია - „ყოველივე ბერძულისაგან და ვითარ იგი ბერძულად არს“,

იწყება „ბერძნულსა წესსა მიყვანება“ არა მხოლოდ საეკლესიო ლიტურგიკული პრაქტიკისა, არამედ „გაელინურება“ აქამდე არსებული ქრისტიანული ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების ქართული თარგმანებისა. სწორედ ამ კონტექსტში უნდა წარმოშობილიყო ქრისტიანული მწერლობის უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლის - სახარება-ოთხთავის - ძველი ქართული თარგმანის ტექსტის „ბერძნულსა წესსა ზედა მიყვანების“ საჭიროებაც. ის შედარებულ-შეჯერებული უნდა ყოფილიყო სახარების ე.წ. ბიზანტიურ ტექსტთან, რომელსაც იმხანად ბერძნული ეკლესია „უეჭველად და სანდოდ“ მიიჩნევდა. ეს საპასუხისმგებლო საქმე თავს იდო გიორგი ათონელმა, რომელმაც სახარება-ოთხთავის არსებული ძველი ქართული თარგმანის ბერძნულის მიხედვით შესწორების შედეგად ქართული ოთხთავის ბოლო, ათონურად წოდებული რედაქცია (ვულგატა) ჩამოაყალიბა (უძველესი თარიღიანი ნუსხა 1060 წელს არის გადაწერილი).

2. იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერების შესწავლის შედეგად მკვეთრად გამოიკვეთა რედაქციული ჯგუფები და ხელნაწერები, რომელებიც ამ რედაქციათა შიგნით ქვეჯგუფებს ქმნიან, კერძოდ: წინაათონურ პერიოდში დასტურდება სამი რედაქციული ჯგუფი: ა) ადიშური რედაქცია (C,fr-13), ბ) ოპიზური/პროტოვულგატური რედაქცია (AdODERPsBTbLAFmGMihScvl(fr-17)wt) და გ) ნარევი რედაქცია (Mm). მათგან ყველაზე მეტი ხელნაწერითაა წარმოდგენილი ოპიზური (ე. წ. ჯრუჭ-პარხლის) რედაქციის ტექსტი, რომელსაც თავისი საყოველთაო გავრცელებულობის გამო აკაკი შანიძემ პროტოვოლგატა უწოდა. პროტოვულგატური რედაქციის შიგნით ასევე გამოიყოფა ქვეჯგუფები. კერძოდ, შესწავლილი ხელნაწერები აქ 3 ქვეჯგუფში ნაწილდება: ა) XODEsBv; ბ)XAddRPTbih; გ) FGSclw(fr-17), რომელთაგან ბოლო (გ ქვეჯგუფი), სახარების ქართული ტექსტის ბერძნულთან შედარების შედეგად ცვლილებების კვალს ატარებს და ერთგვარ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს წინაათონურ პროტოვულგატასა და ათონურ ვულგატას შორის.

3. ათონურ პერიოდში (XI საუკუნის შუაწლებიდან) გიორგი ათონელის ნარედაქტირები ტექსტის შემცველი ხელნაწერები (aαVonNQHIKfd) ასევე ორჯგუფად გადანაწილდა: ტექსტოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა სახარების რამდენიმე ხელნაწერში დაცული ანდერძის ცნობა და აჩვენა, რომ ოთხთავის იქამდე არსებული ქართული თარგმანის „ბერძულსა წესსა მისაყვანებლად“ გიორგი ათონელს ეტაპობრივად უმუშავია: გამოიკვეთა ხელნაწერთა ჯგუფი (ao#fd), რომლებიც ამ მუშაობის პირველ ეტაპს ასახავს და შეიცავს გიორგისეული რეცენზიის ე. წ. შუალედურ ვარიანტს, ანუ იმ ტექსტს, რომელიც არსებულ თარგმანში მთარგმნელ-რედაქტორის მიერ ბერძნულთან ორგზის შედარების შედეგად შეტანილ ცვლილებებს ასახავს, მაგრამ სხვაობს მის მიერვე ბერძნულთან კიდევ ერთხელ (მესამედ) შედარების შემდეგ მიღებული საბოლოო, ვულგატად ქცეული ტექსტისაგან (αVnNQHIK). გიორგისეული ტექსტის შემცველი ხელნაწერებზე დაკვირვება გვიჩვენებს მის მცდელობას გადმოიღოს ბერძნული დედნის ტექსტი სწორედ ისე, როგორც ბერძნულშია და ქართული ხელნაწერი სახარება-ოთხთავი სტრუქტურულადაც მაქსიმალურად დაუხლოვოს ბერძნულს.გიორგი, ფაქტობრივად, არა მხოლოდ სახარება-ოთხთავის ტექსტის ბერძნულის მიხედვით რედაქტირებას ახდენს, არამედ ქმნის ბიზანტიური ხელნაწერი სახარება-ოთხთავის ქართულ ანალოგს, რომელშიც ყველაფერი ისეა „ვითარ იგი ბერძულად არს“. სწორედ გიორგის მიერ ბოლო ეტაპზე შექმნილი ტექსტი(αVnNQHIK) მოპოვებს საყოველთაო გავრცელებას და იწოდება ქართულ ვულგატად (//ათონური რედაქცია//გიორგი მთაწმიდლისეული რედაქცია).

4. პროექტის ძირითადი შედეგია იოანეს სახარების ძველი ქართული თარგმანის 51 უძველესი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი კრიტიკული ტექსტი, რომელიც ელექტრონულად არის გამოქვეყნებული (http://ogg.tsu.ge/) და ხელმისაწვდომია ბიბლიის ამ წიგნის ქართული თარგმანის შესწავლით დაინტერესებული მეცნიერებისთვის. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ტექსტოლოგიური კვლევის შედეგების ამსახველი სამეცნიერო პუბლიკაციები კი ნათელს ხდის სახარების ქართულად თარგმნა-რედაქტირების ისტორიის აქამდე უცნობ რამდენიმე საკითხს, რასაც დაეყრნობა დარგში შემდგომი კვლევა-ძიება, როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ ასპექტში. პროექტზე

მომუშავე ჯგუფი ქართულ ტექსტოლოგიაში ამკვიდრებს კრიტიკული ტექსტის გამოცემის ახალ სტანდარტს სახარების ბერძნული ტექსტის Reuben J. Swanson -ის გამოცემის ანალოგიით (New Testament Greek Manuscripts, Variant readings Arranged in Horizontal Lines Against Codex Vaticanus, John, Edited by Reuben J. Swanson, Sheffield Academic Press, England, W. Carey International University Press, USA, 1995), რომელშიც სახარების რედაქციების ტექსტი, ვარიანტული წაკითხვები და ლექციონარის მონაცემები ჰორიზონტალურად ლაგდება და ადვილად აღსაქმელია მათ შორის არსებული მსგავსება თუ განსხვავება. პროექტის ფარგლებში გამოცემული იოანეს სახარების კრიტიკული ტექსტი და მასზე დაყრდნობით ჯგუფის მიერ პროექტის ფარგლებში გაკეთებული დასკვნები იქნება სანდო წყარო შემდგომი ფილოლოგიური, ლინგვისტური, ლექსიკოლოგიური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებისთვის და შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ზოგადად ბიბლიოლოგიის, ისე შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის წერილობითი მემკვიდრეობის მრავალმხრივი ასპექტის შესწავლისათვის.

5.პროექტის შედეგები აისახა ძირითადი პერსონალის მიერ მომზადებულ 4 სტატიაში (მათ შორის, ერთი დაიბეჭდა საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში), საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებზე წარდგენილ 8 მოხსენებაში. პროექტის ბოლო ეპატზე ჩატარდა კვლევის შედეგების პრეზენტაციაც ფართო აუდიტორისთვის (თსუ-ს პროფესორები, სხვადასხვა ინსტიტუციებიდან მოწვეული მკვლევრები, დოქტორანტები და სტუდენტები). პროექტზე მუშაობის დროს განმტკიცდა ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობის ხარისხი იმ მკვლევართა შორის, რომლებიც სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ტექსტს სხვადასხვა მიზნით დიდი ხანია იკვლევენ, მოხდა არსებული ჯგუფის კონსოლიდაცია, გაიზარდა საკითხით დაინტერესებულ პირთა წრე, განსაკუთრებით ახალგაზრდებში და გამოიკვეთა სამომავლო სამეცნიერო პროექტების ფარგლებში თანამშრომლობის კონტურებიც. გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელნაწერთა კოდიკოლოგიური შესწავლა და მასში შემდგომ შეტანილი ცვლილებების გათვალისწინება (გაცხოველება, კორექტირება, რედაქტირება), რომელთა გაუთვალისწინებლად ტექსტოლოგიური კვლევისთვის მათი მონაცემების გამოყენებამ შეიძლება არასწორი დასკვნების გაკეთებამდე მიიყვანოს მკვლევარი; ასევე გამოიკვეთა ლიტურგიკულ კრებულებში წარმოდგენილი სახარების საკითხავების ტექსტის ფართო მასშტაბით შესწავლის აუცილებლობა; ქართული, ბერძნული, სომხური, სირიული ხელნაწერის სახარებების სტრუქტურის კომპარატივისტული კვლევა და ამ მასალის გამოყენება სახარების ქართული თარგმანის ისტორიის, მისი რედაქციების, ჯგუფებისა თუ ქვეჯგუფების გამოსაყოფად; სახარების ხელნაწერებში დაცული ანდერძების და სხვა თანდართული ტექსტების ამ მიზნით შესწავლა; ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ვებგვერდის შექმნა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის აკადემიურ გამოცემები (რ.ბლეიკის, ა. შანიძის, ი. იმნაიშვილის, და სხვ.) და მასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა. ეს შესაძლებელია შექმნილი ვებგვერდის გაფართოებისა და მისთვის ახალი პროგრამული მხარდაჭერის შექმნის საფუძველზე; საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებისა და ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომების და მათი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით ინგლისურენოვანი მონოგრაფიის დაწერა (ან სტატიათა კრებულის შედგენა). პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი გეგმავს ამ საკითხებზე მუშაობის გაგრძელებას და ელექტრონულად გამოცემული იოანეს სახარების ტექსტის ბეჭდური სახით გამოქვეყნებას ვრცელ გამოკვლევასთან ერთად.

პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ქართული ენის ს/ს ინსტიტუტში, ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრაზე შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ფინანსური მხარდაჭერით (ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი FR17_170).

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

“პერფექტის სემანტიკის განვითარება და მისი გრამატიკული რეალიზაცია ქართულში“

FR17-387

საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები (7) ჰუმანიტარული მეცნიერებები (7.6)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2017-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

გიული შაბაშვილი, სამეცნიერო ხელმძღვანელი, ძირითადი პერსონალი

ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი, კოორდინატორი, ძირითადი პერსონალი

მერი ნიკოლაიშვილი, ძირითადი პერსონალი

სოფია შამუგია, ახალგაზრდა მეცნიერი

ირაკლი სალია, ახალგაზრდა მეცნიერი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანია პერფექტის კატეგორიის სემანტიკური მახასიათებლების, მისი სინტაქსური რეალიზაციის პირობებისა და მასთან დაკავშირებული მორფოლოგიური პროცესების მონოგრაფიული შესწავლა და ანალიზი ქართული ენის მონაცემების მიხედვით. კვლევის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ამოცანები: ემპირიული მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, დამუშავება და ანალიზი; კვლევის ფარგლებში მომზადებული კითხვარების შევსების მიზნით ორი ექსპედიციის განხორციელება ქვეყნის შიგნით, საქართველოს დასავლეთ (იმერეთი) და აღმოსავლეთ (კახეთი) რეგიონებში; კვლევის შედეგების წარდგენა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე; კვლევის შედეგების ამსახველი სტატიების მომზადება და დაბეჭდვა ქართულ და უცხოურ რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში; სამეცნიერო მივლინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ კვლევის შედეგების წარდგენისა და შემოწმების მიზნით; ვებგვერდის შექმნა, რომელზეც კვლევის ფარგლებში მიღებული შედეგები და მონოგრაფიული ნაშრომი ატვირთულია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე; მონოგრაფია, რომელსაც ახლავს ვრცელი ინგლისურენოვანი თარგმანი. პროექტის განხორციელების ფარგლებში მიღებული იქნა შემდეგი შედეგები: კვლევა დაეფუძნა კომპოზიციური სემანტიკური ანალიზისა და ფორმალური სემანტიკური ანალიზის პრინციპებს, რომელთა მეშვეობითაც გამოვლენილია და გაანალიზებულია პერფექტის სემანტიკური სახესხვაობები და მათი რეალიზაციის პრინციპები. კერძოდ, თანამედროვე ქართული ენის მონაცემების მიხედვით, ენაში ყველაზე ხშირად რეალიზდება ექსპერიენციალური პერფექტი, რომელიც შეეწყობა ნებისმიერ ზმნურ კლასს და უმეტესად ითავსებს კვანტიფიკატორულ ზმნიზედებსა და ფრაზებს. აქედან გამომდინარე, ხშირად ატარებს იტერატიულ შინაარსს. გარდა ექსპერიენციალური პერფექტისა, ქართულში გვხვდება, ასევე, რეზულტატური/შედეგობითი პერფექტი, რომელიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ: რეზულტატური გაგება ქართულში, ძირითადად, შენარჩუნებულია უარყოფით

კონსტრუქციებში, მათ შორის მარტივ და რთულ წინადადებებში. ქართულში შედეგობით პერფექტებთან გვხვდება ზმნიზედა ჯერ კიდევ, რაც შეეხება ზმნიზედას უკვე, შედეგობითობის სემანტიკის გადამოსაცემად ის გვხვდება ანალიტიკურ/აღწერით პერფექტებში. იმ შემთხვევაში, თუ უკვე ზმნიზედა გვაქვს პერფექტის სინთეზურ ფორმებთან, წინადადება გადმოგვცემს ექსპრესიულობას და აქვს ემოციური დატვირთვა. ფორმალური სემანტიკური ანალიზის მიდგომისა და დროითი სუბორდინაციის წესების საფუძველზე შემუშავებულია ალგორითმი, რომელიც ასახავს მდგომარეობის სემანტიკური კლასის ზმნების შემთხვევაში პერფექტული სემანტიკის განვითარებისათვის აუცილებელ ინდიკატორებს, ტაქსისურ მახასიათებლებსა და შესაბამის სინტაქსურ გარემოცვას. პროექტის ფარგლებში ერთ-ერთ საკვლევ საკითხად გამოიკვეთა ინვერსიისა და პირის რომლობის პრობლემა ქართულ ენაში. საერთო ქართველურ ენაში ზმნის პირის მიხედვით ცვლილების დროს უპირველესი იყო პირის რომლობა, ანუ მოლაპარაკეა, მსმენელი, თუ სხვა. ეს ფორმები ერთმანეთისაგან უნდა ყოფილიყო განსხვავებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სახელის ფორმას, რომელსაც ზმნა განსაზღვრავდა, ხოლო სახელის ფორმა რეპრეზენტატივებს წარმოადგენდა ზმნაში გარკვეული რიგის ნიშნებით (განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პირველ და მეორე პირში, სადაც ნაცვალსახელები ფორმაუცვლელია), რაც იყო საფუძველი წინადადების სემანტიკურად გამართვისა. პირის რომლობა და სახელის ბრუნვა განსაზღვრავდა 4 კონსტრუქციას. მაშინ არ არსებობდა აქტიური, პასიური და სხვა ცნებები, რომლებიც დროთა განმავლობაში განვითარდა და იქონია ზემოქმედება ენაზე, მაგრამ ის პირველი და ძირითადი ქარგა ენის სისტემისა ვერ წაშალა. ვინისა და მანის რიგის პირველი და მეორე პირის ნიშნები ბრუნვათა რეპრეზენტატივებია, რომლებიც შემთხვევათა უმრავლესობაში ემთხვევა სუბიექტურ და ობიექტურ აქტანტებს. ჩვენ ვფიქრობთ, სინამდვილეში მათ სხვა ფუნქცია ჰქონდათ, რაც დღესაც მეტ-ნაკლებად არის გამოვლენილი ქართველურ ენებში, არ მოშლილა და განაგრძობს არსებობას. პროექტის შედეგები (როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე) ასახულია მონოგრაფიულ ნაშრომში **“პერფექტის სემანტიკის განვითარება და მისი გრამატიკული რეალიზაცია ქართულში“** და პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებგვერდზე: https://sites.google.com/view/perfectingeorgian.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამა - USAID. – მიმართულება - მულტილინგვური განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება.:

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2020-2026

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
კახა გაბუნია - მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში კახა გაბუნია ჩართულია ახალი სკოლის მოდელის დანერგვაში ეროვნული უმცირესობების სკოლებში. 2020 წლის განმავლობაში შემუშავდა 4 თემატური ერთეულის მატრიცა; ამავე პროექტის ფარგლებში, კახა გაბუნიას ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი 1600 მასწავლებლისთვის (დაწყებითი და მშობლიური ენების მასწავლებლები 300არაქართულენოვანი სკოლიდან) ნოემბერი-დეკემბრის პერიოდში.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. FUTURE OF GEORGIA, Carnegie Europe (#1545-1621). მიმართულება - მულტილინგვური განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება.:

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
01.08.2020-31.12.2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
კახა გაბუნია, მთავარი ექსპერტი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის სტრუქტურულ დიალოგს ქვეყანაში მიმდინარე სოციალური ტრანსფორმაციის ცალკეული ასპექტების შესახებ.
პროექტის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს ამჟამინდელი იდენტობის ყოვლისმომცველი ანალიზი, რაც ქვეყნის მომავალი პრიორიტეტების შესახებ საგნობრივი დისკუსიის საფუძველს შექმნის. ასევე, განხილულ იქნება სხვადასხვა ევროპული ერი-სახელმწიფოს მოდელი, მათი უპირატესობები და ნაკლოვანებები. ეტაპობრივი მიდგომა ხელს შეუწყობს ქვეყნის ყველაზე დიდი და გრძელვადიანი პრობლემის - გაჭიანურებული კონფლიქტებისთვის თანმიმდევრული, გააზრებული და სტრატეგიული მიდგომის ჩამოყალიბებას. სამიზნე აუდიტორია იქნება ქართული საზოგადოების გავლენიანი და გადაწყვეტილების მიმღები პირები, ასევე პარტნიორები მთავრობაში, საერთაშორისო საზოგადოებასა დაფინანსების წრეებში.

2. საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით - ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის დაფინანსებით. OSCE-1400212; მიმართულება - მულტილინგვური განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება.:

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2017-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
კახა გაბუნია, კომპონენტის კოორდინატორი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ფარგლებში შეიქმნა მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეთათვის ენისა და ბუნების ინტეგრირებული სწავლებისთვის წიგნების კომპლექტები (ელექტრონული პორტალი (cciir.ge). პორტალი მოიცავს დამხმარე ვიზუალურ მასალას (პოსტერები, ნახატები, სამუშაო ფურცლები, აუდიო და ვიდეომასალა), აგრეთვე საგაკვეთილო სცენარები თითოეული თემატური ერთეულისათვის.

3. "ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამა" (PITA) – გაეროს ასოციაცია, USAID. მიმართულება - მულტილინგვური განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება.:

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2016-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
კახა გაბუნია, კოორდინატორი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
პროექტის ფარგლებში შეიქმნა „თსუ ახალგაზრდული ცენტრი“ არაქართულენოვანი სტუდენტების მხარდასაჭერად. ცენტრში განთავსდა საჭირო ტექნიკა და ინვენტარი, ყოველწლიურად ტარდება უმცირესობათა ინტეგრაციისკენ მიმართული სხვადასხვა აქტივობა (2020 წელს განხორციელდა 70-მდე ღონისძიება).
ამავე პროექტის ფარგლებში, შეიქმნა „უნივერსიტეტთაშორისი ქსელი“, რომელიც აერთიანებს 13 უმაღლეს სასწავლებელს; „უნივერსიტეტთაშორისი ქსელის“ ინიცირებით, შეიქმნა „ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დარგობრივი მახასიათებლები, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 ივნისიდან და ამ მახასიათებლებზე დაყრდნობით, 20-მა უმაღლესმა სასწავლებელმა გაიარა აკრედიტაცია.
„უნივერსიტეტთაშორისი ქსელის“ ფარგლებში, 2020 წლის განმავლობაში, ჩატარდა 4 სამუშაო შეხვედრა (2-ჯერ თბილისში, 2-ჯერ - ბაკურიანში; 2 ტრენინგი უნივერსიტეტების ადმინისტრაციებისა და ქართულ ენაში მომზადების პროგრამების პროფესორ-მასწავლებლებისთვის.

4. საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით - ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის დაფინანსებით. OSCE-1400213; მიმართულება - მულტილინგვური განათლება, ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება.:

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2016-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
კახა გაბუნია, კოორდინატორი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
პროექტის ფარგლებში შეიქმნა მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეთათვის ენისა და ბუნების ინტეგრირებული სწავლებისთვის წიგნების კომპლექტები (ელექტრონული პორტალი (cciir.ge).

პორტალი მოიცავს დამხმარე ვიზუალურ მასალას (პოსტერები, ნახატები, სამუშაო ფურცლები, აუდიო და ვიდეომასალა), აგრეთვე საგაკვეთილო სცენარები თითოეული თემატური ერთეულისათვის.

4. პატენტები
4.1. საერთაშორისო პატენტები:
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
გიული შაბაშვილი, მერი ნიკოლაიშვილი, ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი
2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
“პერფექტის სემანტიკის განვითარება და მისი გრამატიკული რეალიზაცია ქართულში“, ISBN 978-9941-26-942-4
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2021

4) გვერდების რაოდენობა
1. 340
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ პერფექტი არის უნივერსალური გრამატიკული კატეგორია, რომელიც უშუალოდაა ჩართული ზმნურ სისტემაში და რომელიც ფუნქციონირებს მსოფლიოს ენათა უმეტესობაში. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულ გრამატიკებში პერფექტის ყველა ფუნქციურ-სემანტიკური ატრიბუტი კარგადაა შესწავლილი, საბოლოოდ მაინც რთულდება იმის ცალსახად მტკიცება, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება პერფექტი: არის ეს ასპექტი თუ დროითი სისტემის ნაწილი. ამგვარ ცალსახა კლასიფიკაციას ართულებს ის, რომ პერფექტი კომპლექსური ბუნების კატეგორიაა, მასში წარმოდგენილია როგორც მოქმედების, ისე კუთვნილებისა და მდგომარეობის სემანტიკა. გარდა ამისა, პერფექტის სემანტიკის რეალიზებაზე გავლენას ახდენს როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური ასპექტი, სხვადასხვა ზმნიზედის დართვა და უწინარესობის გაგება. შესაბამისად, ეს ხელს უწყობს პერფექტის ატომარული რეზულტატური შინაარსის დაშლას და მის სემანტიკურ გრადაციას.

ქართულ ენაში პერფექტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორიაა, რომელიც ჩართულია ზმნის უღვლილების და, შესაბამისად, დროულ-ასპექტურ და მოდალურ სისტემაში. აწმყოს, უწყვეტლის, წყვეტილისა და სხვა მწკრივების გვერდით ქართულ ენაში ფუნქციონიერებს მესამე სერია, რომელშიც გაერთიანებულია პერფექტული სემანტიკის მქონე მწკრივები. ტრადიციულ გრამატიკაში მესამე სერიის ფორმებს უწოდებენ პირველ და მეორე თურმეობითებს, თუმცა ნაშრომში გამოყენებულია ტერმინი აწმყოს პერფექტი და ნამყოს პერფექტი.

ქართულ ენაში პერფექტის სემანტიკა რეალიზდება რამდენიმე გზით, ცენტრალური და პერიფერიული საშუალებებით. პერფექტის რეალიზების ცენტრალური საშუალებაა მესამე სერიის მწკრივები. პერიფერიულ საშუალებებში მოიაზრება, ერთი მხრივ, რეზულტატური კონსტრუქციები (შედგენილი შემასმენელი), ხოლო მეორე მხრივ, აღწერითი კონსტრუქციები, ე. წ. *მაქვს გაკეთებული* ტიპის ფორმები. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში პერიფერიულ საშუალებადაა მიჩნეული, ასევე, ნა-პრეფიქსიანი წარსული დროის მიმღეობები, რომლებსაც პერფექტული მიმღეობაც შეიძლება ვუწოდოთ.

ქართულ ენაში პერფექტის კატეგორიას უკავშირდება რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ: პერეფექტული ფორმების გენეზისი; პერფექტის კატეგორიის სემანტიკური მახასიათებლები; ირიბი ევიდენციალობის / უნახაობის კატეგორიის ჩასახვა და განვითარება; პერფექტული ფორმების რეალიზების ხარისხი და შესაძლებლობები ზმნების სხვადასხვა სემანტიკურ კლასთან; პირის კატეგორიისა და პერფექტის სემანტიკის ურთიერთკავშირი; გრამატიკული და ლექსიკური ასპექტის კავშირი აწმყოს პერფექტულ ფორმებთან; მორფოსინტაქსურ დონეზე ინვერსიის არსებობის საკითხი; პერფექტული ფორმების რეალიზების სინტაქსური გარემო; პერფექტული ფორმების ხმარების პრაგმატული მოტივაცია.

თანამედროვე კვლევები დროულ-ასპექტური მიმართებებისა და პერფექტის სემანტიკური შედგენილობის შესახებ ეფუძნება თანამედროვე სემანტიკურ თეორიებს, მაგალითად: დროითი დაქვემდებარების სემანტიკური თეორია, დინამიკური/კომპოზიციური სემანტიკური ანალიზი, ფილმორის ფრეიმების სემანტიკის მიდგომები, ფორმალური სემანტიკური ანალიზი.

წინამდებარე კვლევის მიზანია, თანამედროვე ქართული ენის მონაცემების მიხედვით შეისწავლოს აწმყოს პერფექტული ფორმების სემანტიკური სახესხვაობები, აწმყოს პერფექტული ფორმების სინტაქსური რეალიზაციის საკითხი და ამ ფორმების კავშირი ამა თუ იმ ზმნიზედასთან. ნაშრომში დროის სემანტიკის მიდგომის მიხედვით გაანალიზებულია პერფექტის სემანტიკური სახესხვაობები და წარმოდგენილია ამგვარი მიმართებების აღწერა ფორმალური სემანტიკის პრინციპების საფუძველზე. ცალკეულ თავში გაანალიზებულია როგორც სინთეზური, ისე აღწერითი პერფექტული ფორმები. გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია ზმნური ინვერსიის საკითხის ანალიზი.

შესავლის შემდეგ ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია აწმყოს პერფექტული ფორმების სემანტიკური სახეები, კერძოდ, შესწავლილია ექსპერიენციალური და რეზულტატური პერფექტების სემანტიკური მახასიათებლები, სხვადასხვა ტიპის ზმნიზედებთან შეწყობის საკითხი. აქ გაანალიზებულია აწმყოს პერფექტის როგორც სინთეზური ფორმები, ისე აღწერითი კონსტრუქციები. ქართული ენის მონაცემების მიხედვით პერფექტის კატეგორიის ამგვარი შესწავლა სიახლეს წარმოადგენს.

ნაშრომის მესამე ნაწილში ვრცლადაა საუბარი ზმნური ინვერსიის საკითხზე, განხილულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები და მოცემულია ახლებური თვალსაზრისი.

ნაშრომში ქართული ენის მონაცემების მიხედვით პირველადაა განხილული და გაანალიზებული მდგომარეობის სემანტიკის მქონე პერფექტული ფორმების სინტაქსური რეალიზების პირობები, შესწავლილია ის, თუ აგებულებისა და მოდალობის მიხედვით რომელი ტიპის წინადადებაში რეალიზდება პერფექტის ესა თუ ის სემანტიკური სახესხვაობა. აქვე გაანალიზებულია ამის მიზეზები და გამოვლენილია ქართული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. აღნიშნულ მსჯელობას ეთმობა ნაშრომის მეოთხე ნაწილი.

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. კახა გაბუნია, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტუდენტებში ISBN 978-9941-8-2239-1

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, CCIIR.

4) გვერდების რაოდენობა

140 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ი არის კვლევის ანგარიში, რომლის მიზანი იყო ქართველი სტუდენტების ინტერკულტურული მოწიფულობის შესწავლა და ინტერკულტურულ მოწიფულობაზე სხვადასხვა საუნივერსიტეტო ინტერვენციის გავლენების კვლევა და ანალიზი. კვლევის ანგარიში მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის საუნივერსიტეტო მრავალფეროვნებისა და ინკლუზიური გარემოს ხელშესაწყობად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

2. **კახა გაბუნია,** შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში; Tbilisi, 2020; DOI: 10.13140/RG.2.2.13554.12483

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, CCIIR.

4) გვერდების რაოდენობა

130 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევა ჩატარდა "ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის" (PITA) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG),

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული საშეღავათო პოლიტიკა მიზნად ისახავს ყველა სტუდენტს მისცეს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის მიზანია, დაეხმაროს არაქართულენოვან სტუდენტებს ქართულ ენაზე უმაღლესი განათლების მისაღებად აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მიღებაში. წარმოდგენილი კვლევა მიზნად საშეღავათო პოლიტიკის ათი წლის განმავლობაში მდგომარეობის ერთიან შეფასებას, წარმატებების ხაზგასმას, გამოწვევებისა და პრობლემების წარმოჩენასა და მათზე დაფუძნებით - სამომავლო პოლიტიკის განსასაზღვრად რეკომენდაციების შემუშავებას ისახავდა. შესაბამისად, კვლევის ანგარიში მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობების მიმართ განხორციელებული პოლიტიკის გაანალიზებისა და გადახედვის, შეცვლისა და გაუმჯობესებისაკენ სწრაფვისათვის.

3. **კახა გაბუნია**

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
მონოგრაფია: ბილინგვური განათლება საქართველოს კონტექსტში.(იბეჭდება).

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი, CCIIR.

4) გვერდების რაოდენობა
360 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
მონოგრაფია ეხება ბილინგვური განათლების მიზნებს, მისი განვითარების ისტორიას, ფორმებს, მოდელებსა და სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე მიღწეულ შედეგებს. წიგნში ასახულია ბილინგვური განათლების ჩამოყალიბების და განვითარების პერსპექტივები საქართველოში, იმ საპილოტე პროექტების კვლევა, რომლებიც განხორციელდა საქართველოში 2006-2021 წლებში.

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
კახა გაბუნია, ქეთევან გოჩიტაშვილი, (თანაავტორი და რედაქტორი)

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. სახელმძღვანელო ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის (წერა)
ISBN 978-9941-34-000-0

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი, „მერიდიანი“

4) გვერდების რაოდენობა

212 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება საქართველოს იმ რეგიონებში, რომლებიც კომპაქტურად სახლობენ უმცირესობათა წარმომადგენელი ჩვენი თანამოქალაქეები, ათწლეულების განმავლობაში (განსაკუთრებით - საბჭოურ ეპოქაში) ფორმალურად მიმდინარეობდა და მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყეს არსებული პრობლემების გადაჭრაზე მუშაობა ქვეყნის საგანმანათლებლო ინსტიტუციებმა: შეიცვალა მიდგომა, მიმდინარეობს მოქმედ მასწავლებელთა გადამზადება, უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა მომზადების პროგრამები / მოდულები. ბუნებრივია, გაჩნდა სათანადო სასწავლო მეთოდიკური რესურსების შექმნის საჭიროება. სამწუხაროდ, ამ მხრივ მწვავე დეფიციტია და თითოეული ნაშრომი / სახელმძღვანელო, რომელიც ენის სწავლების რომელიმე ასპექტს ეხება, უაღრესად მნიშვნელოვანი და ღირებულია.
წინამდებარე სახელმძღვანელო ქართულის, როგორც მეორე ენის მომავალი და მოქმედი მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი: კერძოდ, ერთ-ერთი ენობრივი უნარის - წერის - სწავლების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს ეხება. უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით დიდაქტიკური რესურსების ნაკლებობაა და, შესაბამისად, ვფიქრობთ, მისით დაინტერესდებიან არა მხოლოდ უნივერსიტეტების სტუდენტები, არამედ ის მასწავლებლებიც, რომლებიც დღეს არაქართულენოვან სკოლებში ასწავლიან სახელმწიფო ენას.

5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

1. **ინგა სანიკიძე** - ლა- პრეფიქსის ისტორიული ფუნქციისათვის ქართულში
2. **ინგა სანიკიძე** - „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტმესირებული სტრიქონის გააზრებისათვის / Towards Understanding Tmesis in the Line of *The Knight in the Panther's Skin*.
3. **ინგა სანიკიძე** - ეპისტოლეთა ენის სტილისტიკა და თვისებრივი ცვლილება ბაგრატოვანთა მიმართ გამოყენებულ მიმართვებში [იონა ხელაშვილის საარქივო მასალის მიხედვით] // Stylistics of Epistolary Language and Qualitative Change in Addresses Intended for the Bagrationis [According to the Archival Material of Iona Khelashvili]
4. XIX საუკუნის ქართული ლექსიკოგრაფია კოტე ყიფიანის ნაშრომთა მაგალითზე // 19th Century Georgian Lexicography on the Example of Kote Kipiani's Works

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. VI-VII, ISSN 2346-8106.

2. ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგი“ / Journal "The Kartvelologist"

3. ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენციის მასალები / Kartvelological Scientific Conference Dedicated to Iakob Gogebashvili [ელ.გამოცემა]
4. აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2019-2021.
2. *იბეჭდება და გამოვა 2021 წლის ბოლომდე და მისი ელ. ვერსია დაიდება Academia edu -ზე.*
3. Google Scholar
4. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2021, ISBN 978-9941-13-955-0. Google Scholar
4) გვერდების რაოდენობა
1. გვ.231-239.
2. – [დაახლოებით 12 გვერდი ქართულად, 11- ინგლისურად, სულ 23 გვერდი]
3. 3 გვერდი [ქართულ-ინგლისურად]
4. 11 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ლა- პრეფიქსის ისტორიული ფუნქციისათვის ქართულში

სახელურ ფუძეთა მორფოლოგიური აგებულების ძიება დღესაც რჩება ლინგვისტური კვლევების იმ მნიშვნელოვან სეგმენტად, რომელსაც უძველესი ქართულის თუ ქართველური ენების სტრუქტურის გააზრებასა და მრავალრიცხოვან მაწარმოებელთა ფუნქციურ მოდელირებებთან მივყავართ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში **ლა-**ს თავსართობა (**ნა**-ს პარალელურად) ქართველურ ენებში ჯერ კიდევ ნ. მარის მიერაა შემჩნეული, ხოლო შემდეგ გავრცობილია არნ. ჩიქობავას სკოლის მიერ.

ლოგიკურია მიზანი, ქართულ ენაში დაიძებნოს გაცილებით მეტი ლექსიკური ერთეული, რომლებიც სხვადასხვა დონეზე ფიქსირდება და რომლებიც მეტ სიცხადეს შეიტანს **ლ**'შემადგენლიან თავსართთა ისტორიული ფუნქციის დადგენისას. შევნიშნავთ იმასაც, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ძიება მხოლოდ **ლა**-პრეფიქსისაკენ იყო მიმართული, რადგან ცალკეულ ელემენტთა (ლა-, ლე-, ლი-) გამოწვლილვითი ანალიზი მნიშვნელოვან საფუძველს შექმნის იმისათვის, რომ აღდგეს ენობრივი პლასტი. ჩანს, რომ ეს ფენა უძველეს საფეხურზე საკმაოდ მყარი დერივანტებისაგან შედგებოდა.

ლა- მაწარმოებელი ისეთ ქართულ ფუძეებში შეიძლება დავინახოთ, როგორებიცაა: **ლა**-ხტ-ი, **ლა**-ფ-ი, **ლა**-ქუც-ი, **ლა**-ყუჩ-ი, **ლა**-ხტ-ი, **ლა**-ხვ-არ-ი და მისთ. ემპირიული ანალიზიდანვე იკვეთება, რომ ამ მოდელის ფორმები ძირითადად ნაზმნარი სახელებია, ანუ ისტორიული მასდარები და თავიანთი მნიშვნელობით ნამდვილად ვერ უტოლდება **ნა**- პრეფიქსიან დერივაციულ სახელზმნებს [ნა-ხატ-ი, ნა-ჭერ-ი და მისთ.]. აშკარაა, რომ ლა- პრეფიქსს ზმნური მოქმედების სახელად გარდაქცევის მორფოლოგიური მიზანი ჰქონდა და ოდესღაც პროდუქტიული მაწარმოებელი სიცოცხლეს მხოლოდ იმ ფუძეებში განაგრძობს, რომლებიც უძველეს ენაშია წარმოქმნილი. ფაქტია ისიც, რომ მას ძველი ქართული ენის პერიოდამდე აქტიური პოზიციონირება შეწყვეტილი აქვს და ე.წ. „მკვდარი" აფიქსია.

2. „ვეფხისტყაოსნის" ერთი ტმესირებული სტრიქონის გააზრებისათვის

ჩვენი ყურადღება მიქცეულია „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი ცნობილი მონაკვეთის – დავარის ეპიზოდის – საფინალო სტროფისაკენ, რომელიც ფარსადან მეფის დის თვითმკვლელობის სცენას ეხება [„დანა დაიცა, მო-ცა-კვდა, დაეცა სახისხლმდინარდა"]. ტმესირების ეს შემთხვევა, ჩვენი აზრით, პოეტის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი მდგენელია და მისსავე მოქალაქეობრივ შეხედულებას აცხადებს, ამიტომ ამ შემთხვევაში ტმესი, როგორც ენობრივი სამკაული, მხოლოდ ემპირიულ მოცემულობად უნდა იქნეს აღქმული. ნაკლებად სადავოა ის, რომ ზმნის განკვეთა თავისი არსით ენის გამხატვრულების საშუალებაა. აქედან გამომდინარე, ზმნურ ფორმათა ტმესი მხატვრული პროდუქტი მოჩანს და მისი დაბადების ადგილი სასაუბრო მეტყველების პლასტი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის" ამ კონკრეტულ სტრიქონს, ის, თავის მხრივ, პოეტური რითმითა და გამეორების მხატვრული საშუალებით გადაჯაჭვულია წინარე სტრიქონებთან [*„ესე წყრომა მეფისაგან*

*ვისცა ესმა, ვინცა <u>იცის</u>, / მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებითა **ც**აცა <u>იცის</u>“],* რაც საშუალებას გვაძლევს -[მ]ცა ნაწილაკი ომონიმურ მოცემულობად გავიაზროთ. **ც** ფონემა განსახილველ შემთხვევაში საგულდაგულოდ სელექცირებული მოჩანს, მის იდეოგრამულ ხასიათზე კი ანბანური სახელწოდება „**ცან**“ მიგვანიშნებს. ფაქტია, რომ ც'ს ალიტერაციისას რუსთველის მხატვრულ-ენობრივი ხედვა ცისაკენაა მიიქცეული [„ცაცა იცის“]. მიმართულების ეს ვექტორი ვერტიკალურია და დავარის ზენა არსისაკენ სწრაფვასა თუ მასთან ზიარებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

უფრო კონკრეტულად — რასთან გვაქვს საქმე, როცა რუსთველი დავარის თვითმკვლელობის სცენის დასკვნით ტაეპში *[„მო-ც<u>ა</u>-კვდა“]* ცა'ს გამოიყენებს და ტმესირებულ ზმნაში მას ტრადიციული ბუნებრიობით განათავსებს? ვფიქრობთ, რომ პოეტის მიზანი ნაკლებად წარმოიდგინება მხოლოდ დავარის მოკვდინების გაძლიერებით [„მო-ცა-კვდა“ — “მოკვდა კიდეც“]. რუსთველის სათქმელი გაცილებით ღრმაა და პოეტურად დაფარული. ჩვენი აზრით, ზეცის შემმეცნებელი ქალის სამშვინველი ხორციელი კვდომის შემდეგ ცად მიიწევს, ანუ ჩვენეული წაკითხვით ის ცასვე უბრუნდება [*მო-ცად-კვდება]. ციდან მოსული სიბრძნე ცამვე უნდა მიიბაროს, ეს ურთიერთმიმართება კი ისეთივე რკალურია, როგორც თავად **ც** გრაფემა ასომთავრულ და მხედრულ ანბანებში. ვფიქრობთ, დავარის მონაკვეთის ამგვარი წაკითხვა ჩვენ წინაშე რუსთველის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მსოფლხატს ძერწავს.

3. ეპისტოლეთა ენის სტილისტიკა და თვისებრივი ცვლილება ბაგრატოვანთა მიმართ გამოყენებულ მიმართვებში

[იონა ხელაშვილის საარქივო მასალის მიხედვით]

ეპისტოლარული ჟანრის ტექსტთა არალინგვისტურ ფაქტორად წერილის ადრესატის განსაზღვრულობა, ანუ ვერბალური მასალის კონკრეტულ პირამდე მიტანის აუცილებლობა წარმოადგენს. სწორედ ეს განაპირობებს მასალის ხასიათსა და გარეგან ფორმას. მიმოწერა სრულიად განსხვავებული დიალოგური კომპოზიციაა, რომელიც ნაწილებად დაშლილი მონოლოგის ფორმას იღებს. ამასთან, ნებისმიერი კორესპონდენცია ენობრივ-შინაარსობრივად ქრონოსის ჩარჩოში ზის და ფართო მკითხველისათვის გაუმიზნავი ტექსტი მეტი ენობრივი თავისუფლებით გამოირჩევა.

ჩვენი ძიების ფოკუსში იონა ხელაშვილის [1772-1837წ.წ.] ეპისტოლარული არქივი მოექცა, რომელიც კარგად წარმოაჩენს XIX საუკუნის დასაწყისის ქართული ენის მდგომარეობასა და იმ ეთიკურ ნორმებს, რომლებიც დასახელებული ეპოქისათვის იყო ნიშანდობლივი. მეცნიერული მსჯელობა მიმართვის ფორმებს შეეხება, რადგან მიმართვა, როგორც კომუნიკაციის წამომწყები ვერბალური კარიბჭე, მონოლოგური ტექსტის სათავეში ექცევა და არა მხოლოდ მონოლოგის ავტორის მოსაუბრე პირთან დამოკიდებულებას გამოხატავს, არამედ მისი ენობრივი ფორმულირება კულტურული ეტიკეტის დაცვითაა შეპირობებული. იონა ხელაშვილის ეპისტოლეები ენის სირთულით გამოირჩევა და არსებითად ფსევდოარქაული ენობრივი ფორმებით ხასიათდება [მაგ., „უგანათლებულესო მეფის ძეო გრიგორი!“ / „უგანათლებულესო მეფის ძეო ილია! და მისთ.].

რა განაპირობებს მიმართვის ფორმულებში ფიქსირებული განსაზღვრების — უგანათლებულესო'ს — ექსკლუზიურობას? ის მხოლოდ „მეფის ძეთა“, ანუ ბაგრატოვანთა სამეფო შტოს შთამომავალთა, ტიტულის შემადგენელია და მას იონა ხელაშვილი ფაქტობრივი უგამონაკლისობით ბატონიშვილთა მიმართ მოიხმარს. როგორც ჩანს, ასეთ მიმართვებს ბაგრატიონთა სამეფო უპირატესობა შეაპირობებს. მიმართვის ფორმები გაცილებით „რბილდება“ და რამდენადმე ინტიმურ-ფამილიარულ სახეს იღებს, როცა სოლომონ დიდაშვილისადმი დაწერილი კორესპონდენციების კითხვას ვიწყებთ [მაგ., „სულიერო ძეო ჩემო სოლომონ იოანესო!“].

ბაგრატიონთა სამეფო სახლის სუბიექტთა ტიტულატურისა და მათი ღირსებისა თუ წოდების გამომხატველი მიმართვის იონასეული ვერსიის მიღმა რუსული ენისა თუ ეთნოკულტურის გავლენა იკითხება. ცხადია, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად იცვლება ქართველთა ისტორიული სოციოდინამიკა. ქართველ ბაგრატოვანთა რუსეთში გადასახლებამ და სამეფო სახლის შვილთა რუსულ საიმპერატორო კარზე იძულებითმა მოღვაწეობამ მათივე „ახალ“ ტიტულში მოქცევის

აუცილებლობა გამოიწვია, რამაც ქართული ტრადიციული დამოკიდებულებისა და ქცევითი ფორმის სახეცვლილებას შეუწყო ხელი. ეს ისტორიული ფაქტი იმპერიაში მიგრირებულ ქართველ ბაგრატიონებსა თუ მათ ამალას აიძულებდა, ფორმალურ დონეზე მაინც შეენარჩუნებინათ ბაგრატოვანთა გვაროვნობის უპირატესობა, რაც ტიტულატურ მიმართვებშიც აისახა. რუსული ენის მიმართვის ფორმების - „თქვენო ბრწყინვალებავ“ [Ваше сиятельство], „თქვენო უმაღლესობავ“ [Ваше высочество] — ადგილი რუსული ეთნოკულტურაში ძევს და არა — ქართულში, რომელიც ამგვარ ფორმებს 1801 წლის რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის ეპოქამდე არ იცნობდა.

ამგვარად, იონა ხელაშვილის ბატონიშვილთა მიმართ დაწერილი კორესპონდენციების მიმართვები, მათი ეპითეტური ფორმულირება რიგით თუ სტანდარტულ ფორმებად არ უნდა შეფასდეს. ისინი ეპოქის სათქმელს ამბობენ და შეიძლება რამდენადმე რუსული ენის კალკს არიან დაქვემდებარებულნი, მაგრამ თავიანთი შინაარსით მცირედენად მაინც აყალიბებენ ეროვნულ საზრისს.

4. XIX საუკუნის ქართული ლექსიკოგრაფია კოტე ყიფიანის ნაშრომთა მაგალითზე

მართალია, ქართული ლინგვისტური სკოლების ჩამოყალიბება XX საუკუნეს უკავშირდება, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ფუნდამენტური კვლევების საფუძველი წინა საუკუნემ შექმნა. ქართველთა მცდელობანი, შეედგინათ სხვადასხვა სახის ლექსიკონები, ზოგ შემთხვევაში თვითნასწავლი ლექსიკოგრაფის სპონტანურ სურვილს გამოხატავდა, მაგრამ ამგვარ ნაშრომებს მაინც დიდი ფასი აქვს. სადავო არ არის ის, რომ ლექსიკოგრაფიას ძირითადად პრაქტიკულ-გამოყენებითი ხასიათი აქვს, ხოლო კონკრეტული ლექსიკონის განსაკუთრებულობა მართებულად სელექცირებულ სალექსიკონო ერთეულების მოძიებითა და სალექსიკონო პრინციპების ასევე მართებული შერჩევით განისაზღვრება. ჩვენს შემთხვევაში საქმე ეხება დ. ყიფიანის ვაჟის, კოტე ყიფიანის, მიერ შედგენილ ლექსიკონებს, რომელთა ნაწილი დღემდე არ არის გამოცემული და რომლებიც ხელნაწერების სახით თბილისში განთავსებულ კინოსა და თეატრის მუზეუმში ინახება. მათ შორისაა „ქართულ-რუსულ-ლათინური საბოტანიკო ლექსიკონი“ და „აკადემიური ლექსიკონი“.

ფრანგული და რუსული ენების საუკეთესო მცოდნე კოტე ყიფიანი კარგად აცნობიერებდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის ჩამორჩენილობას ამ თვალსაზრისით. ერთი მხრივ, მისი მიზანი კონკრეტული დარგების განვითარებისაკენ მიემართებოდა, ხოლო, მეორე მხრივ – ქართული ენის სიწმინდისაკენ, რადგან რუსული განათლების მქონე ქართველთა მეტყველება ბარბარიზმებს ვეღარ იტევდა. ურთულესია, სპეციალური ლინგვისტური ცოდნის არმქონე ადამიანმა ფაქტობრივ უშეცდომო თარგმანება შესთავაზო მკითხველს, ამიტომ კოტე ყიფიანმა თხუთმეტი წელი მოანდომა „აკადემიურ ლექსიკონზე“ მუშაობას.

ერთადერთი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა, „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ იყო [1896]. ის უაღრესად საინტერესო ერთეულებს მოიცავს მინერალოგიის, ასტრონომიისა და ზოოლოგიის მეცნიერებების მიმართულებით. „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ ქართულ ენობრივ სივრცეში კონკრეტული დარგების განვითარების საფუძველი უნდა გამხდარიყო, მშობლიურ ენაზე კი მართებული ლექსიკური ერთეულების გამოყენების საშუალებას კ. ყიფიანის მიერ შედგენილი ლექსიკონები იძლეოდა. ქართული მეცნიერების მომავლის სწორი ჭვრეტა და ამ კუთხით მიზანმიმართული მუშაობა ახასიათებს მას არა მხოლოდ, როგორც ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების ერთი საფეხურის შემოქმედს, არამედ — როგორც პრინციპულ და საღად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწეს.

5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

კახა გაბუნია, გიული შაბაშვილი

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში, ISSN 2720-7803

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი, CCIIR.

4) გვერდების რაოდენობა
303 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მეორე ენის სწავლება და მულტიკულტურული ასპექტების კვლევა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, შესწავლილია არაერთი ქვეყნის გამოცდილება, გამოკვეთილია აქტუალური საკითხები და ჯერ კიდევ გადასაჭრელი პრობლემები. მულტილინგვური განათლების მიდგომები განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ ქვეყნებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებულები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 30 წელია გასული, ენობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, რომ კვლავ მძიმეა და სერიოზული რეფორმების განხორციელება დგას დღის წესრიგში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის ამაღლება სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების საფეხურზე.

2006 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო მთელი რიგი პროექტების განხორციელება რეგიონებში ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლების მიმართულებით. პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები უმაღლესი სასწავლებლები, არასამთავრობო სექტორი, სამეცნიერო ინსტიტუციები. უცხოელ ექსპერტთა ჩართულობით მუშავდებოდა სწავლების სტრატეგიები, ხერხები და მეთოდები.

2010 წლიდან საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ამოქმედდა ქართულ ენაში მომზადების პროგრამები, რომელთა მიზანიც უმცირესობათა წარმომადგენელი აბიტურიენტების მხარდაჭერაა, რათა მათ შეძლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული ხარვეზების დაძლევა (სახელმწიფო ენის სწავლა/სწავლების თვალსაზრისით) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართულ ენაზე განათლების მიღება.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, სახელმწიფო ენის სწავლების მხრივ ჯერ კიდევ მიმდინარეობს ერთიანი ხედვის, მიდგომის შემუშავების რთული პროცესი, რაც საგანმანათლებლო სისტემის ყველა დონეზე (სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი...) მდგომარეობის გამოსწორებას ისახავს მიზნად.

ენის სწავლება, მით უფრო, ისეთ რთულ რეგიონებში, როგორებიც სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლია, მრავალ სპეციფიკურ ფაქტორს მოიცავს. ქართულენოვანი გარემოს არარსებობა და პოსტსაბჭოური დანატოვარი (იგულისხმება ხალხთაშორის ურთიერთობის ინსტრუმენტად რუსული ენის დომინირება) მოითხოვდა ახლებური, არასტანდარტული სტრატეგიის შემუშავებას,

კონფერენციის მიზანია, განიხილოს და ერთიან კონცეფციად ჩამოაყალიბოს ადგილობრივ და უცხოელ სპეციალისტთა ნააზრევი მეორე ენის სწავლების მიდგომებისა და სტრატეგიების თაობაზე მულტილინგვური განათლების კონტექსტში:

ერთი მხრივ, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის დიდი გამოცდილება, რაც არსებობს საზღვარგარეთის ქვეყნებში ამ მიმართულებით (თეორიული ასპექტები); კონფერენციასა და პლენარულ სესიებზე მომხსენებლებად მოწვეულნი არიან დარგის აღიარებული სპეციალისტები ფინეთიდან (ჰელსინკის უნივერსიტეტი), იტალიიდან (ბოლცანოს უნივერსიტეტი), ლიტვიდან (ვილნიუსის უნივერსიტეტი), ლატვიიდან (ლატვიის უნივერსიტეტი და სხვა), რომლებიც წარმოადგენენ როგორც კონცეპტუალურ მიდგომებს, ასევე - საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას.

მეორე მხრივ, ქართველი სპეციალისტები კონფერენციაზე სამსჯელოდ გამოიტანენ იმ საპილოტე პროექტებისა და აქტივობების ანგარიშებს, რომელთა ნაწილი უკვე განხორციელდა ან ამჟამად მიმდინარეობს უმაღლეს სასწავლებლებსა თუ რეგიონების (ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში) სკოლებში.

კონფერენციის სამუშაო თემები და სექციები:

- მულტილინგვური განათლების თეორია და პრაქტიკა; ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება (CLIL);
- ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვა და მისი მნიშვნელობა მულტიკულტურული განათლებისა და მეორე ენის სწავლების თვალსაზრისით;
- ელექტრონული/დისტანციური სწავლების ასპექტები და მულტიმედია მეორე ენის სწავლა/სწავლების კონტექსტში;
- მეორე/უცხო ენის სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები;
- ინტერკულტურული/ მულტიკულტურული განათლების ასპექტები;
- მრავალფეროვანი კლასის მართვა და ენის სწავლება;
- ენის სწავლების სოციოკულტურული და პრაგმატული ასპექტები.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **დარეჯან თვალთვაძე,**
2. ირინა გველესიანი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1.THE ONLINE TEACHING VIS-À-VIS THE CLASSROOM TEACHING (ON THE BACKGROUND OF COVID-19)

DOI: https://doi.org/10.17770/sie2021vol5.6139

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ***SOCIETY. INTEGRATION. EDUCATION,*** *Proceedings of the International Scientific Conference (rta.lv),*

2. *Volume V, 2021 (*ინდექსირებულია შემდეგ ბაზებში: CrossRef, Google Scholar, OpenAire, WordCat).

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Rezekne (Latvia)
2. Rēzeknes Tehnoloģi juakadēmija (ISSN: 2256-0629)

5) გვერდების რაოდენობა

1. 10 გვერდი
2. გვ. 491-500

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომი ასახავს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის გამოწვევებს პანდემიის (COVID-19-ის) პირობებში. ძირითადი აქცენტი კეთდება უნივერსიტეტებში სააუდიტორიო სწავლებიდან ონლაინ სწავლებაზე გადასვლაზე, ასევე, პირისპირ ურთიერთობისა და ვირტუალური კომუნიკაციის შედარებით ანალიზზე. ამასთანავე, ნაშრომში წარმოდგენილია ონლაინ სწავლებაზე „მშვიდობიანი“ გადასვლის ძირითადი სტრატეგიები: სტუდენტებზე ორიენტირებული ვირტუალური აუდიტორიის ატმოსფეროს შექმნა, დროული ინფორმაციულობა, შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება, წერილობითი ტიპის გამოცდების ჩანაცვლება ჰიბრიდული გამოცდებით, კლასგარეშე კომუნიკაცია, შეფასების განახლებული კრიტერიუმები და სხვა. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ბოლოდროინდელ პროცესებზე დაკვირვებას, ანალიზსა და შეფასებას.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **გიული შაბაშვილი,** ქეთევან გოჩიტაშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. სალაპარაკო ქართულის სწავლების სტრატეგიები

10.22333/ijme.2021.18007

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. მულტილინგვური განათლება, #18

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, თბილისი

5) გვერდების რაოდენობა

1. 93-109

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

უცხო/მეორე ენის სწავლის პროცესში სტუდენტებმა ფორმალური ენის პარალელურად უნდა შეისწავლონ სალაპარაკო ენაც. ეს მნიშვნელოვანია რეალურ სიტუაციაში წარმატებული კომუნიკაციის განხორციელებისთვის. უფრო მეტიც, სალაპარაკო ენა და პირისპირ ინტერაქცია წარმოადგენს როგორც სწავლის, ისე სწავლების პროცესის ძირითად ასპექტს და თამაშობს მნიშვნელოვან როლს შემსწავლელის ენობრივი და კოგნიტურ განვითარებაში (ჰინკელი, 2006). ენგკენტის მიხედვით, სტუდენტები ფლობენ საკმარის ცოდნას, როდესაც მათ იციან საბაზისო ფორმალური ენა და მისი არაფორმალური ვარიაციები და ენის რეგისტრების გამოყენების პრინციპები (ენგკენტი, 1986).

ქართულის, როგორც უცხო/მეორე ენის, სასწავლო რესურსებში არ არის გათვალისწინებული ენის ამ ნაწილს სწავლება, შედეგად, ენის შემსწავლელებს არ აქვთ შესაბამისი უნარები და ცოდნა იმისათვის, რომ შეარჩიონ მართებული ფორმები და გამოთქმები, ენის ფორმალობის ხარისხისა და რეალური საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით, ლაპარაკისას, ასევე დაბრკოლება ექმნებათ

ყოველდღიურ სალაპარაკო სიტუაციაში მიღებული ინფორმაციის გაგებისას, რაც, ასევე, სპეციალურ ცოდნას მოითხოვს.

მოხსენების მიზანია, ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ვითარების შესწავლა, სტუდენტების ცოდნის დონისა და სასწავლო აქტივობებისა და მიდგომების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ზემოთ ხსენებული პრობლემის დაძლევის მიზნით.

კვლევა ჩატარდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა სტუდენტებმა, რომლებიც ეუფლებიან ქართულს, როგორც უცხო ენას. საბოლოო ჯამში, კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ეროვნების 35-მა სტუდენტმა.

ნაშრომი, ძირითადად, ეფუძნება თვისებრივ კვლევას. გარდა ამისა, კვლევისას გამოყენებულია ინტერვიუს მეთოდი, გამოკითხულია 35 სტუდენტი, რომელთაც შეავსეს კითხვარები ღია და დახურული კითხვებით. კვლევისას გამოყენებულია, ასევე, დაკვირვების მეთოდი. დავაკვირდით ლაპარაკისა და კითხვის სწავლების კომპონენტებს. კვლევის პროცესში ჩავატარეთ ექსპერიმენტი. სტუდენტებს წასაკითხად მივეცით ფორმალური და არაფორმალური სტილით შესრულებული ერთი და იმავე შინაარსის ტექსტი. გარდა ამისა, მათ შევთავაზეთ დავალება, მიიღონ მონაწილეობა ერთსა და იმავე თემაზე აგებულ სალაპარაკო სიტუაციაში ფორმალობის/ენობრივი რეგისტრის მხრივ განსხვავებულ კონტექსტში და დავაკვირდით შედეგებს ორივე აქტივობისას.

კვლევაში ჩართული იყო შედარებით მცირე ფოკუსჯგუფი, რაც ხელს უშლის უფრო სიღრმისეული და განზოგადებული სურათის ჩვენებასა და შედეგების მიღებას.

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სტუდენტები ფორმალურ ტექსტს უფრო ადვილად იგებენ, ვიდრე არაფორმალური სტილის ენას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მასწავლებელი აწვდის სალაპარაკო ენის ფორმებს, სტუდენტებს უჭირთ ამგვარი მასალის აღქმა. ეს განპირობებულია იმით, რომ სალაპარაკო ენის სწავლების აქტივობები უფრო სპონტანურია, ნაკლებად სისტემური და, ძირითადად, დამატებითი ინფორმაციის ხასიათს ატარებს და არ ხდება ამგვარი ცოდნის გამყარება აუდიტორიაში. სტუდენტების გამოკითხვამ და მათ მიერ შევსებულმა კითხვარებმა გამოავლინა შემდეგი: გარკვეულ დონეზე ენის ფლობის შემთხვევაში ისინი შედარებით ადვილად იგებენ ინფორმაციას საუნივერსიტეტო სივრცეში, სალიტერატურო ენაზე შექმნილი ტექსტებიდან, მაგრამ ყოველდღიურ სიტუაციაში სწორედ სალაპარაკო ფორმების უცოდინრობის გამო უჭირთ წარმატებული კომუნიკაციის დამყარება და ინფორმაციის ადეკვატურად აღქმა. გარდა ამისა, ამგვარი აქტივობები ნაკლებად არის გათვალისწინებული კურიკულუმში, ისევე როგორც სახელმძღვანელოებში და ამ მხრივ როგორც მასწავლებლების, ისე სტუდენტების გამოცდილებაც შედარებით მწირია. ექსპერიმენტის შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტები უფრო მარტივად და სწორად იგებენ ფორმალური ჟანრის ტექსტს, ვიდრე სალაპარაკო, არაფორმალურ ინფორმაციას. იგივე ითქმის სალაპარაკო სიტუაციის აგებაზეც.

იმისათვის, რომ სტუდენტმა გააცნობიეროს ფორმალურ და არაფორმალურ ენებს შორის მსგავსება-განსხვავებები, აუცილებელია სასწავლო გარემოში მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელება, მათ სორის:

1. ფორმალური და არაფორმალური განმასხვავებელი ნიშნების იდენტიფიცირება, რაც მიიღწევა სხვადასხვა დონის, ჟანრისა და ფორმალობის დონის მიხედვით განსხვავებული ტექსტების წაკითხვის, დამუშავებისა და შედარების მეშვეობით.
2. ლექსიკური აქტივობების გამოყენება: ტექსტებში ლექსიკური ერთეულების (სლენგი, ჟარგონი, აკრონიმები, შემოკლებები და ა. შ.) გამოვლენა, ლექსიკონის შექმნა და შესაბამისი სავარჯიშოების შესრულება.
3. სალაპარაკო აქტივობები სხვადასხვა თემაზე: მასწავლებელი წინასწარ აძლევს და განიხილავს სტუდენტებთან ამა თუ იმ კონკრეტულ ფორმას, რის შემდეგაც სტუდენტები აგებენ სალაპარაკო

სიტუაციას სხვადასხვა ენობრივ რეგისტრში და როლური თამაშების მეშვეობით აკეთებენ პრეზენტაციას.

4. ავთენტური ჩანაწერებისა და მულტიმედიის გამოყენება ბუნებრივი, არაფორმალური ენობრივი ფორმებისა და სტრუქტურების დასაუფლებლად.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **კახა გაბუნია,** რუსუდან ამირეჯიბი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

საქართველოს უმცირესობები: ინტეგრაციის გზაზე არსებული ბარიერების ნგრევა,

DOI *10.22333/ijme.2021.20002*

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

© 2021 Carnegie Europe

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

Brussels, Carnegie Endowment for International Peace.

5) გვერდების რაოდენობა

13 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წინამდებარე სტატია რიგით მეოთხეა სერიიდან, რომელიც კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი პროექტის - „საქართველოს მომავალი“ - ფარგლებში ქვეყნდება. საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც ბევრ, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. 2014 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 87 პროცენტს ეთნიკური ქართველები შეადგენენ, ხოლო 13 პროცენტს - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. ამ ჯგუფებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანელები არიან, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის 6 პროცენტს შეადგენენ, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 5 პროცენტი ეთნიკური სომეხია. საბჭოთა კავშირის ეთნოლინგვისტური პოლიტიკის მემკვიდრეობის მძიმე კვალი ქვეყანაში ჯერ კიდევ საგრძნობია. სწორედ ეს მემკვიდრეობაა მიზეზი, რომ როგორც ქართველებს, ისე ეთნიკურ უმცირესობებს უჭირთ საკუთარი თავი ერთიანი სამოქალაქო ერი-სახელმწიფოს წევრებად აღიქვან. წარმატებული სახელმწიფოს შენებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია უმცირესობების ინტეგრირება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, რაც ენის, განათლების და ეკონომიკური განვითარების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებასთან ერთად, ეთნიკური ქართველების იმ მნიშვნელოვანი ნაწილის აზროვნების შეცვლასაც მოითხოვს, რომელსაც ნაკლები შეხება აქვს უმცირესობების წარმომადგენლებთან.

2 **კახა გაბუნია**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

Some Important Factors Hindering the Civic Integration of Ethnic Minorities

DOI :10.22333/ijme.2021.18002

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION, 2021, #18.
E ISSN 1512-3146

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
Tbilisi, CCIIR

5) გვერდების რაოდენობა
15 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
სტატია ეხება უმცირესობათა სამოქალქო ინტეგრაციის საკითხებს, აქცენტი გაკეთებულია სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების პრობლემებზე. სტატიაში განხილულია ის მიზეზები, რაც ხელს უშლის ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებას არაქართულენოვან სკოლებში.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. **დარეჯან თვალთვაძე**

2) სტატიის სათაური, ISSN
1. სახარების ერთი პარატექსტის შესახებ („განთესულები“ ოთხთავის ქართულ ხელნაწერებში)
2. ISSN 0234-7385 („მრავალთავი“)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. „*მრავალთავი* - ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი“,
2. N 27

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი.
2. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

5) გვერდების რაოდენობა
1. 26 გვერდი
2. (იბეჭდება. გამოქვეყნდება 2021 წლის თარიღით).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახარების ერთი პარატექსტის შესახებ („განთესულები“ ოთხთავის ქართულ ხელნაწერებში)

ბიბლიურ წიგნთა კოდიკოლოგიაში პარატექსტი გულისხმობს ძირითადი ტექსტის (წმინდა წერილის) თანმხელებ ყველანაირ ტექსტს, მათ შორის, ტექსტის ორგანიზებისთვის თავებად/მუხლებად დაყოფისთვის გამოყენებულ სტიქომეტრიულ აპარატს და, ასევე, ინფორმაციის ვიზუალიზაციისთვის გამოყენებულ მხატვრული გაფორმების საშუალებებს (მინიატურები, დეკორი, საზედაო ასოები და სხვ.). ბიბლიურ წიგნთა შორის პარატექსტების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით განსაკუთრებით

გამოირჩევა სახარება-ოთხთავის კოდექსები, რომელთა გავრცელების (მათ შორის, სხვა ენებზე თარგმნის) პროცესში, მისი ტექსტის წაკითხვისა და აღქმის გაიოლებისა და სწორად გაგების მიზნით თანდათან ჩნდება და ყალიბდება ამ თანმხლები ტექსტების სისტემა, რომელიც მეტ-ნაკლებად ცვალებადია დროსა (ტექსტური ტიპები, რეცენზიები/რედაქციები) და სივრცეში (ვერსიები/სხვაენოვანი თარგმანები).

სტრუქტურულად ოთხთავის ხელნაწერი წიგნი კრებულს წარმოადგენს, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ოთხ სახარებას აერთიანებდა და ის თავებად და მუხლებად დაყოფილიც არ იყო. დროთა განმავლობაში პრაქტიკულმა საჭიროებამ, სასურველ ადგილთა ადვილად მოძებნისა და კითხვის პროცესის გაიოლებაზე ზრუნვამ, ტექსტის სხვადასხვა ნიშნით სეგმენტაცია და „მკითხველის დამხმარე“ სხვადასხვა ტიპის ინდექსების, სიმფონიების, საინფორმაციო ტაბულების (კანონების ცხრილები, ქრონიკები და პასქალიები), ისტორიულ-ფილოლოგიური დანართების (მახარებელთა ბიოგრაფიები, პროლოგები და ეპილოგები) და კალენდარულ-ლიტურგიკული დანიშნულების ცხრილებისა და საძიებლების შედგენა განაპირობა. სახარების ტექსტისთვის შედგენილი ამგვარი ტექსტები მალევე იქცა ოთხთავის, როგორც კრებულის, განუყოფელ ნაწილად - პარატექსტად.

ოთხთავის ბერძნული ხელნაწერები ამ მხრივ საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და შენიშნულია, რომ მათი პარატექსტების სისტემა სხვადასხვანაირია ტექსტის ტიპების, ხელნაწერთა ოჯახების მიხედვით, სახარება-ოთხთავის ქართული ხელნაწერების პარატექსტები კი საგანგებო კვლევის ობიექტი დღემდე არ გამხდარა, ალბათ იმ მიზეზით, რომ ჩვენი მეცნიერების უპირველისი რიგის ამოცანას წარმოადგენდა თვითონ სახარების ტექსტის შესწავლა და ამ მიზნით, ე. წ. „ტექსტის გარე მასალა“ (ი. იმნაიშვილი) ნაკლებად საინტერესოდ მიიჩნეოდა. გამოკვლეული არ არის, რამდენად ერთგვაროვანია პარატექსტების სისტემა წინაათონური, ათონური და პოსტათონური პერიოდის ხელნაწერებში და დადგენილი არ არის ოთხთავის პარატექსტების კავშირი სახარების ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიასთან. ჩვენი კველვის მიზანს სწორედ ამ კავშირის გამოვლენა წარმოადგენდა. მთავარი კითხვები, რომლებსაც უნდა გავცეთ პასუხი, ასეთია: განსხვავდებიან თუ არა რედაქციულად განსხვავებული სახარების ტექსტის შემცველი ხელნაწერები პარტექსტების მიხედვითაც; უკავშირდება თუ არა ტექსტის რედაქტირების (ძირითადად, მისი „ბერძულისადა მიყვანების“) პროცესი ოთხთავის, როგორც კრებულის სტრუქტურის (მასთან ერთად პარატექსტების) ცვლილებასაც და მათ გამართვას „ბერძულსა წესსა ზედა“. რადგან ოთხთავის ქართულად თარგმნა-რედაქტირების ხანგრძლივ პროცესში რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა, ვვარაუდობდით, რომ განსხავებული სურათი გამოიკვეთებოდა ოთხთავის პარატექსტებშიც (სტატიის პირველ ნაწილში მოკლედ მიმოვიხილოთ სახარება-ოთხთავის ქართულად თარგმნა-რედაქტირების ისტორიასაც). იმის გამო, რომ თითოეულ პარატექსტს „თავისი ისტორია“ აქვს, მათი შესწავლაც სათითაოდ უნდა მოხდეს. სტატიაში სახარება-ოთხთავის ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილი პარატექსტებიდან მხოლოდ ერთის – ოთხი მახარებლის ტექსტის ჰარმონიზაციის მიზნით IV საუკუნეში ევსები კესარიელის მიერ შედგენილი კანონების მოკლე ვერსიის, „ამონიოს-ევსების გვერდობრივი სიმფონის“ (ა.შანიძე) ისტორიაა წარმოდგენილი, რომელსაც ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში „განთესულებს“ უწოდებენ და ნაჩვენებია მისი უშუალო კავშირში სახარების ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიასთან. ამ მიზნით შესწავლილია სახარება-ოთხთავის 40-მდე ძველი ქართული ხელნაწერი (უძველესი ხანმეტი პალიმფსესტებიდან XVIII საუკუნის ხელნაწერი ოთხთავების ჩათვლით), რომლებიც ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ტექსტის რედაქტირების სხვადასხვა ეტაპზე შექმნილ ტექსტებს შეიცავენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხელნაწერები მათში წარმოდგენილი პარატექსტების მიხედვით განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ. მათ ერთ ნაწილში (წინაათონური რედაქციების ხელნაწერები) წარმოდგენილია პარატექსტების ელემენტების მხოლოდ გარკვეული ჯგუფი (ცხადია, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, მათი მოღწეულობის ფაქტორიც), მეორე ნაწილი (ათონური რედაქციის

ხელნაწერები), გარდა იმისა, რომ პარატექსტების ელემენტთა მყარად ჩამოყალიბებული სისტემის არსებობას გვიდასტურებს, მეტ ერთგვაროვნებასაც ავლენს. მათ შორის გამოიკვეთა რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც პარტექსტების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ქმნიან.

ათონური პერიოდის ხელნაწერთა ერთი ნაწილი, კერძოდ, გიორგისეული რედაქციის ე.წ. შუალედური ვერსიის ხელნაწერთა ჯგუფი (გიორგისეული I), სტიქომეტრიისა და დანართი ტექსტების თვალსაზრისითაც შუალედურ სურათს გვიჩვენებს. ისინი განსხვავდებიან წინათონური პერიოდის ნუსხებისაგან სისტემის სრულყოფისკენ მიდრეკილებით, მაგრამ ჯერ არ აჩვენებენ ისეთ სიმყარეს, როგორსაც გიორგი ათონელის საბოლოო რედაქციის კოდექსები (გიორგისეული II / ათონური ვულგატა), რომლებიც სტრუქტურული და ფორმობრივი ერთგვაროვნებით გამოირჩევიან.

ათონური პერიოდის ორივე ჯგუფის (გიორგისეული I და გიორგისეული II) ხელნაწერების ყველაზე თვალსაჩინო განსხვავება წინაათონური პერიოდის კოდექსებისაგან (V-X სს. პროტოვულგატური რედაქციის და X-XI საუკუნებების ე.წ გადამუშავებული პროტოვულგატის ჯგუფის ხელნაწერები) „განთესულების“ არარსებობაა. „განთესულები“ ერთვის ოთხთავის წინათონური რედაქციების ყველა ხელნაწერს (ვენის ოთხთავის გარდა) და არ ერთვის ათონური პერიოდის ხელნაწერთა აბსოლუტურ უმრავლესობას (ჩვენ მიერ ამ ნიშნით შესწავლილი ათონური რედაქციის 24 ნუსხიდან გამონაკლისია მხოლოდ ვატიკანის ოთხთავი და XII საუკუნის ერთი იერუსალიმური ხელნაწერი (Jer. Geo.153). გიორგისეული რედაქციის ხელაწერებში ამ პარატექსტის არარსებობა შემთხვევითი ამბავი რომ არაა, ეს ჩანს გიორგის შუალედური ვერსიის (გიორგისეული I) ტექსტის შემცველი ხელნაწერის, ალავერდის ოთხთავის ანდერძიდანაც: „... განთესულნი არღარა დავწერენ ამისთჳს, რამეთუ ზანდუკი მასვე მოასწავებს და რად არს ჭირი ორკეცი, პატივიცა წიგნისაჲ დაუშუერდებოდა“(A-484,10r). როგორც ჩანს, ამგვარი მიდგომა, რომ “განთესულები” ზედმეტია, რადგან ზანდუკი (იგულისხმება კამარები) „მასვე მოასწავებს“ (იგივე დანიშნულებისაა, ოთხთავის პარალელურ პასაჟთა საძიებელია) და არ არის აუცილებელი მისი გამეორება გვერდების ქვედა აშიაზე, გიორგის ადრევე (რედაქტირების პირველ ეტაპზევე) ჩამოუყალიბდა. ამ ტიპის ცვლილება, „განთესულებისაგან“ ხელნაწერის “გათავისუფლება”, ოთხთავის მანუსკრიპტებში რომ გააზრებულად ხდება, კარგად ჩანს გიორგისეული ვულგატის მიხედვით ნარედაქტირებ ოშკის ოთხთავში (Iviron.Georg.62). რედაქტორმა აქ ჩაასწორა არა მხოლოდ სახარების, არამედ პარატექსტების, (მაგალითად, „თავების“) ტექსტიც, თავისი ხელით მიაწერა სახარებათა ბოლოს კოლოფონების ის ვერსია, რომელიც გიორგისეულ ვულგატაში გვხვდება, მაგრამ არ მიაწერა „განთესულები“, რადგან, როგორც ჩანს, ის აღარ ითვლება „ყოვლითურთ უნაკლულოჲ ოთხთავისთვის“ აუცილებელ პარატექსტად, განსხვავებით სხვა პარატექსტებისგან, რომლებიც ამ უნაკლულობას და „ოთხთავის სისრულეს“ განსაზღვრავენ.

ხელნაწერთა შესწავლამ აჩვენა, რომ წინაათონური და ათონური პერიოდის ოთხთავის კოდექსები პარატექსტების მიხედვით ერთგვაროვანი არ არის და რედაქციულად განსხვავებული სახარების ტექსტის შემცველი ხელნაწერები პარატექსტების მიხედვითაც განსხვავდებიან. ამასთანავე, ოთხთავის, როგორც კრებულის, სტრუქტურის ცვლილება და მისი „ბერძულსა წესსა ზედა“ გამართვა პირდაპირ უკავშირდება სახარების ტექსტის რედაქტირებისა და მისი „ბერძულისადა მიყვანების“ პროცესს.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

1. **რამაზ ქურდაძე**

2. რამაზ ქურდაძე

2)სტატიის სათაური, ISSN

1. მანანა ჩიტიშვილის პოეზიის ლექსიკური თავისებურებანი, ISSN 2346-8106

2. სხვათა სიტყვის (-მეთქი, -თქო, ო) ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით, ISSN 2346-8106

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ქართველური ენათმეცნიერება, ტ. VI-VII, 2019-2020 (დაიბეჭდა 2021 წელს)

2. ქართველური ენათმეცნიერება, ტ. VI-VII, 2019-2020 (დაიბეჭდა 2021 წელს)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

5) გვერდებისრაოდენობა

1. 11 გვერდი

2. 7 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ცნობილი ქართველი პოეტის მანანა ჩიტიშვილის შემოქმედება უაღრესად საინტერესოა როგორც თემატური მრავალფეროვნებით, მხატვრული სახეებით, მხატვრული საშუალებებით, ისე ენობრივი თვალსაზრისით.

დასახელებული სტატია, რომელიც მანანა ჩიტიშვილის პოეზიის ლექსიკურ თავისებურებებს ეხება, პოეტთან თანამშრომლობით დაიწერა. მასში მოგვყავს პოეტის მიერ გამოყენებული ლექსიკური ერთეულების განმარტებები შესაბამისი ლექსიკონებიდან და უმეტეს შემთხვევაში აქვე წარმოვადგენთ თვით პოეტისეულ განმარტებებს ამა თუ იმ ცალკეულ სიტყვასთან დაკავშირებით. ამ მხრივ პოეტი, როგორც წარმომადგენელი იმ დიალექტისა, რომელსაც ის იყენებს თავის ლექსებში, ერთგვარად ინფორმატორის როლშიც გამოდის, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

მ. ჩიტიშვილის ლექსებში მრავლად გვხვდება ქართლური დიალექტური ლექსიკა, რაც დადასტურებულია ქართლური დიალექტის სალექსიკონო მასალებში. მათგან ზოგი ფორმით და მნიშვნელობით ქართლურის ლექსიკას ემთხვევა, ზოგი კი ქართლური ლექსიკისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, მაგ.:

დახეჩილი - დაჩეხილი, დაპობილი;

დაღურბლებული/დაღრუბლებული - დაბურული;

მოიაშრე - გაანჩხლდი, გაკაპასდი, გაავდი და სხვ.

მანანა ჩიტიშვილის ლექსებში გვხვდება დიალექტური სიტყვები, რომლებიც ქართლურის გარდა ქართული ენის სხვა კილოებშიც დასტურდება. ზოგი მათგანი უცვლელად გვხვდება სხვა დიალექტებში, ზოგი კი ფორმობრივი ან სემანტიკური ცვლილებით:

დილაბანდზე - დილაუთენია;

მარმარებს - ქათქათებს, მარმარილოსავით ბრწყინავს;

ნაგრილი - ჩრდილი და სხვ.

მანანა ჩიტიშვილის პოეტური ლექსიკის ერთ-ერთი თავისებურება ძველი, მივიწყებული სიტყვების გააქტიურებაა, რითიც დაუვიწყარ ხიბლს სძენს თავის ლექსებს:

არჯალი - ანჩხლი, ავი, კაპასი;

ირაო - უპატრონო, დაკარგული;

მარმაში - თხელი გამჭვირვალე ქსოვილი, ან ასეთი ქსოვილის სამოსი და სხვ.

ბუნებრივია, არც პოეტის განმარტებანი და არც ლექსიკონებიდან მოხმობილი შესაბამისი მნიშვნელობები მამანა ჩიტიშვილის ბეჭდურად გამოცემულ ლექსებს არ ახლავს და ამდენად ჩვენს სტატიაში წარმოდგენილი განმარტებანი ერთგვარ ლექსიკოლოგიურ კომენტარებად შეიძლება ჩაითვალოს, რაც ნათლად წარმოგვიდგენს ქართული სიტყვის ძალას, ხიბლსა და ღრმა მნიშვნელობებს, რითიც ასე მდიდარია მამანა ჩიტიშვილის პოეზია.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. სტატიაში განხილულია სხვათა სიტყვის ნაწილაკები ევიდენციალობის თვალსაზრისით. ევიდენციალობა უპირველესად ტექსტის კატეგორიაა და ტექსტში გადმოცემულ ინფორმაციასა და ინფორმანტს შორის დამოკიდებულებას გადმოგვცემს. ამის მიხედვით პირდაპირ აღქმული (ან მასთან გატოლებული) ინფორმაცია არაევიდენციალურია, ხოლო სხვა წყაროზე დამყარებული – ევიდენციალური. სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად ევიდენციალურობის გამომხატველად მიიჩნევენ სხვათა სიტყვებსაც. ეს საკითხი ქართულშიც მნიშვნელოვანია, კერძოდ, ევიდენციალობის თვალსაზრისით საინტერესო ენობრივ სურათს წარმოგვიდგენს -მეთქი, -თქო, ო ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი. როგორც ცნობილია, *-მეთქი* ნაწილაკი გამოიყენება მაშინ, როდესაც მთქმელი თავისივე ნათქვამს თუ ჩანაფიქრს იმეორებს ან გადასცემს მეორე პირს. *-თქო* ნაწილაკი გამოიყენება მაშინ, როდესაც მთქმელი პირი ავალებს მეორე პირს, რომ მან გადასცეს ნათქვამი მესამე პირს. *-ო* ნაწილაკი გამოიყენება მაშინ, როცა მთქმელი მესამე პირის ნათქვამს გადმოგვცამს. მოხსენებაში არის ცდა სხვათა სიტყვის ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი გაანალიზდეს სამი წევრის მიხედვით; ესენია: I. მთქმელი, II. ინფორმაციის მიმღები-განმმეორებელი-გადამცემი, III. ინფორმაციის მიმღები. ამ წევრებისათვის ნათქვამის მნიშვნელობა ევიდენციალობის თვალსაზრისით გარკვეულია იმის მიხედვით, თუ ვის მიემართება ნათქვამი და ინფორმაციის რა წყაროს ეყრდნობა იგი.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1)ავტორი/ავტორები
1. მაია ლომია

2)სტატიისსათაური, ISSN
1. მეგრული გაშაირების ტექსტის ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები, ISSN 2346-8106

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ქართველური ენათმეცნიერება, ტ. VI-VII, 2019-2020 (დაიბეჭდა 2021 წელს)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა
1. 9 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მოხსენებაში საუბარია მეგრული გაშაირების ტექსტზე, რომლის სამი ვერსია არსებობს; ერთ-ერთი ვარიაციის სახელდებაა *ჯამუ დო კოკეიხეშ ლერსი* „ჯამუ და კოკაიას ქალის (ასულის) ლექსი“. გაშაირების ექსტრალინგვისტური მონაცემები საინტერესოდ წარმოაჩენენ ტექსტის ჩაწერის ისტორიას, ტიპოლოგიურ და თემატურ მახასიათებლებს. ცნობილია, რომ მეგრულში, ენობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გამოიყოფა აღმოსავლური, ცენტრალური და დასავლური არეალისთვის დამახასიათებელი დიალექტური მეტყველება. საანალიზო ტექსტის ვარიაციები სამ სხვადასხვა არეალშია ჩაწერილი, დროში მცირეოდენი სხვაობით. ამ შემთხვევაში ტექსტის ენობრივი მრავალფეროვნების განმსაზღვრელია არა ქრონოლოგიური, არამედ არაეალური სხვადასხვაობა, რომელსაც ემყარება მეგრულის დიალექტური დაყოფა საერთოდ; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, რამდენადაც გაშაირება ლექსად დაწერილი ფოლკლორული ნიმუშია, როგორც ენობრივი ანალიზი გვიჩვენებს, მეგრული ლექსწყობის მკაცრად მოწესრიგებული სისტემის გამო, ტექსტში ყოველთვის არ არის ასახული დიალექტური სხვაობა; იგი ზოგჯერ ნიველირებულია. გაშაირების ტექსტის ანალიზი ცხადყოფს, ლინგვისტური მახასიათებლების გამოსაყოფად და საბოლოო სანდო დასკვნებისთვის რამდენად მნიშვნელოვანია ექსტრალინგვისტური მონაცემებიც.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

1. ქეთევან მარგიანი

2)სტატიისსათაური, ISSN

1. ეპისტემიკური მოდალობის ნაწილაკთა დისტრიბუცია სვანური ზმნის უღლების პარადიგმაში, ISSN 2346-8106

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ქართველური ენათმეცნიერება, ტ. VI-VII, 2019-2020 (დაიბეჭდა 2021 წელს)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

1. 6 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საკუთრივ ინფერენციული, საეჭვოობა-სავარაუდოობის გამომხატველი ნაწილაკები სვანურ ენაში რამდენიმეა. ეს მოდალური ლექსემები მხოლოდ თხრობითი კილოს ზმნურ ფორმებთან გამოიყენებიან და ანიჭებენ მათ ეპისტემიკურ მნიშვნელობას, რაც შეეხება სვანური ზმნის მოდალიზებულ ევიდენციალურ ფორმებს, რომლებიც აღნიშნულ სემანტიკას ორგანულად გამოხატავენ, ისინი საანალიზო ნაწილაკებს ვერ ითავსებენ.

ჩვენი აზრით, ინფერენციულ, ეპისტემიკური მნიშვნელობის მწკრივებთან ამ ნაწილაკების შეუთავსებლობის საფუძველი ის არის, რომ აღნიშნულ მწკრივთა კილო პირობითია (შდრ. ქართულის ვითარება: -**მცა** ნაწილაკი არ დაერთვის კონიუნქტიურ ფორმებს, ის თავად ანიჭებს თხრობითი კილოს ზმნებს კავშირებითობა-პირობითობას), ამ მწკრივთა ძირითადი ფუნქცია საეჭვოობა-სავარაუდოობის გამოხატვაა, რაც სპეციალურ მორფემას აკისრია. მაშასადამე, ენაში არსებობს მორფოლოგიური საშუალება საანალიზო სემანტიკის გამოსახატავად. შესაბამისად, დამხმარე ლექსემების პრეროგატივა საეჭვოობა-სავარაუდოობის სემანტიკის მხოლოდ თხრობითი კილოს ზმნებთან ერთად აღწერითად

გადმოცემაა. ისინი მხოლოდ ინდიკატიურ ზმნურ ფორმებთან გამოიყენება. როგორც ჩანს, თხრობითი კილო, რომელიც ნეიტრალურია, ნაკლებ პრეტენზიულია დამხმარე, ლექსიკურ საშუალებებთან დაწყვილების თვალსაზრისით, ხოლო კავშირებითი და პირობითი, სწორედ სპეციფიკური სემანტიკის გამო, ამ მხრივ გარკვეულწილად შეზღუდულია.

ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ნაწილაკებისა და ზმნური ფორმების აღნიშნული სემანტიკური ურთიერთმიმართების გაუთვალისწინებლობა (ზმნების თავისუფალი ჩანაცვლება) შესაძლოა სტილური ანომალიისა და ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველიც კი გახდეს.

1)ავტორი/ავტორები

1. **ქეთევან მარგიანი (**თანაავტორები: იზა ჩანტლაძე, **რუსუდან ზექალაშვილი**, ნანა ოდიშელი-ძე),

2)სტატიის სათაური, ISSN

1. გერმანელ ეთნოლინგვისტთა ღვაწლი ქართველოლოგიაში
   ISSN 1987-65-72

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ტ. XLVIII, 2020 (დაიბეჭდა 2021 წელს)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

1. 11 გვერდი
   https://ice.ge/of/wp-content/uploads/2021/04/IKE-48-1-265-%E2%80%93-2020.pdf

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **სალომე ომიაძე**

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ტექსტის ორდონიანი სტრატიფიკაციისათვის აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ – ISSN 2346-8106

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება, VI.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი: თსუ გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

1. 5 გვ. (გვ. 113-117).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აკაკი შანიძე „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (მორფოლოგია) გარდა ძირითადი რუბრიკაციისა, რაც თავების, ქვეთავებისა და პარაგრაფების გამოყოფას გულისხმობს, ტექსტის ორდონიან სტრატიფიკაციას მიმართავს და აქტიურად იყენებს **შენიშვნებს**, რომლებიც მთავარი სათქმელის გასაგებობას ემსახურება.

ჩვენ მიერ განსახილველი ნაშრომის ძირითადი ტექსტი ახალი ქართული ენის მორფოლოგიურ სტრუქტურას აღწერს, შენიშვნებში მოქცეული ზოგადლინგვისტური ინფორმაციის დიდი ნაწილი კი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებს ეხება. სტატიაში გაანალიზებულია შენიშვნებში განხილული ძველისა და საშუალი ქართულის მასალა, მონათესავე ენებისა თუ ცოცხალი კილოების მონაცემები, უცხო ენათა გავლენები, ლინგვოკულტურული ინფორმაცია, სინტაქსური ცნობები, რომლებსაც ავტორი კონკრეტული მორფოლოგიური საკითხის გასაშუქებლად იშველიებს.

კვლევამ ცხადყო, რომ აკაკი შანიძის შენიშვნები დიდად სხვაობს სხვა სამეცნიერო ტექსტებში ჩართული შენიშვნებისაგან, რომლებიც მართლაც მეორე რიგის ტექსტური ნიშნებია, რადგან დამატებით ცნობებს შეიცავს მანამდე თქმულთან დაკავშირებით. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების“ შენიშვნები კი მხოლოდ ვიზუალური, პოლიგრაფიული სტრატიფიკაციით თუ შეიძლება მივაკუთვნოთ მეორე დონის ტექსტებს, რადგან უმეტეს შემთხვევაში მათ ე. წ. ძირითადი ტექსტის ტოლფარდი ღირებულება აქვთ და მის სრულფასოვან ნაწილს წარმოადგენენ, რისი გათვალისწინებაც მართებთ როგორც სტუდენტებს, ასევე იმ ავტორ-შემდგენლებს, რომლებიც აკაკი შანიძის სამეცნიერო-დიდაქტიუკური ტექსტების კომპრესიის გზით ქმნიან ახალ სახელმძღვანელოებს.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. რუსუდან ზექალაშვილი

2. რუსუდან ზექალაშვილი

3. რუსუდან ზექალაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. კოლოკაციათა სახეები და ფუნქციები ქართულ-გერმანულ ლექსიკონში. ISSN 2346-8106

2. ეთნოკულტურული რეალიები ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში. ISSN 1512-0953 (სტამბაშია, მაქვს რედაქტორის ცნობა)

3. ისაკ შამელაშვილის გამოუქვეყნებელი ნაშრომი ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ. ISBN ტექსტი: ისაკ შამელაშვილი, ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველება, 1959 (სტამბაშია).

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ქართველური ენათმეცნიერება – სამეცნიერო შრომების კრებული, VI-VII, ეძღვნება აკად. აკაკი შანიძეს, 2019-2020 (გამოიცა 2021 წელს)

2. ქართველური მემკვიდრეობა, XXV

3. დიალექტოლოგიური კრებული 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თსუ გამომცემლობა

2. ქუთაისი, აწსუ გამომცემლობა

3.თბილისი, თსუ გამომცემლობის სტამბა

5) გვერდების რაოდენობა
1. 11 გვ. (გვ. 168-178; 327-328)
2. 9 გვ. (გვ. 123-132)
3. 4გვ. (გვ. 108-111)+ 18გვ.- გამოსაცემად მომზადებული ტექსტი (გვ. 90-108).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კოლოკაციათა სახეები და ფუნქციები ქართულ-გერმანულ ლექსიკონში

სტატიაში ლაპარაკია კოლოკაციის განმარტებაზე, მის როლზე თარგმნითს ლექსიკონებსა და უცხო ენათა სწავლების პროცესში. გამოყოფილია კოლოკაციათა ძირითადი ტიპები: პირველ ჯგუფში მოცემულია ზედსართავი და არსებითი სახელებისაგან ან მხოლოდ არსებითი სახელებისგან შედგენილი კოლოკაციები: A(ATTR)+N; A+A; N(gen)+N; ზმნური კოლოკაციები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი სახელია: N(SUBJ)+V; (SUBJ)+V(pass); N (OBJA)+V; N(OBJD)+V; V+N+Post; ბოლო ქვეჯგუფია ზმნიზედური კოლოკაციები: Adv+V. ზმნებთან არსებითი სახელები გამოყენებულია პირდაპირი ან ირიბი ობიექტის ფუნქციით, ზოგჯერ უბრალო დამატების ან გარემოების ფუნქციითაც: V+N (nom); V+N (dat); V+N (inst) ან V+N+Post; Adv+V.

ხაზგასმულია, რომ კოლოკაციათა შერჩევა სალექსიკონო ერთეულისთვის დამოკიდებულია როგორც ამოსავალი, ისე სათარგმნი ენების სპეციფიკაზე და ეხმარება მომხმარებელს სიტყვათა სემანტიკური შეხამების უნარის გარკვევაში.

ნაშრომში გამოყოფილია ქართულ-გერმანულ ლექსიკონში (2009; 2015) გამოყენებულ კოლოკაციათა ტიპები და დასახელებულია სათანადო მაგალითები. სტატისტიკური მონაცემებით გამოვლენილია, რომ განხილულ ლექსიკონში ყველაზე ხშირად გვხვდება გენიტიურმსაზღვრელიანი კოლოკაციები, რომელთა ერთი ნაწილი მყარი ან ტერმინოლოგიური შესიტყვებებია. ეს ახსნილია ქართულ ენაში მასდარის ფორმით ზმნების წარმოდგენის საჭიროებით. გერმანული ზმნური კოლოკაციები წარმოდგენილია ინფინიტივთან მდგარი სახელით (უმეტესად - დამატების ფუნქციით), ქართულ ენაში კი ასეთ შემთხვევებში საჭიროა მასდარი, რის გამოც გერმანული ზმნა (ინფინიტივი) ჩანაცვლებულია მასდართან გენიტიური შესიტყვებებით. ქართულ ლემებთან ამიტომ ჭარბობს დამატებისებრი (ზოგჯერ ქვემდებარისებრიც) და უბრალო დამატების შემცველი გენიტიური კოლოკაციები.

ამას გარდა, ლექსიკონში კონკრეტულ სალექსიკონო ერთეულთან დადასტურებულია ქართული და გერმანული ენების კოლოკაციათა ტიპების ასიმეტრია, რაც განპირობებულია მოცემულ ენათა მორფოლოგიური წყობის თავისებურებებით. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა მდიდარია კომპოზიტებით, გერმანულში რთულ სიტყვათა რაოდენობა გაცილებით მეტია, რომელთა ტიპები ხშირად ქართულისგან სრულიად განსხვავებულია. ამიტომაც აშკარაა ლექსიკონში გერმანულ კომპოზიტთა სიჭარბე, რამაც გამოიწვია ქართულ განსამარტ სიტყვებთან კოლოკაციათა დიდი რაოდენობა.

ლექსიკონში დასახელებული ყველა ტიპის კოლოკაცია ლემის სემანტიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა და თარგმნითი ეკვივალენტების დამაზუსტებელ-შემავსებელია.

2. ქართული ეთნოკულტურული რეალიები ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში

ნაშრომში განხილულია ეთნოკულტურულ რეალიათა მნიშვნელობა სხვადასხვა ენაში და მათი თარგმნის სირთულეები ლექსიკონის შედგენისას. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ სიტყვების ზუსტი ეკვივალენტები სხვა ენაში არ არსებობს. ეს საკითხი პრობლემურია ყველა ენის თარგმნითი ლექსიკონის შედგენისას.

მოყვანილია ლინგვისტთა განსხვავებული მოსაზრებები ეთნოკულტურული ლექსიკის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ამ ტიპის ლექსიკური ფენის თარგმნის სპეციფიკა გაანალიზებულია

ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში (კ. ჩხენკელი 1965-1974; რ. ზექალაშვილი 2009) და გამოყოფილია თემატური ჯგუფები ეთნოკულტურული შინაარსის სიტყვებში (რომელთა ნაწილი წარმოშობით არაა ქართული):

დღესასწაულების სახელები: ხატობა, ბზობა მარიამობა, გიორგობა...

ადათ-წესების, ტრადიციებისა და მათთან დაკავშირებული საგნების სახელები: ქადაგი, თამადა, სადღეგრძელო, ყანწი...

სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული სახელები: თონე, ქვევრი, საწნახელი...

კერძებისა და ტკბილეულის სახელები: ხინკალი, ხაჭაპური, საცივი, სულგუნი, გოზინაყი, ჩურჩხელა...

სამოსისა და ფეხსაცმელის დასახელებები: ჩოხა-ახალუხი, ქალამანი, ნაბადი...

მუსიკალური საკრავების სახელები: ფანდური, ჩონგური, ჭიანური, გუდასსტვირი...

ცეკვებისა და სიმღერების სახელები: სამაია, ხორუმი, იავნანა...

გართობებისა და თამაშების დასახელებები: ბერიკაობა, ლახტი (ლახტაობა), კუკუდამალობანა, დახუჭობანა...

ზღაპრების პერსონაჟთა და ჯადოსნურ ნივთთა სახელები: ნაცარქექია, კუდიანი დედაბერი... უჩინმაჩინის ქუდი, ნატვრის თვალი...

საალერსო სიტყვები: შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე...

შესაბამისი ლექსიკური ერთეულების ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ დასახელებულ ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში ეთნოკულტურულ რეალიათა სათარგმნად გამოყენებულია რამდენიმე საშუალება: ა) ტრანსლიტერაციით შეტანილი სიტყვის განმარტებები; ბ) რეალიის შინაარსის დეტალური ახსნა ტრანსლიტერაციის გარეშე (ან კალკირებული თარგმანი); გ) გერმანულ ენაში უკვე არსებული მსგავსი შინაარსის ლექსიკური ერთეულები.

3. **ისაკ შამელაშვილის გამოუქვეყნებელი ნაშრომი ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2021. გვ. 108-111** (ტექსტი: 90-107).

სტატიაში ხაზგასმულია საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა მეტყველების შესწავლის მნიშვნელობა ზოგადთეორიული და დიალექტოლოგიური თვალსაზრისით. დასახელებულია ძირითადი ნაშრომები ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ (რეუბენ ენოხის, გერშონ ბენ-ორენის, ვოლფ მოსკოვიჩის, თ. ლომთაძის, ს. გუმბერიძის...).

განხილულია პროფ. რაფიელ შამელაშვილის პირად არქივში შენახული ახალგაზრდა მეცნიერის, ისაკ შამელაშვილის, გამოუქვეყნებელი ნაშრომი: „ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველება“ (1959წ.), რომლის ხელმძღვანელი იყო დოც. ქეთევან ძოწენიძე.

ხელნაწერი გამოსაცემად მომზადდა და მთლიანი ტექსტი პირველად იბეჭდება. ნაშრომში შესწავლილია ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებები. განხილულია ნაშრომის სტრუქტურა: შესავალი და რამდენიმე თავი (ფონეტიკური მოვლენები; მორფოლოგიური მოვლენები; სინტაქსის საკითხები და ლექსიკური თავისებურებები).

ისაკ შამელაშვილი ყურადღებას ამახვილებს სახელთა ბრუნების სპეციფიკაზე, თანდებულთა და ნაცვალსახელთა განსხვავებულ ფორმებზე, ზმნებში თემის ნიშნების ჩანაცვლებაზე (ავ > ამ, ებ > ევ), თურმეობითის ფორმებში ნ- ბგერის ჩართვაზე და სხვ. ხაზგასმულია ავტორის საინტერესო დაკვირვებაზე -ვე//-ე ზმნური ნაწილაკის ერთი ფუნქციის შესახებ, კერძოდ, ირიბი, პირდაპირი ან რეალური ობიექტების მრავლობითობის ჩვენებაზე.

მართებულადაა მიჩნეული ავტორის მიერ ამ ფორმანტის დაკავშირება ქართული ენის დიალექტებში გამოყენებულ -ყე-ნაწილაკთან. საბოლოოდ აღნიშნულია, რომ ენობრივი მასალა სწორადაა ინტერპრეტირებული და საინტერესოა პარალელები ქართული ენის სხვა დიალექტებთან.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **ლელა ციხელაშვილი**

2) სტატიის სათაური, ISSN

1. გრამატიკული ცვლილების ერთი ტიპი *მარუქის წიგნის* ქართულ ვერსიებში, ISSN 2667-9051

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. „**ლოგოსი**“, რეცენზირებადი წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, #7

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი: „ლოგოსი“

5) გვერდების რაოდენობა

1. 28 გვერდი (გვ. 204-231)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

https://logos.tsu.ge/index.php/logos/about

სტატიაში განხილულია ბერძნულით განპირობებული მორფოსინტაქსური ცვლილებების ერთი ტიპი, რომელიც გამოიკვეთა *მარუქის* წიგნის ძველი ქართული თარგმანისა (ოშკისა (O, 978 ს.) და იერუსალიმის (J, XI ს.) ბიბლიები) და გელათური ვერსიის ტექსტების (გელათის (G, XII ს.), საბასა (S, XIII ს. დამდეგი) და ბაქარის (B, 1743 წ.) ბიბლიები) შედარებისას. ორივე ვერსიის მიზანია ბერძნულიდან ზუსტად, ადეკვატურად თარგმნა, მაგრამ ძველი მთარგმნელები უფრო ითვალისწინებენ ქართული ენის ბუნებას, სტილს, ხოლო გელათური თარგმანი მაქსიმალურად იცავს დედანთან ფორმობრივ-სტრუქტურულ სიახლოვეს. ამიტომ ძველი თარგმანის ირიბდამატებიანი სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც უფრო ბუნებრივია ქართული ენისათვის, გელათურ თარგმანში დამატების თანდებულიანი კონსტრუქციით იცვლება (ბარუქი 1:7 LXX *ἀπέστειλαν ... πρὸς Ιωακιμ*; OJ *მიუძღუანეს ... იოაკიმს;* GaSB *წარგზავნეს ... იოაკიმის მიმართ*). გელათელი მთარგმნელ-რედაქტორი ცდილობს ახალ კონსტრუქციას მოარგოს ზმნაც სინტაქსური კონტამინაციის თავიდან ასარიდებლად.

ძირითადად, ძველი ქართული თარგმანის იმ ირიბი ობიექტის ტრანსფორმაცია ხდება უბრალო თანდებულიან დამატებად, რომელიც ფუნქციურად საობიექტო ვერსიის ზმნის ადრესატს, ბენეფაქტივს წარმოადგენს. ქართულს, როგორც ვერსიის გრამატიკული კატეგორიის მქონე ენას, შეუძლია აღნიშნული ფუნქციის სინთეზურად გამოხატვა, მაშინ როდესაც ბერძნული ამას მოკლებულია და საობიექტო ვერსიის სემანტიკის გამოხატვა ოდენ ანალიზურად ძალუძს.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **ქეთევან გოჩიტაშვილი,** გიული შაბაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. კრიტიკული აზროვნების განვითარების მნიშვნელობა და სტრატეგიები საბაკალავრო საფეხურის აკადემიური წერის კურსის ფარგლებში, ISSN 1987-7323

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ენა და კულტურა, #25

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, ქუთაისი

5) გვერდების რაოდენობა
1. 147-159

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კრიტიკული აზროვნება რთული ფენომენია, რომელიც ეხმარება შემსწავლელს გამიჯნოს რელევანტური ინფორმაცია არარელევანტური და არასაჭირო ინფორმაციისაგან, რათა შეაფასოს და ახსნას მოვლენები, კრიტიკულად, ობიექტურად ჩამოაყალიბოს ცხადი არგუმენტი, მიაწოდოს სწორი გზავნილი სამიზნე აუდიტორიას და იპოვოს პრობლემის გადაწყვეტის გზები. კრიტიკული აზროვნება უშუალოდ უკავშირდება აკადემიური წერის სწავლებას და არის ტრანსფერული უნარი, რომელიც სტუდენტებს სხვა სასწავლო კურსების წარმატებით დაძლევასა და შემდგომში პროფესიულ საქმიანობაში ეხმარება. ნაშრომის მიზანია იმ გამოწვევებისა და პრობლემების გამოვლენა, რომელთა წინაშეც ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში დგას როგორც ლექტორი, ისე სტუდენტი აკადემიური წერის სწავლა/სწავლების პროცესში კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ნაშრომში შემოთავაზებულია ამოცანების გადაჭრის საშუალებები და კონკრეტული აქტივობები. ნაშრომი სთავაზობს მასწავლებლებს ძირითად სტრატეგიებსა და ტექნიკებს, რომელთა გამოყენებაც შეიძლება სასწავლო პროცესში კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი კვლევის მეთოდები: კითხვარები და საკლასო დაკვირვება.

კვლევის შეზღუდვებად შეიძლება დასახელდეს შემდეგი ფაქტორები: სტუდენტთა შედარებით მცირე რაოდენობა; კვლევა განხორციელდა მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში.

კითხვარების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სტუდენტებისთვის პრობლემად რჩება კრიტიკულ აზროვნებასა და წერასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები: ობიექტური კრიტიკული აზრის ჩამოყალიბების უნარის ნაკლებობა, წყაროების სანდოობის დადგენა, ძირითადი დებულების/საკვლევი შეკითხვების ჩამოყალიბება, განზოგადება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა და ძირითად საკითხზე კონცენტრირება, წინასწარი ვარაუდების გამოთქმა და ლოგიკური თანმიმდევრული დასკვნების გამოტანა და ჩამოყალიბება.

ნაშრომში შემოთავაზებულია კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის განკუთვნილი კონკრეტული აქტივობები და შეკითხვები, რომლებიც ტექსტის ან ინფორმაციის დასამუშავებლადაა საჭირო.

აღნიშნული მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება კურსის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე უნდა გააქტიურდეს. მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეიმუშაოს და დაგეგმოს, თუ რა ტიპის აქტივობას გამოიყენებს აკადემიური წერის სწავლების პროცესში კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზნით. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი აქტივობები უნდა ერწყმოდეს აკადემიური წერით გათვალისწინებულ ყველა დავალებასა და აქტივობას თემატიკის მიხედვით. როდესაც სტუდენტი წერს ვრცელ ესეს, მან უნდა მოიძიოს თეორიული და ემპირიული მასალა. ამ პროცესში სტუდენტმა უნდა აითვისოს წყაროებზე მუშაობის ტექნიკები, წყაროების

სანდოობისა და მათი მიზანთან რელევანტურობისა და შესაბამისობის დადგენის კრიტერიუმები. გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა შეძლოს დიდი მოცულობის მასალის დამუშავება, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა, სხვათა მოსაზრებებისა და მოძიებული ინფორმაციის პერიფრაზირება და საკუთარ ტექსტში ინტეგრირება აკადემიური ნორმების გათვალისწინებით. გარდა ამისა, სტუდენტმა უნდა შეძლოს მოძიებული მასალის შეფასება და საკუთარი პოზიციის წარმოჩენა და არგუმენტირება.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ანა ხარანაული

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
ქართველური ენათმეცნიერება (სამეცნიერო შრომების კრებული), ეძღვნება აკ. შანიძეს, VI-VII, 2021 „თარგმანის ტექნიკის ხერხები *(ტრანსკრიბცია, ტრანსლაცია, იმიტაცია, სიმულაცია, ემულაცია, ინტერპრეტაცია)* და ენის განვითარების საშუალებები ძველი აღთქმის უძველესი თარგმანების მაგალითზე“
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი

4) გვერდების რაოდენობა
281-292

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. ანა ხარანაული - ეპიფანე კვიპრელის ძველი აღთქმის წიგნთა ინდექსები ქართულ წყაროებში
2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 7.
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი, საქართველოს საპატრიარქო, 2021,

4) გვერდების რაოდენობა
103-152

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1. **ლელა ციხელაშვილი**

სტატიის სათაური
The Influence of Septuagint Greek on the Means of Expression of the Objective Version in Georgian Biblical Translations

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. General and Specialist Translation / Interpreting: Theory, Methods, Practice: International Conference Papers.. The book contains papers contributed by the participants of the 14th International Conference on theory and practice of translation / interpreting held at the National Aviation University (Kyiv, Ukraine) on 9 - 10 April 2021. ISBN 978-617-646-495-2

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. კიევი, უკრაინა: "Agrar Media Group"

4) გვერდების რაოდენობა
1. გვ. 338-345

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
https://er.nau.edu.ua/handle/NAU/50140
https://dspace.nau.edu.ua/bitstream/NAU/50140/1/2021%20GSTI%20Conference%20Proceedings-338-345.pdf

ქართული სალიტერატურო ენის ფორმირებაზე ყველაზე დიდი გავლენა ბერძნულმა მოახდინა. ბერძნულიდან, როგორც განსხვავებული გრამატიკული სისტემის მქონე ენიდან, თარგმნა ყოველთვის პრობლემას უქმნიდა ქართველ მთარგმნელ-რეცენზენტებს.
სტატიის მიზანია, გაირკვეს, პოსესიურ-ბენეფაქტიური მიმართების გამოხატვის სინთეზური და ანალიზური საშუალებებიდან რომელს ანიჭებდა უპირატესობას ქართველი მთარგმნელი: ქართულისთვის ბუნებრივ სინთეზურ წარმოებას, რომელიც უცხო იყო ბერძნულისთვის, თუ - ანალიზურს. სამი წინასწარმეტყველის (მიქია, ზაქარია, ბარუქი) წიგნების ძველი და ელინოფილური პერიოდის თარგმანების/რედაქციების შედარებისას გაირკვა, რომ ძველი თარგმანი (X-XI სს.) უპირატესობას ანიჭებს სინთეზურ წარმოებას, ხოლო ელინოფილური პერიოდის რედაქცია (XII –XIII სს.), ბერძნულის მსგავსად, ანალიზურს.

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. **Ramaz Kurdadze** (co-authors: **Maia Lomia, Ketevan Margiani)** / **რამაზ ქურდაძე** (თანაავტ.-ები: **მაია ლომია, ქეთევან მარგიანი**)

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. On One Type of Negative Sentence in the Original Text of "The Knight in the Panther's Skin" and its English Translation (ერთი სახის უარყოფითი წინადადების შესახებ „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალურ ტექსტსა და მის ინგლისურ თარგმანში), ISBN 978-617-646-495-2

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. General and Specialist Translation / Interpreting Theory Methods Practice, 2021, pp. 249-256

4) გამოცემისადგილი, გამომცემლობა
1. Kyiv, Agrar Media Group

5) გვერდებისრაოდენობა
1. 8 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია *არ* ნაწილაკ-მორფემოიდით ნაწარმოები უარყოფითი მნიშვნელობის ოკაზიონალური სიტყვები „ვეფხისტყაოსანში", რის შედეგადაც გამოყოფილია ორი ჯგუფი: ა. როდესაც ცალკე, ზმნასთან დაუკავშირებლად გამოყენებული ამგვარი სიტყვები ჩვეულებრივ უარყოფას გამოხატავენ ლექსიკურად, უქონლობა ლოგიკურად დადებითადაა გადმოცემული და წინადადება მტკიცების მიხედვით წართქმითია; ბ. ამგვარი სიტყვები გამოყენებულია შედგენილი შემასმენელის სახელად ნაწილად, არ ნაწილაკი წინადადების პრედიკატულ ცენტრს უკავშირდება და წინადადება მტკიცების მიხედვით უკუთქმითია. ეს ორივე შემთხვევა განხილულია *არდამზრალი* და *არდამზრალი-*

ა ტიპის ნიმუშებით ქართული ორიგინალური ტექსტისა და მისი ინგლისური სიტყვასიტყვითი თარგმანის მიხედვით; კერძოდ, *არდამზრალი* და *არდამზრალი-ა* ფორმების მონაწილეობით შესაძლებელია წართქმითი და უკუთქმითი წინადადების ზუსტი კვალიფიკაციის ერთგვარი ტესტირება. ზემოაღნიშნული ჯგუფების გამოყოფის მართებულება დადასტურებულია ამავე პოემის ინგლისურენოვანი თარგმანით.

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. **სალომე ომიაძე**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Gluttonyms as Components of the Georgian Invective Discourse (გლუტონიმები ქართული ინვექტიური დისკურსის კომპონენტებად) - **ISBN 978-617-646-495-2**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. General and Specialist Translation / Interpretation: Theory. Methods. Practice". XIV International Conference Papers – „სპეციალური და მხატვრული თარგმანი: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა" – XIV საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Kyiv: Agrar Media Group (კიევი: აგრარმედიაჯგუფი)

5) გვერდების რაოდენობა
1. 5 გვ. (გვ. 178-182).
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. Gluttonyms as Components of the Georgian Invective Discourse (გლუტონიმები ქართული ინვექტიური დისკურსის კომპონენტებად); **ანოტაცია:** ფოლკლორული მასალის, სასაუბრო მეტყველების, თანამედროვე მედიადისკურსისა და პროზაული ტექსტების ჩვენ მიერ წარმოებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ინვექტივამ, როგორც სიტყვიერი აგრესიის ფორმამ, უარყოფითი ემოციის გამოხატვის ფუნქცია შეინარჩუნა თანამედროვე დისკურსშიც, თუმცა გამოყენების არე გაიფართოვა და ობსცენური თვალსაზრისითაც უფრო მძაფრი გახდა. გამოვყავით ინვექტივის შემდეგი ჯგუფები: ობსცენური ლექსიკა; ობსცენიტების შემცველი ლანძღვა-გინების ფორმულები; წყევლის ფორმულები (ისინი უხამს ლექსიკას არ შეიცავს, მაგრამ ადრესატისადმი მიმართული აგრესია შიშსა და უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს); კაფიები; მუქარის ფორმულები და ბოლოს იმ ტიპის კონტექსტები, რომლებშიც აგრესიაზე მეტად წინ არის წამოწეული უპატივცემულო დამოკიდებულება.

გლუტონიმების მონაწილეობით შექმნილი კონტექსტები („ზურაბიშვილის მეორე ტურში გამარჯვება არა, **იხვის ტოლმა**..."; „ხმების 62 % არა, **ფლავი**!"; „60 %-ს კი არა, **ბუს კვერცხებს** აიღებს ეგ პარტია" და მისთ.) ძირითადად სწორედ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნება, როცა უპატივცემულო დამოკიდებულებას აგდებული ტონით, დაცინვით გამოხატავენ, ამგვარი კომუნიკაციური ქცევაც აგრესიის ერთგვარ სახესხვაობად უნდა მივიჩნიოთ. სტატიაში ასევე გაანალიზებულია გლუტონიური ერთეულების შემცველი წყევლის ფორმულები და მათ მიმსგავსებული სარკასტული გამონათქვამები -

„**მჭადი** მოგანატრა ღმერთმა!“; „**ლობიო** მოხარშულიყოს შენს სახლში აღდგომა დღეს!“; „შენს **თონეში** ჭინჭარიმც ამოსულა!“; „შენი **ქელეხი** მეჭამოს!“ ... „**ცხვარი** ჰყავს ფეხზე გამობმული“, „**ფლავისა** და **ლობიოს** სუნი მცემს“, „**შილაფლავის** სუნი ასდის“ და სხვ. ჩვენ მიერ წარმოდგენილი მცირე მასალის ანალიზიც კი ცხადყოფს, რომ ამგვარი ენობრივი ერთეულების თარგმნას მეტი სირთულე ახლავს (მით უფრო, რომ ბევრი ინვექტიური ლექსემა თუ ენობრივი ფორმულა არცერთ ქართულ ლექსიკონში არ დასტურდება) და მთარგმნელისაგან არა მხოლოდ ენობრივ, არამედ ლინგვოკულტურულ კომპეტენციას მოითხოვს.

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. **რუსუდან ზექალაშვილი**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. აწმყოსა და მყოფადის ფორმების ტრანსსემანტიზაცია ქართულ თარგმანებში.

ISBN 978-617-646-495-2

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ზოგადი და სპეციალური თარგმანი / ინტერპეტაცია: თეორია, მეთოდები, პრაქტიკა: საერთაშორისო კონფერენციის მასალები.

Матеріали міжнародної науково-практичної конференції «Фаховий та художній переклад: теорія, методологія, практика» 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. კიევი: ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტი

5) გვერდების რაოდენობა

1. 7გვ. (გვ. 215-221)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აწმყოსა და მყოფადის ფორმების ტრანსსემანტიზაცია ქართულ თარგმანებში

წარმოდგენილი სტატია ეხება ზმნის დროის ფორმათა სემანტიკის საკითხებს და მათი გამოხატვის საშუალებებს ევროპული ენებიდან ქართულ ენაზე თარგმნისას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აწმყოსა და მყოფადის ფორმების ტრანსსემანტიზაციას, როდესაც ზმნის ფორმა და შინაარსი ერთმანეთს სცილდება. ასეთ ფორმებს ისტორიულ ან ნარატიულ აწმყოს//მყოფადს უწოდებენ. მათი მეშვეობით თხრობა უფრო ექსპრესიული და დინამიკური ხდება, აისახება მოვლენების სწრაფი ცვლილება; ზმნის აწმყო-მყოფადის გამოყენება ზოგჯერ შეიძლება ჩაითვალოს ავტორის ინდივიდუალური სტილის მახასიათებლად, რომელიც მიზნად ისახავს, თხრობაში მრავალფეროვნება შეიტანოს.

საილუსტრაციო მასალად განხილულია ნობელის პრემიის ლაურეატი მწერლის, ოლგა ტოკარჩუკის, ლიტერატურული ნაწარმოებების ქართული თარგმანები (პოლონურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა). ორიგინალური ტექსტების სტილისტიკურ-მორფოლოგიური თავისებურებების შესანარჩუნებლად ამ თარგმანებში ხშირადაა დაცული ორიგინალის ზმნათა დროითი ფორმები. მართალია, აწმყოს ან მყოფადის გამოყენება წარსულის სემანტიკით შედარებით იშვიათია ქართულ

ენაში, მაგრამ მაინც დადასტურდა ორიგინალურ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რაც ამართლებს მათს გამოყენებას თარგმანებშიც.

ოლგა ტოკარჩუკის რომანის თარგმანში სრულადაა გამოყენებული ქართული ენის შინაგანი პოტენციალი, რაც მოწმობს იმის შესაძლებლობასაც, რომ ქართულსაც აქვს უნარი, აწმყოს (ანუ მყოფადის) ფორმებით აღნიშნოს წარსულში მიმდინარე მოქმედებები. მრავალი სხვა ენის მსგავსად ამ სახის ზმნურ ფორმებს შეიძლება ეწოდოს ისტორიული ან ნარატიული აწმყო//მყოფადი. ის მატებს თხრობას ექსპრესიასა და დინამიკას და გამოიყენება ტექსტში თხრობის გამოსაცოცხლებლად. დაკვირვებით გამოვლინდა, რომ ზოგჯერ ორიგინალში აწმყოს ფორმის ზმნები დომინირებდა, ქართულში კი მთარგმნელმა არჩია მყოფადი, რათა თავიდან აეცილებინა ომონიმია და ორაზროვნება. მოძებნილია ამის მიზეზიც: ქართულ ენაში აწმყოში ზმნისწინის არქონა, რაც აბუნდოვანებს თხრობას და ამიტომ მთარგმნელს უბიძგებს, აირჩიოს მის ნაცვლად მყოფადი.

საბოლოოდ გამოტანილია დასკვნა, რომ ქართული თარგმანების ენაში მყოფადის ფორმები ზოგჯერ გადმოსცემს წარსულის მოქმედებებს, რითაც მიღწეულია თხრობის დინამიკურობა და ინტენსიურობა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **დარეჯან თვალთვაძე**

2) მოხსენების სათაური
1. **პარატექსტები ოთხთავის ძველ ქართულ ხელნაწერებში**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 31 მარტი, 2021 წ
2. თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

გამოქვეყნდა მოხსენებათა თეზისები ქართულ და ინგლისურ ენებზე.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები“, მიძღვნილი პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი, თბილისი, 31, 03.2021. (ინდექსირებულია Google Scholar-ში)

7.1.2

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
დარეჯან თვალთვაძე
2) მოხსენების სათაური
კოლოფონი, როგორც ოთხთავის პარატექსტი და მისი რედაქციები ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 5-7 ივლისი, 2021
2. თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

გამოქვეყნდა მოხსენებათა თეზისები. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი (ინდექსირებულია Google Scholar-ში)

7.1.3

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
დარეჯან თვალთვაძე
2) მოხსენების სათაური
სახარება-ოთხთავის სტიქომეტრიასთან დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 13-14 აპრილი, 2021.
2. თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

დაიბეჭდა კონფერენციის პროგრამა და თეზისები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის და გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოების მიერ ერთობლივად ჩატარებული სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ქართული ენის დღისადმი (გვ. 14-15).

7.1.4

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
დარეჯან თვალთვაძე

2) მოხსენების სათაური
ძველი ქართული ხელნაწერი ოთხთავების სტიქომეტრიის შესახებ
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 26 თებერვალი, 2021.
2. თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

დაიბეჭდა კონფერენციის პროგრამა და მოხსენებათა თეზისები. აკაკი შანიძის დაბადებიდან 134-ე წლისთავისდმი მიძღვნილი თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, 2021 წლის 26 თებერვალი (გვ. 4-5)

7.1.5

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

დარეჯან თვალთვაძე

2) მოხსენების სათაური

„ვითარ იგი ბერძულად არს“ - რამდენიმე საკითხი სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ისტორიიდან

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 28 იანვარი, 2021.
2. თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

დაიბეჭდა კონფერენციის პროგრამა და მოხსენებათა თეზისები - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი სემიტოლოგ-ებრაისტ მაკა გოცირიძის 65-ე წლისთვისადმი, თბილისი, 28 იანვარი, 2021 (გვ. 22-23).

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

1. **რამაზ ქურდაძე (თანაავტ. მაია ლომია)**
2. **რამაზ ქურდაძე (თანაავტ.-ები: მაია ლომია, ქეთევან მარგიანი)**
3. **რამაზ ქურდაძე (თანაავტ.-ები: მაია ლომია, ქეთევან მარგიანი)**
4. **რამაზ ქურდაძე**
5. **რამაზ ქურდაძე**
6. **რამაზ ქურდაძე**
7. **რამაზ ქურდაძე** (თანაავტ.- ები: **მაია ლომია, ქეთევან მარგიანი**, ნინო ჭუმბურიძე)

2) მოხსენების სათაური

1. არა/არ ნაწილაკიანი ზმნური და სახელური მოდელები „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ ტექსტსა და ინგლისურენოვან თარგმანებში.
2. ერთი სახის უკუთქმითი წინადადების შესახებ „ვეფხისტყაოსანში“.
3. ნ თანხმოვნის შემცველი უარყოფითი ნაწილაკების შესახებ ქართველურ და ინდოევროპულ ენებში (საკითხის დასმის წესით).
4. ბარბარიზმებისა და ბარბარიზმების ლექსიკონის შესახებ.
5. კონტრონიმების, ანუ ერთი სახის ლექსიკური ერთეულების შესახებ ქართულში.
6. ზოგი ქართული ნათესაური ტერმინის გენდერული ასპექტი და ქართულის როგორც მეორე ან უცხო ენის სწავლების საკითხები.

7. *არ* და მისი ფარდი ნაწილაკები ზმნურ ფორმებთან ქართველურ ენებში: სემანტიკური დიფერენციაციის საკითხი.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2021 წლის 8 იანვარი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საჯარო სხდომა მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი (ჩატარდა ზუმის პლატფორმაზე).
2. 2021 წლის 10 თებერვალი, თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, აკად. ქეთევან ლომთათიძის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა (ჩატარდა ზუმის პლატფორმაზე).
3. 2021 წლის 26 თებერვალი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საჯარო სხდომა, მიძღვნილი აკადემიკოს აკაკი შანიძის ხსოვნისადმი (ჩატარდა ზუმის პლატფორმაზე). პროგრამისა და თეზისების ბმული: https://old.tsu.ge/data/file_db/faculty_humanities/ak_shan_gard.pdf
4. 2021 წლის 13 აპრილი, თსუ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოედბა, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, პროგრამა და თეზისები, თბილისი, (კონფერენცია ჩატრადა ზუმის პლატფორმაზე). პროგრამისა და თეზისების მბული: https://enadep.gov.ge/uploads/ .pdf
5. 2021 წლის 5-6 ივლისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი (კონფერენცია ჩატრადა ზუმის პლატფორმაზე).
6. 2021 წლის 29-30 სექტემბერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვილნიუსის უნივერსიტეტი სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში, თბილისი, საქართველო (კონფერენცია ჩატრადა ზუმის პლატფორმაზე): მასალები იხილეთ ბმულზე: http://seltame.tsu.ge/leng/2/34
7. 2021 წლის 9 – 11 ნოემბერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო სიმპოზიუმი, (სიმპოზიუმი ჩატარდა ზუმის პლატფორმაზე); პროგრამა და მასალები: https://ice.ge/of/?page_id=5661

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. მოხსენებაში განხილულია უარყოფითი არა/არ ნაწილაკებით გადმოცემული ზმნური და სახელური მოდელების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი „ვეფხისტყაოსანში“ და მათი ასახვა ინგლისურენოვან თარგმანებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ზმნური (**I.** NegV) და სახელური (**II.** NegN) მოდელების განხილვა: ზმნური მოდელი გავრცელებულია ნეიტრალური უარყოფის გადმოსაცემად და წინადადების რომელიმე წევრის აქტუალიზება არ ხდება; სახელური მოდელი სტილურ-სემანტიკურ ვარიაციებს გამოხატავს და პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: IIA და IIB. IIA (NegN) მოდელი პოემაში გადმოსცემს ანტონიმურ ლექსემებს: *„...უარეა **არა**(Neg)-**თქმა** (N)“.* IIB მოდელი (NegN) ფორმალურად იმეორებს IIA მოდელს: NegN, თუმცა მისგან განსხვავდება იმით, რომ გადმოსცემს არა უარყოფითნაწილაკიან ანტონიმურ სახელურ ლექსემას, არამედ უარყოფითნაწილაკიან

სახელურ ოკაზიურ ფორმას, რომელიც მხოლოდ პოემის ტექსტში დასტურდება: „...გვაჩნია (V)... არ (Neg)-ორგულობა (N)“. შესადარებლად აღებულია მარჯორი უორდროპის სიტყვასიტყვითი პროზაული თარგმანი, როგორც ერთგვარი წყარო ინგლისურისათვის და ლინ კოფინისა და ვენერა ურუშაძის პოეტური თარგმანები. აღნიშნული სამი მოდელიდან ორი (I და IIA) დასტურდება იმ ინგლისურ თარგმანებში, რომლებიც პოემის ორიგინალთან სიახლოვეს გვიჩვენებენ (მ. უორდროპის პროზაული და ლ. კოფინის პოეტური თარგმანები). მეორე მოდელის B ვარიანტი ერთგვარად ოკაზიონალურია, მსგავსი ნიმუშები გასაგებია ქართველი მკითხველისათვის შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით, თუმცა არ არის ბუნებრივი ინგლისურისათვის, რის გამოც სამივე მთარგმნელი შინაარსს გადმოსცემს უარყოფითი ნაწილაკის გარეშე, სხვა ლექსიკური საშუალებებით. ვ. ურუშაძის პოეტურ თარგმანში ზემოაღნიშნილ მოდელთაგან არცერთი არ გვხვდება. რაც მთარგმნელის ორიგინალური შემოქმედებითი მიდგომით აიხსნება.

2. მოხსენებაში განხილულია, რომ ცალკე, ზმნასთან დაუკავშირებლად გამოყენებული *არ* ნაწილაკ-მორფემოიდით ნაწარმოები უარყოფითი მნიშვნელობის ოკაზიონალური სიტყვები ჩვეულებრივ უარყოფას გამოხატავენ ლექსიკურად. ამ შემთხვევაში უქონლობა ლოგიკურად დადებითადაა გადმოცემული და წინადადება მტკიცების მიხედვით წართქმითია. მაგრამ თუ ეს სიტყვები გამოყენებული იქნება ზმნა-შემასმენელის სახელად ნაწილად, წინადადება მტკიცების მიხედვით უკუთქმითად იქცევა, რადგან *არ* ნაწილაკი ბოლომდე არ არის შეხორცებული (//შეზრდილი) ნაწარმოები სიტყვის ფუძეს, რაც ფაქტობრივად ამ სიტყვათა ოკაზიონალურობას განაპირობებს და რაც სწორდედ ზმნასთან კომბინაციაში ვლინდება. ორივე ამ შემთხვევის მაგალითები დასტურდება შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანში.“

5. **კონტრონიმი** ან **კონტრანიმი** ისეთი პოლისემიური სიტყვაა, რომლის მნიშვნელობათაგან ერთი მეორეის საწინააღმდეგოა. მაგალითად, ინგლისურში (და ზოგ სხვა ენაშიც) სანქცია შეიძლება ნიშნავდეს მოწონებას, ან დასჯას და სხვ.

ასეთ სიტყვებს სხვა მრავალი ტერმინითაც მოიხსენიებენ: ავტოანტონიმი, აუტანტონიმი, იანუსი სიტყვა და სხვ.

შესაძლებელია, ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვები რამდენიმე ენაში იყოს კონტრონიმები, მაგალითად, ზმნები: გერმანული ausleihen, პოლონური pożyczyć, რუსული одолжить და ფინური lainata შეიძლება ნიშნავდეს: ვინმეს რომ ასესხებენ რამეს, ან ვინმესგან რომ ისესხებენ რამეს; ამ მნიშვნელობათა გარჩევა ბრუნების, ნაცვალსახელთა და შესაბამის პირთა გამოყენებით ხდება (https://en.wikipedia.org/wiki/Auto-antonym).

ბევრ ენაში გამოვლენილია კნტრონიმები, დახასიათებულია ლინგვისტურად და არსებობს მათი შესაბამისი სიები. ბუნებრივია, ამ მხრივ საინტერესოა ქართული ენის მონაცემებიც. უპირელეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ ზემომოყვანილ ზმნებს ამავე სტატუსით გვერდით ამოუდგება ქართული ვარიანტიც: **სესხება** შეიძლება ნიშნავდეს სესხად მიცემას ან სესხის აღება.

ნებისმიერი ენისათვის კონტრონიმების გამოვლენა საკმაოდ სერიოზულ მიდგომას მოითხოვს, ისინი უნდა გამოცალკევდნდნ ანტონიმებისა, ომონიმებისა და სხვა პოლისემიური ლექსიკური ერთეულებისაგან, რაც სპეციალურ ლექსიკოლოგიურ ანალიზს საჭიროებს.

ბუნებრივია, ამ მხრივ საგანგებო კვლევა-ძიებაა ჩასატარებელი ქართულშიც, ქართული კონტრონიმების სრული სურათის ჩენება მომავლის საქმეა. ამჯერად ქართულის ორიოდე ნიმუშსაც დავასახელებთ, რაც ჩენ აზრით, ასევე კონტრონიმია:

შეუბრალებელი - შეიძლება ნიშნავდეს იმას, ვინც სხვას არ იბრალებს ან იმას, ვინც არ შეიბრალეს.

ილანძღება - შეიძლება ნიშნავდეს იმას ვისაც ლანძღავენ, ან იმას, ვინც სხვას/სხვებს ლანძღავს.

7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. სალომე ომიაძე
2. სალომე ომიაძე
3. სალომე ომიაძე
4. სალომე ომიაძე
5. სალომე ომიაძე
6. სალომე ომიაძე
7. სალომე ომიაძე
8. სალომე ომიაძე
9. სალომე ომიაძე
10. სალომე ომიაძე

2) მოხსენების სათაური

1. „წმინდა / სუფთა“ თანამედროვე ქართულ დისკურსში.
2. „სამხრის სამხარი“ (სამხრის კუდი?)“ – აკაკი შანიძის ერთი შენიშვნის გამო.
3. დისკურსული კომპეტენციის მნიშვნელობისათვის სარეკლამო ტექსტების შექმნისას.
4. წაშლილი, თუმც წარუშლელი კვალი – „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია 1819-1945“.
5. პურცხობასთან დაკავშირებული ერთი მეტაფორული ზმნის („შეაცოლქმარებს“) შესახებ.
6. გლუტონიმისაგან ნაწარმოები ერთი ზმნიზედის („თათარიახნად“) შესახებ.
7. „საყველპურო“ – ენის ცოდნის საზომი XIX-XXI საუკუნეების ქართულ დისკურსში.
8. „საფანელი“ – ლექსიკოგრაფიული აღწერა და ცვლილებები სემანტიკურ სტრუქტურაში.

9. ერთი კულინარიული ზმნის – „შეასუნელებს“ – შესახებ თანამედროვე ქართულ დისკურსში.

10. თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება (საანგარიშო მოხსენება).

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 8.01.2021, თბილისი, თსუ (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საჯარო სხდომა (მიძღვნილი აკადემიკოს ვარლამ თოფურიას ხსოვნისადმი; სხდომა გაიმართა ზუმის პლატფორმაზე).

2. 26.02. 2021, თბილისი, თსუ (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საჯარო სხდომა „აკაკი შანიძე – 134“ (მიძღვნილი აკად. აკაკი შანიძის ხსოვნისადმი; სხდომა გაიმართა ზუმის პლატფორმაზე).

3. 13.04.2021, თბილისი, თსუ (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, გიორგი ახვლედიანის სახელობის ენათმეცნიერების ისტორიის საზოგადოება –

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია; კონფერენცია გაიმართა ზუმის პლატფორმაზე).

4. 27-28.05.2021, თბილისი, თსუ (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ; კონფერენცია გაიმართა ზუმის პლატფორმაზე).

5. 5-6.06.2021, თბილისი, თსუ (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XV სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი; კონფერენცია გაიმართა ზუმის პლატფორმაზე).

6. 8-11.06.2021, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXXII; სამეცნიერო სესია გაიმართა ზუმის პლატფორმაზე).

7. 28.10.2021, თბილისი, თსუ (იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია; კონფერენცია გაიმართა ზუმის პლატფორმაზე).
8. 7-8.12.2021, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (VII ადგილობრივი კონფერენცია „სამეცნიერო ტერმინოლოგია“, მიძღვნილი თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილების 80 წლისთავისადმი; კონფერენცია გაიმართა ზუმის პლატფორმაზე).
9. 21-23.12.2021, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-80 სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ინსტიტუტის 80 წლისთავისადმი; კონფერენცია გაიმართა ზუმის პლატფორმაზე).
10. 21-23.12.2021, თბილისი, თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-80 სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ინსტიტუტის 80 წლისთავისადმი; კონფერენცია გაიმართა ზუმის პლატფორმაზე).

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. **„წმინდა / სუფთა“ თანამედროვე ქართულ დისკურსში, ანოტაცია:** საკითხი, რომელსაც ჩვენ თანამედროვე მასალის საფუძველზე განვიხილავთ, ვარლამ თოფურიამ 1959 წელს გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებულ სტატიაში – „ნუ ვკარგავთ საჭირო ქართულ სიტყვას [წმინდა, სუფთა]“ – წამოჭრა. ავტორი აღნიშნავს: „მხატვრული ლიტერატურისა და პრესის ენაში, სამწუხაროდ, ეს ორი განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვა არეულია ... შეიძლება მეტიც ითქვას: ვკარგავთ ქართულ სიტყვას **წმინდას** და ვამკვიდრებთ, ვაბატონებთ გვიან შემოსულ, ნასესხებ სიტყვას **სუფთას“**.

უნდა ითქვას, რომ **სუფთამ** დღეს კიდევ უფრო გაიფართოვა მოხმარების არე, ერთადერთი რელიგიური დისკურსია, რომელშიც **სუფთა წმინდას** არ შენაცვლებია არცერთ კონტექსტსა თუ შესიტყვებაში: **წმინდა ტაძარი, წმინდა საყდარი, წმინდა ეკლესია, წმინდა სალოცავი, წმინდა სავანე, წმინდა მოციქული, წმინდა ნაწილები** თუ სხვა. **სუფთას** მსაზღვრელი **წმინდა** არ ჩაუნაცვლებია ისეთ სინტაგმებშიც, როგორიცაა **წმინდა საცერი, წმინდა ფქვილი, წმინდა მარილი, წმინდა ნემსი (წმინდა ნემსს მსხვილი ძაფი ძნელად აებნევა // მსხვილი ძაფი წმინდა ნემსზე არ აიბნევა), წმინდა ძაფი, წმინდა სავარცხელი** და მისთ., რომლებიც საზღვრულის ‘სიწვრილეს’ გამოხატავენ, დანარჩენ შემთხვევებში **სუფთას** უპირატესობა აშკარაა.

ვარლამ თოფურია **სუფთას** მოხმარების არის გაფართოების მიზეზად რუსულ ენას ასახელებდა, რომლიდანაც თარგმნის დროსაც **чистый**, რომელსაც **წმინდაც** შეესაბამება და **სუფთაც**, უმეტესად **სუფთად** გადმოჰქონდათ. ახლანდელი ვითარება სხვაგვარ ახსნას მოითხოვს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სარწმუნოებისადმი შეცვლილმა დამოკიდებულებამ სიტყვა **წმინდას** საკრალურობის ხარისხი აუმაღლა, რითაც შემოუსაზღვრა, უფრო ზუსტად, მეტად დაუვიწროვა მოხმარების არე.

8. **„საფანელი“ – ლექსიკოგრაფიული აღწერა და ცვლილებები სემანტიკურ სტრუქტურაში, ანოტაცია:** ფუძედრეკადი ზმნისაგან ცირკუმფიქსით ნაწარმოები მიმღეობა **საფანელი** ძველ ქართულშივე არსებითი სახელის ფუნქციით არის აღჭურვილი და მისი მნიშვნელობაა ‘გადასაფარებელი’, ‘საფენი’. სულხან-საბა ორბელიანი საფანელს შემდეგნაირად განმარტავს: „მცირე ფქჳლი მოსაყარი“. უკანასკნელ მნიშვნელობას განსახილველი ლექსემა ახალ ქართულშიც ინარჩუნებს, თუმცა გადატანითს მნიშვნელობებსაც ივითარებს, რომლებიც, ქეგლის ძველი რედაქციის მიხედვით, შემდეგია: ‘საშუალება, სახსარი’ და ‘ღონე, უნარი’. თედო სახოკიას „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ საფანელს ღონესა და უნარს არ უკავშირებს, მხოლოდ ‘ქონებად’ და ‘შეძლებად’ განმარტავს. მოხსენებაში ჩვენ წარმოვადგინეთ ვრცელი მასალის ანალიზი, რომლის მიხედვითაც დავადასტურეთ, რომ თანამედროვე ქართულ დისკურსში „საფანელი“, გარდა ძირითადი (კულინარიული) მნიშვნელობისა, ‘მიზეზს’, ‘საბაბს’, ‘საფუძველს’ აღნიშნავს, ხოლო, რაც შეეხება ლექსიკონებში დაცულ მის გადატანითს მნიშვნელობებს – ‘საშუალება, სახსარი / ქონება’; ‘ღონე, უნარი’ – მათ მოძველებულის სტატუსი უნდა მიეკუთვნოთ, რადგან თანამედროვე ენის მატარებელთა ენობრივ ცნობიერებაში ისინი აღმნიშვნელ „საფანელს“ აღარ უკავშირდებიან.

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. რუსუდან ზექალაშვილი

2. რუსუდან ზექალაშვილი

3. რუსუდან ზექალაშვილი

4. რუსუდან ზექალაშვილი

2) მოხსენების სათაური

1. დიალექტიზმებით შექმნილი მხატვრული სამყარო (ზ. არსენიშვილის ერთი რომანის მიხედვით).

2. ქართული ეთნოკულტურული რეალიები თარგმნითს ლექსიკონებში.

3. დიალოგის პრაგმატული ფუნქციები და ზოგიერთი ენობრივი მახასიათებელი მხატვრულ ტექსტში (გ. დოჩანაშვილის მოთხრობების მიხედვით).

4. ქართული ენის ონლაინსავარჯიშოები უცხოელთათვის – აგების პრინციპები.

ISBN 978-9941-27-799-3

5. ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია: ზოგიერთი ინფექციური დაავადების ნომინაციისათვის.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2021 წლის 16-17 აპრილი; ენათმეცნიერების ინსტიტუტი (ენის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია).

2. 2021 წლის 14-15 მაისი; ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები XVII“).

3. 2021 წლის 4-5 ივლისი; თსუ, XV საფაკულტეტო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი.

4. 2021 წლის 26-27 სექტემბერი; თსუ, მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში 2021.

5. 2021 წლის 8-9 დეკემბერი; იკე, VII ადგილობრივი ონფერენცია „სამეცნიერო ტერმინოლოგია“, მიძღვნილი ტერმინოლოგიის განყოფილების 80 წლისთავისადმი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1.დიალექტიზმებით შექმნილი მხატვრული სამყარო (ზ. არსენიშვილის პროზის მიხედვით) (ჯერ არ გამოქვეყნებულა)

მოხსენებაში მსჯელობაა დიალექტიზმების მნიშვნელობაზე მხატვრულ ლიტერატურაში და, კერძოდ, ზაირა არსენიშვილის რომანში „ვა, სოფელო...“. ყურადღება გამახვილებულია მწერლის ენის განსაკუთრებულ სიმდიდრესა და გამორჩეულობაზე, დიალექტიზმების გამოყენებისადმი ავტორის ფაქიზ დამოკიდებულებაზე.

შემდეგ გამოყოფილია ზ. არსენიშვილის მიერ გამოყენებული კახური დიალექტის ენობრივი თავისებურებები: 1. -ა ხმოვნით გავრცობილი ფორმები; 2. სპეციფიკური მიმართვები და საკუთარ სახელთა კნინობით-ალერსობითი წარმოება; 3. სახელთა დიალექტური ბრუნება; 4. ვ-ს ჩართვა სხვათა სიტყვის ნაწილაკის წინ; 5. -ნ ან ენ-ჩართული და სხვა ზმნური ფორმები; 6. კილოს ინტონაციური სპეციფიკის გადმოტანა, რაც აცოცხლებს მე-20 საუკუნის დასაწყისის თელავის ენობრივ კოლორიტს.

მსჯლობაა დიალექტურ ლექსიკურ ერთეულებზე: ბაუა (ჩვილი), ბალღოჯი (ბალმწარა), ოგური (ჯიში), საფთხუნი (საფრთხობელა), ჭვინტაკი (ბებრული ახირება), ხრალი (ნორჩი ხის ქერქი თოკის დასაწნავად), პუპრუჭანა (ნაოჭებიანი, შეპუჭპუჭებული), ქარახინა (უზარმაზარი), დევერხანა (ძალიან დიდი), აბოღმავებს (ადარდიანებს), დაიხვალიებს (ხვალისთვის გადადებს), იხაფრება (ადგილს აცდენს; გადატ. დაემდურება), მოქნის (ცომს მოზელს), ნაშიყობს (იჟინებს), აბუებული (ათვალწუნებული), განარებული (გაცეცხლებული, გაბრაზებული), დაწერნაქებული (აჭრელებული და უხეში), ქარიფანტია (ქარაფშუტა) და სხვ.

ხაზგასმულია მწერლის ენაში ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებული ექსპრესიული იდიომატური გამოთქმების გამოყენება; ჩამოთვლილია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაში ზ. არსენიშვილის ნაწარმოებებიდან დამოწმებული ლექსიკური ერთეულები (ბალღოჯი, ბერიპაპა, ბროწი, გადაბრჯნით, გაცამტვერდება, გახევება, გაჯახირებული, გზაკვალარეული, დალაჩრებული, დამუწვა, დაქადნება, დარბეული, დაუხალავს და სხვ.)

ბოლოს ყურადღება გამახვილებულია ზაირა არსენიშვილის ენობრივ ალღოზე, დახვეწილ გემოვნებაზე, მისი რომანის ენობრივ სიმდიდრეზე, პერსონაჟთა მეტყველებაში ზომიერად შეზავებულ კახურ კოლორიტზე, რითაც მიღწეულია დიდი ექსპრესია და ემოციურობა.

2.

3.

4.

5. **ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია: ზოგიერთი ინფექციური დაავადების ნომინაციისთვის**

მოხსენებაში ხაზგასმულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული სამედიცინო ტერმინოლოგიის სპეციფიკა: ინტერნაციონალურ ტერმინთა სიმრავლე და თვალში საცემი სინონიმია, ასევე ტენდენცია ტერმინთა უნიფიკაციისკენ სწრაფვისა, უცხოური ლექსიკური ერთეულების უპირატესი გამოყენებისა.

გამოყოფილია ქართული წარმოშობის ტერმინები, რომელთა დიდი ნაწილი საკმაოდ ძველია. ახსნილია ქართულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში არაბულ-ირანულ ტერმინთა შემოსვლის მიზეზი და დრო (ძველი სამედიცინო წიგნების შექმნა; XII–XVსს.), ხოლო XX საუკუნის დასაწყისიდან ტერმინთა სესხებასთან ერთად მათი თარგმნისა და გაქართულების აუცილებლობა.

გაანალიზებულია ბავშვთა ინფექციური დაავადებების ქართული დასახელებები, ინფექციის გამომწვევები, გადადების გზები და იმუნიტეტის სახეები. განსაკუთრებით გამოყოფილია ისეთი ინფექციური დაავადებების სახელწოდებები, რომლებიც ქართულ სინამდვილეში ცნობილია **ბატონების** სახელით. დასახელებულია ამ დაავადებათა (წითელა, წითურა, ჩუტყვავილა, ქუნთრუშა - სკარლატინა, ყოვანახველა, დიფთერია - ხუნაგი, ყბაყურა - პაროტიტი) ქართული, ლათინური, ინგლისური, რუსული და გერმანული სახელები, ერთმანეთთან შედარებულია ნომინაციის ხერხები, მსგავსება და განსხვავებანი ქართულ დასახელებებთან შედარებით. მოყვანილია სულხან-საბას ორბელიანისა და ჩუბინაშვილების ლექსიკონების მონაცემები, ამ სიტყვათა ინტერპრეტაციები.

გაანალიზებულია ქართველ მეცნიერთა შეხედულებები ამ ტერმინთა წარმომავლობისა და ეტიმოლოგიის შესახებ (ნ. მინდაძე, ნ. ჭოხონელიძე); განხილულია სიტყვა „ხუნაგის“ დიალექტური ვარიანტები და „ბატონების“ მეგრული შესატყვისები.

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ლელა ციხელაშვილი

2. ლელა ციხელაშვილი

3. ლელა ციხელაშვილი

2) მოხსენების სათაური

1. ირიბი დამატების ტრანსფორმაცია პირმიუმართავ თანდებულიან დამატებად ბიბლიის ქართულ ვერსიებში (*ზაქარია* და *გარუქ* წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით)

2. მეტყველების წრის ზმნის პირიანი და უპირო ფორმების გადმოტანა ბიბლიის ქართულ ვერსიებში (ზაქარია, მიქეა და ბარუქ წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით)

3. კაუზატივის კატეგორიის სწავლება ქართულში, როგორც მეორე/უცხო ენაში – პრობლემები და მეთოდოლოგიური რეკომენდაციები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. აკაკი შანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჯარო სხდომა (ეძღვნება მისი დაბადების 134-ე წლისთავს), ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, თბილისი, 26 თებერვალი, 2021.

2. საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია „ანტიკური და ბიზანტიური სამყარო ინტერდისციპლინური კვლევების შუქზე“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, თბილისი, 22-24 სექტემბერი, 2021.

3. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 29-30 სექტემბერი, 2021.

მოხსენების ანოტაცია *(საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

1. https://old.tsu.ge/ge/faculties/humanities/institutes-andcenters/institute_of_georgian_language/e_publications//

2. ბიბლიის ბერძნულიდან, როგორც განსხვავებული გრამატიკული სისტემის მქონე ენიდან, თარგმნა ყოველთვის პრობლემას უქმნიდა ქართველ მთარგმნელ-რედაქტორებს. მოხსენება ეხება მეტყველების წრის ზმნების (*λέγω, λαλέω, ἀποκρίνομαι*...) პირიანი და უპირო ფორმების გადმოტანას ბიბლიის ქართულ ვერსიებში. ამ მიზნით ერთმანეთს შევადარეთ ზაქარია, მიქეა და ბარუქ წინასწარმეტყველთა წიგნების ძველ ქართული თარგმანი (ოშკისა (O, 978-979 წწ.) და იერუსალიმის (J, XI ს.) ბიბლიებში დაცული ტექსტი) და *ელინოფილური* პერიოდის ვერსია (გელათის (G, XII-XIII სს.), საბასა (S, XIII ს.) და ბაქარის (B, 1743 წ.) ბიბლიები). შედარებისას გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია:

1. ბიბლიის ტექსტისთვის დამახასიათებელი ებრაიზმი - მეტყველების წრის ერთზე მეტი ზმნის პირიანი თუ უპირო ფორმის გამოყენება, ძირითადად, პირდაპირი ნათქვამის წინ, უფრო *ზაქარიას წინასწარმეტყველების* ტექსტისთვისაა დამახასიათებელი (ზაქ. 6:4 *καὶ* ***ἀπεκρίθην*** *καὶ* ***εἶπα*** *πρὸς τὸν ἄγγελον τὸν* ***λαλοῦντα*** *ἐν ἐμοί*] *და* ***მიუგე*** *და* ***ვარქუ*** *ანგელოზსა მას, რომელი* ***მეტყოდა*** *მე:* OJ. *და* ***მიუგე*** *და* ***ვთქუ*** *ანგელოზისა მიმართ,* ***მზრახვალისა*** *ჩემ შორის:* GSB).

2. თუ *λέγω* ზმნის *πρός* წინდებულიანი სახელი გელათის ბიბლიაში, როგორც სიტყვასიტყვით, ზუსტ თარგმანში, *თქუმა* ზმნის *მიმართ* თანდებულიანი დამატებით ითარგმნება (*ვთქუ ანგელოზისა მიმართ*), ძველი მთარგმნელი მას ქართულისთვის უფრო ბუნებრივი *რქუმა* სამვალენტიანი ზმნითა და ირიბი დამატებით თარგმნის (*ვარქუ ანგელოზსა მას*).

3. სეპტანტის ტექსტისთვის დამახასიათებელია პირდაპირი ნათქვამის წინ *λέγων* , *λαλῶν* მიმღეობების გამოყენება, რომლებიც ძველ თარგმანში ქართულისთვის უფრო ბუნებრივი ზმნის პირიანი ფორმებით გადმოდის, ხოლო გელათური ტიპის თარგმანში - სასუბიექტო მიმღეობებით (*მეტყუ̈ველი, მზრახვალი*).

4. იმის მიხედვით, ბერძნულ წყაროში *λέγων* და *λαλῶν* აქტიური მიმღეობები არტიკლით არის წარმოდგენილი, თუ უარტიკლოდ, განსხვავებულია მათი თარგმნის წესი ქართულში. მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული ეს და სხვა შემთხვევებიც.

3. http://www.seltame.tsu.ge/ (გვ. 290-295).

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **გიული შაბაშვილი**

2) მოხსენების სათაური

1. ფოლკლორული ტექსტების როლი სოციოკულტურული კომპეტენციის განვითარებაში (ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მაგალითზე)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ქუთაისური საუბრები, XVII, 14-15 მაისი, 2021 წელი, ქუთაისი, http://conferences.atsu.ge/Kartvelology/index.php?page=ProgrammeLinguistics2&lng=Ge#cont

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ნებისმიერი ბუნებრივი ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, შეიცავს, ასევე, კულტურულ ღირებულებებს, რომელთა ცოდნაც, სხვა ენობრივი კომპეტენციის პარალელურად, აუცილებელია ამა თუ იმ ენაზე წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად. ამდენად ენის სწავლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა უნდა იყოს სოციოკულტურული კომპეტენციის განვითარება და ამაღლება. როგორც ცნობილია, შემსწავლელები, რომლებიც აკეთებენ კულტურასთან კავშირებს, უფრო ეფექტურად იყენებენ ენას შესაბამისი მიზნით. აქედან გამომდინარე, ფოლკლორული სიუჟეტისა და მასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთ წარმატებულ და რელევანტურ მიდგომად ითვლება. ზღაპრის, ლეგენდისა თუ თქმულების მარტივი კონსტრუქცია და კომპლექსური სემანტიკური სტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლის შემდეგი უნარების განვითარებასა და მიზნების მიღწევას: შემოქმედებითი აზროვნება, ლინგვისტური კომპეტენცია, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის სწავლა, კულტურული პროდუქტისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიღება, მოტივაცია და ჩართულობა, ემოციური ინტელექტი, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის ადვილად შესწავლა, აქტიური კითხვის პროცესი.

მოხსენების მიზანია იმის შესწავლა, თუ რამდენად შეუწყობს ხელს ფოლკლორული ტექსტის ჩართვა სოციოკულტურული კომპეტენციის განვითარებას ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროცესში. გარდა ამისა, მოხსენება მიზნად ისახავს ფოლკლორული ტექსტის სწავლებასთან დაკავშირებული იმ კონკრეტული აქტივობების შეთავაზებას, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ენისა და კულტურის ინტეგრირებულ სწავლებას.

მოხსენებაში შესწავლილია ქართული და ევროპული ფოლკლორული გადმოცემების, კერძოდ, „ეთერიანისა“ და „ტრისტანისა და იზოლდას“ სიუჟეტური ხაზი. ერთი მხრივ, გამოვლენილია მათი შემადგენელი მოტივების მსგავსებები და განსხვავებები, ხოლო, მეორე მხრივ, შემუშავებულია ის სასწავლო აქტივობები, რომლებიც ეფუძნება ამგვარ მსგავსებებსა და განსხვავებებს.

კვლევის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ტრადიციულად ზღაპრები, როგორც სასწავლო მასალა, ძირითადად გამოყენებულია ენის მოზარდ შემსწავლელებთან, კვლევაში კი ფოკუსჯგუფს წარმოადგენს ქართული ენის ზრდასრული ინგლისურენოვანი შემსწავლებლები. შესაბამისად, აქტივობების შედგენისას გამოყენებულია კულტურის სწავლებისადმი კონტრასტული მიდგომა, რაც გულისხმობს საკუთარ კულტურასა და სამიზნე კულტურას შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების შესწავლასა და შესაბამისი კავშირის აგებას. აგრეთვე, კუმუნიკაციური უნარ-ჩვევების გაღრმავებას საკუთარი და სამიზნე კულტურების პერსპექტივიდან.

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ აღებულია კულტურის ბრუქსისეული დეფინიცია, გარდა ამისა, აქტივობების შემუშავებისას გათვალისწინებულია ტომალინისა და სტემპლესკის მიერ ჩამოყალიბებული კულტურის სწავლების მიზნები.

კვლევისას გამოყენებულია შედარების, ანალიზისა და დაკვირვების მეთოდები. კვლევის შედეგები გამოადგება როგორც ქართულის, როგორც უცხო და მეორე ენის მასწავლებლებს, ისე ქართული ენის შემსწავლელებს.

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **. გიული შაბაშვილი,** ქეთევან გოჩიტაშვილი

2) მოხსენების სათაური

1. სალაპარაკო ქართულის სწავლების სტრატეგიები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში, 2021 წლის 29-30 სექტემბერი, http://seltame.tsu.ge/leng/1

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **გიული შაბაშვილი**

2) მოხსენების სათაური
1. აწმყოს პერფექტული ფორმების სინტაქსური რეალიზების პირობები (მდგომარეობის სემანტიკური კლასის ზმნების ანალიზი)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. სამეცნიერო კონფერენცია - აკაკი შანიძე 134. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის ინსტიტუტი, 26 თებერვალი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
ნაშრომში ქართული ენის მონაცემების მიხედვით პირველადაა განხილული და გაანალიზებული მდგომარეობის სემანტიკის მქონე პერფექტული ფორმების სინტაქსური რეალიზების პირობები, შესწავლილია ის, თუ აგებულებისა და მოდალობის მიხედვით რომელი ტიპის წინადადებაში რეალიზდება პერფექტის ესა თუ ის სემანტიკური სახესხვაობა. აქვე გაანალიზებულია ამის მიზეზები და გამოვლენილია ქართული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **დარეჯან თვალთვაძე**
2. სოფიო სარჯველაძე

2) მოხსენების სათაური
1.**The Old Georgian Translations of the Apocryphal Texts and Their Literary Sources**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 1-3 სექტემბერი, 2021
2. ვალენსია, ესპანეთი (Online)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

დაიბეჭდა კონფერენციის პროგრამა მოხსენებათა თეზისები - First International conference on Early Christian Literature, Late Antique and Byzantine Hagiography 'Literary connections between the Apocryphal Acts of the Apostles and the Saints' Lives' – Portraits of Holy Wo(men); Valencia - 1-3 september, 2021 . Saló de Graus Enric Valor, Departament de Filologia Clàssica, Facultat de Filologia, Traducció i Comunicació Universitat de València (online) https://www.uv.es/dep145/ScheduleECLLABHI.pdf

7.2.**2**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **დარეჯან თვალთვაძე**

2. ირინა გველესიანი

2) მოხსენების სათაური

1. THE ONLINE TEACHING VIS-À-VIS THE CLASSROOM TEACHING (ON THE BACKGROUND OF COVID-19)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 28-29 მაისი, 2021

2. რეზეკნე (ლატვია) (Online)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

დაიბეჭდა კონფერენციის პროგრამა და მოხსენებები - 15th International Scientific Conference, SOCIETY. INTEGRATION. EDUCATION. Proceedings of the International ScientificConference (rta.lv) Volume V, 2021. 491-500
http://journals.rta.lv/index.php/SIE/article/view/6139/5214

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **კახა გაბუნია**

2) მოხსენების სათაური

„მასწავლებელთა მზაობის საკითხი მულტილინგვური განათლების მოდელისთვის (პრობლემათა გადაჭრის გზების ძიება)“:

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში (SELTAME 2021), თბილისი, 2021 წლის 29-30 სექტემბერი. ISBN 978-9941-27-799-3

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

2. კახა გაბუნია

2) მოხსენების სათაური

მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში (SELTAME 2021),

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

თბილისი, 2021 წლის 29-30 სექტემბერი. ISBN 978-9941-27-799-3

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2.უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **Ramaz Kurdadze (**co-authors: **Maia Lomia, Ketevan Margiani) / რამაზ ქურდაძე (თანაავტ.ები: მაია ლომია ქეთევან მარგიანი)**

2) მოხსენებისსათაური
1. On One Type of Negative Sentence in the Original Text of "The Knight in the Panther's Skin" and its English Translation/ ერთი სახის უარყოფითი წინადადების შესახებ „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალურ ტექსტსა და მის ინგლისურ თარგმანში

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი
1.General and Specialist Translation / Interpreting: Theory, Methods, Practice 14th International Conference April 9-10, 2021 Kyiv Conference Program; NATIONAL AVIATION UNIVERSITY Department of English Philology and Translation (Ukraine) SIBERIAN FEDERAL UNIVERSITY School of Economics, Finance and Public Administration (Russian Federation) UNIVERSITY OF SILESIA IN KATOWICE Institute of Linguistics (Republic of Poland) MINSK STATE LINGUISTIC UNIVERSITY Translation and Interpreting Theory and Practice Department No. 1 (Republic of Belarus)General and Specialist Translation / Interpreting Theory Methods Practice 2021 Kyiv Agrar Media Group
7.2.უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **სალომე ომიაძე**

2) მოხსენების სათაური
1. გლუტონიმები ქართული ინვექტიური დისკურსის კომპონენტებად (Gluttonyms as Components of the Georgian Invective Discourse)
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 9-10.04.2021, კიევი (XIV საერთაშორისო კონფერენცია „სპეციალური და მხატვრული თარგმანი: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა"; კონფერენცია გაიმართა ზუმის პლატფორმაზე).

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. რუსუდან ზექალაშვილი

2) მოხსენების სათაური
1. აწმყოსა და მყოფადის ფორმების ტრანსსემანტიზაცია ქართულ თარგმანებში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 2021 წლის 4-5 აპრილი, კიევი, ნაციონალური საავიაციო ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **ინგა სანიკიძე,** მ.რცხილაძე
2. **ინგა სანიკიძე,** ვ.კაჭარავა

2) მოხსენების სათაური
1. ენობრივ საშუალებათა მანიფესტაცია პოლიტიკურ დისკურსში / MANIFESTATION OF LINGUISTIC MEANS IN POLITICAL DISCOURSE
2. ბიბლიური წყევლის ფსიქოლინგვისტური პარადიგმა ძველ ქართულ ისტორიულ საბუთებში / Biblical damnation Psycholinguistic Paradigm in ancient Georgian historical documents

1) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მეხუთე საერთაშორისო კონფერენცია - LSP სწავლების თანამედროვე გამოწვევები, 1 და 2 ივლისი,2021, ზაგრები, ხორვატია / 5th International Conference, *Contemporary challenges in LSP teaching, held online from 1 to 2 July 2021, Zagreb,* Croatia – https: / /unjsvu.hr/ka /https://unjsvu.hr/en/conference-programme
2. ISAPL-ის მე-12 საერთაშორისო კონგრესი – ახალი პერსპექტივა ფსიქოლინგვისტურ კვლევაში: ენა, კულტურა, ტექნოლოგიები, 3-5 ივნისი, 2021 წ. პორტო, პორტუგალია / 12th ISAPL International Congress – New perspective in Psycholingvistic research: Language, Culture, Technologies, June 3-5, 2021. Porto, Portugal.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **გიული შაბაშვილი**

2) მოხსენების სათაური
1. ქართული ანალიტიკური პერფექტების სემანტიკა და სინტაქსი

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. AMGL41, 41st Annual Meeting of the Department of Linguistics, 13-15 მაისი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, ლინგვისტიკის დეპარტამენტი, თესალონიკი, საბერძნეთი
https://sites.google.com/view/amgl41-en/program-and-abstracts

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **გიული შაბაშვილი,** ქეთევან გოჩიტაშვილი, **კახა გაბუნია**

2) მოხსენების სათაური

1. ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში მონოლინგვური მოდელიდან მულტილინგვურ მოდელზე გადასვლის გზები და საჭიროებები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 10 ივნისი, კიოლნის უნივერსიტეტი, კიოლნი, გერმანია, ingCologne2021 conference
Multilingualism - The myth of monolingualism
https://lingcologne.uni-koeln.de/program

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

პროფ. რამაზ ქურდაძის მიერ შესრულებული სხვა სახის აქტივობანი 2021 წელს:

1. რედაქტორი (თანარედაქტორი პროფ. დ. თვალთვაძე) – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის ინსტიტუტი, ფოტოალბომი აკაკი შანიძე 130, თბილისი, 2019-2020 (გამოიცა 2021 წელს).
2. თანარედაქტორი – გიული შაბაშვილი, მერი ნიკოლეიშვილი, ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი, „პერფექტის სემანტიკის განვითარება და მისი გრამატიკული რეალიზაცია ქართულში“
3. პრეზენტაცია: Introduction to Georgian Language and script, Welcome Meeting Inbound Exchange Students, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Friday, April 2nd, 2021.
4. პრეზენტაცია: „**ენისა და გენდერის ურთიერთობისათვის ახალ ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში“,** ორგანიზებული ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს მიერ ქართული დიასპორისათვის, 16.04.21.
5. საჯარო ლექცია „რა ჩავთვალოთ ბარბარიზმად და რა არა“, გადაცემა გავიდა 2021 წლის 22 მაისს: https://www.youtube.com/watch?v=Glz7x25sRyc
6. საჯარო ლექცია „ქართველი და ქართული ლექსიკა რუსულ ჟარგონში“, გადაცემა გავიდა 2021 ელის 23 ოქტომბერს: https://www.youtube.com/watch?v=SMLLEIhkLGc&t=310s
7. დარგობრივი მახასიათებლის – *ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების მახასიათებელი უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები* – შემმუშავებელი კომისს თავმჯდომარე
8. რედაქტორი (თანარედაქტორი პროფ. დ. თვალთვაძე) – სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება VI – VII, მიძღვნილი აკადემიკოს აკაკი შანიძისადმი, თსუ გამომცემლობა, 2019-2020 (დაიბეჭდა 2021 წელს).

ასოც. პროფ. მაია ლომიას 2021 წლის სხვა აქტივობები:

1. **შემდგენელი**, **თანდართული შენიშვნების ავტორი** თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულისა „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. VI-VII, 2019-2020 (დაიბეჭდა 2021 წელს), 350 გვ.
2. **რეცენზენტი** დოქტორანტის სასემინარო თემისა (ანა კიკილაშვილი, „ძველი ქართული ენის მონაცემთა ელექტრონული ბაზის მორფოლოგიური ანოტირება (პრობლემები და ძირითადი პრინციპები)“, 39 გვ. (04. 02. 2021).
3. **2 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა** (ივლისი, 2021).
4. 2021 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსის გამარჯვებული **დოქტორანტის ხელმძღვანელი** (დაფინანსებულია რუსთაველის ფონდის მიერ).
5. 1 ბაკალავრის **ხელმძღვანელობა** სტუდენტთა მეოთხე საფაკულტეტო კონფერენციაზე (16-18 დეკემბერი, 2021)
6. **5 დოქტორანტის ხელმძღვანელი**
7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის **კომისიის თავმჯდომარე** (25.12.2021)

ასოც. პროფ. რუსუდან ზექალაშვილის 2021 წლის სხვა აქტივობები:

ქართველური ენათმეცნიერება - ქართული ენის ინსტიტუტის შრომების კრებული,VI-VII, 2019-2020, მიძღვნილი აკაკი შანიძეს, კრებულის **პასუხისმგებელი მდივანი;** ISSN 2346-8106

რედაქტორობა:
თინათინ მარგალიტაძე, ლექსიკოგრაფიის შესავალი (რედ. შ. აფრიდონიძე, რ. ზექალაშვილი), თბილისი, 2021.

ოლგა ტოკარჩუკი, იაკობის წიგნები, (პოლონურიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა), რედაქტორები: ინა არჩუაშვილი, რუსუდან ზექალაშვილი, თბილისი: ინტელექტი, 2021.
ISBN 978-9941-31-359-2

ოპონენტობა:
2021 წ., 5 მარტი (აწსუ)
ელინა მესხი, ეპისტემური მოდალობისა და ევიდენციალობის საკითხისათვის თანამედროვე გერმანულ მასმედიის ენაში (სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილოლ. დოქტორი ელისო ქორიძე).
დოქტორანტი:
რუსთაველის სამეცნიერო ფონდში დაფინანსდა დოქტორანტ **ირაკლი სალიას** პროექტი PHDF-21-1908 სახელებისა და ზმნების ომონიმური მოდელები (თანახელმძღვანელი ვარ)
https://rustaveli.org.ge/geo/siakhleebi/gamotskhadda-2021-tslis-doqtoranturis-saganmanatleblo-programebis-dafinansebis-konkursis-shedegebi

ასოც. პროფ. ანა ხარანაული 2021 წლის სხვა აქტივობები:

„კანონი: ტერმინი და მისი ისტორია“ მოხსენება თსუ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის მუდმივმოქმედი სემინარზე „კანონი და შუა საუკუნეების სულიერი და ინტელექტუალური ტენდენციები: norma normans და norma normata“

სეპტუაგინტასა და მასთან დაკავშირებული კვლევების საერთაშორისო ორგანიზაციის (International Organization for Septuagint and Cognate Studies -IOSCS) აღმასრულებელი საბჭოს წევრი http://ccat.sas.upenn.edu/ioscs/officers/

The ***European Academy of Sciences and Arts-ის*** https://euro-acad.eu/ *წევრი (აკადემიკოსი)* https://members.euro-acad.eu/#memberList

თსუ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრის მუდმივმოქმედი სემინარების ციკლისა **„კანონი და შუა საუკუნეების სულიერი და ინტელექტუალური ტენდენციები: norma normans და norma normata“**

ყურადღება!

***** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

***** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

***** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

***** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

***** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის

ახალი ქართული ენის კათედრისა და ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევების კათედრები მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებული პუბიკაციების სია:

(2021 წელი)

მონოგრაფიები:

1. გიული შაბაშვილი, მერი ნიკოლაიშვილი, ნინო ბაგრატიონ-დავითაშვილი „პერფექტის სემანტიკის განვითარება და მისი გრამატიკული რეალიზაცია ქართულში“ , თბილისი, უნივერსალი, 2021
2. კახა გაბუნია, ინტერკულტურული მოწიფულობის კვლევა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტუდენტებში, CCIIR, თბილისი, 2021
3. კახა გაბუნია, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე, საშეღავათო პოლიტიკის ეფექტურობისა და შედეგების კვლევა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, CCIIR, თბილისი, 2021
4. კახა გაბუნია, ბილინგვური განათლება საქართველოს კონტექსტში (იბეჭდება), CCIIR, თბილისი, 2021

სახელმძღვანელოები:

1. კახა გაბუნია, ქეთევან გოჩიტაშვილი, სახელმძღვანელო ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებისთვის (წერა), „მერიდიანი“, თბილისი, 2021

სტატიები:

1. ინგა სანიკიძე, ლა- პრეფიქსის ისტორიული ფუნქციისათვის ქართულში, სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, ტ. VI-VII, 2021.
2. ინგა სანიკიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტმესირებული სტრიქონის გააზრებისათვის / Towards Understanding Tmesis in the Line of *The Knight in the Panther's Skin,* ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგი“ / Journal "The Kartvelologist", 2021
3. ინგა სანიკიძე, ეპისტოლეთა ენის სტილისტიკა და თვისებრივი ცვლილება ბაგრატოვანთა მიმართ გამოყენებულ მიმართვებში [იონა ხელაშვილის საარქივო მასალის მიხედვით] // Stylistics of Epistolary Language and Qualitative Change in Addresses Intended for the Bagrationis [According to the Archival Material of Iona Khelashvili], ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 180 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენციის მასალები / Kartvelological Scientific Conference Dedicated to Iakob Gogebashvili [ელ.გამოცემა], 2021
4. კახა გაბუნია, გიული შაბაშვილი, მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში, CCIIR, თბილისი, 2021
5. გიული შაბაშვილი, ქეთევან გოჩიტაშვილი, სალაპარაკო ქართულის სწავლების სტრატეგიები, მულტილინგვური განათლება, #18, თბილისი, გვ., 93-109, 2021
6. კახა გაბუნია, რუსუდან ამირეჯიბი, საქართველოს უმცირესობები: ინტეგრაციის გზაზე არსებული ბარიერების ნგრევა, © 2021 Carnegie Europe, Brussels, Carnegie Endowment for International Peace, 13 გვერდი, 2021
7. კახა გაბუნია, Some Important Factors Hindering the Civic Integration of Ethnic Minorities, INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION, #18, Tbilisi, CCIIR, 15 გვერდი, 2021.
8. დარეჯან თვალთვაძე, სახარების ერთი პარატექსტის შესახებ („განთესულები“ ოთხთავის ქართულ ხელნაწერებში), . „*მრავალთავი* - ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი“, N 27, თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 26 გვერდი. (იბეჭდება, გამოქვეყნდება 2021 წლის თარიღით).

9. რამაზ ქურდაძე, მანანა ჩიტიშვილის პოეზიის ლექსიკური თავისებურებანი, ქართველური ენათმეცნიერება, ტ. VI-VII, 2019-2020 (დაიბეჭდა 2021 წელს), თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 11 გვერდი
10. რამაზ ქურდაძე, სხვათა სიტყვის (-მეთქი, -თქო, ო) ნაწილაკების შემცველი მეტყველების აქტი ევიდენციალობის თვალსაზრისით, ქართველური ენათმეცნიერება, ტ. VI-VII, 2019-2020 (დაიბეჭდა 2021 წელს), თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 7 გვერდი
11. მაია ლომია, მეგრული გაშაირების ტექსტის ექსტრალინგვისტური და ლინგვისტური მახასიათებლები,ქართველური ენათმეცნიერება, ტ. VI-VII, 2019-2020 (დაიბეჭდა 2021 წელს), თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 9 გვერდი
12. ქეთევან მარგიანი, ეპისტემიკური მოდალობის ნაწილაკთა დისტრიბუცია სვანური ზმნის უღლების პარადიგმაში, ქართველური ენათმეცნიერება, ტ. VI-VII, 2019-2020 (დაიბეჭდა 2021 წელს), თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 6 გვერდი
13. ქეთევან მარგიანი, რუსუდან ზექალაშვილი, ნანა ოდიშელიძე, გერმანელ ეთნოლინგვისტთა ღვაწლი ქართველოლოგიაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ტ. XLVIII, 2020 (დაიბეჭდა 2021 წელს), თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 11 გვერდი
14. სალომე ომიაძე, ტექსტის ორდონიანი სტრატიფიკაციისათვის აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ქართველური ენათმეცნიერება, VI, თბილისი: თსუ გამომცემლობა, 5 გვ. (გვ. 113-117), 2021
15. რუსუდან ზექალაშვილი, კოლოკაციათა სახეები და ფუნქციები ქართულ-გერმანულ ლექსიკონში. ქართველური ენათმეცნიერება – სამეცნიერო შრომების კრებული, VI-VII, ეძღვნება აკად. აკაკი შანიძეს, 2019-2020 (გამოიცა 2021 წელს), თბილისი, თსუ გამომცემლობა, 11 გვ. (გვ. 168-178; 327-328), 2021
16. რუსუდან ზექალაშვილი, ეთნოკულტურული რეალიები ქართულ-გერმანულ ლექსიკონებში. (სტამბაშია, მაქვს რედაქტორის ცნობა), ქართველური მემკვიდრეობა, XXV, ქუთაისი, აწსუ გამომცემლობა, 9 გვ. (გვ. 123-132), 2021
17. რუსუდან ზექალაშვილი, ისაკ შამელაშვილის გამოუქვეყნებელი ნაშრომი ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ, დიალექტოლოგიური კრებული 2021, თბილისი, თსუ გამომცემლობის სტამბა, 4 გვ. (გვ. 108-111)+ 18გვ.- გამოსაცემად მომზადებული ტექსტი (გვ. 90-108).
18. ლელა ციხელაშვილი, გრამატიკული ცვლილების ერთი ტიპი *მარუქის წიგნის* ქართულ ვერსიებში, „ლოგოსი“, რეცენზირებადი წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, #7, თბილისი: „ლოგოსი“, . 28 გვერდი (გვ. 204-231),2021
19. გიული შაბაშვილი, ქეთევან გოჩიტაშვილი, კრიტიკული აზროვნების განვითარების მნიშვნელობა და სტრატეგიები საბაკალავრო საფეხურის აკადემიური წერის კურსის ფარგლებში, ენა და კულტურა, #25, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი, ქუთაისი, გვ., 147-159, 2021
20. ანა ხარანაული, „თარგმანის ტექნიკის ხერხები *(ტრანსკრიბცია, ტრანსლაცია, იმიტაცია, სიმულაცია, ემულაცია, ინტერპრეტაცია)* და ენის განვითარების საშუალებები ძველი აღთქმის უძველესი თარგმანების მაგალითზე“, *ქართველური ენათმეცნიერება* (სამეცნიერო შრომების კრებული), ეძღვნება აკ. შანიძეს, VI-VII, თბილისი, გვ., 281-292, 2021.
21. ანა ხარანაული - ეპიფანე კვიპრელის ძველი აღთქმის წიგნთა ინდექსები ქართულ წყაროებში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, # 7, თბილისი, საქართველოს საპატრიარქო, გვ., 103-152, 2021
22. ნინო შარაშენძე, მოდალობის კატეგორია და ქართული ლექსიკოგრაფია, ქართველური ენათმეცნიერება, ტ. VI-VII, 2019-2020 (დაიბეჭდა 2021 წელს), თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გვ., 266-276

სტატიები უცხოეთში:

1. ლელა ციხელაშვილი, The Influence of Septuagint Greek on the Means of Expression of the Objective Version in Georgian Biblical Translations, General and Specialist Translation / Interpreting: Theory, Methods, Practice: International Conference Papers.. The book contains papers contributed by the participants of the 14th International Conference on theory and practice of translation / interpreting held at the National Aviation University (Kyiv, Ukraine) on 9 - 10 April 2021, კიევი, უკრაინა: "Agrar Media Group", გვ. 338-345

2. Ramaz Kurdadze, Maia Lomia, Ketevan Margiani, On One Type of Negative Sentence in the Original Text of "The Knight in the Panther's Skin" and its English Translation (ერთი სახის უარყოფითი წინადადების შესახებ „ვეფხისტყაოსნის" ორიგინალურ ტექსტსა და მის ინგლისურ თარგმანში), General and Specialist Translation / Interpreting Theory Methods Practice, 2021, pp. 249-256, Kyiv, Agrar Media Group, 8 გვერდი

3. სალომე ომიაძე, Gluttonyms as Components of the Georgian Invective Discourse (გლუტონიმები ქართული ინვექტიური დისკურსის კომპონენტებად), General and Specialist Translation / Interpretation: Theory. Methods. Practice". XIV International Conference Papers – „სპეციალური და მხატვრული თარგმანი: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა" – XIV საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული, Kyiv: Agrar Media Group (კიევი: აგრარმედიაჯგუფი), 5 გვ. (გვ. 178-182), 2021.

4. რუსუდან ზექალაშვილი, აწმყოსა და მყოფადის ფორმების ტრანსსემანტიზაცია ქართულ თარგმანებში, ზოგადი და სპეციალური თარგმანი / ინტერპეტაცია: თეორია, მეთოდები, პრაქტიკა: საერთაშორისო კონფერენციის მასალები. Матеріали міжнародної науково-практичної конференції «Фаховий та художній переклад: теорія, методологія, практика» 2021, კიევი: ნაციონალური საავიაციო უნივერსიტეტი, 7გვ. (გვ. 215-221)

მსოფლიო ისტორიის სასწავლო-
სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ინსტიტუტის ხელმძღვანელი – პროფ. თეიმურაზ პაპასქირი

ინსტიტუტის შემადგენლობა

ძველი მსოფლიოს ისტორიის კათედრა

1. პროფ. ლევან გორდეზიანი (კათედრის ხელმძღვანელი)
2. ასოც. პროფ. მარიკა მშვილდაძე

შუა საუკუნეების ისტორიის კათედრა

3. პროფ. მურმან პაპაშვილი (კათედრის ხელმძღვანელი)
4. ასოც. პროფ. თეა წითლანაძე
5. ასოც. პროფ. თეა ქარჩავა

ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა

6. პროფ. თეიმურაზ პაპასქირი (კათედრის ხელმძღვანელი)
7. ასოც. პროფ. მერაბ კალანდაძე
8. ასოც. პროფ. ლეილა (ია) ხუბაშვილი
9. ასოც. პროფ. ფატიმა შეყლაშვილი
10. ასისტენტ-პროფ. ზაალ გოგენია
11. ასისტენტ-პროფ. თამარ ანთაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. **საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში,** FR17_86
2. „საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII საუკუნის 70-იანი წლები – XVIII საუკუნე)“, HE17_21

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2017-2021
2. 2017-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. მურმან პაპაშვილი – პროექტის ხელმძღვანელი; თეა წითლანაძე – ძირითადი შემსრულებელი; თეა ქარჩავა – ძირითადი შემსრულებელი; ნიკოლოზ სილაგაძე – ძირითადი შემსრულებელი; ანდრო გოგოლაძე – ძირითადი შემსრულებელი
2. ზურაბ გამეზარდაშვილი – პროექტის ხელმძღვანელი; მურმან პაპაშვილი – ძირითადი შემსრულებელი; ელდარ მამისთვალიშვილი – ძირითადი შემსრულებელი; ხათუნა ჩაფიჩაძე – ძირითადი შემსრულებელი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში

საგრანტო პროექტით შესრულებულ ნაშრომში-„საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში“- სხვადასხვა სახის ქართული და უმთავრესად ევროპული წყაროებისა (ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და ესპანურ ენებზე) და კონცეპტუალურად სიახლით გამორჩეული უახლესი სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე შესწავლილია საქართველოს როლი და ადგილი ირანისა და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში მთელი XVI საუკუნის განმავლობაში, კერძოდ, მათზე დაყრდნობით გამოკვლეულია: 1) რა საერთაშორისო ევროპულ მნიშვნელობას იძენდა ამ ასწლეულის მანძილზე საქართველო ირან-ოსმალეთის კონფლიქტებსა და ხანგრძლივ ომებში; 2) რა სახითა და ფორმით წარმოადგენდნენ ევროპელი ავტორები მაშინდელი ევროპის პოლიტიკური მესვეურებისა და საზოგადოების წინაშე ქართული სახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ქართველების საბრძოლო-მხედრულ თვისებებსა და შეუპოვარ ხასიათს, ქრისტიანობისადმი თავდადებას, ქვეყნის ევროპული საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის მიზნებსა და ამოცანებს; 3) როგორ აქცია ირანის წინააღმდეგ ოსმალეთის აგრესიულმა პოლიტიკამ სეფიანები ჰაბსბურგთა პოტენციურ მოკავშირედ და როგორ მოუმზადა ორმხრივმა დიპლომატიურმა კომბინაციებმა ნიადაგი საქართველოს კავშირს დასავლეთის ანტიოსმალურ ძალებთან; 4) ევროპული წყაროების მეშვეობით როგორ იზრდებოდა თანდათანობით წარმოდგენა დასავლეთში საქართველოზე – როგორც პოლიტიკურ, რელიგიურ, სამხედრო, და, ამავდროულად, ქრისტიანთა საერთო მტრის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლ ძალაზე; 5) ამ ფაქტორის გავლენით რა სახის დამოკიდებულებით სარგებლობდნენ ოსმალების წინააღმდეგ სეფიანებთან კავშირში მებრძოლი ქართული სახელმწიფოები დასავლეთში და როგორი ინტერესით ეკიდებოდნენ მათ ლიდერებს, როგორც ანტიოსმალური კოალიციის პოტენციურ მოკავშირეებს; 6) დასაბუთებულია, რომ ევროპული წყაროების დაინტერესება თავისთავად მიუთითებდა ევროპული პოლიტიკისთვის საქართველოს მნიშვნელობას; ამავე წყაროების საფუძველზე ასევე წარმოდგენილია ევროპული

ქრისტიანული იდეალის კონტექსტში საქართველოს როლი და ადგილი. 7) რა გავლენას ახდენდა XVI საუკუნის მახლობელ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმდინარე პროცესები საქართველოს სოციალურ ისტორიაზე.

პრობლემის დასახული მიზნით კვლევა-ძიების შედეგად მივიღეთ შემდეგი პოსტულატები, დასკვნები და ჰიპოთეზები: XVI საუკუნის დადგომისთანავე აღმოსავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები სეფიანთა სახელმწიფოსა და ოსმალეთის გაფართოება-გაძლიერების ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ. იმთავითვე გამოიკვეთა მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში გავლენის სფეროების მოპოვებისთვის ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირების ტრაექტორია. ამიერიდან ამ ორი მოწინააღმდეგის მეტოქეობა, კონფლიქტები და ომები განსაზღვრავდა ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებას. ირან-ოსმალეთის ურთიერთობის ეტაპების ცვლილების მიხედვით იცვლებოდა საქართველოს მდგომარეობა. ამ ორი იმპერიის ინტერესთა კონფლიქტი კარნახობდა ქვეყანას თავისი პოლიტიკური არსებობის modus vivendi-ს ძიებას; ასევე, მათ შორის მიმდინარე ხანგრძლივ ომებში (1514; 1532-1555; 1578-1590) ქრისტიანული მოკავშირის გარეშე დარჩენილი საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკა დაეფუძნა საკუთარი სარგებლისა და კომპრომისების გამონახვის გზას. აღნიშნულმა საგარეო ფაქტორმა არსებითად გამორიცხა ქვეყნის გაერთიანებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის პროცესი. საკუთრივ დაშლილ ქვეყანას, რომელსაც არ ჰყავდა რეგულარული ჯარი, არ ჰქონდა შესაბამისი სამხედრო აღჭურვილობა, არ შეეძლო მთლიანი თავდაცვითი სისტემის შექმნა და ერთიანი საგარეო პოლიტიკური ხაზის გატარება. აქედან გამომდინარე, ქართველ პოლიტიკურ მესვეურებს გააზრებული ჰქონდათ, რომ მარტო ვერ დაიცავდნენ თავს მტრებისაგან და ამიტომ შეეცადნენ საკუთარ საგარეო პოლიტიკურ გზას დასდგომოდნენ, რაც ძირითადად დამპყრობლებთან საერთო ენის გამონახვასა და კომპრომისებში გამოიხატებოდა. ერთმანეთთან სამკვდროდ დაპირისპირებული ორი მუსლიმური იმპერიის გარემოცვაში საქართველოს გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ მისი ბედი ირანსა და ოსმალეთში წყდებოდა. რამდენადაც საქართველოს არ გააჩნდა არავითარი შანსი (ეკონომიკური, სამხედრო, ადამიანური რესურსები), ორივე იმპერიისათვის ერთდროულად გაეწია წინააღმდეგობა, ქვეყნის მეფე-მთავართა პოლიტიკა დაეფუძნა იმ ახალ სტრატეგიას, რომელიც ძალთა წონასწორობის დაცვის პრინციპზე აიგო. აქედან გამომდინარე, ორ აგრესორს შორის ორიენტაციათა ცვლა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ქართულ სამეფო-სამთავროებს დაეცვათ საკუთარი სახელმწიფოებრიობა და ქრისტიანული სარწმუნოება, რაც საქართველოს ფუნდამენტურ მიზანს წარმოადგენდა.

2. საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII საუკუნის 70-იანი წლები – XVIII საუკუნე)

პროექტის მიზანი იყო XVII-XVIII საუკუნეების შესახებ ვატიკანის არქივებში დაცული დღემდე უცნობი უნიკალური ხელნაწერი მასალების (433 გვერდზე მეტი) იტალიური და ლათინური ენებიდან ამოკითხვა, ქართულ ენაზე თარგმნა, კომენტირება, ანალიზი და გამოცემა სახელწოდებით „ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ“.

2018 წლის ეტაპზე შესწავლილ იქნა კაპუჩინ მისიონერთა საქმიანობა საქართველოში. თბილისში დაარსებულმა მისიონმა წარმატებით დაიწყო საქმიანობა. ამას ძირითადად განაპირობებდა ქართლის მეფის ვახტანგ V შაჰნავაზის (1658-1675) მიერ მისიონერებისადმი გამოჩენილი ლოალური დამოკიდებულება. უპრეცენდენტო მოვლენა იყო, რომ, სახელდებით მუსლიმმა მეფემ, მისიონერებს თბილისის ცენტრში უყიდა ორი სახლი და იგი მათ საჩუქრად გადასცა. ასევე ამავე მეფის ხელშეწყობით დაარსეს კაპუჩინებმა საკუთარი მისიონი გორშიც, თუმცა ქუთაისში დაუძნებულმა მისიონმა იქ არსებული არასტაბილური საშინაო მდგომარეობის გამო დიდხანს ვერ შეძლო არსებობა.

ქართლის სამეფოში კაპუჩინი მამა-მისიონერების საქმიანობა ახალი ძალებით გიორგი გიორგი XI-ის მეფობის პირველ პერიოდში (1676-1688) გაიშალა. ამ უკანასკნელმა თავის წინამორბედ ქართლის ყველა მეფეს გადააჭარბა მისიონერებისადმი მფარველობასა და საქართველოში კათოლიკეთა ეკლესიის პატივიცსემაში. ამან უშუალო ასახვა პოვა თბილისისა და გორის მისიონის წინსვლაში. კაპუჩინთა საგანმანათლებლო საქმიანობამაც კონკრეტული შედეგი გამოიღო. 1679 წელს მისიონის პრეფექტმა თბილისიდან პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად სამი ყმაწვილი მიავლინა. ამასთან დაკავშირებით

საგულისხმოა საკუთრივ თვით მეფე გიორგის მიერ პროპაგანდის კოლეჯში სასწავლებლად ქართველი ყმაწვილის სოლომონ თუმანიშვილის გაგზავნა. ამ მოვლენების ამსახველი 8 ვრცელი რელაციონი, რომელიც დღემდე უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის, გარდა ამისა, სხვა მრავალ ფაქტობრივ სიახლეს შეიცავს. კერძოდ, მათში რელიეფურად ჩანს, რომ მამა-მისიონერების წარმატებებმა ქართველ საერო და სასულიერო პირთა ხელშეწყობით მიზანმიმართული ხასიათი მიიღო. ირკვევა კაპუჩინმა მამებმა ხელში აიღეს ინიციატივა და მათი ზეგავლენით, უდიდესი მონდომებით, კათოლიკობისაკენ გადაიხარა მეფე გიორგი XI, დიდი სულხან-საბა ორბელიანი, ქართლის ჯარების მხედართმთავარი თამაზ ყაფლანიშვილი და სხვ. ამ რელაციონებში აშკარად იკითხება, რომ მამა-მისიონერებმა ქართლის სამეფოს ზედა ფენებში მაღალი ავტორიტეტი მოიხვეჭეს და მათგან დიდი ნდობა დაიმსახურეს. ამ ეტაპზე ჩატარებული სამუშაო შეჯამებულ იქნა წყაროების კრებულში „ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)“, თბილისი, 2018 (211 გვერდი), რომელშიც ძირითადად შევიდა მანამდე უცნობი წყაროები (31 დიდი თუ მცირე რელაციონი).

2019 წლის ეტაპზე გაიშიფრა და ამოკითხულ იქნა იტალიური და ლათინურენოვანი ხელნაწერი ტექსტები. შემდეგ ითარგმნა ქართულ ენაზე. ეს მასალები ასახავენ XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართელოს საშინაო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას და, ცხადია, კაპუჩინი მისიონერების საქმიანობას. თარგმანმა შეადგინა 279 გვერდი. სიახლის თვალსაზრისით 18 ვრცელი რელაციონი ახალ წარმოდგენას გვიქმნის ერეკლე II-ისა და სოლომონ II-ის ევროპულ პოლიტიკაზე. ასევე ამ წყაროებში რელიეფურად ასახულია, თუ რა პოზიცია ეჭირათ კაპუჩინ პატრებს გეორგიევსკის ტრაქტატის მიმართ. მათი სწორი დასკვნით, ამ ხელშეკრულებით საქართველო სრულიად წყდებოდა ევროპასთან კავშირს და შესაბამისად წმინდა ტახტსაც საბოლოოდ ეკეტებოდა გზა საქართველოსკენ. ამ ეტაპზე ჩატარებული სამუშაო შეჯამებულ იქნა წყაროების კრებულში „ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVIII საუკუნე)“. იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა. თბილისი: „საჩინო“, 2020 (218 გვერდი).

პროექტის შედეგები შეჯამებულ იქნა მონოგრაფიაში საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII ს-ის 70-იანი წლები – XVIII ს.), თბილისი: „უნივერსალი“, 2020 (245 გვერდი).

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. **Post-Soviet Conflicts, International Law and Security Forum.** Russia and the Caucasus Regional Research Project, RUCARR, Malmö University, Sweden

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 01.01.2021-31.12.2021

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. კამალ ალიევი (პროექტის ხელმძღვანელი); **თეიმურაზ პაპასქირი** (ძირითადი პერსონალი); ტიმურ კოროტკი (ძირითადი პერსონალი); ელენა რაილეანი (ძირითადი პერსონალი); გიუნაი გაჯიევა (ძირითადი პერსონალი)

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იყო სამეცნიერო თანამშრომლობის ფორუმის შექმნა, რომელიც გააერთიანებდა შვედეთის, საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვის მეცნიერებს. მეორე ეტაპზე ამ უკანასკნელებს უნდა წარმოედგინათ ერთობლივი პროექტის მონახაზი. მესამე ეტაპზე მოხდა ერთობლივი მოხსენების მომზადება და წარდგენა პროექტის ფარგლებში დაგეგმილი კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა 2021 წლის 3 დეკემბერს. კონკრეტულად ჩვენს შემთხვევაში, მომზადებულ და წარდგენილ იქნა მოხსენება „რუსული პასპორტიზაციის პოლიტიკა საქართველოსა და უკრაინაში: ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა და ეროვნული საკითხები“, რომლის თანაავტორები იყვნენ თეიმურაზ პაპასქირი, კახაბერ ყალიჩავა (საქართველო) და ოლგა პოედინოკი (უკრაინა). აღნიშნული მოხსენების საფუძველზე მზადდება სტატია, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს მაღალრეიტინგულ უცხოურ ჟურნალში.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1.

2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1.

2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1.

2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები
1. **მურმან პაპაშვილი, თეა ქარჩავა, თეა წითლანაძე,** ანდრო გოგოლაშვილი, ნიკოლოზ სილაგაძე;
2. **Murman Papashvili**, Eldar Mamistvalishvili, Zurab Gamezardashvili;
3. **მერაბ კალანდაძე.**

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში. ISBN 978-9941-13-990-1;
2. Georgia in the European World (The 70-s of the XVII Century-XVIII Century), ISBN-978-9941-26-801-4;
3. ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა საქართველოში. ISBN 9789941313400.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“
2. თბილისი, გამომცემლობა „საჩინო“
3. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“

4) გვერდების რაოდენობა
1. 602 გვ.
2. 224 გვ.
3. 158 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

მურმან პაპაშვილი, თეა ქარჩავა, თეა წითლანაძე, ანდრო გოგოლაშვილი, ნიკოლოზ სილაგაძე
საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში

ნაშრომში – „„საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში“- მრავალფეროვანი ევროპული წყაროებისა (ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და ესპანურ ენებზე) და უახლესი სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე შესწავლილია საქართველოს როლი და ადგილი ირანისა და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში მთელი XVI საუკუნის განმავლობაში. დღემდე უცნობმა წყაროებმა და კონცეპტუალურად სიახლით გამორჩეულმა სპეციალურმა ლიტერატურამ, ძირითადად უცხო ენებზე, საშუალება მოგვცა აქამდე ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ზოგიერთი დებულება გადაგვესინჯა და მასში ახლებური დასაბუთება შეგვეტანა, ძირითადი საკითხი ახლებურად დაგვესვა და იგი გვეკვლია ევროპული ქრისტიანული იდეალის კონტექსტში საქართველოს როლისა და ადგილის ჩვენებით. ამგვარმა მიდგომით შემოთავაზებულია შემდეგი პოსტულატები, დასკვნები და ჰიპოთეზები: XVI საუკუნის დადგომისთანავე აღმოსავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები სეფიანთა სახელმწიფოსა და ოსმალეთის გაფართოება-გაძლიერების ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ. იმთავითვე გამოიკვეთა მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში გავლენის სფეროების მოპოვებისთვის ირანისა და ოსმალეთის დაპირისპირების ტრაექტორია. ამიერიდან ამ ორი მოწინააღმდეგის მეტოქეობა, კონფლიქტები და ომები განსაზღვრავდა ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებას.

ირან-ოსმალეთის ურთიერთობის ეტაპების ცვლილების მიხედვით იცვლებოდა საქართველოს მდგომარეობა. ამ ორი იმპერიის ინტერესთა კონფლიქტი კარნახობდა ქვეყანას თავისი პოლიტიკური არსებობის modus vivendi-ს ძიებას; ასევე, მათ შორის მიმდინარე ხანგრძლივ ომებში (1514; 1532-1555; 1578-1590) ქრისტიანული მოკავშირის გარეშე დარჩენილი საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკა დაეფუძნა საკუთარი სარგებლისა და კომპრომისების გამონახვის გზას. აღნიშნულმა საგარეო ფაქტორმა არსებითად გამორიცხა ქვეყნის გაერთიანებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის პროცესი. საკუთრივ დაშლილ ქვეყანას, რომელსაც არ ჰყავდა რეგულარული ჯარი, არ ჰქონდა შესაბამისი სამხედრო აღჭურვილობა, არ შეეძლო მთლიანი თავდაცვითი სისტემის შექმნა და ერთიანი საგარეო პოლიტიკური ხაზის გატარება. აქედან გამომდინარე, ქართველ პოლიტიკურ მესვეურებს გააზრებული ჰქონდათ, რომ მარტო ვერ დაიცავდნენ თავს მტრებისაგან და ამიტომ შეეცადნენ საკუთარ საგარეო პოლიტიკურ გზას დასდგომოდნენ, რაც ძირითადად დამპყრობლებთან საერთო ენის გამონახვასა და კომპრომისებში გამოიხატებოდა. ერთმანეთთან სამკვდროდ დაპირისპირებული ორი მუსლიმური იმპერიის გარემოცვაში საქართველოს გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ მისი ბედი ირანსა და ოსმალეთში წყდებოდა. რამდენადაც საქართველოს არ გააჩნდა არავითარი შანსი (ეკონომიკური, სამხედრო, ადამიანური რესურსები), ორივე იმპერიისათვის ერთდროულად გაეწია წინააღმდეგობა, ქვეყნის მეფე-მთავართა პოლიტიკა დაეფუძნა იმ ახალ სტრატეგიას, რომელიც ძალთა წონასწორობის დაცვის პრინციპზე აიგო. აქედან გამომდინარე, ორ აგრესორს შორის ორიენტაციათა ცვლა იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ქართულ სამეფო-სამთავროებს დაეცვათ საკუთარი სახელმწიფოებრიობა და ქრისტიანული სარწმუნოება, რაც საქართველოს ფუნდამენტურ მიზანს წარმოადგენდა.

2.

Murman Papashvili, Eldar Mamistvalishvili, Zurab Gamezardashvili

Georgia in the European World (The 70-s of the XVII Century-XVIII Century)

ინგლისურ ენაზე შესრულებულ ნაშრომში-„საქართველო ევროპულ სამყაროში (XVII ს-ის 70-იანი წლები-XVIII ს.)- ძირითადად დღემდე უცნობი საარქივო მასალების (ვატიკანისა და ავსტრიის არქივებიდან) და კონცეპტუალურად სიახლით გამორჩეული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე მონოგრაფიულად შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს ევროპული საგარეო პოლიტიკის ამოცანები და მიზნები XVII საუკუნის 70-იანი წლებიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. პრობლემა უმთავრესად გამოკვლეულია საქართველოსთან ვატიკანის რელიგიური კავშირ-ურთიერთობის განვითარების კონტექსტში. აქედან მთავარი ყურადღება გადატანილია კათოლიკე მისიონერების საქართველოში მოღვაწეობის დადებით შედეგებზე, წინააღმდეგობრივ ხასიათსა და სირთულეებზე. რელიეფურად გამოკვეთილია კათოლიკე მამა-მისიონერების როლი საქართველოში დასავლური მიღწევების გავრცელებისა და ქვეყნის ინტერესებში საერთაშორისო იზოლაციის გარღვევის საქმეში. უდავოა, სულხან-საბა ორბელიანის ავტორიტეტმა ბევრად განაპირობა XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ქართველ კათოლიკეთა გამრავლება და საერთოდ კათოლიკობის წინსვლა. მონოგრაფიაში გამოყენებული დღემდე უცნობი საარქივო მასალები ერეკლე II-ის ევროპული საგარეო პოლიტიკის მიზნის შესახებ ადასტურებენ: ***პირველი,*** ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის ფარული სიმპათიები კათოლიკობისადმი უკავშირდებოდა საერთო მტრის წინააღმდეგ (ოსმალეთი) დასავლეთის სუვერენებთან ფინანსური ან სამხედრო დახმარების მიღების მცდელობას, რომელიც ამასთანავე მიზნად ისახავდა გეორგიევსკის გზაზე რუსეთზე ზემოქმედების მოხდენას; ***მეორე,*** ერეკლე II-ის დასავლური პოლიტიკის კონკრეტული ამოცანები 80-იანი წლებიდან დაისახა. აქამდე კი ერეკლე მეფე ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენდა მისიონერების მიმართ, რაც ხშირად მისი მიზნის საწინააღმდეგო მოქმედების გამოვლინებითაც ხასიათდებოდა. ეს კი გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებით, რაც ხანდახან სარწმუნოებრივ საკითხებში (კათოლიკეებისათვის ეკლესიების არ დაბრუნება, სომხური სასულიერო იერარქების ანტიკათოლიკური მოქმედებებისათვის მხარის დაჭერა, რუსეთის ეკლესიის კათოლიკობისადმი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულების გათვალისწინება) დიპლომატიურად ლავირებას მოითხოვდა; ***მესამე,*** საქართველოს გარემომცველი სამყაროს ფონზე კაპუცინი მამების მიერ აღქმული საქართველო მახლობელია, იდენტურია, რომელიც „...იტანჯება უფლის სიყვარულის გამო“; ***მეოთხე,***

ქართველები ინარჩუნებდნენ მართლმადიდებლობას და მასზე ხელის აღებას არ აპირებდნენ, მაგრამ თანამშრომლობისათვის მნიშვნელოვანი იყო მისიონერების საქართველოში ყოფნა, რადგან ისინი იყვნენ ესოდენ საჭირო ექიმები, ევროპული სიახლის მატარებლები ჩვენს ქვეყანაში, დასავლეთთან დამაკავშირებელი ხიდი და ეს სიახლოვე ქმნიდა საერთო იდენტობას; ***მეხუთე,*** კაპუცინი მამების (დომენიკო ტრიესტელის, მაურო ვერონელის) დასავლეთში დესპანებად გამოყენება თავისებურ სახეს აძლევდა ქართული დიპლომატიის სტილს და, ალბათ, გათვლილი იყო იმაზე, რომ დასავლეთის მონარქები (რომის საღვთო იმპერიის იმპერატორი, საფრანგეთის მეფე, სარდინიის მეფე, ნეაპოლის მეფე, ვენეციის რესპუბლიკის მმართველი) უფრო ნდობით მოკიდებოდნენ კათოლიკე მამების მეშვეობით ერეკლე მეფის სათხოვარს; საკუთრივ დესპანებად გაგზავნილ მამებს თავიანთ ინტერესებში (ერეკლე II-ის მიერ ეკლესიების დაბრუნება, მის მიერ კათოლიკე მამების უსაფრთხო საქმიანობისათვის მფარველობა) არ დაეკლოთ მცდელობა ხსენებული მონარქები მაქსიმალურად დაეინტერესებინათ ერეკლე მეფის სათხოვრის მიმართ; ამით ერეკლე II-ს სურდა დასავლეთის პოლიტიკურ არენაზე საქართველოსადმი ინტერესი წამოეწია (დოკუმენტის ენაზე: „ევროპის სამეფო კართან დაახლოება“) და ასეთ შემთხვევაში რუსეთის თვალში საქართველოს როლი მეტად გაეზარდა. შესაძლებელია, ერეკლე მეფე ითვალისწინებდა იმ ფაქტორსაც, რომ რუსეთის წინსვლა კავკასიაში, როგორც ეს გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ უმალვე გაცხადდა, დასავლეთის სახელმწიფოებში იწვევდა ღელვასა და შიშს.

3.

მერაბ კალანდაძე

ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა საქართველოში

ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. აქ განხილული არის ნაპოლეონის მოღვაწეობის ერთი საინტერესო და აქტუალური საკითხი. ნაპოლეონი აღარ იყო მხოლოდ ერთპიროვნული მმართველი. ის იყო „პროგრესული ცეზარიზმის“ თვალსაჩინო წარმომადგენელი. ნაშრომში გაშუქებულია ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა საქართველოში. ეს სიახლეა, ქართული კონტექტი გააჩნია და ამ პრობლემის შესწავლის პირველ მცდელობად გვევლინება.

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.

2.

4) გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1.
2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.
2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

5) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. **მარიკა მშვილდაძე**
2. **მარიკა მშვილდაძე**
3. **მარიკა მშვილდაძე**
4. **მარიკა მშვილდაძე**
5. **მურმან პაპაშვილი**
6. **მურმან პაპაშვილი, თეა წითლანაძე, თეა ქარჩავა,** ანდრო გოგოლაძე
7. **ლეილა (ია) ხუბაშვილი**
8. **თამარ ანთაძე**
9. **თამარ ანთაძე**

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ღვთაება დემეტრას კულტი იბერია-კოლხეთში. ISSN 1512-0694
2. იბერია ანტიკური ოიკუმენის ნაწილი (მცხეთაში აღმოჩენილი არტეფაქტების შუქზე), ISSN 1512-0872
3. დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში დაცული გვიან ანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლები, ISSN 1512-0872
4. ანტიკური კულტები საქართველოში, ISBN 978-9941-9519-2-3
5. საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი. ISSN 1512-4657
6. კონსტანტინოპოლში მყოფი ფრანგი დიპლომატის ჟუიეს ცნობები საქართველოს შესახებ. ISSN 2667-9477
7. ინკვიზიცია, როგორც საეკლესიო და იდეოლოგიური ტრიბუნალი. ISSN 2449-285X
8. ვარლამ ჩერქეზიშვილი სერ ედუარდ გრეიზე. ISSN 1512-0694
9. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შესწავლის ისტორიის პერიოდიზაცია და პირველი ნაბიჯები. ISSN 1512-4657

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXV
2. მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, VI-VII
3. მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, VI-VII
4. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ მასალები
5. გორის სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №20
6. ქრონოსი, №2
7. „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია“, №5
8. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXV
9. გორის სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №20

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, თსუ გამომცემლობა
2. თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული ცენტრი
3. თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული ცენტრი
4. ბათუმი, ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა
5. გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
6. თბილისი, „პრინტჯეო“
7. გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
8. თბილისი, თსუ გამომცემლობა
9. გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

5) გვერდების რაოდენობა
1. გვ. 38-55.
2. გვ. 440-451.
3. გვ. 452-469.
4. გვ. 73-81.
5. გვ. 69-78.
6. 8 გვ.
7. 21 გვ.
8. 8 გვ.
9. გვ. 166-176.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
მარიკა მშვილდაძე
ღვთაება დემეტრას კულტი იბერია-კოლხეთში

დემეტრა – ნაყოფიერებისა და მიწადმოქმედების ქალღმერთი ერთ-ერთი ყველაზე თაყვანსაცემი და გავრცელებული ღვთაება იყო ანტიკურ სამყაროში. ბერძნების ამა თუ იმ ქვეყანაში შესვლისთანავე დემეტრა გაიგივებული იყო ადგილობრივ ქალღვთაებებთან. მაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი დემეტრას კულტთან დაკავშირებული არქტეფაქტები. კვლევის შედეგად დგინდება, რომ დემეტრას კულტი კოლხეთის ტერიტორიაზე ადრე ანტიკური პერიოდიდან იქნა შემოტანილი (ტერაკოტული 4 ქანდაკება აღმოჩენილია ქობულეთ-ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანზე. ციხისძირის №158,159-ე სამარხებში კი ფიქსირდება დემეტრას წმინდა ცხოველის ღორის ტერაკოტული ფიგურები) რაც დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგს წამოადგენდა. რადგან ადგილობრივ, კოლხურ მოსახლეობაში დემეტრას კულტის გავრცელების დამადასტურებელი არქტეფაქტები არ ჩანს.
ელინისტურ პერიოდში ღვთაების ტერაკოტული თავის ქანდაკება (ძვ.წ. III-IIსს.) ფიქსირდება ვანის ტერიტორიაზე. ელინისტური პერიოდის ბოლოს დემეტრას კულტი ცნობილი იყო, აგრეთვე, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისთისაც (უფლისციხის ნაქალაქარის განძში აღმოჩენილი თიხის მჯდომარე ფიგურა (?), სარკინეს ნაქალაქარის ცენტრალური ტერასაზე აღმოჩენილი კოშკისმაგვარი თავსაბურავიანი ქალის ტერაკოტის თავის ნაწილი).

2.
მარიკა მშვილდაძე
იბერია ანტიკური ოიკუმენის ნაწილი (მცხეთაში აღმოჩენილი არტეფაქტების შუქზე)

მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ იბერია გვიანანტიკურ ხანაში ანტიკური ოიკუმენის ნაწილს წარმოადგენდა. რომი ცდილობდა საკუთარი ცხოვრების წესის, მათ შორის კულტურული, რელიგიური გავლენის, განათლების დამკვიდრებას ქართლის სამეფო კარსა და ნობილიტეტში. იმ სოციალურ, ჯგუფებში, რომლითაც სახელმწიფოს მართავდნენ. რომი კლიენტ ქვეყნებში აფართოვებდა რომის მოქალაქეთა რიცხვს. რომის იმპერიის წინაშე დამსახურებისათვის მისი მოკავშირე ქართლის მეფეები (ფლავიუს დადესი) რომის მოქალაქის საპატიო წოდებასაც ფლობდნენ. რომის მოქალაქეები იყვნენ ქართლის დიდებულებიც. თავის მხრივ, რომის იმპერატორები არ იშურებდნენ სახსრებს ქართლის ნობილიტეტის, სამეფო კარის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. მცხეთაში ვრცელდება რომაული წარმოშობის ფუფუნებისა და მასობრივი მოხმარების სახელოსნო ნაწარმი, ძვირფასი ლითონის სუფრის ჭურჭელი, გლიპტიკის ნიმუშები, ბერძნულ-რომაული წარმართული პანთეონი, ახლადდამკვიდრებული რომის იმპერატორის კულტი.
ნაშრომში შესწავლილია რომის იმპერიასთან, კერძოდ ფლავიუსებისა და ანტონინუსების რომის საიმპერატორო გვართან დაკავშირებული რამდენიმე ნივთი: დედოფალი ულპია მბრძანებლის საბეჭდავი ბეჭედი (საბეჭდავის დანიშნულების, ინტალიოზე დატანილი გამოსახულებისა და წარწერის მიხედვით, ბეჭდის მფლობელი ქალბატონი, ჩვენი აზრით, ქართლის დედოფლის ტიტულის მატარებელი უნდა ყოფილიყო); მონეტა-საკიდები ოქროსი ფაუსტინასა და ლუცილას გამოსახულებით; საკიდი ოქროსი, ოვალურ ჩარჩოში ჩასმული ქალის პორტრეტულგამოსახულებიანი ქალცედონის ბიუსტით, ოქროს ყელსაბამით შემკული; საკიდი ოქროსი (ორი ცალი), ყუნწიან ბუდეში ჩასმული სარდიონისაგან დამზადებული ბავშვის პორტრეტული ბიუსტით; ამურისგამოსახულებიანი კამეები: 1. 1947 წელს მცხეთაში №1 სამარხში აღმოჩენილი ოქროს საყურეში ჩასმული ამურისგამოსახულებიანი ყავისფერი სარდერისა და მოწითალო სარდიონის კამეები; 2. 1985 წელს მცხეთის №905 სამარხში დაფიქსირებული ა) ამურისგამოსახულებიანი ამეთვისტოს კამეა ოქროს ბეჭედში; ბ)ალმადინის ამურისგამოსახულებიანი კამეა ოქროს საყურეში; საწერი მოწყობილობები… რომლებსაც ჩვენ ანტიკურ კულტურას ნაზიარებ, ადგილობრივ რომანიზებულ მოსახლეობასთან ვაკავშიებთ და არა უცხო ეთნიკურ ჯგუფთან. ნაშრომში შესწავლილია 1979 წელს სამთავროს სამაროვანზე №445 ქვაყუთში აღმოჩნილი ოქროს მედალიონი _ სავარძელში მჯდომი კონსტანტინოპოლის პერსონიფიცირებული

გამოსახულებით, რომელიც, ჩვენი აზრით, რელიგიური (ქრისტიანული) კუთვნილებისაა და IV საუკუნის II ნახევრითა და V საუკუნის I ნახევარით შეიძლება დათარიღდეს.

3.

მარიკა მშვილდაძე

დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში დაცული გვიან ანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლები

ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია "დიდი მცხეთის" ტერიტორიაზე აღმოჩენილი და დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში დაცული გვიან ანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლები. ქართლის სამეფოს დედაქალაქის სამაროვნებზე არაერთი საბეჭდავია დაფიქსირებული. თითოეული მათგანი ქვეყნის მოსახლეობის სოციალური აქტივობის, სავაჭრო ურთიერთობის, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ ერთ-ერთი მეტყველი მთხრობელია. გვიან ანტიკურ ხანაში, როგორც ცნობილია იბერიის (ქართლი) პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთისკენ _ რომის იმპერიისკენ არის მიმართული, რაც კარგად აისახა კიდევ გლიპტიკურ ძეგლებზე.

ჭრილა ქვებზე დატანილი თემატიკა ანტიკური გლიპტიკისთვის დამახასიათებელი თემატიკისგან არ განსხვავდება. ძირითადად დაფიქსირებულია ადამიანის პირადი ქონებისა და კეთილდღეობის მფარველი ღვთაებები და მათთან დაკავშირებული სიმბოლოები: სოლი (ჰელიოსი), ჰერმესი, მარსი, ამური, დემეტრა, ტიხე-ფორტუნა, ნიკე, ნემესისი, სინკრეტული ღვთაებები, გმირი ჰერაკლე. ცხოველები, ფრინველები. ფიქსირდება წარწერიანი ჭრილა ქვები. და რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, ინტალიოები ქრისტიანული სიმბოლოებით: თევზი, ღუზა და ორი თეზი...

საბეჭდავის დასამზადებელ მასალად გამოყენებულია ძვრფასი და ნახევრადძვირფასი ქვები, მინა. ქვებიდან გრანატი (ალმადინი, პიროპი), სხვადასხვა ფერის სარდიონი (ნარინჯისფერი, მოყავისფრო, მოწითალო), სარდერი, აქატი, იასპი... გვხვდება როგორც მრგვალი, ისე ოვალური ფორმის, ბრტყელზედაპირიანი, ამობურცულზედაპირიანი ქვები, წაკვეთილი კონუსის ფორმის ინტალიოები, სკულპტურა-კამეა. ქვების დასამუშავებლად გამოყენებულია დაზგა.

დანიშნულების თვალსაზრისით, გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ანუ პირადი საბეჭდავები, რომლებსაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენები ხმარობდნენ, ისე უფლებრივი საბეჭდავი. აღნიშნულ საბეჭდავზე პორტრეტული გამოსახულებაა დატანილი, რომელიც ბერძნული წარწრითაა დამოწმებული...

კვლევის შედეგად დგინდება, რომ გვიან ანტიკურ ხანაში "დიდი მცხეთის" ტერიტორიაზე საბეჭდავი ბეჭდები გავრცელებულია საზოგადოების ყველა ფენაში. საშუალო და დაბალი ფენებისთვის განკუთვნილი ჭრილა ქვების უმრავლესობა მაღალი ხარისხით არ გამოირჩევა _ მასობრივ პროდუქციას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, რომაულ ხანაში უფრო ადრეული დროის გლიპტიკური ძეგლებისათვის დამახასიათებელი ლოკალური სტილისტური თავისებურებები თანდათან წაიშალა. მაგრამ იმავდროულად, ვხვდებით კარგ ნამუშევრებსაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნთ, რომ მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალში დაცული გვიან ანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლების კვლევა მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის როგორც საქართველოს, ისე ანტიკური სამყაროს შესწავლის თვალსაზრისით.

4.

მარიკა მშვილდაძე

ანტიკური კულტები საქართველოში

დიონისე (ძვ. ბერძნ. Διόνυσος, Διώνυσος, Δυονισος. ლათ. Dionysus), იგივე ბაკხუსი (ძვ. ბერძნ. Βάκχος, ლათ.Bacchus) მევენახეობის, მეურნეობის, მეღვინეობის, ბუნების განახლების, შთაგონების, რელიგიური ექსტაზის... მფარველი ღვთაებაა. მის სახელთან არის დაკავშირებული თეატრალური წარმოდგენები. დიონისე ერთ-ერთი პოპულარული ღვთაება იყო ანტიკურ სამყაროში, რომლის კულტის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე ადრეანტიკური პერიოდიდან იწყება და გრძელდება მთელი ანტიკური ხანის მანძილზე.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს იმ საკითხის გარკვევა, თუ რამდენად იყო პოპულარული დიონისეს კულტი გვიან ანტიკური ხანის საქართველოში (იბერია, კოლხეთი) და რამდენად თავსდება, ამ მხრივ, იბერია და კოლხეთი ანტიკურ ხანაში არსებულ საერთო რელიგიურ კონტექტში. შესაბამისად, ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებული გვაქვს არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დიონისეს კულტთან დაკავშირებული არტეფაქტები: დიონისეს გამოსახულებიანი გლიპტიკური ძეგლები (ურბნისი, ჟინვალი, სოფ. მანგანეთი...), ე.წ. დიონისეს მოხატული სურა სოფ. ხოვლედან, ვერცხლის სარკე მცხეთის №905 აკლდამიდან, დიონისეს ქანდაკება და ვერცხლის თასი დიონისიური სცენით პიტიუნტიდან, ძალისას დარბაზის მოზაიკა დიონისესა და მისი წრის გამოსახულებებით....

კვლევის შედეგად დგინდება, რომ დიონისეს კულტი გვიან ანტიკურ ხანაში საკმაოდ პოპულარული იყო საქართველოს ტერიტორიაზე. დიონისეს პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ღვთაების გამოსახულებებთან ერთად გვხვდება დიონისეს კულტთან დაკავშირებული პერსონაჟები. არტეფაქტების შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღვთაების კულტი ძირითადად საზოგადოების საშუალო და ზედა ფენებში იყო პოპულარული, რაც გვიან ანტიკურ ხანაში რომის იმპერიასთან არსებული პოლიტიკური და კულტურული კავშირების შედეგს უნდა წარმოადგენდეს.

5.

მურმან პაპაშვილი

საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი

სტატიაში დონ კრისტოფორო კასტელის მიერ საქართველოდან რომში გაგზავნილი რელაციების საფუძველზე გამოკვლეულია ამ მისიონერის ოდიშის სამთავროში ყოველდღიური საქმიანობის ერთი ეპიზოდი კულტურათაშორისი დიალოგის კონტექსტში. იგი ეხება 1649 წლის აღდგომის დღესასწაულზე დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-თან და მის კრებულთან გამართლ დიალოგს მაცხოვრის საფლავზე წმინდა ცეცხლის გადმოსვლის ჭეშმარიტების საკითხის შესახებ. ამ დიალოგს მხარეებს შორის დიდი შეხლა-შემოხლის გარეშე არ ჩაუვლია, თუმცა შემდეგში იგი არ გაღრმავებულა და მას მწვავე ხასიათი არ შეუძენია. ამ ფაქტზე და მის გარშემო განვითარებული მოვლენების ფონზე ჩატარებული ანალიზის შედეგად მიღებულია შემდეგი დასკვნა: თეატინელი მისიონერები ქართულ სამყაროში ახალ რეალობას ქმნიდნენ. დასავლურ სამყაროს მოწყვეტილ საქართველოში მათი საქმიანობით ქვეყანა ევროპის სინამდვილის შესახებ თავის წარმოდგენას აფართოებდა და მათი მიღება, როგორც „თავისიანის“, მართლმადიდებელი რწმენის დათმობის გარეშე მიმდინარეობდა. ეს იმაზე მიუთითებდა, რომ „კულტურული ადაპტაცია“ და „ევროპეიზაცია“ ქართული სინამდვილისათვის მისაღები იყო რელიგიური კომპრომისების გარეშე. ეს ორმხრივი ურთიერთობა არ ეფუძნებოდა „უცხოს“ შეცნობის პრინციპებს. ასეთ შემთხვევაში საქმე არ გვექნებოდა რელიგიური დიალოგის გამართვასთან. ბერძნული სქიზმის მიმდევარ ქართველებთან კომუნიკაცია კათოლიკური დოქტრინების „ჭეშმარიტების“ გაგებას და „თავისიანის“ მიერ მის მიღებას ისახავდა მიზნად.

6.

მურმან პაპაშვილი, თეა წითლანაძე, თეა ქარჩავა, ანდრო გოგოლაძე

კონსტანტინოპოლში მყოფი ფრანგი დიპლომატის ჟუიეს ცნობები საქართველოს შესახებ

სტატიის ანოტაცია ინდივიდუალურ ანგარიშებში მოცემული არ არის

7.

ლეილა (ია) ხუბაშვილი

ინკვიზიცია, როგორც საეკლესიო და იდეოლოგიური ტრიბუნალი

ინკვიზიციამ საუკუნეების მანძილზე უზარმაზარი გავლენა მოახდინა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებზე და უამრავი კითხვის ნიშანი დატოვა. ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ყოველთვის აზრთა სხვადასხვაობა მოსდევს. ამიტომ მისი ობიექტური შეფასება ძნელია. 1998 წელს იოანე-პავლე მეორემ რომის ინკვიზიციის არქივები გახსნა. ორი წლის კვლევის შედეგების განხილვისას რომისა და ფრანქფურტის კონფერენციებზე, მეცნიერები შეთანხმდნენ, რომ ინკვიზიციის ასახვა არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და, რომ „შავი ლეგენდის“ ძირითადი მასა XVI საუკუნის პროტესტანტული წყაროებიდან მოდიოდა...
ცნობილია, რომ ყველა ეპოქა ფაქტებსა და მოვლენებს იდეოლოგიის მიხედვით ხსნიდა და ალაგებდა, ამიტომ დავესესხები ფრანკო კარდინის და გავიმეორებ, რომ ისტორია ყოველთვის საჭიროებს მანამდე არსებული ისტორიული ფაქტების ინტერპრეტაციას. რა თქმა უნდა, გამართლება არა აქვს იმ სისასტიკეს, რასაც ინკვიზიცია ჩადიოდა, მაგრამ ვფიქრობ, ფაქტების ახლებურად დალაგება და გააზრება ინკვიზიციების და არა ინკვიზიციის ინტერპრეტაციისთვისაც აუცილებელია, მით უფრო, რომ ამასთან დაკავშირებით არსებობს უახლესი ლიტერატურა (ლევაკი, მონტერი, ჰენინგსენი, ბრიანი, პროსპერი, ტედესკი, კარდინი, კამილერი...).
ინკვიზიცია დაუნდობელი იყო ყველა ეჭვმიტანილისადმი. ზოგიერთი მკვლევარი (გერგეი, ლოზინსკი, გრიგულევიჩი, შეინმანი, ლი) ამტკიცებს, რომ ერეტიკოსებს ჩამორთმეული ჰქონდათ უფლებები, აკრძალული იყო მათი დამარხვა, ბრალდებულებს არ ჰქონდათ არც აპელაციის და არც დამცველის აყვანის უფლება. მათი ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა.
განსხვავებული მოსაზრება აქვს კარდინის და კამილერს. მათი აზრით, ერეტიკოსს შეეძლო დამცველის აყვანა მოეთხოვა. თუ საამისო თანხები არ გააჩნდა, ამგვარი დაცვა უფასო იყო. დანიშვნით უფასო დამცველის სისტემა კი იმ დროისათვის ჭეშმარიტად რევოლუციური მოვლენა გახლდათ. ინკვიზიციის მეორე გამოგონება „გარანტირებული შეტყობინება“ იყო, რაც ეჭვმიტანილს საშუალებას აძლევდა თავდაცვისათვის მომზადებულიყო. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ბრალდებულს აპელაციის უფლება ჰქონდა პაპთან და რაც ყველაზე გაუგონარი იყო იმ დროისათვის, წმინდა ტრიბუნალის წინაშე ყველა თანასწორი იყო. ტედესკიმ რომის ინკვიზიციას „იურიდიული რეფორმის პიონერი უწოდა“, ვინაიდან, მისი წყალობით დაიწყო მოძრაობა ბრალდებულის უფლებებისა და ღირსების დასაცავად.
ამგვარად, როგორი კრიტიკულ-შედარებითი ანალიზი და ინტერპრეტაციაც არ უნდა მოვახდინოთ ინკვიზიციების ოპონენტებისა და აპოლოგეტებისა, ფაქტი ფაქტად რჩება; ინკვიზიცია პოლიტიკური იდეოლოგია იყო, რომელიც ეკლესიის ერთიანობას ემსახურებოდა და თავისუფალ აზროვნებას ახშობდა. მისთვის მიზანი ამართლებდა საშუალებას და შედეგზე იყო ორიენტირებული. სავსებით ვიზიარებ კამილერისა და კარდინის მოსაზრებას, რომ შემწყნარებლობა, ტოლერანტობა, პლურალიზმი, აზრის თავისუფლება მხოლოდ უახლესი დროის ცნებებია, მაშინ კი ერესს ბადებდა.

8.
თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ედუარდ გრეიზე

ნაშრომს, პირველ ყოვლისა, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ვარლამ ჩერქეზიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, ინგლისის ისტორიის, სადაც ის დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა, პოპულარიზაციის საქმეში. ამ სფეროში მისი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. უწინარესად, ყურადღებას იპყრობს მისი ინფორმირებულობა, საკითხში ჩახედულება. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან ის ამ ამბების უშუალო თვითმხილველი იყო. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით აიხსნება, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი ამ საკითხებში საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებდა. ემპირიული, ფაქტობრივი მასალის ცოდნა ამ საკითხებზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სანდოობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. თუ კარგად დაუკვირდებით მისი მსჯელობა საშუალებას მოგვცემს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მისი დამოკიდებულება ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ან კიდევ პიროვნებისადმი. არის კიდევ ერთი საინტერესო წახნაგი, რომლის გვერდის ავლა, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა საუკეთესო ნიმუშია იმის თუ როგორი ნაყოფიერია მსოფლიო ისტორიის შესწავლა როდესაც იმყოფები

იმ ქვეყანაში, რომელზეც წერ. ეს მისი როგორც პუბლიცისტის და ჟურნალისტის კიდევ ერთი პლიუსი იყო.

ამჯერად ჩვენ შევეცდებით გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსის სერ ედუარდ გრეისადმი (1862-1933), რომელსაც ეკავა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო წლებში პირველი მსოფლიო ომის წინ - 1905-1916 წელს. ამიტომ, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით გადავავლოთ თვალი „ფორინ ოფისის“ ხელმძღვანელის სერ ედუარდ გრეის მოღვაწეობას. ამ საკითხზე სიტყვის თქმას, უმთავრესად, ის გარემოება გვაბედინებს, რომ მასზე ქართულ ენაზე არაფერი დაწერილა.

9.
თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ბისმარკზე

სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლას საქართველოში თავისი ისტორია გააჩნია და ის აშკარად ცილდება ერთი სამეცნიერო ნაშრომის ჩარჩოებს, ამიტომ ამჯერად შევჩერდებით ერთ კონკრეტულ თემაზე. სქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორიის შესწავლის პერიოდიზაცია და პირველი ნაბიჯები.

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესებამ რამდენიმე ეტაპი განვლო. ამ საკითხის პერიოდიზაცია საინტერესოა და აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ის პირობით რამდენიმე პერიოდად შეიძლება დავყოთ.

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესების ათვლის წერტილად შეიძლება ავიღოთ XX საუკუნის დასაწყისი, როდესაც ჩნდება პირველი სპორადული ცნობები სკანდინავიის ისტორიის შესახებ. კონკრეტულად, ეს გახლავთ მონაკვეთი 1900-1921 წლები. ის შეიძლება აღვიქვათ საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესების პირველი პერიოდი ანდაც შესავალი, წინარე ისტორია (პირველი ვერსიის თანახმად, სამ პერიოდად დაყოფასთან გვექნება საქმე, ხოლო მეორე შემთხვევაში ორ პერიოდად დაყოფასთან).

მეორე პერიოდი არის სკანდინავიის ქვეყნების ისტორიით დაინტერესება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1991).

მესამე პერიოდია სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის დაიწყო 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება.

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პოპულარიზაციამ საინტერესო ევოლუცია განიცადა. თავდაპირველად, მან ასახვა ჰპოვა თარგმნილ ლიტერატურაში და ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა გამართლებული არ უნდა იყოს. გასაბჭოებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების შესწავლის დროს, უპირატესად, ორიენტირებული იყვნენ ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, თავისუფალ აზროვნებაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები, ამიტომ ამ მასალის შეუფასებლობა ან აპოლოგეტური შეფასება გადაჭარბებული უნდა იყოს და მიზანშეწონილი არ იქნება. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და 1918-1921 წლებში საქართველოს სუვერენულ რესპუბლიკაში არსებული დემოგრაფიული გარემოს გამოძახილია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის გავლენასთან.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1.
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. **მარიკა მშვილდაძე**
2. **თეიმურაზ პაპასქირი**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. For the study of stone cutting workshops Existing on the territory of Iberia (Kartli), ISSN 1230-1604
2. Reconsidering the Russian Foreign Policy in the 21st Century, ISSN 2299-2421

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Pro Georgia, 31
2. Warsaw East European Review, XI, 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ვარშავა, ვარშავის უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. ვარშავა, ვარშავის უნივერსიტეტის გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

1. გვ. 167-172.
2. გვ. 139-145.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

მარიკა მშვილდაძე

იბერიის (ქართლი) ტერიტორიაზე არსებული
ქვის საჭრელი სახელოსნოების შესწავლის საკითხისათვის

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია არაერთი უძველესი ბულა (თიხაზე საბეჭდავების ანაბეჭდი), მცირეაზიული, აქემენური, ელინისტური, იტალიკური, რომაული, პართული, სასანური, ბიზანტიური გემები. განვითარების მწვერვალს ჩვენში გლიპტიკამ ანტიკური ხანაში მიაღწია. გლიპტიკის საინტერესო ნიმუშები იქმნებოდა განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების პერიოდში. ჯერ კიდევ ელინისტური პერიოდში იბერებს ათვისებული ჰქონდათ შემოტანილი საბეჭდავებიდან მინის ჩამონასხამის დამზადების, რბილ ბრინჯაოზე გამოსახულებების კვეთის ტექნიკა. ადგილობრივი ოსტატები დაუფლებულნი იყვნენ ქვაზე ბეჭდის ჭრის ტექნიკასაც (ძვ. წ. IV-III სს.). საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებული გემები ძირითადად მაგარი ჯიშის ძვირფას და ნახევრადძვირფას ქვებზეა ამოჭრილი.

იბერიის (ქართლი) ტერიტორიაზე ქვის საჭრელი სახელოსნოების არსებობის შესახებ ვარაუდი პირველად გამოთქვა მ. მაქსიმოვამ. როგორც იგი მცხეთა-სამთავროს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალის შესწავლის შედეგად აღნიშნავდა, ადგილობრივ მოსახლეობაში ჭრილაქვების პოპულარობამ იბერიაში მიიზიდა ბერძენი და შესაძლოა ირანელი ქვისმჭრელი ოსტატები.

მარგ. ლორთქიფანიძემ მ. მაქსიმოვას მიერ გამოთქმული ვარაუდი ფაქტებით გაამყარა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გლიპტიკური მასალის ანალიზის შედეგად მკვლევარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საბეჭდავთა და გემათა კვეთის ხელოვნება ძველ საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. კვლევის შედეგად იგი მივიდა იმ დასკვნემდე, რომ ადგილობრივი გემების დასამზადებლად დასტურდება რამდენიმე სახის საჭრისის გამოყენება. როგორც მკვლევარი აღნიშნავდა, საქართველოში სავარაუდოდ რამდენიმე სახელოსნო არსებობდა, რომლებშიც სხვადასხვა მიმდინარეობების ოსტატებს უნდა ემუშავათ, რითიც ხსნიდა კიდეც ტექნიკისა და სტილის იმ მრავალფეროვნებას, რომელიც ჩვენს ძეგლებში შეიმჩნევა. ახ.წ. I საუკუნიდან კი ადგილობრივი ოსტატები დაზგის ტექნიკას ეუფლებიან. მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია ძველ საქართველოში საგანგებო სკოლების თუ სახელოსნოების არსებობა, სადაც ოსტატები ეუფლებოდნენ მხატვრული

ხელოსნობის ამ რთულ დარგს. მ. ლორთქიფანიძემ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლებიდან გამოყო იბერიელი ოსტატების ნახელავი ჭრილაქვები.

ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ადგილობრივ სახელოსნო ცენტრში იყოს დამზადებული ოქროს ბეჭედი მოწითალო ფერის სარდიონის გემა-ინტალიოთი (ზომები 2x17 მმ), რომლის თვალზეც ამოკვეთილია ქალის მკერდზედა გამოსახულება _ მარცხენა პროფილი, წაკვეთილი ცილინდრის ფორმის თავსაბურავით. მას გარშემოუყვება ბერძნული მთავრული ნეგატიური წარწერა: ΒΑCΙΛΙCCΑ ΟΥΛΠΙΑΝΛΞΙΑ _ "დედოფალი ულპია მბრძანებელი", რომელიც 2001 წელს აღმოჩნდა სვეტიცხოვლის მდიდრულ აკლდამაში (სამარხი №14, თარიღდება ახ.წ. III ს-ით).

ჩვენი აზრით, ადგილობრივი გლიპტიკის ნიმუშებად შეიძლება მივიჩნიოთ, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მხედრისგამოსახულებიანი გემების 11 ეგზემპლარია (4 მცხეთა (1. ინვ. მმ№3711. II-III ს-ის მიჯნა; 2. ინვ. მმ№6725. III-IV სს.; 3. ინვ. მმ№5240. II-III ს-ის მიჯნა; 4. ინვ. მმ№5240), II-III სს-ის მიჯნა (სამი დაცულია დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში, ერთი (ინვ. №587. III-IVსს.) საქართველოს ეროვნულ მზეუმში), 5 ურბნისი (1. ინვ. №1040; 2. ინვ. №1010; 3. ინვ.№1074; 4. ინვ. №1009 (გემები ახ.წ. I-IIსს-ით თარიღდება); 5. ინვ. №1107. ახ.წ.IIIს.), 1 ქუთაისი (ინვ. №267. ახ.წ. IIს-ის ბოლო- IIIს-ის დასაწყისი. ინახება მოსკოვის ისტორიის მუზეუმში), 1 ჟინვალი (ინვ.№1854. ახ.წ.IIს.)) ცნობილი. ჩვენთვის ცნობილია იკონოგრაფიულად მსგავსი გამოსახულებიანი გემები ბერლინისა და ბონის მუზეუმებიდან.

2.

თეიმურაზ პაპასქირი

XXI საუკუნის რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხელახალი შეფასებისთვის

სტატიაში გაანალიზებულია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ნაბიჯები ვლადიმირ პუტინის რუსეთის ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდიდან მოყოლებული. მასში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიცვალა რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ. პუტინის ახალმა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ რუსეთს მოუტანა გარკვეული ტერიტორიული წარმატებები: შეერთებულ იქნა ყირიმი; აღმოსავლეთ უკრაინაში შექმნა პლაცდარმი; დაამყარა სრული კონტროლი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე. მიუხედავად ამისა, ეს მოქმედებები ცივილიზებული სამყაროს მიერ არ იქნა ცნობილი. შესაბამისად, ეს მიღწევები დროებით ხასიათს ატარებს. რუსეთმა დაკარგა სტაბილური და პრორუსული სამეზობლოს შექმნის შესაძლებლობა. ყირიმის ანექსიის შემდეგ უკრაინელების დიდმა უმრავლესობამ ზურგი აქცია რუსეთს და მათი დამოკიდებულება უცვლელი იქნება, სანამ ყირიმი რუსეთის ხელთ იქნება. უფრო მეტიც, 2014 წლამდე ყველა არჩევნები უკრაინაში მეტად დაძაბული იყო და გამარჯვებულის დასახელება ჭირდა. ყირიმის ანექსიის შემდგომ, რომელიც პრორუსული პარტიების დასაყრდენი იყო, სიტუაცია შეიცვალა და უახლოეს მომავალში არჩევნები პროდასავლური პოლიტიკური გაერთიანებები დომინაციის პირობებში ჩაივლის. იგივე ეხება საქართველოსაც, რომელიც არასდროს დათანხმდება რუსეთთან ურთიერთობების სრულ ნორმალიზებას, სანამ რუსული ჯარები დგას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და სანამ რუსეთი მათ საქართველოს ნაწილად არ სცნობს. უკრაინაში რუსეთის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა ბელარუსშიც კი გამოიწვია უკმაყოფილება. შესაბამისად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკამ შექმნა ანტირუსული განწყობილებები როგორც უშუალოდ მის სამეზობლოში, ისე მთელ მსოფლიოში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **თეიმურაზ პაპასქირი**
2. **თეიმურაზ პაპასქირი**
3. **ლევან გორდეზიანი**, ირინე ტატიშვილი
4. **მარიკა მშვილდაძე**
5. **მარიკა მშვილდაძე**

6. **მურმან პაპაშვილი**
7. **მურმან პაპაშვილი**
8. **მერაბ კალანდაძე**
9. **ლეილა (ია) ხუბაშვილი**
10. **ლეილა (ია) ხუბაშვილი**, გიორგი ოქრიაშვილი
11. **ლეილა (ია) ხუბაშვილი**
12. **ლეილა (ია) ხუბაშვილი**
13. **ლეილა (ია) ხუბაშვილი**
14. **ლეილა (ია) ხუბაშვილი**
15. **ფატიმა შეყლაშვილი**
16. **თამარ ანთაძე**
17. **თამარ ანთაძე**
18. **ზაალ გოგენია**

2) მოხსენების სათაური

1. საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამმხრივი მოლაპარაკებები 1939 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში და მათი ჩაშლის მიზეზები;
2. ოპერაცია „გრძელი ნახტომი“: მითი თუ რეალობა;
3. იღუიანქას ტექსტის ინტერპრეტაციისათვის;
4. რომისა და ხანის იმპერიებს შორის არსებული ურთიერთობის შესწავლის საკითხისათვის;
5. ქართლი და სასანიანთა ირანი III ს. რელიგიური ასპექტი;
6. მეფე ერეკლე II-ის დამოკიდებულება კათოლიკობისადმი დღემდე უცნობი მასალების მიხედვით;
7. კრისტოფორო კასტელისა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ის ერთი საღვთისმეტყველო დიალოგის ანალიზი;
8. კარდინალი რიშელიე ქართულ ისტორიოგრაფიაში;
9. სიკვდილის ზეიმი ფლორენციაში. 1348 წლის პანდემია ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის“ მიხედვით;
10. პერლ-ჰარბორის კატასტროფა და ამერიკული მასმედიის როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე;
11. დანტე Una Italia-სა და უნივერსალური მსოფლიო მონაქიის ფუძემდებელი „De Monarchia“-ს მიხედვით;
12. წმინდა საყდრის უნიატური პოლიტიკა და რუსეთის დიპლომატიური მისია ვატიკანში (1878-1903);
13. აშშ-ვატიკანის ურთიერთობები ცივი ომის პერიოდში;
14. ნეპონიზმისა და იამატოს უმაღლესი რასის ლიდერობის კონცეფცია იაპონური ფაშიზმის იდეოლოგიაში;
15. მაკედონიის საკითხი რეგიონული და ევროპული პოლიტიკის კონტექსტში XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში;
16. ისტორიკოსი ბენ უაიდერი;
17. ვარლამ ჩერქეზიშვილი ჯოზეფ ჩემბერლენზე;
18. ესპანეთის სამოქალაქო ომის და ფრანკოს რეჟიმის რეპრეზენტაცია გილერმო დელ ტოროს ფილმებში.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი. თბილისი, თსუ, 5-6 ივლისი;
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთოთხმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 30 დეკემბერი;
3. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი, თსუ, 20-21 დეკემბერი;

4. შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის VI სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, თსუ, 15-16 აპრილი;
5. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი, თსუ, 20-21 დეკემბერი;
6. კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში. IV საერთაშორისო სიმპოზიუმი. თბილისი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2021 წ. 8-9 ივნისი;
7. დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. გორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021 წ. 24 დეკემბერი;
8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთოთხმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 30 დეკემბერი;
9. ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. თბილისი, თსუ, 23-24 აპრილი;
10. ამერიკისმცოდნეობის 22-ე ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების 245-ე წლისთავისადმი. თბილისი, თსუ, 20-22 მაისი;
11. დანტე ალიგიერის გარდაცვალებიდან 700 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „დანტეს შემოქმედების ლიტერატურულ-ენობრივი პარადიგმები, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანძური“. თბილისი, თსუ, 27-28 ოქტომბერი;
12. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ქართველოლოგიის დარგში. თბილისი, თსუ, 28 ოქტომბერი;
13. აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია. თბილისი, თსუ, 20-21 დეკემბერი;
14. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთოთხმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 30 დეკემბერი;
15. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთოთხმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 30 დეკემბერი;
16. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XIV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი. თბილისი, თსუ, 5-6 ივლისი;
17. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთოთხმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 30 დეკემბერი;
18. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მეთოთხმეტე ყოველწლიური კონფერენცია. თბილისი, თსუ, 30 დეკემბერი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1.

თეიმურაზ პაპასქირი

საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამმხრივი მოლაპარაკებები 1939 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში და მათი ჩაშლის მიზეზები

1939 წლის მარტში გერმანიის მიერ ჩეხოსლოვაკიის სრულად დაკავებამ ახალი პოლიტიკური სიტუაცია შექმნა ევროპაში. შედეგად, დაიწყო მოლაპარაკებები დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, თუმცა, რამდენიმე თვის შემდეგ, ისინი წარუმატებლად დასრულდა. მხარეებმა ამაში ერთმანეთი დაადანაშაულეს. საბჭოთა მხარის თქმით, საფრანგეთისა და, პირველ რიგში, ინგლისის

დელეგაციებს არ გააჩნდათ შესაბამისი უფლებამოსილებები ხელშეკრულების გასაფორმებლად. თავის მხრივ, ინგლისელებმა საბჭოთა კავშირი დაადანაშაულეს არაგულწრფელობაში და პარალელურად გერმანიასთან მოლაპარაკებების წარმოებაში. ამავდროულად, მოლაპარაკებების ჩაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო საბჭოთა მოთხოვნები, რომლებიც წამოყენებულ იქნა კონსულტაციების პერიოდში. სსრ კავშირი ითხოვდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს და ჯარების განთავსებას პოლონეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე. უკანასკნელ ხანებში, დასავლეთში გაჩნდა თვალსაზრისი, რომ საბჭოთა კავშირს გულწრფელად სურდა ე.წ. „კოლექტიური უსაფრთხოების“ სისტემის შექმნა და რომ ამის ჩაშლის მიზეზი სწორედ ინგლის-საფრანგეთის ხელმძღვანელების ანტიკომუნიზმი და სსრკ-სადმი უნდობლობა იყო. მართალია, ნევილ ჩემბერლენსა და ედუარდ დალადიეს ნამდვილად გააჩნდათ მსგავსი დამოკიდებულება, მაგრამ ყველა არსებული წყაროს გააზრებისა და სწორი ანალიზის შემთხვევაში, ნათელი ხდება, რომ სინამდვილეში საბჭოთა ლიდერ იოსებ სტალინს საკუთარი მიზნები გააჩნდა და ის მხოლოდ იმ მხარესთან გააფორმებდა ხელშეკრულებას, რომელიც მის მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებდა. ასე რომ, ე.წ. „კოლექტიური უსაფრთხოების“ სისტემა სინამდვილეში უბრალოდ საბჭოთა პროპაგანდა იყო და რეალობაში სტალინი მასში დაინტერესებული არ იყო. მის რეალურ მიზნებს, რომელიც მდგომარეობდა სურვილში, გაესაბჭოებინა მთელი მსოფლიო, გერმანიასთან ალიანსი ბევრად უფრო მეტად შეესაბამებოდა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს სტალინის მიერ 1939 წლის 19 აგვისტოს სკკპ ცკ პოლიტბიუროს სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან, რომელსაც შედეგად მოჰყვა 20 აგვისტოს მოლაპარაკებების დასრულება ინგლისთან და საფრანგეთთან და 23 აგვისტოს პაქტის გაფორმება გერმანიასთან.

2.
თეიმურაზ პაპასქირი
ოპერაცია „გრძელი ნახტომი“: მითი თუ რეალობა

1943 წლის 26-27 ნოემბერს იოსებ სტალინი, ფრანკლინ დელანო რუზველტი და უინსტონ ჩერჩილი ჩავიდნენ თეირანში, სადაც 28 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო „დიდი სამეულის“ პირველი კონფერენცია. ორი კვირის განმავლობაში სტალინი ცდილობდა, დაერწმუნებინა რუზველტი, რათა ის თეირანში საბჭოთა საელჩოს შენობაში დაბინავებულიყო. მართალია, რუზველტი თავდაპირველად ფიქრობდა ამ წინადადებაზე დათანხმებას, მაგრამ საბოლოოდ მან მაინც ამერიკული დიპლომატიური მისიის შენობაში გაჩერება გადაწყვიტა. მიუხედავად ამისა, მალე მას მოუწია ამ გადაწყვეტილების შეცვლა და საბჭოთა საელჩოში გადასვლა. ეს გამოწვეული იყო ინფორმაციით, რომელიც მოკავშირეებს მიაწოდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვიაჩესლავ მოლოტოვმა და რომლის თანახმადაც გერმანელებმა მოამზადეს შეთქმულება ანტიჰიტლერული კოალიციის ლიდერების მოსაკლავად. მოგვიანებით, დეკემბერში, პრესკონფერენციაზე გამოსვლისას, აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მან გეგმა შეცვალა, რადგანაც სტალინმა მას შეატყობინა გერმანელების შეთქმულების შესახებ და მას არ სურდა საფრთხეში ჩაეყენებინა სტალინის და ჩერჩილის ან საკუთარი სიცოცხლე.
ზემოაღნიშნული შეთქმულება განსაკუთრებით პოპულარულია რუსულენოვან წყაროებში, სადაც მას „ოპერაცია „გრძელი ნახტომი“ ეწოდება. პირველად ინფორმაცია მის შესახებ გაჩნდა დ. მედვედევის წიგნში „ეს მოხდა როვნოსთან“, რომელიც 1948 წელს გამოქვეყნდა, შემდგომ კი, 1965 წელს, ა. ლუკინმა ჟურნალ „ოგონიოკში“ დაბეჭდა თავისი მონაცემები ამ შეთქმულების შესახებ. საბჭოთა ვერსიის თანახმად, შეთქმულების შესახებ ინფორმაცია მიღებულ იქნა საბჭოთა მზვერავის ნიკოლაი კუზნეცოვისაგან, რომელმაც ამის შესახებ შეიტყო როვნოში (დღ. უკრაინა – თ.პ.) ჰანს ულრიხ ფონ ორტელისაგან. საბჭოთა მხარე ამტკიცებდა, რომ ოპერაციისთვის უნდა ეხელმძღვანელა ლეგენდარულ ოტო სკორცენის. ამ უკანასკნელმა ნამდვილად დაადასტურა, რომ ჰიტლერმა მას გაანდო ცნობები თეირანში კონფერენციის მოწყობის შესახებ და ჰკითხა, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ოპერაციის

განხორციელება. ო. სკორცენის თანახმად, ჰიტლერი დაეთანხმა მის შეფასებას, რომ მსგავსი სპეცოპერაცია შეუძლებელი იყო (უნდა ითქვას, რომ სკორცენის მემუარები მაინცდამაინც სანდო წყაროდ არ ითვლება მასში მოცემული მრავალი შეცდომისა თუ ფაქტების გაზვიადების გამო – თ.პ.). ამავდროულად, ო. სკორცენიმ უარყო როგორც მსგავსი ოპერაციის ჩატარების შესახებ ინფორმაციის ფლობა, ისე ფონ ორტელის არსებობა. უკანასკნელ შემთხვევაში ეს წყაროებითაც დასტურდება, რადგანაც გერმანულ სპეცსამსახურებში იმ პერიოდში ფონ ორტელი (არც ჰანს ულრიხი და არც პაული) არ ფიქსირდება.

საბჭოთა ვერსიამ დასავლურ წყაროებშიც შეაღწია. ნაიჯელ უესტი (რუპერტ ალასონის ფსევდონიმი) ასევე ახსენებს ამ შეთქმულებას თავის „მეორე მსოფლიო ომის დაზვერვის ისტორიულ ლექსიკონში“, თუმცა რაიმე წყაროს არ უთითებს. ყველაზე პოპულარული კი გახდა უნგრული წარმოშობის ფრანგი ჟურნალისტის ლასლო ჰავასის ალტერნატიული ვერსია, რომელიც მოცემულია წიგნში „ჰიტლერის შეთქმულება დიდი სამეულის მოსაკლავად“. მისი თქმით, შეთქმულება ნამდვილად არსებობდა და მისი თითქმის ყველა წევრი საბჭოთა დაზვერვამ დააკავა. ამავდროულად, მან კატეგორიულად უარყო ნ. კუზნეცოვის რაიმე სახით მონაწილეობა შეთქმულების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში. მან ასევე განაცხადა, თითქოს ო. სკორცენიმ მას დაუდასტურა, რომ ოპერაციის ჩატარება (თავად სკორცენის მიერ მის განხორციელებაზე უარის თქმის შემდეგ – თ.პ.) აბვერის ხელმძღვანელ ვილჰელმ კანარისს დაევალა. ლ. ჰავასის ვერსია გარკვეულწილად გაიზიარეს ჯონ ერიქსონმა და მირონ რეზუნმა, თუმცა არც ერთი მათგანი არ ეყრდნობა რაიმე სახის საარქივო წყაროს.

რასაკვირველია, დასავლელ მკვლევართა თუ ჟურნალისტთა უმრავლესობა ყოველთვის სკეპტიკურად უყურებდა შეთქმულების რეალურობას. ამერიკულმა მედიამ უმალ განაცხადა, რომ სტალინმა უბრალოდ გაასულელა რუზველტი. ბრიტანელებმა პირდაპირ თქვეს, რომ ერთადერთი ადამიანი მათ დელეგაციაში, რომელმაც ოდნავ მაინც დაიჯერა შეთქმულების არსებობა, იყო თავად ჩერჩილი. უკანასკნელ ხანებში, ისტორიკოსმა ადრიან ო'სალივანმა, რომელიც დაზვერვის ისტორიის საკითხებზე მუშაობს, დასაბუთებულად უარყო შეთქმულების არსებობა. თვით რუს მკვლევრებშიც კი გამოითქვა მოსაზრება, რომ მთელი ეს შეთქმულება საბჭოთა დაზვერვის მიერ იყო მოგონილი. თავის დროზე, ირანელებმა ასევე უარყვეს ასეთი შეთქმულების შესაძლებლობა.

რასაკვირველია, ჩნდება კითხვა, თუ რა საჭირო იყო შეთქმულების გამოგონება და რატომ იყო სტალინი დაინტერესებული მისი გავრცელებით. ბუნებრივია, მარტივია იმ დასკვნამდე მისვლა, რომ საბჭოთა ლიდერის სურვილი მდგომარეობდა კონფერენციის მსვლელობის პერიოდში რუზველტის საბჭოთა საელჩოში დაბინავებაში. ამ შემთხვევაში სტალინს ორი მიზანი ჰქონდა: 1. ის გაიგებდა ამერიკული დელეგაციის წევრებს შორის გამართული ყველა საუბრის შინაარსს; 2. ეს პრაქტიკულად შეუძლებელს გახდიდა ჩერჩილისათვის, დაერწმუნებინა რუზველტი მეორე ფრონტის ხმელთაშუაზღვისპირეთში გახსნის მიზანშეწონილობაში. თამამად შეიძლება თქვას, რომ საბჭოთა ლიდერმა ორივე ამ მიზანს მიაღწია. სახლი, რომელშიც დააბინავეს რუზველტი და ამერიკული დელეგაცია, გატენილი იყო მოსასმენი აპარატურით და სტალინს თითქმის სრული ინფორმაცია ჰქონდა იქ მიმდინარე თათბირების შესახებ. რაც შეეხება თეირანში მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის უმთავრესი იყო შეთანხმება 1944 წლის გაზაფხულზე სრულმასშტაბიანი მეორე ფრონტის გახსნა საფრანგეთში. ასე რომ, საბჭოთა ლიდერმა მიიღო ის, რაც მას სურდა. რა თქმა უნდა, სტალინი მეორე ფრონტის საკითხში რუზველტის დახმარებას, დიდი ალბათობით, ისედაც მიიღებდა, მაგრამ მან მაინც თავის დაზღვევა არჩია.

3.

ლევან გორდეზიანი, ირინე ტატიშვილი

ილუიანქას ტექსტის ინტერპრეტაციისათვის

მოხსენების ანოტაცია ინდივიდუალურ ანგარიშში მოცემული არ არის.

4.

მარიკა მშვილდაძე

რომისა და ხანის იმპერიებს შორის არსებული ურთიერთობის შესწავლის საკითხისათვის

ორი იმპერია - აღმოსავლეთით ხანისა და დასავლეთით რომის იმპერიები ელინისტური პერიოდის ბოლოსა და გვიან ანტიკური პერიოდის პირველ საუკუნეებში ევრაზიული კონტინენტის ორ ჰეგემონურ იმპერიას წარმოადგენდა. ნაშრომში გაანალიზებულია ჩინეთის ხანის იმპერიაში არსებული ჯერ კიდევ ცინის დინასტიის დროს დამკვიდრებული სინოცენტრიზმის იდეა, რომლის მიხედვითაც ჩინეთი მსოფლიოს კულტურულ ცენტრად გვევლინებოდა და ამ ფონზე ისტორიულ წყაროებზე (პლინიუს უფროსი, ლუციუს ანეუს ფლორუსი...), არტეფაქტებზე და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია რომისა და ხანის იმპერიებს შორის არსებული პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული კონტაქტები, რმლებიც ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზის (აბრეშუმის გზა, რომელსაც ხანის დინასტიის პერიოდში ეყრება საფუძველი) მეშვეობით ხორციელდებოდა.

ახ.წ. I საუკუნეში მყარდება სავაჭრო კავშირი ევროპასა და ჩინეთს შორის, რის დადასტურებასაც წარმოადგენს რომაული მონეტებისა და საგნების აღმოჩენა ხანის იმპერიის ტერიტორიაზე. ხანის პერიოდში ჩინეთში ფასობდა რომის იმპერიაში - ალექსანდრიასა და სირიაში წარმოებული მინის ჭურჭელი, ფუფუნების საგნები - ოქროთი მოქარგული ხალიჩები, მოოქროვილი და ასბეტის ნაჭრები. რომის იმპერიაში პოპულარული იყო ჩინური აბრეშუმი. ნიშანდობლივია ის ფაქი, რომ მიუხედავად ხანის დინასტიაში არსებული ეთნოცენტრული იდეოლოგიისა, ჩინელები პატივისცემით მოიხსენიებდნენ რომს და „დაცინს“ (დიდი ცინი) უწოდებდნენ, რომაელები კი ჩინეთს „სერესს“ (ლათ. seres) - „აბრეშუმის“, ანუ „აბრეშუმის ქვეყანას“.

5.

მარიკა მშვილდაძე

ქართლი და სასანიანთა ირანი III ს. რელიგიური ასპექტი

ახ.წ. I-III საუკუნეებში ქართლი “Pax Romana”-ს გეოპოლიტიკურ სფეროში შედიოდა. გამონაკლისს წარმოადგენს ახ.წ. III საუკუნის შუა ხანები, როდესაც ქართლის მეფე ამაზასპი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, იძულებულია სახელმწიფო ორიენტაცია შეცვალოს და თავი ირანის შაჰის შაბურ I-ის ვასალად აღიაროს.

III საუკუნე მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენს სასანიანთა ირანისათვის, რომელსაც რელიგიური რეფორმების ხანა შეგვიძლია ვუწოდოთ (კარტირი და მანი. ზოროასტრიზმი და მანიქეველობა). ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს დავადგინოთ თუ რამდენად აისახა სასანიანთა ირანში III საუკუნეში არსებული რელიგიური სიტუაცია ქართლზე. ნაშრომში ისტორიულ წყაროებსა და არტეფაქტებზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებულია იბერიასა და სასანიანთა ირანს შორის არსებული პოლიტიკური და რელიგიური საკითხები. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ქართლი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, გვერდს ვერ აუვლიდა III საუკუნეში სასანიანთა ირანში მიმდინარე რელიგიურ პროცესებს, მაგრამ, იმავდროულად, ეს პროცესები ნაკლებად უნდა ასახულიყო ქართლზე. ნიშანდობლივია, რომ სასანური გლიპტიკური ძეგლები ქართლში უმეტესად IV საუკუნის შემდეგ ჩნდება და მთელი სასანური პერიოდის მანძილზე გრძელდება. გემა კი თანადროული ისტორიული დოკუმენტია, რომელზეც გამოსახული ღვთაებები, სიმბოლოები და რიტუალური სცენები სინათლეს ჰფენს ამა თუ იმ პერიოდის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს.

6.

მურმან პაპაშვილი

მეფე ერეკლე II-ის დამოკიდებულება კათოლიკობისადმი დღემდე უცნობი მასალების მიხედვით

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნა, თუ რით იყო გამოწვეული მეფე ერეკლე II-ის ორმაგი პოლიტიკა საქართველოში მოღვაწე კაპუცინი მისიონერების მიმართ. უარყოფილია დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრი, რომ ერეკლე მეფის ანტიკათოლიკური პოლიტიკა გამოწვეული იყო მისი რუსეთზე ორიენტაციისა და ამ უკანასკნელის მიერ კათოლიკობის არ შეწყნარების მიზეზით. დღემდე უცნობი წყაროების მიხედვით, ამ პერიოდში რუსეთის ასეთი პოლიტიკა არ შეინიშნება საქართველოში. ეს უფრო 1845 წლიდან ჩანს. მომხსენებლმა სათანადო არგუმენტების მოშველიებით დაამტკიცა, რომ ერეკლე II-ის ორმაგი პოლიტიკა უმთავრესად დიპლომატიურ ხასიათს ატარებდა. კერძოდ, მისი ეტაპებისდა მიხედვით გატარებული პროკათოლიკური და ანტიკათოლიკური პოლიტიკა ორივე შემთხვევაში რუსეთზე დასავლეთის სასარგებლოდ ზემოქმედებას ისახავდა მიზნად.

7.

მურმან პაპაშვილი

კრისტოფორო კასტელისა და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ის ერთი საღვთისმეტყველო დიალოგის ანალიზი

მოხსენებაში კრისტოფორო კასტელის 1653 წლის დღემდე უცნობი რელაციონეს საფუძველზე წარმოდგენილია კასტელის ერთ-ერთი ქადაგების ანალიზი, რომელიც თეატინელთა საქართველოში ყოველდღიურობის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია და ჩვენი აზრით, უნდა მივიჩნიოთ ბერძენ სასულიერო პირთან, ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირების თანხლებით, პოლიმიკური საღვთისმეტყველო დიალოგის თავისებურ ფორმად. ამ უკანასკნელზე მსჯელობის საგანი იყო პაპის პრიმატისა და დიდი სქიზმის შედეგები ბიზანტიისათვის. მისი ანალიზის შედეგად გაკეთებულია დასკვნა: კასტელის ეს ცდა შეიძლება მივიჩნიოთ მისი, როგორც „ბერძენი მართლმადიდებლებისადმი პასუხი“, იმ კონტექსტში, თუ რა მოუტანა განყოფამ ბერძნებს, ანუ მართლმადიდებლებს, რაც ქართველებისათვის დამაფიქრებელი უნდა ყოფილიყო ბერძნული სქიზმის დატოვების სასარგებლოდ. ამით კათოლიკეთა სიტყვა ქართულ ნიადაგზე ხვდებოდა. ამას უნდა გამოეწვია ქართველებში ეჭვი კონსტანტინოპოლის ეკლესიისადმი და იმპულსი მიეცა იმ აზრისათვის, თუ პაპისაგან განდგომამ რა საბედისწერო შედეგი მოუტანა ბერძნებს.

8.

მერაბ კალანდაძე

კარდინალი რიშელიე ქართულ ისტორიოგრაფიაში

„ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არიან ისეთი ადამიანები, რომელთა ცხოვრება სიკვდილის შემდეგაც არაფრით არ ჩამოუვარდება მათ რეალურ ცხოვრებას. რიშელიე ერთ-ერთი პირველთაგანია ასეთ ადამიანებს შორის“, – დასძენდა ფრანგი ისტორიკოსი გუსტავ ფანიეზი. პროფ. ბორის პორშნევის თქმით „კარდინალი რიშელიე იყო უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, აბსოლუტური მონარქიის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი“. როგორც ისტორიკოსი ალექსანდრა ლიუბლისკაია აღნიშნავს „რიშელიეს დროს საფრანგეთი გადაიქცა კლასიკური ფეოდალიზმის ქვეყნიდან არანაკლებ კლასიკური აბსოლუტიზმის ქვეყნად“. რუსი ისტორიკოსის პროფ. ნიკოლოზ კარეევის თქმით, „ფრანგული აბსოლუტიზმის ისტორიაში კარდინალ რიშელიეს განსაკუთრებული როლი მდგომარეობდა იმაში, რომ მან შექმნა

ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, რომლის საშუალებითაც სამეფო ხელისუფლებას შეეძლო განუწყვეტლივ და წარმატებით ფუნქციონირება“. სავსებით მართალი იყო ფრანგი ისტორიკოსი გაბრიელ ანოტო, რომ „სასურველი იქნებოდა, კარგად გავიგოთ ის, რაც მან გააკეთა, ვიდრე უბრალო გართობა იმის შესახებ, რა უნდა გაეკეთებინა მას“. „კარდინალ რიშელიეს სახელთან ასოცირდება საფრანგეთში აბსოლუტიზმის დამყარება, ჰუგენოტთა პარტიის განადგურება, ესპანეთ-ავსტრიის და პაპის ჰეგემონიის ლიკვიდაცია, რომელიც მთელს დასავლეთ ევროპას ემუქრებოდა ინკვიზიციის გავრცელებით. ამიტომ ისტორიამ უნდა აღიაროს, რომ კარდინალმა რიშელიემ დიდი სამსახური გაუწია ცივილიზაციას“, – დასძენს რუსი ისტორიკოსი ვ. რანცოვი. ფრანგი ისტორიკოსის ემილ ბურჟუას თქმით, „რიშელიემ თავისი საგარეო პოლიტიკით წერტილი დაუსვა კარლოს V და ფილიპე II კათოლიკურ იმპერიას“. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება თვალი გადავავლოთ, თუ როგორ იყო გაშუქებული რიშელიეს ცხოვრება და მოღვაწეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს სიახლეა და აღნიშნული საკითხის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება.

საქართველოში კარდინალ რიშელიეს ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქების გარკვეული ტრადიცია არსებობს, რომელიც, ალბათ, ყველაზე უფრო უპრიანი იქნებოდა ამ საკითხის პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევის შეხამების, შერწყმის მცდელობად მივიჩნიოთ.

საქართველოში კარდინალ რიშელიეს ცხოვრებით და მოღვაწეობით დაინტერესებას თავისი წარსული გააჩნია და მისი დაწყება საქართველოს გასაბჭოებით 1921 წელს დაგვიანებულად მიგვაჩნია. მას შედარებით უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, ვიდრე ეს საბჭოთა წლებში ეგონათ. მან თავისი პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადადგა და ამის მიჩუმათებას, მიჩქმალვას, ამაოდ ცდილობდნენ. საბჭოთა ისტორიოგრაფიას ამ საკითხის შესწავლა, პოპულარიზაცია, ცარიელ ნიადაგზე, ნულიდან კი არ დაუწყია, როგორც ამას საბჭოთა წლებში უსვამდნენ ხაზს, არამედ გაცილებით უფრო ადრე 1918-1921 წლებში, საქართველოს რესპუბლიკაში. ეს მონაკვეთი ელიმინირებული, ამოღებული იქნა საერთოდ ამ დარგის და კონკრეტულად ამ საკითხის განვითარებიდან. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. განსხვავებული მიდგომის მთავარი პოსტულატია ამ მონაკვეთის რეანიმაცია, რეაბილიტაცია. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის პერიოდიზაციასთან, რომელიც საბჭოთა წლებში გამრუდებული იქნა.

აღნიშნული საკითხის პერიოდიზაცია აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ ყოფილა და საქართველოს ძნელბედობის გამოძახილია. მას მკვეთრად გამოკვეთილი სამი პერიოდი გააჩნია.

1. კარდინალ რიშელიეს ცხოვრებით და მოღვაწეობით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

2. კარდინალ რიშელიეს ცხოვრების და მოღვაწეობის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991).

3. კარდინალ რიშელიეს ცხოვრების და მოღვაწეობის განხილვა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება.

საქართველოში კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობით დაინტერესების პირველმა სიმპტომებმა თავი იჩინა არა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში. ამ პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. რიშელიეზე მათი მსჯელობის მთავარ ღირსებად საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, რიშელიეს ცხოვრების და მოღვაწეობის შეფასებას ისინი პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან ცდილობდნენ. რიშელიესადმი მათი დამოკიდებულება თავშეკავებულად მიგვაჩნია. აქ არ იგრძნობა არც რიშელიეს მოღვაწეობის აუგად მოხსენიება,

ნეგატიური შეფასება, რასაც საძირკველი ჯერ კიდევ თანამედროვეებმა ჩაუყარეს (ჟედეონ ტალემან დე რეო) და რომელიც თავის პიკს აღწევს XIX საუკუნის პირველი ნახევრის სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში (ალექსანდრე დიუმა, ვიქტორ ჰიუგო, ალფრედ დე ვინი) და XIX საუკუნის ფრანგულ რომანტიკულ ისტორიოგრაფიაში (ჟიულ მიშლე) და არც მისი უსაშველოდ განდიდება, რომელიც სათავეს იღებს თანამედროვეებიდან (დ'არტანიანი) და თავის ზენიტს, მწვერვალს აღწევს გაბრიელ ანოტოს წიგნში „რიშელიე დიდი". რიშელიეს მოღვაწეობის პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა, თუმცა სულ ეს იყო, რისი გაკეთებაც მოესწრო. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა" ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში რიშელიეს ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლა ინარჩუნებს მეცნიერულ ელფერს, მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ამან განაპირობა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ჩრდილი დომინირებს შუქზე. ემპირიზმის, ფაქტოგრაფიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის უგულებელყოფა, ცხადია, არ ივარგებს. მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, სწორედ ამით აიხსნება, რომ რიშელიესადმი თავშეკავებული დამოკიდებულება ჩაანაცვლა ვიწრო კლასობრივმა მიდგომამ. რიშელიეში ხედავდნენ კლასობრივ მტერს. ამგვარი მიდგომა იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული. ის წინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, ძნელია მივიჩნიოთ.

პრიორიტეტულად რჩება რიშელიეს მოღვაწეობის პოპულარიზაცია. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვევლინება პროფ. გივი ჟორდანიას სოლიდური მონოგრაფია „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XVI საუკუნის მიწურულს და XVII საუკუნის პირველ ნახევარში". ის, ჩვენი აზრით, საქართველოში რიშელიეს მოღვაწეობის შესწავლის კულმინაციად შეიძლება მივიჩნიოთ. ადგილი აქვს რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადაზრდას. ხდება რიშელიეს მოღვაწეობის პოპულარიზაციის და მეცნიერული კვლევის შეხამება, შერწყმა.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში აქცენტი კეთდება რიშელიეს მოღვაწეობის პოპულარიზაციაზე. ამ დაინტერესების მწვერვალად პროფ. ივანე მენთეშაშვილის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის მონოგრაფია გვევლინება. ნებისმიერი მცდელობა ამ სფეროში არსებული ვაკუუმის შევსების, ცხადია, ძალიან კარგია და მისასალმებელი უნდა იყოს. შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ რიშელიეს საგარეო პოლიტიკა გაშუქებულია შედარებით სუსტად, მკრთალად. რატომღაც გამოყენებული არაა პროფ. გივი ჟორდანიას მონოგრაფია. კარდინალ რიშელიეს მოღვაწეობას შეეხება ამ სტრიქონების ავტორის რამდენიმე ნაშრომი.

9.

ლეილა (ია) ხუბაშვილი

სიკვდილის ზეიმი ფლორენციაში. 1348 წლის პანდემია ჯოვანი ბოკაჩოს „დეკამერონის" მიხედვით

კაცობრიობის განვითარების ისტორიას ომებთან ერთად მუდმივად თან სდევდა ეპიდემიები და პანდემიები, რომლებიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ანადგურებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხშირად სწორედ ასეთი უბედურება ხდებოდა შედევრების შექმნის მიზეზი. ასე მაგალითად, ჯოვანი ბოკაჩომ თავისი ცნობილი ნაწარმოები "დეკამერონი" 1348 წელს ფლორენციაში გაჩენილი შავი ჭირის პანდემიის დროს დაწერა, რომელმაც მოსახლეობის 2/3 შეიწირა, მათ შორის ბოკაჩოს მამაც. უილიამ შექსპირის პიესები "მეფე ლირი", "მაკბეტი" და "ანტონიო და კლეოპატრა"1606 წელს ლონდონში გაჩენილი შავი ჭირის დროს დაიწერა. ისააკ ნიუტონმაც შავი ჭირის ეპიდემიის დროს შექმნა თავისი გენიალური აღმოჩენები. მერი შელის ცნობილი რომანი "ფრანკენშტაინი" 1816 წლის გლობალური გამყინვარების დროს დაიწერა... XIX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი მალთუსი

კაცობრიობის ნაწილის გადარჩენის გზას პანდემიებსა და ომებში ხედავდა. გავრცელებული აზრით კი, შავი ჭირის ეპიდემია ომის, ძალმომრეობისა და მასთან ბრძოლის ალეგორიაა.

ჩემი მოხსენების თემად დღევანდელ მსოფლიოში არსებული კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, ფლორენციაში 1348 წლის სიკვდილის ზეიმი შევარჩიე; შავი ჭირის ეპიდემიის საშინელების ასეთი სრულყოფილი, მკაფიო და დამაჯერებელი ასახვა არც ერთ მატიანეში და არც ერთ ისტორიულ წყაროში ისეთი სიძლიერით არ ყოფილა წარმოდგენილი, როგორც ეს ბოკაჩომ ასახა „დეკამერონში“, ამიტომაც მას ხშირ შემთხვევაში წყაროდ იყენებენ. თავზარდაცემული ხალხი, მათ შორის ბოკაჩოც და პეტრარკაც ეპიდემიას ღვთის რისხვად მიიჩნევდა, რადგან ადამიანები იმდენად იყვნენ დაკავებული ვაჭრობითა და ამქვეყნიური ცხოვრების სიამტკბილობით, რომ ღმერთი დაავიწყდათ. ექვსი საუკუნის შემდეგ, აბსურდის ფილოსოფიის წარმომადგენელი ალბერ კამიუ „შავ ჭირს“ დაწერს და ბოკაჩოს აზრს გაიმეორებს. ბოკაჩომ „შავი სიკვდილი“ სიუჟეტად აირჩია არა როგორც მემატიანემ, არამედ როგორც ახალი დროის დიდმა პროზაიკოსმა და იტალიის თავზარდაცემულ და პანიკით მოცულ საზოგადოებას დაუპირისპირა პატარა ჯგუფი განათლებული ახალგაზრდებისა (ჰუმანისტების მსგავსად). ისინი თოთხმეტი დღის განმავლობაში ერთმანეთს უყვებიან სხვადასხვა ამბებს, სადაც რეალისტურად და სარკასტულადაა ასახული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფენაში არსებული სოციალური და მორალური კონფლიქტები და ამავე დროს გაჟღენთილია სამოქალაქო ჰუმანიზმის მაღალი ღირებულებებით.

ისტორიკოსისათვის „დეკამერონი“ საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ეს თხზულება ისტორიული ხასიათისაცაა და მასში ბოკაჩო ამბებს გადმოგვცემს როგორც შესანიშნავი ისტორიკოსი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მან კარგად იცოდა არა მარტო იტალიის, არამედ ანტიკური და აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაც. განსაკუთრებით ბევრია მასში ფლორენციის შესახებ მასალები. ბოკაჩო, ხშირ შემთხვევაში, ობიექტურად აღწერს და მართებულად აფასებს ცნობილ ისტორიულ პირებს, მათ შორის სალადინს, ოქროს ურდოს ყაენს უზბეკს, პაპს ბონიფაციუს მერვეს, რომის საღმრთო იმპერატორს ფრიდრიხ მეორეს, საფრანგეთის მეფეს ფილიპ მეორეს და ა.შ. თუმცა, როგორც საერთოდ მწერლებს ახასიათებთ, მხატვრული ინტერპრეტაციით გადმოგვცემს ამა თუ იმ ისტორიულ ამბავს.

10.

ლეილა (ია) ხუბაშვილი, გიორგი ოქრიაშვილი

პერლ-ჰარბორის კატასტროფა და ამერიკული მასმედიის როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე

1941 წლის 7 დეკემბერს იაპონიის ავიამზიდებმა ჰავაიზე მოულოდნელი თავდასხმით გაანადგურეს წყნარ ოკეანეში ამერიკელთა სამხედრო-საზღვაო ბაზა პერლ ჰარბორი. დაიღუპა 2500-ზე მეტი ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი.

პერლ ჰარბორის კატასტროფა ფართოდ იყო გაშუქებული მსხვილი გამომცემლობებისა და რადიომაუწყებლობის კომპანიების მიერ. უფრო მეტიც, მასმედიამ რუზველტის გამოსვლისათვის მოამზადა საზოგადოებრივი აზრი, რომელმაც ის კიდევ უფრო გაამყარა და დამაჯერებელი გახადა. აშშ მოსახლეობამ უკვე იცოდა, რომ ეს არ იყო არც პროვოკაცია, არც შეცდომა, არც შემთხვევითობა, არამედ ეს იყო ფართო მასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები, რამაც ჯარისკაცებსაც და სამოქალაქო წრეებსაც სტიმული და მიზანი მისცა უკომპრომისო ბრძოლისათვის. პრესა პერლ ჰარბორზე აჭრელებული იყო სათაურებით, რაც გათვალისწინებული იყო როგორც კომერციული, ისე პროპაგანდისტული მოტივებით. ამიტომაც ჟურნალები ტრადიციულად სათაურებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. მთავარი აქცენტი გაკეთებული იყო: 1. აგრესორი ქვეყანა; 2. თავდასხმის ტიპი; 3. თავდასხმის ობიექტი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჟურნალისტები სარგებლობდნენ 4 ჯგუფის წყაროებით:1. მთავრობის ოფიციალური განცხადება; 2. ამერიკული საინფორმაციო

სააგენტოების მონაცემები; 3. თვითმხილველების ინფორმაცია; 4. უცხოური პრესისა და რადიოს მასალები, მათ შორის იაპონურის. იბეჭდებოდა ასევე სპეციალურ სვეტებში (მაგრამ იშვიათად) რეპორტაჟებიც, სადაც ანონიმურად იყო ოფიციალური და არაოფიციალური მოსაზრებები გამოთქმული. სწორედ ასეთ სტატიებში იყო არასწორი შეფასებები და ჰიპოთეზები; მაგალითად, ტიპური იყო „პერლ ჰარბორი - ამერიკელების გამარჯვება“, „იაპონიის საბაზო თვითმფრინავები მონაწილეობდნენ თავდასხმაში“, „ჰონოლულუში გადმოსხდნენ იაპონელი პარაშუტისტები“, „თავდასხმაში მონაწილეობდნენ სიკვდილმისჯილები“. ყოველივე ეს სენსაციურ შთაბეჭდილებას ახდენდა მკითხველზე. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პრესას ყველაზე მეტად აინტერესებდა თავდასხმის პროცესი, ვინაიდან შეიძლებოდა მიღო პასუხი მწვავე პოლიტიკურ კითხვაზე: „როგორ მოხდა ეს?“ და შესაბამისად „ვინ არის დამნაშავე?“. კომბინირებული ხასიათის იყო სტატიების სათაურები იაპონელთა თავდასხმაზე ისეთ გაზეთებში, როგორც არის „Reno Evening Gazette“ (1941. Dezember 7. P. 1.): „იაპონელები ბომბავენ ჰავაის, მანილას“.„ Brownsville Herald“ (1941. Dezember 7. P. 1.) – „იაპონელებმა იერიში მიიტანეს აშშ -ზე. პერლ ჰარბორი, მანილა დარტყმის ქვეშაა“. ასეთივე სახის იყო სტატიების სათაურები „Chillicothe Constitution Tribune“-ში, „New York World-Telegram“-სა და სხვა გაზეთებში.

ამ მასალებიდან გამომდინარე, პერლ ჰარბორზე თავდასხმა მჭიდროდ იყო დაკავშირებული წყნარ ოკეანეში იაპონელთა სხვა თავდასხმებთან, რაც თავისთავად შეესაბამებოდა რუზველტის 1941 წლის 8 დეკემბრის გამოსვლას: „გუშინ იაპონიის მთავრობამ დაიწყო შეტევა მალაიზიაში“. „გუშინ ღამით იაპონურმა ძალებმა შეუტიეს ჰონკონგს“. „გასულ ღამეს იაპონელები თავს დაესხნენ გუამს“. „გუშინ ღამით იაპონელები თავს დაესხნენ ფილიპინების კუნძულებს“. „გუშინ ღამით იაპონელები თავს დაესხნენ კუნძულ უეიკს“. „ ამ დილით იაპონელებმა იერიში მიიტანეს კუნძულ მიდუეიზე“. ამგვარად, იაპონიამ დაიწყო მოულოდნელი თავდასხმა მთელ წყნარ ოკეანეში“ და ა.შ.

ასეთი ხასიათის შეფასებები პირდაპირ დაკავშირებული იყო აშშ ომამდელი პოლიტიკის გაშუქებასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, სადაც დაწყებული 1920 წლიდან, ამტკიცებდნენ, რომ წყნარ ოკეანეში ომი დაიწყებოდა იაპონიის თავდასხმით ფილიპინებზე. ამიტომაც იყო, რომ ჟურნალისტებმა პირველივე ინფორმაციისთანავე პერლ ჰარბორზე საჭიროდ ჩათვალეს ეჩვენებინათ თავდასხმის კომბინირებული ხასიათი და რაც მთავარია, დაეკავშირებინათ ფილიპინებზე იერიში ჰავაისთან. სხვა გაზეთებისგან განსხვავებით მხოლოდ „ნიუ იორკ ტაიმსი“ აკეთებდა აქცენტს გუამზე და უეიკზე.7 დეკემბრის ასეთი შედარება შენარჩუნებულ იქნა დიდხანს-1942 წლის 24 იანვრამდე. რობერტსის კომისიის ანგარიშში პერლ ჰარბორზე ნაჩვენებია: „1941 წლის 7 დეკემბრის თავდასხმა იყო ავიაციით კუნძულ ოასუზე, მიდუეის დაბომბვითა და საჰაერო იერიშით კუნძულ უეიკზე“44. გაშუქებული იყო იაპონელთა თავდასხმის დროც. გაზეთების უმრავლესობაში ის ნაჩვენები არ ყოფილა. გამონაკლისი იყო „Empori a Gazette“: „იერიში დაიწყო დილით, 09:25 და გაგრძელდა ერთი საათი და 15 წუთი“. ეს უცნაური განცხადება იყო, ვინაიდან, უფრო ადრე ამავე გაზეთში შეტევის დროდ 08:00 დასახელდა. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების მცდელობა იყო პერლ ჰარბორიდან მოქალაქეების ყურადღების გადატანა. რადიოთი გამოსვლისას რუზველტმა ჩამოთვალა ჰავაისთან ერთად თავდასხმის კიდევ 7 ობიექტი. ეს იყო ჰონოლულუსა და სან ფრანცისკოს შორის მყოფი გემები, მალაიზია, ჰონკონგი, გუამი, ფილიპინები, უეიკი, მიდუეი. ამგვარად, ცდილობდა, რომ თავდასხმის პირველსავე დღეს შეექმნა შთაბეჭდილება როგორც ერთერთზე-პერლ ჰარბორზე. თავის მიმართვაში კონგრესისადმი რუზველტმა უჩვენა აშშ ომამდელი არასწორი პოლიტიკური კურსი, რამაც საშუალება მისცა „ბოროტების გამოვლენას“ და თქვა: „ჩვენ სამუდამოდ დავიმახსოვრებთ როგორ დაგვესხა მტერი!“ და დაიმახსოვრეს. როგორც ჩანს, ნაგასაკასა და ჰიროსიმას ატომური კატასტროფა სხვა მიზეზებთან ერთად სამაგიეროს გადახდის ერთგვარი მცდელობაც იყო.

პერლ ჰარბორის კატასტროფაზე აზრის ჩამოყალიბებასა და პატრიოტიზმის გაღვივებაში ამერიკულ საზოგადოებაში მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის სოციოლოგიური გამოკვლევა, რომელიც

ჩაატარეს კონგრესის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ალან ლომაქსმა და ფილიპ კოენმა 1941 წლის 8 დეკემბერს ვაშინგტონის მე-9 ქუჩაზე 20: 30 - დან 21:00-დე. ყველა სახელი ჩანაწერებიდან ამოღებულია, დარჩენილია მხოლოდ სქესი, საქმიანობა და ზოგჯერ ასაკი. სტანდარტულ კითხვებს ლომაქსი არ სვამს; ყველა კონკრეტულ რესპონდენტს ინდივიდუალურად უდგება, თუმცა ინტერვიუს საერთო მიზანი ნათლად ჩანს-გაიგოს ხალხის აზრი თავდასხმაზე და ომზე. როგორც კოენმა განმარტა: „ჩვენ გვსურს ვიცოდეთ რას ფიქრობს ხალხი“. გამოკითხვამ უჩვენა, რომ რესპონდენტებს უკვე ჰქონდათ ჩამოყალიბებული მოსაზრება თავდასხმაზეც და ომზეც. პერლ ჰარბორზე თავდასხმაზე აშშ მოქალაქეები ერთსულოვანი აღმოჩნდნენ. მათმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ამის შესახებ რადიოდან მოისმინეს, ანუ პირველი ინფორმაცია მათ გაზეთებიდან არ გაუგიათ. ერთერთმა წვევამდელმა ფ. კოენის კითხვაზე უპასუხა: „რადიოში მოვისმინე, როცა ფეხბურთიდან ვბრუნდებოდი“. მეორე წვევამდელმა თქვა, რომ რადიოთი მოისმინა ბანაკში ყოფნის დროს. დამატებით კითხვებზე უმეტესობამ ლომაქსს უპასუხა, რომ რადიოდან მოისმინეს. ჩანს, რომ ომის დაწყების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში დიდი როლი ითამაშა არა პრესამ, არამედ რადიომ. მომდევნო დღეების ინფორმაციები რადიოსა და პრესაში იდენტური იყო.

ამგვარად, პრესამ, რადიომაუწყებლობამ და კონგრესის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამერიკული საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში და პატრიოტიზმის გაღვივებაში, რამაც თავის მხრივ, განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმა მეორე მსოფლიო ომში.

11.

ლეილა (ია) ხუბაშვილი

დანტე Una Italia-სა და უნივერსალური მსოფლიო მონარქიის ფუძემდებელი „De Monarchia“-ს მიხედვით

XIII-XIV საუკუნეების იტალიაში პოლიტიკურმა პოლიცენტრიზმმა და სახელმწიფო სისტემების მრავალფეროვნებამ რეგიონული აბსოლუტიზმის პრობლემა წარმოქმნა, რასაც ემატებოდა პაპობა, რომელსაც მსოფლიო თეოკრატიული მონარქიის შექმნის ამბიცია ჰქონდა. რომის საღვთო იმპერატორებსა და პაპებს შორის ატეხილმა ბრძოლამ პირველობისთვის ორი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული პარტია წარმოშვა გველფებისა და გიბელინების სახით. მთელი იტალია ამ პარტიულ ბრძოლაში გაეხვია. იტალიის მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ და პოლიცენტრისტულობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რენესანსული აზროვნების განვითარებაზე. იქმნებოდა პოლიტიკური ტრაქტატები, რომლებიც ეძებდნენ გზებს მისი ხსნისათვის. დანტე, პეტრარკა, ბოკაჩო, მაკიაველი და სხვები აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკურ პერიპეტიებში. მათი ოცნება ერთიანი იტალია იყო, რომლის სახელმწიფოებრივი მოწყობა ყველა მათგანს სხვადასხვაგვარად წარმოედგინა.

იტალიური აზროვნების კორიფეს დანტე ალეგიერის პოლიტიკურ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაზეა აგებული ტრაქტატი „De Monarchia,'' რომელშიც ღრმა ანალიზია მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების. ნაშრომი დაწერილი უნდა იყოს 1312-1313 წლებში დანტეს ვერონაში ყოფნის დროს კან გრანდე დელა სკალას სასახლის კარზე. ზოგიერთი მკვლევარის აზრით (რიჩი, ცინგარელი, ერკოლი..) გიბელინების დასაცავად. ცნობილი დანტელოგი მიქელე ბარბი ბოკაჩოზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ დანტემ ეს ტრაქტატი დაწერა ჰაინრიხ VII-ის ლაშქრობის დროს, რომელიც რომის საღმრთო იმპერიის აღდგენას აპირებდა ძველ საზღვრებში. დანტე მასში უნივერსალური მონარქიისა და Una Italia-ს იდეის რეალიზატორს ხედავდა, ამიტომაც მას მისასალმებელი წერილი გაუგზავნა.

„De Monarchiaში'' სამი უმთავრესი საკითხია დასმული: 1. მსოფლიო მონარქიის აუცილებლობა; 2. რომაელი ხალხის განსაკუთრებულობა: 3.ორი მახვილის საკითხი. ტრაქტატზე მუშაობისას დანტე

ეყრდნობოდა არისტოტელეს, ციცერონს, ევკლიდეს, ენგელბერტისა და ავეროსის შეხედულებებს საერო მსოფლიო მონარქიაზე, მაგრამ დაუპირისპირდა ნეტარი ავგუსტინესა და თომა აქვინელის თეორიას სასულიერო ხელისუფლების პრიმატის შესახებ. ფლორენციის რესპუბლიკამ, რომლის მართვაში დანტეც ღებულობდა მონაწილეობას, მას დემოკრატიის ნეგატიური მხარეები უჩვენა. მის თვალწინ გაიარა ტირანიამ, ოლიგარქიამ, დემოკრატიამ. ამიტომაც იყო, რომ დანტესთვის ძალაუფლების მისაღებ ფორმას მსოფლიო იმპერიის შექმნა წარმოადგენდა.

„მონარქიაში“დანტემ ნამდვილი პოლიტიკური რევოლუცია იქადაგა პაპობის საერო ძალაუფლების წინააღმდეგ; უარყო „კონსტანტინეს ნაბოძვარი“ და მოითხოვა საერო ხელისუფლების დამოუკიდებლობა ეკლესიისაგან. ტრაქტატმა განრისხება გამოიწვია თეოკრატიის მომხრეებში, მაგრამ მისაღები და ახლობელი აღმოჩნდა აღორძინების მოაზროვნეებისთვის. მარსილიო ფიჩინომ „მონარქია“ იტალიურად თარგმნა, რათა მისი თეორიები გაეცნო ჰუმანისტების ფართო წრისათვის. 1559 წელს წიგნი გამოიცა არა იტალიაში, არამედ ბაზელში. 1564 წელს პაპმა ის „აკრძალულ წიგნთა ინდექსში“ შეიტანა.

ამგვარად, დანტეს პოლიტიკურმა ტრაქტატმა დროს გაუსწრო. მისი „De Monarchia,'' პირველი ტრაქტატია მშვიდობასა და სახელმწიფოზე, რომელმაც ევროპის პოლიტიკური არსი შეიცნო და საერთოდ, კაცობრიობაზე ალაპარაკდა. მსოფლიო მონარქია დანტეს წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ერთიანი იტალია, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა სხვა ხალხებსაც, მისი მონარქი კი ანტიკური ცეზარების მემკვიდრე იქნებოდა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დანტესთვის მონარქია ნაციონალური არ ყოფილა. მისეული მსოფლიო იმპერიის სათავეში გერმანელი იმპერატორი, ჰაინრიხ VII დგას, ვინაიდან მას სხვა ძალა არ ეგულებოდა, რომელიც იტალიას გააერთიანებდა. მსოფლიო იმპერიის დედაბოძად დანტეს იტალია მიაჩნდა და არა გერმანია. დანტე ფუძემდებელია ერთიანი იტალიის- Una Italia-ს იდეისა, რომელიც 1870 წელს გარიბალდიმ განახორციელა. მაძინი წერდა: “L Italia se incarnate in Dante“-დანტეში იტალიამ ხორცი შეისხა.

12.

ლეილა (ია) ხუბაშვილი

წმინდა საყდრის უნიატური პოლიტიკა და რუსეთის დიპლომატიური მისია ვატიკანში (1878-1903)

ვატიკან-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორია XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გამოირჩევა მთელი რიგი პრობლემებით როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. მათი გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ ორივე მხარის მიერ ძირითადი პრინციპების გადახედვით. პაპობა, რომელმაც სახელმწიფოებრიობა 1870 წელს დაკარგა, თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანას ხედავდა „რომის საკითხის“ გადაწყვეტაში და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში. ვატიკანის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რუსეთთან ურთიერთობის საკითხსაც; 1054 წლის დიდი სქიზმის შემდეგ რომის პონტიფექსები თავის მსოფლიო მისიას ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებაში ხედავდნენ. ამ მისიის შესრულებაში აღმოსავლეთ ევროპას, პირველ რიგში, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას, უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. ამიტომაც იყო, რომ უნიატური ეკლესიის შექმნის საკითხი ვატიკანის საგარეო პოლიტიკის ერთ ერთ მთავარ ვექტორს წარმოადგენდა და რომის პონტიფექსები მის გადაჭრას სხვადასხვა დროს, სხვადასხვა გზებით ცდილობდნენ.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადე გამეანალიზებინა ვატიკანისა და რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობები 1878-1903 წლებში. მუშაობის პროცესში დიდი დახმარება გამიწია ე.ა. ადამოვის წიგნმა „Дипломатия Ватикана в начальную эпоху империализма“, რომელშიც ნაწილობრივ არის გამოქვეყნებული ვატიკანში მყოფი რუსი დიპლომატების ანგარიშები, მათ შორის ა.პ. იზვოლსკის. მნიშვნელოვნად ინფორმაციული იყო ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ე. ვინტერის

მონოგრაფიები გერმანულ და რუსულ ენებზე: Winter E. Russland und das Papsstum. Berlin. Bände, Berlin: Akademie-Verlag 1960-1961, Winter E . 1950 Russland und die slawishen Volker in der Diplomatie des Vatikans 1878-1903. Berlin: Akademie-Verlag. თავის გამოკვლევაში „Политика Ватикана в отношении СССР (1917-1968)“, რომელიც ძირითადად ევროპის ქვეყნების არქივებში მოპოვებული წყაროების საფუძველზეა დაწერილი, ედუარდ ვინტერი ამტკიცებს, რომ XX საუკუნეში ვატიკანის მთავარ პოლიტიკურ ორიენტირებად რჩებოდა: ანტიკომუნიზმი, ანტისოვიეტიზმი და უნია (ნებისმიერი ფორმით კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესების გაერთიანება), რასაც სავსებით ვეთანხმები. სხვა ავტორების მონოგრაფიებზე მუშაობამ ეს მოსაზრება კიდევ უფრო გამიმყარა. ვატიკან-რუსეთის ურთიერთობები არასოდეს ყოფილა უღრუბლო. რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა ბერძნულ-კათოლიკურ (უნიატურ) ეკლესიაზე მართლმადიდებლური ეკლესიის ტრადიციული დამოკიდებულებით ჩამოყალიბდა. 1596 წელს პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მართლმადიდებლური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კათოლიკეებს შეუერთდა, ამიტომაც მათი დაბრუნება მართლმადიდებლობის წიაღში კანონიერად ჩანდა. 1839- 1875 წლებში უნიატური მოსახლეობა ფორმალურად გადავიდა მართლმადიდებლობაზე, რამაც საბოლოოდ გააუარესა სიტუაცია. რუსეთის იმპერიის კანონმდებლობაში ნათლად იყო გამოკვეთილი მართლმადიდებლობის პრიორიტეტი სხვა კონფესიებზე და მისი ინტერესების დაცვა სახელმწიფო დონეზე იყო აყვანილი, რაც მნიშვნელოვნად ართულებდა ვატიკან-რუსეთის ურთიერთობებს. რუსეთის ხელისუფლება რომაულ-კათოლიკურ სამღვდელოებას ღებულობდა ისე, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფ ჩინოვნიკებს, რასაც ისინი აპროტესტებდნენ. ამიტომაც პაპობამ საჭიროდ ჩათვალა მხარდაჭერა აღმოეჩინა ტრადიციული კათოლიკური მოსახლეობისათვის, თუნდაც საგარეო პოლიტიკური ინტერესების საზიანოდ.

მაგრამ მარტივი არც დიპლომატიური ურთიერთობები აღმოჩნდა; ამისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობდა: რუსული მხარე ჯერ კიდევ იმპერატრიცა ეკატერინა მეორის დროიდან ცდილობდა შეეზღუდა რომის კურიის ჩარევა რუსეთის საშინაო პოლიტიკაში. ამასთანავე მას ეშინოდა „პოლონური ელემენტის“ ისედაც ძლიერი გავლენის რომაულ-კათოლიკურ სამღვდელოებაზე. ამის გამო წმინდა საყდარს უარი ეთქვა როგორც დიპლომატიური ურთიერთობების სრულ აღდგენაზე, ისე კონკორდატულ ურთიერთობებზე, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებები ორივე საკითხზე არა ერთხელ განახლებულა. რუსმა არისტოკრატიამ რევოლუციის შიშით მხარი დაუჭირა ვატიკანის იდეას შექმნილიყო „რუსული კათოლიკური ეკლესია“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მსოფლიო ომის ბოლომდე რომის ეკლესიას ცარიზმთან ნორმალური ურთიერთობები ჰქონდა, რაშიც დიდი როლი შეასრულა პაპმა ლეო XIII-მ (1878-1903), რომლის პონტიფიკატით იწყება ახალი პერიოდი რომის ეკლესიის ისტორიაში.

ლეო XIII თითქმის 25 წლის მანძილზე ეწეოდა რთულ პოლიტიკურ თამაშს, რათა აეღორძინებინა „საღვთო კავშირი“, რომლის იდეური მეთაური პაპი იქნებოდა. ამ კავშირში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ჰქონოდა რუსეთს; რომანოვებში პაპი ხედავდა საიმედო დასაყრდენს ევროპაში რევოლუციასთან ბრძოლაში და ამიტომაც ცდილობდა მეგობრული ურთიერთობების დამყარებას მათთან. პაპი რუსეთის იმპერატორს სთავაზობდა დიპლომატიური ურთიერთობის განახლებას, რომელიც 1867 წელს შეწყდა და კათოლიკური ეკლესიის მხარდაჭერას პოლონეთსა და ბალკანეთში. და რაც მთავარია, გამოცდილ დიპლომატ პაპს არც მთავარი მიზანი-უნიატური ეკლესიის შექმნა ავიწყდებოდა. ლეო XIII თავისი დაუღალავი დიპლომატიური საქმიანობის შედეგად, იმედოვნებდა, რომ მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების გაერთიანებით პროტესტანტებსაც დააბრუნებდა კათოლიკობის წიაღში. ამ მიზნით პაპი რუსი დიპლომატების მეშვეობით აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთის სამ მონარქთან: ალექსანდრე მეორესთან, ალექსანდრე მესამესთან და ნიკოლაი მეორესთან. 1884 წლის მარტში ლეო XIII-მ წერილი გაუგზავნა პოლონელ ეპისკოპოსებს და მოუწოდა მათ რუსეთის, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობისაკენ. პაპი განსაკუთრებით

გულმხურვალედ მოუწოდებდა რუსეთის კათოლიკეებს ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მორჩილებისკენ. პაპის ენციკლიკასა და დიპლომატიას სანქტ-პეტერბურგში კმაყოფილებით შეხვდნენ. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ 1894 წელს წმინდა საყდარში აღდგენილ იქნა რუსეთის დიპლომატიური მისია, რომელმაც 23 წელი, 1917 წლამდე იარსება (1990 წლამდე რუსეთს ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები ვატიკანთან აღარ ჰქონია). პ. ა. იზვოლსკი დაინიშნა ვატიკანში მინისტრ-რეზიდენტად. თითქმის ოცდაათწლიანი პაუზის შემდეგ ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის სანაცვლოდ, პონტიფექსი იმედოვნებდა, რომ მიიღებდა მეფის თანხმობას სანკტ-პეტერბურგში ნუნციატურის გახსნაზე, მაგრამ ალექსანდრე III-ის გარდაცვალებამ ჩაშალა პაპის გეგმები. ცარიზმთან ურთიერთობების დალაგებას ცდილობდა ლეო XIII-ის მემკვიდრე ბენედიქტუს XV, მაგრამ მის დიპლომატიას მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია.

ამგვარად, ლეო XIII-მ, მიუხედავად აქტიური დიპლომატიისა, ვერ შეძლო სლავური სამყაროსა და კათოლიკობის დაკავშირება, ვერც რუსეთი გახადა წმინდა საყდრის თანასწორუფლებიანი მოკავშირე და ვერც ნუნციატურა გახსნა პეტერბურგში. უნიატური ეკლესიის შექმნის საკითხი კი დღემდე აქტუალობას არ კარგავს ვატიკანის საგარეო პოლიტიკაში.

13.

ლეილა (ია) ხუბაშვილი

აშშ-ვატიკანის ურთიერთობები ცივი ომის პერიოდში

მეორე მსოფლიო ომმა სამყარო შეცვალა, შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, იდეოლოგიების ადგილზე რელიგია დაბრუნდა, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წმინდა საყდარი, რომელსაც რელიგიური დატვირთვის გარდა საერო ფუნქციაც გააჩნია, ვატიკანის სახით ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მსოფლიო პოლიტიკაში. ვატიკანი კარგად ინფორმირებული სადაზვერვო სისტემით, ქრისტიანული ფასეულობების დასაცავად ათწლეულების მანძილზე დაუღალავად ებრძოდა კომუნიზმის ათეისტურ იდეოლოგიას და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აშშ-თან ერთად ცივი ომის პოლიტიკის განხორციელებაში. ეს პერიოდი დაკავშირებულია პიუს XII-ის პონტიფიკატთან (1939-1958). თავის მხრივ, საბჭოთა პროპაგანდისტულმა მანქანამ აქტიური ბრძოლა დაიწყო ვატიკანის წინააღმდეგ და ის იმპერიალისტური ბანაკის იდეოლოგად გამოაცხადა. რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში არსებული დოკუმენტები თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს თუ როგორ ცდილობდა საბჭოთა იდეოლოგია ვატიკანის ავტორიტეტის შელახვას. ლიბერალური ღირებულებების ეპოქაში პაპის მიზანს დექრისტიანიზაციის შეჩერება წარმოადგენდა, ევროპის ხსნას კი კათოლიკობაში ხედავდა. ამიტომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე პიუს XII-მ მკაცრი ნეიტრალიტეტი გამოაცხადა. ამასთანავე პაპი დიპლომატიურ თამაშს განაგრძობდა. ჩერჩილს მასთან მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა, რუზველტმა კი პაპთან თავისი საგანგებო ელჩი მაირონ ტეილორი გაგზავნა, რომელიც ვატიკანში რომის გათავისუფლებამდე დარჩა. ომის დამთავრებამდე ვატიკანს არ გაუკეთებია არც ერთი ოფიციალური განცხადება რომელიმე მხარის დასაცავად; უდავოა, რომ პაპის დუმილმა და მისმა ნეიტრალიტეტმა წააქეზა გერმანია. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ პაპს ნაცისტურ რეჟიმში მცხოვრებ 40 მილიონ კათოლიკეზე ჰქონდა პასუხისმგებლობა.

ცივი ომის წინაპირობები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბდა. 1942 წლის სექტემბერში ტეილორთან საუბარში უკვე ჩანდა პიუს XII-ის ცივი ომის კონცეფცია. საუბრებმა, რომლებსაც პიუსი აწარმოებდა ჩერჩილთან და დე გოლთან 1944 წელს, განამტკიცა ვატიკანის სტრატეგია-ომის დამთავრებისთანავე გაეგრძელებინათ უკომპრომისო ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აშშ გავლენიანი წრეები და ნიუ-იორკის არქიეპისკოპოსი ფ.სპელმანი, მხარს უჭერდნენ ამ გეგმას. ვატიკანისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რათა აშშ თავი შეეკავებინა საბჭოთა

კავშირთან შემდგომი თანამშრომლობისაგან. პიუსი საფრანგეთში მყოფი თავისი ნუნციუსისგან რონკალისგან (მომავალი პაპი იოანე XXIII) მოითხოვდა გავლენა მოეხდინა ფრანგ ეპისკოპოსებზე და შეექმნათ „ ევროპის ქრისტიანი ხალხების კავშირი“. პაპი იმედოვნებდა, რომ დე გოლი ანგლოსაქსური ქვეყნების დახმარებით შეძლებდა ევროპის მშვიდობიან მოწყობას. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი, კათოლიკე რ. მერფი დასავლეთ ევროპის მოკავშირეთა ექსპედიციური ძალების მთავარსარდლისადმი დ .ეიზენჰაუერისადმი გაგზავნილ წერილში (1945 წლის 28 ივნისს) ხაზს უსვამდა ვატიკანის სტრატეგიის მნიშვნელობას აშშ პოლიტიკისთვის. ამერიკელმა კათოლიკე სენატორმა მაკარტიმ აქტიური ანტიკომუნისტური კამპანია დაიწყო კარდინალ სპელმანის მხარდაჭერით.

ვატიკანის მცედლობას ამაოდ არ ჩაუვლია. მის მთავარ იარაღს კომუნიზმთან ბრძოლაში კათოლიკური პოლიტიკური პარტიები წარმოადგენდნენ. 1947 წლის 27 თებერვალს პაპმა ამ პარტიების ევროპელი ლიდერებს სტრატეგიული პოლიტიკა გააცნო და ურჩია, რომ ამერიკულ კურსს გაჰყოლოდნენ. ევროპის კათოლიკური პარტიების დახმარებით 1947 წლის მაისში კომუნისტები ჩამოაშორეს საფრანგეთისა და იტალიის მთავრობებიდან. 1947 წელს ვატიკანის სტატს-მდივანი პიეტრო გასპარი აშშ-ში გაემგზავრა, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის დასამყარებლად. კომუნიზმთან საბრძოლველად ევროპაში, პირველ რიგში, საჭირო იყო სასწრაფო ეკონომიკური დახმარება. ამიტომაც იყო, რომ 1947 წელს მარშლის გეგმას ხაზგასმული მოწონებით შეხვდნენ ვატიკანში. გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, არსებობდა კიდევ ერთი, უძლიერესი ფაქტორი-იდეოლოგია, რომელიც აშშ-მ ვატიკანთან ერთად წარმატებით განახორციელა. ეს გახლდათ ჩერჩილის, ტრუმენისა და პაპის 1946 წლის ანტიკომუნისტური გამოსვლები.

ცივ ომში აშშ-ვატიკანის ურთიერთობების აპოგეა იყო ტრუმენისა და პიუს XII -ის მიმოწერა. 1947 წლის 26 აგვისტოს ტეილორმა პიუს XII-ს გადასცა ტრუმენის წერილი, რომელშიც ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება დედამიწაზე შესაძლებელი იყო მხოლოდ ქრისტიანულ საწყისებზე და პაპს თანამშრომლობას სთხოვდა... 1947 წლის 28 აგვისტოს საპასუხო წერილში პიუს XII-მ თანხმობა განაცხადა ტრუმენის წინადადებაზე. 1947 წლის 29 აგვისტოს პაპისა და პრეზიდენტის წერილები „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში“ დაიბეჭდა და სენსაცია და პროტესტი გამოიწვია. ტრუმენმა საჭიროდ ჩათვალა გამოსულიყო 6 სექტემბერს და განეცხადებინა, რომ ტეილორი საუბრობდა „ტრუმენის ზავზე“ არა მარტო პაპთან, არამედ ევროპის სხვა ქვეყნის ლიდერებთანაც. ტრუმენისა და პიუს XII -ის წერილების გამოქვეყნებით ამერიკულმა მხარემ აფიშირება გაუკეთა საბჭოთა კავშირისა და მემარცხენე ძალების წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებას.1949 წლის შემოდგომაზე ცივმა ომმა აპოგეას მიაღწია. 1950 წლის 12 მარტის ენციკლიკით „Anni sacri” პიუს XII-მ კომუნისტები და მათთან დაახლოებული პირები ეკლესიიდან განკვეთა. ეს დეკრეტი ერთ ერთი კულიმინაციური წერტილია ცივი ომის, რომელიც დაკავშირებულია არა მარტო ახლად შექმნილ ნატოსთან, არამედ სიცილიაში მაშინ აღმოცენებულ მემარცხენე მოძრაობასთან, რომელსაც ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით ცივი ომის დამთავრებაში და საბჭოთა კავშირის დაშლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პაპმა იოანე-პავლე მეორემ, რომელიც სოციალისტური პოლონეთიდან იყო.

ვატიკანის 30 წლიანი ომის სტრატეგიაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ტაქტიკური ხაზი შეიმუშავა პიუს XII-ის რეალისტურად მოაზროვნე მემკვიდრემ წმინდა პეტრეს ტახტზე იოანე XXIII -მ (1958-1963). თავისი სახელის არჩევით მან სიმბოლურად ხაზი გაუსვა კონცელიარიზმის იდეას. ახალმა პონტიფექსმა სიღრმისეულად გაანალიზა პოლიტიკური ვითარება, რომელშიც კათოლიკე ეკლესია იყო. სოციალისტურ ბანაკთან კონფრონტაცია, რომელსაც სათავეში სსრკ ედგა, მხოლოდ ერთ ერთი პრობლემა იყო იმ მნიშვნელოვანი საკითხებიდან, რომელიც მას უნდა გადაეწყვიტა. პირველ რიგში, ეკლესია სამყაროს მოთხოვნილებების შესაბამისად უნდა გარდაქმნილიყო და არა მსოფლიო მოწყობილიყო ეკლესიის მოთხოვნილებების შესაბამისად, როგორც ეს პიუს XII -ს სურდა. პაპის

გადაწყვეტილებას კურიის რეორგანიზაციასთან და ახალი ტაქტიკური ხაზის გატარებასთან დაკავშირებით ვატიკანში მტრულად შეხვდნენ. რონკალის არჩევისას კონკლავი იმედოვნებდა, რომ 77 წლის ვენეციის პატრიარქის პონტიფიკატი ხანმოკლე და გარდამავალი პერიოდი იქნებოდა. მაგრამ ისინი სასტიკად შეცდნენ; ვატიკანში დაიწყო არა მარტო რეორგანიზაცია, არამედ რევოლუცია. იოანე XIII -მ თავის ცნობილ ენციკლიკაში „ Pacem in Terris“ მსოფლიოს მშვიდობისა და თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. ამ ენციკლიკამ შესაძლებელი გახადა სხვადასხვა კონფესიებთან და მარქსისტებთან დიალოგი. სოციალისტური ქვეყნების დე ფაქტოდ აღიარებასთან ერთად პაპმა გზების ძებნა დაიწყო მათთან დასაახლოებლად.

აჯორნამენტომ და ვატიკანის მეორე კრებამ განსაზღვრა ეკლესიის მოდერნიზაცია და რადიკალური ცვლილებები. ნაციონალურ ენებზე ღვთისმსახურება, პლურალიზმი, სეკულარიზაცია, რწმენის თავისუფლება, დიალოგი სხვა კონფესიებთან და ა.შ. რევოლუციური მნიშვნელობის იყო. ვატიკანი იქცა მშვიდობისა და პროგრესის ანგარიჟებულ მომხრედ, რამაც კარდინალურად შეცვალა მისი საგარეო პოლიტიკის ვექტორები, აღიდგინა საერთაშორისო ავტორიტეტი და დაბრუნდა მსოფლიო პოლიტიკაში. ვატიკანის ბრინჯაოს მძიმე კარები ფართოდ გაიღო მსოფლიოსთან დიალოგისთვის.

14.

ლეილა (ია) ხუბაშვილი

ნეპონიზმისა და იამატოს უმაღლესი რასის ლიდერობის კონცეფცია იაპონური ფაშიზმის იდეოლოგიაში

პირველმა მსოფლიო ომმა და რუსეთის სოციალისტურმა რევოლუციამ კომუნისტური პარტიების გააქტიურება გამოიწვია. კომუნიზმის აჩრდილი მძიმედ დააწვა მსოფლიო რუკას. 1920 წელს, როდესაც იტალია კომუნისტური გადატრიალების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მუსოლინიმ განაცხადა, რომ ფაშიზმი იყო ის ძალა, რომელსაც შეეძლო კომუნიზმის შეჩერება და დამარცხება. დუჩე იტალიელების კერპად იქცა, რადგან ქვეყანა ბოლშევიზმისგან იხსნა და გზა გაუხსნა მას რომის მემკვიდრეობისაკენ. ფაშიზმის იდეოლოგიისათვის დამახასიათებელი იყო ტოტალიტარიზმი, საკუთარი ენისა და კულტურის განდიდება, სახელმწიფო და ნაცია უპირველესი იყო, მორჩილება და თავგანწირვა მთავარ ღირსებად მიიჩნეოდა, ხოლო ომი ხალხის სიდიადის გამოხატულებად გამოცხადდა, შეიძლება ითქვას, რომ მუსოლინიმ იტალიელებს სიამაყისა და დანიშნულების შეგრძნება ჩაუნერგა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფაშიზმიც და ნაციზმიც პირველ მსოფლიო ომში შელახული ღირსების რეანიმაცია იყო. ამიტომაც სავსებით ბუნებრივად ჟღერდა მუსოლინის სიტყვები: „მეოცე საუკუნე ფაშიზმის ერაა. ფაშიზმი კომუნიზმის საპირწონე უნდა ყოფილიყო, ამიტომაც იყო, რომ ფაშისტური პარტიები მთელ მსოფლიოში იქმნებოდა. ფაშისტური დოქტრინები ვრცელდებოდა ბრაზილიასა და არგენტინაში. ესპანეთში ფრანკოს დიქტატურა დამყარდა. ისე მოჩანდა, თითქოს ამ დროს ფაშიზმის სამი სახე არსებობდა: იტალიური ფაშიზმი, გერმანული ნაციზმი და ესპანური ფრანკიზმი. ამ სამს კლასიკურ ფაშიზმში აერთიანებენ, ყველა დანარჩენი კი არაკლასიკურად ითვლება, თუმცა განსხვავება დიდია და ესეც პირობითი დაყოფაა. ავსტრიაში 1934 წელს ხელისუფლებაში მოვიდნენ იტალიური ფაშიზმის მიმდევრები-ჰაიმვეროვები, მაგრამ ნაცისტებმა პუტჩი მოაწყვეს და კანცლერი დოლფუსი მოკლეს. საბოლოოდ ყველაფერი ავსტრიის ანშლუსით დამთავრდა. უნგრეთში ჰუნგარისტები ადმირალ ხორტის მეთაურობით 1944 წელს ჩამოაგდეს უნგრელმა ნაცისტებმა სალაშის ხელმძღვანელობით. რუმინეთში იტალიური ფაშიზმის მომხრეებსა და ნაცისტებს შორის დაპირისპირება სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ანტონესკუს „მწვანე ქურთუკიანები“ და ჰორი სიმოის „რკინის გვარდიელები“ ერთმანეთს ებრძოდნენ. საფრანგეთში ელიტარული ფაშიზმი იყო „აკსიონ ფრანჩეზის“ სახელით და ახლოს იდგა მონარქო-ფაშიზმთან. ნაციზმის ფრანგული ვარიანტიც იყო ფრანსიზმის სახით. ბრიტანეთში ოსვალდ მუსლი იყო ფაშისტების ბელადი. არაკლასიკურ ფაშიზმად მოიხსენიება ტეტჩერიზმი, რეიგანომიკი, პინოჩეტის რეჟიმი. ებრაული ფაშიზმი „კახი“ და „კახანე ხაი“-

ის სახით იყო წარმოდგენილი. გამონაკლისი არც იაპონია იყო. რაც შეეხება რელიგიას, ნაცისტები წარმართები იყვნენ, თუმცა ნაციზმისთვის დამახასიათებელი იყო ეკუმენისტური ქრისტიანობა. იტალიური, ესპანური, ლათინო-ამერიკული ფაშიზმები გამოკვეთილ კათოლიკურ ხასიათს ატარებდნენ. ბერძნული და რუმინული ფაშიზმი კი მებრძოლი მართლმადიდებლური ხასიათის იყო. იაპონელი ფაშისტები შინტოისტები იყვნენ.

იაპონელი ფაშისტების მიზანი იყო სამხედრო დიქტატურის დამყარება და საგარეო პოლიტიკური ექსპანსია. განსაკუთრებით აღსანიშნავია იაპონური ფაშიზმის იდეოლოგია, რომლის ბაზისს შეადგენდა ნეპონიზმის კონცეფცია, რაც ემყარებოდა იაპონიის განსაკუთრებულ ღვთიურ მისიას სოციალური ჰარმონიის დადგენაში „ერთიანი ოჯახი-სახელმწიფო“, რომელსაც იმპერატორი მართავდა და იამატოს უმაღლესი რასის ლიდერობას აზიაში. მოკლედ რომ ვთქვათ, იაპონური ფაშიზმის იდეოლოგიაში შერწყმული იყო ნაციონალური რელიგია შინტო და სამურაების კოდექსის „ბუსიდოს“ იდეა. იაპონურმა იდეოლოგიამ ჩამოაყალიბა ე.წ.“პანაზიური დოქტრინა“, რომლის მთავარი სლოგანი იყო „აზია აზიელებისათვის“. დოქტრინა განსაკუთრებით პოპულარული იყო მაღალ სამხედრო წრეებში, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ იაპონიას უნდა დაეწყო „რასობრივი ომი ფერადკანიანთა ემანსიპაციისათვის“. ეს დოქტრინა პრესის მიერ პროპაგანდირებული იყო მთელ იაპონიაში და მას ასწავლიდნენ საბავშვო ბაღებში და სასკოლო გამოცემებში. დოქტრინა „ტანაკას მემორანდუმის“ სახელით 1931 წლის სექტემბერში დაიბეჭდა ჟურნალ „Chaina Critiic”-ში და მას დიდი პოლიტიკური ვნებათაღელვა მოჰყვა. გენერალმა ტადამ კი გამოაქვეყნა პოლიტიკური თეზისები „აზიური რასა უნდა გაერთიანდეს“ იაპონურმა მხარემ უარყო ტანაკას მემორანდუმის არსებობა, თუმცა მისი ექსპანსიური პოლიტიკა ძალიან ჰგავდა მემორანდუმის სტრატეგიას. იაპონიაში ჩამოყალიბდა რამდენიმე ფაშისტური დაჯგუფება: საიმპერატორო გზის დაჯგუფებას გენერალი არაკი ხელმძღვანელობდა; კონტროლის დაჯგუფებას გენერალი ტოჯო. 1932 წლის მაისსა და 1936 წლის თებერვალში ფაშისტურმა დაჯგუფება „საიმპერატორო გზამ“, რომელსაც მხარს უჭერდნენ „ახალგაზრდა ოფიცრები“, წარუმატებელი სამხედრო გადატრიალება მოაწყო. პუტჩის ჩახშობის შემდეგ ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ სამხედროები. 1940 წელს იაპონიის პოლიტიკური პარტია დაშლილად გამოცხადდა. ქვეყანაში დამყარდა სამხედრო-ფაშისტური რეჟიმი, რომელიც 1945 წლის აგვისტოს დასრულდა.

უკანასკნელ პერიოდში იაპონურ და დასავლურ ისტორიოგრაფიაში ფართოდ გაიზარდა ინტერესი იაპონიაში ფაშიზმის პრობლემატიკისადმი. იყო თუ არა ფაშიზმი იაპონიაში? ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ისტორიკოსთა ორი ჯგუფი. ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ იაპონია არ იყო ფაშისტური სახელმწიფო. ამ ჯგუფში შედიან იაპონელები: ტაკაში, ტაკეხირო, ტაკახი და ინგლისურენოვანი მკვლევარები: ბერგერი, გარონი, კაზა, ბრაუნი, დუსი, სპილმანი, ოკიმოტო. მათი მთავარი არგუმენტებია: 1. იაპონიაში არ ყოფილა მასობრივი ფაშისტური მოძრაობა; 2. იაპონიას არ ჰყოლია ფაშიზმისათვის დამახასიათებელი ქარიზმატული ლიდერი; 3. იაპონიაში არ მომხდარა ფაშისტების მიერ ხელისუფლების უზურპირება; 4. იაპონიაში ამ დროისათვის მომხდარი ტერორისტული აქტები სახელმწიფოს მიერ იყო ინსპირირებული და დაფინანსებული. 5. იაპონიაში არ არსებობდა კორპორატიული სისტემა; 6. იაპონია უნიკალური ქვეყანაა და მასზე არ მოქმედებს ტრადიციული ისტორიული კატეგორიები, რომლებიც გამოყენებულია ისტორიული პროცესების ასახსნელად სხვა ქვეყნებში.

იაპონიას ფაშისტურ ქვეყნად თვლიდნენ არა მარტო მარქსისტები, არამედ სხვა იაპონელი მკვლევარებიც: კინზო, ჰიროზუმი, მასაო, კიიოტადა, ტეტცუო, იოშიაკი. ინგლისურენოვანი მკვლევარები: ბიქსი, გორდონი, რეინოლდსი, ტანსმანი. ისინი საუბრობენ “საიმპერატორო ფაშიზმზე“, „კომპოზიტურ ფაშისტურ სახელმწიფოზე“, გერმანიისა და იაპონიის ანალოგიებზე (ძალის კულტი, ყველაფრის ნებადართულობა, ნაციონალური განსაკუთრებულობა, დიქტატურა, „იამატოს რასის“ ექსპანსიური პოლიტიკა...). ცნობილი იაპონელი მეცნიერის მარუიამა მასაოს აზრით, იტალიასა და გერმანიაში ფაშიზმი ქვემოდან განხორციელდა, იაპონიაში კი ზემოდან. რეინოლდსის თანახმად,

„იდეოლოგია, რომელიც აგებულია იმპერატორის ხელისუფლებაზე, წარმოადგენს ფაშიზმის ერთერთ ფორმას იაპონურ სტილში“. აშშ და დიდ ბრიტანეთში ბევრმა მკვლევარმა იაპონიის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით აღმოაჩინა „ფაშიზმის კულტურა“ და „ფაშისტური ესთეტიკა“, აღარაფერს ვამბობთ „კრიზისთან ფაშისტური მეთოდებით ბრძოლაზე“. ამავე დროს აღსანიშნავია იაპონური ფაშიზმის სპეციფიკური მახასიათებლები. დავასახელებ ზოგიერთ მათგანს: 1. იაპონური ფაშიზმის დროშა იყო არა პარტია, არამედ იმპერატორი; 2. ტანაკას 7 ეტაპიანი გეგმა; 3.იამატოს უმაღლესი რასის დომინანტობა აზიაში; 3. ნაციონალური რელიგიის- შინტოსა და სამურაების კოდექსის „ბუსიდოს“ იდეის სინთეზი.

დასკვნის სახით შემიძლია აღვნიშნო, რომ სავსებით ვიზიარებ იმ მკვლევარების მოსაზრებას, რომლებიც იაპონიას ფაშისტურად ჯერ კიდევ 1930 წლიდან მიიჩნევენ: 1. იმპერატორ ჰიროჰიტოს, „აზიელი ჰიტლერი“ უწოდეს და ის არ გაასამართლეს მხოლოდ იმიტომ რომ ტოჯომ და სხვა გენერლებმა საკუთარ თავზე აიღეს მთელი პასუხისმგებლობა დანაშაულისა. ეს იყო სამურაების ეთიკის გამოვლინება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მილიტარისტული იაპონიის მთელი პატრიოტული კულტი აგებულია იმპერატორის თაყვანისცემაზე და მის სამსახურზე არა როგორც ადამიანზე, არამედ როგორც „მზის შვილზე“ და შინტოიზმის უმაღლეს იერარქზე. იაპონურ ძალაუფლების მოდელშიც იმპერატორი მნიშვნელოვანია არა როგორც პიროვნება, არამედ როგორც ფუნქცია. 2. კორპორატიული სისტემა. იაპონიაში კორპორაციული ასოციაცია „საიბაცუ“ ჯერ კიდევ შოუას ეპოქამდე გაჩნდა და ზოგიერთი მათგანი: მიცუბიში, მიცუი, სუმიტომო ისეთივე წარმატებით თანამშრომლობდა მილიტარისტულ ხელისუფლებასთან, როგორც სიმენსი, ტიისენი და კრუპი გერმანიაში. 3.იაპონიას იგივე მიზნები ჰქონდა, რაც ღერძის ქვეყნებს: მსოფლიოს გადანაწილება, ბრძოლა კომუნიზმთან. 4. იაპონიამ გამოიყენა გენოციდის მეთოდები ჯერ კიდევ 1937 წელს, როცა ნანჯინგში 500 ათასი ადამიანი დახოცა. 5. იაპონურ ფაშიზმში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შინტომ, რომელმაც დოგმატური ხასიათი მისცა იაპონელთა განსაკუთრებულობის კონცეფციას. 6. იაპონურ დროშას კიოკუძიცუს დღემდე ჩინეთსა და კორეაში აღიქვამენ, როგორც სვასტიკას. 7. ფაშისტური პარტიის როლს იაპონიაში შეიარაღებული ძალები ასრულებდა. 8. იაპონური ფაშიზმის იდეოლოგიის განმახორციელებელი იყო ფაშისტური ორგანიზაცია „ტახტის დახმარების ასოციაცია“ (1940-1945), რომელიც პრემიერ მინისტრმა, პრინცმა კონოემ დაარსა მალევე, როგორც კი იაპონია „ღერძს“ შეუერთდა. ფაშისტური გავლენის პიკი იყო კონოეს მმართველობა 1937-1939 და 1940-1941 წლებში.

და ბოლოს, ფაშიზმის ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ დებატები იაპონურ ფაშიზმზე კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

15.

ფატი შეყლაშვილი

მაკედონიის საკითხი რეგიონული და ევროპული პოლიტიკის კონტექსტში XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში

„მაკედონიის საკითხი“ ევროპულ პოლიტიკაში პირველად აღმოცენდა XIX ს-ის უკანასკნელ მეოთხედში და XX ს-ის დასაწყისში გადაიქცა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად. მაკედონიის ირგვლივ მოხდა როგორც ბალკანეთის სახელმწიფოების (ოსმალეთის იმპერია, ბულგარეთი, საბერძნეთი, სერბეთი, რუმინეთი) ინტერესების კონცენტრირება (თითოეული მათგანი აცხადებდა პრეტენზიებს მაკედონიის ტერიტორიებზე), ისე დიდი სახელმწიფოებისაც (რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი), რომელთა ყურადღებასაც იზიდავდა მაკედონიის სერიოზული გეოპოლიტიკური მდებარეობა ბალკანეთში.

საკითხი აქტუალობას არ კარგავს, მით უფრო, რომ ახლო ისტორიულ წარსულში, კერძოდ, 1991წ. მაკედონიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოცხადების შემდეგ, საბერძნეთმა არ აღიარა რესპუბლიკის კონსტიტუციური სახელწოდება. ოფიციალური საბერძნეთის განცხადებით, ქვეყნისთვის შეიძლებოდა ეწოდებინათ შედგენილი სახელი_ „ახალი მაკედონია“ ან „ზემო მაკედონია“,

ხოლო საბერძნეთის ოპოზიციურად განწყობილი მემარჯვენე ძალები საერთოდაც უარყოფდნენ სიტყვა „მაკედონიის“ ნებისმიერი სახით გამოყენებას მეზობელი რესპუბლიკის სახელწოდებაში, ვინაიდან იუგოსლავიის ყოფილ მაკედონიის რესპუბლიკას არაფერი ჰქონდა საერთო საბერძნეთის ისტორიულ პროვინცია მაკედონიასთან. ასე წარმოიქმნა „მაკედონიის საკითხი 2“. ისევე, როგორც წარსულში, მაკედონიის საკითხზე სიტუაციის გამწვავებას მოჰყვა საკითხის ინტერნაციონალიზაცია. ქვეყნის სახელწოდებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები თითქმის სამი ათეული წელი გრძელდებოდა უშედეგოდ. 2018 წ. პრესპანის შეთანხმების თანახმად, მაკედონიის ახალი სახელმწიფო განზე გადგა თავისი ისტორიის „ანტიკვიზაციის“ პოლიტიკისგან და 2019 წ. ოფიციალურად მიიღო სახელწოდება- „ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა“, რაც განაცალკევებს მას ისტორიული მაკედონიისგან.

ამ ასპექტის გათვალისწინებით, მაკედონიის საკითხზე XIXს-ს ბოლოს წარმოქმნილი და XX ს-ს დასაწყისში გართულებული დაპირისპირებები გასათვალისწინებელია და აქტუალობას არ კარგავს.

ბერლინის 1878 წლის კონგრესის გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძული ოსმალეთის უღლისგან განთავისუფლდა, მაკედონია კვლავ დარჩა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. აღმოსავლეთის კრიზისის პერიოდში ბალკანეთზე მომხდარი ტერიტორიული ცვლილებები ბერლინის ტრაქტატით უფრო განმტკიცდა, ამასთან, მთელი რიგი პრობლემები მოუგვარებელი დარჩა. აღმოცენდა აღმოსავლეთის საკითხის კიდევ ერთი ასპექტი- მაკედონიის პრობლემა. მთავარი საკითხი გახდა-რა ბედი ეწეოდა მაკედონიას, ოსმალეთის იმპერიის შესაძლო დაშლის შემთხვევაში.

ფაქტობრივად, ბერლინის კონგრესმა შექმნა საფუძველი მაკედონიის დაუფლების მიზნით ბულგარეთის ,სერბეთის და საბერძნეთის დაპირისპირებებისათვის. გართულდა მაკედონიაში მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობის მდგომარეობაც, რაც უკავშირდებოდა მუსულმანი ლტოლვილების მასობრივ ნაკადს სერბეთიდან, ბულგარეთიდან, ჩერნოგორიიდან და ბოსნია-ჰერცეგოვინიდანაც კი. შესაბამისად, მაკედონიაში გამწვავდა ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებები, გახშირდა შეიარაღებული ბრძოლებიც. მაკედონია გახდა მთავარი „ცხელი წერტილი“, ბალკანეთზე და ზოგადად ევროპაში.

დიდი სახელმწიფოები პრობლემის მოგვარების ორ ვარიანტს განიხილავდნენ: მაკედონია დაყოფილიყო მეზობელ ბალკანურ სახელმწიფოებს შორის, ან წარედგინათ მისთვის ავტონომია. საბოლოოდ შეთანხმდნენ დაეტოვებინათ ოსმალეთის შემადგენლობაში და გატარებულიყო აუცილებელი რეფორმები. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა მაკედონიის ქრისტიანული მოსახლეობისთვის მუსულმანების თანაბარი უფლებები მიეცა.

XIXს-ის ბოლოს გააქტიურდა ბალკანეთის სახელმწიფოების პრეტენზიები მაკედონიის რეგიონზე: სერბეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი ცდილობდნენ სხვადასხვა მეთოდებით, კულტურული, რელიგიური, ნაციონალური პროპაგანდისტული კამპანიების, ეკლესიების, სკოლების მეშვეობით მაკედონიისა და თრაკიის მისაკუთრებას და კონტროლის დამყარებას, ამ ნიადაგზე გახშირდა ურთიერთშორის სერიოზული კონფლიქტები. მოგვიანებით, მაკედონიისათვის ბრძოლაში ჩაერთო რუმინეთი, ეყრდნობოდა რა ვალახებს, რომლებიც რუმინული ენის დიალექტზე საუბრობდნენ.

XX ს-ის დასაწყისში გააქტიურდა მაკედონიის ალბანელთა მოძრაობაც, რომლებიც თურქეთის ხელისუფლებისგან ითხოვდნენ, ეღიარებინა მაკედონიაში ალბანელთა ნაციონალური თემის არსებობა. პარალელურად აღმოცენდა „მაკედონიზმის“ იდეა. მაკედონიის ავტონომიისათვის ბრძოლაში ყალიბდება რადიკალ სლავ სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციები: „მაკედონია-ოდრინის რევოლუციური ორგანიზაცია“ და „მაკედონია-ოდრინის უმაღლესი კომიტეტი“. მათი თაოსნობით მოეწყო ე.წ. ილინდენის აჯანყება 1903წ. 2 აგვისტოს თურქების წინააღმდეგ, რომელიც მარცხით დასრულდა.

მაკედონიის დაძაბული ვითარება ვერ გაანეიტრალა 1908წ. ახალგაზრდა თურქთა „ოსმანიზმის“ პოლიტიკამაც. ისინი ფორმალურად აცხადებდნენ იმპერიაში ყველა ერის თანასწორობას და სინამდვილეში ხელს უწყობდნენ დაპირისპირებას და ძმათამკვლელ ომებს ბალკანეთზე.

მაკედონიის საკითხი კვლავ იქცა ოსმალეთის იმპერიის შიდა გადაუჭრელ პრობლემად, რამაც შემდგომში გზა გაუხსნა ბალკანეთის 1912-1913წწ-ის ომებში მაკედონიის ძალადობრივ დანაწილებას საბერძნეთს, ბულგარეთს და სერბეთს შორის.

16.

თამარ ანთაძე

ისტორიკოსი ბენ უაიდერი

მოხსენებაში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია ისტორიკოს ბენ უაიდერის ცხოვრება და მოღვაწეობა.

17.
თამარ ანთაძე
ვარლამ ჩერქეზიშვილი ჯოზეფ ჩემბერლენზე

ცნობილმა ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და ჟურნალისტმა ვარლამ ჩერქეზიშვილმა ქართულ საზოგადოებას არაერთი საინტერესო და ღირებული ინფორმაცია მიაწოდა XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ინგლისის პოლიტიკური ვითარების შესახებ. ის გარემოება, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლისში ცხოვრობდა და ამ პერიოდის მოვლენათა უშუალო თვითმხილველი იყო, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს მის ძალზე ღირებულ ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, სადაც არაერთი პოლიტიკური მოღვაწის შესახებაა საუბარი.

ვარლამ ჩერქეზიშვილის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჯოზეფ ჩემბერლენი (1836-1902), XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ინგლისური პოლიტიკის ერთ-ერთი წარმატებული და გავლენიანი პოლიტიკოსი. 1895-1903 წლებში მას კონსერვატორთა მთავრობებში კოლონიების მინისტრის თანამდებობა ეკავა.

ჩემბერლენის მოღვაწეობის მიმართ ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება დღემდე არ ქცეულა ქართველ ისტორიკოსთა განხილვის საგნად. ამ საკითხის კვლევა ერთგვარი სიახლეა და ის დაგვეხმარება უფრო სრულყოფილად გავიაზროთ ვ. ჩერქეზიშვილის მიერ შეტანილი წვლილი საქართველოში ევროპის ქვეყნების, კონკრეტულად, ინგლისის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ჩვენ ძირითადად ვეფუძნებით ვარლამ ჩერქეზიშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, სადაც ჯოზეფ ჩემბერლენის შესახებ მსჯელობას დიდი ადგილი ეთმობა. აღსანიშნავია, რომ ამ წერილებში არცერთი პოლიტიკურ მოღვაწე არ იხსენიება ამგვარი სიხშირით, მათ შორის გლადსტონიც, რომლის შესახებ ვარლამ ჩერქეზიშვილი მაღალი აზრის გახლდათ. ჩემბერლენი ნახსენებია 58-ჯერ, ხოლო გლადსტონი მხოლოდ 35-ჯერ. მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ქართული საზოგადოებისათვის წყაროთმცოდნეობითი დატვირთვა გააჩნია. ვ. ჩერქეზიშვილი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ჯოზეფ ჩემბერლენის საქმიანობისადმი, რაც მის მსჯელობას ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას სძენს.

ჩემბერლენის მოღვაწეობის ვარლამ ჩერქეზიშვილისეულ შეფასებებში ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება: კერძოდ, ვარლამ ჩერქეზიშვილის სრული ინფორმირებულობა ჯოზეფ ჩემბერლენის მოღვაწეობის შესახებ და ამ მოღვაწეობის კრიტიკა ანტიიმპერიალისტური და ჭეშმარიტად ლიბერალური თვალთახედვიდან.

ჯ. ჩემბერლენის საქმიანობისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება გამოკვეთილად ნეგატიურია. ის ჩემბერლენს მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს. ეს შემთხვევითი არ ყოფილა. ამის ძირითადი მიზეზი ვ. ჩერქეზიშვილის მიერ უილიამ გლადსტონის რიგ პოზიციათა გაზიარება გახლდათ. პირველ რიგში, ეს ეხებოდა ირლანდიისათვის ჰოუმრულის (თვითმმართველობის) მინიჭების საკითხსა და ასევე ინგლის-ბურების ომს. ვ. ჩერქეზიშვილისთვის მიუღებელი იყო „ლიბერალ-იმპერიალისტების“, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ჯოზეფ ჩემბერლენი, ექსპანსიონისტური პოლიტიკური კურსი.

ირლანდიის ჰოუმრულის საკითხში ის ძირითადად გლადსტონის პოზიციას იზიარებდა. ბუნებრივია, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის, როგორც პატარა ერის წარმომადგენელის, სიმპათია თავისუფლების მოყვარე ირლანდიელი ხალხის მხარეს იყო მიმართული. გლადსტონისადმი სიმპათიასაც ალბათ სწორედ ეს განაპირობებდა. აქვე დავსძენთ, რომ თავად გლადსტონი უელსელი გახლდათ.

ჯოზეფ ჩემბერლენის სახელს ვხვდებით ვარლამ ჩერქეზიშვილის სტატიაში „ინგლისის საზოგადო ცხოვრება“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1893 წლის 3 აგვისტოს. ჯოზეფ ჩემბერლენის სახელი სამგზისაა ნახსენები და სამივეჯერ უარყოფით კონტექსტში: „პოლიტიკა ამ საოცარი მოხუცისა (იგულისხმება გლადსტონი – თ.ა.) განიხილება არა მარტო ირლანდიისა, არამედ გადახალისება და განახლება თვით ინგლისის ცხოვრებისა და ინგლისის საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის. ეხლანდელი კაბინეტის მოწინააღმდეგეთ, კარგად იციან, რომ ირლანდიის ავტონომიას ზედ

მოჰყვებოდა საადგილმამულო რეფორმა და ცვლილება წარმოების წესებისა, ზედ მოჰყვებოდა რეფორმა ადგილობრივი თვითმმართველობისა, არა მარტო შოტლანდიისა და უელსისათვის, ანუ თითოეული საგრაფოს და სამრევლოსათვის, ანუ როგორც აქ ამბობენ – ვესტრიისათვის. ეს მოწინააღმდეგენი ტორები და ძველებური კონსერვატორები როდი არიან. არა, იმათ რაზმში სდგანან გუშინდელი ლიბერალებიც (ე.ი. ლიბერალ-იმპერიალისტები – თ.ა.) ჩემბერლენი, გარინგტონი და მათი მეგობრები. სდგანან რადიკალები და ასე განსაჯეთ, საეჭვო სოციალისტებიც კი. მათ კარგად ესმით, რომ დიდებული მოხუცი, რომლის მზეც უკვე თუმცა გადახრილია, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩასვენებულა, ხეირს არ დააყრის, ძირს დაამხობს. ეს არის მიზეზი, რომ ბევრს ასეთი საშინელი სიძულვილი აქვს გლადსტონის“.

ამგვარი მიდგომა მკაფიოდ წარმოაჩენს ვარლამ ჩერქეზიშვილს, როგორც ნამდვილ ლიბერალ მოაზროვნეს. აქ სავსებით ცხადად იკვეთება ვარლამ ჩერქეზიშვილის სიმპათიები უილიამ გლადსტონის პოლიტიკური ხაზის მიმართ და მის მიერ ჯოზეფ ჩემბერლენის პოზიციის სრული მიუღებლობა.

შემდეგი საკითხი, რომელსაც ყურადღებას მივაპყრობთ, ინგლისის საგარეო პოლიტიკაა, კონკრეტულად კი, ინგლის-ბურების ომი (1899-1902). უნდა ითქვას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, ვარლამ ჩერქეზიშვილის პოზიცია გაცილებით უფრო პროგრესულია, ვიდრე ჯოზეფ ჩემბერლენისა. ის სავსებით სამართლიანად აკრიტიკებს ინგლის-ბურების ომთან მიმართებაში ჯოზეფ ჩემბერლენის ხედვას. ვარლამ ჩერქეზიშვილი ამბობს: „როგორც პირველ წერილში ვწერდით, ოპოზიციამ პარლამენტში განაცხადა, რომ აწინდელი ომი მოფიქრებულ, მომზადებულ და გამოწვეულ იქნა კაპიტალისტთა და საერთაშორისო ბირჟის მეფეთა მეცადინეობით. ხოლო დამოუკიდებელმა ჟურნალ-გაზეთებმა საბუთებით დაამტკიცეს, რომ პატარა რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ, თუ მთელი სამინისტრო არა, მისი უმთავრესი წევრი ჩემბერლენი მაინც. იმისი მთავარი კომისარი სამხრეთ აფრიკაში სერ მილნერი და მისივე მეორეხარისხოვანი აგენტები ტრანსვაალსა, ორანჟის რესპუბლიკაში და კაპის ახალშენში მყოფნი“. იქვე მეორედ მოიხსენიება ჯოზეფ ჩემბერლენის სახელი და ცხადია, ისევ კრიტიკულ ასპექტში. რა გასაკვირია, რომ ინგლის-ბურების ომის დროს ქართველი ჟურნალისტის თვალსაზრისი ანტიიმპერიალისტურია და მისი სიმპათია მთლიანად თავისუფლებისათვის მებრძოლი ბურებისკენაა. ეს სრულიად შეესაბამებოდა ამ ომის მიმართ ქართული საზოგადოების უმეტესი ნაწილის განწყობას, რასაც ნიკო ბურის (ბაგრატიონის) აფრიკაში ბურების მხარეზე საბრძოლველად გამგზავრება და ომში მონაწილეობაც ადასტურებს.

18.

ზაალ გოგენია

ესპანეთის სამოქალაქო ომის და ფრანკოს რეჟიმის რეპრეზენტაცია გილერმო დელ ტოროს ფილმებში

ესპანეთის სამოქალაქო ომმა და ფრანკოს რეპრესიულმა რეჟიმმა წარუშლელი კვალი დატოვა ესპანელი ხალხის ცხოვრებაში, ესაა მოუშუშებელი იარა რომელიც კიდევ დიდი ხანი შეახსენებს თავს ესპანეთს და მთელ მსოფლიოს. ჯერ კიდევ 1946 წელს ალბერ კამიუ წერდა: ,,აი უკვე ცხრა წელია რაც ჩემი თაობის ადამიანები გულით დაატარებენ ესპანეთს, ცხრა წელი როგორც საშინელ ჭრილობას, სწორედ ესპანეთში მიხვდნენ ადამიანები, რომ შეიძლება მართალი იყო მაგრამ დამარცხდე, რომ ძალა ძლევს სულს, რომ სიმამაცე ყოველთვის არ წახალისდება. ამით აიხსნება თუ რატომ აღიქვამენ მთელ მსოფლიოში ესპანურ დრამას პირად ტრაგედიად“. ათწლეულების შემდეგაც ამ კუთხით თითქმის არაფერი შეცვლილა.

მხატვრული კინო ესპანელი ხალხის ეროვნული ტრაგედიის შეხსენების კარგი საშუალებაა. ამ მხრივ საინტერესოა თანამედროვე მექსიკელი რეჟისორის გილერმო დელ ტოროს ფილმები ,,ეშმაკის ხერხემალი“ და ,,ფავნის ლაბირინთი“. ეს პრობლემის აღწერის უპრეცედენტო მიდგომაა. როგორც წესი აღნიშნულ მოვლენებზე არსებული ფილმები ჩვეულებრივი ისტორიული ჟანრის ფარგლებში ასახავენ ეპოქას და კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს, სადაც გამოგონილი თუ რეალური ფაქტი ორგანულადაა დაკავშირებული. დელ ტოროს ფილმებში ისტორიული ჩარჩო, დრო, სივრცე, გმირები ზებუნებრივი ელემენტებითაა დატვირთული რაც რეალობის უკეთ ახსნის საშუალებას იძლევა, ესაა საშინელებათა და ფანტასტიკის ჟანრი სადაც ისტორიული და პოლიტიკური საკითხები თითქოს უკანა პლანზე იწევს. ფაქტობრივად დელ ტორო იყენებს ფანტასტიკას როგორც საშუალებას ესპანეთის სამოქალაქო ომის და ფაშიზმის არსის გასაგებად და ასევე როგორც საშუალებას ხაზი გაუსვას ისტორულ მეხსიერებას. ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორი ამბობს, რომ მისთვის ფაშიზმი ყველაზე დიდი ბოროტებაა და იდეალური

მასალა საშინელებათა ჟანრის და ფანტასტიკის სიუჟეტისთვის, ფაშიზმი რყვნის უმანკოებას ე.ი. ბავშვობას. ამიტომ მასთან მთავარი გმირები ბავშვები არიან. ბავშვები როგორც მაყურებლები და როგორც ტრავმის მსხვერპლნი.

მიუხედავად ზებუნებრივი ელემენტებისა ორივე ფილმი კარგად ასახავს ისტორიულ რეალობას, ეხება იდეოლოგიურ პრობლემას, არაა შეცვლილი სხვა კონფლიქტით ან სხვა ისტორიული კონტექსტით. რეალური წესრიგი ფანტასტიკური ამბის წინაპირობაა, ანუ წმინდა ნარატიული თვალსაზრისით უნდა არსებობდეს რეალურობის ზუსტი პირობები.

ეშმაკის ხერხემალში მოქმედება ხდება 1939 წელს ფრანკოს გამარჯვების ზღურბლზე. მოვლენები ვითარდება ბავშვთა თავშესაფარში. ეზოს ცენტრში მიწაში სანახევროდაა ჩაფლული აუფეთქებელი ბომბი რომლის ჩამოვარდნას უკავშირებენ ერთ-ერთი ბავშვის სანტის გაუჩინარებას, სანტი მოჩვენებაა რომელიც ბორგავს შურისძიების წყურვილით. ფილმს აქვს პროლოგი და მთელი ფილმში მაყურებელი პოულობს პასუხს აქ დასმულ კითხვაზე: ,,რა არის მოჩვენება? ტრაგედია რომელიც განწირულია ხელახლა განმეორებისთის, შეიძლება ეს ტკივილის წამია, რაღაც მკვდარი, რომელიც ცოცხლად გვეჩვენება, გრძნობა რომელიც დროში გაიყინა, როგორც ბუნდოვანი სურათი, როგორც მწერი ქარვაში გაჭედილი“. ბომბი ომის სიმბოლოა, სანტის მოჩვენება ამ ბომბთან კავშირშია და ორივე თავშესაფარში მყოფთ ახსენებს იმ რეალობას რაც მისი ყრუ კედლების გარეთ ხდება, თუმცა ბომბი დროთა მსვლელობაში ლანდშაფტის ნაწილად იქცევა, ბავშვები ეჩვევიან მას, უფროსები კი თითქოს ვერც ამჩნევენ.

თავშესაფარში ხდება ამბები რაც მოგვაგონებს მინიატურულ სამოქალაქო ომს. ესაა კონფლიქტი ექიმ კასარესს და ბრუტალურ ხასინტოს შორის, რომელიც ყველა ხერხებით ცდილობს დაეუფლოს რესპუბლიკის საქმისთვის შენახულ ოქროს. კასარესი წარმოადგენს რესპუბლიკას და ესპანეთს ინტელექტუალურ წრეებს, ხასინტო არის ფრანკოს შიშველი ძალა. კასარესი რომელიც მეტაფორული მოჩვენებაა გარდაცვალების შემდეგ ნამდვილ მოჩვენებად იქცევა და ამ სახით შეძლებს ბავშვების დახმარებას ხასინტოსგან. აქ მთავარი აზრი იმაშია, მოჩვენება თავისი ზებუნებრივი ძალის წყალობით აკეთებს იმას რაც შეუძლებელი იქნებოდა მხოლოდ ბუნებრივი წესრიგის არსებობისას. კასარესმა რეალურ ცხოვრებაში ვერ დაიცვა ბავშვები (ხალხი, ახალგაზრდობა), მაგრამ გახდა გმირი მხოლოდ მას შემდეგ რაც გაარღვია ბუნებრივი წესრიგი.

თუ „ეშმაკის ხერხემალი“ გოთიკური ისტორიაა მოჩვენებაზე, „ფავნის ლაბირინთში“ გამოყენებულია ზღაპრის ნარატიული სტრუქტურა რომელიც უპირისპირდება რეალური ომის საშინელებას. აქ მოქმედება ვითარდება 1944 წელს. ამ ფილმსაც თავისებური პროლოგი აქვს რომელიც ბოლოს სცენის რეტროსპექტიული კადრს წარმოადგენს.

ფილმში კონფლიქტი ფაშისტებს და აჯანყებულ პარტიზანებს შორის ხდება მიწის ზედაპირზე, მაგრამ მთავარი მოვლენები მიწისქვეშა სამყაროშია რომელიც რეალურისგან განსხვავებულია თუმცა ახლოს მყოფი. მთავარი გმირი გოგონა ოფელია ეშვება ფანტასტიკურ სამყაროში რათა თავი აარიდოს სასტიკი მამინაცვლს კაპიტან ვიდალს, რომელიც წარმოადგენს ინსტიტუციონალურ ფაშიზმს. მიწისქვეშა სამყაროში ის ხვდება მონსტრებს მაგრამ არცერთი არაა იმაზე საშიში როგორც კაპიტანი ვიდალია. ეს ამტკიცებს იმას, რომ ყველაზე საშინელი კოშმარიც კი ფერმკრთალდება რეალურ ბოროტებასთან (ფაშიზმთან) შედარებით.

ფილმში ბევრი საინტერესო ალეგორიაა რომელიც სამოქალაქო ომს და ფრანკოს რეჟიმს მოგვაგონებს, თუმცა ყველაზე სახასიათო ფერმკრთალი ადამინი და მისი დარბაზია, რომელიც თვითონ რეჟისორის განმარტებით განასახიერებს ფრანკოს და ეკლესიას, რომელიც გვერდში დაუდგა მას და თვალები დახუჭა სისასტიკეზე. ფერმკრთალი ადამიანის შთანთქავს ბავშვებს ამაზე მოწმობს დარბაზში დაკიდული სურათები, ფეხსაცმლების გროვა კუთხეში რომელიც ასე ძალაინ ჰგავს ფოტოებს ნაცისტების სიკვდილის ბანაკებიდან. ეს ყველაფერი მიგვითითებს ომის საშინელებაზე და რეჟიმის სისასტიკეზე. ამრიგად ფანტაზიაშიც რეალური სამყაროსგან გაქცევა რთულია.

უნდა ითქვას, რომ ორივე ფილმი ძალიან კარგად ახდენს სამოქალაქო ომის და ფრანკოს რეჟიმის რეპრეზენტაციას, ფანტასტიკის და საშინელების დახმარებით კარგადაა დანახული ესპანელი ხალხის ტრავმა, რომელიც ისტორიულ მეხსიერებაში ასეა ღრმადაა ჩამჯდარი.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **თეიმურაზ პაპასქირი**, კახაბერ ყალიჩავა, ოლგა პოედინოკი

2.

2) მოხსენების სათაური
1. რუსული პასპორტიზაციის პოლიტიკა საქართველოსა და უკრაინაში: ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა და ეროვნული საკითხები
2.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 03.12.2021, მალმიო, შვედეთი (ზუმით)
2.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

თეიმურაზ პაპასქირი, კახაბერ ყალიჩავა, ოლგა პოედინოკი
რუსული პასპორტიზაციის პოლიტიკა საქართველოსა და უკრაინაში: ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობა და ეროვნული საკითხები

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია რუსული პასპორტიზაციის პოლიტიკაზე, რომელიც ტარდება საქართველოში 2002 წლიდან და უკრაინაში 2014 წლიდან. გაკეთდა შედარება, თუ რა მსგავსებები და განსხვავებები არის რუსეთის აგრესიის ამ გამოვლინებაში საქართველოსა და უკრაინის მიმართ და თუ რა ზომები შეიძლება იქნას მიღებული, რათა შეჩერებული იყოს როგორც ამ პოლიტიკის შედეგად უკვე დამდგარი უარყოფითი შედეგები, ისე მომავალში თავიდან იქნას აცილებული მსგავსი ვითარების გამეორება.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.**

მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის წევრების მიერ 2021 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია

მონოგრაფიები:

1. **მურმან პაპაშვილი, თეა ქარჩავა, თეა წითლანაძე,** ანდრო გოგოლაშვილი, ნიკოლოზ სილაგაძე. საქართველო XVI საუკუნის ევროპულ წყაროებში. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 2021, 602 გვ.
2. **Murman Papashvili**, Eldar Mamistvalishvili, Zurab Gamezardashvili. Georgia in the European World (The 70-s of the XVII Century-XVIII Century). თბილისი: გამომცემლობა „საჩინო“, 2021, 224 გვ.
3. **მერაბ კალანდაძე.** ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესწავლა საქართველოში. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2021, 158 გვ.

სტატიები:

1. **თეიმურაზ პაპასქირი.** Reconsidering the Russian Foreign Policy in the 21st Century. Warsaw East European Review, XI, 2021. ვარშავა, ვარშავის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 139-145.
2. **მარიკა მშვილდაძე.** For the study of stone cutting workshops Existing on the territory of Iberia (Kartli). Pro Georgia, 31. ვარშავა, ვარშავის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 167-172.
3. **მარიკა მშვილდაძე.** ღვთაება დემეტრას კულტი იბერია-კოლხეთში. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXV. თბილისი, თსუ გამომცემლობა, გვ. 38-55.
4. **მარიკა მშვილდაძე.** იბერია ანტიკური ოიკუმენის ნაწილი (მცხეთაში აღმოჩენილი არტეფაქტების შუქზე). მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, VI-VII. თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული ცენტრი, გვ. 440-451.
5. **მარიკა მშვილდაძე.** დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში დაცული გვიან ანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლები. მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, VI-VII. თბილისი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული ცენტრი, გვ. 452-469.
6. **მარიკა მშვილდაძე.** ანტიკური კულტები საქართველოში. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ მასალები. ბათუმი, ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 73-81.
7. **მურმან პაპაშვილი.** საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი. გორის სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №20. გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გვ. 69-78.
8. **მურმან პაპაშვილი, თეა წითლანაძე, თეა ქარჩავა,** ანდრო გოგოლაძე. კონსტანტინოპოლში მყოფი ფრანგი დიპლომატის ჟუიეს ცნობები საქართველოს შესახებ. ქრონოსი, №2, თბილისი, „პრინტჯეო“, 8 გვ.
9. **ლეილა (ია) ხუბაშვილი.** ინკვიზიცია, როგორც საეკლესიო და იდეოლოგიური ტრიბუნალი. „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია“, №5, გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 21 გვ.
10. **თამარ ანთაძე.** ვარლამ ჩერქეზიშვილი სერ ედუარდ გრეიზე. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXXV. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 8 გვ.
11. **თამარ ანთაძე.** საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შესწავლის ისტორიის პერიოდიზაცია და პირველი ნაბიჯები. გორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, გვ. 166-176.

ქართული ლიტერატურის ისტორიის
სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
ხელმძღვანელი: ელგუჯა ხინთიბიძე. ლელა ხაჩიძე, ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვილი, მაკა ელბაქიძე, ლადო მინაშვილი, თამარ შარაბიძე, ეკა ვარდოშვილი, ლევან ბებურიშვილი, კახაბერ ლორია, თამარ პაიჭაძე, რუსუდან ნიშნიანიძე, ქეთევან სიხარულიძე, ხვთისო მამისიმედიშვილი, ელენე გოგიაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1. ქართული მოდერნისტული ტექსტები - თანამედროვე რეფლექსია
ჰუმანიტარული მეცნიერებები
ქართული ლიტერატურა
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. პროექტი წარდგენილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე (2021 წელი)

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. თამარ პაიჭაძე /ხელმძღვანელი/
2. კახაბერ ლორია /კოორდინატორი/
3. ლევან გელაშვილი /მკვლევარი/
4. ანა გოგილაშვილი /მკვლევერი/

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1 მოდერნიზმის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მას მრავალი სტატია და არაერთი მონოგრაფიული ტიპის გამოკვლევა მიეძღვნა. ამ კვლევის მონაცემები და შედეგები ტევადი და მრავალგვაროვანია. დღეს უკვე აუცილებელი ხდება მოდერნიზმის კვლევის სფეროში დაგროვლი გამოცდილების სისტემატიზება და შეფასება, შეჯამება და იმის განსაზღვრა, თუ რა არის აქ

განსაკუთრებულად ღირებული და პერსპექტიული, რა საჭიროებს შემდგომ გაღრმავებას. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ქართული მოდერნიზმის მხატვრული სივრცის გაანალიზება; მოდერნიზმის აქტივობის პერიოდთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების შესწავლა, შეჯერება და ერთ მთლიანობაში წარმოდგენა, რაც მე-20 საუკუნის ქართული კულტურის ისტორიის გააზრებას გულისხმობს. კვლევის ამოცანებია: • • ქართული მოდერნისტული მასალების ბიბლიოგრაფიული შესწავლა და კლასიფიკაცია; • XX საუკუნის ევროპული მოდერნიზმის ლიტერატურული მანიფესტების და წერილების შესწავლა და ანალიზი. (საპროგრამო წერილები მანიფესტები...) • ევროპული და ქართული მოდერნიზმის კულტურულ-ინტელექტუალური სივრცის შესწავლა; • ქართული მოდერნიზმის პერიოდული ორგანოების (მეცონებე ნიამორები, კრონოსის სარკე, თალაბულისის სარტყელი, მშვილდოსანი, ხომალდი, ლომისი, ილიონი, ოქროს ვერძი, ცისფერი ყანწები, საფირონი, ლეილა, პრომეთე, აისი, შვიდი მნათობი, გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, ლიტერატურა და სხვა, მემარცხენეობა, მოქმედება, არიფიონი, კავკასიონი, ახალი კავკასიონი და სხვა) ანალიზი. (მოდელები სტრუქტურა); • ქართული მოდერნიზმის კვლევის ისტორია (პუბლიკაციები, ბიბლიოგრაფია ანალიზი); • ქართული მოდერნიზმის მოდელების სემიოტიკური ანალიზი; (ეპოქალური ჭრილი, კულტურული ბინარები, მხატვრული ორიენტირები, ქრონოტოპი); • ეპოქა, როგორც მოდერნისტული გამოცდილება და მისი ანალიზი (ორი ეპოქის გასაყარზე ჩაკეტილი სივრცე და მოქმედების მოტივაცია, 2 | დანართი №3. საპროექტო წინადადება გმირების და სიუჟეტის ევოლუცია); • ქართული მოდერნისტული მწერლობის მიმართების ანალიზი სხვა სახელოვნებო დარგებთან (კინო, თეატრი, მუსიკა); • ქართული მოდერნისტული პოეტიკა გამოცდილების ანალიზი (ენა, სტილი..); • ქართული მოდერნიზმის გავლენა შემდგომ დროინდელ ქართულ ლიტერატურულ სივრცეზე და მისი ანალიზი. ნაშრომის მიზანია, მოდერნიზმის მიერ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოტანილი ნოვატორული თემების და საკითხების შესწავლა დეტალიზებულად და ამასთანავე სისტემურად მთლიანი სახით - ყოველმხრივ, ყველა ასპექტით, მის ყველანაირ ბუნებრივ კონტექსტში. ამ ტიპის ნაშრომი - ქართული მოდერნიზმის ანალიტიკური გზამკვლევი, რომელშიც თავმოყრილი იქნება მაქსიმალურად სრული ინფორმაცია ქართული მოდერნიზმის შესახებ შემლებისდაგვარად სრული და მრავალმხრივი ანალიზის შედეგები, ასევე ევროპული მოდერნიზმის მანიფესტები და საკულტო წერილების ქართული თარგმანები.2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. **ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში** -(მონაცემთა ბაზა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე), **ძირითადი შემსრულებელი/ კავკასიოლოგია, კოდი: CS-I-21-158**

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. **2021 წლის 16 აგვისტო - 2021 წლის 16 დეკემბერი**

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ცირა ბარამიძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. ქეთევან ქურდიანი (პროექტის კოორდინატორი)
3. ხვთისო მამისიმედიშვილი (ძირითადი შემსრულებელი)
4. გიორგი კრავეიშვილი (ძირითადი შემსრულებელი)
5. ნინო ჩიქოვანი (ძირითადი შემსრულებელი)
6. მაგომედ მაგომედოვი (ძირითადი შემსრულებელი)
7. ბორის ხარსიევი (ძირითადი შემსრულებელი)
8. შახბან ხაფიზოვი (ძირითადი შემსრულებელი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია

საანგარიშო პერიოდში (2021 წლის 16 აგვისტოდან 2021 წლის 16 დეკემბრამდე) მომზადდა:

1. მონაწილეობა მივიღე მონაცემთა ბაზის შესაქმნელად ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებაში, თუ როგორ უნდა განთავსდეს მონაცემთა ბაზაში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორში დადასტურებული ზეპირსიტყვიერების ის ნიმუშები, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ კულტურასთან ან ქართული კულტურის გავლენით არის შექმნილი. ტექსტის შესახებ მონაცემთა ბაზაში აისახება შემდეგი მონაცემები: ა) ფოლკლორული ტექსტის სათაური; ბ) ტექსტის ჟანრი და წარმომავლობა (ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ხალხის ფოლკლორულ შემოქმედებას ეკუთვნის); გ) მთხრობელის ვინაობა და ასაკი დ) ჩამწერი; ე) ჩაწერის დრო და ადგილი; ვ) წყარო (იმის მითითება, თუ სად არის დაბეჭდილი წარმოდგენილი ტექსტი; ზ) განმარტება და კომენტარი იმის შესახებ, თუ ქართული კულტურის რა ელემენტები გვხვდება აღნიშნულ ტექსტში, რა სახის ქართული მოტივები დასტურდება და რა სახის პარალელები დაეძებნება ქართულ კულტურასთან; ან რა რაკურსით არიან წარმოდგენილი ქართველი პერსონაჟები.
2. შევადგინე სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, რომელიც ასახავს ქართული კულტურის ელემენტებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორში.
3. მონაწილეობა მივიღე ჩრდილოეთ კავკასიაში ექსპედიციის დასაგეგმად გამართულ შეხვედრებში, რომლებიც ჩატარდა ზუმის პლატფორმით და მასში მონაწილეობდნენ ასევე ინგუში, ჩეჩენი და დაღესტნელი კოლეგებიც.
4. ვმონაწილეობდი ზუმის პლატფორმით საგრანტო პროექტთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, რომელსაც ესწრებოდა პროექტის ძირითადი და დამხმარე პერსონალი.
5. დავამუშავე ფოლკლორული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორული შემოქმედების შესახებ, საიდანაც გამოვლინდა პარალელები ქართულ კულტურასთან.
6. მონაცემთა ბაზაში შესატანად, აგრეთვე რუსულ და ინგლისურ ენებზე სათარგმნელად მოვამზადე ცნობები ჩეჩნური და ინგუშური ფოლკლორის იმ ნიმუშებზე, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ კულტურასთან და წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის ტექსტებით, ესენია: ისტორიული შინაარსის თქმულება-გადმოცემები, საგმირო სიმღერები, მითოლოგიური გადმოცემები და სხვ.

   მონაცემთა ბაზაში შესატანად მომზადდა შემდეგი ფოლკლორული ნაწარმოებები, თავისი განმარტებებითა და კომენტარებით:

   ჩეჩნური საგმირო სიმღერები: ილი მთიელ მწყემსზე; ილი მადის ვაჟ ჟამირზას შესახებ, ჩეჩანიდან; ილი ქართველ თავად ანზორისა და ოსი ქალიშვილის შესახებ; ილი წანტაროელი დაადის სოფლის დაღუპვის შესახებ; ილი ანზორის ასულ ზაზეს შესახებ, სიმღერა ქვრივის ვაჟიშვილსა და ქართველ ჭაბუკზე.

ინგუშური მითოლოგიური თქმულებები: საიქიოში გადაწყვეტილი კამათი, ორხუსთოელები და ბოთოყო შირთყა, სესქათ სოლსა და მტრედი, სესქათ სოლსა და ვამპალი, როგორ გაჭრა ბეთირმა მდინარე ასის კალაპოტი.

ინგუშური საგმირო თქმულებები: ნართი თუოხი და მზის ასული აზა, ქოლოი კანთი და სამი ქვის აღმართვა, განრისხებული სესქათ სოლსა, ბარხანოელი ფჰაგალ-ბერი.

ინგუშური საგმირო-ისტორიული გადმოცემა: ქრისტიანი მეფე და ბარქუმ კანთი, საქართველოს მეფე და ბარახოი კანთის ცოლი, ბარახოი კანთი და მეფე ერკალი, გიერგალ მეფე, რჯულის კაცები ტყობა-ერდის სალოცავში.

ჩეჩნური მითოლოგიური გადმოცემა: ალმასი, ნადირთპატრონი მკერდზე ცულით.

ინგუშური დემონოლოგიური გადმოცემა: კუდიანი და მისი სიძე, ალმასი და მონადირე მეთვთონ.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე–20 ყრილობამდე(1941–1956 წწ) N 217512

2. ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი. N FR17_109.

3.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2016-2019 წწ

2. 2017-2020 წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მაკა ელბაქიძე - სამეცნიერო ხელმძღვანელი. მანანა შამილიშვილი, ადა ნემსაძე, მანანა კვატაია, ზოია ცხადაია, ნონა კუპრეიშვილი - ძირითადი შემსრულებლები. მარიამ გიორგაშვილი -ახალგაზრდა მეცნიერი

2. ივანე ამირხანაშვილი - სამეცნიერო ხელმძღვანელი, მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი, ნანა გონჯილაშვილი, ლია კარიჭაშვილი - ძირითადი შემსრულებლები, ოქტაი ქაზუმოვი - ახალგაზრდა მეცნიერი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტი – **„ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე–20 ყრილობამდე (1941–1956 წწ)“** არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921–1941 წწ)“ – ფარგლებში დაწყებული კვლევის გაგრძელება. წინამდებარე პროექტი არის პირველი მეთოდოლოგიური მცდელობა იმისა, რომ საქართველოს შსს არქივში დაცული უცნობი და ნაკლებად ცნობილი მასალებს კვლევის შედეგად სრულიად ახალ რაკურსში იქნას გააზრებული ქართული ლიტერატურის ისტორიაში მეტად სპეციფიკური პერიოდი - 1941–1956 წლები. პროექტზე მუშაობისას პირველად გახდა შესაძლებელი ბოლშევიზმის ინტელექტუალური ტერორის სისტემური და დანაშაულებრივი მექანიზმის აღდგენა, ცალკეულ მწერალთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებების, მათი ინტელექტუალური თუ პიროვნული თავისუფლების შეზღუდვისა თუ ხელყოფის აქამდე უცნობი დეტალების გამოვლენა, რამაც საშუალება მოგვცა საკვლევი პერიოდის ქართული მწერლობის სრულიად ახლებური გააზრებისა და ინტერპრეტირებისა. ჩატარებული კვლევის შედეგები აისახა მონოგრაფიაში - „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე–20 ყრილობამდე (1941–1956 წწ) - რომელიც საშუალებას მისცემს როგორც აღნიშნული თემატიკით დაინტერესებულ სპეციალისტებს, ისე ფართო მკითხველ აუდიტორიას, ახლებურ რაკურსში წაიკითხონ და გადაიაზრონ თავიანთი ქვეყნის უახლესი ისტორია. წარმოდგენილ პროექტს აქვს აგრეთვე პერსპექტივა, სამომავლოდ, დროითი ჩარჩოს კიდევ უფრო გაფართოების შედეგად, საფუძველი გახდეს ამავე საკითხზე

ჩატარებული მოდევნო, უფრო მასშტაბური კვლევებისა, ასევე, ამ თვალსაზრისით საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებისა.

2. საგრანტო პროექტი – **ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი** - ითვალისწინებდა ქართული ლიტერატურის უმთავრესი ძეგლის – *ვეფხისტყაოსნის* – კვლევას შუასაუკუნეების აღმოსავლური მწერლობის კონტექსტში, კონკრეტულად, რუსთაველის თანადროული დიდი აღმოსავლელი პოეტის, ნიზამი განჯელის შემოქმედებასთან მიმართებაში. პროექტით, ერთი მხრივ, გაგრძელდა ის ტრადიცია, რომელიც სათავეს შოთა რუსთაველისა და ნიზამი განჯელის შემოქმედების კვლევის ისტორიიდან იღებს, მეორე მხრივ, კვლევა წარიმართა ახალი გზით: პირველად ამ პროექტის ფარგლებში ერთმანეთის მხარდამხარ, ერთმანეთის პარალელურად იმუშავეს დარგის წამყვანმა სპეციალისტები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, ინგლისიდან.

პროექტის შედეგები აისახა წიგნში „ინტერკულტუტული სივრცე - რუსთველი და ნიზამი“. წიგნი ორენოვანია - ქართველი მეცნიერების სტატიები წარმოდგენილია ქართულ ენაზე, უცხოელი პარტნიორებისა - ინგლისურზე. პროექტის ფარგლებში მომზადდა წიგნის ინგლისურენოვანი ელექტრონული ვერსია, რომელიც განთავსდა ინტერნეტ-სივრცეში. პროექტის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია - „კულტურათაშორისი სივრცე - რუსთაველი და ნიზამი“, რომელიც კოვიდ-19-ის შედეგად დაწესებული შეზღუდვების გამო ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. კონფერენციაში ქართველ კოლეგებთან - საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან, ივანე ამირხანაშვილსა და ძირითად შემსრულებლებთან - მაკა ელბაქიძესთან, ირმა რატიანთან, ნანა გონჯილაშვილთან, ლია კარიჭაშვილთან და ახალგაზრდა მეცნიერთან, ოქტაი ქაზუმოვთან ერთად მონაწილეობა მიიღეს უცხოელმა პარტნიორებმა - კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორებმა, ჩარლზ მელვილმა და ფირუზა აბდულაევამ, ასევე აზერბაიჯანის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აზერბაიჯანის ნიზამი განჯელის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ისა ჰაბიბეილიმ და აზერბაიჯანის ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ზაჰრა ალაჰვერდიევამ.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1.
2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები
4.1. საერთაშორისო პატენტები:
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. ელგუჯა ხინთიბიძე
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. . წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, ISBN 978-9941-9423-6-5
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, ქართველოლოგი
2.

4) გვერდების რაოდენობა
1. 464
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მონოგრაფიაში გამოქვეყნებულია პროფესორ ე. ხინთიბიძის წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევები, რომლებიც ქართული მეცნიერებისათვის დღემდე უცნობ ახალ ფაქტებს და წყაროების გამოვლენას და ინტერპრეტირებას ეძღვნება. გამოკვლევები ეხება, როგორც საქართველოს ისტორიის, ასევე ხელნაწერთმცოდნეობის, იურისპრუდენციის და ლინგვისტიკის საკითხებს. ყველა მათგანი საქართველოს შესახებ უცნობი მასალის გამოვლენას და მათ ახლებურ ინტერპრეტაციას ეძღვნება. განსაკუთრებით საყურადღებოა: ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია, უცნობი ძველი ქართული ხელნაწერები უცხოეთის წიგნთსაცავებში, უცნობი მასალა ესპანეთის არქივებიდან, უცნობი ფაქტები სპარსეთის სამეფო კარზე ქართველთა მოღვაწეობის თაობაზე, ქართული აგიოგრაფიული ტექსტების დღემდე უცნობი ბერძნული და ლათინური თარგმანის გამოვლენა, გამოკვლევა დიდ კაპადოკიელ წმინდა მამათა ქართველური წარმოშობის თაობაზე.

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები:

1. მაკა ელბაქიძე. რუსთაველი - ნიზამის თანამედროვე
2. მაკა ელბაქიძე.*სიყვარულის რუსთველური კონცეფცია და მუასაუკუნეების ლიტერატურა.*
3. მაკა ელბაქიძე. *წითელი სიკვდილი - მეტაფორა თუ წინასწარმეტყველება.*
4. ელგუჯა ხინთიბიძე (რედაქტორი: დ. მენაბდე)
5. ელგუჯა ხინთიბიძე (რედ. ე. ხინთიბიძე)
6. ელგუჯა ხინთიბიძე (შემდგ.: ე. ხინთიბიძე, ი. მაკარაძე) – (იბეჭდება)
7. ნ. გონჯილაშვილი - მეგობრობის კონცეფცია „ვეფხისტყაოსანში“;
8. ნ. გონჯილაშვილი -„ვეფხისტყაოსნის“ ასტრალური სიმბოლიკის გააზრებისათვის;
9. ნ. გონჯილაშვილი -„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სახე-სიმბოლოს გააზრებისათვის (მარგალიტი);
10. ნ. გონჯილაშვილი, ნ. სულავა, კავკასიური სივრცე ქართულ ჰაგიოგრაფიაში
11. თამარ შარაბიძე, ნანა გონჯილაშვილი, ანა დოლიძე, რუსუდან ნიშნიანიძე, მარიამ ფილინა, მაია ჯალიაშვილი, თამაზ ვასაძე, გია არგანაშვილი, თამთა ღონღაძე, მერი სამაკაშვილი, ლიკა პავლიაშვილი, სოფიო მუჯირი, მაია კონიაშვილი, მაია კვირკველია, ხათუნა კალანდარიშვილი, მაია იანტბელიძე, ხათუნა ბასილაშვილი, ანა ახობაძე, ლევან ბებურიშვილი
12. თამარ პაიჭაძე
13. ნესტან სულავა

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ინტერკულტურული სივრცე: რუსთაველი და ნიზამი ISBN 978-9941-490-81-1

2. ინტერკულტურული სივრცე: რუსთაველი და ნიზამი ISBN 978-9941-490-81-1
3. XV საერთაშორისო სიმპოზიუმის – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები „ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და თემატური გამოცდილება“ - მასალები
ISBN 978-9941-13-919-2 (pdf)
4. კრებული: *შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის გზამკვლევი: ქართული ჰაგიოგრაფია,* ISBN 978-9941-13-984-0
სტატიის სათაური:„შუა საუკუნეების ქართული აგიოგრაფიის სპეციფიკისათვის“
5. კრებული: „კორნელი კეკელიძე - ქართული ფილოლოგიის პატრიარქი“
სტატიის სათაური: „ქართული ფილოლოგიის პატრიარქი - კორნელი კეკელიძე და ჩემი ორიოდე მოგონება“
6. კრებული: *ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში - 2020*, 3,
სტატია: „ვეფხისტყაოსნის გზა ინგლისურ დრამატურგიამდე“
7. ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი. ISBN -978-9941-490-81-1
8. ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი. ISBN -978-9941-490-81-1
9. ინტერკულტურული სივრცე - რუსთაველი და ნიზამი. ISBN -978-9941-490-81-1
10. კორნელი კეკელიძე, ქართული ფილოლოგიის პატრიარქი დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული ISBN 978-9941-491-25-2
11. სამეცნიერო შრომათა კრებული „XIX საუკუნე _ ეპოქათა მიჯნა“ #1 , ISBN 2720-7862
12. „გარსი მარადი“ – თეატრი სცენის მიღმა (მსოფლმხედველობრივი კონცეფციის გააზრებისათვის)“ IBSN 978-9941-99=519-2-3
13. ათონის მთა - მთაწმინდა, ISBN 978-9941-8-3347-2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.
2. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.
3. თბილისი: თსუ გამომცემლობა
4. თბილისი, „თსუ გამომცემლობა“
5. თბილისი, „ქართველოლოგი“
6. თბილისი, „ქართველოლოგი“
7. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.
8. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.
9. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.
10. თბილისი: გამომცემლობა „ქართველოლოგი“.
11. სამეცნიერო შრომათა კრებული „XIX საუკუნე _ ეპოქათა მიჯნა“ #1 , ISBN 2720-7862
12. „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი 2021
13. თბილისი, „ალილო“,2021.

4) გვერდების რაოდენობა

1. გვ. 41-52
2. გვ. 395-418
3. გვ. 89-102.
4. 104-125 (20 გვ.)
5. 231-253 (22 გვ.)
6. იბეჭდება
7. გვ. 419-458
8. გვ. 248-282
9. გვ. 283-295
10. გვ.159-204
11. გვ.1-343

12. 10გვ,
13. გვ. 351-411

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. რუსთაველი - ნიზამის თანამედროვე. სტატიაში საუბარია რუსთაველის ეპოქის, ვეფხისტყაოსანში აღწერილი სოციალურ-პოლიტიკური წყობის, რუსთველის მსოფლმხედველობის, მისი მორალურ-ეთიკური თუ მხატვრულ ესთეტიკური შეხედულებების შესახებ.

2. **სიყვარულის რუსთველური კონცეფცია და შუასაუკუნეების ლიტერატურა -** სტატიაში სიყვარულის რუსთველური კონცეფცია განხილულია არაბული (ბედუინური) ლირიკის, სუფისტური პოეზიის, ტრუბადურული ლირიკისა და ევროპული რაინდული რომანის კონტექსტში.

3. წითელი სიკვდილი - მეტაფორა თუ წინასწარმეტყველება - ედგარ ალან პოს *წითელი სიკვდილის ნიღაბი* სალიტერატურო კრიტიკის მიერ „თეატრალურ“ მოთხრობად არის სახელდებული. ნარატივი (telling) ჩანაცვლებულია „ჩვენებით“ (showing), რაზეც მეტყველებს მოთხრობის სათაურში სიტყვა „ნიღბის“ ხმარება, ტექსტის ცენტრალური ეპიზოდისთვის დეკორაციად შვიდი სხვადასხვა ფერის დარბაზისა და კოსტუმირებული მასკარადის შერჩევა და ბოლოს პირდაპირი ალუზიები სამ კლასიკურ პიესასთან - შექსპირის „ქარიშხალს“, „კორიოლანუსსა“ და ჰიუგოს „ერნანთან“. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თხრობა ხდება მესამე პირში ამბის უშუალო თვითმხილველის მიერ, თუმცა თავად ნარატორი ნამდვილად არ მოიაზრება პრინც პროსპეროს სტუმრებს შორის - ირგვლივ გამეფებული „სიბნელისა და ხრწნილების“ ფონზე ისაა ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი, რათა ბოლომდე შეასრულოს თავისი მისია და მოთხრობაში საბოლოო წერტილი დასვას. სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდები, რომ ამ მოთხრობის თეატრალური მეტაფორები და მხატვრული ეფექტები წაკითხულ იქნას, როგორც გროტესკული ელემენტები (მიხეილ ბახტინი), ან ავადმყოფი სხეულის მდგომარეობის პროექცია (ალექსანდრა ურაკოვა), ან როგორც სოციალური და პოლიტიკური კონვულსიების ერთგვარი მეტაფორა (ფილიპ სარაზინი). თუმცა საყურადღებოა ამ მოთხრობის კიდევ რამდენიმე ასპექტი - მისი დაწერის ბიოგრაფიული საფუძველი (მწერლის მეუღლის, ვირჯინიას უეცარი დასნეულება) და რეალური ისტორიული საფუძველი (1832 წლის ქოლერის ეპიდემია), ასევე მოთხრობის ირონიული ფინალი - სიცარიელე წითელი სიკვდილის ნიღაბქვეშ, რომელიც თანამედროვე მკითხველისთვის ერთგვარ გამაფრთხილებელ წინასწარმეტყველებად ჟღერს.

4. სტატიაში გამოვლენილია შუა საუკუნეების ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის რამდენიმე სპეციფიკა. კერძოდ:

გამოვლენილია, რომ „შუშანიკის წამება“ თავისი აგიოგრაფიული სტილით განსხვავდება შემდგომი, მეექვსე საუკუნიდან დაწყებული, ქართული აგიოგრაფიული თხზულებებისაგან. ეს სპეციფიკა გამოწვეულია ჰაგიოგრაფიული მწერლობის განვითარების გარკვეული ეტაპებით. კერძოდ, „შუშანიკის წამება“ არის ადრინდელი ბიზანტიური აგიოგრაფიის ტიპის ნაწარმოები, ხოლო ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის მომდევნო ნიმუშები იმ აგიოგრაფიული „შაბლონის“ ტიპისაა, რაც ბიზანტიურ აგიოგრაფიაში მეექვსე საუკუნიდან გამოიკვეთა. „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ აგიოგრაფიული ნაწარმოებების თავისებურებებისგან განსხვავებით აღწერს წმინდა მამის საზოგადოებრივი და ეროვნული მოღვაწეობის დეტალებსაც. ათონელთა „ცხოვრებანი“ წმინდანის ღვთაებრივი ღვაწლის გამოვლენასთან ერთად, წმინდანის მოღვაწეობის დიდ ღვაწლად წარმოაჩენენ ეროვნულ და მწიგნობრულ საქმიანობასაც.

5. სტატიაში განხილულია დიდი ქართველი მეცნიერის - ქართული ლიტერატურათმცოდნეობის საისტორიო კურსის შემქმნელის აკადემიკოს კ. კეკელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი ფაქტები და მოვლენები. ყურადღება გადატანილია კ. კეკელიძის მიერ ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ფუნდამენტურ შესწავლაზე, ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის და ლიტერატურული პროცესის განვითარების უმტავრესი დეტალების გამოვლენასა და შუა საუკუნეების დიდ ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების დეტალების შესწავლაზე. ყურადღება არის გამახვილებული ევროპულ მეცნიერებაში კ. კეკელიძის მოღვაწეობის მნიშვნელობის შეფასებაზე. სტატიის ავტორი დიდი მასწავლებლის პედაგოგიური მოღვაწეობის სპეციფიკის გამოსავლენად იგონებს ბატონ კ. კეკელიძესთან მისი შეხვედრების ორ მნიშვნელოვან ეპიზოდს, რომლების ნათლად მიუთითებენ მეცნიერის და პედაგოგის, ერთი მხრივ, სათუთ და ამავე დროს ობიექტურ და პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას თავის მოწაფეთა მიმართ.

6. როგორც ცნობილია, პროფ. ხინთიბიძის მიერ უკანასკნელ პერიოდში გამოვლენილი იყო ქართული კულტურის და ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობის უცნობი ფაქტი: რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურულ წყაროდაა გამოყენებული მე-17 საუკუნის დასაწყისის დიდ ინგლისურ დრამატურგიაში. მეცნიერი მიუთითებდა “ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ინგლისში შეღწევის რამდენიმე სავარაუდო გზაზე. მათ შორის, სარწმუნოდ მიაჩნდა სპარსეთის შაჰის აბასის კარზე წარმოშობით ქართველ მოღვაწეთა ურთიერთობა მე-16 საუკუნის დასასრულს სპარსეთში მივლენილ ინგლისელ ინტელექტუალთა დიდ დელეგაციასთან. ამ სტატიაში ავტორის მიერ გამოვლენილია ინგლისურ საისტორიო წყაროებში ცნობილი და ქართველ მეცნიერთათვის უცნობი პირველწყარო - შაჰ აბასის კარზე ინგლისელი ატაშეს ტომას ჰერბერტის მე-17 საუკუნეში გამოქვეყნებული ჩანაწერები. ინგლისელი დიპლომატი და მწერალი მიუთითებს შაჰ აბასის ორ ქართველ ცოლზე (ქართველ მეფეთა ასულებზე), რომლებიც ეხმარებოდნენ ინგლისელ ინტელექტუალთა ამ დელეგაციას. ხოლო ინგლისელ ინტელექტუალთა საქმიანობა იყო აღმოსავლეთის ლიტერატურული, ისტორიული და ფოლკლორული ამბების შეგროვება.

7. მეგობრობის კონცეფცია „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩენილი და განსახოვნებული მეგობრობა პოემის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მოტივია. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. აღნიშნულია, რომ სანიმუშო მეგობრობის ამსახველი არაერთი თხზულება მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში, კერძოდ, „გილგამეშის ეპოსი“ (გილგამეშისა და ენქიდუს მეგობრობა), „ილიადა“ (აქილევსისა და პატროკლეს მეგობრობა), „რამაიანა“ (რამას, ლაქშმანასა და მაიმუნთა მეფე სუგრივას მეგობრობა), „ლეილი და მაჯნუნი“ (მაჯნუნისა და ნავფალის მეგობრობა), „როლანდის სიმღერა“ (როლანდისა და ოლივიეს მეგობრობა), XII ს-ის ბიზანტიური რომანები (ქარიტონ აფროდისიელისა და ნიკიტა ევგენიანეს) და სხვ. რუსთაველი სიყვარულით დაკავშირებულ ადამიანთა აღსანიშნად „მეგობარს“ არ იყენებს და მოიხმობს შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს _ „მოყვარეს“, „ამხანაგს“, „ძმას“ („ძმობილს“), „ძმად-ფიცს“ („ძმად-შეფიცულს“), „დას“ („დობილს“), „დად-ფიცს“, „სწორს“. რუსთაველი, ჩვეულებისამებრ, ადამიანთა ურთიერთობის აღნიშვნისას აკონკრეტებს მათ შორის არსებულ სიახლოვეს და მას შესაბამისი სიტყვით გამოხატავს. როგორც ყოველთვის, რუსთაველი აქაც ამჟღავნებს თავისებურებებს. სიტყვა „მოყვარე“ პოემაში როგორც ზოგადი შინაარსით, ასევე მთავარ გმირებთან დაკავშირებით იხმარება. „მოყვარე“ აღნიშნავს სატრფოსაც და მეგობარსაც. „ვეფხისტყაოსანში“ „მოყვასი“ უფრო ზოგადი სახის შემთხვევებისთვის გამოიყენება, ძირითადად, „მოყვარულის“ მნიშვნელობით. ამავდროულად „მოყვასნი“ შესაძლებელია, ერთმანეთისთვის უცნობ ადამიანებს აღნიშნავდეს, მაგრამ იმ წუთას საერთო ინტერესების მქონეთ. „ამხანაგი“ ადამიანთა შორის უფრო მეტ სიახლოვეზე მიგვანიშნებს, ზოგადად კი გვერდითმყოფ კეთილისმოსურნეს გულისხმობს. „ამხანაგი“ ორგზის გამოიყენება მთავარ გმირთა ურთიერთობის აღსანიშნად; უმთავრესად სილაღესთან, მხიარულებასთან, იუმორთან კავშირში მოიხმობა. „ძმა“, „ძმობა“, „ძმად-ფიცი“ მოყვრობის უმაღლესი ფორმის ჩვენებისთვისაა მოწოდებული და მხოლოდ პოემის „სამთა ფერთა“ მიმართებით იხმარება. ძმობა და ძმადნაფიცობა ჭეშმარიტი გრძნობით შეკრულ, ერთმანეთისათვის „სოფლის მთმობ“, ყოველგვარი ღირსებით სავსე მსგავს ადამიანთა შორის წარმოიშვება.

„მოყვასი“ მოხმობილია ზოგადად კეთილისმყოფელთა აღსანიშნად (ერთი შემთხვევაა), ასევე ზოგადი შინაარსის შემცველი აზრის გამოსახატავად და „მოყვარულის“ (ოქროს მოყვარეობის შინაარსით და მხოლოდ ერთი შემთხვევაა) მნიშვნელობითაა გამოყენებული და კიდევ _ ერთმანეთისთვის უცხო, მაგრამ გარკვეულ ვითარებაში ერთადმყოფ ადამიანთა აღსანიშნად იხმარება; რუსთაველი „მოყვასს“ მთავარი გმირების ურთიერთობის აღსანიშნად არ მოიხმობს. „ამხანაგი“, ძირითადად, სილაღეს, ხუმრობას, იუმორს უკავშირდება; არის ორიოდ შემთხვევა, როდესაც „ამხანაგი“ მთავარ გმირებთან მიმართებითაა გამოყენებული _ „მშვენიერნი ამხანაგნი“. აქ „ამხანაგს“ „მშვენიერის“ თანხლება სულიერი ამაღლებულობით ტვირთავს და განარჩევს ჩვეულებრივი `ამხანაგისაგან~.

რუსთაველი „სამთა ფერთა“ შეყრას სხვადასხვაგვარ სიტუაციაში წარმოგვიდგენს, თუმცა, მათი დამოყვრების უმთავრესი წინაპირობა ესთეტიკური განცდა _ „მოწონებაა“, რასაც გმირთა მხრიდან „უცხოობით არდარიდება“ მოჰყვება. რუსთაველი ერთფერ გმირთა „მოწონების“ შემდგომ მათი

დამოყვრებისათვის უცილობელ პირობად ერთმანეთის შეცნობა-„შემეცნებას“ მიიჩნევს და ეს პრინციპი როგორც სამივე ძმადნაფიცის, ნესტან-თინათინის ურთიერთობაში ვლინდება.

8. „ვეფხისტყაოსნის“ ასტრალური სიმბოლიკის გააზრებისათვის

პოემაში მუშთარ-იუპიტერისა და ზუალ-სატურნის შეხვედრა ასტროლოგიურ შეხედულებას ემყარება, პოემის მთავარ გმირებს მიემართება და სიმბოლური დატვირთვა აქვს. ტარიელისა და ქაჯთა ტყვეობიდან დახსნილი ნესტანის შეგებება, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვება, სიყვარულის ზეიმი რუსთაველმა მზისა და მთვარის შეყრასთან ერთად (“ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა”) მუშთარ-ზუალის შეხვედრასაც შეადარა: “ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს”.

ასტროლოგიურად მუშთარი მეექვსეა მნათობთა რიგში და მეექვსე ცა ეკუთვნის. იგი “დიდი ბედის ვარსკვლავი”, ღვთიური მოსამართლე, ჭეშმარიტების მოყვარე, კეთილი, ბრძენი პლანეტაა. ზუალი კი, უბედურების შავი ვარსკვლავი, უშორესი, მეშვიდე ცის მკვიდრია, ჭირ-ვარამის, ძალმომრეობის პლანეტა. რუსთაველმა ზუალის გამანადგურებელი ძალა სამ გმირთა მიერ ქაჯეთის ციხის აღებისას წარმოაჩინა და ბოროტების სამეფოზე ღვთის რისხვა მისი წყრომით აღასრულა. რუსთაველმა მისი ასტროლოგიური ბუნება გამარჯვების სახე-სიმბოლოდ წარმოაჩინა. მუშთარიც თავის კეთილისმყოფელ გავლენას გამოხატავს ტარიელის მიმართ. ნესტანთან ერთად ინდოეთში დაბრუნებულმა ტარიელმა მოღალატე რამაზ მეფის მიმართ “რისხვის ცეცხლი” მუშთარის თანადგომით სიტკბოთი დაშრიტა. რუსთაველმა ღვთის ნების აღსრულება სამართლიან და მოწყალე მუშთარს მიანდო.

ისმის კითხვა - რატომ მაინცდამაინც მუშთარ-ზუალის შეხვედრით წარმოაჩინა რუსთაველმა ნესტან-ტარიელის შეყრა? ასტროლოგიურად ამ ორი პლანეტის ერთად დგომა იშვიათი მოვლენაა და დიდი ბედნიერების მომასწავებელია. გამოთქმულია აზრი, რომ ქრისტეს შობის ვარსკვლავი, შესაძლოა, სატურნისა და იუპიტერის შეხვედრა ყოფილიყო. ებრაელთა ასტროლოგიითაც ამ ორი პლანეტის თევზების ზოდიაქოში შეყრა მესიის ნიშნად მიიჩნეოდა. ზემოაღნიშნული მუშთარ-ზუალის ასტრალური სამყაროდან გამორჩევის საფუძველი და ღვთაებრიობისკენ მიმსწრაფი სიყვარულის დამოწმების სიმბოლო შეიძლება გამხდარიყო. ტექსტზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ მუშთარი ტარიელს მიემართება, ზუალი კი - ნესტანს. აღნიშნულია, რომ სახელწოდებაში “მუშთარ” თარ-ფუძე პალეო-კავკასიური და მცირეაზიური ენობრივი სამყაროდან მოდის და ჭექა-ქუხილისა და ამინდის ღვთაების სახელწოდებას - “ტარჰუს” წარმოადგენს, რომელსაც ვეფხისტყაოსნად გამოსახავდნენ. ამ მიმართებით, ტარიელის ვეფხისტყაოსნობა ნიშან-სიმბოლოა მუშთართან მისი მსგავსებისა. ზუალის ბუნებას კი “უბედო ბედით” შემოსილი ნესტანი უკავშირდება, ბოროტების ტყვეობაში ტრაგიკული სიყვარულის ტყვე. და თუ ფრიდონისგან ნესტანის ნახვის ეპიზოდს გავიხსენებთ (“მთვარე უჯდა კიდობანსა, ცა-მეშვიდე მასცა ვეცი”) და მეშვიდე ცაში ზუალის სამყოფს ვიგულისხმებთ, ნესტან-მუშთარის მიმართება უფრო სარწმუნო გახდება. მუშთარ-ზუალის ფერებიც (ორი მოკაშკაშე რგოლით შემკული, ოქროსფერი მუშთარი და შავი ზუალი) შავ-ყვითელი ვეფხის ტყავისა და ნესტანის “პირ-ოქრო” (ოქროსფერი საპირიანი) შავი რიდის სიმბოლიკას მიემართება, რაც ამ პლანეტათა შესატყვისად ბედნიერება-უბედურების გამაერთიანებელი სახე-იდეაა. ამას ასტროლოგიურად მუშთარის პასიური და ზუალის აქტიური ბუნებაც ემატება (დაპირისპირებულთა ერთიანობა). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მუშთარი ცეცხლისა და წყლის სტიქიის პლანეტაა, ზუალი-მიწისა და ჰაერის, მათი შეერთებით ოთხივე ელემენტის კავშირი ხორციელდება, მყარდება ჰარმონია, ხდება დარღვეული კავშირისა და მთლიანობის აღდგენა, რაც სიმბოლურად ნესტან-ტარიელის შეხვედრაში მოიაზრება. ამდენად, ჩვენი აზრით, რუსთველი ზუალისა და მუშთარის ასტროლოგიურ ბუნებას და მათ შეყრას გმირთა, ცვალებადი ბედის, მათი შინაგანი ხასიათის, გამარჯვებული სიყვარულისა და სიკეთის, ჰარმონიული კავშირის, დარღვეული მთლიანობის აღდგენის სიმბოლოდ წარმოსახავს.

9. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სახე-სიმბოლოს გააზრებისათვის (მარგალიტი)

ნაშრომში განხილულია სახისმეტყველების შინაარსით მნიშვნელოვანი და აღმოსავლური მწერლობისათვის საკმაოდ ცნობილი სიმბოლო _ მარგალიტი, კონკრეტულად, თინათინისაგან ავთანდილისათვის მარგალიტის სამკლავის ბოძების ეპიზოდი. მარგალიტის ჩუქების ეპიზოდს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი სიმბოლური ახსნა აქვს; ძირითადად, იკვეთება ოთხი განსხვავებული თვალსაზრისი, რომელთა მიხედვითაც მარგალიტის ბოძება აღიქმება, როგორც _ 1.

ნიშნობის, დაქორწინების სიმბოლო (ვახტანგ VI, ვ. ნოზაძე, გ. იმედაშვილი); 2. ჭეშმარიტი, წმინდა სიყვარულის სიმბოლო (თ. ბატონიშვილი, ნ. ნათაძე, დ. ქუმსიშვილი); 3. სქესობრივი ურთიერთობის სიმბოლო (ზ. ავალიშვილი) და 4. საღვთო აზროვნების სიმბოლო (ზ. გამსახურდია). ვახტანგ VI ამ ეპიზოდთან დაკავშირებით აღნიშნავს: `მარგალიტის მიცემა ცოლ-ქმრობის დაჯერების ნიშნობისათვის მისცა~ (ვახტანგ VI 1975: ტლდ). თ. ბატონიშვილის აზრით, `საყვარელი ოდეს განსპეტაკებულს და ყოვლითურთუბრყვილოსა და შეუმღვრეველს სიყვარულით აღვსილსა და წმინდის სვინდისით განწმენდილს, გულს მისცემს საყვარელსა, მარგალიტის მიცემა ამას ნიშნავს. თინათინმა ოდეს გული ავთანდილისა დააჯერა თავისის სიყვარულით, მაშინ ავთანდილის საწადელი სრულ იქმნა, რადგან მარგალიტი ძვირფასი არის და სპეტაკი თეთრი, ჭეშმარიტი სიყვარული ამისათვის მას ემსგავსება~ (თეიმურაზ ბაგრატიონი 1960: 88). თ. ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ `პიიტიკოსნი~ მარგალიტს, მშვენიერსა და იშვიათს, მიჯნურთა ერთგულების სიმბოლოდ მიიჩნევენ, მიჯნურნი კი მას `შეერთებისა~ და `პატიოსანი სიყვარულის~ ნიშნად უძღვნიან ერთმანეთს.

მარგალიტის სამკლავის პარადიგმულობის და სიმბოლურ მნიშვნელობათა გამოსავლენად დაძებნილია ტიპოლოგიური მიმართებანი აღმოსავლური პოეზიის ნიმუშებთან (ფირდოუსის, ნიზამი განჯელის, იზ ედ-დინ ჰასანოღლის, საიათნოვას, აბუ საიდის, გურგანის პოეზიასთან). მიჯნურთა მიერ ძვირფასი მძივის სამხრე-სამკლავეთა ძღვნობა, როგორც ირკვევა, ყველგან სიყვარულის, ერთგულების, მეუღლეობრივი ფიცის ან ქორწინების ნიშან-სიმბოლოა; მარგალიტის და `ობოლი მარგალიტის~ სახე-სიმბოლო, ძირითადად, მძაფრი სიყვარულის თანმხლებია და გმირთა სულიერ სამყაროს, ზოგადადამიანურ განცდებს უკავშირდება. მარგალიტი საუკეთესო, „ძვირფასი“ ლექსის აღმნიშვნელია ნიზამისა და ჰაფეზის პოეზიაში. რუსთაველი კარგად იცნობს აღმოსავლურ მწერლობაში გავრცელებულ და საკმაოდ დამუშავებულ მხატვრულ სააზროვნო სისტემას, მას მოიხმობს საკუთარი მხატვრული მიზნებისათვის და ახლებური შინაარსით ტვირთავს მაჰმადიანური კულტურული სამყაროსათვის ძალზე ცნობილ მხატვრულ სახეებს, სიმბოლოებსა და მეტაფორებს. ნაშრომში განხილულ განსახოვნებათა რუსთველური მოდელი აერთიანებს აღმოსავლური ლიტერატურის და აგრეთვე ძველი და ახალი აღთქმის სახე-სიმბოლოებს. ამგვარი ერთიანობა მათი ზოგადსიმბოლური მნიშვნელობის მაჩვენებელია.შოთა რუსთაველის მხატვრულ-ესთეტიკურ ნააზრევში მოხმობილი სიმბოლოების არქეტიპული ძირებისა და ტიპოლოგიური მიმართებების შესწავლა ახლებური კუთხით წარმოაჩენს მათს სახისმეტყველებას. ამგვარი კვლევა მეტად გამოკვეთს რუსთველურ სახექმნადობათა ორიგინალურობასა და განუმეორებელობას, რაც მკითხველზე პირველქმნილის შთაბეჭდილებას ტოვებს.

10. კავკასიური სივრცე ქართულ ჰაგიოგრაფიაში

ქართული ლიტერატურა, როგორც მსოფლიო ლიტერატურის, ქრისტიანული ლიტერატურის ორგანული ნაწილი, დასავლურ-აღმოსავლურ ლიტერატურებს შორის თავის კუთვნილ ადგილს იჭერს. აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარი, განსხვავებული ტიპის კულტურათა ნაყოფიერი თანაარსებობის სამყარო ის ისტორიული რეალობაა, რომლის გათვალისწინებითაც ვითარდებოდა და უნდა განვითარდეს ქართული ეროვნული ცნობიერება, რომელიც ლიტერატურაში ვლინდება, ხოლო ლიტერატურა სამყაროს, მასში მიმდინარე მოვლენებს სახეობრივად აღიქვამს და გადმოსცემს. თექვსმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე შექმნილი სულიერ-ინტელექტუალური საგანძური, გენეტიკურ და ტიპოლოგიურ სიახლოვეს ამჟღავნებს დასავლურ-აღმოსავლურ და საკუთრივ კავკასიურ ლიტერატურულ-კულტურულ სამყაროსთან. არსებობიდან მოყოლებული, ქართული ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებსა და სააზროვნო სისტემებს ეხმიანებოდა, მეზობელი და შორეული ქვეყნების ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობდა.

ქართული ლიტერატურა, როგორც ქრისტიანული კულტურის ნაწილი, უძველესი დროიდანვე ემსახურებოდა და ამჟამადაც ემსახურება ქართული ხასიათის, ქართველი ერის არსისა და ფუნქციის, მისი უზენაესი მიზნის შეცნობას, რამაც განსაზღვრა მისი უდიდესი მისია როგორც თვით ქართველი ერის ცხოვრებაში, ასევე კაცობრიობისთვისაც. საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცე, მასზე გადაჯაჭვული გეოპოეტიკური საზრისის განვითარებით, როგორიცაა დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა შესაყარზე მდებარეობა, ერთი მხრივ, სასარგებლო იყო სხვადასხვა კულტურული ტრადიციების რეცეფციის მხრივ, მეორე მხრივ, იგივე გეოპოლიტიკური ვითარება ჩვენი ქვეყნის კონსოლიდაციის საწინააღმდეგო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფაქტორიც იყო და დღესაც ასეა,

რადგან სწორედ ამ ტერიტორიაზე ხვდებოდა ერთმანეთს აღმოსავლურ-დასავლურ უდიდეს იმპერიათა სასიცოცხლო პოლიტიკურ-სტრატეგიული და, აგრეთვე, ადგილობრივ, კავკასიურ არეალში წამოჭრილი ინტერესები. ქართული მწერლობა ქართველი ერის სულიერ და ფიზიკურ ისტორიას წარმოსახავს. მასში მხატვრული სიტყვით მისი წარსული, აწმყო და მომავალია გაცხადებული. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის ყოველ ნიმუშზე დაკვირვება, რათა უკეთ განისაზღვროს ქართული ლიტერატურის როლი და ადგილი ქართველი კაცის ცხოვრებაში მთელი ისტორიის მანძილზე, ვინაიდან, ლიტურგიულ ცნობიერებასთან ერთად, სწორედ ქართული ლიტერატურა იყო მისი სულიერი და ზნეობრივი აღმზრდელი, ეხმარებოდა ერს თავისი არსისა და ფუნქციის შეცნობაში, უზენაესი მიზნის შემეცნებაში, სულიერი ჰარმონიის ძიებაში.
ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანი, რომელიც ქართული ლიტერატურის კვლევისას იქცევს ყურადღებას, არის ლიტერატურაში გეოგრაფიული სივრცის ასახვა და მისი მისიის, ფუნქციის განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებასა და კვლევას მოითხოვს ქართული ჰაგიოგრაფიის გეოგრაფიული სივრცე, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებიდან“ მოყოლებული, რომელიც ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ როლს წარმოაჩენს კავკასიის რეგიონულ სივრცეში. ამას ორგვარი ღირებულება აკისრია: 1. ერთი მხრივ, ქართული ჰაგიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშები აჩვენებენ, როგორ აღიქვამდა ქართველი მწერალი, ქართველი ადამიანი საზოგადოდ, მსოფლიო და, კონკრეტულად, კავკასიურ სივრცესა და მის პრობლემატიკას; 2. მეორე მხრივ, რა ადგილი ეჭირა კავკასიურ არეალში ქართულ საზროვნო სისტემებსა და როგორ აღიქვამდნენ მას ჩვენი მეზობელი კავკასიელი ქვეყნები. ქართული ჰაგიოგრაფიის პერსონაჟები გადასერავენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის, საკუთრივ კავკასიურ სივრცეს, რაც განსაზღვრავს ქართველ წმინდანთა ადგილს საერთაშორისო და რეგიონული, კავკასიური მასშტაბით.
ამ კუთხით ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევა არ წარმართულა და ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა გეოგრაფიული სივრცე კავკასიოლოგიური გეოპოლიტიკური თვალსაზრისით არ შესწავლილა. ამიტომ ჩვენი მოხსენების საგანია იაკობ ხუცესის, იოვანე საბანის ძის, სტეფანე მტბევრის, გიორგი მერჩულისა და ანონიმ ავტორთა თხზულებების განხილვა საერთოკავკასიური ინტერესების კვალობაზე. განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტის კვლევა, რადგან ის ადგილები, სადაც ქართველმა წმინდანებმა ფეხი დადგეს, ქრისტიანული ღმერთის რწმენას სიცოცხლე შესწირეს, მონასტრები ააშენეს, მხოლოდ გეოგრაფიული პუნქტი კი არაა, არამედ ის კულტურულ-საგანმანათლებლო და სულიერების ცენტრია, რომელმაც ქართველი ერის სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალი წარმოაჩინა, მომავალი ჩამოაყალიბა, უდიდესი კულტურული მონაპოვრები შესძინა როგორც ქართულ, ისე მსოფლიო კულტურას, მათ შორის კავკასიური არეალის კულტურულ სამყაროს, რადგან საქართველოს და მის კულტურას კავკასიურ სივრცეში ყოველთვის დომინანტური ადგილი ეკავა.

11. კრებული ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 175-ე წლისთავს. აქედან გამომდინარე, ძირითადი სტატიები ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასა და მისი შემოქმედების სხვადასხვა ასპექტებს. კრებულის სათაურიდან გამომდინარე, მასში შესულია მე-19 საუკუნის ლიტერატურული მოვლენებისა და სხვა მოღვაწეთა შესახებ შესახებ შექმნილი სტატიებიც, ასახულია თარგმანის პრობლემატიკაც.

12. მოდერნიზმი, როგორც მსოფლმხედველობა ახალ გამოწვევად ჩამოყალიბდა თეატრალური ხელოვნებისათვის, სხვა მიმართულებათა შორის განსაკუთრებით სიმპტომატურია ექსპრესიონისტული თეატრი, რომლითაც გარკვეულწილად ახალი ისტორია დაიწყო თეატრალურ ხელოვნებაში, ამ ფაქტის განმაპირობებელი კი უპირველესად უნდა გამხდარიყო ახალი მხატვრული ტექსტი - ახლებური დრამატურგია, რომელიც სრულად ასახავდა იმ მსოფლმხედველობრივ ბინარებს, მხატვრულ და სტილურ მახასიათებლებს, რომელიც სამყაროს აღქმის ექსპრესიონისტულ მოდელს გამოხატავდა. დრამა, როგორც ჟანრი, ექსპრესიონისტული მხატვრული ნარატივის ერთ-ერთ მოდელად გაფორმდა და დამკვიდრდა, როგორც ახალი მოდერნისტული მსოფლაღქმის მხატვრული ფორმა.
ლიტერატურულ წერილებში, პუბლიკაციებში ნარკვევებში, მხატვრულ ტექსტებსა თუ თარგმანებში ქართველი ნიცშეანელები აქტიურად ეწეოდნენ ნიცშეს მსოფლმხედველობრივი პრინციპების პროპაგანდას, თუმცა დღევანდელი გადმოსახედიდან აშკარაა, რომ ამ ძალისხმევათა

თავკაცად თუ სიმბოლოდ საქართველოში კონსტანტინე გამსახურდია მოიაზრებოდა, როგორც თავგადაკლული გერმანოფილი, გერმანული კულტურის აპოლოგეტი და ნიცშეანური ფილოსოფიური შეხედულებების ქართულ ხელოვნებაში დამამკვიდრებელი. ნიცშეს ფილოსოფიური დოქტრინებს კონსტანტინე გამსახურდიაც სხვადასხვა ლიტერატურულ და პუბლიცისტურ წერილებში განიხილავდა. კონსტანტინე გამსახურდიას ერთადერთი პიესა-მისტერია გარსი მარადი“ - სამყაროს „ექსპრესიონისტული“ მოდელირების ქართული ანალოგის სრული ვერსია, 1923 წელს ჟურნალ „ილიონის“ IV ნომერში დაიბეჭდა.

13. **წმ. გიორგი მთაწმინდელის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული მოღვაწეობა**

წმ. გიორგი მთაწმინდელმა დიდი ღვაწლი დასდო სამონასტრო და საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებას როგორც ათონზე, ისე საქართველოში. ათონზე მან განამტკიცა წმ. ეფთვიმე მთაწმინდლის მოღვაწეობის შემდგომ შერყეული მდგომარეობა ქართველი ბერმონაზვნებისა და კონტაქტები დაამყარა ბიზანტიის საიმპერატორო კართან, მჭიდრო კავშირები ჰქონდა საქართველოს მეფესთან, ბაგრატ მეოთხესთან. ათონზე მან შეაკეთა ქართული მონასტრები, აღუსხა და შექმნა ქართული სამონასტრო ცხოვრების ისტორია, რითაც ქართველთა შთამომავლობას შემოუნახა უძვირფასესი ცნობები ქართველთა პოლიტიკური და კულტურული სიძლიერის შესახებ. ყოველივე ამას, ლიტერატურულთან ერთად, სახელმწიფოებრივი ღირებულებაც ენიჭება. წმ. გიორგი მთაწმინდელმა, საზოგადოდ, მთაწმინდელმა მამებმა და საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ქართული ეკლესიების ბერმონაზვნებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული კულტურის განვითარებასა და მის გატანაში, საქართველოს საზღვრებს გარეთ ადაპტაციაში. სულიერი ცხოვრების, ბერმონაზვნური ყოფის, ზეციური სასუფევლის მოპოვების გარდა, მათი მიზანი იყო: 1. ქართული ეროვნული ლიტერატურისა და კულტურის საზღვარგარეთ გატანა და 2. საზღვარგარეთული ლიტერატურული და კულტურული მონაპოვრები ქართულ სააზროვნო სივრცეში შემოტანა და დამკვიდრება, რაც მხოლოდ სულიერი ცხოვრების, სარწმუნოებრივი ხედვის გამოვლინება არ იყო, არამედ სახელმწიფოებრივი ხედვის შედეგიც.

წმ. გიორგი მთაწმინდლის მოღვაწეობის ერთ-ერთი, შესაძლოა არაპირდაპირი, მიზანი იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ჰარმონიის მიღწევა, რადგან იცოდა, რომ მხოლოდ ეკლესიას არ ძალუძდა ქართლის „ქალაქყოფა“. აქ „სულიერად განწყობილთა ლაშქართა“ და ერისკაცთა ერთიანობა იყო საჭირო და აუცილებელი. წმ. გიორგი მთაწმინდელმა თავისი ღვაწლით საეკლესიო „სრბაჲ აღასრულა“, რასაც სახელმწიფოებრივი დატვირთვაც ჰქონდა: წმ. გიორგი მთაწმინდელმა, რომელიც თავისი დიდი წინამორბედების, წმ. იოვანე და წმ. ეფთვიმე მთაწმინდელების გზასა და გეზს მისდევდა, ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და სახელმწიფოებრივი ხედვის საფუძველზე ქართული ეკლესიის ავტოკეფალია საერთაშორისო დონეზე დაიცვა და საქართველოს ეკლესიის, როგორც ქრისტიანული სამყაროს განაპირას მდებარე ქვეყნის ეკლესიის დამოუკიდებლობას მტკიცე საბუთები მოუპოვა, ხოლო საქართველოს, როგორც აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს მონარქიულ სახელმწიფოს, პოლიტიკური ავტორიტეტი შესძინა; რაც მთავარია, ათონის ქართველთა მონასტერს საერთაშორისო დონეზე ჯერ კიდევ წმ. იოვანე და ეფთვიმე მთაწმინდელების დროს ჰქონდა ავტორიტეტი მოპოვებული, მაგრამ XI საუკუნის შუა წლებში წმ. გიორგი მთაწმინდლის ძალისხმევა საჭირო გახდა, რათა იმდროინდელ კულტურულ მსოფლიოს სცოდნოდა საქართველოს ეკლესიის დაფუძნება წმ. ანდრია პირველწოდებულის მიერ. წმ. გიორგი მთაწმინდელმა თავისი მოქალაქეობრივი მისიის ღირსეულად ტარება შეძლო, მან უდიდესი წვლილი შეიტანა ქრისტიანობის აღორძინებისა და განვითარების, სახელმწიფოებრიობის შექმნისა და განმტკიცების საქმეში, რაც წმინდანის მიმართ ჰაგიოგრაფის მიერ გამოყენებულ პარაბოლაში „ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“ (შდრ.: წმ. გრიგოლ ხანცთელის შესახებ გიორგი მერჩულის გამოთქმა) (სულავა, 2011: 60-155) გამოვლინდა, ჰაგიოგრაფიაში ჰიპოდიგმად ქცეული მისი ხატ-სახე თავისი ლიტერატურულ-საღვთისმეტყველო ფასდაუდებელი ღვაწლით საქართველოს მეოხ წმინდანად მოევლინა.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. თამარ პაიჭაძე
2. რუსუდან ნიშნიანიძე
3. რუსუდან ნიშნიანიძე
4. რუსუდან ნიშნიანიძე
5. ნესტან სულავა

6. ნესტან სულავა
7. ნესტან სულავა
8.ნესტან სულავა
9.ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვიი
10.ნესტან სულავა

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1. „მოდერნისტული სენი – სპლინი ქალაქში“- UDC(უაკ) 821.353.1.09(475.22)(063) ლ-681
2. ,, მხატვრული პარადიგმა და ერთი ამერიკული ლიტერატურული ტექსტი“
3. ,,ნიკოლოზ ბარათაშვილის -სამანს იქით...“

4. ,,ლიტერატურული გადაძახილი და არშემდგარი ექო“ (ზ. ქარუმიძის ტექსტი - ,,ბაში-აჩუკი ანუ მობი დიკი“)
5. აფხაზეთი ქართულ ჰაგიოგრაფიაში (Abkhazia in Georgia Hagiography), ვებ-მისამართი: http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ
6. წელთაღრიცხვის სისტემები ქართულ ჰაგიოგრაფიაში. ISSN 1987-7323. Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences. Akaki Tsereteli State University. VI International Online Scientific Conference "Language and Culture". Scientific Papers. Kutaisi.
7. წმ. შიო მღვიმელის სულიერი განვითარების გზა (კიმენურ და მეტაფრასულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში) The Path of Spiritual Development of Saint Shio Mgvimeli (in Cymenian and Metaphrastical Hagiographic Works). ვებ-მისამართი: http://sciencejournals.ge/index.php/NJ
8. სამოელ კათალიკოსისა და იოვანე საბანის ძის ეპისტოლეები და მათი ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა. ISBN 978-9941-8-3942-9
2021. 14-15. 10.
9. კავკასიური სივრცე და მსოფლმხედველობრივი საზრისი ქართულ ჰაგიოგრაფიაში, (ნანა გონჯილაშვილის თანაავტორობით). 2021.
10. ივანე ჯავახიშვილი „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ ჟანრობრივი რაობის შესახებ.
ISSN 1512-343X

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.ლიტერატურათმცოდნეობის XV საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, ლიტერატურა და პანდემია-ისტორიული და თემატური გამოცდილება, რეცენზირებული
ISBN 978-9941 ISSN 1987-5363 /მასალები/ http://conference.litinstituti.ge/ka/
2. ამერიკისმცოდნეობის 22 -ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის მასალები

3.სამეცნიერო შრომათა კრებული #1 ,,XIX საუკუნე -ეპოქათა მიჯნა“
4.. საერთაშორისო კონფერენციის მასალები ამერიკისმცოდნეობაში
5. ფილოლოგიური კვლევები. Filological Researches/**„ფილოლოგიური კვლევები“ (impact factor: 0,591)**.#3
6. ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. VI საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. შ რ ო მ ე ბ ი. 6. enadakultura.blogspot.com
7. ფილოლოგიური კვლევები - Filological Researches. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო, სამეცნიერო რეცენზირებადი ელექტრონული ჟურნალი.
8. 16 th International Silk Road Virtual Conference SILK ROAD – 2021 16TH INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE. Book of Abstracts. აბრეშუმის გზის მე-16 დისტანციური საერთაშორისო კონფერენციის მასალები. International Black Sea University.

9. კრებ. კორნელი კეკელიძე - ქართული ფილოლოგიის პატრიარქი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ISBN 978-9941-491-25-2
10. „ანალები“. 17. 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თსუ, თბილისი 2021
2. თსუ. თბილისი, 2021
3. თსუ. გამომცემლობა, 2021 ISSN 2720-7862
4. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი.
5.გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო, სამეცნიერო რეცენზირებადი ელექტ რონული ჟურნალი.
6. ქუთაისი 2021
7.გორი
8.თბილისი
9. „ქართველოლოგი“, თბილისი.
10. თბილისი, „უნივერსალი“

5) გვერდების რაოდენობა
1. 6 გვ
2. გვ. 317-324
3. გვ. 183-197
4.—
5.19 გვერდი
6.გვ.287-292
7.გვ.68-73
8. გვ. 264-273
9. გვ. 159- 204.
10. გვ. 276-290.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სპლინი მოდერნისტული ქალაქის ავადმყოფობაა.

მოდერნისტების ადგილი ჭრელ, ულამაზო, ასისტემურ, ქაოსურ და გულგრილ ქალაქშია – ანუ ის აბსოლუტური ანტიპოდია პეიზაჟური, ესთეტიკური სამყაროსი. შემოქმედი სწორედ ამ რთულ და მძიმე სამყაროს ნაწილად გრძნობს თავს და მისი შემოქმედებითი ცხოვრების ავანსცენაც აქაა. ეს აღქმა პარალელურია იმ მსოფლმხედველობისა, რომელიც იქცა მოდერნისტული მეთოდიკის მახასიათებელ ნიშნად და გამოხატულება ჰპოვა ფრანგულ, რუსულ და ქართულ შემოქმედებით დისკურსებში.

მოდერნისტების სააზროვნო არეალი ქალაქია, რომელიც ამასთან ერთად, არის სიმბოლური ბინარი და მხატვრულ-შემოქმედებითი პლაცდარმი. აქ მიმდინარეობს ავტორის სუბიექტურ შეხედულებათა და განწყობილებათა ერთგვარი მხატვრული ტრანსფორმაცია.

ქალაქური ტექსტი კონცეპტუალურ სიმბოლისტურ აღქმას უკავშირდება – ეს არის ცნებათა (კონცეპტთა), მოტივთა, სიუჟეტთა კომპლექსი, რომელიც მოიცავს ავტორისეულ მოდელს ქალაქური ყოფისას – როგორც მის ზოგად, ასევე კერძო გამოვლინებებში.

სანდრო ცირეკიძის წარმოდგენები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე კიდევ ერთი ანალოგია იმ დროისათვის ახალი დამოკიდებულებით, თანამედროვე და პროფესიული თვალით შემოქმედებით მოვლენათა შეფასებისა. მისი მინიატურები, როგორც ერთი სივრცე/ქალაქი, სიტყვისა და სიტყვათა შორის მანძილის რაობის გაშიფვრის საინტერესო მასალაა - ეს მისეული მისტიკური სამყაროა, ხილვა და რეალობა, სადაც ბედისანაბარა დარჩენილი მარტოსული ადამიანები სახლობენ „მარადიულ ქარსა და გულისტკივილში“. ამ მინიატურებში

წარმოდგენილ ისტორიათა ერთ ამბად, ერთ ქალაქად მოაზრებას ხელს უწყობს მათში გამოკვეთილი პრობლემატიკის გარდამავლობა - ის, რაც ერთ მინიატურაში იწყება, მეორეში, მესამეში და ა.შ. ინაცვლებს, გრძელდება, რაც უპირველესად პერსონაჟთა სულიერი სიახლოვე - მარტოსულობის განცდაა და ამასთან ერთად, სამყაროს მთლიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის ხაზგასმა.

უსახელონი არიან ქალაქის მკვიდრნი. როგორც „ერთიმეორის თავისი სხვა“, დუალისტური მსოფლაღქმის კვალობაზე სარკეში არეკლილი სხეულების მსგავსად; ნიღბების უკან კი მათი სახეები იკვეთება, ტკივილით, სპლინით და შიშით შეძრული ადამიანებისა. უსახელო ადამიანთა ქალაქი თავადაც უსახელოა.

სანდრო ცირეკიძის მთვარეულთა ქალაქში ხილული ლანდების ძილისა და უხილავთა საზარელი სიფხიზლის ჟამია. ეს ქალაქი გულმართალი, მაგრამ ამავდროულად ხელმოცარული ადამიანების თავშესაფარია, სუფთა და ნათელი, და წუთისოფელისაგან ნატანჯი და სევდიანი ადამიანებისა.

ამდენად, ცხადია, რომ ქალაქი სიმბოლისტურ აღქმათა კლასიკური სივრცეა, ორეულობისა და ალტერნატიულ (დუალისტურ) აღქმათა ასპარეზი, მისი მუდმივი თანამდევია სპლინი- მოდერნისტული ეპიდემია, რომელიც მსჭვალავს ქალაქს და მსოფლიო სევდის, მარტოსულობის, ფიქრის ტკივილიან ფორმას აძლევს გარემოს. მკითხველის წინაშე ქალაქის მკვიდრნი გულწრფელნი, შიშველი სულებით დგანან და ამ ტექსტებში ქალაქის მარტოსული ადამიანის ისტორიები ცნაურდებაიან, რომლებიც ავტორის უშუალო შეხედულებაზე დაფუძნებულ, ავტორისავე სუბიექტურ შეხედულებათა და განწყობილებათა ერთგვარ მხატვრულ ტრანსფორმაციას წარმოადგენენ.

2. სტატია ეხება ამერიკელი მწერლის - ედუარდ ჰეილის ნოველას ,,უსამშობლო კაცი“. ქართულ ენაზე ტექსტი პირველად ითარგმნა. ლიტერატურულ წერილში დეტალურადაა საუბარი ყოველ ეპიზოდზე, რომელიც ნაწარმოებში ვითარდება; მხატვრულ და ესთეტიკურ ფუნქციაზე.

3. სტატიაში წარმოდგენილია და გაანალიზებულია არაერთი ლიტერატურული წერილი თუ რეცენზია, რომლებიც უცხოეთში სხვადასხვა სახელმწიფოში გამოქვეყნდა. ისინი ეხება ნ. ბარათაშვილის როგორც ბიოგრაფიულ, ასევე, შემოქმედებით ასპექტებს. ამასთან, მოხმობილია არაერთი ლიტერატურული პარალელი ეროვნული მწერლობის არეალიდან.

4. სტატიაში გაანალიზებულია ქართველი (აკ. წერეთელი) და ამერიკელი (მელვილი ჰ.) მწერლების ნაწარმოებები. ამასთან პარალელურად, ზ. ქარუმიძის ტექსტი, რომელსაც საერთო არც იდეური და არც მხატვრული თვალსაზრისით ამ კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებთან საერთო არაფერი აქვს.

5. ქართულმა ჰაგიოგრაფიამ ასახა საქართველოს სხვადასხვა კუთხის, სამეფოს, სამთავროს პოლიტიკურ-სოციალური, იდეოლოგიური და კულტურულ-ისტორიული ვითარება, რომელსაც გარკვეული გეოგრაფიული სივრცის ფიზიკური მდგომარეობისა და სიმბოლური გააზრების კონტექსტიც აქვს. ამ თხზულებათა სამოქმედო არეალია ქართლი, კახეთი, სამხრეთ საქართველო, დასავლეთ საქართველო; თითოეული მათგანი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება. აფხაზეთის ასახვა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ის პრობლემაა, რომელიც მოიცავს აფხაზეთის, როგორც VIII-X საუკუნეების დასავლეთ საქართველოს, პოლიტიკურ-იდეოლოგიური და კულტურული ფონის საფუძველზე აქ მიმდინარე მოქმედებებისა და მოვლენების ჩვენებას, შესაბამისად, იმ წმინდანთა სახეების წარმოჩენას, რომლებიც ან აფხაზეთის//დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი არიან, ან მას უკავშირდებიან. IV-X საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან საგანგებოდ გამოვყოფ შემდეგს: იოვანე საბანის ძის „წმ. აბო ტფილელის წამებას“, გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებას“, რომლებშიც მთავარი პერსონაჟების სამოღვაწეო არეალი აფხაზეთსაც სწვდება. აქვეა განსახილველი „დავითისა და კონსტანტინეს წამების“ XII საუკუნეში შექმნილი მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციები, რომლებშიც მოქმედების გეოგრაფიული არეალი აფხაზეთია და დროის თვალსაზრისით იგი VIII საუკუნის ამბებს ასახავს. ე.ი. სამივე ჰაგიოგრაფიული თხზულება ერთი ეპოქის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, სასულიერო-

საეკლესიო, სოციალურ, კულტურულ ვითარებას წარმოაჩენს. ამიტომ ყურადღება გავამახვილეთ VIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში, რომელსაც ამ პერიოდში აფხაზეთს უწოდებენ, მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ, საეკლესიო-რელიგიურ და კულტურულ ვითარებაზე, რადგან ამ თხზულებებში მეტნაკლებად აისახება აფხაზეთის სამეფოს მდგომარეობა. VIII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში მეფობდა ლეონ მეორე, თავისი წინამორბედის, ლეონ პირველის მსგავსად, სახელმწიფოებრივი და რელიგიური ცნობიერებით გამორჩეული პიროვნება, რომელმაც გააერთიანა დასავლეთ საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ყველა პოლიტიკური ერთეული და, როგორც აფხაზეთის სამთავროს მთავრის მემკვიდრემ, შექმნა ერთიანი სახელმწიფო - აფხაზეთის სამეფო. მართალია, ლეონ მეორის მეფობის დროს აფხაზეთი ჯერ კიდევ ბიზანტიის პოლიტიკურ გავლენას განიცდის, მაგრამ იგი რელიგიურ-ეკლესიურად არ იზიარებს ბიზანტიაში მიმდინარე რელიგიურ ბრძოლებს, ბიზანტიის იმპერიაში გავრცელებულ ხატმებრძოლობის ერესს და რჩება ხატთაყვანისმცემელ ეპარქიად. მწვალებლობაში ჩავარდნილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან გამოყოფილმა აფხაზეთის ეკლესიამ ორიენტაცია ანტიოქიის საპატრიარქოზე აიღო, მაგრამ IX საუკუნის პირველ ნახევარში დამოუკიდებლობა მოიპოვა და მცხეთის საკათალიკოსო ტახტს დაუკავშირდა, რამაც მას საბოლოოდ საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის წიაღში დაუმკვიდრა ადგილი, როგორც ეს იყო I საუკუნიდან, სახელდობრ საქართველოს ეკლესიის შექმნის დროიდან მოყოლებული. მნიშვნელოვანია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის გათვალისწინება, რადგან იგი საუკუნეების განმავლობაში განსხვავებული იყო, მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ საქართველოზე, აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე, საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე ეპარქიებზე. მიუხედავად ამისა, იყო ისტორიული დრო, როდესაც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე (მაგ., ბიჭვინთის საეპისკოპოსო) ბერძნული საეპისკოპოსოები არსებობდა, რასაც თავისი საფუძველი ჰქონდა და ახსნა სჭირდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სამხედრო ცენტრების არსებობითაა განმარტებული.

ზემოთ დასახელებული სამი თხზულების წმინდან პერსონაჟთა სამოღვაწეო არეალი აფხაზეთია, რომელიც პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეს წარმოადგენს, როგორც „ყოველი ქართლის“ განუყოფელი ნაწილი, რომელთანაც საერთო აქვს სახელმწიფო ენა და სარწმუნოება მამულთან, ტერიტორიასთან ერთად. გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გამოთქმული თვალსაზრისი - „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, გინათუ „უფალო, შეგჳწყალენ“ (ძეგლები, 1963/1964: 290) - სწვდება და გულისხმობს აფხაზეთსაც, როგორც „ყოველი ქართლის“ სრულუფლებიან ნაწილს და წევრს. „ლოცვაჲ ყოველი“ სრული ლიტურგიული პროცესია და იგი ქართულ ენაზე სრულდება „ყოველი ქართლის“ ტერიტორიაზე, ხოლო „კჳრიელეჲსონი“ ბერძნულად თქმა, ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, ან „უფალო, შეგჳწყალენ“ ქართულ ეკლესიას აერთიანებს მთელ მართლამადიდებლურ სამყაროსთან, რითაც მყარდება ეკლესიათა ერთობა, უნია.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, დასახელებულ თხზულებებში აფხაზეთის თემა წამყვანი არაა და ვერც იქნებოდა, რადგან ჰაგიოგრაფიის მიზანი წმინდანის ხატ-სახის ჩვენებაა. პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ფონი ჰაგიოგრაფს სჭირდება წმინდანის სახის უკეთ წარმოსასახავად, მაგრამ რეალურად გვიჩვენებს იმ ვითარებასაც, რომელშიც უწევთ მათ ცხოვრება, მოღვაწეობა, მოწამებრივი აღსასრული. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიაში გადმოცემული ისტორიული ფაქტები და ისტორიული გეოგრაფიული არეალი, რადგან ამ მოვლენებისა და სივრცის ასახვით ჰაგიოგრაფია საუკეთესო ისტორიულ წყაროდ გვევლინება, მით უმეტეს, რომ იოვანე საბანის ძისა და გიორგი მერჩულის თანამედროვე საქართველოს ვითარების ამსახველი საისტორიო თხზულებები, თანამედროვეთა მიერ აღწერილი, არ შემოგვრჩა, მათ შესახებ გვიანდელი ისტორიკოსები მოგვითხრობენ.

6. ქართულ ჰაგიოგრაფიაში ხშირად გამოიყენება ორმაგი, სამმაგი, ოთხმაგი, ზოგჯერ მეტიც, დათარიღების პრინციპები. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამება“, „წმ. ევსტათის წამება“, იოვანე საბანის ძის „წმ. აბოს წამება“, „წმ. კონსტანტი კახის წამება“, გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, რომლებშიც დათარიღების სხვადასხვა სისტემაა გამოყენებული. სტატიაში განხილულია ზემოხსენებულ თხზულებებში დამოწმებული

წელთაღრიცხვის სისტემები. საქართველოში წელთაღრიცხვას ძირითადად ქვეყნის შექმნიდან, ქრისტეს დაბადებიდან და ქორონიკონით ანგარიშობდნენ; ზოგჯერ, აგრეთვე, სხვა ქვეყნების წელთაღრიცხვებითაც. ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებები იყენებენ წელთაღრიცხვის სხვადასხვა ტიპის სისტემებს: 1. დასაბამითგან, რომელიც სამყაროს შექმნას მიიჩნევს ათვლის წერტილად, იგი წელთაღრიცხვის სისტემის აღსანიშნავად ეყრდნობა სიტყვას „დასაბამითგან“. ქართული „დასაბამითგანის“ კალენდარი მარტის წელიწადისაა, ე.ი. ახალი წელი მარტში იყო, იგი თავისი ხასიათით პასქალურია. ეს სისტემა დამყარებულია იმ 5604 წლიან ერაზე, რომელიც ქართული წელთაღრიცხვის სისტემად ითვლებოდა. საქართველოში დამკვიდრებული „სამყაროს შექმნიდან“, იგივე „დასაბამითგან“, სხვადასხვა წელთაღრიცხვის სისტემების საერთო სახელწოდებაა, რომლებიც წარმოდგენილი იყო დიდი ინდიქტიონის მოქცევებით. 2. „ქრისტესით“; 3. კათალიკოსობის პერიოდს; 4. მეფობის, დედოფლობის, ერისთავობის, მაგისტროსობის, კურაპალატობის პერიოდს, მასში სხვადასხვა სახელმწიფოთა მეფობასაც გულისხმობს; 5. ქორონიკონით, დიდი ინდიქტიონი; 6. ჰაგიოგრაფიაში სახელდებით არაა დადასტურებული ჰიჯრის წელთაღრიცხვა, რომელიც ძირითადად მუსლიმურ ქვეყნებშია გავრცელებული, მაგრამ ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებები მიუთითებენ მუსლიმური ქვეყნების მმართველთა წლებსაც.

7. ასურელ წმინდა მამათა შესახებ მოღწეულია სხვადასხვა რედაქციის ჰაგიოგრაფიული თხზულებები: კიმენური, მეტაფრასული, სვინაქსარული, რომლებსაც, სასულიერო-საღვთისმეტყველო და ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულების გარდა, ლიტერატურულ-მხატვრული აზროვნებისა და ესთეტიკური თვალთახედვის ჩამოყალიბებაში ენიჭებათ მნიშვნელობა. მათგან მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით გამოირჩევა ორი რედაქცია - კიმენური და მეტაფრასული. ლიტერატურათმცოდნეობისათვის ღირებულ ამ თხზულებათა სახისმეტყველებითი ასპექტების გამოვლენა აუცილებელია, რისთვისაც საჭიროა საზოგადოდ ჰაგიოგრაფიული ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინება, ჟანრისა და ლიტერატურული აზროვნების განვითარების ფარგლებში მათი ადგილის დადგენა. ასურელ წმინდა მამათა წამება-ცხოვრებების ლიტერატურულ-ისტორიული საკითხების კვლევა დაწყებულია იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც გამოქვეყნდა ტექსტები და მათთან დაკავშირებული სამეცნიერო შრომები. ესენია: კორნელი კეკელიძის, ივანე ჯავახიშვილის, სარგის კაკაბაძის, ილია აბულაძის, ზაზა ალექსიძის და სხვა მეცნიერთა კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევები, რევაზ სირაძის, გრივერ ფარულავას, საბა-ფირუზ მეტრეველის სამეცნიერო შრომები სახისმეტყველებითი მიმართულებით.

წმ. შიო მღვიმელის „ცხოვრების“ კიმენური და მეტაფრასული რედაქციის ტექსტების ლიტერატურული ღირებულების დასადგენად სიღრმისეული კვლევა დაგვანახებს ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის, კერძოდ წმ. შიო მღვიმელის, სულიერი განვითარების გზის მნიშვნელობას, რაც სტატიაში წარმოჩენილია ბიბლიურ-ევანგელური გზის სიმბოლური გააზრების შედეგად მისი ბაძვის აუცილებლობის საფუძველზე, რომელიც უწინარეს ყოვლისა, მაცხოვრის გავლილი გზასთან, აგრეთვე, მოციქულთა, მამამთავართა და წმინდანთა მიერ გავლილ გზასთან შედარებით ვლინდება. წმ. შიო მღვიმელი თავისი სულიერი განვითარების გზამ მიიყვანა სულიერ განღმრთობამდე, ღმერთთან ზიარებამდე, ზეციური სასუფევლის მოპოვებამდე. ჰაგიოგრაფია წმინდანის სულიერი განვითარების შედეგად აღწერს და ასახავს პერსონაჟის მიერ ზეცათა მოქალაქობის მოპოვების ურთულეს გზას, რომელიც ღვთის სასწაულების კვალობაზე პერსონაჟთა მიერ სასწაულების ჩადენით, კურნების ღვთაებრივი უნარის მოპოვებით, წინააღმდეგობათა დაძლევით მიიღწევა. „წმ. შიო მღვიმელის ცხოვრებაში“ ნაჩვენებია, თუ როგორ მიაღწია წმ. შიომ ღვთის ნებით მღვიმეში ჩასვლის შედეგად ღმერთთან ზიარებას, სულიერ განღმრთობას, როგორ მოიპოვა ზეცათა მოქალაქობა, რაც ამ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, ამ ჟანრის ყოველ ნიმუშში, ადამიანის ამქვეყნიური ქმედების უმთავრეს მიზნადაა დასახული.

8. იოვანე საბანის ძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას წინ უძღვის სამოელ ქართლის კათალიკოსისა და იოვანე საბანისძის მიმოწერა, ეპისტოლეები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული, ქრონოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ლიტერატურულ-ესთეტიკური და საღვთისმეტყველო პრობლემატიკის გასაანალიზებლად. ეპისტოლოგრაფიას ქრისტიანულ ლიტერატურაში მდიდარი ტრადიცია აქვს, რასაც მოწმობს ახალი აღთქმის ეპისტოლოგრაფიული ნაწილი; წიგნში შეტანილია შვიდი კათოლიკე ეპისტოლე და პავლეს თოთხმეტი ეპისტოლე, რომელთა მნიშვნელობას საზოგადოდ მომდევნო ხანის მთელი ქრისტიანული ლიტერატურის მსოფლმხედველობის გასათვალისწინებლად

განსაზღვრავს მათი რაობა, არსი, დანიშნულება. ახალი აღთქმის ეპისტოლეები არის ნიმუში შემდგომი ხანის ქრისტიან მოღვაწეთა ეპისტოლოგრაფიული მემკვიდრეობისათვის. ამ ეპისტოლეებს მომდევნო ხანის ეპისტოლარული მემკვიდრეობისათვის პარადიგმული მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს, ახალი აღთქმის ეს ნაწილი ქრისტიან მოღვაწეთა შორის მიმოწერის ერთგვარ საფუძველს ამზადებს. ამიტომ გახდა საჭირო სამოელ ქართლის კათალიკოსისა და იოვანე საბანისძის მიმოწერაზე დაკვირვება, რადგან, უწინარეს ყოვლისა, ეს მიმოწერა ქრისტიანული ეპისტოლოგრაფიის შესანიშნავი ნიმუშია, იგი წარმოგვიჩენს ორი ღირსეული პიროვნების – სამოელ ქართლის კათალიკოსისა და ქართველი დიდებულის, მწერალი-ჰაგიოგრაფის რელიგიურ-სარწმუნოებრივ, საღვთისმეტყველო, იდეოლოგიურ-სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ თვალთახედვას; მეორე მხრივ, ამ მიმოწერით ეპოქის სურათი იხატება, თუ როგორია ამდროინდელი ქართლის რელიგიური, პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ვითარება, აჩვენებს იმ პერიოდის განათლების დონეს, საგანმანათლებლო სისტემის არსებობას, წიგნიერებას, ლიტერატურული ჟანრების შესახებ თვალსაზრისს, საზოგადოების ლიტურგიულ ცნობიერებას და შემეცნებას.

სამოელ კათალიკოსს კონკრეტული მიზანი აქვს დასახული, ესაა წმ. აბო თბილელის წამების აღწერა, რათა შთამომავლობას ჰქონდეს ქართველი ერისა და ქართული ეკლესიის წინაშე მისი ღვაწლის, როლისა და დამსახურების გაცნობის შესაძლებლობა. სამოელმა ამ საქმის ღირსეულ აღმსრულებლად იოვანე საბანის ძე მიიჩნია, შესაბამისად, კათალიკოსის ეპისტოლე მწერალი-ჰაგიოგრაფის, იოვანე საბანის ძის სახეს, მისადმი დამოკიდებულებასაც წარმოაჩენს. მან იოვანეს წერილი კიდევ ერთი ღირსეული პიროვნების, ხსართან მღვდლის, ხელით გაუგზავნა.

რას ეხება და ასახავს სამოელ კათალიკოსის მცირე მოცულობის, მაგრამ მნიშვნელობით უაღრესად საჭირო ეპისტოლე? მასში რამდენიმე საკითხი იქცევს ყურადღებას. ესენია: ჰაგიოგრაფიის სამოელისეული აღქმა, იოვანეს პიროვნების შეფასება და დაფასება, რატომ მაინცდამაინც იოვანეზე შეაჩერა ყურადღება და არა სხვაზე; მისადმი დამოკიდებულება, რაც მრევლის წევრისადმი მღვდელთმთავრის იშვიათი მოკრძალებულობით გამოირჩევა; რაც მთავარია, წმ. აბოს კანონიზაციისათვის მზადება და ჰაგიოგრაფიული თხზულების შექმნის დაკვეთა, რადგან აბოს წამებას ეპოქალური ღირებულება ეკისრება. ნათლად ჩანს, რომ სამოელ კათალიკოსს, როგორც მის წოდებასა და მისიას შეეფერება, ერის მაჯისცემა ესმის და სწორად განსაზღვრავს წმინდანის, კერძოდ აბოს, მისიას ქართველი ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ლიტურგიულ ცნობიერებასა და ქრისტიანული თვითშემეცნების აღორძინების საქმეში.

მოხსენებაში განხილულია სამოელ კათალიკოსისა და იოვანე საბანის ძის ეპისტოლეთა მნიშვნელობა თხზულების დაწერის საქმეში, ამ ორი ღირსეული პიროვნების შეხედულებანი ჰაგიოგრაფიის შესახებ, ღვაწლი წმინდანის მოწამეობრივი აღსასრულის შესაფასებლად და დასაფასებლად; და ბოლოს, მათი სულიერი ხატ-სახე, მათი ფსიქოლოგიური პორტრეტი იხატება.

9. ქართულ ჰაგიოგრაფიაში კავკასიის თემა, კავკასიური სივრცე და მასთან დაკავშირებული საკითხები მრავალმხრივად აისახა: პოლიტიკური, იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი, ენობრივი ფენომენის გათვალისწინებით.

1. ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში, კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“, იაკობ ხუცესის, იოვანე საბანის ძის, სტეფანე მტბევრის, ასურელ მამათა წამება-ცხოვრებების, აგრეთვე, სხვა ანონიმ ავტორთა თხზულებებში, დასახელებულია კავკასიის რეგიონში IV-X საუკუნეებში არსებული ტერიტორიული ერთეულები, რომლებიც საგანგებო მიზანდასახულობისაა, თითოეული მათგანი წარმოდგენას ქმნის ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით და რომლებიც, ამავდროულად, თხზულების ეპიზოდთა შინაარსისა თუ სიმბოლური დატვირთვის წარმოჩენას ემსახურება. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი მათგანი თვითმიზნურად მოხმობილი არაა და თითოეულს თავისი სიმბოლური მისია აკისრია.

2. „კავკასია“, როგორც რეგიონული სივრცის აღმნიშვნელი ტერმინი-სახელწოდება, ქართულ ჰაგიოგრაფიაში მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში გვხვდება. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გეოგრაფიული სივრცე მოწმობს, რომ საქართველოს ყოველთვის ეჭირა კავკასიის გეოპოლიტიკური ცენტრის ადგილი, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის განაპირა მხარის კულტურული ქვეყნისა.

3. წმ. ნინოს ღვაწლმა, რაც ასახულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში, საქართველოს გაქრისტიანების საქმეში მთელი კავკასიის მასშტაბით უდიდესი როლი შეასრულა, რადგან საქართველომ, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყარზე მდებარე ქვეყანამ, დასავლური კულტურული

ორიენტაცია აირჩია; ეს ტენდენცია, დასავლეთისაკენ სწრაფვა და მასთან დაახლოება, სხვა ჰაგიოგრაფიულ თხზულებებშიც გაგრძელდა.

10. „დავით და ტირიჭანის საკითხავის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე საკითხია განხილული. მათ შორისაა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ ჟანრობრივი რაობის განსაზღვრა, რაც მოითხოვს პრობლემის განხილვას ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველებითი ასპექტების საფუძველზე. სამეცნიერო ლიტერატურაში ბიძის მიერ ბავშვების სოციალური მიზანდასახულობით მოკვლას წამების დამაჯერებელ საფუძვლად და საბუთად არ მიიჩნევდნენ, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილმა მონოგრაფიაში „ძველ სომხურ საისტორიო მწერლობა“ ხსენებული საკითხის შესახებ დასვა კითხვები, რომელთათვის პასუხი მას ნაშრომში არ გაუცია. ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა „დავით და ტირიჭანის საკითხავის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, განსაზღვრა მისი ზოგადკულტურული და ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა, მათ შორის თხზულების ჟანრობრივი რაობა. მისი აზრით, „დავით და ტირიჭანის წამებაში“ ყრმები ქრისტიანობის გამო არ მოუკლავთ, არამედ ბავშვები საკუთარმა ბიძამ თავისი მატერიალური ინტერესების განსახორციელებლად შეიწირა. მას, დისწულთა სიმდიდრის მითვისების ზრახვით შეპყრობილს, სურდა მცირეწლოვანი ბავშვები დაეხოცა, როგორც მემკვიდრეობითი უფლებების მქონენი და მომავალში მისი შემცილებელნი. უნდა ითქვას, რომ „დავითისა და ტირიჭანის საკითხავი“ ჟანრობრივი თვალსაზრისით არ შესწავლილა. არ არის განსაზღვრული თხზულების უარყოფითი პერსონაჟის, თევდოსის, ქრისტიანობაზე მოქცევის საკითხი, როგორც ამ ნაწარმოების ჰაგიოგრაფიულობის ერთ-ერთი საფუძველი. ყოველივე ეს მისი სახისმეტყველებითად განხილვის შედეგად შეიძლება ირკვევა.
კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ „წმიდათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავის“ ჰაგიოგრაფიულ თხზულებად მიჩნევისათვის ორი საფუძველი არსებობს: 1. მცირეწლოვან ყრმათა ბიძის მიერ მოკვლა ავტორის მიერ თვით თხზულებაშივეა წამებად აღქმული; 2. თევდოსის ქრისტიანულ რჯულზე მოქცევა, როგორი დაუჯერებელი ფაქტებითაც უნდა იყოს მოწოდებული, ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებებითაა წარმოსახული, რაც ბიბლიურ-ევანგელურ ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას შეესაბამება. თხზულების ავტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა სოფელი და ზესთასოფელი, რომლებიც კატაფატიკურ-აპოფატიკური სიმბოლური სახელებით მოიხსენია. ავტორი წერს, რომ ბავშვებს „საწუთროჲ ესე განხრწნადი“ დააკლდათ, მაგრამ „წარუვალითა მით სრულ იქმნენ“ (ძეგლები, 1963//1964: 186). დროის კონტრასტულობა, მარადიულობისა და წუთისოფლის დაპირისპირებულობა სივრცის საღვთისმეტყველო თვალთახედვით გააზრებასაც განსაზღვრავს, რადგან ძმების სივრცული არეალი ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდება. ისინი მარადიულობასა და ქრისტიანულ სივრცეზე ორიენტირებულნი იყვნენ, ხოლო მათი მკვლელი ბიძა მხოლოდ საწუთროულ დრო-სივრცეზე, ამქვეყნიურ ღირებულებებზე ზრუნავდა, რომელმაც სინანულით განიწმინდა სულიერი მომავალი. ამიტომ თხზულება ერთ-ერთი ღირებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია, რომელშიც მცირეწლოვანი ბავშვები ქრისტიანობისადმი რწმენის სიმტკიცით, მშობლებისა და ნათესავების სიყვარულით, სასოებითა და სულიერობით ზეციური მოქალაქობის მოპოვების გზას დაადგნენ.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მაკა ელბაქიძე
2. ნანა გონჯილაშვილი
3. ნანა გონჯილაშვილი
4. ლადო მინაშვილი
5. ლევან ბებურიშვილი
6. ლევან ბებურიშვილი
7. ლევან ბებურიშვილი
8. ლევან ბებურიშვილი
9. თამარ შარაბიძე
10. თამარ პაიჭაძე

11. რუსუდან ნიშნიანიძე
12. რუსუდან ნიშნიანიძე
13. ქეთევან სიხარულიძე
14. ელენე გოგიაშვილი
15. ხვთისო მამისიმედიშვილი
16. ნესტან სულავა

2) სტატიის სათაური, ISSN

1. სიყვარულის რუსთველური კონცეფცია და შუა საუკუნეების ლიტერატურა ISSN 0235-3776
2. უფლის ჯვარცმის შესახებ დაცული ცნობები „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში, ISSN 0235-3776
3. ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ „გზა უვალის“ გააზრებისათვის (იბეჭდება)
4. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მეცნიერული და ზნეობრივი გმირობა. ISSN 978-9941-491-25-2
5. ლიტერატურული ენის საკითხი XIX საუკუნის 50-იანი წლების ქართულ კრიტიკაში. ISSN დაზუსტდება.
6. გრიგოლ ორბელიანის ერთი ტაეპის შესახებ („ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!“), ISSN 0235-3776
7. სოლომონ დოდაშვილის ესთეტიკურ-ლიტერატურული თვალთახედვა, ISSN 2233-3568
8. ვაჟა-ფშაველას 1880-90-იანი წლების პუბლიცისტიკა, ISBN 978-9941-491-28-3 (pdf)
9. ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი,
10. „გორა მბორგალი–ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის “ნიკო სამადაშვილის პოეზიის მხატვრული ასპექტები“
11. „იაკობ გოგებაშვილი -ესთეტიკური ფორმულა თუ იდეოლოგიური კრედო“
12. ადამიანი-პერსონაჟის მხატვრული სახის დინამიკა ფოლკლორულ შემოქმედებაში

ISBN 978-9941-13-919-2 (pdf)
ISSN 1987-5363

13. ზღაპრული “ქალთა ქვეყანა” ლიტერატურულ და ფოლკლორულ ნარატივებში ISSN 2298-0377
14. ჟამის გამავრცელებელი მითოსური არსებები ქართულ ფოლკლორში, ISSN 1987-7021
15. ქართველი ერის კრებსითი სახის ინტერპრეტაციისათვის. ISSN 2346-836X (იბეჭდება)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. „ლიტერატურული ძიებანი“ N 41
2. ძიებანი , 2021, XLI
3. XIX საუკუნე _ ეპოქათა მიჯნა სამეცნიერო შრომათა კრებული, N 1 , კრებული ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175-ე წლისთავს, 2021 (იბეჭდება)
4. კორნელი კეკელიძე, ქართული ფილოლოგიის პატრიარქი.
5. XIX საუკუნე - ეპოქათა მიჯნა, სამეცნიერო შრომების კრებული, I.
6. „ლიტერატურული ძიებანი“, XLI.
7. საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ფილოსოფიურ-თეოლოგიური მიმომხილველი, # 11.
8. მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VII სამეცნიერო კონფერენციის მასალები.
9. XIX საუკუნე _ ეპოქათა მიჯნა #1, ISBN 2720-7862
10. სამეცნიერო ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“XXV 2021
http://ejournals.atsu.ge/Kartvelology/
11. ლექსმცოდნეობა 13 - ნიკო სამადაშვილი
12. ლექსმცოდნეობა 13 - ნიკო სამადაშვილი
13. XIV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები - აბრეშუმის გზის ქვეყნების ფოლკლორი
14. აღმოსავლეთმცოდნეობა 10
15. **ქართული ფოლკლორი, №10 (XXVI)**
16. „არავი“. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, # 28.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი: თსუ გამომცემლობა
2. თბილისი, თსუ გამომცემლობა
3. თბილისი, თსუ გამომცემლობა
4. თბილისი, ქართველოლოგი
5. თბილისი, თსუ გამომცემლობა.
6. თბილისი, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.
7. თბილისი, თსუ გამომცემლობა.
8. თბილისი, თსუ გამომცემლობა.
9. თბილისი, თსუ გამომცემლობა
10. აწსუ, ქუთაისი, 2021
11. ლიტ. ინსტ. გამომც. გვ.135-147 თბილისი ISSN 1987-6823 2021
12. ISSN… 2021 (თან ერთვის ცნობა)
13. თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა
TSU Press
14.თსუ გამომცემლობა, 2021
15. თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
16. ახალციხის უნივერსიტეტი

5) გვერდების რაოდენობა
1. გვ.44-61
2. იბეჭდება
3. გვ. 58-77
4. გვ.23-35
5. გვ. 44-57.
6. გვ. 70-76.
7. გვ. 161-172.
8. გვ. 21-27.
9. გვ.263-277
10. გვ.12
11. გვ.135-147
12. გვ
13. გვ. 69-77
14. გვ. 68-75 (7გვ.)
15. 31 გვერდი
16. 16 გვ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.ვეფხისტყაოსნის პროლოგსა და სიუჟეტის განვითარებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ რუსთველის მიერ ჩამოყალიბებული სიყვარულის კონცეფცია არის ძალზე სპეციფიკური და, იმავდროულად, სრულიად ახლებური გააზრება მიჯნურობისა, რომელსაც არ იცნობს წინარე პერიოდის ქართული მწერლობა. რუსთველის სიყვარულის კონცეფციის ცალკეული დეტალები, ერთი მხრივ, აღმოსავლური კულტურის აშკარა კვალს ატარებს (მთავარ პერსონაჟთა *მიჯნურად* მოხსენიება, რომელიც არაბული სიტყვაა და სიყვარულისგან გახელებულს ნიშნავს; სასიყვარულო ტანჯვის მოტივი, გამოხატული სისხლის ცრემლების ღვრით, გულის დალახვრით და დაწყლულებით, სიკვდილის ნატვრით, ველად გაჭრით და ა.შ), მეორე მხრივ კი, ევროპული კურტუაზიული სიყვარულის მოტივებითაცაა ნასაზრდოები (სიყვარულის წოდებრივი ხასიათი, სამსახური, დუმილი და მოთმინება, სიყვარულის მასტიმულირებელი ძალა საგმირო საქმეების ჩასადენად და ა.შ), თუმცა

კონვენციონალური მოტივები, რომლებიც ტიპურია როგორც ერთი, ისევე მეორე კონცეფციისთვის, რუსთველთან მხოლოდ მზა ფორმულების სახით გვხვდება და ლიტერატურული გადამუშავების შედეგად განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგება.

2. უფლის ჯვარცმის შესახებ დაცული ცნობები „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში

„წმინდა ნინოს ცხოვრება“ ქართული ქრისტიანული კულტურის საფუძველთა საფუძველია. თხზულების შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია, რამეთუ ნაწარმოებში ასახულია ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული ამბები. „წმინდა ნინოს ცხოვრება“ შუქს ფენს ქართული კულტურისა და ისტორიის არაერთ საკითხს. სხვა პრობლემატიკასთან ერთად მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს სახარებისეულ ამბებთან დაკავშირებული პასაჟები.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჭელიშურ რედაქციაში, კერძოდ, სალომე უჟარმელის ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ წმ. ნინოს ტაძრის მეთვალყურე დვინელი ქალი უყვება ქრისტეს ქვეყნად მოსვლისა და მის მიწიერ საქმეთა შესახებ; რომ იესოს სასწაულთა გამო, შურით აღივსნენ ებრაელნი, ყველგან გაგზავნეს მხედრები, რათა მათი ნათესავები სწრაფად ჩასულიყვნენ იერუსალიმში. მართლაც, ყოველი ქვეყნიდან მივიდნენ მოსეს სჯულის მცოდნენი, რომლებიც წინ აღუდგნენ წმინდა სულს და ჯვარს აცვეს უფალი, მის სამოსზე კი წილი ყარეს.

მსგავსი პასაჟი მეორდება თხზულების სხვა ნაწილშიც, კერძოდ, სიდონიას ჩანაწერში. ირკვევა, რომ ანნა მღვდელმა სიდონიას მამის მამას, ოზის, მისწერა იესოს ნათლობის შესახებ. ხოლო ოთხი წლის შემდგომ ჰეროდემ გასცა ბრძანება ყველა ისრაელი ძის მიმართ, მისულიყვნენ იესოს სიკვდილზე დასასწრებად. სიდონიას თქმით, მისი მამის დედის ძმა, მოხუცებული ელიოზი, წავიდა იერუსალიმში.

აქ საყურადღებოა ის, რომ ებრაელთა მხრიდან იესოს ჯვარცმა წინასწარ მზადდება. მოვლენათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჰეროდეს ბრძანების ქართლში მიღწევას და ელიოზის იერუსალიმში ჩასვლას, მანძილიდან გამომდინარე, სამი თვე მაინც დასჭირდებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნული განსხვავდება სახარებისეული თხრობიდან. ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში ვერ მოვიძიეთ „წმ. ნინოს ცხოვრების“ მსგავსი ცნობა, არადა ზემომოხმობილი პასაჟები თხზულების ყველა რედაქციაშია წარმოდგენილი. რამდენად უტყუარია ზემოაღნიშნული ფაქტი, ამის თქმა ძნელია. თუმცა, თუ ელიოზის იერუსალიმში წასვლა სრულ სინამდვილედ მიიჩნევა, მაშინ ზემოაღნიშნულიც უნდა ვირწმუნოთ, რამეთუ ელიოზი ჯვარცმაზე დასასწრებად იერუსალიმიდან მიღებული წერილის საფუძველზე მიდის.

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა „წმ. ნინოს ცხოვრების“ ტექსტი რელიგიური სფეროს და ისტორიული თხრობის თვალსაზრისით.

3. ნიკოლოზ ბარათაშვილის `მერანის~ `გზა უვალის~ გააზრებისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში (ა. ფურცელაძე, ა. გაწერელია, პ. ინგოროყვა, გ. ასათიანი, ა. ქუთელია, გ. გაჩეჩილაძე, რ. სირაძე, ბ. კილანავა, ა. გომართელი, თ. შარაბიძე და სხვ.) არაერთგზისაა ყურადღება გამახვილებული `მერანის~ დასასრულს ლირიკული გმირის მიერ `თელილი~ `უვალი გზის~ საზრისზე, რომელიც მოძმეთ `სიძნელეს გზისა გაუადვილებს~. აზრთა სხვადასხვაგვარობის მიუხედავად, მეცნიერთა უმრავლესობა ერთხმად აღიარებს, რომ ნ. ბარათაშვილმა `მერანში~ რაღაც ახალი თქვა. სავსებით გასაზიარებელია აზრი, რომ `ბედის სამძღვრების~ გადალახვა რწმენითაა შესაძლებელი, თუმცა ეს `ახლის თქმასა~ და `უვალი გზის~ გაკვალვას, ვფიქრობთ, არ ნიშნავს.

ნ. ბარათაშვილის `თავგანწირვის~ გზა სულიერ გაჭრას უნდა გულისხმობდეს.

ლირიკული გმირის მიერ შინაგანი სამყაროს სიღრმისეულად მოხილვა-`გათელვა~, რომელიც დიდ ტკივილს უკავშირდება და მისი დაძლევა მხედრისაგან უდიდეს ძალისხმევას ითხოვს (`მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი~ _ ბარათაშვილი 1945: 77), ლექსის დასასრულს `უვალი გზის~ საზრისად აღიქმება. ამდენად, ეს მხოლოდ მისი პირად-ინდივიდუალური, ახალი გზაა, რომელიც მოძმეთ შეეწევა და შემდგომ თაობებს ნიმუშად (პარადიგმად) `დარჩება~. მისი პოეზია და ცხოვრება თვითშემეცნების გზაა,

`უვალი გზა~ (რომლის საზრისი მეცნიერთა მიერ, უმეტესწილად, არაა გამოკვეთილი) წმინდანობის გზა არაა, მაგრამ მისი `მობაძავია~. ნ. ბარათაშვილი `ბედის სამძღვრების~ გადამლახავი `უვალი გზის~ გაკვალვაში სულიერი უდაბურების, სულით ობლობის ძლევის გზას უნდა

გულისხმობდეს. ნ. ბარათაშვილისათვის ეგზომ მტკივნეული მარტოსულობის გზა ერთიანად მსჭვალავს მის პოეზიასა და პირად წერილებს და ყველა სატკივარზე მეტადაა თავჩენილი. იგი სულით ობლობის დაძლევის გზას ეძებს ამქვეყნიურ ცხოვრებაში, მეგობართა და ნათესავთ შორის, წვეულებებსა და სალონებში, მაგრამ _ ამაოდ. კარიერული წინსვლა თუ სხვა რამ ქვეყნიური ასპარეზი, რომელიც, პოეტის თქმით, `თავისუფლად ამოსუნთქვის~ და თავისი `ასპარეზის~ `ხელმწიფურად გარდახედვის~ საშუალებას მისცემდა, ვფიქრობთ, მხოლოდ დროებით დააძლევინებდა `ძნელს~, სულით მარტოობას, რადგან `მას ელტვიან სიამენი სოფლისა~. ნ. ბარათაშვილის სიტყვებიდან გამომდინარე, ამ ქვეყნად სულით ობლობის დაძლევა `ზეგარდმო მადლით ცხებული~ სიყვარულითაა შესაძლებელი (რომელიც მხოლოდ მშვენიერ სულთა `კავშირში~ იშვება), რაც თავად მას არ ეღირსა. მოკვდავისათვის მარტოსულობის გადალახვის გზის სწავლებას ნ. ბარათაშვილი ვერსად პოულობს, ვერც ცხოვრებასა და, ვფიქრობთ, ვერც მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში. მართალია, აგიოგრაფიაში (რიგ შემთხვევებში) მარტოსულობის განცდა და მარტოსულობაზე ჩივილი თავჩენილია, თუმც მოწამეობის გზაზე შემდგარი ადამიანისათვის ეს არაა მთავარი საზრუნავი. იგი ღვთისაკენ სწრაფვის, სიხარულით ნასაზრდოებ ტანჯვა-გვემის გზაზე მოწამის ადამიანური ბუნების გამოვლინებად აღიქმება. `ცხოვრებათა~ ჟანრის გმირების შემთხვევაში, ტრანსცენდენციის თანდასწრებით ცხოვრება, ღმერთთან მუდმივი თანაყოფნის სურვილი, მზაობა და ამ გზისათვის აღსრულებული ღვწა მარტოსულობის შეგრძნებისათვის ადგილს არ ტოვებს. მომდევნო ხანის საერო თხზულებების (`ამირანდარეჯანიანსა~ და სახოტბო პოეზიაში, ჟანრობრივი თავისებურებათა გათვალისწინებით) გმირთა სახეებშიც არ ჩანს მარტოსულობის კვალი. `ვეფხისტყაოსნის~ პერსონაჟებთანაც იგი მთავარ საზრუნავს არ წარმოადგენს და მხოლოდ წუთისოფლის სიმუხთლის ერთ-ერთ საყვედურად ისმის.

ნ. ბარათაშვილისთვის ყველაზე ახლობელი ქართულ მწერლობაში თვითშემეცნების გზას დამდგარი დავით გურამიშვილი იხილვება. ვფიქრობთ, ამ უკანასკნელთან მარტოსულობის განცდა მის `უძეობა~-`უშვილობაზე~ ჩივილში ვლინდება, რომელიც `დავითიანის~ `შვილებით~, მასზე ზრუნვით, მისი `გაზრდითა~ და ყმაწვილთათვის სწავლების სულისკვეთებით იძლევა. თითქოს გზაც ნაჩვენებია, მაგრამ ეს ყოვლისმომცველი გზაა და არა მხოლოდ მარტოსულთა და მიუსაფართათვის განკუთვნილი. თუმცა, საბოლოოდ ნ. ბარათაშვილის გზა მას უერთდება, რამეთუ თავგანწირული მხედრის მარტოსულობასთან გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჭეშმარიტ რწმენას, მის ცხოველმყოფელ ძალას ხელეწიფება, ნ. ბარათაშვილის კითხვას _ `სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?~ _ `მერანი~ სცემს პასუხს. პოეტის `ღრმა მე~ დიდი ფიქრის, შინაგანი ბრძოლისა და განსჯის შემდეგ მარტოსულობის დაძლევის ერთადერთ ჭეშმარიტ გზას ირჩევს _ პიროვნული თავისუფლების მოპოვების გზას. მარტოობის ძლევისათვის რწმენით ცხოველყოფილი სულის `მშვენიერი ლტოლვა~ `უმაღლესი სიამეა~. მისგან `თელილი~ `გზა უვალი~ მხოლოდ რწმენით გაიკვალება.

ვფიქრობთ, `სულით ობლობის~ ძლევის სწორედ ეს პირად-ინდივიდუალური გზის ჩვენებაა მოძმეთათვის ნიმუში. ესაა დემონსტრირება იმისა, რომ ბედისაგან დასაზღვრულ წუთისოფელში შესაძლებელია, ადამიანმა (მის მსგავსად) სძლიოს საკუთარ სულის უდაბურებას. და ამ მიზნის აღსრულებაში თუ მოძმეთ `მისგან თელილი გზა~ წარუძღვება და შეეწევა, მისი თავგანწირვა `ამაოდ არ ჩაივლის~. და ეს გზა `უვალია~, რამეთუ იგი ქართულ მწერლობაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვგონებ, პირველადაა თავჩენილი ნ. ბარათაშვილის პოეზიაში. ამ გზის სხვათათვის ჩვენებაა ნ. ბარათაშვილისათვის უმთავრესი საფიქრალი და საოცნებო, რისთვისაც ღირს მამულიდან მოშორება, უცხო მხარეში გადახვეწა და სიკვდილი

`მერანი~ რწმენაა იმისა, რომ ლირიკული გმირის სიკვდილი ღირებულია არა მარტო მისი პიროვნული ხსნისათვის, არამედ მარტოობით შეჭირვებისაგან დაღწევისათვის და პიროვნული თავისუფლების ძიების გზაზე შემდგარი მოძმეებისათვის, რამეთუ იგი უმაღლესი იდეალების წვდომა-მიახლების გზაა.

4. როცა ვითვალისწინებთ კ. კეკელიძის მეცნიერულ ღვაწლს საერთოდ ლიტერატურისმცოდნეობის და პოეტიკის დარგში, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ვრწმუნდებით, რომ აკად. კ. კეკელიძის მზერის არიდან არ გადიოდა არც ერთი საკითხი, პრობლემა დაკავშირებული ქართულ მწერლობასთან, რომელზეც კ. კეკელიძე არ ფიქრობდა, არ გამოთქვამდა თავის საფუძვლიან მოსაზრებას, არ სახავდა პერსპექტივებს, გზებს მომავალი კვლევა-

ძიებისათვის. ძველი ქართული მწერლობის ფუნდამენტურ პრობლემებს შეჭიდებული, ხელნაწერთა ფოლიანტებში ჩაძირული დიდი მეცნიერი, გვიკვირს, ნამდვილად გვიკვირს, როგორ ახერხებდა ღრმად და საფუძვლიანად გაცნობოდა, გაეანალიზებინა ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის თხზულებათა მეცნიერული გამოცემები, მიხეილ ზანდუკელის, გრიგოლ კიკნაძის, შალვა რადიანის, სერგი გორგოძის, აკაკი გაწერელიას, ლეილა სანაძის, ეთერ შუშანიას საკვალიფიკაციო ნაშრომები, ყოფილიყო მათი ოფიციალური ოპონენტი, შეეფასებინა ისინი ამომწურავად, დაესახა მომავლის ამოცანები, ახალი მეცნიერული დაკვირვებების საჭიროება და აუცილებლობა. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ გამოკვლევებს და სტატიებს ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რაოდენობით შედარებით მცირეს, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანს, დავასკვნით, რომ სრულიად გადაუჭარბებლად კორნელი კეკელიძე – 140 24 აკად. კორნელი კეკელიძე XX ს-ის 60-იან წლებამდე მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა მეტრს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში საერთოდ და ტონს აძლევდა, წარმართავდა კვლევა-ძიებას ყველა სფეროში.

5. XIX საუკუნის 50-იანი წლები საკმაოდ საინტერესო ეტაპია ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარების ისტორიაში. ამ პერიოდში სხვა საყურადღებო საკითხთა გვერდით ქართულ კრიტიკაში წამოიჭრება სალიტერატურო ენის პრობლემაც.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა 50-იანი წლების კრიტიკაში გაიშალა როგორც ისტორიულ ჭრილში, ისე თანამედროვეობის მოთხოვნილებების ასპექტში. სალიტერატურო ენის თაობაზე გამართულ პოლემიკაში მონაწილეობა მიიღეს ლ. არდაზიანმა, პლ. იოსელიანმა, ალ. ორბელიანმა, დ. ბაქრაძემ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოაზროვნეთა შეხედულებები ერთმანეთისაგან გარკვეულწილად განსხვავებულია, მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანი ნათლად აცნობიერებს ხალხურ მეტყველებასთან ლიტერატურის ენის დაახლოების საჭიროებას.

50-იანი წლების კრიტიკული მასალების ანალიზის საფუძველზე აშკარა ხდება, რომ სწორედ ამ პერიოდში მომწიფდა სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის მოთხოვნა, რომელიც სამოციანელებმა კატეგორიული ფორმით დააყენეს და რაც მთავარია, პრაქტიკულად განახორციელეს კიდეც. აღნიშნული გარემოება კი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ე. წ. „თაობათა ბრძოლის“ თეორიის სიმცდარეში, რომლის თანახმადაც, ძველი თაობა რადიკალურად უპირისპირდებოდა თერგდალეულთა ენობრივ-ლიტერატურულ შეხედულებებს.

6. გრიგოლ ორბელიანი მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის მეტად საინტერესო და რთული ფიგურაა. პოეტის საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ მეცხრამეტე საუკუნეშივე დაიმსახურა ურთიერთსაპირისპირო შეფასებები. დღემდე არ ცხრება პოლემიკა ორბელიანის პოლიტიკური თვალსაზრისის საკითხზე. მკვლევართა ერთი ნაწილი გრიგოლ ორბელიანს ვერ ჰპატიობს სიტყვებს „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!“, რომელიც მათ პოეტის პოლიტიკური მრწამსის გამოხატულებად მიაჩნიათ. საპირისპირო მოსაზრებას ავითარებს ამ საკითხის ირგვლივ პროფ. ლადო მინაშვილი, რომელიც თავის ნაშრომში „გრიგოლ ორბელიანთან ილია ჭავჭავაძის მიმართებისათვის“ მიუთითებს, რომ ლექსში „პასუხი შვილთა“ სიტყვებს – „ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას“ – ირონიული მიზანდასახულობა აქვს და გრიგოლ ორბელიანის მრწამსს კი არ გამოხატავს, არამედ ახალთაობელებს მიემართება და საყვედურობს მათ სიტყვისა და საქმის ერთმანეთისაგან დაშორებას. მიუხედავად მკვლევარის დამაჯერებელი არგუმენტაციისა, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით წრეებში ისევ ძველი თვალსაზრისია გაბატონებული (სადღეისოდ ამ მოსაზრებას კვლავ იმეორებენ რ. ჩხეიძე, ა. ნიკოლეიშვილი, ს. სიგუა, ლ. გიგინეიშვილი და სხვ.). ასეთ ვითარებაში ვფიქრობთ, აუცილებელია გავითვალისწინოთ ლექსის – „პასუხი უღირსთა შვილებთა“ – პირველნაბეჭდი ტექსტი („ცისკარი“, 1874, N 7-8), რომელიც მცირედ ვარიანტულ სხვაობას ავლენს ძირითად ტექსტთან და რომელიც სრულიად უეჭველს ხდის გრიგოლ ორბელიანის ხსენებული სიტყვების ირონიულ მიზანდასახულობას.

7. ქართული ფილოსოფიის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია სოლომონ დოდაშვილს, _ ფილოსოფოსს, მწერალს, პედაგოგს, მრავალდარგოვან სწავლულს, რომელიც XIX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ევროპეიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად გვევლინება.

სოლომონ დოდაშვილის მრავალმხრივი ფილოსოფიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდი ხანია იქცა მეცნიერული შესწავლის ობიექტად. გამოქვეყნებულია არაერთი საყურადღებო გამოკვლევა ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობის, მისი აზროვნების წყაროების, ლიტერატურული შეხედულებების შესახებ, თუმცა ცალკეული საკითხები კვლავ საჭიროებს თანამედროვე თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალთახედვით სიღრმისეულ გაშუქებას, რამდენადაც დოდაშვილის შემოქმედების ირგვლივ საბჭოთა ეპოქაში შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა არაა თავისუფალი კონიუნქტურის ზეგავლენისაგან.

ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ ქართველი ფილოსოფოსის ესთეტიკურ შეხედულებებზე, რამდენადაც, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ სწორედ სოლომონ დოდაშვილი დგას XIX საუკუნის ქართული ესთეტიკური და თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების სათავეებთან.

დღესდღეობით, სადავო აღარაა ის ფაქტი, რომ სოლომონ დოდაშვილი იდეალისტური ფილოსოფიის წარმომადგენელია და არა მატერიალისტური მოძღვრებისა, როგორც ამას თავგამოდებით ამტკიცებდა საბჭოთა მეცნიერება. საგანგებოდაა აღნიშნული აგრეთვე სოლომონ დოდაშვილის გარკვეული სიახლოვე რომანტიზმის ფილოსოფიასთან (ევგენიძე 2009; კაციტაძე 2014).

სოლომონ დოდაშვილის ნააზრევს რომანტიკულ მსოფლხედვასთან, უპირველეს ყოვლისა, აახლოებს განსაკუთრებული ინტერესი ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი. `ლოგიკის~ შესავალ ნაწილში ფილოსოფოსი წერს: `ფილოსოფია რომ ვისწავლოთ, საჭიროა ფილოსოფოსობა. ფილოსოფოსობა კი ნიშნავს ყურადღება მივაპყროთ თავის თავს, ჩავწვდეთ თავის თავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენივე თავი და ამ გზით დავადგინოთ სიმშვიდე ჩვენში და ჩვენდა. ყურადღება მივაპყროთ საკუთარ თავს ნიშნავს განვაყენოთ იგი ყოველივე იმისგან, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის: ეს ხდება, როცა გონებით ვტოვებთ ყოველივე გარეგნულს და თვით ჩვენს თავს წარვმართავთ მარტოოდენ შინაგანისაკენ. ჩავწვდეთ თავის თავს ნიშნავს გულდასმით ვიფიქროთ შინაგან მოვლენებზე, რომლებიც ჩვენში ხდება, გავხადოთ ჩვენი თავი გამოკვლევის უშუალო საგანი~ (დოდაშვილი 2001: 44).

სოლომონ დოდაშვილი თავისებური ინტერპრეტაციით გადმოგვცემს უძველეს თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ სამყროს ფილოსოფიური შემეცნების საფუძველთა საფუძველია თვითშემეცნება. როგორც ცნობილია, ეს შეხედულება რომანტიზმმა თავის უმთავრეს პრინციპად გამოაცხადა. გერმანული რომანტიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ნოვალისი წერდა: `ჩვენ ვოცნებობთ სამყაროში მოგზაურობაზე, მაგრამ განა სამყარო ჩვენშივე არ არის? ჩვენ ვერ შეგიცვნია სიღრმენი ჩვენი სულისა. სწორედ იქ მივყავართ საიდუმლო გზას... მხოლოდ ჩვენშია და სხვაგან არსად მარადისობა თავისი სამყაროებით, თავისი წარსულითა და მომავლით~ (Новалис 1990: 71).

სოლომონ დოდაშვილის ესთეტიკურ შეხედულებათა შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ტრაქტატი `რიტორიკა~, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად მიიჩნეოდა. სოლომონ დოდაშვილის `რიტორიკა~ კონსპექტური ხასიათის ნაშრომია, რომელშიც მჭევმეტყველების ხელოვნების ზოგადი საკითხებია გადმოცემული. ავტორი ლაკონიურად მსჯელობს ისეთი თემების ირგვლივ, როგორებიცაა: ორატორული თემის შერჩევა, სათქმელის ორგანიზება, დასაბუთების ხერხები და სხვ. ამ საკითხთა გვერდით `რიტორიკაში~ ავტორის ცალკეულ თეორიულ-ლიტერატურულ განაზრებებსაც ვხვდებით.

სოლომონ დოდაშვილის განსაზღვრებით, რიტორიკა არის მეცნიერება, ზოგადად, მჭევრმეტყველური ხელოვნებისა, და, კერძოდ, პროზის კანონთა შესახებ. ფილოსოფოსი იმთავითვე განასხვავებს ერთმანეთისაგან ორ ცნებას _ რიტორსა და ორატორს. დოდაშვილის თქმით, რიტორად იგი იწოდება, ვისაც ძალუძს მჭევრმეტყველების კანონთა შესახებ მსჯელობა, აღჭურვილია თეორიული ცოდნით, ხოლო ორატორი ისაა, ვისაც ამ კანონთა პრაქტიკული გამოყენებაც ხელეწიფება. ფილოსოფოსის აზრით, კარგ ორატორს დიდი თეორიული მომზადება ესაჭიროება. იგი საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს ზნეობრივ ფილოსოფიაში, მათემატიკაში, პოლიტიკურ მეცნიერებაში. თუმცა მხოლოდ განსწავლულობა არ კმარა ორატორული წარმატების მისაღწევად. სოლომონ დოდაშვილი ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ არსებით ფაქტორზე _ ბუნებით ნიჭზე, რომლის გარეშეც რთულია სრულყოფილ ორატორად ჩამოყალიბება.

რიტორიკის განვითარების ისტორიაში სოლომონ დოდაშვილი ორ პერიოდს გამოყოფს. თავდაპირველად, მისი თქმით, რიტორიკა იყო მეცნიერება პოლიტიკური მჭევრმეტყველების შესახებ,

როლო შემდეგ მისი საზღვრები გაფართოვდა და რიტორიკა იქცა ზოგადად პროზის თეორიად: `საგანი მისი არს განვითარება პროზაიკებრისა მწერლისა~ (დოდაშვილი 2001: 183).
დოდაშვილის თქმით, რიტორიკა იყოფა თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებად. თეორიული რიტორიკის მიზანია პროზაული მეტყველების ზოგადი კანონების დადგენა, ხოლო პრაქტიკულისა _ კონკრეტული ტექსტების მეცნიერული განხილვა-დახასიათება.
სოლომონ დოდაშვილი ერთმანეთისაგან მიჯნავს რიტორიკისა და პოეტიკის საზღვრებს. მისი თქმით, `რიტორიკა არს ჰსწავლა პროზისა, ხოლო პიიტიკა ჰსწავლა სტიხთქმისა~. ფილოსოფოსის განსაზღვრებით, რიტორიკა და პოეტიკა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შესასწავლი ობიექტის მიხედვით. რიტორიკა შეისწავლის პროზაულ ტექსტებს, ხოლო პოეტიკა _ პოეტურ თხზულებებს. ძალზე საინტერესოა ფილოსოფოსის მსჯელობა პოეზიისა და პროზის სპეციფიკის თაობაზე. დოდაშვილის დახასიათებით, `ორატორსა ჰსურს ჰსწავლებად, ხოლო სტიხმოქმედსა _ ამოვნებად. ჭეშმარიტება შეადრგენს თვისებასა პროზისასა, თვინიერ რომლისაცა მას არა ექმნების ფასი; შვენიერი იქმნების მას შინა მხოლოდ საშუალობა მიმთხვევისათვის ორატორებრისა საგნისა. სტიხმთქმელი წინააღმდგომ მისსა გამოუხრობელად წარმოადგენს შვენიერსა... სტიხთ ქმნა შეიცავს თვის შორის შვენიერსა თავით თვისით არა სასარგებლოსა, არამედ მხოლოდ კმაყოფილებისათვის~ (დოდაშვილი 2001: 182).

ციტირებული მონაკვეთის მიხედვით, ს. დოდაშვილი მიიჩნევს, რომ პოეზიასა და პროზას გარკვეულწილად განსხვავებული მიზნები აქვთ. პროზაიკოსის ამოცანაა, მკითხველი მიაახლოს ჭეშმარიტებასთან, გააფართოვოს მისი შემეცნების საზღვრები, განსწავლოს და ზნეობრივად აამაღლოს იგი. პროზაში ესთეტიკური ეთიკურს ექვემდებარება, მშვენიერი ჭეშმარიტისა და ზნეობრივის სამსახურში დგება. რაც შეეხება პოეზიას, მისი უმთავრესი მიზანი მკითხველისათვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭებაა. პოეზიაში მშვენიერს არა დაქვემდებარებული, არამედ თავისთავადი ღირებულება აქვს. ე. ი. პროზაში, ფილოსოფოსის აზრით, განსჯითი ასპექტია წარმმართველი, ხოლო პოეზიაში კი _ გრძნობადი. პოეზიაში სიტყვა მიზანია, ხოლო პროზაში _ საშუალება.

8. პუბლიცისტიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელშიც მკაფიოდ ვლინდება მწერლის აზროვნების მასშტაბურობა, დიდი ერუდიცია, ფილოსოფიურ სიბრტყეზე საკითხების დაყენებისა და გადაჭრის უნარი. ვაჟა პუბლიცისტიკას, როგორც მწერლობის დარგს, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა: „სიმართლე მწერლობაში ორნაირად ითქმის, - წერდა იგი, - ამ თქმას ორგვარი ფორმა აქვს, ერთი - პოეტურ-ბელეტრისტული და მეორე - პუბლიცისტური. საგანი ამათი ერთი და იგივეა - ცხოვრება, მისი მოვლენანი, ძველი თუ ახალი, მიზეზი ამ მოვლენათა და შედეგი. ორივენი ვსთქვათ ერთი და იგივე ჭეშმარიტებას ამბობენ, ერთსა და იმავე გზას ადგანან“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 400).

ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური ნააზრევი იდეურ-თემატური თვალსაზრისით ორგანულადაა დაკავშირებული მის მხატვრულ შემოქმედებასთან. ვაჟას, როგორც პუბლიცისტის, ინტერესები მეტად ფართო და მრავალფეროვანია. შეიძლება ითქვას, რომ მწერლის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა მისი თანამედროვე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტურ წერილებს შორის გამორჩეულია 80-90-იან წლებში დაბეჭდილი ეპისტოლარული ფორმის მქონე წერილების ციკლი „წერილები მეგობართან“, რომელიც არაა შეტანილი მწერლის თხზულებათა არც ერთ აკადემიურ გამოცემაში და რომლის იდენტიფიცირებაც ს. ლეკიშვილმა მოახდინა (ლეკიშვილი, 1969: 174-177).

1979 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ მომზადებულ ერთტომეულში - „თხზულებანი“ (ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები) - ლევან ჭრელაშვილმა ეს ტექსტები გააერთიანა საერთო სათაური ქვეშ - „წერილები მეგობართან“, დაალაგა ქრონოლოგიურად და გამოყო რომაული ციფრებით.

ამ წერილების მნიშვნელობას განაპირობებს ის გარემოება, რომ მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სრული წარმოდგენა შევიქმნათ ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მრწამსსა და მსოფლმხედველობაზე.

ვაჟას წერილებში საზოგადოებრივად აქტუალური არაერთი საკითხია განხილული როგორც ყოფით, ასევე თეორიულ ჭრილში.

პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცენტრალური პრობლემაა. აღნიშნულ საკითხს მწერალი უტრიალებს არამხოლოდ თავის ეპიკურ პოეზიაში, არამედ

პუბლიცისტურ წერილებშიც. აღნიშნული თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას „წერილების“ შესწავლა უფრო სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის ეთიკურ პოზიციაზე ხსენებულ საკითხთან მიმართებით. ვაჟას წერილების ანალიზი კიდევ ერთხელ ააშკარავებს მწერლის ინდივიდუალისტობის თაობაზე ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმული თვალსაზრისების უსაფუძვლობას.

ვაჟა-ფშაველას 80-90-იანი წლების პუბლიცისტიკის ერთ-ერთი საკვანძო თემაა განათლების პრობლემა. ვაჟა-ფშაველას, როგორც სამოციანელთა მოწაფეს, განათლების ცნება არ ესმის ვიწრო მნიშვნელობით, როგორც მხოლოდ ინტელექტუალური უნარების განვითარება და ცოდნის შეძენა. ვაჟა-ფშაველა აყენებს არა მხოლოდ პიროვნული, არამედ ეროვნული აღზრდის საჭიროების საკითხს. საგანმანათლებლო სისტემა, მწერლის თვალსაზრისით, უნდა ემსახურებოდეს ეროვნული აღზრდის, ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბების დიად მიზანს: პუბლიცისტს სანიმუშოდ მიაჩნია ევროპული საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც, მისი თქმით, ხელს უწყობს ადამიანის ღირსეულ პიროვნებად ფორმირებას, ნაციონალური სულით აღზრდას.

ვაჟა-ფშაველას წერილების ცენტრალური თემაა მისი თანამედროვე ახალგაზრდობის ზნეობრივი სახე და ინტელექტუალური დონე. ძალზე საყურადღებო და თანამედროვეობის თვალსაზრისითაც აქტუალურია ვაჟა-ფშაველას დაკვირვებები ქართველი ახალგაზრდობის ზნეობრივი სახის შესახებ. ვაჟა გულისტკივილს ვერ ფარავს იმის გამო, რომ მისი თანამედროვე ახალგაზრდობა მოწამლულია ეროვნული ნიჰილიზმით, მას აღარ სწამს საკუთარი ერის სულიერი შესაძლებლობებისა, მისი კულტურისა და მწერლობისა.

ძალზე საინტერესო საკითხია ახლგაზრდა ვაჟა-ფშაველას მიმართება სოციალური პრობლემებისადმი. ვაჟას „წერილები მეგობართან“ სწორედ იმ პერიოდში იბეჭდება, როდესაც საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოდის „მესამე დასი“ და ხალხოსნობა თანადათან გადაიზრდება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. ვაჟა-ფშაველას წერილების გაცნობისას ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა პუბლიცისტის ჯანსაღი ეროვნული პოზიცია. მწერალი იმთავითვე უარყოფითად იყო განწყობილი იმ პოლიტიკური დაჯგუფებებისადმი, რომლებიც სოციალურ ფენათა დაპირისპირებას და, ამდენად, ეროვნული მთლიანობის რღვევას უწყობდნენ ხელს. საინტერესოდ მსჯელობს ვაჟა სოციალურ ფენათა ურთიერთობისა და ე. წ. „წოდებრივი სიჯიუტის“ საკითხებზე. მწერლის მიერ სოციალურ პრობლემათა მრავალმხრივი ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები, ხშირ შემთხვევაში, სადღეისოდაც ინარჩუნებს სახელმძღვანელო მნიშვნელობას.

ვაჟა-ფშაველას 80-90-იანი წლების პუბლიცისტიკა საინტერესოა მხატვრული თვალსაზრისითაც. ვაჟას „წერილები მეგობართან“ დაწერილია მეტად სადა, ცოცხალი ენით და იგი თავისუფალია საგანგებო სტილიზაციისაგან. წერილებში ვაჟა ხშირად მიმართავს რიტორიკულ ფიგურებს. ამ სტილისტური ხერხების გამოყენებით პუბლიცისტი ახერხებს მკითხველის ყურადღების კონცენტრირებას და ამა თუ იმ პრობლემის საგანგებო აქცენტირებას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აფორიზმების, ანდაზებისა და ხატოვანი თქმების ხვედრითი წილი ვაჟა-ფშაველას „წერილებში“. ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი აზროვნება ხალხური წიაღიდანაა ამოზრდილი.

9. სტატიაში დახატულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი ზოგადად პორტრეტის სხვადასხვა ნიუანსთა გათვალისწინებით _ გარეგნობა, ხასიათი, მშობლები, ახლობელთა წრე, საქმიანობა, მიმოწერა, ეპოქა და შემოქმედება.

10. ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებულია აზრი, რომ, ზოგადად, სიმბოლისტური შემოქმედებითი აზროვნების ჟანრული პროფილი ოდენ პოეტური სახისმეტყველებაა, თუმცა ჟანრული სივრცე სიმბოლიზმის ევროპულ ისტორიაში პროზაულ, ბელეტრისტულ, დრამატურგიულ, მინიატურულ და ესეისტურ ლიტერატურასაც მოიცავდა.

ამ თვალსაზრისით თანამიმდევრულია ქართული სიმბოლისტური სკოლაც, რომელიც ევროპული ნარატივის შემოქმედებით ვარიაციას წარმოადგენს.

ქართული სიმბოლისტური პროზის ისტორიას ცალსახად უკავშირდება სანდრო ცირეკიძის სახელი. მან თავისი ცხოვრებითაც და შემოქმედებითაც თავიდან ბოლომდე გაიზიარა ე.წ. „დაწყევლილ პოეტთა“ ბედისწერაც და „დავიწყებულ ხელოვანთა“ ხვედრიც. თავის დროზე ის სხვა „ცისფერყნწელებთან“ ერთად ქმნიდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ახალ ისტორიას.

მინიატურა, როგორც ლიტერატურული ფორმა და ჟანრი, ყველაზე მეტად მიესადაგებოდა სიმბოლისტური თხზვის ფორმატს პროზაში. მედიტაციური მოტივებით, სამყაროს მისტიკური აღქმით, ცნობიერების ნაკადის ნარატივით ის სიმბოლისტური ლირიკული ლექსის კვალდაკვალ ვითარებოდა თეოფილ გოტიეს, ოსკარ უაილდის, ედგარ პოს, შარლ ბოდლერის, მორის მეტერლინკის და სხვა სიმბოლისტთა შემოქმედებაში. მეტიც, შეიძლება ითქვას, მინიატურამ, როგორც ჟანრმა, სიმბოლისტური მსოფლაღქმის ჩარჩოში მეტი მხატვრული დატვირთვა და გამომსახველობა ჰპოვა, რაც არა მხოლოდ თემის, იდეის, მხატვრული სახეებისა თუ ასახვის პრინციპში აისახებოდა, არამედ რიტმულობასა და ჰარმონიულობაში, ანუ, პოეტურ მეტყველებასთან სიახლოვეშიც. ეს მახასიათებელი ქართულ სიმბოლისტურ ლიტერატურასაც გააჩნია. ქართველმა სიმბოლისტმა მწერლებმა მინიატურული პროზის არაერთი საუკეთესო ნიმუში შექმნეს. მათ შორის, როგორც აღინიშნა, სანდრო ცირეკიძის მინიატურები განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. 1916 წლიდან მისი მინიატურები: „სპლინი“, „კენტი“, „პეიზაჟი“, „რომანი“, „ეპილოგი“ „სონეტი პროზით“, „მოელანდათ“ რეგულარულად იბეჭდებოდა „ცისფერყანწელთა“ ორგანოებში.

14. მეომარი ქალების, ამორძალების შესახებ წარმოდგენები არა მხოლოდ ბერძნულ კულტურაში, ევროპისა და აღმოსავლეთის ხალხებშიც არის კარგად ცნობილი როგორც ზეპირ გადმოცემათა, ისე ლიტერატურული გზით. „ათას ერთი ღამის“ მოთხრობებშიც არის ჩართული რამდენიმე ამბავი, რომელიც ამორძალების თემასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, თანამედროვე სამეცნიერო კვლევები არ ადასტურებენ ბერძნულ და არაბულ ტრადიციათა პირდაპირ კავშირს. მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში ქალთა ქვეყანას და მეომარ ქალთა სამფლობელოს ხშირად ვხვდებით საზღაპრო ეპოსში. ფოლკლორული მოტივების სიმრავლისა და კონტამინირებული სიუჟეტების გამო ეს საკითხი არ არის ადვილი შესასწავლი, მითუმეტეს, რომ ფოლკლორში მეომარი ქალის სხვადასხვა ტიპი არსებობს. სტატიაში წარმოდგენილია საშიში ქალებისა და ამორძალების ფოლკლორულ-ლიტერატურულ მოტივთა ადაპტაციის რამდენიმე მაგალითი ქართული და აღმოსავლური ზღაპრებიდან, კერძოდ, ქართული ზეპირსიტყვიერებიდან და „ათას ერთი ღამის“ მოთხრობებიდან. ზეპირ თხრობით ტრადიციებში მეომარი ქალები ისტორიულ თქმულებებსა და ჯადოსნურ ზღაპრებში ჩნდებიან. თქმულებების გმირები რეალურად არსებული პირები არიან, რომლებსაც ხალხური სიტყვიერება მითოლოგიურ სამოსელში ახვევს, ჯადოსნური ზღაპრების პერსონაჟი ქალები კი ჰიპერბოლიზებული ანტაგონისტები ან ზებუნებრივი ძალით დაჯილდოებული პროტაგონისტები არიან. ქართული და აღმოსავლური ზღაპრების საერთო მოტივები ძირითადად თხრობის ორ ტიპში გვხვდება: 1) სიუჟეტები, რომლებშიც ქალი საშიში მოწინააღმდეგეა და გმირი მას მოხერხებით ან ძალით იმორჩილებს, აცლის რა მას დემონურ ძალას, და 2) სიუჟეტები ვაჟად გადაცმულ ქალებზე, რომლებშიც ქალი ცენტრალური პერსონაჟია. გარდა ამისა, ვაჟად გადაცმული ქალის თემა ნოველისტურ ზღაპრებშიც ხშირია, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი სიმართლისთვის მებრძოლ მორალურად ამაღლებულ გმირებს წარმოადგენენ და არა ფიზიკურად ძლიერ მეომრებს.

15. ანოტაცია

„ჟამნის“ სახელით ცნობილ შავი ჭირის ეპიდემიაზე ქართულ ზეპირსიტყვიერ ფონდში იძებნება გადმოცემათა ციკლი, რომელიც ავადმყოფობის გავრცელების პროცესს, ადამიანების მასობრივ დასნეულებასა და დაღუპვას ასახავს. შავი ჭირის ეპიდემიასთან დაკავშირებული გადმოცემები ქართულ ფოლკლორში, სავარაუდოდ, XIV საუკუნის შუა წლებზე ადრე ვერ შეიქმნებოდა, რადგან საქართველოში ეს საშინელი სენი 1346-1348 წლებში მძვინვარებდა, რომელმაც შემდეგ კვლავ არაერთხელ იჩინა თავი.

ქართულ ფოლკლორში, ისევე როგორც მთელ ევროპაში გავრცელებულ თქმულებებში, გადამდები სნეულებები პერსონიფიცირებულია. „ჟამთ“ თავიანთი ფუნქციითა თუ საბრძოლო იარაღით, მართალია, ორეულები მოეპოვებათ ევროპის ხალხთა ფოლკლორულ თქმულებებში, თუმცა გარეგნული ატრიბუტებით, სატრანსპორტო საშუალებით, ადამიანებთან ურთიერთობითა და აკრძალვის დაწესებით ისინი ქართულ ფოლკლორში განსხვავებულ თვისებებს ავლენენ.

შავი ჭირის გამავრცელებელ მითოლოგიურ არსებებზე გადმოცემები ქართულ ფოლკლორში ძირითადად ხევსურეთის ტრადიციულმა საზოგადოებებმა შემოგვინახეს. აღნიშნული ციკლის გადმოცემები ხევსურეთში დიდი ჟამიანობის შესახებ მოგვითხრობენ. ისევე როგორც მითოლოგიური

შინაარსის ტექსტებისთვის არის დამახასიათებელი, გადმოცემებში მოქმედება ხდება კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში, კონკრეტულ სოფლებში. ხალხური მეხსიერება ჟამთან მოსახლეობის გამკლავებას, როგორც წესი, ეპიკურ-მითოლოგიურ ჭრილში წარმოგვიდგენს. ჟამნი ადგილობრივი მოსახლეობიდან ერთ-ერთ პირს ირჩევდნენ და ჟამის გასავრცელებლად იყენებდნენ. თუმცა დაუსჯელი არც ის რჩებოდა. აკრძალვის დარღვევის შემდეგ ჟამნი მას ჟამის გამომწვევი ისრებით საყვარელ შვილს უკლავდნენ.

სოფელს „ჟამთა“ ერთნაირი ზიანი ვერ მიაყენეს. თვითიზოლაციისა თუ თემის მფარველ წმინდანთა დახმარებით შავი ჭირის გამავრცელებელმა არსებებმა ზოგან საერთოდ ვერ შეაღწიეს, ისინი უკუიქცნენ ან სოფელს გვერდით აუარეს, ზოგან მოსახლეობა ეპიდემიისგან შედარებით ნაკლებად დაზარალდა, ხოლო ზოგიერთ სოფელში მოსახლეობა თითქმის მთლიანად გაწყდა, რასაც სოფლების სიახლოვეს დღემდე მოღწეული ჟამიანთა აკლდამებიც ადასტურებს.

ზეპირ ტექსტებში სიუჟეტურად არის გაშლილი მითოლოგიური არსებების ე. წ. „ჟამნის“ მიერ მოსახლეობის დასნებოვნება; გადმოცემებში ხსენდება „ჟამნის“ სატრანსპორტო საშუალებები, ეპიდემიის გამავრცელებელი იარაღი, ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები: პრევენციის მიზნით მაგიური საშუალებების გამოყენება, საყმოების გადარჩენაში ზებუნებრივ არსებათა მონაწილეობა და სხვ. აღნიშნული დეტალები ზეპირ ტექსტებს ეპიკურ სრულყოფილებასა და მხატვრულ-მითოლოგიურ დამაჯერებლობას ანიჭებს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. Коллективная монография… Эка Вардошвили
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. Тургенев: на перекрестке эпох и культур, (глава: И.С. Тургенев в Грузинской литературной критике) УДК 821.161.1 ББК 83.3(2Рос =Рус)Т87 ISBN 978-5-7281-2890-8.

2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Российский Государственный Гуманитарный Университет, Москва, 2021.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1. 3-439.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კოლექტიურ მონოგრაფიაში, ტურგენევი: „ეპოქათა და კულტურათა გზაჯვარედინზე“ რუს და ევროპელ მკვლევართა მიერ განხილულია ტურგენევის შემოქმედების მრავალმხრივი ასპექტები. ჩვენს მიერ წარმოდგენილ თავში: „ივანე ტურგენევი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“ საუბარია, რომ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მკვლევრები განიხილავენ ტურგენევის შემოქმედებას ფართოდ. ცდილობენ უყურადღებოდ არ დარჩეთ მისი არც ერთ ნაწარმოები თუ შემოქმედებითი პერიოდი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მის ისეთ ნაწარმოებებს როგორიცაა: „მონადირის ჩანაწერები“, „მამები და შვილები“, „რუდინი“, „აზნაურთა ბუდე“. მწერალზე საუბრობენ როგორც თავადაზნაურული ლიბერალიზმის ამსახველზე რუსულ ლიტერატურაში, რუსული მხატვრული რეალიზმის თვალსაჩნო წარმომადგენელზე, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა რუსული

და უცხოური ლიტერატურის განვითარებაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ 1883 წელს ილია ჭავჭავაძემ თარგმნა და „ივერიაში“ გამოაქვეყნა ტურგენევის „ლექსნი პროზითას“ ქართული თარგმანი. ამდენად, „ლექსნი პროზითა“ რუსულ მწერლობაში შემოიტანა ტურგენევმა. ამ თარგმანით კი ილია ჭავჭავაძე გვევლინება ამ ჟანრის დამამკვიდრებლად ქართულ რეალობაში.

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1. Коллектив авторов, Эка Вардошвили
2. თამარ პაიჭაძე

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. Русский язык как способ общения в межкультурном диалоге в XIXвеке, II международный конгресс «Языковая политика стран Содружества Независимых Государств», Государственный Институт русского языка имени А.С. Пушкина, Россотрудничество, (Алма - Ата, 26-28 Октября 2021 г.). Сборник, Доклады (Секция 4). УДК821.131.1. ББК 84 (2)/В87, ISBN 978-5-98269-254-2, стр. 160-163,
2. „გარსი მარადი“ – თეატრი სცენის მიღმა (მსოფლმხედველობრივი კონცეფციის გააზრებისათვის)“ IBSN 978-9941-99=519-2-3

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Москва 2021г.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1. с. 3-300.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კრებულში შესულ სტატიაში „რუსული ენა, როგორც კომუნიკაციის საშუალება კულტურათაშორის დიალოგში XIX საუკუნეში“ საუბარია, რომ ენა არის კულტურული ინტეგრაციისა და ხალხთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი. XIX ს. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ხალხებისათვის რუსული ენა იყო კომუნიკაციის ძირითადი საშუალება და კულტურათაშორისი დიალოგის ენა. რუსული ენის საშუალებით XIXს. ქართული საზოგადოება ეცნობოდა რუსული და ევროპელი მწერლების თხზულებებს, რაც გავლენას ახდენდა ლიტერატურული პროცესის განვითარებაზე და ხელს

უწყობდა საქართველოს ჩართვას კულტურათაშორის დიალოგში. აღსანიშნავია ისიც, რომ ენა ცოცხალი რაობაა და მუდამ განიცდის ცვალებადობასა და განვითარებას. თითოეული ენა გამოხატავს ერის სულს, ფსიქოლოგიას და ზნეობრივ ფასეულობებს.

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. ლელა ხაჩიძე
2. ლელა ხაჩიძე
3. ლელა ხაჩიძე
4. Eka Vardoshvili
5.ელენე გოგიაშვილი
6. ელენე გოგიაშვილი
7.ელენე გოგიაშვილი
8. ხვთისო მამისიმედიშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. „ისტორიული ჟანრის ბიზანტიური თხზულებები და მათი გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანი“ . ISBN 978-9941-491-25-2
2.“XI საუკუნის ქართული ხელნაწერი ათონური კოლექციიდან”. ISBN 978-9941-8-3942-9
3. „ისტორიული თხზულება - „საკითხავი დაუჯდომელთაჲ“ და მისი ქართული თარგმანები“ ISBN 02 34-7385
4. Idealization of the Sky in Lyrical Works of Georgian and European writes, www.ijsr.net, Licensed Under Creative Commons Attribution CC BY, Peer Reviewed, Paper ID: SR21203175032, DOI: 10.21275/SR21203175032, ISSN:2319-7064. Scientific Journal Impart Factor (SJIF 2019): 7,583,
5. The Translations of *the Thousand and One Nights* in Georgia and their Adaptations in Georgian folklore
6. Spiel um Leben und Tod in Georgischen Volksmärchen. 10.31338/uw.9788323549500.pp.87-94
7. Образ коня грузинского сказочного эпоса в контексте сравнительной мифологии, - Эпосоведение. Vestnik of North-Eastern Federal University. DOI: https://doi.org/10.25587/x3217-7539-4755-q
8. **Тайные знаки внешности героя в эпосах кавказских народов, DOI 10.25587/j3191-9513-3142-l**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. სამეცნიერო კრებული „კორნელი კეკელიძე - ქართული ფილოლოგიის პატრიარქი“
2.შავი ზღვის უნივერსიტეტის XVI საერთაშორისო დისტანციური კონფერენციის მასალები
3. მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 27, 2021
4. International Journal of Science and Research (IJSR) Volume l0 Issue 2, February 2021
5. Translation Studies: Theory and Practice. Vol. 1, No.1-2/2021.
6. Märchen und Spiel. Herausgegeben von Katarzyna Grzywka-Kolago, Małgorzata Filipowicz, Maciej Jędrzejewski.
7. Эпосоведение. Вестник Северо-Восточного федерального университета имени М.К. Аммосова. 1 (21)2021
8. **Вестник Северо-Восточного федерального университета имени М.К. Аммосова. Серия "Эпосоведение. Выпуск №2 (22) – Июнь 2021, ст. 23-32.**

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ გამომცემლობა „ქართველოლოგი“
2. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გამომცემლობა
3. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამომცემლობა
4. India ijsr
5. ერევანი: Yerevan State University
6. ვარშავა: Wydawnistwa Universytetu Warsyavskiego
7. იაკუტსკი: Северо-Восточный федеральный университет им. М.К. Аммосова
8. ჟურნალს ჰყავს საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, არის რეცენზირებადი ჟურნალი. ჩართულია ციტირების ბაზებში: CyberLeninka, Google Schular, DOAJ. გამოიცემა როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. იხ. https://doi.org/10.25587/j3191-9513-3142-l

5) გვერდების რაოდენობა
1. 18 გვერდი
2. 4 გვერდი
3. 28 გვერდი
4. pp. 350-353
5.8 გვერდი
6.6 გვერდი
7.8 გვერდი
8. 10 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ბიზანტიის ისტორიის ამსახველი ერთ-ერთი საინტერესო ძეგლია ე. წ. „საკითხავი დაუჯდომელთაჲ“. იგი ქართულ ენაზე სამჯერაა თარგმნილი. ნაშრომში შესწავლილი და განხილულია ამ თხზულების გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებული თარგმანი.
   კვლევამ გვიჩვენა, რომ გიორგი მთაწმინდელის თარგმანი შესულია რიგ ქართულ ხელნაწერებში, რომელთაგან გამოირჩევა A-500 და K-762. ამ ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოვამზადეთ გიორგი მთაწმინდელის თარგმანის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ეს გამოკვლევა.
   სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია გიორგი მთაწმინდელის მუშაობის ხასიათი. მის მიერ ნათარგმნი მრავალრიცხოვანი თხზულებები, მის მიერ შედგენილი ყოველი კრებული გამოირჩევა წყაროთა სიმრავლით და მასშტაბურობით. ამავე ნიშნით გამოირჩევა „დაუჯდომლის საკითხავის'' მის მიერ შესრულებული თარგმანიც. მასში, ფაქტობრივად, გადმოცემულია ბიზანტიის ისტორიის რამდენიმე ეპოქა. ესაა მთელი პანორამა VII-VIII საუკუნეების და წინადროინდელი საკვანძო ისტორიული მოვლენებისა იმდროინდელ იმპერიებში - ბიზანტიაში, ირანსა და არაბეთში.
   გიორგი მთაწმინდელის თარგმანში, თხზულების ბერძნული ორიგინალებისაგან განსხვავებით, საუბარია ამ ისტორიული ნაწარმოების შექმნის მიზეზებზე, ურჯულოთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის მცდელობებზე. კონსტანტინოპოლის სამ ალყასთან ერთად (626, 678 და 717-718 წლები), მასში გადმოცემულია წინაისტორია და მომდევნო მოვლენებიც. ბოლოს კი მოკლედაა გადმოცემული ისლამის ფუძემდებლის - მუჰამედის ცხოვრების ძირითადი ეპიზოდები.
   ნაშრომში განხილულია ამ თარგმანის ჩვენს მიერ გამოვლენილი ბერძნული წყაროები – გიორგი ამარტოლის “ისტორია” და თეოფანე აღმსარებლის “ქრონოგრაფია”.

2. ათონის მთაზე დაცული 86 ქართული ხელნაწერი X-XV საუკუნეებით თარიღდება და ქართული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ამ კრებულებს შორის ყურადღებას იმსახურებს XI საუკუნის ქართული ხელნაწერი - Ath.59. ხელნაწერი შეიცავს უმნიშვნელოვანეს ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულს - „მარხვანს“, რომელიც ეკუთვნის ქართული და ბიზანტიური კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელს-გიორგი მთაწმინდელს (1009-1065).

გიორგი მთაწმინდელის მიერ შედგენილი სრულყოფილი „მარხვანი“ შესწავლილია ჩვენს მიერ. ესაა უნიკალური კრებული, რომელიც მოიცავს VI-XI საუკუნეების ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის სრულ რეპერტუარს.

Ath.59 -ში დაცული ჰიმნოგრაფიული მასალა მასთან შედარებით გაცილებით მოკლეა. თითოეული დღის ლიტურგიკული განგება საგალობელთა მინიმალურ რაოდენობას შეიცავს. აქ ჯერ კიდევ არ გვხვდება საგალობელთა ის ტიპი (წარდგომანი), რომელიც მომავალში სისტემატურად დასტურდება გიორგი ათონელის მიერ შედგენილ კრებულებში. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ფსალმუნური დამოწმებები Ath.59-ში მოტანილია არა გიორგისეული, არამედ წინადროინდელი თარგმანიდან.

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც - გიორგი ათონელმა საჭიროდ მიიჩნია თავისი სახელოვანი წინამორბედის - ექვთიმე ათონელის შემდეგ ხელახლა ეთარგმნა ბიზანტიური პოეზიის შედევრი - ანდრია კრიტელის “დიდნი გალობანი“. ეს თარგმანი მან შეასრულა ბერძნულ ორიგინალთან შემდგომი დაახლოების მიზნით. Ath.59-ში კი ეს საგალობელი დაცულია წინადროინდელი თარგმანით, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ Ath.59-ის ტიპის კრებულის შედგენისას ეს საგალობელი მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა თარგმნილი.

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ „მარხვანზე“ გიორგი ათონელი მუშაობდა ხანგრძლივად, ეტაპობრივად. მისი რედაქციის სრულყოფილ, უნიკალურ „მარხვანს“ წინ უძღოდა ამავე კრებულის მოკლე რედაქცია. Ath.59 სწორედ ამ ტიპის კრებულია.

3. სამეცნიერო ლიტერატურაში „საკითხავი დაუჯდომელთაჲ“ მიჩნეული იყო ცნობილ საგალობლად - „აკათისტო” ანუ „ღვთისმშობლის დაუჯდომელი“. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ნათელყო, რომ „საკითხავი დაუჯდომელთაჲ“ არ წარმოადგენს ღვთისმშობლის „აკათისტოს“. სინამდვილეში ესაა ისტორიული ჟანრის თხზულება, რომელიც ქართულ ენაზე პირველად თარგმნა სტეფანე სანანოისძემ.

“საკითხავი დაუჯდომელთაჲ“ ბიზანტიის ისტორიის სამ რთულ პერიოდს ასახავს. ეს ისტორია აღწერილია VII საუკუნეში შექმნილ რამდენიმე ისტორიულ თხზულებაში. ესენია: თეოდორე სვინგელოსის ქადაგება, ანონიმი ავტორის „პასქალური ქრონიკა“ და გიორგი პისიდიელის ისტორიული თხზულება. ეს ავტორები თავად იყვნენ მონაწილენი ამ თხზულებებში აღწერილი ამბებისა.

ისტორიული ჟანრის ეს საინტერესო თხზულება სამჯერ ყოფილა თარგმნილი ქართულად. პირველი თარგმანი ეკუთვნის სტეფანე სანანოისძე - ჭყონდიდელს (X საუკუნის II ნახევარი), მეორე თარგმანის ავტორია ცნობილი მოღვაწე - გიორგი მთაწმინდელი (1009 -1065), მესამე თარგმანი კი ამ თხზულების მოკლე, სვინაქსარულია რედაქციაა, რომლის მთარგმნელი უცნობია.

ამ თარგმანების ერთმანეთთან შედარებამ ცხადყო, რომ სტეფანე სანანოისძის თარგმანი გამორჩეულია მხატვრულობით და დინამიურობით. თხზულების გიორგი ათონელისეულ თარგმანს გამოარჩევს მონუმენტურობა და ორიგინალის ზუსტად გადმოცემა. მესამე თარგმანი კი სვინაქსარულია, მოკლეა წინა თარგმანებთან შედარებით.

კვლევამ ნათელყო, რომ სტეფანე სანანოისძის თარგმანის ბერძნული ორიგინალი VII საუკუნის ბერძენი ისტორიკოსის - გიორგი პისიდიელის თხზულებაა. სტეფანე სანანოჲსძის თარგმანი ზედმიწევნით თანხვდება ორიგინალს. ამავე დროს, შეიცავს არაერთ ტერმინოლოგიურ სიახლეს.

გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანი მოცულობით საგრძნობლად აღემატება წინადროინდელ თარგმანს, რადგან გავრცობილია სხვადასხვა ისტორიული თხზულებებით.

კვლევამ ნათელყო, რომ თხზულების მესამე – სვინაქსარული თარგმანის წყაროა კონსტანტინოპოლის პატრიარქის – ნიკიფორე კალისტე ქსანთოპულოსის (XIV ს.) ისტორიული თხზულება, რომელიც, როგორც ჩანს, დამკვიდრდა შემდგომდროინდელ ტრადიციაში. თანამედროვე ქართულ, ბერძნულ და სლავურ ლიტურგიკულ პრაქტიკაში თხზულების სწორედ ეს ვერსია გვხვდება.

ეს ისტორიული თხზულება, შინაარსის გამო, დაუკავშირდა ცნობილ საგალობელს – “ღვთისმშობლის დაუჯდომელს” ანუ “აკათისტოს” და იკითხება დიდმარხვის მეხუთე - “აკათისტოს შაბათს”.

“საკითხავი დაუჯდომელთაჲ“ იყო ბიზანტიურ მწერლობაში კარგად ცნობილი ნაწარმოები, რომელიც საუკუნეების მანძილზე ივსებოდა ცნობილი ბერძენი ავტორების მიერ. ქართული თარგმანები სრულყოფილად ასახავს ყველა ამ ეტაპს.

4. სტატიაში „ცის იდეალიზაცია ქართველ და ევროპელ მწერალთა ლირიკულ თხზულებებში“ საუბარია, რომ XIX ს-ის ქართულ და ევროპულ ლიტერატურას საერთო თეორიული საფუძვლები გააჩნიათ. ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა გათვალისწინება პარალელური მოტივებისა და სახისმეტყველების ფორმების. საერთო ტენდენციები შეინიშნება როგორც ქართველ და ევროპელ რომანტიკოს, ასევე რეალისტ მწერალთა შემოქმედების განხილვისას. ცის სახისმეტყველება დამახასიათებელია ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, გოეთეს, ბაირონის, ჯ. ლეოპარდის, ჰ. ჰაინეს, ი. ჭავჭავაძის, ბერანჟეს და სხვათა პოეზიისათვის. ხილულ ცას აქვს თავისი შინაარსი, მისი შინაარსია მარადიული ცა, როგორც ღვთაებრივი რაობა. ამდენად, ამ მწერალთა ლირიკულ თხზულებებში ჩანს როგორც უხილავი, ანუ ღვთაებრივი, ასევე ხილული, ანუ მატერიალური ცა.

5. სტატია „ათას ერთი ღამის ზღაპრების ქართული თარგმანები და მათი ადაპტაციები ქართულ ფოლკლორში“ ინგლისურენოვანია, რომელშიც განხილულია ქართულ ხალხურ ზღაპრებში არსებული ლიტერატურული გავლენის საკითხები. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ბევრ საერთაშორისო მოტივს ეძებნება პარალელი „ათას ერთი ღამის“ მოთხრობებთან, მაგრამ პირდაპირი სიუჟეტური მსგავსება მხოლოდ რამდენიმე საზღაპრო ტიპთან გვხვდება, კერძოდ, საერთაშორისო საზღაპრო ტიპებში ATU938 და ATU 976. ქართულ ფოლკლორში „ათას ერთი ღამის“ ზღაპრები სხვა სიუჟეტებთან არის კომბინირებული. „ათას ერთი ღამის“ მოთხრობების პირდაპირი პარალელები ქართულ საზღაპრო რეპერტუარში დაფიქსირებულია „ალადინისა“ და „ალი ბაბას“ სახით. მიუხედავად იმისა, რომ ორივე საზღაპრო ტიპი მონათესავე ტიპებთანაც არიან კონტამინირებული, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებობს რამდენიმე ისეთი ტექსტი, რომლის პირველწყარო სწორედ ლიტერატურული ტექსტია, კერძოდ, ქართული თარგმანი. „ალადინი“ და „ალი ბაბა“, სამეცნიერო კვლევების თანახმად, ითვლება გვიანდელ ჩანამატად “ათას ერთი ღამის“ ძირითად ტექსტში. ეს ზღაპრები ანტუან გალანის ფრანგული თარგმანის შემდეგ გახდა პოპულარული ევროპაში მე-18 საუკუნეში და მათ მოტივებზე მრავალრიცხოვანი ლიტერატურული, მუსიკალური და ქორეოგრაფიული გადამუშავება შეიქმნა. ამ ზღაპრების ყველაზე დიდი გავრცელების არეალია ევროპა და ხმელთაშუაზღვისპირეთი. აზიის ქვეყნებიდან ეს ზღაპარი გვხვდება თურქეთში, ისრაელში, ერაყში, იემენში, ირანში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ინდოეთში, ინდონეზიასა და ფილიპინებზეც კი. ევროპული გზით გავრცელებულია ჩრდილო და სამხრეთ ამერიკაში. ლიტერატურათმცოდნეები და ფოლკლორისტები ერთხმად აღიარებდნენ ამ ზღაპრის ლიტერატურულ ფესვებს. ყველა ზეპირი ვარიანტი 1850 წლის შემდეგ არის ჩაწერილი, გალანის კრებულის გამოსვლიდან 150 წლის შემდეგ. „ალადინი“ და „ალი ბაბა“ ქართულ ფოლკლორში ლიტერატურული გზით დამკვიდრდნენ. საინტერესოა თავად ის მარშრუტი, თუ როგორ მოხვდნენ ისინი საქართველოში: რუსულად გადამუშავებული გალანის „ათას ერთი ღამის“ ცალკეული ზღაპრები ქართულად ითარგმნა მე-19 საუკუნის ბოლოს და მკითხველისთვის ცნობილი გახდა. მე-20 საუკუნეში წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნამ კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახადა ლიტერატურა და ეს ზეპირსიტყვიერებაშიც მალევე აისახა.

6. სტატია „სიკვდილ-სიცოცხლის თამაში ქართულ ხალხურ ზღაპრებში“ გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა ვარშავის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კრებულში. ნაშრომი ეხება საბავშვო თამაშში ზღაპრის წარმოდგენისა და საზღაპრო სიუჟეტებში თამაშის მოტივების ინტერპრეტაციას სოციალურ და კულტურულ კონტექსტში. სტატიაში განხილულია ზეპირი გადმოცემისთვის დამახასიათებელი ნიშნები: სტილი, იმპროვიზაციულობა, კომუნიკაციური უნარი, მსმენელის რეაქცია და შესრულების ტრადიციები. პერფორმანსის ფაქტორები თავისთავად სპეციფიკურ კულტურულ პირობებში მიმდინარე პროცესების ნაწილია, რომლებშიც ზეპირსიტყვიერი ნიმუშები იქმნება. პერფორმანსი როგორც ტერმინი ბევრ შემთხვევაში გამოიყენება, მაგრამ ფოლკლორისტიკაში პერფორმანსი აღნიშნავს თხრობის აქტს. პერფორმანსთან მჭიდრო კავშირშია სიტყვა „კონტექსტი“ და „თამაში“. საბავშვო თამაშები ყოველთვის საბავშვო არ არის და პერფორმანსის ფორმებიც სხვადასხვაგვარია. ის შეიძლება იყოს ხელოვნური კომუნიკაციის ფორმა, საუბრის განსაკუთრებული მანერა, გათამაშება, ციტატა. თამაში იმით განსხვავდება კომუნიკაციის სხვა ფორმებისგან, რომ აქვს შესავალი და დასასრული ფორმულები, რითაც მოთამაშე და დამკვირვებელი უნდა განეწყოს მოსასმენად, საყურებლად და სათამაშოდ. სტატიაში მიმოხილულია რამდენიმე ქართული საბავშვო თამაში და შედარება ქართული ხალხური ზღაპრების მითოლოგიურ მოტივებთან.

7. სტატია გამოქვეყნდა რუსულ ენაზე ეპოსის კვლევების საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში. ნაშრომში განხილულია ზღაპრულ-მითოლოგიური პერსონაჟთა თავისებურებები ეპიკური თხრობის ტრადიციაში. ჯადოსნური ზღაპრები მეტად საინტერესო წყაროს წარმოადგენენ მითოლოგიის საკითხების შესწავლისთვის. ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა ხალხურ ზღაპრებში, რომლის მხატვრული სახე განსაკუთრებულად დატვირთულია მითოსური პლასტებით, არის რაში. ზღაპრის სიუჟეტურ ტიპთა საერთაშორისო საძიებლის მიხედვით, ეს პერსონაჟი გვხვდება ჯადოსნური ზღაპრის სხვადასხვა ტიპში, უმეტესად კი ATU 314 (ოქროსთმიანი ვაჟი), ATU 551 (უკვდავების წყალი), ATU 531 (გონიერი ცხენი) ტიპებში. ამ ზღაპრებში რაში გმირის მეგობარი და შემწეა. ზღაპრები, რომლებშიც ცხენი ჯადოსნური შემწის ფუნქციას ასრულებს, ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში, როგორც ევრაზიის კონტინენტზე, ისე ამერიკაში. მითოლოგიური სიუჟეტებისა და ცალკეული მოტივების არსებობა ზღაპარში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ მათ უმრავლესობას უძველესი კონტექსტი დაკარგული აქვს და ახალ დატვირთვას იძენს. შემწე ცხენის სახე კი, შეიძლება თამამად ითქვას, უძველეს მითოსურ პლასტებს მთელი სისავსით შეიცავს. ზღაპრული რაშის მითოსური წარმოშობა პირველ რიგში დასტურდება იმით, რომ იგი ოთხი სტიქიის მატარებელია და ეს მის ცეცხლოვან და ფრთოსან ბუნებაში და მიწასა და წყალთან მჭიდრო კავშირში ვლინდება. ინდოევროპელ ხალხთა მითოლოგიურ სისტემებში ცეცხლოვანი ცხენი რიგ ღვთაებათა ატრიბუტი ან ჰიპოსტასია, უმეტესად ცეცხლთან და ჭექა-ქუხილთან დაკავშირებული ღვთაებებისა. რთულია თქმა, თუ რომელი სტიქია ჭარბობს ზღაპრული რაშის ბუნებაში ანდა რომელია მათგან უფრო ადრინდელი, როდის მოხდა ამ სტიქიათა ცხენის მხატვრულ სახეში თავმოყრა და პირიქით - ერთმანეთისგან დაყოფა. ზოგიერთ მითოლოგიურ სისტემაში რაში შეიძლება მთელი სამყაროს სიმბოლოც იყოს. მაგალითად, ძველი ინდური რიტუალი აშვამედჰა ცხენის მსხვერპლშეწირვაა, რაც სამყაროს ცხენის ნაწილებისგან შექმნას უკავშირდება. ზღაპრის სიუჟეტში მოქმედების განვითარებისთვის არა აქვს მნიშვნელობა, რა წარმომავლობისაა რაში, მთავარია თავის ფუნქციებს ასრულებდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაშის მითოსური ბუნება გამოკვეთილად ჩანს.

8. საგმირო ეპოსში ნაკლები ყურადღება ექცევა გმირის ფიზიკურ გარეგნობას. ეპიკური გმირის მხატვრული სახე მისი საგმირო საქმეებითა და თავგადასავლებით იძერწება. თუმცა როგორც ქართულ, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეპოსებში დასტურდება გმირის სხეულზე გამოსახული საიდუმლო ნიშნები, რომლებიც პერსონაჟის გარეგნობაზე ზებუნებრივი თვისებების ნივთიერ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ. მითოლოგიური ნარატივების თანახმად, საიდუმლო ნიშნები, რომლებიც ადამიანის სხეულზე სინათლეს გამოსცემს, მისი მფლობელის დავლათიანობასა და ღვთისაგან ნაწილიანობაზე მიუთითებს. ეპიკურ ტექსტებში გმირის სხეულზე გამოსახულ ნიშნებს აქვთ საკრალური შინაარსი, რადგან ისინი უმეტესად წარმოდგენილია ჯვრის, მზისა და მთვარის გამოსახულებით. ადამიანები, რომლებიც ასეთ ნიშნებს ატარებდნენ, ქართველ მთიელებში, კერძოდ ხევსურებში, ღვთისაგან ნაწილიანებად იწოდებოდნენ. ხალხის რწმენით, რჩეულებს ეს ნიშნები შობიდანვე დაჰყვებათ ზეციური არსებებისგან, როგორც დავლათიანობის, იღბლიანობისა და ბედისწერის ნიშანი.

ღვთაებრივ ნიშანს სხეულზე, როგორც რჩეულობისა და დავლათიანობის საკრალურ სიმბოლოს, პირველ რიგში მეფეები, კულტმსახურები და გამოჩენილი გმირები ატარებდნენ.

ეპიკური გმირის ბედი ხშირად დამყარებულია მის სხეულზე გამოსახულ საიდუმლო ნიშნებზე, რომლებსაც გმირისთვის ხან სახელი და დიდება მოაქვთ, ხანაც მისი დაღუპვის მიზეზი ხდება. გმირის გარეგნობა მისი უვნებლობის საიდუმლოს ინახავს. გმირის სხეულზე საიდუმლო ნიშნები დასტურდება კავკასიის ხალხთა ფოლკლორის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში: ეპოსებში, გადმოცემებში, ბალადებში. იგი, როგორც ადამიანის ღვთისგან რჩეულობის ნიშანი, გვხვდება ასევე შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაშიც.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მაკა ელბაქიძე

2. მაკა ელბაქიძე
3. ელგუჯა ხინთიბიძე
4. ლელა ხაჩიძე
5. ლელა ხაჩიძე
6. ლელა ხაჩიძე
7. ნანა გონჯილაშვილი, ე. ნავროზაშვილი
8. ლადო მინაშვილი
9. ლადო მინაშვილი
10. ლევან ბებურიშვილი
11. ლევან ბებურიშვილი
12. ლევან ბებურიშვილი
13. ლევან ბებურიშვილი
14. ეკა ვარდოშვილი
15. ეკა ვარდოშვილი
16. ეკა ვარდოშვილი
17. თამარ შარაბიძე
18. თამარ შარაბიძე
19. თამარ პაიჭაძე
20. თამარ პაიჭაძე
21. თამარ პაიჭაძე
22. თამარ პაიჭაძე
23. რუსუდან ნიშნიანიძე
24. რუსუდან ნიშნიანიძე
25. რუსუდან ნიშნიანიძე
26. რუსუდან ნიშნიანიძე
27. რუსუდან ნიშნიანიძე
28. რუსუდან ნიშნიანიძე
29. ქეთევან სიხარულიძე
30. ქეთევან სიხარულიძე
31. ქეთევან სიხარულიძე
32. ქეთევან სიხარულიძე
33. ელენე გოგიაშვილი
34. ელენე გოგიაშვილი
35. ელენე გოგიაშვილი
36. ელენე გოგიაშილი
37. ელენე გოგიაშვილი
38. ელენე გოგიაშვილი
39. ელენე გოგიაშვილი
40. ელენე გოგიაშვილი
41. ხვთისო მამისიმედიშვილი
42. ხვთისო მამისიმედიშვილი
43. ხვთისო მამისიმედიშვილი
44. ხვთისო მამისიმედიშვილი
45. ხვთისო მამისიმედიშვილი
46. ნესტან სულავა
47. ნესტან სულავა
48. ნესტან სულავა
49. ნესტან სულავა
50. ნესტან სულავა
51. ნესტან სულავა
52. ნესტან სულავა
53. ნესტან სულავა

54. ნესტან სულავა
55. ნესტან სულავა
56. ნესტან სულავა
57. ნესტან სულავა

2) მოხსენების სათაური

1. *წითელი სიკვდილი - მეტაფორა თუ წინასწარმეტყველება.* XV საერთაშორისო სიმპოზიუმის – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები „ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და თემატური გამოცდილება“.
2. *გლობალიზაცია როგორც ლიტერატურული ტენდენცია.* საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: გლობალიზაცია - იდენტობა - ლიტერატურა.
3. ქართულ-ბერძნულ-სირიული ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობების რამდენიმე საკვლევი საკითხი
4. “XI საუკუნის ქართული ხელნაწერი ათონური კოლექციიდან”
5. „ახალი ცნობები ათონზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ“
6. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ და ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერებში დაცული ცნობები“
7. „მერანის“ დასასრულის ტონალობის გააზრებისათვის.
8. „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის შესწავლის ზოგი ასპექტი და ილია ჭავჭავაძე“, პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები.
9.„იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები”, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია.

10.“გორა მბორგალი–ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის“
იაკობ გოგებაშვილი ქართული ბატონყმობის თავისებურებათა შესახებ / იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია.
11.. ვაჟა-ფშაველას 80-90-იანი წლების პუბლიცისტიკა / მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VII სამეცნიერო კონფერენცია.
12.გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ტრაქტატი „საუბარი ლირიკის შესახებ“ / მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია: „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა: ტენდენციები და გამოწვევები“
13.გალაკტიონ ტაბიძე და 40-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკა / საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ ეძღვნება ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს.
14.გიორგი ლასხიშვილი და მისი „მემუარები“, Giorgi Laskhishvili and his „Memories“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ, ეძღვნება ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს. თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროგრამა.
15. ფერდინანდ ბრუნეტიერის ნაშრომის „ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში“, კიტა აბაშიძისეული თარგმანი, Translation by K. Abashidze of The work of F. Brunetiere “Evolution of lyrical poetry in France in the XIX century”. პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, უკრაინისტიკის ცენტრი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი ფილოლოგიის ფაკულტეტი, პროგრამა
16. ხალხური ზეპირმეტყველების ასახვისათვის ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებში, ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროგრამა,
17. ვახტანგ ორბელიანის საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნება

18. ილია ჭავჭავაძის სატირული ლირიკა
19. „სიმბოლისტური ქალაქის მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი რეტროსპექტივა სანდრო ცირეკიძის მინიატურებში“
20. “გორა მბორგალი–ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის“
21. “მოდერნისტული სენი – სპლინი ქალაქში”
22. „გარსი მარადი“ – თეატრი სცენის მიღმა (მსოფლმხედველობრივი კონცეფციის გააზრებისათვის)“
23. ,,დანტეს პარადიგმა ისტორიული ემიგრაციის დისკურსში“
24. .,,ჩასწორებული“ პოეტური ტექსტები“
25. ,,იაკობ გოგებაშვილის ,,თბილისი და სიონის ტაძარი“ და ლიტერატურული გადამახილი ქართულ ემიგრანტულ პოეზიაში“
26. ნიკო სამადაშვილის პოეზიის მხატვრული ასპექტები“
27. .,,ემიგრაციაში შექმნილი პროზაული ტექსტების სათაურების გააზრებისათვის“
28. ,,მუზეუმში შემონახული ისტორიული სიმართლე“
29. ავადობა და ეპიდემია კავკასიელთა მითოლოგიურ-რელიგიურ კონტექსტში
30. ოჯახის მფარველის სახეობრივი და ფუნქციური გააზრება ქართული და ოსური მასალების მიხედვით
31. გოლიათთა ტიპები ფოლკლორული მასალების მიხედვით
32. ტრადიციული ქართული მოტივები შავშურ ფოლკლორში
33. ფოლკლორი და ლინგვისტიკა
34. ჰეროიკული წარსულის მისტერია ხალხურ გადმოცემებში
35. განშორება იაპონურ და ევროპულ ხალხურ ზღაპრებში
36. ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრების ქართული თარგმანების უცნობი ხელნაწერი
37. ჰანს ქრისტიან ანდერსენის „ბულბულისა“ და „თოვლის დედოფლის“ ადრეული ქართული თარგმანები
38. ოიდიპოსის სიუჟეტი ქართულ ზეპირ თხრობით ტრადიციაში
39. რა „აკეთილშობილებს“ ყაჩაღს? ფოლკლორული პარადიგმები.
40. ფოლკლორული ჟანრები და თანამედროვე მედია (კინემატოგრაფია, პოპკულტურა).
41. მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“ და მისი ფოლკლორული ფესვები
42. მიღმა სამყაროსთან კომუნიკაციის საშუალებები ხალხურ ტექსტებში (მესულეთე ქალები)
43. იაკობ გოგებაშვილი და ქართული ფოლკლორი
44. ქართული მოტივები ოსურ ლიტერატურაში
45. ქართული კულტურის ელემენტები ინგუშურ ფოლკლორში
46. რუსთველის პოემის სახელწოდების მეტაფორული გააზრება აღმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურულ თხზულებათა სათაურების კონტექსტში.
47. არჩილ მეფე და ანტონ პირველი დავით აღმაშენებლის შესახებ.
48. სამოელ კათალიკოსისა და იოვანე საბანის ძის ეპისტოლეები და მათი ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა. Epistles of Samuel the Catholicos and John Sabanis dze and their Literary-Historical Significance
49. ნიკოლოზ გულაბერის ძის „საკითხავის“ წყაროები.
50. ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალის“ ისტორიულ-კულტურული კონტექსტი და თანამედროვეობა.
51. მეფის ბიბლიური მოდელი და სულხან-საბა ორბელიანი.
52. წელთაღრიცხვის სისტემები ქართულ ჰაგიოგრაფიაში.
53. დავით გურამიშვილის სააზროვნო სისტემის ძირითადი მახასიათებლები მსოფლიო ლიტერატურისა და ინტერკულტურულ კონტექსტში.
54. მიხეილ (გობრონ) საბინინის „საქართველოს სამოთხის“ კომპოზიციისათვის.
55. კარვის სიმბოლური გააზრებისათვის „დავითიანში“.
56. აფხაზეთი ქართულ ჰაგიოგრაფიაში.
57. ივანე ჯავახიშვილი „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ ჟანრობრივი რაობის შესახებ.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. თბილისი. 22-24.09. 2021. ონლაინ ფორმატში
2. თბილისი. 9-10. 12. 2021. ონლაინ ფორმატში
3. აკად. კონსტანტინე წერეთლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია: 20-21 დეკემბერი, 2021. თსუ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.
4. 15.10. 2021 შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი / XVI საერთაშორისო დისტანციური კონფერენცია
5. 28.10.2021 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი დისტანციური კონფერენცია
6. 21. 12. 2021 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
„ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში"
7. VI საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია - ენა და კულტურა, 7-8 მაისი, 2021
8. 31.03.2021.თბილისი, საქართველო.
9. 28.10.2021.თბილისი, საქართველო.
10.28.10.2021. თბილისი, საქართველო.
11. 30.09.2021. თბილისი, საქართველო.
12. 24.09.2021. თბილისი, საქართველო.
13. 28.05.2021. თბილისი, საქართველო.
14. 27-29 მაისი 2021. თბილი, საქართველო
15. 31 მარტი, 2021. თბილისი, საქართველო
16. 23-24 აპრილი, 2021. თბილისი, საქართველო
17. 2021, 23-24 აპრილი, თსუ
18. 2021, 29 დეკემბერი, თსუ
19. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ქუთაისური საუბრები XVII **14-15.05.2021**
http://Kartvelology ge/
20. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: 1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ **27-2906.2021**
https://www.researchgate.net/publication/355338849_ivane_javakhishvilis_sakhelobis_tbilisis_sakhelmtsipo_universiteti_humanitarul_metsnierebata_pakulteti_saertashoriso_sametsniero_konperentsia_1921_tslis_istoriulkulturuli_movlenebi_khedva_saukunis_sh
21. ლიტერატურათმცოდეობის XV საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, ლიტერატურა და პანდემია-ისტორიული და თემატური გამოცდილება **22-24.09. 2021.**http://conference.litinstituti.ge/ka/
22. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში" ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი **23-24.10 2021**
http://www.batu.edu.ge/main/page/3305/index.html
23. დანტე ალიგიერის გარდაცვალებიდან 700 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,დანტეს შემოქმედების ლიტერატურულ-ენობრივი პარადიგმები, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანძური **2021**
24. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი **2021**
25. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია **2021**
26. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. ნიკო სამადაშვილისადმი მიძღვნილი ლექსმცოდნეობის XIV სამეცნიერო სესია 23-24. 06. **2021** თბილისი (ონლაინ ფორმატში)
27. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაცია-იდენტობა-ლიტერატურა"
თბილისი 9.12.**2021**
28. თბილისის მუზეუმების გაერთიანების მეორე საერთაშორისო კონფერენცია: ,,ქართული კულტურა და XX საუკუნე" **2021**
29.სექტემბერი, 2021წ. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თბილისი.

30. 13-14 ოქტომბერი, 2021წ. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
31. მარტი, 2021წ. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თბილისი

32. 5-7 ივლისი, 2021წ. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი
33. ივ. ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თბილისი, 23-24 აპრილი, 2021.
34. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია . თბილისი 28 ოქტომბერი, 2021
35.შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის VI სამეცნიერო კონფერენცია: „შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები ინტერდისციპლინური კვლევების სპექტრში“. თბილისი, 15-16 აპრილი, 2021.
36. საქართველოს ეროვნული არქივის VI საერთაშორისო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა - ტენდენციები და გამოწვევები“. თბილისი 23-24 სექტემბერი, 2021.
37. პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები”. 31 მარტი, 2021.
38. ანტიკური და ბიზანტიური სამყარო ინტერდისციპლინური კვლევების შუქზე. თბილისი 22-24 სექტემბერი, 2021
39. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ. ეძღვნება ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს. 27-29 მაისი, 2021.
40. . საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქუთაისური საუბრები XVII. 14-15 მაისი, 2021.
41. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი, 5-6 ივლისი, 2021.
42. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები, ხედვა საუკუნის შემდეგ“, მიძღვნილი ჭაბუა ამირეჯიბის 100 წლის იუბილესადმი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, 27 მაისი, 2021.

43. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, 28 ოქტომბერი, 2021.
44. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, 13-15 ოქტომბერი, თბილისი, 2021.
45. . ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის VII საერთაშორისო სამეცნიერო სესია, ენა და კულტურა, მიძღვნილი აკად. ქ. ლომთათიძის დაბადებიდან 110 წლისთავისადმი, 16 დეკემბერი, თბილისი, 2021.
46. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თბილისი. 20-22.12.2021.
47.დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო კონფერენცია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი. 24.12.2021.
48. 16 th International Silk Road Virtual Conference SILK ROAD – 2021 16TH INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE აბრეშუმის გზის მე-16 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია International Black Sea University. Tbilisi. 2021. 14-15. 10. ISBN 978-9941-8-3942-9
49. წმინდა გრიგოლ ფერაძის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისადმი. 2021 წლის 20 – 21 სექტემბერი.
50. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ. კონფერენცია ეძღვნება ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს. 27-29 მაისი, 2021.

51. პროფესორ იოსებ ალიმბარაშვილის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი. 28. 05.2021.

52. ქუთაისის VI საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ISSN 1987-7323. ქუთაისი, საქართველო. 7-9 მაისი, 2021 წელი. გვ. 287-292. Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences. Akaki Tsereteli State University. VI International Online Scientific Conference "Language and Culture". Scientific Papers. Kutaisi.

53. პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები. International Scientific Conference Dedicated to Prof. Otar Bakanidze LITERARY STUDIES: HISTORY, PERSPECTIVES AND CHALLENGES. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი უკრაინისტიკის ცენტრი ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი ფილოლოგიის ინსტიტუტი. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities Institute of Translation and Literary Relations Center for Ukrainian Studies Taras Shevchenko National University of Kyiv Institute of Philology. 31.03.2021.

54. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საფაკულტეტო კონფერენცია. 2021. 5-6 ივლისი.

55. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. 01.06.2021

56. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფერენცია: “აფხაზთა და ქართველთა ერთობის საზოგადოება – ერთობა ხვალისთვის”. 24.05.2021

57. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. თბილისი. 23-24 აპრილი. 2021.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

5. ათონური კოლექციის ქართულ ხელნაწერებს შორისაა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულები. Ath.38 ერთ-ერთი მათგანია. იგი დათარიღებულია XI საუკუნით. ეს კრებული შეიცავს გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანს“. ესაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი გიორგი მთაწმინდელის „მარხვანის“ შესასწავლად და ტექსტის დასადგენად.

ხელნაწერი ყურადღებას იმსახურებს მასზე დართული კოლოფონების თვალსაზრისითაც, რომლებშიც შემონახულია ახალი, აქამდე უცნობი ისტორიული ფაქტები ათონზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ.

Ath.38 იწყება კოლოფონით, რომელშიც დაასახელებულია სამი უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული - „პარაკლიტონი“, „სადღესასწაულოჲ“ და „მარხვანი“. ანდერძის მიხედვით, სამივე მათგანის შექმნის ინიციატორი და („მომგებელი“) ყოფილა გიორგი ციხისჯვარელი, რომლის საგანგებო ხსენება დაუწესებიათ აწიანის მონასტერში. ათონზე არსებული ამ მონასტრის შესახებ ცნობები თითქმის არაა შემორჩენილი. აღნიშნული კოლოფონის მიხედვით, იქ დაცული ყოფილა სამი უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული. ამ მონასტერთან დაკავშირებული ყოფილა გიორგი ციხისჯვარელი. ამ ცნობას ადასტურებს ათონის „სააღაპე წიგნიც“, რომლის მიხედვით გიორგი ციხისჯვარელს შეუძენია და გაუშენებია მიწა აწიანის მონასტრისათვის.

Ath. 38-ის ანდერძი ახალ ცნობებს შეიცავს ამ ისტორიული პიროვნების და აწიანის ქართული მონასტრის შესახებ.

ათონურ ხელნაწერზე დართულ დართულ ამ კოლოფონში ორჯერაა ნახსენები სიტყვა „ყურსალი“, რომელიც, კონტექსტის მიხედვით, ეროვნებას უნდა აღნიშნავდეს. ამ ყურსალებს აწიანის ქართული

მონასტრიდან მოუტაციათ გიორგი ციხისჯვარელის მიერ „მოგებული“ წიგნები. ანდერძის ავტორს, რომელიც, სავარაუდოდ, ანჩელი მოღვაწეა, მათგან გამოუსყიდია ისინი.

სიტყვა „ყურსალი“ ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებში არ გვხვდება. ეს სიტყვა არაა შესული სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონში,“ არც ილია აბულაძისა და ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონებში“ .

როგორც კვლევამ გვიჩვენა, სიტყვა „ყურსალი“ (Qursali) აღნიშნავდა დღევანდელი აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში მდებარე რეგიონს, რომელიც ამჟამად სომხეთის ტერიტორიაზეა და აზერბაიჯანელებითაა დასახლებული. ეს სიტყვა კომპოზიტია და ნიშნავს “ალის სოფელს ყურსის (Khurs) ტომისთვის. ალი, როგორც ცნობილია, მუსლიმთა გამორჩეული წმინდანია.

სომხური წყაროების მიხედვით, სიტყვა „Qursali“ თურქული წარმოშობის ხალხს აღნიშნავს. სწორედ ამ ეროვნების წარმომადგენლებს („ყურსალთა“) წაუღიათ ათონის მთაზე მდებარე აწიანის ქართული მონასტრიდან სამი კრებული. ანდერძის ავტორს ეს წიგნები კვლავ „ყურსალთაგან“ შეუძენია და დაუბრუნებია აწიანის მონასტერში.

6. გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ საქართველოს ეკლესიისა და ქართული კულტურის გამორჩეულ წმინდანს ეძღვნება. მასში დაცულია მრავალი ისტორიული ცნობა. ნაწარმოები სხვადასხვა კუთხითაა შესწავლილი. მოხსენებაში წარმოდგენილია მისი ახლებური ხედვა.

„ცხოვრების“ გარდა, გიორგი მთაწმინდელის შესახებ ცნობები დაცულია მის მიერ შედგენილ ქართულ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებშიც, კერძოდ, „თუენებსა“ და „მარხვანებში“. ამას ემატება მისივე ანდერძები, რომლებსაც ურთავდა თავის მიერ შედგენილ მრავალრიცხოვან კრებულებს. ნაშრომში, შედარებითი მეთოდის საფუძველზე, გამოვლენილი და შესწავლილია ის ცნობები, რომლებიც დაცულია როგორც აგიოგრაფიულ ნაწარმოებში, ისე გიორგი მთაწმინდელის რედაქციის კრებულებში. ეს ცნობები ეხება ხახულში არსებულ ძლიერ სამგალობლო სკოლას, სადაც, როგორც ირკვევა, განსხვავებული სამგალობლო ტრადიცია არსებულა. „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ ასევე გვაქვს ცნობა მისი იერუსალიმში მოღვაწეობის შესახებ, რასაც ადასტურებს რიგი იერუსალიმური ხელნაწერები. აგიოგრაფიული თხზულება და ლიტურგიკულ ხელნაწერებში დაცული ცნობები იდენტურია და ამავე დროს, ავსებენ ერთმანეთს მნიშვნელოვანი სიახლეებით.

31. კავკასიაში უძველესი დროიდან იყენებდნენ დაავადებათა მკურნალობის ხერხებს, რასაც ეთნოგრაფიული მონაცემების გარდა, ადასტურებს არქეოლოგიური აღმოჩენებიც (სამკურნალო იარაღები, ნამკურნალები ძვლები...). მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენები ადამიანის ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავდა და, რასაკვირველია, მასში დაავადებებიც იყო ჩართული. ამ წარმოდგენების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ სნეულებათა ორი ძირითადი ჯგუფი: ღვთაების ნებით მოვლენილი ავადობა (გამორჩეულობის ნიშნად ან სასჯელად) და ავი სულების ზემოქმედებით გამოწვეული მდგომარეობა. ეს განაპირობებდა ასევე მკურნალობის ფორმებს.

დროთა განმავლობაში განვითარდა ხალხური მედიცინა სხვადასხვა მიმართულებით. თუმცა მკურნალობის პროცესში აუცილებლად იყო ჩართული მაგიური ელემენტებიც, რადგან მიაჩნდათ, რომ ამის გარეშე შედეგს ვერ მიიღებდნენ. ყველაზე უფრო დატვირთული ამ მხრივ ინფექციური დაავადებებია. ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიცაა, რომ მათი მკურნალობა არ იცოდნენ და იმედს ძირითადად რელიგიურ-მაგიურ საშუალებებზე ამყარებდნენ. ყველა დაავადება პერსონიფიცირებულად ჰყავდათ წარმოდგენილი და რიტუალები უშუალოდ მათ მიემართებოდა. ყველაზე უფრო მდიდარი რიტუალური პრაქტიკა ახლდა სახადს (ბატონებს), რადგან ეს ინფექციური დაავადებები საღვთო ვალად ითვლებოდა. წეს-ჩვეულებებს უპირატესად ოჯახებში ასრულებდნენ და არა კოლექტიურად, რადგან ისინი თავიანთ სტუმრებად თვლიდნენ ამ მოგზაურ ღვთაებებს. თითოეული ოჯახი ხდებოდა მათი სალოცავი ადგილი, ავადმყოფის საწოლი კი - საკურთხეველი. ბატონებთან დაკავშირებულ წესებს დღესაც ასრულებენ საქართველოში და ამ ტრადიციას ცოტა ხნის წინ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

კავკასიელებს მიაჩნდათ, რომ ეპიდემიის დროს ავადობის მომტანი არსებები ალყაში აქცევდნენ სოფელს. ამ დროს მთელი კოლექტივი მონაწილეობდა საგანგებო რიტუალში. მათ სოფლის გარშემო წრიული მსვლელობით გაჰქონდათ ხნული და თან ლოცულობდნენ. ამ ხერხით ცდილობდნენ უკვე თავად დაავადება მოექციათ ალყაში და არ მიეცათ გავრცელების საშუალება. ერთ ხალხურ ლექსში, რომელშიც დაწვრილებითაა აღწერილი მე-19 საუკუნის შუა ხანებში თბილისში ქოლერის ეპიდემიის გავრცელება. აღნიშნულია, რომ ამ სნეულების განმასახიერებელმა არსებებმა ალყაში მოაქციეს ქალაქი.

ამ გვიანდელ ლექსშიც ეპიდემია წარმოდგენილია, როგორც ღვთის სასჯელი, რადგან ადამიანებმა დაივიწყეს ქრისტეს მცნებები.

32. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს ქართველებისა და ოსების მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენების მსგავსებას. ერთ-ერთი საინტერესო სახეა ოჯახის მფარველი სული, რომელსაც ქართველები ფუძის ანგელოზს უწოდებენ, ოსები - ბინათი ხიცაუს (დიასახლისს). მათი საერთო ნიშნებია ღვთაებრიობა, მდედრობითობა, ნაყოფიერებების ფუნქცია და ადამიანის/ოჯახის მფარველობა. სახეობრივი გააზრების ფორმებიდან ზოომორფული საკმაოდ მყარი აღმოჩნდა. ქართველებიცა და ოსებიც მას უპირატესად განსაკუთრებული ნიშნების მქონე გველად წარმოიდგენდნენ.

საქართველოშიც და ოსეთშიც ოჯახის მფარველს ქალები ემსახურებოდნენ, განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ. იგი მფარველობდა ადამიანებს, მასზე იყო დამოკიდებული ოჯახის ბარაქა, კეთილდღეობა და სიმშვიდე. ნაყოფიერებასთან მის კავშირზე მიუთითებს სახლში მისი ადგილსამყოფელი- ოსებს მიაჩნდათ, რომ ოჯახის მფარველი საკუჭნაოში ბინადრობს, ქართველების აზრით, მისი ადგილი კერასთან ან პურის შესანახ სკივრთანაა. ხალხის რწმენით, ოჯახის მფარველი ვერ იტანს უპატივცემულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სული დატოვებდა სახლს და თან წაიღებდა ოჯახის კეთილდღეობას. ამაზე მოგვითხრობენ ქართული და ოსური ხალხური გადმოცემები.

ოსეთში ბოლო დრომდე აღნიშნავდნენ ბინათი ხიცაუს ღამეს - ძველი სტილით ახალი წლის პირველი კვირის ოთხშაბათს. მას შავ ქათამს უკლავდნენ და მთელი ოჯახი იკრიბებოდა საკულტო სუფრასთან. სამეგრელოშიც ოჯახის მფარველის ლოცვა ოთხშაბათს ტარდებოდა, ქართლშიც ქათამს უკლავდნენ მისთვის განკუთვნილ დღეს. როგორც ოსებში, ისე ქართველებში ამ საკულტო დღეს მხოლოდ ოჯახის წევრები აღნიშნავდნენ და გარეშე პირს არ უმასპინძლდებოდნენ.

ქართული და ოსური წარმოდგენებისა და საკულტო პრაქტიკის მსგავსება ამ ორი ხალხის მეზობლობისა და კულტურული კონტაქტების შედეგია.

33. გოლიათი უნივერსალური, საერთო ტიპოლოგიური მახასიათებლების მქონე ფოლკლორული სახეა და მასზე გადმოცემებს ბევრი ხალხის ფოლკლორში ვხვდებით. იგი არქაული მითოლოგიის წიაღში ჩამოყალიბდა და სხვა ჟანრებში გადასვლის შემდეგაც შეინარჩუნა ეს ნიშნები. ზოგადი ერთგვაროვნების მიუხედავად, გარკვეული განსხვავებებია მათ გარეგნობასა და სიუჟეტურ ფუნქციებში, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ გოლიათთა ტიპებზე.

ბევრად უფრო ღრმაა განსხვავება გოლიათებს შორის იმ როლის მიხედვით, რასაც ისინი სიუჟეტის განვითარებაში ასრულებენ. არსებობენ ნეიტრალური და ბოროტი ბუმბერაზები და მათ ქცევას განაპირობებს ის, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნებიან.

ბუმბერაზთა განსაკუთრებულ ტიპს ქმნიან ცალთვალა გოლიათები, ციკლოპები, რომლებსაც შუბლში ერთი თვალი აქვთ. ეს მათთვის დამახასიათებელი გარეგნობაა, რომელიც მათ სახელებში აისახა (მრგვალთვალა, თეფშთვალა...).

ბევრი ხალხის მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, დედამიწის პირველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ გოლიათები, ღვთაებრივი არსებები. ბერძნულ მითოლოგიაში ასეთები არიან ტიტანები, გიგანტები, ჰეკატონხეირები. მათ შორის სამი ცალთვალა ციკლოპი მჭედლობის ხელოვნებას ფლობდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გადმოცემებშიც დევები მჭედლები არიან. სკანდინავიურ მითოლოგიაშიც პირველი არსებები გიგანტები არიან, მომდევნო თაობის ღმერთები კი მათი შვილები. ევრაზიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია გოლიათების გამოსახულებები და სცენები. პეტროგლიფების მკვლევრები მათში ხედავენ გარკვეულ მიმართებას მითოლოგიურ სახეესა და სიუჟეტებთან.

ხალხის წარმოდგენით, შემდეგ მოხდა თაობათა ცვლა. მომდევნო თაობები ზომით უფრო პატარები ჩნდებოდნენ და ბოლოს ადამიანის ზომაზე მოდგნენ.

დროთა განმავლობაში ამ მითოლოგიურმა პერსონაჟებმა ტრანსფორმაცია განიცადეს. ახალი, უფრო მოხერხებული თაობის მოსვლით გოლიათებმა დაკარგეს ძველი ღირსება და იქცნენ ბოროტ არსებებად, რომლებსაც საკუთრებას ძალით ართმევენ. ისინი უპირისპირდებიან მომდევნო თაობის

გმირებს, არ თმობენ თავიანთ პოზიციას და ახალი დროის გმირებს ბრძოლით უწევთ გოლიათების სიმდიდრის მოპოვება. ამგვარი დაპირისპირება აისახა საგმირო ეპოსსა და ჯადოსნურ ზღაპრებში. ქართულ ფოლკლორში შემორჩენილია გოლიათის სახის როგორც უძველესი, ისე გვიანდელი შრეები, რაც იმის მანიშნებელია, რომ ცალთვალა გოლიათის სახე ორგანულია ქართული ფოლკლორისთვის.

34. ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე შავშეთში 2005-2010 წლებში იმუშავა თანამშრომელთა მუდმივმოქმედმა კომპლექსურმა ექსპედიციამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის თანამშრომლები. მათ მოიარეს შავშეთის ე.წ. მექართულე და მეთურქულე სოფლები და შეაგროვეს ფოლკლორული, დიაქლექტოლოგიური, ეთნოლოგიური მასალები, რაც აისახა სამეცნიერო პუბლიკაციებში.

შავშეთში დაფიქსირებული ფოლკლორული მასალა მოიცავს საყოფაცხოვრებო, საწესჩვეულებო, ასევე სატრფიალო ლექსებს, შელოცვებს. საყურადღებოა ისტორიული და მითოლოგიური შინაარსის ნარატივები, რომლებშიც მეორდება ქართულ ფოლკლორში ცნობილი მოტივები. ასეთებია გადმოცემები თამარ მეფეზე და ქვაკაცებზე. როგორც საქართველოში, ამ მეგალითურ ძეგლებთან შესრულებული რიტუალებიც ამინდის მართვასთანაა დაკავშირებული.

შავშეთში მოპოვებული მასალაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ფოლკლორი დიდხანს ინარჩუნებს სიცოცხლის უნარს და ტრადიციული მოტივებიც რჩება ხალხის მეხსიერებაში, მაგრამ ეთნიკურ და სარწმუნოებრივ ნიადაგს მოწყვეტილი კარგავს შემოქმედებით იმპულსს და მისი მხატვრული მხარეც ღარიბდება.

41. გადმოცემები მიხა ხელაშვილის ბობოქარი ცხოვრების შესახებ, ისევე როგორც მისი ლექსების ნაწილი, საბჭოთა პერიოდში ზეპირად ვრცელდებოდა. მთის ხალხებში მიხა ხელაშვილის პოეზიის განსაკუთრებულ პოპულარობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. ფშავლებმა და ხევსურებმა მიხა ხელაშვილის ლექსები სიმღერებად აქციეს და მათ ფანდურის თანხლებით რელიგიურ დღესასწაულებსა თუ უბრალო საოჯახო ტრაპეზებზე დიდი მოწიწებით ასრულებდნენ. მთის ხალხებში მიხა ხელაშვილის პოეზიის განსაკუთრებულ პოპულარობას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა. ჯერ ერთი, რომ მისი ლექსები, რომლებსაც პოეტი ძირითადად ფშაურ დიალექტზე ქმნიდა, ახლოს იყო ფოლკლორთან და ხალხურ მოტივებთან. ის თემები და მოტივები, რაზეც მიხა ხელაშვილი წერდა, ხალხსაც აწუხებდა და იზიდავდა. მისი პოპულარობის მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ მიხა ხელაშვილი ხალხის მეხსიერებაში დარჩა როგორც სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი. მიხა ხელაშვილს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის გამორჩეულ მებრძოლს, ისეთი ცხოვრება და სიკვდილი ერგო წილად, როგორიც გენიოსი მწერლების შემოქმედებაში დიდი ტრაგედიების სიუჟეტებად იქცევიან ხოლმე. ბოლშევიკების მიერ დაქირავებულმა მკვლელებმა 25 წლის მიხა ხელაშვილს სიცოცხლე ღალატით მოუსწრაფეს. ღალატი განსაკუთრებით შემზარავი იყო, რადგან მასში ახალგაზრდა პოეტის უახლოესი მეგობრებიც მონაწილეობდნენ.

პოეტის სახელის აკრძალვის მიუხედავად, საბჭოთა პერიოდში მიხა ხელაშვილის პოეზია ზეპირად თუ წერილობით მკითხველამდე და მსმენელამდე მაინც აღწევდა. ის იყო ჭეშმარიტად სახალხო პოეტი. მისი ლექსები პირველად 1934 წელს ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ შედგენილ ხალხური პოეზიის კრებულში ავტორის ვინაობის მითითების გარეშე დაიბეჭდა. საბჭოთა პერიოდში უაღრესად პოპულარული გახდა მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“, რომელსაც ანსამბლ „ივერიის“ ცნობილი სოლისტი თემურ წიკლაური, როგორც ხალხურ ლექსს, ასრულებდა. ავტორის ვინაობის მითითებით მიხა ხელაშვილის ლექსები პირველად 1970 წელს დაიბეჭდა ალექსი ოჩიაურის მიერ შეკრებილ „ფშავ-ხევსურულ პოეზიაში“. კრებულში შესული იყო მიხა ხელაშვილის რამდენიმე ლექსი, მათ შორის „ლექსო ამოგთქმ“.

მიხა ხელაშვილის პოეტურ შედევრს - „ლექსო ამოგთქვამ“ - სიღრმისეული პარალელები დაეძებნება ერთ-ერთ ჩეჩნურ ხალხურ სიმღერასთან „როცა ჩემს საფლავზე მიწა გაშრება“, რომელიც ლ. ტოლსტოიმ „შურისძიებისა და სილაღის გამომხატველ საოცარ სიმღერათა“ რიცხვს მიაკუთვნა. ეს ძველი ჩეჩნური სიმღერა პირველად შეიტანა ი. პ. იპოლიტოვმა თავის პუბლიკაციაში „არღუნის ოლქის ეთნოგრაფიული ნარკვევი“, რომელიც დაიბეჭდა 1868 წელს თბილისში, რუსულ ენაზე გამომავალ კრებულში „კავკასიის მთიელთა შესახებ“ (Сборник сведениий о кавказских горцах).

მოხსენებაში ისტორიულ-შედარებითი და სტრუქტურული მეთოდის გამოყენებით განხილულია პარალელიზმები მიხა ხელაშვილის ლექსსა და ჩეჩნურ ხალხურ სიმღერას შორის.

42. ქართული მითოლოგიური გადმოცემები, ამქვეყნიური, ჩვეულებრივი ცხოვრების გარდა, სამ პარალელურ სამყაროს წარმოგვიდგენს: ზეციურ სამეფოს, დემონურ ძალთა შესაკრებელს და საიქიოს. მართალია, სამივე მათგანი ბუნების მიღმა, მეტაფიზიკურ სამყაროში მოიაზრებოდა, მაგრამ ტრადიციული ადამიანისთვის ის სულაც არ იყო უცხო, მიუწვდომელი და „არარეალური“. ხევსურული ტრადიციის მიხედვით, ზებუნებრივ არსებებთან ურთიერთობას ქადაგი და ხუცესი ამყარებდა, მიცვალებულებთან - მესულეთე.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის და, კერძოდ, ხევსურეთის ტრადიციული საზოგადოებები წარმოუდგენელი იყო ამ პროფესიის ადამიანების გარეშე, რადგან არქაული სოციუმის თითოეულ წევრს ეჭვშეუტანლად სწამდა როგორც ზეციური ქვეყნის, ისე მიცვალებულთა სამეფოების არსებობა.

შეიძლება ითქვას, რომ ხუცეს-ხევისბრები, ქადაგები და მესულეთეები იყვნენ ტრადიციულ ცოდნაში გაწაფული და განსაკუთრებული უნარებით დაჯილდოებული ადამიანები, რომლებიც მითოსური სიტყვისა და რიტუალის საშუალებით შეიცნობდნენ როგორც მიღმა სამყაროს, ისე სხვა, უცხო ძალების კვალს. მიღმა სამყაროს შესახებ მითოლოგიური წარმოდგენები სწორედ ხუცეს-ხევისბერთა და ქადაგ-მესულეთეთა ხილვებმა შემოგვინახა.

მესულეთეობის საიდუმლო პროფესიას ქალები ფლობდნენ. მესულეთე ქალის მიერ ნასულეთარის წარმოთქმის პროცესს „სულში წასვლას“ უწოდებდნენ. მესულეთეს ნასულეთარი რომ წარმოეთქვა, ის სულების სამყაროში უნდა გადასულიყო და დამსწრე საზოგადოებისთვის სულების სურვილი გამოეცხადებინა. ნასულეთარის წარმოთქმის პროცესი იმპროვიზაციული იყო და შემოქმედებით ხასიათს ატარებდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მესულეთეს წინასწარ მაინც ჰქონდა ტრადიციით დამკვიდრებული ტექსტის ზეპირი მზა ფორმა, ერთგვარი ყალიბი, რომელსაც ის ვერ შეცვლიდა, რადგან ნასულეთარი, ნაქადაგარი და ხმით ნატირალი - ყველა ეს ტექსტი, ხევსურული ზეპირსიტყვიერი ტრადიციის მიხედვით, ცხრამარცვლიანი სალექსო ტაეპებით უნდა ყოფილიყო გაწყობილი.

მესულეთეები საზოგადოებას მიცვალებულის სახელით გარდაცვლილის ნება-სურვილსა და საიქიოს ამბებს გადმოსცემდნენ. ხალხს სწამდა, რომ მესულეთეს მიცვალებულის სული ალაპარაკებდა.

მესულთანე ქალები იყვნენ მაღალი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები. ამავე დროს ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ტრადიციული საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუ თემი ვერ მოახერხებდა მოსისხლე მტრების შერიგებასა და გვარებს შორის დაპირისპირების შეწყვეტას, ასეთ სიტუაციაში მესულთანე ქალები თავიანთი სიტყვითა და ნასულეთარით გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ. ისინი გარდაცვლილის სახელით მტრებს შერიგებისკენ მოუწოდებდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ცხოვრების არქაული სტილი, მითოლოგიური გადმოცემები და მათი მსგავსება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოებთან, მაფიქრებინებს, რომ მესულეთე ქალები ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და, ზოგადად, ჩრდილოეთ კავკასიის სხვა თემებშიც უნდა ყოფილიყვნენ, რადგან, ხალხური ტრადიციის მიხედვით, ამას მოითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სტილი და საზოგადოების დაკვეთა.

43. XIX საუკუნის II ნახევარში ქართველ 60-იანელთა ყველა მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყების აქტიური მხარდამჭერი იყო იაკობ გოგებაშვილი. განსაკუთრებით დასაფასებელია მისი ღვაწლი ქართული ფოლკლორის ნიმუშების შეკრებისა და გამოცემის საქმეში, რადგან მანამდე საქართველოში ხალხური ტექსტების ჩაწერისა და პუბლიკაციის თითქმის არანაირი გამოცდილება არ არსებობდა.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც დიდი პედაგოგი, მწერალი და განმანათლებელი დაუცხრომლად იღვწოდა ქართული ზეპირსიტყვიერების პოპულარიზაციისთვის. ფოლკლორული შემოქმედებით იაკობ გოგებაშვილის დაინტერესებას თავისი მიზეზები ჰქონდა: ქვეყანაში, სადაც რუსიფიკატორული რეჟიმი მძვინვარებდა, ერის კულტურული იდენტობის შესანარჩუნებლად ფოლკლორი ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ საშუალებას წარმოადგენდა და დიდ როლს ასრულებდა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, მის ეროვნულ კონსოლიდაციაში. მეორე მხრივ, ფოლკლორულ შემოქმედებას, რომელსაც ხალხის ზეპირი მეხსიერება ინახავდა, ჩაწერისა და

წერილობითი დაფიქსირების გარეშე, თანდათან დავიწყებისა და გაქრობის საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომაც იაკობ გოგებაშვილი დაინტერესებული იყო ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებითა და გამოცემით.

იაკობ გოგებაშვილი თავიდანვე აქტიურად ჩაერთო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფოლკლორულ-შემკრებლობით საქმიანობაში. მან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით პეტრე უმიკაშვილთან ერთად 1882 წელს შეადგინა პირველი სახელმძღვანელო-პროგრამა ფოლკლორის შემკრებთათვის, რომელიც თანამედროვე ფოლკლორისტიკაში აღიარებულ სტანდარტებსაც აკმაყოფილებს და, აქედან გამომდინარე, დღემდე არ დაუკარგავს თავისი პრაქტიკული და სამეცნიერო მნიშვნელობა. პროგრამაში მისმა შემდგენლებმა მკაფიოდ ჩამოაყალიბეს ხალხური ტექსტის ჩაწერის პრინციპები, რის გამოც იგი ზეპირსიტყვიერების შემკრებთათვის ერთგვარ მეთოდურ სახელმძღვანელოდ იქცა. პროგრამა გმობდა ხალხური ტექსტების გადაკეთებასა და სტილიზებას, რომელიც დამკვიდრებული პრაქტიკა იყო XIX საუკუნის II ნახევრის ფოლკლორისტიკაში. პროგრამის მიხედვით, ფოლკლორული ნიმუშები უნდა ჩაწერილიყო ისე, როგორც მთხრობელი წარმოთქვამდა.

იმ დროს, როცა იაკობ გოგებაშვილმა „პროგრამა ხალხის სიტყვიერების შეკრებისათვის“ შეადგინა, მას უკვე ჰქონდა ფოლკლორული ტექსტების ჩაწერის საკმაო გამოცდილება, ხალხში გაბნეული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების გამოვლენისა და მოძიების საკუთარი მეთოდიკა. XIX საუკუნის 70-იან წლებში იაკობ გოგებაშვილს თავის მშობლიურ სოფელ ვარიანში ჩაუწერია ხალხური ლექსები და ზღაპრები, ფოლკლორის ნიმუშების მთელი კოლექცია, რომლებიც შემდეგ გარკვეული პედაგოგიური მიზანდასახულობით ბავშვებისთვის შედგენილ წიგნებში: „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“ - შეიტანა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ფოლკლორისტიკაში ზეპირსიტყვიერი ნიმუშების ე. წ. „პასპორტიზაციის“ საკითხი ოფიციალურად პირველად იაკობ გოგებაშვილმა წამოჭრა. მისი აზრით, ხალხურ ტექსტს აუცილებლად უნდა ჰქონოდა დართული ე. წ. „პასპორტი“ - კონკრეტული ცნობები ფოლკლორული ნაწარმოების შესახებ, სახელდობრ, მითითებული უნდა ყოფილიყო ხალხური ტექსტის ჩაწერის ადგილი, ჩამწერისა და მთხრობელის ვინაობა. იაკობ გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ თავისი ბუნებით ანონიმურ ხალხურ ნაწარმოებს სწორედ ეს მონაცემები ანიჭებდა სანდოობასა და სამეცნიერო ღირებულებას, რადგან ზუსტი დოკუმენტაციის გარეშე ხალხური ტექსტი ავთენტური ვერ იქნებოდა. იაკობ გოგებაშვილი ასევე მოითხოვდა ხალხური ტექსტის მთქმელისა თუ შემსრულებლის პროფესიის დაფიქსირებას; მას მნიშვნელოვნად მიაჩნდა იმის აღნიშვნაც, იყო თუ არა მთხრობელი ფოლკლორული ნაწარმოების პროფესიონალი შემსრულებელი - მესტვირე ან მეფანდურე.

იაკობ გოგებაშვილმა ქართული ხალხური ანდაზების საფუძველზე შექმნა საბავშვო ნაწარმოებები, რომლებიც ზეპირსიტყვიერ ნიმუშებთან ერთად „დედა ენის“ საკითხავ წიგნსა და „ბუნების კარში“ შეიტანა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ პოპულარობა მეტწილად იმანაც განაპირობა, რომ მასში დიდი ადგილი ეთმობოდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. იაკობ გოგებაშვილის მიერ შერჩეული ფოლკლორული მასალა, ერთი მხრივ, ადვილი გასაგები იყო ნორჩი მკითხველისთვის, ხოლო მეორე მხრივ, უყალიბებდა ბავშვებს ზნეობრივ-მორალურ ფასეულობებს, ქვეყნისა და ადამიანების სიყვარულს.

44. ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში მეგობრობის არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა ქართულ-ოსურ ურთიერთობებში, რომლის შესახებაც მოგვითხრობენ როგორც შუა საუკუნეების ქართული ისტორიული ქრონიკები, ისე ხალხური ზეპირი ტექსტები და პუბლიცისტური წერილები. საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ გულგრილი არც ოსი მწერლები დარჩენილან. ოსურ ლიტერატურაში დასტურდება ქართული თემები და მოტივები, ქართული ონომასტიკა. ოს მწერალთა ნაწარმოებებში მონაწილეობენ ქართველი პერსონაჟები.

საქართველოს თემით ოსი მწერლების დაინტერესება არ იყო მოულოდნელი, რადგან ოსური ლიტერატურა ქართული კულტურის წიაღში წარმოიშვა, რასაც პირველი ოსი მწერლის იოანე იალღუზიძის ცხოვრება და შემოქმედებაც ადასტურებს. ისტორიულმა წარსულმა, მეზობლობამ და ერთ ქვეყანაში თანაცხოვრებამ ქართველი და ოსი ხალხი მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან.

ოსი მწერლების დიდი ნაწილი საქართველოში დაიბადა და ქართულ კულტურაზე აღიზარდა. მათი შემოქმედება ქართული კულტურის ნაწილს წარმოადგენს, რადგან მათ მხატვრულ

ნაწარმოებებში ძირითადი მოქმედებები ხდება საქართველოს ტერიტორიაზე, ქართულ კულტურულ გარემოში; მთავარი პერსონაჟებიც არიან საქართველოში მცხოვრები ოსები და ქართველები.

ქართველებისა და ოსების ურთიერთობა, რომელიც ოსურ ლიტერატურაში აისახა არ არის ერთგვაროვანი. თუ, ერთი მხრივ, ოსი პოეტები თავიანთ ლექსებში უმღერიან საქართველოს, ხოტბას ასხამენ ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობას, მეორე მხრივ, საბჭოთა პერიოდის ოსურ ლიტერატურაში უკიდურესად უარყოფითი თვისებებით არიან წარმოდგენილი ქართველ თავადები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ოს მწერალთა მოთხრობებში ქართველ თავადებსა და ოს გლეხებს შორის კონფლიქტი არ ხდებოდა ეროვნულ ნიადაგზე. მათ შორის დაპირისპირებას საფუძვლად ედო სოციალური პრობლემები. კონფლიქტი, ზოგადად, გლეხებსა და თავადებს შორის დასტურდება ქართველ მწერალთა (ილია ჭავჭავაძე, დანიელ ჭონქაძე, ეგნატე ნინოშვილი და სხვ.) მოთხრობებშიც, რომლებშიც არანაკლებ უარყოფითად არიან წარმოდგენილი და გაკრიტიკებული ქართველი თავადები. გარდა ამისა, კომუნისტურმა იდეოლოგიამ და საბჭოთა ლიტერატურულმა სკოლამ თავისი კვალი დაამჩნია XX საუკუნის 20-30-იანი წლების როგორც ქართულ, ისე ოსურ მწერლობას. საბჭოთა კავშირში გაბატონებული ლიტერატურული მიმდინარეობა გახდა სოციალისტური რეალიზმი, რომლის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპიც იყო კლასობრივი ბრძოლის ასახვა და არისტოკრატიის კლასობრივ მტრად გამოცხადება. XX საუკუნის 20-30-იანი წლების ოსური ლიტერატურა (არსენ ქოცოითის მოთხრობები, სოზირიყო ყულათის „ნომილუსი“) ქართველი თავადის უარყოფით სახეს გვიხატავს, რადგან სოციალისტური რეალიზმის პრინციპების მიხედვით, საბჭოთა მწერალს მხატვრულ ნაწარმოებში ფეოდალური ელიტის დადებითი რაკურსით წარმოჩენა ეკრძალებოდა.

საბჭოთა იდეოლოგიური სტერეოტიპების მიუხედავად, ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის თემა აქტუალური იყო საბჭოთა პერიოდის ოსურ პოეზიაში. ოსი პოეტები, რომლებიც ქართულ კულტურულ გარემოში აღიზარდნენ, თავიანთ ლექსებში უმღერიან საქართველოს, როგორც ძვირფას სამშობლოს, ხოტბას ასხამენ საქართველოს ბუნებას და ქართველ ხალხს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი ძუგათის, ილია კავკაზაგის, გიორგი ბესთაუთისა და ნაფი ჯუსოითის შემოქმედება.

45. ინგუშურ და ქართულ თქმულებებში, მითოლოგიური უნივერსალიების გარდა, დასტურდება საერთო კულტურის ელემენტებიც, რომელსაც ხანგრძლივი ისტორიული მეზობლობა უდევს საფუძვლად. ქართული კულტურის გავლენის კვალი ინგუშურ თქმულებებში იგრძნობა როგორც ცალკეული მოტივებისა და სიუჟეტების სახით, ასევე პერსონაჟთა ფუნქციებსა და თვისებებში.

მართალია, XIX საუკუნის II ნახევარში, ინგუშური ხალხური ტექსტების ჩაწერის დროს, უკვე დაწყებული იყო თქმულებების დემითიზაციის პროცესი, მაგრამ, ინგუშური ეპოსის პერსონაჟები მაინც ინარჩუნებენ თავიანთ მითოსური სახეს და საკრალურ თვისებებს. მთავარ გმირს - სესქათ სოლსას ტექსტის არქეტიპულ ინვარიანტში ისეთივე საკრალური სტატუსი უნდა ჰქონოდა, როგორი ფუნქციაც ჰქონდათ, ერთი მხრივ, ღვთისშვილებს და, მეორე მხრივ, კულტმსახურებს ფშავ-ხევსურთა საკრალურ ყოფაში. სესქათ სოლსას ზებუნებრივ არსებებთან მეგობრობაზე მიუთითებს მისი საკრალური ურთიერთობა მტრედთან, რომელიც, როგორც სულიწმინდის ფრინველი და მფარველი ანგელოზი, გმირს „ხელზე და მხარზე მოუდიოდა“. ეპოსის მეორე გმირი ბოთოყო შირთყა ინგუშურ თქმულებებში წინასწარმეტყველისა და ქადაგის ფუნქციით წარმოდგება. ქადაგის ინსტიტუტი არსებობდა ფშავ-ხევსურეთშიც. ფშავლები და ხევსურები სალაშქროდ წასვლის წინ რჩევას ქადაგს ეკითხებოდნენ, თუ მათი ლაშქრობა რამდენად წარმატებული იქნებოდა.

ზოგიერთ ინგუშურ თქმულებაში მონაწილეობს საქართველოს მეფე, როგორც პერსონაჟი. ასევე თქმულებები მოგვითხრობენ ინგუშეთის ქრისტიანულ ტაძრებზე, რომელთა ასაგებად მშენებლები ქვებს საქართველოდან ეზიდებოდნენ.

ინგუშური მითოლოგიური გადმოცემა **„**ბარხანოელი ფჰაგალ-ბერი“ მოგვითხრობს მიწისძვრისგან იავარქმნილი სოფლის სიახლოვეს შვიდი კოშკის, სალოცავი ტაძრის, აკლდამებისა და სხვა საკულტო ნაგებობების მშენებლობის შესახებ. როგორც ჩანს, თქმულება ინგუშეთში ისლამამდელ რელიგიურ სიტუაციას ასახავს, როცა იქ ჯერ კიდევ ძლიერი იყო გახალხურებული ქრისტიანული ტრადიციები და ინგუშები თავიანთი სოფლების სიახლოვეს სალოცავებს აგებდნენ. გადმოცემის მიხედვით, სოფელს ჰყავდა თავისი ხევისბერი (цIаисаг) და სამი წმინდა ხარი. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და კავკასიის მაღალმთიანეთის სხვა სალოცავებში

დასტურდება პირუტყვის ცოცხლად შეწირვის ტრადიცია. მაგალითად, ცოცხლად შეწირული კურატები ჰყავდა ფშავში კოპალასა და კოტია წმინდა გიორგის სალოცავებს.

კულტურათა გავლენა არ იყო ცალმხრივი. ინგუში პერსონაჟები მონაწილეობენ მეზობელი ქართველი მთიელების ფოლკლორულ ნაწარმოებებში. თუმცა ერთი რამ ცხადია: ინგუშური თქმულებები ნართ-ორხუსთოელებზე მაშინ იქმნებოდა, როცა ქრისტიანული რელიგია და ტრადიცია გავლენას ახდენდა ინგუში ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

47. მე-17-18 საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში დავით აღმაშენებლის ისტორიული და მხატვრული სახე სულ რამდენიმე მწერლის შემოქმედებაშია ასახული, რომელთაგან საკმაოდ ვრცლად და სიღრმისეულად არჩილისა და ანტონ კათალიკოსის თხზულებებშია წარმოდგენილი.

არჩილისა და ანტონ კათალიკოსის თხზულებებში დავით აღმაშენებლის პოლიტიკური და წმინდანური სახეა მხატვრულად ხორცშესხმული და ნაჩვენები, ასახულია საზოგადოების არსებობისა და განვითარების ძირითადი პრინციპები, ხელისუფლების სტრუქტურების ფორმირება და სასამართლო სისტემა, მართვის პრინციპები, მეფობის არსი და განათლებული მეფის სახე. მათ მიერ მკითხველისათვის წარდგენილი მეფე დავით აღმაშენებელი, ბრძენი და განათლებული მმართველი, შორსმჭვრეტელი და დაკვირვებული მეფე-პოლიტიკოსი, ყოველმხრივ შემკულ პიროვნებადაა დასახული, რომელმაც დაუძლურებული, დანაწევრებული საქართველო ჩაიბარა და უძლიერეს მონარქიულ სახელმწიფოდ გარდაქმნა. დავითმა დაასრულა საქართველოს ერთიანი, ძლიერი მონარქიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხანგრძლივი და ურთულესი პროცესი, გააერთიანა და გაზარდა ქვეყნის ტერიტორია, გააფართოვა და განამტკიცა საზღვრები, მოსახლეობისათვის ცხოვრება უშიშარი და სამართლიანი გახადა, განავითარა კულტურა, მოაწესრიგა საეკლესიო საქმეები, ხელი შეუწყო ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, გამოასწორა ქვეყნის ეკონომიური ვითარება, რითაც აღასრულა თავისი სულიერი მისია. ბიბლიაში დავით წინასწარმეტყველი გახლავთ ერთადერთი ადამიანი, რომელზეც ღმერთი ამბობს, რომ ის გულით ნანატრი კაცი იყო. ასეთივე გულით ნანატრი კაცი იყო ქართველთათვის მეფე საქართველოსი - დავით აღმაშენებელი.

48. –

49. XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ნიკოლოზ გულაბერის ძემ 80-იან წლებში შექმნა ჰაგიოგრაფიულ-ჰომილეტიკური ხასიათის თხზულება „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“, რომლის ძირითადი საკითხი უფლის კვართის, ცხოველი სვეტისა და სვეტიცხოვლის ტაძრის შესახებ თხრობაა, ქებაა; აგრეთვე, ნიკოლოზ გულაბერის ძემ შექმნა ლიტურგიკულ საგალობელთა ციკლი „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“. თხზულება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების, წმ. ნინოს მიერ ახალი რელიგიის ქადაგების, უფლის კვართის, ცხოველი სვეტისა და წმიდა ჯვრის სასწაულების ასახვას ეძღვნება. ტექსტი მოწმობს, რომ ავტორი საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ამსახველ ქართულ და უცხოურ მრავალ წყაროს იცნობს.

თხზულების წყაროები ძირითადად ორი ჯგუფისაა:

1. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების კონკრეტული ფაქტების ამსახველი ქართული და უცხოური თხზულებები საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან, საისტორიო მწერლობიდან, რომლებიც მოგვითხრობენ უფლის კვართის საქართველოში მობრძანებისა და წმ. ნინოს მოღვაწეობის ამბებს; ავტორი ზედმიწევნით იცნობს „ქართლის ცხოვრების“ ამ დროისათვის უკვე შექმნილ ტექსტებს, „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და წმ. ნინოს „ცხოვრების“ რედაქციებს, არსენ ბერის თხზულებას. „სარწმუნოთა და ჭეშმარიტთა კაცთაგან“ მონათხრობადაა მიჩნეული აბიათარისა და მისი ასულის მონათხრობი უფლის კვართის საქართველოში დავანების, ცხოველი სვეტის აღმართვის, წმ. ნინოს ქართლში განმანათლებლური მოღვაწეობის შესახებ; ავტორი იცნობს რუფინუსის, მოსე ხორენელის, ბერი მელქიტი ნიკონისა და სხვათა თხზულებებს, რომლებიც საქართველოს გაქრისტიანების შესახებ მოგვითხრობენ;

2. ბიბლიური და მდიდარი საეკლესიო-საღვთისმეტყველო ლიტერატურა, რომელშიც, თავის მხრივ, იგულისხმება ბიბლიურ-ევანგელური და მასზე დაფუძნებული საღვთისმეტყველო ლიტერატურა, რომელშიც იგულისხმება ციტირებები ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ფსალმუნური, ევანგელური და აპოსტოლური ციტატების დამოწმებები, ამ თხზულებათა მოძღვრებების რემინისცენციები, ალუზიები, ხატ-სახეები; „საკითხავში“ კონკრეტული ფაქტებისა და საღვთისმეტყველო მოძღვრებათა ამსახველ თხზულებათა ცოდნის კვალიც შეინიშნება. კერძოდ: მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები, ქრისტიანული მრწამსის ტექსტი, რომელიც მცირეოდენი ვარიაციითაა შეტანილი განსახილველ თხზულებაში; იცნობს ბასილი კესარიელის თხზულებას „ექუსთა დღეთათჳს“, „ეპისკოპოსის კურთხევის წესს“, ეფრემ მცირის თხზულებას ქართველთა მოქცევის შესახებ,

„უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენიების“, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ საგანგებო დანიშნულებით შექმნილი სამეცნიერო ნარკვევია.

ამავე დროს, ნიკოლოზ გულაბერის ძის თხზულება თავადაა წყარო თვით ავტორის ცხოვრება-მოღვაწეობის, მისი წინამორბედი კათოლიკოს-პატრიარქის, თავისი ბიძის, სვიმონის შესახებ, დავით აღმაშენებლის ცხოვრების ერთი ეპიზოდის, თავისი თანამედროვე დედოფლის, გიორგი მესამის მეუღლის, თამარ მეფის დედის ბურდუხანის შესახებ.

50. ქართველი ერის ისტორიულ მეხსიერებაში განსაკუთრებულად სასიქადულო და ძვირფას სახელად ჭაბუა ამირეჯიბმა მეფე გიორგი ბრწყინვალე გამოარჩია და შექმნა რომანი, რომლის მთავარი პერსონაჟი თვით გიორგი ბრწყინვალეა, ისტორიკოსის სიტყვით, „საკვირველი და უმჯობესი კაცთა შორის“. ცხადია, მწერალი არ წერს სამეცნიერო გამოკვლევას საქართველოს ისტორიისა და გიორგი ბრწყინვალის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, იგი პერსონაჟთა ხატვისას ულამაზეს ფერწერულ მეთოდებს ეყრდნობა და ეპოქის სულს ხატოვნად, მრავალფეროვნად გადმოგვცემს.

მწერალმა „გიორგი ბრწყინვალეში“ მხატვრულ-ალეგორიული და იგავური მეთოდი აირჩია, რათა პიროვნების თავისუფლების, მისი ზნეობრივი არჩევანის, პოლიტიკური დეტერმინაციის პარადიგმა გადმოეცა ქართველი მეფის მოღვაწეობის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი ეჩვენებინა. გიორგი ბრწყინვალის სახით ქვეყნისა და ერის არსებობისათვის მარადიულ ბრძოლაზე ორიენტირებული პერსონაჟია წარმოსახული, რომლის მთელი მოღვაწეობა ერის ისტორიული მეხსიერებისა და მომავლის რწმენას დაუკავშირდა. იმ დროს, როდესაც თანამედროვე ლიტერატურაშიც გაჩნდა იდეალის, მისაბაძი გმირის გაქრობის საფრთხე, ჭაბუა ამირეჯიბის გიორგი ბრწყინვალე ჭეშმარიტად რაინდული სულის მქონე, ფილოსოფიურად მოაზროვნე და მაღალ ზნეობაზე პროეცირებულ პერსონაჟად წარუდგება მკითხველს. რომანის შექმნის მიზანი გიორგი ბრწყინვალის ისტორიულ-კულტურული კონტექსტის თანამედროვეობის ჭრილში წარმოსახვაა.

მწერლის ინტერესი გიორგი ბრწყინვალისა და მისი ეპოქისადმი განაპირობა ერის საზრისის, დანიშნულების, მსოფლიო ხალხთა შორის კუთვნილი ადგილის ძიებამ, საქართველოს, როგორც კავკასიის ერთ-ერთი ცენტრალური სახელმწიფოს, ფუნქციის ძიებამ. მას სურს აჩვენოს, იმპერიული უცხო ძალების დასუსტების საწყის ეტაპზე თუ როგორი ფრთხილი, წინდახედული, დიპლომატიური სვლები ჰმართებდა დამონებული, იავარქმნილი, სისხლით მორწყული მიწის მკვიდრს, რაშიც ნათლად იკითხება ალეგორიული თვალთახედვა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს სახელმწიფოს, ოდითგანვე მნიშვნელოვანს ევროპისა და აზიის დიდი თუ მცირე სახელმწიფოებისათვის, უდიდესი, კერძოდ, სამყაროთა და ცივილიზაციათა, კულტურათა და ეკონომიკურ ურთიერთობათა შემკვრელის როლი ეკისრებოდა, რომლის დაკარგვას მტკივნეულად განიცდიდა მწერალი და ფილოსოფიური განსჯის საგნად აქცია „დათა თუთაშხიაში“. „გიორგი ბრწყინვალეშიც“ სწორედ ამ ფუნქციის აღდგენის შეფარული აზრია გამოხატული, ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა, მარად აქტუალური ჩვენი ერის ცხოვრებაში, რომელიც ალეგორიულ ხასიათს იძენს, რის ფონზეც წარმოაჩინა გიორგი მეფის ისტორიული და სულიერი მისია.

51. ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში, სხვა ქვეყნების ლიტერატურულ-ისტორიულ თხზულებებთან ერთად, მეფის ხატ-სახის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული გააზრება სიუჟეტის განმსაზღვრელ ფაქტორად ისახება. სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით, მეფისა და ტახტის მემკვიდრის გასააზრებლად განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სულხან-საბა-ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელშიც მეფისა და ტახტის მემკვიდრის სახე გაიაზრება, როგორც თხზულების კომპოზიციური აგების უმნიშვნელოვანესი ფენომენი.

ძველ ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში სიუჟეტის განვითარების თვალსაზრისით, მეფისა და ტახტის მემკვიდრის ჰიპოდიგმურ-პარადიგმულად გასააზრებლად განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რამდენიმე განსხვავებული ჟანრის თხზულება: „სიბრძნე ბალაჰვარისა“, შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და სულხან-საბა-ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელთა სიუჟეტური ჩარჩოს საწყისი ეტაპი ერთმანეთის მსგავს ქარგაზეა აგებული. თითოეული მათგანი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ეპოქაში შეიქმნა. „სიბრძნე ბალაჰვარისა“ ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავს გადმოგვცემს, ფაქტობრივად, იგი ბუდას ცხოვრების ქრისტიანიზებული ვერსიაა, შოთა რუსთველის პოემა მეფის ინსტიტუტის მხატვრული წარმოსახვისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების თვალთახედვით ეპოქალურ სიახლეს ამკვიდრებს არა მხოლოდ ქართულ,

არამედ მსოფლიო ლიტერატურაში, ხოლო სულხან-საბა-ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, საღვთისმეტყველო საზრისთან ერთად, ზნეობრივი აღმზრდელობით-პედაგოგიური ფუნქციის მატარებელი ნაწარმოებია და განმანათლებლური იდეების დამკვიდრებას გვთავაზობს. მეფისა და ტახტის მემკვიდრის ჰიპოდიგმურ-პარადიგმული გააზრება, როგორც სიუჟეტის განმსაზღვრელი ფაქტორი, ძველი ქართული ლიტერატურის სწორედ ამ სამი, ჟანრობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული თხზულების, განხილვის საფუძველზე მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა.

ჩემი განხილვის საგანია მეფის ბიბლიური მოდელის მხატვრული წარმოსახვისა და სინამდვილის ურთიერთმიმართებათა შესახებ მსჯელობა სულხან-საბა ორბელიანის თხზულების „სიბრძნე სიცრუისას“ მიხედვით.

საბას თხზულების უმთავრესი განსახილველი საკითხი მეფის იდეალური სახის ჩამოყალიბებაა, მეფის ხატ-სახის შექმნაა, როგორი უნდა იყოს მეფე, რომ მან უკეთ უპატრონოს სახელმწიფოს და ერს. ამის სათავე მეფის ბიბლიურ მოდელშია საძიებელი, ხოლო მეფის ბიბლიური მოდელი ძირითადად მეფეთა წიგნებშია ჩამოყალიბებული. ებრაელთა პირველი მეფიდან, საულიდან და მეორე მეფიდან, დავით წინასწარმეტყველიდან მოყოლებული, მეფის ორი ტიპია გასააზრებელი: 1. კეთილი, ქველმოქმედი მეფისა, რომლის პროტოტიპად ბიბლიური დავით წინასწარმეტყველი მოიაზრება, და 2. უკეთური მეფისა, რომელმაც საღვთო გზას გადაუხვია (II რჯ. 17, 19), რაც „სიბრძნე სიცრუისაში“ იგავებში წარმოჩენილ მეფეთა სახეებშია ასახული. ბიბლიური სწავლებით, მეფე სახელმწიფოს მთლიანობის, ერთიანობის სახე-სიმბოლოა, საფუძველია, ეროვნული ცნობიერების დვრიტაა, სათავეა. მეფის ბიბლიური მოდელი, უწინარეს ყოვლისა, დავით წინასწარმეტყველის პიროვნებაშია ჰიპოდიგმურად განსახოვნებული და ყოველმხრივ შემკულ, ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებას გულისხმობს. დავით წინასწარმეტყველი ქართველ ქრისტიან მეფეთა წინასახედ მოიაზრება და მისი ჰიპოდიგმური სახე, როგორც ნიმუშისა, ბაგრატიონთა მთელ დინასტიას გასდევს. მეფის მსოფლმხედველობა, ზნეობრივი სახე სახელმწიფოს ხატ-სახეა, ყოველი მოქალაქისათვის მისაბაძია, იგი ერის რაობასა და სულიერ-ზნეობრივ ხატ-სახეს განსაზღვრავს. მეფემ ადამიანურ სისუსტეებს უნდა სძლიოს, მასზე მაღლა უნდა დადგეს, რათა ერის წინაშე პირმართლად წარდგეს და ცოდვათაგან თავისუფალმა ღვთისაგან რწმუნებული ქვეყანა ღირსეულად მართოს. მეფე ღვთის რჩეულია, რომელმაც ღვთისაგან მინდობილი ქვეყნისა და ერისათვის თვისისა უნდა დადვას თავი თვისი.

სულხან-საბა ორბელიანმა ჩამოაყალიბა მეფეთა და ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათა კოდექსი, რომელსაც სამართლიანი, ჰარმონიული სახელმწიფოს მართვისა და არსებობის წესი და რიგი ეფუძნება. ავტორმა იგი განსაზღვრა, როგორც „საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“.

„სიბრძნე სიცრუისას“ ტახტის მემკვიდრის დაბადების, აღზრდისა და მისი შედეგის კვალობაზე სიუჟეტის განვითარებაში ნათლად დავინახავთ წინარელიტერატურული ტრადიციებისაგან სულხან-საბა ორბელიანის განსხვავებულ მიდგომასა და შეფასებას. ფინეზ მეფემ მეფისწულს ლეონის სახით გონიერი აღმზრდელი მიუჩინა. უფლისწულის ცალკე სასახლეში აღზრდას თავისი მიზანდასახულობა ჰქონდა, აღმზრდელი სამეფო კარის ზედამხედველობისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, უფლისწულის აღზრდისას საშუალება ჰქონოდა, ისე მოქცეულიყო, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა. ლეონი აღმოჩნდა იმგვარი აღმზრდელი, რომელმაც მეფისწულს თავისი სახელმწიფოს, თავისი ხალხის გასაჭირის შეცნობა ასწავლა; მისი მეთოდი განსაკუთრებით მკაცრი იყო, რადგან, ლეონის აზრით, მომავალმა მეფემ უნდა იგრძნოს ტკივილიც და შვებაც, უნდა გაიზიაროს თავისი ხალხის, თავისი ქვეშევრდომების ჭირიც და ლხინიც.

52. –

53.-

54. მიხეილ საბინინის მიერ 1882 წელს პეტერბურგში გამოცემული წიგნის სახელწოდება „საქართველოს სამოთხე“ - სახისმეტყველებითი და მეტაფორულია. მოხსენებაში განხილულია წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი: წიგნის გამოცემის მიზანი, შედგენილობა, სამეცნიერო და პრაქტიკული საჭიროება, დანიშნულება და ღირებულება ვერტიკალურ ჭრილში, განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე, კრებულის წყაროები, წიგნის სახელწოდების რაობა და მეტაფორული გააზრება, მიხეილ საბინინის შენიშვნები და მათი ღირებულების განსაზღვრა. წიგნის აგებულების შესახებ შემდგენელი თვითონ გვაწვდის ცნობას. აქ „შეკრებილია ხრონოლოგიურად“ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, ძირითადად ესაა ჰაგიოგრაფიული თხზულებები, აგრეთვე დაბეჭდილია რამდენიმე ისტორიული და ჰომილეტიკური თხზულება. განსაკუთრებული

ღირებულება ეკისრება მიხეილ საბინინის წინასიტყვაობას, რომელიც წიგნს წინ უძღვის და წიგნის შექმნის სირთულეებზე, მიზანდასახულობაზე, წყაროებზე, მისადმი ქართველი და სხვა ერების წარმომადგენელთა დამოკიდებულებაზე გვესაუბრება. მიხეილ საბინინს „საქართველოს სამოთხის“ გამოცემით უდიდესი, ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ძველი ქართული მწერლობის შესწავლისა და კვლევა-ძიების საქმეში. ფაქტობრივად, ეს იყო ქართული სასულიერო მწერლობის პირველი სრული კრებული, რომლის მსგავსი მანამდე არ გამოცემულა, ქართული საზოგადოება ამ ტიპის ბეჭდურად გამოცემულ კრებულს არ იცნობდა. შემდგენელს, მ. საბინინს ამ წიგნის მნიშვნელობა თვითონ ძალიან კარგად ესმოდა.

55. „დავითიანში“ კარვის მხატვრული სახე ძირითადად ბიბლიური ხატმეტყველებითა და სახისმეტყველებით საზრდოობს. შესაქმისეულ მონათხრობში კარავი ორგვარი სიმბოლური ფუნქციით დატვირთული გვხვდება: 1. იგი ზეციური საუფლოა, სამოთხეა, რომელშიც ღმერთმა მიუჩინა ადგილი კაცობრიობის წინაპარს, ზეციურ ადამს, ხოლო ზეციურმა ადამმა დაკარგა იგი და წუთისოფელში აღმოჩნდა; კარვის წიაღში მყოფთათვის აუცილებელია სიწმინდის დაცვა, კარავში სიწმინდე უნდა იყოს დავანებული და წმინდა საქმე უნდა აღესრულებოდეს; 2. კარავი დროებითი საცხოვრებელია, რაც მას დროსივრცულ ღირებულებას ანიჭებს. კარავზე მითითებით, მისი ხსენებით ალეგორიულად ნათქვამია, რომ არსებობს მარადიული საცხოვრისი, რომელიც დრო-ჟამს არ ექვემდებარება, ხოლო თავისი არსით კარავი დროებითი საცხოვრებელია, ამიტომ იგი წუთისოფლის წარმავლობაზე, ჟამის არსებობაზეა ორიენტირებული.
დავით გურამიშვილის „დავითიანში“ მხატვრულ სახედ წარმოდგენილი კარავი ერთდროულად სხვადასხვაგვარი მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვით გამოიყენება. კარავი არის სიმბოლო, ალეგორია, ალუზია, ენიგმა. კერძოდ, „დავითიანის“ კონტექსტების მიხედვით მხატვრული თვალსაზრისით კარავი არის: 1. სამოთხის სიმბოლო და ალეგორია; ალეგორიულად კარავი დროსივრცული მხატვრული კატეგორიის მქონეა; 2. იგი არის ალუზია, კარავი ალუზიურად სამყაროს, ზესთასოფელს აღნიშნავს, ცის მხატვრული ფუნქციით აღჭურვილად გვევლინება; 3. კარავი სიმბოლურად ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახე-სიმბოლოა, ხატია, რასაც ბიბლიური და საღვთისმეტყველო საზრისი წარმართავს; 4. იგი არის ენიგმა და მისი არსი გამოსაცნობია, ადამიანმა იგი უნდა გამოიცნოს; „დავითიანში“ დამოწმებული კარვის მხატვრული სახე ბიბლიური კარვის გააზრებათა მნიშვნელობის შესაბამისად და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის პარადიგმად წარმოგვიდგება. სტატიაში განიხილება „დავითიანის“ ყველა ის კონტექსტი, რომლებშიც კარავი მხატვრულ სახედაა წარმოდგენილი, აგრეთვე, ჩვეულებრივი გააზრების მქონე ორიოდე ეპიზოდი.

56. ქართულმა ჰაგიოგრაფიამ ასახა საქართველოს სხვადასხვა კუთხის, სამეფოს, სამთავროს პოლიტიკურ-სოციალური, იდეოლოგიური და კულტურულ-ისტორიული ვითარება, რომელსაც გარკვეული გეოგრაფიული სივრცის ფიზიკური მდგომარეობისა და სიმბოლური გააზრების კონტექსტიც აქვს. ამ თხზულებათა სამოქმედო არეალია ქართლი, კახეთი, სამხრეთ საქართველო, დასავლეთ საქართველო; თითოეული მათგანი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება. აფხაზეთის ასახვა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ის პრობლემაა, რომელიც მოიცავს აფხაზეთის, როგორც VIII-X საუკუნეების დასავლეთ საქართველოს, პოლიტიკურ-იდეოლოგიური და კულტურული ფონის საფუძველზე აქ მიმდინარე მოქმედებებისა და მოვლენების ჩვენებას, შესაბამისად, იმ წმინდანთა სახეების წარმოჩენას, რომლებიც ან აფხაზეთის//დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი არიან, ან მას უკავშირდებიან. IV-X საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან საგანგებოდ გამოვყოფ შემდეგს: იოვანე საბანის ძის „წმ. აბო ტფილელის წამებას“, გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებას“, რომლებშიც მთავარი პერსონაჟების სამოღვაწეო არეალი აფხაზეთსაც სწვდება. აქვეა განსახილველი „დავითისა და კონსტანტინეს წამების“ XII საუკუნეში შექმნილი მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციები, რომლებშიც მოქმედების გეოგრაფიული არეალი აფხაზეთია და დროის თვალსაზრისით იგი VIII საუკუნის ამბებს ასახავს. ე.ი. სამივე ჰაგიოგრაფიული თხზულება ერთი ეპოქის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, სასულიერო-საეკლესიო, სოციალურ, კულტურულ ვითარებას წარმოაჩენს. ამიტომ ყურადღება გავამახვილეთ VIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში, რომელსაც ამ პერიოდში აფხაზეთს უწოდებენ, მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ, საეკლესიო-რელიგიურ და კულტურულ ვითარებაზე, რადგან ამ თხზულებებში მეტნაკლებად აისახება აფხაზეთის სამეფოს მდგომარეობა. VIII საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში მეფობდა ლეონ მეორე, თავისი წინამორბედის, ლეონ პირველის მსგავსად,

სახელმწიფოებრივი და რელიგიური ცნობიერებით გამორჩეული პიროვნება, რომელმაც გააერთიანა დასავლეთ საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ყველა პოლიტიკური ერთეული და, როგორც აფხაზეთის სამთავროს მთავრის მემკვიდრემ, შექმნა ერთიანი სახელმწიფო - აფხაზეთის სამეფო. მართალია, ლეონ მეორის მეფობის დროს აფხაზეთი ჯერ კიდევ ბიზანტიის პოლიტიკურ გავლენას განიცდის, მაგრამ იგი რელიგიურ-ეკლესიურად არ იზიარებს ბიზანტიაში მიმდინარე რელიგიურ ბრძოლებს, ბიზანტიის იმპერიაში გავრცელებულ ხატმებრძოლობის ერესს და რჩება ხატთაყვანისმცემელ ეპარქიად. მწვალებლობაში ჩავარდნილი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან გამოყოფილმა აფხაზეთის ეკლესიამ ორიენტაცია ანტიოქიის საპატრიარქოზე აიღო, მაგრამ IX საუკუნის პირველ ნახევარში დამოუკიდებლობა მოიპოვა და მცხეთის საკათალიკოსო ტახტს დაუკავშირდა, რამაც მას საბოლოოდ საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის წიაღში დაუმკვიდრა ადგილი, როგორც ეს იყო I საუკუნიდან, სახელდობრ საქართველოს ეკლესიის შექმნის დროიდან მოყოლებული. მნიშვნელოვანია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის გათვალისწინება, რადგან იგი საუკუნეების განმავლობაში განსხვავებული იყო, მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია ვრცელდებოდა მთელ საქართველოზე, აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოზე, საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე ეპარქიებზე. მიუხედავად ამისა, იყო ისტორიული დრო, როდესაც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე (მაგ., ბიჭვინთის საეპისკოპოსო) ბერძნული საეპისკოპოსოები არსებობდა, რასაც თავისი საფუძველი ჰქონდა და ახსნა სჭირდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სამხედრო ცენტრების არსებობითაა განმარტებული.

ზემოთ დასახელებული სამი თხზულების წმინდან პერსონაჟთა სამოღვაწეო არეალი აფხაზეთია, რომელიც პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეს წარმოადგენს, როგორც „ყოველი ქართლის“ განუყოფელი ნაწილი, რომელთანაც საერთო აქვს სახელმწიფო ენა და სარწმუნოება მამულთან, ტერიტორიასთან ერთად. გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გამოთქმული თვალსაზრისი - „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, გინათუ „უფალო, შეგჳწყალენ“ (ძეგლები, 1963/1964: 290) - სწვდება და გულისხმობს აფხაზეთსაც, როგორც „ყოველი ქართლის“ სრულუფლებიან ნაწილს და წევრს. „ლოცვაჲ ყოველი“ სრული ლიტურგიული პროცესია და იგი ქართულ ენაზე სრულდება „ყოველი ქართლის“ ტერიტორიაზე, ხოლო „კჳრიელეჲსონი“ ბერძნულად თქმა, ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, ან „უფალო, შეგჳწყალენ“ ქართულ ეკლესიას აერთიანებს მთელ მართლამადიდებლურ სამყაროსთან, რითაც მყარდება ეკლესიათა ერთობა, უნია.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, დასახელებულ თხზულებებში აფხაზეთის თემა წამყვანი არაა და ვერც იქნებოდა, რადგან ჰაგიოგრაფიის მიზანი წმინდანის ხატ-სახის ჩვენებაა. პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ფონი ჰაგიოგრაფს სჭირდება წმინდანის სახის უკეთ წარმოსასახავად, მაგრამ რეალურად გვიჩვენებს იმ ვითარებასაც, რომელშიც უწევთ მათ ცხოვრება, მოღვაწეობა, მოწამებრივი აღსასრული. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიაში გადმოცემული ისტორიული ფაქტები და ისტორიული გეოგრაფიული არეალი, რადგან ამ მოვლენებისა და სივრცის ასახვით ჰაგიოგრაფია საუკეთესო ისტორიულ წყაროდ გვევლინება, მით უმეტეს, რომ იოვანე საბანის ძისა და გიორგი მერჩულის თანამედროვე საქართველოს ვითარების ამსახველი საისტორიო თხზულებები, თანამედროვეთა მიერ აღწერილი, არ შემოგვრჩა, მათ შესახებ გვიანდელი ისტორიკოსები მოგვითხრობენ.

57. „დავით და ტირიჭანის საკითხავის“ შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე საკითხია განხილული. მათ შორისაა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ ჟანრობრივი რაობის განსაზღვრა, რაც მოითხოვს პრობლემის განხილვას ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველებითი ასპექტების საფუძველზე. სამეცნიერო ლიტერატურაში ბიძის მიერ ბავშვების სოციალური მიზანდასახულობით მოკვლას წამების დამაჯერებელ საფუძვლად და საბუთად არ მიიჩნევდნენ, კერძოდ, ივანე ჯავახიშვილმა მონოგრაფიაში „ძველ სომხურ საისტორიო მწერლობა“ ხსენებული საკითხის შესახებ დასვა კითხვები, რომელთათვის პასუხი მას ნაშრომში არ გაუცია. ივანე ჯავახიშვილმა შეისწავლა „დავით და ტირიჭანის საკითხავის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, განსაზღვრა მისი ზოგადკულტურული და ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა, მათ შორის თხზულების ჟანრობრივი რაობა. მისი აზრით, „დავით და ტირიჭანის წამებაში“ ყრმები ქრისტიანობის გამო არ მოუკლავთ, არამედ ბავშვები საკუთარმა ბიძამ თავისი მატერიალური

ინტერესების განსახორციელებლად შეიწირა. მას, დისწულთა სიმდიდრის მითვისების ზრახვით შეპყრობილს, სურდა მცირეწლოვანი ბავშვები დაეხოცა, როგორც მემკვიდრეობითი უფლებების მქონენი და მომავალში მისი შემცილებელნი. უნდა ითქვას, რომ „დავითისა და ტირიჭანის საკითხავი“ ჟანრობრივი თვალსაზრისით არ შესწავლილა. არ არის განსაზღვრული თხზულების უარყოფითი პერსონაჟის, თევდოსის, ქრისტიანობაზე მოქცევის საკითხი, როგორც ამ ნაწარმოების ჰაგიოგრაფიულობის ერთ-ერთი საფუძველი. ყოველივე ეს მისი სახისმეტყველებითად განხილვის შედეგად შეიძლება ირკვევა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ „წმიდათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავის“ ჰაგიოგრაფიულ თხზულებად მიჩნევისათვის ორი საფუძველი არსებობს: 1. მცირეწლოვან ყრმათა ბიძის მიერ მოკვლა ავტორის მიერ თვით თხზულებაშივეა წამებად აღქმული; 2. თევდოსის ქრისტიანულ რჯულზე მოქცევა, როგორი დაუჯერებელი ფაქტებითაც უნდა იყოს მოწოდებული, ჰაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი გამომსახველობითი საშუალებებითაა წარმოსახული, რაც ბიბლიურ-ევანგელურ ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ სტრუქტურას შეესაბამება. თხზულების ავტორმა ერთმანეთს დაუპირისპირა სოფელი და ზესთასოფელი, რომლებიც კატაფატიკურ-აპოფატიკური სიმბოლური სახელებით მოიხსენია. ავტორი წერს, რომ ბავშვებს „საწუთროჲ ესე განხრწნადი“ დააკლდათ, მაგრამ „წარუვალითა მით სრულ იქმნენ“ (ძეგლები, 1963//1964: 186). დროის კონტრასტულობა, მარადიულობისა და წუთისოფლის დაპირისპირებულობა სივრცის საღვთისმეტყველო თვალთახედვით გააზრებასაც განსაზღვრავს, რადგან ძმების სივრცული არეალი ქრისტიანულ სამყაროს უკავშირდება. ისინი მარადიულობასა და ქრისტიანულ სივრცეზე ორიენტირებულნი იყვნენ, ხოლო მათი მკვლელი ბიძა მხოლოდ საწუთროულ დრო-სივრცეზე, ამქვეყნიურ ღირებულებებზე ზრუნავდა, რომელმაც სინანულით განიწმინდა სულიერი მომავალი. ამიტომ თხზულება ერთ-ერთი ღირებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია, რომელშიც მცირეწლოვანი ბავშვები ქრისტიანობისადმი რწმენის სიმტკიცით, მშობლებისა და ნათესავების სიყვარულით, სასოებითა და სულიერობით ზეციური მოქალაქობის მოპოვების გზას დაადგნენ.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი
2. მაკა ელბაქიძე
3. ნანა გონჯილაშვილი
4. Eka Vardoshvili
5. Eka Vardoshvili
6. Eka Vardoshvili
7. თამარ შარაბიძე, ანა დოლიძე
8. თამარ პაიჭაძე
9. თამარ პაიჭაძე
10. ელენე გოგიაშვილი

2) მოხსენების სათაური

1. *რუსთაველის მსოფლმხედველობა და ქრისტიანული თეოლოგია*
2. *კულტურათაშორისი ხიდი: რუსთაველი და ნიზამი*
3. Heart in Rustaveli's 'Knight in the Panther's Skin
4. . Русский язык как способ общения в межкультурном диалоге в XIXвеке, II международный конгресс «Языковая политика стран Содружества Независимых Государств», Государственный Институт русского языка имени А.С. Пушкина, Россотрудничество, г. Программа
5. Principle Characteristics of Identity of Georgian people in Jean Chardin's work "The Travels of Jean Chardin into Persia and East-Indies", XIII International Scientific-Practical Conference „National Identity in Language and Culture", Ministry of Education and Science of Ukraine, National Aviation University Faculty of Linguistics and

Social Communications Department of Foreign Languages and Applied Linguistics, Ahi Evran University (Turkey) Unoversity Jean Moulin Lyon 3 (France) Tesol-Ukraine, Program.
6. Литературные и исторические ценности в книге сера Оливера Уордропа «Грузинское царство» Международная конференция „Ценности в литературе и в искустве V“ Программа, Институт славистики философского факультета Университета им. Масарика.
7. სიზმრის ფსიქოსემიოტიკა ქართულ მხატვრულ დისკურსში
8. „ეთნო სტილის ფსიქოლინგვისტური ასპექტები მხატვრულ კომუნიკაციაში Psycholinguistic Aspects of Communicational Ethno Style in Art Communication“
9. “ლინგვო-ფონეტიკური ექსპერიმენტი ქართულ ავანგარდისტულ ლიტერატურაში (ზაუმი) ‘’Lingo-phonetic experiment in Georgian avant-garde literature (Zaum)’’
10. Heroes as Narrators in Georgian Folktales.- Encountering Emotions in Folk Narrative and Folklife

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. საერთაშორისო სიმპოზიუმი Why doesn’t Črtomir Die? Transformations of a National Myth. 24.06. 2021. ლიუბლიანა, სლოვენია.
2. ნიზამი განჯელის დაბადებიდან 880 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია: „ნიზამი განჯელი: კულტურათაშორისი ხიდი“. 24-26.11. 2021. ბაქო, აზერბაიჯანი
3. June 3-5, 2021 (online), 12 th ISAPL International Congress
4. Алматы, 26-28 Октября, 2021
5. Kiev, April 21-22, 2021
6. 4 июния 2021, Брно, Чешская Республика
7. 2021,3-5 ივნისი, ლისაბონის უნივერსიტეტი.
8. მე-12 საერთაშორისო კონგრესი -ახალი პერსპექტივები ფსიქოლოგიურ კვლევებში: ენა , კულტურა ტექნოლოგიები, ლისაბონი 3-5.06.2021.
12th IISAPL INTERNATIONAL CONGRESS IS ON NEW PERSPECTIVES IN PSYCHOLINGUISTIC RESEARCH: LANGUAGE, CULTURE, TECHNOLOGIES, lisbon 3-5 06. 2021
CDD: 617.75
CDU: 617.75
https://isapl2020.org/isapl/
https://scholar.google.com/scholar?hl=en&as_sdt=2007&as_ylo=2021&q=ISAPL+congress&btnG=
9. მე-3 საერთაშორისო კონფერენცია: ენის ფილოსოფია, ლიტერატურა და ლინგვისტიკა, ხაზარის უნივერსიტეტი, ბაქო 3th International Conference on the Philosophy of Language, Literature and Linguistics The Philosophy of Language, Literature and Linguistics - ICPL Khazar University Baku, Azerbaijan **24-26.09 2021**
https://icpl2021.com/en/main
10. 18th Congress of International Society for Folk Narrative Research (ISFNR). Online Zagreb 5-8 September, 2021. http://www.isfnr.org/isfnrcongress/wp-content/uploads/2021/09/18th-ISFNR_programme_book-of-abstracts_0209.pdf

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
3. Rustaveli’s ‘Knight in the Panther’s Skin’ (12th century) is the junction of eastern and western cultures, thinking systems and worldviews. Here the flows of eastern-western civilizations harmonically merge and acquire distinguished, original form in the poet’s art. To reveal the oldest layers in Rustaveli’s language structure studying of the paradigmatic characters of the ‘Knight in the Panther’s Skin’ it is of great significance. This, in turn, reveals interrelations between the important events related to human life, reflected in language. Careful study of the poem text shows very interesting images. In this respect, the issue of semantic binary nature of “heart” is of interest as Rustaveli pays great attention to it (in the poem it was mentioned over 300

times) and presents with particularly versatile content load and this is conditioned by great number of lexemes, composites and phraseological items associated with word “heart” in Georgian language. In Georgian, binary semantics of “heart” is as follows: heart – organ and center. Based on the study of Georgian translation of Old and New Testament the following binary semantics of “heart” is seen: heart is the main organ for life, heart – symbol of mental life, religious feelings and, generally, excitation and existence of senses, “heart” – center, middle. Consideration of the hagiographical composition provides similar pattern of above binary nature.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

მაკა ელბაქიძე

1. 2021 წლის 7-9 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „კულტურათაშორისი კავშირები: ნიზამი და დანტე“, რომელიც ჩატარდა ნიზამი განჯელის საერთაშორისო ცენტრის, აზერბაიჯანის კომპარატივისტული ლიტერატურის საერთაშორისო ასოციაციის, დანტეს ასოციაციის, იტალიის პენ კლუბის ინიციატივით. ვიყავი საერთაშორისო სექციის - *სიყვარულის კონცეპტი და შუასაუკუნეები* - თავმჯდომარე და მოდერატორი.

2. 2021 წლის 24 ნოემბერს მონაწილეობა მივიღე სამეცნიერო კრებულის - „ინტერკულტურული სივრცე: რუსთაველი და ნიზამი“ - პრეზენტაციაში, რომელიც გაიმართა ბაქოში, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში.

3. 2021 წლის 25 ნოემბერს ბაქოში, ნიზამი განჯელის 880 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმზე დამაჯილდოვეს ნიზამი განჯელის მედლით.

4. ვარ მთავარი რედაქტორი ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალისა „ლიტერატურული ძიებანი“ (წელს მომზადდა და გამოვიდა ჟურნალის 41-ე ნომერი).

5. ვარ რედაქტორი რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში მომზადებული წიგნისა *ინტერკულტურული სივრცე: რუსთაველი და ნიზამი.*

ელგუჯა ხინთიბიძე

1. პროფ. ხინთიბიძის ინიციატივით და მის მიერ წაკითხულია სალექციო კურსი *შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“* ინგლისურ ენაზე იტალიის ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის უნივერსიტეტის დოქტორანტებისათვის. 2021 წლის ოქტომბერ-ნოემბერი (12 აკადემიური საათი).

2. რედაქტორი ჟურნალი „ქართველოლოგი“

3. რედაქტორი კ. კეკელიძის კრებულის.

4. ხელმძღვანელი პროექტების „ზამთრის სკოლის“,
ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.**

ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო/სამეცნიერო ინსიტუტი
პუბლიკაციების სია
(2021)

1. ელგუჯა ხინთიბიძე, წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, ISBN 978-9941-9423-6-5
2. ელგუჯა ხინთიბიძე, ქართულ-ბერძნულ-სირიული ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობების რამდენიმე საკვლევი საკითხი
3. ელგუჯა ხინთიბიძე (რედაქტორი: დ. მენაბდე), შუა საუკუნეების ქართული აგიოგრაფიის სპეციფიკისათვის.
4. ელგუჯა ხინთიბიძე (რედ. ე. ხინთიბიძე), „ქართული ფილოლოგიის პატრიარქი - კორნელი კეკელიძე და ჩემი ორიოდე მოგონება“
5. ელგუჯა ხინთიბიძე (შემდგ.: ე. ხინთიბიძე, ი. მაკარაძე), „ვეფხისტყაოსნის გზა ინგლისურ დრამატურგიამდე“
6. მაკა ელბაქიძე. რუსთაველი - ნიზამის თანამედროვე
7. მაკა ელბაქიძე.*სიყვარულის რუსთველური კონცეფცია და შუასაუკუნეების ლიტერატურა.*
8. მაკა ელბაქიძე. *წითელი სიკვდილი - მეტაფორა თუ წინასწარმეტყველება.*
9. მაკა ელბაქიძე, სიყვარულის რუსთველური კონცეფცია და შუა საუკუნეების ლიტერატურა ISSN 0235-3776
10. მაკა ელბაქიძე, წითელი სიკვდილი - მეტაფორა თუ წინასწარმეტყველება. XV საერთაშორისო სიმპოზიუმის – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები „ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და თემატური გამოცდილება“.
11. მაკა ელბაქიძე, გლობალიზაცია როგორც ლიტერატურული ტენდენცია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: გლობალიზაცია - იდენტობა - ლიტერატურა.
12. მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი, რუსთაველის მსოფლმხედველობა და ქრისტიანული თეოლოგია
13. მაკა ელბაქიძე, კულტურათაშორისი ხიდი: რუსთაველი და ნიზამი
14. ნანა გონჯილაშვილი, Heart in Rustaveli's 'Knight in the Panther's Skin
15. ნ. გონჯილაშვილი - მეგობრობის კონცეფცია „ვეფხისტყაოსანში“;
16. ნ. გონჯილაშვილი -„ვეფხისტყაოსნის“ ასტრალური სიმბოლიკის გააზრებისათვის;
17. ნ. გონჯილაშვილი -„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სახე-სიმბოლოს გააზრებისათვის (მარგალიტი);
18. ნ. გონჯილაშვილი, ნ. სულავა, კავკასიური სივრცე ქართულ ჰაგიოგრაფიაში
19. ნანა გონჯილაშვილი,უფლის ჯვარცმის შესახებ დაცული ცნობები „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში, ISSN 0235-3776
20. ნანა გონჯილაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ „გზა უვალის“ გააზრებისათვის
21. ნანა გონჯილაშვილი, ეკა ნავროზაშვილი, „მერანის“ დასასრულის ტონალობის გააზრებისათვის.
22. ნესტან სულავა, წმ. გიორგი მთაწმინდელის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული მოღვაწეობა
23. ნესტან სულავა,აფხაზეთი ქართულ ჰაგიოგრაფიაში (Abkhazia in Georgia Hagiography), ვებ-მისამართი: http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ
24. ნესტან სულავა,წელთაღრიცხვის სისტემები ქართულ ჰაგიოგრაფიაში. ISSN 1987-7323. Foundation For Development of Art and Pedagogical Sciences. Akaki Tsereteli State University. VI International Online Scientific Conference "Language and Culture". Scientific Papers. Kutaisi.

25. ნესტან სულავა, წმ. შიო მღვიმელის სულიერი განვითარების გზა (კიმენურ და მეტაფრასულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში) The Path of Spiritual Development of Saint Shio Mgvimeli (in Cymenian and Metaphrastical Hagiographic Works). ვებ-მისამართი: http://sciencejournals.ge/index.php/NJ
26. ნესტან სულავა, სამოელ კათალიკოსისა და იოვანე საბანის ძის ეპისტოლეები და მათი ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა. ISBN 978-9941-8-3942-9
27. 2021. 14-15. 10.
28. ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვილი, კავკასიური სივრცე და მსოფლმხედველობრივი საზრისი ქართულ ჰაგიოგრაფიაში, (ნანა გონჯილაშვილის თანაავტორობით). 2021
29. ნესტან სულავა, ივანე ჯავახიშვილი „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ ჟანრობრივი რაობის შესახებ. ISSN 1512-343X
30. ნესტან სულავა, ქართველი ერის კრებსითი სახის ინტერპრეტაციისათვის. ISSN 2346-836X
31. ნესტან სულავა, რუსთველის პოემის სახელწოდების მეტაფორული გააზრება აღმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურულ თხზულებათა სათაურების კონტექსტში.
32. ნესტან სულავა, არჩილ მეფე და ანტონ პირველი დავით აღმაშენებლის შესახებ.
33. ნესტან სულავა, სამოელ კათალიკოსისა და იოვანე საბანის ძის ეპისტოლეები და მათი ლიტერატურულ-ისტორიული მნიშვნელობა. Epistles of Samuel the Catholicos and John Sabanis dze and their Literary-Historical Significance
34. ნესტან სულავა, ნიკოლოზ გულაბერის ძის „საკითხავის“ წყაროები.
35. ნესტან სულავა, ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალის“ ისტორიულ-კულტურული კონტექსტი და თანამედროვეობა.
36. ნესტან სულავა, მეფის ბიბლიური მოდელი და სულხან-საბა ორბელიანი.
37. ნესტან სულავა, წელთაღრიცხვის სისტემები ქართულ ჰაგიოგრაფიაში.
38. ნესტან სულავა, დავით გურამიშვილის სააზროვნო სისტემის ძირითადი მახასიათებლები მსოფლიო ლიტერატურისა და ინტერკულტურულ კონტექსტში.
39. ნესტან სულავა, მიხეილ (გობრონ) საბინინის `საქართველოს სამოთხის~ კომპოზიციისათვის.
40. ნესტან სულავა, კარვის სიმბოლური გააზრებისათვის „დავითიანში“.
41. ნესტან სულავა, აფხაზეთი ქართულ ჰაგიოგრაფიაში.
42. ნესტან სულავა, ივანე ჯავახიშვილი „დავითისა და ტირიჭანის საკითხავის“ ჟანრობრივი რაობის შესახებ.
43. ლელა ხაჩიძე„ისტორიული ჟანრის ბიზანტიური თხზულებები და მათი გიორგი მთაწმინდელისეული თარგმანი“ . ISBN 978-9941-491-25-2
44. ლელა ხაჩიძე.“XI საუკუნის ქართული ხელნაწერი ათონური კოლექციიდან”. ISBN 978-9941-8-3942-9
45. ლელა ხაჩიძე„ისტორიული თხზულება - „საკითხავი დაუჯდომელთაჲ“ და მისი ქართული თარგმანები“, ISBN 02 34-7385
46. ლელა ხაჩიძე, “XI საუკუნის ქართული ხელნაწერი ათონური კოლექციიდან”
47. ლელა ხაჩიძე, „ახალი ცნობები ათონზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ“
48. ლელა ხაჩიძე, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ და ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერებში დაცული ცნობები“
49. Eka Vardoshvili, Русский язык как способ общения в межкультурном диалоге в XIXвеке
50. Eka Vardoshvili, Principle Characteristics of Identity of Georgian people in Jean Chardin's work "The Travels of Jean Chardin into Persia and East-Indies", XIII International Scientific-Practical
51. Eka Vardoshvili, Литературные и исторические ценности в книге сера Оливера Уордропа «Грузинское царство»
52. Эка Вардошвили , Тургенев: на перекрестке эпох и культур, (глава: И.С. Тургенев в Грузинской литературной критике) Коллективная монография
53. Эка Вардошвили, Русский язык как способ общения в межкультурном диалоге в XIXвеке, II международный конгресс «Языковая политика стран Содружества Независимых Государств», Государственный Институт русского языка имени А.С. Пушкина, Россотрудничество, (Алма - Ата, 26-28 Октября 2021 г.). Сборник, Доклады (Секция 4).

54. Eka Vardoshvili. Idealization of the Sky in Lyrical Works of Georgian and European writes, www.ijsr.net, Licensed Under Creative Commons Attribution CC BY, Peer Reviewed, Paper ID: SR21203175032, DOI: 10.21275/SR21203175032, ISSN:2319-7064. Scientific Journal Impart Factor (SJIF 2019): 7,583
55. ეკა ვარდოშვილი, გიორგი ლასხიშვილი და მისი „მემუარები“, Giorgi Laskhishvili and his „Memories“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 1921 წლის ისტორიულ-კულტურული მოვლენები: ხედვა საუკუნის შემდეგ, ეძღვნება ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს. თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროგრამა.
56. ეკა ვარდოშვილი, ფერდინანდ ბრუნეტიერის ნაშრომის „ევოლუცია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში“, კიტა აბაშიძისეული თარგმანი, Translation by K. Abashidze of The work of F. Brunetiere “Evolution of lyrical poetry in France in the XIX century”. პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, უკრაინისტიკის ცენტრი, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი ფილოლოგიის ფაკულტეტი, პროგრამა
57. ეკა ვარდოშვილი, ხალხური ზეპირმეტყველების ასახვისათვის ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებში, ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროგრამა,
58. თამარ შარაბიძე, ვახტანგ ორბელიანის საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნება
59. თამარ შარაბიძე, ილია ჭავჭავაძის სატირული ლირიკა
60. თამარ შარაბიძე, ანა დოლიძე, სიზმრის ფსიქოსემიოტიკა ქართულ მხატვრულ დისკურსში
61. თამარ შარაბიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი,
62. ლადო მინაშვილი, „ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის შესწავლის ზოგი ასპექტი და ილია ჭავჭავაძე“
63. ლადო მინაშვილი, „იაკობ გოგებაშვილის საბავშვო მოთხრობები
64. ლადო მინაშვილი, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მეცნიერული და ზნეობრივი გმირობა. ISSN 978-9941-491-25-2
65. ლევან ბებურიშვილი, ლიტერატურული ენის საკითხი XIX საუკუნის 50-იანი წლების ქართულ კრიტიკაში. ISSN დაზუსტდება.
66. ლევან ბებურიშვილი, გრიგოლ ორბელიანის ერთი ტაეპის შესახებ („ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!“), ISSN 0235-3776
67. ლევან ბებურიშვილი, სოლომონ დოდაშვილის ესთეტიკურ-ლიტერატურული თვალთახედვა, ISSN 2233-3568
68. ლევან ბებურიშვილი, ვაჟა-ფშაველას 1880-90-იანი წლების პუბლიცისტიკა, ISBN 978-9941-491-28-3 (pdf)
69. ლევან ბებურიშვილი,“გორა მბორგალი -ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პორტრეტისთვის
70. იაკობ გოგებაშვილი ქართული ბატონყმობის თავისებურებათა შესახებ
71. ლევან ბებურიშვილი, ვაჟა-ფშაველას 80-90-იანი წლების პუბლიცისტიკა
72. ლევან ბებურიშვილი, გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ტრაქტატი „საუბარი ლირიკის შესახებ“
73. ლევან ბებურიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და 40-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკა
74. თამარ პაიჭაძე, „გარსი მარადი“ – თეატრი სცენის მიღმა (მსოფლმხედველობრივი კონცეფციის გააზრებისათვის)“
75. თამარ პაიჭაძე, „მოდერნისტული სენი – სპლინი ქალაქში“- UDC(უაკ) 821.353.1.09(475.22)(063) ლ-681
76. თამარ პაიჭაძე, „გორა მბორგალი–ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის “ნიკო სამადაშვილის პოეზიის მხატვრული ასპექტები“
77. თამარ პაიჭაძე„„გარსი მარადი“ – თეატრი სცენის მიღმა (მსოფლმხედველობრივი კონცეფციის გააზრებისათვის)“ IBSN 978-9941-99=519-2-3
78. თამარ პაიჭაძე„„სიმბოლისტური ქალაქის მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი რეტროსპექტივა სანდრო ცირეკიძის მინიატურებში“

79. თამარ პაიჭაძე, “gora mborgali–zneobriv-fsiqologiuri portretisaTvis“
80. თამარ პაიჭაძე, “მოდერნისტული სენი – სპლინი ქალაქში”
81. თამარ პაიჭაძე, „გარსი მარადი“ – თეატრი სცენის მიღმა (მსოფლმხედველობრივი კონცეფციის გააზრებისათვის)“
82. თამარ პაიჭაძე, „ეთნო სტილის ფსიქოლინგვისტური ასპექტები მხატვრულ კომუნიკაციაში Psycholinguistic Aspects of Communicational Ethno Style in Art Communication“
83. თამარ პაიჭაძე, “ლინგვო-ფონეტიკური ექსპერიმენტი ქართულ ავანგარდისტულ ლიტერატურაში (ზაუმი) ’’Lingo-phonetic experiment in Georgian avant-garde literature (Zaum)’’
84. რუსუდან ნიშნიანიძე, ,,დანტეს პარადიგმა ისტორიული ემიგრაციის დისკურსში“
85. რუსუდან ნიშნიანიძე, ,,ჩასწორებული“ პოეტური ტექსტები“
86. რუსუდან ნიშნიანიძე, ,,იაკობ გოგებაშვილის ,,თბილისი და სიონის ტაძარი“ და ლიტერატურული გადაძახილი ქართულ ემიგრანტულ პოეზიაში“
87. რუსუდან ნიშნიანიძე, ნიკო სამადაშვილის პოეზიის მხატვრული ასპექტები“
88. რუსუდან ნიშნიანიძე, ,,ემიგრაციაში შექმნილი პროზაული ტექსტების სათაურების გააზრებისათვის“
89. რუსუდან ნიშნიანიძე, ,,მუზეუმში შემონახული ისტორიული სიმართლე“
90. რუსუდან ნიშნიანიძე, ,,იაკობ გოგებაშვილი -ესთეტიკური ფორმულა თუ იდეოლოგიური კრედო“
91. რუსუდან ნიშნიანიძე, ადამიანი-პერსონაჟის მხატვრული სახის დინამიკა ფოლკლორულ შემოქმედებაში, ISBN 978-9941-13-919-2 (pdf), ISSN 1987-5363
92. რუსუდან ნიშნიანიძე,,, მხატვრული პარადიგმა და ერთი ამერიკული ლიტერატურული ტექსტი“
93. რუსუდან ნიშნიანიძე, ,,ნიკოლოზ ბარათაშვილის -სამანს იქით...“
94. რუსუდან ნიშნიანიძე,,,ლიტერატურული გადაძახილი და არშემდგარი ექო“ (ზ. ქარუმიძის ტექსტი - ,,ბაში-აჩუკი ანუ მობი დიკი“)
95. ქეთევან სიხარულიძე, ზღაპრული “ქალთა ქვეყანა” ლიტერატურულ და ფოლკლორულ ნარატივებში ISSN 2298-0377
96. ქეთევან სიხარულიძე, ავადობა და ეპიდემია კავკასიელთა მითოლოგიურ-რელიგიურ კონტექსტში
97. ქეთევან სიხარულიძე, ოჯახის მფარველის სახეობრივი და ფუნქციური გააზრება ქართული და ოსური მასალების მიხედვით
98. ქეთევან სიხარულიძე, გოლიათთა ტიპები ფოლკლორული მასალების მიხედვით
99. ქეთევან სიხარულიძე, ტრადიციული ქართული მოტივები შავშურ ფოლკლორში
100. ელენე გოგიაშვილი, ფოლკლორი და ლინგვისტიკა
101. ელენე გოგიაშვილი, ჰეროიკული წარსულის მისტერია ხალხურ გადმოცემებში
102. ელენე გოგიაშვიი, განშორება იაპონურ და ევროპულ ხალხურ ზღაპრებში
103. ელენე გოგიაშვილი, ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრების ქართული თარგმანების უცნობი ხელნაწერი
104. ელენე გოგიაშვილი, ჰანს ქრისტიან ანდერსენის „ბულბულისა“ და „თოვლის დედოფლის“ ადრეული ქართული თარგმანები
105. ელენე გოგიაშვილი, ოიდიპოსის სიუჟეტი ქართულ ზეპირ თხრობით ტრადიციაში
106. ელენე გოგიაშვილი, რა „აკეთილშობილებს“ ყაჩაღს? ფოლკლორული პარადიგმები.
107. ელენე გოგიაშვილი, ფოლკლორული ჟანრები და თანამედროვე მედია (კინემატოგრაფია, პოპკულტურა).
108. ელენე გოგიაშვილი, ჟამის გამავრცელებელი მითოსური არსებები ქართულ ფოლკლორში, ISSN 1987-7021
109. ელენე გოგიაშვილი The Translations of the Thousand and One Nights in Georgia and their Adaptations in Georgian folklore
110. ელენე გოგიაშვილი Spiel um Leben und Tod in Georgischen Volksmärchen. 10.31338/uw.9788323549500.pp.87-94

111. ელენე გოგიაშვილი Образ коня грузинского сказочного эпоса в контексте сравнительной мифологии, - Эпосоведение. ხვთისო მამისიმედიშვილი ,Тайные знаки внешности героя в эпосах кавказских народов, DOI 10.25587/j3191-9513-3142-1
112. ელენე გოგიაშვილი, Heroes as Narrators in Georgian Folktales.- Encountering Emotions in Folk Narrative and Folklife
113. ხვთისო მამისიმედიშვილი, ჟამის გამავრცელებელი მითოსური არსებები ქართულ ფოლკლორში, ISSN 1987-7021
114. ხვთისო მამისიმედიშვილი, მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ“ და მისი ფოლკლორული ფესვები
115. ხვთისო მამისიმედიშვილი, მიღმა სამყაროსთან კომუნიკაციის საშუალებები ხალხურ ტექსტებში (მესულეთე ქალები)
116. ხვთისო მამისიმედიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და ქართული ფოლკლორი
117. ხვთისო მამისიმედიშვილი, ქართული მოტივები ოსურ ლიტერატურაში
118. ხვთისო მამისიმედიშვილი, ქართული კულტურის ელემენტები ინგუშურ ფოლკლორში

კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება - კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

1. მერაბ ჩუხუა -ასოცირებული პროფესორი,კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი
2. ცირა ბარამიძე-პროფესორი
3. ნანა მაჭავარიანი-ასოცირებული პროფესორი
4. ჯონი კვიციანი-ასოცირებული პროფესორი
5. რევაზ აბაშია-ასოცირებული პროფესორი
6.როსტომ ფარეულიძე-ასოცირებული პროფესორი

1.**მერაბ ჩუხუა**

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. ციფრულად დოკუმენტირებული და ლინგვისტურად ანოტირებული ლაზური ტექსტები ლექსიკონითურთ HE-18-1344

2. ქართული კულტურის ეთნოლინგვისტური ენციკლოპედია ეთნოლინგვისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონითურთ FR-19-21285

3. კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები CS-I-21-130

4. ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები: ქართულ-აფხაზურ-კავკასიური პრაქტიკა OTG-I-21-273

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2018-2021 (დამატებითი თარიღი 2022)

2. 2020-2023

3. 2021-2022

4. 2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მანანა ბუკია (ხელმძღვანელი), ნატო ახალაია (კოორდინატორი), ლილე თანდილავა, ზეზვა ქავთარაძე (შემსრულებლები), მერაბ ჩუხუა (ლინგვისტი-კონსულტანტი)

2. მანანა ბუკია (ხელმძღვანელი), გიორგი ომსარაშვილი (კოორდინატორი), ნუგზარ ანთელავა (ძირითადი შემსრულებელი), მერაბ ჩუხუა (ძირითადი შემსრულებელი)

3. მერაბ ჩუხუა (ხელმძღვანელი), გიორგი ომსარაშვილი (კოორდინატორი), ნუგზარ ანთელავა(ძირითადი შემსრულებელი), მაჰომედ მაჰომედხანოვი (ძირითადი შემსრულებელი)

4. ნუგზარ ანთელავა (ხელმძღვანელი), მარიამ ბეჟიტაშვილი (კოორდინატორი), მერაბ ჩუხუა (ძირითადი შემსრულებელი), მაჰომედ მაჰომედხანოვი (ძირითადი შემსრულებელი), გიორგი ომსარაშვილი (ძირითადი შემსრულებელი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2021 წლის საანგარიშო პერიოდში დასახული 6 ამოცანიდან, რომლებიც ძირითადად ეყრდნობოდა სამეცნიერო კვლევით მოგზაურობას, მსოფლიოში მძიმე ეპიდემიური ვითარების გამო, 5 ჩაიშალა, რამაც გამოიწვია მათზე დამაგრებული ქვე-ამოცანების წარუმატებლობა, კერძოდ: ლინგვისტური ანალიზი. მასალის, თარგმანი, საბოლოო რედაქტირება, მონაცემთა ბაზის შევსება, წიგნის პრეზენტაცია.

პირველი დავალება, რომელიც ეყრდნობოდა წინა პერიოდებში დოკუმენტირებულ მასალას, ასევე ონლაინ მოპოვებულ რამდენიმე ტექსტს, დასრულდა, კერძოდ: ლაზური ტექსტები და ლექსიკური ერთეულები ითარგმნა ინგლისურად; ცალკეულ საქაღალდეებში განთავსდა ლაზურ კილოებში გაშიფრული ტექსტები, დაყოფილი წინადადებებად ქართული, ინგლისური და IPA ვერსიებით, ქართული ანბანის ტრანსლიტერაციის სქემის მიხედვით. თითოეულ საქაღალდეს მიენიჭა შესაბამისი კილოკავის ამსახველი აბრევიატურა: ხოფური - KH; ჩხალი - ჩხ; ვიწრო -VW; არქაბული - კილო; ათინური - ATH; არტაშენული - ART. შესაბამის საქაღალდეში მოთავსებულ სეგმენტურ ტექსტებს თან ერთვოდა მეტამონაცემები - ჩაწერის ადგილი (ქვეყანა, ქალაქი, სოფელი), მოსაუბრეს ვინაობა (სახელი, გვარი, ასაკი) და დრო (რიცხვი, თვე, წელი).

გაკეთდა ტექსტების მორფოლოგიური ანოტაცია (შერჩევით), იგივე მორფოლოგიური გლოსირება, რომელიც მუშავდება შემდეგი პარამეტრების მიხედვით: წინადადების ჩაწერა, სიტყვაფორმების სეგმენტაცია/მორფემირება და მორფემების გლოსირება (შესაბამისი გრამატიკული კატეგორიის სახელების მინიჭება მიხედვით. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად). დამუშავებულ ტექსტს თან ახლავს შესაბამისი ქართული თარგმანი.

შეივსო ლაზური ლექსიკონი ახალი მასალებით, რაც პრაქტიკულად ამოწურავს ლაზურის ლექსიკურ ფონდს, რომელიც გამოცემულ ტექსტებში იყო მიმობნეული.

1. **პროექტი - CS-I-21-158 - „ქართული მატერიალური და სულიერი კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში - მონაცემთა ბაზა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე“**

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 01.10. 2021 – 01.10.2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
ძირითადი პერსონალი, პროექტის ხელმძღვანელი - ცირა ბარამიძე
ძირითადი პერსონალი, პროექტის კოორდინატორი - ქეთევან ქურდიანი
ძირითადი პერსონალი - ნინო ჩიქოვანი
ძირითადი პერსონალი - ხვთისო მამისიმედიშვილი

ძირითადი პერსონალი - გიორგი კრავეიშვილი
ძირითადი პერსონალი - მაგომედ მაგომედოვი
ძირითადი პერსონალი - შახბან ხაფიზოვი
ძირითადი პერსონალი - ბორის ხარსიევი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის **„ქართული სულიერი და მატერიალური კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში - მონაცემთა ბაზა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე“** მიზანია სრულყოფილად აღიწეროს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, შესწავლილ იქნეს ამ ძეგლების ჩრდილოეთ კავკასიაში არსებობის ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური მიზეზები; ჩრდილოეთ კავკასიაში დასტურდება არა მარტო ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები, არამედ სხვა სახის კულტურული მემკვიდრეობაც ქართული კულტურისა (ეპიგრაფიკა, წარწერები, ქართული ეთნოტოპონიმიკა, ქართული ისტორიოგრაფიული მასალები, ქართული ფოლკლორული მასალა, ქართული მუსიკალური ფოლკლორი და საგალობლები, აგრეთვე ქართული მატერიალური კულტურის ექსპონატები, დაცული ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების მუზეუმებსა და არქივებში, ასევე ღია სივრცეში). პროექტში მონაწილე მეცნიერები ინტერდისციპლინური, მულტიდისციპლინური, კროსდისციპლინური და მონოდისციპლინური მიდგომებით გამოიკვლევენ ჩრდილოკავკასიაში არსებულ ძეგლებს შემდეგი დარგებისა: ლინგვისტიკა, ისტორია, არქეოლოგია, ფოლკლორი, კულტუროლოგია, მუსიკალური ფოლკლორი და, ისტორიული პერიოდიზაციის გათვალისწინებით, შექმნიან მეცნიერულად გამართულ **კატალოგს** ვიზუალურ მასალაზე, კერძოდ, ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე დაყრდნობით და განათავსებენ სპეციალურად პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებგვერდზე საძიებლებითა და ლინკებით. პროექტის ფარგლებში გამოიცემა სამეცნიერო პუბლიკაციები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. შესწავლილი იქნება მუზეუმებში, საცავებსა და არქივებში დაცული ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ექსპონატები; აგრეთვე ქართული წარმართული და ქრისტიანული კულტურის ძეგლები, ქართული ტრადიციები, რომელთაც გავრცელება ჰპოვეს ჩრდილოეთ კავკასიაში, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, აგრეთვე ქართული დამწერლობით შესრულებული ტექსტები ქართულ და სხვა კავკასიურ ენებზე; შესწავლილი იქნება აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა მითოსში, ფოლკლორში, პროზასა და პოეზიაში ქართულიდან შესული კულტურული მემკვიდრეობა და ამ მემკვიდრეობის შესახებ არსებული შესაბამისი ემპირიული მასალა ანალიზითურთ იქნება სისტემურად წარმოდგენილი. პროექტის ფარგლებში განხორციელდება აგრეთვე ქართული მუსიკალური ფოლკლორის, სიმღერებისა და საგალობლების შესწავლა, სისტემატიზაცია თემატურად, ანალიზი და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მომზადდება გამოსაცემად პროექტის პუბლიკაცია, რომელსაც მეცნიერული ანალიზის პარალელურად დართული ექნება CD მუსიკალური ემპირიული მასალის ჩანაწერებით. პროექტის შედეგები კომპლექსურად წარმოადგენს ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების, როგორც ქართული კულტურული მემკვიდრეობის ანალიზსა და აუდიო-ვიზუალურ მასალას სამეცნიერო ანალიზით შესაბამისი კატალოგებით **მონაცემთა ბაზაში.**

პროექტის შედეგად მომზადდება გამოსაცემად სამეცნიერო პუბლიკაცია და გამოიცემა თსუ-ს გამომცემლობის მიერ. პროექტის შედეგების გავრცელებას ხელს შეუწყობს მისი ელექტრონული ვარიანტი - **მონაცემთა ბაზა და ვებგვერდი** კატალოგებითურთ, რომელზეც წვდომა იქნება თავისუფალი.

2. საანგარიშო 2021 წლის პერიოდში პროექტისათვის „ქართული კულტურის ეთნოლინგვისტური ენციკლოპედია ეთნოლინგვისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონითურთ“ ამოკრეფილ იქნა ფაქტიური მასალა ტერმინთა ელექტრონული კარტოთეკისათვის. ეთნოლინგვისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის შესაქმნელად მოძიებულიქნა ქართულ და უცხო ენებზე შექმნილი შესაბამისი ლექსიკონები, სამეცნიერო ლიტერატურა, შეიქმნა შესაბამისი ბიბლიოგრაფია სხვადასხვა ხასიათის ტექსტებიდან.

დამუშავდა ეთნოლინგვისტურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის სამუშაო ვერსია. მომზადდა პირველადი წარმოების კულტურის ძირითადი მახასიათებლები და მათი ეთნოლინგვისტური ანალიზი. მეთოდურად დამუშავდა ტერმინები, ხოლო საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოები საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე წარედგინა სამეცნიერო საზოგადოებას.

3. პროექტი „კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები“ ამოქმედდა 2021 წლის სექტემბერში. საანგარიშო პერიოდში დამუშავდა მისი ყველაზე ვრცელი მონაკვეთი - ქართველური ენა-კილოები, ქართველთა ტომობრივი შედგენილობა/სუბეთნიკური ჯგუფები და კულტურული მემკვიდრეობა. საფუძვლიანად აღიწერა საქართველოს ენობრივ-კულტურული პორტრეტი. კერძოდ, დასვნის სახით გამოითქვა მოსაზრება, რომ თანამედროვე საქართველო მოიცავს ტრანსკავკასიის დასავლურ და ცენტრალურ ნაწილებს. რელიეფურად ესაა: მთა, მთისწინეთი, ბარი, ზღვისპირეთი, ტბისპირეთი, ხეობები (დიდი მდინარეების სანაპიროები), რომლებიც ოდითგანვე განსაზღვრავდნენ ქართველთა დასახლების ტიპებს. ისტორიული და თანამედროვე საქართველოს არამატერიალური მემკვიდრეობის უნიკალური ქვაკუთხედია ქართველური ენობრივი მრავალფეროვნება, რომელიც ქართველთა გამორჩეული სამეტყველო კოდებით, დიალექტებით არის მიმოფენილი. ესენია: ქართული, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ენა, კოლხური (იგივე მეგრულ-ლაზური) და სვანური. სამი ქართველური ენობრივი ქვესისტემა, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, მოიცავენ სრულიად საქართველოს, როგორც ისტორიულს, ისე თანამედროვეს.

4. პროექტი „ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები: ქართულ-აფხაზურ-კავკასიური პრაქტიკა“ მიზნად ისახავს ერთიანი ქართულ-აფხაზურ-კავკასიური კულტურის ძეგლების გამომზეურებას და ზოგადკავკასიურ კონტექსტში განხილვას. 2021 წელს შემუშავდა პროექტის გზამკვლევი/სინოფსისი. არქაული პერიოდიდან ქართული ენა იყო ყველა ქართული კუთხის (მათ შორის, აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის, ლაზეთის) სახელმწიფო ენა. ამ ენაზე აღესრულებოდა ღვთისმსახურება (როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული), ქართული იყო ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკის, კულტურის, განათლებისა და ხელოვნების ენა. მთელს ქვეყანაში არ არსებობდა სფერო/დარგი, სადაც არ ფუნქციონირებდა ქართული ენა. გამომდინარე ენის მასშტაბური გავრცელებიდან, ქართულ ენას დროთა განმავლობაში გაუჩნდა განსხვავებული ქვესისტემები. ქართული ენის მრავალრიცხოვანი დიალექტები, რომლებიც პირობითად დაიყოფა აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებად. **აღმოსავლური დიალექტებია:** ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური, მესხური, ჯავახური, ხოლო **დასავლურქართულია**: იმერხევური, შავშური, ტაოური, კლარჯული, აჭარული, გურული, იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, მეგრელთა და სვანთა ქართული მეტყველება ძირითადად მიუყვება იმერულს, ხოლო ლაზებისა – აჭარულ-მესხურს.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1) ავტორი/ავტორები

1. **მერაბ ჩუხუა**

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. Грузино-черкесско-абхазский этимологический словарь (1030 გვ.), 2021, ISBN 978-9941-491-02-3

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თსუ გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა - 1030 გვ.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომის „ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ ახალი რუსულენოვანი რედაქცია სპეციალურად შეიქმნა იმ სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში, რომელიც ემსახურება სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შექმნას საქართველოში. წიგნი მოიცავს 1700-ამდე სიტყვა-სტატიას. "მონოგრაფიაში" შემოვიდა ავტორის მიერ შედგენილი უნიფიცირებული ტრანსკრიფცია იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონოლოგიური სისტემისათვის. განხილულია ქართული, კოლხური (მეგრულ-ლაზური), სვანური, აფხაზური, აბაზური, უბიხური, ადიღეური, ყაბარდოული ენების სათანადო ძირეული მასალა, ანუ ის ძირითადი ლექსიკური ფონდი ენისა, რომლის მიხედვითაც, შესაბამისი მეთოდის გამოყენებით, მტკიცდება ამა თუ იმ ენებს შორის გენეტიკური ნათესაობა. მოხმობილია პარალელები დაღესტნური, ნახური, ბასკური და სხვ. იბერიულ-კავკასიური ენებიდან, ასევე ძველი მსოფლიოს ცივილიზაციის ენებიდან (ხათური, ჰურიტულ-ურარტული).

კაპიტალურ მონოგრაფიას სრულყოფილებას ჰმატებს ფუძე-ენათა დონეზე რეკონსტრუირებული პროტოტიპების შედარებითი ანალიზი. შეიქმნა სრულიად ახალი პარადიგმა, რომლის ფარგლებშიც სინდურ-ქართველურ ენებს შორის გამოვლინდა რეგულარული, კანონზომიერი და სისტემური ბგერათშესატყვისობები და მასზე დაყრდნობით დამტკიცდა დასახელებულ ხალხთა და ენათა ერთიანი გენეტიკური წარმომავლობა-ნათესაობა. რელევანტურია ის ფაქტიც, რომ ამ კუთხით ნაშრომის ფარგლებში მიღებული დასკვნები სრულ თანხმობაშია გენეტიკური კვლევების მიღწევებთან, რომლის მიხედვითაც, აფხაზ-ქართველ-ჩერქეზ ხალხებს ძირითადი საერთო G2A ჰაპლოჯგუფი აღმოაჩნდათ.

წიგნი განკუთვნილია თსუ კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის მიმართულებათა სტუდენტებისათვის, დარგის სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1) ავტორი/ავტორები

1. **ჯონი კვიციანი**

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. **„კავკასია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 2021 წლამდე“**

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა-

თბილისი, თსუ გამომცემლობა-(იბეჭდება)2021 წ.

4) გვერდების რაოდენობა - 340 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1 .წიგნი წარმოადგენს მეორე ნაწილს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების სასწავლო კურსისა „კავკასიის ხალხთა ისტორია“.

ნაშრომში, ცივილიზაციათა თეორიისა და მსოფლიო ისტორიის ფორმაციული ხედვის მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში ნაჩვენებია კავკასიის

ხალხების ისტორია რუსეთისა და საბჭოთა იმპერიების შემადგენლობაში, სადაც მათი დამოუკიდებლობის იგნორირების, კულტურული და ეკონომიკური თავისებურებების გაუთვალისწინებლობის ხარჯზე, „ზემოდან“ ზეწოლით ხორციელდებოდა, ჯერ იყო და, რუსულ ერთიან სოციუმში (ცარიზმის დროს) და შემდგომ კი, საბჭოთა ეპოქაში, ე. წ. „საბჭოთა ხალხში“ გათქვეფის პოლიტიკა. სალექციო კურსში მითითებულია, რომ ხელისუფლების აღნიშნული პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა კავკასიაში ხალხთა ეროვნული ცნობიერების ზრდას. საბჭოთა კავშირში 1970-80-იან წლებში აღნიშნული წინააღმდეგობის შედეგად წარმოქმნილმა პრაქტიკამ, განსაკუთრებით — საქართველოში, ხელი შეუწყო საზოგადოებაში საპროტესტო პოტენციალის დაგროვებას და ერთმნიშვნელოვნად იქონია სათანადო გავლენა საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესზე.

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა კავკასიაში 1918-1921 წწ.-ში საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკებისა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა დამოუკიდებელი რესპუბლიკის ფუნქციონირებას და მათი მთავრობების კავკასიურ პოლიტიკას. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ამჟამად, XXI საუკუნეში, კავკასიის რესპუბლიკებში დემოკრატიული რეფორმატორული პროცესების გაღრმავებით, სამოქალაქო ინსტიტუტების გაძლიერებითა და ტრადიციული, მოდერნიზაციული ღირებულებების სინთეზირებით შესაძლოა, მიღწეულ იქნას რეგიონში მშვიდობა და სტაბილური განვითარება.

ნაშრომი განკუთვნილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სასწავლო პროგრამებისა და მომიჯნავე სპეციალობების სტუდენტებისათვის, ასევე კავკასიის ხალხთა ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი

1. მერაბ ჩუხუა
2. მერაბ ჩუხუა
3. მერაბ ჩუხუა
4. მერაბ ჩუხუა
5. მერაბ ჩუხუა
6. მერაბ ჩუხუა

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. ლაზური **დოლო**- ზმნისწინის მეგრული შესატყვისისათვის (იბეჭდება)
2. აფხაზურ-ქართველური გრამატიკული შეხვედრებისათვის (იბეჭდება)
3. წანართა წარმომავლობისათვის (იბეჭდება)
4. Paleo-Caucasian semantic dictionary
5. საქართველოს ჩრდილოეთის კარიბჭე - დარიალი/დარიალანი
6. მდედრობითი სქესის გამოხატვის ერთი შესაძლებლობისათვის ლაზურში

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. დიალექტოლოგიური კრებული - 2021

2. აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი – ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურის ძეგლები

3. კრებული „ქუთაისური საუბრები“

4. Language and Society in the Caucasus Understanding the Past, Navigating the Present Christofer Berglund, Katrine Gotfredsen, Jean Hudson & Bo Petersson (eds.), Festschrift for Karina Vamling.

5. კავკასიის კარი – საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე

6. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 15, #1, 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თსუ გამომცემლობა

2. თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

3. ქუთაისის უნ. გამომცემლობა

4. Universus Academic Press www.universus.se, Malmo 2021, pp. 72-105

5. თბილისი, თსუ გამომცემლობა

6. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

1. ხუთი (5) გვერდი
2. თოთხმეტი (14) გვერდი
3. შვიდი (7) გვერდი
4. ოცდაცამეტი (33) გვერდი
5. რვა (8) გვერდი
6. ხუთი (5) გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში დადასტურებულია ლაზური **დოლო**- ზმნისწინის შესატყვისი მეგრულში; ირკვევა, რომ **დოლო**-ს საკმაოდ ფართო გავრცელება ჰქონია მეგრულშიც. იგი უფრო დილა-სახეობითაა ცნობილი და მას დღემდე შემორჩენილ იშვიათი გამოყენების სპეციფიკურ სიტყვებში ვხედავთ. ასეთებია: **დილა**-ხუნა „ქვეშ/შიგნით/გვერდით ჯდომა“, შდრ. **დინო**-ხუნა; **დილა**-ნგარა „ქვეშ/შიგნით ტირილი“, შდრ. **დინო**-ნგარა; **დილა**-ხორუა „შიგნით/გვერდით სახლობა“, შდრ. **დინო**-ხორუა; **დილა**-ბუნაფა „ჩაბმა შრომით გაერთიანებაში“ [ქობალია 2010], შდრ. **დინო**-ბუნაფა... **დილა**-საგან არის ნაწარმოები ასევე იშვიათი გამოყენების **დილ-ე** „შიგნით; ქვეშ“ ზმნისართი მეგრულში. ამოსავალი ლაზურისებური **დოლო**- სახეობის არსებობის კვალი ჩანს სამეგრელოში გავრცელებულ **დოლგ**-მახორე/**დოლ**-მახორე სოციალურ ტერმინში, რომელიც დღეს ცნობილია შემდეგი მნიშვნელობით: *მონა, რომელიც წარმოადგენდა ბატონის სრულ საკუთრებას; მოჯალაბე, ბატონის მამულში ან მის გვერდით მოსახლე, უმიწაწყლო გლეხი, ყმა-მსახური, რომელიც უშუალოდ ბატონს ექვემდებარებოდა და ემსახურებოდა მის ოჯახს* [მაკალათია 1941: 164; ქობალია 2010]. ცხადია, **დოლგ-მახორე/დოლ-მახორე** უდრის *შიგნით/გვერდით მოსახლეს*, სადაც ლაზურისათვის დამახასიათებელი **ჩა**-/**ში**- არქაული სემანტიკა იკვეთება. შემთხვევითი არც ის არის, რომ **დოლგ**-მახორე/**დოლ**-მახორე ტერმინებს აღმოაჩნდათ **დილგ**-მახორე/**დილ**-მახორე ფონეტიკური სახეობები.

დასკვნა - ზმნისწინთა გამოყენების თვალსაზრისით არსებული სხვაობები მეგრულსა და ლაზურს შორის მეორეულ ვითარებას ასახავს, რაც კოლხური ენის ორი მსხვილი დიალექტებს შორის კონტაქტის არქონითა და დამოუკიდებელი განვითარებითაა შეპირობებული.

2. ნაშრომში განხილულია შესაძლო აფხაზურ-ქართველური ენობრივი კონტაქტების შესაძლო ფაქტები მორფოლოგიიდან. საფუძვლიანი მეცნიერული კვლევებით დგინდება, რომ მეგრულ-ლაზურში, მით უფრო ქართულში, წარმოდგენილი ე. წ. მორფოლოგიური შეხვედრები გამორიცხავს გრამატიკული ელემენტების სესხების შესაძლებლობას ერთი (აფხაზური) ენიდან მეორე (ქართველური) ჯგუფის ენებში. თუმცა ზოგი ავტორი, ამავდროულად, სავსებით დასაშვებად მიიჩნევდა გარკვეული ზმნების, სახელების, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, თუ მეცხოველეობა-მესაქონლეობის, ფლორა-ფაუნის, რელიგიური და ლანდშაფტთან დაკავშირებული ტერმინების სესხებას ნებისმიერი მიმართულებით. სიღრმისეული ანალიზის გამოყენებით კი შესაძლებელი ხდება ყველა გრამატიკული აფიქსის ქართველური ეტიმოლოგია, რაც წარმოდგენილ ნაშრომებში, სამწუხაროდ, არ განხორციელდა. საზოგადოდ კი, უნდა შევნიშნოთ, რომ, მიუხედავად ჩვემი ღრმა პატივისცემისა ზემოთ დასახელებული ავტორების მიმართ, თითქმის ყველა მკვლევარს აღწერილი აფხაზურ-ქართველური მორფოლოგიური შეხვედრები განხილული აქვს არეალური კავკასიოლოგიის პოზიციიდან, მაშინ, როდესაც გენეტიკურად საერთო ენობრივ მასალასთან გვაქვს შეხება. ამის გათვალისწინებით და ისტორიულ-გენეტიკური მიდგომით კი უპრობლემოდ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ზემოთ განხილული აფხაზური ენის **-ax^{j}(ə)** ,,მიმართ“ მორფემა გენეტიკურად უკავშირდება მეგრულ-ლაზურ **-ხ**-ს, რომელიც ზმნისართებსა და ლოკატიურ ბრუნვებში იგივეობრივი ფუნქციით საკმაოდ უხვადაა რეალიზებული.

3. თანამედროვე ქართველოლოგიაში როგორც ისტორიული, ისე ლინგვისტური თვალსაზრისით სულ უფრო აქტუალური ხდება ეთნონიმ წანარ-ის წარმომავლობა. მას სპეციალური წერილიც მიეძღვნა, რომელიც წანარნი'ს სათაურით ელექტრონულადაც გამოქვეყნდა და ინტერნეტში იძებნება [https://iberiana.wordpress.com/about/tsanarni/]. ჩვენს მიერ წარმოდგენილ წერილში არ ვაპირებთ საკითხის ისტორიის სპეციალურ განხილვას; ვიტყვით მხოლოდ, რომ, პტოლემეოსის გეოგრაფიული სახელმძღვანელოს მიხედვით, *წანარ-/სანარ-*თა ტომი ცხოვრობდა ალბანის იქით, ანუ კავკასიონის მთიანეთში. ქართველური **წან-** სახეობის ფუძესთან საერთო გახმოვანების **-წან**- ასევე დაცულია აფხაზური ენის ა-**წან**-უა ფორმაში. აფხაზთა ხალხური გადმოცემით, ა-**წან-**ებ-ი აფხაზეთის მთებში ცხოვრობდნენ. ა-**წან**-**უ**-ებ-ი (აფხ. მრ. რ. ფორმა **წან-**აა) მეჯოგეები იყვნენ და მოსახლეობდნენ ბზიფიდან ენგურამდე. მათი საცხოვრებელი სახლების ნაშთები გვხვდება 2133-დან 2286 მეტრის სიმაღლეზე, აფხაზები მათ სადგომებს **წან-**იგვარა-ს ეძახიან (ნ. ალბოვი, ს. ჯანაშია). **წან**-**არ**-ისა და **წან**-ის ერთ კონტექსტში მოხმობით ჩვენ იმის დამტკიცებას ვცდილობთ, რომ ორივესთვის ამოსავალია **წან**- ძირი და **წან**-ი და **წანარ**-ი ერთიდაიგივე ქართველური ტომის სახელია.თვითონ **წან**- ძირი მეგრულ-ლაზურში *ადგილის* სახელი უნდა ყოფილიყო, ალბათ *სამხრეთის* მნიშვნელობით, შდრ. მეგრ. **მეხ**□ „აღმოსავლეთი“, რომელიც სავარაუდოდ ინახავს ქართული **მეხ**-ელ-ნ-ი/**მეხ**-ურ-ი/**მეხ**-ურ-ელ-ნ-ი ლექსემების **მეხ**- ძირს, რომლის მოსავალი მნიშვნელობაც *აღმოსავლეთი* უნდა ყოფილიყო, ანუ **მეხ**-ელ-ი „აღმოსავლელი“, ხოლო მეგრ. **წან**-არ-ი „სამხრეთელი“. საზოგადოდ ადგილის სახელიდან ეთნიკური ტერმინების წარმოება ბუნებრივია ქართველური ენობრივი სინამდვილისათვის. ამგვარი დერივაციისა ჩანს საერთოქართველური **სვან**-, რომლის მნიშვნელობა ქართულში **შურო**-თი განისაზღვრება (სვანი = შურო), ცოცხალი სიტყვაა ქართლურ დიალექტში. ეთნიკური სახელი **სვან**- მეგრულში **შონ**-ით არის წარმოდგენილი, მაგრამ **შონ**-ე *სვანეთს* აღნიშნავს მეგრულში. ამის ანალოგიური წარმოებაა **წან**- „სამხრეთი“, **წან**-ი / **წან**-არ-ი „წანელი“, ხოლო **წან**-**ე** -> / **წან**-**ია** „წანეთ-წანარეთი“.

4. თანამედროვე კავკასიაში ორმოცდაათამდე ეთნოლინგვისტური ჯგუფია. ავტოქთონ ხალხებთან ერთად კავკასიაში ინდოევროპული (სომხები, ბერძნები, ოსები, თალიშები, ქურთები), თურქული (აზერბაიჯანელები, ყაზახები, ბალყარები, ყუმიკები, ნოღაელები) და მონღოლური (ყალმუხები) მოდგმის ხალხებიც ცხოვრობენ. ამ ხალხთაგან ნაწილი (ბერძნები, სომხები და ოსები) კავკასიაში სამი ათასი წლის წინ დასახლდნენ, ზოგიც შედარებით გვიან, შუა საუკუნეების შემდეგ დასახლდა რეგიონში.

მსოფლიოს რამდენიმე სამეცნიერო და ანთროპოლოგიური ცენტრი დღესაც დიდ ყურადღებას უთმობს კავკასიელი ხალხების, ენებისა და კულტურების წარმოშობის პრობლემას.
პალეოკავკასიურ ენებში შედის სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენული (ავტოჩტონური) მოსახლეობის ენები. ესენია ქართველური (ქართული, ლაზურ-მეგრული, სვანური), ნახური (ჩეჩნური, ინგუშური, წოვა-თუშური, აფხაზურ-ადიღური (ადიღეური, ყაბარდოული, უბიხური, აფხაზური, აბაზური) და დაღესტნური (ხუნძურ-ანდიურ-დიდოური, ლაკურ-დარგუული, ლეზგიური, არჩიბული, უდიურ-ძველი ალბანური და სხვ.) ამ ენებისა და დიალექტების საერთო რაოდენობა ასს აჭარბებს. ლინგვისტური თვალსაზრისით, ჩემი კვლევა მიზნად ისახავდა ამ ენების ძირითადი (ძირითადი) არქაული ლექსიკური მარაგის რეკონსტრუქციას და შესაბამისი პროტოკავკასიური არქეტიპების აღდგენას.
მომავლაში შედარებითი შესწავლა ხელს შეუწყობს ფუძეენების დონეზე რეკონსტრუირებული არქეტიპების კანონზომიერ შესატყვისთა მოძიებას როგორც რეგიონის უძველესი ცივილიზაციების ენებში (შუმერული, ხათური, ჰურიტულ-ურარტული, ეტრუსკული, კასიტური, ელამური...), ასევე ბასკურთან კავშირის დადგენას; ევრაზიის რეგიონის პალეოკავკასიელებსა და არაინდოევროპულ ეთნოსებს შორის სავარაუდო გენეტიკური კავშირისა და მათი ეთნო-/გლოტო-გენეზის საკითხის გარკვევას. ფაქტობრივად, ერთი მხრივ, აშკარაა ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური პარალელები კავკასიის ყველა ენობრივ ერთეულს შორის, მაგრამ ამავე დროს ფუნდამენტური განსხვავებაა გრამატიკის სხვადასხვა უბანში. ცხადია, ამ ვითარებაში პალეოკავკასიურ ენებს შორის გენეტიკური თუ არეალური ურთიერთმიმართება მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი ლინგვისტიკის მკაცრი მეთოდების გამოყენებით შეიძლება დადგინდეს.
ამ ნაშრომში წარმოდგენილი მასალა დაყოფილია ოთხ ძირითად ნაწილად. პირველი ორიენტირებულია პროტოკავკასიური მშობელი ენის ლექსიკურ სისტემაზე. მეორე არკვევს ნახურ და ჰურიტულ-ურარტულ ენებს შორის მიმართებას, ხოლო მესამე განიხილავს კასიტურ და დაღესტნურ ენებს, ხოლო მეოთხე და ბოლო ნაწილი ეხება კავკასიურ და ბასკურ ენებს. ყოველივე ზემოთქმულის დასამტკიცებლად მე გამოვიყენე პროფ. იახონტოვის ცნობილი სია. მისი 35-სიტყვიანი სიის უპირატესობა მის სიზუსტეშია, რაც საშუალებას გვაძლევს ეფექტურად განვსაზღვროთ გაანალიზებული ენები გენეტიკურად ურთიერთდაკავშირებულია თუ არა. რაც მთავარია, ეს სია მოიცავს მსოფლიოს ნებისმიერ ენაზე ყველაზე სტაბილურ ლექსიკას. გარდა ამისა, სიის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როდესაც გარკვეული ენების გენეტიკური კავშირები ჯერ კიდევ საკამათოა. ვფიქრობ რა იახონტოვის სიის გამოყენების ყველაზე ნაყოფიერი სფეროა ნაკლებად შესწავლილი ენები, გამოვიყენე იახონტოვის სია, რომლის წყალობით კავკასიური ენების გენეალოგიური კლასიფიკაცია საკმარისად დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს.

5. წერილში გარკვეულია დარიალ-/დარიალან-ის წარმომავლობა. ჯერ მოძიებულიქნა და აღიწერა ყველა ფონეტიკური ვარიანტი დარიალ-/დარიალან-ისა, რამაც შესაძლებელი გახადა ორივე ძირითადი ალომორფის ქართული ენის ნიადაგზე ეტიმოლოგიზება. ამისთვის გავითვალისწინებულიქნა ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი ტოპო სიტყვაწარმოების პრაქტიკა და მოდელები, რომლებიც ნაწარმოებია ხევში ცნობილი ტოპოფორმანტებით; კერძოდ, აღმოჩნდა, რომ მცხეთა-მთიანეთ-ხევში ძირი **დარ**- ერთდროულად სამ გეოგრაფიულ სახელშია გამოყენებული, ესენია: დევ-**დარ**აკ-ი, **დარ**იალ-ი და **დარ**იალანი. დიახ, ჩვენი აზრით, აქ ამოსავალი ძირი არის **დარ**-, საიდანაც იწარმოება **დარ**-აკ-ი, **დარ**-იელ-ი / **დარ**-იალ-ი // **დარ**-იელ-ა / **დარ**-იალ-ან-ი. რა არის **დარ**-? იგი ცნობილი ქართული ძირია, რომლისთვისაც ძირითადია *ნაპრალისა* და *ფარ-საფარის* მნიშვნელობები. ამისათვის მოვიყვანთ სულხან საბას განმარტებებს სხვადასხვა **დარ**- ძირის შემცველი სიტყვებისათვის, შდრ. **დარ**-ან-ი „კლდეში ანუ მიწას ქვეშ შესასვლელი“, **დარ**-აბა „საფარი ფიცარი“, **დარ**-აკა „ფარი“ (საბა). ანუ გამოდის, რომ ყველაზე პრობლემური **დარიალან**-ი ალანთკარი კი არ არის, არამედ **დარიალ**-ის -**ან** ადგილობრივსუფიქსიანი ფორმა, რომელიც რეგიონში საკმაოდ გავრცელებული ტოპოსუფიქსია, რომელიც უკვე არსებული ადგილის სახელიდან აწარმოებს ახალ გეოგრაფიულ სახელს, - ხეობას, როგორც ეტყობა. ასე, მაგალითად, კარს-ე - კარს-**ან**-ი, კობ-ი - კობ-**ან**-ი (სოფ. და მდ. კობ-ან-ი, წინ-კობ-ან-ი ფასანაურის თემში) და ბოლოს დარ-იალ-ი - დარ-იალ-**ან**- (შდრ. კობ-ი - კობ-**ან**-ი).

6. ქართველურ ენებში გრამატიკული სქესის მორფოლოგიური კატეგორია არ არსებობს. ჩვენს ენებში მხოლოდ და მხოლოდ ლექსიკურად, საგანგებო სახელებით გამოიხატება ცოცხალ არსებათა რეალური სქესი: დედა/მამა, ქალი/კაცი, ცოლი/ქმარი, რძალი/სიძე, გოგო/ბიჭი.., ფური/ხარი, ძუ/ხვადი, ვარია/ყვინჩილი//ა, ქუბი/ეშვი, დედალი/მამალი, ნერბი/ვერძი... ჩვენი დაკვირვებით, ლაზური იდიომისათვის მდედრობითი სქესის მორფოლოგიური გამოხატვის (გარჩევის) პრობლემა აქტუალური ჩანს. მაშინ, როდესაც მთელს ქართველურში ლექსიკურად, საგანგებო სახელებით არის გამოხატული ცოცხალ არსებათა რეალური სქესი საყოველთაოდ ცნობილ კომპოზიტში: სვან. დი-მთიელ (di-mtil-i)/მუ-მთიელ (mu-mtil), მეგრ. დია-ნთიელ-ი (diantil-i)/მუა-ნთიელ-ი (mua-ntil-i), ქართ. დედა-მთიელ-ი (deda-mtil-i)/მამა-მთიელ-ი (mama-mtil-i), განსხვავებით ქართულ-მეგრულ-სვანურისაგან, მხოლოდ ლაზური ახერხებს გაარჩიოს სპეციალური წესით (-ე სუფიქსის წყალობით) მდედრობითი სქესი, შდრ. ლაზ. მთირ-ე (mtir-e) „დედამთილი“ ~ მთირ-ი (mtir-i) „მამამთიელი, სიმამრი“. როგორც ვხედავთ, დედისა (წანა) და მამის (მუმა, ბაბა) დამატება/მოხმობა ლაზურისთვის არ არის რელევანტური, ვინაიდან აქ მდედრობითი სქესის გარჩევა დაეკისრა -ე სუფიქსს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სახელობითი ბრუნვის ორი ფორმანტიდან (-ი, -ე) ერთის (ამ შემთხვევაში -ე-ს - მთირ-ე „დედამთილი“) დახმარებით გამოიხატა მდედრობითი სქესი და ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა მდედრობითი სქესის გარჩევისა ლაზურში. სხვაგან, ასევე სპეციალური -ისა სუფიქსით მორფოლოგიურადაა რეალიზებული მდედრობითი სქესი ლაზურში. მხედველობაში გვაქვს მეტად ხელშესახები მასალა (თანაც რამდენიმე). ასეთად მივიჩნევთ ნოქთერ-ისა (nokter-isa) // ნოქთე-ისა (nokte-isa) „ორი ცოლი ერთმანეთისათვის“ ალომორფებს ლაზურში. წარმოშობით ეს სიტყვა მიმღეობურია, შდრ. ო-ქთირ-უ (o-ktir-u) „ცვლა“ ~ ნო-ქთერ-ი (no-kter-i) „ნაცვალი“. მის აშკარა ტიპოლოგიურ პარალელად მოსახმობია ქართ. ცვლ-ა (cvla) ~ ნა-ცვალ-ი (na-cval-i). მაგრამ ლაზური არჩევს (ან ცდილობს გაარჩიოს) მდედრობით სქესს და ამიტომაც ენობრივი ქვესისტემა აქ გამოიყენებს ამ ფუნქციით უკვე დატვირთულ -ისა (-isa) სუფიქსს, რომელიც დაერთვის ნოქთერ-ი (no-kter-i) „ნაცვალი“ მიმღეობას და აწარმოებს კიდეც მდედრობითი სქესის ახალ ლექსიკურ ერთეულს; ანუ ნოქთერ-ისა (nokter-isa) სიტყვაში -ისა (-isa) არის სწორედ ის გრამატიკული ერთეული, რომლის დართვის წყალობით ლაზურში მიიღწევა მდედრობითი სქესის მორფოლოგიური გარჩევა. სხვათა შორის, სემანტიკური გარჩევის მეტი კონკრეტიზაცია დამახასიათებელი ტენდენციაა ლაზურისათვის, რაც ამავე რიგის (ნათესაობის) ლექსიკაში ხელშესახები ჩანს, შდრ. ექსალე-ეფე (eksale-epe) „ძმების ცოლები ერთმანეთის მიმართ“, რისთვისაც დიფერენციაციის აუცილებლობა არ არის დამოწმებული (რეალიზებული) ქართულ-მეგრულ-სვანურში. მდედრობითი სქესის გარჩევის მსგავსი კორელაცია თვალსაჩინოა კიდევ ერთ ლექსიკურ წყვილში: ნოღამე/ნოღა (noγame/noγa) „საქმრო, ნეფე, ქმარი“- ნოღამ-ისა (noγam-isa) „დედოფალი, საპატარძლო, საცოლე“. ეთნიკურ სახელებში -ისა (-isa) სუფიქსის მდერობითი სქესის მარკერად გამოყენებას ფართო არეალი აქვს ლაზურში; როგორც ირკვევა, დღეს -ისა (-isa) საბოლოოდ ჩამოყალიბებული და მოქმედი სუფიქსია, რასაც საჩინოს ხდის ქვემოთ მოხმობილი შეპირისპირებები, რაც დასტურდება ცოცხალ ლაზურ მეტყველებაში: თურქ-ი (turk-i) „თურქი მამაკაცი“ ~ თურქ-ისა (turk-isa) „თურქი დედაკაცი; პატარძალი; საცოლე“. არაპ-ი (araṗ-i) „არაბი მამაკაცი“ ~ არაპ-ისა (araṗ-isa) „არაბი დედაკაცი; პატარძალი; საცოლე“. ჰემშინ-ი (hemšin-i) „ჰემშინი მამაკაცი“ ~ ჰემშინ-ისა (hemšin-isa) „ჰემშინი დედაკაცი; პატარძალი; საცოლე“. რუს-ი (rus-i) „რუსი მამაკაცი“ ~ რუს-ისა (rus-isa) „რუსი დედაკაცი; პატარძალი; საცოლე“. სუმეხ-ი (sumex-i) „სომეხი მამაკაცი“ ~ სუმეხ-ისა (sumex-isa) „სომეხი დედაკაცი; პატარძალი; საცოლე“... აღსანიშნავია, რომ არტაშენის მეტყველებაში -ისა (-isa) სუფიქსი ერთვის წარმომავლობის -ურ სუფიქსსაც, შდრ.: „ვიწური ნუსა ორტუ, ჰიმუშენი ვიწურისა იტურტეი: (viuri nusa orṭu), himušni viuri sa iuṭrṭej - ვიწელი რძალი იყო, მაგაზე ვიწურისას ამბობდნენ. ასევე არტაშენული მეტყველების მიხედვით გაირჩევა ექიმი მამაკაცი „დოხტურ-ი“ (doxṭur-i) და ექიმი ქალი, რძალი – „დოხტურ-ისა“ (doxṭurisa).

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **ცირა ბარამიძე სარდიონ ზედელაშვილი,**

2. ცირა ბარამიძე

1) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
„ჩერქეზული საკითხი“ ლინგვოკულტურულ კონტექსტში (ეთნიკურ-ეთნოპოლიტიკურიდან გეოპოლიტიკურ საკითხამდე)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. კავკასიოლოგიური ძიებანი, 10-11 ნომერი, (2018-2021) - იბეჭდება

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი, თსუ

5) გვერდების რაოდენობა
1. 13 (ცამეტი) გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში გაანალიზებულია ისტორიოგრაფიაში „ჩერქეზული საკითხის“ (პირობითი ტერმინი) გააქტიურების ეთნოპოლიტიკური და გეოპოლიტიკური ასპექტები; სამეცნიერო დისკუსია ცდილობდა აეხსნა „ჩერქეზული საკითხის“ ბოლოდროინდელი დომინირების მიზეზები; ასევე აანალიზებდა ქვეყნების სამეცნიერო დისკურსში ჩართული ექსპერტების მოსაზრებებს, არგუმენტებს და დასკვნებს, რომლებიც დაკავშირებულია „ჩერქეზული საკითხის“ კონტექსტთან, ასევე ამავე ქვეყნების ოფიციალურ პოზიციებს ამ საკითხთან დაკავშირებით.
სტატიაში ხაზგასმულია მე-19 საუკუნეში „ჩერქეზული საკითხის“ ეთნიკურიდან ეთნოპოლიტიკურზე გადასვლის პრობლემა და მალე გადაქცევა გეოპოლიტიკურ კონტექსტად, რომელშიც მონაწილე ქვეყნებმა და სახელმწიფოებმა გამოხატეს თავიანთი ინტერესები, პროცესი, რომელიც გააქტიურდა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. ათწლეულების მანძილზე იყო მეცნიერთა ინტერესის საგანი.. სტატია წარმოადგენს ჩერქეზული პრობლემის გეოპოლიტიკური კონტექსტის „კალეიდოსკოპურ“ განხილვას..
სტატიაში განხილულია ჩერქეზების ლინგვოკულტურული პრობლემები, ეთნოპოლიტიკური და გეოპოლიტიკური კონტექსტებით გამოწვეული იდენტობისა და მისი რეალიზაციის დაბრკოლებები ისტორიულად და ჩვენს დროში; ჩერქეზული ენის ფუნქციონირებისა და სიცოცხლისუნარიანობის სფეროების კოეფიციენტები განისაზღვრება სოციოლინგვისტური პარამეტრებით; განხილულია ენისა და კულტურის ურთიერთობა ეთნოპოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ კონტექსტში.

2) სტატიის სათაური, ISSN
ლაბილურობისა და გვარის კატეგორიების ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. კავკასიოლოგიური ძიებანი, 10-11 ნომერი, (2018-2021) - იბეჭდება

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი, თსუ

5) გვერდების რაოდენობა
1. 22 (ოცდაორი) გვერდი
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ლაბილურობა ქართველურ ენებში დღეს უკვე გაუჩინარებული კატეგორია. ლაბილურობა იბერიულ-კავკასიური ენების მორფოსინტაქსური ჩარჩო-მოდელის წამყვანი ოდენობაა. ლაბილურობა გვაქვს იქ, სადაც არის გრამატიკული კლასი და, შესაბამისად, ერგატივი. ლაბილურობის დიაქრონიული ანალიზი ქართველურ ენათა ემპირიული მასალის მიხედვით და ენათა სინქრონიული ჭრილების გათვალისწინებით იძლევა შესაძლებლობას, იბერიულ-კავკასიურ ენობრივ ჯგუფებს შორის

ქვესისტემათა შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდით აღვადგინოთ ლაბილურობის კატეგორია, როგორც იბერიულ-კავკასიური ენების საკვანძო მორფოსინტაქსური ოდენობა გრამატიკულ კლასსა და ერგატიულობასთან ერთად. ლაბილური კონსტრუქციის ზმნა-შემასმენელი ქმნის აქტანტებისა და ტრანზიტიულობა-ინტრაზიტიულობის ვარირების შესაძლებლობას :აღიყვანა მან იგი (აქტივი) - აღიყვანა იგი = აღყვანილ იქნა (პასივი)

მოიკლა მან იგი (აქტივი) - მოიკლა იგი (პასივი)ხუნძური: ვაცას სთაქან **ბექანა** (აქტივი) „ძმამ ჭიქა გატეხა“ - სთაქან **ბექანა** (პასივი) „ჭიქა გატყდა“ლაბილურობაშია ჩართული აქტივისა და პასივის სემანტიკა გვარის ჩამოყალიბებამდე; ლაბილურობა გვარის გარეშე გამოხატავს აქტივსა და პასივს. ლაბილური კონტრუქციების პრიორიტეტია რეციპიენტის (პირდაპირი ობიექტი) მარკირება ზმნაში ნაცვლად სუბიექტისა და, ასევე, ერგატიული კონსტრუქცია იმ ენებშიც კი, სადაც ბრუნვა ერგატივი არა გვაქვს, რადგან ბრუნება არ ჩამოყალიბებულა (მაგ. აფხაზურში). ერგატიულობა და ლაბილურობა გადაჯაჭვულია ყველაზე ძველ მორფოსინტაქსურ ოდენობასთან - გრამატიკულ კლასთან. იმ ენებში, სადაც გრამატიკული კლასი კარგად არის შემონახული და უღვლილება კლასოვანია, ლაბილურობა-სტაბილურობის კატეგორია სრულად ფუნქციონირებს, შეიცავს ტრანზიტიულობა-ინტრანზიტიულობის სემანტიკას და ფორმობრივადაც ზედმიწევნით გამოხატავს აქტივსა და პასივს.

აქტივის გამოხატვა პირდაპირ დაკავშირებულია ზმნაში რეციპიენტის გრამატიკული კლასით მარკირებასთან. ობიექტური კლასოვანი უღვლილება არის ამოსავალი მორფოსინტაქსური ჩარჩო-მოდელი ერგატიული კონსტრუქციის მქონე ენებისათვის ლაბილურობისა და ტრანზიტიულობის გამოხატვის მორფოსემანტიკური შესაძლებლობებით. ამ ენებში (აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური) გვარი არ ჩამოყალიბებულა; რადგანაც არ არის ამის საჭიროება - ლაბილურობის კატეგორია თავის თავში მოიცავს სემანტიკურადაც და ფორმობრივადაც აქტივსაც და პასივსაც, როგორც შემდგომში მოქმედებითი და ვნებითი გვარის შესაძლებლობას. იმ ენებში კი, სადაც კლასი მოიშალა, თანდათანობით შეიზღუდა ლაბილურობის კატეგორია, ამის შემდგომ სემანტიკა აქტივისა და პასივის გრამატიკული ოპოზიციის გამოსახატავად ლაბილურობის წიაღიდანვე წარმოშობს გარდამავლობა-გარდაუვალობასთან ერთად გვარის კატეგორიას; ოღონდ მოქმედებითი გვარის მარკირება სინტაქსურია (კონსტრუქციით განისაზღვრება), ვნებითი კი ფორმდება მოგვიანებით (მაგ. ქართულში).

1) ავტორი/ავტორები

1. ნანა მაჭავარიანი

2. ნანა მაჭავარიანი

3. ნანა მაჭავარიანი

2) სტატიის სათაური,

1. აფხაზური **ახ□ლა** „ხვიმირი, ძაბრი (წისქვილისა)“ (ეტიმოლოგია).

2. გარდაქცევითობის **-ს** სუფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა აფხაზურში და მისი კავშირი საერთო იბერიულ-კავკასიურ შესაბამის ოდენობასთან.

3. საერთო იბერიულ-კავკასიურ ძირთა მქონე ლოკალური პრევერბები აფხაზურში.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.ეტიმოლოგიური ძიებანი, XVIII თბილისი, 2021.
2. იკე, ტ.49-ე, თბილისი, 2021.
3. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წალიწდეული, თსუ არნ, ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ელექტრონული ჟურნალი, II, 2021.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. აფხაზურში **ახ□ლა** „ხვიმირი, ძაბრი (წისქვილისა)“ აღნიშნავს წისქვილის ქვის

ზემოთ დაკიდებულ ძირვიწრო ფიცრის ყუთს, საიდანაც მარცვლეული კრიჭაში ჩადის.სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს ლექსემა საერთო იბერიულ- კავკასიური ძირისა უნდა იყოს.მეგრულ-ლაზური: ზან. (მეგრ.) **ხულ**-ა „ბეღელი“, ლაზ. **ხულ**-**ა** „ხვრელი“...

გარდა ამისა, წარმოდგენილია ცდა აღნიშნული ლექსემის დაკავშირებისა ქართულ **ხვავი** „ხორბლის, სიმინდის ტაროების და მისთ. გროვა, საზოგადოდ რისამე გროვა, ერთმანეთზე დაყრილი ბევრი რამ“ (ქეგლ.), ასევე **უხვი** „ბევრი, მრავალი“ (ქეგლ.) სიტყვასთან.ასევე დასმულია საკითხი ოსურში წარმოდგენილი მარცვლეულის აღმნიშვნელი სახელის **„ხუარ“** იბერიულ-კავკასიური წარმოშობის შესახებ.

2. აფხაზურში სახელის გარდაქცევითობის კატეგორიის მაწარმოებელი სუფიქსია **-ს**. ეს სუფიქსი დაერთვის ზოგადობის პრეფიქსჩამოშორებულ სიტყვას და გვაძლევს მნიშვნელობას, რომელიც ქართულად თარგმნისას ვითარებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა: მაგ.: **ახაწა** „კაცი“, **ხაწა-ს** „კაცად“, **ა□□** „ცხენი“, **□□-ს** „ცხენად“, **აფ□□ს** „ქალი“, **ფ□□ს-ს** „ქალად“ და სხვ.

მეცნიერთა ნაწილი, ამ მიზეზით, აღნიშნულ სუფიქსს ბრუნვის ნიშნად მიიჩნევს. მაგრამ, როგორც დამაჯერებლად დაასაბუთა აკად. ქეთევან ლომთათიძემ, აფხაზურ ზმნას ინკორპორაციული ბუნების გამო ბრუნვები არ გააჩნია და მითუმეტეს გარდაქცევითი ბრუნვა. ქ. ლომთათიძე ამ **- ს** ელემენტს ვითარების ზმნისართებში ადასტურებს. მაგ.: **ას** „ასე“, **უს** „ისე“, **აბას** „ასე“ და ა. შ. ეს ელემენტი შესაძლოა აგრეთვე იყოსო ზმნის საგარემოებო □ ელემენტთან კავშირში.

წარმოდგენილი აფხაზურ-ქართველური ძირ-ფუძეები ჯერ კიდევ პ. ჭარაიამ შეაპირისპირა.**-ს** უძველესი საერთო იბერიულ-კავკასიური ზმნისართული ელემენტი უნდა იყოს. საინტერესოა **-თ-** ელემენტის გამოვლენა ამ ზმნისართში გურულ-იმერულში: **ასთე, ისთე** ... აღსანიშნავია, რომ ტაპანთურში **-ს**-ს ადგილას **-თა** სუფიქსი გამოიყენება რიგ შემთხვევებში. სტატიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ აფხაზურ-აბაზურის გარდაქცევითობის **-ს** // **-შთა** // **-თა** მაწარმოებელი ზმნისართული წარმოშობისაა, წარმოადგენს საერთო იბერიულ-კავკასიურ ოდენობას და შეუძლებელია მისი ბრუნვის ნიშნად მოაზრება აფხაზურსა და აბაზურში. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ ამ ზმნისართული ბუნების მქონე აფიქსისაგან ბრუნვათა მქონე ენებში პროსპექტულად ბრუნვის ნიშანი ჩამოყალიბებულიყო.

3.აფხაზურ ენას, ინკორპორაციული ბუნების გამო, უხვად მოეპოვება ე. წ. ლოკალური პრევერბები, რომლებიც ერთვიან ზმნას და ზოგჯერ სახელსაც და უცვლიან მას მნიშვნელობას, გამოხატავენ მიმართულებას, ადგილმდებარეობას და სხვ.როგორც ცნობილია, ლოკალური პრევერბები დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარე მორფოლოგიური ოდენობებია, რომლებიც დროთა განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში, თავიანთ ამოსავალ მნიშვნელობას დაშორდნენ და მოდალურ ელემენტებად ჩამოყალიბდნენ.ასეთ ენობრივ უბანში იბერიულ -კავკასიურ ენათა შორის არსებული ერთობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ლოკალური თუ სხვა შინაარსის მქონე მოდალური ელემენტები ენის ლექსიკური ფონდის უძველეს ნაწილს წარმოადგენს.

მოხსენებაში განვიხილავთ რამდენიმე ლოკალურ პრევერბს, რომლებიც ჩვენი აზრით, საერთო იბერიულ-კავკასიური წარმომავლობისა უნდა იყოს:□**არა** „შემოღობილ-შემოკავებულთან“, „სადგომთან“ ყოფნა-მოქმედებასთან დაკავშირებით. შდრ.: ქართ. **რაგვი, შემორაგვა,** მეგრ.: **გორაგუა, რაგუა**, სვან.: **რ□გ□** „დანგრევის პირას მისული (შენობა, გზა)“.**ძაა** „სითხესთან, წყალთან დაკავშირებით“, შდრ. ქართ.: **ვეძა, ვეძისი, ვეჯა, ვეჯინის ხევი**.□□□**ნ - (□□ნ□-)** „ცხენზე თან“, შდრ.: ქართ.: **ცხენი**, მეგრ.: **ცხენი**, სვან.: **ჩ□ჟ**. ამ ლექსემასთან დაკავშირებით საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადრება იმ გარემოებაზე, რომ ქართულსა და მეგრულს შორის არსებულ იდენტურ **ც / ც** შესატყვისობას, სვანურის მსგავსად, აფხაზურში **ც / ჩ** ბგერათშესატყვისობა შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურს „ცხენის“ აღსანიშნავად თავისი

საკუთარი **ა□□** ლექსემა აქვს, აღნიშნულ ლოკალურ პრევერბში გვხვდება ქართველური **ცხენ** სიტყვის **□□□ნ - (□□ნ□-)** შესატყვისი.**კ□ა/□** „სახლის კუთხესთან“ დაკავშირებით, შდრ.: ქართ.: **კუნჭული,**მეგრ.: **კუჭული**...**კ□დ** „ზედ, სიბრტყეზე“, შდრ.: ქართ.: **კედელი, კიდე, კედარო**, მეგრ.: **კიდა**„კედელი“, ჯებირი“, „ტიხარი“, სვან.: **ჭ□ედ** „კედელი“.

მ□ა/□ „შიგნით“, („მუცელში“) შდრ.: ქართ.: **გულ-გვამი,** მეგრ.: **გვამი**

„მუცლის ღრუ“, სვან.: **გ□□მ** „მკერდი, გულმკერდი.**ფა /** □ „წინ, პირისპირ“, შდრ.: ქართ.: **გადაფარება,** მეგრ.: **ფორუა**, სვან. **ლიფრა □.ღრა/□**„მუცელში“, „შიგ (სიღრმეში)“ შდრ.: ქართ.: **ღრუ /ღარი**, სვან.: **ღარი**„მუცლის ღრუ“.**ნ□□** „სივრცეში“ შდრ.: ქართ.: **ყენ.**

კ□ლა /□ „ჭუჭრუტანაში“, „გამჭოლ“ შდრ.: ქართ.: **კენ/ სკნელ.**

ხა / □ „მაღლა, თავთან დაკავშირებით“ შდრ.: ქართ.: **ხურ / ხურვა,**

ლა /□ „შიგ, შორის“, შდრ.: ქართ.: **ლალვა / შელალა.**

ახურავს. **□ა /** □ „მჭიდროდ მიკრული“, შდრ.: ქართ.: **ყუნჭ / ყუნწ / ყუა. კნ /** □**// კ□ნ** „დაკიდება“, შდრ.: ქართ.: **სკნელ / კნელ.**

□□დ /□„მკერდზე“, „გულის ფიცარზე“, სიბრტყეზე“, „ზედ“, შდრ.: ქართ.:

გული, მეგრ. **გური,** სვან. **გ□ი, გუ.ვა /□**„გვერდით“, შდრ.: ქართ. **გვერდი.**

სტატიაში წარმოდგენილია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესაბამის მასალასა

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **მერაბ ჩუხუა**

2. მერაბ ჩუხუა

3. მერაბ ჩუხუა

4. მერაბ ჩუხუა

5. მერაბ ჩუხუა

6. მერაბ ჩუხუა

7. მერაბ ჩუხუა

8. მერაბ ჩუხუა

9. მერაბ ჩუხუა

2) მოხსენების სათაური

1. წისქვილის წარმომავლობისათვის იკე-ში

2. ზოგი კომპოზიტის აგებულებისათვის ლაზურში

3. ერთი ლაზური ზმნის იბ.-კავკ. შესატყვისობისათვის

4. ლაზური დოლო-ზმნისწინის მეგრული შესატყვისობისათვის

5. აფხაზურ-ქართველური გრამატიკული შეხვედრებისათვის

6. პროტო-ენა და კულტურა

7. კაუზატივის მორფოლოგიური კატეგორია ქართველურში

8. ფუძეენური წარმომავლობის ინსტრუმენტალისი და ერგატივი იბერიულ-კავკასიურ ენებში

9. საქართველოს ჩრდილოეთის კარიბჭე - დარიალი/დარიალანი

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ჩკც-ის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ადიღურ-ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები“, თბილისი, 19-20 მარტი

2. ი. ასათიანისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო, თბილისი, 4 აპრილი

3. ომარ მემიშიშის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია, თბილისი, 22 ივნისი

4. 41-ე რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, თბილისი 26-27 ნოემბერი

5. სამეცნიერო კონფერენცია აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი – ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურის ძეგლები, თბილისი, 16 ოქტომბერი

6. ჩკც-ის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, თბილისი, 16-17 დეკემბერი

7. თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-80 სამეცნიერო სესია, თბილისი, 21-23 დეკემბერი

8. თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-80 სამეცნიერო სესია, თბილისი, 21-23 დეკემბერი

9. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია კავკასიის კარი – საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე, თბილისი, 25-27 ივნისი (რუსთაველის ფონდი, გრანტის ნომერი BRG-II-19-137) 7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. **ცირა ბარამიძე**
2.ცირა ბარამიძე
3. ცირა ბარამიძე
4. .ცირა ბარამიძე

1) მოხსენების სათაური
პოლიფუნქციური -დ- ქართულში და უღვლილების მორფოსინტაქსური მოდელები

1) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 14-15 მაისი, ქუთაისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქუთაისური საუბრები, XVII

2) მოხსენების სათაური
1. ჰიდრონიმი „ბერდუჯი“

2) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
თბილისი, 20-22 დეკემბერი, 2021 - აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია

2.მოხსენებაში მოცემულია ჰიდრონიმ „ბერდუჯის“ (იგივე საგიმი, იგივე დებედა, იგივე ძეგამჩაი) ისტორიული და ლინგვისტური ანალიზი. მდინარე ბერდუჯი .ისტორიულად სასაზღვრო ზოლში იყო მოქცეული; ეს მდინარე იყო ქართლის, შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი ალბანეთ-არანთან.

მდინარე ბერდუჯი კვეთს სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი), სადაც საზღვრები დროდადრო იცვლებოდა და, შესაბამისად, იცვლებოდა ამ მდინარის სახელწოდებაც. ჰიდრონიმი ბერდუჯი დადასტურებულია ქართულ ისტორიულ წყაროებში; ჰიდრონიმ ბერდუჯის შესახებ **„ქართლის ცხოვრების“** მონაცემები შევისწავლეთ ყველა რედაქციის გათვალისწინებით (m (მაჩაბლისეული), T (თეიმურაზისეული), B (ბროსესეული), R (რუმიანცევისეული - ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით); წუსხებში ჟამთააღმწერელის ცნობით დასტურდება, რომ არსებობს განსხავებული ფონეტიკური ვარიანტები **(შერდაოჯისი/შერდაოჯი, ბერდუჯისი, ბერდაუჯი, ბერდაჯა),** მაგრამ, ვფიქრობ, ამოსავალი უნდა იყოს ფორმა „ბერდუჯი“. ვახუშტი ბატონიშვილი მდინარე ბერდუჯის სახელს უკავშირებს დაბას - **ბერდ-იკ-ი**. ცხადია, უნდა გამოიყოს **ბერდ**- ძირი და **-უჯ** სუფიქსი (ქართულში იშვიათად გამოყენებული სუფიქსი -უჯ (დურ-უჯ-ი, არტან-უჯ-ი)

(შდრ. სომხ. **Բերդիկ** -„ბერდიკი“ - პატარა ციხე სომხურად). **„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი** მოიხსენიებს **Բերդահոջ -** „ბერდაჰოჯ/ბერდაოჯის“ ფორმით.

მოხსენებაში განხილულია ყველა დადასტურებული ფორმა და ვარიანტი, შედარებულია სომხურ ლექსიკურ ერთეულთან **ბერდ**-; შედარებულია ანალოგიური აგებულების **არტან-უჯ**- ფორმასთან და გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ **-უჯ** სუფიქსი საანალიზო ჰიდრონიმში **ბერდ-უჯ-ი** ქართული სუფიქსია, რომელმაც ინტენსიური ენობრივი კონტაქტების შედეგად გავრცელება ჰპოვა სომხურშიც.

3) მოხსენების სათაური
ირიბი ობიექტის ვალენტობა, მარკირება და უღვლილების დიასტემები იბერიულ-კავკასიურ ენებში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. თბილისი, 13 აპრილი

მოხსენებაში გაანალიზებულია ირიბი ობიექტის ვალენტობისა და მარკირების საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, სადაც უღვლილების მორფოსინტაქსურმა ამოსავალმა სისტემამ განიცადა იერარქიული ცვლილება კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი, პიროვანი და ნულოვანი უღვლილების სახით. იბერიულ-კავკასიური ენებისათვის ამოსავალია პირდაპირი ობიექტის ვალენტობის ასახვა პრეფიქსაციით (იშვიათად - ინფიქსაციითაც) ტრანზიტიული ზმნა-შემასმენლის მქონე სინტაქსურ კონსტრუქციაში (შდრ. პირდაპირ-ობიექტური უღვლილება ქართულში) და სუბიექტური უღვლილება ინტრანზიტიული ზმნა-შემასმენლის მქონე სინტაქსურ კონსტრუქციაში.

ჩვენი აზრით, ირიბი ობიექტის ვალენტობა არ უნდა ყოფილიყო მარკირებული, ვიდრე უღვლილების მორფოსინტაქსური სისტემა კლასოვანიდან კლასოვან-პროვანამდე არ გადაიწევდა და რიგ ენებში არ ჩამოყალიბდებოდა ოდენ პიროვან უღვლილებად. კლასოვანი უღვლილების ენებში ირიბი ობიექტის (ირიბი დამატების) ვალენტობა არ არის გამოხატული. ის გადმოიცემა უმეტეს შემთხვევაში ლოკატიურ ბრუნვათა ფორმებით, რომელთათვისაც ირიბი დამატების გამოხატვა ფაკულტატიურ ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს, რადგან ლოკატივის ძირითადი ფუნქცია სივრცითი დამოკიდებულების ასახვაა. შევუდაროთ, უბრალო დამატებად ქცეული (თანდებულიანი ფორმებით) ირიბი ობიექტი გვაქვს მესამე სერიაში ქართულ ენაში. მოხსენებაში მოცემულია მცდელობა, აიხსნას ირიბი ობიექტის ვალენტობის ასახვის არაერთგვაროვანი ვითარება იბერიულ-კავკასიურ ენათა უღვლილების მორფოსინტაქსური კონსტრუქციების პროსპექტული ანალიზის საფუძველზე. მოხსენებაში გაანალიზებულია იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის პიროვანი (ასევე კლასოვან-პიროვანი) უღვლილების მქონე ენებში ირიბი ობიექტის მარკირების სისტემები და მოცემულია მცდელობა, აიხსნას პირთა განაწილების პრინციპები ირიბი ობიექტური პირის კონტექსტით, აიხსნას ასევე სუბიექტური პირის ნიშნებისა და პირდაპირი ობიექტური პირის ნიშნების გამოყენების თავისებურებანი (S_2O_3) აგლუტინაციის პრინციპის დარღვევის კონტექსტით.

მოხსენებაში გაანალიზებულია იბერიულ-კავკასიურ ენებში ირიბი ობიექტის გამოხატვის მორფოსინტაქსური რეინტერპრეტაციები უღვლილების სისტემათა დიაქრონიული ცვლის შედეგად; მოცემულია მცდელობა, აიხსნას ქართული ენის პირდაპირ-ობიექტური და ირიბ-უღვლილების პარადიგმა დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებთან მიმართებაში.

4) მოხსენების სათაური
რუსეთისა და კავკასიის ბიპოლარული მხატვრული სახეები XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში

4) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 29.12.2021, თბილისი

4. მოხსენებაში გაანალიზებულია რუსეთისა და კავკასიის ბიპოლარული მხატვრული სახეები XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისტორიული რეალობის გათვალისწინებითა და ლიტერატურის შედარებითი ანალიზის საფუძველზე. მოცემულია მცდელობა, აიხსნას, თუ რა სახის ცვლილებები გამოიწვია ქართულ ლიტერატურაში XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ და მანამდე იმ პროცესებმა, რომლის შედეგადაც გეორგიევსკის ტრაქტატით საქართველომ ერთგვარად მიუხურა კარი აღმოსავლეთს და ახალი გეოპოლიტიკური არეალის წევრი გახდა; მოცემულია მცდელობა, აიხსნას, თუ როგორ გაიყო ქართული საზოგადოებრივი აზრი (მამათა და შვილთა ბრძოლა) კავკასიაში რუსეთის შემოსვლისა და დამკვიდრების შესახებ; რა შედეგი გამოიღო საქართველოს მიერ უნივერსალური ქრისტიანული ისტორიის სასარგებლოდ საკუთარი სახელმწიფოებრიობის ისტორიის ნებსით თუ უნებლიეთ დათმობამ. როგორ აისახა ქართულ მწერლობაში, რომ „რუსულ მართლმადიდებლურ მესიანიზმს“ არაფერი ჰქონდა საერთო ქართულ ქრისტიანობასთან და, უფრო მეტიც, ქართულ ეროვნულ სულთან.

XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა ზედმიწევნით კარგად ასახავდა ეპოქათა მიჯნაზე მიმდინარე კულტურულ-ცივილიზაციურ პროცესებს, ქართულ-კავკასიური ცივილიზაციის ნეგატიურ ესტიმაციას რუსეთის მხრიდან და, შესაბამისად, არსებულ ისტორიულ გეოპოლიტიკურ რეალობას. ლიტერატურა ასახავდა ქართული საზოგადოების კრიზისს ცივილიზაციური არჩევანის წინაშე გაურკვევლობის გამო. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ცივილიზაციური კრიზისის დაუძლევლობამ (და, განსაკუთრებით, ილიას მკვლელობამ) შეაპირობა მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლეობა და ახალი სულიერი კრიზისი ცივილიზაციურ კრიზისთან ერთად. მოხსენებაში განხილულია XIX საუკუნე, როგორც გეოპოლიტიკური ცვლილებების ეპოქა და ამ ცვლილებებისა და კრიზისის ასახვის გზები ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1.ნანა მაჭავარიანი

2. .ნანა მაჭავარიანი

3.ნანა მაჭავარიანი

4. ნანა მაჭავარიანი

5. ნანა მაჭავარიანი

6. ნანა მაჭავარიანი

7. ნანა მაჭავარიანი

8. ნანა მაჭავარიანი

9. ნანა მაჭავარიანი

1. სუფიქსი **-ზა** ტოპონიმებში, ჩიქობავას საკითხავები XXXII, თბილისი, 2021.
2. **ლ-, ლა-** ფორმანტთა ფუნქციები აფხაზურ ენაში, ომარ მემიშიშის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია, კავკასიოლოგიის ს./ს. ინსტიტუტი, თბილისი, 2021.
3. მოჩვენებითობის კილოს **-შ□ა** სუფიქსის წარმომავლობისათვის აფხაზურში, ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა VI საერთაშორისო სიმპოზიუმი, (მასალები), თბილისი, 2021.

4. ერთი საერთო იბერიულ-კავკასიური ძირის მქონე სამეურნეო ტერმინის წარმომავლობისათვის, ოსურ-ქართული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი VII საეთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი იოანე იალღუზიძის ხსოვნისადმი, თბილისი, 2021.
5. **ხ, ხა-** ფორმანტთა ფუნქციები აფხაზურში, თ. გვანცელაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, სოხუმის უნივერსიტეტი, თბილისი, 2021.
6. **-რ, -რა, -რაა** ფორმანტთა ფუნქციები აფხაზურში, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის კონფერენცია „ენა და კულტურა“, თბილისი, 2021.
7. **ქეთევან ლომთათიძის** ცხოვრება და მოღვაწეობა, ჩერქეზული კულტურის ცენტრის ქ. ლომთათძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო სესია „ენა და კულტურა“, (მასალები) თბილისი, 2021.
8. **ი** ფორმანტის ფუნქციები აფხაზურში, ჩერქეზული კულტურის ცენტრის ქ. ლომთათძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო სესია „ენა და კულტურა“, (მასალები), თბილისი, 2021.
9. **„წაღა“** ლექსემის წარმომავლობისათვის, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-80 სამეცნიერო სესია მიძღვნილი ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი, (მასალები), თბილისი, 2021.

10. **80 წლის ინსტიტუტი,** არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-80 სამეცნიერო სესია მიძღვნილი ინსტიტუტის დაარსების 80 წლისთავისადმი, (მასალები), თბილისი, 2021.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1.. **ჯონი კვიციანი**

2. ჯონი კვიციანი

1.ტერმინი „ქართველიანი“, როგორც საზოგადოების სამოქალაქო ინტეგრაციის ერთერთი ფაქტორი

(მასალები ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე).ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის VII საერთაშორისო სამეცნიერო სესია.16-17 დეკემბერი 2021 წ.თბილისი(მასალები) (ბეჭდური).

2. კავკასიის ხალხთა ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიისათვის

VII საერთაშორისო კონფერენცია ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები,გვ.163-166 2021 წ. (13-14 ოქტომბერი) თბილისი (მასალები) (ბეჭდური)

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1. როსტომ ფარეულიძე

2. როსტომ ფარეულიძე

1.-ლ ფორმანტის ფუნქციებისათვის ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები“.XXXII თბილისი, 2021.

2.პირის კატეგორიის ჩამოყალიბება ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში. ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა მე-6 საერთაშორისო სიმპოზიუმი. ეძღვნება პრობლემას: „გრამატიკული კატეგორიები იბერიულ-კავკასიურ ენებში“. თბილისი, 2021. .

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში

1.**რევაზ აბაშია**

2.რევაზ აბაშია

3. .რევაზ აბაშია

1.ძირნაკლი სიტყვაფორმები ქართულში. I // ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ელექტრონული გამოცემა, 14 აპრილი 2021 წ.
2.ძირნაკლი სიტყვაფიორმები ქართულში. II // თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-15 საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, ელექტრონული გამოცემა, 5-6 ივლისი 2021 წ.
3.ერთგვაროვანი ფონეტიკური პროცესებისათვის აფხაზურ-ადიღურ (ჩერქეზულ) და ქართველურ ენებში. III-სსიპ ჩერქეზული(ადიღური) კულტურის ცენტრის , ლომთათძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო სესია „ენა და კულტურა“, (მასალები) თბილისი, 2021.

7. 2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მერაბ ჩუხუა

2. მერაბ ჩუხუა

2) მოხსენების სათაური

1. Paleo-Caucasian semantic dictionary

2. Towards the Genealogical Classification of the Basque Language

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. მალმოს უნივერსიტეტი, შვედეთი, 2021 წ. აპრილი

2. ვარშავის უნივერსიტეტი, პოლონეთი, 2021 წ. დეკემბერი7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ცირა ბარამიძე
2. . ცირა ბარამიძე
    1) მოხსენების სათაური

Conference paper id EAP1221430 titled "Online Trilingual Etymological Dictionary of the Iberian-Caucasian Languages - Project Overview"

2) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 22nd PARIS International Conference on Marketing, Education, Social Sciences and Humanities (MESSH-21) scheduled on Dec. 7-9, 2021 at Paris (France) - organized by "Eminent Association of Researchers in Humanities & Management Sciences" (a part of - Eminent Association of Pioneers)

EAP1221
430
CONFERENCE VENUE: Maison du Mexique Cité internationale universitaire de Paris 9 C boulevard Jourdan 75014 PARIS 1 *Only registered author can attend the conference and will get certificate with the name & affiliation as written here
EAP Int'l Conference Program Dec. 7-9, 2021 Paris (France)

1)მოხსენების სათაური
Проблемы функционирования национальных языков - Международный телемост «Мосты дружбы»

2) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
30.03.2021, დაღესტანი, რფ. (Подключиться к конференции Zoom https://eurasia-assembly.zoom.us/j/838172402816 Идентификатор конференции: 838 1724 0281 Код доступа: 455990

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

* სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.

* ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.

* ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა".

კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პუბლიკაციების სია:

2021 წელი

1. **მერაბ ჩუხუა,** Грузино-черкесско-абхазский этимологический словарь (1030 გვ.), 2021, ISBN 978-9941-491-02-3 თბილისი, თსუ გამომცემლობა,- 1030 გვ.
2. **მერაბ ჩუხუა**, ლაზური **დოლო**- ზმნისწინის მეგრული შესატყვისისათვის (იბეჭდება)დიალექტოლოგიური კრებული - 2021 თბილისი, თსუ გამომცემლობა
3. *იბეჭდება და გამოვა 2022 წლის ბოლომდე და მისი ელ. ვერსია დაიდება Academia edu -ზე.*
4. **მერაბ ჩუხუა**, აფხაზურ-ქართველური გრამატიკული შეხვედრებისათვის (იბეჭდება)აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი – ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურის ძეგლებითბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.
5. *იბეჭდება და გამოვა 2022 წლის ბოლომდე და მისი ელ. ვერსია დაიდება Academia edu -ზე.*
ორგანიზატორი: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი.
ZOOM-ის პლატფორმაზე.
https://odin.mgimo.ru/nov-pod-mgimo/4217-kutaisskaya-vi-mezhdunarodnaya-nauchnaya-konferentsiya-yazyk-i-kultura
https://drive.google.com/file/d/19XAwX79Gph_gKLluFXx9DHwMWyJWPXZI/view

5. 30 სექტემბერი 2021, თბილისი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.
მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VII სამეცნიერო კონფერენცია
https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/811

6. 23-24 აპრილი 2021, თბილისი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

7. 30 სექტემბერი 2021, თბილისი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VII სამეცნიერო კონფერენცია
https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/811

8. 05.07.–06.07. 2021, თბილისი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XV კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისადმი.
(Zoom პლატფორმაზე).
https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20-100.pdf

9. 05.07.–06.07. 2021, თბილისი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XV კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისადმი.
(Zoom პლატფორმაზე).
https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20-100.pdf

10. თბილისი, 20-21.09.2021
11. თბილისი, 05-06.07.2021

12. 23-24 აპრილი 2021, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

13. 31 მარტი 2021, თბილისი

პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები..

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. წინამდებარე მოხსენება ერთგვარად აგრძელებს *სინესთეზიის* ფენომენის ირგვლივ დაწყებულ კვლევას, რომლის ირგვლივაც პირველი მოხსენება (წაკითხული თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით აშხაბადში, 12–13 ივნისი 2021) აშუქებდა თანამედროვე გერმანელი ბელეტრისტიკიდან შერჩეულ ნიმუშებს. ამჯერად კვლევის ობიექტად კვლავაც *ფერისა* და *მატრეიალური სამყაროს ფენომენთა სინთეზი* რჩება, მაგრამ მათ აღვწერთ უკვე ეროვნულსა და ენობრივ-შეპირისპირებით პლანში, ერთი მხრივ, გერმანულენოვანი, მეორე მხრივ კი, რუსულენოვანი მხატვრული ლიტერატურიდან შერჩეულ საილუსტრაციო მასალაზე (თრაკლი || ცვეტაევა) დაყრდნობით; ძირითადი მიზანია, *თრაკლი//ცვეტაევა*-კონსტელაციაში წარმოვაჩინოთ განსხვავება ფერთა უბრალოდ მეტაფორულ ხმარებასა და სინესთეზი-მწერლის *‚ეგოს‘* პრიზმში მათი გარდატეხის პროცესს შორის; განვასხვაოთ *‚ჭეშმარიტად‘* სინესთეტი-მწერალი (რომელიც თვითონ აფიქსირებს საკუთარ თავში ამ ფენომენს), ლიტერატურათმცოდნე-მკვლევრის მიერ ამ მარკერით, *ნიშანდებული-სგან*. ამასთან მიმართებაში ვაყალიბებთ ფენომენის საფუძველს – სინესთეტ-მწერალთა (განურჩევლად ფენომენის ეტიოლოგიისა) მსგავს მახსიათებლებს ა) ფსიქიკურ პლანში, როგორებიცაა: დეპრესიული აშლილობები, ნარკოტიკების მოხმარება, ინცენსტიური მიდრეკილები, სუიციდის მცდელობები და შესაძლოა სიცოცხლის დასრულებაც კი თვითმკვლელობით; ბ) ენობრივ პლანში, რაც მოიაზრებს ანბანის ასოების, ციფრების, გეომეტრიული სხეულების, მცენარეების, ცხოველების, ნივთიერებების, ცხოვრებისეული ეპიზოდების და თვით ცალკეული ადამიანების ასოცირებასაც კი ფერთან და ამის ვერბალიზებას ლექსიკონში არარსებული ზმნების, სემანტიკურად შეუსაბამო არაატრიბუირებადი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით ატრიბუტული ან ადვერბიალური ფუნქციით, ისე როგორც ნომინალურ ოკაზიონალიზმებსა თუ ფუნქციურზმნიან შესიტყვებებში.

2. სამკომპონენტიანი მოცემულობა: *ტექსტი → მთარგმნელი → მკითხველი* არაერთხელ ქცეულა თარგმანმცოდნეობაში აღწერის ობიექტად თეორიულსა თუ პრაქტიკულ პლანში და, ბუნებრივია, ვერც წინამდებარე გამოკვლევა შეძლებდა მის გვერდის ავლას. შევეცდებით, უპირველესად ქვემომოტანილ არგუმენტებზე დაყრდნობით დავასაბუთოთ შემოთავაზებული პუბლიკაციის ორიგინალობა და აქტუალობა: ა) ანალიზის ობიექტად შევარჩიეთ ქართველი მკითხველისთვის დღემდე უცნობი ნაწარმოები – გერმანელი მწერლის *ვოლფგანგ ბორხერტის* (Wolfgang Borchert; *1921 ჰამბურგი – †1947 ბაზელი) ომისშემდგომი პერიოდის ნოველა „მოწყენილი გერანიები“ (Die traurigen Geranien); ბ) შერჩეული ნოველის დედანი ვიკვლიეთ კონტრასტულ პლანში, კერძოდ, ქართულ- და რუსულენოვან თარგმანებთან შეპირისპირებით; გ) საექსპერიმენტო მასალის დანიშნულებით გამოვიყენეთ თსუ გერმანისტიკისა და სლავისტიკის განხრის სტუდენტების მიერ შესრულებული თარგმანები; დ) პარალელები გავავლეთ სტუდენტების თარგმანსა და ინტერნეტწყაროებში მოძიებულ ორ რუსულენოვან თარგმანს შორის, რომელთაგან პირველი არის ავტორიზებული თარგმანი, შესრულებული ებრაული წარმომავლობის რუსულენოვანი პოეტის, კრიტიკოსისა და მთარგმნელის *არკადი რავიკოვიჩის* (Аркадий Равикович) მიერ, მეორე – მანქანური, შესრულებული ლექსიკოგრაფიული ცენტრის Longman Dictionary of Contemporary English ციფრულ ბაზის რესურსებზე დაყრდნობით; ე) ზემოხსენებული სამკუთხედიდან კვლევისთვის რელევანტურად მივიჩნიეთ მხოლოდ პირველი ორი კომპონენტი – ამოსავალ ტექსტი, როგორც ლიტერატურული პირველწყარო და მთარგმნელი, როგორც ტექსტის პირველმკითხველი და ინტერპრეტატორი.

ხანმოკლე იყო ბორხერტის ცხოვრება, გაუსაძლისი – ფრონტზე გატარებული წლები, ასახული მის მიერ ომისა და „დაკარგული თაობის“ თემატიკისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში. მისი პროტოტიპები – ომგამოვლილი, ტრავმირებული ადამიანები – ვერ ერგებიან ომისშემდგომი გერმანიის ვითარებას ვერც

მორალურ პლანში და ვერც ფიზიკური არსებობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ამ საერთო კონტექსტიდან რამდენადმე „ამოვარდნილია“ ჩვენ მიერ შერჩეული ნოველა, მიძღვნილი ადამიანთა შორის ურთიერთობის მარადიული პრობლემებისადმი: ინტერესთა კონფლიქტისადმი, იმედის გაცრუებისადმი, მარტოსულობისადმი. ძნელია ცალსახად თქმა იმისა, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ „მოწყენილი გერანიები“, მიუხედავად მთელი თავისი სენტიმენტებისა, რატომღაც მაინც დარჩა ლიტერატურათმცოდნეთა და მთარგმნელთა მხედველობის მიღმა.

ნოველის პროტაგონისტები – ქალი და მამაკაცი, არაპერსონიფიცირებული, ნაცვალსახელებით მოხსენიებული არსებანი, მაშინ პოულობენ ერთმანეთს, როცა გარეთ უკვე ბინდია, ვიზუალურად კი მაშინ აღიქვამენ ერთმანეთს, როცა დღის შუქზე (სავარაუდოდ ერთად გატარებული ღამის შემდეგ) საუზმობენ. კაცი ახლაღა აღმოაჩენს ქალის უფორმო, ასიმეტრიულწნესტოებიან, მუქკანიან ცხვირს, რომელიც ვერაფრით მოდის შესაბამისობაში სახესთან, და ღიზიანდება. მერე ცდილობს, გამართლება იმით მოუძებნოს, რომ პიკასოც სწორედ ასიმეტრიულების პრინციპს მიმართავდა ფიგურის შინაგანი სამყაროს წარმოსაჩენად; მაგრამ ქალი საუბარში ვერ ყვება, მას არც *პიკასო* სმენია, ვერც საკუთარი ცხვირის ასიმეტრიულობას უძებნის ახსნას; იცის მხოლოდ, რომ ცხვირი მუდამ ასეთი იყო, და კიდევ ის, რომ სამაგიეროდ თითონ არის შინაგანად სრულიად სხვანაირი, ყველაფერში ჰარმონიული, ტრადიციული ოჯახის შექმნის მომხრე, ამას ფანჯრის რაფაზე სიმეტრიულად შემოდგმული გერანიის ქოთნებიც მოწმობს – ერთი მარჯვნივ, ერთი მარცხნივ. ქალის გამჭოლი მზერა კაცის კეფამდე აღწევს; კაცს სული ეხუთება, ოფლი ასხამს, ნაჩქარევად ემშვიდობება ქალს; ქუჩაში რამდენჯერმე ჩერდება, ცხვირსახოცით იწმენდს შუბლს, სახეზე სიცილის გრიმასა აღებეჭდება. ქალი ფანჯრიდან გაჰყურებს მიმავალს, კაცის სიცილს კი ვერ ხედავს, რადგან თვალები მისთვის ცრემლებს დაუბინდავს. სევდა გერანიებსაც გადასდებიათ.

ნოველაში იკვეთება ორი ხაზი/პარადიგმა, რომელთა ერთმანეთთან დაახლოებაც კი წარმოუდგენელია: კაცი → ცხვირი, ლტოლვა თავისუფლებისკენ, არაორდინარულობა, სიცილის გრიმასა || ქალი → სიმეტრიულობა, ჰარმონიულობა, ოჯახის შექმნის სურვილი, აცრემლებული თვალები, მოწყენილი გერანიები. იბადება წყება კითხვებისა: როგორია ნოველის მთარგმნელისეული რეცეფცია – ობიექტური თუ მიკერძოებული? აღიქვამს ის მოცემულობებს ადეკვატურად თუ სუბიექტურად? მისდაუნებურად ხომ არ იხრება ან ერთი, ან მეორე პერსონაჟისკენ, შესაბამისად კი, უკვე ინტერპრეტირებულ თარგმანს ხომ არ სთავაზობს მკითხველს, დავუშვათ, საკუთარი წარმოსახვასა თუ გამოცდილებაზე დაყრდნობით? რა კრიტერიუმით შეიძლება შეფასდეს ამ კონკრეტულ ნოველაში „მიკერძოებულობის ეფექტი“ ამოსავალი და სამიზნე ენას თანაბრად დაუფლებული პირის მიერ? ყველა ამ და კიდევ სხვა კითხვის ირგვლივ ვითარდება მსჯელობა მოხსენების ექსპერიმენტულ ნაწილში, რომელიც ეფუძნება სტუდენტების მიერ შესრულებული თარგმანის შეპირისპირებით ანალიზს ზემოხსენებულ რუსულენოვან თარგმანებთან.

3. უცხო ენის/ენების ფლობა იმდენად ორდინარული ფენომენი გახდა თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში, რომ მის ფონზე იშვიათ გამონაკლისად ახლა უკვე *მონოლინგვალობა* აღიქმება. საჯარო განათლების სხვადასხვა დონეზე (უნივერსიტეტებში, სკოლებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში) მრავალენოვნებაზე გადასვლისადმი მიძღვნილმა სპეციალურმა კვლევებმა, ისევე როგორც თემატურმა სემინარებმა, კონფერენციებმა მკაფიოდ გამოკვეთა საერთო მიზანი: სწრაფვა ოცდამეერთე საუკუნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში არა თუ „მონოლინგვალური ჰაბიტუსის“ (ტერმინები: Gogolin, 1994: 12), არამედ თვით „ბილინგვალური ჰაბიტუსის“ წაშლისადმიც კი და ზრუნვა მათ ჩანაცვლებაზე „პლურილინგვალური ჰაბიტუსით“; მაგრამ იმავდროულად გამოავლინა ასევე მეთოდიკებისა და დიდაქტიკების არასრულყოფილება მიზნის მისაღწევ გზაზე, რომელიც ხშირად წინააღმდეგობრივ მომენტებსაც კი შეიცავს, ცდილობს არ დატოვოს „თეთრი ლაქა“ სწავლების არცერთ საფეხურზე, თუმცა მცდელობა ხშირად მხოლოდ თეორიულ განსჯად რჩება. წინამდებარე გამოკვლევის კომპეტენციებში არ შედის ამ „ლაქების“ ანალიზი; პირიქით, ჩვენ ვცდილობთ პრობლემის განზოგადებას მის გენეზისში წვდომის გზით და ამ მიზნით სწავლა-სწავლებასთან ყველაზე ახლოს მდგომი, შეიძლება ითქვას, პირველი რანგის ტერმინების განხილვას ლინგვისტიკის პოზიციიდან, ესენია: *მულტილინგვალობა* და *პლურილინგვალობა*, მათი პარალელური, მაგრამ არასინონიმური ტერმინები: *ბილინგვალობა, დიგლოსია, პოლიგლოსია,* ისევე როგორც ეროვნულძირიანი ეკვივალენტები: გერმანულძირიანი *Mehrsprachigkeit* და *Vielsprachigkeit,* ქართულძირიანი *მრავალენოვნება*, რუსულძირიანი Многоязычие (ბოლო ორ შემთხვევაში წარმოდგენილი მხოლოდ თითო ლექსიკური ერთეულით).

ტერმინოლოგიური ბლოკის არაცალსახოვნება, განაპირობებს საბაზისო ინვენტარის არაკორექტულად გამოყენებას, რისი ცალსახად დასტურია *იურგენ ქვიცის* შენიშვნა: „... wo man *Mehrsprachigkeit* sagt und *Vielsprachigkeit* meint“ „ხშირად ამბობენ *Mehrsprachigkeit*, სინამდვილეში კი *Vielsprachigkeit*-ს გულისხმობენო“ (Quetz, 2002: 148).

წინამდებარე გამოკვლევის ორივე ავტორს თვალში მოგვხვდა ეს გარემოება – ანუ ზემოხსენებულ ტერმინებში ჩადებული ურთიერთგანსხვავებული შინაარსების აღრევა, დაკავშირებული სრულიად სხვადასხვა წანამძღვართან: კულტურის ფენომენთან, ეროვნულსა და ეთიკურ მომენტებთან, ტრადიციასთან, უპირველესად კი სახელწიფო პოლიტიკის შენიღბულსა თუ აშკარა ტენდენციებთან. ფაქტია, რომ ჩამოთვლილ ტერმინთა ადეკვატურსა თუ არაადეკვატურ ხმარებას, მათში ჩადებული სემანტიკის არაცალსახა აღქმას შედეგად შეიძლება მოჰყვეს სწავლების არასწორი სტრატეგიის შემუშავება და დარღვევები მეთოდური თვალსაზრისით. სწორედ ამ გარემოებამ გვაფიქრებინა, რომ წინამდებარე გამოკვლევა მიგვეძღვნა ზემოხსენებულ ტერმინთა ანალიზისთვის, მათი სემანტიკის ექსპლიკაციისთვის, ბუნებრივია *მულტიკულტურული გარემოსა* და *ინდივიდის პლურილინგვალობის* გათვალისწინებით. თავისთავად ძნელია, ინტერნაციონალურ კონტექსტში იმსჯელო ენობრივ კოლექტივზე ზოგადად, ინდივიდის ფაქტორის – ანუ მისი სუბიექტური მოცემულობების: მენტალურ-ინტელექტუალური შესაძლებლობების, ეთნიკური წარმომავლობის, განვლილი ცხოვრების გზისა და შეძენილი ენობრივ-კულტურული გამოცდილების, წინარე ცოდნის, მოტივაციის და ა.შ. – გათვალისწინების გარეშე; აღარაფერს ვამბობთ ობიექტურ მოცემულობებზე: რეალურ გარემოზე, ქვეყნის სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, სახელმძღვანელოდ დაწესებულ პრიორიტეტებზე და კიდევ სხვა მრავალ ფაქტორზე, რომელნიც ყოველთვის იოლად არ იძლევიან ცალსახა კლასიფიკაციის საშუალებას.

ეროვნული პოზიციიდან მიდგომისას ანგარიშგასაწევია ასევე: გარკვეული დისპროპორციულობა მრავალენოვნების თვალსაზრისით დასავლურ სამყაროსა და საქართველოს ან რუსეთს შორის; იდეების ერთგვარი იმპორტირების ტენდენცია ლოკალური ენობრივი სიტუაციის, ტრადიციებისა და არსებული რესურსების გათვალისწინების გარეშე.

ყოველივე ზემოხსენებულის ფონზე წინამდებარე გამოკვლევის უპირველესი მიზანია, შეიტანოს გარკვეული ტერმინოლოგიური წესრიგი დასახელებულ ფენომენთა რაციონალურად აღწერის თვალსაზრისით; ამასთან კავშირში კი საჭიროებისამებრ: გააშუქოს მრავალენოვნების სახეობები შესაბამის პროტოტიპთა გათვალისწინებით, ერთმანეთისგან გამიჯნოს მათი შემსწავლელი დისციპლინები, პრაქტიკულად გაანალიზოს მრავალენოვნების სახეობათა ურთიერთმიმართებანი გერმანიის, რუსეთისა და საქართველოს მაგალითზე, ანუ ძირითად შტრიხებში წარმოაჩინოს კონტრასტულ-არეალური სოციოლინგვისტიკის პოზიციიდან ენობრივი ვითარება ამ სამ ქვეყანაში.

4. ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია

5. ტრანსლატოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია სხვადასხვა თეორიული საკითხების განხილვა პრაგმატიკის ჭრილში. დეფინიციის თანახმად, პრაგმატიკა შეისწავლის სინამდვილის აღმნიშვნელი ენობრივი ერთეულების დამოკიდებულებას იმის მიმართ, ვინც მათ იყენებს (ავტორი). შესაბამისად, მხატვრული ნაწარმოები წარმოადგენს ავტორის სინამდვილისა და თავის თავის მიმართ რაღაც დამოკიდებულების გამოხატვას და ავტორის ეს დამოკიდებულება მიმართულია მკითხველში გარკვეული ეფექტის მიღწევაზე. გარკვეული კომუნიკაციური ეფექტის მოხდენის, რეცეპტორზე პრაგმატული ზემოქმედების განხორციელების შესაძლებლობის ფორმირება ხდება ავტორის მიერ შეტყობინების შინაარსის და მისი გამოხატვის ენობრივი საშუალებების არჩევის შედეგად. ცხადია, რომ მხატვრული ტექსტის პრაგმატული პოტენციალი არ არის რაღაც ერთიანი, მონოლიტური, არამედ შედგება ტექსტის ელემენტების ნაკრებისაგან, რომლებიც ჯამში ავტორის ჩანაფიქრის თანახმად იწყებს მკითხველზე გავლენის მოხდენას.

მიხეილ ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტა“ პრაგმატული პოტენციალი, უდავოდ, ძალზედ დიდია. ამასთან ერთად მაინც შეიძლება გამოვყოთ ავტორის ძირითადი ინტენციები, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ ნაწარმოებში.

ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი რომანში უკავია კომიკურს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტექსტის პრაგმატული ელემენტები, რომლებიც შეიცავენ კომიკურ კომპონენტს, ადეკვატურად იყვნენ

გადმოცემული თარგმანის ტექსტში, რადგან პრაგმატული ინტენციების დამახინჯება იწვევს როგორც ცალკეული სიტუაციების არასწორად გაგებას, ასევე თვით ავტორის ნიველირებას, ანუ მთლიამობაში თარგმანის ღირებულების დაქვეითებას.

მხატვრული ტექსტის შექმნისას ავტორი ეყრდნობა საზოგადოების მიერ შემუშავებულ ნაციონალურ, კულტურულ და ისტორიულ ტრადიციებს. ტექსტის თარგმნის დროს ხდება „ტექსტის ტრანსპონირება არა მარტო სხვა ენობრივ სისტემაში, არამედ სხვა კულტურის სისტემაში“ [შვეიცერი 1985:17]. ეს იმას ნიშნავს, რომ მხატვრული ნაწარმოების თარგმანი არ არის უბრალოდ ერთი ნაწარმოების ხელმეორედ გამოხატვა სხვა ენის საშუალებებით, არამედ ამასთან ერთად არის ორიგინალის ენის კულტურის სპეციფიური მახასიათებლების გააზრება, რომანის აზრობრივი კომპონენტების შინაარსის გაგება და ბოლოს მათი ასახვა სხვა ენის საშუალებებით. აქედან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მ. ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტა“ სწორედ კომიკური ელემენტების თარგმანის განხილვა, ვინაიდან ეს საშუალებას მოგვცემს რაღაც დონეზე განსაზღვროთ ქართული თარგმანის ორიგინალის მიმართ ადექვატურობის ხარისხი, გამოვყოთ კომიკურის ის ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე უფრო მეტ სირთულეს თარმანისათვის და ასევე გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორ გავლენას ახდენს ორიგინალის პრაგმატული პოტენციალის შესაძლო ობიექტური დაკარგვა თარგმანის საერთო ღირებულებაზე.

მოხსენებაში განხილულია მ. ბულგაკოვის ორიგინალურ ნაწარმოებში „ოსტატი და მარგარიტა“ და მის ქართულ ენაზე თარგმაის ტექსტში კომიკური ეფექტის შექმნის კომუნიკაციურ-პრაგმატული საშუალებათა სისტემის შეპირისპირებითი აღწერის კვლევის შედეგები. პრაქტიკული ანალიზისათვის აღებული იყო ასი მაგალითი - კომიკური კომპონენტის შემცველი ელემენტები - და მათი შესაბამისი ეპიზოდები თარგმანის ტექსტიდან. მოცემული მაგალითების არჩევის კრიტერიუმი მდგომარეობდა მათში კომიკური შინაარსის არსებობა იმის მიუხედავად, თუ რა სახის კომიკურს ისინი მიეკუთვნებიან (სასაცილო, ირონია, იუმორი, სატირა). შეგროვილი მასალა დავყავით რამოდენიმე ნაწილად კომიზმის სახეობების შესაბამისად: ანტითეზა, ალოგიზმი, კლიშე, მდგომარეობის კომიზმი, ირონია (ავტორის გონებამახვილი კომენტარები), სიტყვათა უჩვეულო შეთანხმებები, სიტყვათა თამაში და სხვა. ანალიზის მიზანი იყო ორიგინალის ტექსტში კომიკურობის ელემენტების ადექვატურობის დადგენა მათ შესაბამის ელემენტებთან თარგმანში. მაგალითები განიხილებოდა ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზის საფუძველზე. ადექვატურად თარგმნილი მაგალითების შეფარდება არაადექვატურ მაგალითებთან წარმოდგენილია რიცხობრივი მაჩვენებლებით.

ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე რთულად აქვემდებარება თარგმანს მკვეთრი ნაციონალური ელფერის მქონე ელემენტები, ლაკუნების თავისებური სახეობები, ანუ ენის ელემენტები, რომელთაც არ გააჩნია ეკვივალენტები უცხო ენაში. აქედან მოდის ობიექტური შეუძლებლობა კომიკურის იმ კომპონენტთა გადმოცემა, რომლებშიც აღნიშნული ლაკუნები კომიკურის მატარებლები არიან.

6. განმეორება არ არის რომელიმე ფუნქციური სტილის მარკირებული ელემენტი. ამ ხერხის სპეციფიკა ამა თუ იმ ფუნქციურ-სამეტყველო სახეობაში მდგომარეობს მის მიერ შესრულებული ფუნქციის განსხვავებულობაში. განმეორება სამეცნიერო მეტყველებაში წარმოადგენს კომუნიკაციური ამოცანის გამოხატვის არსებით ელემენტს და მისი გამოყენება გამოწვეულია აქტუალიზაციის, ამა თუ იმ ცნების ან მოვლენის ხაზგასმის აუცილებლობით მკითხველის ყურადღების აქტივიზაციის და მისთვის მეცნიერული აზრის ათვისების გაადვილების მიზნით.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ვხდებით სხვადასხვაგვარ ლექსიკურ განმერეობებს, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია ერთგვაროვანი ლექსიკური ერთეულების დისტანციური განმეორება ერთი წინადადების ფარგლებში. ამ კონსტრუქციების ტრანსფორმირება მთელი გამონათქვამის შინაარსის დაზიანების გარეშე ძნელად მისაღწევია, ვინაიდან მეცნიერული აზრის სიზუსტის აუცილებლობა შეუძლებელს ხდის განმეორებული სიტყვების შეცვლას სინონიმებით.

განმეორება არის მრავალფუნქციური საშუალება, რომლის პოტენციური შესაძლებლობები არ შეიძლება შემოიფარგლოს რომელიმე ერთი ფუნქციით. ხშირ შემთვევაში განმეორება ასრულებს აგრეთვე წინადადების ნაწილების გაერთიანების ფუნქციას და ხელს უწყობს წინადადების გავრცელებას. გარდა წმინდა ლოგიკური ფუნქციის, განმეორებას სამეცნიერო პროზაში შეუძლია შეასრულოს ექსპრესიულ-დამაზუსტებელი და ექსპრესიულ-ემფატური ფუნქცია.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა ფართოდ იყენებს სხვადასხვა სახის გამეორებებს. შესწავლილმა მასალამ მოგვცა შესაძლებლობა გამოგვეყო აგრეთვე სინტაქსური გამეორებებიც, რომლის გამოყენებას

ეფუძვნება სინტაქსური პარალელიზმის სტილისტური ხერხი. ძირითადად ეს ხერხი ასრულებს გამონათქვამის ლოგიკური ნაწილის გამოყოფის ფუნქციას და იხმარება ცალკეული ფაქტების განზოგადების მიზნით მოცემული დებულებების დასამტკიცებლად და აზრის მოკლედ და მკაფიოდ გადმოცემისათვის. გავრცობილი სინტაქსური პარალელიზმი (ლექსიკურ განმეორებებთან ერთად) ფართოდ არის წარმოდგენილი სამეცნიერო მეტყველებაში როგორც ტექსტის გამაერთიანებელი საშუალება, კერძოდ ისეთი მსხვილი კომპოზიციური ერთეულების გაერთიანებისათის, როგორიც არის აბზაცი. ჩვენს მიერ შესწავლილ მასალაში ყველაზე გავრცელებული აღმოჩნდა არასრული (ნაწილობრივი) განმეორება, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება სამეცნიერო მეტყველების სპეციფიკას. რთული და გართულებული სინტაქსური კონსტრუქციები მოკლებული არიან ერთგვაროვანი აგებულების შესაძლებლობას.

სამეცნიერო პროზაში განმეორება გამოიყენება კვლევის საგნის თვისებების აღწერისათვის და მას აქვს ფართო გავრცელება სამეცნიერო სტილის ყველა ჟანრის ნაირსახეობაში. ყველაზე ხშირად კი ეს სტილისტური ხერხი ახასიათებს სასწავლო სახელმძღვანელოს ჟანრს.

7. თეზისები გამოქვეყნებლია

8. თეზისები გამოქვეყნებლია

9. მ. ბულგაკოვის ნოველისტური მემკვიდრეობის შესწავლის პრობლემა დღესაც აქტუალური და პერსპექტიული რჩება. მწერლის ნოველისტიკის გამოყოფა, როგორც განსაკუთრებული მხატვრული ფენომენის გამოვლენა, მცირე ჟანრში შექმნილი ბულგაკოვის ნამუშევრების მხატვრული თვითმყოფადობის გამოვლენა, ნოველისტიკის განხილვა მ. ბულგაკოვის "ექსპერიმენტულ პლატფორმად", სადაც იხვეწებოდა მწერლის შემოქმედებითი მანერა, ბულგაკოვის, როგორც ნოველისტის, მხატვრული მეთოდის პრობლემის გამოკვლევა ეპოქის მთავარი მხატვრული ტენდენციების კონტექსტში - კვლავ იწვევს მეცნიერთა ინტერესს.

ნოველისტური ჟანრი იდეალურია ექსპრესიონისტული ესთეტიკის განსახიერებაში. სწორედ მისი "მობილური", "მკვეთრი", "ფეთქებადი" ფორმის გამო, ნოველისტიკა საშუალებას იძლევა არა მხოლოდ აჩვენოს მსოფლიო წესრიგის დანამსხვრევა, არეულობა, არამედ ცდილობს მოძებნოს ამ "გატეხილი" ყოფიერების გადაბმის კანონები. ქმნიან რა სამყაროს წარმოდგენით მსგავსებას, ექსპრესიონისტები ცდილობენ გადაიტანონ აბსურდული და ალოგიკური დამოკიდებულება მხატვრული მთლიანობის წყობის ახალ პრინციპებზე. მხატვარი უპირველეს ყოვლისა გამოხატავს თავის დამოკიდებულებას რეალობისადმი, აფასებს მას და შეგნებულად სცილდება რეალობის გამოსახულების პირდაპირ კონსტრუქციას.

ექსპრესიონიზმის პოეტიკა ბულგაკოვის ადრეულ პროზაში აღწევს გარკვეული პრინციპების, მხატვრული მიდგომის, წარმოსახვისა და სტილის გამოყენების დონეზე. ამასთან, სამყაროს წარმოქმნის ეს მოდელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ექსპრესიონისტული მოდელისგან. იქმნება განსაკუთრებული სისტემა, რომელიც ეფუძნება კონტაქტს კლასიკურ ტრადიციასთან. რეალობის შეფასება ვრცელდება ქვეტექსტის დონეზე. ბულგაკოვი პოლემიკაში შემოდის ლიტერატურულ სტერეოტიპებთან, ჩნდება აბსურდული, აპოკალიფსური კარნავალის მოტივი, რეალური თეატრალური დეკორაციების არსებობით. ექსპრესიონისტულმა ესთეტიკამ სერიოზული გავლენა მოახდინა მ. ბულგაკოვის შემოქმედებაზე. მაგრამ მისი სტილის ექსპრესიულობის მიუხედავად, მ. ბულგაკოვს სხვა ექსპრესიონისტებისაგან აბსტრაქციის ნაკლებად გამოხატული ხარისხი განასხვავებს. სამყაროს ექსპრესიონისტული მოდელისგან სხვა განსხვავება მ. ბულგაკოვის მოთხრობებში არის დეფორმაციის "ფარული" პრინციპი, სამყაროს უფრო "მოქნილი" სახე. მწერალი ხედავს ახალი რეალობის ფუნდამენტური ღირებულებების დაყოფას. ირაციონალიზმის არჩევის მიუხედავად, მწერალი თავს არიდებს "სუფთა" მოდერნიზმს. თავის ყველაზე "ირაციონალურ"

მოთხრობებშიც კი, ის ყოველთვის მიჰყვება ობიექტურ რეალობას, ამუშავებს რეალისტური მოტივაციების სისტემას მხოლოდ ამის შემდეგ, ამ საფუძველზე დაყრდნობით, მისგან ჩამოშორებით, ტრანსფორმირებით, მ. ბულგაკოვი ქმნის სამყაროს საკუთარ ნოველისტურ სურათებს. მ. ბულგაკოვის ნოველისტიკაში ფანტასტიკური და რეალურის, ასახული და გარდაქმნილის, წამიერი და მარადიულის შერწყმა ხდება ჭეშმარიტების შეცნობის გზით. ამ საწყისების ურთიერთქმედებაზე აგებულია დინამიური, უსასრულო ჰორიზონტით, მაგრამ სამყაროს ერთიანი სურათი, რომელიც აშკარად წარმოადგენს რეალობის შესახებ ავტორის ცოდნის განსახიერებას და მასზე ესთეტიკურ განსჯას.

10.
11.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ბასილაია ნატალია, ანდრაზაშვილი მარინა
2. ბასილაია ნატალია, ანდრაზაშვილი მარინა
3. ბასილაია ნატალია, ანდრაზაშვილი მარინა
4. ბასილაია ნატალია
5. ბასილაია ნატალია
6. ალექსიძე მარინა, გურული ლაურა
7. ალექსიძე მარინა, გურული ლაურა
8. ალექსიძე მარინა, გურული ლაურა
9. ალექსიძე მარინა, გურული ლაურა
10. ალექსიძე მარინა, გურული ლაურა
11. ალექსიძე მარინა, გურული ლაურა
12. ფილინა მარიამ
13. ფილინა მარიამ
14. ფილინა მარიამ
15. დალი კანდელაკი
16. დალი კანდელაკი

2) მოხსენების სათაური

1. მწერლის სენტიმენტები და თარგმანის პერიპეტიები.
2. ფერთა გამა, გარდატეხილი სინესთეტი-მწერლის პრიზმში, და მისი ენობრივი გამოხატულება.
3. მწერლის იდიოლექტი და ინვარიანტულობის შესაძლებლობა თარგმანში.
4. Феномен *письмо* в эпистолярном идиолекте Марины Цветаевой
5. «Цветаевизмы» в русском переводе поэмы Важа Пшавела «Раненый барс»
6. Использование ресурсов художественного текста на занятиях по РКИ
7. Стилистические функции повторов в романе Ф. Достоевского «Братья Карамазовы» и их сохранение при переводе на грузинский язык
8. Художественный текст как средство активизации студентов на занятиях по русскому языку как иностранному в вузе (из опыта работы)
9. Изучение способов выражения побуждения в русском языке на занятиях по РКИ в вузах Грузии
10. Особенности передачи повторов как средства выражения экспрессивности (на материале перевода романа Ф.М. Достоевского «Идиот» на грузинский язык).
11. Some aspects of teaching reading in a foreign language at a university
12. ქართული პოლონიის 25 წელი: მიღწევები და პერსპექტივები.
13. თბილისის მუსიკალური ცხოვრება (XIX საუკუნეში) და ლეონ იანიშევსკის მოღვაწეობა
14. ლ. ტოლსტოის "ჰაჯი-მურატის" მასალები და გადასახლებული პოლონელი მწერლების ტექსტები.
15. Из истории немецких колоний в Грузии (по произведениям зарубежных авторов XIX века)
16. Как русские авторы первой половины XIX века писали историю Грузии

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 19–20 მარტს 2021, მოსკოვი (რუსეთი)

ორგანიზატორები: მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიის განთლებისა და კულტურის განყოფილება, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფაკულტეტი:
მთარგმნელთა უმაღლესი სკოლა. VI საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „მეცნიერება თარგმანის შესახებ დღევანდელობის გადასახედიდან: თარგმანი და ინტელექტთა კონკურენცია“.
ZOOM-ის პლატფორმაზე;
http://esti.msu.ru/netcat_files/userfiles/Files/science/archive/210320%20eng%20program.pdf

2. 12–13 ივნისი 2021, აშხაბადი (თურქმენეთი)
თურქმენეთის დამოუკიდებლობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „მეცნიერება, ტექნიკა და ინოვაციურ ტექნოლოგიათა განვითარება“,
ორგანიზატორები: თურქმენეთის განათლების სამინისტრო, თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემია.
https://science.gov.tm/files/programma-ylym-2021-rus.pdf

3. 17 სექტემერი 2021, ინსბრუკი (ავსტრია)
ინსბრუკის უნივერსიტეტის თარგმანმცოდნეობის მე-4 საერთაშორისო კონფერენცია.
Programm / Abstract:
https://www.uibk.ac.at/translation/translata-2021/programme/programm-dateien/ programm _translata_ iv_ vorlaeufig_de_17.09.21_mit_sektionsleitungen---links.pdf

4. 11.06-13.06.2021. Таллинн (Эстония)
Двенадцатые Лотмановские дни. Конференция «Письмо и память культуры. К проблеме изучения эпистолярных текстов.
Программа Сертификат участника
https://morebook.ru/novosti/item/1622903677041#gsc.tab=0.

5. 28–29 X. 2021 Минск (Беларусь)
VII Международная научно-практическая конференция, посвященная памяти Д. О. Половцева *«Языковая личность и эффективная коммуникация в современном поликультурном мире»*
Организатор: Кафедра теории ки практики перевода факультета социокультурных коммуникаций Белорусского государственного университета.
Программа
https://mail.google.com/mail/u/0/?tab=rm&ogbl#inbox/FMfcgzGlkXzPrKDzkHqkhczvhtKqXHhS?projector=1&messagePartId=0.1

6. 2021 წლის 29 მაისი. მოსკოვი (რუსეთი)
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენცია „ფილოლოგიის აქტუალური საკითხები და მათი გადაწყვეტის გზები გლობალური ტრანსფორმაციების შუქზე“. მოსკოვი - მეხიკო,
კონფერენციის პროგრამა
https://vestnikcs.ru/programma-konferencii-1

7. 21-22 мая 2021 г. Казань (Россия)
III Международная научно-практическая конференция «Методические инновации в практике преподавания русского языка и литературы в условиях поликультурной среды», приуроченная к 200-летию со дня рождения Ф.М. Достоевского, 220-летию со дня рождения В.И. Даля и 130-летию со дня рождения М.А. Булгакова и 15-летию кафедры русского и татарского языков Казанского ГМУ
Программа. Сертификат участника

8. 04 марта 2021 г. Новосибирск (Россия)
IV Международная научно-практическая конференция «Восток-Запад: теоретические и прикладные аспекты преподавания европейских и восточных языков».

Программа

9. 24-25 мая 2021. Одесса (Россия)
   Международные научные славянские чтения (он- лайн конференция)
   Организаторы: Одесский национальный университет имени И.И. Мечникова, филологический факультет
   Программа конференции
   https://us05web.zoom.us/j/2270361755?pwd=WGhRSm9QdHQwQmtha3I4elBUdjdQdz09
   Ідентифікатор конференції: 227 036 1755
   Код доступу: 7NKZPi

10. 08.07.2021 - 12.07.2021. Салоники (Греция)
    XI Юбилейная международная научная конференция «Русский язык и культура в зеркале перевода»
    Организаторы: Московский гос. университет им. М.В. Ломоносова, Высшая школа перевода, Фракийский университет им. Демокрита (Греция)
    Программа конференции

11. 01 - 02.04. 2021, Dnipro, Ukraine
    12th International Scientific and Practical Internet Conference "Modern Movement of Science"
    Modern Movement of Science: abstracts of the 12th International Scientific and Practical Internet Conference, April 1-2, 2021. – Dnipro, Ukraine, 2021. – P.1. – 493 p.; P.2. – 512 p.)

12. 2021 წლის 21-23 ოქტომბერი, ჟესოვი (პოლონეთი)
    X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასია - წარსული - აწმყო - მომავალი“.
    ორგანიზატორი: ჟეშოვის უნივერსიტეტი (პოლონეთი)

13. 2021 წლის 8 მაისი, ბიალოსტოკი (პოლონეთი) - ქუთაისი (საქართველო)
    საერთაშორისო ინტერდისციპლინალური კონფერენცია „ქართული და პოლონური კულტურის დიალოგი XIX-XX საუკუნეებში” ლიტერატურა - ენა - ისტორია.
    ორგანიზატორები: ბიალოსტოკის (პოლონეთი) და აკაკი წერეთლის სახ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტები.
    ონლაინ - რეჟიმი

14. 2021 წლის 25-27 მაისი, ტულა (რუსეთი) - თბილისი
    ლევ ტოლსტოის დღეები საქართველოში (მიძღვნილია დიდი მწერლის საქართველოში ყოფნის 170 წლისთავისადმი). საერთაშორისო კონფერენცია.
    ორგანიზატორები: სამეცნიერი-კვლევითი მუზეუმი „იასნაია პოლიანა“ (ტულა, რუსეთი) და საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“ (თბილისი).
    ონლაინ - რეჟიმი

15. 12. 04.11.2021 პეტერბურგი, რუსეთი,
    Международная научная конференция "ЭТНИЧЕСКИЕ МЕНЬШИНСТВА В ИСТОРИИ РОССИИ")

16. 13. 25-30.04.2021 მოსკოვი, რუსეთი.
    Международная научная конференция «Историческое знание и преподавание истории в контексте эволюции национального самосознания»

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. თანამედროვე პირობებში, როცა ადამიანურ თარგმანს მძაფრად დაუპირისპირდა მანქანური თარგმანი, განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა მათი სფეროების, შესაბამისად კი ასევე მათი კომპეტენციების ურთიერთგამიჯვნამ. მთელი აქტუალობით წამოიწია წინ ისეთმა სუბიექტურმა მომენტებმა, რომლებიც უკავშირდება მწერლის სტილს, მის იდიოლექტს, წერის კულტურას, თვით სასვენი ნიშნების რამდენადმე თავისებურ ხმარებასაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ მწერლის ცხოვრების წესზე, მის სენტენციებზე, ხედვის ჰორიზონტსა თუ ზოგად ერუდიციაზე. მოხსენებაში დაწვრილებით გვაქვს განხილული ყველა ზემოჩამოთვლილი მომენტი გერმანულ- და რუსულენოვანი მხატვრული ლიტერატურიდან შერჩეულ ნიმუშებზე/ამონარიდებზე დაყრდნობით და ამ ნიმუშთა თარგმანისა და უკუთარგამნის ანალიზის მიხედვით ვახდენთ ისეთი ფაქიზი მომენტების წინწამოწევას, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებულ მთარგმნელს შეიძლება მოხვდეს მხედველობის არეში. ცალკე ვმსჯელობთ იმაზე, თუ რამდენად ეხმარება მთარგმნელს მოხსენიებული დეტალების წვდომაში ამჟამინდელი ღიაობა მსოფლიო მასშტაბით არსებული აუდიო-ვიზუალური საშუალებების ფონზე. მოხსენებაში განხილული გვაქვს ასევე საკითხი, რამდენად ექსპლიციტურად, ადეკვატურად თუ მიახლოებით, ემოციურად თუ ნეიტრალურად და ა.შ. შეიძლება მიაწოდებდეს მთარგმნელი მკითხველს მწერლის სენტენციებს – ანუ რამდენად უკიდეგანოა მთარგმნელის პოტენციური შესაძლებლობები, მაგრამ ასევე უსასრულოა თარგმანის პერიპეტიები. ანალიზისთვის უფრო მეტი სიღრმისა და შედეგებისთვის მეტი დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით მოშველიებული გვაქვს ასევე ერთი და იმავე ნაწარმოების თარგმანის რამდენიმე ვერსია, შესრულებული სხვადასხვა მთარგმნელის მიერ. ამ უკანსკნელთან მიმართებაში კი, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, წარმართული გვაქვს გარკვეული დაკვირვება თარგმანმცოდნეობაში ისეთი ტერმინების დიფერენცირებულ ხმარებაზე, როგორებიცაა: „ავტორისეული თარგმანი“ // „საავტორო თარგმანი“ // „ავტორიზებული თარგმანი“, თუმცა შევნიშნავთ, რომ ნამდვილად ნაჩქარევი იქნებოდა საბოლოო სიტყვის თქმა მათი ურთიერთგამიჯვნის თვალსაზრისით.

2. ფერები ობიექტური სამყაროს შემადგენელი ნაწილია, ამდენად ბუნებრივია, რომ ადამიანი ინდივიდუალურად ახდენს მათ რეფლექტირებას, შესაბამისად კი ასევე მათ რამდენადმე სუბიექტურ კატეგორიზირებასა და ვერბალიზებას. შესაძლოა რიგ შემთხვევებში შედეგი გარკვეულწილად ადეკვატურიც აღმოჩნდეს არსებულ სტანდარტებთან მიმართებაში, სხვა შემთხვევებში კი იგი ნორმიდან გადახრად კვალიფიცირდებოდეს. მხატვრულ ლიტერატურაში (მაგალითად, სიმბოლისტებთან) გავრცელებული ხერხია ფერთა გამიზნულად *გადაზრება,* ანუ მათი გამოყენება *ფიგურატიული*, *სტილური* ხერხის სტატუსით რეალობის გამუქება-დამძიმების (pechschwarz, grellrot/purpurrot) ან პირიქით, შერბილება-გალამაზების მიზნით (rosarot, himmelblau); გამორიცხული არც ის არის, რომ ყოფაში ამ ხერხს ასეთივე წარმატებით მიმართავდეს ენის რიგითი, სრულიად ორდინარული მომხმარებელიც.

ზემოაღწერილისგან არსებითად განსხვავდება ფსიქოლოგიაში *სინესთეზიის* სახელით ცნობილი ფენომენი, რომელიც სულ სხვა გენეზისის არის და გამოვლენის თვალსაზრისითაც ფორმათა სიმრავლით გამორჩევა, შესაბამისად შეგრძნების სახეობათა სელექციისა და მათი შერწყმისა, დავუშვათ: სინთეზი *სუნისა* და *ფერისა*, *შეხებისა* და *სუნისა, ფერისა* და *გგერისა* და ა.შ. გენეზისის მიხედვით ფსიქოლოგიაში აღწერენ: ა) *გენეტიკურ სინესთეზიას,* რომელიც ბავშვობის ასაკშივე გამოვლინდება მოზარდის მენტალურ ჩამოყალიბებასთან ერთად; ბ) მეორეულს/შეძენილს, ანუ გამოწვეულს ცხოვრებაში ემოციურად განცდილის, გადატანილი ფიზიკური და ფსიქიკური ტრავმების შედეგად; გ) სუგესტიურს, აღძრულს სინესთეზიის თემაზე წაკითხული ფსიქოლოგიური ლიტერატურის ზეგავლენის შედეგად; დ) მენტალურს, რომელიც ეფუძნება მწერლის ინტელექტს/ერუდიციას ხელოვნების სხვადასხვა დარგში დაგროვილი ცოდნის შედეგად.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია, ყოველივე ზემოგანხილულის ფონზე ყურადღება შევაჩეროთ სინესთეზიის მხოლოდ ერთ სახეობაზე – *ფერისა* და *მატერიალური სამყაროს ფენომენთა სინთეზზე* და აღვწეროთ ის ენობრივ პლანში, გერმანულენოვანი მხატვრული ლიტერატურიდან მკაცრი კრიტერიუმებით შერჩეული ავტორების ნაწარმოებების საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით.

3. ლიტერატურულ თარგმანს საქართველოში დიდი ტრადიციები აქვს, რომელთა გაგრძელებაა ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მთარგმნელობითი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ამჟამად ფუნქციონირებადი სამი – *ინგლისურ–ქართული//რუსული / გერმანულ–ქართული//რუსული / რუსულ–ქართული* – მოდულები. წინამდებარე მოხსენების განსჯის ობიექტი არის

თანაავტორთა მიერ სწორედ ამ პროგრამის *გერმანულ–ქართულ//რუსულ*–მოდულში მოპოვებული მასალა, კერძოდ ქართული და რუსული აუდიტორიისთვის უცნობი, მაგრამ გერმანულენოვანი სამყაროსთვის ერთობ პოპულარული თანამედროვე ბელეტრისტის, ყოფილი ადვოკატის სისხლის სამართლის განხრით, *ფერდინანდ ფონ შირახის* ნაწარმოების „ყავა და სიგარეტი“ (Ferdinand von Schirach; *1956; Kaffee und Zigaretten) ერთი თავი და მისი თარგმანი ქართულსა და რუსულ ენებზე.

მოხსენებაში არის მცდელობა: ა) გახსნას შირახის, როგორც პიროვნების, პროფესიონალი ადვოკატისა და მწერლის სახე; ბ) წარმოაჩინოს მისი, როგორც მწერლის სენტენციების უსასრულო პოტენციალი; გ) გააანალიზოს მწერლის იდიოლექტი, ერთი მხრივ, მისთვის ესოდენ სახასიათო გამჭვირვალე, ლაპიდარული სტილი, მეორე მხრივ კი, მის მიღმა მიმალული სემატიკური ხვეულები მთელი თავიანთი პერიპეტიებით, ორაზროვნებით, სარკაზმამდე მისული ირონიითა და ქედმაღლობით, მაგრამ შიგადაშიგ იმავდროულად ასეთივე პირდაპირობით, გულუბრყვილობამდე მისული უშუალობით; დ) ყურადღება შეაჩეროს წმინდა ლინგვისტური პლანის – გრამატიკულ, ლექსიკურ-სემანტიკურ და ფრაზეოლოგიურ ფენომენებზე, რომლებიც ბელეტრისტის (როგორც შირახი თავის თავს უწოდებს) ხელში იქცევიან ერთგვარ იარაღად, დააბნიოს მკითხველი, შეიყვანოს მთარგმნელი უნდობლობაში საკუთარი თავისადმი წაკითხულის ადეკვატურად გაგების კუთხით, დააკარგვინოს მას ვითარების სწორად შეფასებისა და თვით ლოკაციის რეალისტურად აღქმა-დადგენის კრიტერიუმებიც კი.

მოხსენების მომდევნო, არცთუ უმნიშვნელო ამოცანად გვესახება, წარმოაჩინოს ინვარიანტულობა პწკარედული თარგმანის შესრულების თვალსაზრისით, ერთი მხრივ, სტუდენტთა მხრიდან, მეორე მხრივ კი, ამ პროცესში იმავდროულად მანქანური თარგმანის (შესრულებული სლავისტიკის ინსტიტუტის რესურს-სცენტრის ბაზაზე) ჩართვით; მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეადგინოს ერთგვარი „ინვარიანტების პარტიტურა“ (ანალოგიურად სანოტო პარტიტურისა) – *გერმანული ორიგინალი + პლუს ორივე ცოცხალ ენაზე შესრულებული თარგმანი + პლუს კომპიუტერული* თარგამნის დესკრიპტი – რის საფუძველზეც უკვე ენობრივი დონეების გათვალისწინებით იმსჯელოს ცალკეულ ინვარიანტთა მართებულობა-მცდარობა-არავარგისიანობაზე; გააკეთოს შესაბამისი თეორიული დასკვნები და მოგვცეს მითითებები მათ პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

4. მარინა ცვეტაევასა და ბორის პასტერნაკის მიმოწერა იმ მკვლევართა ყურადღების საგანია, რომლებიც ორი პოეტის წერილების სხვადასხვა ასპექტს აანალიზებენ. სტატიაში დეტალურადაა განხილული მარინა ცვეტაევას ეპისტოლარული იდიოლექტი „თანაბრად დიადი“ პოეტისადმი მიწერილი საპასუხო წერილების მაგალითზე, კერძოდ, დეტალურად არის გაანალიზებული ისეთი საკითხები, როგორიცაა მარინა ცვეტაევას დამოკიდებულება წერილის ფენომენთან; მისი ინდივიდუალური გაგება ამ ნომინაციის სემანტიკის შესახებ; პოეტის მიერ წერილის წაკითხვის მანერის ორიგინალურობა; როგორც წერილებში, ასევე მარინას პოეტურ ნაწარმოებებში ნაპოვნი მეტაფორული ფრაზების ამოხსნის მიდგომის პრინციპები; მის შეტყობინებებში ინფორმაციის წარმოდგენის გზები; მიმოწერა მარინა ცვეტაევასა და ბორის პასტერნაკს შორის, როგორც ფსიქოლოგიური დრამის დისკურსის ეპისტოლარული მრავალფეროვნება და ა.შ. მარინა ცვეტაევას და ბორის პასტერნაკის არაჩვეულებრივი, პოეტური წერილები ერთმანეთისადმი ყველაზე მეტად წააგავს აღელვებულ და, შესაბამისად, გარკვეულწილად დაბნეულ კამათს ან საუბარს საკუთარ თავთან, როდესაც ადამიანი სკოლის გრამატიკის მკაცრი წესებისტვის არ იცლის. ეპისტოლარული დიალოგის მონაწილეთა წერილების სტილი ასახავს მათი ქცევის ტიპს ცხოვრებაში, ნათლად ავლენს მათ გამოსახულებებს, თითოეული ადრესატი მოქმედებს როგორც გარკვეული კულტურული ნიღბის გამომხატველი.

5. ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია
6. ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია
7. ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია
8. ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია

9. საწყის ეტაპზე უცხოელი სტუდენტებისთვის რუსულის სწავლების სისტემაში გრამატიკა ცენტრალურ ადგილს იკავებს. გრამატიკული ცოდნის დანერგვა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს პრაქტიკულად გამოიყენონ რუსული ენა სხვადასხვა სახის სამეტყველო აქტივობებში: მოსმენა, საუბარი, კითხვა და წერა. უცხოელი სტუდენტების სწავლებისას არ არსებობს რუსული ენის მორფოლოგიური და სინტაქსური

სისტემების, მისი სტრუქტურული ერთეულების წმინდა თეორიული ახსნა. ენობრივი მასალის ორგანიზება ხდება სინტაქსურ საფუძველზე, რაც შესაძლებელს ხდის ტრენინგის კომუნიკაციური ორიენტაციის უფრო სრულად განხორციელებას. გრამატიკული მასალა შეტანილია დამალული მეტყველების შაბლონების სისტემის, ტიპიური მოდელების, დიაგრამების, ცხრილების და ასევე ვიზუალური საშუალებებით.

წაქეზების ფუნქციონალურ-სემანტიკური კატეგორია თითქმის ყველა ენაშია, მათ შორის ქართულშიც. მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომუნიკაციის პროცესში, ამიტომ მისი შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართველ სტუდენტებში. ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია რუსულ ენაში არსებული მოტივაციის გამოხატვის გზების სისტემატიზაცია, შესაბამისად, ჩნდება ამა თუ იმ სტრუქტურის არჩევის პრობლემა, რაც დამოკიდებულია მოსაუბრეს მიერ განხორციელებულ კომუნიკაციურ მიზნებზე.

ავტორების მიერ შედგენილი სახელმძღვანელო ქართველი სტუდენტებისთვის უნდა შეიცავდეს როგორც ენობრივ, ასევე სამეტყველო სავარჯიშოებს, რომლებიც მიზნად ისახავს წაქეზების გამონათქვამების გამოყენების აქტივიზაციას. დირექტიული განცხადებების ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა ფართო გამოყენება და მნიშვნელოვანი როლი სოციალურ და საწარმოო საქმიანობაში, მიუთითებს უცხოელი სტუდენტების კომუნიკაციურ პრაქტიკაში წაქეზების, როგორც სამეტყველო ზემოქმედების სახეობაის, დომინანტურ როლზე.

ენობრივი (არაკომუნიკაციური) სავარჯიშოები ხელს უწყობს მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბებას შესწავლილი ფენომენის რუსულ ენაზე გამოხატვის საშუალებების სფეროში. სამეტყველო (კომუნიკაციური) სავარჯიშოები მიზნად ისახავს ენობრივი მასალის ათვისების საფუძველზე მეტყველების განვითარებას და აყალიბებს მეტყველების კომუნიკაციის ორგანიზების უნარს სიტუაციის გათვალისწინებით, ანუ აყალიბებს კომუნიკაციურ კომპეტენციას.

შესწავლისათვის შერჩეული კონსტრუქციები სისტემატიზებული იქნება ცხრილების სახით, რომელშიც მოცემული იქნება მოკლე გრამატიკული კომენტარი. ქართველ აუდიტორიასთან მუშაობისას საყურადღებოა წაქეზების მრავალფეროვნების გარჩევის საკითხი. რუსი და ქართველი ერების მენტალობის განსხვავება ხშირად იწვევს დირექტიული მოდალობის ნაირსახეობის გარჩევის სირთულეებს.

ნეიტრალური წაქეზების გამომხატველი კონსტრუქციების შეყვანა სასწავლო პროცესში შესაძლებელია ისეთი მაგალითების დახმარებით, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს წარმოდგენას სამეტყველო სიტუაციის შესახებ, სადაც შეიძლება საჭირო გახდეს დირექტიული ინტენციის გამოხატვის ერთი ან სხვა მოცემული საშუალების გამოყენება. მაგალითები პრაქტიკულად ცვლის გრამატიკულ კომენტარებს, რომლებიც ამ შემთხვევაში აღარ არის საჭირო. რაც შეეხება კატეგორიული და შერბილებული წაქეზების გამომხატველ კონსტრუქციებს, ისინი წარმოდგენილი უნდა იყოს წაქეზების მოცემული სფეროს გამოხატვის შემოთავაზებული საშუალებების შემაჯამებელი ცხრილის სახით, რის შემდეგაც უნდა მოხდეს მათი გამოყენების უნარის გამომუშავება პირობითად შექმნილ კომუნიკაციურ სიტუაციებში.

დავალებების ძირითად ტიპს შეადგენენ ენობრივი სავარჯიშოები, რაც დაკავშირებულია სტუდენტების მიერ მოცემული წესების გააზრების აუცილებლობასთან და იმპერატივის ფორმის სწორად აგების უნარის ფორმირებასთან მისი შემდგომი გამოყენებისთვის ბუნებრივი კომუნიკაციის სიტუაციებში.

საერთო ჯამში, ფუნქციური გრამატიკის პრინციპების გათვალისწინება სავარჯიშოების ნაკრების შემუშავებისას ქართველი სტუდენტების რუსულ მეტყველებაში წახალისების მოდალობის საშუალებების გამოყენების უნარების გასაუმჯობესებლად შესაძლებელს ხდის ამ გრამატიკული თემის სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდას.

10. ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია

11. ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია

12. საერთაშორისო კონფერენციაზე (მონაწილეობდნენ მეცნიერები, პოლიტოლოგები და დიპლომატები 10 ქვექნიდან) წაკითხულ მოხსენებაში მოთხრობილია მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი პოლონიის - კავკასიის პოლონიის ისტორია და აგრეთვე კავკასიაში შექმნილი ახალ ისტორიულ ეტაპზე პირველი პოლონიური ორგანიზციის - საქართველოს პოლონელთა კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ „პოლონია“-ს ფუნქციონირებაზე. განხილულია ამ ორგანიზაციის მოღვაწეობის და მირწევების ძირითადი მიმართულებანი (1995-2020 წლები). მოკლედ არის მოხსენიებული მისი მეცნიერული და კულტურული ღონისძიებები, მათ შორის,

9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი ქართულ-პოლოუნურ ურთიერიერთობებისადმი და პოლონეტის ცნობილ მოღვაწეთადმი. კონფერენციები ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-სთან ერთად. აგრეთვე წარმოდგენილია ცნობები პოლონური ენის და კულტურის კურსების შესახებ, რომლებიც ფუნქციონირებს ამ კავშირის ჩარჩოებში, პოლონური და ქართული მუსიკის კონცერტების, პოლონელი მხატვრების გამოფენების და ფოტოგამოფენების შესახებ. აგრეთვე მოყვანილია პოლონიის კავშირის წევრების, კავშირის პარტნიორების მოკლე ბიოგრაფიები.

13. ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი და მრავალმხრივი ფიგურა პოლონელ გადასახლებულთა შორის იყო ლეონ იანიშევსკი - პოეტი, ესეისტი, მთარგმნელი და მუსიკოსი. მოხსენებაში გამოყენებულია იანიშევსკის აქამდე უცნობი წერილები და პუბლიკაციები, რომლებიც დაკავშირებულია თბილისის მუსიკალურ ცხოვრებასთან.იანიშევსკი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი იმ მცირე ,,კავკასიელთაგანი“ იყო, რომლებმაც მთელი წლები თბილისში განვლეს. არმიაში მის სამსახურზე არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ მალევე გადადგა სამსახურიდან პოდპორუჩიკის იმავე სიმბოლური ჩინითა და სამხედრო სამსახურისადმი იმავე სიძულვილით, რაც მისი მეგობრების უმრავლესობას ჰქონდა.რამდენიმე წლის განმავლობაში იანიშევსკი მუსიკის მასწავლებელი იყო ალექსანდრე რაევსკის (კრესტიანოვის) პოპულარულ სკოლაში, მოგვიანებით კი, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა სკოლას, რომელშიც ილია ჭავჭავაძე სწავლობდა. მუსიკისმცოდნეებს იანიშევსკი ქართული მუსიკის კრიტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად მიაჩნიათ. იგივე შეიძლება ითქვას თეატრის კრიტიკაზეც. ,,იანიშევსკის პუბლიცისტური დებიუტების ცოცხლი თხრობა და დამცინავი ტონი, შემდეგში კი გესლიანი ირონია დამახასიათებელია იმ დროის თეატრალური სტილისათვის. ამავდროულად, მასთან გვხვდება ენის ბრწყინვალე ფერადოვნება, და ფრთხილი ფეხქვეშ გაგება გავლით ჩამოსული ცნობილი სტუმრების წინაშე - დიპლომატიური მიღებები, რომლებიც არეგულირებდა კრიტიკული გამოხდომების სიმწვავეს. ლ. იანიშევსკი უნარჩუნებს საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებთ დიდი ოსტატების სტუმრად მიღების უფლებას“ [59: 66].

იანიშევსკი გაზეთ «Кавказ»-თან თანამშრომლობდა ფაქტობრივად მისი დაარსების დღიდან. მოგვყავს ნაწყვეტი მისი რეცენზია-ფელეტონიდან: ,,ჩვენი მუსიკალური საღამო გამოირჩეოდა გემოვნებათა და ზნე-ჩვეულებათა სრული ემანსიპაციით, - საუბარია ფელეტონში. - შეხედეთ! აქ გაშლილია მწვანე კალთა პრეფერანსისთვის, იქ კარამბოლები წკრიალებენ ბილიარდის მაგიდაზე, იქით კიდევ, ორკესტრთან ახლოს, სავარძლებია მსმენელთათვის, რომელთაც მთვარეულის მელოდიაზე ჩათვლემას სთავაზობენ; ყველა იმას აკეთებს, რაც მოესურვება... და არა ისე, როგორც სხვა კონცერტებზე, სადაც ბარბაროსი არტისტი, ვიღაც ოლე ბული ან კიდევ ლისტი გაიძულებს, უსათუოდ უსმინო, უსმინო, უსმინო - და მეტი არაფერი“ («Кавказ», 01.03.1847, № 9, გვ.35).

რეცენზენტისთვის ირონიული ტონია დამახასიათებელი, ზოგჯერ მისი გამონათქვამები გესლიანად დამცინავია. ამავდროულად, იგი გულწრფელად განიცდიდა, როდესაც არტისტების გამოსვლები პროვინციულ ხასიათს ატარებდა (ეს ეხება როგორც თბილისელ შემსრულებლებს, ისე - გასტროლიორებს). დაჟინებით ადევნებდა თვალყურს ქალაქის თეატრალური და მუსიკალური ცხოვრების განვითარებას და აღნიშნავდა, რომ თეატრალური ცხოვრების დონე უდავოდ ამაღლდა. მ. კირაკოსოვა შენიშნავს, რომ იანიშევსკის სტატიები ,,...უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევა პატრიოტული გრძნობებით, უნაზესი სიყვარულით იმ მიწის მიმართ, რომელმაც შეიფარა, მისი ხალხის სულისკვეთების ფაქიზი შეგრძნებით, ტრაგიკული წარსულისა და აწმყოს ისტორიული მნიშვნელობის თანაგანცდით. ავტორი გვაფრთხილებს საპასუხისმგებლო მოგზაურობის შესახებ ქვეყანაში, რომელიც ,,ევროპისათვის სიშორის იდუმალ საბურველშია გახვეული, მცდარი ცნობების ბინდბუნდში დამალული, მისი რომ ეშინოდათ შემაშფოთებელი ამბების წყალობით და ის იყო, გმოღვიძებას იწყებდა იმ ღრმა ძილიდან, რომელმაც სახალხო არეულობებისა და ძნელბედობის ჟამს მოიცვა იგი“.

იანიშევსკიმ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა საქართველოს პიანისტთა სკოლის განვითარებაში. მან უამრავი მუსიკოსი აღზარდა, მუსიკას ასწავლიდა ამირკავკასიის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში, ჰყავდა კერძო მოწაფეები. მის აღზრდილებს შორის იყო ალოიზი მიზანდარი, ცნობილი პიანისტი, კომპოზიტორი და პედაგოგი, თბილისში პირველი მუსიკალური სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

14. მოხსენებაში წარდგენილია, რომ ლევ ტოლსტოის შედევრ „ჰაჯი მურადში“ წარმოდგენილ მოვლენებს ასევე აღწერენ პოლონელი დევნილი მწერლები, რომლებიც მონაწილეობდნენ როგორც რიგითი ჯარისკაცები კავკასიის ომში. ტოლსტოი, როგორც მწერალი, დიდწილად ჩამოყალიბდა სწორედ კავკასიის ომმა, რომელიც

დაემთხვა მის, როგორც მწერლის დაბადებას. ცნობილია, რომ ტოლსტოიმ რამდენიმე მსოფლიო დონის აღმოჩენა გააკეთა ომის მხატვრულ გაგებაში. ისინი დაიბადნენ კავკასიაში და ცოტა მოგვიანებით - სევასტოპოლში. პირველად მსოფლიო ლიტერატურაში ომი გამოჩნდა არა როგორც გამარჯვებისა და დამარცხების ჯაჭვი, არა როგორც ექსპლოატაცია და ღალატი, არამედ როგორც სამხედრო შრომა, არაბუნებრივი, მაგრამ ჩვეულებრივი, ყოველდღიური. ტოლსტოი არ განასხვავებს მეთაურის და უცნობი ჯარისკაცის ცხოვრების მნიშვნელობას.დიდი გამბედაობა უნდა ჰქონოდა იმ დროისთვის კავკასიის ომი სწორედ დაპყრობად წარმოედგინა, ოფიციალური იდეოლოგიის საპირისპირო კონცეფციის შექმნა. გარკვეული დათქმით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტოლსტოიმ ასევე გამოხატა კავკასიელი ხალხების ტკივილის მახილი. და გასაკვირია, რომ ტონალობა ემთხვევა სრულიად განსხვავებული კულტურის წარმომადგენლების - გადასახლებული პოლიტიკური პოლონელების მიერ შექმნილ დოკუმენტებს, რომლებიც აიძულეს მონაწილეობა მიეღოთ იმ სისხლიან ომში. კერძოდ, ვლადისლავ იურკოვსკის წერილებს, რომლებსაც იგი კავკასიიდან სწერდა პეგალია პოდგორსკაიას, თავისი ძველი მოსწავლის დედას - ,,კავკასიელთა“ ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ეპისტოლურ დოკუმენტს. ისინი ცენზურის გარეშე დაიბეჭდა. მისი წერილები არის გასაოცარი თხრობა რუსეთის მიერ კავკასიაში გაჩაღებული ომის სასტიკ სიმართლეზე. წერილებში აღწერილია აულების სასტიკი დაპყრობა, მცხოვრებთა - ქალებისა და ბავშვების განადგურება.ბუნებრივია, ტოლსტოი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აგროვებდა მასალებს თავისი მოთხრობისთვის, ვერ იცოდა პოლონური ტექსტები. მაგრამ გასაოცარია ტოლსტოის ჰუმანისტური აზროვნებისა და დევნილი პოლონელი მწერლების მსგავსება.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით `არ შეფასდა~.**

სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

2021 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაციების სია

1. ბასილაია ნატალია, ანდრაზაშვილი მარინა. მხატვრული თარგმანი, როგორც აღქმით-შემეცნებითი დიალოგის ღია ფორმა.
2. Басилая Наталия. «Цветаевизмы» в русском переводе поэмы Важа Пшавела «Раненый барс».
3. ნატალია ბასილაია, მარინა ანდრაზაშვილი. სინესთეზია და მისი ენობრივი არეკვლა ლიტერატურულ ნიმუშებზე დაყრდნობით.
4. ნატალია ბასილაია, მარინა ანდრაზაშვილი. ტექსტის რეცეფცია და მთარგმნელის ინტერპრეტაცია.
5. ნატალია ბასილაია, მარინა ანდრაზაშვილი. მრავალენოვნების სახეობები და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ნიუანსები
6. მარინა ალექსიძე, ლაურა გურული. სიტყვა-წინადადება რუსულ და ქართულ ენებში.
7. Алексидзе Марина, Гурули Лаура. Использование ресурсов художественного текста на занятиях по РКИ
8. Алексидзе Марина, Гурули Лаура. Способы обучения грамматике на занятиях по РКИ в вузе.
9. Алексидзе Марина, Гурули Лаура. Стилистические функции повторов в романе Ф. Достоевского «Братья Карамазовы» и их сохранение при переводе на грузинский язык.
10. Алексидзе Марина, Гурули Лаура. Художественный текст как средство активизации студентов на занятиях по русскому языку как иностранному в вузе.
11. Алексидзе Марина, Гурули Лаура. Особенности передачи повторов как средства выражения экспрессивности (на материале перевода романа Ф.М. Достоевского «Идиот» на грузинский язык).
12. Алексидзе Марина, Гурули Лаура. Изучение способов выражения побуждения в русском языке на занятиях по РКИ в вузах Грузии
13. მარინა ალექსიძე, ლაურა გურული. განმეორების როგორც სინტაქსურ-სტილისტური ხერხის ფუნქციონირება თანამედროვე სამეცნიერო პროზაში (ქართლად)
14. Maria Philina. Visit of John Paul II to Georgia and Georgian "Poland".
15. მარიამ ფილინა. იოანე პავლე II-ს ვიზიტი საქართველოში და ქართული „პოლონია“ (ინგლისურ ენაზე),
16. მარიამ ფილინა. ქართული პოლონიის ისტორია და მომავალი.
17. მარიამ ფილინა. პოლონიის ისტორია და მომავალი (პოლონურ ენაზე).
18. მარიამ ფილინა. შოთა რუსთაველის პირველი პოლონელი მკვლევარი და მთარგმნელი
19. მარიამ ფილინა. თადეუშ ლადა-ზაბლოცკის როლი პოლონურ-ქართული ლიტერატურული კონტაქტების განვითარებაში.
20. მაია თუხარელი. ექსპრესიონიზმის პოეტიკა მ. ბულგაკოვის ნოველისტიკაში
21. დალი კანდელაკი. ცნობები დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ XIX საუკუნის უცხოელ ავტორთა ნაშრომებში
22. დალი კანდეელაკი. ჟურნალ „ვესტნიკ ევროპის“ მასალები კავკასიის შესახებ (1826-1828 წლები)
23. დალი კანდელაკი. ა.მარსოვის წიგნი „საქართველოს მოკლე ისტორია“
24. დალი კანდელაკი. საქართველოში გერმანული კოლონიების ისტორიიდან (XIX საუკუნის უცხოელი ავტორების ნაშრომების მიხედვით)
25. დალი კანდელაკი. როგორ წერდნენ XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსი ავტორები საქართველოს ისტორიას.
26. დალი კანდელაკი. „და ეს ყველაფერი დაწერა ადამიანმა, რომელმაც ქართულად ერთი სიტყვა არ იცოდა და დაბადებიდან არასოდეს უნახავს საქართველო“ (მიტროპოლიტ ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნის შესახებ)

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:
თინა დოლიძე
სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
იამზე გაგუა
ირინე დარჩია
ეკატერინე კობახიძე
ნანა ტონია
ზაზა ხინთიბიძე
ქეთევან ნადარეიშვილი
მანანა ფხაკაძე
რუსუდან ცანავა
თინა დოლიძე
თამარ აფციაური
ლევან გიგინეიშვილი
სოფიო შამანიდი
ანა ჩიქოვანი
მედეა აბულაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

N1
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1. საენციკლოპედიო ლექსიკონი: ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი მოვლენები და თარიღები

2. ბიზანტინისტიკა, ქართველოლოგია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2021, XII – 2022, XII

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
პროფ. თინა დოლიძე (პროექტის ხელმძღვანელი), პროექტის მონაწილეები და ავტორები: პროფ. ვალერი ასათიანი, პროფ. ლევან გიგინეიშვილი, ასოც. პროფ. გვანცა კოპლატაძე, ასოც. პროფ. მაგდა მჭედლიძე, ასისტ. პროფ. თამარ აფციაური.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს საპატრიარქოს მიერ დაფინანსებული პროექტი „ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი მოვლენები და თარიღები“ უნდა შესრულდეს თსუ ბიზანტინისტიკის კათედრაზე. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის სტრატეგიული დაგეგმვა. პროექტის ძირითადი შემსრულებლები არიან პროფ. თინა დოლიძე, აკადემიკოსი ვალერი ასათიანი, პროფ. ლევან გიგინეიშვილი, ასოც. პროფ. გვანცა კოპლატაძე, ასოც. პროფ. მაგდა მჭედლიძე, ასისტ. პროფ. თამარ აფციაური. ძირითად შემსრულებელი კოლეტქივს ევალება როგორც პროექტის მართვა, ისე მისი ფაქტობრივი შესრულებაც. ამასთანავე, პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ცალკეული მეცნიერები, მათი კომპეტენციის მიხედვით.

მონოგრაფია გაიმართება ქრონოლოგიური პრინციპით. მან უნდა მოიცვას შესავალი ნაწილი და ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობების ოთხი ძირითადი ეტაპი. შესავალ ნაწილში განისაზღვრება ის ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული და გეოპოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც ბიზანტიას და გვიანანტიკურობისა და შუა საუკუნეების საქართველოს მოუწიათ ერთმანეთთან ურთიერთობა. ოთხ ძირითად თავში გამოყოფილი იქნება შემდეგი ეტაპები: ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები ადრეულ პერიოდში (V-VI საუკუნეები), ბიზანტიურ ქართული ურთიერთობები შუა პერიოდში (VII-XI საუკუნეები), ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები გვიანბიზანტიურ ეპოქაში (XI-XIII საუკუნეები), ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები კრიზისის ეპოქაში (XIV საუკუნე - 1453 წელი).

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

„ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“, ჰუმანიტარული მეცნიერებები, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები FR 18-2216

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2019-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ნათია ფიფია-ხელმძღვანელი; თედო დუნდუა-მკვლევარი, ეკატერინე კობახიძე- მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მიმდინარე წელს საპროექტო ჯგუფი მუშაობდა საზღვარგარეთ აღმოჩენილ ბერძნულ-რომაულ წარწერებზე (ჯამში 25 წარწერა). წლის ბოლოს დაგეგმილია მონოგრაფიის „ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო“ დასრულება ქართულ და ინგლისურ ენებზე. მომზადდა 4 სტატია: 2- საერთაშორისო ჟურნალისთვის (ინგლისურად), 1-ადგილობრივი პუბლიკაციისთვის (საკონფერენციო მასალები ქართულად); 1 -საზღვარგარეთ ჩატარებული კონფერენციის მასალებისთვის (ინგლისურად), ამათგან 2021 წელს დაიბეჭდა: 1 სტატია მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალში (ინდექსირებულია შემდეგ ბაზებში: ERICH +, WEB OF SCIENCE, SCOPUS); იბეჭდება: კონფერენციის მასალებში 1 სტატია (ქართულად); კონფერენციის მასალებში 1 სტატია (ინგლისურად). 1 სტატია საერთაშორისო მაღალ რეიტინგულ ჟურნალში გადის რეცენზირების პროცესს. მომზადდა და წაკითხული იქნა 3 საერთაშორისო კონფერენციაზე 3 მოხსენება, მათ შორის ერთი- საზღვარგარეთ.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.
2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი
N1
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
საბერძნეთის რევოლუციის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისა და პუბლიკაციებისთვის გაცემული გრანტი, სამეცნიერო დარგი - ნეოგრეცისტიკა

დონორი ორგანიზაცია: საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ანა ჩიქოვანი - საბერძნეთის რევოლუციის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანზება, კონფერენციის მასალების კრებულის მომზადება, რედაქტირება.
2. სოფიო შამანიდი
3. მედეა აბულაშვილი
4. თეა გამრეკელი
5. ქეთევან ცინცაძე
6. ლანა რამიშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2021 წელს აღინიშნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის 200 წლისთავი. თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი მოემზადა საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი პროექტის განსახორციელებლად, რომელიც გულისხმობდა სამეცნიერო-კულტურულ ღონისძიებათა მთელ კასკადს და რამდენიმე წიგნის გამოცემას.

როგორც ბერძნული მხარე აღნიშნავს, საბერძნეთის ფარგლებს გარეთ, არცერთი ქვეყანა არ უერთდება საიუბილეო წელს ისე მასშტაბური და მრავალფეროვანი პროექტით, როგორც საქართველო.

დაიგეგმა, ბერძნულ მხარესთან შეთანხმდა და დაიწყო მზადება 20-ზე მეტი ღონისძიების განხორციელებისთვის. მათ შორის: ორი სამეცნიერო კონფერენცია, საჯარო ლექცია-დისკუსიები, წიგნების პრეზენტაციები, კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული შეხვედრები, საღამოები თუ პერფომანსები. პროექტი მოიცავდა სოციალურ ქსელებსაც. დაიგეგმა რამდენიმე ტელეპროექტიც. პროექტის ფარგლებში გამოიცემა წიგნები.

N2

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

„ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში“

დონორი ორგანიზაცია: საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. სამეცნიერო დარგი - ნეოგრეცისტიკა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1996 -

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ძირითადი პერსონალი: სოფიო შამანიდი, მედეა აბულაშვილი, ანი ჩიქოვანი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც საქართველოს 20-მდე სკოლაში, საბერძნეთის მხარდაჭერით და თსუ ახალი ბერძნული ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელობით, ახალი ბერძნული ენის სწავლება წარმატებით მიმდინარეობს. არაერთი მოსწავლე, სკოლის დასრულების შემდეგ, თსუ-ს

ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება და ნეოელინისტიკას ირჩევს ძირითად ან დამატებით სპეციალობად. ჩვენი კურსდამთავრებულების ნაწილი კი ბერძნული ენის პედაგოგად საქმდება ზემოაღნიშნულ სკოლებში.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

საბერძნეთის რევოლუციის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისა და პუბლიკაციებისთვის გაცემული გარნტი, დონორი ორგანიზაცია: საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამეცნიერო დარგი - ნეოგრეცისტიკა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2020-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. სოფიო შამანიდი (პროექტის ხელმძღვანელი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)

2. ანი ჩიქოვანი - პროექტის კოორდინატორი

3. მედეა აბულაშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2021 წელს აღინიშნა საბერძნეთის დამოუკიდებლობის 200 წლისთავი. თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი მოემზადა საიუბილეო წლისადმი მიძღვნილი პროექტის განსახორციელებლად, რომელიც გულისხმობდა სამეცნიერო-კულტურულ ღონისძიებათა მთელ კასკადს და რამდენიმე წიგნის გამოცემას.

როგორც ბერძნული მხარე აღნიშნავს, საბერძნეთის ფარგლებს გარეთ, არცერთი ქვეყანა არ უერთდება საიუბილეო წელს ისე მასშტაბური და მრავალფეროვანი პროექტით, როგორც საქართველო.

დაიგეგმა, ბერძნულ მხარესთან შეთანხმდა და დაიწყო მზადება 20-ზე მეტი ღონისძიების განხორციელებისთვის. მათ შორის: ორი სამეცნიერო კონფერენცია, საჯარო ლექცია-დისკუსიები, წიგნების პრეზენტაციები, კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული შეხვედრები, საღამოები თუ პერფომანსები. პროექტი მოიცავდა სოციალურ ქსელებსაც. დაიგეგმა რამდენიმე ტელეპროექტიც. პროექტის ფარგლებში გამოიცემა წიგნები.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური

1.

2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები

1.

2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები

N1
1) ავტორი/ავტორები

მედეა აბულაშვილი
ეკა ჭყოიძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
მეტყველი მარმარილოები

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“

4) გვერდების რაოდენობა
189

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წიგნი წარმოადგენს ესეების კრებულს - ეპიზოდებს XIX-XX საუკუნის ბერძნულ-ქართული ურთიერთობის ისტორიიდან. ორი ქვეყნის კავშირების ეს პერიოდი, ანტიკური და ბიზანტიური ეპოქებისგან განსხვავებით, თითქმის შეუსწავლელია. მონოგრაფია ეძღვნება საბერძნეთის რევოლუციის 200 წლის იუბილეს და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლისთავს. წიგნს უძღვნის ბერძნულენოვანი პროლოგიც (ქართულთან ერთად). მონოგრაფიისთვის საგანგებოდ ითარგმნა და პირველად ბერძნულ ენაზე გამოქვეყნდა ვალიკო ჯუღელის საბერძნეთთან დაკავშირებული დღიური. წიგნის ქვეთავებია: ბერძნული ამბები XIX საუკუნის ქართულ პრესაში საბერძნეთ-ოსმალეთის დაპირისპირება გაზეთ „დროებაში“ (სამხედრო კონფლიქტი, საინფორმაციო ომი, მღელვარება ქვეყნის შიგნით, საბერძნეთის ხელისუფლების პოზიცია, დიპლომატიური ბრძოლა, ევროპის პოზიცია, „დროების“ რედაქციის პოზიცია, „ბრალიანი ოსმალეთი და უბრალო კრიტი“ – კრეტის საკითხი და ილია ჭავჭავაძე, 25 მარტი „ივერიაში“, „აღმოსავლეთის საკითხის“ ქართული ანალიზი და პროგნოზები, „აქაური

ბერძნები მადლიერები დარჩებიან“, „შეგნება-გაგებით კითხვა რომაელთა და ბერძენთა მწერლებისა“, ბერძნების შუამდგომლობა, მკვლელის ოჯახის დაპატიმრება, ბერძნების სამძიმარი); “გაუმარჯოს ელადას და სამართლიანობის გამარჯვებას ძალადობაზე!”; ბათუმის პირველი ქრისტიანული ტაძარი, ქართული არჩევნები და ბერძნული თანადგომა ,ბერძნული ხელმოწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე; დავით კლდიაშვილი და მისი ბერძენი მეგობარი; ქართველი იუნკრები ათენში; მედეა, იასონი და საკოლმეურნეო სიმღერები; ბერძნული კულტურის ქართული სიმბოლო; ევროპელის ხმა საბჭოთა კავშირში; დისიდენტური „ოქროს საწმისი“; 92-ჯერ გათამაშებული „არგონავტები“; ორსაუკუნოვანი გიმნაზიის კედლები; ეპილოგის მაგიერ.

N2

1) ავტორი/ავტორები

თამარ აფციაური

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

წმინდა გრიგოლ ნოსელის *მოსეს ცხოვრება* და მისი ძველი ქართული თარგმანი
ISBN 978-9941-9742-7-4

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, ლოგოსი

4) გვერდების რაოდენობა

487

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მონოგრაფია ფილოლოგიურ-საღვთისმეტყველო ხასიათის ნაშრომია. იგი იკვლევს IV საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწის, გრიგოლ ნოსელის თხზულების, *მოსეს ცხოვრების* ორიგინალსა და მის ძველ ქართულ თარგმანს. კაპადოკიელი ღვთისმეტყველის ეს ცნობილი ეგზეგეტიკურ-მისტიკური თხზულება შეიცავს ქრისტიანული მოძღვრების არაერთ მნიშვნელოვან კონცეპტს, რომელთა კვლევა ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო აზროვნების კონტექსტში ნათლად წარმოაჩენს ქრისტიანული სწავლების არსებით სიახლეს. ნაშრომში ფართო განხილვას ჰპოვებს გრიგოლის ღვთისმეტყველების და ანთროპოლოგიის რამდენიმე მნიშვნელოვანი კონცეპტი, კერძო: თავი I – ღვთაებრივი არსის უსასრულობის იდეა; თავი II - უსასრულო სულიერი წინსვლის იდეა; თავი III - თავისუფალი ნების იდეა; თავი IV - ალეგორია - ბიბლიური ისტორიის მჭვრეტელობა; თავი V - ორიგინალისა და ძველი ქართული თარგმანის შედარებითი ანალიზი. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილია XI საუკუნეში ათონის მთაზე ეფთვიმე ათონელის მიერ შესრულებული *მოსეს ცხოვრების* ძველი ქართული თარგმანის ტექსტი, რომელიც ჩვენამდე მოღწეული ორი ხელნაწერის მიხედვით მომზადდა. დედნისა და თარგმანის შედარებითმა ანალიზმა ეფთვიმეს მუშაობის მეთოდის ბევრი საინტერესო ასპექტი გამოკვეთა, რომელიც თვალნათლივ ისახება თანდართულ ვრცელ ძველბერძნულ-ძველქართულ დოკუმენტირებულ ლექსიკონში.

N3

1) ავტორი/ავტორები

იამზე გაგუა

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

ლათინური ხატოვანი გამოთქმების ლექსიკონი, ISBN 978-9941-9743-5-9;

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“

4) გვერდების რაოდენობა
211 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ლათინური ენა, სხვა „მკვდარი ენებისაგან“ განსხვავებით, დღესაც განაგრძობს სიცოცხლეს. იგი არის საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინოლოგიის ენა. ისეთი დისციპლინები, როგორებიცაა: ფილოლოგია, ენათმეცნიერება, ისტორია, მედიცინა, იურისპრუდენცია, ბიოლოგია, ფილოსოფია, ასტრონომია, თეატრალური ხელოვნება და მრავალი სხვ. მიმართავს ლათინურ ტერმინებს. ჩვენ ყოველდღიურად ვიყენებთ საუბრისას ლათინური წარმომავლობის სიტყვებს: დოქტორი, პროფესორი, ლექცია, აუდიტორია, დოცენტი, დემონსტრაცია, აქცია, ფაქტი, აქტი, პროცესი და სხვ. ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. აღსანიშნია ისიც, რომ კათოლიკურ ეკლესიაში დღესაც ტარდება ღვთისმსახურება ლათინურად. შუა საუკუნეებში ლათინურ ენაზე იწერებოდა სამეცნიერო ტრაქტატები.

წინამდებარე ლექსიკონი მოიცავს: ფრაზეოლოგიზმებს, ანდაზებს, ხშირად ხმარებულ ფილოსოფიურსა და იურიდიულ ტერმინებს, ხალხურ გამოთქმებსა და ლათინურ მწერლობაში დადასტურებულ ხატოვან გამოთქმებს. ლათინური გამონათქვამები ძირითადად ჩემ მიერ არის თარგმნილი, ორიოდე გამონაკლისის გარდა, როცა ქართული თარგმანი არსებობს, ვიმოწმებ მთარგმნელის გვარს (იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ამონარიდი ზუსტად ემთხვევა ორიგინალს). ლათინური ხატოვანი თქმები ამოკრებილია სხვადასხვა ენაზე არსებული ლექსიკონებიდან, თუმცა ამ წიგნში შევიდა ჩემ მიერ მოძიებული ფრთიანი გამოთქმები, რომელთაც ვაგროვებდი წლების განმავლობაში რომაელ ავტორთა თხზულებების ქართულად თარგმნის პროცესში.

ლათინური ხატოვანი გამოთქმები საინტერესოა თავისთავად. ისინი ყურადღებას იპყრობს იმით, რომ აზრი სხარტად და პოეტურად არის გადმოცემული. ყველა ფრთიან გამოთქმას აქვს თავისი ისტორია, რაც აღნიშნულია ლექსიკონში. გარდა ამისა, მკითხველი თვალს ადევნებს იმასაც, არსებობს თუ არა მის მშობლიურ ენაზე ლათინური სენტენციის მსგავსი ანდაზა, ფრაზა. იგი შეიძლება დაფიქრდეს, რითი შეიძლება აიხსნას ეს მსგავსება (არის ეს ტიპოლოგიური შემთხვევა, თუ ესა თუ ის გამოთქმა რომელიმე ენიდან არის ნასესხები).

N4
1) ავტორი/ავტორები
ევრიპიდე „მავედრებელი ქალები“. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო ნანა ტონიამ.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური:
ევრიპიდე „ მავედრებელი ქალები“.
ISBN 978-9941-8-3134-8

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა:
თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“.

4) გვერდების რაოდენობა;
155 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ევრიპიდეს შემოქმედების დიდი ნაწილი სამშობლოს სიყვარულის თემას ეძღვნება. დრამატურგი მშობლიური პოლისის ერთგული იყო და მის განდიდებას, ალბათ, მრავალი პიესაც უძღვნა. ჩვენამდე მოღწეულ ტრაგედიათაგანეს თემა ყველაზე რელიეფურად წარმოჩენილია პიესებში „ჰერაკლიდები“ და „ მავედრებელი ქალები“. ეს უკანასკნელი ტრაგედია პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე.

N5

1) ავტორი/ავტორები

1. **ლევან გიგინეიშვილი.**

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. საუბრები ანტიკურ ფილოსოფიაზე

2. ISBN 978-994 1-8-3737-1

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **თბილისი: აზროვნების აკადემია**

2

4) გვერდების რაოდენობა

1. **239 გვ.**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წიგნი წარმოადგენს ლექციების კრებულს ანტიკურ ფილოსოფიაში დაწყებული სოკრატემდელი ფილოსოფოსებისაგან - თალესი, ანაქსიმენე, ანაქსიმანდრე, ემპედოკლე, პითაგორა, პარმენიდე - გაგრძელებული პლატონით და არისტოტელეთი; შემდეგ კი ელინისტური ხანის ფილოსოფოსებით - სტოელებითა და ეპიკურელებით; დაბოლოს ნეოპლატონიზმით, როგორც ელინური ფილოსოფიური ტრადიციის გვიან ანტიკურობის ეკლექტური გამაერთიანებლით. ლექციებში განხილულია ანტიკური ფილოსოფიის ფუნდამენტური საკითხები: რეალობის საწყისის, არქეს პრობლემა; იდეალურისა და მატერიალურის ურთიერთობა; სამყაროს შეცნობადობის პრობლემა; ფილოსოფიისა და პოლიტიკის ურთიერთობა ა.შ. წიგნი დაწერილია ფართო აუდიტორიისთვის და არ არის გადატვირთული სქოლიოებით და ტერმინოლოგიით.

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

ნანა ტონია

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

Auxilium. დამხმარე სახელმძღვანელო ლექციათა კურსისთვის: „ანტიკური მითოლოგიური და ისტორიული ფიგურები სახვით ხელოვნებაში“. ISBN 978-9941-9742-4-3

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“.

4) გვერდების რაოდენობა

80 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ა) სტილები და მიმართულებები გამომსახველობით ხელოვნებაში (წარმოდგენილია ანტიკურობიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე უმნიშვნელოვანეს სტილთა მოკლე განმარტებანი);
ბ) ძველი ელადის ფერწერისა და ქანდაკების ოსტატები ანტიკურ ლიტერატურულ ძეგლებში (წარმოდგენილია ანტიკურ ძეგლებში დადასტურებული ისტორიები პოლიგნოტოსის, პარასიოსის, მირონის, ფიდიასის და სხვა სახელოვან ოსტატთა შესახებ).

5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები
ნელი მახარაძე
თინა დოლიძე

2) კრებულის სახელწოდება საერთაშორისო სტანდარტული კოდი
„ბიზანტინისტიკა საქართველოში- 4“
ISBN 978-9941-468-94-0

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა,
თბილისი 2020 წ. (გამოიცა 2021 წელს)
„ლოგოსი“

4) გვერდების რაოდენობა
646 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კრებული წარმოადგენს 2015 წელს თსუ- სა და ბსუ -ში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მასალების პუვლიკაციას. ეს იყო რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია ბიზანტინისტიკის დარგში. წინა სამი კონფერენციების მასალები გამქვეყნდა მოცულბითი კრებულების სახით 2007, 2009, 2011 წწ. 2015 წლის საერთაშორისო კონფერენცია, წინ კონფერენციებთან შედარებით, განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი ფორუმი იყო. მასში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე ბიზანტინისტებმა, მათ შორის: ადოლფ მარტინ რიტერმა (ჰაეიდელბერგის უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი), , თეოდორ დე ბროუნმა (ოტავის უნივერსიტეტის პროფესორი, პატრისტიკის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი), ქეროლ ჰარისონმა (დარამის უნივერსიტეტის პროფესორი), ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა შარლ რენომ, აკად. მიხაილ ბიბიკოვმა (მოსკოვის უნივერსიტეტი) და სხვ. დაინტერესებულ ქართველ მკითხველს ადოლფ მარტინ რიტერის, ქეროლ ჰარისონის და თეოდორ დე ბროუნის სამეცნიერო წერილები მიეწოდა ქართულ თარგმანში. კრებულში სულ წარმოდგენილია 53 სამეცნიერო წერილი, რომლებიც ეხება ისტორიის, ლიტერატურის (ცალკეული ჟანრები), ღვთისმეტყველების, ფილოსოფიის, პალეოგრაფიის და ხელოვნების საკითხებს; ცალკე თემადაა წარმოდგენილი ბიზანტინისტიკა როგორც თანამედროვე სამეცნიერო დარგი და მისი პერსპექტივები (ქ. ჰარისონისა და თ. დე ბროინის საანგარიშო წერილები).

N2
1) ავტორი/ავტორები
1ქეთევან ნადარეიშვილი

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
ენციკლოპედია Caucasus Antiquus IV,II, ISBN 978-9941-468-86-1

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი, ლოგოსი, 2021

4) გვერდების რაოდენობა
სტატიები:
სინდები გვ. 48-49; სინდესი გვ. 49-50; ტარა გვ. 88; ტარონიტისი გვ. 88-89; ტეირია გვ. 91; ტელაიბა გვ. 91-92; ტელქისი გვ. 92-93; ტირიდატესი 2 გვ.108-109; ტირიდატესი გვ. 108; ტიფისი გვ. 111; ტრიპოლისი გვ. 118; ულტრა გვ. 125-126; ფაბდა გვ. 130; ფარასმანესი გვ. 137; ფერესი გვ. 144; ფილონ იუდეველი გვ. 147; ფლავიუსი იოსეპოსი გვ. 149-150; ფრიგიოსი გვ. 155-156; ფრიქსოსი გვ. 156-158; ფრიქსოსის ნავსაყუდელი გვ. 158; ფრიქსოსის ქალაქი გვ. 158; ფრიქსოსის ჭალა გვ. 158; ქალკიოპე გვ. 165; ქეირობიე 168; ქიოსელები გვ. 169-170; ქსენოკრატესი 2 გვ. 171; ქსენოკრატესი გვ. 171; ძიკხები გვ. 186; ხალკერიტისი 191; ჯიქები გვ. 195-196; ჰეკატეოსი გვ. 201; ჰერაკლიდესი გვ. 208; ჰეროდოტოსი გვ. 211-216; ჰეფესტოსი გვ. 217-218; ჰიპარქოსი გვ. 223-224; ჰიპერიონი გვ. 224-225; ჰისტაფსი გვ. 234.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ანტიკური კავკასიის, უფრო ზუსტად კი ბერძნულ-რომაულ წყაროებში კავკასიის თემატიკის კვლევამ საგრძნობი პროგრესი განიცადა მეოცე საუკუნიდან მოყოლებული. კლასიკური ფილოლოგიის ქართველმა სპეციალისტებმა გამოაქვეყნეს არაერთი ნაშრომი საქართველოსა და კავკასიის შესახებ ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობების თაობაზე. უფრო ადრე, XIX-XX სს-ის მიჯნაზე გამოცემულ იქნა ცნობილი კორპუსი Scythica and Caucasica (ლატიშჩევის რედაქტორობით), რომელიც წარმოადგენდა ანტიკური წყაროების ნაკრებს სკვითიისა და კავკასიის შესახებ. ამის მიუხედავად, არ ყოფილა გამოქვეყნებული ენციკლოპედიური ნაშრომი, რომელიც შეაჯამებდა ამ სფეროში ჩატარებულ კვლევებს.

ენციკლოპედია Caucasus Antiquus: 1) თავს უყრის ყველა არსებულ ინფორმაციას ანტიკური კავკასიის შესახებ ბერძნულ-რომაულ და ძველ აღმოსავლურ წყაროებში; 2)შეისწავლის თუ რამდენად მასშტაბური იყო კავკასიის ინტეგრაცია ბერძნულ-რომაულ სივრცესთან; 3) ობიექტურად გვაწვდის ანტიკური კავკასიის შესახებ ისტორიული და კულტურული ხასიათის ცნობებს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ეტაპზე კავკასიის ისტორიის შესახებ ცნობების სიმწირი დან გამომდინარე.

ბერძნულ-რომაული და ძველი აღმოსავლური წყაროები ანტიკური კავკასიის შესახებ თავმოყრილია ენციკლოპედიის პირველ ტომში, რომელიც გამოიცა 2010 წელს. შემდგომ წლებში გამოქვეყნდა ენციკლოპედიის ორი ტომი - II,1 და II,2, რომლებშიც უკვე წარმოდგენილია ანბანურად გაწყობილი სამეცნიერო სტატიები. 2018 წელს გამოიცა მესამე ტომი. მასში წარმოდგენილია საენციკლოპედიო სტატიები კ- ასოზე. 2020 წელს გამოიცა მეოთხე ტომის პირველი ნაკვეთი. სტატიებში დამუშავებულია: 1) ტერმინები (გეოგრაფიული, მითოლოგიური, ისტორიული); 2) რელიგიური, სოციალური, კულტურული და ა. შ. ცხოვრების მონაცემები; 3) ანტიკური ეპოქის ავტორების შრომები, რომლებშიც გვხვდება ინფორმაცია ანტიკური კავკასიის შესახებ.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1.

2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.
2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

5) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
N1
1) ავტორი/ავტორები
თინა დოლიძე

2) სტატიის სათაური, ISSN
ორიგენე – ახალი შემეცნებითი სისტემის არქიტექტორი
ISBN 978-9941-468-94-0

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
„ბიზანტინისტიკა საქართველოში-4“, რედ.: ნ. მახარაძე, თ. დოლიძე,

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
თბილისი, 2020, “ლოგოსი”

5) გვერდების რაოდენობა
13 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ორიგენეს ღვთისმეტყველებაში მნიშვნელოვნად აისახა ბერძნული ფილოსოფიის, განსაკუთრებით კი პლატონური მოძღვრების გავლენა. მიუხედავად ამისა, ალექსანდრიელი მოაზროვნის ღვთისმეტყველება, ბერძნულ ფილოსოფიურ ნააზრევთან შედარებით, ძირეულ სიახლეებს გვიჩვენებს. შეიძლება ითქვას, რომ ორიგენე პრინციპულად გაემიჯნა ფილოსოფიის სააზროვნო მეთოდს და შექმნა ახალი შემეცნებითი სისტემა, რომელიც აზროვნების ორი განსხვავებული ტიპის – რელიგიური მოწმობისა და ლოგიკურ-დისკურსიული მსჯელობის შეთანხმებას ეფუძნება. ორიგენეს მიხედვით, ქრისტიანმა ღვთისმეტყველმა ბიბლიური ნარატივის გასაგებად ლოგიკურ-დიალექტიკურ მსჯელობას უნდა მიმართოს, რომლის მეშვეობითაც ის დაასაბუთებს, რომ ღვთის წვდომა კაცობრივ გონებას მხოლოდ საეკლესიო რწმენის დებულებებთან თანხმობაში შეუძლია. ორიგენეს აზრით, აზროვნების ამ მოდელს უპირატესობა აქვს ლიტონი ფილოსოფიური დისკურსის წინაშე, რადგან ეს უკანასკნელი მსჯელობის წანამძღვრად რწმენით მოწმობას არ იღებს, რის გამოც აზრთა უსასრულო მონაცვლეობის საფრთხის წინაშე დგას. ალექსანდრიელი ღვთისმეტყველის განზრახვამ, რწმენის კანონი მეცნიერული მოძღვრების შექმნით გაემყარებინა, ქრისტიანული რწმენის სისტემურ გადმოცემას ანუ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას დაუდო სათავე.

N2

1) ავტორი/ავტორები

ნანა ტონია

2) სტატიის სათაური, ISSN

„დიოტიმას „სიყვარულის ფილოსოფია“ და საპფოს პოეზია.
ISSN 2667-9051

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

„ლოგოსი“. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, N7.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, ლოგოსი, 2021

5) გვერდების რაოდენობა

97-121 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში ვამტკიცებ, რომ პლატონის „სიმპოსიონში“ წარმოდგენილი „ეროტიკის ხელოვნება“, რომელსაც ავითარებს სოკრატე და რომელიც აცხადებს, რომ მისი მოძღვარი იყო „ბრძენი“ დიოტიმა, საპფოს პოეტური სამყაროს ასოციაციებს იწვევს. ამის საილუსტრაციოდ შევეხე სამ უმთავრეს საკითხს: I. პლატონი არა თუ იცნობდა საპფოს შემოქმედებას, არამედ მიტილენელ პოეტესას აღიარებდა „ბრძენად“ და უფრო მეტიც, „მეათე მუზად“; II. საპფოს და დიოტიმას გაგება ეროსის ღვთაებრივი ძალის თაობაზე იდენტურია; III. „სიმპოსიონის“ მთავარი დოქტრინა - მოძღვრება ღვთაებრივი მშვენიერების შესახებ, რომელსაც ფილოსოფიური ლოგიკით ამტკიცებდა დიოტიმა (ან მისი სახე-სიმბოლო), საპფოს პოეტურ ხატებად გამოთქმული სიბრძნით იყო შთაგონებული.

N3

1) ავტორი/ავტორები

ქეთევან ნადარეიშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

„აკაკი წერეთლის პოემა „მედია“ არგონავტიკის მითოსის ქართულ ინტერპრეტაციათა კონტექტში“, ISSN 2667-9051

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, 7

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, ლოგოსი, 2021

5) გვერდების რაოდენობა

1გვ. 79-96

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თუმცა ძველი ქართული ლიტერატურა იცნობდა არგონავტების მითოსს, მისი შემოქმედებითი რეციპირება XVIII-XIX საუკუნეებში იწყება, კერძოდ, თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიიდან“. ჩვენი სტატიის მიზანს წარმოადგენს აკაკი წერეთლის „მედიას“ შესწავლა არგონავტების მითოსის ქართულ ინტერპრეტაციათა კონტექსტში, კერძოდ, 1. გამოვიკვლიოთ თუ რა სიახლეები შეიტანა აკაკი წერეთლემა ამ მითოსის ინტერპრეტაციაში; 2. გავაანალიზოთ ის მხატვრული ნაწარმოებები, რომლებმაც გააგრძელეს მედეას მითის რეციპირების წერეთლისეული ხაზი; 3. მოკლედ განვიხილოთ ამ მითის ინტერპრეტაციის მეორე ტენდენცია, რომელიც ეფუძნება ანტიკურ წყაროებს და გვთავაზობს არგონავტების მითისადმი ახლებულ მიდგომას.

კვლევამ აჩვენა, რომ წერეთელმა არა მარტო გააგრძელა მითის თეიმურაზ ბატონიშვილისეული ინტერპრეტაცია, არამედ მედეას გამართლებაში ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ პოემა არ შედგა როგორც მაღალმხატვრული ლიტერატურული ნაწარმოები, პოემაში დასახული ხაზი არგონავტების მითის ინტერპრეტაციისა ერთობ სიცოცხლისუნარი აღმოჩნდა ქართული კულტურისათვის. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ნაშრომი განიხილავს იმ მხატვრულ პრუქციას, რომლებიც მითოსის წერეთლისეული ინტერეპრეტაციის გაგრძელებას წარმოადგენენ, კერძოდ, ლევან სანიკიძის მოთხრობას „ამბავი კოლხი ასულისა“ და მისივე დრამას „მედეას“, ბიძინა კვერნაძის და ალექსი მაჭავარიანის ოპერებს მედეას შესახებ და გოჩა კაპანაძის დადგმულ სპექტაკლ „მედეას“ თავისუფალ თეატრში.

მოხსენებაში ასევე გაანალიზებულია არგონავტების მითის დამუშავება ოთარ ჭილაძის მიერ, რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. მწერალი მითოსის ინტერპრეტაციის ახალ ხაზს გვთავაზობს. ავტორს მითი აინტერესებს არა როგორც საქართველოს წარსული დიდების მანიფესტაცია, არამედ როგორც ფილოსოფიური საკითხების მხატვრული წარმოდგენის საშუალება. ამგვარი მიდგომა აღარ საჭიროებს მედეას რეაბილიტაციას, რომელიც არგონავტების მითის წერეთლისეული ხაზის მთავარი მახასიათებელი იყო.

N4

1) ავტორი/ავტორები

ქეთევან ნადარეიშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

დემოსთენეს სასამართლო ორატორია და მისი სიტყვა „ევბულიდესის წინააღმდეგ“, თარგმნა და კომენტარები დაურთო ქეთევან ნადარეიშვილმა, ISSN 2667-9051

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, 7

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, ლოგოსი, 2021

5) გვერდების რაოდენობა

გვ. 317-357

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

N5

1) ავტორი/ავტორები

ქეთევან ნადარეიშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

„ათენის ჭირის ნარატივი ეპიდემიის სოციალურ და ინტელექტუალურ კონსტრუქტად გააზრების კონტექსტში“, ISSN 1987-5363

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

XV საერთაშორისო სიმპოზიუმი “ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები - ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და თემატური გამოცდილება“, მასალები

http://conference.litinstituti.ge/ka/

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2021

5) გვერდების რაოდენობა

608-629

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეპიდემიური ნარატივების კვლევის ახალი საფეხური XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება. ის მეთოდოლოგიურად და კონცეპტუალურად ეპიდემიათა ახლებურ კვლევას წარმოადგენს, კერძოდ, ის ეპიდემიებს შეისწავლის როგორც სოციალურ და ინტელექტუალურ კონსტრუქტს. სტატია მიზნად ისახავს განიხილოს თუკიდიდეს მონათხრობი ე.წ. ათენის ჭირის შესახებ (ძვ.წ. 430 წ.) ეპიდემიათა ამ ახლებური კვლევის კონტექსტში. ჩვენმა ანალიზმა გამოავლინა, რომ თუკიდიდეს მონათხრობი კარგად შეესაბამება ეპიდემიური ნარატივის როზენბერგისეულ მოდელს, ამასთან მასში წარმოდგენილია ეპიდემიების, როგორც სოციალური კონსტრუქტისთვის, დამახასიათებელი უნივერსალური ნიშან-თვისებები. სტატიაში ასევე განხილულია ძვ.წ. V ს-ის 30-იანი წლების ათენური საზოგადოების პასუხი ამ გამოწვევაზე და ის გრძელვადიანი გავლენა, რომელიც ჭირს ათენური საზოგადოების სხვადასხვა სფეროზე ჰქონდა.

N6

1) ავტორი/ავტორები

მანანა ფახაკაძე, თამარ ჭეიშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

ხალხური ლათინური ენა (რეცენზია ირაკლი შენგელიას მონოგრაფიაზე). ISSN 2667-9051

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

ლოგოსი, წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, 7

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, ლოგოსი, 2021

5) გვერდების რაოდენობა

440-447 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1.
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები

N1
1) ავტორი/ავტორები
Tina Dolidze

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
The Case for Considering Theological Language as a Special Linguistic System

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
Markus Vinzent (ed.), Studia Patristica. Vol. LVIII. Papers presented at the International Conference 18th International Conference on Patristic Studies, Oxford 19th - 23nd August 2019 (გამოქვეყნდება 2022 წლის დასაწყისში).

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
Peeters/ Leuven

5) გვერდების რაოდენობა
14 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
პუბლიკაციაში წარმოდგენილია საღვთისმეტყველო ენის სემანტიკისა და სტრუქტურის პირველადი ექსპოზიციის ცდა. ანალიზს წინ უძღვის ორი თეორიული წანამძღვარი: (1) პატრისტიკის ტექსტებში მოცემული ენობრივი პრაქტიკა ასახავს პატრისტიკის ენის თეორიის დებულებებს (2) საღვთისმეტყველო ენის თეორიაც და პრაქტიკაც ეკლესიის მამათა ნაწერებში ენას ონტოლოგიურ მონაცემად წარმოიდგენს. ორიგენე, ბიბლიის ენის პირველი თეორეტიკოსი, თავის ნაწერებში ორ სპეციალურ ენას განასხვავებს – ბერძნული ინტელექტუალიზმის ენას, რომელიც ლოგიკურ-დისკურსს ემყარება, და ბიბლიურ ნარატივს. არსებითად ამ ორი ენობრივი მოდელის შეკავშირებამ ჩამოაყალიბა პატრისტიკული ღვთისმეტყველების ერთიანი ენობრივი სისტემა, რომელსაც პატრისტიკულ ტექსტებში რეფერენციული ფუნქცია ეკისრება საკუთარი რეფერენტის - თეოლოგიური აზროვნების მიმართ. ნაშრომში წამოყენებულია აზრი, რომ ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ენას საკუთარი სემანტიკური პრინციპები და შემადგენელი ელემენტები აქვს, რომელთა გამოკვეთა და დაზუსტება სიღრმისეულ მეცნიერულ კვლევას მოითხოვს. რაც შეეხება წარმოდგენილ კვლევას, იგი მხოლოდ პატრისტიკის თეოლოგიური ენის უმთავრესი სემანტიკური ასპექტების გამოყოფით შემოიფარგლება, რის შემდეგაც მოცემულია საღვთისმეტყველო ენის სტურუქტურული ელემენტების ზოგადი სქემა.
თეოლოგიური ენის არსებით სემანტიკურ მახასიათებლებად სახელდება: ა) ომონიმურობა; ბ) დენოტაცია; გ) სიჩუმის ანუ გამოუთქმელობის ფენომენი და დ) თეოლოგიური არტიკულაცია, როგორც მიმეტიკური ნიშანი.
საღვთისმეტყველო ენის სტრუქტურის პირველად სქემაში გამოიყოფა თეოლოგიური დისკურსის მიკრო და მაკრო ენობრივი ერთეულები.

N2
1) ავტორი/ავტორები
1. **Natia Phiphia**
2. **Ekaterine Kobakhidze**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
To the Questions of the Identifying King Amazasp of Iberia, Queen Dracontis and a Royal Official Anagranes Mentioned in Three Greek Inscriptions Found in Mtskheta, E-ISSN 2713-2021

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
MAIASP (Proceedings in Archeology and History of Ancient and Medieval Black Sea Region- Archeology, History, Numismatics, Sigillography and Epigraphy), N 13, 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
Russia, Cimmeria Publishing

5) გვერდების რაოდენობა
484- 492

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
მცხეთაში აღმოჩენილი სამი ბერძნული წარწერა საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ძველი იბერიის სამეფო კარის შესახებ, თუმცა, თითოეული ადამიანის იდენტიფიცირება, რომელიც წარწერებშია მოხსენიებული, განსაკუთრებით მეფისა, საკმაოდ პრობლემურია. მიუხედავად ამისა, არსებობს გარკვეული შესაძლებლობები ამ პრობლემის გადასაჭრელად. იბერიის მეფე სამივე წარწერაშია მოხსენიებული, ერთ მათგანში სრულადაა მისი სახელი წარმოდგენილი, მეორეში - ნაწილობრივ, ხოლო მესამეში მეფის სახელი დაკარგულია, თუმცა ერთმა მონაკვეთმა მაინც შეიძლება მოგვცეს გარკვეული მინიშნებები მის ვინაობაზე ან თუნდაც იმის შესახებ, რომ იბერიის კარზე შეინიშნებოდა რომაული მისწრაფებები. დედოფალი დრაკონტისი ცნობილია მხოლოდ ერთი წარწერით. რაც შეეხება სამეფო მოხელეს - მთავარსარდალს და იბერიის მეფის ერთადერთ მინისტრს, ანაგრანესს, რომელიც თავად იყო ყველა მშენებლობის დამფინანსებელი, ის სამივე წარწერაშია მოხსენიებული. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ამ წარწერებში მოხსენიებულ მეფე ამაზასპის იდენტიფიკაციის პრობლემაზე და მთავარ თემასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

N3
1) ავტორი/ავტორები
1. **ლევან გიგინეიშვილი**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
Uneasy Rapprochement of Neoplatonic Eternity and Christian Historicity in thought of Ioane Petritsi.
(„ნეოპლატონური მარადისობისა და ქრისტიანული ისტორიულობის რთული დაკავშირება იოანე პეტრიწის აზროვნებაში“)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
Mind in Nature: Bridging Process Philosophy and Neoplatonism. Edited by Maria-Teresa Teixeira, Aljoscha Berve and Moirika Reker.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
Cambridge Scholars Publishing, 2021.

5) გვერდების რაოდენობა
30-38.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

N4
1) ავტორი/ავტორები
1. **ლევან გიგინეიშვილი**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
Henads as Divine Images. The Epistemological and Ontological Significance of Inner Light and Creation of New Subjectivity in Ioane Petritsi's Metaphysics.
(ჰენადები როგორც ღვთის ხატები: 'შინაგანი ნათლის' ახალი ეპისტემელოგიური და ონტოლოგიური მნიშვნელობა და სუბიექტუტობის ახალი გაგების წარმოშობა იოანე პეტრიწის მეტაფიზიკაში).

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
Reading Proclus and the *Book of Causes*, Volume 3, On Causes and the Noetic Triad. Series: Studies in Platonism, Neoplatonism, and the Platonic Tradition, Volume: 28, Editor: Dragos Calma,

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
E-book to be published in Dec. 16, 2021.

5) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში

N1
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
მედეა აბულაშვილი, ეკა ჭყოიძე

2) მოხსენების სათაური
ბერძნული მემუარული ლიტერატურა და მე-20 საუკუნის საქართველო

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
9 დეკემბერი, 2021, თბილისი, ონლაინ ფორმატი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N2
1) მომხსენებელი/მომხსენებლები

მედეა აბულაშვილი

2) მოხსენების სათაური
ფანტაზია თუ პათოლოგია - რამდენიმე ფოლკლორული ტექსტის გაგებისთვის;

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
19-20 ნოემბერი, თბილისი, ონლაინ ფორმატი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N3
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
მედეა აბულაშვილი

2) მოხსენების სათაური
ოდისევსის ოდისეა თანამედროვე ბერძნულ პოეზიაში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
22-24 სექტემბერი, თბილისი, ონლაინ ფორმატი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N4
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
იამზე გაგუა

2) მოხსენების სათაური
ციცერონი აიეტის შესახებ

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
საერთაშორისო ონლაინკონფერენცია - ანტიკური და ბიზანტიური სამყარო ინტერდისციპლინური კვლევების შუქზე, 22-24 სექტემბერი, ქ. თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N5
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
Tina Dolidze

2) მოხსენების სათაური
Origen and Gregory of Nyssa on Inspired Language (რეზიუმე ინგლისურად)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

International Online Conference, "The Ancient and Byzantine World in the Light of Interdisciplinary Research", 22-24. 09. 2021. Tbilisi

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N6

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
თინა დოლიძე

2) მოხსენების სათაური
საღვთისმეტყველო არგუმენტის სტრუქტურისათვის ორიგენესთან (რეზიუმე ინგლისურად)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
International Online Conference, "The Ancient and Byzantine World in the Light of Interdisciplinary Research", 22-24. 09. 2021. Tbilisi

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N7

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
ნათია ფიფია, ეკატერინე კობახიძე

2) მოხსენების სათაური
"ბერძნული წარწერები საქართველოში როგორც საქართველოს ისტორიის წყარო"

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა -ტენდენციები და გამოწვევები", სექტემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N8

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
ეკატერინე კობახიძე

2) მოხსენების სათაური
„არიანესთან დაკავშირებული კიდევ ერთი წარწერა სოხუმის ციხიდან"

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ ანტიკური და ბიზანტიური სამყარო ინტერდისციპლინური კვლევების შუქზე", 22-24 სექტემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N9

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
ნანა ტონია

2) მოხსენების სათაური
ევრიპიდეს პოლიტიური შეხედულებები /საერთაშორისო კონფერენცია: ანტიკური და ბიზანტიური სამყარო ინტერდისციპლინური კვლევების შუქზე.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
22 – 24 სექტემბერი, 2021, თბილისი.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N10
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
ნანა ტონია

2) მოხსენების სათაური
ჟოზე მარია დე ჰერედიას „ტროფეები“და მისი კვალი თანამედროვე ქართულ პოეზიაში. აერთაშორისო კონფერენცია „ანტიკუროზა და ფრანგული კულტურა“.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
28 - 29 სექტემბერი, 2021, ქუთაისი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N11
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
ნანა ტონია

2) მოხსენების სათაური
სამშობლოს განცდა ევრიპიდეს ტრაგედიის „ფინიკიელი ქალების“ ფონზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: გლობალიზაცია - იდეტობა - ლიტერატურა“.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
9 დეკემბერი, 2021, თბილისი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N12
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
ნანა ტონია

2) მოხსენების სათაური
რეკომენდაციები ანტიკური ხანის საკუთარ სახელთა ქართულ შესატყვისობათა თაობაზე. ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
13 აპრილი, 2021, თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N13
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
მანანა ფხაკაძე

2) მოხსენების სათაური
„ლათინური ენის შესწავლის პრობლემები თსუ კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებაზე“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
თბილისი, 24-27 თებერვალი, 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N14
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
მანანა ფხაკაძე

2) მოხსენების სათაური
„პირველი პანდემია“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
თბილისი, 28-30 სექტემბერი, 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N15
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
ქეთევან გარადაფხაძე, მანანა ფხაკაძე, თამარ ჭეიშვილი

2) მოხსენების სათაური
„ელექტრონული კატალოგისათვის S C I S C I T A T O R“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
თბილისი 22-24 სექტემბერი, 2021.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ელექტრონული კატალოგი sciscitator მიზნად ისახავს თავი მოუყაროს საქართველოში XIX საუკუნიდან დღემდე არსებულ ყველა გამოცემულ ნაშრომს (მეცნიერული გამოკვლევები, თარგმანები, სახელმძღვანელოები, პერიოდიკა, რეცენზიები, ლექსიკონები და ა.შ.), რომლებიც შეეხება კლასიკურ

მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ფილოლოგიურ, ისტორიოგრაფიულ, საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და ა.შ. სფეროებს.
აღნიშნული კატალოგის ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დამუშავდეს, გააანალიზდეს და სისტემაში იქნეს მოყვანილი დიდი მოცულობის ემპირიული მასალა (საარქივო დოკუმენტაცია, პრესა, სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები და ა.შ.), რის საფუძველზეც ციფრული ჰუმანიტარიის თანამედროვე მეთოდებით შეიქმნება კვლევითი შედეგების ამსახველი სრულყოფილი, ანოტირებული და სტრუქტურირებული ელექტრონული ბაზა.
დიდი მოცულობის ემპირიულმა მასალამ და ასევე ჩვენი ქვეყნის კულტურული და სამეცნიერო მიღწევების ევროპულ მოდელთან დაახლოების აუცილებლობამ, რაც თავის მხრივ, უცილობელი პირობაა საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის, მოითხოვა ორენოვანი (ქართული და ინგლისური) ელექტრონული კატალოგის შექმნა, რათა იგი ხელმისაწვდომი ყოფილიყო არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი მომხმარებლისთვისაც,
წარმოდგენილ კატალოგში თავს მოიყრის ბერძნულ-ლათინურ სამყაროსთან დაკავშირებული მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, დისერტაციები, სამეცნიერო სტატიები, მხატვრული და სამეცნიერო თარგმანები, რეცენზიები, ეპიგრაფიკული წარწერები, ისტორიული ძეგლები, იურიდიული ლექსიკონები, სამედიცინო, ბიოლოგიურ, მათემატიკურ, გეოლოგიურ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული ლიტერატურა.
ჩაფიქრებულია მოძიებული მასალის მიბმა ელექტრონულ კატალოგზე, რაც ხელს შეუწყობს დიდი მოცულობის ემპირიული მასალის სისტემატიზაციასა და გაანალიზებას.
საავტორო უფლებების დაცვით შესაძლებელი იქნება უკვე არსებული ელექტრონული ვერსიების გამოყენება, ისევე როგორც, სხვადასხვა ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებული, დასკანერებული დოკუმენტების ელექტრონული მისამართების მითითებაც.
ციფრული რევოლუციის ეპოქაში დინამიკურად ვითარდება დიგიტალური ჰუმანიტარია და მისი მეშვეობით ისეთი ტრადიციული დისციპლინაც კი, როგორიც კლასიკური ფილოლოგიაა. სწორედ ამიტომ ციფრული ჰუმანიტარიის თანამედროვე კვლევის მეთოდები დაგვეხმარება პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების მიღწევასა და სრულყოფაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული დიდი მოცულობის ემპირიული მასალის (საარქივო დოკუმენტაცია, პრესა, სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები და ა. შ.) დამუშავებას, სისტემატიზაციასა და ანალიზს. ელექტრონულ ბაზაში განთავსებული კვლევითი შედეგების ამსახველი სტრუქტურირებული ინფორმაცია წვლილს შეიტანს საქართველოში კლასიკური მემკვიდრეობის ისტორიის შესწავლის საქმეში, სამყაროში მისი ადგილისა და მნიშვნელობის გააზრებაში. ასევე, არა ერთი მნიშვნელოვანი კვლევის წყარო გახდება მეცნიერთა ახალი თაობისთვის.

N16

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ანა ჩიქოვანი / Ana Chikovani

2) მოხსენების სათაური

Issue of Identity in Dimitris Nollas' Story „Mantzikert" (იდენტობის ასახვა დიმიტრის ნოლასის მოთხრობაში „მანასკერტი")

საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია: „ანტიკური და ბიზანტიური სამყარო ინტერდისციპლინური კვლევების შუქზე", კონფერენცია ეძღვნება გრიგოლ წერეთლის 150 წლის იუბილეს, მის მიერ დაარსებული კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დაარსების 100 წლისთავსა და საბერძნეთის რევოლუციის 200 წლის იუბილეს

International Online Conference **"The Ancient and Byzantine World in the Light of Interdisciplinary Research",** Ivane Javakhishvili Tbilisi State University.*The Conference dedicated to the 150th Anniversary of Grigol*

Tsereteli, to the 100th Anniversary of the Chair of Classical Philology founded by Grigol Tsereteli at Ivane Javakhishvili Tbilisi State University and to the Bicentennial of Greek Revolution.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
22-24 სექტემბერი, 2021 წელი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მიგრანტების ინტეგრაცია თანამედროვე საზოგადოებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია. ამ საკითხს ეხმაურება დიმიტრი ნოლასის მოთხრობა „მანასკერტი“. მოთხრობა წარმოადგენს მონოლოგს - სასამართლო დარბაზში წარმოთქმულ სიტქვას, რომლითაც გერმანელი ცოლის მკვლელი თურქი ემიგრანტი ცდილობს ახსნას თავისი ქმედება და ნაფიც მსაჯულებსა და მოსამართლეს მოუწოდებს მოუსმინონ გრძნობათა ჩარევის გარეშე, მხოლოდ ცივი გონებით.
მოთხრობის სათაური „მანასკერტი“ ბიზანტიის იმპერიის მიერ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბრძოლის, მანასკერტის ბრძოლის ალეგორიას წარმოადგენს და მკითხველს ბზანტიის იმპერატორის რომანოზ IV-ის მარცხსა და ბიზანტიის იმპერიის დაცემის დასაწყისს შეახსენებს. გეოგრაფიული ადგილი - მანასკერტი ნაწარმოებში ნახსენები არ არის, თუმცაღა ნაწარმოების პროტაგონისტი წარმოშობით ბურსადან არის და ეს ადგილი საკმაოდ ახლოსაა ისტორიულ მანასკერტთან. ნაწარმოები კი გადატანითი მნიშვნელობით მიუთითებს იმ დაღმასვლაზე, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებს ახასიათებს.

ნაშრომში განხილულია სოციალური გარემოსა და სისხლის ნათესაობის გავლენა ადამიანის იდენტობის ფორმირებაზე და ამ საკითხის ასახვა ლიტერატურულ ნაწარმოებში. შესწავლილია ორმაგი იდენტობის საკითხი და გაუცხოების განცდა როგორც ისტორიულ, ისე შეძენილ სამშობლოში. განხილულია სიუჟეტში წარმოდგენილი ფსიქოსოციალურ იდენტობასთან დაკავშირებული სოციალურ-ისტორიული და ეგზისტენციალური მახასიათებლები.

N17
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
ანა ჩიქოვანი / Ana Chikovani

2) მოხსენების სათაური
Η έννοια της ελευθερίας στο μυθιστόρημα του Δημήτρη Νόλλα «Ταξίδι στην Ελλάδα» (თავისუფლების გაგება დიმიტრის ნოლასის რომანის მიხედვით „მოგზაურობა საბერძნეთში“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
19-20 ნოემბერი, 2021 წელი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

„მოგზაურობა საბერძნეთში“ ადამიანის პიროვნული თავისუფლების სხვადასხვა ასპექტს ეხება. მწერალი პირადი არჩევანის მნიშვნელობასა და სირთულეს უსვამს ხაზს, რასაც გარემო ფაქტორები ხშირად ამძიმებს და ხანდახან გამოუვალ მდგომარეობას უქმნის ადამიანს. ნაწარმოები დააფიქრებს მკითხველს, თუ როგორი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ადამიანურ ურთიერთობებზე თავისუფლების შეზღუდვამ, უიღბლობამ და გაცრუებულმა იმედებმა.

ერთმანეთის მიმართ არსებული ვალდებულებები უზღუდავენ ნოლასის აზრით ადამიანებს თავისუფლებას, ვინაიდან იმდენად არიან ერთმანეთის წინაშე ვალში, რომ ამ ვალიდან ვერასოდეს ამოვლენ, შესაბამისად ვერც თავისუფლებას მოიპოვებენ.

ადამიანის იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები, ისევე, როგორც მეხსიერება და ისტორია ამ რომანისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ნოლასი ამ რომანში ცდილობს აჩვენოს, მეოცე საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საბერძნეთში არსებული ისტორიული ვითარება და სხვადასხვა პერსპექტივიდან დაანახოს მკითხველს ესა თუ ის ისტორიული მოვლენა და მისი შედეგები უბრალო ადამიანების ცხოვრებაზე.

რომანის თითოეული თავი თითქოს „სადგურია“, სადაც დადებითი და უარყოფითი ერთმანეთს ერწყმის, ერთმანეთში იხლართება და ერთურთის გადაფარვას ცდილობს. მთავარი გმირი თითოეულ შემთხვევაში განსხვავებულ შეხედულებას, მსოფლმხედველობას აწყდება და მუდმივად უწევს საკუთარი პოზიციის, გადახედვა. სწორედ ეს არის ჩვენი აზრით ნოლასის რომანის წამყვანი თემა - რომ ჭეშმარიტებას მრავალი წახნაგი აქვს და მისი მხოლოდ ერთი კუთხით დანახვა გაუმართლებელი და არასწორია.

N18

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ზაზა ხინთიბიძე

2) მოხსენების სათაური

ოდისევსის საშუამავლო მისია ილიადის მე-9 სიმღერაში: იყო კი ის ყოველთვის წარუმატებელი.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

22-24 სექტემბერი, 2021. თბილისი

გრიგოლო წერეთლის 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია „ანტიკური და ბიზანტიური სამყარო ინტერდისციპლინური კვლევების შუქზე“

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N19

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ქეთევან ნადარეიშვილი

XV საერთაშორისო სიმპოზიუმი “ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები - ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და თემატური გამოცდილება“

2) მოხსენების სათაური

„ათენის ჭირის ნარატივი ეპიდემიის სოციალურ და ინტელექტუალურ კონსტრუქტად გააზრების კონტექსტში“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 22-24 სექტემბერი, 2021, თბილისი
http://conference.litinstituti.ge/ka/

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N20

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ქეთევან ნადარეიშვილი

საერთაშორისო ონლაინ კონფერენცია „ანტიკური და ბიზანტიური სამყარო: ინტერდისციპლინური კვლევების შუქზე“

2) მოხსენების სათაური

„მედეას რეციპირების წამყვანი მიმართულებები - მედეა, როგორც "სხვა“ და მედეა - ფემინისტი - მედეას თანამედროვე ქართულ ინტერპრეტაციათა კონტექსტში“.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, 22-24 სექტემბერი, 2021, თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

N21

1) მომხსენებელი/მომხსენებლები
ვ. შკლოვსკი ბიძისადმი, ისააკ შკლოვსკისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ მას თან აქვს „ცხენის სვლის“ ხელნაწერი, და აპირებს დაწეროს წიგნი 1918 – 1921 წლებში მიმდინარე მოვლენებზე, რაც გ. სემიონოვის ბროშურის გამოხმაურებაც იქნება. მას არ სურს ფინეთში დარჩენა. მისთვის როგორც მწერლისათვის, აუცილებელია ისეთ ადგილას მოხვდეს, სადაც რუსული გამომცემლობები არსებობს. ასეთ ქალაქებად ბერლინს და პრაღას ასახელებს. სწორედ ბერლინში გამოიცა ვ. შკლოვსკის „სენტიმენტალური მოგზაურობა“ სრული სახით 1923 წელს, გამომცემლობა „გელიკონის“ მიერ. წიგნში შევიდა „რევოლუცია და ფრონტი“, „საწერი მაგიდა“, გადამუშავებული სახით ამავე წიგნში დაიბეჭდა „ეპილოგიც“. „სენტიმენტალური მოგზაურობის“ გამოცემა „რუსული ბერლინისათვის“ მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა გახდა და მრავალრიცხოვან გამოხმაურებასთან ერთად წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ვიქტორ შკლოვსკის შემოქმედების მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ვიქტორ შკლოვსკისთვის, როგორც მწერლისა და მეცნიერისთვის, ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი ხანა სწორედ 20-იანი წლებია.

ბერლინში ვიქტორ შკლოვსკი აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „გოლოს როსიის“ რედაქციასთან. როგორც მისი შემოქმედების მკვლევარი ა. გალუშკინი წერს, ეს თანამშრომლობა შემთხვევითი არ იყო ,რადგან 1922 წლის თებერვლიდან ამ გაზეთმა თავისი ორიენტაცია შეიცვალა და გახდა ესერთა პარტიის ორგანო საზღვარგარეთ.

სენტიმენტალური მოგზაურობა ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია. თავად მწერალია მოქმედი გმირი და თვითმხილველი ყველა იმ მოვლენისა, რასაც „სენტიმენტალურ მოგზაურობაში“ აღწერს.

მოგონებები იწყება 1918 წელს, როცა ავტორი სპარსეთიდან „მშიერ“ და „მრისხანე „ პეტროგრადში ბრუნდება.

ავტორი წერს იმ ცნობილი მოვლენების შესახებ, როცა მას, როგორც ჯავშნოსანი სკოლის ინსტრუქტორს დაავალეს დივიზიონის გამოყვანა ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ შეთქმულება გასცეს.

„სენტიმენტალურ მოგზაურობაში“ ჩანს ავტორის სურვილი იმისა, რომ ახსნას თავისი გაორება, მისი პოლიტიკური მრწამსის გაურკვევლობა .

მწერალი გარკვეული სიმპათიითაც კი წერს წერს ბოლშევიკებსა და კომუნისტებზე, რადგან სამშობლოში ,საბჭოთა რუსეთში დაბრუნება სურს.

„სენტიმენტალურ მოგზაურობაში“ მრავალი ისეთი ადგილია, რომლებიც ვ. შკლოვსკის ცხოვრების საინტერესო მომენტებთან ერთად, პეტროგრადის რევოლუციის შემდგომი რთული პერიოდის ლიტერატურულ ცხოვრებას გვაცნობს. განსაკუთრებით გამოვყოფთ მოგონებებს, რომლებიც ელისეევის ყოფილ სასახლეში - „ ხელოვნებათა სახლში“ ცნობილ მწერალთა შემოქმედებით ცხოვრებას აღწერს. ეს ადგილი, რომელიც კ.ჩუკოვსკის ინიაციატივით და მ.გორკის ძალისხმევით შეირჩა რევოლუციის შემდგომ პეტროგრადში, 1919 წლიდან ქალაქის ინტელექტუალური ცენტრი გახდა.

მოგონებების წიგნის დასასრული კიდევ ერთხელ გვაჩვენებს მწერლის გაორებულ სამყაროს, რომელიც სამშობლოში დაბრუნების მძაფრი სურვილითაა გაჯერებული.

ვიქტორ შკლოვსკის დაბრუნება 1923 წლის შემოდგომაზე მოხერხდა, რაც თავისთავად ნიშნავდა, რომ მწერლის პოლიტიკური ვექტორი შეიცვალა და იგი საბჭოთა მწერლობის სამსახურში ჩადგა.თუმცა 30-იანი წლების სტალინური ტერორი მის ბედზეც ტრაგიკულად აისახა, მიუხედავად იმისა, რომ

ფიზიკურად გადარჩა და რასაც, მოგვიანებით, პირად საუბრებში, მხოლოდ „შემთხვევითობას“ მიაწერდა .ცნობილია ,რომ „სენტიმენტალური მოგზაურობის“ გამოცემა „რუსული ბერლინისათვის“ მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენად იქცა. ჩნდება კითხვა- რამ გამოიწვია ამ წიგნის მიმართ ესოდენი ინტერესი?

1923 წელს, როცა „სენტიმენტალური მოგზაურობა“ იწერებოდა, შკლოვსკიმ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მისი დამოკიდებულება რევოლუციისადმი არასწორი იყო. და ალბათ ყველაზე მეტად აღნიშნული წიგნი სწორედ ამით არის ფასეული.

„სენტიმენტალური მოგზაურობა“ თბილისში, პირველი გამოცემიდან სულ სამიოდე წელიწადში, 1926 წელს ითარგმნა და გამოიცა(მთარგმნელები -ვახტანგ კოტეტიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია). ვიქტორ შკლოვსკის „სენტიმენტალური მოგზაურობა“ მწერლის ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ, 1924 წელს დაიბეჭდა ლენინგრადში, მოგვიანებით, 1929 წელს, მოსკოვში- ბუნებრივია, შემოკლებული სახით. სავარაუდოა, რომ ქართველ მთარგმნელებს სწორედ 1924 წლის გამოცემით უნდა ესარგებლათ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ვიქტორ შკლოვსკის, როგორც მეცნიერს, კარგად იცნობდნენ საქართველოში ,ხოლო მისი სამხედრო თავგადასავალი და ის ფაქტი, რომ იარაღით ხელში იბრძოდა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, დაუფარავ ინტერესს იწვევდა მის თანამედროვეებში. ქართველი მთარგმნელების დაინტერესება წიგნით სწორედ ამ მიზეზებითაც შეიძლება აიხსნას.

1927 წლის ჟურნალ „პროლეტარული მწერლობის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ბ. ბუაჩიძის საკმაოდ ტენდენციური რეცენზია ვ. შკლოვსკის „სენტიმენტალური მოგზაურობის“ გამოსვლასთან დაკავშირებით.

საბჭოთა ცენზურის პირობებში ვიქტორ შკლოვსკის „ სენტიმენტალური მოგზაურობის „ თარგმნა და მისი თბილისში გამოცემა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტია. საგულისხმოა, რომ ავტობიოგრაფიული პროზის ამ საინტერესო ნიმუშისადმი, ისევე როგორც მისი ავტორისადმი, ინტერესი დღესაც არ ნელდება.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1.

2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1.

2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.

2.

5) გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები
1. ეკატერინე ნავროზაშვილი
2.ეკატერინე ნავროზაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN
1. **„ქებათა ქების“ გრიგოლ ფერაძისეული თარგმანის შესახებ,** ISSN 2720-7870

2. **ეზრა პაუნდის XLV კანტოს ქართული თარგმანები (ახალი მთარგმნელობითი პროექტის შესახებ),** ISSN 1512-1925 (PDF)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. **რეცენზირებადი ჟურნალი „სამეცნიერო კვლევები: თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები“, N1.**
2. სამეცნიერო შრომები: XVIII ტომი.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

5) გვერდების რაოდენობა
1. 15 გვერდი.
2. 13 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1931 წლის 24 მაისს გრიგოლ ფერაძე მღვდლად აკურთხეს პარიზის წმინდა სტეფანეს სახელობის ბერძნულ საკათედრო ტაძარში. იმავე წელს იგი პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესიის წინამძღვარი გახდა. სულ მალე მან ქართული სამეცნიერო წელიწდეული –„ჯვარი ვაზისა“ – დაარსა. სწორედ ამ ჟურნალის მესამე ნომერში დაიბეჭდა „ქებათა ქების“ გრიგოლ ფერაძისეული თარგმანი.
თარგმანს წინ უძღვის მინაწერი – „თარგმანი ძველი ებრაულიდან გრ. ფერაძის მიერ“ და წინასიტყვაობა, რომელშიც მოცემულია ბიბლიურ წიგნთა შორის :ქებათა ქების“ ისტორია და ის გააზრებები, რომლებიც წიგნმა კანონში შეტანის შემდეგ შეიძინა.

საყურადღებოა, რომ გრ. ფერაძეს „ქებათა ქება“ ერისკაცობაში უთარგმნია: „ამ წიგნის თარგმნა იყო საქმე დახელოვნებული მგოსნის, ქართული ენის კარგი მცოდნის და ერის კაცის, ვიდრე სასულიერო პირის, მაგრამ, როდესაც ეს წიგნი ვთარგმნე... კრებული გრძელი და მოკლე შაირების, საერო შინაარსის პასტორალი... ერის კაცი ვიყავ“, – აღნიშნავს იგი.

წინასიტყვაობაში გრ, ფერაძე მიმოიხილავს მის ხელთ არსებულ „ქებათა ქების“ გამოცემებს. ტექსტზე მუშაობისას იგი სარგებლობდა: 1886 წელს ალექსანდრე ცაგარელის, 1909 წელს კიტა აბაშიძისა და 1924 წელს აკ. შანიძის მიერ გამოცემული „ქებათა ქების“ ტექსტებით, ბაქარის ბიბლიით. აგრეთვე, წიგნის გერმანული, ფრანგული და ინგლისური თარგმანებით.

გრიგოლ ფერაძე წიგნის ებრაულ სახელწოდებას „შირ ჰაშირიმს“ ქართულ ტრადიციაში დამკვიდრებული სათაურით - „ქებათა ქებით“ თარგმნის, თუმცა წინასიტყვაობაშივე განმარტავს, რომ „ამ წიგნის სახელია უფრო „შაირთა შაირი“, ვინაიდან ებრაული „შირ“ და არაბულად „შაირუნ“ უდრისან არა მხოლოდ ფილოლოგიურად, არამედ ეტიმოლოგიურად ჩვენ „შაირსო“. ჩვენ არ ვიზიარებთ ფერაძის ამ მოსაზრებას.

გრიგოლ ფერაძის თარგმანი პროზაულია. მართალია მთარგმნელს, „შირ ჰაშირიმის“ ებრაული ტექსტის შესაბამისად, დაუცავს წიგნის თავებად და მუხლებად დაყოფის პროინციპი (8 თავისგან შედგება), მაგრამ მას თარგმანში არაერთი ცვლილება შეუტანია. კერძოდ., თარგმანი დაყოფილია 26 ქებად, ცალკეულ „ქებებსა“ და მუხლებს დართული აქვს ორიგინალში არარსებული სიტყვები და წინადადებები.

თარგმანში თანამედროვე ქართულის გვერდით გრამატიკულ და ლექსიკურ არქაიზმებსაც ვხვდებით. გრ. ფერაძეს თარგმანში, შეძლებისდაგვარად, გადმოუტანია ებრაული ტექსტის სტილისტიკური ფიგურები, იშვიათი მეტაფორული სახეები და შედარებები.

2. სტატიაში განხილულია ეზრა პაუნდის ერთ-ერთი კანტოს, კერძოდ XLV კანტოს (Usura) ახალი ქართული თარგმანები. პაუნდის XLV კანტოს პირველი ქართული თარგმანი ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის დათო ბარბაქაძის სახელთანაა დაკავშირებული. ლექსის ბარბაქაძისეული თარგმანი ჯერ ინტერნეტსივრცეში, demo.ge-ზე აიტვირთა, ხოლო 2020 წელს ამავე ელექტრონული ჟურნალის გვერდზე ახალი პროექტი და კონკურსი გამოცხადდა. 2021 წელს ეზრა პაუნდის XLV კანტოს ქართული თარგმანების კრებული გამოიცა.
კრებული წინათქმისა და 5 ნაწილისგან შედგება: 1. ინგლისურ ენაზე დაწერილი ლექსის ორიგინალი, 2. ლექსის ქართული თარგმანები (კრებულში შესულია როგორც ცნობილი, ასევე დამწყები მთარგმნელების თარგმანები: ანი ცქიტიშვილის, მარი ნიაზაშვილის, სკა ინდიგოთის, ხატია გაგნიძის, გიორგი ლომსაძის, ირაკლი ყოლბაიას, ალექს ჩიღვინაძის, გია ჯოხაძის, დათო ბარბაქაძისა და სხვ. თარგმანები), 3. ამიელ ალკალაის წერილი XLV კანტოს შესახებ. 4 ირაკლი ყოლბაიას წერილი – უზურას სახლი. 5. ირაკლი ყოლბაიას მიერ შესრულებული ლექსის პწკარედული თარგმანი, რაც ერთგვარ ექსპერიმეტს ქმნის სამომავლოდ. პროექტი ღიაა კანტოს თარგმანის ნებისმიერი მსურველისთვის, მათ შორის მათთვის, ვინც ინგლისურ ენას არ ფლობს.
სტატიაში მოცემულია როგორც ლექსის თარგმნამდელი ანალიზი (მათ შორის ლექსის შექმნის ისტორია, სათურის – Usura-ს ეზრა პაუნდის მიერ სააზროვნო პარადიგმად დამკვიდრებული სიტყვის მნიშვნელობა, ონომასტიკური ლექსიკა, ლათინური ლექსიკური ერთეულები, მხატვრული ხერხები...), ასევე, გაანალიზებულია თარგმანებში კანტოს პოეტიკისა და ფორმის გადმოცემის საკითხები. შესწავლილია, თუ როგორ ხდება მთარგმნელების მიერ სტილისტიკური საშუალებების ძიება და დახვეწა, რომელთა დახმარებითაც ეზრა პაუნდის კანტოს ადეკვატური თარგმანების შექმნაა შესაძლებელი.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1.
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1.
2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.
2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.
2.

5) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნანა გაფრინდაშვილი
2. ეკატერინე ნავროზაშვილი
3. ნინო წერეთელი

4. ნანა გაფრინდაშვილი
5. ეკატერინე ნავროზაშვილი
6. ნინო წერეთელი

7. ნანა გაფრინდაშვილი
8. ეკატერინე ნავროზაშვილი

9. ნანა გაფრინდაშვილი
10. ნინო წერეთელი

11. ნანა გაფრინდაშვილი
12. ეკატერინე ნავროზაშვილი
13. ნინო წერეთელი

14. ეკატერინე ნავროზაშვილი
15. ნინო წერეთელი

16. ნ. გონჯილაშვილი, ე. ნავროზაშვილი

2) მოხსენების სათაური

1. იმპერიული მითები, როგორც სოციალური კონსტრუქცია და ქართული საბჭოთა ლიტერატურა
2. ბიბლიური მეტაფორები და მათი თარგმანი
3. საბჭოთა ცენზურა და ლიტერატურა (მეოცე საუკუნის 20-იანი წლები)

4. იმპერია და მისი მითები: წარმოსახვითი რეალობის რეპრეზენტაცია ბელადის სახის მაგალითზე
5. „გალობა გალობათა სოლომონის“ – პოეტიკა, სემანტიკა და თარგმანი
6. მწერალი და ემიგრაცია (ვიქტორ შკლოვსკის „რუსული ბერლინი“)

7. ომი და ტრავმული მეხსიერება (იმაგოლოგიური ასპექტი პოსტკოლონიური ქართული ლიტერატურის მაგალითზე)
8. ჰეტერონიმების პოეზია

9. მარადიული სახის მხატვრული ინტერპრეტაციის თავისებურებები: გალაკტიონ ტაბიძისა და ანა ახმატოვას ერთი ლიტერატურული პარალელის
10. ფორმალისტები და ისტორიული რომანი (ვიქტორ შკლოვსკის „ისტორიული რომანისა და იური ტინიანოვის შესახებ“ მაგალითზე)

11. ფასეულობაშეცვლილი სამყაროს იდეურ-ესთეტიკური გამოძახილი: გალაკტიონ ტაბიძის „პარალელური“ ტექსტები
12. აბრაამ მამისთვალოვის ერთი თარგმანის შესახებ
13. ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ სტალინურ ეპოქაში (მეოცე საუკუნის 30-იანი წლები)

14. პოეტური თარგმანის თავისებურებები (ოსიპ მანდელშტამის ლექსის „ფეოდოსია“ ქართული თარგმანის მაგალითზე)
15. მხატვრული თარგმანი საქართველოში: XX საუკუნის 20-იანი წლები

16. „მერანის“ დასასრულის ტონალობის გააზრებისათვის.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. სემიტოლოგი ებრაისტის მანანა (მაკა) გოცირიძის 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2021 წლის 28 იანვარი, თსუ.
2. სემიტოლოგი ებრაისტის მანანა (მაკა) გოცირიძის 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2021 წლის 28 იანვარი, თსუ.
3. სემიტოლოგი ებრაისტის მანანა (მაკა) გოცირიძის 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, 2021 წლის 28 იანვარი, თსუ.

4. პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია – ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები, 2021 წლის 31 იანვარი, თსუ **(ინდექსირებულია Google Scholar-ში).**
5. პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია – ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები, 2021 წლის 31 იანვარი, თსუ **(ინდექსირებულია Google Scholar-ში).**
6. პროფესორ ოთარ ბაქანიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია – ლიტერატურათმცოდნეობა: ისტორია, პერსპექტივები და გამოწვევები, 2021 წლის 31 იანვარი, თსუ **(ინდექსირებულია Google Scholar-ში).**

7. ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები, 2021 წლის 23-24 აპრილი, თსუ.
8. ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები, 2021 წლის 23-24 აპრილი, თსუ.

9. XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი, 2021 წლის 5-6 ივლისი, თსუ **(ინდექსირებულია Google Scholar-ში).**
10. XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი, 2021 წლის 5-6 ივლისი, თსუ **(ინდექსირებულია Google Scholar-ში).**

11. მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მე-7 სამეცნიერო **კონფერენციის მასალები,** 2021 წლის 30 სექტემბერი, ISBN 978-9941-491-28-3, თსუ (ინდექსირებულია Google Scholar-ში), განთავსებულია თსუს რეპოზიტორზე: https://dspace.tsu.ge/handle/123456789/817

12. მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მე-7 სამეცნიერო **კონფერენციის მასალები,** ISBN 978-9941-491-28-3, 2021 წლის 30 სექტემბერი, თსუ (ინდექსირებულია Google Scholar-ში), განთავსებულია თსუს რეპოზიტორზე: https://dspace.tsu.ge/handle/123456789/806
13. მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მე-7 სამეცნიერო **კონფერენციის მასალები,** ISBN 978-9941-491-28-3, 2021 წლის 30 სექტემბერი, თსუ (ინდექსირებულია Google Scholar-ში), განთავსებულია თსუს რეპოზიტორზე: https://dspace.tsu.ge/handle/123456789/821

14. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, 2021 წლის 28 ოქტომბერი **(ინდექსირებულია Google Scholar-ში).**
15. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ქართველოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, 2021 წლის 28 ოქტომბერი **(ინდექსირებულია Google Scholar-ში).**

16. VI საერთაშორისო ონლაინ **სამეცნიერო კონფერენციის** - ენა და კულტურა – **მასალები**, 2021 წლის 7-8 მაისი, ქუთაისი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ნანა გაფრინდაშვილი

2) მოხსენების სათაური
1. მხატვრული თარგმანი, როგორც ქართულ-ბელორუსული ლიტერატურული დიალოგის ფორმა (ვ. ბიკოვის მოთხრობის „სოტნიკოვი“ მაგალითზე)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 2021 წლის 1-3 ოქტომბერი, ბელორუსიის შემსწავლელთა მე-8 საერთაშორისო კონგრესი, https://www.icbs.by/program2021.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

* ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.

* ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.

თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების ინსტიტუტის პუბლიკაციების სია:
(2021 წელი)

სტატიები:

1. **ნანა გაფრინდაშვილი,** იმპერია და მისი მითები: წარმოსახვითი რეალობის რეპრეზენტაცია ბელადის სახის მაგალითზე ქართულ სოცრეალისტურ ლიტერატურაში, **ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები კულტურათა დიალოგის კონტექსტში (მიეძღვნა პროფესორ ოთარ ბაქანიძის ხსოვნას),** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021, 14 გვ.

2. **ნინო წერეთელი,** „ვიქტორ შკლოვსკის „სენტიმენტალური მოგზაურობის“ ქართული გამოცემის ისტორიისთვის“, **ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევები კულტურათა დიალოგის კონტექსტში (მიეძღვნა პროფესორ ოთარ ბაქანიძის ხსოვნას),** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021, 11 გვ.
3. **ეკატერინე ნავროზაშვილი,** „ქებათა ქების“ გრიგოლ ფერაძისეული თარგმანის შესახებ, **რეცენზირებადი ჟურნალი „სამეცნიერო კვლევები: თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები“,** N1, ISSN 2720-7870, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2021, გვ. 15.
4. **ეკატერინე ნავროზაშვილი,** ეზრა პაუნდის XLV კანტოს ქართული თარგმანები (ახალი მთარგმნელობითი პროექტის შესახებ), **სამეცნიერო შრომები: XVIII ტომი,** ISSN 1512-1925 (PDF), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2021, გვ. 13.

კონფერენციის მასალები:

5. ნანა გაფრინდაშვილი, ფასეულობაშეცვლილი სამყაროს იდეურ-ესთეტიკური გამოძახილი: გალაკტიონ ტაბიძის „პარალელური“ ტექსტები, მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მე-7 სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ISBN 978-9941-491-28-3, 2021 წლის 30 სექტემბერი, თსუ (ინდექსირებულია Google Scholar-ში), გვ.41-53.
6. ნინო წერეთელი, ბრძოლა ფორმალიზმის წინააღმდეგ სტალინურ ეპოქაში (მეოცე საუკუნის 30-იანი წლები), მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მე-7 სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ISBN 978-9941-491-28-3, 2021 წლის 30 სექტემბერი, თსუ (ინდექსირებულია Google Scholar-ში). გვ.128-133,
7. ეკატერინე ნავროზაშვილი, აბრაამ მამისთვალოვის ერთი თარგმანის შესახებ, მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მე-7 სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ISBN 978-9941-491-28-3, 2021 წლის 30 სექტემბერი, თსუ (ინდექსირებულია Google Scholar-ში). გვ.71-78.
8. **ნანა გონჯილაშვილი, ეკატერინე ნავროზაშვილი,** „მერანის“ დასასრულის ტონალობის გააზრებისათვის, VI საერთაშორისო ონლაინ სამეცნიერო კონფერენციის - ენა და კულტურა – მასალები, 2021 წლის 7-8 მაისი, ქუთაისი.

ინსტიტუტის პროფესორების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და თეზისების ინდექსირებულ ბაზებში განთავსების ინფორმაცია მოცემულია ფორმა 2-ში. იხ. 7.1

დასავლეთევროპული
ენებისა და ლიტერატურის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ანგარიშის ფორმა № 2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–
სამეცნიერო ინსტიტუტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი - პროფ. მანანა გელაშვილი
წავლული მდივანი: ასისტ. პროფ. ნინო ჭრიკიშვილი

ინგლისური ფილოლოგიის კათედრა:
მანანა რუსიეშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
მანანა გელაშვილი - პროფესორი
რუსუდან დოლიძე – ასოცირებული პროფესორი
გიორგი ყუფარაძე – ასოცირებული პროფესორი
ნათელა ნემსაძე – ასოცირებული პროფესორი
ნინო დარასელია – ასოცირებული პროფესორი
ირინე გველესიანი – ასოცირებული პროფესორი
დავით მაზიაშვილი – ასოცირებული პროფესორი
ირინე დემეტრაძე – ასისტენტ პროფესორი
მაია გურგენიძე – ასისტენტ პროფესორი
თამარ გელაშვილი - ასისტენტ პროფესორი

გერმანული ფილოლოგიის კათედრა
ლალი ქეცბა-ხუნდაძე – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
ალექსანდრე კარტოზია – პროფესორი
მარინა ანდრაზაშვილი – ასოცირებული პროფესორი
ნუნუ კაპანაძე – ასოცირებული პროფესორი
ნინო ქიმერიძე – ასოცირებული პროფესორი
სოფიო მუჯირი – ასოცირებული პროფესორი
კონსტანტინე ბრეგაძე – ასოცირებული პროფესორი
თამარ ჭუმბურიძე – ასისტენტ პროფესორი

რომანული ფილოლოგიის კათედრა
ბელა ხაბეიშვილი – ასოცირებული პროფესორი
ნანა გუნცაძე – ასოცირებული პროფესორი
მარინე კობეშავიძე – ასოცირებული პროფესორი
მაია ჯავახიძე – ასოცირებული პროფესორი
სალომე კენჭოშვილი – ასისტენტ პროფესორი
ნინო ჭრიკიშვილი – ასისტენტ პროფესორი
ნინო ქავთარაძე – ასისტენტ პროფესორი

თარგმანმცოდნეობის კათედრა
ინესა მერაბიშვილი – პროფესორი (კათედრის ხელმძღვანელი)
ლელა ებრალიძე – ასისტენტ პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრის სასტიპენდიო გრანტი საფრანგეთის Côte d'Azur უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორია CTEL, განათლების მეცნიერებები მიმართულებით განსახორციელებელი კვლევისთვის თემაზე : „ ფრანგული ენისა და ცივილიზაციის სწავლა-სწავლების კრიზისი საქართველოში: ისტორიული, დიდაქტიკური და პოლიტოლოგიური ანალიზი".

2. საზოგადოებრივ, ჰუმანიტარულ, ხელოვნებისა და ლიტერატურულ მეცნიერებათა (SHAL) სკოლა, განათლების მეცნიერებები მიმართულება, ინტერდისციპლინარული ლაბორატორია CTEL (CENTRE TRANSDISCIPLINAIRE D'ÉPISTÉMOLOGIE DE LA LITTÉRATURE ET DES ARTS VIVANTS (CTEL), საფრანგეთის უნივერსიტეტი Côte d'Azur

3. გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) გარდამავალი პროექტი: Philologie - Technologie – Translation (ფილოლოგია, ტექნოლოგია, თარგმანი) გერმანისტიკის დარგში, (GIP) პარტნიორობის ფარგლებში, ხორციელდება გერმანული ფილოლოგიის კათედრას და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის თარგმნისა და თარჯიმნობის ინსტიტუტის მიერ.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2018-2019

2.2021-2022 წლის გრანტი (პროექტის სტატუსი -მიმდინარე). პროექტი ხორციელდება სადოქტორო კვლევის პარალელურ ფორმატში.

3. 2020-2023.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ბელა ხაბეიშვილი

2. ბელა ხაბეიშვილი

3.სოფიო მუჯირი: ძირითადი შემსრულებელი

პროექტის ხელმძღვანელები:

ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლის უნივერსიტეტის თარგმნისა და თარჯიმნობის ინსტიტუტის პროფ. დოქტ. ვაჰრამ ატაიანი, თსუ გერმანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფ. დოქტ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე, პროფ. დოქტ. ა. კარტოზია.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წარმოდგენილი კვლევა ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეთთან თანამშრომლობის პროექტის საფუძველზე და მოიცავს შემდეგ კონკრეტული პუნქტუალური აღწერით (გეგმა მოდიფიცირებადია და დამოკიდებულია სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობაზე)

პროექტი ეხება ევროინტეგრაციის პროცესში ენის, ლიტერატირისა და კულტურის მნიშმვნელობას ევროპული ღირებულებების შექმნისა და გაზიარების მიმართულებით და უკავშირდება ჩემს პედაგოგიურ და სამეცნიერო აქტივობას, რაც, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სწავლების და კვლევის პარალელურად, უახლესი პროექტების ინიცირებასაც გულისხმობს.

ჩვენი ქვეყნის საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში უცხოური ენისა და ლიტერატურის სწავლების აპრობირებული პრაქტიკა, ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ან ძველი სისტემის

გადმონაშთია, ან ახალი პრაქტიკული მოდელის ბრმა კალკია, რაც დიდაქტიკური მიდგომის შიგნით სრულიად გამორიცხავს ლინგვოკულტუროლოგიურ საფუძველს და ენის სწავლებას მხოლოდ საკონტაქტო დონეზე განიხილავს. აღნიშნული გარემოება ევროპაში მოქალაქეთა სრულფასოვანი ინტეგრაციის მიმართულებით დაბრკოლებად წარმოჩინდება. კვლევის მიზანი ლინგვოპოლიტოლოგიური მიდგომის საფუძველზე ენის სწავლების გზით ღირებულებათა გაზიარების ახალი მეთოდოლოგიის შექმნა და ქართულ რეალობაში დანერგვაა, რაც ხარისხიანი ლინგვისტური განათლების მიმრთულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობასაც შექმნის. შედეგად, სწავლების ინფორმაციული მოდელი მიუახლოვდება ლინგვისტური განათლების ევროპულ მოდელს, რაც ხელს შეუწყობს ენათა სწავლების სფეროში მეთოდოლოგიური მიდგომების ჰარმონიზაციას და ევროინტეგრაციის პროცესში არსებულ დაბრკოლებათა გადაჭრას.

ნაწილი I : ფრანგული ენის სწავლება საქართველოში- სინქრონული და დიაქრონული ანალიზი
1.1 საქართველოში ფრანგული ენის არსებობისა და სწავლების ისტორიული კონტექსტი.
1.2 საქართველოში ფრანგული ენის სწავლების თანამედროვე კონტექსტი.
ნაწილი II : თეორიული ჩარჩო და საკვლევი თემის პრობლემატიკა
2.1 ფრანგული, როგორც უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგიათა ანალიზი XIX საუკუნის პერიოდიდან, ქმედითი მიდგომის ინტეგრირებამდე, საქართველოში ფრანგული ენის სწავლების მიდგომათა მიმოხილვის საფუძველზე, 2001 წელს ერთიანი ევროპული ჩარჩოს კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის ჩათვლით.
2.2 თანამედროვე ქართულ რეალობაში ლინგვისტური და პოლიტიკური სირთულეების დაძლევისთვის ყველაზე შესაფერისი უცხოური ენების სწავლების დიდაქტიკურ თეორიათა მიმოხილვა.
ნაწილი III: მეთოდოლოგია და ექსპერიმენტული ძიებები
3.1 საქართველოში გამოყენებული სახელმძღვანელოების შედარებითი ანალიზი (*Bien joué*, Hachette ნათარგმნი ვერსია, საფრანგეთის ყოფასთან დაკავშირებული საკომუნიკაციო სცენების ანალოზი) მაგ,რუსულ სახელმძღვანელოებთან მიმართებაშიმ რომელიც ფრანგულის მსგავსად უცხოური ენის სტატუსით სარგებლობს.
3.2 საკლასო სწავლების პრაქტიკის ანალიზი, რომელიც ეხება ზეპირი კომუნიკაციის გაგებისა და პროდუცირების უნარებს (მეთოდოლოგია: დაკვირვება, ტრანსკრიპტის შედგენა, მეტყველების ანალიზი, დიდაქტიკური ანალიზი, მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის ვერბალური ინტერაქცია).
3.3 საქართველოში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა წრეში გამოკითხვის განხორციელება მათი სასწავლო გამოცდილების, საფრანგეთში არსებული ლინგვისტური შესაძლებლობების, საფრანგეთში ქართული დიასპორის ხელშეწყობის და ა.შ. თაობაზე.
ნაწილი IV: შედეგების ანალიზი და დასკვნები
4.1 ფრანგული და რუსული სახელმძღვანელობის შედარებითი ანალიზის თაობაზე;
4.2 სასკოლო და სუნივერსიტეტო სწავლების საფეხურებზე ფრანგული ენის შესწავლისა და ზეპირი კომუნიკაციის გამარტივების შესაძლებლობათა თაობაზე პლურილინგვურ და ინტერკულტურულ პერსპექტივაში;
4.3 ქართველი ემიგრანტების ფრანგული ენის საშუალებით ლინგვიატური ინტეგრაციის გამარტივების შესაძლებლობებზე.
3. პროექტის მიზანია ენის ტექნოლოგიის რესურსების შემუშავება და გამოცდა მცირე რესურსების მქონე ენებისთვის. ორი სპეციალური კორპუსის (გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული) შემუშავება და ექსპერიმენტის ჩატარება მომზადებული კორპუსების ხარისხის და სარგებლიანობის შემოწმების მიზნით, ენის, კულტურისა და თარგმანმცოდნეობის პრობლემატიკასთან მიმართებით. პროექტი ინტერდისციპლინურია და მოიცავს ქვემოდულებს: ლიტერატურულ, მედიალურ და დარგობრივ კომუნიკაციას. თითოეული მოდულის ფარგლებში ეტაპობრივად ხორციელდება (ქართულ-გერმანული და გერმანულ-ქართული) კულტურის ტრანსფერის შესაძლებლობათა შესწავლა, რეალიზაცია და სწავლება.
მოცემული ეტაპის თეორიული შედეგები:
გასულ წლებში ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლის სახ. უნივერსიტეტის თარგმანისა და თარჯიმნობის ინსტიტუტში მივლინების, სემინარებსა და ვორკშოპებზე დასწრების შედეგად, ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოვიპოვე და დავამუშავე შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, რომლის

სისტემატიზაციის, ასევე თანამედროვე გერმანული ენის სპეციფიკისათვის შესატყვისი მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრის შედეგად, მოვამზადე მასალები თარგმნის, თარჯიმნობისა და დიდაქტიკის სფეროში, სახელმძღვანელოს და დამხმარე სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსიის შესაქმნელად.

მოცემული ეტაპის პრაქტიკული შედეგები:

მოცემული პერიოდისათვის გამზადებულია:

ა). ელექტრონული ვერსია სახელმძღვანელოსათვის თარჯიმნობის, ნაწილობრივ დიდაქტიკის სფეროშიც, რომელიც მოიცავს დარგისათვის სპეციფიკურ ტექსტებსა და სავარჯიშოებს თარჯიმანთა უნარ-ჩვევების განვითარებისათვის. მომავალი თარჯიმნებისათვის მომზადებულია მხატვრული, პუბლიცისტური და დარგობრივი (სამედიცინო) ხასიათის მასალა პრაქტიკული, დამოუკიდებელი თარგმანისათვის.

დასაბეჭდად გამზადებულია:

ბ). დამხმარე სახელმძღვანელო მხატვრული თარგმანის ანალიზისა და კრიტიკის სფეროში. მოპოვებული და დამუშავებულია როგორც თეორიული ნაწილი, ასევე თარგმანის ანალიზისა და კრიტიკისათვის საჭირო პუბლიცისტური და მხატვრული ლიტერატურა.

პროექტთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებზე მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება აისახა შემდეგი სამაგისტრო კურსების სწავლების პროცესზე: „მხატვრული თარგმანის ანალიზი და კრიტიკა," „ზეპირი და ეკრანული თარგმანი," „ტექსტის თარგმნამდელი ანალიზი" (სამაგისტრო პროგრამა: თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა/გერმანული ენა). სტუდენტებისათვის შექმნილია თეორიული მასალის, ასევე თარგმანისათვის საჭირო მხატვრული, პუბლიცისტური და დარგობრივი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები. ზემოთ დასახელებულ კურსებზე გამოყენებულია თარგმანისა და თარჯიმნობის სწავლების ახალი, ინოვაციური მეთოდები, რაც აისახა როგორც სწავლების პროცესზე, ასევე სტუდენტთა (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ნაშრომების ხელმძღვანელობისა და რეცენზირების ხარისხზე.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. **„ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“** (FR-18-14869, ხელმძღვანელი - 2021 წლამდე პროფ. ტარიელ ფუტკარაძე, 2021 წლიდან - პროფ. მანანა ტაბიძე).
2. . ქართული ენის ტექსტის მეტყველების ნაწილებად თეგირებადა სალექსიკონო ერთეულებად ლემირება
ენათმეცნიერება და ლიტერატურა
სამეცნიერო ქვემიმართულება: ენათმეცნიერება
FR-18-15744

2) **პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**
1. 2018-2023
2. . 2019 -2021 თებერვალი, პროექტი გახანგრძლივდა 2022 -ის 30 აპრილამდე

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ხელმძღვანელი - პროფ. მანანა ტაბიძე;
კოორდინატორი - მიხეილ ლაბაძე,
მონაწილენი: სოფიო კეკუა, კესო გეჯუა, მაკა სალია-ბეშიროღლუ, ფევზი ჩელები).
ლელა ებრალიძე - მთარგმნელი

2. ოლეგ კაპანაძე - პროექტის ხელმძღვენელი
ნინო ქიმერიძე - პროექტის კოორდინატორი
ნუნუ კაპანაძე - პროექტის შემსრულებებლი
ნათია ფუტკარაძე - პროექტის შემსრულებელი
ქეთევან შეყილაძე - პროექტის შემსრულებელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2019 წლის თებერვლიდან, ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრმა შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით დაიწყო ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის „ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“ განხორციელება (FR-18-14869, ხელმძღვანელი - პროფ. ტარიელ ფუტკარაძე, კოორდინატორი - მიხეილ ლაბაძე, მონაწილენი: სოფიო კეკუა, კესო გეჯუა, მაკა სალია-ბეშიროღლუ, ფევზი ჩელები).

პროექტის მთავარი მიზანია თურქეთში მცხოვრებ ქართველურენოვან მუჰაჯირთა მეტყველებაში ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის კანონზომიერებათა დადგენა, ასევე - ზოგადად მეტყველების ნიმუშების ჩაწერა, შესწავლა და შეპირისპირებითი ანალიზი.

საანალიზო მასალა ჩაიწერება თურქეთის იმ მხარეებში, სადაც დღემდე ცხოვრობენ 1878-1883 და 1914-1917 წლებში აჭარიდან, ტაოდან, ლივანადან, შავშეთ-იმერხევიდან, მაჭახელადან, ლაზეთიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა ქართველურენოვანი შთამომავლები.

პროექტი გათვლილია სამ წელიწადზე და, პირველ რიგში, გულისხმობს თურქეთის სამ რეგიონში (ფაცა-ორდუ-სინოპი, დუზჯე-საქარია, ბურსა-ინეგოლი - სადაც დღეს უფრო კომპაქტურად სახლობენ ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავლები) დიალექტოლოგიურ-ფოლკლორული მასალის ჩაწერასა და ენათმეცნიერულ ანალიზს; შესაბამისად, ერთი წელი ეთმობა ერთ რეგიონს.

პროექტის ფარგლებში მუშავდება სამეცნიერო სტატიები, რომლებიც გამოქვეყნდება უცხოურ მაღალრეიტინგულ გამოცემებში. პირველი ეტაპისთვის მიღებულია თანხმობა ბულგარული, იტალიური და ესპანური სამეცნიერო ჟურნალებიდან

2. პროექტს გაუგრძელდა ვადა 2022 -ს 30 აპრილამდე, ამ ეტაპე მიმდინარეობს სამუშაო, რომელიც აუცილებელია შესავალი ტექსტური ფაილების ტოკენიზაციისა და თეგირების პროცედურებისათვის LINUX/makOS-ის ოპერაციულ სისტემაში. პროექტით გათვალისწინებული სათანადო მონაცემების makOS- ლეპტოპის შეძენამდე ხორციელდება პროექტის თანმხლები მასალის კომპაქტური დისკოს Operating_systems საქაღალდედან FST-linux-ის ვერსიის კოპირება კომპიუტერის ხისტ დისკოზე, სამუშაო ფაილების (220 ფაილი) კონვერტაცია ერთი ფორმატიდან მეორეში, ანუ, თუ სამუშაო ფაილები ტოკენიზებულია makOS-ის ოპერაციულ გარემოში, საჭიროა ტოკენიზებული ფაილის კონვერტაცია Windows ფორმატში. და პირიქით, თუ ფაილები ტოკენიზებულია Windows ოპერაციულ გარსის გამოყენებით, საჭიროა ტოკენიზებული ფაილის კონვერტაცია Windows-იდან Linux ფორმატში. შემდგომ ეტაპზე ხორციელდება თეგირებისა და ლემატიზაციის მრავალსაფეხურიანი პროცედურა თითოეულ ფაილზე. სათანადო პროცედურის შედეგად მიიიღება შესავალი სალექსიკონო ფაილის სასრული მდგომარეობის ავტომატად/ქსელად კომპილირება.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1.

2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.

2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. **გარდამავალიპროექტი**

1)გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/

1. Philologie - Technologie – Translation *(ფილოლოგია, ტექნოლოგია, თარგმანი) 2020-2023. ენის ტექნოლოგიის რესურსების შემუშავება და გამოცდა მცირე რესურსების მქონე ენებისთვის:ორი სპეციალურიკორპუსის (გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული) შემუშავება ვ. ადმონისდოქტორანტთა სკოლის სამი დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში და ექსპერიმენტის ჩატარება მომზადებული კორპუსების ხარისხის და სარგებლიანობის შემოწმების მიზნით ენის, კულტურისა და თარგმანმცოდნეობის პრობლემატიკასთან მიმართებით.*

სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა - გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) პროექტი

ენის ტექნოლოგიის რესურსების შემუშავება და გამოცდა მცირე რესურსების მქონე ენებისთვის: ორი სპეციალური კორპუსის (გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული) შემუშავება. ვ.ადმონის დოქტორანტთა სკოლის სამი დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში და ექსპერიმენტის ჩატარება მომზადებული კორპუსების ხარისხის და სარგებლიანობის შემოწმების მიზნითენის, კულტურისა დათარგმანმცოდნეობის პრობლემატიკასთან მიმართებით.

2. „გერმანულენოვან საკუთარ სახელთა ტრანსფერი ქართულად – ტრადიციები და ტენდენციები.“

დამფინანსებელი ინსტიტუცია – გერმანიის გაცვლითი აკადემიური სამსახური (DAAD).

3. **„Übersetzung und Auswertung von Tonaufnahmen der Kriegsgefangenen des ersten Weltkriegs“ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ტყვეების აუდიოარქივის დამუშავება** (ჩანაწერების მოსმენა, ტრანსკრიბირება, თარგმნა გერმანულად, ტექსტლინგვისტური ანალიზი).
პროექტის ხელმძღვანელი დოქტ. ჰაიკე ლიბაუ – ბერლინის ახლოაღმოსავლეთის ცივილიზაციის ცენტრის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი (ZOM Berlin). https://www.zmo.de/personen/dr-heike-liebau;
დამფინანსებელი – ბერლინის ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციის ცენტრი.

2) პროექტის დაწყების და პირველი ციკლის დამთავრების წლები

1. *2018-2021წწ.*
2. *2012 -*
3. *2012 -*

3) პროექტში ჩართული პერსონალი:

1. პროფ. ვ. ატაინი (ჰაიდლებერგის უნივერისტეტი, პროექტის ხელმძღვანელი
2. პროფ. ლ. ქეცბა-ხუნდაძე (თსუ, პროექტის თანახელმძღვანელი)
3. პროფ. ა. კარტოზია (თსუ, პროექტის თანახელმძღვანელი)
4. ასოც. პროფ. ნუნუ კაპანაძე.

ა.ენის ტექნოლოგიური რესურსების შემუშავება და ტესტირება მცირე რესურსების მქონე ენებისთვის: ორი სპეციალური კორპუსის (გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული) მომზადება; ფუნქციები: პროექტის ძირითადი პერსონალი;
ბ. კარლ რუპრეხტის ჰაიდელბერგის უნივერისტეტის თარგმნისა და და თარჯიმნობის ინსტიტუტსა და თსუ-ს გერმანული ფილოლოგიის კათედრას შორის GIP-ის პარტნიორობის ფარგლებში ვ. ადმონის სახელობის დოქტორანტთა სკოლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი;
გ. ადმონის სკოლის დოქტორანტის თ. ელბაქიძის სამეცნიერო თანახელმძღვანელი
5. ასოც. პროფ. ნინო ქიმერიძე.

2. **მარინა ანდრაზაშვილი** – პროექტის ავტორი და ერთპიროვნული შემსრულებელი.
3. **მარინა ანდრაზაშვილი** – პროექტის ავტორი და ერთპიროვნული შემსრულებელი.
ინდივიდუალური გარდამავალი პროექტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ***Philologie - Technologie – Translation (ფილოლოგია,*** *ტექნოლოგია, თარგმანი)*
ენის ტექნოლოგიის რესურსების შემუშავება და გამოცდა მცირე რესურსების მქონე ენებისთვის:ორი სპეციალურიკორპუსის (გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული) შემუშავება ვ. ადმონისდოქტორანტთა სკოლის სამი დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში და ექსპერიმენტის ჩატარება მომზადებული კორპუსების ხარისხის და სარგებლიანობის შემოწმების მიზნით ენის, კულტურისა და თარგმანმცოდნეობის პრობლემატიკასთან მიმართებით.
ენის ტექნოლოგიის რესურსების შემუშავება და გამოცდა მცირე რესურსების მქონე ენებისთვის: ორი სპეციალური კორპუსის (გერმანულ-ქართული, ქართულ-გერმანული) შემუშავება. ვ.ადმონის დოქტორანტთა სკოლის სამი დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში და ექსპერიმენტის ჩატარება მომზადებული კორპუსების ხარისხის და სარგებლიანობის შემოწმების მიზნითენის, კულტურისა დათარგმანმცოდნეობის პრობლემატიკასთან მიმართებით.

2. „გერმანულენოვან საკუთარ სახელთა ტრანსფერი ქართულად – ტრადიციები და ტენდენციები.“
ანოტაცია

წინამდებარე გამოკვლევა ორიენტაციას იღებს უშუალოდ *ანთროპონიმებსა და ტოპონიმებზე,* როგორც საკუთარ სახელთა სუბკლასის ყველაზე *სპეციფიკურ რეპრეზენტანტებზე* თავიანთი პროპრიალური მახსიათებლებისა და რეფერენციალური მიმართბების გამო. იგი მიზნად ისახავს, გერმანული და ქართული ენების საილუსტრაციო მასალის შეპირისპირებითი ანალიზის გზით გამოავლინოს

ლინგვისტური კრიტერიუმები, რომლებიც საკუთარ სახელთა ტრანსფერირებას ერთი ენიდან მეორეზე მთარგმნელის გემოვნებასა თუ ენობრივ ალღოზე დამოკიდებულს კი არ გახდის, არამედ დასაბუთებულ გრამატიკულ კანონზომიერებებს დაუქვემდებარებს. ამ მიზნით ნაშრომი განსახილველ სუბკლასში ერთმანეთისგან გამიჯნავს უშუალოდ სახელებსა და სახელის სინტაგმებს, თითოეულ მათგანს აღწერს სემანტიკური იზოლირებულობისა და დესკრიპტიულობის ან მოჩვენებითი დესკრიპტიულობის ფაქტორების გათვალისწინებით, შესაბამისად კი გამოყოფს საკუთარ სახელთა ტრანსფერირების სამ, თვისობრივად ურთიერთგანსხვავებულ, პროცედურულ ხერხს. ანალიზისას, ბუნებრივია, ითვალისწინებს სამიზნე ენის ფონემური და გრაფემული ინვენტარის შეთავსებადობას ერთმანეთთან, ისევე როგორც ამოსავალი ენის ანალოგიურ ინვენტართან სისტემურ დონეზე, სინტაგმატური მიმართებების თვალსაზრისით კი ცდილობს, ანგარიში გაუწიოს, ერთი მხრივ, სამიზნე ენის გრაფოტაქტიკურსა და ფონოტაქტიკურ წესებს, მეორე მხრივ კი, მსოფლიო მასშტაბით ფეხმოკიდებულ კომპრომისულ განწყობას ადაპტირება-ასიმილირების პროცესებისადმი თანამედროვე ადამიანის მრავალენოვნების ფონზე; ზომიერი ტოლერანტობით უდგება ტრადიციით გადმოცემულ მემკვიდრეობას და უშვებს ინდივიდუალურ მიდგომას ანთროპონიმებისადმი, როგორც პოტენციურად ვარირებადი/არაიზოტოპური სტრუქტურებისადმი თვით ამოსავალ ენაშიც, თუმცა იმავდროულად მკაცრად თანმიმდევრულია ტოპონიმების, როგორც ენის ლექსიკური მარაგის მყარი ნაწილის, სალექსიკონო წესით ნორმირების მიმართ.

პროექტის განხორციელების შედეგებს სისტემატურად წარვადგენ საჯარო გამოსვლებსა და პუბლიკაციებში უპირველესად ევროპის გერმანულენოვან ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც. პლენარული მოხსენება აღნიშნულ თემატიკაზე დაგეგმილი მქონდა 2020 წლის დეკემბერში ვენის უნივერსიტეტში ავსტრიის ლინგვისტთა ასოციაციის 46-ე ყრილობაზე, რომელიც გადაიდო პანდემიის გამო. ბოლო გამოსვლა არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში (*მდინარეთა სახელები*; იხ. ქვემოთ) შედგა 2021 წლის 7 დეკემბერს.

ნაშრომის პირველი, სალექსიკონო ნაწილი (არაფორმატირებული მანუსკრიპტი 900 გვერდი) დავასრულე 2021 წელს და გადავეცი თსუ გამომცემლობას. ნაშრომი ამჟამად წარმოების პროცესშია.

პროექტის მეორე, მონოგრაფიული ნაწილის შესასრულებლად სტიპენდიის მოსაპოვებელ განაცხადს გავაკეთებ პანდემიასთან დაკავშირებით გერმანიის აქტუალური რეგულაციების შესაბამისად.

3. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ტყვეების აუდიოარქივის დამუშავება

პროექტზე მუშაობა დავიწყეთ 2017 წელს. შესრულებული გვაქვს ომის მონაწილე ტყვეების ჩანაწერთა ტრანსკრიპტი, მათი თარგმანი, ტექსტების აღწერა ეპოქის კულტურისტორიულ კონტექსტში.

2019 წელს ინსტიტუტმა გაგვიგრძელა პროექტის ჩაბარების ვადა დასამუშავებელი მასალის დიდი მოცულობის, საქართველოს ტერიტორიული დაშორებისა და საარქივო მასალის კონფიდენციალურობის გათვალისწინების საფუძველზე.

2020 წლის მარტში დაგეგმილი სამუშაო შეხვედრა – *ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ბერლინის აუდიოარქივში* მასალების შემდგომი დამუშავების მიზნით – ვერ შედგა პანდემიის გამო. პროექტი ამ ეტაპზე დროებით შეჩერებულია. მომდევნო სამუშაო შეხვედრა, შესაბამისად პროექტის დასრულებაც, დამოკიდებულია პანდემიით ნაკარნახევ ვითარებაზე.

3. 2. დასრულებულიპროექტი

1) დასრულებული(მრავალწლიანი)პროექტის დასახელება. მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

დიუსელდორფის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტის პროფესორ დიტრიხ ბუსესთან (Prof:Dr. Dietrich Busse) მრავალწლიანი (2012- 2021) ერთობლივი პროექტის დასრულება და ნაშრომის: Dietrich Busse, Lali Ketsba- Khundadze: *Gründzüge der germanistischen Linguistik. Einführungskurs სარედაქციოდ მომზადება (290გვ.)*

გადაცემულია სარეცენზიოდ და გამოსაცემად UTB Franke Verlag Tübingen, გამოცემა 2022 წ.

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი;

2) **პროექტის დაწყების და დამთავრების წლები**

ნაშრომი წარმოადგენს გერმანისტული ლინგვისტიკის ძირითადი ასპექტებისა და მეთოდების თეორიულ და პრაქტიკულ აღწერას, გამოყენებული იქნება როგორც გერმანელი ასევე გერმანისტიკის შემსწავლელი უცხოელი, მათ შორის ქართველი მაგისტრანტების მიერ..

1. *2012-2021წწ.*

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები
4.1. საერთაშორისო პატენტები:
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.
2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. **დავით მაზიაშვილი**

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. **შექსპირის პოსტმოდერნიზმი (პროზა, დრამატურგია, თეატრი)**
ISBN 978-9941-9740-0-7

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **თბილისი, გამომცემლობა „24 საათი“**

4) გვერდების რაოდენობა
1. **252 გვერდი**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შექსპირის პოსტმოდერნიზმი
(პროზა, დრამატურგია, თეატრი)

მონოგრაფია ეძღვნება უილიამ შექსპირის რეცეფციას პოსტმოდერნისტულ ინგლისურ პროზაში, დრამატურგიასა და ინგლისურ და ქართულ თეატრში. კერძოდ, ნაშრომში შესწავლილია თანამედროვე ინგლისელი მწერლების ენჯელა კარტერის, იან მაკიუენის, ედუარდ ბონდის და ჰოვარდ ბარკერის შემოქმედება. აგრეთვე, მონოგრაფიაში გააზრებულია თანამედროვე დასავლეთის სოციო-პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტში თანამედროვე ინგლისელი და ქართველი რეჟისორების მიერ ლონდონის და ქართულ თეატრებში დადგმული შექსპირის შემოქმედების უახლესი ინტერპრეტაციები.
მონოგრაფია გამორჩეულია იმითაც, რომ ნაშრომს ერთვის დავით მაზიაშვილის მიერ 2015, 2019 და 2020 წლებში თბილისში, ლონდონსა და ოქსფორდში გადაღებული სამი დოკუმენტური ფილმი ქართული შექსპირიანას შესახებ.
წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისა და ზოგადად შექსპირით, პოსტმოდერნისტული ლიტერატურით, დრამატურგიითა და თეატრით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის.
5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. კრებულები
1)ავტორი/ავტორები
1. მ.რუსიეშვილი, რ.დოლიძე
2.

2)კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ინგლისური ფილოლოგიის აქტუალური საკითხები. ISBN 978-9941-9532-2-4
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, „ბარტონი“.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1. 11-25.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები
1. ც.ახვლედიანი, გ.ყუფარაძე, ქ. გაბუნია
2. ნ. სარაჯიშვილი, გ.ყუფარაძე
3. ც.ახვლედიანი, გ.ყუფარაძე, ქ. გაბუნია
4. ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე, ქეთევან გაბუნია
5. გ. ყუფარაძე, ც. ახვლედიანი, ქ. გაბუნია
6. გ. ყუფარაძე, ც. ახვლედიანი, ქ. გაბუნია
7. მარინა / ბასილაია ნატალია
8.. ანდრაზაშვილი მარინა / ბასილაია ნატალია
9. ლელა ებრალიძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1.. პიროვნების მახასიათებელი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ასპექტები თანამედროვე ფრანგული და ინგლისური ენების იდიომატურ გამონათქვამებში, SJIF=6.505 (Scientific Journal Impact Factor), DOI: ***https://doi.org/10.52340/lac;*** PORTAL OF E-JOURNALS (4science.ge)
2. ემოციის გადმოცემის ლინგვისტური საშუალებები ტექსტში (მოთხრობების „A Friend on the Line“ და „The Blanket“- ის მასალაზე), SJIF=6.505 (Scientific Journal Impact Factor), DOI: https://doi.org/10.52340/lac; PORTAL OF E-JOURNALS (4science.ge)
3. ფრანგულ და ინგლისურ პოლისემიურ სიტყვათა სემანტიკის თავისებურებანი, DOI: 10.13140/RG.2.2.24402.27843
4. ფრაზეოლოგიური ერთეულები კომპონენტით “რელიგიონიმები”, / ფრანგული და ინგლისური ენების მასალაზე/, DOI: 10.13140/RG.2.2.34468.60807
5. რეალიათა ამსახველი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ და ინგლისურ ენებში, DOI: https://doi.org/10.52340/idw, https://journals.4science.ge/index.php/IDW/article/download/503/497
6. გ.ყუფარაძე, ც.ახვლედიანი, ქ. გაბუნია, გენდერულ-ნეიტრალური ენა ინგლისურ და ფრანგულ სამეტყველო კულტურებში, ენა და კულტურა, №25; გვ.18-22; meridiani777@gmail.com ISSN 1987-7232, E- ISSN 2720-7900, SJIF=6.505, DOI: ***https://doi.org/10.52340/lac;*** PORTAL OF E-JOURNALS (4science.ge)
7. . მხატვრული თარგმანი, როგორც აღქმით-შემეცნებითი დიალოგის ღია ფორმა.
8. ფერთა გამა, გარდატეხილი სინესთეტი-მწერლის პრიზმში, და მისი ენობრივი გამოხატულება.
9. „ზღვა როგორც მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლო ედგარ პოს პოეზიაში“ - Journal DOI: https://doi.org/10.52340/gs; E-ISSN: 2667-9760

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ენა და კულტურა, №25
2. ენა და კულტურა, №25
3. "ფრანკოფონიის მერიდიანები"
4. “ანტიკურობა და ფრანგული კულტურა”
5. ,,კულტურათაშორისი დიალოგები“ VI
6. ენა და კულტურა, №26

7. ქუთაისის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“. ქუთაისი, 7-9 მაისი, 2021 წელი. ZOOM-ის პლატფორმაზე.
https://odin.mgimo.ru/nov-pod-mgimo/4217-kutaisskaya-vi-mezhdunarodnaya-nauchnaya-konferentsiya-yazyk-i-kultura
8. თურქმენეთის განათლების სამინისტრო, თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემია. კონფერენცია თემაზე: „მეცნიერება, ტექნიკა და ინოვაციურ ტექნოლოგიათა განვითარება“, მიძღვნილი თურქმენეთის დამოუკიდებლობის 30 წლისთავისადმი..
https://ashgabat.in/2021/03/09/science-technology-and-development-of-innovative-technologies-ashgabat-conference-will-hold-in-summer/pdf
9. „ქართველი მეცნიერები“ ტომ. 3 No. 4 (2021)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საქართველო, „მერიდიანი“, meridiani777@gmail.com ISSN 1987-7232
2. თბილისი, საქართველო, „მერიდიანი“, meridiani777@gmail.com ISSN 1987-7232
3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო, ATSU - CRU - ფრანკოფონია
4. თელავი, საქართველო, **ISSN: 2233-3401**
5. თბილისი, საქართველო, „მერიდიანი“, meridiani777@gmail.com ISSN 1987-7232
6. თსუ
7. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდი.
8. აშხაბადი, 2021
9. საქართველო

5) გვერდების რაოდენობა
1. რვა (8)
2. შვიდი (7)
3. შვიდი (7)
4. შვიდი (7)
5. ხუთი (5)
6.. ხუთი (5)
7 7
8 9
9. 10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პიროვნების მახასიათებელი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ასპექტები თანამედროვე ფრანგული და ინგლისური ენების იდიომატურ გამონათქვამებში

იდიომები რჩებიან თავისებურ, ენის ლექსიკური შედგენილობის სპეციფიურ ერთეულებად, რომლებიც განსხვავდებიან სიტყვებისაგან. სიტყვის გამოყენება იდიომატურ ერთეულში – ეს მხოლოდ მისი სპეციფიური გამოყენებაა. მოცემული ერთეულების ცალკე გაფორმება ქმნის განსაკუთრებულ (სიტყვისაგან განსხვავებულ) შესაძლებლობებს მისი ემოციონალურ-ექსპრესიული მიზნით გამოყენებისათვის.
იდიომატური გამონათქვამები არის სტაბილური კომბინაციები, რომლებიც ამშვენებს მეტყველებას. ეს განუყოფელი სტუქტურები, რომლებსაც აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა, განსაზღვრავენ ფენომენებს, თვისებებს, მდგომარეობებს და ნიშნებს. მათ უწოდებენ ისეთ მონაცვლეობებს, რომლებიც

თავისუფლად იყოფა ნაწილებად. უფრო მეტიც, ეს ელემენტები დამოუკიდებელია და გარკვეული მნიშვნელობა აქვთ.

იდიომატური გამონათქვამები განიხილებიან ისეთ ლინგვისტურ ერთეულებად, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ისეთი სიტყვათა ჯგუფების სახით, რომლებიც ხშირად წინასწარ განუსაზღვრელია სტრუქტურის მიხედვით და განსაკუთრებით მნიშვნელობის მიხედვით.

ჩვენი კვლევის მასალა შერჩეულია და აღებულია ფრანგული და ინგლისური განმარტებითი და ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან.

ფრაზეოლოგიური სემანტიკის სპეციფიკა განისაზღვრება იმ ფაქტით, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები ასახავენ სინამდვილის არა იმ ფრაგმენტს, რომლებიც დასახელებულია სიტყვა-კომპონენტებით, არამედ გვაძლევენ ინფორმაციას იმ სამყაროზე, რომელიც მიიღება მეორადი ნომინაციის შედეგად.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა და იდიომატიზირებული ლექსიკის უმაღლეს ფუნქციას წარმოადგენს ექსპრესიულობა. ფრაზეოლოგიზმები, ძირითადად, ემსახურებიან ენის ემოციურ სფეროს.

როგორც ფრანგული და ინგლისური, ასევე სხვა ენების იდიომატურ ერთეულთა წარმოშობის წყაროები მრავალფეროვანია. მათი ხატები მიღებულია ხალხთა მატერიალური, კულტურული და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროსაგან. მათში ასახულია ხალხთა ისტორია, ყოფა და კულტურა, მათი სულიერებისა და აზროვნების სახეობები. ფრაზეოლოგიზმები ითვლებიან ენის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ერთ-ერთ ყველაზე მეტად ნათელ გამოვლინებლებად.

იდიომები დადებითი შეფასებით (ანუ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანსა და მის დადებით მახასიათებელ მხარეებს) გამოიყენებიან ჩვეულებრივ გამონათქვამებში, წარმოადგენენ რა სხვა ადამიანის აღწერას ან დახასიათებას. ადამიანის მახასიათებელი იდიომები, უმეტესად, ისტორიულად განპირობებულნი არიან.

ამგვარად,ზემოჩამოთვლილი იდიომატური გამონათქვამებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უმეტესად ეს იდიომები ატარებენ პიროვნების ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტთა ნეგატიურ შეფასებას.

2. ემოციის გადმოცემის ლინგვისტური საშუალებები ტექსტში

(მოთხრობების **„A Friend on the Line“** და **„The Blanket“**- ის მასალაზე)

ემოციის გამოხატვის საშუალებათა სემანტიკის აღწერა შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებში, სადაც განვიხილავთ და ვაანალიზებთ ტექსტს, წარვმართავთ მისი ლექსიკური და სემანტიკური ერთეულების კვლევას სხვადასხვა კუთხით.

წინამდებარე სტატიაში წარმოვადგენთ ნაწარმოების პერსონაჟთა შინაგან სამყაროს, მათი სულიერი თუ ემოციური მდგომარეობის სრული სურათის აღწერას იმ ენობრივი საშუალებებით, რომლებსაც ავტორები იყენებენ მთავარ გმირთა პიროვნული ხატის სრულად ჩვენებისა და მკითხველის მიერ ზედმიწევნითი სიზუსტით აღქმის მიზნით.

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ სტრუქტურულ-სემანტიკური დინამიკისა და პრაგმატისტული ანალიზის მეშვეობით განსაკუთრებული აქცენტი (მინიშნება) კეთდება პრაგმატისტულ ასპექტზე ანუ იმაზე, თუ რა ინფორმაციაა ჩადებული ადრესანტის (პერსონაჟის) მიერ ამა თუ იმ ემოციის გამოხატვისას და როგორ აღიქვამს ადრესატი (მკითხველი) გადმოცემულ ინფორმაციას იმ ენობრივ საშუალებათა საფუძველზე, რომელთაც იყენებს ნაწარმოების გმირი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

წინა პლანზე წამოვწიეთ ძირითადი ემოციებისათვის და ემოციის შემცველი ენობრივ საშუალებათა სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები. ემოციათა გამოხატვის პრაგმატისტული პოტენციალის კვლევა ნამდვილად ღირებულია მხატვრული ტექსტის პრაგმალინგვისტიკისათვის, სხვადასხვა ხალხთა ისტორიის კვლევისათვის, რაც უცილობლად ასახავს თანამედროვე ენათმეცნიერების ამოცანათა ფართო სპექტრს.

კვლევის შედეგად ასევე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მხატვრულ ტექსტში ემოციური დატვირთვა/შეფერეილობა შეიძლება გამოყენებულ იქნას პერსონაჟის მეტყველების კულტურის უკეთ

წარმოჩინებასა და აღქმაში, რაც გულისხმობს ნაწარმოების გმირთა მიერ, ინტერაქციის დროს, ემოციათა გამოხატვის საშუალებათა გამოყენების მართებულობას.

3. ფრანგულ და ინგლისურ პოლისემიურ სიტყვათა სემანტიკის თავისებურებანი

ფრანგული და ინგლისური ენები, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ენა, განუწყვეტელ ევოლუციას განიცდიან. ენის ლექსიკური შემადგენლობა გამუდმებით ივსება ახალი ლექსიკური ერთეულებით. ამასთანავე, შეინიშნება ენობრივ საშუალებათა და კოგნიტიურ ძალვათა ეკონომიისადმი ტენდენციაც. ეკონომიის პრინციპის წყალობით, პრაქტიკულად, ენის ნებისმიერ ერთეულს გააჩნია ახალ მნიშვნელობათა განვითარების საკმაო პოტენციალი, რაც იწვევს მრავალმნიშვნელოვნიანობის, ანუ პოლისემიის განვითარებას.

წინამდებარე ნაშრომში ასახულია ცხოველების აღმნიშვნელ ფრანგულ და ინგლისურ სუბსტანტივთა სემანტიკური ცვლილებების შედეგები. შევეცადეთ გამოგვევლინა ის კოგნიტიური მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო მრავალმნიშვნელობიანობის განვითარებას. ჩატარებულია ზოომორფიზმის დაწვრილებითი კომპონენტური ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ის სფერო, რომელშიც ყველაზე მეტად ხდება სემანტიკური დერივაცია.

პოლისემიურ სიტყვათა ახალი მნიშვნელობების წარმოქმნის პროცესის დახასიათებისათვის საჭიროა განვმარტოთ ტერმინი სემანტიკური დერივაცია. სემანტიკური დერივაცია არის ამოსავალი მნიშვნელობებიდან ნაწარმოებ მნიშვნელობათა წარმოქმნა ნიშანთა ფორმების ცვლილებათა გარეშე. ამგვარად, სემანტიკური დერივაცია წარმოადგენს მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის მნიშვნელობათა წარმოქმნის პროცესს ამოსავალი მნიშვნელობის სემური შემადგენლობის გარდაქმნის ბაზაზე, რისი შედეგიცაა პოლისემია.

ვ. ჰუმბოლტდი ენას მიიჩნევდა აზრის წარმომქმნელ ორგანოდ და მიუთითებდა ენისა და აზროვნების განუწყვეტელ ერთიანობაზე. მეტყველება და ენა ქმნიან ადამიანური ენის ერთიან ფენომენს, თუმც იმავდროულად ერთმანეთს უპირისპირდებიან. ფ. დე სოსიური მკაცრად მიჯნავდა ენასა **(la langue) (language)** და მეტყველებას **(la parole) (speech)**; თუმც აღნიშნავდა, რომ ისინი ერთი სამეტყველო ქმედების **(le langage)** კომპონენტებს წარმოადგენენო. ენა - ეს არის გრამატიკული სისტემა და ლექსიკა, ანუ ენობრივ საშუალებათა ინვენტარი, რომლის ათვისების გარეშე შეუძლებელია სამეტყველო ურთიერთობა. მეტყველება - ესაა ენის საშუალებათა გამოყენება ურთიერთობის მიზნით.

დასკვნის სახით შევნიშნავთ, რომ ნაწარმოებ ლექსიკურ-სემანტიკურ ვარიანტთა რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა სემანტიკური დერივაციის ძირითად მოდელთა შემდეგი თანაფარდობა: პოლისემიურ სიტყვათა 26% იქმნება **მოდელით "დახასიათება → ადამიანის დახასიათება";** 22% - **«ცხოველის გარეგნული სახე → ადამიანის გარეგნული სახე»**; 17% - **«ცხოველის ცხოვრების ყაიდა → ადამიანის ცხოვრების ყაიდა»**; 35% - **«ცხოველის ქცევის წესი → ამ ცხოველის ქმედების გამომხატველი ადამიანი».** ვეყრდნობით რა ამ კვლევას, აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ოთხივე შემთხვევაში ახალი მნიშვნელობა წარმოიქმნება სხვა მნიშვნელობიდან სემანტიკური დერივაციის განსაზღვრული მოდელებით, რეგულარულ ასოციაციათა საფუძველზე.

4. ფრაზეოლოგიური ერთეულები კომპონენტით "რელიგიონიმები"

/ ფრანგული და ინგლისური ენების მასალაზე/

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ფაქტორს აქვს უნარი გამოიწვიოს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შიდა ფორმის გაბუნდოვანება; განვიხილავთ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შიდა ფორმებს, რომელთა შემადგენლობაშიც გვხვდება რელიგიური ლექსიკა. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ეს ჯგუფი ავირჩიეთ კვლევის ობიექტად, რადგან ასეთი ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ შესაპირისპირებელი ენების ფრაზეოლოგიური შემადგენლობის არსებით ნაწილს

ჩვენი ნაშრომი ეხება ინგლისური და ფრანგული ენების იმ ფრაზეოლოგიური ერთეულების შიდა ფორმის გაბუნდოვანების ფენომენს, რომლებიც შეიცავენ კომპონენტ რელიგიონიმებს, ანუ სხვადასხვა სპეციალიზაციის რელიგიურ ლექსიკას. კვლევის მთავარ მეთოდს წარმოადგენს მეცნიერული აღწერა, რომელიც შეიცავს ინტერპრეტაციის, სისტემატიზაციის, კლასიფიკაციის ხერხებს, ასევე სტატისტიკურ მეთოდებს. კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიური ლექსიკის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულები,

ექსპრესიული გადააზრების დროს, კარგავენ დერივაციულ კავშირს პირდაპირ და გადააზრებულ მნიშვნელობებს შორის. შესაპირისპირებელ ენებს შორის, მაღალი იზომორფიზმის ხარისხი შეინიშნება იმ სხვადასხვა ასპექტებში, რომლებიც უკავშირდებიან კომპონენტთა ექსპრესიულ გადააზრებას და შიდა ფორმის გაბუნდოვანების ექსტრალინგვისტურ მიზეზებს.

რელიგიურ კომპონენტიანი ფრაზეოლოგიური ერთეულები კარგავენ მოტივირებულებას ერთ-ერთი კომპონენტის ექსპრესიული გადააზრებით, რის შედეგადაც რელიგიური თემატიკის ლექსემები კარგავენ რეფერენციას რელიგიური ცნებების მიმართ და მოქმედებენ ინტენსიფიკაციის ფუნქციით, ასევე შორისდებულთა ან გამამლიერებელ ნაწილაკთა ფუნქციით, გამოხატავენ რა ისეთ ემოციებს, როგორებიცაა გაბედულება, მრისხანება, შიში, მადლიერება და ა.შ.

ზოგიერთ ფრაზეოლოგიზმში შიდა ფორმის გაბუნდოვანება ხდება ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტური შემადგენლობის დამახინჯების შედეგად, სიტყვა-კომპონენტების გადასვლით არქაიზმების ან დიალექტიზმების ჯგუფში, ასევე სხვა მომენტებითაც, რომლებიც აფერხებენ ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტთა თანაშეფარდებას თავისუფალი ხმარების სიტყვებთან.

რაც შეეხება ფრაზეოლოგიური ერთეულების მიერ შიდა ფორმების დაკარგვის ექსტრალინგვისტურ მიზეზებს, აღსანიშნავია, რომ ისინი სხვადასხვაგვარად ვლინდებიან ინგლისურ და ფრანგულ ენებში. ინგლისური ენისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია ფრაზეოლოგიური ერთეულის დემოტივაცია, რაიმე ისტორიული ფაქტის ან მოვლენის მივიწყების შედეგად.

მთლიანობაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრაზეოლოგიზმები, ეტიმოლოგიურად მომდინარენი რელიგიის თემიდან და კომპონენტური შემადგენლობით დაკავშირებულნი რელიგიურ თემატიკასთან, აგრძელებენ აქტიურ გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ არაიშვიათად, საზოგადოების ცხოვრებაში ეკლესიის როლი ცვალებადია და ისინი სრულად კარგავენ კავშირს პირდაპირ მნიშვნელობასთან; თუმც, გამჭვირვალე შიდა ფორმის მატარებელ ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან შედარებით, მათ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ სტილისტური გამოყენებისათვის, დიდ სიძნელეს წარმოადგენენ თარგმნისას, ასევე აქვთ სხვადასხვა ტრაქტოვკისადმი ტენდენცია თვით ენის მატარებელთა შორისაც.

5.რეალიათა ამსახველი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ და ინგლისურ ენებში

ფრაზეოლოგიზმები გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში, მხატვრულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტიკაში. ისინი გამონათქვამს ანიჭებენ გამომხატველობას და წარმოადგენენ ხატოვანების შექმნის საშუალებას.

ფრაზეოლოგიზმებს თავიანთი სპეციფიკა აქვთ ყოველ ენაში, ისინი ასახავენ და წარმოგვიდგენენ ნაციონალურ მენტალიტეტს, გარემომცველი სამყაროს აღქმის ცნობიერებასა და მის გამოხატვას ლექსიკურად და გრამატიკულად; ასევე მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა გამოყენების თავისებურებანიც.

წინამდებარე სტატიის მიზანია უცხოური ენის საკომუნიკაციო სწავლების თვალსაზრისით, ფრაზეოლოგიზმთა შესწავლა და ანალიზი. უცხოური ენის შესწავლისას, გარდაუვალია და აუცილებლად გვხვდება იმ ავთენტურ ტექსტთა გაგებისას არსებული სირთულეები, რომლებიც შეიცავენ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, მათ შორის ანდაზებს, თქმებსა და შედარებებს.

ფრაზეოლოგიის მჭიდრო კავშირი ამა თუ იმ ხალხთა ისტორიასთან, ყოფასთან და კულტურასთან, საყოველთაოდ ცნობილია, რადგან მასში ასახულია ამ ხალხთა სულიერება, ფსიქოლოგია და აზროვნების მანერა.

ერთი ენის ფრაზეოლოგიის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა უფრო მეტად ნათლად ვლინდება მეორე ენის მყარ გამონათქვამებთან შეპირისპირების დროს.

ამგვარად, ფრაზეოლოგია, ისევე როგორც ენა მთლიანობაში, ინარჩუნებს არა მხოლოდ ნაციონალურ, არამედ ინტერნაციონალურ ფონურ ცოდნასაც. სპეციალურ ლიტერატურაში, არაიშვიათად აღინიშნება, რომ სხვადასხვა ენათა ფრაზეოლოგიური ერთეულების სრული დამთხვევა შინაარსის პლანსა და გამონათქვამის პლანში ხშირად არ შეინიშნება, თითოეული ამ ენის თავისებურებათა რეალიზაციის გამო ფრაზეოლოგიურ ერთეულებში.

უფრო მეტად, ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების ფრაზეოლოგიური ექვივალენტები ხასიათდებიან ლექსიკური და გრამატიკული განსხვავებებით. ფრაზეოლოგიმთა დიდი ნაწილი ინტერნაციონალიზებულ ერთეულებად გვევლინებიან მოცემულ ენებში, რაც თვალნათლივ დაგვანახა ჩატარებულმა დეტალურმა ანალიზმა.

6. გენდერულ-ნეიტრალური ენა ინგლისურ და ფრანგულ სამეტყველო კულტურებში

გენდერული ლინგვისტიკა დეტალურად შეისწავლის გენდერულ-ნეიტრალურ ასპექტს, რომელიც ვლინდება ენაში. ერთ-ერთი მისი დებულება გვაუწყებს, რომ ენა არა მარტო ისეთ თვისებას ფლობს, როგორიცაა ანთროპოცენტრულობა (ადამიანზე ორიენტაციები), არამედ ანდროცენტრულობასაც, ანუ წარმოგვიდგენს სამყაროს სურათს, რომელიც ეფუძნება მამაკაცურ თვალსაზრისს, მამაკაცის სახით. ენაში ასეთი გენდერული ასიმეტრიის გამოვლენა იწვევს არათანაბარზომიერ წარმოდგენას სხვადასხვა სქესის პირებზე და განიხილება არატოლერანტულად, განსაკუთრებით უცხოენოვანი კულტურის წარმომადგენელთა შორის.

ჩვენს ნაშრომში განვიხილავთ გენდერულ-ნეიტრალური ენის თავისებურებებს ინგლისურ და ფრანგულ ლინგვოკულტურებში, განვსაზღვრავთ გენდერულ-ნეიტრალური ლექსიკის მსგავსება - განსხვავებებსა და მათი წარმოქმნის ხერხებს. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ენობრივ პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტკორექტულობის მოთხოვნები, რომლებიც განპირობებულია არაენობრივი მიზეზებით.

დასასრულ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინგლისურ და ფრანგულ ლინგვოკულტურებში სხვადასხვა ხერხით ენიჭება პრიორიტეტი რეფერანტ-ქალთა აღნიშვნას პროფესიულ სფეროში. ინგლისური ენისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია (და ამის შედეგად, უფრო გავრცელებულია) ნეიტრალური ფორმები. ფრანგულ ენაში კი უპირატესობა ენიჭება ფორმებს ფლექსიათა ცვლილებებით ან სახელწოდებათა წარმოქმნის ანალიტიკურ ხერხებს. ასევე, ევროპულ საზოგადოებაში, ენობრივ პოლიტიკაზე და გენდერულ-ნეიტრალური ენის გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენენ პოლიტკორექტულობის მოთხოვნები, განპირობებულნი ექსტრალინგვისტური მიზეზებით.

7. მხატვრული თარგმანი, როგორც აღქმით-შემეცნებითი დიალოგის ღია ფორმა

წინამდებარე მოხსენება არის ერთგვარი გაგრძელება თანაავტორთა მიერ დაწყებული კვლევისა, „საავტორო/ადამიანური“ თარგმანის მანქანურ თარგმანთან შეპირისპირებისა. რამდენადაც ამ ციკლის წინა მოხსენებაში (იხ.ქვემოთ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტში წაკითხული მოხსენების ანოტაცია) ძირითადი აქცენტები მოდიოდა თარგმნის პროცესში ინტელექტუალური, მენტალური და ემოციური მომენტების ირგვლივ თეორიულ მსჯელობებზე, წინამდებარე მოხსენებაში ყურადღება გადატანილია წმინდა ლინგვისტიკურ – გრამატიკული, ლექსიკურ-სემანტიკური და ფრაზეოლოგიური დონის – ფენომენებზე. კერძოდ, აღებულია როგორც ქართული, ისე რუსული აუდიტორიისთვის უცნობი, მაგრამ გერმანიაში ერთობ პოპულარული თანამედროვე გერმანულენოვანი ბელეტრისტის (ყოფილი ადვოკატის სისხლის სამართლის განხრით) ფერდინანდ ფონ შირახის ნაწარმოების „ყავა და სიგარეტი“ (Ferdinand von Schirach; *1956; Kaffee und Zigaretten) ერთი თავი, თარგმნილი ქართულსა და რუსულ ენებზე. იმავე თავის მანქანური პწკარედული თარგმანი შესრულებულია ჰაიდელბერგის კარლ-რუპრეხტ-უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ რესურსცენტრში. გაკეთებულია ოთხივე ვერსიის გერმანული ორიგინალი + პლუს ორივე ცოცხალ ენაზე შესრულებული თარგმანი + პლუს კომპიუტერული თარგმანის დესკრიპტი, რის საფუძველზეც უკვე ენობრივი დონეების გათვალისწინებით წარმოებულია დაწვრილებითი ანალიზი; გამოტანილია შესაბამისი დასკვნები მხატვრული თარგმანის შესრულების პროცესში მანქანური თარგმანის როლის, მისი საჭიროობა-არასაჭიროობის შესახებ.

8. ფერთა გამა, გარდატეხილი სინესთეტი-მწერლის პრიზმში, და მისი ენობრივი გამოხატულება

ფერები ობიექტური სამყაროს შემადგენელი ნაწილია, ამდენად ბუნებრივია, რომ ადამიანი ინდივიდუალურად ახდენს მათ რეფლექტირებას, შესაბამისად კი ასევე მათ რამდენადმე სუბიექტურ კატეგორიზირებასა და ვერბალიზებას. შესაძლოა რიგ შემთხვევებში შედეგი გარკვეულწილად ადეკვატურიც აღმოჩნდეს არსებულ სტანდარტებთან მიმართებაში, სხვა შემთხვევებში კი იგი ნორმიდან გადახრად კვალიფიცირდებოდეს. მხატვრულ ლიტერატურაში (მაგალითად, სიმბოლისტებთან) გავრცელებული ხერხია ფერთა გამიზნულად გადააზრება, ანუ მათი გამოყენება ფიგურატიული, სტილური ხერხის სტატუსით რეალობის გამუქება-დამძიმების (pechschwarz, grellrot/purpurrot) ან პირიქით, შერბილება-გალამაზების მიზნით (rosarot, himmelblau); გამორიცხული არც ის არის, რომ ყოფაში ამ ხერხს ასეთივე წარმატებით მიმართავდეს ენის რიგითი, სრულიად ორდინარული მომხმარებელიც.

ზემოაღწერილისგან არსებითად განსხვავდება ფსიქოლოგიაში სინესთეზიის სახელით ცნობილი ფენომენი, რომელიც სულ სხვა გენეზისის არის და გამოვლენის თვალსაზრისითაც ფორმათა სიმრავლით გამოირჩევა, შესაბამისად შეგრძნების სახეობათა სელექციისა და მათი შერწყმისა, დავუშვათ: სინთეზი სუნისა და ფერისა, შეხებისა და სუნისა, ფერისა და ბგერისა და ა.შ. გენეზისის მიხედვით ფსიქოლოგიაში აღწერენ: ა) გენეტიკურ სინესთეზიას, რომელიც ბავშვობის ასაკშივე გამოვლინდება მოზარდის მენტალურ ჩამოყალიბებასთან ერთად; ბ) მეორეულს/შეძენილს, ანუ გამოწვეულს ცხოვრებაში ემოციურად განცდილის, გადატანილი ფიზიკური და ფსიქიკური ტრავმების შედეგად; გ) სუგესტიურს, აღძრულს სინესთეზიის თემაზე წაკითხული ფსიქოლოგიური ლიტერატურის ზეგავლენის შედეგად; დ) მენტალურს, რომელიც ეფუძნება მწერლის ინტელექტს/ერუდიციას ხელოვნების სხვადასხვა დარგში დაგროვილი ცოდნის შედეგად.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია, ყოველივე ზემოგანხილულის ფონზე ყურადღება შევაჩეროთ სინესთეზიის მხოლოდ ერთ სახეობაზე – ფერისა და მატრეიალური სამყაროს ფენომენთა სინთეზზე და აღვწეროთ ის ენობრივ პლანში, გერმანულენოვანი მხატვრული ლიტერატურიდან მკაცრი კრიტერიუმებით შერჩეული ავტორების ნაწარმოებების საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით.

9. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ზღვის სიმბოლური მნიშვნელობის განსაზღვრას ედგარ პოს პოეზიაში. მიმოხილულია ზოგადად სიმბოლიზმისა და სიმბოლოს რაობა, ედგარ პოს წვლილი სიმბოლიზმის როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის განვითარებაში და მის პოეზიაში მოხმობილი სხვადასხვა სიმბოლოები. მათგან ზღვა შერჩეულია როგორც ნაკლებად შესწავლილი და განსაკუთრებით საინტერესო მისი მრავალმნიშვნელოვნების გამო. აღნიშნული სიმბოლო განხილულია მასთან ტრადიციულად დაკავშირებული ასოციაციების, მისი ბიბლიაში, მითოლოგიასა და სხვადასხვა ეპოქათა ლიტერატურაში გამოყენების გათვალისწინებით. სტატიაში გაანალიზებულია ედგარ პოს რამდენიმე ლექსი, რომლებშიც ზღვა სულ სხვადასხვა მნიშვნელობათა მატარებლად წარმოგვიდგება. წარმოჩენილია, რომ პოს შემოქმედებაში, სადაც დიდწილად ასახულია მისი ცხოვრებისერული ტრაგედიები, უხვად არის გამოყენებული პოეტის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი სიმბოლოები და ერთ-ერთი ასეთი სიმბოლოა ზღვა, რომელიც სხვადასხვა ლექსებში ლირიკული გმირის ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ზოგჯერ ერთმანეთის საპირისპირო განცდებს გამოხატავს და მრავალ სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. სწორედ ეს განაპირობებს ამ სტატიაში მის კვლევის ობიექტად არჩევას.

ამერიკელი რომანტიკოსი პოეტი ედგარ პო სიმბოლიზმის ფუძელდებლად ითვლება. მისი იდეალიზმი და ფორმის სრულყოფილება, მუსიკალობა და მისტიციზმი შთაგონების წყაროდ იქცა აღნიშნული ჟანრის წარმომადგენელთათვის, ხოლო მის „კომპოზიციის ფილოსოფიაში“ მოცემული პრინციპები - სამაგალითოდ და სახელმძღვანელოდ. ედგარ პოს მიერ შექმნილი განსაკუთრებული სინამდვილე თავშესაფარს წარმოადგენდა ნამდვილი, სასტიკი სინამდვილისაგან გასაქცევად, მისი სიმბოლოები კი - საკუთარი აზრებისა და განცდების გამოხატვის საშუალებას, რომელიც ნამდვილი, პირდაპირი ენისაგან განსხვავებით საოცრად დახვეწილი და შეფარულია. გენიალური პოეტის ქმნილებების არსი სწორედ სიმბოლოების მეშვეობით არის გადმოცემული, შესაბამისად პოს შემოქმედებაში გვეხვდება უამრავი სიმბოლო: მითოლოგიური და ბიბლიური პერსონაჟები, ცხოველები და ფრინველები, ფერები, გეოგრაფიული ობიექტები, ბუნებრივი მოვლენები, მნათობები, ნივთები და კიდევ მრავალი.

ამ მრავალფეროვანი გალერეიდან წინამდებარე ნაშრომში საანალიზოდ ზღვა ავირჩიე, რადგან ამ სიმბოლოს როლი პოს შემოქმედებაში ნაკლებად არის შეწავლილი და ამასთან, განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენა როგორც აღნიშნულ სიტყვასთან საზოგადოდ დაკავშირებული ასოციაციების, ისე ავტორის სულიერი მდგომარეობის, მისი ცხოვრების ასახვის თვალსაზრისით. ზღვა, რომელიც ტრადიციულადაც არაერთგვაროვან განცდებს იწვევს ადამიანში და ერთის მხრივ სიმშვიდესთან, სილაღესთან, სილამაზესთან ასოცირდება, მეორეს მხრივ კი - დაღუპვის საშიშროებასთან, ედგარ პოს პოეზიაში ხან სიმშვიდესა და ბედნიერებას უკავშირდება, ხან - სევდას, მარტოობას და სიცარიელეს, ხან დემონებით დასახლებული ბოროტი ძალაა, ხან - თავად ჯოჯოხეთი, ხან დროს გამოხატავს და ხან - თავად ცხოვრებას. ამიტომ ზღვის ხატი, რომელიც ედგარ პოს პოეზიაში ასეთ დიდ როლს თამაშობს და ამდენი სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია, ჩემი აზრით, უდავოდ იმსახურებდა ცაკლე კვლევის ობიექტი გამხდარიყო, რის მცდელობასაც ეს სტატია წარმოადგენს.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები

1. მანანა რუსიეშვილი და სოფიო თოთიბაძე
2. მანანა გელაშვილი
3. მანანა გელაშვილი
4. ირინე დემეტრაძე
5. დავით მაზიაშვილი
6. დავით მაზიაშვილი
7. დავით მაზიაშვილი
8. ნინო დარასელია
9. ნინო დარასელია
10. **გ.ყუფარაძე**, ც.ახვლედიანი
11. ც. ახვლედიანი, **გ. ყუფარაძე**
12. ც.ახვლედიანი, **გ.ყუფარაძე**, **†**ქ. გაბუნია
13. ც.ახვლედიანი, **გ.ყუფარაძე**, **†**ქ. გაბუნია
14. ნ. კაპანაძე, **გ. ყუფარაძე**
15. ც. ახვლედიანი, **გ. ყუფარაძე**
16.. კონსტანტინე ბრეგაძე
17. კონსტანტინე ბრეგაძე
18. მაია ჯავახიძე
19. მაია ჯავახიძე
20. ბელა ხაბეიშვილი
21. ბელა ხაბეიშვილი
22. მ. კობეშავიძე/ნ. ჭრიკიშვილი
23. მ. კობეშავიძე/ნ. ჭრიკიშვილი
24. ნინო ჭრიკიშვილი
25. სალომე კენჭოშვილი
26. სალომე კენჭოშვილი
27. ლელა ებრალიძე
28. სოფიო მუჯირი

2) სტატიის სათაური, ISSN
1. ვირჯინია ვულფის „მისის დელოუეი“ ქართულად, ISSN 2720-7870.
2. ,,ვეფხისტყაოსნის'' ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი, ISSN 2720-7870,
3. მარგარეტ ეტვუდის პროსტმოდერნისტული ვარიაციები ჰომეროსის ,,ოდისეაზე''
4. *Some Linguistic Peculiarities of the Discourse of Beggars (On the material of English and Georgian languages).*, ISSN 1512-1941.

5. მარიჯანი და ჯოისი ალექსიძის ოთახიდან;
6. დანტე 700 - *ბეატრიჩე* ქართულ სცენაზე;
7. კლონიდან ჰუმანოიდამდე.
8. *შუბლთან დაკავშირებული მეტონიმური და მეტაფორული გამონათქვამები ქართულში* ISSN 1987-6653
9. Disability Language and Im/politenss ISSN 1512-1941, ISBN 978-9941-12-964-2
10. ზოგიერთ ლექსიკურ - სემანტიკურ ცვლილებათა შესახებ თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში, ISSN 1512-0694
11. ინგლისურ და ფრანგულ ენათა ფონეტიკური სისტემების ცვლილებათა პერიოდები, ISSN 1512-0694
12. საკუთარი სახელებიდან წარმოებულ სიტყვათა თავისებურებანი /ფრანგული და ინგლისური ენების მასალაზე/, IBSN 978-9941-13-963-5
13. "თეთრი" ფერის კომპონენტიანი კონსტრუქციები რომანულ და გერმანიკულ ენათა ფრაზეოლოგიაში (ფრანგული, ესპანური, იტალიური და ინგლისური ენების მასალაზე), ISSN 1987-7323
14. უარყოფა " NICHT"-ის ზოგიერთი თავისებურება გერმანულში და მისი შესატყვისობები ინგლისურსა და ქართულ ენებში, ISSN 1987-7390
15. frangulი da inglisuri presis evfemizmTa pragmatika, ISSN 1987-7390
16. "ფაუსტის ხსნისა და ცად ამაღლების გოეთესეული კონცეფცია და ტრაგედიის ფინალის ინტერტექსტუალობა", **ISSN 0235-3777**
17. „განათლების საკითხები გოეთეს *ფაუსტში*", **ISSN 1512-2412**
18. პოეტური კონცეპტუალური მეტაფორისათვის (ჯორჯო კაპრონისა და ეუჯენიო მონტალეს ლექსების მაგალითზე) ISSN 1987-7390
19 . გამომდინარეობა, გაფართოება და კომბინირება პოეტურ ტექსტში UDK (უაკ) 81+82
20. სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგიის ინტეგრაცია საუნივერსიტეტო ISSN 1987-7390 UDK (uak) 81+82 S-41 file:///C:/Users/vchichua/Downloads/scripta%204(48)-2020-bolo%20(3)%20(1).pdf
21. მედიაციის როლი ფრანგული ენის სწავლების პროცესში (ჩაშვებულია დასაბეჭდად)
22. განმანათლებლობა ესპანეთში. ISSN 1987-7390
23.ჟარგონის როლი ესპანელი ახალგაზრდების მეტყველებაში. ISSN 1987-7390
24. „მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის ისტორიიდან (ნებრიხადან სამეფო აკადემიის უახლეს გრამატიკამდე), ISSN 1987-7323
25. პანდემიის თემა გაბრიელე დ'ანუნციოს ნოველაში „ბრძოლა ხიდთან. პესკარას ქრონიკა" (იბეჭდება.)
26. XIX საუკუნის პირველი ნახევრის იტალიურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი.
27. „კლასიკური ალუზიები ედგარ პოს პოეზიაში" ISSN: 1987-7323
28. „გერმანული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოტანის საკითხი." გვ. 160-182. ISSN 2720-7862. განთავსებულია რეპოზიტორზე. https://www.tsu.ge/ka/publishing-house
29. რელიგიური მეტამორფოზები რაინერ მარია რილკეს პოეტურ ტექსტებში, https://drive.google.com/file/d/19XAwX79Gph_gKLluFXx9DHwMWyJWPXZI/view

3. **ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი**

1. რეცენზირებული ჟურნალის „სამეცნიერო კვლევები: თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები" პირველი ნომერი.

2. რეცენზირებული ჟურნალის „სამეცნიერო კვლევები: თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები" პირველი ნომერი.

3. ანტიკურობა და ფრანგული კულტურა. საერთაშორისო კონფერენციის მასალები

4. CIVILIZATION RESEARCHES #18, 2021. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2020, ISBN 978-9941-13-964-2. UNESCO Chair in Intercultural Dialogue, 2021
5. მე-15 საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და თემატური გამოცდილება“ კრებული;
6. დანტეს შემოქმედება, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანძური (კრებული);
7. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი „არილი“/ 7(299) 2021.
8. ‚საენათმეცნიერო ძიებანი' #42, ISSN 1987-66536.
9. Civilization Researches #18, UNESCO Chair in Intercultural Dialogue, ISSN 1512-1941 ISBN 978-9941-12-964-2, www.culturedialogue.com
10. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები,ტ.XXXIV
11. ენათმეცნიერების საკითხები (2021 წ.)
12. ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები
13. "SCRIPTA MANENT" 4(51)
14. "SCRIPTA MANENT" 4(51)
15. „ენა და კულტურა“ VI
16. "ლიტერატურული ძიებანი", XLI
17. "სემიოტიკა. სამეცნიერო ჟურნალი", N 21
18. Scripta Manent N2 (50)
19. Scripta Manent N4 (52)
20. Scripta Manent N°4(48), თბილისი, გვ.52-57
21. Scripta Manent (12/2021 ჩაშვებულია დასაბეჭდად)
22. Scripta Manent
23. Scripta Manent
24. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“ # 25
25. მე-15 საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და თემატური გამოცდილება“ კრებული;
26. . მე-15 საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და თემატური გამოცდილება“ კრებული
28. „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა.“ სამეცნიერო შრომათა კრებული N 1. კრებული ეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 175-ე წლისთავს.
29. „ენა და კულტურა," შრომები, VI.

4- გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, საქართველო. თსუ
2. თბილისი, საქართველო. თსუ
3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
4. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2020, ISBN 978-9941-13-964-2. UNESCO Chair in Intercultural Dialogue, 2021 ჟურნალი არის ბეჭდურიც და ელექტრონულიც (http://www.culturedialogue.com/resources/library/civilresearches/index.shtml
5. თბილისი, საქართველო; უნივერსიტეტის გამომცემლობა **(გამოიცემა ა/წ ბოლომდე);**
6. თბილისი, საქართველო; უნივერსიტეტის გამომცემლობა **(გამოიცემა ა/წ ბოლომდე);**
7. თბილისი, საქართველი; საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალ „არილის“ გამომცემლობა.
8. არნ.ჩიქობავას სახ.ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, თბილისი:2021
9. Tbilisi: TSU Press, 2021
10. თსუ, თბილისი, საქართველო, www.press.tsu.ge
11. თსუ, თბილისი, საქართველო, www.press.tsu.ge
12. თსუ, თბილისი, საქართველო, www.press.tsu.ge
13. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
14. თბილისი, სტუ, საქართველო, www.odageorgia.ge

15. თბილისი, სტუ, საქართველო, www.odageorgia.ge
16 თბილისი, ლიტერატურის ინსტ. გამ-ობა
17. თბილისი, სემიოტიკის კვლევის ცენტრი
18. საქართველო. ღია დიპლომატიის ასოციაცია
19. საქართველო. ღია დიპლომატიის ასოციაცია
20. თბილისი, Scripta Manent, OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION
21. თბილისი, Scripta Manent, OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION
22. 2021. თბილისი
23. 2021. თბილისი
24. 2021 ქუთაისი
25. თბილისი, საქართველო; უნივერსიტეტის გამომცემლობა
26. თბილისი, საქართველო; უნივერსიტეტის გამომცემლობა
27. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“ #25, 2021
28. თსუ, თბილისი. 2021
29. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი. 2021.

5) გვერდების რაოდენობა

1. 10
2. 10
3. იბეჭდება
4. 8
5. 9.
6. 6
7. 25-34
8. 133-143
9 . შვიდი (7)
10. თორმეტი (12)
11. იბეჭდება
12. ექვსი (6)
13. იბეჭდება
14. იბეჭდება
15. იბეჭდება
16. 13 გვ.
17. 21 გვ.
18. გვ.45-51
19. გვ.36-43
20. 6
21. 7
22. გვ. 24-30.
23. გვ. 30 -35.
24. 7 გვერდი
25. 8
26. იბეჭდება
27. გვ. 85-89
28. 6 გვ.
29.15 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ვირჯინია ვულფის „მისის დელოუეი“ ქართულად

“მისის დელოუეი” ვირჯინია ვულფის კარგად ცნობილი მოდერნისტული, ფსიქოლოგიური ნაწარმოებია, რომელიც, ცნობიერების ნაკადის ტექნიკაზე დაყრდნობით, ასახავს კლარისა

დელოუეისა და მისი ახლობლების, ასევე სეპტიმუს უორენ სმიტის სულიერ სამყაროსა და ცხოვრებას. შესაბამისად, მისის დელოუეის ავტორის ენობრივი ქარგის შესწავლა ინგლისურ ენაზე გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, მოდერნისტების მიერ შემუშავებული მრავალი ექსპერიმენტული, ენობრივი გამომსახველობითი საშუალებების ამ
ნაწარმოებში გამოვლენილი ერთეულების შესწავლას, ცნობიერების ნაკადისთვის დამახასიათებელი სტრატეგიების, მაგალითად, თავისუფალი ირიბი დისკურსის (შინაგანი მონოლოგის, თავისუფალი ირიბი ფიქრისა და მეტყველების) და, ამასთანავე, ტრადიციული მეტაფორულ-ხატობრივი თავისებურებების კვლევას. ეს პრობლემატიკა კიდევ უფრო საინტერესო ხდება, როდესაც დღის წესრიგში დგება ავტორისეული ტექსტისა და მისი თარგმანის შედარების საკითხი. ნაშრომის მიზანია ვირიჯინია ვულფის „მისის დელოვეის“ ტექსტის რამდენიმე მონაკვეთისა და მისი ორი ქართული თარგმანის შედარება მათი სიზუსტისა და ეკვივალენტურობის დადგენის თვალსაზრისით

2. ,,ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი

ნაშრომში გაანალიზებულია ,,ვეფხიტყაოსნის'' სამი თარგმანი ინგლისურ ენაზე: მარჯორი უორდროპის (The Man in the Panther's skin, A Romantic Epic by Shota Rustaveli, Oriental Translation Fund, London, 1912), ვენერა ურუშაძისა (The Knight in the Panther's Skin, Tbilisi, Sabchota Sakartvelo, 1968) და ლინ კოფინის (The Knight in the Panther Skin, Turkey, Poezia Press, 2015).

ამ თარმანებს ერთმანეთისაგან ნახევარი საუკუნე აშორებს და სხვადასხვა მთარგმნელობით პრონციპებს ემყარება, შესაბამისად მიღებული თარგმანები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და საინტერესო მასალას წრმოადგენენ შედარებითი კვლევისთვის.

მარჯორი უორდროპის პროზაული თარგმანი დედნისადმი ერთგულებით გამოირჩევა. მთარგმნელმა უარი თქვა სალექსო ფორმაზე, რადგან ჩათვალა, რომ ამით ნაწარმოების აზრობრივი მხარე დაზარალებოდა. თარგმანის წინასიტყვაობაში, რომელიც ოლივერ უორდროპს ეკუთვნის ვკითხულობთ: ,,ეს არის მცდელობა ამ წიგნის ერთგული, სიტყვასიტყვითი გადმოცემის. წიგნისა, რომელიც სარკეა დიადი წარსულის მქონე კულტურული ერის.'' თარგმნის სირთულეებთან დაკავშირებით კი უპირველეს სირთულედ ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის სიმდიდრესა და დიდ მოქნილობას ასახელებს.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ვენერა ურუშაძეს მიერ შესრულებული თარგმანი, პოეტურ თარგმანს წარმოადგენს, რომლის გასამართად ავტორმა ჰეგზამეტრი გამოიყენა. წინასიტყვაობაში ვენერა ურუშაძე ქართულ და ინგლისურ ენებს შორის არსებულ განსხვავებაზე აკეთებს აქცენტს და მიიჩნევს, რომ ინგლისურში, რომელიც ანალიზური ენაა ორმარცვლიანი და სამმარცვლაინი რითმის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ნებისმიერი მცდელობა ქართული ლექსის ფორმის იმიტირებისა საბედიწერო იქნებოდა მთარგმნელისათვის.

ჰეგზამეტრის გამოყენებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები: ინგლისელი მკითხელისათვის იგი ჰომეროსის ეპოსთან ასოცირდება და ამდენად, ,,ვეფხისტყაოსანიც'' გარდასულ დღეთა დიადი ეპიკური ნაწარმოების განწყობას აღძრავს მასში. თუმც ამგვარი ტექსტი მძიმეა და ორგინალის ფორმისმიერი მშვენება, სილაღე და მოქნილობა იკარგება, მაგრამ იგი დაკვირვებულ მკითხელს ორგინალის ტექსტის ეპიკურ დიდებულებასა და კეთილშობილებას ნამდვილად მიახვედრებს.

ლინ კოფინის თარგმანი პირველი თარგმანია, რომელშიც ,,ვეფხისტყაოსანი'' გარითმული, უფრო კონკრეტულად კი იმავე სალექსო ფორმით ანუ შაირით არის თარგმნილი ინგლისურად. პოეტური ნაწარმოების თარგმნისას სალექსო ფორმის შენარჩუნება, რომ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული და დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ამას მტკიცება არ სჭირდება, თუმცა ისიც არის გასათვალისწინებელი, თუ რისი დათმობა უწევს ამის საფასურად მთარგმნელს და ამასთანავე სალექსო ფორმის უცვლელად გადატანა უცხო ენაზე, რამდენად წარმოქმნის იმ მხატვრულ ექვივალენტს, რომლის შექმნაც თარგმანის ყველაზე დიდი მიზანი უნდა იყოს.

ლინ კოფინის თარგმანი, სამწუხაროდ ადასტურებს ვენერა ურუშაძის მოსაზრებას, რომ ინგლისურ ენზე ქართული სალექსო ფორმის იმიტირება პოემას დააკნინებდა. შაირის გადატანა ინგლისურ ენაზე შეუძლებელია და კალკირებულ ხელოვნურ ფორმას წარმოქმნის, რისი მიზეზიც ამ ორ ენასა და მათ ლექსთაწყობას შორის არსებული დიდი სხვაობაა.

სტატიაში გაანალიზებულია კონკრეტული მაგალითები თუ როგორ ხდება თარგმნისას წამოჭრილი ამა თუ იმ პრობლემის (როგორიცაა: აფორიზმები, ვერბალური ალიტერაციია და სხვ.) გადაჭრა სხვადასხვა თარგმანში.

ანალიზმა ხცადყო, რომ მარჯორი უორდროპის პროზაული თარგმანი, მიუხედავად მთარგმნელის მოკრძალებული განაცხადისა, რომ მან მხოლოდ ,,სიტყვასიტყვითი თარგმანი'' გააკეთა ოდნავადაც არ შეესაბამება ტექსტის ღირსებას, რომელიც ბევრად აღემატება ,,სიტყვასიტყვითი თარგმანს''. მთაგმნელი ახერხებს შეინარჩუნოს დედნის ხატოვანება, აფორისტულობა და ამიტომ თარგმანი მხატვრული ღირსებით ასი წლის შემდეგაც არ კარგავს ზემოქმედებას.

ჰეგზამეტრი, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ლიტერატურაში თითქმის ოთხი საუკუნეა არსებობს ინგლისური პოეზიისათვის მაინც არ წარმოადგენს ბუნებრივ ფორმას. ჰეგზამეტრით თარგმნილი ,,ვეფხისტყაოსნის'' ტექსტი მძიმეა, მაგრამ ამავე დროს პოემა ეპიკური დიდებულებას ინარჩუნებს.

შაირის ფორმით ,,ვეფხისტყაოსნის'' ინგლისურად ამეტყველების მცდელობამ ინგლისური პოეზიაში უცხო და ხელოვნური სახე მიიღო. ამასთანავე, სალექსო ფორმის შენარჩუნებას ხშირად ეწირება პოემის აფორისტულობა, აზრის სიღრმე და პოეტური ხატოვანება. ხოლო თარგმანში თანამედროვე, სასაუბრო ინგლისური ენის გამოყენება ტექსტს ეპოქიდან ამოგდებულს ხდის და იგი გალექსილი ზღაპრის შთაბეჭდილებას ქმნის, რომელსაც ფილოსოფიური სიღრმე და ფორმისმიერი მშვენიერება აკლია.

3. მარგარეტ ეტვუდის პროტმოდერნისტული ვარიაციები ჰომეროსის ,,ოდისეაზე''

პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ცნობილი დიდი ტექსტების დეკონსტრუქცია, გადაფასება და საშენ მასალად გამოყენება საინტერესო სახეს იღებს მარგარეტ ეტვუდის ნაწარმოებში ,,პენელოპიადა'' (The Penelopiad, 2005).

როგორც ნაწარმოების სათაურიდანაც ჩანს ,,პენელოპიადას'' ინტერტექსტს ჰომეროსის ,,ოდისეა'' წარმოადგენს, რომელიც ეტვუდის აზრით, ბევრ კითხვას ტოვებს უპასუხოდ, ბევრი შეუსაბამობაა და ცალმხრივ და მიკერძოებულ ტექსტს წარმოადგენს, რომელიც პატრიარქალურ ღირებულებებს ეფუძნება, - შესაბამისად მასში ქალის ხმა საერთოდ არ ისმის.

გენდერული პრობლემები რომლითაც ზოგადად გამსჭვალულია მარგარეტ ეტუდის მთელი შემოქმედება, ამ ნაწარმოებშიც ცენტრალურ ადგილს იკავებს, რაც კარგად ჩანს უკვე მთხრობელის შერჩევაში. პენელოპე და მისი თორმეტი მხევალი, რომლებიც ოდისეაში მარგინალური პერსონაჟები არიან, არც სახელი აქვთ, არც ხმა და არც არჩევანი, ოდისევსის ცნობილ ისტორიას, მიკერძოებული მთხრობელის პერსპექტივიდან წარმოგვიდგენენ და სრულიად სხვა ამბად აქცევენ.

გენდერული სტერეოტიპების წყალობით პენელოპე, რომელიც გამჭრიახი და შეუხედავია, იმ როლს ასრულებს, რასაც მისგან მოელიან. თუმც 21-ე საუკუნეში ჰადესიდან მის მიერ წარმოთქმული მონოლოგების მიზანი პენელოპეზე შექმნილი მითის დამსხვრევაა. მაგარეტ ეტვუდის სიტყვებით, პენელოპე ,,პირველი სასოწარკვეთილი დიასახლისია'', რომელმაც გარდაცვალებიდან მრავალი სუკუნის შენდეგ შედეგ ხმა აიმაღლა, რათა გათავისუფლდეს იმ შეზღუდვებისგან, რაც მითმა შექმნა და რათა გააფრთხილოს სხა ქალები, რომ მის გზას არ გაყვნენ.

ეტვუდის ნაწარმოები საინტერესოა თავისი ფორმის თვალსაზრისითაც. თუმც სათაური - პენელოპიადა - ეპიკური პოემის მოლოდინს აჩენს, მაგრამ ნაწარმოები სინამდვილეში ძალიან შორს არის ეპიკური ჟანრისათვის დამახასიათებელი ჩაურეველი, დისტანცირებული თხრობისაგან. ეტვუდის ,,პენელოპიადა'' სხვადასხვა ჟანრის ნარევია. პენელოპეს პირველ პირში გადმოვემულ პროზაულ ნარატივში ინტერლუდიების სახით ჩართულია ბერძნული ქორო - პენლოპეს თორმეტი მოახლე, (რომელიც ოდისევსმა და ტელემაქემ სიკვდილით დასაჯეს), სადაც ყოველი ინტერლუდია სხვა და სხვა ჟანრშია წარმოდეგნილი: იდილია, ბალადა, მოთქმა, ლექცია ანთროპოლოგიაში და ვიდეოჩანაწერიც კი ოდისევსის სასამართლო პროცესის, სადაც ყველაზე მძაფრად ჩანს პატრიარქალური მორალის სატირა, რომელიც ოდისევსს პენელოპეს ხელის მაძიებლების მკვლელობისათვის ასამართლებს, ხოლო მხევლების ჩამოხრჩობას არაფრად აგდებს.

ნარატივების მონაცვლეობა, რომელიც ნაწარმოებს ფრაგმენტულ ფორმას ანიჭებს, ამავე დროს პოსტმოდერნული აღქმისათვის დამახასიათებელ ჰეტეროგლოსიას წარმოქმნის, რომელიც ეჭვქვეშ

აყენებს აბსოლუტური, ობიექტური სიმართლის შეცნობის შესაძლებლობას და ხაზს უსვამს სიმართლის სუბიექტურობასა და ისტორიულ და სოციალურ გარემოზე დამოკიდებულებას.

4. სტატიაში გამხილულია თხოვნასთან დაკავშირებული სამეტყველო სიტუაციები მათხოვრების მიერ გამოყენებული დისკურსული სტრატეგიების მაგალითზე. მოცემული სტრატეგიები გაანალიზებულია ინგლისური და ქართული ენებისა და კულტურების სპეციფიკის გათვალისწინებით. კვლევის მეთოდოლოგია ემყარება სამეტყველო აქტებისა და თავაზიანობის თეორიებს. ემპირიული მასალა აღებულია ცოცხალი მეტყველებიდან და ინტერნეტ-რესურსებიდან. კვლევამ აჩვენა, რომ გამვლელთა ყურადღების მიქცევის მიზნით მათხოვრები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ.

ცნობილია, რომ თხოვნა თავისთავად წარმოადგენს „სახის შემლახველ“ სამეტყველო აქტს. ბუნებრივია, რომ ადამიანის „სახეს“ კიდევ უფრო დიდი საფრთხე ექმნება მათხოვრობის შემთხვევაში. ამდენად, მათხოვრების მიერ გამოყენებული დისკურსული სტრატეგიები მიმართულია იქითკენ, რომ შენარჩუნდეს მოსაუბრის „სახე“ და არ გაღიზიანდეს ადრესატი.

კვლევამ გამოავლინა თხოვნის დისკურსის შემდეგი წარმატებული სტრატეგიები:

1. თავაზიანობის ფორმულების შემცველი შესავალი ფრაზები და სიტყვები;
2. არაპირდაპირი საუბარი, როგორც „სახის შენარჩუნების“ სტრატეგია;
3. კითხვითი წინადადებების გამოყენება დირექტიული სამეტყველო აქტების „შესარბილებლად“;
4. მიმართვის სპეციფიური ფორმები;
5. ქათინაურები;
6. მადლიერების გამოხატვა და დალოცვის ფორმულები.

სტატიაში გამხილულია თხოვნასთან დაკავშირებული ზეპირი და წერილობითი დისკურსი. ეს უკანასკნელი გაანალიზებულია მათხოვრების მიერ გამოყენებული წარწერების მასალაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იუმორზე, რომელსაც ინგლისურენოვანი მათხოვრები ხშირად იყენებენ თავიანთ წარწერებში, მაგრამ ქართულ რეალობაში თხოვნის შემცველი იუმორისტული წარწერები ძალზე იშვიათია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ასევე გულწრფელობის ფაქტორი, რომელიც განხილულია ჯ. ოსტინის „იღბლიანობის პირობებისა“ და გრაისის „კოოპერაციის პრინციპის“ კუთხით. ინტერნეტ-წყაროების თანახმად, გამვლელები გაცილებით ხშირად ეხმარებიან იმ მათხოვრებს, რომლებიც გულწრფელად ითხოვენ დახმარებას. ამდენად, როგორც კვლევამ აჩვენა, გულწრფელობა განსაკუთრებით წარმატებული დისკურსული სტრატეგიაა თხოვნასთან დაკავშირებულ სამეტყველო სიტუაციაში.

5. მარიჯანი და ჯოისი ალექსიძის ოთახიდან

2020 წელს Covid 19-ს ჟამიანობის პერიოდში, ქართულ ვირტუალურ სივრცეში ორი ქორეოგრაფიული სპექტაკლის პრემიერა შედგა. პირველი სპექტაკლი „მარიჯანის ოთახი“ იყო, რომელიც ერთ-ერთი პირველი ქართველი პოეტი ქალის მარჯანის (მარიამ ალექსიძე-ტყემალაძის) შესახებ მოგვითხრობდა. ხოლო მეორე - „ლუჩიას ოთახი“ - დიდი ირლანდიელი მწერლის ჯეიმზ ჯოისის ქალიშვილის ლუჩიას ჯოისის შესახებ.

სპექტაკლების სახელწოდება უთუოდ ვირჯინია ვულფის ესეს „საკუთარ ოთახი“ (A Rooms of One's Own) გაგვახსენებს, თუმცა მარიჯანის და ჯოისის შემოქმედება, თანამედროვე ქართველი ხელოვანის მარიამ ალექსიძის მიერ, მისივე ოთახში სიტყვის, პოეზიის, მუსიკისა და მოძრაობის სინთეზით, თანამედროვე ქორეოგრაფიული ენით ამეტყველდა.

„მარიჯანის ოთახი“ ორ განზომილებაშია წარმოდგენილი. ერთი მხრივ, მენტალური ჟამიანობა - ახლად გასაბჭოებული 1925 წლის თბილისი. ყველასგან იზოლირებული ქალი, პოეტი, მარიჯანი, რომელიც მიუხედავად გარშემო არსებული მენტალური პანდემიისა, სულიერად თავისუფალი ცივილიზაციის ნაწილია, რომელშიც ჯაზისა თუ მალერის მუსიკა და ანა ახმატოვას, ვირჯინია ვულფის და სერგეი ესენინის შემოქმედება ისმის. მეორე მხრივ კი თანამედროვე რეალობა და დიდი ბებიის - მარიჯანის სულიერი რეინკარნაცია (დიალოგი) შვილთაშვილთან - მარიამ ალექსიძესთან.

„ლუჩიას ოთახი“ კი მოდერნ ბალეტის მოცეკვავის ლუჩია ჯოისის არაცნობიერში შობილი ჰალუცინაციაა. მამის - ჯეიმზ ჯოისის შემოქმედება და „ულისე“ ქალიშვილის სულიერ ოდისეად

(მოძრაობად) გარდაიქმნება, რომელიც მამისა და ქალიშვილის უხილავი შემოქმედებითი კავშირის შესახებ მოგვითხრობს.

მარიამ ალექსიძის მიერ ორივე სპექტაკლში განზოგადოებულია პანდემიურ (დავირუსებულ) სამყაროში ნამდვილი ხელოვანის და მაღალი ლიტერატურის სულიერი მდგომარეობა, რომელიც განურჩევლად დროებისა მუდამ საკუთარ ოთახში, როგორც ცნობიერებაში ან/და არაცნობიერშია გამოკეტილი. მაღალი შემოქმედება კი, განსაკუთრებით ჟამიანობისას, ზმანებადაა ქცეული, რომელიც თანამედროვე საზოგადოების მსგავსად არავის სჭირდება. თუმცა, ალექსიძის მიერ საკუთარ ოთახში შექმნილმა ბალეტმა-ჰალუცინაციამ, ლიტერატურული ნაწარმოებების და ქორეოგრაფიის ახალი გამომსახველობითი მხატვრული ფორმებით კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ერთი მხრივ, მაღალი შემოქმედების მარადიული აწმყოობა, ხოლო მეორე მხრივ COVID 19-თ გამოწვეული იძულებითი იზოლაციით, ვირტუალური სამყაროს ამარა დარჩენილი თანამედროვე ადამიანის სულიერი სიცარიელე.

იხილეთ ვებგვერდი http://conference.litinstituti.ge/wp-content/uploads/XV-simpoziumis-tezisebi-1.pdf

6. დანტე 700 - *ბეატრიჩე* ქართულ სცენაზე

დანტე ალიგიერის გარდაცვალებიდან 700 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო თარიღის აღნიშვნა საქართველოში, მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტ „ბეატრიჩეს“ მსოფლიო პრემიერით დაიწყო. თანამედროვე ბალეტი-ხილვა „ბეატრიჩე“ დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ შთაგონებით შეიქმნა და ის პოემის კიდევ ერთი საინტერესო და ორიგინალური თანამედროვე ინტერპრეტაციაა. სპექტაკლის კონცეფცია აგებულია დანტესეული „ტრიადის“ (ჯოჯოხეთი, სალხინებელი, სამოთხე) მხატვრული იდეის გარშემო, რომელშიც გაერთიანებულია მარიამ ალექსიძის სამყაროს აღქმის ქორეოგრაფიული, პლასტიკური (ფიზიკური) და გეომეტრიული აზროვნება; ოსკარისა და ოქროს გლობუსის მფლობელი თანამედროვე იტალიელი კომპოზიტორის დარიო მარიანელის მიერ სპეციალურად „ბეატრიჩესთვის“ შექმნილი სულიერი და ინტელექტუალური მუსიკა და თანამედროვე ქართველი არტისტების მაღალი საშემსრულებლო მუსიკალური და პლასტიკური ფორმები.

თანამედროვე ბალეტის მხატვრული ფუნდამენტი დანტეს მუზა - ბეატრიჩეა, რომელიც „ღვთაებრივი კომედიის“ მსგავსად მრავალალუზიური სიმბოლოს მატარებელია. სპექტაკლში ბეატრიჩე, როგორც პროტაგონისტი, ისე ანტაგონისტია და მასში კონცენტრირებულია ადამიანური, დემონური და ღვთაებრივი ბუნება. სწორედ ბეატრიჩეს ტრანსფორმაციისა და მეტამორფოზის მხატვრულ იდეაზეა აგებული ბალეტის მუსიკალური და პლასტიკური სამყარო, რომელიც თანამედროვე ადამიანის და თანამედროვე რეალობის ჯოჯოხეთური (მიწიერი) რეალობით იწყება და დანტესეული კოსმიური, ჰარმონიული, სამი ფერის (ტრიადის) ერთობის - სამების სიმბოლოს მეტამორფოზით სრულდება.

იხილეთ ვებგვერდი https://dspace.tsu.ge/handle/123456789/796

7. კლონიდან ჰუმანოიდამდე

ნობელის პრემიის ლაურეატის, თანამედროვე ბრიტანელი მწერლის კაზუო იშიგუროს მერვე რომანი „კლარა და მზე“ (*Klara and the Sun*) (2021) პანდემიის, იზოლაციის, ჩაკეტილი მსოფლიოსა და ვირტუალური რეალობის ამარა დარჩენილი კაცობრიობის დროებაში გამოქვეყნდა. იშიგუროს შემოქმედებაში „კლარა და მზე“ მეორე რომანია, რომელშიც მწერალი ხელახლა მიუბრუნდა ტექნოლოგიებზე საუბარს. თუ მის ცნობილ ნაწარმოებში „არასოდეს გამიშვა“ (*Never Let Me Go*) (2008) მთავარი პერსონაჟი და მთხრობელი ქეითი (Kathy. H) ადამიანის კლონია, რომელიც მისი ბავშვობის, კლონთა პანსიონის, მათი გრძნობების, სიყვარულის, ხელოვნების მიმართ სწავფვის, ადამიანთათვის ჯანმრთელი ორგანოების გადანერგვისა და მათი სამედიცინო მიზნებისთვის გამოყენების შესახებ გვიყვება, „კლარა და მზეში“ მთხრობელი ხელოვნური ინტელექტია.

იშიგუროს „კლარა და მზე“ არის რომანი იმ რეალობის შესახებ, რომ სულ მალე ხელოვნური ინტელექტის ჰუმანოიდები ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების, ოჯახური ყოფის, მათი ინტიმური სამყაროს განუყოფელი ნაწილი გახდებიან. უფრო მეტიც, რომანის მხატვრული იდეიდან გამომდინარე ჰუმანოიდი კლარა უფრო ახლოა სინათლის, ფიქრის და მჭვრეტელობით სამყაროსთან, ვიდრე ურბანულ ყოფაში მცხოვრები მომხმარებელი ადამიანი. სწორედ კლარაშია კონცენტრირებული

ის მგრძნობელობა, რწმენა, ერთგულება, რომელსაც უფრო და უფრო შორდება თანამედროვე ადამიანი. ამიტომაც საინტერესოა, ჰუმანოიდის ხელოვნურ ცნობიერებაში არეკლილი ადამიანი, ფიქრები, განცდები და გრძნობები. შეიძლება ვთქვათ, რომ იშიგურო, „კლარა და მზეში“ რიტორიკულ შეკითხვებს სვამს - შეუძლია თუ არა ტექნოლოგიას და ხელოვნურ ინტელექტს, დაგროვილი ცოდნისა და ინფორმაციის გადამუშავების შემთხვევაში ადამიანზე მეტის აღქმა?! შეუძლიათ თუ არა, რობოტებს ისწავლონ ადამიანივით გრძნობა, განცდა, რწმენა, სიყვარული?! და თუ ეს ყოველივე შესაძლებელია, ეს ხომ არ ნიშნავს ადამიანის ჰუმანოიდიზაციას, ხოლო ჰუმანოიდის ჰუმანიზაციას?!
იხილეთ ვებგვერდი http://arilimag.ge/product/7-2021-pdf/

8. ქართული ლექსიკური ერთეულის *მუბლი* კოგნიტიური ლინგვისტიკისა და კულტურული კვლევების თვალსაზრისით ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნულ ლექსემასთან დაკავშირებული მეტონიმური და მეტაფორული გამონათქვამები 6 სფეროს მოიცავს: 1.გარეგნობის; 2.ემოციების, ხასიათისა და ფიზიკური მდგომარეობის; 3. ინტელექტისა და გონების; 4.ბედისწერის; 5.სინდისისა და პატიოსნების, 6. სოციალური მიმართების. მოცემულ მეტონიმურ და მეტაფორულ გავრცობებს ბიოლოგიური, სოციალური და კულტურული ფაქტორები განაპირობებს. ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ *მუბლთან* დაკავშირებული მეტონიმური და მეტაფორული გამონათქვამები ეფუძნებიან შემდეგ ხატოვან-სქემებს:*ნაწილი-მთელი, არაფიზიკური-ფიზიკური, კონტეინერი-შიგთავსი, ძალა, სივრცე.* განხილული მეტონიმური და მეტაფორული კონცეპტუალიზაციებიდან ზოგიერთი ვლინდება სხვა ენებში (ინგლისურში, ბერძნულსა და რუსულში).

9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ პატივისცემის გამოხატვა გლობალიზებული სამყაროს მოქალაქეთა ერთ-ერთი ვალდებულებაა. თუმცა მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ განვახორციელოთ ეს: როგორ გამოვხატოთ, ვერბალური თუ არავერბალური საშუალებების მეშვეობით, პატივისცემა აღნიშნული უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ? როგორ მოვახდინოთ მათი სახელდება? ცნობილია, რომ მართებული ტერმინოლოგიის გამოყენება მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის პირებთან ურთიერთობისას, მათთან სოციალური ჰარმონიის დასამყარებლად, თუმცა, საკითხავია, თუ რამდენად მისაღებია ლინგვისტთა და ადამიანის უფლებების დამცველთა მიერ შექმნილი ტერმინები აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენელთათვის.

თუმცა სპეციალური ლიტერატურის შესწავლამ და უშუალოდ ინგლისურ და ქართულ ენობრივ მასალაზე ჩატარებულმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ხშირ შემთხვევაში არ არსებობს კონსენსუსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აღმნიშვნელ ცალკეულ ტერმინთან მიმართებაში; ცალკეული ტერმინის სემანტიკური და პრაგმატიკული ღირებულება განსხვავებულად აღიქმება სხვადასხვა ენობრივი კოლექტივისა და მასთან ასოცირებული კულტურის მიერ, თავად გარკვეული ენობრივი კოლექტივის შიგნით არსებული სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მიერ და, რაც მთავარია, სხვადასხვა უნარშეზღუდული პირის მიერ; ასევე, ცალკეული ტერმინი შეიძლება განსხვავებულ დატვირთვას იძენდეს დისკურსის სხვადასხვა ჟანრში.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ასევე, უნარშეზღუდულთა მიმართ დამოკიდებულების ორი მოდელი: სამედიცინო და სოციალური; სამედიცინო მოდელი განიხილავს უნარშეზღუდულობას, როგორც ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ასოცირებულ პრობლემას, ხაზს უსვამს მედიცინის როლს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრასა თუ კორექტირებაში. სოციალური მოდელი თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოზიციას გამოხატავს: მათი თვალსაზრისით, საზოგადოება ხდის გარკვეული ავადმყოფობის მქონე პირს უნარშეზღუდულად, უქმნის რა მას სხვადასხვა ტიპის ბარიერს - არქიტექტურულს, სოციალურს, ემოციურს და სხვ. აქედან გამომდინარე ტერმინში *a disabled person/უნარშეზღუდული პიროვნება* მოიაზრება საზოგადოების მიერ შექმნილი შეზღუდვებით გარიყული, მარგინალიზებული პიროვნება.

10.ზოგიერთ ლექსიკურ - სემანტიკურ ცვლილებათა შესახებ თანამედროვე ფრანგულ და ინგლისურ ენებში

ენობრივ ცვლილებათა ბუნების საკითხი ლინგვისტიკაში ძალზე საინტერესოდ მიიჩნევა. ენა უმალ რეაგირებს ყველა იმ ცვლილებაზე, რაც ხდება იმ საზოგადოებაში, რომლის ცხოვრებაც აისახება ენაში. ამ ბოლო ხანს, ლექსიკურ - სემანტიკური ცვლილებები უფრო და უფრო ხშირად შეინიშნება მრავალ

დასავლეთევროპულ ენაში. შეინიშნება უწყვეტი პროცესი სიტყვათა ხმარების ნორმებისა და სტანდარტების დარღვევისა, ასევე ახალ სიტყვათა და გამოთქმათა გაჩენა და ასევე მკვეთრი ცვლილებები უკვე არსებულ სიტყვათა და გამოთქმათა მნიშვნელობებში. ამ სფეროს ცოდნა აუცილებელია იმ სტუდენტთა ლინგვისტური და ზოგადკულტურული კომპეტენციების ფორმირების პროცესში, რომლებიც პროფესიონალურად შეისწავლიან უცხოურ ენებს.

11. ინგლისურ და ფრანგულ ენათა ფონეტიკური სისტემების ცვლილებათა პერიოდები

ნებისმიერი ენის სისტემა განიცდის მუდმივ ცვალებადობას, მაგრამ ცვლილებები, რომლებიც მოიცავენ ენის სხვადასხვა დონეს, მის სხვადასხვა რგოლს, არ ხდება ერთდროულად. იმისათვის, რომ გამოვავლინოთ კანონზომიერება ენის ისტორიაში, ცვლილებათა კანონზომიერება ენის ყველა დონეზე, აუცილებელია შევადაროთ ცვლილებები სხვადასხვა ენებში. ჩვენს ნაშრომში, შევეხებით ფონეტიკურ დონეს, შევადარებთ ცვლილებებსა და მათ რაოდენობას ინგლისურსა და ფრანგულ ენებში, VII – XX საუკუნეებში.

ინგლისური ენის ფონეტიკური სისტემის ცვლილებები. ანალიზი უნდა დავიწყოთ VII საუკუნიდან, ანუ იმ უძველეს წერილობით ძეგლთა დროიდან, რომლებიც ცნობილია ამჟამად. ამ პერიოდის ხმოვანთა სისტემა წარმოადგენდა მწყობრ სისტემას, რომელშიც იყო თანაბარი რაოდენობის გრძელი და მოკლე მონოფთონგები და დიფთონგები.

ფრანგული ენის ფონეტიკური სისტემის ცვლილებები. ტრადიციულად, ფრანგული ენის ისტორიის აღწერა იწყება უძველესი წერილობითი ძეგლიდან – "სტრასბურგის ფიცებიდან" (843 წ.), ანუ ძველფრანგული ენის პერიოდიდან (IX – XIII საუკუნეები), შემდგომ კი გამოიყოფა საშუალფრანგული ენის პერიოდი (XIV – XVI საუკუნეები), ახალფრანგული ანუ კლასიკური ენის პერიოდი (XVII – XVIII საუკუნეები) და თანამედროვე ფრანგული ენის პერიოდი (XIX საუკუნიდან დღემდე).

მოვახდინეთ რა, 14 საუკუნის მანძილზე, ინგლისური და ფრანგული ენების ფონეტიკურ სისტემათა ცვლილებების ანალიზი, შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა:

ფონეტიკური სისტემის ცვლილებებში გამოიყოფა სამი პერიოდი (ფორმირების, სტაბილურობისა და სისტემის დაშლის პერიოდები):

- ფორმირების პერიოდში, ცვლილებათა რაოდენობა თანდათანობით იზრდება, აღწევს მაქსიმალურ რაოდენობას და თანდათანობით მცირდება;
- სტაბილურობის პერიოდი ხასიათდება ცვლილებათა არარსებობით და ინგლისურ და ფრანგულ ენებში გრძელდება ორი საუკუნე;
- სტაბილურობის პერიოდის შემდეგ, ფონეტიკურ სისტემაში იწყება ცვლილებები და ამ პერიოდს შეიძლება ვუწოდოთ სისტემის რღვევის პერიოდი.

12. საკუთარი სახელებიდან წარმოებულ სიტყვათა თავისებურებანი /ფრანგული და ინგლისური ენების მასალაზე/

საკუთარი სახელების შესწავლისას, პრობლემურად რთულად ითვლება მისი სემანტიკა. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საკუთარი სახელი ემსახურება მხოლოდ ობიექტის აღნიშვნას და არ შეიცავს იმ ნიშნებს, რომლებსაც ფლობს მის მიერ წოდებული ობიექტი; მეორე ნაწილი კი, პირიქით, ადასტურებს, რომ ამ კლასის სახელთა მნიშვნელობა შეიცავს ექსტრალინგვისტურ ინფორმაციას მათ მიერ დასახელებულ ობიექტზე.

საკუთარი სახელის მნიშვნელოვან სპეციფიკას წარმოადგენს მისი მნიშვნელობის კულტურული კომპონენტი. ასეთი სახელების შეკვეცილ ფორმაში გამოიხატება მნიშვნელოვანი ზოგადკულტურული და ემოციური შინაარსი. იმისათვის, რომ საკუთარი სახელი იქცეს მაწარმოებელ ფუძედ, საჭიროა განსაზღვრული პირობები. კერძოდ, საკუთარი სახელის კონცეპტუალური სტრუქტურის გათავისება საჭირო უნდა იყოს ლინგვოკულტურული საზოგადოებისათვის.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ისეთ წარმოებულ სიტყვებს, რომლებიც წარმოიშვნენ ფრანგული და ინგლისური საკუთარი სახელებიდან. კვლევის შედეგად გამოვლინდა ლექსიკურ ონომასტიკურ დერივატთა წარმოქმნის საერთო კანონზომიერებანი. საკვლევ მასალაში გამოყოფილი და

შედარებულია იმ ნაწარმოებ სიტყვათა დიდი ჯგუფები ორივე ენაში, რომლებიც წარმოიშვნენ საერთო სიტყვამაწარმოებელი ტენდენციების შესაბამისად, თუმც მათ გააჩნიათ განსაზღვრული ნაციონალური განსხვავებანი.
როგორც შედარებითმა ანალიზმა ცხადჰყო, სხვადასხვა ენებში არსებობს ამ ენების მატარებელთა მიერ საკუთარი სახელებით შექმნილ კონცეპტთა სხვადასხვაგვარი აღქმა. ინგლისური ენა უპირატესობას ანიჭებს ბუნების მოვლენების აღნიშვნას მათი მკვლევარების სახელებით, ფრანგული ენა კი - სულიერ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროთა წარმომადგენლების სახელებით.

13. „თეთრი" ფერის კომპონენტიანი კონსტრუქციები რომანულ და გერმანიკულ ენათა ფრაზეოლოგიაში
(ფრანგული, ესპანური, იტალიური და ინგლისური ენების მასალაზე)

თეთრი ფერი სიმბოლოა ყოფიერებისა, წარმოადგენს სინათლის არსს და არსებული სამყაროს ონტოლოგიურ საწყისს. თეთრი ფერის სიმბოლური გადააზრება განასახიერებს სიცოცხლეს, სიკეთეს, ღვთაებრიობას, სისუფთავეს, უმანკოებასა და ქრისტიანული კულტურული ტრადიციის მრავალ სხვა მახასიათებელს. თეთრი ფერის ნეგატიურ კონოტაციებს მოწმობს ის ფაქტი, რომ ამ ფერით აღნიშნული "სიწმინდე" შესაძლებელია მიუთითებდეს ანტითეზისურ ერთიანობას "სიცოცხლე/სიკვდილი"; ანუ "სიწმინდის" არსი მიწიერი არსებობის საზღვრებს გარეთაც აღწევს.
წინამდებარე ნაშრომში განიხილება "თეთრი" ფერის შემცველი მყარი კონსტრუქციები რომანულ (ფრანგული, ესპანური და იტალიური) და გერმანიკულ (ინგლისური) ენათა ფრაზეოლოგიაში, ლექსიკოგრაფიულ წყაროთა მასალაზე.
როგორც კვლევამ აჩვენა, ამ ტიპის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა მნიშვნელობა, "თეთრი" ფერის ამბივალენტური სემანტიკით, ადასტურებს "თეთრი" ფერის სიმბოლიკის თავისებურებებს სხვადასხვა ენებში. შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კომპარატივული ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც შეიცავენ ადიექტიურ კომპონენტს "თეთრი", შესაპირისპირებელ ოთხივე საკვლევ ენაში მიუთითებენ კონკრეტულ ექსტრალინგვისტურ რეფერენტს.

14. უარყოფა " NICHT"-ის ზოგიერთი თავისებურება გერმანულში და მისი შესატყვისობები ინგლისურსა და ქართულ ენებში

წინამდებარე სტატიის თემატიკა განაპირობა კონკრეტულმა ვითარებამ, როდესაც უამრავი ტექსტი, განსაკუთრებით კი დარგობრივი ტექსტები ითარგმნება ევროპული ენებიდან ქართულ ენაზე, და პირიქით. ბევრი სახეობის დარგობრივი ტექსტის თარგმნა, მაგ. საერთაშორისო ხელშეკრულბები, პატენტები და ა.შ., მთარგმნელს აყენებს იმ აუცილებლობის წინაშე, რომ იგი არა მხოლოდ ორი - ამოსავალი და სამიზნე - ენით უნდა ოპერირებდეს, არამედ თარგმნილი ტექსტის სრულყოფილების მოთხოვნიდან გამომდინარე უნდა შეეძლოს, სულ მცირე, მესამე ენის მეშვეობით გარკვეული შინაარსების უკეთ გაგება და გადამოწმება. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე შევარჩიეთ გერმანული ენაში უარყოფითი სიტყვის "ნიცჰტ" ზოგიერთი თავისებურება, რომლებიც გარკვეულ სირთულეებს განაპირობებენ, რამდენადაც უარყოფა "ნიცჰტ" შესაძლებელია წინადადების ან სპეციალური უარყოფის სახით გამოიყენებოდეს.
სტატიაში კონტრასტული ლინგვისტიკის პოზიციებიდან განხილულია უარყოფა "ნიცჰტ"-ის რეალიზების ზოგიერთი თავისებურება გერმანულ ენაში და მისი ეკვივალენტები ინგლისურ და ქართულ ენებში, აღწერილია პროსოდიის, სინტაქსის, სტილისტიკის დონის მოვლენები, რომლებიც უკავშირდება უარყოფა **"Nicht "**-ს და მისი თარგმნის ვარიანტებს.

15. ფრანგული და ინგლისური პრესის ევფემიზმთა პრაგმატიკა
პრობლემური სიტუაციები წარმოშობენ ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც დედრამატიზირებულად წარმოგვიდგენენ რეალობას, რაც ადასტურებს პრესის ენაში ევფემიზმთა პრაგმატიკულ

კომპლექსურ სტატუსს. რეფერენტულ პლანში, ინფორმაციის თვალსაზრისით, პრესის ენის ევფემიზმები აღნიშნავენ ნეგატიურ რეფერენტებს: ომს, სიღარიბეს, კორუფციას, ფიზიკურ ნაკლოვანებებს. ყველაფერი ეს უკავშირდება ცხოვრებისეულ კონფლიქტურ სიტუაციებს. პრესის ენის ევფემიზმები რემოდიფიცირებენ ამ სიტუაციებს ორი პროცესის მიხედვით:
რეფერენტულ პლანში, ინფორმაციის თვალსაზრისით, პრესის ენის ევფემიზმები აღნიშნავენ ნეგატიურ რეფერენტებს: ომს, უბედურებას, კორუფციას, ფიზიკურ ნაკლოვანებებს. ყველაფერი ეს მოიცავს ცხოვრებისეულ კონფლიქტურ სიტუაციებს. პრესის ენის ევფემიზმები მოდიფიცირებენ ასეთ სიტუაციებს ორგვარი პროცესით: 1. დენომინაციის პროცესით, რაც ეფუძნება ასეთი სიტუაციების გამომხატველი ლექსემების მასკირებას (შენიღბვას), 2. სიტუაციათა შემარბილებელი აღწერით.
ნეგატიური რეფერენტები ექვემდებარებიან შემარბილებელ გადამუშავებას, რაც გულისხმობს მათი ნეგატიური ხასიათის შემცირებას, სამეტყველო სტრატეგიებიდან გამომდინარე. ეს სტრატეგიები გამოიხატებიან ენის კატეგორიზაციის ჰიპერონიმული შესუსტებით; ბუნდოვანი ტერმინების გამოყენებით, ზუსტ სემანტიკურ მახასიათებელთა თავიდან აცილებით ან შერბილებით, ისინი აწარმოებენ აბსოლუტურად ზუსტ რეფერენციას (Bonhomme, 2005, გვ. 205). პრესაში, შერბილებასთან ერთად, ევფემისტური გამონათქვამები ეფუძნებიან აქსეოლოგიას, ნეგატიურ რეფერენტთა გადაფასების მიზნით.
ამგვარად, მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ ევფემისტურ გამონათქვამთა ხატობრივ ჩარჩოებს: პრობლემური სიტუაციები წარმოშობენ ისეთ გამონათქვამებს, რომლებიც დედრამატიზირებულად წარმოგვიდგენენ რეალობას, რაც ადასტურებს პრესის ენაში ევფემიზმთა პრაგმატიკულ კომპლექსურ სტატუსს.

16. „ფაუსტის“ ფინალისათვის ინტერტექსტუალობის ერთ რიგს ქმნიან საღვთისმეტყველო ტექსტები, კერძოდ, მე-3 საუკუნეში მოღვაწე და შემდგომ ოფიციალური ეკლესიის მიერ მწვალებლად გამოცხადებული ქრისტიანი ღვთისმეტყველის, ორიგენეს (დაახლ. 185-252) ნაშრომი „პოკატასტასის პანტონ“ (“ყოველთა ახლადშემოკრებისათვის”). სწორედ ამ ტექსტის ძირითადი კონცეფციის მიხედვით უნდა აიხსნას ფაუსტის აპრიორული ცად ამაღლება და მიწიერი, მატერიალური ელემენტისაგან (რომლის სიმბოლოც მეფისტოფელია) გათავისუფლება, ხსნა (გერმ. Erlösung, ღეტტუნგ). კერძოდ, ორიგენეს აღნიშნული თხზულების მთავარი კონცეფცია ისაა, რომ ყოველი ქმნილება აუცილებლობის ძალით ისევ უკან უბრუნდება მამისეულ წიაღს, პრინციპით, რაც მამისაგან, ანუ პირველსაწყისისაგან გამოვალს, ისევ პირველსაწყისს უბრუნდება, ვინაიდან შემოქმედი ღმერთისა და მის ქმნილებათა ურთიერთმიმართება ემყარება საყოველთაო შერიგებისა და საყოველთაო ერთობის, ერთყოფის უმაღლეს პრინციპს. სწორედ ამ პრინციპზე მინიშნებაა ანგელოზთა ქოროს შემდეგი სიტყვები: „ყოველი შეერთდით, ამაღლდით ყოველი, აქებდეთ ყოველი, ჰაერი განიწმინდა, ისუნთქე სულო“.

„ფაუსტის“ ფინალის ინტერტექსტის მეორე რიგს ქმნიან ფილოსოფიური ტექსტები, კერძოდ, პლატონის „ნადიმი“ და ამ თხზულებიდან მომდინარე ეროსის კონცეფცია და ეროსის ცნება, რომელიც ქრისტიანულ აგაპეს, ანუ ქრისტიანული ძმური სიყვარულის კონცეფციას უპირისპირდება: პლატონის მიხედვით, სწორედ ეროსიდან მომდინარეობს უმაღლეს საგანთა ჭვრეტის ფილოსოფიური ნიჭი, მათ მიმართ სულიერი სიყვარული და მათკენ სწრაფვის გაუნელებელი წყურვილი, ეროსია ფილოსოფიური ჭვრეტისა და შემეცნების სულიერი ძალა. ამიტომაცაა, რომ სწორედ პლატონისეული ეროსის საფუძველზე ხორციელდება ფაუსტის სულის მეფისტოფელისაგან, ანუ მიწიერ-მატერიალური, „უწმინდური“ ელემენტებისაგან გამოხსნა და მისი ცად ამაღლება, ვინაიდან ეროსი ანიჭებს ფაუსტის სულს (ენტელექიას) ძალას, ამაღლდეს მიწიერების, ემპირიულობის სფეროდან ზეცად, ამაღლდეს არამატერიალურ სფეროთა განზომილებაში. სწორედ ეროსიდან მომდინარეობს და მკვიდრდება გარდაცვლილი ფაუსტის არსებაში, კერძოდ, მისი ანთროპოლოგიური არსის „კეთილშობილ ნაწილში“ („edles Glied”), ანუ მის უკვდავ, მარადიულ სულში „ღვთაებრივი შეგრძნებები და განცდები“, „აღტყინებანი“, „წმინდა სიყვარულით ნეტარება/ლხენა“, „სიყვარულის მხურვალე კავშირები“, სწორედ ეროსია „მარადიული სიყვარულის საფუძველი“. ამიტომაცაა, რომ მეფისტოფელი, - რომელიც ფაუსტის არაცნობიერ ლტოლვათა და ფაუსტის ანთროპოლოგიური არსის ხორციელ-მატერიალური ნაწილის სიმბოლური განსახიერებაა, - იმთავითვე უძლურია ფაუსტის

სულის დასაუფლებლად და ფაუსტის გარდაცვალებისთანავე იგი, როგორც ფაუსტისავე მიწიერი, ხორციელი საწყისი, იმთავითვე სწყდება ფაუსტის სულიერ-გონით საწყისს, მიწიერ ელემენტებს უერთდება და არარაში, "მარადიულ არარაში" ("Das Ewig-Leere") ინთქმება.

ამგვარად, ეროსი - ღვთაებრივი ტრფობა, სულიერი ტრფობა - ანიჭებს ფაუსტის სულს ღვთაებრივი მარადიული იდეების ჭვრეტის უნარს და წარმართავს მის სულს ღვთაებრივი აბსოლუტური მშვენიერების ჭვრეტისაკენ, ეროსი ანიჭებს ფაუსტს ძალას, დამკვიდრდეს მარად-ქალურის ღვთაებრივ წიაღში. ამიტომ, „ფაუსტის" ფინალში სწორედ პლატონური ტიპის ეროსია ის ზეაღმავალი, ზემსწრაფველი ძალა, რომლითაც გარდაცვლილი ფაუსტის სული ივსება ცად ამაღლებისას და ასე ენიჭება მას *სწრაფვის* („streben") უნარი, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ეროსის ბუნებაა (ზე)სწრაფვა.

ტრაგედიის ფინალში ფაუსტის ხსნას გარდა პლატონისეული ეროსის კონცეფციისა საფუძვლად უდევს არისტოტელესეული ენტელექიის ცნება და ლაიბნიცის სწავლება მონადებზე: კერძოდ, ენტელექიის პრინციპის, ანუ მუდმივი შინაგანი შემეცნებითი ქმედებისა (Tätigkeit) და *სწრაფვის* საფუძველზე ფაუსტი აუცილებლობით უნდა ამაღლდეს ზეცად და თავი დააღწიოს მიწიერ-მატერიალურ ყოფიერებას, ვინაიდან ფაუსტის ანთროპოლოგიურ არსში (შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანში) მოცემულია სული (გერმ. შეელე), რომელიც არის მარადმოქმედი ენერგია, ძალა, რომელიც გამუდმებით ისწრაფვის მაღალ სფეროებში ზეაღსვლისაკენ და სწორედ ამგვარად სრულქმნისაკენ.

ამ შემთხვევაში, ფაუსტის არსში მოცემული ენტელექია (გოეთეს "ტერმინოლოგიით" ქმედება/თäტიგკეიტ, სწრაფვა/სტრებენ) ა პრიორი „აიძულებს" ფაუსტის სულს ამაღლდეს მიწიერებაზე და, ამგვარად, აიყვანოს ფაუსტის არსი ახალ ეგზისტენციალურ და ონტოლოგიურ განზომილებაში. ამდენად, ფაუსტის სულის ხსნა (რაც არ გულისხმობს ტრანსცენდენტურობის დამკვიდრებას ცოდვების მონანიებითა და სინანულით, რაც კ. გამსახურდიამ დაახასიათა როგორც „გლახური ღმერთის ძიება"), მისი სულის ენტელექიური ბუნებით არის განპირობებული, რაც, როგორც შინაგანი სულიერი ძალა (გერმ. „Kraft") ბიძგს აძლევს მიწიერი, მდაბალი არსებობიდან მაღალ, ზეციურ არსებობაში გადასვლას.

ამგვარად, სწორედ ეროსისა და ენტელექიის ცნებათა გოეთესეულ მხატვრულ-შემოქმედებით გადააზრებაში იკვეთება „ფაუსტის" მთავარი იდეური ჩანაფიქრი, რაც, ფაქტიურად, თავად გოეთეს ონტოლოგიურ-ეგზისტენციალური ხედვები და ადამიანის ანთროპოლოგიური არსის მისეული გააზრებაა: კერძოდ, ტრაგედიის მთავარი იდეური ჩანაფიქრი, ერთი მხრივ, უკავშირდება ადამიანის ინდივიდუალური ხსნის მოტივს, რომლის ფარგლებშიც გოეთეს მიერ უარყოფილია ეკლესიური სწავლება ადამიანის აპრიორული ცოდვილიანობისა და ამ ცოდვების სინანულით გამოსყიდვის შესახებ, ხოლო თავად ხსნის „ფაუსტისეული" კონცეპტი გულისხმობს მიწიერი, მატერიალური, წარმავალი ელემენტისაგან გათავისუფებას; მეორე მხრივ, ადამიანის არსში მოცემულ ხორციელ-ფიზიოლოგიურ (ანუ, „მეფისტოფელურ") და სულიერ საწყისთა დაპირისპირებაში, გოეთეს მიხედვით, იმთავითვე იმარჯვებს სულიერი საწყისი, რაც უკვე ადამიანის არსში „ჩადებულ" ე. წ. ენტელექიუროზასა და „ეროტიულობას" (ეროსით აღვსილობას) უკავშირდება (იხ. ზემოთ, „ეროტიულობა", ტრფობა, ტრფიალება, როგორც შემმეცნებელი სუბიექტის გაუნელებელი სწრაფვა უმაღლესი იდეების ჭვრეტისადმი და ამ იდეების მიმართ შემმეცნებელი სუბიექტის მიერ გამოვლენილი სიყვარული). ადამიანის ანთროპლოგიურ არსში სულიერი (ზეციური) საწყისის ხორცილ (მიწიერ) საწყისზე აპრიორული გამარჯვება კი სიმბოლურად განსახიერებულია სწორედ ფაუსტის ცად ამაღლებაში (რაც აპრიორული ბუნებისაა), მის მიერ მარად-ქალურის წიაღის დამკვიდრებასა და მეფისტოფელის გარდაუვალ მარცხში, რასაც საფუძვლად უდევს მარად-ქალურის წიაღიდან გარდმოვლენილი ღვთაებრივი ეროსი და თავად ფაუსტის ინდივიდუალური ენტელექია, მისი ანთროპოლოგიის ენტელექიური, ანუ მუდამ მსწრაფველი, ქმედითი შინაგანი არსი.

17. გოეთეს "ფაუსტი", როგორც უნივერსალური ტექსტი, რომელიც თავის თავში მოიცავს მთელს ვერსიფიკაციულ არსენალს, დაწყებული ძველი ბერძნული, გაგრძელებული შუა საუკუნეების ვროპული და დამთავრებული, საკუთრივ, გერმანული სალექსო ფორმებითა და საზომებით, უნივერსალური ტექსტი, რომელიც თავის თავში მოიცავს ფილოსოფიურ, თეოლოგიურ, პოლიტიკურ, სოციოლოგიურ, სციენტისტურ, კულტუროლოგიურ და კულტურის ისტორიის, ესთეტიკის თეორიისა და ესთეტიკის ისტორიის საკითხებს, საკითხავებსა და კითხვებს, უნივერსალური ტექსტი, სადაც უკუფენილია გოეთეს თანამედროვე მოდერნის ეპოქის, კერძოდ, მოდერნის ეპოქის ადრეული

ფაზის, მე-18 საუკუნის განმანათლებლობისა და მე-19 საუკუნის პირველი მესამედის ისტორიული და ეპოქალური მოვლენები, ცხადია, რომ განათლების საკითხებსაც მოიცავს.

გოეთემ "ფაუსტში" მწვავედ გააკრიტიკა თავისი თანამედროვე განათლების სისტემა და ეს კრიტიკა განავითარა მეფისტოფელსა და სტუდენტს (შემდგომ, მეორე გაბაასებაში უკვე ბაკალავრს) შორის გამართულ ორ გაბაასებაში, რასაც დისპუტაციის ფორმა აქვს. ეს სცენებია: ტრაგედიის პირველი ნაწილიდან სცენა "სამუშაო ოთახი II" და ტრაგედიის მეორე ნაწილის მეორე მოქმედებიდან სცენა "მაღალთაღოვანი, ვიწრო გოთიკური სტილის ოთახი".

ვფიქრობთ, აქ წამოჭრილი საკითხები და აქ განვითარებული განათლების სფეროს კრიტიკა დღესაც აქტუალურია, ვინაიდან ამ სცენებში ორმაგად და მწვავედ დაისმის შემდეგი კითხვა: განათლების სისტემის ამოცანაა, აღზარდოს ვინ, თუ განათლების სისტემამ უნდა გამოიყვანოს რა. ანუ: განათლების მიზანია, აღზარდოს პიროვნება, მოქალაქე, თუ გამოყვანოს დარგის პროფესიონალი. ვფიქრობ, განათლების სისტემა, ყოველ შემთხვევაში ჩვენში, დღემდე ამ ვინ და რას დუალიზმშია გადავარდნილი და ეს დუალიზმი დღემდეა განათლების სისტემის პრობლემა: (ჩვენში) ჯერ კიდევ კარგად ვერ გარკვეულა, რა არის განათლების მიზანი _ მხოლოდ კვალიფიკაციის მიცემა თუ აღზრდაც და პირიქით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გერმანული ცნება "ბილდუნგ" ("Bildung"), რომლის სემანტიკაშიც დაძლეულია ეს დუალიზმი, ვინაიდან გოეთეს, შილერის და ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის მიერ ეს ხშირად ხმარებული ცნება თავის თავში ამთლიანებს და ითვალისწინებს ამ ორივე მომენტს _ ა) აღზრდასაც, ანუ პიროვნების განვითარება-ჩამოყალიბებას და ბ) კოკნრეტულ სფეროში ფუნდამენტური განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის მიცემას.

თავად ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა სწორედ "ბილდუნგის" იდეა დაუდო საფუძვლად თავის მიერ 1810 წელს დაარსებულ და დღეს უკვე მისი სახელობის ბერლინის უნივერსიტეტს, რომლის პირველი რექტორიც დიდი იოჰან გოტლიბ ფიხტე იყო და რომელსაც თანამედროვე გერმანელი "აპოლონები" და "პრომეთეები" უნდა აღეზარდა და "გამოეშვა". მაგრამ საბოლოოდ ისე აღმოჩნდა, რომ ამის ნაცვლად რკინის კანცლერ ოტტო ფონ ბისმარიკის მიერ გაერთიანებული გერმანიის რაიხის განათლების სისტემას, ფრიდრიხ ნიცშეს დაკვირვებით, ძირითადად სახელმწიფო აპარატისა და ხელისუფლების უპირობოდ მორჩილი ჩინოვნიკები გამოჰყავდა,

მეფისტოსა და სტუდენტის დიალოგში სწორედ აღნიშნული დილემა იკვეთება: – განათლება ოდენ თეორიული ცოდნის მიცემა-გადაცემაა, თუ ცხოველმყოფელი, ცოცხალი ცოდნაა, რომლის საფუძველზეც ადამიანი იღებს არა მხოლოდ თეორიულ და გამოყენებით ცოდნას ამა თუ იმ სამეცნიერო სფეროში თუ პროფესიულ დარგში, თუ განათლება უპირატესად აღზრდაა, რომელიც (განათლება) ადამიანს აძლევს ცოდნას (სიბრძნეს) სიცოცხლის შესახებ, სიცოცხლის არსზე, ეგზისტენციის საკითხებზე და რომელიც ამაზე ორიენტირებული აღზრდის ადამიანს და "წრთვნის" კანტიანური კატეგორიული იმპერატივის პათოსით.

ამგვარად, აღნიშნული დიალოგების თემაა: რა არის განათლების არსი და რა არის განათლების მიზანი – გამოიყვანოს დარგის სპეციალისტები, სფეროს პროფესიონალები (განათლება, როგორც სპეციალიზაცია), თუ მისი არსი და მიზანი ამაზე მეტია, ანუ, აღზარდოს დამოუკიდებელი, ჩამოყალიბებული პიროვნებები (განათლება, როგორც ჰუმანიზმი).

18. პოეტური კონცეპტუალური მეტაფორისათვის (ჯორჯო კაპრონისა და ეუჯენიო მონტალეს ლექსების მაგალითზე)

ჯორჯო კაპრონესა და ეუჯენიო მონტალეს ლექსების მაგალითზე შეგვიძლია დავადასტუროთ პოეტური კოგნიტიური მეტაფორის პოსტულატი, რომ პოეტური მეტაფორების საფუძველს წარმოადგენს ჩვენს ცნობიერებაში ფესვგამდგარი ბაზისური კოგნიტიური მეტაფორები; ვინაიდან ბაზისური მეტაფორები იქმნება კონცეპტუალურ დონეზე, ისინი შეიძლება იყვნენ გავრცელებულნი ყოველდღიურ ენაში ან რეალიზებულნი პოეტური მეტაფორის სახით. როგორც ლაკოფი და ტერნერი აღნიშნავენ, ბაზისური მეტაფორები არ არიან შექმნილნი პოეტების მიერ, პოეტები თავისებურად ამუშავებენ ბაზისურ მეტაფორებს და შედეგად ღებულობენ ინდივიდუალურ პოეტურ მეტაფორებს.

სიკვდილ-სიცოცხლე და ცხოვრება ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი კონცეპტებია, არსებობს მათი გამომხატველი უამრავი ენობრივი მეტაფორა და ისინი ამ კონცეპტების სხვადასხვა აპექტზე ფოკუსირდებიან, ზოგიერთ მათგანს გამოყოფენ და სხვებს კი „მიჩქმალავენ".

ჯორჯო კაპრონეს ლექსში პოეტი გაუცნობიერებლად მიმართავს გაფართოებასა და სამ კოგნიტიურ მეტაფორას - *ცხოვრება არის მოგზაურობა, სიკვდილი არის მოგზაურობის დასასრული*

და *სიკვდილი არის დანიშნულების ადგილას ჩასვლა.* რაც შეეხება ეუჯენიო მონტალეს ლექსს - „მოგზაურობის წინ“, მასში გააქტიურებულია კონცეპტუალური მეტაფორა *ცხოვრება არის მოგზაურობა*, რასაც მხოლოდ ჩვენი იმპლიციტური ცოდნის საშუალებით ვწვდებით.

19. გამომდინარეობა, გაფართოება და კომბინირება პოეტურ ტექსტში

ცხოვრება - მოგზაურობაა - ძალიან გავრცელებული კონცეპტუალური მეტაფორაა. ჩვენი ცოდნა მოგზაურობის შესახებ არის სქემატური ხასიათის, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ცოდნა სხვადასხვა კომპონენტებისაგან შედგება. ასეთი კომპონენტებია: მოგზაური, მოგზაურობის საწყისი წერტილი, გზა, დანიშნულების ადგილი. ამ სქემაში არის სავალდებულო და არასავალდებულო ელემენტები, მაგალითად, არასავალდებულო ელემენტებია გამცილებელი, ტრანსპორტის სახეობა. ამგვარი ცოდნა ქმნის სქემას, სქემას გააჩნია ელემენტები ან სლოტები (slot), რომლებიც უნდა შეივსოს. მაგალითად, მოგზაურობის სქემაში უნდა შეივსოს მგზავრის სლოტი, ეს იქნება კონკრეტული მოგზაური, მოგზაურის კონცეპტი აზრს იძენს მხოლოდ მოგზაურობასთან მიმართებაში. როდესაც ჩვენ ვიცნობიერებთ მოგზაურის არსებობას, ეს ნიშნავს, რომ ის ავსებს სლოტს მოგზაურობის სქემაში. კაპრონის განხილულ ლექსში წარმოდგენილია მოგზაური, რომელიც მოგზაურობს მატარებლით; პოეტი მიმართავს გავრცელებულ, ჩვეულებრივ მეტაფორას და აღწერს მას „უჩვეულოდ“, რასაც აღწევს წყაროს „გამოუყენებელი“ ელემენტების ჩართვით. კაპრონის პოეტური ინდივიდუალობა სწორედ ამ სქემის გამოუყენებელი ელემენტების გააქტიურებაში ვლინდება. გამოუყენებელი ელემენტები, ე.წ. გამომდინარეობები (entailments) - ის მდიდარი დამატებითი ცოდნა წყაროს შესახებ, რომელიც პროექცირებულია მიზნის სფეროში. გამომდინარეობად მიგვაჩნია ჩემოდანი, წითელი დისკი და მუხრუჭების ღრჭიალი განხილული ლექსიდან

ზოგადად წყაროს სფეროდან მიზნის სფეროზე პროექციას ნაწილობრივი ხასიათი აქვს; წყაროს სფეროდან მიზნის სფეროში არ გადადის ყველა ჩვენთვის ნაცნობი ელემენტი, არამედ მხოლოდ გარკვეული მათგანი, ზოგჯერ შედარებით უჩვეულო, როგორიც არის ამ შემთხვევაში ჩემოდანი, წითელი დისკი და მუხრუჭების ღრჭიალი.

განხილულ ლექსში შესაძლებელია ე.წ. კომბინირების დადგენა. კომბინირება გულისხმობს რამდენიმე კონცეპტუალურ მეტაფორას; ამ ლექსში აქტიურდება არა მხოლოდ კონცეპტუალური მეტაფორა *ცხოვრება არის მოგზაურობა,* არამედ სხვა კონცეპტუალური მეტაფორებიც: *სიკვდილი არის მოგზაურობის დასასრული* და *სიკვდილი არის დანიშნულების ადგილას ჩასვლა:* პოეტი თავის დანიშნულების ადგილზე ჩადის და ხედავს თავისი სადგურის წითელ დისკს. მატარებლის სხვა მგზავრები კი აგრძელებენ თავიანთ მოგზაურობას.

20. სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგიის ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სწავლების საფეხურზე

დიდაქტიკური თვალსაზრისით დღემდე არსებული უამრავი მიდგომის მიუხედავად, სპეციალისტები ძალისხმევას არ იშურებენ ახალი გზების აღმოჩენის მიმართულებით. უცხოური ენის სწავლების კუთხით, დღევანდელობის მოთხოვნად რჩება ინდივიდუალურ საჭიროებებზე, პერსონალურ პროფესიულ მიზნებზე ორიენტირებული მეთოდოლოგია, რომელიც თითოეული ბენეფიციარის კონკრეტულ მოთხოვნაზეა ორიენტირებული. სწორედ ასეთ მიდგომად უნდა ჩაითვალოს სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდი (ე.წ. F.O.S მეთოდი), რომლის კონკრეტული ქვემეთოდი საუნივერსიტეტო მიზნობრივი ფრანგული ენის (ე. წ. F.O.U) სწავლება- საუნივერსიტეტო სწავლების ფორმატში გაცილებით ეფექტიანად მიიჩნევა და სტუდენტების ფრანკოფონულ საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციას ისახავს მიზნად.

21. მედიაციის როლი ფრანგული ენის სწავლების პროცესში

სტატიაში განხილულია მედიაციის მნიშვნელობა ფრანგული ენის სწავლების პროცესში. ხაზგასმით აღნიშნულია მედიატორის როლი და ფუნქცია სასწავლო საკომუნიკაციო პროცესის წარმართვისა და ფასილიტაციის თვალსაზრისით. განხილულია მედიაციის დიდაქტიკურ პრაქტიკაში ინტეგრირების შესაძლებლობები, როგორც ზოგადი განათლების, ასევე პროფესიული და საუნივერსიტეტო განათლების საფეხურებზე.

22. განმანათლებლობა ესპანეთში.

XVIII საუკუნის ევროპაში მიმდინარე პროცესები და გაბატონებული იდეოლოგია, რომელიც ძველი საზოგადოების თანამედროვე საზოგადოებად გარდაქმნას გულისხმობს, განმანათლებლობის სახელით შევიდა ისტორიაში. განმანათლებლობის იდეები ინგლისში ჩაისახა, ხოლო მოგვიანებით გავრცელდა ევროპის არაერთ ქვეყანაში. განმანათლებლობამ საბოლოო სახე XVIII საუკუნის საფრანგეთში მიიღო. სწორედ საფრანგეთიდან გავრცელდა განმანათლებლობის იდეები ესპანეთში. თუმცა, ესპანური განმანათლებლობა ფრანგულისგან განსხვავდება როგორც შინაარსობრივად, ისე მთელი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე პროცესების განსხვავებული დასასრულით. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ ესპანური განმანათლებლობის ძირითადად მახასიათებლებს და ვნახავთ, რა განასხვავებდა მას ფრანგული განმანათლებლობისგან. განმანათლებლობა XVIII საუკუნის ევროპაში გაბატონებული იდეოლოგიაა, რომლის მიზანიც ტრადიციული საზოგადოების თანამედროვე საზოგადოებად გარდაქმნაა. განმანათლებლობის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ მოძველებული საზოგადოებრივი წყობილება და დრომოჭმული შეხედულებები მთელი რიგი საკითხების მიმართ უნდა შეცვლილიყო. ისინი გმობდნენ შუასაუკუნეობრივ ცრურწმენებს, კონკრეტული ფენების პრივილეგიებს, აკრიტიკებდნენ კათოლიკურ ეკლესიას და პროგრესის ერთადერთ გზად მიიჩნევენ რეფორმებს, რაც თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საზოგადოების შექმნის წინაპირობა გახდებოდა. განმანათლებლები საზოგადოების მთავარ პრობლემად გაუნათლებლობას ასახელებდნენ და მეცნიერული ცოდნის გავრცელებაში ხედავდნენ გამოსავალს. სინამდვილის შესაცნობად უპირატესი გახდა გონება, თავისუფალი აზროვნება, განსჯა და ფაქტების ანალიზი.

განმანათლებლობა ორ მიმართულებას მოიცავს: ა) მეცნიერება, რაც გულისხმობს, რაც ადამიანს აღარ აკმაყოფილებს ტრადიციული ცოდნა და სამეცნიერო კვლევებით იწყებს მსოფლიოს შემეცნების პროცესს. ადამიანი მეცნიერული ცდებითა და დაკვირვებებით იწყებს მთელი რიგი მოვლენების ახსნას; ბ) პოლიტიკა და საზოგადოების მოწყობა, სადაც მთავარი ღირებულება ტოლერანტობა, თავისუფლება და თანასწორობაა. ბუნებრივია, განმანათლებლების იდეები პოლიტიკისა და საზოგადოების ახლებურად მოწყობის შესახებ წინააღმდეგობაში მოდის იმ პერიოდის ევროპაში გაბატონებულ აბსოლუტურ მონარქიასთან, სადაც მონარქი სიცოცხლის ბოლომდე მართავს ქვეყანას და აქვს შეუზღუდავი ძალაუფლება.

განმანათლებლობის იდეები XVII საუკუნის ინგლისში ჩაისახა, ხოლო მოგვიანებით გავრცელდა ევროპის არაერთ ქვეყანაში. განმანათლებლობამ საბოლოო სახე XVIII საუკუნის საფრანგეთში მიიღო. სწორედ ფრანგულ განმანათლებლობას წარმოადგენენ XVIII საუკუნის ევროპის უდიდესი მოაზროვნეები ვოლტერი, მონტესკიე, რუსო და დიდრო. ვოლტერი აკრიტიკებს წოდებრივ უთანასწორობას, საუბრობს თავისუფლებასა და თანასწორობაზე, ეწინააღმდება რელიგიურ ფანატიზმს. მისთვის მიუღებელია თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა, რაც ნათლად ჩანს ვოლტერის ცნობილ ფრაზაში: "შესაძლოა, თქვენი აზრები ჩემთვის მიუღებელი იყოს, მაგრამ მე თავს გავწირავ, რათა თქვენ მათი გამოთქმის უფლება გქონდეთ." ვოლტერი საზოგადოების მთავარ პრობლემად გაუნათლებლობას ასახელებს და საზოგადოების გარდაქმნის მშვიდობიან გზას, რეფორმების გატარებას ემხრობა. სამი სახის მმართველობას (რესპუბლიკური, მონარქიული, დესპოტური) განარჩევს მონტესკიე, რომელიც ეწინააღმდება მთელი ძალაუფლების ერთი ადამიანის ხელში თავმოყრას და კონსტიტუციური მონარქიის მოდელს ემხრობა. ადამიანის უფლებების დაცვა და სოციალური თანასწორობა გვხვდება რუსოსთანაც. თუმცა, ფრანგული განმანათლებლობის წინა თაობისგან განსხვავებით, რუსო წარმოადგენს უკიდურეს რადიკალიზმს და ცვლილებების გატარების გზად რევოლუციას ირჩევს. ჟან-ჟაკ რუსოს ნაშრომებმა და პოლიტიკურმა იდეებმა უდიდესი წვლილი შეიტანა საფრანგეთის რევოლუციაში. რაც შეეხება დიდროს, დენი დიდროს დამსახურებაა ფრანგულენოვანი მეცნიერებისა და ხელოვნების ენციკლოპედიის შექმნა. დიდროს მიზანი მთელს მსოფლიოში მიმოფანტული ცოდნის მოგროვება, წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება და თანამედროვეებისათვის გადაცემა იყო.

ენციკლოპედიის გამოცემა ხელს უწყობს მეცნიერული ცოდნის გავრცელებას, რაც განმანათლებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო.

23. ჟარგონის როლი ესპანელი ახალგაზრდების მეტყველებაში.

სოციალური დიალექტი - ჟარგონი არის ენის ის ვარიანტი, რომელსაც სხვადასხვა ასაკის, განათლების, პროფესიის ან სოციალური მდგომარეობის ადამიანები ერთმანეთთან კომინუკაციის დროს იყენებენ. ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა კვლევა ესპანელი ახალგაზრდების სასაუბრო ენისა, რომელიც სავსეა ანგლიზიცმებით, მნიშვნელობაშეცვლილი სპეციფიკური ლექსიკით და სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი პროცესებით ნაწარმოები სიტყვებით. ესპანელი ახალგაზრდების მიერ ერთმანეთთან კომინუკაციის დროს გამოყენებული ენა მრავალფეროვანია თემატურადაც.

ესპანელი ახალგაზრდების ჟარგონული მეტყველება და მათი სასაუბრო ენის მთავარი ლინგვისტური მახასიათებლები წინამდებარე სტატიის მთავარი თემაა. ნაშრომში განვიხილავთ ამ ტიპის სპეციფიკურ ლექსიკას, როგორც თემატურად, ისე ლინგვისტური მახასიათებლებით.

ენის მთლიანობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია ყველა ერისთვის, რადგან იგი პირდაპირ კავშირშია ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბებასთან. გამონაკლისს არც ესპანელები წარმოადგენენ. ესპანელებიც ცდილობენ ენის მთლიანობის შენარჩუნებას, თუმცა ენის ევოლუციის პროცესში მაინც იჩენს თავს სპეციფიკური ლექსიკა, რომელიც საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის მეტყველებას საერთო-სახალხო ენისგან გამოყოფს და განასხვავებს.

საერთო-სახალხო ენის ერთ-ერთი განშტოება არის ჟარგონი, რომელიც განსაკუთრებით გამოყენებადია ესპანელი ახალგაზრდების მეტყველებაში. ესპანელი ახალგაზრდები სხვადასხვა სტილისტური და მორფოლოგიური საშუალებებით ქმნიან საკუთარ სასაუბრო ენას და მას იყენებენ როგორც ზეპირი, ისე წერითი კომუნიკაციის დროს. სწორედ ესპანელი ახალგაზრდების მეტყველებას და მათ მიერ გამოყენებულ ჟარგონს ეხება წინამდებარე სტატია, სადაც ჟარგონულ ლექსიკას განვიხილავთ არა მარტო თემატურად, არამედ ვნახავთ, რომელ მორფოლოგიურ საშუალებებს იყენებენ ახალგაზრდები ესპანეთში საკუთარი სასაუბრო ენის შექმნისას. სტატიაში წარმოდგენილი ესპანურენოვანი ერთეულების განხილვისას და შესაბამისი ქართული ეკვივალენტების მოძიებისას გამოვიყენეთ შემდეგი ორი ლექსიკონი: ესპანურენოვანი ჟარგონის განმარტებითი ონლაინ ლექსიკონი და ლევან ბრეგაძის „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“ (2005).

24. მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის ისტორიიდან (ნებრიხადან სამეფო აკადემიის უახლეს გრამატიკამდე)

ენაში არსებული სიტყვათა მარაგის სხვადასხვა კლასებად გადანაწილება და საკლასიფიკაციო პრინციპად სიტყვების საერთო გრამატიკული ნიშნების (მორფოლოგიური კატეგორიები, სინტაქსური ფუნქციები) გამოყენება ენაში კონკრეტული რაოდენობის მეტყველების ნაწილების ჩამონათვალს წარმოქმნის. გამონაკლისი არც ესპანური ენაა, სადაც ცხრა მეტყველების ნაწილს გამოყოფენ: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, მსაზღვრელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, წინდებული, კავშირი, შორისდებული. მეტყველების ნაწილების წარმოდგენილი თანამიმდევრობა გვხვდება 2009 წლიდან, მას შემდეგ რაც ესპანეთის სამეფო აკადემიამ (RAE) გამოაქვეყნა ესპანური ენის განახლებული გრამატიკა „Nueva gramática de la lengua española“. აკადემიის განახლებული გრამატიკით შემოთავაზებული კლასიფიკაცია, რომელიც ამ ეტაპზე საბოლოო ვარიანტიად განიხილება, მთელი რიგი მახასიათებლებით განსხვავდება წინა საუკუნეების გრამატიკულ ნაშრომებში წარმოდგენილი კლასიფიკაციებისგან. სწორედ მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის ისტორიას ეხება სტატია, სადაც ესპანური (კასტილიური) ენისათვის ყველაზე მნიშვნელოვან გრამატიკულ ნაშრომებზე დაყრდნობით აღწერილია ევოლუციის რა გზა განვლო მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციამ. მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციის აღწერა დავიწყეთ კასტილიური (ესპანური) ენის პირველი გრამატიკიდან და ვნახეთ, როგორ შეიცვალა ეტაპობრივად ნებრიხასეული კლასიფიკაცია და როგორ მივიღეთ თანამედროვე ესპანურში ცხრა მეტყველების ნაწილი.

25. გაბრიელე დ’ანუნციოს ნოველა „ბრძოლა ხიდთან. პესკარას ქრონიკა” დაკავშირებულია ქოლერის ეპიდემიის გავრცელებასთან იტალიაში 1884-1886 წლებში. ნოველაში თავს იჩენს ეპიდემიების ამსახველი მხატვრული ტექსტებისათვის დამახასიათებელი არაერთი საკვანძო მოტივი: შიში და პანიკა,

ცრურწმენების, უსაფუძვლო ჭორებისა და მოსაზრებების გავრცელება, უნდობლობა ხელისუფლებისადმი, ეკონომიკური ზარალი, ცხოვრების ჩვეული რიტმის მოშლა, უარყოფითი ზემოქმედება ადამიანთა ინდივიდუალურ და ჯგუფურ ქცევაზე. „ბრძოლა ხიდთან“ ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მასობრივი ფსიქოლოგიური კრიზისის დროს ხელისუფლების ინსტიტუტების მოქმედებასა და მათ მიმართ ხალხის ნდობის ხარისხს.

26. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში არსებული ხელნაწერი S 4742 ორენოვანი დარგობრივი ლექიკონის, კერძოდ, იტალიურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონის პირველი ნიმუშია ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში. იგი შედგენილია XIX საუკუნის დასაწყისში ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მოძღვრის, ანტონ გლახაშვილის, მიერ. ლექსიკონში მოცემულია მცენარეთა შვიდასზე მეტი იტალიური სახელწოდების ქართული შესატყვისი; გამონაკლისი სახით გვხვდება აგრეთვე ფაუნის, მინერალებისა და სხვა დარგების იტალიური სიტყვების თარგმანი. აღნიშნულ ხელნაწერში წარმოდგენილი მასალა საშუალებას იძლევა ახალი სინონიმებით შეივსოს მცენარეთა ქართული სახელწოდების უკვე დაკანონებული ნომენკლატურის ჩამონათვალი.

27. ედგარ ალან პო ამერიკული რომანტიზმის ცენტრალური ფიგურაა, რომელსაც წინამორბედად მიიჩნევდნენ ფრანგი სიმბოლისტები. ამასთან, იგი გახლავთ საშინელებათა, ფანტასტიკური და დეტექტიური ჟანრების ფუძემდებელი. მან ასევე ხელი შეუწყო ფსიქოლოგიური რეალიზმის განვითარებას. პოს შემოქმედება იმდენად მრავალმხრივია, რომ ძნელია მისი რომელიმე ერთი ლიტერატურული ჟანრისათვის მიკუთვნება. მისი პოეზიის განხილვისას, ყველაზე ხშირად საუბრობენ გოთურ და რომანტიკულ ელემენტებზე. წინამდებარე სტატიაში პოს ნაწარმოებები განხილულია მათში გამოყენებული კლასიკური ალუზიების თვალსაზრისით.

ედგარ პოს შემოქმედებაში, მეტადრე პოეზიაში, ანტიკურ მითოლოგიასთან დაკავშირებული ალუზიების რავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მათთან ერთად გვხვდება ბიბლიური ალუზიები, ყურანთან, ასევე ფინიკიურ, გერმანულ-სკანდინავიურ და სხვა მითოლოგიასთან დაკავშირებული ალუზიები, მაგრამ წინამდებარე მოხსენების მიზანია იმის წარმოჩენა, თუ რა როლს თამაშობს გენიალური ამერიკელი პოეტის შემოქმედებაში, მეტადრე პოეზიაში, ბერძნულ-რომაული მითები და ლიტერატურა. პოს ლექსებში მითოლოგიური პერსონაჟები გვევლინებიან ერთი მხრივ, სილამაზის, სიყვარულის, სიბრძნის, მეორე მხრივ კი თავდავიწყებს, სიკვდილის სიმბოლოებად. მათი მეშვეობით ავტორი სხარტად და ხატოვნად გადმოგვცემს სათქმელს, სიღრმესა და ემოციურ ეფექტს მატებს ნაწარმოებს და უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვადგენინებს და განგვაცდევინებს მათში აღწერილ ამბებსა და გრძნობებს. კლასიკური ალუზიების დახმარებით ედგარ პოს გადავყავართ უმშვენიერეს ანტიკურ სამყაროში, რომლის პერსონაჟთა სახეები კიდევ უფრო ამდიდრებს უდიდესი პოეტის სილამაზითა და მუსიკალობით გამორჩეულ ლექსებს.

28. ცნობილია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, გერმანული საკუთარი და გეოგრაფიული სახელები რუსულ ენაში გავრცელებული ფორმებით შემოდიოდა და მკვიდრდებოდა ქართულში.

უკანასკნელ წლებში ქართულ ენაში სხვადასხვა გზით შემოსული საკუთარი და გეოგრაფიული სახელები უშუალოდ გერმანული ენიდან ითარგმნება, რაც იწვევს ახალი ფორმების შემოტანას, რომლებიც ძველ, რუსულიდან შემოსულ ფორმებს უპირისპირდებიან.

პარალელური ფორმები ზოგჯერ წინააღმდეგობაში მოდიან ქართულ ორთოგრაფიულ ლექსიკონებში წარმოდგენილ ფორმებთანაც, რომელთა საფუძველზეც უნდა ხდებოდეს უცხოურ სახელთა გადმოქართულება.

პარალელური ფორმებიდან უპირატესის ასარჩევად, როგორც წესი, ანგარიშს უწევენ გერმანული ენის წარმოთქმას, სახელთა შემოსვლის გზასა და ისტორიას, მაგრამ ამ აუცილებლად გასათვალისწინებელ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია ასევე, თანამედროვე გერმანულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული გრაფემებისა და ბგერების ნორმატიული ფორმების განხილვა.

ეს საკითხი კი ეფუძნება გერმანული ენის ფონეტიკურ, ფონოლოგიურ და გრაფემულ სისტემებს და გულისხმობს განსახილველი ბგერების ნათესაობის, არტიკულაციის რაგვარობის, არტიკულაციის ადგილის, სიტყვაში პოზიციის, ბგერითი კონტექსტის, ფონოლოგიური მახასიათებლების და ა.შ. დადგენას.

გერმანული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების თარგმნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გერმანული ენის ბგერებს, რომელთაც არა აქვთ შესატყვისი ქართულში და ქართული ენის ტრადიციების შესაბამისად შეირჩეს ისეთი ფორმები, რომლებიც ბუნებრივი და მისაღები იქნება როგორც გერმანული, ისე ქართული სალიტერატურო ენის ნორმისათვის.
29. ნაშრომში განხილულია რაინერ მარია რილკეს ბიოგრაფია და რელიგიური შეხედულებები მის პოეტურ ტექსტებთან კავშირში. ნაჩვენებია, რომ ე. მ. რილკეს ბავშვობაზე რელიგიამ ფატალური ზეგავლენა იქონია, რამაც შემდგომში განაპირობა მისდამი პოეტის ამბივალენტური დამოკიდებულება. ჭეშმარიტებისა და ცხოვრების აზრის ძიებამ ე. მ. რილკე ჭეშმარიტი ქრისტიანობიდან ანტიქრისტიანულ განწყობამდე, ისლამით და ბუდიზმით გატაცებამდე მიიყვანა. ე. მ. რილკეს რელიგიური მეტამორფოზები ასახულია მის პოეტურ ტექსტებში, სადაც რელიგია და ღმერთი იდენტიფიცირებულია ხან სიყვარულთან, ხან მის უარყოფასთან, ხან კი ხელოვნებასთან, რომელიც ღმერთს ემსახურება. თავის ბოლო ლექსებში ე. მ. რილკე უახლოვდება ჭეშმარიტების გაგებას. პოეტის რელიგიური ლირიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ არც ერთი გერმანელი პოეტი არ ყოფილა ქრისტიანული ეკლესიისაგან ისე განდგომილი როგორც რილკე. მაგრამ, ამავე დროს, არავის არ ჰქონია ქრისტიანობა ისე ინტენსიურად შესწავლილი და თემატიზებული თავის ლექსებში როგორც რ. მ. რილკეს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.
2.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1.
2.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
2.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. Manana Rusieshvili-Cartledge
2. დარეჯან თვალთვაძე, ირინა გველესიანი
3. ირინა გველესიანი, ეთერ მუმლაძე
4. ირინა გველესიანი
5. ირინე დემეტრაძე
6. ინესა მერაბიშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Why are students (un)willing to communicate in a foreign Language ?
2. ონლაინ სწავლება საკლასო სწავლების პირისპირ (კოვიდ-19-ის ფონზე) https://doi.org/10.17770/sie2021vol5.6139
3. Covid-19 და მულტილინგვური განათლება — გამოწვევები და პერსპექტივები, Covid-19 and multilingual education — challenges and perspectives (kneu.edu.ua)
4. თარგმანი ინტერნაციონალიზაციასა და ლოკალიზაციას შორის: თანამედროვე იურიდიულ-ეკონომიკურ „ტრანსპლანტანტებთან“ დაკავშირებული ტერმინოლოგიური ერთეულების მაგალითზე. https://nalans.com/index.php/nalans/article/view/157
5. *The Use of Popular Songs and Films in Overcoming the Typical Mistakes of Georgian Learners of English*. E ISSN 1512-3146.
6. Towards Some Aspects of Linguistics of Poetic Translation,
DOI: 10.11648/j.ijalt.20210704.11, ISSN: 2472-1166 (Print); ISSN: 2472-1271 (Online)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. VIRTUAL INTERNATIONAL SPRING SYMPOSIUM PROCEEDINGS EMPOWERING ENGLISHLANGUAGE EDUCATORS THROUGH ACTION RESEARCH 26-27 March 2021. Pp. 162-173 ISBN 978-9975-50-263-4./378.091:811.111(082)=00E 49

2. მასალები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა „საზოგადოება. ინტეგრაცია. განათლება“, ტომი V.
3. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები “Intercultural Communications in Teaching Languages at Modern University”.
4. ნარატივისა და ენის შემსწავლელი ჟურნალი, 9 (16).
5. International Journal of Multilingual Education. No 35. 2021.
6. International Journal of Applied Linguistics and Translation, Vol. 7, No. 4, 2021, http://www.ijalt.org/article/340/10.11648.j.ijalt.20210704.11

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. 3100 Republica Moldova, mun. Bălți, S.R.L. «Tipografi a din Bălți», str. 31 August, 22
2. ლატვია
3. კიევი
4. თურქეთი
5. http://www.multilingualeducation.org/ka/
6. New York, Science Publishing Group.

5) გვერდების რაოდენობა

1. 11
2. 9
3. 5
4. 9
5. იბეჭდება
6. 11 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. რატომ (არ) სურთ სტუდენტებს უცხო ენაზე საუბარი?

უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პრობლემა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს გლობალიზაციის დროს და წარმოადგენს თანამედროვე გამოყენებითი ლინგვისტიკის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას. უცხო ენაზე ეფექტური და წარმატებული კომუნიკაციის შესწავლა კონცენტრირებულია ამ პროცესის ფსიქოლოგიურ, ლინგვისტურ და კომუნიკაციის ასპექტებზე (McCroskey & Baer, 1985; Mahdi, 2014). უცხო ენაზე კომუნიკაციის სურვილის (WTC) თეორიის მეთოდოლოგიაურ აპარატზე დაყრდნობით , (MacIntyre et al, 2001; 2002), სტატიაში აღწერილი კვლევა მიზნად ისახავს პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებზე: (1) რა როლი ენიჭება სტუდენტის ფსიქოლოგიურ განწყობას (მოტივაცია, თავდაჯერებულობა ან შფოთვა) ზეპირი კომუნიკაციის პროცესში? (2) როგორ უკავშირდება უცხო ენაზე საუბრის დროს მოტივაცია ინგლისურის როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში (L2) გამოხატულ კომუნიკაციის სურვილს? (3) როგორ აღიქვამენ და აფასებენ სტუდენტები საკუთარ ფსიქოლოგიურ განწყობას ინგლისური ენის გაკვეთილებზე?

2. ონლაინ სწავლება საკლასო სწავლების პირისპირ (COVID-19-ის ფონზე)

ნაშრომი ასახავს საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის გამოწვევებს პანდემიის (COVID-19-ის) პირობებში. ძირითადი აქცენტი კეთდება საკლასო სწავლებიდან ონლაინ სწავლებაზე გადასვლაზე, ასევე, პირისპირ ურთიერთობისა და ვირტუალური კომუნიკაციის შედარებით ანალიზზე. ამასთანავე, ნაშრომში წარმოდგენილია ონლაინ სწავლებაზე „მშვიდობიანი“ გადასვლის ძირითადი სტრატეგიები: მოსწავლეზე ორიენტირებული ვირტუალური საკლასო ატმოსფეროს შექმნა, დროული ინფორმაციულობა, შესაბამისი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება, წერილობითი ტიპის გამოცდების ჩანაცვლება ჰიბრიდული გამოცდებით, კლასგარეშე კომუნიკაცია, შეფასების

განახლებული კრიტერიუმები და სხვა. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ბოლოდროინდელ პროცესებზე დაკვირვებას, ანალიზსა და შეფასებას.

3. COVID-19 და მულტილინგვური განათლება — გამოწვევები და პერსპექტივები

Covid-19 დღევანდელი სამყაროს მთავარი გამოწვევაა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა თითოეული მოქალაქის ცხოვრება. ნაწილობრივი ან სრული გადასვლა ვირტუალურ კომუნიკაციაზე გარდაუვალი გახდა ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. პროფესორ-მასწავლებლები განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დადგნენ.

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ონლაინ სწავლების ინოვაციურ სტრატეგიებს. ძირითადი აქცენტი კეთდება მულტილინგვური განათლების მთავარ პრობლემებზე, მათ გადაწყვეტასა და მომავალ პერსპექტივებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლებას მრავალეთნიკურ ჯგუფებში.

4. თარგმანი ინტერნაციონალიზაციასა და ლოკალიზაციას შორის: თანამედროვე იურიდიულ-ეკონომიკურ „ტრანსპლანტანტებთან“ დაკავშირებული ტერმინოლოგიური ერთეულების მაგალითზე

თანამედროვე გლობალიზაციის პროცესების კვალდაკვალ ინოვაციური ტენდენციები მკვიდრდება თარგმანის სფეროში. ისინი ასახავს გლობალიზაციის პროცესებთან დაკავშირებულ ისტორიულ ცვლილებებს და შუამავალია ენობრივ-კონცეპტუალურ ინტერნაციონალიზაციასა და ლოკალიზაციას შორის.

ნაშრომში განხილულია თარგმანის ის ტენდენციები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე იურიდიულ-ეკონომიკური ლექსიკური ერთეულების წარმოქმნაში. ძირითადი აქცენტი კეთდება საერთო სამართლის trust-თან და კანადურ fiducie-თან დაკავშირებული ტერმინების სემანტიკურ თავისებურებებზე. განხილულია მათი თარგმნის პრობლემატიკა.

5. სტატიაში განხილულია ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა ტიპური შეცდომები, რომლებიც გამოწვეულია მშობლიური ენის ინტერფერენციით. ნაშრომის თეორიულ საფიძველს წარმოადგენს შემდგე მკვლევართა ნაშრომები: ლადო, 1957; კორდერი, 1981; სპიჩერი და სვინი, 2007; სალსედო, 2002; ლუდკე, 2009 და სხვა. ემპირიული მასალა აღებულია სწავლების პირადი გამოცდილებიდან და პოპულარული მედია-არხებიდან. ემპირიული მასალა აღებულია სწავლების პირადი გამოცდილებიდან და პოპულარული მედია-არხებიდან. რამდენადაც ინგლისური და ქართული სტრუქტურულად ძლიერ განსხვავებული ენებია, ქართველ შემსწავლელთა შეცდომები ყველაზე ხშირად ვლინდება გრამატიკის სფეროში. ინგლისური ენის სწავლების მრავალწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით, ავტორი ასკვნის, რომ სტუდენტები ადვილად გადალახავენ მშობლიური ენის ინტერფერენციისა და მასთან დაკავშირებული ხშირი შეცდომების პრობლემას, როდესაც ისინი განიხილავენ მაგალითებს პოპულარული სიმღერებისა და ფილმების ტექსტებიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ სიმღერებში და ფილმებში წარმოდგენილია ბუნებრივი, ავთენტური ენა, ისინი იდეალურ საშუალებას წარმოადგენს იმისთვის, რომ ინგლისური ენის შემსწავლელმა გაიუმჯობესოს წარმოთქმა, შეითვისოს ინგლისური ენის მორფოლოგია და სინტაქსი, გაიმდიდროს ლექსიკა, გაიუმჯობესოს სმენითი უნარები და ა.შ. ამასთანავე, სიმღერების ტექსტები ადვილად ხელმისაწვდომია Youtube-სა და სხვა მედია-არხებზე.

საყოველთაოდ აღირებულია, რომ სიმღერები აადვილებს უცხოური ენის შესწავლას. სიმღერების მისმენა და ფილმებიდან საინტერესო ფრაგმენტების ყურება დიდ დროს არ მოითხოვს, განსხვავებით გრამატიკის სახელმძღვანელოს შესწავლის, წესების გაანალიზებისა და სავარჯიშოების კეთებისაგან. სიმღერების და ფილმების გამოყენების პროცესი ძალზე ეფექტურია ენის სწავლებაში და, ამასთან, სახალისოა როგორც სტუდენტების, ასევე მასწავლებლებისთვის. რამდენადაც ჩვენთვის საინტერესო ენობრივი კონსტრუქცია თუ სიტყვა ხშირად მისამღერის ნაწილია და ბევრჯერ მეორდება, ენობრივი მასალა მყარად რჩება სტუდენტის მეხსიერებაში. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც ჩვენი მიზანია გადავლახოთ მშობლიური ენის ინტერფერენციით გამოწვეული შეცდომები, ანუ დავძლიოთ ე.წ. „უარყოფითი ტრანსფერის“ პრობლემა.

სტატიაში განხილულია შემთხვევები, როდესაც ფილმებისა და სიმღერების ტექსტების მეშვეობით დაძლეულ იქნა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებული შეცდომები: რთული დამატება,

მიმართებითი ნაცვალსახელები, კავშირები, დაქვემდებარებული წინადადებების სხვადასხვა ტიპის სწორად აგება, სიტყვების *so* და *such* სწორად გამოყენება, პირობის შემცველი წინადადებების სხვადასხვა ტიპის სწორად აგება და ა.შ. თითოეულ ამ საკითხთან დაკავშირებით, მოცემულია რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი სიმღერა და ფილმია ყველაზე ეფექტური მოცემული პრობლემის მოგვარებისთვის.

სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ ზოგჯერ სიმღერის ტექსტი უარყოფით გავლენასაც ახდენს ინგლისური ენის შემსწავლელებზე, რადგან, რიგ შემთხვევაში, სიმღერაში სრულიად იგნორირებულია გრამატიკისა თუ მართლწერის წესები. ამასთან დაკავშირებით, მასწავლებელმა ხაზგასმით უნდა გააფრთხილოს ენის შემსწავლელები, რათა მათ თავიდან აიცილონ მსგავსი შეცდომები.

6. პოეტური თარგმანის ლინგვისტიკის ზოგიერთი ასპექტისათვის

აგერ უკვე საუკუნეა, სიტყვის მნიშვნელობის შესწავლის თვალსაზრისით ლინგვისტები ხელმძღვანელობენ იმ სემანტიკური სამკუთხედით, რომელიც 1923 წელს შემოგვთავაზეს ოგდენმა და რიჩარდსმა (C. K. Ogden, J. A. Richards, The Meaning of Meaning, New York, 1923). მათი კონცეფციის თანახმად, სიტყვის მნიშვნელობა შემდეგი სამი კომპონენტის ურთიერთობას ეყრდნობა: რეფერენტი, როგორც ექსტრალინგვისტური სამყაროს საგანი ან საგანთა კლასი, ნომინაცია, როგორც სიტყვის სახელდება, და სიგნიფიკატი, როგორც სიტყვის ამსახველი ცნება.

აქ კითხვას ბადებდა შემდეგი ფაქტი: სიტყვა თავისი მნიშვნელობით უდავოდ ლინგვისტური მოვლენაა. მაშ რატომ აღმოჩნდა სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკურ სამკუთხედში ერთ-ერთ კომპონენტად ექსტრალინგვისტური სამყაროს ობიექტი? ამდენად, საჭირო იყო სიტყვის მნიშვნელობის შესწავლა არა მხოლოდ ენისა და აზროვნების, არამედ ენისა და ცნობიერების თვალსაზრისით. ამ პროცესში დიდი დახმარება გამიწია ცნობილი რუსი ფიზიოლოგის ა. პავლოვის სწავლებამ ორ სასიგნალო სისტემაზე, სადაც სიტყვა მეორე სასიგნალო სისტემად განიხილება. ანალიზის შედეგად მივედი იმ დასკვნამდე, რომ სიტყვის მნიშვნელობაში მონაწილეობს არა უშუალოდ გარესამყაროს ობიექტი, არამედ მისი გრძნობითი ასახვა, რომელიც ხატის სახით აისახება სიტყვაში. ამ გრძნობით ხატს ლინგვისტური ხატი ვუწოდე. როგორც კვლევამ ნათელყო, ლინგვისტური ხატი შთასახულია ყოველ სიტყვაში, როგორც ენობრივ ნიშანში და თანაარსებობს ნომინაციისა და სიგნიფიკატის გვერდით. სიტყვის ჩვეულებრივი ხმარების დროს ლინგვისტური ხატი სიტყვის მნიშვნელობის ფსკერზეა მიძინებული. იმ შემთხვევაში, თუ სიტყვას უვითარდება გადატანითი ან უჩვეულო მნიშვნელობა, სიტყვის სიგნიფიკატი სემათა გადანაწილების ხარჯზე (მიშელ ბრეალის თეორია) სახეცვლილებას განიცდის. რაც შეეხება ლინგვისტურ ხატს, ის ყველა შემთხვევაში უცვლელია, ისევე, როგორც სიტყვის ნომინაცია, მაგრამ აქტიურდება და ფსკერიდან ზედაპირზე ამოდის, რაც იწვევს სიტყვის ხატოვანებას. ამ დაკვირვების შედეგად ენათმეცნიერებას შევთავაზე ახალი სემანტიკური სამკუთხედი, რომელიც უკვე შედგება ნომინაციის, სიგნიფიკატისა და ლინგვისტური ხატისგან.

წინამდებარე პუბლიკაციის ღირსშესანიშნაობა შემდეგშიც მდგომარეობს: სიტყვის მნიშვნელობის ახალი სემანტიკური სამკუთხედი განვიხილე ტექსტის ლინგვისტიკის წამყვან მიგნებათა, საკუთრივ, ი. გალპერინის თეორიის კვალდაკვალ. ი. გალპერინის თეორია ტექსტში სამ შინაარსობრივ კატეგორიას ცნობს: ფაქტობრივს, კონცეპტუალურსა და ქვეტექსტურს. სიტყვაში ლინგვისტური ხატის გამოვლენამ საშუალება მომცა ტექსტის ლინგვისტიკისათვის შემეთავაზებინა მეოთხე კატეგორია, საკუთრივ, შინაარსობრივ-ხატობრივი.

სიტყვის მნიშვნელობის ახალი მოდელი და შინაარსობრივ კატეგორიათა პარამეტრების ახალი ნუსხა განხილულია თარგმანის ფენომენის მიმართ, რაც ახალი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა თარგმანის თეორიაში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) **მომხსენებელი/მომხსენებლები**

1. მანანა რუსიეშვილი და სოფიო თოთიბაძე
2. მანანა რუსიეშვილი და რუსუდან დოლიძე

3. მანანა რუსიეშვილი
4. ირინა გველესიანი
5. ირინე დემეტრაძე
6. ირინე დემეტრაძე
7. დავით მაზიაშვილი
8. დავით მაზიაშვილი
9. ც.ახვლედიანი, **გ.ყუფარაძე**, †ქ. გაბუნია
10. ც.ახვლედიანი, **გ.ყუფარაძე**, †ქ. გაბუნია
11. ც.ახვლედიანი, **გ.ყუფარაძე**, †ქ. გაბუნია
12. ც.ახვლედიანი, **გ.ყუფარაძე**, †ქ. გაბუნია
13. ც.ახვლედიანი, **გ.ყუფარაძე**, †ქ. გაბუნია
14. ც.ახვლედიანი, **გ.ყუფარაძე**, †ქ. გაბუნია
15. **გ.ყუფარაძე,** ც.ახვლედიანი, † ქ. გაბუნია
16. **გ.ყუფარაძე,** ც.ახვლედიანი
17. **გ.ყუფარაძე,** ც.ახვლედიანი,
18. მანანა გელაშვილი
19. მანანა გელაშვილი
20. კონსტანტინე ბრეგაძე
21. მარინა ანდრაზაშვილი, ნატალია ბასილაია
22. მარინა ანდრაზაშვილი, ნატალია ბასილაია
23. მარინა ანდრაზაშვილი, ნატალია ბასილაია
24. მარინა ანდრაზაშვილი
25. მარინა ანდრაზაშვილი
26. თამარ ჭუმბურიძე
27. მაია ჯავახაძე
28. ბელა ხაბეიშვილი
29. ქეთევან გაბუნია, ბელა ხაბეიშვილი
30. სალომე კემჭოშვილი
31. სალაომე კენჭოშცილი
32. ინესა მერაბიშვილი
33. ინესა მერაბიშვილი
34. ლელა ებრალიძე
35. ლელა ებრალიძე

2) **მოხსენების სათაური**

1. ვირჯინია ვულფის „მისის დელოუეი“ ქართულად
2. რა უშლის ხელს უცხო ენაზე წარმატებულ ზეპირ კომუნიკაციას?
3. სუნელ-სანელებლების ქართულ-ინგლისური მცირე ლექსიკონი
4. ზოგიერთი ქართული ნეოლოგიზმის თარგმნის პრობლემატიკა
5. პოპულარული სიმღერებისა და ფილმების გამოყენება ინგლისური ენის ქართველ შემსწავლელთა ტიპური შეცდომების აღმოფხვრის მიზნით. მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში. http://seltame.tsu.ge/
6. თხოვნასთან დაკავშირებული დისკურსული სტრატეგიები (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე).
7. მარიჯანი და ჯოისი ალექსიძის ოთახიდან
8. დანტე 700 - ბეატრიჩე ქართულ სცენაზე
9. . “ თეთრი” ფერის კომპონენტიანი კონსტრუქციები რომანულ და გერმანიკულ ენათა ფრაზეოლოგიაში (ფრანგული, ესპანური, იტალიური და ინგლისური ენების მასალაზე)
10. ფრანგულ და ინგლისურ პოლისემიურ სიტყვათა სემანტიკის თავისებურებანი
11. ფრანგულ და ინგლისურ ნაციონალურ ხასიათთა ასახვა ფრაზეოლოგიაში
12. ფრაზეოლოგიური ინტერნაციონალიზაცია /ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/

13. ფრაზეოლოგიური ერთეულები კომპონენტით “რელიგიონიმები”, / ფრანგული და ინგლისური ენების მასალაზე/
14. საკუთარი სახელებიდან წარმოებულ სიტყვათა თავისებურებანი /ფრანგული და ინგლისური ენების მასალაზე/
15. რეალიათა ამსახველი ფრაზეოლოგიზმები ფრანგულ და ინგლისურ ენებში
16. ინგლისური ნასესხობანი ფრანგული ენის ლექსიკაში
17. ენის ინტეგრაცია სემიოტიკური თვალსაზრისით
18. ,,ვეფხისტყაოსნის'' ინგლისური თარგმანების შედარებითი ანალიზი
19. მარგარეტ ეტვუდის პროსტმოდერნისტული ვარიაციები ჰომეროსის ,,ოდისეაზე''
20. „განათლების საკითხები გოეთეს *ფაუსტში*“
21. სინესთეზია და მისი ენობრივი არეკვლა ლიტერატურულ ნიმუშებზე დაყრდნობით.
22. ტექსტის რეცეფცია და მთარგმნელის ინტერპრეტაცია.
23. მრავალენოვნების სახეობები და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ნიუანსები.
24. გერმანელი დირიჟორები თბილისის საოპერო თეატრის პულტთან XX საუკუნის სამოცდაათიანი წლებში
25. გერმანიის მდინარეთა სახელები და მორფოსინტაქსური სტრუქტურის ინდივიდუალობები
26. გ. ჩუბინაშვილის არქივში დაცული პირადი და ოფიციალური წერილების კვლევის თავისებურებები,
27. ცხოვრება მოგზაურობაა, როგორც კონცეპტუალური მეტაფორა და ალეგორიის საფუძველი
28. « ფრანგული ენის სწავლების დიდაქტიკური პოტენციალის ანალიზი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში; სოციო-პოლიტიკური და კულტურული ასპექტები»
29. L’intégration de la méthodologie du français sur objectifs spécifiques (F.O.S) dans l’enseignement universitaire "ფრანგული ენა - შესაძლებლობების პლატფორმა"
30. პანდემიის თემა გაბრიელე დ’ანუნციოს ნოველაში „ბრძოლა ხიდთან. პესკარას ქრონიკა“. XV საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები - *ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და თემატური გამოცდილება.*
31. XIX საუკუნის პირველი ნახევრის იტალიურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დანტეს შემოქმედების ლიტერატურულ-ენობრივი პარადიგმები, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საგანძური“.
32. ტრანსლატოლოგია, როგორც თარგმანის ახალი პერსპექტივა.
33. როგორ გვმართებს მოვიხსენიოთ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი?
34. ედგარ პოს სიმბოლოების თარგმანში ტრანსფორმაცია ლექსის The Haunted Palace („აჩრდილთ სასახლე“) მიხედვით
35. „ტანსჰოიერთან“ ალუზიების მეშვეობით გამოხატული ცოდვის გამოსყიდვის თემა ოსკარ უაილდის შემოქმედებაში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 30. 10.2021, თსუ
2. 27-30. 09. 2021. თსუ
3. 7 .12-2021, თსუ
4. 14-15 მაისი, 2021, ქუთაისი.
5. 29-30 სექტემბერი, 2021. თსუ. (ონლაინ ფორმატში)
6. თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლისადმი. 5-7- ივლისი, 2021.
https://www.tsu.ge/ka/faculty
7. 22-24 სექტემბერი, თსუ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო.
8. 27, 28 ოქტომბერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო.
9. 7 – 8 მაისი 2021, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
10. მარტი 29 – 30, ,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო, ATSU - CRU –ფრანკოფონია

11. 30 ივნისი,2021, (Zoom-ის პლატფორმაზე), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
12. 5-6 ივლისი,(Zoom-ის პლატფორმაზე), თსუ, თბილისი
13. 28-29 სექტემბერი, ,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო, ATSU – CRU – ფრანკოფონია
14. 13-14 ოქტომბერი, თსუ, თბილისი, საქართველო 2021
15. 29-30 ოქტომბერი, თელავი, საქათველო, 2021
16. 9-10 დეკემბერი,(Zoom-ის პლატფორმაზე), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
17. 11-12 დეკემბერი,(Zoom-ის პლატფორმაზე), ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
18. 30. 10.2021, თსუ
19. 28-29 სექტემბერი, ,აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო, ATSU – CRU – ფრანკოფონია
20. **11-12 დეკ.,** ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU) (კონფერენცია ჩატარდა Zoom-ის პლატფორმაზე ონლაინ).
21. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის XIV საფაკულტეტო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისადმი. თბილისი, თსუ 05.07.–06.07. 2021 (Zoom პლატფორმაზე).
https://tsu.ge/assets/media/files/57/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%20%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%20-100.pdf
22. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი VII სამეცნიერო კონფერენცია https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/811
23. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვილნიუსის უნივერსიტეტი, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია „მეორე ენის სწავლა/სწავლება მულტილინგვური განათლების კონტექსტში“. 29-30 სექტემბერი 2021
http://www.seltame.tsu.ge/public/uploads/images/2021-seltame-program-eng-upd_6152c6b38a616.pdf
24. თბილისის მუზეუმების გაერთიანება, მეორე საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „ქართული კულტურა და XX საუკუნე“ https://we.tl/t-9SkRuhx1bi
25. თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი - VII ადგილობრივი კონფერენცია „სამეცნიერო ტერმინოლოგია“, ეძღვნება ტერმინოლოგიის განყოფილების80 წლისთავს 7–8 დეკემბერი, თბილისი 2021
26. ეროვნული არქივის VI საერთაშორსო კონფერენცია: არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, ტენდენციები და გამოწვევები, 23-24 სექტემბერი, 2021, თბილისი https://archive.gov.ge/ge/saertashoriso-konferentsia-1
27. 27-28/10/2021, საქართველო,
28. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,28 -29 სექტემბერი 2021.
ანტიკურობა და ფრანგული კულტურა, ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტო (AUF)
https://www.auf.org/nouvelles/appels-a-candidatures/appel-communications-antiquite-et-culture-francaise/
29. ონლაინ კონფერენცია- Institut français de Géorgie სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის N23 საჯარო https://institutfrancais.ge/uploads/tinymce/files/Seminaire_programme.pdf
30. 22-24 სექტემბერი, 2021. თბილისი, თსუ, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
31. 27-28 ოქტომბერი, 2021. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
32. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები“ (Zoom-ის პლატფორმა), 23-24 აპრილი, 2021.
33. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ს/ს ინსტიტუტი, რიგით მეხუთე კონფერენცია:

„ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში”(Zoom-ის პლატფორმა), 21 დეკემბერი, 2021.
34. ივანე ჯავახიშვილის 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები. თბილისი 2021.
35. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეთერთმეტე საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია განათლების, ინგლისური ენის სწავლების, ინგლისური ენისა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის საკითხებზე. თბილისი 2021.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

4. ზოგიერთი ქართული ნეოლოგიზმის თარგმნის პრობლემატიკა

ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ნეოლოგიზმების ინტერპრეტაციის პრობლემატიკა. განხილულია საპენსიო ფონდებთან დაკავშირებული ცნებები „დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის“ ქართული, რუსული და ინგლისური ვერსიების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. ეს კანონი ამოქმედდა 2019 წლის იანვარში. მან წარმოგვიდგინა ისეთი ცნებები, რომლებიც უცნობი იყო ქართული რეალობისთვის (მაგალითად, ***investment horizon, investment portfolio, fiduciary, instrument, open-end fund instrument*** და სხვა). მათი სახელდების შედეგად შეიქმნა შემდეგი ტერმინები: ***საინვესტიციო ჰორიზონტი, საინვესტიციო პორტფელი, ნდობითი ვალდებულების მიმართ პირი, ინსტრუმენტი, ღია საფონდო ინსტრუმენტი*** და სხვა. საგულისხმოა, რომ მოცემული ნეოლოგიზმების განმარტებები არ არის წარმოდგენილი თანამედროვე ლექსიკონებში. ეს ფაქტი ნაკლებად გასაგებს ხდის „დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონს“, რაც აბნევს მის მკითხველებს. ნაშრომში წარმოდგენილია კონტექსტუალურ-შედარებითი ანალიზი, რომლის საფუძველზეც აგებულია ზემოთ აღნიშნული ნეოლოგიზმების დეფინიციები: ***საინვესტიციო ჰორიზონტი*** - *საინვესტიციო პერიოდი*; ***საინვესტიციო პორტფელი*** - *საინვესტიციო ქონების ერთობლიობა;* ***ინსტრუმენტი*** - *ქონება, კაპიტალი, სახელშეკრულებო სქემა;* ***ღია საფონდო ინსტრუმენტი*** - *ღია საინვესტიციო ფონდის კაპიტალი* და სხვა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შემოთავაზებული დეფინიციები გაამდიდრებს განმარტებით ლექსიკონებს და ქართველი მკითხველისთვის უფრო გასაგებს გახდის „საქართველოს კანონს დაგროვებითი პენსიის შესახებ“.

ფრანგულ და ინგლისურ ნაციონალურ ხასიათთა ასახვა ფრაზეოლოგიაში

ეთნიკური სტერეოტიპები, ნაწილობრივ, იქმნებიან თვით ნაციის მიერ, ანდაზებით, თქმებითა და ფრაზეოლოგიურ გამონათქვამთა საშუალებით. ეთნიკური სტერეოტიპები წარმოადგენენ ეთნოსთა სახეებს და გამოხატავენ ობიექტურ რეალობას. ტიპოლოგიურად, ეთნოსტერეოტიპები იყოფიან ჰეტერო- და ავტოსტერეოტიპებად.

ნაშრომი ეძღვნება ფრანგული და ინგლისური ენების ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებების კვლევას. ფრაზეოლოგია, ლექსიკისაგან განსხვავებით, ნაკლებადაა მიდრეკილი ენობრივი ცვლილებებისაკენ და ინარჩუნებს მოძველებულ, არქაულ ფორმებსა და სინტაქსურ კონსტრუქციებს; ეს კი ხელს უწყობს ამა თუ იმ ხალხის ისტორიის, მენტალიტეტისა და ცხოვრების წესის შესახებ ინფორმაციათა აკუმულირებას ფრაზეოლოგიური ერთეულების შინაარსში, რაც ქმნის ხალხთა შესახებ სტერეოტიპულ წარმოდგენათა საფუძველს.

ნაშრომის აქტუალურობა განპირობებულია თანამედროვე ლინგვისტთა მზარდი ინტერესით ენისა და კულტურის, ენისა და ხალხის ურთიერთობის შესწავლისაკენ, ასევე ენის ფრაზეოლოგიური ფონდის ნაციონალურ-კულტურულ თავისებურებათა შესწავლისაკენ.

კვლევის ობიექტს წარმოადგენენ ფრანგული და ინგლისური ენების ფრაზეოლოგიური ერთეულები. კვლევის საგანია ფრანგულ და ინგლისურ ენათა ფრაზეოლოგიური ერთეულების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი. შერჩეული ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად, გამოვლინდა ფრანგ და ბრიტანელ ხალხთა მახასიათებელი საერთო და სპეციფიკური ნიშნები.

ფრანგული და ინგლისური ენების ფრაზეოლოგიზმთა ანალიზმა გვიჩვენა მსგავსება და განსხვავება ამ ხალხთა მსოფლმხედველობაში, მათ ურთიერთობაში ცხოვრების, საგნებისა და მოვლენების მიმართ და აქედან გამომდინარე, მათ ნაციონალურ ხასიათებში.

ფრანგ და ინგლისელ ხალხთა ნაციონალური ხასიათების შედარებითმა ანალიზმა დაგვანახა უფრო მეტად განსხვავებანი, ვიდრე მსგავსებანი. მათ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ ოჯახის, შინაური ცხოველების, დროის, საკუთარი თავისა და საზოგადოების მომართ. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლინგვოკულტურული ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ კონკრეტული ეთნოსის ნაციონალური ხასიათის ნიშნები, ღრმად შევიცნოთ მათი ხასიათი. ამის ცოდნა კი, გვეხმარება, რომ შევიმუშაოთ შესაბამისი ქცევის ტაქტიკა შესასწავლ კულტურათა წარმომადგენლებთან.

12 . ფრაზეოლოგიური ინტერნაციონალიზაცია

/ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/

ენათაშორისი ურთიერთობებისა და მათთან დაკავშირებულ სპეციფიკურ პროცესთა და მოვლენათა შესწავლისას, განსაზღვრულ ადგილს იჭერს ენობრივი (ძირითადად, ლექსიკური) ინტერნაციონალიზაცია. ინტერნაციონალური ლექსიკის შესწავლისას კი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ფრაზეოლოგიური ინტერნაციონალიზაციის საკითხები. ფრაზეოლოგიური ინტერნაციონალიზაციისას, შესაძლებელია, მონაწილეობას იღებდეს შუამავალი ენაც, მაგრამ შენარჩუნებული იყოს ფრაზეოლოგიური ერთეულის თავდაპირველი მნიშვნელობა. ინტერნაციონალური ლექსიკა, ინტერნაციონალურ ფრაზეოლოგიასთან შედარებით, ხასიათდება ისეთი გარეგნული ნიშნების უფრო ხშირი თანხვედრით, როგორებიცაა ჟღერადობა და დაწერილობა, რაც ფრაზეოლოგიურ დონეზე რეგულარულად შეინიშნება მხოლოდ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, რომლებიც ნასესხებია მათი მკვიდრი ფორმებით და ასევე ფრაზეოლოგიურ ინტერნაციონალიზმებში აუცილებელი ნაწილობრივი მატერიალური თანხვედრობით.

ფრაზეოლოგიური ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ენათაშორისი შესაბამისობის ფაქტების საფუძველზე, რაც ვლინდება არა მარტო შინაარსით, არამედ ფორმითაც. გამოიყო ფრაზეოლოგიური ინტერნაციონალიზაციის 5 ძირითადი ტიპი: 1. ინტერნაციონალიზმები სრული ფონოგრაფიკული მსგავსებით (ბგერითით და გრაფიკულით), 2. ინტერნაციონალიზმები ნაწილობრივი ფონოგრაფიკული მსგავსებით (ბგერითით და/ან გრაფიკულით), 3. იზომორფული ინტერნაციონალიზმები, 4. ფორმალური ინტერნაციონალიზმები, 5. პოტენციალური ინტერნაციონალიზმები.

13. ფრაზეოლოგიური ერთეულები კომპონენტით “რელიგიონიმები”

/ ფრანგული და ინგლისური ენების მასალაზე/

ცნობილია, რომ ამა თუ იმ ფაქტორს აქვს უნარი გამოიწვიოს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შიდა ფორმის გაბუნდოვანება; განვიხილავთ იმ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შიდა ფორმებს, რომელთა შემადგენლობაშიც გვხვდება რელიგიური ლექსიკა. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ეს ჯგუფი ავირჩიეთ კვლევის ობიექტად, რადგან ასეთი ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ შესაპირისპირებელი ენების ფრაზეოლოგიური შემადგენლობის არსებით ნაწილს

ჩვენი ნაშრომი ეხება ინგლისური და ფრანგული ენების იმ ფრაზეოლოგიური ერთეულების შიდა ფორმის გაბუნდოვანების ფენომენს, რომლებიც შეიცავენ კომპონენტ რელიგიონიმებს, ანუ სხვადასხვა სპეციალიზაციის რელიგიურ ლექსიკას. კვლევის მთავარ მეთოდს წარმოადგენს მეცნიერული აღწერა, რომელიც შეიცავს ინტერპრეტაციის, სისტემატიზაციის, კლასიფიკაციის ხერხებს, ასევე სტატისტიკურ მეთოდებს. კვლევამ აჩვენა, რომ რელიგიური ლექსიკის მქონე ფრაზეოლოგიური ერთეულები, ექსპრესიული გადააზრების დროს, კარგავენ დერივაციულ კავშირს პირდაპირ და გადააზრებულ მნიშვნელობებს შორის. შესაპირისპირებელ ენებს შორის, მაღალი იზომორფიზმის ხარისხი შეინიშნება იმ სხვადასხვა ასპექტებში, რომლებიც უკავშირდებიან კომპონენტთა ექსპრესიულ გადააზრებას და შიდა ფორმის გაბუნდოვანების ექსტრალინგვისტურ მიზეზებს.

რელიგიურ კომპონენტიანი ფრაზეოლოგიური ერთეულები კარგავენ მოტივირებულებას ერთ-ერთი კომპონენტის ექსპრესიული გადააზრებით, რის შედეგადაც რელიგიური თემატიკის ლექსემები კარგავენ რეფერენციას რელიგიური ცნებების მიმართ და მოქმედებენ ინტენსიფიკაციის ფუნქციით, ასევე შორისდებულთა ან გამამლიერებელ ნაწილაკთა ფუნქციით, გამოხატავენ რა ისეთ ემოციებს, როგორებიცაა გაბედულება, მრისხანება, შიში, მადლიერება და ა.შ.

ზოგიერთ ფრაზეოლოგიზმში შიდა ფორმის გაბუნდოვანება ხდება ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტური შემადგენლობის დამახინჯების შედეგად, სიტყვა-კომპონენტების გადასვლით არქაიზმების ან დიალექტიზმების ჯგუფში, ასევე სხვა მომენტებითაც, რომლებიც აფერხებენ ფრაზეოლოგიური ერთეულების კომპონენტთა თანაშეფარდებას თავისუფალი ხმარების სიტყვებთან.

რაც შეეხება ფრაზეოლოგიური ერთეულების მიერ შიდა ფორმების დაკარგვის ექსტრალინგვისტურ მიზეზებს, აღსანიშნავია, რომ ისინი სხვადასხვაგვარად ვლინდებიან ინგლისურ და ფრანგულ ენებში. ინგლისური ენისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია ფრაზეოლოგიური ერთეულის დემოტივაცია, რაიმე ისტორიული ფაქტის ან მოვლენის მივიწყების შედეგად.

მთლიანობაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრაზეოლოგიზმები, ეტიმოლოგიურად მომდინარენი რელიგიის თემიდან და კომპონენტური შემადგენლობით დაკავშირებულნი რელიგიურ თემატიკასთან, აგრძელებენ აქტიურ გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ არაიშვიათად, საზოგადოების ცხოვრებაში ეკლესიის როლი ცვალებადია და ისინი სრულად კარგავენ კავშირს პირდაპირ მნიშვნელობასთან; თუმც, გამჭვირვალე შიდა ფორმის მატარებელ ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან შედარებით, მათ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ სტილისტური გამოყენებისათვის, დიდ სიძნელეს წარმოადგენენ თარგმნისას, ასევე აქვთ სხვადასხვა ტრაქტოვკისადმი ტენდენცია თვით ენის მატარებელთა შორისაც.

14. ინგლისური ნასესხობანი ფრანგული ენის ლექსიკაში

ენის განვითარების ერთ-ერთი მახასიათებელი თავისებურებაა მისი ლექსიკური შემადგენლობის მუდმივი ცვალებადობა. იმისათვის, რომ ენამ სრულყოფილად შეასრულოს თავისი ძირითადი ფუნქცია, ანუ ურთიერთობის ფუნქცია, მისი ლექსიკური შემადგენლობა უნდა სწრაფად რეაგირებდეს, ასახავდეს და აფიქსირებდეს იმ ცვლილებებს, რომლებიც ხდება ცხოვრების ყველა სფეროში და ადამიანთა მოღვაწეობაში: წარმოებაში, მეცნიერებაში, მსოფლმხედველობაში, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობებში, ყოფა-ცხოვრებაში. გარემომცველ ქმედებათა ყველა რეალია აისახება ენის ლექსიკურ შემადგენლობაში, რაც სწრაფად რეაგირებს ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში ნებისმიერ ცვლილებაზე. ნებისმიერი ახალი ცნება, რომელიც ჩნდება სხვადასხვა სფეროში ადამიანის მოღვაწეობის შედეგად, დაუყოვნებლივ იძენს გამოხატულებას ენაში და ამგვარად ჩნდება ნეოლოგიზმები (ბერძნ. **neos** – ახალი და **logos** – ცნება). ნეოლოგიზმები წარმოადგენენ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც წარმოიშვებიან ნებისმიერი ენის შიდა საშუალებებით, ასევე სხვა ენებიდან ნასესხობებით. ნასესხობები წარმოადგენენ ენის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. მრავალი ენის ისტორიაში ჩანს ინგლისური ენის გავლენა.

15. ენის ინტეგრაცია სემიოტიკური თვალსაზრისით

ინტეგრაცია, როგორც კატეგორია, შეიქმნა შემეცნების ისტორიული განვითარების პროცესში, საზოგადოებრივი პრაქტიკის საფუძველზე და მის ყოველ ეტაპზე ჰქონდა თავისი მნიშვნელობა. ტერმინი “ინტეგრაცია” მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან: **integer** (‘სრული, მთლიანი’) და აღნიშნავს “რაიმე ელემენტთა გაერთიანებას მთლიანობაში”.

ნაშრომი ეძღვნება ინტეგრაციის ცნების ანალიზს სემიოტიკის თვალსაზრისით. სემიოტიკა გვთავაზობს ენობრივი ნიშნის იმ სინტაქსურ, სემანტიკურ და პრაგმატიკულ განზომილებათა შესწავლას, რის შედეგადაც ხორციელდება ინფორმაციის გაჩენა, გადაცემა და შენარჩუნება გარემომცველი სამყაროსა და საზოგადოების შესახებ. სემიოტიკური მიდგომის თვალსაზრისით, ინტეგრაცია წარმოადგენს იმ ნიშანთა ურთიერთქმედებისა და გაერთიანების პროცესს, რომლებიც

თავისთავად წარმოადგენენ ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, გადმოსცემენ რა ენის ერთეულთა ინფორმაციის ყველა ტიპის ერთიანობას, რაც განსაზღვრავს მათ ფუნქციონირებას მთლიანი სისტემის სახით.

ენობრივი ნიშნის სტრუქტურული განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ნიშნის მატერიალური მხარე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სიტყვით, მორფემით, სიტყვაშეერთებით ან წინადადებით, რაც წარმოადგენს ორმხრივ ისეთ ენობრივ ნიშანს, რომელიც ფლობს გამოხატვის პლანსაც და შინაარსის პლანსაც. ამიტომაც, ენობრივი ნიშანი, წარმოდგენილი ფორმისა და შინაარსის ერთობით, მიიჩნევა ინტეგრალურ ენობრივ ნიშნად.

ამგვარად, დავასკვნით, რომ სემიოტიკური ასპექტით ინტეგრაცია ენაში განიხილება როგორც ნიშანთა ურთიერთქმედებისა და გაერთიანების პროცესი, რაც წარმოადგენს ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, რომელიც გადმოსცემს ენის ერთეულთა ყველა ტიპის ინფორმაციას, ეფუძნება სინტაქტიკურ, სემანტიკურ და პრაგმატიკულ ურთიერთობებს და განსაზღვრავს მათ ფუნქციონირებას ერთიან სისტემად.

21. სინესთეზია და მისი ენობრივი არეკვლა ლიტერატურულ ნიმუშებზე დაყრდნობით

ანოტაცია

წინამდებარე მოხსენება ერთგვარად აგრძელებს სინესთეზიის ფენომენის ირგვლივ დაწყებულ კვლევას, რომლის ირგვლივაც პირველი მოხსენება (წაკითხული თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემიის მიწვევით აშხაბადში, 12–13 ივნისი 2021) აშუქებდა თანამედროვე გერმანელი ბელეტრისტიკიდან შერჩეულ ნიმუშებს.

ამჯერად კვლევის ობიექტად კვლავაც ფერისა და მატრეიალური სამყაროს ფენომენთა სინთეზი რჩება, მაგრამ მათ აღვწერთ უკვე ეროვნულსა და ენობრივ-შეპირისპირებით პლანში, ერთი მხრივ, გერმანულენოვანი, მეორე მხრივ კი, რუსულენოვანი მხატვრული ლიტერატურიდან შერჩეულ საილუსტრაციო მასალაზე (თრაკლი || ცვეტაევა) დაყრდნობით; ძირითადი მიზანია, თრაკლი||ცვეტაევა-კონსტელაციაში წარმოვაჩინოთ განსხვავება ფერთა უბრალოდ მეტაფორულ ხმარებასა და სინესთეზი-მწერლის ‚ეგოს' პრიზმში მათი გარდატეხის პროცესს შორის; განვასხვაოთ ‚ჭეშმარიტად' სინესთეტი-მწერალი (რომელიც თვითონ აფიქსირებს საკუთარ თავში ამ ფენომენს), ლიტერატურათმცოდნე-მკვლევრის მიერ ამ მარკერით ‚ნიშანდებულისგან'. ამასთან მიმართებაში ვაყალიბებთ ფენომენის საფუძველს – სინესთეტ-მწერალთა (განურჩევლად ფენომენის ეტიოლოგიისა) მსგავს მახსიათებლებს ა) ფსიქიკურ პლანში, როგორებიცაა: დეპრესიული აშლილობები, ნარკოტიკების მოხმარება, ინცენსტიური მიდრეკილები, სუიციდის მცდელობები და შესაძლოა სიცოცხლის დასრულებაც კი თვითმკვლელობით; ბ) ენობრივ პლანში, რაც მოიაზრებს ანბანის ასოების, ციფრების, გეომეტრიული სხეულების, მცენარეების, ცხოველების, ნივთიერებების, ცხოვრებისეული ეპიზოდების და თვით ცალკეული ადამიანების ასოცირებასაც კი ფერთან და ამის ვერბალიზებას ლექსიკონში არარსებული ზმნების, სემანტიკურად შეუსაბამო არაატრიბუირებადი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით ატრიბუტული ან ადვერბიალური ფუნქციით, ისე როგორც ნომინალურ ოკაზიონალიზმებსა თუ ფუნქციურზმნიან შესიტყვებებში.

22. ტექსტის რეცეფცია და მთარგმნელის ინტერპრეტაცია

ანოტაცია

სამკომპონენტიანი მოცემულობა: ტექსტი → მთარგმნელი → მკითხველი არაერთხელ ქცეულა თარგმანმცოდნეობაში აღწერის ობიექტად თეორიულსა თუ პრაქტიკულ პლანში და, ბუნებრივია, ვერც წინამდებარე გამოკვლევა შეძლებდა მის გვერდის ავლას. შევეცდებით, უპირველესად ქვემომოტანილ არგუმენტებზე დაყრდნობით დავასაბუთოთ შემოთავაზებული პუბლიკაციის ორიგინალობა და აქტუალობა: ა) ანალიზის ობიექტად შევარჩიეთ ქართველი მკითხველისთვის დღემდე უცნობი ნაწარმოები – გერმანელი მწერლის ვოლფგანგ ბორხერტის (Wolfgang Borchert; *1921 ჰამბურგი – †1947 ბაზელი) ომისშემდგომი პერიოდის ნოველა „მოწყენილი გერანიები" (Die traurigen Geranien); ბ) შერჩეული ნოველის დედანი ვიკვლიეთ კონტრასტულ პლანში, კერძოდ, ქართულ- და რუსულენოვან თარგმანებთან შეპირისპირებით; გ) საექსპერიმენტო მასალის დანიშნულებით გამოვიყენეთ თსუ გერმანისტიკისა და სლავისტიკის განხრის სტუდენტების მიერ შესრულებული

თარგმანები; დ) პარალელები გავავლეთ სტუდენტების თარგმანსა და ინტერნეტწყაროებში მოძიებულ ორ რუსულენოვან თარგმანს შორის, რომელთაგან პირველი არის ავტორიზებული თარგმანი, შესრულებული ებრაული წარმომავლობის რუსულენოვანი პოეტის, კრიტიკოსისა და მთარგმნელის არკადი რავიკოვიჩის (Аркадий Равикович) მიერ, მეორე – მანქანური, შესრულებული ლექსიკოგრაფიული ცენტრის Longman Dictionary of Contemporary English ციფრულ ბაზის რესურსებზე დაყრდნობით; ე) ზემოხსენებული სამკუთხედიდან კვლევისთვის რელევანტურად მივიჩნიეთ მხოლოდ პირველი ორი კომპონენტი – ამოსავალ ტექსტი, როგორც ლიტერატურული პირველწყარო და მთარგმნელი, როგორც ტექსტის პირველმკითხველი და ინტერპრეტატორი.

ხანმოკლე იყო ბორხერტის ცხოვრება, გაუსაძლისი – ფრონტზე გატარებული წლები, ასახული მის მიერ ომისა და „დაკარგული თაობის“ თემატიკისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში. მისი პროტოტიპები – ომგამოვლილი, ტრავმირებული ადამიანები – ვერ ერგებიან ომისშემდგომი გერმანიის ვითარებას ვერც მორალურ პლანში და ვერც ფიზიკური არსებობის შენარჩუნების თვალსაზრისით. ამ საერთო კონტექსტიდან რამდენადმე „ამოვარდნილია“ ჩვენ მიერ შერჩეული ნოველა, მიძღვნილი ადამიანთა შორის ურთიერთობის მარადიული პრობლემებისადმი: ინტერესთა კონფლიქტისადმი, იმედის გაცრუებისადმი, მარტოსულობისადმი. ძნელია ცალსახად თქმა იმისა, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ „მოწყენილი გერანიები“, მიუხედავად მთელი თავისი სენტიმენტებისა, რატომღაც მაინც დარჩა ლიტერატურათმცოდნეთა და მთარგმნელთა მხედველობის მიღმა.

ნოველის პროტაგონისტები – ქალი და მამაკაცი, არაპერსონიფიცირებული, ნაცვალსახელებით მოხსენიებული არსებანი, მაშინ პოულობენ ერთმანეთს, როცა გარეთ უკვე ბინდია, ვიზუალურად კი მაშინ აღიქვამენ ერთმანეთს, როცა დღის შუქზე (სავარაუდოდ ერთად გატარებული ღამის შემდეგ) საუზმობენ. კაცი ახლაღა აღმოაჩენს ქალის უფორმო, ასიმეტრიულნესტოებიან, მუქკანიან ცხვირს, რომელიც ვერაფრით მოდის შესაბამისობაში სახესთან, და ღიზიანდება. მერე ცდილობს, გამართლება იმით მოუძებნოს, რომ პიკასოც სწორედ ასიმეტრიულების პრინციპს მიმართავდა ფიგურის შინაგანი სამყაროს წარმოსაჩენად; მაგრამ ქალი საუბარში ვერ ყვება, მას არც პიკასო სმენია, ვერც საკუთარი ცხვირის ასიმეტრიულობას უძებნის ახსნას; იცის მხოლოდ, რომ ცხვირი მუდამ ასეთი იყო, და კიდევ ის, რომ სამაგიეროდ თითონ არის შინაგანად სრულიად სხვანაირი, ყველაფერში ჰარმონიული, ტრადიციული ოჯახის შექმნის მომხრე, ამას ფანჯრის რაფაზე სიმეტრიულად შემოდგმული გერანიის ქოთნებიც მოწმობს – ერთი მარჯვნივ, ერთი მარცხნივ. ქალის გამჭოლი მზერა კაცის კეფამდე აღწევს; კაცს სული ეხუთება, ოფლი ასხამს, ნაჩქარევად ემშვიდობება ქალს; ქუჩაში რამდენჯერმე ჩერდება, ცხვირსახოცით იწმენდს შუბლს, სახეზე სიცილის გრიმასა აღებეჭდება. ქალი ფანჯრიდან გაჰყურებს მიმავალს, კაცის სიცილს კი ვერ ხედავს, რადგან თვალები მისთვის ცრემლებს დაუბინდავს. სევდა გერანიებსაც გადასდებიათ.

ნოველაში იკვეთება ორი ხაზი/პარადიგმა, რომელთა ერთმანეთთან დაახლოებაც კი წარმოუდგენელია: კაცი → ცხვირი, ლტოლვა თავისუფლებისკენ, არაორდინარულობა, სიცილის გრიმასა || ქალი → სიმეტრიულობა, ჰარმონიულობა, ოჯახის შექმნის სურვილი, აცრემლებული თვალები, მოწყენილი გერანიები. იბადება წყება კითხვებისა: როგორია ნოველის მთარგმნელისეული რეცეფცია – ობიექტური თუ მიკერძოებული? აღიქვამს ის მოცემულობებს ადეკვატურად თუ სუბიექტურად? მისდაუნებურად ხომ არ იხრება ან ერთი, ან მეორე პერსონაჟისკენ, შესაბამისად კი, უკვე ინტერპრეტირებულ თარგმანს ხომ არ სთავაზობს მკითხველს, დავუშვათ, საკუთარი წარმოსახვასა თუ გამოცდილებაზე დაყრდნობით? რა კრიტერიუმით შეიძლება შეფასდეს ამ კონკრეტულ ნოველაში „მიკერძოებულობის ეფექტი“ ამოსავალი და სამიზნე ენას თანაბრად დაუფლებული პირის მიერ? ყველა ამ და კიდევ სხვა კითხვის ირგვლივ ვითარდება მსჯელობა მოხსენების ექსპერიმენტულ ნაწილში, რომელიც ეფუძნება სტუდენტების მიერ შესრულებული თარგმანის შეპირისპირებით ანალიზს ზემოხსენებულ რუსულენოვან თარგმანებთან.

23. მრავალენოვნების სახეობები და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიური ნიუანსები

ანოტაცია

უცხო ენის/ენების ფლობა იმდენად ორდინარული ფენომენი გახდა თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში, რომ მის ფონზე იშვიათ გამონაკლისად ახლა უკვე მონოლინგვალობა აღიქმება. საჯარო განათლების სხვადასხვა დონეზე (უნივერსიტეტებში, სკოლებში, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებში) მრავალენოვნებაზე გადასვლისადმი მიძღვნილმა სპეციალურმა კვლევებმა, ისევე როგორც თემატურმა სემინარებმა,

კონფერენციებმა მკაფიოდ გამოკვეთა საერთო მიზანი: სწრაფვა ოცდამეერთე საუკუნის საგანმანათლებლო დაწესებულებებში არა თუ „მონოლინგვალური ჰაბიტუსის“ (ტერმინები: Gogolin, 1994: 12), არამედ თვით „ბილინგვალური ჰაბიტუსის“ წაშლისადმიც კი და ზრუნვა მათ ჩანაცვლებაზე „პლურილინგვალური ჰაბიტუსით“; მაგრამ იმავდროულად გამოავლინა ასევე მეთოდიკებისა და დიდაქტიკების არასრულყოფილება მიზნის მისაღწევ გზაზე, რომელიც ხშირად წინააღმდეგობრივ მომენტებსაც კი შეიცავს, ცდილობს არ დატოვოს „თეთრი ლაქა“ სწავლების არცერთ საფეხურზე, თუმცა მცდელობა ხშირად მხოლოდ თეორიულ განსჯად რჩება. წინამდებარე გამოკვლევის კომპეტენციებში არ შედის ამ „ლაქების“ ანალიზი; პირიქით, ჩვენ ვცდილობთ პრობლემის განზოგადებას მის გენეზისში წვდომის გზით და ამ მიზნით სწავლა-სწავლებასთან ყველაზე ახლოს მდგომი, შეიძლება ითქვას, პირველი რანგის ტერმინების განხილვას ლინგვისტიკის პოზიციიდან, ესენია: მულტილინგვალობა და პლურილინგვალობა, მათი პარალელური, მაგრამ არასინონიმური ტერმინები: ბილინგვალობა, დიგლოსია, პოლიგლოსია, ისევე როგორც ეროვნულძირიანი ეკვივალენტები: გერმანულძირიანი Mehrsprachigkeit და Vielsprachigkeit, ქართულძირიანი მრავალენოვნება, რუსულძირიანი Многоязычие (ბოლო ორ შემთხვევაში წარმოდგენილი მხოლოდ თითო ლექსიკური ერთეულით). ტერმინოლოგიური ბლოკის არაცალსახოვნება, განაპირობებს საბაზისო ინვენტარის არაკორექტულად გამოყენებას, რისი ცალსახად დასტურია იურგენ ქვიცის შენიშვნა: „... wo man Mehrsprachigkeit sagt und Vielsprachigkeit meint“ „ხშირად ამბობენ Mehrsprachigkeit, სინამდვილეში კი Vielsprachigkeit-ს გულისხმობენო“ (Quetz, 2002: 148).

წინამდებარე გამოკვლევის ორივე ავტორს თვალში მოგვხვდა ეს გარემოება – ანუ ზემოხსენებულ ტერმინებში ჩადებული ურთიერთგანსხვავებული შინაარსების აღრევა, დაკავშირებული სრულიად სხვადასხვა წანამძღვართან: კულტურის ფენომენთან, ეროვნულსა და ეთიკურ მომენტებთან, ტრადიციასთან, უპირველესად კი სახელწიფო პოლიტიკის შენიღბულსა თუ აშკარა ტენდენციებთან. ფაქტია, რომ ჩამოთვლილ ტერმინთა ადეკვატურსა თუ არაადეკვატურ ხმარებას, მათში ჩადებული სემანტიკის არაცალსახა აღქმას შედეგად შეიძლება მოჰყვეს სწავლების არასწორი სტრატეგიის შემუშავება და დარღვევები მეთოდური თვალსაზრისით. სწორედ ამ გარემოებამ გვაფიქრებინა, რომ წინამდებარე გამოკვლევა მიგვეძღვნა ზემოხსენებულ ტერმინთა ანალიზისთვის, მათი სემანტიკის ექსპლიკაციისთვის, ბუნებრივია მულტიკულტურული გარემოსა და ინდივიდის პლურილინგვალობის გათვალისწინებით. თავისთავად ძნელია, ინტერნაციონალურ კონტექსტში იმსჯელო ენობრივ კოლექტივზე ზოგადად, ინდივიდის ფაქტორის – ანუ მისი სუბიექტური მოცემულობების: მენტალურ-ინტელექტუალური შესაძლებლობების, ეთნიკური წარმომავლობის, განვლილი ცხოვრების გზისა და შეძენილი ენობრივ-კულტურული გამოცდილების, წინარე ცოდნის, მოტივაციის და ა.შ. – გათვალისწინების გარეშე; აღარაფერს ვამბობთ ობიექტურ მოცემულობებზე: რეალურ გარემოზე, ქვეყნის სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, სახელმძღვანელოდ დაწესებულ პრიორიტეტებზე და კიდევ სხვა მრავალ ფაქტორზე, რომელნიც ყოველთვის იოლად არ იძლევიან ცალსახა კლასიფიკაციის საშუალებას.

ეროვნული პოზიციიდან მიდგომისას ანგარიშგასაწევია ასევე: გარკვეული დისპროპორციულობა მრავალენოვნების თვალსაზრისით დასავლურ სამყაროსა და საქართველოს ან რუსეთს შორის; იდეების ერთგვარი იმპორტირების ტენდენცია ლოკალური ენობრივი სიტუაციის, ტრადიციებისა და არსებული რესურსების გათვალისწინების გარეშე.

ყოველივე ზემოხსენებულის ფონზე წინამდებარე გამოკვლევის უპირველესი მიზანია, შეიტანოს გარკვეული ტერმინოლოგიური წესრიგი დასახელებულ ფენომენთა რაციონალურად აღწერის თვალსაზრისით; ამასთან კავშირში კი საჭიროებისამებრ: გააშუქოს მრავალენოვნების სახეობები შესაბამის პროტოტიპთა გათვალისწინებით, ერთმანეთისგან გამიჯნოს მათი შემსწავლელი დისციპლინები, პრაქტიკულად გაანალიზოს მრავალენოვნების სახეობათა ურთიერთმიმართებანი გერმანიის, რუსეთისა და საქართველოს მაგალითზე, ანუ ძირითად შტრიხებში წარმოაჩინოს კონტრასტულ-არეალური სოციოლინგვისტიკის პოზიციიდან ენობრივი ვითარება ამ სამ ქვეყანაში.

24. გერმანელი დირიჟორები თბილისის საოპერო თეატრის პულტთან XX საუკუნის სამოცდაათიანი წლებში

ანოტაცია

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლები, მიუხედავად იმხანად მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული არასასურველი პოლიტიკური ფონისა, ალბათ მაიც ვერ ჩაითვლება

„დაკარგულ პერიოდად“ ქართულ რეალობაში საზოგადოებრივი ცნობიერების ნებისმიერი სფეროს, უპირველესად კი კულტურულ-შემოქმედებითი დარგების მოღვაწეთათვის. ამის ერთ-ერთი დასტურია თუნდაც წინამდებარე გამოკვლევაში შემოთავაზებული მასალა, რომლის მიზანია, გააცოცხლოს მივიწყებული ფურცლები ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ისტორიიდან, დაკავშირებული გერმანელი რეჟისორის ჰერმან ვედეკინდის (Herrmann Wedekind; *1910–†1998) მიერ ინსცენირებულ სამ საოპერო სპექტაკლთან – ვაგნერის „ლოენგრინთან“ და “მფრინავ ჰოლანდიელთან”, ასევე მოცარტის „ჯადოსნურ ფლეიტასთან” დაკავშირებით; იმავდროულად წარმოაჩინოს შემეცნებით პლანში თვით ფენომენის ღირებულება და მისი დიაპაზონი იმჟამინდელი პარამეტრების გათვალისწინებით.

ზემოჩამოთვლილი დადგმებიდან თითოეული უდავოდ იმსახურებს საგანგებო ანალიზს გერმანელ შემოქმედთა მიერ სცენარის წაკითხვის, პერსონაჟთა მუსიკალური სახეების გახსნის, პარტიტურის ინტერპრეტაციის, დეკორაციებისა თუ კოსტიუმების შესრულების მანერის თვალსაზრისით; თუმცა წინამდებარე გამოკვლევაში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება მხოლოდ დადგმების მუსიკალურ მხარეზე, რამდენადაც ამ ოპერების საორკესტრო და ვოკალურ შესწავლას ხელმძღვანელობდა სამი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მსოფლაღქმისა და ხელწერის დირიჟორი: მდიდარი გამოცდილების ზიგფრიდ კიოლერი (Siegfried Köhler; *1923–†2017) და მისი ორი ახალგაზრდა კოლეგა ერიხ ვეხტერი (Erich Wächter; *1945) და ქრისტოფ პრიკი (Christof Prick; *1946). მოხსენებაში განხილულია თითოეული მათგანის ბიოგრაფიული მონაცემები, ღვაწლი როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე ქართველ კოლეგების წინაშე; წარმოჩენილია ის კულტურისტორიული კონტექსტი, რომელშიც მათ თბილისში უხდებოდათ შემოქმედებითი ცხოვრება ქართულ ოფიციოზთან თუ რიგით მოქალაქეებთან ურთიერთობაში; იმავდროულად გაცოცხლებულია მათი უშუალო მასპინძელი-კოლეგების თბილისის ოპერის გენერალური დირიჟორის, გივი აზმაიფარაშვილისა (*1930–†2003) და სამხატვრო ხელმძღვანელის, რეჟისორის, გიზო ჟორდანიას (*1934–†2016) სახეები; ასევე თანამშრომლობა გერმანისტ ნელი ამაშუკელთან, “ჯადოსნური ფლეიტის” (რეჩიტატივებით ესოდენ მდიდარი ოპერის) ქართულ ენაზე მთარგმნელთან. მოხსენებაში შეძლებისდაგვარად აღდგენილია იმდროინდელი მუსიკათმცოდნეების ტატული წულუკიძის (*1921–†1995), ევგენი მაჭავარიანის (*1937–†1997), გივი ორჯონიკიძის (*1929–†1984) კრიტიკული მოსაზრებები დადგმების ირგვლივ.

ზემოხსენებული სამი დირიჟორის შემოქმედებით პორტრეტებს შორის გავლებული პარალელების ფონზე რამდენადმე წინა პლანზეა წამოწეული ვისბადენის საოპერო თეატრის გენერალური დირიჟორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის პროფესორ ზიგფრიდ კიოლერის სრულიად გამორჩეული სახე – როგორც შემოქმედისა, პიროვნებისა და ერთგავრი გზამკვლევისა თავისი ორი ახალგაზრდა კოლეგისთვის; მოხსენების ბოლო ნაწილი ეთმობა ზიგფრიდ კიოლერის წიგნის, საქართველოში უცნობ მოგონებათა კრებულის “Alles Capriolen” (2003, Berlin) პრეზენტაციას, რომელშიც ავტორი საგანგებოდ გამორჩეული, ე.წ. პუანტირებული სპექტაკლების გვერდით არც თბილისში დადგმულ “ლოენგრინს” ივიწყებს; ნოსტალგიანარევი მსუბუქი იუმორით აღწერს ძველი ქალაქის კოლორიტს, დანახულს შინაგანი ხედვითა და გამდიდრებულს საკუთარ თავზე გადატანილი ფათერაკებით.

25. გერმანიის მდინარეთა სახელები და მორფოსინტაქსური სტრუქტურის ინდივიდუალობები

ანოტაცია

გერმანია ითვლება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთ ყველაზე წყალუხვ ქვეყანად, რომელშიც მრავლად არის დიდი და პატარა, მთისა თუ ბარის მდინარეები, ბუნებრივი ტბები და ხელოვნური წყალსაცავები, საწყალოსნო მიმოსვლის ევროპული მასშტაბის ტრასები (წოდებული ბუნდესვასერშტრასეებად / Bundeswasserstraße) და წვრილ-წვრილი არხები, გაჭრილი უპირატესად ჭაობიანი დაბლობების გაუწყლოებისა და ნიადაგის კულტივირების მიზნით. ჩრდილოეთით ქვეყანას აქვს გასასვლელი ორ დიდ ზღვაზე, რომლებსაც უკავშირდება უბეებისა და ყურეების მეშვეობით.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია, ჰიდრონიმთა ზემოჩამოთვლილი კატეგორიებიდან ყურადღება შეაჩეროს მხოლოდ მდინარეთა სახელებზე, განიხილოს ისინი ლინგვისტურ პლანში, კონკრეტულ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით განსაზღვროს თითოეული ქვეჯგუფისთვის წამყვანი მორფოსინტაქსური სტრუქტურული მოდელები, აღწეროს ისინი უშუალო შემადგენელთა

აპელატიურობა-პროპრიალურობის მიხედვით, დაადგინოს აპელატიურ კომპონენტთა სემანტიზაციის ხარისხი, ან პირიქით, მათი პროტოტიპულობა; ჩამოყალიბებული სურათის მიხედვით შეარჩიოს გერმანულ მდინარეთა სახელებისადმი ქართულ ეკვივალენტთა მისადაგების კრიტერიუმები.

გერმანიის მდინარეთა სახელები სქესით მარკირებული ლექსიკური ერთეულებია, რაც ქართულად გადმოტანის თვალსაზრისით არარელევანტურია, თუმცა გერმანულში ისინი არტიკლის გარეშე არ იხმარებიან. განასხვავებენ

- ერთკომპონენტიან მდინარეთა სახელებს: die Benz / die Biber / die Brigach / der Neckar / der Rehin
- სუფიქსოიდებით ნაწარმოებ სახელებს: der Saalbach / der Zipfelbach / der Mörnbach;
- ორკომპონენტიან სახელებს, წარმოდგენილს მოდელით:
- სადაურობის აღმნიშვნელი ტოპონიმი + ჰიდრონიმი: die Fränkische Saale / Friedberger Ach;
- Aa / Aue / Mulde-თი ნაწარმოები სახელები: die Bocholter Aa / die Burgdorfer Aue / Zwickauer Mulde;
- ადიექტიური განსაზღვრება + ჰიდრონიმი: Weißer Main / Große Striegis / Wilde Weißeritz / Grüner Bach და ა.შ.

ნებისმიერი სტრუქტურისა და ლექსიკური შემადგენლობის სახელი ამ ჯგუფიდან ქართულად უნდა გადმოვიდეს ენდონიმის ანალოგიურად; იმავდროულად ვფიქრობ, ქართული ენის ფლექსიური ბუნებიდან გამომდინარე, ადიექტიური განსაზღვრების შემცველი სახელის სინტაგმა უნდა ჩაიწეროს დეფისით, რათა არ დაირღვეს სახელის აღქმა, როგორც ერთი მთელისა და ენის რიგითმა მომხმარებელმა უნებლიედ არ მოახდინოს მათი ორმაგად მარკირება ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით გამოყენებისას. ბმულ ტექსტში სასურველია მათი ხმარება საკვალიფიკაციო სახელთან ერთად: მდინარე ვაისერ-მაინ / მდინარე გროსერ-შტრიგის / მდინარე ვილდე-ვაისერიც / მდინარე გრიუნერ-ბახ და ა.შ.

28. ფრანგული ენის სწავლების დიდაქტიკური პოტენციალის ანალიზი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში; სოციო-პოლიტიკური და კულტურული ასპექტები

რეზიუმე

წინამდებარე მოხსენების მიზანია ფრანგული, როგორც უცხოური ენის სწავლების პოტენციალის კვლევისას სოციო-პოლიტიკური და კულტურული ასპექტების წინა პლანზე გამოტანა, რაც საშუალებას მოგვცემს, შევისწავლოთ და საფუძვლიანად გავაანალიზოთ ქართულ სივრცეში არსებული ფრანკოფონული დიდაქტიკური შესაძლებლობები და სწორად დავგეგმოთ ფრანგული ენის სწავლების მოდელი.

მოხსენებაში მოკლედ მომოვიხილავთ საქართველოში ფრანგული ენის სწავლების ლინგვო-კულტურულ ასპექტებს, ორი ქვეყნის ლინგვო-კულტურულ ურთიერთობებს შუა საუკუნეების ეპოქიდან საბჭოთა კავშირის პერიოდის ჩათვლით.

29. სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგიის ინტეგრაცია საუნივერსიტეტო სწავლების საფეხურზე

რეზიუმე:

დიდაქტიკური თვალსაზრისით დღემდე არსებული უამრავი მიდგომის მიუხედავად, სპეციალისტები ძალისხმევას არ იშურებენ ახალი გზების აღმოჩენის მიმართულებით. უცხოური ენის სწავლების კუთხით, დღევანდელობის მოთხოვნად რჩება ინდივიდუალურ საჭიროებებზე, პერსონალურ პროფესიულ მიზნებზე ორიენტირებული მეთოდოლოგია, რომელიც თითოეული ბენეფიციარის კონკრეტულ მოთხოვნაზეა ორიენტირებული. სწორედ ასეთ მიდგომად უნდა ჩაითვალოს სპეციფიური მიზნობრივი ფრანგული ენის სწავლების მეთოდი (ე.წ. F.O.S მეთოდი), რომლის კონკრეტული ქვემეთოდი საუნივერსიტეტო მიზნობრივი ფრანგული ენის (ე. წ. F.O.U) სწავლება- საუნივერსიტეტო სწავლების ფორმატში გაცილებით ეფექტიანად მიიჩნევა და სტუდენტების ფრანკოფონულ საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციას ისახავს მიზნად.

32. **ტრანსლატოლოგია, როგორც თარგმანის ახალი პერსპექტივა**

თარგმანის მრავალ საუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად, თარგმანმცოდნეობა, როგორც თეორიული დარგი, პრაქტიკულად მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრდა. თავდაპირველად ის განეკუთვნებოდა ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს, ხოლო დროთა განმავლობაში, იხვეწებოდა და ვითარდებოდა რა დამოკიდებულება თავად თარგმანის ფენომენისადმი, მისმა კვლევამ უკვე მოითხოვა ლინგვისტიკის განსაკუთრებული ჩართულობა. საგულისხმოა, რომ თავად XX საუკუნის ლინგვისტიკაში ორი მნიშვნელოვანი მიმართულება წარმოაჩენს თავს:

ერთი მხრივ, სემასიოლოგია, რომელიც, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა სიტყვის შესწავლასა და მისი მნიშვნელობის, როგორც ერთი მთლიანის დანაწევრებას სემებად, ანუ უმცირეს შემადგენელ ნაწილაკებად. სიტყვის მნიშვნელობის ცალკეულ ნაწილაკებად განხილვა საშუალებას აძლევდა მეცნიერს, ნათლად წარმოედგინა, თუ როგორ ცვლილებებს განიცდის სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტში ამ სემების გადანაწილების ხარჯზე. ეს გახლდათის დიდი გადატრიალება ენათმეცნიერებაში, რომელიც ფიზიკაში ატომის დაშლას შეადარეს.

მეორე, რამაც ასევე დიდი ძვრები გამოიწვია ენათმეცნიერებაში, გახლდათ ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც ახალი მეცნიერული დარგის დამკვიდრება, თუმც, ეს უკანასკნელი ვერ ასცდა იმ ომს, რომელიც მას სემასიოლოგიამ გამოუცხადა იმ პრეტენზიით, რომ ერთიანი ტექსტის შესწავლა ხელს უშლიდა სიტყვის სიღრმისეულ კვლევას.

ამასთანავე, აშკარა ხდებოდა, რომ თარგმანის თეორიის განვითარება დაბეჯითებით მოითხოვდა ენათმეცნიერების ორივე დარგის შედეგების გამოყენებას, რადგან ჰერმენევტიკა, რომელიც ტექსტის ინტერპრეტაციას ეყრდნობა, ნაბიჯს ვერ გადადგამდა ტექსტის ლინგვისტური მექანიზმის გახსნის გარეშე. ამდენად, დედნისეული ტექსტის შეპირისპირებამ თარგმანთან ლინგვისტური მეთოდოლოგიით სრულიად ახალი სიცოცხლე და პერსპექტივა შესძინა თავად თარგმანის შესრულების საქმეს. ასე შეიქმნა თარგმანის ლინგვისტიკის ჩემეული თეორიაც,რომელიც უპირველესად ემსახურება ადეკვატური თარგმანის შესრულებისა და მისი კრიტიკული ანალიზის საქმეს.

7.2. უცხოეთში

1. მანანა რუსიეშვილი და რუსუდან დოლიძე
2. მანანა რუსიეშვილი
3. მანანა რუსიეშვილი და რუსუდან დოლიძე
4. მანანა რუსიეშვილი
5. დარეჯან თვალთვაძე, ირინა გველესიანი
6. ირინა გველესიანი, ეთერ მუმლაძე
7. ირინა გველესიანი
8. დავით მაზიაშვილი
9. ნინო დარასელია
10. **გ.ყუფარაძე,** ც.ახვლედიანი, **†** ქ. გაბუნია
11. **გ.ყუფარაძე,** ც.ახვლედიანი, **†** ქ. გაბუნია
12. მანანა გელაშვილი
13. მარინა ანდრაზაშვილი, ნატალია ბასილაია
14. მარინა ანდრაზაშვილი, ნატალია ბასილაია
15. მარინა ანდრაზაშვილი,
16. ოლივერ რაისნერი, თამარ ჭუმბურიძე, ნათია აბაშიძე

2) მოხსენების სათაური

1. **Which Cluster Do You Belong To?** ”- The Nineteenth International Conference on New Directions in The Humanities, Complutense University of Madrid, Madrid, Spain,

2. **Ideology, (im)politeness and translator: comparison of two translations of Salinger's "The Catcher in the Rye" into Georgian.** (Abstracts and conference Programme)-Pragmatics of Translation, Symposium of Pragmatics,
3. **The issue of equivalence and the principles involved in creating a multilingual electronic database of idioms and proverbs**. EUROPHRAS- 2021
4. **Why are students (un)willing to communicate in a foreign language**? US Embassy in Ukraine; The Virtual International Spring Symposium. American State Department
5. . ონლაინ სწავლება საკლასო სწავლების პირისპირ (კოვიდ-19-ის ფონზე)
6. Covid-19 და მულტილინგვური განათლება — გამოწვევები და პერსპექტივები
7. ენათა კონტაქტი და სამართლის ტერმინოლოგია
8. შექსპირის იულიუს კეისარი ქართულ სცენაზე
9. Metaphors of Conscience in Georgian and English
10. ეთნონიმთა შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებანი /ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/
11. ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების ფრაზეოლოგიზმთა ლინგვოკულტურული თავისებურებანი
12.sturua's Postmodern Interpretation of *The Tempest.*
13. მწერლის სენტიმენტები და თარგმანის პერიპეტიები.
14. ფერთა გამა, გარდატეხილი სინესთეტი-მწერლის პრიზმში, და მისი ენობრივი გამოხატულება.
15. მწერლის იდიოლექტი და ინვარიანტულობის შესაძლებლობა თარგმანში
16. Giorgi Tschubinaschwili und die Ausstellung mittelalterlichergeorgischer Kunst in Deutschland im Jahre 1930 (გიორგი ჩუბინაშვილი და შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების გამოფენა გერმანიაში 1930 წელს), გერმანულ ენაზე,

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 30 June- 2 July, 2021. Madrid
2. 24-26 June, 2021, Madrid
3. September 6-9, Leuven, Belgium. Zoom format
4. March 22-24, Moldova, 2021
5. . მაისი, 2021, ლატვია
6. აპრილი, 2021, უკრაინა
7. 18-20 ოქტომბერი, 2021, პოლონეთი
8. 25 ნოემბერი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, ოქსფორდი, გაერთიანებული სამეფო.
9. Sep. 8-11, 2021, Rzeszow University, Poland, 55th Linguistics Colloquium, Inter and Intralinguistic Contrasts (online), Book of Abstracts, p16, www.ur.edu.pl/lingcoll.com
10. Convegno PHRASIS, 14 e 15 gennaio, Padova, Italy, (zoom online), 2021
11. Europhras 2021. Louvain-la-Neuve: Universite´ catholique de Louvain, Louvain-la-Neuve,Belgium, 6-9 September, (on Zoom), 2021
12. 23-24 სექტენბერი, 2021, უკრაინა,
13. 19–20 მარტს 2021, ZOOM-ის პლატფორმაზე; მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიის განთლებისა და კულტურის განყოფილება, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფაკულტეტი: *მთარგმნელთა უმაღლესი სკოლა.*
http://esti.msu.ru/netcat_files/userfiles/Files/science/archive/210320%20eng%20program.pdf
14. აშხაბადი, 12–13 ივნისი 2021. https://science.gov.tm/files/programma-ylym-2021-rus.pdf
15. ინსბრუკის (ავსტრია) უნივერსიტეტის თარგმანმცოდნეობის მე-4 საერთაშორისო კონფერენციაზე. Programm / Abstract: https://www.uibk.ac.at/translation/translata-2021/programme/programm-dateien/programm_translata_iv_vorlaeufig_de_17.09.21_mit_sektionsleitungen---links.pdf
16. საერთაშორისო კონფერენცია „Georgien glokal", 09.–11. September 2021 IOS რეგენსბურგი

მოხსენების ანოტაცია *(საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*

7. ენათა კონტაქტი და სამართლის ტერმინოლოგია

ენა ეროვნული იდენტობის სიმბოლოა. ენათა ურთიერთგავლენა კი იწვევს ნასესხები სიტყვების, ბარბარიზმებისა თუ ნეოლოგიზმების წარმოქმნას.

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ენათა ურთიერთგავლენის შესწავლას დიაქრონიულ ჭრილში. განხილულია ძველი ფრანკონული და ძველი მაღალგერმანული სამართლის ტერმინები და მათი ინტეგრაცია ბრიტანულ „ენობრივ ნიადაგში“. კვლევა ეფუძნება VI-IX სს-ის ხელნაწერი მასალებისა (Lex Salica, Lex Ripuaria) და ეტიმოლოგიური ლექსიკონების მონაცემებს. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რონ უკანა ფორმირებისა და უმლაუტის საშუალებით შექმნილმა ნასესხობებმა გაამდიდრა შუასაუკუნეების იურიდიული ინგლისური. ისეთი სიტყვები, როგორებიცაა ***trust*** და ***trōst*** გამოყენებულ იქნა ახალი ცნებების სახელდების მიზნით. სიტყვა ***trust*** და მისგან ნაწარმოები ტერმინები ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ნდობით ურთიერთობებშიც.

8. შექსპირის „იულიუს კეისარი“ ქართულ სცენაზე

„იულიუს კეისარი”, რომლის პრემიერა 2015 წლის 1 ივნისს რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზეგაიმართა, ბოლო სპექტაკლია „სტურუას შექსპირის სამყაროში“. „იულიუს კეისარში“ სტურუა ახალ მხატვრულ ხერხებს არ მიმართავს და სპექტაკლს თავისივე ტრადიციული თეატრალური ლექსიკით წარმოადგენს. რაც შეეხება შექსპირის პიესას, იგი არც აქ ღალატობს ტექსტის თარგმნის, ადაპტაციისა თუ ინტერპრეტაციის საკუთარ ხელწერას, პიესას ანახევრებს და სპექტაკლს კეისრის მკვლელობის სცენიდან რამდენიმე წუთში ასრულებს. შექსპირის „იულიუს კეისრის“ სტურუასეული ინტერპრეტაცია პოსტმოდერნისტული ესთეტიკის მხატვრულ და იდეურ ჭრილშია გააზრებული და მეტაფორებისა და სიმბოლოების ანალიზის შედეგად წარმოდგენილია ის თემები და პრობლემები, რომლებიც შექსპირის პიესის და სპექტაკლის მთავარი იდეაა. სპექტაკლში გათამაშებული შექსპირის მეტაფორა „მთელი მსოფლიო სცენაა“ გამოხატავს არა მხოლოდ თანამედროვე სინამდვილეს, არამედ ბიბლიურ, ფიქციურ და თეატრალურ რეალობასაც, რომელიც ინტერტექსტუალობისა და მეტათეატრის მხატვრული ტექნიკითაა წარმოდგენილი. ამის გათვალისწინებით ნაშრომში განხილულია რამდენიმე საკითხი:

1. პოლიტიკური ძალაუფლება და პოსტმოდერნიზმი;
2. შექსპირის სტურუასეული რეცეფცია „იულიუს კეისარში“;
3. ქრისტეს პოსტმოდერნისტული გააზრება.

იხილეთ ვებ-გვერდი https://www.rees.ox.ac.uk/event/shakespeares-julius-caesar-on-the-georgian-stage

10. ეთნონიმთა შემცველ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებანი
/ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების მასალაზე/

ნაშრომში განხილულია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ნიშნობრივი ბუნების სპეციფიკა, რაც განპირობებულია განსაზღვრული სიმბოლური კავშირის არსებობით ფორმასა და შინაარსს შორის. ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური სტრუქტურის თავისებურებათა შესწავლა საშუალებას გვაძლევს, რომ ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ფორმირების პროცესი განვიხილოთ სხვადასხვა ხალხთა სტერეოტიპული წარმოდგენების ასახვის ასპექტით ფრანგული, ინგლისური და ქართული ფრაზეოლოგიის სფეროში. ნაშრომში განვიხილავთ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკური კომპლექსის სამდონიან ორგანიზაციას, ინფორმაციულ სტრუქტურათა იმ სხვადასხვა სახეობების ჩართვით, რომლებიც ქმნიან მათ კოგნიტიურ სივრცეს; თუმცა, ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის ფორმირების ძირითად და წამყვან ელემენტს, როგორც წესი, წარმოადგენს იმ კულტურულად მარკირებული ეთნომიმის სემანტიკა, რომელიც ასახავს სოციალურ ურთიერთობათა სფეროს, მიუთითებს რა ეთნიკურ ერთობათა განსაზღვრულ თვისებებზე. ნაშრომში გამოყენებულია სემანტიკური ანალიზის მეთოდი, ასევე ნაწილობრივი შერჩევის, აღწერილობითი, კულტურულ-ისტორიული და შეპირისპირებითი მეთოდები. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს

ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების ფრაზეოლოგიურ ფონდთა აღწერა ეთნონიმური მასალის გამოყენებით, ასევე იმ ეთნიკურ სტერეოტიპთა განხილვა, რაც არსებობს ფრანგი, ინგლისელი და ქართველი ხალხის შემეცნებაში სხვადასხვა ეთნოსთა წარმომადგენლების მიმართ. კვლევის ძირითად შედეგს წარმოადგენს იმ სტერეოტიპულ წარმოდგენათა აღწერა, რაც ასახულია შესასწავლ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურაში, რაც მიიჩნევა იმ კულტურული მეხსიერების თავისებურ კონდენსატორად, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალი ვადევნოთ ფრაზეოლოგიური სემიოზისის პროცესს.

საკვანძო სიტყვები: ფრაზეოლოგიური სემიოზისი, ეთნონიმი, კონოტაცია, სიგნიფიკატი.

11. ფრანგული, ინგლისური და ქართული ენების ფრაზეოლოგიზმთა ლინგვოკულტურული თავისებურებანი

ენა ასახავს გარემომცველ სამყაროს, რომელშიც მუდამ შეიძლება დავინახოთ იმ ცივილიზაციის სურათი, რომელიც განსაკუთრებული და თვითმყოფადია თითოეული ერისათვის, ეთნიკური ჯგუფისათვის. ნებისმიერ ხალხთა წარმომადგენელი არის ეროვნული ენისა და მენტალიტეტის მატარებელი. მეცნიერებაში ენა წარმოადგენს დისციპლინათაშორისი შესწავლის საგანს, რადგან იგი მოიცავს ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტებს. ენა წარმოადგენს ეთნიკური ჯგუფის ნათელ იდენტიფიკაციას.

ეთნოკულტურის შეცნობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ხერხია კვლევა და ანალიზი ანდაზებისა, თქმებისა, ნაციონალური სიმბოლოებისა და ცრურწმენებისა, რომელთა საშუალებითაც შეიძლება წარმოვადგინოთ განსაზღვრული ეთნოსის ისტორიული, რელიგიური და კულტურული განვითარების სურათი. როგორც წესი, ჩამონათვალ ფენომენთა უმრავლესობა წარმოდგენილია ენაში მყარი იდიომატური გამონათქვამებისა და ფრაზეოლოგიზმების სახით. თითოეული კულტურა სპეციფიკურია, ფრაზეოლოგიზმთა და იდიომთა ანალიზი გვამცნობს, რომ ამა თუ იმ მოვლენის ინტერპრეტაცია ვარირებს კონცეპტის მიხედვით, რადგან ენობრივი ხერხები სხვადასხვაგვარად აფიქსირებენ განსაზღვრულ ცნებათა დეტერმინირებას. სხვადასხვა ენათა იდიომატური ენობრივი ერთეულების სინქრონული ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ რწმენები, ცრურწმენები, ჩვევები და რელიგიური წესჩვეულებები აისახებიან ფრაზეოლოგიზმებში. ისინი გვაწვდიან ფასოვან ინფორმაციებს ხალხის მენტალიტეტის შესახებ. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ჩანს განსაზღვრული ეპოქის საზოგადოების აზროვნება, მათში გამოხატულია ეთნოსის მსოფლხედვა, ფობიები, ცრურწმენები და ტრადიციები.

ჩვენს ნაშრომში მოცემულია სამი განსხვავებული ტიპოლოგიის მქონე ენის - ფრანგული (რომანული ენა), ინგლისური (გერმანიკული ენა) და ქართული (იბერიულ-კავკასიური ენა) ენების იდენტურ ფრაზეოლოგიზმთა შედარებითი ანალიზი, იდიომატურ გამონათქვამთა ფორმირებისას, სემანტიკურ თავისებურებათა გამოვლენის მიზნით.

ჩვენი კვლევის მიზანია - სამი განსხვავებული ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ნაციონალურ-კულტურული აზრების გაანალიზება, ინტერპრეტირება და იმ განსხვავებათა განსაზღვრა, რომლებიც ჩანს სამ სხვადსხვა ხალხთა მენტალობაში. ანალიზის ობიექტია 8 გამონათქვამი, რომლებშიც გამოყენებულია ცხოველების, ფრინველებისა და თევზების სახელწოდებები. ეს რამოდენიმე მაგალითიც კი საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ, რომ ენის მატარებელთა ეთნოკულტურული მახასიათებლები, ყოფისა, ტრადიციათა, ცხოვრების კლიმატურ პირობათა თავისებურებანი ასახულია ფრაზეოლოგიზმთა ლექსიკურ ჯგუფებში.

13. მწერლის სენტიმენტები და თარგმანის პერიპეტიები.

თანამედროვე პირობებში, როცა ადამიანურ თარგმანს მძაფრად დაუპირისპირდა მანქანური თარგმანი, განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა მათი სფეროების, შესაბამისად კი ასევე მათი კომპეტენციების ურთიერთგამიჯვნამ. მთელი აქტუალობით წამოიწია წინ ისეთმა სუბიექტურმა მომენტებმა, რომლებიც უკავშირდება მწერლის სტილს, მის იდიოლექტს, წერის კულტურას, თვით სასვენი ნიშნების რამდენადმე თავისებურ ხმარებასაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ მწერლის

ცხოვრების წესზე, მის სენტენციებზე, ხედვის ჰორიზონტსა თუ ზოგად ერუდიციაზე. მოხსენებში დაწვრილებით გვაქვს განხილული ყველა ზემოჩამოთვლილი მომენტი გერმანულ- და რუსულენოვანი მხატვრული ლიტერატურიდან შერჩეულ ნიმუშებზე/ამონარიდებზე დაყრდნობით და ამ ნიმუშთა თარგმანისა და უკუთარგამნის ანალიზის მიხედვით ვახდენთ ისეთი ფაქიზი მომენტების წინწამოწევას, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებულ მთარგმნელს შეიძლება მოხვდეს მხედველობის არეში.

ცალკე ვმსჯელობთ იმაზე, თუ რამდენად ეხმარება მთარგმნელს მოხსენიებული დეტალების წვდომაში ამჟამინდელი ღიაობა მსოფლიო მასშტაბით არსებული აუდიო-ვიზუალური საშუალებების ფონზე. მოხსენებაში განხილული გვაქვს ასევე საკითხი, რამდენად ექსპლიციტურად, ადეკვატურად თუ მიახლოებით, ემოციურად თუ ნეიტრალურად და ა.შ. შეიძლება მიაწოდებდეს მთარგმნელი მკითხველს მწერლის სენტენციებს – ანუ რამდენად უკიდეგანოა მთარგმნელის პოტენციური შესაძლებლობები, მაგრამ ასევე უსასრულოა თარგმანის პერიპეტიები.

ანალიზისთვის უფრო მეტი სიღრმისა და შედეგებისთვის მეტი დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით მოშველიებული გვაქვს ასევე ერთი და იმავე ნაწარმოების თარგმანის რამდენიმე ვერსია, შესრულებული სხვადასხვა მთარგმნელის მიერ. ამ უკანსკნელთან მიმართებაში კი, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, წარმართული გვაქვს გარკვეული დაკვირვება თარგმანმცოდნეობაში ისეთი ტერმინების დიფერენცირებულ ხმარებაზე, როგორებიცაა: „ავტორისეული თარგმანი“ // „საავტორო თარგმანი“ // „ავტორიზებული თარგმანი“, თუმცა შევნიშნავთ, რომ ნამდვილად ნაჩქარევი იქნებოდა საბოლოო სიტყვის თქმა მათი ურთიერთგამიჯვნის თვალსაზრისით.

15. მწერლის იდიოლექტი და ინვარიანტულობის შესაძლებლობა თარგმანში

ლიტერატურულ თარგმანს საქართველოში დიდი ტრადიციები აქვს, რომელთა გაგრძელებაა ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მთარგმნელობითი სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ამჟამად ფუნქციონირებადი სამი – ინგლისურ–ქართული||რუსული / გერმანულ–ქართული||რუსული / რუსულ–ქართული – მოდულები. წინამდებარე მოხსენების განსჯის ობიექტი არის თანაავტორთა მიერ სწორედ ამ პროგრამის გერმანულ–ქართულ||რუსულ–მოდულში მოპოვებული მასალა, კერძოდ ქართული და რუსული აუდიტორიისთვის უცნობი, მაგრამ გერმანულენოვანი სამყაროსთვის ერთობ პოპულარული თანამედროვე ბელეტრისტის, ყოფილი ადვოკატის სისხლის სამართლის განხრით, ფერდინანდ ფონ შირახის ნაწარმოების „ყავა და სიგარეტი“ (Ferdinand von Schirach; *1956; Kaffee und Zigaretten) ერთი თავი და მისი თარგმანი ქართულსა და რუსულ ენებზე.

მოხსენებაში არის მცდელობა: ა) გახსნას შირახის, როგორც პიროვნების, პროფესიონალი ადვოკატისა და მწერლის სახე; ბ) წარმოაჩინოს მისი, როგორც მწერლის სენტენციების უსასრულო პოტენციალი; გ) გააანალიზოს მწერლის იდიოლექტი, ერთი მხრივ, მისთვის ესოდენ სახასიათო გამჭვირვალე, ლაპიდარული სტილი, მეორე მხრივ კი, მის მიღმა მიმალული სემატიკური ხვეულები მთელი თავიანთი პერიპეტიებით, ორაზროვნებით, სარკაზმამდე მისული ირონიითა და ქედმაღლობით, მაგრამ შიგადაშიგ იმავდროულად ასეთივე პირდაპირობით, გულუბრყვილობამდე მისული უშუალობით; დ) ყურადღება შეაჩეროს წმინდა ლინგვისტური პლანის – გრამატიკულ, ლექსიკურ-სემანტიკურ და ფრაზეოლოგიურ ფენომენებზე, რომლებიც ბელეტრისტის (როგორც შირახი თავის თავს უწოდებს) ხელში იქცევიან ერთგვარ იარაღად, დააბნიოს მკითხველი, შეიყვანოს მთარგმნელი უნდობლობაში საკუთარი თავისადმი წაკითხულის ადეკვატურად გაგების კუთხით, დააკარგვინოს მას ვითარების სწორად შეფასებისა და თვით ლოკაციის რეალისტურად აღქმა-დადგენის კრიტერიუმებიც კი.

მოხსენების მომდევნო, არცთუ უმნიშვნელო ამოცანად გვესახება, წარმოაჩინოს ინვარიანტულობა პწკარედული თარგმანის შესრულების თვალსაზრისით, ერთი მხრივ, სტუდენტთა მხრიდან, მეორე მხრივ კი, ამ პროცესში იმავდროულად მანქანური თარგმანის (შესრულებული სლავისტიკის ინსტიტუტის რესურსცენტრის ბაზაზე) ჩართვით; მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შეადგინოს ერთგვარი „ინვარიანტების პარტიტურა“ (ანალოგიურად სანოტო პარტიტურისა) – გერმანული ორიგინალი + პლუს ორივე ცოცხალ ენაზე შესრულებული თარგმანი + პლუს კომპიუტერული თარგამნის დესკრიპტი – რის საფუძველზეც უკვე ენობრივი დონეების

გათვალისწინებით იმსჯელოს ცალკეულ ინვარიანტთა მართებულობა-მცდარობა-არავარგისიანობაზე; გააკეთოს შესაბამისი თეორიული დასკვნები და მოგვცეს მითითებები მათ პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

33. როგორ გვმართებს მოვიხსენიოთ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი?

წინამდებარე მოხსენება გულისხმობს იმ თემის გაგრძელებას, რომელიც 2020 წელს წარმოვადგინე კონფერენციაზე „ინოვაციები XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში“ სათაურით „მე, რუსთველი ხელობითა“.

იმ ფონზე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ავტორი ოთხჯერ ასახელებს საკუთარ თავს, პოეტის სახელთან კავშირში გთავაზობთ მოკლე ექსკურსს რუსთველოლოგიაში, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ ერთხელ დავასკვნათ, რომ ვალში ვართ რუსთველთან, რადგან ბოლომდე ვერ შევუნარჩუნეთ ის სახელი, რომელიც მან საკუთარი შედევრით გვიანდერძა.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

მანანა რუსიეშვილი:

1.პროექტი „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება“ (LINKS)“, დამფინანსებელი ევროკავშირი საქართველოსთვის, ძირითადი პერსონალი (2021-2023)

2.3 სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელობა

3.სარედაქციო კოლეგიის წევრობა:

1.Genderising (Tuscia University, Viterbo, Italy) წიგნების სერია (წიგნი პირველი)

2.Forum Filologiczne Ateneum (Gdansk, Poland)

3.International Journal of World Languages (Turkey)

მთავარი რედაქტორი: Online Journal of Humanities www.etag.ge

ირინე დემეტრაძე:

სტუდენტთა საკონფერენციო ნაშრომების ხელმძღვანელობა:

1.თსუ ინგლისური ფოლოლოგიის კათედრის სტუდენტური კონფერენცია - ივნისი, 2021 – 10 ნაშრომის ხელმძღვანელობა;

2.თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტური კონფერენცია, დეკემბერი, 2021 – 11 საკონფერენციო ნაშრომი

დავით მაზიაშვილი:

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებებათა ფაკულტეტის ინიციატივით, ჩემი მონოგრაფია „შექსპირის პოსტმოდერნიზმი“ (პროზა, დრამატურგია, თეატრი)(2021) წარდგენილია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რიგით მეოთხე ღონისძიებაზე „სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების წლის საუკეთესო მიღწევა“.

ღონისძიების მხარდამჭერია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ნინო დარასელია: 1. სამეცნიერო ხელმძღვანელობა:

(ა) დოქტორანტურა:

დოქტორანტმა ლანა ჯღარკავამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (21.06.21) თემაზე რობერტ პილის ორატორული დისკურსი კოგნიტიური სტილისტიკის თვალსაზრისით.

(ბ)მაგისტრატურა:

თამუნა ოზბეთელაშვილი, დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი:გვარის გამოყენების თავისებურებანი დისკურსის სხვადასხვა ჟანრში;

ანა გელოვანი, დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი:კონცეპტუალური მეტაფორები სამეცნიერო დისკურსში.

(გ) ბაკალავრიატი:

თამუნა ქოთოლაშვილი, საკონფერენციო მოხსენება ინგლისური მოდალური ზმნის need ეტიმოლოგიისა და სემანტიკისათვის;

ნინო თელიაშვილი, საკონფერენციო მოხსენება ინგლისური ლექსიკური ერთული wit ისტორიული ლინგვისტიკის თვალსაზრისით.

2.სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელობა:

(ა)2021 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრში ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო წრის 12 სხდომა, მოხსენებით გამოვიდა 12 სტუდენტი;

(ბ) 2021 წლის 17 ივნისს ინგლისურმა ფილოლოგიის კათედრამ ჩემი ორგანიზებით ჩაატარა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია; მოხსენებით გამოვიდა 11 სტუდენტი.

3.სარედაქციო საქმიანობა:

(ა)ჟურნალ საენათმეცნიერო ძიებანის (არნ.ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბ,ჯორბენაძის საზოგადოება) რედკოლეგიის წევრი, ინგლისური განყოფილების რედაქტორი, გამოიცა ჟურნალის 42-ე ნომერი.

(ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამომცემლო კოლეგიის წევრი, დარგობრივი საგამომცემლო ქვეკომისიის ხელმძღვანელი; გამოსაცემად მომზადდა სოფიო თოთიბაძის მონოგრაფია გენდერული სტერეოტიპები და ზღაპარი.

მანანა გელაშვილი:

დოქტორანტმა ეთერ შავრეშიანმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ვიყავი საერთაშორისო კონფერენციის ,, “Shakespeare in the Context of a Pandemic: The Bard and/as Medicine” საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

WORLD SHAKESPEARE BIBLIOGRAPHY-ის საერთაშორისო კორესპონდენტების საბჭოს წევრი

ჟურნალ " Renesansni Studii" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

დავით მაზიაშვილის მონოგრაფიის რედაქტორი.

კონსტანტინე ბრეგაძე:

1. პროფ. ცირა ბარბქაძის ინტერნეტ-ჟურნალ „სემიოტიკაში“ გამოაქვეყნა სტატია:“ჩვილისმკვლელობის სოციალური მოტივების წარმოჩენა და ბიურგერული სექსუალური მორალის კრიტიკა გოეთეს “ფაუსტში” – გრეთჰენის ტრაგედიის სოციალურ-გენდერული ასპექტები“. **სტატიის ლინკი:** https://semioticsjournal.wordpress.com/2021/06/14/კონსტანტინე-ბრეგაძე-ჩვილ/%e1%83%99%e

2. „აზროვნების აკადემიაში“ (მის.: იოსებიძის 57) ჩაატარა საჯარო ლექცია თემზე „როკ-მუსიკის სოციოკულტურული ასპექტები“

ლექციის ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=qU5iej4kyps

3. პროფ. ცირა ბარბქაძის ინტერნეტ-ჟურნალ „სემიოტიკაში“ გამოაქვეყნა სტატია: „პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი და ანტიკოლონიური (ანტირუსულ-ანტიბოლშევიკური) დისკურსი კონსტანტინე გამსახურდიას რომანში “დიონისოს ღიმილი” (1925)“. **სტატიის ლინკი:** https://semioticsjournal.wordpress.com/2021/05/09კონსტანტინე-ბრეგაძე-პოლ/ /%e1%83%99

4. ინტერნეტ-ენციკლოპედიაზე „ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედია“ გამოაქვეყნა სტატია ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის, პროფ. გურამ რამიშვილის (1932-1998) შესახებ.
სტატიის ლინკი: http://encyclopedia.ge/ka/articles/111

5. მოდერატორობდა თსუ-ში გამართულ თსუ-ს ასოც. პროფ. დავით მაზიაშვილის მონოგრაფიის „შექსპირის პოსტმოდერნიზმი“ (გამ-ობა „24 საათი“, თბილისი, 2021) წარდგინებას. წარდგინების ლინკი: https://www.youtube.com/watch?v=DbqYuSMzalE

6. პროფ. ცირა ბარბაქაძის ინტერნეტ-ჟურნალ „სემიოტიკაში“ გამოაქვეყნა სტატია: „გოეთე vs. ფრიდრიხ ვჲოლერი: ცილა-შარდოვანას სინთეზის (Harnstoffsynthese) მეთოდი „ფაუსტის“ მეორე ნაწილის ლაბორატორიის სცენაში, ანუ ჰომუნკულუსის “გაკეთება”. **სტატიის ლინკი: https://semioticsjournal.wordpress.com/2021/04/08/კონსტანტინე-ბრეგაძე-გოე/%e1%83%99%**

ნ. კაპანაძე

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა: ა.ბარიხაშვილი. დარგობრივი კოლოკაციები გერმანულ და ქართულ იურიდიულ ენებში (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მასალაზე).
2. საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა:
   ნ. ჩხაიძე. *ევიდენციალობის ლექსიკური მარკერები გერმანულ და ქართულ ენებში.*

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.**

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის პუბლიკაციების სია (2021 წელი)

1. Manana Rusieshvili-Cartledge, Why are students (un)willing to communicate in a foreign Language ? 1. VIRTUAL INTERNATIONAL SPRING SYMPOSIUM PROCEEDINGS EMPOWERING ENGLISHLANGUAGE EDUCATORS THROUGH ACTION RESEARCH 26-27 March 2021. Pp. 162-173 ISBN 978-9975-50-263-4./378.091:811.111(082)=00E 49

საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებზე დაყრდნობით, საქართველოსა და ჩეხეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალის შესაფასებლად და განვითარების ტენდენციების გამოსავლენად, შესწავლილია ორი ქვეყნის ძირითადი მაჩვენებლები. მონაცემების შედარებითი ანალიზით დადგენილია, რომ საქართველოსა და ჩეხეთს შორის რაოდენობრივი მაჩვენებლები მსგავსია, ხოლო ხარისხობრივი მონაცემები ჩეხეთში საქართველოსთან შედარებით მაღალია.

ნაშრომში საქართველოს სოფლის მეურნეობა განხილულია როგორც ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყარო, შესაბამისად დასაბუთებულია, რომ დარგის რესურსული პოტენციალის

ამაღლების მიზნით აუცილებელია აგროსასურსათო პროდუქტებით საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება.

საქართველოსა და ჩეხეთს შორის აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ორ ქვეყანას შორის პროდუქტებით ვაჭრობის ბალანსის ტენდენცია ცვალებადია და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები განვითარების პროცესშია. ორ ქვეყანას შორის აგროსასურსათო პროდუქტებით ვაჭრობის სფეროში მთავარ გამოწვევად მიჩნეულია აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაციის დაბალი დონე. ამასთან, დასაბუთებულია, რომ საქართველოსთვის ჩეხეთთან თანამშრომლობა პერსპექტიულია არა მარტო ვაჭრობის, არამედ ინვესტიციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროშიც.

სტატიაში დასაბუთებულია სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაში ქვეყნებს შორის ექსპორტ-იმპორტის ოპტიმალური თანაფარდობის აუცილებლობა. ემპირიული კვლევებით გამოვლენილია საქართველოსა და ჩეხეთს შორის აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის თანამედროვე გამოწვევები, პროდუქტების სახეობების მიხედვით გაანალიზებულია ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობები, დასახულია ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაუმჯობესების გზები. შემუშავებულია საქართველოსა და ჩეხეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისა და ექსპორტ-იმპორტის პერსპექტიული მიმართულებები.

3. სტატიაში გაანალიზებულია მოსაზრებები რეგიონების მდგრადი განვითარების ინსტრუმენტებისა და უთანასწორობის შემცირების გზებზე. შეფასებულია რეგიონული განვითარების პროგრამებისა და სტრატეგიების მნიშვნელობა ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში, დასაბუთებულია მათი როლი ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.

კვლევით გამოვლენილია რეგიონების ენდოგენური განვითარების ფაქტორები, მიზანშეწონილად არის მიჩნეული რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდა საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადებით. საქართველოში არსებული ოთხდონიანი მმართველობის (ცენტრალური, რეგიონული, რაიონული და მუნიციპალური) ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ რეგიონალიზაციის პროცესს დღესაც შუქცევადი ხასიათი აქვს, რეგიონული ინსტიტუტების საშუალებით შესაძლებელია მდგრადი და თანაბარზომიერი ეკონომიკური განვითარების მიღწევა.

საქართველოს რეგიონების მიხედვით შედარებულია ტერიტორიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური და სხვა მაჩვენებლები. გაკეთებულია დასკვნა, რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის მვეთრი უთანაბრობაა. ამასთან, შეინიშნება საშუალო ზომის ურბანული ტერიტორიების ნაკლებობა, რაც კიდევ უფრო ამწვავებს უთანაბრობის პრობლემას.

რეგიონული განვითარების საჭიროებებისა და პოტენციალის შესწავლით დადგენილია, რომ საქართველოს, ერთი მხრივ, აქვს მრავალი გამოწვევა მდგრადი და თანაბარზომიერი რეგიონული განვითარებისთვის, მეორე მხრივ, გააჩნია რეგიონული ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების პოტენციალი.

რეგიონების თანაბარზომიერი განვითარების შესაფასებლად განაწილების კოეფიციენტის საშუალებით განსაზღვრულია ეკონომიკური საქმიანობის კონცენტრაციის დონე რეგიონების მიხედვით. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს არცერთი რეგიონი არ არის გამორჩეულად სპეციალიზებული. ბიზნეს სექტორების კონცენტრაციის დონე რეგიონებში დასაბუთებულია განაწილების მრუდებით. განაწილების მრუდების აგებისას გათვალისწინებულია საბითუმო და საცალო ვაჭრობის საქმიანობის განაწილების, როგორც იდეალურ განაწილებასთან ძალიან მიახლოებული მაგალითი. მრუდების განაწილების ანალიზით დადასტურებულია, რომ საქართველოს რეგიონებში ბიზნეს სექტორების კონცენტრაციის დონე საკმაოდ არათანაბარზომიერია და დარგობრივი სპეციალიზაციით არც ერთი რეგიონი არ გამოირჩევა.

სტატიაში გამოვლენილია რეგიონების მდგრადი და თანაბარზომიერი განვითარების პრობლემები, მათი შეფასების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია ამ პრობლემების დაძლევის რეკომენდაციები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ***ეთერ ხარაიშვილი***

2. ბადრი გეჩბაია

3.გულნაზ ერქომაიშვილი

4. მანანა ლობჟანიძე

5. ია ნაცვლიშვილი

2) მოხსენების სათაური

1. Shipping policy of agri-food products and the formation of food markets in Georgia

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი. 24 ივნისი, 2021 წ. ბათუმი, საქართველო

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. *ეთერ ხარაიშვილი*

2. *ეთერ ხარაიშვილი*

3. **Eteri Kharaishvili,** Badri Gechbaia, Zurab Mushkudiani, Ketevan Goletiani, Amiran Tsilosani

4. **Eteri Kharaishvili,** Badri Gechbaia, Ekaterine Zviadadze , Zurab Mushkudiani , and Amiran Tsilosani

2) მოხსენების სათაური

1. Food market policy priorities in Georgia

2. THE IMPACT OF PROMOTING EXPORT OF FOOD PRODUCTS ON THE DEVELOPMENT OF LOCAL PRODUCTION IN GEORGIA

3. Challenges of sustainable and equal development of regions in Georgia

4. Trade and Economic Relations Between Georgia and the Czech Republic: Challenges in Export and Import of Agri-Food Products

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ICEBI 2021 : 23rd International Conference on Economics and Business Innovation on October, 21-22, 2021 at Athens, Greece

2. International Scientific and Practical Internet Conference ,,ORGANIZATION'S STRATEGY VS REALITIES OF THE VUCA-WORLD", Kyiv, SHEI KNEU named after V. Hetman. November 10, 2021.

3. the Second International Conference on Sustainable Futures: Environmental, Technological, Social and Economic Matters (ICSF 2021).
https://www.e3s-conferences.org/articles/e3sconf/abs/2021/56/e3sconf_icsf2021_11007/e3sconf_icsf2021_11007.html?fbclid=IwAR22-T3MxFPKjfvTz-1M5MW3AbEe0r2Y22aGWIYhfK_ZvVu-fCox0CtdZqM

4. E3S Web Conf.
Volume 280, 2021
Second International Conference on Sustainable Futures: Environmental, Technological, Social and Economic Matters (ICSF 2021)
https://notso.easyscience.education/icsf/2021/doc/ICSF_2021-final34.pdf?cap=034aAGhxwZnTZn4

სტატიაში შეფასებულია საქართველოს სასურსათო ბაზრის განვითარების ტენდენციები. დასაბუთებულია, რომ სურსათზე მოთხოვნის ტენდენცია კვლავ შენარჩუნდება და სასურსათო ბაზრების განვითარება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრაში. ნაშრომში შეფასებულია COVID-19-ის პანდემიის გავლენა სურსათის წარმოებასა და მოწოდების სისტემებზე.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდი: მონაცემების შერჩევისა და დაჯგუფების, მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიცირებისათვის, ასევე, ტენდენციების გამოსავლენად გამოყენებულია ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და სხვა მეთოდები; ,,ზეგავლენა-გადაუდებლობის" მატრიცით გამოვლენილია სასურსათო ბაზრებისა და ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის შემაფერხებელი ფაქტორები, ,,პრიორიტეტების სქემით" დადგენილია აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები.

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრის პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტებად მიჩნეულია: ბაზრების დაფინანსების პოლიტიკის შემუშავება; სასურსათო ბაზრების ადგილმდებარეობაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; პრიორიტეტული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სტიმულირების პროგრამების შემუშავება; ევროპისა და სხვა სასურსათო ბაზრის სტანდარტებთან და საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია; ბაზრების დიზაინის განვითარების მექანიზმების ამუშავება; სასურსათო ბაზრების შესახებ საინფორმაციო სისტემის შექმნა და სხვ.

გაკეთებულია დასკვნა, რომ სასურსათო ბაზრის პოლიტიკის ეფექტიანი მექანიზმების გამოყენებით შესაძლებელია, ერთი მხრივ, ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის დივერსიფიკაცია ტრადიციულ, მაგრამ მზარდ სასურსათო ბაზრებზე, მეორე მხრივ, საექსპორტო ბაზრების გეოგრაფიული არეალის გაფართოება. შემოთავაზებულია ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისთის ლოკალური და გლობალური სასურსათო ბაზრების განვითარების პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ რეკომენდაციები.

2. მოხსენება დაიბეჭდა კონფერენიის მასალათა კრებულში

3. დაიბეჭდა სტატიის სახით

4. დაიბეჭდა სტატიის სახით.

ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს ,,Economics for Business" John Sloman, Dean Garratt, Jon Guest, Elizabeth Jones, 7th edition, 2016, 638 pp. ქართულ ენაზე თარგმნა და სამეცნიერო რედაქტირება

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **თარგმნის პერიოდი: 2021 წლის 01 იანვარი - 2021 წლის 01 ივნისი;**
2. **რედაქტირების პერიოდი: 2021 წლის 01 მაისი - 2021 წლის 01 აგვისტო.**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - სამეცნიერო რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია: **ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე,** ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი, ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი.

2. **მთარგმნელები:**

4. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
5. ეკონომიკის დოქტორი ქუჯი ბიჭია
6. დოქტორანტი ნინო ლობჟანიძე

4. დოქტორანტი ნინო ტალიკაძე

5.2. სახელმძღვანელოები

5.2.1.

1) ავტორი/ავტორები: ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. **მიკროეკონომიკა (თეორიული კურსი),** მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, 2021, ნაწილი I.

ISBN : 978-9941-13-971-0

სახელმძღვანელოს ელექტრონული ბმული თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე:
https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1298

2. **მიკროეკონომიკა (თეორიული კურსი),** მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, 2021, ნაწილი II.

ISBN : 978-9941-13-972-7

სახელმძღვანელოს ელექტრონული ბმული თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე: https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1299

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თსუ გამომცემლობა, თბილისი

4) გვერდების რაოდენობა

1. 628 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელო შედგენილია ცნობილი ავტორების (რ. პინდაიკი, დ. ბესანკო, ჰ. ვარიანი, უ. ნიკოლსონი, დ. სალვატორე, მ. პერლოფი) მიკროეკონომიკის სასწავლო კურსების საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში.

სასწავლო პროგრამა რეცენზირებულია აშშ-ის ნებრასკას უნივერსიტეტის მიერ (ქრეგ რ. მაკფი, დოქტორი, PH.D).

კურსი განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელო დაბეჭდილია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სპეციალისტების მომზადებისა და პროფესიული განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, აქცენტი წვრთნის ტიპის მეცადინეობებსა და უნარ-ჩვევების განვითარებაზეა გაკეთებული. ეკონომიკური უნარები ისევე, როგორც ეკონომიკური ცოდნა, საზოგადოებრივი აზროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ შედეგის მიიღებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ძირითად ცოდნაზე ორიენტირებული კურსების შესწავლა, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მიკროეკონომიკა.

მიკროეკონომიკის კურსის შესწავლით სტუდენტი დაეუფლება მიკროეკონომიკურ თეორიებსა და კონცეფციებს, ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტებს. კურსით მიღებულ ცოდნას იგი წარმატებით გამოიყენებს მაკროეკონომიკის, ეკონომეტრიკის, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, ფინანსური ბლოკისა და სხვა დისციპლინების შესასწავლად.

სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები და ფორმები: პირდაპირი გადაცემა, დებატები, სიტუაციების შეფასება, მოდელირება, სიმულაცია, სავარჯიშოები, ჯგუფური მუშაობა, კვლევა, ორმხრივი ჩანაწერების დღიურების წარმოება, მოზაიკა, აბლაბუდა, რადარი, ასევე ძირითადი, სწრაფი და გამოყენებითი კითხვის რეჟიმები. ტარდება ტესტ-კონკურსები და პროექტების პრეზენტაციები.

კურსი უზრუნველყოფილია პრაქტიკული სავარჯიშოებით, სხვადასხვა სირთულის ამოცანებით, ტესტებით, საქმიანი სიტუაციებით.

სწავლების დროს ყურადღება გამახვილებულია მიკროეკონომიკის გამოყენებით ხასიათზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა მენიჭება წინასწარ დაგეგმილ და ორგანიზებულ სალექციო, სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება ხორციელდება ქეისების, ჯგუფური მუშაობის, ონლაინკომუნიკაციებისა და სხვა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

მიკროეკონომიკის შესწავლისადმი ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნესის მიმართულების სტუდენტებისათვის. მათთვის შეთავაზებულია შეთანხმებული პროგრამა სალექციო მასალების, სემინარული მეცადინეობების, სტუდენტთა ცოდნის შემოწმე-

ბის მეთოდებისა და დამხმარე ლიტერატურის ფართო არჩევანის სახით. ყურადღება გამახვილებულია რელევანტური სასწავლო მასალის სიღრმისეულ დამუშავებაზე.

ლექციების მოსმენისა და მასალების უკეთ ათვისებისათვის სტუდენტებისათვის შეთავაზებულია სალექციო და სასემინარო პრეზენტაციები Microsoft Power Point-ის ფორმატში. ლექციებზე წარმოდგენილია ტექსტში მოცემული ყველა ძირითადი კონცეფცია, გრაფიკი, დიაგრამა, სქემა. მათემატიკური მომზადების დონისა და მათი შემდგომი სპეციალიზაციიდან გამომდინარე, სტუდენტებისთვის შეთავაზებულია დიფერენცირებული მიდგომები. თუ მიკროეკონომიკის კურსი წაეკითხებათ იმ სტუდენტებს, რომელნიც მათემატიკურად მომზადების საუკეთესო ხარისხს ვერ ავლენენ, შესაძლებელია, სემინარულ მეცადინეობებზე მასალები განნიხილება გრაფიკულ ანალიზზე აქცენტირებით; თუ ლექტორსა და სემინარის მასწავლებელს ექნებათ საკმარისი დრო და სტუდენტის მათემატიკური მომზადება მასალების უფრო ღრმა ანალიტიკური შესწავლის შესაძლებლობას იძლევა, მაშინ უპირატესობა დიფერენცირებულ მიდგომებს ენიჭება.

5.2.2.

1) ავტორი/ავტორები: ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. **მიკროეკონომიკა (ტესტები, სავარჯიშოები, ამოცანები),** მეშვიდე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, 2021.

ISBN : 978-9941-13-973-4

სახელმძღვანელოს ელექტრონული ბმული თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე:

https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1300

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თსუ გამომცემლობა, თბილისი

4) გვერდების რაოდენობა

1. 285 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ტესტების, სავარჯიშოებისა და ამოცანების კრებული აგებულია ცნობილი ავტორების (რ. პინდაიკი, დ. ბესანკო, ჰ. ვარიანი, უ. ნიკოლსონი, დ. სალვატორე, მ. პერლოფი) მიკროეკონომიკის სასწავლო კურსების საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში. კურსი განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელო დაბეჭდილია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს, განიმტკიცონ თეორიულ კურსში მიღებული ფუნდამენტური ცოდნა. ამოცანების, ტესტებისა და სავარჯიშოების ამოხსნის, სალექციო მასალების სიტუაციური ანალიზის, ჯგუფური მუშაობისა და ონლაინდისკუსიების, ყოველკვირეული საშინაო დავალებების შესრულების გზით სტუდენტები შეძლებენ გამოიმუშავონ მიკროეკონომიკური კონცეფციების ანალიზის უნარ-ჩვევები მათემატიკური აპარატის გამოყენებით.

პრაქტიკულ მეცადინეობებზე განიხილება თეორიული კურსის მნიშვნელოვანი დებულებები, გრაფიკები, ცხრილები, ცნებები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში - გასამეორებელი მასალა.

სწავლების პროცესის გააქტიურების მიზნით გამოიყენება დისტანციური კონსულტაციებით. ამავე მეთოდით განხორციელდება ზოგიერთი საშინაო დავალების, ამოცანისა და პროექტის მონიტორინგი.

ტესტების, სავარჯიშოებისა და ამოცანების კურსი მომზადებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრაზე ავტორთა ჯგუფის მიერ.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ხოხობაია, მ., რობლეკი, ვ., პეტროვიჩი, ნ. და ი. გაგნიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ტურიზმის კლასტერის ფორმირების თავისებურებები რაჭაში (საქართველო)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თსუ

5) გვერდების რაოდენობა

1. იბეჭდება

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე - რაჭა, თანამედროვე პერიოდში მრავალი გამოწვევის წინაშე დგას. უპირველეს ყოვლისა ესაა მოსახლეობის სიმცირე და ასაკობრივი დაბერება. ჩვენი აზრით, ტურიზმი არის ის მიმართულება, რომელიც ამ კუთხის ეკონომიკას სწრაფად გამოაცოცხლებს და მოსახლეობას საკუთარი მამა-პაპისეული ფუძისკენ დაბრუნების სურვილს გაუღვივებს. ამის აღნიშვნის საფუძველს გვაძლევს ამ მცირე ტერიტორიისთვის დამახასიათებელი მაღალი ვერტიკალური ზონალობა - ზღვის დონიდან 500-4500 მეტრი, რაც ტურიზმის მრავალი სახეობის განვითარების საშუალებას იძლევა.

ქვის ხანიდან დასახლებული რაჭა, სადაც ეგვიპტელებსა და ფინიკიელებთან მყარ კავშირს ამ კუთხეში აღმოჩენილი სამაროვნებიდან აღებული არტეფაქტები ადასტურებს, შესაძლოა არქეოლოგებისა და ეთნოგრაფებისთვის ახალი აღმოჩენების კერა კვლავ გახდეს. კუთხე მდიდარია მინერალური და გოგირდოვანი წყლებით, ულამაზესი კარსტული მღვიმეებით, მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით, უიშვიათესი ღვინის წარმოებისა და გასტრონომიული ტურიზმის აღორძინების შესაძლებლობით და სხვა. რელიეფის მრავალფეროვნება სათავგადასავლო ტურიზმის მრავალი სახეობის განვითარების შესაძლებლობასაც იძლევა. ნაშრომში მოცემულია რაჭაში ტურიზმის განვითარების SWOT ანალიზი. აგრარულ დასახლებებში ტურიზმის ხელშეწყობის ევროპული სტრატეგიის მიმართულებები და გამოცდილება აღწერილია სტატიის ბოლოს, რაც ვფიქრობთ სასარგებლო იქნება რაჭისთვის.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. Vesperi, W. and Gagnidze, I
2. Vesperi, W. and Gagnidze, I
3. Dominici, G. and Gagnidze, I

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. The Impact of the 4th Industrial Revolution on the Higher Education System: Rethinking the Role of Universities. ISBN: 978-1-68507-230-8; **DOI**: https://doi.org/10.52305/WPPN2619 ISSN: 1535-4806
2. From the University Ecosystem to the Entrepreneurial Ecosystem – The Way for Developing of the Local Economy. **DOI:** 10.1504/IJEBR.2022.10041232
3. Effectiveness of Entrepreneurial Universities: Experiences and Challenges in Digital Era (a systemic approach). https://doi.org/10.7906/indecs.19.1.2

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Progress in Education. Vol 68.
2. *International Journal of Economics and Business Research (*In press*)*
3. *Interdisciplinary Description of Complex Systems* 19(1)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. USA; NOVA science
2. Inderscience publisher
3. Croatian Interdisciplinary Society

5) გვერდების რაოდენობა

1. 27
2. 24
3. 17

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ბოლო პერიოდში აღიარებული საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციები და ინსტიტუტები, მკვლევრები აქტიურად წერენ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციისა და ციფრული ერის შესახებ. ქვეყნდება ეკონომიკასა და შრომის ბაზარზე მოსალოდნელი რყევების პროგნოზები. განიხილება მრავალი სცენარი როგორც მოკლევადიანი ასევე გრძელვადიან პერიოდის მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ. მიმდინარე პერიოდში ციფრული ერის გამოწვევებს დაემატა მსოფლიო პანდემია. რის შედეგადაც გაორმაგდა გადასაჭრელი პრობლემები. ბიზნესისთვის აუცილებელი გახდა რესურსების განსხვავებული დიზაინით მობილიზება და სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის უნარების განახლების ორგანიზება. იმ პირობებში, როცა რთულია პროგნოზირება, იზრდება განათლების მნიშვნელობა, რომელიც განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა. ნაშრომში ხაზგასმულია უმაღლესი განათლების პრობლემები. უნივერსიტეტებს ესაჭიროება სწრაფად უპასუხონ როგორც მიმდინარე, ასევე სამომავლო გამოწვევებს. აღნიშნულის მიღწევას უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტები მხოლოდ ეფექტიანი მოდელის ფორმირებით შეძლებენ.
2. თანამედროვე მსოფლიო დგას მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების წინაშე. კრიტიკულად აუცილებელია მოიძებნოს ის ძირითადი საშუალებები, რაც შეუწყობს

ხელს მათ შერბილებას. ავტორებს განათლება აქვთ შემოთავაზებული ასეთ გზად. ამ კონტექსტით „გზა“ საუნივერსიტეტო ეკოსისტემიდან სამეწარმეო ეკოსისტემამდე შემოთავაზებულია, როგორც ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მიმართულება. VOS viewer software-ის გამოყენებით გაკეთდა საუნივერსიტეტო ეკოსისტემის კლასტერული ანალიზი. ასევე, 40 ქვეყანაში სამეწარმეო უნივერსიტეტის ფორმირების გამოცდილების შესწავლით იდენტიფიცირებულია ამ პროცესის ძირითადი 8 გამოწვევა. მოცემული ანალიზი სასრგებლოა HEI-ის მოდელის ცვლილებით დაინტერესებული ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალისთვის. რეფორმების ეფექტიანად განხორციელება გამოიწვევს საუნივერსიტეტო კვლევების კომერციალიზაციის პროცესის დაჩქარებას და განხორციელებული ინვესტიციებიდან სწრაფ უკუგებას. ასეთი სინერგიული პროცესი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტების გარშემო ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებას.

3. მსოფლიოში აქტიურად წერენ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ. სამუშაო ადგილებზე ხელოვნური ინტელექტი ჩაანაცვლებს ადამიანებს. მოსალოდნელია ახალი სამუშაოების გამოჩენა, რისთვისაც უნარების განახლება აუცილებელი იქნება. ასეთ პირობებში სამეწარმეო უნივერსიტეტებს გადამწყვეტი როლი ენიჭება. ნაშრომში სამეწარმეო უნივერსიტეტებისა და სპინ-ოფების შესახებ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურაა გაანალიზებული რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: განხილულია ისეთი დოკუმეტები და სტატიები, რომლებიც მოიცავს თემასთან შესაბამისი სამთავრობო დოკუმენტებისა და სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზს - ასეთი კვლევების გაცნობა მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ანალიზი ზოგადია, მრავალი ქვეყნის გამოცდილებაა შესწავლილი, ასახულია მსოფლიო ტენდენციები და მოსალოდნელი ცვლილებები. ასევე მოცემულია, რამდენიმე სამეწარმეო უნივერსიტეტის ერთობლივი კვლევის შედეგები. მთში დასკვნები უფრო კონკრეტულია. ასახულია განვითარების სხვადასხვა დონის ქვეყნებში არსებული გამოწვევები, განსხვავებები და მსგავსებები კროსკულტურული ასპექტით. სპინ-ოფების ფუნქციონირების გამოცდილება და გამოწვევები შეფასებულია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე. განხილული მაგალითები არის მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტიდან, რაც ადასტურებს, რომ საუნივერსიტეტო მოდელის ცვლილების პროცესი ყველგან და განვითარების ნებისმიერი დონის ქვეყანაში აქტიურადაა დაწყებული.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. გაგნიძე, ი.

2. Roblek, V., Petrovic, N., Gagnidze I. and Khokhobaia, M.

2) მოხსენების სათაური

1. ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანასწორობა კეთილდღეობის ეკონომიკაში და მართლმადიდებლური სწავლება

2. The Role of a digital transformation in development of a rural tourism destinations.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. თსუ, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი, ნოემბერი, 2021

2. თსუ, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი, ნოემბერი, 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Gagnidze, I.
2. Roblek, V., Petrovic, N., Khokhobaia, M. and Gagnidze I.
3. Гагнидзе, И.
4. N. Petrović, V. Roblek, M. Khokhobaia and I. Gagnidze
5. Petrovic, N., Radenkovic, M., Roblek, V., Khokhobaia, M. and Gagnidze I.

2) მოხსენების სათაური

1. “University 4.0 - the part of Education 4.0”
2. “The Role of an innovation and digital transformation of organisations in VUCA world”
3. “Вопрос гендерного равенства с точки зрения православного обучения”
4. “AR-Enabled Mobile Apps to Support Post COVID-19 Tourism”
5. “MODEL-DRIVEN APPROACH TO INTERACTIVE 3D WEB PRESENTATION GENERATION”

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. KNEU, 10 November, Kyiv, Ukraine
2. KNEU, 10 November, Kyiv, Ukraine
3. Минская духовная академиа, 29-31 января 2021 г., Минск, Белорусс
4. 20-22 October, Niš, Serbia
5. August 30 – September 01, Niš, Serbia

(ფორუმის მასალები გამოქვეყნებულია)

ასოცირებული პროფესორი ნინო დამენია

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

1) ავტორი/ავტორები

1. ეთერ ხარაიშვილი, მარინა ჩავლეიშვილი, ნინო დამენია, ცირა მიქატაძე
2. ეთერ ხარაიშვილი, ნინო დამენია, ცირა მიქატაძე

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. მენეჯერული ეკონომიკა (მეორე გადამუშავებული გამოცემა) - ლექციების კურსი, 2021 წ.
2. დარგობრივი ბაზრების ეკონომიკა (მეორე გადამუშავებული გამოცემა) - ლექციების კურსი, 2021 წ.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ელექტრონული სახით
2. ელექტრონული სახით

4) გვერდების რაოდენობა

1. 197
2. 128

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მაგისტრანტებისთვის მომზადებული სასწავლო კურსი „მენეჯერული ეკონომიკა“ (მეორე გადამუშავებული გამოცემა) შედგენილია მენეჯერულ ეკონომიკაში ადაპტირებული სახელმძღვანელოებისა (Paul G.Keat, Philip K.Y. Young, Menagerial Economics, USR, New Jersey, 2006; Allen B., Doherty N., Weigelt K., Mansfield E. Managerial Economics: Theory, Applications and Cases (8 ed.), 2013, W.W. Norton & Company) და სილაბუსების საფუძველზე.

სალექციო კურსის შედგენისას გამოყენებულია როგორც საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების, ისე ცნობილი უცხოელი და ქართველი ავტორების ნაშრომები.

სალექციო კურსი მოიცავს 11 თემას, განკუთვნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პროფილის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსის სახით და დაინტერესებული მკითხველისათვის.

2. ბაკალავრებისთვის მომზადებული სასწავლო სალექციო კურსი „დარგობრივი ბაზრების ეკონომიკა“ (მეორე გადამუშავებული გამოცემა) შედგენილია ინდუსტრიული და დარგობრივი ბაზრების ეკონომიკაში ადაპტირებული სახელმძღვანელოებისა (Paul Belleflamme, Martin Peitz - Industrial Organization, Markets and Strategies (2 nd edition), University Printing House, Cambridge CB2 8BS, United Kingdom, 2015; F. M. Scherer, David Ross – Industrial Market Structure and Economic Performance, Third edition, Houghton Mifflin Company Boston, 1997) და სილაბუსების საფუძველზე.

სალექციო კურსის შედგენისას გამოყენებულია როგორც საერთაშორისო, ისე ქართული კვლევითი ორგანიზაციების, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მასალები. ასევე ცნობილი უცხოელი და ქართველი ავტორების ნაშრომები.

სალექციო კურსი მოიცავს 11 თემას, განკუთვნილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის, მენეჯერული ეკონომიკის მოდულის სტუდენტებისთვის როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი კურსის სახით და დაინტერესებული მკითხველისათვის.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Nino Damenia

2) მოხსენების სათაური

1. Impact of COVID 19 on Georgia’s agriculture

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ACTUAL ECONOMIC AND SOCIAL PROBLEMS IN MODERN GLOBALIZATION, July 17, 2021

COVID 19-ის გავლენა საქართველოს სოფლის მეურნეობაზე

სოფლის მეურნეობის სფერო მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ამ სექტორში ბევრი ადამიანია დასაქმებული და უამრავი ოჯახის კეთილდღეობა ამ სფეროს განვითარებასთან პირდაპირაა დაკავშირებული. ამას ემატება ისიც, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოსთვის ერთგვარი ტრადიცია და კულტურაა, რომელიც ერს უკვე მრავალი საუკუნეა მოსდევს და რომელიც ქართულ იდენტობასთანაა შესისხლხორცებული. აქედან გამომდინარე

საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია COVID 19-ის გავლენა აღნიშნულ სფეროზე.

კორონავირუსით გამოწვეული შოკის ფონზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, განსაკუთრებით იმ პროდუქტებზე, რომლებიც შიდა მოთხოვნას, მათ შორის, ტურიზმის სექტორის მოთხოვნას აკმაყოფილებდა. მნიშვნელოვნად შემცირდა ბანკების მიერ სესხების გაცემა. ქვეყანაში დაწესებულმა შეზღუდვებმა, მათ შორის ტრანსპორტით გადადგილების შეზღუდვამ, წარმოქმნა წარმოებული პროდუქტის რეალიზაციის პრობლემა. აგრობიზნესის წარმომადგენლებისთვის პროდუქტების გაყიდვა გაართულა სასტუმროებისა და კაფე-რესტორნების დახურვამ. ერთერთ დიდ პრობლემას წარმოადგენს ასევე აგროსაშუალებებზე ხელმიუწვდომლობა. შხამქიმიკატების უმეტესობა იმპორტირებულია, არსებული შეზღუდვების ფონზე მათი შემოტანა გაძნელდა და ამავე დროს გაიზარდა მათი ფასი, რაც ძირითადად განაპირობა ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ. სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმა ქვეყანაში 2020 წლის 20 მაისიდან ამოქმედდა და დახმარების ბიუჯეტი 300 მილიონი ლარი შეადგინა. საქართველოს საქსტატის 2020 წლის მონაცემების მიხედვით 2020 წლის პირველ სამ კვარტალში 2019 წელთან შედარებით გვაქვს ზრდის ტენდენცია როგორც რეალური მშპ სოფლის მეურნეობაში ასევე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობაში და ფრინველთა ეკონომიკური ინდიკატორების მაჩვენებლებში შესაბამის სექტორში.

გლობალური პანდემიის პირობებში გამოიკვეთა სხვადასხვა პრობლემები და გამოწვევები ყველა მიმართულებით, მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც. რიგ უარყოფით ასპექტებთან ერთად, როგორიცაა: ეკონომიკური არასტაბილურობა, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის პრობლემები და სხვა, რომელიც უარფოფითად აისახება სოფლის მეურნების განვითარებაზე, უნდა აღინიშნოს დადებითი გარემოებებიც: ხარისხის კონტროლის შესაძლებლობა, სურსათის უვნებლობის საკითხებზე მეტი ყურადღების გამახვილება, დიჯიტალიზაციის დაჩქარება და პოპულარიზაცია, სოფლის მეურნეობის სფეროებით დაინტერესება და სხვ.

მნიშვნელოვანია მთავრობის მიდგომა სოფლის მეურნეობის მიმართულებებით შეთავაზებული გრანტების და დახმარების პროგრამების კუთხით. მსოფლიოს ქვეყნებმა ცალსახად გამოხატეს დაინტერესება სოფლის მეურნეობის გაძლიერების კუთხით, რადგან კრიზისის პირობებში არსებული საკვები რესურსების მობილიზება პრიორიტეტს წარმოადგენს ყველა ქვეყნისთვის.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Nino Damenia

2. Nino Damenia, Iza gigauri

2) მოხსენების სათაური

1. International cooperation of the program business administration and economics in the shool of business, computing and social sciences in Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

2. TRENDS AND TENDENCIES IN HUMAN RESOURCE MANAGEMENT DURING THE PANDEMIC CRISIS IN GEORGIA

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ERASMUS + WEEK- INTERNATIONAL DIMENSION IN PETROLEUM-GAS UNIVERSITY OF PLOIESTI VIRTUAL NETWORK. PLOIESTI, ROMANIA. April, 19-23, 2021

2. Higher School of Security and Economics – Plovdiv, Bulgaria. Conference devoted to the INTERNATIONAL HUMAN RESOURCES DAY. May 20, 2021

2. ABSTRACT. First of all, we would like to congratulate on International vHR day to all human resource professionals as well as academics and researchers working on HRM issues. Indeed it is important to celebrate HR as a profession, the work that HR professionals are doing, and their positive contribution to individuals, organizations on a national and international scale.

The presented research is a brief summary of the previous studies that were carried out in two parts: Expert Study

and the Survey, in 2020, and the research results have been published. The research aimed at analyzing the role of HR management during the pandemic crisis in Georgia.

ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს ,,Economics for Business" John Sloman, Dean Garratt, Jon Guest, Elizabeth Jones, 8th edition, 2019, 765 pp. ქართულ ენაზე თარგმნა და სამეცნიერო რედაქტირება

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **თარგმნის პერიოდი: 2021 წლის 01 იანვარი - 2021 წლის 01 ივნისი;**
2. **რედაქტირების პერიოდი: 2021 წლის 01 მაისი - 2021 წლის 01 აგვისტო.**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - სამეცნიერო რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია: ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე, ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი, ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი.

2. **მთარგმნელები:**

7. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
8. ეკონომიკის დოქტორი ქუჯი ბიჭია
9. დოქტორანტი ნინო ლობჟანიძე
4. დოქტორანტი ნინო ტალიკაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჯონ სლოუმენი, დინ გარეტი, ჯონ გესტი, ელიზაბეტ ჯონსი

ბიზნესის ეკონომიკა

მე-8 გამოცემა

პირსონის გამოცემა

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების სტუდენტებისათვის. წიგნი ფოკუსირებულია ბიზნეს სამყაროზე და ამ სფეროში ეკონომიკის ყველა ძირითად საკითხს განიხილავს. ამასთან, სახელმძღვანელოში მოცემულია ბევრი ისეთი თემა, რომელიც ტრადიციული ეკონომიქსის შესწავლისას არ განიხილება.

წიგნში ჩართულია მრავალი სიტუაციური ანალიზი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, ასევე, გამოვლენილია

მათი გადაჭრის ეკონომიკური გზები. ზოგიერთი სიტუაციური ანალიზი ზოგადი სახისაა და ბიზნესის გარემოსთვის დამახასიათებელ პრობლემებს უსვამს ხაზს, ზოგიერთი კი კონკრეტული ფირმის საქმიანობაზე დაფუძნებით სპეციფიკური გამოწვევების გამოვლენაზეა ორიენტირებული. მთლიანობაში ყველა სიტუაციური ანალიზი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მაგალითად, ონლაინ ბიზნესი, მეწარმეობა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, კონკურენცია და ზრდის სტრატეგია, შერწყმა და გაყოფა, 2000-იანი წლების საბანკო კრიზისი, გლობალური ვაჭრობა, ახლად ინდუსტრიალიზებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზრდა და ბრექსტის ეფექტი და სხვ.

სახელმძღვანელოში თემები წარმოდგენილია ძირითადი თავებისა და შემადგენელი ქვეთავების სახით, რომელიც დატვირთულია სიტუაციური ანალიზისა და სამსჯელო კითხვების ჩანართებით, რაც სტუდენტს დაეხმარება თეორიული საკითხების სიღრმისეულად და პრაქტიკულ ჭრილში გააანალიზებაში.

მოცემული წიგნის შესწავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ ეკონომიკის მეცნიერების გააზრებას მრავალმხრივ ჭრილში. სახელმძღვანელოში ასახულია რეალური გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, განხილულია სამყარო, სადაც ბიზნესი, როგორც მწარმოებელი, ცდილობს მომხმარებლების საჭიროებებს მაქსიმალურად ეფექტიანად და რაციონალურად უპასუხოს.

მოკლე შინაარსი

ნაწილი A. ბიზნესი და ეკონომიკა

1. ბიზნესის გარემო და ბიზნესის ეკონომიკა
2. ეკონომიკა და ბიზნეს სამყარო
3. ბიზნეს ორგანიზაციები

ნაწილი B. ბიზნესი და ბაზრები

4. კონკურენტული ბაზრების მუშაობა
5. ბიზნესი საბაზრო გარემოში

ნაწილი C. მოთხოვნა

6. მოთხოვნა და მომხმარებელი
7. მომხმარებლის ქცევა
8. ფირმები და მომხმარებელი

ნაწილი D. მიწოდება

9. წარმოების ღირებულება
10. შემოსავალი და მოგება

ნაწილი E. მიწოდება: მოგების მაქსიმიზაცია მოკლევადიან პერიოდში

11. მოგების მაქსიმიზაცია სრულყოფილი კონკურენციისა და მონოპოლის პირობებში
12. მოგების მაქსიმიზაცია არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში
13. ფირმის ალტერნატიული თეორიები

ნაწილი F. მიწოდება: ალტერნატიული სტრატეგიები

14. ბიზნეს სტრატეგიის შესავალი
15. ზრდის სტრატეგია
16. მცირე ფირმის სექტორი
17. ფასების სტრატეგია

ნაწილი G. ფირმა ფაქტორთა ბაზარზე

18. შრომის ბაზრები, ხელფასები და საწარმოო ურთიერთობები
19. ინვესტიცია და დასაქმება

ნაწილი H. ურთიერთობა მთავრობასა და ბიზნესს შორის

20. ბაზრის ფუნქციონირებაში მთავრობის ჩარევის მიზეზები

21. მთავრობა და ფირმა
22. მთავრობა და ბაზარი

ნაწილი I. ბიზნესი საერთაშორისო გარემოში

23. გლობალიზაცია და მრავალეროვნული ბიზნესი
24. საერთაშორისო ვაჭრობა
25. სავაჭრო ბლოკები

ნაწილი J. მაკროეკონომიკური გარემო

26. ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემო
27. საგადასახადო ბალანსი და გაცვლითი კურსი
28. ბანკი, ფული და პროცენტები
29. ბიზნეს საქმიანობა, დასაქმება და ინფლაცია

ნაწილი K. მაკროეკონომიკური პოლიტიკა

30. მოთხოვნის პოლიტიკა
31. მიწოდების პოლიტიკა
32. საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

5.2.1.

1) ავტორი/ავტორები: ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. **მიკროეკონომიკა (თეორიული კურსი),** მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, 2021, ნაწილი I.

ISBN : 978-9941-13-971-0

სახელმძღვანელოს ელექტრონული ბმული თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე:
https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1298

2. **მიკროეკონომიკა (თეორიული კურსი),** მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, 2021, ნაწილი II.

ISBN : 978-9941-13-972-7

სახელმძღვანელოს ელექტრონული ბმული თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე:
https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1299

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თსუ გამომცემლობა, თბილისი

4) გვერდების რაოდენობა

1. 628 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელო შედგენილია ცნობილი ავტორების (რ. პინდაიკი, დ. ბესანკო, ჰ. ვარიანი, უ. ნიკოლსონი, დ. სალვატორე, მ. პერლოფი) მიკროეკონომიკის სასწავლო კურსების საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში.

სასწავლო პროგრამა რეცენზირებულია აშშ-ის ნებრასკას უნივერსიტეტის მიერ (ქრეგ რ. მაკფი, დოქტორი, PH.D).

კურსი განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელო დაბეჭდილია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სპეციალისტების მომზადებისა და პროფესიული განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, აქცენტი წვრთნის ტიპის მეცადინეობებსა და უნარ-ჩვევების განვითარებაზეა გაკეთებული. ეკონომიკური უნარები ისევე, როგორც ეკონომიკური ცოდნა, საზოგადოებრივი აზროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ შედეგის მიიღებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ძირითად ცოდნაზე ორიენტირებული კურსების შესწავლა, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მიკროეკონომიკა.

მიკროეკონომიკის კურსის შესწავლით სტუდენტი დაეუფლება მიკროეკონომიკურ თეორიებსა და კონცეფციებს, ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტებს. კურსით მიღებულ ცოდნას იგი წარმატებით გამოიყენებს მაკროეკონომიკის, ეკონომეტრიკის, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, ფინანსური ბლოკისა და სხვა დისციპლინების შესასწავლად.

სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები და ფორმები: პირდაპირი გადაცემა, დებატები, სიტუაციების შეფასება, მოდელირება, სიმულაცია, სავარჯიშოები, ჯგუფური მუშაობა, კვლევა, ორმხრივი ჩანაწერების დღიურების წარმოება, მოზაიკა, აბლაბუდა, რადარი, ასევე ძირითადი, სწრაფი და გამოყენებითი კითხვის რეჟიმები. ტარდება ტესტ-კონკურსები და პროექტების პრეზენტაციები.

კურსი უზრუნველყოფილია პრაქტიკული სავარჯიშოებით, სხვადასხვა სირთულის ამოცანებით, ტესტებით, საქმიანი სიტუაციებით.

სწავლების დროს ყურადღება გამახვილებულია მიკროეკონომიკის გამოყენებით ხასიათზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა მენიჭება წინასწარ დაგეგმილ და ორგანიზებულ სალექციო, სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება ხორციელდება ქეისების, ჯგუფური მუშაობის, ონლაინკომუნიკაციებისა და სხვა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

მიკროეკონომიკის შესწავლისადმი ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნესის მიმართულების სტუდენტებისათვის. მათთვის შეთავაზებულია შეთანხმებული პროგრამა სალექციო მასალების, სემინარული მეცადინეობების, სტუდენტთა ცოდნის შემოწმების მეთოდებისა და დამხმარე ლიტერატურის ფართო არჩევანის სახით. ყურადღება გამახვილებულია რელევანტური სასწავლო მასალის სიღრმისეულ დამუშავებაზე.

ლექციების მოსმენისა და მასალების უკეთ ათვისებისათვის სტუდენტებისათვის შეთავაზებულია სალექციო და სასემინარო პრეზენტაციები Microsoft Power Point-ის ფორმატში. ლექციებზე წარმოდგენილია ტექსტში მოცემული ყველა ძირითადი კონცეფცია, გრაფიკი, დიაგრამა, სქემა. მათემატიკური მომზადების დონისა და მათი შემდგომი სპეციალიზაციიდან გამომდინარე, სტუდენტებისთვის შეთავაზებულია დიფერენცირებული მიდგომები. თუ მიკროეკონომიკის კურსი წაეკითხებათ იმ სტუდენტებს, რომელნიც მათემატიკურად მომზადების საუკეთესო ხარისხს ვერ ავლენენ, შესაძლებელია, სემინარულ მეცადინეობებზე მასალები განნიხილება გრაფიკულ ანალიზზე აქცენტირებით; თუ ლექტორსა და სემინარის მასწავლებელს ექნებათ საკმარისი დრო და სტუდენტის მათემატიკური მომზადება მასალების უფრო ღრმა ანალიტიკური შესწავლის შესაძლებლობას იძლევა, მაშინ უპირატესობა დიფერენცირებულ მიდგომებს ენიჭება.

5.2.2.

1) ავტორი/ავტორები: ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. **მიკროეკონომიკა (ტესტები, სავარჯიშოები, ამოცანები),** მეშვიდე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, 2021.

ISBN : 978-9941-13-973-4
სახელმძღვანელოს ელექტრონული ბმული თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე:
https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1300
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თსუ გამომცემლობა, თბილისი
4) გვერდების რაოდენობა
1. 285 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ტესტების, სავარჯიშოებისა და ამოცანების კრებული აგებულია ცნობილი ავტორების (რ. პინდაიკი, დ. ბესანკო, ჰ. ვარიანი, უ. ნიკოლსონი, დ. სალვატორე, მ. პერლოფი) მიკროეკონომიკის სასწავლო კურსების საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში.

კურსი განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელო დაბეჭდილია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს, განიმტკიცონ თეორიულ კურსში მიღებული ფუნდამენტური ცოდნა. ამოცანების, ტესტებისა და სავარჯიშოების ამოხსნის, სალექციო მასალების სიტუაციური ანალიზის, ჯგუფური მუშაობისა და ონლაინდისკუსიების, ყოველკვირეული საშინაო დავალებების შესრულების გზით სტუდენტები შეძლებენ გამოიმუშავონ მიკროეკონომიკური კონცეფციების ანალიზის უნარ-ჩვევები მათემატიკური აპარატის გამოყენებით.

პრაქტიკულ მეცადინეობებზე განიხილება თეორიული კურსის მნიშვნელოვანი დებულებები, გრაფიკები, ცხრილები, ცნებები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში - გასამეორებელი მასალა.

სწავლების პროცესის გააქტიურების მიზნით გამოიყენება დისტანციური კონსულტაციებით. ამავე მეთოდით განხორციელდება ზოგიერთი საშინაო დავალების, ამოცანისა და პროექტის მონიტორინგი.

ტესტების, სავარჯიშოებისა და ამოცანების კურსი მომზადებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრაზე ავტორთა ჯგუფის მიერ.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. *ეთერ ხარაიშვილი*
2. გულნაზ ერქომაიშვილი
3. **ია ნაცვლიშვილი**
4. *მანანა ლობჟანიძე*

2) სტატიის სათაური, ISSN

1. სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვების გამოწვევები და პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოში ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ბიზნესი და ეკონომიკა“ ტ.13, #3. 2021; 18 გვერდი

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

5) გვერდების რაოდენობა

1. 18

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვების გამოწვევები და პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოში

(ანოტაცია)

სტატიაში შეფასებულია სატრანსპორტო გადაზიდვების მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდასა და სასურსათო ბაზრების განვითარებაში. გაანალიზებულია COVID პანდემიით გამოწვეული შეფერხებები სურსათის სატრანპორტო გადაზიდვებში. შეფასებულია სატრანსპორტო გადაზიდვების შესახებ თეორიული მიდგომები და კონცეფციები. დასაბუთებულია, რომ სატრანსპორტო გადაზიდვების სისტემაში არსებული გამოწვევების გამოვლენითა და პოლიტიკის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებით შესაძლებელია შეცვლილი მოთხოვნების შესაბამისი სასურსათო ბაზრების ფორმირება.

„გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის“ მატრიცით გამოვლენილია სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვების სფეროში არსებული გამოწვევები: სუსტი პოლიტიკური მხარდაჭერა, გადაზიდვებისა და სასურსათო ბაზრების სტანდარტების შესახებ საკანონმდებლო ვაკუუმი, მარეგულირებელი წესების შეუსაბამობა სხვა ქვეყნების რეგულაციებთან, გადაზიდვების ციფრიზაციის დაბალი დონე, სატრანსპორტო გადაზიდვების გაძვირების შემთხვევაში სურსათზე ფასების შენარჩუნების პოლიტიკა და სხვ. ,,პრიორიტეტების სქემით“ დადგენილია სატრანსპორტო გადაზიდვების მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები.

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ სურსათის წარმოებისა და მისი სატრანსპორტო გადაზიდვების მაჩვენებლებს შორის კორელაცია დადებითია, თუმცა, არასაკმარისი ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებისათვის. სატრანსპორტო გადაზიდვების მასტიმულირებელი პოლიტიკის გატარება გამოიწვევს სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით ევროპის ბაზრებზე. გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები პოლიტიკის პრიორიტეტებისა და სასურსათო ბაზრების განვითარების მიმართულებებზე.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. *Eteri Kharaishvili*
2. Badri Gechbaia
3.Gulnaz Erkomaishvili
4. Manana Lobzhanidze
5. Ia Natsvlishvili

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Shipping policy of agri-food products and the formation of food markets in Georgia

DOI https://doi.org/10.1051/matecconf/202133901001
Article Number 01001
Number of page(s) 14

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Issue MATEC Web Conf. Volume 339, 2021
International Conference on Sustainable Transport System and Maritime Logistics (ISTSML 2021)
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. International Conference on Sustainable Transport System and Maritime Logistics (ISTSML 2021). Open Accesses.
Published online 02 July 2021
MATEC Web of Conferences eISSN: 2261-236X
5) გვერდების რაოდენობა
1. 14 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აგროპროდუქტების სატრანსპორტო პოლიტიკა და სასურსათო ბაზრების ფორმირება საქართველოში

ანოტაცია

სტატიაში შეფასებულია სატრანსპორტო გადაზიდვების მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდასა და სასურსათო ბაზრების განვითარებაში. გაანალიზებულია COVID პანდემიით გამოწვეული შეფერხებები აგროსასურსათო პროდუქტების სატრანპორტო გადაზიდვებში, იდენთიფიცირებულია ლოჯისტიკური პრობლემები.

ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით შეფასებულია სატრანსპორტო გადაზიდვების პოლიტიკის თეორიული მიდგომები და კონცეფციები. დასაბუთებულია, რომ სატრანსპორტო გადაზიდვების სისტემაში არსებული გამოწვევების გამოვლენითა და პოლიტიკის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებით შესაძლებელია შეცვლილი მოთხოვნების შესაბამისი სასურსათო ბაზრების ფორმირება.

„გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის“ მატრიცით გამოვლენილია სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვების პოლიტიკის სფეროში არსებული გამოწვევები: სუსტი პოლიტიკური მხარდაჭერა, გადაზიდვებისა და სასურსათო ბაზრების სტანდარტების შესახებ საკანონმდებლო ვაკუუმი, მარეგულირებელი წესების შეუსაბამობა სხვა ქვეყნების რეგულაციებთან, გადაზიდვების ციფრიზაციის დაბალი დონე, სატრანსპორტო გადაზიდვების გაძვირების შემთხვევაში სურსათზე ფასების შენარჩუნების პოლიტიკა და სხვ.

,,პრიორიტეტების სქემით“ დადგენილია სატრანსპორტო გადაზიდვების მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები: სურსათის გადაზიდვებზე პოლიტიკური მხარდაჭერის საჭიროება, ინვესტიციების სტიმულირება გადაზიდვების ინფრასტრუქტურაში, მარეგულირებელი ბაზის სრულყოფა და ჰარმონიზაცია სხვა ქვეყნების რეგულაციებთან, საფასო ინსტრუმენტების გამოყენება სასურსათო პროდუქტების გადაზიდვებში,

სატრანსპორტო სისტემისა და სატრანსპორტო დერეფნის გაციფროვნება, გადაზიდვებისა და სასურსათო ბაზრების ერთიანი ჯაჭვის შესანარჩუნებლად დაფინანსების პოლიტიკის უზრუნველყოფა.

სტატიაში **გაკეთებულია დასკვნა, რომ სურსათის წარმოებისა და მისი სატრანსპორტო გადაზიდვების მაჩვენებლებს შორის კორელაცია დადებითია, თუმცა, არასაკმარისი ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებისათვის. სატრანსპორტო გადაზიდვების მასტიმულირებელი პოლიტიკის გატარება გამოიწვევს სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით ევროპის ბაზრებზე.** სასურსათო ბაზრის განვითარების გათვალისწინებითა და სატრანსპორტო გადაზიდვების პოლიტიკის სფეროში გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები პოლიტიკის პრიორიტეტებისა და სასურსათო ბაზრების განვითარების მიმართულებებზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. *ეთერ ხარაიშვილი*

2. ბადრი გეჩბაია

3.გულნაზ ერქომაიშვილი

4. მანანა ლობჟანიძე

5. . ია ნაცვლიშვილი

2) მოხსენების სათაური

1. **Shipping policy of agri-food products and the formation of food markets in Georgia**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი. 24 ივნისი, 2021 წ. ბათუმი, საქართველო

აგროპროდუქტების სატრანსპორტო პოლიტიკა და სასურსათო ბაზრების ფორმირება საქართველოში

ანოტაცია

(მოხსენება დაიბეჭდა კონფერენიის მასალათა კრებულში)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ია ნაცვლიშვილი

2) მოხსენების სათაური

1. **Innovations beat Educational Crisis**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. Managing Cultural Diversity, Seminar Managing Cultural Diversity, “Sustainable Innovation” , 03 - 05 December 2021, Koblenz University of Applied Sciences, Remagen ReinAhr Campus, Germany. https://www.hs-koblenz.de/rac/international-programs/international-projects-and-events/international-events/managing-cultural-diversity/managing-cultural-diversity-2020-3?no_cache=1#c105769

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ინოვაციები ამარცხებს საგანმანათლებლო კრიზისს

(ანოტაცია)

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ხარისხიან განათლებაზე წვდომა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა არამხოლოოდ ბავშვების პირადი მომავლისთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებრივი სისტემის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დასახული მდგრადი განვითარების მიზნები ითვალისწინებს, რომ თითოეულ ბავშვს უნდა ჰქონდეს თავისუფალი, ხარისხიანი დაწყებითი და საშუალო განათლება. მკვლევარების მიერ გაანგარიშებულია, რომ კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეულმა შეფერხებამ განათლებაში გლობალური მასშტაბით განათლების სისტემაში უკანასკნელი პერიოდში მიღწეული წარმატებები 20 წლით უკან დახია. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ გავლენა იქონია ყველას სტუდენტის განათლების მიღებაზე, განსხვავება პრივილეგირებულ და სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, მაგალითად, ინდოეთში სტუდენტთა 40%-ს ნაკლებად პრივილეგირებულ საოჯახო მეურნეობებიდან საერთოდ არ ჰქონდათ სწავლის შესაძლებლობა. ინდოეთის მთავრობის შეფასებით 30 მილიონ სკოლის მოსწავლეს არ ჰქონდა წვდომა სმარტფონებთან და სხვა მსგავს მოწყობილობებთან, ასევე, მათ არ ჰქონდათ წვდომა ინტერნეტთან, რათა ჩართულიყვნენ სასკოლო პროცესში დისტანციურად.
მსოფლიოში კერძო ინიციატივებით და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ორგანიზებით გლობალური კომპანიები ცდილობენ განათლების გლობალურ სისტემაში პამდემიით შექმნილი ვითარებიდან გამოსავალის პოვნას და სასიკეთო ცვლილებების ხელშეწყობას, ისეთი ახალი და ინოვაციური იდეების მხარდაჭერას, რომელსაც მოაქვს კონკრეტული და მასშტაბური შედეგები მოსწავლეებისთვის. მაგალითად, „დელოიმ“ (Deloitte) გამოიყენა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის პლატფორმა „აფლინკი” (UpLink) კონკურსის “მსოფლიო მასშტაბის საგანმანათლებლო გამოწვევა“ (WorldClass Education Challenge) ორგანიზებისთვის. კონკურსი ფოკუსირებას ახდენდა სამ მიმართულებაზე: არაპრივილეგირებული სტუდენტებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნაზე, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში ინვესტირებაზე, სტუდენტებისთვის ისეთი უნარების გამომუშავებაზე, რომელიც მათ დასწირდებათ 2030 წლისთვის. კონკურსი ფოკუსირებული იყო აფრიკაში, ინდოეთსა და აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში პრობლემის გადაწყვეტის გზებზე. კონკურსზე წარდგენილი იყო 400 პროექტი, საიდანაც შეირცა 12 ინოვაციური პროექტი. შერჩეული ინდივიდები და ორგანიზაციები კომპანია „დელოის“ პროფესიონალებთან ერთად იმუშავებენ გლობალური საგანმანათლებლო გამოწვევების დაძლევის ხელშესაწყობად. ამასთან, ისინი მიიღებენ 1 მილიონ დოლარამდე ღირებულების პროფესიულ მომსახურებას და ფინანსურ გრანტებს.

ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს ,,Economics for Business” John Sloman, Dean Garratt, Jon Guest, Elizabeth Jones, 8th edition, 2019, 765 pp. ქართულ ენაზე თარგმნა და სამეცნიერო რედაქტირება

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **თარგმნის პერიოდი: 2021 წლის 01 იანვარი - 2021 წლის 01 ივნისი;**
რედაქტირების პერიოდი: 2021 წლის 01 მაისი - 2021 წლის 01 აგვისტო.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - სამეცნიერო რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია: ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე, ასოცირებული **პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი,** ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი.

2. **მთარგმნელები:**

10. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
11. ეკონომიკის დოქტორი ქუჯი ბიჭია
12. დოქტორანტი ნინო ლობჟანიძეზ
13. დოქტორანტი ნინო ტალიკაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ.

2. ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ.

3. ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. მ**იკროეკონომიკა (თეორიული კურსი),** მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, 2021, ნაწილი I. **ISBN : 978-9941-13-971-0**

სახელმძღვანელოს ელექტრონული ბმული თსუ გამომცემლობის ვებ-გვერდზე:
https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1298

2. მ**იკროეკონომიკა (თეორიული კურსი),** მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, 2021, ნაწილი II **ISBN : 978-9941-13-972-7**

სახელმძღვანელოს ელექტრონული ბმული თსუ გამომცემლობის ვებ-გვერდზე:
https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1299

3. მიკროეკონომიკა (ტესტები, სავარჯიშოები, ამოცანები), მეშვიდე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, 2021. **ISBN : 978-9941-13-973-4**

სახელმძღვანელოს ელექტრონული ბმული თსუ გამომცემლობის ვებგვერდზე:
https://www.tsu.ge/ka/publishing-house/single/1300

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თსუ გამომცემლობა, თბილისი

2. თსუ გამომცემლობა, თბილისი

3. თსუ გამომცემლობა, თბილისი

4) გვერდების რაოდენობა

1. და 2. სულ 628 გვერდი

3. 285 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მ**იკროეკონომიკა (თეორიული კურსი), ნაწილი 1 და ნაწილი 2**

სახელმძღვანელო შედგენილია ცნობილი ავტორების (რ. პინდაიკი, დ. გესანკო, ჰ. ვარიანი, უ. ნიკოლსონი, დ. სალვატორე, მ. პერლოფი) მიკროეკონომიკის სასწავლო კურსების საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში.

სასწავლო პროგრამა რეცენზირებულია აშშ-ის ნებრასკას უნივერსიტეტის მიერ (ქრეგ რ. მაკფი, დოქტორი, PH.D).

კურსი განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელო დაბეჭდილია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით სპეციალისტების მომზადებისა და პროფესიული განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, აქცენტი წვრთნის ტიპის მეცადინეობებსა და უნარ-ჩვევების განვითარებაზეა გაკეთებული. ეკონომიკური უნარები ისევე, როგორც ეკონომიკური ცოდნა, საზოგადოებრივი აზროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ შედეგის მიიღებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ძირითად ცოდნაზე ორიენტირებული კურსების შესწავლა, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მიკროეკონომიკა.

მიკროეკონომიკის კურსის შესწავლით სტუდენტი დაეუფლება მიკროეკონომიკურ თეორიებსა და კონცეფციებს, ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტებს. კურსით მიღებულ ცოდნას იგი წარმატებით გამოიყენებს მაკროეკონომიკის, ეკონომეტრიკის, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, ფინანსური ბლოკისა და სხვა დისციპლინების შესასწავლად.

სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები და ფორმები: პირდაპირი გადაცემა, დებატები, სიტუაციების შეფასება, მოდელირება, სიმულაცია, სავარჯიშოები, ჯგუფური მუშაობა, კვლევა, ორმხრივი ჩანაწერების დღიურების წარმოება, მოზაიკა, აბლაბუდა, რადარი, ასევე ძირითადი, სწრაფი და გამოყენებითი კითხვის რეჟიმები. ტარდება ტესტ-კონკურსები და პროექტების პრეზენტაციები.

კურსი უზრუნველყოფილია პრაქტიკული სავარჯიშოებით, სხვადასხვა სირთულის ამოცანებით, ტესტებით, საქმიანი სიტუაციებით.

სწავლების დროს ყურადღება გამახვილებულია მიკროეკონომიკის გამოყენებით ხასიათზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა მენიჭება წინასწარ დაგეგმილ და ორგანიზებულ სალექციო, სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. პრობლემებზე დაფუძნებული სწავლება ხორციელდება ქეისების, ჯგუფური მუშაობის, ონლაინკომუნიკაციებისა და სხვა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

მიკროეკონომიკის შესწავლისადმი ამგვარი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზნესის მიმართულების სტუდენტებისათვის. მათთვის შეთავაზებულია შეთანხმებული პროგრამა სალექციო მასალების, სემინარული მეცადინეობების, სტუდენტთა ცოდნის შემოწმების მეთოდებისა და დამხმარე ლიტერატურის ფართო არჩევანის სახით. ყურადღება გამახვილებულია რელევანტური სასწავლო მასალის სიღრმისეულ დამუშავებაზე.

ლექციების მოსმენისა და მასალების უკეთ ათვისებისათვის სტუდენტებისათვის შეთავაზებულია სალექციო და სასემინარო პრეზენტაციები Microsoft Power Point-ის ფორმატში. ლექციებზე წარმოდგენილია ტექსტში მოცემული ყველა ძირითადი კონცეფცია, გრაფიკი, დიაგრამა, სქემა. მათემატიკური მომზადების დონისა და მათი შემდგომი სპეციალიზაციიდან გამომდინარე, სტუდენტებისთვის შეთავაზებულია დიფერენცირებული მიდგომები. თუ მიკრო-

ეკონომიკის კურსი წაეკითხებათ იმ სტუდენტებს, რომელნიც მათემატიკურად მომზადების საუკეთესო ხარისხს ვერ ავლენენ, შესაძლებელია, სემინარულ მეცადინეობებზე მასალები განიხილება გრაფიკულ ანალიზზე აქცენტირებით; თუ ლექტორსა და სემინარის მასწავლებელს ექნებათ საკმარისი დრო და სტუდენტის მათემატიკური მომზადება მასალების უფრო ღრმა ანალიტიკური შესწავლის შესაძლებლობას იძლევა, მაშინ უპირატესობა დიფერენცირებულ მიდგომებს ენიჭება.

ანოტაცია *(ქართულ ენაზე)*

მიკროეკონომიკა (ტესტები, სავარჯიშოები, ამოცანები)

ტესტების, სავარჯიშოებისა და ამოცანების კრებული აგებულია ცნობილი ავტორების (რ. პინდაიკი, დ. გესანკო, ჰ. ვარიანი, უ. ნიკოლსონი, დ. სალვატორე, მ. პერლოფი) მიკროეკონომიკის სასწავლო კურსების საფუძველზე, რომლებიც გამოიყენება ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში.

კურსი განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელო დაბეჭდილია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს, განიმტკიცონ თეორიულ კურსში მიღებული ფუნდამენტური ცოდნა. ამოცანების, ტესტებისა და სავარჯიშოების ამოხსნის, სალექციო მასალების სიტუაციური ანალიზის, ჯგუფური მუშაობისა და ონლაინდისკუსიების, ყოველკვირეული საშინაო დავალებების შესრულების გზით სტუდენტები შეძლებენ გამოიმუშავონ მიკროეკონომიკური კონცეფციების ანალიზის უნარ-ჩვევები მათემატიკური აპარატის გამოყენებით.

პრაქტიკულ მეცადინეობებზე განიხილება თეორიული კურსის მნიშვნელოვანი დებულებები, გრაფიკები, ცხრილები, ცნებები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში - გასამეორებელი მასალა.

სწავლების პროცესის გააქტიურების მიზნით გამოიყენება დისტანციური კონსულტაციებით. ამავე მეთოდით განხორციელდება ზოგიერთი საშინაო დავალების, ამოცანისა და პროექტის მონიტორინგი.

ტესტების, სავარჯიშოებისა და ამოცანების კურსი მომზადებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიკროეკონომიკის კათედრაზე ავტორთა ჯგუფის მიერ.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მ. ჩავლეიშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ლურჯი მოცვის წარმოების შესაძლებლობები საქართველოში

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნალი „ბიზნესი და ეკონომიკა“, 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თსუ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

5) გვერდების რაოდენობა

1. 7

2. *ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)*

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მსოფლიოში კენკროვან კულტურებზე და მათ შორის, ლურჯ მოცვზე მოთხოვნის ზრდადი ტენტენცია შეინიშნება. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი, არაბეთის გაერთიანებულ ემირატები და სხვა ქვეყნები. დღეისთვის, მსოფლიოში წარმოებული ლურჯი მოცვი ვერ აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნას. ბოლო ათი წლის განმავლობაში ევროკავშირში ნედლი ლურჯი მოცვის ექსპორტტი გაორმაგდა. თუმცა, მზარდი ბაზრის კვალდაკვალ, ბევრ რეგიონში არსებული რესურსები ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოყენებული.

საქართველოს აღმოაჩნდა ლურჯი მოცვის წარმოების საუკეთესო ნიადაგურ-კლიმატური პირობები, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი ნედლეულის მიღების შესაძლებლობას იძლევა. ამდენად, არსებული ვითარება კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ლურჯი მოცვის წარმოებისა და მისი სამომავლო განვითარების ანალიზს. მნიშნელოვანია შეფასდეს ქვეყნის პოტენციალი ამ მიმართულებით, დადგინდეს წარმოების ეფექტიანობის პარამეტრები, მოხდეს საექსპორტო პოტენციალი გაზდრა და ცნობადობის ამაღლება.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში ლურჯი მოცვის წარმოების შესაძლებლობები, ბაზრის ანალიზი და მისი განვითარების ტენდენციები. შეფასებულია ლურჯი მოცვის მსოფლიო ბაზარი, არსებული მდგომარეობა. გაანალიზებულია ლურჯი მოცვის საექსპორტო პოტენციალი, საერთაშორისო ბაზარზე სამომავლო პერსპექტივები, წარმოდგენილია SWOT შეფასება. საქართველოში წარმოებული ლურჯი მოცვის საერთაშორისო ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად გამოვლენილია მისი პოტენციური უპირატესობები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ჩატარებული კვლევა დაეხმარება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირებს, რათა სრულყოფილად გაანალიზონ სამომავლოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი პერსპექტიული კულტურის ლურჯი მოცვის წარმოებისა და განვითარების შესაძლებლობები. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მ. ჩავლეიშვილი

2) მოხსენების სათაური

1. **Natural Monopolies and Their Regulation in Georgia**

Paper Code 21GR100067

https://waset.org/doc/paper-acceptance-letter/137240

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ICEBI 2021 : 23rd International Conference on Economics and Business Innovation on October, 21-22, 2021 at Athens, Greece**

დღეისათვის აქტუალურია მონოპოლიური ბაზრების, მათ შორის, ბუნებრივი მონოპოლიების კვლევა. რეალობაში წმინდა მონოპოლიები ბუნებრივ მონოპოლიების სახით არის წარმოადგენილი. ბუნებრივ მონოპოლიებს გამოყენების ფართო არეალი გააჩნიათ და მას სახელმწიფო არეგულირებს, კერძოდ, რეგულირდება ფასები და ტარიფები. ნაშრომში განხილულია საქართველოში ბუნებრივი მონოპოლიების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები, კერძოდ, მიკროეკონომიკური ანალიზი, ფასწარმოქმნის მექანიზმები, მათი ფუნქციონირების სამართლებრივი მექანიზმები. კერძოდ, ანალიზი ჩატარებულია ელექტროენორგეტიკის სფეროს მაგალითზე.

საქართველოში ბუნებრივ მონოპოლიებზე ტარიფებს აკონტროლებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სეწმეკი). ნაშრომში გაანალიზებულია მარეგულირებელი ორგანოს დადებითი როლი და მნიშვნელობა, საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს დარგის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ჩატარებულმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა გაგვეკეთებინა გარკვეული შეფასებები და დასკვნები:

- *ბუნებრივი მონოპოლიები საკმაოდ რთულ და მრავალწახნაგოვან ეკონომიკურ ელემენტს წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია მათთვის ჩარჩო-პირობების განსაზღვრა და შესაბამისი კონტროლი;*
- *მნიშვნელოვანია ბუნებრივი მონოპოლიების ფასწარმოქმნის პოლიტიკის სწორად განსაზღვრა, მართვა და კონტროლი. ტარიფები უნდა იყოს გამჭირვალე და ასახავდეს ქვეყანაში არსებულ ცხოვრების დონეს, ამასთან, შესაბამისობაში უნდა იყოს შემოსავლებთან;*
- *ანალიზმა დაადასტურა, რომ ბუნებრივი მონოპოლიების ეფექტიან მართვაში მნიშვნელოვანია ანტიმონოპოლიური სამსახურის ფუნქციები. კანონმდებლობა უნდა მოერგოს რეალობას და მისი გამოყენება მხოლოდ ბაზრის რეგულირებას უნდა ემსახურებოდეს;*
- *გადახედვას საჭიროებს ელექტროენერგიაზე ამჟამად არსებული დიფერენცირებული ტარიფი, რომელიც განსხვავებულია დახარჯული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით;*
- *მნიშვნელოვანია ელექტოენერგიაზე საფასო დისკრიმინაციის ეფექტები, კერძოდ, სეგმენტაცია სეზონურობის მიხედვით. მომხმარებელი ზამთარში უფრო მეტ ელექტროენერგიას მოიხმარს, ვიდრე ზაფხულში. ეს კი დამატებით სიმძლავრეებთან და მათი შენახვის დანახარჯებთან არის დაკავშირებული. თუ ზამთარში ელექტროენერგიაზე გადასახადი უფრო დიდი იქნება, ვიდრე ზაფხულში, ზამთრის პერიოდში ელეტროენერგიის მოხმარება შემცირდება, მომხმარებლები უფრო ეკონომიურად დაიწყებენ მის გახარჯვას, რაც დამატებითი სიმძლავრეების შემცირების საშუალებას გააჩენს;*

ამდენად, ჩამოყალიბებული მოსაზრებების პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბუნებრივი მონოპოლიების ეფექტიან ფუნქციონირებას. შედეგად, მათი საქმიანობა ორიენტირებული იქნება არა მომხმარებლის ან მწარმოებლის ნამეტების შემცირების, არამედ მათ გაზრდაზე. აღნიშნული სფეროების ოპტიმალური მენეჯმენტი შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანობაში, ქვეყნის მასშტაბით ამაღლდეს საერთო კეთილდღეობის დონე.

ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს ,,Economics for Business" John Sloman, Dean Garratt, Jon Guest, Elizabeth Jones, 7th edition, 2019, 765 pp. ქართულ ენაზე თარგმნა და სამეცნიერო რედაქტირება

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. ეკონომიკა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. თარგმნის პერიოდი: 2021 წლის 01 იანვარი - 2021 წლის 01 ივნისი;
2. რედაქტირების პერიოდი: 2021 წლის 01 მაისი - 2021 წლის 01 აგვისტო.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფესორი ეთერ ხარაიშვილი - სამეცნიერო რედაქტორი

სარედაქციო კოლეგია: ასოცირებული პროფესორი ინეზა გაგნიძე, ასოცირებული პროფესორი მარინა ჩავლეიშვილი, **ასისტენტ პროფესორი თამარ ლაზარიაშვილი.**

2. მთარგმნელები:

1. ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი
2. ეკონომიკის დოქტორი ქუჯი ბიჭია
3. დოქტორანტი ნინო ლობჟანიძე
4. დოქტორანტი ნინო ტალიკაძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სახელმძღვანელოს ავტორებია:

ჯონ სლოუმენი

ეკონომიკური ქსელის დირექტორი (1999-2012), ბრისტოლის უნივერსიტეტი

მოწვეული პროფესორი, დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი

დინ გარეტი

მოწვეული პროფესორი, ეშტონის ბიზნესის სკოლა

მოწვეული პროფესორი, ნოტინგემის ბიზნესის სკოლა

ჯონ გესტი

ეშტონის ბიზნესის სკოლა

მოწვეული პროფესორი, ნოტინგემის ბიზნესის სკოლა

ელიზაბეტ ჯონსი

პროფესორი, ვარვიკის უნივერსიტეტი

სახელმძღვანელო განკუთვნილია ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების სტუდენტებისათვის. წიგნი ფოკუსირებულია ბიზნეს სამყაროზე და ამ სფეროში ეკონომიკის ყველა ძირითად საკითხს განიხილავს. ამასთან, სახელმძღვანელოში მოცემულია ბევრი ისეთი თემა, რომელიც ტრადიციული ეკონომიქსის შესწავლისას არ განიხილება.

წიგნში ჩართულია მრავალი სიტუაციური ანალიზი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ბიზნესის სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს, ასევე, გამოვლენილია მათი გადაჭრის ეკონომიკური გზები. ზოგიერთი სიტუაციური ანალიზი ზოგადი სახისაა და ბიზნესის გარემოსთვის დამახასიათებელ პრობლემებს უსვამს ხაზს, ზოგიერთი კი კონკრეტული ფირმის საქმიანობაზე დაფუძნებით სპეციფიკური გამოწვევების გამოვლენაზეა ორიენტირებული. მთლიანობაში ყველა სიტუაციური ანალიზი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მაგალითად, ონლაინ ბიზნესი, მეწარმეობა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, კონკურენცია და ზრდის სტრატეგია, შერწყმა და გაყოფა, 2000-იანი წლების საბანკო კრიზისი, გლობალური ვაჭრობა, ახლად ინდუსტრიალიზებული ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ზრდა და ბრექსტის ეფექტი და სხვ.

სახელმძღვანელოში თემები წარმოდგენილია ძირითადი თავებისა და შემადგენელი ქვეთავების სახით, რომელიც დატვირთულია სიტუაციური ანალიზისა და სამსჯელო კითხვების ჩანართებით, რაც სტუდენტს დაეხმარება თეორიული საკითხების სიღრმისეულად და პრაქტიკულ ჭრილში გააანალიზებაში.

მოცემული წიგნის შესწავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ ეკონომიკის მეცნიერების გააზრებას მრავალმხრივ ჭრილში. სახელმძღვანელოში ასახულია რეალური გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, განხილულია სამყარო, სადაც ბიზნესი, როგორც მწარმოებელი, ცდილობს მომხმარებლების საჭიროებებს მაქსიმალურად ეფექტიანად და რაციონალურად უპასუხოს.

მოკლე შინაარსი

ნაწილი A. ბიზნესი და ეკონომიკა

6. ბიზნესის გარემო და ბიზნესის ეკონომიკა
7. ეკონომიკა და ბიზნეს სამყარო
8. ბიზნეს ორგანიზაციები

ნაწილი B. ბიზნესი და ბაზრები

9. კონკურენტული ბაზრების მუშაობა
10. ბიზნესი საბაზრო გარემოში

ნაწილი C. მოთხოვნა

6. მოთხოვნა და მომხმარებელი
7. მომხმარებლის ქცევა
8. ფირმები და მომხმარებელი

ნაწილი D. მიწოდება

9. წარმოების ღირებულება
10. შემოსავალი და მოგება

ნაწილი E. მიწოდება: მოგების მაქსიმიზაცია მოკლევადიან პერიოდში

11. მოგების მაქსიმიზაცია სრულყოფილი კონკურენციისა და მონოპოლის პირობებში
12. მოგების მაქსიმიზაცია არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში
13. ფირმის ალტერნატიული თეორიები

ნაწილი F. მიწოდება: ალტერნატიული სტრატეგიები

14. ბიზნეს სტრატეგიის შესავალი

15. ზრდის სტრატეგია

16. მცირე ფირმის სექტორი

17. ფასების სტრატეგია

ნაწილი G. ფირმა ფაქტორთა ბაზარზე

18. შრომის ბაზრები, ხელფასები და საწარმოო ურთიერთობები

19. ინვესტიცია და დასაქმება

ნაწილი H. ურთიერთობა მთავრობასა და ბიზნესს შორის

20. ბაზრის ფუნქციონირებაში მთავრობის ჩარევის მიზეზები

21. მთავრობა და ფირმა

22. მთავრობა და ბაზარი

ნაწილი I. ბიზნესი საერთაშორისო გარემოში

23. გლობალიზაცია და მრავალეროვნული ბიზნესი

24. საერთაშორისო ვაჭრობა

25. სავაჭრო ბლოკები

ნაწილი J. მაკროეკონომიკური გარემო

26. ბიზნესის მაკროეკონომიკური გარემო

27. საგადასახადო ბალანსი და გაცვლითი კურსი

28. ბანკი, ფული და პროცენტები

29. ბიზნეს საქმიანობა, დასაქმება და ინფლაცია

ნაწილი K. მაკროეკონომიკური პოლიტიკა

30. მოთხოვნის პოლიტიკა

31. მიწოდების პოლიტიკა

32. საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკა

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. **საქართველოში**

1) მომხსენებელი

თამარ ლაზარიაშვილი

2) მოხსენების სათაური

დაკრედიტების სისტემის როლი აგრარული პრობლემების გადაჭრაში (საქართველოს მაგალითზე)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 5 ნოემბერი, 2021, თბილისი, საქართველო**

მოხსენება დაიბეჭდა კონფერენიის მასალათა კრებულში

7.2. **უცხოეთში**

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **Tamar Lazariashvili**

2. **Tamar Lazariashvili**

2) მოხსენების სათაური

1. **Innovations and Agricultural Development Potential in Georgia**

2. DIRECTIONS FOR DEVELOPING THE PRODUCTION OF LOCAL AGRO-FOOD PRODUCTS IN GEORGIA

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ICEBI 2021 : 23rd International Conference on Economics and Business Innovation on October, 21-22, 2021 at Athens, Greece

2. International Scientific and Practical Internet Conference ,,ORGANIZATION' S STRATEGY VS REALITIES OF THE VUCA-WORLD", Kyiv, SHEI KNEU named after V. Hetman. November 10, 2021.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ანოტაცია ქვეყნის ეკონომიკის ზრდა და განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი ინოვაციების გამოყენებას უკავია. სტატიაში გაანალიზებულია ინოვაციები და სოფლის მეურნეობის განვითარების პოტენციალი საქართველოში, წარმოჩენილია დარგში არსებული პრობლემები, დასაბუთებულია ინოვაციების დანერგვის აუცილებლობა, ნაჩვენებია ინოვაციების განვითარების პოლიტიკა, გაანალიზებულია სოფლის მეურნეობაში ინოვაციების გამოყენების დადებითი და უარყოფითი ფაქტორები.

სტატიაში გამოყენებულია კვლევის ზოგადი და კონკრეტული მეთოდები, კერძოდ, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, შედარების, სტატისტიკური (შერჩევა, დაჯგუფება, დაკვირვება, ტენდენცია და სხვა) მეთოდები,

სახელმწიფოსათვის ინოვაციების დანერგვას მაშინ აქვს ეფექტი, თუ ქვეყანაში შექმნილია ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა და სადაც სახელმწიფო ქმნის ინოვაციების განვითარების ოპტიმალურ გარემოს, შედეგად კი, ზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, საექსპორტო ტვირთბრუნვას და სხვ. საქართველოს გააჩნია საკმარისი რესურსული პოტენციალი იმისათვის, რომ ინოვაციების დანერგვით, რეალურად წარმოიქმნას სოფლის მეურნეობაში ახალი ბიზნესები და ეს პროცესები კიდევ უფრო გაღრმავდეს, შედეგად კი, ხელი შეუწყოს ქვეყნის შემდგომ სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებას.

ინოვაციების განვითარებისათვის გადამწყვეტია პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა, ინფრასტრუქტურა, საფინანსო ინსტიტუტების გამართულ მუშაობა, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია და სხვ. ამ კრიტერიუმების მიხედვით დგინდება მსოფლიოს ყველა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური რეიტინგები, რომელსაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ უცხოელი ინვესტორები ინოვაციების მიმართ განხორციელების დროს.

ინოვაციების დანერგვა სოფლის მეურნეობაში უდიდეს გავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკაზე: გააუმჯობესებს ტექნოლოგიურ ბაზას, შეიქმნება თანამედროვე ტექნიკითა და მეთოდოლოგიებით აღჭურვილი საწარმოები, მოხდება არსებულთა გადამზადება, კვალიფიციური ამაღლება, გაუმჯობესდება მართვის სისტემები და სხვა. ანალიზის

საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები სოფლის მეურნეობაში, ინოვაციების განვითარების პერსპექტივების შესახებ და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

2.ანოტაცია გლობალიზაციის პირობებში აგროსასურსათო წარმოების ზრდის პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენება სასურსათო უსაფრთხოების გადაჭრის აუცილებელი გზაა. სტატიაში გაანალიზებულია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ტენდენციები პანდემიის პირობებში, გამოვლენილია სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები, შესწავლილია ქართული აგროსასურსათო პროდუქტების საექსპორტო პოტენციალი. ნაშრომში შეფასებულია სახელმწიფოს როლი ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდაში, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით გამოვლენილია აგრარული პროდუქტების წარმოების ზრდის სტიმულირების ბერკეტები.

სტატიაში გამოყენებულია კვლევის ზოგადი და კონკრეტული მეთოდები, კერძოდ, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, შედარების, სტატისტიკური (შერჩევა, დაჯგუფება, დაკვირვება, ტენდენცია და სხვა) მეთოდები.

ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები აგროსასურსათო წარმოების ტენდენციებისა და განვითარების შესახებ, შემოთავაზებულია რეკომენდაციები პოსტპანდემიურ პერიოდში აგრარული წარმოების პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენების გზებზე.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება –

მაკროეკონომიკის კათედრა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი –

კათედრის ხელმძღვანელი - *პროფესორი მირიან ტუხაშვილი*

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

პროფესორი მირიან ტუხაშვილი
ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი
ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია
ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა
ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე
ასისტენტ პროფესორი მანანა ლობჟანიძე
ასისტენტ პროფესორი მარინა ტაბატაძე

პროფესორი მირიან ტუხაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი: **მირიან ტუხაშვილი**

2) სტატიის სათაური, ISSN

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. მიგრაცია # 10.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი. თსუ გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

1. 14 გვ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სსრკ დაშლის, საქართველოს დამოუკიდებლობების აღდგენის, ღრმა ეკონომიკური კრიზისი და ცხოვრების დონის კატოსტროფული დაცემის პერიოდში ქვეყანაში განვითარდა ინტენსიურო ემიგრაციული პროცესები. ამან დიდი გავლენა მოახდინა იმ მუნიციპალიტეტების მოსახლეობის რიცხოვნობასა და ეთნოსტრუქტურაზე, რომლებიც ფორმირებულნი იყვნენ მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლების შედეგად. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, რომლის მოსახლეობა პოლიეთნიკური იყო, თანდათან გადაიქცა ბიეთნიკურ რეგიონად, საიდანაც ემიგრაციის გამო პოსტსაბჭოთა პერიოდში სწრაფად შემცირდა რუსების, ოსების, სომხების რიცხოვნობა და მთელ მოსახლეობაში მათი ხვედრითი წონა.

რეგიონის ეკონომიკის ვიწრო პროფილი და ეფექტიანი დასაქმების ნაკლები პერსპექტივა ქმნის რეგიონგარეთ ინტენსიური მიგრაციის გაგრძელების წინაპირობებს. ეს არსებით ცვლილებებს გამოიწვევს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიულ განვითარებაში და მეტად შეამცირებს რეგიონის დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას. საჭირო ხდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მეურნეობრივი დივერსიფიკაციის სწორი პოლიტიკის გატარება და მრავალპროფილური დასაქმების სტრუქტურის ფორმირების დაჩქარება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. მ. ტუხაშვილი
2. მ. შელია

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. EMPLOYED STUDENTS IN GEORGIA: EXPERIENCE AND PROBLEMS

doi 10.15405/epsbs.2021.09.02.253},

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. EpSBS - Volume 116 - 2021,p.2261-2271, https://doi.org/10.15405/epsbs.2021.09.02.253(web 0f science)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **European Publisher**

5) გვერდების რაოდენობა

1. 10 გვ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილების დეფიციტი, ეფექტიანი დასაქმების სირთულე, დამსაქმებლების მხრიდან ხშირად დაუსაბუთებელი მოთხოვნა სამუშაო გამოცდილებაზე, ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონის მიზეზია. ამის გამო უმაღლესი სასწავლებლის

სტუდენტები ცდილობენ სწავლას დასაქმებაც შეუთავსონ. ეს ქმნის მრავალმხრივ წინააღმდეგობებს, ამცირებს განათლების დონეს, იწვევს სტუდენტთა ფიზიკურ და გონებრივ გადატვირთვას, რაც, საბოლოოდ, მკვეთრად აუარესებს სტუდენტთა ჯანმრთელობას და აქვეითებს სპეციალისტთა მომზადების ხარისხს.

კვლევის მიზანი იყო გამოკვლევის გზით შეგვეფასებინა სწავლისა და დასაქმების შეთავსების შესაძლებლობანი, დასაქმების ძირითადი მიზეზები და მოტივი, დასაქმების გავლენა აკადემიურ მოსწრების მაჩვენებლებზე. ასევე, დაგვედგინა რა გავლენას ახდენს დასაქმება სტუდენტთა დროის ბიუჯეტის რაციონალურ გამოყენებაზე და მომავალ კარიერულ წინსვლაზე.

კვლევა, ძირითადად, ეყრდნობა ავტორთა მიერ 2018-2019 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მასალებს, რომელიც პირველად ქვეყნდება. აგრეთვე, გამოყენებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, სხვადასხვა ორგანიზაციბისა და ცალკეულ მკვლევართა კვლევის მასალები.

კვლევით დადგინდა სტუდენტთა შრომითი საქმიანობის არარაციონალური, ინტენსიური ხასიათი და მისი ნეგატიური შედეგები.

საქართველოს შრომის ბაზრის მაღალი ხარისხის სამუშაო ძალით უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა სტუდენტთა შრომითი საქმიანმობის მკაცრი რეგლამენტაცია და პერსპექტივაში სასწავლო პროცესისი მოქნილი და შერეული რეჟიმის დანერგვა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მირიან ტუხაშვილი

2. მზია შელია

2) მოხსენების სათაური

1. EMPLOYED STUDENTS IN GEORGIA: EXPERIENCE AND PROBLEMS

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

ICEST 2021

II International Conference on Economic and Social Trends for Sustainability of Modern Society

19-21 мая. 2021 г. Красноярск

ასოცირებული პროფესორი გივი ბედიანაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. გივი ბედიანაშვილი; ლუდმილა ალეშჩენკო; იოსებ არჩვაძე; განნა ჟოსანი და სხვ. (Givi Bedianashvili; Liudmyla Aleshchenko; Joseph Archvadze; Ganna Zhosan et al)

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები და მათი განხორციელების მექანიზმები ეკონომიკური გაურკვევლობისა და გლობალიზაციის ცვლილებების პირობებში

(Strategies of Socio-Economic Development and Mechanisms of Their Implementation in the Conditions of Economic Uncertainty and Globalization Changes) ISBN: 978-9941-26-962-2

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. გამომცემელი: ხერსონის სახელმწიფო აგრარული და ეკონომიკური უნივერსიტეტი; ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტი, თბილისი: უნივერსალი (Publisher: Kherson State Agrarian and Economic University; Institute for the Research of Economic and Social Problems of Globalization at European University, Tbilisi : Universal)

4) გვერდების რაოდენობა

1. 286 გვ.

5) ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მონოგრაფია ეძღვნება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თეორიულ-მეთოდური და მეთოდოლოგიური პრობლემების შესწავლას. წიგნში წარმოდგენილია ურთიერთდაკავშირებული საკითხების კომპლექსი, როგორიცაა მაკროეკონომიკური საფუძველი გრძელვადიანი სტრატეგიებისა და მექანიზმების ფორმირებისთვის კოროვირუსული პანდემიის პოსტ-გლობალურ კონტექსტში, რათა უზრუნველყოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, თანამედროვე გამოწვევების სათანადო მართვა და სოციალურ-ეკონომიკური. დაწესებულებები, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აგროეკოლოგიური პრობლემები, განათლების მართვის მოდერნიზაცია და უახლესი სასწავლო ტექნოლოგიების დანერგვა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. ახალგაზრდული მეწარმეობა გლობალიზაციის პირობებში, ტურისტული ბიზნესის ინოვაციური ფორმები. ნაშრომი დააინტერესებს ეკონომისტებს, მეცნიერებს, ლექტორებს და სტუდენტებს, რომელთა ნამუშევარი პირდაპირ კავშირშია წიგნში განხილულ თემებთან.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ბედიანაშვილი, გ., ბიჭია, ქ., ნაცვლიშვილი, ე.

2. გველესიანი, რ., ბედიანაშვილი, გ.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. სამეწარმეო აქტიურობის განვითარება, შრომის ბაზარი და უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები

3. დოზირებისა და დაყოვნების პრობლემა ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების პროცესში

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, 12, 21-31 (ჟურნალი არის ბაზებში: ERIH PLUS, EBSCO, Google Scholar, Index Copernucus)

2. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, 11, 16-24 (ჟურნალი არის ბაზებში: ERIH PLUS, EBSCO, Google Scholar, Index Copernucus)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ევროპის უნივერსსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი
2. თბილისი, ევროპის უნივერსიტეტის გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი

5) გვერდების რაოდენობა

1. 21-31.
2. 16-24.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წარმოდგენილი კვლევის მიზანია გამოავლინოს სამეწარმეო სფეროს მოთხოვნები ადამიანისეული კაპიტალის უნარებისადმი, დისბალანსი შრომის ბაზარზე, რათა დადგინდეს სწავლებისა და სასწავლო საქმიანობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შესაბამისობა. კვლევამ აჩვენა, რომ მეწარმეების უნარების გათვალისწინებისას, როგორც საწყისი წერტილი, სამეწარმეო საქმიანობა გასათვალისწინებელია კონკრეტული ქვეყანა და მისი განვითარების მოთხოვნები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზარმა შესაძლოა ვერ დააკმაყოფილოს სამეწარმეო სექტორის (დამსაქმებლების) საჭიროებები. მეორე მხრივ, თავად მეწარმე სუბიექტების აღქმა საჭირო უნარების შესახებ ხშირად შეზღუდულია. და განპირობებულია თავად სამეწარმეო საქმიანობის თანამედროვე ტექნოლოგიების შედარებით მოკლევადიანი მიმდინარე აღქმებით. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების პოზიტიური პრაქტიკული გამოცდილების კვლევამ და ანალიზმა ნათლად აჩვენა რომ ამ კუთხით მჭიდრო თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან მეწარმეობის სფეროში მეწარმეობის ტრენინგის სახით და ეფექტიანი იქნება მოკლევადიანი კურსები. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოს ჩართულობა და მხარდაჭერა აღნიშნული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში ფრიად მნიშვნელოვანია.
2. ნაშრომში წარმოდგენილია ეკონომიკური პოლიტიკისა და კონცეფციის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სისტემური კვლევის შედეგები. ეკონომიკურ პოლიტიკაში რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია შემოწმდეს და გავიაზროთ მიზნის მიმართ კონფორმულ ინსტრუმენტთა მნიშვნელობა. ეს უნდა განხორციელდეს მიზანთა მთელ სისტემასთან დამოკიდებულებაში, იმ მიზნების ჩათვლით, რომლებიც ძირითად ღირებულებებად არის აღიარებული. გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯების შესამცირებლად საჭიროა ისეთი კრიტერიუმი, რომელიც შეფასებას გააადვილებს. უნდა გამოვიკვლიოთ აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის პროგრამიდან გამომდინარე კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისათვის რომელი საშუალების გამოყენებაა დასაშვები. ასეთი პროგრამა არის ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია. იგი გვაწვდის საკმარის და ერთმნიშვნელოვან ინფორმაციას არსებითი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი კონსენსუსის თაობაზე. საქმე ეხება იმ კონსენსუსს, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკას, როგორც საზოგადოებრივ მიზანთა უფრო მომცველი სისტემის შემადგენელ სფეროს, დაქვემდებარებული ადგილი უკავია. ეს მდგომარეობა განსაზღვრავს მის ღირებულებას. ამ გარემოების გათვალისწინება გვიადვილებს დავადგინოთ მიზანი სისტემის მიმართ კონფორმულობით ხასიათდება თუ არა. ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური პარამეტრების მიზნობრივი ორიენტაციის უზრუნველყოფა მაკროსისტემურ დონეზე. გარდა ამისა, ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს დონე, სამეწარმეო საქმიანობის მდგომარეობა და ზოგადად ბიზნეს გარემო, კულტურული მახასიათებლების თავისებურებები, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების (ინსტიტუციების) არსებული მექანიზმი და თავისებურებები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საზოგადოების ღირებულებითი ორიენტაციები.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ბედიანაშვილი, გ.
2. ბედიანაშვილი, გ.
3. ბედიანაშვილი, გ.

2) სტატიის სათაური, ISSN

1. საზოგადოებრივი სექტორი კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში, ISBN 978-9941-491-53-5
2. კოვიდ19-ის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები და ეკონომიკური განუვითარების გამოწვევები, ISBN 978-9941-491-35-1
3. კოვიდ-19-ის პანდემიის კრიზისის მაკროეკონომიკური და კულტურული დეტერმინანტები ISSN - 0132 – 1447 (Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis, ISSN - 0132 – 1447

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები XXI საუკუნეში.
2. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში
3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე 15(2) (Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 15(2)) - (ჟურნალი არის Scopus-ის ბაზაში)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
2. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
3. თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

5) გვერდების რაოდენობა

1. 47-51.
2. 34-38.
3. 191-197.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ნაშრომში გადმოცემულია კოვიდ-19-ის პანდემიის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები და მისი დაძლევის გზები მსოფლიოში და საქართველოში. განხილლია საზოგადოებრივი სექტორის გაზრდილი როლი და მისი ცალკეული ფუნქციების მნიშვნელობა, როგორიცაა მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, მოსახლეობის და ბიზნესის მხარდაჭერა, ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი მუშაობის სტიმულირება. აღნიშნულია, რომ

პანდემიამ აქტუალური გახადა საზოგადოებრივი სექტორისათვის გამოწვევებზე და შესაბამის პრობლემების გადაჭრაზე მიმართული პოლიტიკის ფორმირება და რეალიზაცია. ეს პოლიტიკა, შესაბამისი ინსტიტუციური ფაქტორების ჩართულობით, ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოების გრძელვადიან მდგრადობას

2. კვლევის ძირითადი მიზანია COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ისეთი მნიშვნელოვანი ეფექტის სისტემური ანალიზი, როგორიცაა ეკონომიკური განუზღვრე¬ლობის ზრდა. განხილულია და დასაბუთებულია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება არის დათმობილი ეკონომიკური განუზღვრელო¬ბის მნიშვნელოვანი ზრდის პრობლემას, კვლევის შედეგად ნაჩვენებია მისი შემცირებისთვის კომპლექსური საპროგნოზო-ანალიტიკური საქმიანობის გაძლიერების აუცილებლობა როგორც კერძო სექტორის დონეზე სამეწარმეო საქმიანობის სფეროში, ისე მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფისა და ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესებში.
3. სტატიაში წარმოდგენილი კვლევის ძირითადი მიზანია COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და კულტურული თავისებურებების გამოვლენა. კვლევაში გამოყენებულ იქნა სისტემური ანალიზისა და მოდელირების მეთოდები. გამომდინარე იქიდან, რომ კრიზისის წყარო არ იყო ეკონომიკა და იგი აისახა საზოგადოების სხვადასხვა სფეროზე კორონავირუსის კატასტროფული ზემოქმედების შედეგად, სტატიაში განხილული და დასაბუთებულია ცოდნის ეკონომიკის ფორმირების მნიშვნელობა, ასევე მწვანე ეკონომიკისა და მწვანე ზრდის კონცეფციების აქტუალურობა. კვლევაში აღნიშნულია, რომ გლობალიზაცია არაა პირდაპირი მიზეზი კორონავირუსული კრიზისის, თუმცა შეიძლება გახდეს მსგავსი კრიზისების მნიშვნელოვანი გამწვავების იმპულსის მიმცემი, თუ არ იქნა სუფთა გარემოს არსებობის ხელშეწყობა და შესაბამისი „მწვანე“ ტექნოლოგიების რეალური გამოყენება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორში. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ეკონომიკური განუზღვრელობის მნიშვნელოვანი ზრდის პრობლემას, კვლევის შედეგად ნაჩვენებია მისი შემცირებისთვის კომპლექსური საპროგნოზო-ანალიტიკური საქმიანობის გაძლიერების აუცილებლობა როგორც კერძო სექტორის დონეზე, ისე მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას.

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. Menshikov, V., Bedianashvili, G. Ruza, O., Kokina, I.
2. Bedianashvili, G., Begiashvili, R
3. Bedianashvili, G., Maglakelidze, A.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Mobility in the context of entrepreneurial potential of students under the conditions of the COVID-19 pandemic (Latvia, Georgia), DOI: 10.9770/jesi.2021.9.1(36)

2. GLOBAL CHALLENGES FOR THE TAX SYSTEM DURING THE PANDEMIC AND THE RESPONSE OF THE GEORGIAN TAX ADMINISTRATION TO COVID-19, ISSN2255-8853, SBN978-9984-14-933-2

3. THE DIGITAL ECONOMY AND BUSINESS IN THE CONDITIONS OF PANDEMIC, ISSN2255-8853, ISBN978-9984-14-931-8

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. *Journal of Entrepreneurship and Sustainability Issues.* 9(1), (ჟურნალი არის WeB of Sciences-ის ბაზაში)
2. *Social Sciences for Regional Development 2020*. PART I. ISSUES OF SOCIOLOGY
3. *Social Sciences for Regional Development 2020*. PART III. ISSUES OF ECONOMICS

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ლიეტუვა, ვილნიუსი, მეწარმეობისა და მდგრადობის კვლევითი ცენტრი.
2. Latvia, Daugavpils, Daugavpils University
3. Latvia, Daugavpils, Daugavpils University

5) გვერდების რაოდენობა

1. 574-589.
2. 5-18.
3. 26-37.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კვლევის მიზანია შეაფასოს ლატვიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საუნივერსიტეტო გარემოს როლი სტუდენტების სამეწარმეო პოტენციალის ფორმირებასა და პოპულარიზაციაში COVID-19 პანდემიის პირობებში, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით გაჭიანურებულ გავლენას. ეპიდემიური კრიზისი სამეწარმეო მობილურობაზე. სამეცნიერო ლიტერატურაში მობილობის სხვადასხვა სისტემა უპირატესად დადებითად არის შეფასებული შრომითი აქტივობის გაზრდის თვალსაზრისით, დისტანციური დასაქმების მზარდი ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. მასთან, დისტანციურ დასაქმებას გარკვეული უარყოფითი მხარეებიც აქვს, რაც ძირითადად სოციალური ნდობის საკითხებში აისახება. ჩვენს შემთხვევაში, კვლევის პრობლემა იყო უნივერსიტეტების ცხოვრებაში კრიზისის გავლენის გარკვევა, უპირველეს ყოვლისა, დისტანციურ სწავლებაზე მასიური გადასვლა, სტუდენტების სამეწარმეო პოტენციალის მდგომარეობაზე, განსაკუთრებით მათი სამეწარმეო მობილურობის კუთხით. ამ მიზნით საძიებო კვლევა ჩატარდა ლატვიის (დაუგავპილსის უნივერსიტეტი) და საქართველოს (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ევროპის უნივერსიტეტის) უნივერსიტეტებში. სოციოლოგიური კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მასიური გადასვლა დისტანციურ სწავლებაზე, სტუდენტების მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება ჯერ კიდევ მცირე ზომით გრძელდება სამეწარმეო პოტენციალის გაზრდის, სამეწარმეო მობილობის გაფართოებაში. უფრო მეტიც, COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული კრიზისული სიტუაცია კიდევ უფრო აიძულებს სტუდენტებს განახორციელონ თავიანთი იდეები პირადი ბიზნესის სფეროში, რისკის, როგორც მეწარმეობის სფეროში ცალსახად უარყოფითი ფაქტორისადმი ცალმხრივი დამოკიდებულების გამო. მოპოვებული ემპირიული მონაცემების საფუძველზე გაკეთდა რეკომენდაციები უნივერსიტეტების ადმინისტრაციისა და სტუდენტების სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაკავებული საზოგადოებრივი გაერთიანებების

ხელმძღვანელებისთვის მათი სამეწარმეო მობილობის გაზრდის უფრო ეფექტური გზების საფუძველზე. ავტორების მიერ გამოყენებული მეთოდები მოიცავს აქსიომატურ ანალიზს და სინთეზს, მონოგრაფიულ, სოციოლოგიურ გამოკითხვას, ანკეტური გამოკითხვის რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს.

2. ნაშრომი ეძღვნება კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში საგადასახადო სიტემის მნინელობის კვლევას. აღნიშნულია, რომ პანდემიის პროცესმა მსოფლიო ადმინისტრაციებისთვის კიდევ უფრო ცხადი გახადა, რომ მნიშვნელოვანია მთელი რიგი ღონისძიებების შემუშავება. იმ ფონზე, რომ ონლაინ კომერციისა და სერვისების როლი მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო წლებში გაიზარდა, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში არ არსებობს ალტერნატივა ონლაინ ტექნოლოგიების ჩართვის უფრო მეტად სამთავრობო სტრუქტურებზე და საგადასახადო სისტემაზე ორიენტაციით. ამასთან, თუ ტექნიკურად შესაძლებელია რაიმე სახის სერვისის ონლაინ შემოღება, ის პრიორიტეტულად უნდა განხორციელდეს, რაც გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს და გაზრდის გაწეული მომსახურების მოცულობას. ქართული რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოიკვეთა გადასახადის გადამხდელთა რეგისტრაციაში, ძირითადად თვითდასაქმების სახით. მნიშვნელოვანია ამ მხრივ ყურადღების მიქცევა და გადასახადის გადამხდელთა პირველი შესაძლო მასის საგადასახადო რეგისტრაციის პრობლემის გადაჭრა.

3. ნაშრომში აღნიშნულია, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს განვითარება და ციფრული ტრანსფორმაცია ცვლის ეკონომიკასა და საზოგადოებას. ეკონომიკური პროცესები და ბიზნეს აქტივობები სულ უფრო და უფრო ტექნოლოგიური ხდება, ამავდროულად ხდება თავად ბიზნეს პროცესების გაციფრულება. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით იქმნება ინოვაციური ბიზნეს მოდელები და ახალი ღირებულება. ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების ფართო გამოყენება და მოსახლეობის უმრავლესობის მათზე წვდომა, ონლაინ კომერციული პროცესის მოქნილობა და სიჩქარე სულ უფრო მეტ ადამიანს უბიძგებს ციფრული პროდუქტებისა და სერვისების გამოყენებისკენ. განსაკუთრებით დღეს, როდესაც მსოფლიო პანდემიის (COVID-19) გამო ფიზიკური მობილურობა შეზღუდულია. ციფრული ტექნოლოგიები საშუალებას გაძლევთ აკეთოთ ბიზნესი და მიიღოთ ფული სახლიდან გაუსვლელად. გარდა ამისა, ციფრული ხელსაწყოებისა და პლატფორმების აქტიური გამოყენება ხელს უწყობს სრულიად ახალი ტიპის სამუშაოების გაჩენას. გლობალური ხასიათის მთავარი გამოწვევა დღეს არის გავრცელებული კორონავირუსის ინფექცია, რომელმაც პანდემიის სახე მიიღო და მსოფლიოს ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკა უპრეცედენტო კრიზისში ჩააგდო.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ბედიანაშვილი, გ.

2. ბედიანაშვილი, გ.

2) მოხსენების სათაური

1. საზოგადოებრივი სექტორი კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში

2. კოვიდ-19-ის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები და ეკონომიკური განუზღვრელობის გამოწვევები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 11 დეკემბერი, თსუ პაატა გუგუშვლის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი

2. 5 ნოემბერი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Bedianashvili, G.

2. Bedianashvili, G.

3. Bedianashvili, G.

2) მოხსენების სათაური

1. Globalization and Modern Challenges of Economic Uncertainty
https://drive.google.com/drive/folders/1p3VKIQnlhw1dBFkA0Nbv7kW-hVKZGs3m

2. ENTREPRENEURIAL ACTIVITY AND BUSINESS MANAGEMENT CHALLENGES IN THE POST-PANDEMIC PERIOD
https://www.researchgate.net/publication/353636689_ENTREPRENEURIAL_ACTIVITY_AND_BUSINESS_MANAGEMENT_CHALLENGES_IN_THE_POST-PANDEMIC_PERIOD

3. POSITIVE AND NEGATIVE CASES OF THE ACTIVITIES OF TNCs
https://www.researchgate.net/publication/352780961_POSITIVE_AND_NEGATIVE_CASES_OF_THE_ACTIVITIES_OF_TNCs

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 3-4 დეკემბერი, ხმელნიცკის ეროვნული უნივერსიტეტი, ხმელნიცკი, უკრაინა

2. 28 მაისი, ხერსონის აგრარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტი, ხერსონი, უკრიანა

3. 18 მაისი, ლვოვის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, ლვოვი, უკრაინა

ასოცირებული პროფესორი ნაზირა კაკულია

1. **სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. **ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარემოსადმი მდგრადობის ცალკეული საკითხები - მწვანე ზრდა და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა**

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **03. 2021 -12.2021**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ნაზირა კაკულია** (ძირითადი პერსონალი)

2. მალხაზ ჩიქობავა (ძირითადი პერსონალი)

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ნაზირა კაკულია

2) სტატიის სათაური, ISSN

1. **მდგრადი განვითარება, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური გამოწვევები.** ISBN 978-9941-491-53-5

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალფრედ კურატაშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინკონფერენციის „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“ კრებული

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, 2021

5) გვერდების რაოდენობა

1. 12 გვ.

7. **სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა**

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნაზირა კაკულია

2. ნაზირა კაკულია

3. ნაზირა კაკულია

2) მოხსენების სათაური

1. **Economic growht and environmental sustainability in Georgia**

2. **მდგრადი განვითარება, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური გამოწვევები**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2021 წ. 17 ივლისი (კონფერენცია ჩატარდა ონლაინ-რეჟიმში. ევროპის უნივერსიტეტი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტი. ჟურნალი: "გლობალიზაცია და ბიზნესი", ქუთაისის უნივერსიტეტი, დაუგავპილსის უნივერსიტეტი. მე-6 საერთაშორისო კონფერენცია. აქტუალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემები თანამედროვე გლობალიზაციაში

2. 2021 წ. 11 დეკემბერი (კონფერენცია ჩატარდა ონლაინ-რეჟიმში. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალფრედ კურატაშვილის დაბადებიდან 80-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“)

3. The First Jean Monnet International Conference of the Institute for European Studies of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Teaching, Learning and Researching the European Union in Theory and Practice #Europe Day celebrations #7 Years of the EU-Georgia Association Agreement. June 24-25, 2021 (Tbilisi Time) Virtual EVENT (participant)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **ნაზირა კაკულია**

2) მოხსენების სათაური

1. **Потенциал зеленой экономики Грузии и его макроэкономическое значение**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **The XX-th INTERNATIONAL ONLINE SCIENTIFIC CONFERENCE. THE JOHN PAUL II CATHOLIC UNIVERSITY OF LUBLIN, POLAND. INSTITUTE OF SOCIOLOGICAL SCIENCES. 21-23 June 2021**

ასოცირებული პროფესორი მანანა ლობჟანიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. *ეთერ ხარაიშვილი*

2. .გულნაზ ერქომაიშვილი

3. ია ნაცვლიშვილი

4. მანანა ლობჟანიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. **სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვების გამოწვევები და პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოში**

ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი და ბიზნესი", ტ 13, #3, 2021.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

5) გვერდების რაოდენობა

1. 18 გვერდი.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში შეფასებულია სატრანსპორტო გადაზიდვების მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდასა და სასურსათო ბაზრების განვითარებაში. გაანალიზებულია COVID პანდემიით გამოწვეული შეფერხებები სურსათის სატრანპორტო გადაზიდვებში. შეფასებულია სატრანსპორტო გადაზიდვების შესახებ თეორიული მიდგომები და კონცეფციები. დასაბუთებულია, რომ სატრანსპორტო გადაზიდვების სისტემაში არსებული გამოწვევების გამოვლენითა და პოლიტიკის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებით შესაძლებელია შეცვლილი მოთხოვნების შესაბამისი სასურსათო ბაზრების ფორმირება.

„გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის“ მატრიცით გამოვლენილია სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვების სფეროში არსებული გამოწვევები: სუსტი პოლიტიკური მხარდაჭერა, გადაზიდვებისა და სასურსათო ბაზრების სტანდარტების შესახებ

საკანონმდებლო ვაკუუმი, მარეგულირებელი წესების შეუსაბამობა სხვა ქვეყნების რეგულაციებთან, გადაზიდვების ციფრიზაციის დაბალი დონე, სატრანსპორტო გადაზიდვების გაძვირების შემთხვევაში სურსათზე ფასების შენარჩუნების პოლიტიკა და სხვ. ,,პრიორიტეტების სქემით“ დადგენილია სატრანსპორტო გადაზიდვების მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები.

სტატიაში **გაკეთებულია დასკვნა, რომ სურსათის წარმოებისა და მისი სატრანსპორტო გადაზიდვების მაჩვენებლებს შორის კორელაცია დადებითია, თუმცა, არასაკმარისი ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებისათვის. სატრანსპორტო გადაზიდვების მასტიმულირებელი პოლიტიკის გატარება გამოიწვევს სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით ევროპის ბაზრებზე.** გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები პოლიტიკის პრიორიტეტებისა და სასურსათო ბაზრების განვითარების მიმართულებებზე.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. *Eteri Kharaishvili*
2. *Badri Gechbaia*
3. *Gulnaz Erkomaishvili*
4. ***Manana Lobzhanidze***
5. *Ia Natsvlishvili*

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Shipping policy of agri-food products and the formation of food markets in Georgia

DOI https://doi.org/10.1051/matecconf/202133901001

Article Number 01001

Number of page(s) 14

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **Issue** **MATEC Web Conf. Volume 339, 2021**
   International Conference on Sustainable Transport System and Maritime Logistics (ISTSML 2021)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. International Conference on Sustainable Transport System and Maritime Logistics (ISTSML 2021). Open Accesses.

Published online 02 July 2021

MATEC Web of Conferences eISSN: 2261-236X

5) გვერდების რაოდენობა

1. 14 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში შეფასებულია სატრანსპორტო გადაზიდვების მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდასა და სასურსათო ბაზრების განვითარებაში. გაანალიზებულია COVID პანდემიით გამოწვეული შეფერხებები აგროსასურსათო პროდუქტების სატრანპორტო გადაზიდვებში, იდენთიფიცირებულია ლოჯისტიკური პრობლემები.

ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით შეფასებულია სატრანსპორტო გადაზიდვების პოლიტიკის თეორიული მიდგომები და კონცეფციები. დასაბუთებულია, რომ სატრანსპორტო გადაზიდვების სისტემაში არსებული გამოწვევების გამოვლენითა და პოლიტიკის ეფექტიანი

მექანიზმების შემუშავებით შესაძლებელია შეცვლილი მოთხოვნების შესაბამისი სასურსათო ბაზრების ფორმირება.

„გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის“ მატრიცით გამოვლენილია სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვების პოლიტიკის სფეროში არსებული გამოწვევები: სუსტი პოლიტიკური მხარდაჭერა, გადაზიდვებისა და სასურსათო ბაზრების სტანდარტების შესახებ საკანონმდებლო ვაკუუმი, მარეგულირებელი წესების შეუსაბამობა სხვა ქვეყნების რეგულაციებთან, გადაზიდვების ციფრიზაციის დაბალი დონე, სატრანსპორტო გადაზიდვების გაძვირების შემთხვევაში სურსათზე ფასების შენარჩუნების პოლიტიკა და სხვ.

,,პრიორიტეტების სქემით“ დადგენილია სატრანსპორტო გადაზიდვების მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები: სურსათის გადაზიდვებზე პოლიტიკური მხარდაჭერის საჭიროება, ინვესტიციების სტიმულირება გადაზიდვების ინფრასტრუქტურაში, მარეგულირებელი ბაზის სრულყოფა და ჰარმონიზაცია სხვა ქვეყნების რეგულაციებთან, საფასო ინსტრუმენტების გამოყენება სასურსათო პროდუქტების გადაზიდვებში, სატრანსპორტო სისტემისა და სატრანსპორტო დერეფნის გაციფროვნება, გადაზიდვებისა და სასურსათო ბაზრების ერთიანი ჯაჭვის შესანარჩუნებლად დაფინანსების პოლიტიკის უზრუნველყოფა.

სტატიაში **გაკეთებულია დასკვნა, რომ სურსათის წარმოებისა და მისი სატრანსპორტო გადაზიდვების მაჩვენებლებს შორის კორელაცია დადებითია, თუმცა, არასაკმარისი ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედებისათვის. სატრანსპორტო გადაზიდვების მასტიმულირებელი პოლიტიკის გატარება გამოიწვევს სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაციას, განსაკუთრებით ევროპის ბაზრებზე.** სასურსათო ბაზრის განვითარების გათვალისწინებითა და სატრანსპორტო გადაზიდვების პოლიტიკის სფეროში გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები პოლიტიკის პრიორიტეტებისა და სასურსათო ბაზრების განვითარების მიმართულებებზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. *ეთერ ხარაიშვილი*

2. ბადრი გეჩბაია

3.გულნაზ ერქომაიშვილი

4. მანანა ლობჟანიძე

5. · ია ნაცვლიშვილი

2) მოხსენების სათაური

1. **Shipping policy of agri-food products and the formation of food markets in Georgia**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი. 24 ივნისი, 2021 წ. ბათუმი, საქართველო**

ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა

1. **სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. **ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარემოსადმი მდგრადობის ცალკეული საკითხები - მწვანე ზრდა და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა**

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **03. 2021 -12.2021**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნაზირა კაკულია (ძირითადი პერსონალი)

2. **მალხაზ ჩიქობავა** (ძირითადი პერსონალი)

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **მალხაზ ჩიქობავა**

2) სტატიის სათაური, ISSN

1. წამყვანი ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის მეტამორფოზა, ISSN 1512-4835

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი (რონდელის ფონდი))

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, რონდელის ფონდი

5) გვერდების რაოდენობა

1. 12 გვ.

წამყვანი ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის მეტამორფოზა

ანოტაცია

ბოლო წლებში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკები მიმართავენ ე.წ. რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკას, რაც იმას გულისხმობს, რომ ისინი უკვე აღარ იფარგლებიან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვით და აქტივებს, დამატებით, კორპორაციული ფასიანი ქაღალდების შესყიდვით აფართოებენ. ეს ნოვაცია გამიზნულია დეგრადირებადი ეკონომიკების გადასარჩენად, თუმცა ჯერჯერობით სასურველი შედეგები არ ჩანს. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: როდემდე გასტანს კორონომიკური კრიზისი და რამდენადაა შესაძლებელი რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკით ამ კრიზისის დაძლევა?

მსოფლიოს წამყვანი ცენტრალური ბანკები ფულადი ემისიის დასასაბუთებლად პანდემიას იშველიებენ. მაგრამ, ჩვენი აზრით, იმის მიზეზი, რომ ამ ბანკების მთავარ მონეტარულ პოლიტიკად დღემდე რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკა რჩება, 2008-2009 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და მისგან გამოწვეული დეპრესიაა. ეს

უკანასკნელი, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება და ჯერ კიდევ შორსაა დასრულებისგან. ამასთან, გლობალური დეპრესია, ბოლო ორი წელია, გადაეხლართა კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეულ პანდემიას და ე.წ. კორონომიკურ კრიზისად ტრანსფორმირდა. რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში, მაღალია მსოფლიო სარეზერვო ვალუტების მკვეთრი გაუფასურების ალბათობა, რაც უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდებს ისეთ დაბალგანვითარებულ, იმპორტდამოკიდებულ ქვეყანას, როგორიც საქართველოა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მალხაზ ჩიქობავა
2. მალხაზ ჩიქობავა
3. მალხაზ ჩიქობავა
4. მალხაზ ჩიქობავა

2) მოხსენების სათაური

1. ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისი და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ევოლუცია
2. წამყვანი ცენტრალური ბანკების პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე
3. „დიადი გადატვირთვა“ - გზა ნეოტოტალიტარიზმისკენ
4. კლაუს შვაბის დიადი გადატვირთვის კვალდაკვალ

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2021 წ. 20-22 მაისი (კონფერენცია ჩატარდა ონლაინ-რეჟიმში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამერიკისმცოდნეობის 22-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია)
2. 2021 წ. 17 ივლისი (კონფერენცია ჩატარდა ონლაინ-რეჟიმში. ევროპის უნივერსიტეტი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტი. ჟურნალი: "გლობალიზაცია და ბიზნესი", ქუთაისის უნივერსიტეტი, დაუგავპილსის უნივერსიტეტი. მე-6 საერთაშორისო კონფერენცია. აქტუალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემები თანამედროვე გლობალიზაციაში
3. 2021 წ. 11 დეკემბერი (კონფერენცია ჩატარდა ონლაინ-რეჟიმში. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალფრედ კურატაშვილის დაბადებიდან 80-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“)
4. 2021 წ. 5 ნოემბერი (კონფერენცია ჩატარდა ონლაინ-რეჟიმში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში).

ვირუსულ-ეკონომიკური კრიზისი და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ევოლუცია

მოხსენების ანოტაცია:

მოხსენებაში გაანალიზებულია კორონავირუსის პანდემიის წარმოშობის შესაძლო მიზეზები და მისი გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე. ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია ცნობილი ანტიგლობალისტის, ამერიკელი ეკონომისტისა და პოლიტოლოგის, პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის უილიამ ენგდალის სტატიაზე, რომელიც გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 10 მარტს სათაურით: Lock Step, This Is No Futuristic Scenario: Panic and the Post-Pandemic Future?

აღსანიშნავია, რომ Lock Step გამოჩნდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამცხრალი 2007-2009 წლების ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ხანძარი. როგორც ჩანს, გლობალური ფინანსური ელიტის გათვლებით მსოფლიო კაპიტალიზმი 2007-2009 წლების ანალოგიურ კრიზისებს ვერ გადაიტანს და შესაბამისად, საჭიროა მსოფლიოს ფორსირებული გარდაქმნის დაწყება პოსტკაპიტალისტური მოდელის საფუძველზე. სწორედ ეს გახდა ამგვარი ტრანსფორმაციისათვის მზადების საფუძველი.

ასოცირებული პროფესორი მურმან ცარციძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. მურმან ცარციძე
2. ნათელა ლაცაბიძე
3.გაბადაძე შოთა
2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1. უმუშევრობის დაზღვევის სისტემა განვითარებულ ქვეყნებში. https://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge&adgi=601; DOI: 10.36172/EKONOMISTI
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის რეცენზირებადი, ბეჭდურ-ელექტრონული, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, “Ekonomisti” N2, ტომი XVII 2021წ.
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.ქ. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
5) გვერდების რაოდენობა 12 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია. ნაშრომში გაანალიზებულია უმუშევრობის დაზღვევის სისტემის ფუნქციონირების თავისებურებები ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. შესწავლილია აღნიშნული სფეროს ადმინისტრირების საერთაშორისო პრაქტიკა, შეფასებულია უმუშევრობის დაზღვევის მექანიზმის ფარგლებში გაცემული შემწეობის ოდენობის, დანიშვნის წინაპირობების, გაცემის პერიოდისა და ხანგძლივობის საკითხები, დაფინანსების ფორმირების წყაროები, რეგულირების საკანონმდებლო საფუძვლები. ყურადღება გამახვილებულია ცალკეულ

ქვეყანაში, პანდემიით გამოწვეული გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში, უმუშევრობის დაზღვევის მექანიზმში განხორციელებულ ცვლილებებზე. დასაბუთებულია საქართველოში უმუშევრობის დაზღვევის სისტემის ფორმირების აუცილებლობა და უცხოეთში აპრობირებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზანშეწონილობა - ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, ატიური და პასიური პოლიტიკა, უმუშევრობის დაზღვევა, შემწეობა, სოციალური დახმარება, დასაქმების პოლიტიკა.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მურმან ცარციძე

2. ნათელა ლაცაბიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. უმუშევრობის სოციალური დაზღვევის სისტემის ფორმირების ეტაპები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ISSN 1987-5789 ESSN 2587-5426

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. თსუ-ის რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Ekonomics and Business” ტომი XIII, N2, 2021წ.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ქ. თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

9 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გლობალური პანდემიის პირობებში, როდესაც კიდევ უფრო გაღრმავდა ქვეყანაში არსებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი, მეტი ატუალურობა შეიძინა ქრონიკული უმუშევრობის დაძლევის, უმუშევართა სოციალური დაცვის, დაზღვევის თანამედროვე სისტემის ფორმირებისა და საბოლოო ჯამში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის საკითხებმა. აღსანიშნავია, რომ პანდემიის დაწყებამდე, ეკონომიკური ზრდის შედარებით სტაბილურ ტემპებსა და ინვესტიციების მოცულობის გადიდებას, უმუშევრობის დონესა და დინამიკაზე შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია. ამიტომ ლოგიკურია, რომ მიმდინარე ეტაპზე, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარების პირობებში, უმუშვრობის პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა. უმუშევრობისა და არაეფექტიანი დასაქმების ნეგატიური შედეგები საგრძნობია ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში და იგი პირდაპირ აისახა ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ყველა მაჩვენებელზე.

ნაშრომში გაანალიზებულია უმუშევართა სოციალური დაცვის, უმუშევრობის დაზღვევის სისტემის ფორმირების ეტაპები, მდგომარეობა და პრობლემები საქართველოში. შეფასებულია ამ მიმართულებით ქვეყანაში გატარებული რეფორმები, ღონისძიებები, პროგრამები და მათი ეფექტიანობა. დასაბუთებულია განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზანშეწონილობა და უმუშევრობის დაზღვევის თანამედროვე სისტემის ფორმირების

აუცილებლობა ეროვნული შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, უმუშევრობა, სოციალური დაცვა, დაზღვევა, შემწეობა, დასაქმების პოლიტიკა.

5.6. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მურმან ცარციძე

2. ნათელა ლაცაბიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

შრომის ბაზარი და არაფორმალური დასაქმების თავისებურებები გლობალური პანდემიის პირობებში. ISSN 2449-2396. (eugb.ge)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N12, ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი 2021წ.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ქ. თბილისი, ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

12 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას. სწორედ მან უნდა უზრუნველყოს სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროს რადიკალური ცვლილება, შესაბამისად, ქვეყანაში არსებული ქრონიკული უმუშევრობის დაძლევა და სამუშაო ძალის ეფექტიანი დასაქმება. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ საქართველოში განვითარებული, ნორმალური საბაზრო გარემოს ადეკვატური შრომის ბაზარი კვლავ ფორმირების სტადიაზეა-სერიოზული პრობლემებითა და გამოწვევებით. ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების საწყის ეტაპზე, ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ, ერთგვარად ბიძგი მისცა შრომითი ურთიერთობების სფეროში ნეგატიური მოვლენების განვითარებას, რომელთა შორის დღემდე დაუძლეველი გამოწვევაა არაფორმალური დასაქმების ზრდის ტენდენცია. ამ უკანასკნელმა, შეიძლება ითქვას, რომ მასშტაბური ხასიათი მიიღო მიმდინარე პერიოდში-გლობალური პანდემიით გამოწვეული ფინანსური და ეკონონიკური კრიზისის პირობებში. ფაქტობრივად საქართველოში არაფორმა-ლური სექტორი გახდა შრომის ბაზრის დამოუკიდებელი სეგმენტი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დასაქმებაზე, ცხოვრების დონესა და საერთოდ ეკონომიკური განვითარების საერთო პროცესზე.

არაფორმალური დასაქმების, როგორც მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენისა და ფენომენის კვლევა, მისი დონისა და მასშტაბების შეფასება, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ აქტუალურობას არ დაკარგავს კიდევ მრავალი წლის განმავლობაში. გაანალიზებას და შეფასებას საჭიროებს არაფორმალური დასაქმების ნეგატიური შედეგები, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შრომის ბაზრის არაფორმალურ სექტორში გადადინებაზე მოქმედი

ფაქტორები. ასევე მნიშვნელოვანია მოკლევადიან პერიოდში არაფორმალური დასაქმების დადებით ასპექტებზე მსჯელობა და შეფასება, რაც გამოიხატება უმუშევრობით გამოწვეული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური შედეგების შემსუბუქებაში.

ნაშრომში გამოკვლეულია არაფორმალური დასაქმების ცალკეული ასპექტები, გაანალიზებულია მისი ფორმები, სახეები, გამოვლენილია არაფორმალური დასაქმების თავისებურებები და შეფასებულია მისი მასშტაბები გლობალური პანდემიის ფონზე. დასაბუთებულია, რომ შრომის ბაზრის არაფორმალური სეგმენტი საჭიროებს სიღრმისეულ კვლევასა და შეფასებას. კვლევის შედეგად გამოვლენილია საქართველოს შრომის ბაზარზე ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში დასაქმების მასშტაბების ზრდისა და განვითარების ძირითადი ფაქტორები, რომელთაგან უნდა გამოვყოთ: ქვეყანაში სიღარიბის მაღალი დონისა და მასშტაბების არსებობა; ქრონიკული უმუშევრობა და არაეფექტიანი დასაქმება; დასაქმების სფეროში სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაუცველობა; სამუშაოს მაძიებელთათვის დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების, შრომითი უფლებების თანაბარი რეალიზაციისათვის სათანადო პირობების არარსებობა; შრომის ბაზრის სხვადასხვა სახის სერვისსა და ღონისძიებაზე მოსახლეობის დაბალი ხელმისაწვდომობა; ეკონომიკური განვითარების არასათანადო ტემპები; შემცირებული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, შესაბამისად დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები და პერსპექტივები; პროფესიული განათლების სისტემის განვითარების დაბალი დონე და ხარისხი, რომელიც სრულად არ არის ორიენტირებული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე; უმუშევართა სოციალური დაცვის, დაზღვევის მექანიზმის არარსებობა; უმუშევრების მომზადებისა და გადამზადების სფეროში არსებული სირთულეები; შრომის ანაზღაურების დაბალი დონე; შრომის ორგანიზაციის, სტიმულირებისა და მოტივაციის დაბალი დონე; შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურისა და მისი მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის განუვითარებლობა; სოციალურ-შრომითი ურთიერთობების მართვისა და რეგულირების სფეროში არსებული პრობლემები, რომელიც უკავშირდება საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის განვითარებასაც; დასაქმებულთა შრომის პირობების კონტროლის სრულყოფილი მექანიზმის არარსებობა და სხვა.

კვლევის ძირითადი შედეგები განზოგადოებულია ნაშრომის დასკვნით ნაწილში.

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, შრომის ბაზრის არაფორმალური სეგმენტი, უმუშევრობა, არაფორმალური დასაქმება, პანდემია.

5.7. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მურმან ცარციძე

2. ნათელა ლაცაბიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

შრომით ემიგრაციის თავისებურებები საქართველოში მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში. ISSN 2449-2523;

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნალი „მიგრაცია“, N10, თბილისი 2021წ. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიგრაციის კვლევის ცენტრი;

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ქ. თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

15 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისის პირობებში, როდესაც გართულდა ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, კიდევ მეტი აქტუალურობა შეიძინა მიგრაციული პროცესების, კონკრეტულად კი შრომით ემიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევამ. შრომითი ემიგრაცია გლობალური ხასიათის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა და საქართველოსათვის უკვე რამდენიმე ათეული წელია მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა. მიგრაციისადმი მიძღვნილ სამეცნიერო პუბლიკაციებში, ყოველთვის ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ შრომითი ემიგრაციის მაღალ დონესა და მასშტაბებს ნეგატიური შედეგების გარდა, ქვეყნის ეკონომიკაზე გარკვეული დადებითი ზეგავლენაც აქვს, რაც პირველ რიგში აისახება მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონეზე, სიღარიბის სიღრმესა და მასშტაბებზე.

ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოში შრომითი ემიგრაციის თავისებურებები, გამომწვევი მიზეზები და მასზე მოქმედი ფაქტორები - მიმდინარე გლობალური პანდემიის პირობებში. კვლევის შედეგად გამოკვეთილია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე ასტიმულირებენ შრომითი ემიგრაციის მასშტაბების ზრდას. შეფასებულია აღნიშნული მოვლენის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ნაშრომში ჩამოყალიბებულია ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაციაც უახლოეს პერიოდში ხელს შეუწყობს მიგრაციული პროცესების ეფექტიან რეგულირებას, შრომითი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და საბოლოო ჯამში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ასისტენტ პროფესორი მარინა ტაბატაძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. მარინა ტაბატაძე

2. ანნა თანდილაშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. ეკონომიკის პოსტპანდემიური რეაბილიტაციის პროგნოზები.

e-ISSN: 2414-6404 DOI: 10.31435/rsglobal_ws

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. World Science, International Scientific Journal, სტატიამ გაიარა რეზენზირება და მიღებულია ჟურნალის მომდევლო ნომერში დასაბეჭდად (N73)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. გამომცემლობა RS Global Sp. z O.O., პოლონეთი

5) გვერდების რაოდენობა

1. 12

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თანამედროვე პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკი უპრეცედენტოა თავისი მასშტაბითდა ძნელად პროგნოზირებადობით, რის გამოც,არ არსებობსყველა მთავრობის და ექსპერტისათვის მისაღები კრიზისის მართვის ერთიანი უნიფიცირებული მოდელი, ამასთან, მსოფლიოში შემუშავებულია მრავალი ანტიკრიზისული სცენარი, რომლებიც სხვადასხვა სივრცობრივ-დარგობრივსეგმენტში პანდემიური კრიზისის გეგმიურმართვაზეაგათვლილი.

კოვიდ-კრიზისის არასტანდარტულმა ხასიათმა საწყის ეტაპზე მნიშვნელოვნადგაართულა მისი ეფექტიანი მართვა. უცნობი ეტიმოლოგიის კრიზისმა პროცესების პროგნოზირებას შეუშალა ხელი, არაეკონომიკური ხასიათის კრიზზისწარმომქმნელმა ფაქტორებმა გაართულა კრიზისის მოსალოდნელი შედეგების, მოხმარების სტანდარტული მასშტაბის და, შესაბამისად, ეკონომიკის აღდგენისვადების განსაზღვრა. ეს პროცესები უშუალოდ ქვეყნის ეკონომიკის პოსტპანდემიური რეაბილიტაციის წარმატებასთან ერთად, მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ზოგადად, გლობალური ეკონომიკის სიცოცხლის უნარიანობაზე და მსოფლიო სასაქონლო თუ ფინანსურ ბაზრებზე კრიზისისრეციდივების დაძლევაზე. სწორედ, პრობლემის გლობალური ხასიათია მისი სიმწვავის და პოსტკრიზისული პროცესებისრთული პროგნოზირების მიზეზი.

თანამედროვე კრიზისის დიდი მასშტაბებიდან გამომდინარეობს მისი კვლევების ერთობლივი განხორციელების, ქვეყნების აქტიური თანამშრომლობის, სამედიცინო და ეკონომიკური კვლევების ურთიერთკოორდინირებული განხორციელების აუცილებლობა. თანამედროვე კრიზისის სამედიცინო და სოციალურ-ეკონომიკური მხარეების კომბინირებული მართვა, სხვადასხვა ქვეყნის ანტიკრიზისული გეგმების ურთიერთგანპირობებული, კომპლექსური შემუშავებაპროცესების ეფექტური მართვის გადამწყვეტი წინაპირობაა.

კრიზისიდან გამოსვლის სახელმწიფო პლატფორმები ეფექტიან რეფორმირებას დაშედეგების სწორპროგნოზირებას უნდა ემყარებოდეს, ანტიკრიზისულმა სტრატეგიამ ეკონომიკური უსაფრთხოება, განვითარების პროცესის დაჩქარება, ცხოვრების დონისსტაბილიზაცია და სოციალური დაძაბულობის შენელება უნდა უზრუნველყოს,სახელმწიფომ ბიზნესის მხარდაჭერაზე, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე უნდაიზრუნოს.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო სექტორის და მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა ,ეკონომიკური თავისუფლების, შრომისა და კაპიტალის ეფექტიანი განაწილების უზრუნველყოფა და სხვა.

სახელმწიფოს ანტიკრიზისული პროგრამა კრიზისების პრევენციის სტრატეგიის პრინციპებს და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს უნდა შეესაბამებოდე. მასში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები და კრიზისის მართვისმექანიზმები მიმდინარე პროცესების სპეციფიკიდან და ეკონომიკის სტაბილური განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე უნდა ტრანსფორმირდეს.ანტიკრიზისული გეგმა თანამედროვე განვითარების პროცესებში საზოგადოების როლს და მის მენტალურ ცვლილებებს უნდა ასახავდეს კრიზისის პირობებში.

2021 წელს მსოფლიო კრიზისების მართვიდან, ეკონომიკის აღდგენის სტრატეგიაზე გადავიდა, ამ მიზნითშედგა ევროკავშირისბიუჯეტის 2021 – 2027 წწ. გრძელვადიანი გეგმა, შემუშავდა

სხვადასხვა სახელმწიფო პლატფორმა, მ.შ. "EU for Health", - "ევროკავშირი ჯანმრთელობისთვის" - /"შემდეგი თაობის ევროკავშირი"/, გრძელდება „მწვანე ეკონომიკის“ და „ციფრული დღის წესრიგის“პროგრამები, COVID-19-ზე ქვეყნების კოორდინირებული ეკონომიკური რეაგირებისათვის 2020 წელს ძალაში შევიდა სპეციალური კომუნიკე, - „დროებითი სახელმწიფო დახმარების ჩარჩო“, რომელიც ითვალისწინებს კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სამეცნიერო კლევების დაფინანებას დაეკონომიკის აღმავლობის პროგრამების ფინანსურ უზრუნველყოფას. „დროებითი სახელმწიფო დახმარების ჩარჩო“ემსახურება ლიკვიდური სახსრებით ბიზნეს-სექტორის სათანადო დაფინანსებას და ამ გზით, კრიზისულ და პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის განვითარებისუწყვეტობის უზრუნველყოფას.

სტატიაში განხილულია ეკონომიკის აღდგენისა და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების სტაბილიზაციისსაერთაშორისო პროგრამები, მსოფლიო ტენდენციებთან ერთად შესწავლილია პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური ვარდნის, სტრუქტურული ტრანსფორმაციის და სოციალური გარემოს ცვლილების ძირითადი პროცესები საქართველოში, კრიზისის მართვის სახელისუფლებო გადაწყვეტილებების საპროგნოზო შედეგები და ეკონომიკის სტაბილიზაციის გეგმებიჩვენს ქვეყანაში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **მარინა ტაბატაძე**
2. ანნა თანდილაშვილი

2) მოხსენების სათაური

1. **ევროკავშირის ანტიკრიზისული სტრატეგია გლობალური პანდემიის პირობებში**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები”, 28-29 მაისი, 2021 წელი, თბილისი
2. https://gtu.ge/Science/Conference/16795/
3. შრომების კრებული - file:///C:/Users/TANDILASHVILI/Downloads/1%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%205-2021%20(1).pdf

სხვა მნიშვნელოვანი აქტივობა

1. 2021 წელს ვიყავი სსიპ **შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტი;**
2. 2021 წლის ნოემბერში წარმატებით გავიარე **მეცნიერებისა და კვლევის ევროპული აკადემიის** მიერ ავტორიზირებული კურსი კვლევის მეთოდებში. რვასაათიანი კურსი შედგება ოთხი მოდულისაგან და მისი დასრულების შემდეგ მომენიჭა სერტიფიკატი /ბონი, გერმანია/;

3. ვებინარი „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შესაძლებლობები მკვლევარებისათვის“, თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი https://www.surveymonkey.com/r/P3MCX6Q, 25.01.2021.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომეტრიკის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: პროფესორი ***იური ანანიაშვილი***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი აკაკი არსენაშვილი
ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე
ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი
ასისტენტ-პროფესორი ლია თოთლაძე

პროფესორი იური ანანიაშვილი

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. იური ანანიაშვილი, ნათია მაწიაშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტების შეფასება გამოთვლადი საერთო წონასწორობის მოდელის გამოყენებით (საქართველოს მაგალითზე),
https://doi.org/10.35945/gb.2021.12.018

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. გლობალიზაცია და ბიზნესი #12, 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ევროპის უნივერსიტეტი

5) გვერდების რაოდენობა

133-142, ათი გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში წარმოდგენილი შედეგები გარკვეულად იმ კვლევების გაგრძელებაა, რომლებიც სხვა ავტორების მიერ საქართველოს ეკონომიკისთვის განხორციელდა CGE მოდელების გამოყენებით. ჩვენი კვლევის ძირითადი ინსტრუმენტი ეფუძება ჰოსოეს (Hosoe, 2004) მიერ მცირე ღია ეკონომიკის თავისებურებებზე მორგებულ სტანდარტულ მოდელს და წარმოადგენს მის გარკვეულ მოდიფიკაციას. მოდელში პროდუქტების საწარმოებლად გამოიყენება ორი საწარმოო ფაქტორი: შრომა და კაპიტალი. გამოყოფილია ოთხი ტიპის პროდუქტი და საწარმოო საქმიანობა: სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა და მომსახურება. საჭირო დაშვებებისა და შეზღუდვების გათვალისწინების შემდეგ ჩვენს მიერ ფორმალიზებულმა მოდელმა მიიღო 99 განტოლებისაგან და ამდენივე ენდოგენური ცვლადისაგან შემდგარი სისტემის სახე. ამ განტოლებებიდან 36 შეესაბამება სამამულო წარმოების თავისებურებების აღწერას; 13 აღწერს მთავრობის ქცევას; 4 საინვესტიციო მოთხოვნის ფუნქციის

დახასიათებისთვის გამოიყენება; დანარჩენი 46 განტოლება კი მთავრობის, შინამეურნეობებისა და საგარეო სექტორის ქცევის თავისებურებებს ასახავს.

ჩვენი კვლევისათვის სპეციალურად შედგენილი სოციალური აღრიცხვის მატრიცა საქართველოს ეკონომიკას წარმოგვიდგენს 2019 წლის მდგომარებით. მის ასაგებად ვისარგებლეთ ინფორმაციით, რომელსაც შეიცავს საქსტატის რესურსებისა და გამოყენების ცხრილები, ეროვნული ანგარიშების ცალკეული აგრეგატული მაჩვენებლები, საგადასახდელო ბალანსი, ნაერთი ბიუჯეტი და სამუშაო ძალის გამოკვლევის მონაცემები.

CGE მოდელის პარამეტრების კალიბრაცია მოვახდინეთ სოციალური აღრიცხვის მატრიცაზე დაყრდნობით. ამ მიზნით საბაზისოდ განვიხილეთ 2019 წელი და დავუშვით, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ეკონომიკა იმყოფებოდა წონასწორობაში. პროდუქტებისა და საწარმოო ფაქტორებისათვის საჭირო ზომის ერთეულის შემოსაღებად საწყისი საბაზისო წონასწორობის თითოეული ფასის მნიშვნელობა ერთს გავუტოლეთ.

შეფასებული მოდელის გამოყენებით საქართველოს ეკონომიკისთვის გავათამაშეთ სამი სცენარი იმის გასარკვევად თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა სხვა თანაბარ პირობებში ეკონომიკური პოლიტიკით გათვალისწინებულ კონკრეტულ ცვლილებებს. პირველი სცენარის მიხედვით ვიხილავთ შემთვევას, როცა ეკონომიკის საწყისი წონასწორობა განისაზღვრება 2019 წლის მდგომარეობით და არაპირდაპირი გადასახადების განაკვეთის შემცირება ხდება 10%-ით. მეორე სცენარში დავუშვით, რომ სხვა თანაბარ პირობებში ადგილი აქვს ლარის დოლართან მიმართებით 15%-იან გაუფასურებას და ვიხილავთ ამ მოვლენის მოსალოდნელ შედეგებს. დაბოლოს, მესამე სცენარში ექსპორტის წახალისების მოსალოდნელი ეფექტის განსაზღვრის მიზნით ვიხილავთ შემთხვევას, როცა სხვა თანაბარ პირობებში მისი მუცულობა გაიზრდება 20%-ით.

ასოცირებული პროფესორი ნინო მიქიაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. კარმოვსკა გ., მიქიაშვილი ნ.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობის და ტრანსფორმაციის ზოგიერთი ასპექტი https://doi.org/10.35945/gb.2021.11.004

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. გლობალიზაცია და ბიზნესი, 11

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი

5) გვერდების რაოდენობა

1. 35-42

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეკონომიკურ სისტემაში ყველაზე გამორჩეული ძვრები გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო, ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის პროცესი აღმოჩნდა. მან გარკვეული გავლენა მოახდინა ქვეყნების ჯგუფზე, რომლებსაც მოუწიათ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკის გარდაქმნა საბაზრო ეკონომიკაში. ამრიგად, არსებობდა გარდაუვალი აუცილებლობა მომხდარიყო მაკროეკონომიკური პოლიტიკის კორექტირება და მაკროეკონომიკური რეგულირების შესაბამისი მექანიზმის ამოქმედება. ამ ნაშრომის მიზანია აღწეროს და გაანალიზოს ის სირთულეები, პრობლემები და გამოწვევები, რომელიც მოხდა ბოლო ათწლეულების განმავლობაში. ყურადღება გამახვილებულია მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და მთავრობის როლზე ქვეყნის მდგრადი განვითარების კუთხით, პოლონეთისა და საქართველოს მაგალითზე. ნაშრომი ხაზგასმულია მაკროეკონომიკური სტაბილურობის მნიშვნელობაზე პოლონეთისა და საქართველოს ეკონომიკებისთვის. ნაშრომში აღწერილია არსებული ამ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და მათი განვითარების მოკლევადიანი პერსპექტივები ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსისა და კანონის უზენაესობის ინდექსის მიხედვით, რათა დადგინდეს სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ფუნქციების რეალიზაციის ხარისხი. კერძოდ, საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესება და ა.შ. მაკროეკონომიკური სტაბილურობის ასპექტები და ტრანსფორმაცია განიხილება ასევე იმ თვალსაზრისით, რომ პოლონეთი ევროკავშირის წევრია და საქართველო კი ცდილობს გახდეს მისი წევრი.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მიქიაშვილი ნ.

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ეკონომეტრიკული მეცნიერების განვითარების ზოგიერთი ასპექტი, ISBN 978-9941-491-35-1

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. VI საერთაშორისო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცელობა

5) გვერდების რაოდენობა

1. 232-236

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მიქიაშვილი ნ.

2) მოხსენების სათაური

1. ეკონომეტრიკული მეცნიერების განვითარების ზოგიერთი ასპექტი, ISBN 978-9941-491-35-1

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 5 ნოემბერი, თბილისი

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მიქიაშვილი ნ.

2. მიქიაშვილი ნ., ჩოხელი ე., ტიკიშვილი მ., ნიჟარაძე დ., დავითაია შ., მაჩიტიძე მ., ქეშელაშვილი გ., ჯიბუტი მ.

2) მოხსენების სათაური

1. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ასპექტები და ზოგიერთი სოციალ-ეკონომიკური ინდიკატორი (საქართველოს მაგალითზე)

2. სამეცნიერო კვლევების გლობალური და ლოკალური პრობლემები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 28-29 ივლისი, იურმალა, ლატვია (ვირტუალური ფორმატი)

2. 28-29 ივლისი, იურმალა, ლატვია (ვირტუალური ფორმატი)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1, განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა ეკონომიკის სამომხმარებლო მოდელია. სამწუხაროდ, ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა. ჩვეულებრივ, მიმართულია მოხმარების სტიმულირებისკენ და არა პროდუქტიულობის ზრდისკენ. განვითარებული რეალური სექტორის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის ჩამოყალიბება სტაბილური მაკროეკონომიკით. ნაშრომი მიზნად ისახავს აღწეროს და გაანალიზოს სირთულეები, პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც წარმოიშვა მცირე ღია განვითარებად ქვეყნებში. ყურადღება გამახვილებულია მაკროეკონომიკური სტაბილურობის საკითხებზე. ნაშრომში აღწერილია არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და მისი მოკლევადიანი პერსპექტივები ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის, გლობალური ინოვაციის ინდექსისა და სოციალური პროგრესის ინდექსის გამოყენებით. ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსით დგინდება საშუალო მოქალაქის ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო გლობალური ინოვაციის ინდექსი არის ქვეყნების ყოველწლიური რეიტინგი ინოვაციებისა და სოციალური პროგრესის ინდექსის მიხედვით, რაც აღწერს იმას, თუ რამდენად უზრუნველყოფენ ქვეყნები სოციალურ დაცვას და მოქალაქეების გარემოსდაცვით საჭიროებებს. ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის ერთ-ერთი კომპონენტია უმუშევრობის დონეებზე ფოკუსირება. ინოვაცია მნიშვნელოვანია ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობისთვის. მიზანმიმართულმა საინოვაციო პოლიტიკა ამცირებს უმუშევრობის დონეს, მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას და აუმჯობესებს სოციალურ უსაფრთხოებას. რეგრესიის განტოლება იდენტიფიცირებულია ტესტის ცვლადების შესაბამისად.

2. მეცნიერება ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას და კეთილდღეობას. სამეცნიერო კვლევების მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი ეფექტი დიდწილად განსაზღვრავს არა ერთი ქვეყნის, არამედ კაცობრიობის პერსპექტივებს. სამეცნიერო საქმიანობა დიდ გონებრივ, სულიერ და ფიზიკურ ძალისხმევას მოითხოვს. მას სჭირდება ორგანიზაციული, მატერიალური, ინსტიტუციური მხარდაჭერა. სამუშაო ჯგუფმა განიხილა სამეცნიერო

კვლევების პრობლემები, რომლებიც აღიქმება როგორც დაბრკოლება ინდივიდუალურ და ჯგუფურ დონეზე: სამეცნიერო სფეროში კონკურენცია, პოლიტიკური და სოციალური ასპექტები, ბიუროკრატიული ბარიერები, ფინანსური უსაფრთხოება, სამეცნიერო კვლევის შედეგის დადგენის კრიტერიუმები, პლაგიატი, რეცენზირება და ა.შ. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სამეცნიერო კვლევების დაფინანსებასა და სამეცნიერო შედეგების შეფასების კრიტერიუმებზე. მცირე განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შეზღუდული რესურსების გამო უჭირთ ფუნდამენტური ან გამოყენებითი კვლევის სტაბილური დაფინანსების უზრუნველყოფა, ამიტომ კვლევისთვის საჭირო პირობები ხშირად უზრუნველყოფილია ეროვნული ან საერთაშორისო ორგანიზაციების საგრანტო სისტემის მეშვეობით. სამეცნიერო დაწესებულებების საუნივერსიტეტო სივრცესთან გაერთიანებამ ახალი რეალობა მოუტანა როგორც სამეცნიერო ინსტიტუტების, ისე უნივერსიტეტების ხელმძღვანელობასა და პერსონალს. გაანალიზდა მიმდინარე პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები. რაც შეეხება მეცნიერების სფეროში მოღვაწე ადამიანების შედეგების შეფასებას, ის ასევე პრობლემურია, რადგან რაოდენობრივი ფაქტორები (გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა, მოგებული გრანტების რაოდენობა და ა.შ.) ზოგ შემთხვევაში სათანადოდ არ ასახავს მეცნიერის წვლილს. (მეცნიერება) ამა თუ იმ სამეცნიერო დარგში. გარდა ამისა, სწორედ სამეცნიერო კვლევის შედეგებმა უნდა განსაზღვროს მეცნიერის სტატუსი და ასპარეზი. პროფესორების მრავალწლიანი გამოცდილება და დოქტორანტების რამდენიმეწლიანი გამოცდილება გამოიწვევს სამეცნიერო კვლევის შედეგების შეფასების გაუმჯობესებას. სამუშაო შეხვედრის ჯგუფში განხილული საკითხები და გამოტანილი დასკვნები საინტერესო უნდა იყოს სამეცნიერო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით მცირე ეკონომიკის ქვეყნებში მომუშავე მეცნიერებისთვის.

ასოცირებული პროფესორი ლია თოთლაძე

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1) **პროექტი წარდგნილია მიმდინარე წლის კონკურსში, გაიარა კონკურსის პირველი ეტაპი**

პროექტის დასახელება - *„ციფრული ტრანსფორმაციის გავლენა ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში“*

სამეცნიერო მიმართულება - **სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები**

ქვე-მიმართულება - **ეკონომიკა, ფინანსები, მენეჯმენტი**

საიდენტიფიკაციო კოდი - **FR-21-10544**

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2022-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ლია თოთლაძე -- პროექტის ხელმძღვანელი.

რამაზ აბესაძე - კოორდინატორი

მამუკა ხუსკივაძე -- მკვლევარი

თეა ლაზარაშვილი - მკვლევარი

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

ლია თოთლაძე

2) მოხსენების სათაური

„ციფრული ტრანფორმაციის შრომასა და შრომის ბაზარზე ზეგავლენის საკითხისათვის“

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოვწევები“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

თბილისი

გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“ მასალათა კრებულში, ISBN 978-9941-491-53-5

ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1) Economic Growth of Georgia and Social Problems. Globalization and Busines. 12, 152-154. **https://doi.org/10.35945/gb.2021.12.020** JEL Classifications: O4, O11, O40, I3,I30

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #12, 2021წელი, ISSN 2449-2396 (ბეჭდური), E ISSN 2449-2612 (ონლაინ) 2449- SN

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი. გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, ევროპის უნივერსიტეტი.

5) გვერდების რაოდენობა

1. გვერდები 140-143, 4 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ნაშრომში განხილულია ეკონომიკური ზრდის მოდელი, რომელშიც შრომასა და კაპიტალთან ერთად ჩართულია ინტენსიფიკაციის ისეთი ფაქტორები როგორიცაა სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ორგანიზაციული პოტენციალები. საქართველოს ეკონომიკისათვის შევეცადეთ მთლიანი ეროვნულია პროდუქტის (მეპ) ზრდა აგვეხსნა როგორც ექსტენსიური ფაქტორების - შრომის და კაპიტალის, ასევე ინტენსიური ფაქტორების - სამეცნიერო-

საგანმანათლებლო და ორგანიზაციული პოტენციალების კომპონენტების მოქმედებით, რომლებიც წარმოების ფაქტორების უკუგებას სახეს უცვლიან. მიდგომის თავისებურება ისაა, რომ საწარმოო ფუნქციის პარამეტრები შეფასებულია საბაზისო პერიოდის ყოველ ხუთწლეულში, ხოლო შემდეგ ამ პარამეტრების დინამიკა ინტენსიფიკაციის შესაბამისი ფაქტორების ზრდით იქნა ახსნილი. საწარმოო ფუნქციის ელასტიკურობის პარამეტრები ფაქტორების მიხედვით შეპირისპირებული იქნა შესაბამის ხვედრითი პოტენციალების მნიშვნელობებთან. გამოვლინდა არაწრფივი კორელაციური კავშირი მათ შორის. შედეგად მივიღეთ საწარმოო ფუნქცია ტექნოლოგიური პროგრესის ეკონომიკურ ზრდაზე სამმხრივი ზემოქმედებით, რომელიც გამოყენებული იქნა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დინამიკური მოდელის ასაგებად.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

1. ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე

2. ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე

2)სტატიის სათაური, ISSN

1. ინფორმაციის ეკონომიკა ISBN 978-9941-491-53-5 UDC(უაკ) 338(47+57)33(479.22)(063)პ-645

2. გრძელვადიანი განვითარების ეკონომიკური პრობლემები ISBN 978-9941-491-35-1

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. პროფ. ალფრედ კურატაშვილის დაბადებიდან მე-80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“ მასალების კრებული. თბილისი 3-4 ივლისი, 2021.

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ჩატარებული VI საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული. 2021 წლის 5 ნოემბერი, თბილისი

4)გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი 2021, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

2. 5 ნოემბერი, 2021 თბილისი, თსუ გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

1. გვერდები 442- 447, 6 გვერდი

2. გვერდები 481- 489, 9 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. ნაშრომში განხილულია საბაზრო მოდელებში ასიმეტრიული ინფორმაციის არსებობის დროს წარმოშობილი რამდენიმე საკითხი, რომელთაც შეუძლიათ იდეალურ ინფორმირებულობის მდგომარეობასთან შედარებით ბაზარი არაეფექტური გახადონ. გონივრულად შედგენილი კონტრაქტების მეშვეობით დაკარგული მოგების დაბრუნება არის შესაძლებელი. კერძოდ, კონტრაქტი შეიძლება გაფართოვდეს დამატებითი პუნქტებით, რომელთა შესრულება არათანაბარი ინფორმირებულობით გამოწვეული დანაკარგების კომპენსირებას მოახდენს.

გაურკვეველ სიტუაციებში ქცევის მოდელირების ყველაზე გავრცელებული გზა იმის დაშვებაა, რომ ინდივიდები საკუთარი ქცევების მოსალოდნელი სარგებლიანობის მაქსიმიზაციას ცდილობენ. რისკის მოყვარული ინდივიდები თავს დაიზღვევენ გაურკვევლობისაგან თუ სადაზღვევო პრემია აქტუარული გათვლების მიხედვით სამართლიანი არ არის, ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ მეტი გადაიხადონ რისკის თავიდან ასაცილებლად. ინფორმაცია ყველაზე ღირებული მაშინაა, როცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინდივიდს მანევრირების საშუალება აქვს. უფრო რთული კონტრაქტები, ვიდრე პროდუქტის ერთეულზე ფიქსირებული ფასია, შეიძლება გამოყენებული იქნეს მხარეების არათანაბარი ინფორმირებულობის შემთხვევაში. ასეთი კონტრაქტების არსებობის დროს განხილული უნდა იქნეს მხარეთა ინფორმირებულობა კონტრაქტზე ხელის მოწერამდე და იმ პირობებში, როცა კონტრაქტის მოქმედების პროცესზე თვალყურის მიდევნება შეუძლებელია.

2. გრძელვადიანი განვითარების თეორია და პრაქტიკა თანამედროვე ეკონომიკის საკვანძო საკითხია. საზოგადოების მიღწეული მიერ ცოდნის დონე პრინციპული საზღვარია ეკონომიკის ახლანდელ მდგომარეობას და მომავალს შორის და ამავე დროს ხიდია მათ შორის. სანამ საკმარისი ცოდნა არ არის, მომავალი მეტწილად განუსაზღვრელია, საჭიროა ხიდის მშენებლობა - ცოდნის გაღრმავება. საზოგადოების პრაქტიკული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ მოხდება ახალ განზომილებაში გადასვლა: სულიერ ინტერესებსა და შემოქმედებით პრობლემებზე ძალისხმევის გადატანა. სოციალური კანონზომიერება იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება გაცილებით გვიან მოახდენს იმის რეალიზაციას, რაც მისი ცალკეული ინდივიდების მიერ უკვე არის განხორციელებული. რეალური მიდგომა უნდა შედგებოდეს, პირველი, წინააღმდეგობის გარეშე უნდა მოვახდინოთ იმ ეკონომიკური პროცესების ფორმალიზაცია, რომელიც სახეზეა და შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრაქტიკული დაგეგმვის საწყის წერტილად. მეორე, შეიქმნას პირობები კვლევების პროგრესისათვის შესაბამის სფეროებში. დროის ყოველ მომენტში საზოგადოებამ ასე თუ ისე უნდა იცოდეს ეკონომიკური პროგრესის რეალური მიზანი და მისი მიღწევის არსებული შესაძლებლობები, და ყოველთვის ითვალისწინებდეს რა ამ წარმოდგენების შეზღუდულობას, უფრო სრულყოფილი კვლევების სტიმულირებას უნდა ახდენდეს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე

2. ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯულაყიძე

2) მოხსენების სათაური

1. ინფორმაციის ეკონომიკა

2. გრძელვადიანი განვითარების ეკონომიკური პრობლემები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. პროფ. ალფრედ კურატაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინკონფერენცია „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“. 2021 წლის 11 დეკემბერი, თბილისი

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ ჩატარებული VI საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. 2021 წლის 5 ნოემბერი, თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მოხსებების ანოტაციები იხილეთ ზემოთ შესაბამისი ფორუმის კრებულებში

1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა***
2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი სიმონ გელაშვილი***
3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე
ასოცირებული პროფესორი მაია მინდორაშვილი
ასოცირებული პროფესორი მარინა მუჩიაშვილი
ასოცირებული პროფესორი მაია გიორგობიანი
ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ჩიტალაძე
ასისტენტ-პროფესორი ლია ძებისაური

პროფესორი სიმონ გელაშვილი

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1)ავტორი/ავტორები

1. სიმონ გელაშვილი
2. მარინე მინდორაშვილი
3. ნინო აბესაძე
4. მარიამ ოქრუაშვილი
5.ნესტან ფანცულაია
6.ქრისტინე ქუცურუა

2) მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.COVID-19პანდემიის გავლენა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე
ISBN 978-99941-491-60-3

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. **თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა**

4) გვერდებისრაოდენობა

1. **183**

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევის ***„COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების***

სტანდარტზე“ *შედეგები, გაანგარიშებულია მრავალი სპეციფიკური სტატისტიკური და ხარისხობრივი მაჩვენებელი, გამოვლენილი და გაანალიზებულია ზოგადი და კონკრეტული ტენდენციები. პირველადი ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ანალიზი განხორციელდა სტატისტიკური კომპიუტერული პროგრამის - SPSS ფართოდ გამოყენებით. მონოგრაფიის ყოველ თავში მოცემულია მრავალი შედეგობრივი ცხრილი, გრაფიკი და დიაგრამა, რომლებშიც კომპაქტურად და ნათლად ჩანს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე სტუდენტებისა და მათი მშობლების განწყობები და შეხედულებები.*

2020 წლის დასაწყისიდან COVID-19 პანდემია, მეტ-ნაკლები მასშტაბით, გავრცელდა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში და მან მნიშვნელოვანი ზომით გაუთვალისწინებელი ნეგატიური გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, განსაკუთრებით ეკონომიკაზე და ადამიანთა სოციალურ ყოფაზე. შესაბამისად, უფრო გამწვავდა ქვეყნის დემოგრაფიული, ეკონომიკური, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მდგომარეობა. ყოველივე აღნიშნულს თან ერთვის საქართველოს მცირე და სუსტი ეკონომიკა და მეტად შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები. მსოფლიო ისტორიაში პირველად, მიმდინარე ლოკალური, რეგიონული თუ გლობალური ეკონომიკური კრიზისის მთავარი გამომწვევი ფაქტორი არა უშუალოდ ეკონომიკაში ან მის მართვაშია, არამედ განპირობებულია სხვა, მეტად ძლიერი ეგზოგენური ფაქტორის - COVID-19 პანდემიის ზემოქმედებით. ეს გავლენა მრავალმხრივია და კომპლექსურ რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას საჭიროებს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე კორონავირუსის პანდემიის გავლენის რაოდენობრივ და ხარისხობრივ კვლევას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ ანალოგიური კვლევა საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა. ასეთი კვლევის შედეგები კი ხელს შეუწყობს კონცეპტუალური და რეალური პოლიტიკის შემუშავებას, დასაბუთებული და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას (მათ შორის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში) ყველა იერარქიულ დონეზე, რასაც იმავდროულად პრევენციული ხასიათიც ექნება.

გამოკვლევისპროგრამა, მათშორისკითხვარი, საშუალებასიძლევათაობათაშეხედულებებისშედარებითიანალიზისსაფუძველზემოვახდინოთმ ოსახლეობისცხოვრებისსტანდარტისმაჩვენებლებისპრეპანდემიური, პანდემიურიდაპოსტპანდემიურიტენდენციებისგამოვლენადაშედარება, დავადგინოთმოსახლეობისშემოსავლებისადახარჯებისმოცულობისდიფერენცირებულიტენდე ნციები, გამოვავლინოთშემოსავლებისადახარჯებისსტრუქტურისსტრატიფიცირებულიტენდენციები, განვსაზღვროთმოსახლეობისცხოვრებისსტანდარტისმახასიათებელისპეციფიკურისტატისტიკ ურიმაჩვენებლებიდაგავიანგარიშოთსაშუალოვადიანიპროგნოზები.

ყოველივეზემოაღნიშნულიუზრუნველყოფსკვლევითიპროექტისმდგრადობას, რაცგანპირობებულიიქნებამიღებულითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისმრავალჯერადიგამ ოყენებისშესაძლებლობით, როგორცსამეცნიერო, ისეპრაქტიკული (მმართველობითი) მიზნებიდანგამომდინარე.

კვლევით მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, პროექტმა მიიღო შემდეგი სტრუქტურული სახე:

შესავალი

თავი I. მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე COVID-19-ის გავლენის სტატისტიკური შესწავლის პროგრამულ-მეთოდოლოგიური საკითხები

თავი II. მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკა პანდემიამდე და 2021 წლის გაზაფხულზე საქართველოში

თავი III. მოსახლეობის დანახარჯების სტატისტიკა პანდემიამდე და 2021 წლის გაზაფხულზე საქართველოში

თავი IV. სტუდენტებისა და მათი მშობლების დასაქმება პანდემიამდე და 2021 წლის გაზაფხულზე საქართველოში

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

დანართი

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. გელაშვილი სიმონი (სამეცნიერო რედაქტორი და თანაავტორი)

2. აბესაძე ნინო

3. მაისურაძე ირინე

4. თოდრაძე გოგიტა

5. ქინქლაძე რუსუდანი

6. ხმალაძე მერაბი

7. შავიშვილი პაატა

8. ჩარექიშვილი ლია

9. ჩიტალაძე ქეთევანი

10. წიკლაური შორენა

2)სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. **თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ელ. ვერსია)**

4) გვერდებისრაოდენობა

1. **341**

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები რეგიონულ ჭრილში, კერძოდ: ძირითადი ცნებები და კატეგორიები, დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის სპეციფიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები, კონკრეტული მეთოდები და მათი გამოყენების პირობები. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიებისა და კლასიფიკაციების განხილვას. სახელმძღვანელოს ყველა თემაში მოტანილი და გაანალიზებულია დიდი მოცულობის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საქართველოს ადმინისტრაციული და ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, რომელთა საფუძველზედაც

გაანგარიშებულია დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მრავალი სპეციფიკური მაჩვენებელი.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთათვის და ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.

*დღემდე არ არსებობს თანამედროვე საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების არც დემოგრაფიული და არც სოციალური სტატისტიკის სახელმძღვანელო, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის შესაბამის სფეროში როგორც სასწავლო, ისე კვლევითი პროცესების მაღალ დონეზე განსახორციელებლად. ამ ხარვეზის ნაწილობრივ აღმოფხვრას ემსახურება სწორედ წარმოდგენილი სახელმძღვანელო - **„საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა“,** რომელიც მოამზადა მეცნიერ-სტატისტიკოსების ჯგუფმა. სახელმძღვანელოში განხილულია სულ 9 თემა დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის თითქმის ყველა ძირითადი მიმართულებიდან. **პირველ თემაში - „საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის საგანი, მეთოდი და ამოცანები“** - განხილულიარეგიონული დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის ობიექტი, საგანი და მეთოდი, ასევე შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემა, მონაცემთა შეგროვების ფორმები, წესები, ხერხები; აქვე საინტერესოა საქართველოში დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მოკლე ისტორიის მიმოხილვაც.*

***მეორე თემა - „საქართველოსრეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის ტენდენციები“** - ეძღვნება საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების ტენდენციების განხილვას XIX საუკუნიდან დღემდე. ცალკე საკითხებადაა წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის - თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებები საბჭოთა პერიოდამდე, საბჭოთა პერიოდში და პოსტსაბჭოთა პერიოდში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს რეგიონებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით პატარა და დიდი სოფლების, ასევე გაუკაცრიელებული სოფლების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებების სტატისტიკა გრძელვადიან პერიოდში.*

***მესამე თემაში - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები“** - წარმოდგენილია ადმინისტრაციული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვითმოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები. აქვე განხილულია მოსახლეობის დაბერების სტატისტიკური შესწავლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები.*

***მეოთხე თემა - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მისი ცვლილების ტენდენციები“** - ეძღვნება საქართველოსთვის, როგორც ეთნიკური მრავალფეროვანი ქვეყნისთვის, ისეთ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ეთნიკური სტატისტიკის შესწავლის საგანი და ობიექტი, ეთნიკური სტატისტიკის წარმოება საქართველოში, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მშობლიური ენა რეგიონების მიხედვით. ცალ-ცალკეა წარმოდგენილი საქართველოში მცხოვრები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ეთნოსების - ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების რიცხოვნობის ცვლილებები.*

***მეხუთე თემაში - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი“** - განხილულია*

მოსახლეობისბუნებრივიმოძრაობისზოგადიკოეფიციენტები, გაანალიზებულია ასევე შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებისა და განქორწინების კერძოკოეფიციენტები და წარმოდგენილია რეგიონების მიხედვით მოსახლეობის ბუნებრივიმატების სტატისტიკური ანალიზი.

მეექვსე თემა - „რელიგიის სტატისტიკა საქართველოსრეგიონების მიხედვით“ *- ეძღვნება საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: აღმსარებლობის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით, რელიგიის სტატისტიკის წარმოება საქართველოში, ასევე აღმსარებლობის მიხედვით საქართველოში მცხოვრები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის - მართლმადიდებელი, მაჰმადიანური და სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მოსახლეობის სტატისტიკა.*

მეშვიდე თემაში - „განათლების სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით“ *- დახასიათებულია განათლების სისტემა თანამედროვე საქართველოში, გაანალიზებულია ასევე სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურების ოფიციალური სტატისტიკა და გაანგარიშებულია შესაბამისი მაჩვენებლები როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მისი რეგიონების მიხედვით.*

1. **პანდემია და დისტანციური სწავლება - პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხედულებების შედარებითი ანალიზი**

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. **ივანეჯავახიშვილისსახელობისთსუ-ს VI საერთაშორისოსამეცნიეროკონფერენცია „გლობალიზაციისგამოწვევებიეკონომიკასადაბიზნესში“2021წლის 5 ნოემბერი.**

7.2.უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

Merab Khmaladze, Maia Giorgobiani, Ketevan Chitaladze

2) მოხსენებისსათაური

Covid-19 and Living Standard of the Population of Georgia

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

10.11.2021. Kiev Vadim Hatman National University of Economics

ასისტენტ პროფესორი ლია ძებისაური

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. **Natalia Kharadze, Maia Giorgobiani, Tina Melkoshvili, Lia Dzebisauri, Dea Pirtskhalaishvili**

2) სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. **Effective strategies to manage the teacher intellectual work productivity in distance learning**
   ISSN: 2328-8272 (print) | ISSN: 2328-8280 (online)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **Journal of Eastern European and Central Asian Research (JEECAR), 8(4), 653-665.**

4) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. **https://doi.org/10.15549/jeecar.v8i4.840**

5) გვერდებისრაოდენობა

1. **13 (ცამეტი)**

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

2020 წელს Covid-19 პანდემიის შედეგად საქართველოში ამოქმედდა გარკვეული შეზღუდვები, რაც მნიშვნელოვნად შეეხო სასწავლო პროცესსაც და მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინერგა

დისტანციური სწავლება. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა როგორც სტუდენტებს, ისე მასწავლებლებს. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების სტუდენტები და ის მასწავლებლები, რომლებსაც არ გააჩნიათ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარები (ასაკობრივი ფაქტორის გათვალისწინებით), რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რამაც აპრიორში მოითხოვა სახელმწიფო პოლიტიკის გადახედვა და საჭირო ცვლილებების დაუყოვნებლივ განხორციელება. მასწავლებელთა ინტელექტუალური მუშაობის დაბალი პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად აფერხებს დისტანციური სწავლების წარმატებით განხორციელებას. ამ მცირე ხნის განმავლობაში არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა აღნიშნულ პრობლემატიკას.

სტატიის მიზანია ემპირიულად განსაზღვროს ინტელექტუალური მუშაობის პროდუქტიულობის მართვის ეფექტური სტრატეგიები დისტანციურ სწავლებაში, მაგალითად, უნივერსიტეტის მასწავლებლები საქართველოში. ექსპერტული შეფასების მეთოდების საფუძველზე, ინტეგრალური შეფასების მეთოდის გამოყენებით, გაანალიზდა საქართველოს სამი დიდი უნივერსიტეტის მასწავლებელთა ინტელექტუალური მუშაობის პროდუქტიულობის (TIWP) დონის შეფასების ინდიკატორები. ANOVA მეთოდის გამოყენებით დადგინდა ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მასწავლებელთა ინტელექტუალური მუშაობის პროდუქტიულობაზე დისტანციური სწავლების დროს. ჩვენ ვიყენებთ გადაწყვეტილების ხეს TIWP-ზე გავლენის ფაქტორების სისტემატიზაციისთვის და ეფექტური მართვის სტრატეგიების დასაბუთებისთვის, მასწავლებელთა კვალიფიკაციის, ასაკობრივი კატეგორიისა და კომპეტენციების გათვალისწინებით, რათა უზრუნველვყოთ დისტანციური სწავლების უწყვეტობა და ხარისხი. შედეგები იძლევა მოქნილობას, რათა დისტანციური სწავლების პირობებში TIWP-ის მართვის მიმართულებით განისაზღვროს ყველაზე ეფექტური მართვის სტრატეგიები, მასწავლებელთა მახასიათებლებისა და TIWP-ის განვითარების ამჟამინდელი დონის გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, უნივერსიტეტი, ინტელექტუალური მუშაობა, პროდუქტიულობა, მართვა, სტრატეგია, დისტანციური სწავლება

ასისტენტ-პროფესორი ქეთევან ჩიტალაძე

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. გელაშვილი სიმონი

2. აბესაძე ნინო

3. მაისურაძე ირინე

4. თოდრაძე გოგიტა

5. ქინქლაძე რუსუდანი

6. ხმალაძე მერაბი

7. შავიშვილი პაატა

8. ჩარექიშვილი ლია

9. ჩიტალაძე ქეთევანი (თანაავტორი)

10. წიკლაური შორენა

2)სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ელ. ვერსია)

4) გვერდებისრაოდენობა

1. 341

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები რეგიონულ ჭრილში, კერძოდ: ძირითადი ცნებები და კატეგორიები, დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის სპეციფიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები, კონკრეტული მეთოდები და მათი გამოყენების პირობები. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიებისა და კლასიფიკაციების განხილვას.

სახელმძღვანელოს ყველა თემაში მოტანილი და გაანალიზებულია დიდი მოცულობის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საქართველოს ადმინისტრაციული და ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, რომელთა საფუძველზედაც გაანგარიშებულია დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მრავალი სპეციფიკური მაჩვენებელი.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთათვის და ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.

*დღემდე არ არსებობს თანამედროვე საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების არც დემოგრაფიული და არც სოციალური სტატისტიკის სახელმძღვანელო, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის შესაბამის სფეროში როგორც სასწავლო, ისე კვლევითი პროცესების მაღალ დონეზე განსახორციელებლად. ამ ხარვეზის ნაწილობრივ აღმოფხვრას ემსახურება სწორედ წარმოდგენილი სახელმძღვანელო - **„საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა“,** რომელიც მოამზადა მეცნიერ-სტატისტიკოსების ჯგუფმა. სახელმძღვანელოში განხილულია სულ 9 თემა დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის თითქმის ყველა ძირითადი მიმართულებიდან. **პირველ თემაში - „საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის საგანი, მეთოდი და ამოცანები“** - განხილულიარეგიონული დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის ობიექტი, საგანი და მეთოდი, ასევე შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემა, მონაცემთა შეგროვების ფორმები, წესები, ხერხები; აქვე საინტერესოა საქართველოში დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მოკლე ისტორიის მიმოხილვაც.*

***მეორე თემა - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის ტენდენციები“** - ეძღვნება საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების ტენდენციების განხილვას XIX საუკუნიდან დღემდე. ცალკე საკითხებადაა წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის - თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებები საბჭოთა პერიოდამდე, საბჭოთა პერიოდში და პოსტსაბჭოთა პერიოდში. განსაკუთრებულ ინტერესს*

იწვევს საქართველოს რეგიონებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით პატარა და დიდი სოფლების, ასევე გაუკაცრიელებული სოფლების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებების სტატისტიკა გრძელვადიან პერიოდში.

მესამე თემაში - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები“ *- წარმოდგენილია ადმინისტრაციული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვითმოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები. აქვე განხილულია მოსახლეობის დაბერების სტატისტიკური შესწავლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები.*

მეოთხე თემა - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მისი ცვლილების ტენდენციები“ *- ეძღვნება საქართველოსთვის, როგორც ეთნიკური მრავალფეროვანი ქვეყნისთვის, ისეთ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: ეთნიკური სტატისტიკის შესწავლის საგანი და ობიექტი, ეთნიკური სტატისტიკის წარმოება საქართველოში, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მშობლიური ენა რეგიონების მიხედვით. ცალ-ცალკეა წარმოდგენილი საქართველოში მცხოვრები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ეთნოსების - ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების რიცხოვნობის ცვლილებები.*

მეხუთე თემაში - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი“ *- განხილულია მოსახლეობისბუნებრივიმოძრაობისზოგადიკოეფიციენტები, გაანალიზებულია ასევე შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებისა და განქორწინების კერძოკოეფიციენტები და წარმოდგენილია რეგიონების მიხედვით მოსახლეობის ბუნებრივიმატების სტატისტიკური ანალიზი.*

მეექვსე თემა - „რელიგიის სტატისტიკა საქართველოსრეგიონების მიხედვით“ *- ეძღვნება საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: აღმსარებლობის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით, რელიგიის სტატისტიკის წარმოება საქართველოში, ასევე აღმსარებლობის მიხედვით საქართველოში მცხოვრები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის - მართლმადიდებელი, მაჰმადიანური და სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მოსახლეობის სტატისტიკა.*

მეშვიდე თემაში - „განათლების სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით“ *- დახასიათებულია განათლების სისტემა თანამედროვე საქართველოში, გაანალიზებულია ასევე სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურების ოფიციალური სტატისტიკა და გაანგარიშებულია შესაბამისი მაჩვენებლები როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მისი რეგიონების მიხედვით.*

მერვე თემა - „საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით“ *- მოიცავს ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა: ჯანდაცვის სისტემა თანამედროვე საქართველოში, ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების ანალიზი და მისი გავლენა საქართველოს რეგიონების მოსახლეობაზე, ჯანდაცვის სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტები და ინდიკატორები, ჯანდაცვის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების წესები და მათი ანალიზი რეგიონულ ჭრილში. ამავე თემაში წარმოდგენილია თანამედროვე*

მსოფლიოს გლობალური პრობლემის - COVID-19 პანდემიის და მასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში.

მეცხრე თემაში - ,,დემო-სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს შორის კავშირის სტატისტიკური ანალიზი" *- განხილულია დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის ურთიერთკავშირის თავისებურებების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, წარმოდგენილია მოვლენათა ურთიერთკავშირის შესწავლის სტატისტიკური მეთოდები და მათი გამოყენების პრაქტიკა, მოცემულია კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები.*

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ***1. Nino Abesadze , Rusudan Kinkladze, Maia Giorgobiani,Natalia Robitashvili. Ketevan Chitaladze***

2) სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. **..The main challenges of cruise tourism and statistics of expectations in Georgia**.

https://doi.org/10.1051/matecconf/202133901006

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Collection of Scientific Articles of International ConferenceonSustainable Transport System and Maritime Logistics ISTSML 2021SHS Web of Conferences; Les Ulis, Vol. 92, (2021).

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. **June 24, 2021 Batumi Navigation Teaching University**

5) გვერდებისრაოდენობა

1. 7

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

ციფრული ტექნოლოგიებისა და ტრანსფორმაციების პარალელურად, საქართველოში ინტენსიურად ხდებოდა ტურიზმის ყველა სახეობის აღორძინება და განვითარება, COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ დაამუხრუჭა ტურიზმის რაოდენობრივი პარამეტრების სწრაფი ზრდის ტემპები, ხოლო შემდეგ ტურიზმი ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადაიყვანა, რის გამოც პარალიზებული აღმოჩნდა ტურიზმის ყველა სახეობა.

პანდემიის შემდეგ როგორი იქნება ტურიზმის განვითარების ძირითადი ინდიკატორების ტემპები ძნელი სათქმელია, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შეიძლება რომ მოლოდინები საქართველოში არსებობს და ისინი პოზიტიურია.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგედა საკრუიზო ტურიზმის წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მისი განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

სტატიაში განხილულია საკრუიზო ტურიზმის განვითარების მნიშვნელობა საქართველოში ტურიზმის აღორძინება განვითარებისათვის. დახასიათებულია საკრუიზო ტურიზმის პოტენციალი. მსოფლიოში არსებული ტენდენციების მიხედვით საკრუიზო ხაზების საერთაშორისო ასოციაციის 2020 წლის წლიური ანგარიშზე დაყრდნობით, გაანალიზებულია მსოფლიოში კრუიზების სტატისტიკა.

მიგვაჩნია, რომ ტურიზმის ბიზნესის მფლობელთათვის უნდა დაიწყოს საგანმანათლებლო პროექტები, უნდა მოხდეს თანამშრომლების გადამზადება, რათა მიეცეთ ზუსტი რეკომენდაციები საზღვაო კრუიზებისა და COVID-რეგულაციებთან დაკავშირებით,

ტურისტულ კომპანიებს საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიეცეთ დაბალპროცენტიანი სესხების აღების შესაძლებლობა; მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა ტურიზმის, მათ შორის საკრუიზო ტურიზმის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის;

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. Merab Khmaladze, Maia Giorgobiani, **Ketevan Chitaladze**

2. N.Paresashvili, N. Abesadze, R. Kinkladze, **K. Chitaladze,** T. Edzgveradze

3. Nino Paresashvili, Nanuli Okruashvili,**Ketevan Chitaladze**

2) სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. **Covid-19 and Living Standard of the Population of Georgia**

ISBN 978-966-926-392-6

2. **Georgian Labour Market during the Coronavirus Pandemic**

3. The Need For Cross-Cultural Competencies In A Multicultural Environment

ISBN: 978-84-09-27666-0

ISSN: 2340-1079

doi: 10.21125/inted.2021.2072

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **International Scientific and Practical Conference**

2. Globalization and its Socio-Economic Consequences 2020 7046

3. 15th International Technology, Education and Development Conference

4) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. **Kiev Vadim Hatman National University of EconomicsJournal**

2. SHS Web of Conferences

SHS Web of Conferences **92**, 07046 (2021)

Publisher

EDP Sciences

3. https://library.iated.org/view/PARESASHVILI2021NEE

5) გვერდებისრაოდენობა

1. 5

2. 9

3. 8

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

მეორე წელია კაცობრიობა ცხოვრობს თავისი მასშტაბით ისტორიაში არარსებული პანდემიის პირობებში. პანდემიის ყველაზე თვალშისაცემი უარყოფითი შედეგია მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა. ნაშრომში განხილულია საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობის დინამიკა 2019-2020 წლებში, დადგენილია მშპ-ს „ხილული“ და „რეალური“ დანაკარგები პანდემიის შედეგად. ცხოვრების დონის გაუარესებაში თავის როლს ასრულებს უმუშევრობის ზრდა. შესწავლილი და სტატისტიკურად დადგენილია პანდემიის

შედეგად საქართველოს მოსახლეობის მოკვდაობის საერთო დონის ზრდა და სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

სტატიაში გაანალიზებულია პანდემიის პირობებში საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობა და ასევე განხილულია სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მთელი რიგი საკითხები. არსებულივითარებიდანგამომდინარე, აუცილებელიაშეიქმნასინსტიტუტებიდამექანიზმები, რომლებიცსაბოლოოდუზრუნველყოფენროგორცსაჯარო, ისეკერძოსექტორებსმაღალკვალიფიციურიმუშახელით, გაზრდისორგანიზაციებისეფექტიანობასდაამავდროულადშეამცირებსუმუშევრობას. ვინაიდანშრომისბაზარზე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაგადამწყვეტადარისდამოკიდებულიუმაღლესიგანათლებისსისტემებზე, აუცილებელიასაგანმანათლებლოორგანიზაციებმამიიღონგადაწყვეტილებებიდაკონკრეტულ იქმედებებიგლობალურიგარემოსგამოწვევებისშესაბამისად. „საქართველო 2020“ სტრატეგიისერთ-ერთიმთავარიპრიორიტეტიადამიანურიკაპიტალისგანვითარებაა. რაც შეეხება მეთოდებს,სტატიაშიზემოაღნიშნულისაკითხებიგანხილულიასტატისტიკურიანალიზისსაფ უძველზე, რომელიცაღწერსგამოწვევებსთითქმისყველამიმართულებით. გამოვლინდაკორონავირუსისპანდემიისშედეგები. ძალიანსაინტერესოასაქართველოშიარსებულიწინადაპოსტპანდემიურიმდგომარეობისშედარ ება. გამოიკვეთა, რომ აუცილებელიამომზადდესტრენინგ-კურსებიდასპეციალისტებიშრომისბაზრისამჟამინდელიმოთხოვნებისშესაბამისად. ამასთან, სტატიაშიმოცემულიაკონკრეტულინაბიჯებიდარეკომენდაციები, რომლებიცუნდაგაითვალისწინოსსაქართველოსმთავრობამ.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

გლობალურგარემოშიმენეჯმენტისმთავარიამოცანააყურადღებისგადატანატრანსნაციონალურ დაკულტურულკომპეტენციებზე, რომლებიცმნიშვნელოვანროლსთამაშობენორგანიზაციებშიმრავალფეროვანისამუშაოძალისმარ თვაში.

კულტურულიცვლადებისსაფუძვლიანიცოდნამნიშვნელოვანიამენეჯერებისთვისმენეჯმენტის ფუნქციებისგანხორციელებისადაადმინისტრაციულიგადაწყვეტილებებისგანხორციელებისპრო ცესში. დღესმნიშვნელოვანპრობლემადიქცაიმისგარკვევა, თურამოთხოვნებსუყენებსთანამედროვეშრომისბაზარიკურსდამთავრებულთაახალთაობასდაპ ირიქით, ასევემნიშვნელოვანიაიმისდადგენა, თურასელიანსამუშაოსმაძიებლებისამუშაოსადაკარიერაში. მენეჯერებისთვისყველაზემნიშვნელოვანიამოცანააგაარკვიონ, რაზომებიუნდაიქნასმიღებულისამუშაოძალისერთიანიმიზნისადამოლოდინისქვეშგაერთიანებ ისთვის. ამიტომ, მენეჯერებმადიდიყურადღებაუნდამიაქციონორგანიზაციულკლიმატსდამისგანმსაზღვრელფაქ ტორებს.

აღსანიშნავიაისფაქტი,
რომთანამშრომლებისემოციებიდადამოკიდებულებებიმნიშვნელოვანგავლენასახდენსშრომითკ მაყოფილებაზე.
სამუშაოკმაყოფილებაგავლენასახდენსორგანიზაციულქცევებზედაშეუძლიამნიშვნელოვნადგან საზღვროსთანამშრომლისკეთილდღეობა. ესისსაკითხებია,
რაზეცუნდაგავამახვილოთყურადღებამომავალიმენეჯერებისმომზადებისპროცესში.
სამუშაოთიკმაყოფილებისდაემოციურიინტელექტისროლისგათვალისწინებით,
აღსანიშნავიაფსიქოლოგიურიფაქტორები,
რომლებიცგავლენასახდენენთანამშრომლებისქცევაზე. ასევემნიშვნელოვანია,
რომინდივიდუალურიგანსხვავებებისაკმაოდგანსხვავებულგავლენასმოახდენსსამუშაოკმაყოფი ლებისმოპოვებისპროცესზე.
იმისგათვალისწინებით,
რომმულტიკულტურულგარემოშიმაღალიშედეგებისმისაღწევადაუცილებელიასხვადასხვაბი ზნესკულტურის შესწავლისძირითადიმეთოდებისადამიდგომებისსაკმარისიცოდნა;
ასევეაუცილებელიაიმისდასაბუთება,
თურაგავლენასახდენსეროვნულიბიზნესკულტურაკორპორატიულკულტურაზედაორგანიზა ციისმართვისფუნქციებისშესრულებაზე;
უმაღლესიგანათლებისმიღებისპროცესშიაუცილებელიასხვაკულტურისწარმომადგენლებთა ნეფექტურიინტერკულტურულიკომუნიკაციისჩამოყალიბებადაგანვითარება.
სწავლებისპროცესიასევემიზნადისახავსმომავალიმენეჯერებისკულტურულიკომპეტენციისა დატოლერანტულიდამოკიდებულებისგანვითარებასსხვადასხვარელიგიისადამრწამსისადამ იანებისმიმართ.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - **ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,**
საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრა

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი – ***აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე
ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი
ასოცირებული პროფესორი მიხეილ თოქმაზიშვილი
ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი
ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე
ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე
ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი
ასოცირებული პროფესორი ლელა ჯამაგიძე
ასოცირებული პროფესორი ემზარ ჯგერენაია

1. საფაკულტეტო გრანტი
   1.1. ნილი, ლ., კემერონი, რ. (2016), A Concise Economic History of the World: *From Paleolithic Times to the Present*. Fifth Edition (მსოფლიოს მოკლე ეკონომიკური ისტორია: პალეოლითის ეპოქიდან დღევანდელობამდე/მეხუთე გამოცემა. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა). ინგლისურიდან ქართულად თარგმნის *მთავარი და სამეცნიერო რედაქტორი.* თსუ (ბეჭდვაში).
   1.2. ნილი, ლ. (2015). A Concise History of International Finance: From Babylon to Bernanke (საერთაშორისო ფინანსების მოკლე ისტორია: ბაბილონიდან ბერნანკემდე). კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა. ინგლისურიდან ქართულად თარგმნის *მთავარი და სამეცნიერო რედაქტორი.* თსუ (ბეჭდვაში).

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. **წიგნი**

1) სილაგაძე, ა. (2021. მერე გამოცემა). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა (2011-2030). გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი. 312 გვ. (თანაავტ.3).

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საქართველოს ბუნებრივი რესურსები, დემოგრაფიული სურათი, დასაქმება და უმუშევრობა, რეტროსპექტული და შედარებითი ანალიზი, მეწარმეობის დარგობრივი სტრუქტურა, ფინანსურ-საკრედიტო სექტორი, სოციალ-ეკონომიკური პროგრამა, უსაფრთხოება, როლი საერთაშორისო თანამეგობრობაში.

საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN 978-9941-479-94-9

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1.Silagadze, A. (2021). MANAGERIAL AND MARKETING THINKING IN LATE FEUDAL GEORGIA (მენეჯერული და მარკეტინგული აზროვნება გვიანფეოდალური ხანის საქართველოში). Vol 10, No 3 (2021). **C./A.-2** http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/1297

ანოტაცია სტატიაში გამოკვლეულია: მენეჯერულ-მარკეტინგული აზროვნებისა და პრაქტიკის განვითარება გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ხელოსანთა და ვაჭართა ამქრების მაგალითზე; ამქრების წესდებები, არჩევითობის პრინციპებზე დამყარებული მათი მართვის სისტემა - უსტაბაშის ხელმძღვანელობით., რომლებიც თანამედროვე გაგებით, წარმოადგენდნენ ამქრების მენეჯერებს - საამქროების მენეჯმენტის ორგანიზაციისა და კონტროლის განმახორციელებლებს; საამქროების მოტივაცია და მაღალი საზოგადოებრივი იმიჯისათვის მისწრაფება, მაღალხარისხიანი საქონლით მომხმარებელის დაინტერესების საკითხები და სხვ. მთლიანობაში, გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ამქრები თავიანთ საქმიანობას მენეჯერულ-მარკეტინგული მეთოდებით წარმართავდნენ, რომლებიც მომავალში თანდათანობით დაიხვეწა და განვითარდა.

1. Silagadze, A. Primary Negative Consequences of COVID-Depression in Transition Economies.(კოვიდ-დეპრესიის ნეგატიური შედგები გარდამავალ ეკონომიკებში). პოლონეთი, (ბეჭდვაში).

2. სილაგაძე, ა. *„კოვიდ-დეპრესია” და ახალი პარადიგმის ძიება. ჟ. მოამბე. (ბეჭდვაში). თ/ა.2.*

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი, საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია. საერთაშორისო ეკონომიკის სექციის ხელ-ლი . 05/06/11.2021. (ელექტრონული) .

2) IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია-საქართველოს პოსტპანდემიური ეკონომიკა: გამოწვევები, პრობლემები, გადაჭრის გზები. თსუ. 10.09. 2021 . საორგანიზაციო კომიტეტის თავრის მოადგილე. g.bedianashvili@eu.edu.ge . (ელექტრონული).

7.2.უცხოეთში

1) მოხსენების სათაური: Primary Negative Consequences of COVID-Depression in Transitional Economies .(კოვიდ-დეპრესიის ნეგატიური შედგები გარდამავალ ეკონომიკებში). 14-15/10.2021. **Maritime University of Szczecin. Faculty of Economics and Transport Engineering.** ul. Henryka Pobożnego 11. 70-507 Szczecin. sa-se21@am.szczecin.pl (პოლონეთი).

ასოცირებული პროფესორი თამაზ ზუბიაშვილი

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	შოთა ვეშაპიძე, თამაზ ზუბიაშვილი	About Population Growth and Global Problems **ISBN 978-9941-491-35-1**	გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. თსუ შრომების კრებული	თბილისი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მოსახლეობის ზრდა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციაა. მისი ზრდის ტემპი თანდათან მნიშვნელოვნად კლებულობს. შეიმჩნევა მოსახლეობის ზრდის ტემპების განსხვავებები განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის. განვითარებულ ქვეყნებში, ფერტილობის შემცირება და მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ზრდა მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციას და დაბერებას განაპირობებს. საერთაშორისო მიგრაცია ამ ქვეყნებში ხდება მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის მნიშვნელოვანი წყარო. მრავალ განვითარებად ქვეყანაში, შენარჩუნებულია მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპები.

მრავალ განვითარებად ქვეყანას რომლებსაც ნაკლებად შეუძლიათ დაძლიონ თანიანთი მოსახლეობის ზრდით გამოწვეული პრობლემები, რაც დაკავშირებულია ზრდადი მოსახლეობისთვის შემოსავლების სათანადო დონის, სასურსათო უსაფრთხოების, სამუშაოთი და ძირითადი სოციალური მომსახურეობით უზრუნველყოფასთან. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ბუნებრივი რესურსებით სათანადო მართვას, რომლებიც მრავალ განვითარებად ქვეყანაში ძველებურად უზრუნველყოფენ მოსახლეობის დიდი ნაწილის გადარჩენას.

საქართველომ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნების მსგავსად, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყანამ საგეგმო-ადმინისტრაციული სამეურნეო სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაიწყო, ღრმა ეკონომიკური კრიზისი განიცადა. ქვეყანაში ცხოვრების პირობები გაუარესდა, მოსახლეობის რიცხვი კი შემცირდა. მოსახლეობის ზრდა სიღარიბის, სასურსათო და ეკოლოგიური გლობალური პრობლემების წარმოშობის წინაპირობას ქმნის. აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად მნიშვნელოვანია საერთო ძალისხმევის გაძლიერება და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ინტერესების და მოთხოვნილებების გათვალისწინება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	თამაზ ზუბიაშვილი, ნინო ზუბიაშვილი	Population Aging – A Global Challenge ISSN: 2344-2174	ECOFORUM, Volume 10, Issue 2, 2021	რუმინეთი	7
2	ბაბულია მღებრიშვილი, თამაზ ზუბიაშვილი	Georgia's Trade Relations with CIS and EU Member States ISSN: 2344-2174	ECOFORUM, Volume 10, Issue 3, 2021	რუმინეთი	6
3	შოთა ვეშაპიძე, ქეთევან ჭიაბრიშვილი, თამაზ ზუბიაშვილი, გია ზოიძე	On the Relationship between Education and Economic Security ISSN: 2344-2174	ECOFORUM, Volume 10, Issue 3, 2021	რუმინეთი	5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. მსოფლიოს მოსახლეობა ბერდება — ხანდაზმულთა წილის ზრდა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში თითქმის ყველა ქვეყანაში შეინიშნება.

მოსახლეობის დაბერების პროცესი ოცდამეერთე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ტრანსფორმაცია. ეს აისახება საზოგადოების თითქმის ყველა სექტორში. დემოგრაფიული დაბერება გავლენას ახდენს შრომის და ფინანსურ ბაზრებზე, მოთხოვნაზე საქონელსა და მომსახურებაზე, როგორიცაა საცხოვრებელი, ტრანსპორტი და სოციალური დაცვა, ასევე ოჯახის სტრუქტურაზე და ურთიერთობებზე სხვადასხვა თაობის ადამიანებს შორის. ხანდაზმული პირები სულ უფრო მეტად განიხილებიან, როგორც

მონაწილეები განვითარების პროცესში, რომელთა მოქმედების უნარი საკუთარი თავისთვის და საზოგადოებისთვის უნდა იყოს ინტეგრირებული ყველა დონეზე პოლიტიკასა და პროგრამებში. უახლოეს ათწლეულებში ბევრი ქვეყანა სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების, პენსიებისა და სოციალური დაცვის სფეროებში.

მთელ მსოფლიოში მოსახლეობის დაბერების განუმეორებელი იმპულსი გახდება 21-ე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული პროცესი. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მუდმივი ცვლილებები მოითხოვს ახალ სოციალურ სენსიტიურობას და ინოვაციურ პოლიტიკას. დემოგრაფიული დაბერება გავლენას ახდენს ადამიანის ქცევის ფართო სპექტრზე და მკვლევარები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ დაბერების პროცესის მულტიდისციპლინური მიდგომების აუცილებლობას. ვინაიდან მოსახლეობის დაბერება იწვევს ბევრ განსხვავებულ შედეგს, ის უნდა გახდეს ინტერდისციპლინური კვლევების საგანი.

2. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა (დსთ) და ევროკავშირის ქვეყნებთან. ამ გზით ავტორები შეეცადნენ, ეჩვენებინათ, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და მისი განხორციელება ხელს არ უშლის საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებს დსთ-ს ქვეყნებთან და მათ შორის რუსეთთან. ეს დადასტურდა სავაჭრო ურთიერთობების ამსახველი ფაქტობრივი მაჩვენებლების ანალიზის შედეგებით. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ევროკავშირთან შეთანხმების გაფორმების შემდეგ, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები გაფართოვდა როგორც ევროკავშირის, ისე დსთ-ს ქვეყნებთან. მაგრამ, საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპები დსთ-ს ქვეყნებთან აღემატებოდა ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპებს. ავტორები სთვლიან, რომ ეს დსთ-ს ქვეყნებში ქართული პროდუქციის ცნობადობის მაღალი დონის შედეგია. ამასთან, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა შეესაბამება დსთ-ს ქვეყნების ბაზრების მოთხოვნებს. ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე ქართული პროდუქცია, დამოუკიდებელი საქართველოს სახელით, მხოლოდ ახლა იკვლევს გზას. მისი ცნობადობის დონე დაბალია. სტატიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის ბაზარზე, პროდუქციის ცნობადობის ასამაღლებლად, ქართულმა ბიზნესმა, პირველ რიგში, უნდა გამოიყენოს ყოფილი სოციალისტური სისტემის ქვეყნების ბაზრები. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ექსპორტისა და იმპორტის სტრატეგიების შემუშავებასა და სავაჭრო კადრების პროფესიონალიზმს.

3. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში განათლება ქმნის ყველაზე მყარ საფუძვლებს ინდივიდუალური და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, რაც სტაბილური და მდგრადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოს მნიშვნელოვან წინაპირობად იქცევა. საბაზრო ეკონომიკა უკეთესად ფუნქციონირებს, თუ არსებობს საყოველთაო კონკურენცია. ამას გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ეკონომიკურ საფრთხეებს, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხოების სხვა სექტორებთან. მნიშვნელოვანია, რომ განათლების სისტემამ დასახოს სტრატეგია ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ეფექტიანი რეალიზებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე თაობების მოსამზადებლად, ეროვნული ეკონომიკის ზრდის მიზნით.

ერთის მხრივ, პიროვნული უსაფრთხოების მყარად შეგრძნება საფუძველს უქმნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების გამართულად ფუნქციონირებას და ამით ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და ეროვნულ უსაფრთხოებას; თავის მხრივ, უსაფრთხოების მაღალი ეროვნული დონე მდგრადი პიროვნული უსაფრთხოების გარანტიებს ქმნის. სახელმწიფოებს და განათლებასთან დაკავშირებულ

უწყებებს უნდა ჰქონდეთ იმ გეგმების და პროცესების მკაფიო საზომები, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი პროექტების წარმატებით დანერგვას.

ეკონომიკური უსაფრთხოება შეიძლება განიხილებოდეს როგორც უმთავრესი ინდიკატორი სახელმწიფოს ზოგადი უსაფრთხოებისთვის. ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევით უსაფრთხოების სხვა დონეებიც უფრო ადვილად მიიღწევა. ქვეყანაში გარემოს უსაფრთხოება დიდწილადაა დამოკიდებული ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე. უსაფრთხოების ანალიზი ცალ-ცალკე ყველა სექტორში და მათი მნიშვნელობა ქვეყნის საერთო უსაფრთხოებისთვის გადამწყვეტია რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვისაც.

ასოცირებული პროფესორი ეკა სეფაშვილი

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათა-ური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ეკა სეფაშვილი	Focusing on Digitalization: Core for National Economic Policies to Compete Globally ISSN 2449-2396 (Print) | E ISSN 2449-2612 (Online)~	Globalization and Business. N12, 13-20 ECOFORUM, Volume 10, Issue 2, 2021	საქართველო ~	8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნებისმიერი თანამედროვე ეროვნული მთავრობის საბოლოო მიზანია უზრუნველყოს მეცნიერებაზე დაფუძნებული ეკონომიკური განვითარება, რათა მიაღწიოს მოქალაქეებისთვის ცხოვრების უფრო მაღალ სტანდარტს. თანამედროვე გლობალური ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია ტექნოლოგიური მიღწევები. ახალი ინდუსტრიული რევოლუცია ფუნდამენტურად განსხვავდება ძველისგან. ამჟამინდელი - მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია - ქმნის ციფრული სამყაროს ახალ გარემოს. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია არის თანამედროვე განვითარების დღის წესრიგის მთავარი საკითხი აკადემიურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებში. ინფორმაციული ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების ფონზე, სულ უფრო მეტი ბიზნეს პროცესები, პროდუქტები, საქონელი და სერვისები განიცდის ინოვაციების გავლენას. ეს პროცესი იწვევს ბიზნეს მოდელების უწყვეტ ევოლუციას, რომლებიც საბოლოოდ სულ უფრო და უფრო ციფრული ხდება.

ციფრული განვითარება კვლავ რჩება მიმდინარე პროცესად COVID-ის პანდემიის პირობებშიც. ეროვნულმა მთავრობებმა უნდა გააორმაგონ ძალისხმევა ციფრული ეკონომიკის განვითარებისთვის უკეთესი და უფრო დიდი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. ფიზიკური ინფრასტრუქტურის საშუალებით ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობა ციფრულ ეკონომიკაში არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც თავისთავადი პროცესი.. შემდგომი დიგიტალიზაციისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ფიზიკური

ინფრასტრუქტურა. ეკოსისტემის შექმნა, რომელიც სისტემატურად საშუალებას აძლევს ტოპ ინოვაციების გლობალურ წინსვლას, კვლავ რჩება პოლიტიკის მთავარ მიზნად. შესაბამისად, ეროვნულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს რესურსებს, ძირითადად შრომას და კაპიტალს, ეფექტურობას ციფრულობის გასაადვილებლად ძირითადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფით და R&D-ზე მათი დანახარჯების გაზრდის გზით, რათა ბიზნესმა და ინდივიდმა შეძლოს სიახლის ეფექტურად გამოყენება. კონკურენტული უპირატესობების შესაქმნელად გლობალურ ბაზრებზე უფრო ძლიერი პოზიციის დასაკავებლად.

6.3. კრებულები

№	ავტორები	კრებულის სახელ-წოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1 2 3	ეკა სეფაშვილი დავით სლავატა ოლენა დიმჩენკო	“Analysis of existing approaches to the regions competitiveness determining” ISBN 978-966-695-512-1	Intrepreneurship and Business Administration: Modern Trends. Vol 1. 2021 ბეტეკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხარკოვი, უკრაინა~ 28 იანვარი, 2021წელი	5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

რეგიონის პოტენციური ინდიკატორების გაზომვისა და შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს არსებული საინფორმაციო ბაზა. შესაძლებლობების შეფასებისას საჭიროა განვიხილოთ ამოცანების შემდეგი ჩამონათვალი: რეგიონული განვითარების სტრატეგია; რეგიონის ინდუსტრიების პოტენციალი; ფაქტორების გავლენა რეგიონულ განვითარებაზე; რესურსებისა და რეზერვების ძიება; საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარება; საინოვაციო პოლიტიკა; რეგიონის კონკურენტუნარიანობის გაზრდა.სტატიაში შემოთავაზებულია „რეგიონის პოტენციალსა“ და „რეგიონულ განვითარებას“ შორის კავშირის უფრო კონკრეტული და შინაარსიანი განხილვა და ამისათვის განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები: ადგილობრივი ბიუჯეტი რეგიონის განვითარების თვალსაზრისით; რეგიონში ინვესტიციების მოზიდვა; რეგიონში ახალი ორგანიზაციული ფორმების შექმნა - ქსელები, კლასტერები, ტექნოლოგიური პლატფორმები, ტექნოლოგიური პარკები; საშინაო სამომხმარებლო ბაზრის პოტენციალის შეფასება და განვითარება.რეგიონის კონკურენტუნარიანობის განვითარების ამოცანა არ შემოიფარგლება მხოლოდ სიტუაციის მონიტორინგით და სტატისტიკის ანალიზით. იგი ასევე მოიცავს: სიღრმისეულ ინფორმაციას, რესურსების შეფასებას და ფართომასშტაბიან და უწყვეტ ორგანიზაციულ მუშაობას რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: მარკეტინგული მონიტორინგის კვლევებს; ადგილობრივი ბიზნეს სტრუქტურების უპირატესობების დასაბუთებსა; ინოვაციურ ძიებას; ხარისხის გაუმჯობესებისა და ხარისხის მართვის პროგრამებს.

7.2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1 2 3	ეკა სეფაშვილი დავით სლავატა ოლენა დიმჩენკო	**“Analysis of existing approaches to the regions competitiveness determining”**	28 იანვარი, 2021წელი ბეტეკოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხარკოვი, უკრაინა
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

ასოცირებული პროფესორი ლელა ბახტაძე

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

1. ბახტაძე, ლ., დანელია, ს. (2021). ინოვაციურ ეკონომიკაზე მოქმედი ფაქტორები და საქართველოს გამოწვევები: გლობალური კონტექსტით. **Globalization and Business. (ცნობა თან ერთვის)**

2. ბახტაძე, ლ.(2021). საქართველოს სახელმწიფო ვალის რეგულირების თავისებურებები საქართველოში: არსებული მდგომარეობა და თანამედროვე გამოწვევები **(ცნობა თან ერთვის)** თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. Veshapidze, S., & Mchedlishvili, Z.
2. Sekhniashvili, D., & Veshapidze, S.
3. Veshapidze, S., CHIABRISHVILI, K., Zubiashvili, T., & Zoidze, G.
4. Veshapidze, S., & Zoidze, G., & Berishvili K.
5. Zoidze, G., & Veshapidze, S.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

3. VON THE RELATIONSHIP BETWEEN EDUCATION AND ECONOMIC SECURITY. *Ecoforum Journal*, *10*(3).

ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ასოცირებული პროფესორი ჯემალ ხარიტონაშვილი
2) სტატიის სათაური, ISSN
1. კონვერგებციის თეორიის თანამედროვე ასპექტები
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი N 12, 2021 წ.
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი. ევროპული უნივერსიტეტი
5) გვერდების რაოდენობა-8

რეზიუმე

XX საუკუნის 50-60-იან წლებში როდესაც სათანადო პარიტეტი დამყარდა კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების ეკონომიკურ შეჯიბრებაში, ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მიმდინარეობის ეკონომისტებმა და სოციოლოგებმა კონვერგენციის თეორია ჩამოაყალიბეს(კონვერგერე- ლათ. მიახლოებას, ერთმანეთთან შეყრას ნიშნავს). კონვერგენცია გულისხმობს ორი სხვადასხვა სოციალურ- ეკონომკური სისტემის(კაპიტალიზმისა და კომუნიზმის) მიახლოებას, შერწყმას და ერთიანი ტექნო-ინდუსტრიული სისტემის შექმნას. კონვერგენცია-რაიმე ნიშან-თვისებათა დამთხვევა, ინტეგრაცია. ხხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური სისტემების, მათი სტრუქტურების თანდათანობითი დაახლოება. ურთიერთკავშირის, თანაშრომლობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე არსებითი წინააღმდეგობის გადალახვა და საერთო მახასიათებლების შეძენა. რაც განსაკუთრებით აქტიურდება მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში, ახალი ტიპის, შერეული, ე.ი. ჰიბრიდული საზოგადოების შექმნამდე, რომელიც თავის თავში მოიცავს დადებითს როგორც კაპიტალიზმიდან ისე სოციალიზმიდან. აღნიშნულის საფუძველზე, უნდა გადაწყდეს თანამედროვეობის გლობალური და ზოგადსაკაცობრიო პრობლემები.

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების დაებითი დასკვნების საფუძველზე ევრო-ამერიკული ასოციაცია SEPiKE 1901 (რომელის წევრადაც არჩეულია ჯ. ხარიტონაშვილი 2016 წლიდან), ჟურნალმა "THE SEPIKE" გამოაქვეყნა ჯემალ ხარიტონაშვილის მორიგი სტატია „The Contours of a post-pandemic Society" (პოსტ-პანდემიური საზოგადოების კონტურები) Journal L' Associacion 1901 "SEPIKE", Ausgabe 30. Pp. 54-60, Poitiers(France), Frankfurt(Germany), Los Angeles(U SA), den September. 2021,[SCI Deutsche National Bibliotek,SCI 1.15, Index

Copernicus(IC tm Value): 5.15 (2013) Cite Factor, Word Cat, Research Rible U S Library of Congress, DNB and LoC.
p-ISSN: 2196-9531 Journal Association, 1901, SEPIKE
e-ISSN: 2372-7438 Journal Association, 1901, SEPIKE. US Edition
www.sepikecloud.com
https://5b925ea6-3d4e-400b-b5f3-32dc681218ff.filesusr.com/ugd/b199e2_6ebf401d9a664197bb2ac28c511201fd.pdf

რეზიუმე

მიმდინარე გლობალურმა პანდემიამ ლურჯი დედამიწა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. კორონავირუსმა დაგვანახა, რომ მის წინაშე ყველა ერთია. მან არ იცის მდიდარი და ღარიბი, სუსტი და ძალგულოვანი.

მსოფლიოში ყალიბდება აზრი, რომ შეიქმნას ახალი მსოფლმხედველობა, რომელიც ყველას და ყველაფერს ერთ სივრცეში დააყენებს და იქნება ჰუმანური.

პანდემიაზე საუბრისას რომის პაპმა ფრანსისკოს I აღნიშნა: ”ეს ის მომენტია, როცა ღარიბები უნდა დავინახოთ. ვინც ღარიბებს მუდამ დაეხმარება, ის მართალი იქნება. ისინი ჩვენი რეალობის ნაწილი არიან და ამას ვერ ვუარყოფთ. მაგრამ ღარიბი იმალება, რადგან სიღარიბე მკაცრია. . . ღარიბთა "დანახვა" ნიშნავს, რომ მათი ადამიანური ცხოვრება აღადგინო. ისინი ნივთები არ არიან, ისინი ადამიანები არიან. არ შეიძლება მარტო ნაწილობრივი კეთილდღეობის პოლიტიკა გვქონდეს”პაპი აცხადებს, რომ:”ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ უფრო დიდი ვირუსი, სოციალური უსამართლობა, შესაძლებლობების უთანასწორობა, მარგინალიზაცია და ყველაზე სუსტების დაცვის ნაკლებობა“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ანტონიო გუტერეშის თქმით, ” მსოფლიოს 7.8 მილიარდი მოსახლეობის გამოსაკვებად საკმარისზე მეტი საკვები არსებობს. ამდროს 820 მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილობს. პრობლემა შესაბამისი სისტემის არასათანადოდ მუშაობაა.

2. ევროპელი და ამერიკელი ექსპერტების დადებითი დასკვნების საფუძველზე, ჟურნალმა “THE SEPIKE”-მა გამოაქვეყნა ჯემალ ხარიტონაშვილის სტატია- „ ECONOMICS THROUGH THE PRISM OF PLURALISM”. (პლურალიზმი საზოგადოების ჰუმანური გზა. კაცობრიობის არსებობის ფორმულა).

Journal L’ Associacion 1901 “SEPIKE”, Ausgabe 29, Pp. 47-54. Poitiers(France), Frankfurt(Germany), Los Angeles(U SA), den 31.03 . 2021, Deutsche National Bibliotek,SCI 1.15, Index Copernicus(IC tm Value): 5.15 (2013) Cite Factor, Word Cat, Research Rible U S Library of Congress, DNB and LOC
p-ISSN: 2196-9531 Journal Association, 1901, SEPIKE
e-ISSN: 2372-7438 Journal Association, 1901, SEPIKE. US Edition
www.sepikecloud.com

რეზიუმე

პლურალიზმი-სხვადასხვა მრავლობითი ინტერესის შეთანაწყობა-არსებობა. კონვერგენცია-ჰიბრიდიზაცია-დადებითის აღება სხვადასხვა სისტემებიდან.

ჰეგელის დიალექტიკის ერთ-ერთი ნაწილია-უარყოფის უარყოფის კანონი. დიალექტიკური მოხსნა-შენახვა. მოძველებულის, ჩენჩოს, არაეფექტიანის მოხსნა, რაციონალურის შენახვა-ასიმილაცია ახალში.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტები, ნობელის პრემიის ლაურეატები პოლ სამუელსონი და უილიამ ნორდჰაუსი მიუთითებენ, რომ თანამედროვე ეკონომიკური ვეშაპი- ამერიკის შეერთებული შტატებიც კი შერეული ეკონომიკის გზით ვითარდება, წარმოადგენს შერეულ ეკონომიკას.

ამერიკელი ეკონომისტი ჰარი როუზენიც აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა შერეული სისტემაა.

ასეთ ვითარებაში პლურალიზმის იდეა კვლავ აქტუალურია ხდება.

თანამედროვე ცივილიზებულ, მაგრამ, მაინც წინააღმდეგობრივ მსოფლიოში მას ააქტუალობა არ დაუკარგავს.

ეს საკითხი მთელი სიგრძე-სიგანით წარმოჩინდა თანამედროვე პანდემიის პირობებში.

ასოცირებული პროფესორი შოთა ვეშაპიძე

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

1. **Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, T. (2021). Globalization And New Opportunities For Georgia. Globalization and Business. 12, 32-36. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003**

2. შოთა ვეშაპიძე, თამაზ ზუბიაშვილი. მოსახლეობის ზრდისა და გლობალური პრობლემების შესახებ. **ISBN 978-9941-491-35-1** თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. შოთა ვეშაპიძე, რამაზ ოთინაშვილი. **პერსონალის როლი ბიზნესის უსაფრთხოებაში ISSN 1987-5789, ESSN 2587-5426 ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", N 2, 2021.**

4. შოთა ვეშაპიძე, გია ზოიძე. საქართველოს უმაღლესი განათლების ინსტიტუციური ევოლუცია ISSN 1512-4649(Print), ISSN 2667-9752(Online). **ჟურნალი "ახალი ეკონომისტი", #2(61), 2021, Vol. 16, Issue 2.**

2)სტატიის სათაური, ISSN

1. **Globalization And New Opportunities For Georgia. Globalization and Business. 12, 32-36. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003**

2. მოსახლეობის ზრდისა და გლობალური პრობლემების შესახებ. **ISBN 978-9941-491-35-1** თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. **პერსონალის როლი ბიზნესის უსაფრთხოებაში ISSN 1987-5789, ESSN 2587-5426 ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", N 2, 2021.**

4. საქართველოს უმაღლესი განათლების ინსტიტუციური ევოლუცია ISSN 1512-4649(Print), ISSN 2667-9752(Online). **ჟურნალი "ახალი ეკონომისტი", #2(61), 2021, Vol. 16, Issue 2.**

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **Globalization And New Opportunities For Georgia. Globalization and Business, 12.**

2. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული.

3. **ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", N 2.**

4. ჟურნალი "ახალი ეკონომისტი", #2(61), 2021, Vol. 16, Issue 2.

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ჟურნალი: Globalization and Business.

2. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. თბილისი, **ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", N 2, 2021.**

4. თბილისი, **ჟურნალი "ახალი ეკონომისტი".**

5) გვერდებისრაოდენობა

1. **5**
2. 8
3. 6
4. 6

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. საქართველოს ერთიანი განვითარების კონცეპტუალური ხედვის განსაზღვრისთვის საჭიროა მისი სისტემური პროცესის სახით გაგება უწყვეტი ისტორიული და ცივილიზაციური პროგრესის ფონზე, რომელიც ხაზს უსვამს დინამიური სურათის ძირითად მახასიათებლებს უხსოვარი დროიდან დღემდე. აღნიშნულმა ხედვებმა დიდწილად განაპირობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება. ქვეყნის გეოეკონომიკური სტრატეგია მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

გეოეკონომიკა, როგორც ცალკე მეცნიერება XX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა და ადამიანსა და სივრცეს შორის ურთიერთქმედებას შეისწავლის. გეოეკონომიკური მეცნიერების ჩამოყალიბება გლობალური ეკონომიკური პრობლემების წარმოშობას უკავშირდება. თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშანი გახდა ხელისუფლებასთან ბრძოლის სიმძიმის ცენტრის გადატანა ეკონომიკურ სფეროში. პრობლემები, რომლებიც საუკუნობით იარაღის ძალით წყდებოდა, ბოლოს და ბოლოს ფინანსებისა და ინფორმაციის საფუძველზე წყდება. ეკონომიკურმა ომებმა ბევრად შეცვალა ჩვეულებრივი საბრძოლო ომები.

ამერიკელი მეცნიერების, რობერტ ბლექვილის და ჯენიფერ მ. ჰარისის სამკომპონენტიანი განმარტების თანახმად, გეოეკონომიკა არის ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენება: ეროვნული ინტერესების განხორციელებისა და დაცვისათვის; პოზიტიური გეოპოლიტიკური შედეგების მისაღწევად; სხვა ქვეყნების ეკონომიკური ქმედებების შედეგების ამ ქვეყნის გეოპოლიტიკური მიზნებისთვის. ამჟამად, თეორიულად, გეოპოლიტიკური გამოყენება აქვს შვიდ ეკონომიკურ ინსტრუმენტს, ესენია: სავაჭრო პოლიტიკა, საინვესტიციო პოლიტიკა, ეკონომიკური და ფინანსური სანქციები, კიბერშეტევები, ეკონომიკურ განვითარებაში დახმარება, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ენერგეტიკული და სანედლეულო პოლიტიკა. ისინი შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, მაგრამ მაინც ლოგიკურია ერთად განიხილოთ.

გეოეკონომიკა ინრერდისციპლინარული საგანია. ის სხვადასხვა საგნების საუკეთესო მინაღწევრის ერთი თემის გარშემო შესწავლის და დაკავშირების საშუალებას იძლევა. ამიტომ, მნიშვნელოვანია გეოეკონომიკის როლი ეკონომიკური პროფილის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტთა მომზადების პროცესში. ის საშუალებას იძლევა, გაძლიერდეს ინტერდისციპლივარული აკადემიური მიდგომა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ინტერესებისთვის გეოეკონომიკური ინსტრუმენტების და ქვეყნის გეოეკონომიკური პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენებას. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საქართველოს ეროვნული ინტერესების რეალიზებისა და დავის მიზნით, აანალიზებს საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებს და გამოწვევებს და განსაზღვრავს საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებს. ამ პოლიტიკის განხორციელებაში მნივნელოვანი როლი ეკისრება გეოეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებას.

2. მოსახლეობის ზრდა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციაა. მისი ზრდის ტემპი თანდათან მნიშვნელოვნად კლებულობს. შეიმჩნევა მოსახლეობის ზრდის ტემპების განსხვავებები განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის. განვითარებულ ქვეყნებში, ფერტილობის შემცირება და მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ზრდა მოსახლეობის რაოდენობის სტაბილიზაციას და დაბერებას განაპირობებს. საერთაშორისო მიგრაცია ამ ქვეყნებში ხდება მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის მნიშვნელოვანი წყარო. მრავალ განვითარებად ქვეყანაში, შენარჩუნებულია მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპები.

მრავალ განვითარებად ქვეყანას რომლებსაც ნაკლებად შეუძლიათ დაძლიონ თანიანთი მოსახლეობის ზრდით გამოწვეული პრობლემები, რაც დაკავშირებულია ზრდადი მოსახლეობისთვის შემოსავლების სათანადო დონის, სასურსათო უსაფრთხოების, სამუშაოთი და ძირითადი სოციალური მომსახურეობით უზრუნველყოფასთან. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ბუნებრივი რესურსებით სათანადო მართვას, რომლებიც მრავალ განვითარებად ქვეყანაში ძველებურად უზრუნველყოფენ მოსახლეობის დიდი ნაწილის გადარჩენას.

საქართველომ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნების მსგავსად, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყანამ საგეგმო-ადმინისტრაციული სამეურნეო სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაიწყო, ღრმა ეკონომიკური კრიზისი განიცადა. ქვეყანაში ცხოვრების პირობები გაუარესდა, მოსახლეობის რიცხვი კი შემცირდა. მოსახლეობის ზრდა სიღარიბის, სასურსათო და ეკოლოგიური გლობალური პრობლემების წარმოშობის წინაპირობას ქმნის. აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად მნიშვნელოვანია საერთო ძალისხმევის გაძლიერება და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ინტერესების და მოთხოვნილებების გათვალისწინება.

3. *საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი(მსპ), 2020 წელს, კოვიდ პანდემიის შედეგად, თითქმის 6%-ით შემცირდა. რაც ქმნის საფრთხეს, როგორც ეკონომიკის სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისთვის. გამოწვევების დასაძლევად მნიშვნელოვანია ფირმის პერსონალის როლის ამაღლება ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. საიმედო თანამშრომლების შერჩევას უძველესი ისტორია აქვს, ეს პრობლემა წარმოიშვა მაშინ, როცა გაჩნდნენ პირველი*

დაქირავებული მუშები. აქედან მომდინარე შერჩევის მეთოდებმა მრავალი ცვლილება და სრულყოფა განიცადა. ბოლო დრომდის აქცენტი კეთდებოდა პერსონალის პროფესიონალურ მომზადებაზე თანამედროვე პირობებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა თანამშრომლის პირადი თვისებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ვინაიდან ბიზნესში დასაქმებულ პერსონალს ხშირად უწევს ინფორმაციასთან შეხება, რომელიც შეიძლება კონკურენტი ფირმების ინტერესს წარმოადგენდეს.

მოწინავე კომპანიებში ჩამოყალიბებულია ვაკანსიებზე მისაღები პიროვნების კომპლექსური შემოწმების აპრობირებული მეთოდოლოგია. პერსონალის მართვა გამოწვევაა, რომელიც უნდა გადაწყდეს კომპანიის ერთიანი მენეჯმენტის სისტემაში. უსაფრთხოების უზრუნველმყოფი დანაყოფის სტრუქტურა და მუშაობის სპეციფიკა დამოკიდებულია ბიზნესის ხასიათსა და მასშტაბებზე. ის ძირითადად შედგება ოთხი სტრუქტურული ერთეულისგან: 1. დაცვის; 2. ოპერატიული; 3. ინფორმაციულ-ანალიტიკური; 4. ტექნიკური. თითოეულში, ფირმის მასშტაბების და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება დასაქმდეს 2-დან 15-მდე თანამშრომელი.

4. განათლების პოლიტიკა საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომლის შემადგენელი ნაწილია უმაღლესი განათლება. მის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ინსტიტუტებს. მარეგულირებელი სამართლის ნორმები, დაწესებულებები, ფასეულობები, კულტურული ნიმუშები, საკუთრების ფორმები, განათლების სისტემაში პროგრესის დამკვიდრების, მისი მოწყობის და ინსტიტუციონალიზაციის აღიარებული მიმართულებაა. ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს მოწესრიგებული, სოციალურ დაცულობაზე ორიენტირებული სისტემა, ასევე, რაიმე ნათლად გამოკვეთილი პრიორიტეტები, საქართველოს კანონმდებლობით გამოირიცხა დისკრიმინაციის ყველა ფორმა განათლების სისტემაში შრომით ურთიერთობებში. საქართველოს სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ამ მიმართულებით საკმაო გამოცდილება დაგროვდა. ეს მიდგომა განავითარა საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის მიღებამ. ამასთან, საქართველოს სჭირდება ინსტიტუტების განვითარება, რაც მოგვცემს უმაღლესი განათლების სისტემის პოტენციალის ეფექტიან რეალიზებას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, განათლების გრძელვადიანი რეფორმის განხორციელება, რასაც ღიად უჭერს მხარს მსოფლიო ბანკიც.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. Veshapidze, S., & Mchedlishvili, Z.
2. Sekhniashvili, D., & Veshapidze, S.
3. Veshapidze, S., CHIABRISHVILI, K., Zubiashvili, T., & Zoidze, G.
4. Veshapidze, S., & Zoidze, G., & Berishvili K.
5. Zoidze, G., & Veshapidze, S.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Ilia Chavchavadze about competition. ISBN 978-611-01-1865-1

2. The Importance of Capital Market Development for Improving the Investment Ecosystem in Georgia. ISBN 978-611-01-1865-1
3. VON THE RELATIONSHIP BETWEEN EDUCATION AND ECONOMIC SECURITY. *Ecoforum Journal*, *10*(3).
4. THE ECONOMIC DETERMINANT OF THE EDUCATION SYSTEM. *Sciences of Europe*, (81-2), 6-12.
DOI: 10.24412/3162-2364-2021-81-2-6-12
5. Transformation of Economic Policy Priorities Under Covid-19. *Three Seas Economic Journal*, *2*(4).

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Ilia Chavchavadze about competition. **ISBN 978-611-01-1865-1**
2. The Importance of Capital Market Development for Improving the Investment Ecosystem in Georgia. **ISBN 978-611-01-1865-1**
3. VON THE RELATIONSHIP BETWEEN EDUCATION AND ECONOMIC SECURITY. *Ecoforum Journal*, *10*(3).
4. THE ECONOMIC DETERMINANT OF THE EDUCATION SYSTEM. *Sciences of Europe*, (81-2), 6-12.
DOI: 10.24412/3162-2364-2021-81-2-6-12
5. Transformation of Economic Policy Priorities Under Covid-19. *Three Seas Economic Journal*, *2*(4).

4) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. კიევი
2. კიევი
3. რუმინეთი
4. პრაღა, ჩეხეთის რესპუბლიკა
5. რიგა, ლატვია

5) გვერდების რაოდენობა

1. 6
2. 8
3. 5
4. 6
5. 6

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის - ილია ჭავჭავაძის შემოქმედება დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ეს მნიშვნელოვანწილად იმითაა განპირობებული, რომ მისი მოღვაწეობა დაემთხვა მსოფლიოში მომხდარ უამრავ ცვლილებას, რომლებიც დღემდე გრძელდება.

სტატიაში განხილულია ქართული ეროვნული ეკონომიკური დოქტრინის ერთ-ერთი ფუძემდებლის - ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებების მცირე ნაწილი. კერძოდ, კონკურენცია, როგორც ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელი და სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. არგუმენტირებული მსჯელობით ილია ჭავჭავაძე მხარს უჭერს

სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის მინიმიზებას. იგი სახელმწიფოს უმთავრეს ფუნქციად მიიჩნევს მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვასა და გაუმჯობესებას, ამ მიზნით მათი უფლებების დაცვას, განსაკუთრებით კი საკუთრების უფლებაზე ამახვილებს ყურადღებას. ეკონომიკის სიჯანსაღისთვის კი აუცილებლად მიიჩნევს კონკურენტული გარემოს არსებობას და ეწინააღმდეგება ნებისმიერი გზით მის შეზღუდვას.

2. კაპიტალის ბაზრის განვითარებას საქართველოში მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საინვესტიციო ეკოსისტემა, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, საინვესტიციო ინდუსტრია და საინვესტიციო ფონდები. ძლიერი და ეფექტიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება შესაძლებელია იქ, სადაც ბიზნეს საქმიანობა, საინვესტიციო ეკოსისტემა და მთავრობის საქმიანობა არსებითად აუმჯობესებს ადამიანის, სახელმწიფოს და თავად სამყაროს კეთილდღეობას. ინვესტიცია კაპიტალის ბაზარზე, ფასიან ქაღალდებში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სტატიაში ნაჩვენებია კაპიტალის ზრდის, კერძოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ზეგავლენა საინვესტიციო ეკოსისტემის დონეზე, ასევე საქართველოში საინვესტიციო ეკოსისტემის არსებულ მდგომარეობაზე, ასახულია შესაბამისი პრობლემები და შემუშავებულია რეკომენდაციები.

3. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში განათლება ქმნის ყველაზე მყარ საფუძვლებს ინდივიდუალური და ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის, რაც სტაბილური და მდგრადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოს მნიშვნელოვან წინაპირობად იქცევა. საბაზრო ეკონომიკა უკეთესად ფუნქციონირებს, თუ არსებობს საყოველთაო კონკურენცია. ამას გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ეკონომიკურ საფრთხეებს, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხოების სხვა სექტორებთან. მნიშვნელოვანია, რომ განათლების სისტემამ დასახოს სტრატეგია ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის ეფექტიანი რეალიზებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე თაობების მოსამზადებლად, ეროვნული ეკონომიკის ზრდის მიზნით.

ერთის მხრივ, პიროვნული უსაფრთხოების მყარად შეგრძნება საფუძველს უქმნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტების გამართულად ფუნქციონირებას და ამით ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და ეროვნულ უსაფრთხოებას; თავის მხრივ, უსაფრთხოების მაღალი ეროვნული დონე მდგრადი პიროვნული უსაფრთხოების გარანტიებს ქმნის. სახელმწიფოებს და განათლებასთან დაკავშირებულ უწყებებს უნდა ჰქონდეთ იმ გეგმების და პროცესების მკაფიო საზომები, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი პროექტების წარმატებით დანერგვას.

ეკონომიკური უსაფრთხოება შეიძლება განიხილებოდეს როგორც უმთავრესი ინდიკატორი სახელმწიფოს ზოგადი უსაფრთხოებისთვის. ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევით უსაფრთხოების სხვა დონეებიც უფრო ადვილად მიიღწევა. ქვეყანაში გარემოს უსაფრთხოება დიდწილადაა დამოკიდებული ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე. უსაფრთხოების ანალიზი ცალ-ცალკე ყველა სექტორში და მათი მნიშვნელობა ქვეყნის საერთო უსაფრთხოებისთვის გადამწყვეტია რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვისაც.

4. განათლების მაღალი დონის მიღწევას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი. საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით, რომელიც მოსწავლეთა უნარებს აფასებს, კორელაცია მის შედეგებსა და ქვეყნის მშპ-ს შორის საკმაოდ

მაღალია. ამასთან, განათლებაში განხორციელებული ინვესტიცია რამდენჯერმე მომგებიანია, ვიდრე სხვა დანარჩენ სექტორებში.

საქართველოს განათლების, მათ შორის, უმაღლესი განათლების სასურველი დონის მიღწევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის და შესაბამისად, განათლების დაფინანსების ზრდაზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია მოსახლეობის უნარების განვითარება (განათლებაში ინვესტირება), იმისათვის რომ ქვეყნის მშპ გაიზარდოს გამოცდილების თანახმად, განათლების პროგრესული სისტემის გამოყენებით მოკლე დროში სისტემის საგრძნობი პროგრესის მიღწევა, დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლის პირობებშიც შესაძლებელია. საქართველოსთვის მნიშვნელოვნია სისტემის ისეთ პრინციპებზე აქცენტირება, როგორებიცაა: **ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტაცია ინდივიდუალური მიდგომით,** სააზროვნო უნარების განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის და შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება, ეფექტიანობის და თანასწორობის დაცვა, ინოვაციებზე, ინკლუზიურ და ხარისხიან განათლებაზე

5. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია არის არა მხოლოდ ეროვნული ეკონომიკის დაცვა გარეგანი ზემოქმედებისგან (ე.წ. ”საგარეო შოკისგან“), რაც დღესდღეობით ფაქტიურად შეუძლებელია, არამედ მისი ეფექტური ჩართვა საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ადეკვატური ზრდა. საქართველომ უნდა შექმნას ეკონომიკის “ქართული მოდელი“, რომელიც იქნება ახალი ეკონომიკური სისტემის ისეთი “ბირთვი”, რომელიც მოიზიდავს ინვესტიციებს (ეკონომიკის რეალურ სექტორში), გააჩენს სამუშაო ადგილებს, განავითარებს ექსპორტს და საქართველოს ყველა მაცხოვრებელს რეალურ კეთილდღეობას მოუტანს. დღეს ზუსტად ის მომენტია, რომ სახელმწიფოს ინიციატივით მოხდეს ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტების განვითარება და ეკონომიკური უნიკალური პოტენციალის რეალიზაცია.

თანამედროვე, კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა გვიჩვენა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა მაშინ ხდება შესაძლებელი, როდესაც ანტიკრიზისული ქმედებები ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის გაძლიერებას ეფუძნება. ამისათვის კი, აუცილებელია გაიზარდოს მთავრობისა და საჯარო სექტორის როლი კრიზისების მართვის საქმეში.

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. შოთა ვეშაპიძე, თამაზ ზუბიაშვილი.

2) მოხსენებისსათაური

1. მოსახლეობის ზრდისა და გლობალური პრობლემების შესახებ. **ISBN 978-9941-491-35-1**

თბილისი,

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. 5 ნოემბერი, 2021, თბილისი, საქართველო, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ასოცირებული პროფესორი რამაზ ფუტკარაძე

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიებიციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ფუტკარაძე რ.

2) სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი ქვეყნები: თანამედროვე გამოწვევები. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.009

Georgia, Ukraine and Moldova, the EU Eastern Partnership Member States: Modern Challenges.

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნალი. ,,გლობალიზაცია და ბიზნესი'', N12, 2021. გვ. 66-73.

Globalization and Business. 12

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. საქართველო, თბილისი

5) გვერდებისრაოდენობა

1. 66-73.

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის პირობებში ევროკავშირის სხვადასხვა ინიციატივების კვლევა ფრიად აქტუალურია. აღმოსავლეთ პარტნიორობა ევროკავშირის ინიციატივაა, რომლის მიზანია ურთიერთობების გაღრმავება და გაძლიერება ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებს და მისი აღმოსავლეთ სამეზობლოს ექვს ქვეყანას შორის. ამ ქვეყნებიდან ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის" ასოცირებული ქვეყნების (საქართველო, უკრაინა და მოლდოვა) ეკონომიკური განვითარების საკითხების კვლევა ფრიად აქტუალურია. შესაბამისად, თუ აღნიშნული ქვეყნები გაატარებენ მნიშვნელოვან რეფორმებს და ევროკავშირი ხელს შეუწყო ინიციატივის განვითარებას, შესაძლებელია, სამივე ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაცია გაიზარდოს.

ნაშრომში განხილულია ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორი ასოცირებული ქვეყნების სოციალურ ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები და თავისებურებები. აღნიშნული ქვეყნები აქტიურად ცდილობს გლობალურ ეკონომიკაში შემდგომ ინტეგრაციას.

საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინასა და ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებს მნიშვნელოვანი პერსპექტივა აქვს. საქართველოს ექსპორტის წილი ევროკავშირში 22% შეადგინა. ევროკავშირის წილი მოლდოვას ექსპორტში მაღალია, 2019 წელს ევროკავშირის წილმა მოლდოვას ექსპორტში 64% შეადგინა და ყველაზე მაღალია ასოცირებულ ქვეყნებში. ასევე ამ ქვეყნებიდან მაღალია უკრაინის ვაჭრობა ევროკავშირთან.

2019 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის წილმა (%) მშპ-ის 75% შეადგენდა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ქვეყნის მნიშვნელოვანი პრობლემაა უარყოფითი სავჭრო ბალანსი, სავაჭრო დეფიციტის წილი (%) მშპ-ის 32%-ს შადგენდა. 2019 წელს მოლდოვასა და უკრაინის სავაჭრო ბრუნვის წილმა (%) მშპ-ის 72-72% შეადგინა,

აღსანიშნავია, რომ სამივე ქვეყანას აქვს დარღვეული საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მათი ტერიტორიულ მთლიანობა. მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ

განვითარებას, ასევე სერიოზულ საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებას. ხელს უშლის მათ სწრაფვას ევროკავშირისაკენ.

აღმოსავლეთის პარტნიორობა მასში მონაწილე ქვეყანებ, მათ შორის, საქართველოს, აძლევს შესაძლებლობას ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში დააჩქაროს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი.

ევროკავშირის აღმოსავლეთი პარტნიორობის ინიციატივა ხელს უწყობს წევრი ქვეყნების შემდგომ ინტეგრაცის ევროკავშირთან, ასევე წევრი ქეყნების სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებას. აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნებს აქვთ საერთო კომუნისტური წარსული.

აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების საქონლით საგარეო ვაჭრობაში საქართველოს აქვს ყველაზე მაღალი უარყოფითი სავაჭრო სალდო.

აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების და ევროკავშირს შორის საქონლით ვაჭრობისა, ასევე საქართველოს აქვს ყველაზე მაღალი უაროფითი სავაჭრო სალდო და დაბალი იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი.

შესაძლებელია წარმატებული ეკონომიკური რეფორმების გატარების შედეგად საქართველო იყოს პირველი ქვეყანა აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნებიდან რომელსაც მიენიჭება ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანაა.

აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების არც ერთი წევრი არაა ნატოს წევრი. პირდაპირი კავშირი ევროკავშირსა და ნატოს შორის მართალია არაა, მაგრამ ბოლო გაფართოებების შედეგად ნათელია: ქვეყანა ჯერ ნატოს წევრი ხდება ევროკავშირის წევრობამდე.

ევროკავშირთან კიდევ უფრო ინტეგრაცია. საქართველომ უნდა გააგრძელოს ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაცია. გაზარდოს სავაჭრო–ეკონომიკირი თანამშრომლობა ევროკავშირთან და წევრ ქვეყნებთან. ძირით გამოწვევად რჩება საქართველოს ექსპორტის მოცულობის გარდა ევროკავშირში. აღმ.პარტნიორმა ქვეყნებმა უნდა გაგრძელონ ეკონომიკის განვითარებას და ევროკავშირთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან შემდგომი ინტეგრაცია.

ამრიგად, საქართველოს აქვს შესაძლებლობა კიდევ უფრო დაუახლოვდეს ევროკავშირს, განავითაროს ეროვნული ეკონომიკა გახადოს კონკურენტუნარიანი და გაზარდოს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან. აღმოსავლეთის პარტნიორობა მასში მონაწილე ქვეყანებ, მათ შორის, საქართველოს, აძლევს შესაძლებლობას ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში დააჩქაროს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი.

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ფუტკარაძე რ.

2) მოხსენებისსათაური

1. **ბულგარეთი ევროპულ ინტეგრაციულ პროცესებში.**

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. თსუ, მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი, 5-6 ნოემბერი, 2021.

ასოცირებული პროფესორი ლელა ჯამაგიძე

8. სახელმძღვანელოების თარგმნის საუნივერსიტეტი პროექტი
ლარი ნილი (2015). საერთაშორისო ფინანსების მოკლე ისტორია: ბაბილონიდან ბერნანკემდე. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 376 გვ. _ სახელმძღვანელოს თარგმნა ინგლისურიდან ქართულ ენაზე

როლი პროექტში: მთარგმნელი.

პროექტის ვადები: 21/05/2021-დან 21/02/2022-მდე.

ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება აერთიანებს რვა კათედრას:

1. *ფინანსებისა და საბანკო საქმე;*
2. *ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი;*
3. *საერთაშორისო ბიზნესი;*
4. *მენეჯმენტი და ადმინისტრირება;*
5. *გლობალურ გარემოში მენეჯმენტის;*
6. *მარკეტინგი;*
7. *ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი;*
8. *ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკასა და ბიზნესში.*

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება*: ფინანსები და საბანკო საქმის კათედრა*
2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: *პროფესორი ირაკლი კოვზანაძე*
3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ასოცირებული პროფესორი ხათუნა გარბაქაძე
ასოცირებული პროფესორი მაია გოგოხია
ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე
ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური
ასისტენტ პროფესორი ნატო კაკაშვილი
ასისტენტ პროფესორი თამარ კბილაძე

პროფესორი ირაკლი კოვზანაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ირაკლი კოვზანაძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. World Economy: Economic Implications of the COVID-19 Crisis and Prospects for Recovery

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. „ეკონომიკა და ბიზნესი“, #3

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

1. 15 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში, საქართველოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, გამოკვლეულია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული კრიზისის გავრცელების ფონზე. მასში გაანალიზებულია კოვიდ-19-ით გამოწვეული პერეტრუბაციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, საგარეო ვაჭრობაზე, საგადამხდელო ბალანსზე, სახელმწიფო ვალზე, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე, სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრებზე, ინფლაციაზე, დასაქმებაზე, ფინანსური სექტორის საქმიანობაზე, მდგრადობასა და ა.შ. ნაშრომში ასევე, განხილულია სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული მაშტაბური ფისკალური და მონეტარული ანტიკრიზისული ღონისძიებები, შესაძლო შედეგები მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში და მათი გავლენა ცალკეული ქვეყნის, რეგიონის და გლობალურ მაკროეკონომიკურ და მონეტარულ სტაბილურობაზე, ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. სტატიაში საქართველოს და მთელი რიგი საზღვარგარეთის ქვეყნების მდიდარი სტატისტიკურ მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია პანდემიის ეკონომიკური გავლენის შედარებითი ანალიზი. სტატიაში ასევე ხაზგასმულია ანტიპანდემიური ზომების მნიშვნელობა და ეფექტიანი საჯარო მმართველობის როლი საფინანსო-ეკონომიკური გამოწვევების მართვის და პრობლემების დაძლევის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: *გლობალური ეკონომიკა, მაკროეკონომიკული სტაბილურობა, მონეტარული სტაბილურობა, კოვიდ-19, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, სახელმწიფო და საჯარო ფინანსები, მსოფლიო ვაჭრობა, საგადამხდელო ბალანსი, სახელწიფო ვალი.*

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ხათუნა ბარბაქაძე
ნატო კაკაშვილი

2. ნატო კაკაშვილი
ხათუნა ბარბაქაძე

3. ხათუნა ბარბაქაძე
ნატო კაკაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. კომპანიის ფულადი ნაკადების ეფექტიანი მართვის შესახებ. ISSN 1987-5789;

2. სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ISSN 2667-9752 (Online); ISSN 1512-4649 (Print);

3. საპროექტო დაფინანსება - კომპანიის წარმატების ფაქტორი. ISSN: 2587–5000

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #4

2. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ #4

3, ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ #4

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა

2. თბილისი, გამომცემლობა: „ლოი“

3. თბილისი, გამომცემლობა: „დანი“

5) გვერდების რაოდენობა

1. 5 გვერდი

2. 8 გვერდი

3. 10 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. კომპანიის ფულადი ნაკადების ეფექტიანი მართვის შესახებ

კომპანიის ფულადი ნაკადების მართვა წარმოადგენს ფინანსური საქმიანობის ნაწილს, რომელიც მნიშვნელოვანია ზოგადად ბიზნესის გაჯანსაღებისთვის. კომპანიებს შორის არსებული კონკურენცია ართულებს როგორც, მოგების ზრდას ასევე, დადებითი ფულადი ნაკადების შენარჩუნებას. რადგან კომპანიების ძირითადი მიზანი მოგებისა და ბაზრის წილის ზრდაა, ამიტომ ნაკლები ყურადღება ექცევა ფულადი ნაკადების პროგნოზირებასა და მართვას. ნებისმიერი კომპანიისთვის ფულადი ნაკადები არის მამოძრავებელ ძალა და მისი მართვის სწორი სტრატეგიის შემუშავება სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკის ნებისმიერი სექტორისთვის.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ფულადი ნაკადების მართვასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების განხილვა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე

მოქმედი ფაქტორების შეფასება კომპანიის ფულადი ნაკადების მართვის გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნული თემის დამუშავებისას გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური და ლოგიკური განზოგადების მეთოდები. ასევე გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

დასკვნა. კომპანიის ფულადი ნაკადების ეფექტურ მართვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების განხილვისას ჩამოყალიბებული გვაქვს ზოგადად ფულადი ნაკადების, მისი მართვისა და ანგარიშგების თეორიული საფუძვლები.

ფულადი ნაკადების გაზომვისა და ანგარიშგების მეთოდების განხილვიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული მეთოდები ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების გამოთვლის სპეციფიკით. თუ პირდაპირ მეთოდში შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადების პირდაპირი წესით ხდება, არაპირდაპირი მეთოდის დროს, კომპანიის ფინანსური შედეგი, მოგება, კორექტირდება არაფულადი მუხლებით და ვიღებთ წმინდა ფულად ნაკადს. აღნიშნული მეთოდი გაცილებით ინფორმაციულია კომპანიის მენეჯმენტისთვის, რადგან იგი აჩვენებს კავშირს მიღებულ მოგებასა და ფულად ნაკადებს შორის.

ფულის მართვის მოდელების განხილვა საშუალებას გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ Miller-Orr-ს მოდელის უპირატესობა Baumol-ის მოდელთან შედარებით მდგომარეობს რეალისტურ დაშვებებში, კერძოდ Miller-Orr-ს მოდელი არ უშვებს ფულადი ნაკადების თანაბარი ოდენობით გადინებას, რასაც Baumol-ის მოდელში ვხვდებით. პირიქით, Miller-Orr-ს მოდელი გულისხმობს, რომ ფულადი ნაკადები მერყევია პერიოდის განმავლობაში, რაც, რა თქმა უნდა, გაცილებით რეალისტურია. აქედან გამომდინარე, მოცემული მოდელი მეტად გამოყენებადია Baumol-ის მოდელთან შედარებით.

საკვანძო სიტყვები: ფულადი ნაკადები, ფულადი ნაკადების მართვა, ფულადი ნაკადების მართვის მეთოდები, ფულადი ნაკადების მართვის მოდელები.

2. სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე არსებული პრობლემები აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სადაზღვევო კომპანიებმა, თუმცა, საზოგადოებამაც უნდა გააცნობიეროს ის სარგებელი, რაც სიცოცხლის დაზღვევამ შეიძლება მოუტანოს მათ. აღნიშნული დაზღვევის გამოყენებით, ადამიანებს საშუალება აქვთ იზრუნონ მათი ოჯახის ფინანსურ სტაბილურობაზე გაუთვალისწინებელი მოვლენის მოხდენის შემთხვევაში.

აღნიშნული თემის მიზანია ხელი შეუწყოს სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარებას, გაუმჯობესდეს სადაზღვევო კულტურა და სისტემა, ასევე გაიზარდოს მოსახლეობის ნდობა სიცოცხლის დაზღვევის მიმართ, განხორციელდეს სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის კვლევა და მისი განვითარების მდგომარეობის შესწავლა საქართველოში. აღნიშნული საკითხის დამუშავებისას გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური და ლოგიკური განზოგადების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

დასკვნა. სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებიდან, შეიძლება გამოვყოთ: ინფორმაციის ნაკლებობა; მენტალიტეტი; მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა.ამასთანავე აუცილებელია განვითარდეს საინვესტიციო ბაზარი,რაც სტიმულს

მისცემს ადამიანებს განახორციელონ ინვესტიციები სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით. საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის სფეროში შემუშავდეს და დაინერგოს ახალი პროდუქტები, რომლებიც მაქსიმალურად იქნება მორგებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე. მეტად მნიშვნელოვანია სიცოცხლის დაზღვევის პოპულარიზაცია. გაუმჯობესდეს კონტროლის მექანიზმი და გაკონტროლდეს სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებაში დადებული ხელშეკრულებების ობიექტურობა და სამართლიანობა, მოხდეს მონიტორინგი თუ რამდენად ასრულებენ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

საჭიროა სადაზღვევო კომპანიებმა საკუთარი პროდუქტები მაქსიმალურად მოარგონ სხვადასხვა სოციალურ ფენას და გაითვალისწინონ მათი შესაძლებლობები. თითოეული მომხმარებლის მიმართ შეიმუშაონ ინდივიდუალური მიდგომები, კერძოდ: გააუმჯობესონ მომსახურეობის ხარისხი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ამაღლდეს მათი კვალიფიკაციის დონე და დანერგონ ინოვაციური მიდგომები.

3. საპროექტო დაფინანსება - კომპანიის წარმატების ფაქტორი

საპროექტო დაფინანსებაში კაპიტალის მომწოდებლისთვის გარანტიად გამოდის პროექტის რეალიზაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი. როგორც წესი, აქტივებს შეუძლიათ უზრუნველყონ მხარდაჭერა, თუმცა ხშირად მათი ოდენობა პრინციპში შეუთავსებელია პროექტის ღირებულებასთან. საპროექტო დაფინანსების სპეციფიკა გულისხმობს, რომ პროექტების რეალიზება ხდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე: მკაცრად განსაზღვრული ან განკერძოებული ეკონომიკური საქმიანობა პროექტის ჩარჩოებში; რისკების გონივრული მართვა და პროექტის მონაწილეების ფუნქციური გარანტიების სისტემის არსებობა; დამუშავებული ფინანსური მოდელის არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბაზას ინვესტირებისა და დაფინანსებისთვის; პროექტის პროფესიული მართვა.

წინასაპროექტო სტადიაზე ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტზე, პირველი, საჭიროა მკაფიოდ დამუშავდეს პროექტის მარკეტინგული საფუძველი; მეორე, ინიციატორმა კარგად უნდა იცოდეს შემოთავაზებული პროდუქტის (მომსახურების) ბაზარი; მესამე, ესმოდეს საკუთარი მიზნობრივი სეგმენტი; მეოთხე, ადეკვატურად შეაფასოს კონკურენტების ძალა. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია პროექტის ტექნიკური დასაბუთებაც.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ხათუნა ბარბაქაძე

ნატო კაკაშვილი

2. ნატო კაკაშვილი

ხათუნა ბარბაქაძე

2) მოხსენების სათაური

1. „საბრუნავი კაპიტალის მართვის სრულყოფის საკითხის შესახებ“

2. „კოვიდ -19 ის გავლენა სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ მაჩვენებლებზე“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 19 ნოემბერი 2021 წელი. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2. 12 თებერვალი 2021 წელი. თბილისი. სეუ

ასოცირებული პროფესორი მაია გოგოხია

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. მაია გოგოხია
2) სტატიის სათაური, ISSN
1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის საინვესტიციო ანალიზის საკითხისათვის ISSN 1987-5789, ESSN 2587-5426
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.“ ეკონომიკა და ბიზნესი“, N 3, ტომი XIII
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა
5) გვერდების რაოდენობა
1. გვ.118-126

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დღემდე არ წყდება დისკუსია ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური განვითარების ურთიერთკავშირის თაობაზე. თუ ფინანსური სტრუქტურის ანალიზისადმი მიძღვნილი ადრეული ნაშრომების ლაიტმოტივი ის იყო, რომ ფინანსური შუამავლობის ორივე ტიპი – საბანკო და საბაზრო (ფასიანი ქაღალდების გამოყენებით) მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ეფექტიანია ეკონომიკური აქტივობის გასაძლიერებლად, უახლესი ლიტერატურა იხრება საფონდო ბაზრის უფრო მნიშვნელოვანი როლისკენ – ხაზს უსვამს ლიკვიდური, განვითარებული აქციებისა და ობლიგაციების ბაზრის მძლავრ შესაძლებლობას სტიმული მისცეს მწარმოებლურობის ზრდას ეკონომიკაში. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა ყიდვა–გაყიდვის ოპერაციები განხორციელდეს უფრო სწრაფად და სამართლიანი ფასებით, ვიდრე ფინანსური ბაზრის სხვა სეგმენტზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება დაკავშირებულია ქვეყნის საინვესტიციო კლიმატთან, რაც განისაზღვრება საინვესტიციო პოტენციალითა და საინვესტიციო რისკის დონით. ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდა საქართველოსთვის ის ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაც სასიცოცხლოდ აუცილებელია, ამავდროულად, მოსახლეობის მიერ დაზოგვის შესაძლებლობა მცირეა, რაც დაბალი შემოსავლებითაა განპირობებული. ამასთან, მოსახლეობა არ ენდობა საფონდო ბაზრის ინსტიტუტებს, რაც იმით გამოიხატება, რომ დანაზოგების დიდი წილი დაზოგვაზე მოდის (დაგროვების ინსტრუმენტია ამერიკული დოლარი).

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სპეციფიკის გამო, საინვესტიციო დაბანდებათა მრავალფეროვნება შეზღუდულია: კორპორატიული ფასიანი ქაღალდების ბაზრის არასათანადო განვითარება, დაბალი ლიკვიდურობა და გარანტიები სააქციო საზოგადოებების მიხედვით.

არაერთგვაროვანია ეროვნული ბანკის სახით მარეგულირებლის როლი. რეფინანსირების განაკვეთი არ უზრუნველყოფს სახსრების გადანაწილებას ეკონომიკის რეალურ სექტორში, ის

ასრულებდა მარეგულირებელ როლს ფინანსური ბაზრის სხვადასხვა სექტორის ურთიერთქმედების დონეზე (ბანკთაშორისი სესხების ბაზარი, სავალუტო ბაზარი და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი).

ფაქტია, რომ იმ პერიოდში, როდესაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენდა არა სებ–ი, არამედ ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, საფონდო ინდუსტრია აღმავალი გზით ვითარდებოდა და საგრძნობი იყო ამ მხრივ მიღწეული პროგრესი – აქტივობა საქართველოს საფონდო ბირჟაზე, საბროკერო კომპანიების საქმიანობა. დღეისათვის გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის.

ჩვენი რეკომენდაციაა ასიმეტრიის აღმოფხვრა საბანკო სექტორსა, რომელიც დომინანტურ მდგომარეობაშია და საფონდო ბაზარს შორის, კანონმდებლობის კიდევ უფრო მეტად დახვეწის საფუძველზე, მათ შორის, კანონში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ ჩანაწერის აღდგენა, რომლის მიხედვითაც, საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა შესაძლებელია მხოლოდ ბირჟაზე, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის შემდგომი სრულყოფა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მაია გოგოხია

2) მოხსენების სათაური

1. კომერციული ბანკების კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის შეფასების საკითხისათვის

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 11 . 12. 2021 , პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ნაშრომში განხილულია საზღვარგარეთის პრაქტიკაში არასაფინანსო კომპანიებისა და ბანკების კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისათვის გამოყენებული სარეიტინგო (საინდექსო) მეთოდიკები, ასევე აკადემიურ ლიტერატურაში მოცემული ბანკების სოციალური პასუხისმგებლობის შეფასებისადმი ზოგიერთი საინტერესო მიდგომა. ხაზგასმულია, რომ მიზანშეწონილია მრავალფაქტორიანი მოდელის გამოყენება შემაჯამებელი რეიტინგის გამოთვლით ყოველი ბანკისათვის, რომელმაც უნდა მოიცვას შემდეგი მაჩვენებლები: ბანკების მიერ რეგულირების წესებისა და ნორმების დაცვა, ეთიკური პრინციპების კოდექსი, არაფინანსური ანგარიშგება, პასუხისმგებლიანი ფინანსური პროდუქტები, სოციალური ქცევა.

ასოცირებული პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე

6.2. სახელმძღვანელოები

6.4. სტატიები

1. **ჩიკვილაძე, მ.** (2021). კოვიდ 19 - საფინანსო პოლიტიკის ამოცანები და პრიორიტეტები. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2021 https://dspace. tsu.ge/xmlui/ bitstream/ handle/123456789/886/Covid%2019%20-%20Fiscal%20Policy%20Objectives%20and %20Priorities.pdf?sequence=1&isAllowed=y

   ანოტაცია. მიუხედავად კოვიდ-19 პანდემიის ეკონომიკური გავლენის შესამსუბუქებლად, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული მრავალმხრივი ფისკალური დახმარების ღონისძიებებისა, ლარის კურსის ვარდნამ, ინფლაციამ, ინვესტიციების შემცირებამ და საშინაო ვალის ზრდამ ეკონომიკის დაცემა გამოიწვია და კიდევ უფრო გაამძაფრა ლარის კურსის ინფლაციის, ინვესტიციებისა და სახელმწიფო ვალის პრობლემები, ხოლო ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში არსებული დადებითი ტენდენციები საერთოდ შეწყდა. აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ კონკრეტული ღონისძიებები უნდა დასახოს, რომელთა სათანადო დაფინანსებამ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შესაბამისი ასახვა უნდა ჰპოვოს.
2. **Chikviladze, M.** FOREIGN DIRECT INVESTMENT IN TRANSITION ECONOMIES IN THE CONDITIONS OF COVID-DEPRESSION (COMPARATIVE ANALYSIS). J. Ecoforum. C./A.-2 . (ბეჭდვაში).

ასოცირებული პროფესორი ლეილა ღუდუშაური

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. **ლეილა ღუდუშაური**

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. **საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი: თეორია და პრაქტიკა. ISBN 978–9941–410–10–9. UDC (უაკ) 336.77 ღ-918. მესამე გამოცემა, დამატებებითა და შესწორებებით, ელექტრონული ვერსია.**

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **თბ., გამომცემლობა ,,ინტელექტი“, 2021**

4) გვერდების რაოდენობა

1. **200 გვ.**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

თანამედროვე ბანკს, მკაცრი ბანკთაშორისი კონკურენციისა და ფინანსური მომსახურების ბაზრის მუდმივი ცვალებადობის პირობებში, გადარჩენის აუცილებლობა აიძულებს სერიოზულად გადახედოს თავისი საქმიანობის თითოეულ ასპექტს. ახალი ფინანსური პროდუქტებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების მზარდი ნაკადი საჭიროებს განვითარების მიმართულების სწორ და, ამავე დროს, სწრაფ პროგნოზს. საბანკო მომსახურებაზე ფასების დადგენის პრიმიტიულმა, ე. წ. ,,პაკეტურმა” პრაქტიკამ საბოლოოდ ამოწურა თავისი შესაძლებლობები, ვინაიდან თანამედროვე ეტაპზე უპირატესობა ფინანსური მომსახურების

კონკრეტული სახეობის მოთხოვნას ენიჭება. აღნიშნული ტენდენციები, სხვა ფაქტორებთან ერთად, აყალიბებენ სფეროს, სადაც მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების დროს დასაშვები შეცდომების არეალი მუდმივად მცირდება.

საბანკო სისტემის მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნის საკრედიტო სისტემის ბევრი რთული საკითხი შეიძლება დაძლეულ იქნეს, თუ გათვალისწინებული იქნება საბანკო სისტემის მართვის უახლესი თეორიები, მათ შორის, პირველ რიგში, საბანკო ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი.

ნაშრომში განხილულია ბანკების რეინჟინერინგის, ანუ საბანკო ბიზნეს-პროცესების ფუნდამენტური რეორგანიზაციის თანამედროვე მექანიზმი, ბანკების საქმიანობის ოპტიმალური და მაქსიმალურად ეფექტური მოდელების აგებისა და ფუნქციონირების ახალი ფორმები და მეთოდები, ტექნიკა და ტექნოლოგიები.

ნაშრომი გათვალისწინებულია ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობის მაგისტრანტების, დოქტორანტების, მეცნიერ-მუშაკების, ბანკირებისა და საბანკო საქმიანობით დაინტერესებული მკითხველისთვის.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. **Leila Ghudushauri.**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. ***Modern approaches to assessing potential losses of a commercial bank.*** **ISSN: 1857-7881(Print).**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **ESJ-European Scientific Journal.**

/გამოცემის პროცესში/

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Publisher: European Scientific Institute, ESI.

ESI cooperates with Universities and Academic Centres on 5 continents.

5) გვერდების რაოდენობა

1. **p.12.**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კომერციული ბანკის შესაძლო დანაკარგების შეფასების თანამედროვე მიდგომები

ნაშრომში განხილულია საბანკო რისკების მართვის თანამედროვე მეთოდოლოგია, რომელიც ემყარება საკრედიტო დაწესებულებების მიერ შესაძლო დანაკარგების შეფასების ერთიანი მიდგომების შემუშავებას საბანკო პორტფელების VAR მაჩვენებლების შეფასებისა და სტრესტესტირების პროცედურების გამოყენებით და ითვალისწინებს რისკფაქტორთა შეუზღუდავი რაოდენობის ერთდროულად გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ასეთი შეფასების ხარისხსა და ეფექტიანობას.

საკვანძო სიტყვები: საბანკო პორტფელი, სტრესტესტირება, VAR მაჩვენებლები, რისკფაქტორთა შეფასების მეთოდები.

ბოლო პერიოდში საბანკო სისტემამ სწრაფი ცვლილებები განიცადა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, რასაც შედეგად მოჰყვა საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული

კომპლექსური რისკების ზრდა, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც დროის, ასევე ხარისხისა და გავლენის მიხედვით. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება რისკების მთლიანობაში განხილვას, ვინაიდან ერთი სახის რისკის ცვლილება, როგორც წესი, გავლენას ახდენს სხვა სახის რისკებზე. ეს, რა თქმა უნდა, ართულებს კონკრეტული რისკის შეფასებას: ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება ხშირად მოითხოვს ღრმა ანალიზსა და დამატებითი რისკფაქტორების განხილვას.

რისკების კვლევის დროს უნდა გაიმიჯნოს ორი მთავარი მიმართულება: 1. რისკის დონის განსაზღვრა და შეფასება; და 2. რისკის სფეროში გადაწყვეტილების მიღება.

მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში რისკების შესაფასებლად მიზანშეწონილად მიიჩნევა ანალიზის კონცეფციაზე დამყარებული ორი ძირითადი მიდგომის გამოყენება. <u>*პირველი*</u> მათგანი ეფუძნება რისკფაქტორების მნიშვნელობათა გამოთვლის ***ანალიტიკური აპროქსიმაციის ფუნქციას***, რაც ანალიზის გამარტივებული მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. აღნიშნული მიდგომის ჩარჩოში გამოიყენება **VAR** მაჩვენებელთა შეფასების ***დელტა-ნორმალური მეთოდი***. <u>*მეორე*</u> მიდგომა ემყარება რისკფაქტორების მნიშვნელობათა უშუალო გაანგარიშებას. ამ მიდგომის ჩარჩოში გამოიყენება ***ისტორიული მოდელირების მეთოდი*** **(Backtesting)** წინა პერიოდებში რისკფაქტორების მნიშვნელობათა გათვალისწინების საფუძველზე, აგრეთვე, ***სტოქასტიკური მოდელირების მეთოდები (მონტე-კარლო),*** რომელშიც რისკფაქტორების მნიშვნელობების მოდელირება შემთხვევითი რიცხვების გადამცემის საშუალებით ხორციელდება.

ანალიზის მეთოდები საშუალებას იძლევა განისაზღვროს საბანკო პორტფელის მაქსიმალური მოსალოდნელი ზარალი დადგენილი ალბათობით, მომავალში მიმდინარე საბაზრო ტენდენციების შენარჩუნების პირობით.

ანალიზის მეთოდებისაგან განსხვავებით, ***სტრესტესტირების პროცედურები*** საშუალებას იძლევა შეფასდეს მოსალოდნელი ზარალის მაქსიმალური ოდენობა ისეთი ალბათური შემთხვევებისთვის, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდებიან მიმდინარე ეკონომიკურ ტენდენციებს და ამიტომ პროგნიზირებასაც ნაკლებად ემორჩილებიან. თანამედროვე ეტაპზე საბანკო პრაქტიკაში სტრესტესტირების სხვადასხვა მეთოდიკა გამოიყენება, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ***სცენარების ანალიზი.***

კრიზისის პირობებში ***საბანკო რისკფაქტორების დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, შეფასება, მონიტორინგი და პროფესიული მართვა*** იძენს პირველხარისხოვან მნიშვნელობას. რისკების ეფექტიანად მართვით ბანკის მენეჯმენტს შეუძლია გააუმჯობესოს აქტივების ღირებულება, მიიღოს ინფორმაცია მომავალში ბანკის შესაძლო ზარალის შესახებ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საფუძველზე სრულყოს სისტემური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები და პროცესები, გამოიყენოს როგორც ბანკის მუშაობის შეფასების ზუსტი ბაზა, ასევე შექმნას ბანკის კომპლექსური ინსტრუმენტებისა თუ ბიზნეს საქმიანობისთვის ისეთი ოპტიმალური ინფრასტრუქტურა, რომელიც ბანკის კონკურენტიანობას გააძლიერებს.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ხათუნა ბარბაქაძე

ნატო კაკაშვილი

2. ნატო კაკაშვილი

ხათუნა ბარბაქაძე

3. ხათუნა ბარბაქაძე

ნატო კაკაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. კომპანიის ფულადი ნაკადების ეფექტიანი მართვის შესახებ. ISSN 1987-5789;

2. სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ISSN 2667-9752 (Online); ISSN 1512-4649 (Print);

3. საპროექტო დაფინანსება - კომპანიის წარმატების ფაქტორი. ISSN: 2587–5000

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #4

2. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“ #4

3, ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ #4

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა

2. თბილისი, გამომცემლობა: „ლოი“

3. თბილისი, გამომცემლობა: „დანი“

5) გვერდების რაოდენობა

1. 5 გვერდი

2. 8 გვერდი

3. 10 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. კომპანიის ფულადი ნაკადების ეფექტიანი მართვის შესახებ

კომპანიის ფულადი ნაკადების მართვა წარმოადგენს ფინანსური საქმიანობის ნაწილს, რომელიც მნიშვნელოვანია ზოგადად ბიზნესის გაჯანსაღებისთვის. კომპანიებს შორის არსებული კონკურენცია ართულებს როგორც, მოგების ზრდას ასევე, დადებითი ფულადი ნაკადების შენარჩუნებას. რადგან კომპანიების ძირითადი მიზანი მოგებისა და ბაზრის წილის ზრდაა, ამიტომ ნაკლები ყურადღება ექცევა ფულადი ნაკადების პროგნოზირებასა და მართვას. ნებისმიერი კომპანიისთვის ფულადი ნაკადები არის მამოძრავებელ ძალა და მისი მართვის სწორი სტრატეგიის შემუშავება სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკის ნებისმიერი სექტორისთვის.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ფულადი ნაკადების მართვასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების განხილვა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე

მოქმედი ფაქტორების შეფასება კომპანიის ფულადი ნაკადების მართვის გაუმჯობესების მიზნით.

აღნიშნული თემის დამუშავებისას გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური და ლოგიკური განზოგადების მეთოდები. ასევე გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

დასკვნა. კომპანიის ფულადი ნაკადების ეფექტურ მართვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების განხილვისას ჩამოყალიბებული გვაქვს ზოგადად ფულადი ნაკადების, მისი მართვისა და ანგარიშგების თეორიული საფუძვლები.

ფულადი ნაკადების გაზომვისა და ანგარიშგების მეთოდების განხილვიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული მეთოდები ერთმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების გამოთვლის სპეციფიკით. თუ პირდაპირ მეთოდში შემომავალი და გამავალი ფულადი ნაკადების პირდაპირი წესით ხდება, არაპირდაპირი მეთოდის დროს, კომპანიის ფინანსური შედეგი, მოგება, კორექტირდება არაფულადი მუხლებით და ვიღებთ წმინდა ფულად ნაკადს. აღნიშნული მეთოდი გაცილებით ინფორმაციულია კომპანიის მენეჯმენტისთვის, რადგან იგი აჩვენებს კავშირს მიღებულ მოგებასა და ფულად ნაკადებს შორის.

ფულის მართვის მოდელების განხილვა საშუალებას გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ Miller-Orr-ს მოდელის უპირატესობა Baumol-ის მოდელთან შედარებით მდგომარეობს რეალისტურ დაშვებებში, კერძოდ Miller-Orr-ს მოდელი არ უშვებს ფულადი ნაკადების თანაბარი ოდენობით გადინებას, რასაც Baumol-ის მოდელში ვხვდებით. პირიქით, Miller-Orr-ს მოდელი გულისხმობს, რომ ფულადი ნაკადები მერყეობა პერიოდის განმავლობაში, რაც, რა თქმა უნდა, გაცილებით რეალისტურია. აქედან გამომდინარე, მოცემული მოდელი მეტად გამოყენებადია Baumol-ის მოდელთან შედარებით.

5. სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

სიცოცხლის დაზღვევის ბაზარზე არსებული პრობლემები აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ სადაზღვევო კომპანიებმა, თუმცა, საზოგადოებამაც უნდა გააცნობიეროს ის სარგებელი, რაც სიცოცხლის დაზღვევამ შეიძლება მოუტანოს მათ. აღნიშნული დაზღვევის გამოყენებით, ადამიანებს საშუალება აქვთ იზრუნონ მათი ოჯახის ფინანსურ სტაბილურობაზე გაუთვალისწინებელი მოვლენის მოხდენის შემთხვევაში.

აღნიშნული თემის მიზანია ხელი შეუწყოს სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარებას, გაუმჯობესდეს სადაზღვევო კულტურა და სისტემა, ასევე გაიზარდოს მოსახლეობის ნდობა სიცოცხლის დაზღვევის მიმართ, განხორციელდეს სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის კვლევა და მისი განვითარების მდგომარეობის შესწავლა საქართველოში. აღნიშნული საკითხის დამუშავებისას გამოყენებულ იქნა კვლევის სისტემური და ლოგიკური განზოგადების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები.

დასკვნა. სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორებიდან, შეიძლება გამოვყოთ: ინფორმაციის ნაკლებობა; მენტალიტეტი; მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა.ამასთანავე აუცილებელია განვითარდეს საინვესტიციო ბაზარი,რაც სტიმულს მისცემს ადამიანებს განახორციელონ ინვესტიციები სიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით. საპენსიო და სიცოცხლის დაზღვევის სფეროში შემუშავდეს და დაინერგოს ახალი

პროდუქტები, რომლებიც მაქსიმალურად იქნება მორგებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე. მეტად მნიშვნელოვანია სიცოცხლის დაზღვევის პოპულარიზაცია. გაუმჯობესდეს კონტროლის მექანიზმი და გაკონტროლდეს სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებაში დადებული ხელშეკრულებების ობიექტურობა და სამართლიანობა, მოხდეს მონიტორინგი თუ რამდენად ასრულებენ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

საჭიროა სადაზღვევო კომპანიებმა საკუთარი პროდუქტები მაქსიმალურად მოარგონ სხვადასხვა სოციალურ ფენას და გაითვალისწინონ მათი შესაძლებლობები. თითოეული მომხმარებლის მიმართ შეიმუშაონ ინდივიდუალური მიდგომები, კერძოდ: გააუმჯობესონ მომსახურეობის ხარისხი, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ამაღლდეს მათი კვალიფიკაციის დონე და დანერგონ ინოვაციური მიდგომები.

6. საპროექტო დაფინანსება - კომპანიის წარმატების ფაქტორი

საპროექტო დაფინანსებაში კაპიტალის მომწოდებლისთვის გარანტიად გამოდის პროექტის რეალიზაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი. როგორც წესი, აქტივებს შეუძლიათ უზრუნველყონ მხარდაჭერა, თუმცა ხშირად მათი ოდენობა პრინციპში შეუთავსებელია პროექტის ღირებულებასთან. საპროექტო დაფინანსების სპეციფიკა გულისხმობს, რომ პროექტების რეალიზება ხდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე: მკაცრად განსაზღვრული ან განკერძოებული ეკონომიკური საქმიანობა პროექტის ჩარჩოებში; რისკების გონივრული მართვა და პროექტის მონაწილეების ფუნქციური გარანტიების სისტემის არსებობა; დამუშავებული ფინანსური მოდელის არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბაზას ინვესტირებისა და დაფინანსებისთვის; პროექტის პროფესიული მართვა.

წინასაპროექტო სტადიაზე ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტზე, პირველი, საჭიროა მკაფიოდ დამუშავდეს პროექტის მარკეტინგული საფუძველი; მეორე, ინიციატორმა კარგად უნდა იცოდეს შემოთავაზებული პროდუქტის (მომსახურების) ბაზარი; მესამე, ესმოდეს საკუთარი მიზნობრივი სეგმენტი; მეოთხე, ადეკვატურად შეაფასოს კონკურენტების ძალა. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია პროექტის ტექნიკური დასაბუთებაც.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ხათუნა ბარბაქაძე

ნატო კაკაშვილი

2. ნატო კაკაშვილი

ხათუნა ბარბაქაძე

2) მოხსენების სათაური

1. „საბრუნავი კაპიტალის მართვის სრულყოფის საკითხის შესახებ“

2. „კოვიდ -19 ის გავლენა სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ მაჩვენებლებზე“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 19 ნოემბერი 2021 წელი. თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2. 12 თებერვალი 2021 წელი. თბილისი, სეუ

ასისტენტ პროფესორი თამარ კბილაძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. თამარ კბილაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. Macroeconomic Uncertainty and Empirical Research Results of its Quantitative Measurement in Georgia

DOI: https://doi.org/10.15388/Ekon.2021.1.4

ISSN 1392-1258 eISSN 2424-6166

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნალი ეკონომიკა, ტომი 100 (1)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ლიეტუვა, ვილნიუსის უნივერსიტეტი

5) გვერდების რაოდენობა

1. გვ.67- 74 (8 გვერდი)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აბსტრაქტი. ეს სტატია გაგვაცნობს მისი ავტორების მიერ შემოთავაზებულ მიდგომებს განუსაზღვრელობის ცნების განმარტების, მისი რაოდენობრივი შეფასების და მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებული ემპირიული კვლევის მასალებს საქართველოს მაკროეკონომიკის მაგალითზე. ვფიქრობთ, სტატიაში გადმოცემული ხედვები გამოსადეგი იქნება განვითარებადი ქვეყნებისათვის, განსაკუთრებით პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში ეკონომიკური პოლიტიკის მკეთებელი უწყებების და განხილული პრობლემატიკის კვლევებით დაკავებული აკადემიური და სამეცნიერო წრეებისთვის.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. თამარ კბილაძე

2) მოხსენების სათაური

1. Digital Competences and Social Responsibility

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 02 – 11 - სექტემბერი, კობლენცი, გერმანია

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება ***ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი ***პროფესორი ლევან საბაური***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ნადეჟდა კვატაშიძე ასოცირებული პროფესორი
ნანა სრესელი ასოცირებული პროფესორი
იზოლდა ჭილაძე ასოცირებული პროფესორი
მარინა მაისურაძე ასოცირებული პროფესორი
მერაბ ჯიქია ასოცირებული პროფესორი
მარიამ ვარდიაშვილი ასოცირებული პროფესორი
ლია კოზმანაშვილი ასისტენტ-პროფესორი

პროფესორი ლევან საბაური

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ლევან საბაური;

2. ლევან საბაური.

2) სტატიის სათაური, ISSN

1. **კორონავირუსის COVID-19 გავლენა ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტზე (ISSN 1987-***5789);*

2. შიდა აუდიტის შეცვლილი როლი COVID–19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში (ISSN ISBN 978-9941-491-35-1).

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. *ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი #2.*
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული. თბილისი, 6 ნოემბერი.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. *თბილისი, თსუ გამომცემლობა;*

2. თბილისი, თსუ გამომცემლობა.

5) გვერდების რაოდენობა

1. 6

2. 6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსული ინფექციის (COVID-19) გავრცელება პანდემიად აღიარა. პანდემიის

გამოცხადების საფუძველი მსოფლიოში ახალი ვირუსის გავრცელების მასშტაბის სიმძიმე და ასევე ზოგიერთი ქვეყნის უმოქმედობა გახდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსთან საბრძოლველად ქვეყნებს მყისიერი და აგრესიული ქმედებისკენ მოუწოდა.
კორონავირუსის გავრცელების პრევენციისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა თავის მხრივ გამოიწვია მრავალი ბიზნესის ფუნქციონირების შეზღუდვა და გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა ეკონომიკაში. აღნიშნულმა ასევე გავლენა მოახდინა აქტივების ფასების ცვლილებაზე, ვალუტის გაცვლითი კურსის ნახტომისებურ ზრდაზე და სესხის საპროცენტო განაკვეთზე. ამასთან, 2020 წლის მარტში, OPEC-ის ქვეყნებისა და რუსეთის მიერ ნავთობის წარმოების დონის შემცირების შესახებ შეთანხმებების არარსებობის გამო, მოხდა ნავთობის მსოფლიო ფასების მნიშვნელოვანი შემცირება.

საქართველოს ეკონომიკაზეც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ, მნიშვნელოვნად დასუსტდა ქართული ლარი უცხოურ ვალუტასთან შედარებით. ამ და სხვა ეკონომიკურმა რყევებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საწარმოთა 2020 წლის ფინანსურ აღრიცხვა-ანგარიშგებასა და აუდიტზეც.
სტატიაში განხილულია პანდემიის გავლენა როგორც 2019 წლის, ასევე 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასა და აუდიტზე. დეტალურადაა აღწერილი ის მოვლენები, რაც გათვალისწინებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, მოცემულია პანდემიის გამო გამოწვეული კრიზისის გავლენა ეკონომიკაზე, ძირითადად, საქმე ეხება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარ მოვლენებსა და საწარმოს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობას.
აუდიტის ჩატარების დროს აუცილებელია ზემოაღნიშნული შემთხვევებისათვის გამოვიყენოთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტის 560 „შემდგომი მოვლენები“ მოთხოვნები, რაზეც ნაშრომში დეტალურადაა საუბარი. მოცემულია, კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით, აუდიტორის მოსაზრების პრაქტიკული ნიმუშები, რაც გამყარებულია, შესაბამისი საფუძვლიანი აზრით.
ამრიგად, 2020 წლის კორონავირუსული პანდემიისა და ეკონომიკური კრიზისების შედეგად გამოწვეული დამატებითი ფაქტორების გასათვალისწინებლად, როგორც საწარმოს ხელმძღვანელობას, ასევე აუდიტორებს შეიძლება დასჭირდეთ დამატებითი დრო და რესურსი ფინანსურ ანგარიშგებაში, კორექტირებისა და ინფორმაციის გამჟღავნების გავლენის შესაფასებლად და დასაბუთებული აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად, რაც შესაძლებელია გახდეს 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ, გარიგების ვადის გაგრძელების საფუძველი.
2. შეცვლილი რეალობა ცვლილებებისკენ უბიძგებს არამარტო საწარმოებს, ქალაქებს, ქვეყნებსა და მთლიანად სამყაროს, არამედ თითოეულ ჩვენგანსაც გვაიძულებს, ავყვეთ სამყაროს ამ რეალურ ცვლილებას. სტატიის მიზანს წარმოადგენს პანდემიის გავლენის წარმოჩენა შიდა აუდიტის მიმართულებაზე და იმ საპასუხო ნაბიჯების გადადგმა, რომელიც შიდა აუდიტის სპეციალისტებმა უნდა მიიღონ კორონავირუსით გამოწვეულ კრიზისულ პირობებში. სტატიაში ასევე განხილულია იმ აუცილებლობის შესახებ, რამაც გარკვეულწილად გამოიწვია პანდემიის პირობებში შიდა აუდიტის როლის ცვლილება. შიდა აუდიტის როლის ცვლილებაზე როდესაც

ვსაუბრობთ, აქ დეტალურად ვიხილავთ იმ ეტაპებს, რამაც უნდა უნდა უზრუნველყოს რისკების მინიმუმამდე შემცირება შიდა აუდიტის დახმარებით და კომპანიას შეუნარჩუნოს სტაბილური ფინანსური მდგომარეობა.

ასოცირებული პროფესორი მარინა მაისურაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. მ.ვარდიაშვილი მ.მაისურაძე
2) სტატიის სათაური, ISSN
1. საპენსიო პროგრამებით წარმოქმნილი ვალდებულებების აღრიცხვის საკითხები სსბასს 39-ის მიხედვით.
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. VI საერთაშირისო სამეცნიერო კონფერენზია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში . 2021 ISSN **ISBN 978-9941-491-35-1**
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
5) გვერდების რაოდენობა
1. 6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დადგენილშენატანიანი პროგრამებით საჯარო სუბიექტის პასუხისმგებლობა თითოეული პერიოდისთვის განისაზღვრება, ამ პერიოდში შესატანი თანხით. შესაბამისად ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, თუ მოსალოდნელი არაა რომ ისინი მთლიანად დაიფარება 12 თვის განმავლობაში იმ პერიოდის დასრულებიდან, როდესაც დაქირავებულებმა გასწიეს მომსახურება.
დადგენილსარგებლიანი პროგრამის საბოლოო დანახარჯები დამოკიდებულია მრავალ ცვლადზე. ამიტომ დადგენილსარგებლიანი პროგრამის ვალდებულების დისკონტირებული ღირებულებით შესაფასებლად, გამოიყენება აქტუალური დაშვებები.

ასოცირებული პროფესორი ნადეჟდა კვატაშიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.2. სახელმძღვანელოები/ლექციების კურსი
1) ნ.კვატაშიძე
1. ISSN **ISBN 978-9941-491-35-1**
2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. კორპორაციული ანგარიშგება
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, თსუ
4) გვერდების რაოდენობა
1. 321

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წინამდებარე ლექციების კურსი დაწერილია ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, საგანში „კორპორაციული ანგარიშგება“.

ლექციების კურსში წარმოდგენილია სააქციო საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მომზადების ისეთი საკითხები, როგორიცაა ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეფციები; ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება და აღიარება; საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვა; შვილობილი საწარმოები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება; მეკავშირე და ერთობლივი საწარმოები; ერთობლივი საქმიანობა; შემოსავალი ერთ აქციაზე. ყველა საკითხი განხილულია ფასს-ის შესაბამისად.

ნაშრომი წარმოადგენს მეორე გადამუშავებულ გამოცემას, განკუთვნილია თსუ მაგისტრანტებისათვის, ასევე ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის, პრაქტიკოს-მუშაკთათვის, ფინანსური ანგარიშგების საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ნ.კვატაშიძე

1. ISSN **ISBN 978-9941-491-35-1**

2) სტატიის სათაური, ISSN

1. რეზერვების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენზია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

5) გვერდების რაოდენობა

1. 8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების ღირებულება უნდა ასახავდეს მათგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს. დროთა განმავლობაში შესაძლებელია გაუარესდეს აქტივების „ხარისხი“ და შედეგად შემცირდეს მისაღები ეკონომიკური სარგებელი. ამისი მიზეზია აქტივების გაუფასურება: ფიზიკური დაზიანება, მორალური მოძველება, საბაზრო ფასების დაცემა, საპროცენტო განაკვეთების ზრდა და სხვა. გაუფასურების კონცეფციით აქტივები გაუფასურებულია, თუ საწარმო ვერ ამოიღებს აქტივების საბალანსო ღირებულებას მათი გამოყენებით ან გაყიდვით.

ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯიქია

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. მერაბ ჯიქია
2) სტატიის სათაური, ISSN
1. On the methodology of the analysis of business activities of enterprise
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ECOFORUM Volume 10, Issue 3(26), 2021 ISSN:2344-2174
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. რუმინეთი
ECOFORUM is an international, multi-disciplinary, refereed (peer-reviewed) and open access journal aiming to promote and enhance research in all fields of Economics. The journal is conceived and edited by the members of Management, Business Administration and Tourism Department within the Faculty of Economic Sciences and Public Administration, "Stefan cel Mare" University of Suceava.
5) გვერდების რაოდენობა
1. 6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფინანსური ბერკეტის ეფექტი გვიჩვენებს თუ რამდენი პროცენტით იზრდება საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა ნასესხები კაპიტალის საწარმოს ბრუნვაში მოზიდვის შედეგად. ის წარმოიქმნება ისეთ შემთხვევებში, თუ ეკონომიკური რენტაბელობა მაღალია სესხის ან კრედიტის პროცენტზე.
ფინანსური ბერკეტის ეფექტი შედგება ორი კომპონენტისაგან: იგი არის სხვაობა ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელობასა (გადასახადების გადახდის შემდეგ) და კრედიტზე საპროცენტო განაკვეთს შორის.
იქიდან გამომდინარე, ნასესხები კაპიტალი ითვლება უფრო იაფფასიან წყაროდ (პროცენტზე საგადასახადო ეკონომიის ეფექტი, ამასთან კრედიტორების რისკი უფრო დაბალია ვიდრე მესაკუთრეების, ამიტომ რისკის საკომპემსაციოდ მესაკუთრეებმა დაბანდებულ კაპიტალზე უნდა მიიღონ უფრო მეტი უკუგება), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნასესხები კაპიტალის ზრდა და საკუთარის გამოდევნა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას იძლევა.
იმავდროულად, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი გადიდება იწვევს ფინანსური რისკის ზრდას, რამდენადაც, პირველ რიგში, ნასესხები კაპიტალის უკვე არსებული მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აიძულებს კრედიტორებს გაზარდონ საპროცენტო განაკვეთები; და მეორე, ნასესხები კაპიტალის ხვედრითი წონის გადიდება ზრდის მესაკუთრეთა რისკს, რაც იწვევს აუცილებლობას გაზარდონ საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობის მოსათხოვნი განაკვეთი.

ასოცირებული პროფესორი ნანა სრესელი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ნანა სრესელი
2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI:10.36962/ ECS

1. **Functions and meaning of "Materiality" in the formation of information in financial statements**

არსებითობის ფუნქცია და მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ფორმირებაში.

3) **ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი**

1. ჟ. ეკონომიკა, ტომი 104, 11-12 2021.

ინდექსირდება საერთასორისო სამეცნიერო ბაზებში:

PORTICO; DOI Crossref; Zenodo; Google Scholar.

E-ISSN 2733-3361

ISSN 2587 - 4713

4) **გამოცემის ადგილი, გამომცემლობა**

1. თბილისი, კოსტავას ქ. 63.

5) **გვერდების რაოდენობა**

1. 51-60 (10 გვ.)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ინფორმაციის არსებითობის პრობლემა დაკავშირებულია არა მხოლოდ აუდიტთან, არამედ ფინანსურ-ეკონომიკურ და მენეჯერულ საქმიანობასთან, მათ შორის, აღრიცხვის პროცესის ორგანიზაციასა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან. ინფორმაციის, მათ შორის მაჩვენებლების ფაქტობრივი მნიშვნელობის დადგენილი პარამეტრებიდან გადახრების არსებითობის დონე, განსაზღვრავს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების და მიღებული გადაწყვეტილებების განუსაზღვრემობის რისკს.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში აღნიშნულია, რომ ფინანსური ანგარიშები მნიშვნელოვან წილად ეყრდნობა მიახლოვებით შეფასებებს , განსჯასა და მოდელებს და არა მოვლენების ზუსტ ასახვას. ფასს სტანდარტი მიიჩნევს, რომ სათანადო ფაქტისა და შესაფერისი გარემოების გათვალისწინებით, საწარმომ უნდა მიიღოს იმის გადაწყვიტილება, თუ როგორ განახორციელებს ინფორმაციის აგრეგირებას ფინანსურ ანგარიშგებაში და შენიშვნებში.

ორგანიზაციებზე მინიჭებული უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვრონ ის, თუ რო გორ განახორციელონ ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენი ინფორმაციის აგრეგირება, ზრდის ფინანსური ანგარიშგების აღქმადობის შესუსტების რისკს. რადგან არაარსებითი ინფორმაციის ჩართვამ, ან ხასიათით ან ფუნქციონალურად განსხვავებული ინფორმაციის აგრეგირებამ, არსებითი ინფორმაცია შეიძლება მომხმარებლისთვის გაუგებარი გახადოს. საბჭო ვერ ადგენს არსებითობის ერთიან რაოდენობრივ ზღვარს, და ვერც იმას განსაზღვრავს, რა შეიძლება იყოს კონკრეტულ სიტუაციაში არსებითი. თუმცა, კონცეპტუალური საფუძვლები განმარავს, რომ *არსებითობა* ამა თუ იმ საწარმოსთვის დამახასიათებელი *შესაგამისობის სპეციფიკური ასპექტია,* რომელიც გამომდინარეობს იმ ელემენტების ხასიათიდან და/ან სიდიდიდან, რომელსც ეხება მოცემული ინფორმაცია კონკრეტული საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კონტექსტში. ინფორმაციის არსებითობის შესაფასებლად დასაბუთებული მეთოდების სიმცირე, განაპირობებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფის შეზღუდვას.

რა შემთხვევაში ითვლება „ინფორმაცია არსებითად“?

ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში შეიძლება მოსალოდნელი იყოს, რომ მისი გამოტოვება, არასწორად ან ბუნდოვნად წარმოდგენა გავლენას მოახდენს გადაწყვეტილებებზე, რომელსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები იღებენ. ანუ არსებითად უნდა იყოს აღიარებული ის საანგარიშგებო მაჩვენებლები და მათი მნიშვნელობები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების დასკვნებზე, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

ანგარიშგების მაჩვენებლის ან მაჩვენებელთა ერთობლიობის გამოტოვება ან არასწორი განმარტება თუ არ იწვევს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ჩამოყალიბებული დასკვნების ცვლილებას, მაშინ ინფორმაცია უნდა კლასიფიცირდეს, როგორც არამატერიალური. მაგრამ, წამგებიანი ორგანიზაციებისთვის, ინფორმაციის გამოტოვების ან დამახინჯების ისეთი ფაქტები, რომლებშიც ეს სუბიექტები შეიძლება აღიარებულ იქნეს მომგებიან ორგანიზაციებად, წარმოადგენს არსებითს.

ინფორმაციის არსებითობის შეფასებისადმი ისეთი მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის *ფინანსური მდგომარეობის შეფასების* ინდიკატორებზე, აღიარებული უნდა იყოს, როგორც უნივერსალური, რომელის გამოიყენება მისაღებია სხვადასხვა ტიპის საქმიანობის სუბიექტების და ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სხვადასხვა მომხმარებლისთვის, მიუხედავად მათი მიზნებისა. ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის არსებითობის შეფასების ეს მიდგომა, კონსტრუქციულია მისი ცდომილებების არსებითობის შესაფასებლადაც.

სააღრიცხვო ინფორმაციისა და ფინანსური ანგარიშგების არსებითობის ცნება განხილულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში (ფასს). წარმოდგენილი შრომა ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლებისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დებულებებს.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) **ავტორი/ავტორები**

1. ნანა სრესელი, იზოლდა ჭილაძე

2) **სტატიის სათაური, ISSN ISBN 978-9941-491-35-1**

1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების სადისკუსიო ასპექტები

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (4-5 ნოემბერი 2021)
„გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული

4) **გამოცემის ადგილი, გამომცემლობა**

1. საქართველო, თბილისი.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021
ISBN 978-9941-491-35-1

5) **გვერდების რაოდენობა**

1. გვ.445-452 (8 გვ.)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) სისტემის არსებით კომპონენტს. ამავე დროს, მას არ აქვს სტანდარტის სტატუსი. ეს კი გულისხმობს, რომ „კონცეპტუალური საფუძვლები“ არ არეგულირებს ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტების შეფასების და ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების კონკრეტულ საკითხებს, აგრეთვე იმასაც, რომ კონცეპტუალური საფუძვლების დებულებებს არ აქვს უპირატესობა კონკრეტული საერთაშორისო სტანდარტების დებულებებთან შედარებით. მაგრამ, კონცეპტუალური საფუძვლები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შემუშავების სახელმძღვანელოს, თვით საბჭოსთვის. კონცეპტუალური საფუძვლები, როგორც საბაზისო დოკუმენტი, ფასს-ის საბჭოს ეხმარება უზრუნველყოს სტანდარტების დებულებების თანმიმდევრულობა, ფოკუსირებულია ანგარიშგების მომხმარებელთა ინტერესებზე და საერთო პრინციპების დაცვაზე. სწორედ კონცეპტუალური საფუძვლების ძირითად დებულებებზეა აგებული აღრიცხის საერთაშორისო სტანდარტების მთელი სისტემა.

კონცეპტუალური საფუძვლების შესავალში აღნიშნულია, რომ სხვადასხვა ქვეყნების საწარმოთა ფინანსური ანგარიშგება მსგავსია, მაგრამ, მაინც არსებობს განსხვავებები, რაც გამოწვეულია მრავალი სოციალური, ეკონომიკური და საკანონმდებლო ფაქტორებით, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების განსხვავებული მოთხოვნებით. ამ განსხვავებულმა ფაქტორებმა გამოიწვია ფინანსური ანგარიშგების ელემენტების: აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების განმარტებების მრავალფეროვნება და ფინანსური ანგარიშგების მუხლების აღიარებისა და შეფასებისადმი განსხვავებული კონცეპტუალური მიდგომების არსებობა.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების მიზანია დაეხმაროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) ისეთი სტანდარტების შემუშავებაში, რომელიც ეყრდნობა ურთიერთთავსებად და თანმიმდევრულ მსოფლმხედველობას. ამასთან, კონცეპტუალური საფუძვლები დრო და დრო შესაძლებელია გადაისინჯოს და მასში შეტანილ იქნეს ცვლილებები, რაც შემდეგ, შესაბამის სტანდარტში აისახება.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიზანია შეამციროს სწორედ ეს განსხვავებები ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესების, პროცედურებისა და ფინანსური სტანდარტების ჰარმონიზაციის მეშვეობით, აღნიშნულია კონცეპტუალურ საფუძვლებში.

კონცეფციაში ოფიციალურად გამოჩნდა ეკონომიკური შინაარსის პრიორიტეტი ფორმაზე (substance over form) (2.12). ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური მოვლენების შინაარსი და მისი იურიდიული ფორმა იდენტურია, მაგრამ მათ შორის განსხვავებაა, მხოლოდ მოვლენის იურიდიული ფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური მოვლენის სამართლიან წარდგენას, რადგან მისი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მოვლენის ეკონომიკური შინაარსის ასახვით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას განიხილება წინდახედულობის ახალი კონცეფცია. წინდახედულობა გულისხმობს სიფრთხილის გამოჩენას განუსაზღვრელობის პირობებში განსჯისა და გადაწყვეტილების მიღებისას. ანუ,

წინდახედულობა მოითხოვს ნეიტრალიტეტს და არა ასიმეტრიას ანგარიშგების მონაცემებში, უფრო ზუსტად, იგი არ უშვებს არც აქტივების ან შემოსავლების შემცირებას და არც ვალდებულებებისა ან ხარჯების გადიდებას.„აქტივისა“ და „ვალდებულების“ განმარტებებში ტერმინი - „რესურსი“, შეცვლილია ტერმინით - „ეკონომიკური რესურსი“ და აქტივი განიხილება როგორც უფლებების ერთობლიობა და არ ა, როგორც ფიზიკური სუბსტანციის მქონე ობიექტი. ტრანსფორმაცია განიცადა ფორმულირებამ - საწარმო *„აქტივისგან მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას* მომავალში“, რომელიც ჩაანაცვლა განმარტებამ - „აქტივს აქვს პოტენციალი წარმოქმნას ეკონომიკური სარგებელი.მნიშვნელოვანია ცვლილებები განიცადეს აქტივების და ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმებმა. ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ამოსაცნობად საწარმომ ახალი კრიტერიუმები უნდა გაანალიზოს. ამრიგად: საწარმოს ესაჭიროება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ამოცნობისას ახალი კრიტერიუმების გაანალიზება; მომხმარებლებისათვის შესაფერისი და სამართლიანი ინფორმაციის მისაღებად გასაწევი ხარჯების გაანალიზება; ელემენტების აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, კონცეფციაში გათვალისწინებულია სახელმძღვანელო მოსაზრებები არა როდის შეიძლება მოხდეს, არამედ "პირიქით" - როდის ჯობია არ მოხდეს აღიარება. მაგალითად, ელემენტების ცვლილებების აღიარება ყოველთვის არ იძლევა შესაბამის ინფორმაციას მომხმარებლებისათვის; ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაურკვეველია არსებობს თუ არა აქტივი ან ვალდებულება; ან, შეიძლება აქტივი ან ვალდებულება არსებობს, მაგრამ დაბალია საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის ან საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გასვლის ალბათობა; ამის გარდა, შეფასების განუსაზღვრელობის პირობებში, აღიარებული ინფორმაცია შეიძლება საეჭვო აღმოჩნდეს.

ასოცირებული პროფესორიიზოლდა ჭილაძე

5. **ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში**

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) **ავტორი/ავტორები**

1. იზოლდა ჭილაძე, ნანა სრესელი

2) **სტატიის სათაური, ISSN ISBN 978-9941-491-35-1**

1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების სადისკუსიო ასპექტები

3) **ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი**

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (4-5 ნოემბერი 2021)
„გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული

4) **გამოცემის ადგილი, გამომცემლობა**

1. საქართველო, თბილისი.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

ISBN 978-9941-491-35-1

5) **გვერდების რაოდენობა**

1. გვ.445-452 (8 გვ.)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შრომის მიზანია შეაფასოს ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში 2018 წელს მომხდარი ცვლილებების გავლენა საწარმოთა აქტივების განმარტებასა და მათი ღირებულების გადაფასების შედეგებზე.

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები წარმოადგენს ფინანსური აღრიცხვის, და საწარმოთა საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის თეორიულ ფუნდამენტს, სახელმძრვაბელოს საერთაშორიოს მასშტაბით. აქედან გამომდინარე, მასში შეტანილი ყოველი ცვლილების განხილვა ყოველთვის აქტუალურია.

სტატიაში შედარებითი ანალიზისა და პროფესიული განსჯის მეთოდების საფუძველზე განხილულია სწ „კონცეპტუალურ საფუძვლებში“ მომხდარი ბოლო ცვლილებები აქტივების განსაზღვრებასა და მისი შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

შრომაში გამოყენებულია აღრიცხვის, შეფასების, შედარების, ინდუქციური და დედუქციური ანალიზისა და პოფესიული განსჯის მეთოდები.

წინამდებარე სტატიაში კვლევის ძირითადი საგანია საწარმოთა აქტივების განსაზღვრებისა და შეფასების არსებული მეთოდიკა, რომელსაც ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები იძლევა. მისი განმარტებით, „**აქტივი** არის **ეკონომიკური რესურსი**, რომელსაც საწარმო **აკონტროლებს** წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად, ხოლო, ეკონომიკური რესურსი **არის უფლება,** რომელსაც გააჩნია **ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი** (1. მ: 4.4). ჩვენ ვერ ვეთანხებით განმარტებას, რომ **„ეკონომიკური რესურსი არის უფლება“.**

გამომდინარე იქდან, რომ უფლება უხილავი ნებართვაა, რომელსაც ხელით ვერ შეეხები, გაუმართლებად მიგვაჩნია. ჩვენ ვიზიარებთ აზრს, რომ **აქტივი არის ეკონომიკური რესურსი, რომელსაც გააჩნია სარგებელის შექმნის პოტენიციალი.**

ვთვლით, რომ როგორც თეორიული ისე პრატიკული გამოყენების თვალსაზრისით, უფრო მართებული და ადეკვატურია, „კონცეპტულურ საფძვლებში“ 2010 წლამდე არსებული განმარტება აღდგეს შემდეგნაირად: **„აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომელსაც გააჩნია ეკონომიკური სარგებლის მოტანის პოტენციალი“**.

შრომაში აგრეთვე კრიტიკულადაა განხილული გრძელვადიანი აქტივების შეფასების მეთოდები და გაკეთებულია დასკვნები, რომ დასახელებულ „კონცეპტუალურ საფუძვლებში“ მოცემულ გრძელვადიანი აქტივების გადაფასების მეთოდებს გააჩნია შემდეგი შეზღუდვები: აქტივების „გაუფასურების ზარალის გამოთვლა ხდება გრძელვადიანი აქტივის მიერ დამზადებული პროდუქციის გაყიდვებიდან, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების საფუძველზე, მაშინ, როდესაც მზა პროდუქციის დამზადება მხოლოდ გრძელვადანი აქტივების მონაწილეობით არ ხდება; მაღალია განუსაზღვრელობების და სუბიექტური ფაქტორების გავლენის ალბათობა. კერძოდ, მენჯმენტმა მოგება შეიძლება აჩვენოს მაშინაც კი, თუ

ეკონომიკური კრიზისია ან აჩვენოს ზარალი, საგადასახადო ტვირთის შემცირების მიზნით; გადაფასების მეთოდიკა ასევე განიცდის საბანკო სექტორის ფინანსური პოლიტიკის ცვლილებების ზეგავლენას, რაც კიდევ უფრო ზრდის განუსაზღვრელობის ხარისხს; გამომდინარე იქედან, რომ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები გლობალური ხასიათისაა, არსებული მეთოდიკის ცალკეულ ქვეყნებში გამოყენებამ, შესაძლოა მოახდინოს ეკონომიკური კრიზისების პროვოცირება საერთაშორისო მასშტაბით.

- აქტივების განმარტება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომელსაც გააჩნია ეკონომიკური სარგებლის მოტანის პოტენციალი;
- გრძელვადიანი აქტივებს გადაფასება მოხდეს მხოლოდ მათი ექსპლოატაციიდან გასვლის დროს და ან რაიმე სერიოზული დაზიანებების მიღების შემთხვევაში.

2) ავტორი

1. იზოლდა ჭილაძე,

2) **სტატიის სათაური, ISSN ISBN 978-9941-491-35-1**

1. ეკონომიკის ქრისტიანული პარადიგმები

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ე „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული

4) **გამოცემის ადგილი, გამომცემლობა**

1. საქართველო, თბილისი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (4-5 ნოემბერი 2021)

ISBN 978-9941-491-35-1

5) **გვერდების რაოდენობა**

1. გვ.440-444 (5 გვ.)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

შრომის მიზანია ახსნას, ქრისტიანული მსოფლმხედველობის ეკონომიკური პარადიგმების არსი და და მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების ჭეშმარიტი გზების მიმართულებით, რაც აუცილებელია სამართლიანი და საიმედო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების, განვითარებისა და ადამიანების სულიერი გადარჩენის გზაზე.

შრომაში განხილულია ქრისტიანული მსოფლმხედველობის ეკონომიკური ხასიათის რჩევები, თუ როგორ უნდა იშრომოს და იცხოვროს ადამიანმა, რათა დააგროვოს ნამდვილი სიმდიდრე ცაში და მიაღწიოს სულის ხსნას რათა გადარჩეს.

გამომდინარე იქედან, რომ ეკონომიკა ადამიანების საქმიანი ურთიერობების ერთობლიობაა, ადამიანი კი შექმნილია ხატად ღვთისა, მას უზენაესის მიმართ ევალება ეკონომიკურ საქმიანობაშიც დაიცვას შემოქმედის მიერ ცხოვრებისა და შრომის ფუნდამენტური პრინციპები. წინამდებარე ნაშრომში სახარებისეული მსოფლმხედველობის

განხილვის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ეკონომიკის ქრისტიანული პარადიგმები და ჩატარებული კვლევის შედეგად გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

კვლევაში გამოყენებულია ლოგიკური განსჯის, აზროვნების სინთეზისა და ანალიზის მეთოდები.

შრომაში გადმოცემული მტკიცებულებები იმისა, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობა პირდაპირ უკავშირდება ადამიანის მიერ მატერიალური დოვლათის შექმნის საკითხებსაც.

შრომაში განხილულია ეკონომიკის ქრისტიანული გააზრების დოქტრინა. აღნიშნულია, რომ ბაზარი იძლევა ინფორმაციებს და სტიმულებს, რომლებიც საჭიროა ადამიანების მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად. პირველად ადამ სმითმა ჩაუყარა საფუძველი ეკონომიკის ანალიზს რელიგიურ ჭრილში, შრომაში: „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, იგი წერს: „ყოველი ინდივიდი ცდილობს ისეთნაირად აამოქმედოს საკუთარი კაპიტალი, რომ მან მაქსიმალური მოგება მოუტანოს. ჩვეულებრივ მას განზრახვა არა აქვს ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივ ინტერესებზე და არც იცის რამდენად ზემოქმედებს იგი მათზე. ინდივიდი მიისწრაფვის მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოებისა და სარგებლობისაკენ და, მას უხილავი ხელი წარმართავს, რათა ბოლოს და ბოლოს ზეგავლენა მოახდინოს იმაზე, რაც მის განზრახვაში არ შედიოდა.

ავტორის აზრით, ქრისტიანულ მოძღვრებაში უზენაესის მიერ მოცემული ეკონომიკური ხასიათის ფუნდამენტური პრინციპები განსაზღვრავს ეკონომიკის ქრისტიანულ პარადიგმებს, როგორიცაა: ყველასაქმეში ღვთის დიდება; კეთილშობილება; მეურვეობა; ადამიანების შრომის შედეგების უერთიერთპატივისცემა; კერძო საკუთრების პატივისცემა; ცოდვის ძალის შემსუბუქება; გულმოწყალება; ინვესტიციები და ინიციატივების დაფასება; ოჯახის, როგორც პირველი ეკონომიკური ერთეულის დაცვა; ჰარმონიული დამოკიდებულება ოჯახსა და სახელმწიფოს შორის; შრომის ხარისხის დაცვა; სამუშო დროის განაწილება; ბუნების დაცვა, მომავალი თაობების უსაფრთხოებისათვის; უპოვართა დაპურება; გადასახადების აუცილებლობა. ყოველვე ეს უზრუნველყოფს კაცობრიობის ნამდილ ბედნიერებას „ორთავე ქვეყანასა შინა“. მაშასადამე, ეკონომიკის ქრისტიანული მსოფლმხედველობა ადასტურებს კაცობრიობის უკნასკნელ იმედს, ღვთის დაპირებას, რომ იქნება ახალი ცა და ახალი დედამიწა

ამრიგად, სამყაროს შემქმნელი კოსმიური გონი უდაოდ მოითხოვს კაცობრიობის ცხოვრებაში საყოველთაო წესრიგს, რათა შევცვალოთ უპასუხისმგებლო ქმედებები ჩვენს ცხოვრებასა და საქმიანობაში. აუცილებელია ეკონომიკური ურთიერთობები და საქმიანობის წესები იყოს იმგვარი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების მშვიდ ცხოვრებას ამქვეყნად და მათ მოხვედრას ცათა სასუფეველში.

ასოცირებული პროფესორი მარიამ ვარდიაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. მ.ვარდიაშვილი მ.მაისურაძე
2) სტატიის სათაური, ISSN

1. **საპენსიო პროგრამებით წარმოქმნილი ვალდებულებების აღრიცხვის საკითხები სსბასს 39-ის მიხედვით.**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **VI საერთაშირისო სამეცნიერო კონფერენზია გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში . 2021 ISSN** ISBN 978-9941-491-35-1

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

5) გვერდების რაოდენობა

1. 6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დადგენილშენატანიანი პროგრამებით საჯარო სუბიექტის პასუხისმგებლობა თითოეული პერიოდისთვის განისაზღვრება, ამ პერიოდში შესატანი თანხით. შესაბამისად ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, თუ მოსალოდნელი არაა რომ ისინი მთლიანად დაიფარება 12 თვის განმავლობაში იმ პერიოდის დასრულებიდან, როდესაც დაქირავებულებმა გასწიეს მომსახურება.

დადგენილსარგებლიანი პროგრამის საბოლოო დანახარჯები დამოკიდებულია მრავალ ცვლადზე. ამიტომ დადგენილსარგებლიანი პროგრამის ვალდებულების დისკონტირებული ღირებულებით შესაფასებლად, გამოიყენება აქტუალური დაშვებები.

ასისტენტ-პროფესორი ლია კოზმანაშვილი

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ლია კოზმანაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. პროფესორ ალფრედ კურატაშვილის სამეცნიერო შეხედულებები სახელმწიფო მართვის პრობლემების შესახებ

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალფრედ კურატაშვილის დაბადებიდან 80-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინკონფერენცია "XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები **კონფერენციის მასალათა რეცენზირებადი კრებული**

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, **www.pgie.tsu.ge**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განხილულია **პროფესორ ალფრედ კურატაშვილის მეცნიერული თეორიები.** სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიასა და თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიაზე: ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია - როგორც პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლისა და ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემის თეორია; და თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია - როგორც, ასევე, პრინციპულად ახალი

მეცნიერული მიმართულება, რომელიც ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიის პრაქტიკული რეალიზაციის თეორიულ-ინტელექტუალურ საფუძველს წარმოადგენს.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება: ***საერთაშორისო ბიზნესის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ***პროფესორი თეიმურაზ შენგელია***

I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი
ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე
ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი
ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი
ასოცირებული პროფესორი ლალი ხიხაძე
ასისტენტ პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი

პროფესორი თეიმურაზ შენგელია

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1)

გარდამავალი(მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. SP-2-21 351 „ქროსს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში“ 2021-2022 წლები. დარგი- ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ბიზნესი

2. SP-2-21-215 „ბიზნეს-სუბიექტების ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში“ დარგი- ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ბიზნესი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021-2022 წლები.

2. 2021-2022 წლები.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. თ.შენგელია-ხელმძღვანელი, ბ.გასვიანი -კოორდინატორი, ხ. ბერიშვილი - მკვლევარი; თ ჟორჟოლიანი-მკვლევარი

2. თ.შენგელია-კოორდინატორი; ბ. გასვიანი-ხელმძღვანელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის2021 წლის ეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

2.2.

1) პროექტის სახელწოდება: კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში.

ნაშრომის მიზანია საერთაშორისო ბიზნესში კროს-კულტურული ურთიერთოებების და მნიშვნელობის კვლევა, რომელიც დაგვეხმარება შევიცნოთ ქართული კულტურის თავისებურებები უცხოელი ინვესტორებისათვის და ასევე მოვახდინოთ ცოდნის სისტემატიზაცია კულტურების მახასიათებლებისა და კლასიფიკაციის შესახებ, რაც თავიანთი კულტურების შესაბამისი ტიპებისა და შერჩეული ქვეყნების მახასიათებლები წარმოაჩენისა და ბიზნესსფეროში გამოიყენების შესაძლებლობას იძლევა. ნაშრომი არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ბიზნესზე კულტურული განსხვავებების გავლენის შესახებ სამეცნიერო დისკუსიის გაფართოების თვალსაზრისით. მას შეუძლია მიაწოდოს ფართო ინფორმაცია იმ მეწარმეებს და სტუდენტებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კულტურული მრავალფეროვნებით, დაეხმაროს მათ გააცნობიერონ საკითხის მნიშვნელობა და გავლენა ბიზნესზე. პროექტი სრულყოფილად აკავშირებს ეროვნული კულტურების მახასიათებლებს საერთაშორისო ბიზნესის სხვადასხვა სფეროსთან, აჩვენებს მათ ურთიერთმიმართებასა და მნიშვნელობას. პრობლემის ამ ასპექტით კვლევა გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია კულტურული განსხვავებების ცოდნა კომპანიის სწორი მენეჯმენტისთვის. ნაშრომი ფოკუსირებულია კომპანიების საერთო ფუნქციონირებაზე საერთაშორისო ბაზარზე და განიხილავს კულტურულ განსხვავებებს, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკების პროცესთან.

5.4. სტატიებიციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. თ.შენგელია. მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდპანდემით გამოწვეული გაურკვევლობის პირობებში. *გლობალიზაცია და ბიზნესი*. 12, 65-70. https://doi.org/10.35945/gb.2021.11.002

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. *გლობალიზაცია და ბიზნესი*. 12

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, ევროპის უნივერსიტეტის გამომცემლობა

5) გვერდებისრაოდენობა

1. 65-70.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

საბაზრო სისტემას, რომელიც ეფუძნება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას, ახასიათებს ფუნდამენტური გაურკვევლობა. ფუნდამენტური გაურკვევლობა განსხვავდება რისკებისგან იმით, რომ აქ შეუძლებელია ემპირიულად გავზომოთ მომავალი საფრთხეების დონე და დინამიკა. გაურკვევლობის სწორი გაგება საფუძვლად ედება მრავალი კრიზისული მოვლენის შესწავლას. COVID-19 პანდემიის გამო, მსოფლიო აღმოჩნდა ახალ გლობალურ კრიზისში, შესაბამისად გაიზარდა ეკონომიკური და სოციალური გაურკვევლობა. გაურკვევლობის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ შეუძლებელი გახდა პანდემიის მესამე ტალღის შედეგების პროგნოზირება. პანდემიით გამოწვეულ კრიზისს თან ახლავს არა მხოლოდ გლობალური ხასიათის დანაკარგები, არამედ მათი კომპენსაციის შეზღუდული წყაროები. მეცნიერთა [Adžić., Al-Mansour, 2021] აზრით, ასეთი კრიზისი ბოლო საუკუნის განმავლობაში კაცობრიობის ყოფაში ყველაზე უპრეცედენტო მოვლენაა.

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

2)სტატიისსათაური, ISSN

IMPLICATIONS OF GLOBAL WARMING FOR TOURISM

ISBN 978-611-01-1865-1

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **World economy and international economic relations. International Scientific Collection – Vol. 4.**

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. **Kyiev, GUL 2021.**

5) გვერდებისრაოდენობა

1. 22-30

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ტურიზმის განვიტარების მსოფლიო ტენდენციები და დინამიკა. თავისებურებანი თანამედროვე პირობებში. ძირითადი მიდგომები დარგის განვითარების მიმართ ქვეყნების მიხედვით.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

2) მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. Visegrad Group: a form of establishment and development of European integration: collective monograph / edited by A. Krysovatyy, T. Shengelia – – 305 p.

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. Tbilisi, Universal, 2021.

4) გვერდებისრაოდენობა

1. 305 p.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

მონოგრაფია ეძღვნება ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის პრობლემებს.

კვლევა ეფუძნება ორ მიდგომას. ერთ-ერთი მათგანია ეფექტურობის ანალიზი ევროინტეგრაციის პროცესების დაჩქარების მიზნით ასოციაციის შექმნა და ევროკავშირში გაწევრიანებას. მეორე არის განვითარების გამოცდილების გამიჯვნა, რომელიც იძლევა საფუძველს ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის მისაღებად. მავე დროს, წინადადებები, რომლებიც მიზნად ისახავს უკრაინასა და V4-ს შორის ერთგვარი ალიანსის განვითარებას ადაპტაციაში დასაბუთებულია მისი წევრების გამოცდილება ტრანსფორმაციის ძალისხმევაში. მკვლევარებისთვის, ეკონომისტებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის.

ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბერიშვილი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტითდაფინანსებულისამეცნიერო-კვლევითიპროექტები

2.1.

1)გარდამავალი(მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. SP-2-21 351 „ქროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში“ 2021-2022 წლები. დარგი- ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ბიზნესი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021-2022 წლები

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. . თ.შენგელია-ხელმძღვანელი, ბ.გასვიანი -კოორდინატორი, **ხ. ბერიშვილი** - მკვლევარი; თ ჟორჟოლიანი-მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის2021 წლის ეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1) პროექტის სახელწოდება: კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში.

ნაშრომის მიზანია საერთაშორისო ბიზნესში კროს-კულტურული ურთიერთოებების და მნიშვნელობის კვლევა, რომელიც დაგვეხმარება შევიცნოთ ქართული კულტურის თავისებურებები უცხოელი ინვესტორებისათვის და ასევე მოვახდინოთ ცოდნის სისტემატიზაცია კულტურების მახასიათებლებისა და კლასიფიკაციის შესახებ, რაც თავიანთი კულტურების შესაბამისი ტიპებისა და შერჩეული ქვეყნების მახასიათებლები წარმოაჩენისა და ბიზნესსფეროში გამოიყენების შესაძლებლობას იძლევა. ნაშრომი არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ბიზნესზე კულტურული განსხვავებების გავლენის შესახებ სამეცნიერო დისკუსიის გაფართოების თვალსაზრისით. მას შეუძლია მიაწოდოს ფართო ინფორმაცია იმ მეწარმეებს და სტუდენტებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კულტურული მრავალფეროვნებით, დაეხმაროს მათ გააცნობიერონ საკითხის მნიშვნელობა და გავლენა ბიზნესზე. პროექტი სრულყოფილად აკავშირებს ეროვნული კულტურების მახასიათებლებს საერთაშორისო ბიზნესის სხვადასხვა სფეროსთან, აჩვენებს მათ ურთიერთმიმართებასა და მნიშვნელობას. პრობლემის ამ ასპექტით კვლევა გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია კულტურული განსხვავებების ცოდნა კომპანიის სწორი მენეჯმენტისთვის. ნაშრომი ფოკუსირებულია კომპანიების საერთო ფუნქციონირებაზე საერთაშორისო ბაზარზე და განიხილავს კულტურულ განსხვავებებს, რომლებიც დაკავშირებულია მოლაპარაკების პროცესთან.

დასრულებული(მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროფ.თ.შენგელია-ხელმძღვანელი, ეკ დოქტორი ბ.გასვიანი- კოორდინატორი, **ასოც. პროფ. ხ ბერიშვილი-მკვლევარი**, აკად. დოქტორო თ. ჟორჟოლიანი - მკვლევარი.

დასრულებულიკვლევითიპროექტის2021 წლის ეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

1. ხ.ბერიშვილი. მარიამ ღუღუნიშვილი

2.ხ.ბერიშვილი

2)სტატიისსათაური, ISSN

1. ,,საქართველოს საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესების პერსპექტივები covid 19 პანდემის პირობებში''. **ISBN 978-9941-491-35-1**

2. Covid 19-ის ზეგავლენა საქართველოს საინვესტიციო გარემოს ცვლის დინამიკაზე. ISBN 978-9941-491-53-5

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში.
2. XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები.

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2021

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2021

5) გვერდების რაოდენობა

1. 39-45

2. 301-305

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად სულ უფრო იზრდება საერთაშორისო ვაჭრობის სფერო და მასში ჩართული ქვეყნების რიცხვიც. ნებისმიერ სახელმწიფოში ეკონომიკის კონკურენტული მექანიზმის შექმნა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო მაღალ დონეზე დაკმაყოფილების უზრუნველყოფა შეუძლებელია საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე.
2. ახალი კორონავირუსის (COVID-19) პირველი შემთხვევა საქართველოში 2020 წლის 26 თებერვალს დადასტურდა, კორონავირუსის წინააღმდეგ ვაქცინაციამდე, ქვეყანაში დაავადებასთან ბრძოლის ერთადერთ მექანიზმად მიჩნეული იყო სოციალური დისტანცირება და იზოლაცია (lockdown). კორონავირუსის წინააღმდეგ საბრძოლველად ქვეყანაში მიღებულ იქნა ისეთი ზომები, როგორიცაა: საერთაშორისო მიმოსვლის შეზღუდვა; წარმოებისა და მომსახურების სფეროების დაპაუზება; საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეჩერება; კომენდანტის საათის გამოცხადება და სხვა.

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. . T Shengelia, **K Berishvili,** K Jganjgava ANTI-CRISIS STRATEGY CAUSED BY UNCERTAINTY OF THE SMALL BUSINESSES UNDER THE COVID-19 PANDEMIC. **ISSN 3162-2364**

2. SH.Veshapidze.G.Zoidze.**KH.Berishvili ,, The Economic Determinant of the Education System.'' ISSN 3162-23643.**

3. K Berishvili. Peculiarities of Agrotourism Development in Highlands of Georgia.. **ISBN 978-**611-01-1865-1

2) სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **Sciences of Europe, 3-6 2021** No 81 (2021) Vol. 2

2.Sciences of Europe, 3-6 2021 No 81 (2021) Vol. 2

3. Kyiv, GUL 2021

4) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. The journal is registered and published in Czech Republic.

2. The journal is registered and published in Czech Republic.

3. World economy and international economic relations" Vol. III 2021

5) გვერდებისრაოდენობა

1. 1-3

2. 3-6

3. 72-77

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1.წარმოების საშუალებებზე დაფუძნებულ საბაზრო ეკონომიკურ სისტემას, ახასიათებს ფუნდამენტური გაურკვევლობა. ფუნდამენტური გაურკვევლობასა და რისკებს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ აქ შეუძლებელია ემპირიულად გავზომოთ მომავალი საფრთხეების დონე და დინამიკა. გაურკვევლობის სწორი გაგებას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია კრიზისული მოვლენის შესწავლის, მათი სწორი ანალიზისათვის. COVID-19 პანდემიის ზეგავლენით, მსოფლიოს ეკონომიკა აღმოჩნდა ახალ გლობალურ კრიზისში, რამაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკური და სოციალური გაურკვევლობის ზრდაზე, რომლის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ შეუძლებელია პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოდელის პროგნოზირება. პანდემიის შედეგებით გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისს ახასიათებს არა მხოლოდ გლობალური დანაკარგები, არამედ მათი კომპენსაციის შეზღუდული წყაროები. მეცნიერთა [Adžić., Al-Mansour, 2021] აზრით, ამ მაშტაბების კრიზისი ბოლო საუკუნის განმავლობაში ყველაზე უპრეცედენტო ეკონომიკური მოვლენაა.

2.განათლების მაღალი დონის მიღწევას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი. საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით, რომელიც მოსწავლეთა უნარებს აფასებს, კორელაცია მის შედეგებსა და ქვეყნის მშპ-ს შორის საკმაოდ მაღალია. ამასთან, განათლებაში განხორციელებული ინვესტიცია რამდენჯერმე მომგებიანია, ვიდრე სხვა დანარჩენ სექტორებში.

საქართველოს განათლების, მათ შორის, უმაღლესი განათლების სასურველი დონის მიღწევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის და შესაბამისად, განათლების დაფინანსების ზრდაზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია მოსახლეობის უნარების განვითარება (განათლებაში ინვესტირება), იმისათვის რომ ქვეყნის მშპ გაიზარდოს გამოცდილების თანახმად, განათლების პროგრესული სისტემის გამოყენებით მოკლე დროში სისტემის საგრძნობი პროგრესის მიღწევა, დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლის პირობებშიც შესაძლებელია. საქართველოსთვის მნიშვნელოვნია სისტემის ისეთ პრინციპებზე აქცენტირება, როგორებიცაა: **ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინური მიდგომა,**

მოსწავლეზე ორიენტაცია ინდივიდუალური მიდგომით, საზროვნო უნარების განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის და შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება, ეფექტიანობის და თანასწორობის დაცვა, ინოვაციებზე, ინკლუზიურ და ხარისხიან განათლებაზე ორიენტაცია.

3. საქართველოში აგროტურიზმის განვითარებას უდიდესი პოტენციალი აქვს. 102 კურორტი, 2 400 სამკურნალო მინერალური წყალი, 12 000 ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი და 11 ეროვნული პარკი ქმნის ამ მიზნებისთვის აუცილებელ რესურსულ პოტენციალს. საქართველოში აგროტურიზმის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა: ბუნებრივი რესურსების მაღალი პოტენციალი, უძველესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა (არქეოლოგიური, რელიგიური, ისტორიული ხასიათის ტურისტული ობიექტების მრავალფეროვნება), ინფრასტრუქტურა და ეროვნული სამზარეულოს მდიდარი ტრადიციები. აღნიშნული წინაპირობების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარებას კარგი პერსპექტივები აქვს. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში აგროტურიზმი განვითარების საფეხურზეა, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში უცხოელი ვიზიტორები ძირითადად მაღალმთიან კურორტებზე ისვენებდნენ. მაღალმთიანი მოსახლეობის ეთნიკური, კულტურული, ისტორიული თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს, როგორც აგრარული ტრადიციების მქონე ქვეყანას, აქვს ამ რეგიონებში აგროტურიზმის განვითარების ფართო პოტენციალი.

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. . ხ.ბერიშვილი,მ.ღუღუნიშვილი

2.ხ.ბერიშვილი

2) მოხსენებისსათაური

1. ,,საქართველოს საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესების პერსპექტივები covid 19 პანდემის პირობებში''. **ISBN 978-9941-491-35-1**

2. Covid 19-ის ზეგავლენა საქართველოს საინვესტიციო გარემოს ცვლის დინამიკაზე. ISBN 978-9941-491-53-5

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. თსუ,5 ნოემბერი,2021

2. თსუ.პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი,11 დეკემბერი,2021.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა).

ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1. „სააქციო საზოგადოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის გავლენა ბიზნესის შედეგებზე"

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. ბიზნესი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 01.03.2021-31.12.2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. დავით სიხარულიძე (პროექტის ხელმძღვანელი)
2. შოთა შაბურიშვილი (ძირითადი მკვლევარი)
3. ლეილა ქადაგიშვილი (ძირითადი მკვლევარი)
4. თეა მუნჯიშვილი (ძირითადი მკვლევარი)
5. ნათია ტერტერაშვილი (დოქტორანტი)
6. რუსუდან მაისურაძე (დოქტორანტი)
7. ლევან ცეცხლაძე (დოქტორანტი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ფირმის არსებობისათვის დამახასიათებელია განსხვავება კორპორაციების მფლობელობასა და კონტროლს შორის. ეფექტური კორპორაციული კონტროლის მექანიზმების შემუშავება, რომლებიც მენეჯერებს აიძულებს, რომ მათ აქციონერების საუკეთესო ინტერესებში იმოქმედონ კორპორატიული მართვისა და ფინანსების სფეროს მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა (Franklin Allen, 2001), ხოლო აგენტობის თეორიაზე დაფუძნებულ კვლევებში მეცნიერები ცდილობენ შეიმუშაონ სათანადო საფუძვლები ასეთი კონტროლისათვის.

კორპორაციაში მთავარ პირებს აქციონერები წარმოადგენენ, ხოლო მენეჯერები არიან აგენტები, რომლებიც მათი სახელით და მათი ინტერესებისთვის მუშაობენ. აგენტობის თეორიაში მიჩნეულია რომ არ არსებობს კარგად ჩამოყალიბებული ბაზარი კორპორაციული კონტროლისათვის, რაც, შესაბამისად, იწვევს ბაზრის ჩავარდნებს, ბაზრის არარსებობას, მორალურ საფრთხეებს, ასიმეტრიულ ინფორმაციას, არასრულყოფილ კონტრაქტებს, დისპროპორციულ შერჩევას და სხვა.

მიზანშეწონილადაა მიჩნეული მართვის სხვადასხვა მექანიზმები, როგორებიცაა მონიტორინგი ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან, გონივრული საბაზრო კონკურენცია, აღმასრულებელი პირების ანაზღაურება, ვალი, ეფექტური დირექტორთა საბჭოს ჩამოყალიბება, კორპორაციული კონტროლის ბაზარი და კონცენტრირებული აქციები. ეფექტური დირექტორთა საბჭოს შექმნა კორპორაციული მართვის ოპტიმალური მექანიზმისთვის მნიშვნელოვან და შესრულებად ვარიანტად რჩება.

კავშირი კორპორაციულ მმართველობასა და ფირმის შედეგებს შორის წარმოადგენდა ფართოდ განხილვად და კარგად გამოკვლეულ თემას განვითარებული ქვეყნების კონტექსტში. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე, ბოლოდროინდელი კორპორაციული კოლაფსისა და თაღლითობების ფონზე, აღნიშნული თემის განხილვა ასევე განვითარებადი ქვეყნების კონტექსტშიც მიმდინარეობდა. კორპორაციული კონტროლის სუსტი სისტემის შედეგებმა

გაამძაფრა მმართველობითი სტრუქტურის გაუმჯობესებისა და რეფორმირების საჭიროება. ფირმების მმართველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საბუღალტრო თაღლითობების ალბათობაში და ის ფირმები, რომლებსაც სუსტი მმართველობითი სტრუქტურა აქვთ, უფრო მეტად არიან მიდრეკილნი სააღრიცხვო თაღლითობისკენ (Berkman, 2009). ასეთი თაღლითობების თავიდან აცილების წარუმატებელმა მცდელობებმა არსებული კორპორაციული მმართველობის წესების, პრინციპების, სტრუქტურისა და მექანიზმების შესახებ ბევრი კამათი გამოიწვია (Sun, 2011).

ბოლო ათწლეულების მანძლზე ბევრი აკადემიური კვლევა მიეძღვნა კორპორაციულ მმართველობასა და ფირმის ფინანსურ შედეგებს შორის არსებული კავშირების კვლევას. ასეთი აკადემიური ნაშრომების უმეტესობა მიუთითებს, რომ კარგი კორპორაციული მმართველობა ფირმის ფინანსურ შედეგებზე დადებითი გავლენას ახდენს (Stanwick, 2002); თუმცა, სხვა მკვლევარებს განსხვავებული ხედვა გააჩნიათ (Donaldson L. &., 1991); (Ehikioya, 2009), (Jensen C. M., 1976).

სუსტი მმართველობითი სტრუქტურების მქონე ფირმებს უფრო მეტი აგენტობის პრობლემები აქვთ და ასეთი კომპანიების მენეჯერები უფრო მეტ კერძო სარგებელს იღებენ (Core, 1999). აგენტობის პრობლემის თეორია გულისხმობს, რომ ფირმის დირექტორები სავარაუდოდ ისეთი სიფრთხილით არ მოეკიდებიან სხვა ადამიანების ფულს, როგორც საკუთარ ქონებას (Letza, 2004). თეორია ასევე ამტკიცებს, რომ კორპორაციული მართვის მთავარი მიზანი არის აქციონერების დარწმუნება, რომ მენეჯერები მუშაობენ შედეგების მისაღწევად აქციონერების ინტერესებიდან გამომდინარე (Shleifer, 1997). სხვა მნიშვნელოვანი მსგავსი თეორიები, მაგალითად, სტიუარდობის თეორია (Stewardship theory), მოიაზრებს მჭიდრო კავშირს ორგანიზაციის წარმატებასა და აქციონერთა კმაყოფილებას შორის. მმართველი იცავს და მაქსიმალურად ზრდის აქციონერთა ქონებას კომპანიის შედეგების საშუალებით, რადგანაც, ამ გზით მმართველის სარგებლიანობის ფუნქცია მაქსიმალურად იზრდება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაინტერესებული პირის თეორია (stakeholder theory) გვთავაზობს, რომ კორპორაცია ცდილობს უზრუნველყოს ბალანსი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის (Abrams, 1951). ჯონისა და სენბეტის ნაშრომმა (John K. a., 1998) შემოგვთავაზა დაინტერესებული პირის თეორიის საფუძვლიანი მიმოხილვა. ის მიუთითებდა ფირმის ოპერირებაში ბევრი მხარის არსებობაზე, რომელთაც კონკურენტული ინტერესები გააჩნიათ. ისინი ხაზს უსვავდნენ არასაბაზრო მექანიზმების როლს, როგორებიცაა დირექტორთა საბჭოს ზომა და კომიტეტის სტრუქტურა, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორებს კომპანიის მუშაობისთვის. რესურსებზე დამოკიდებულების თეორიის (resource dependency theory) მიხედვით აგენტები მიჩნეულია რესურსად, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალურ და ბიზნეს ქსელებს და მიუთითებს, რომ დირექტორთა ყოფნა სხვა ორგანიზაციების დირექტორთა საბჭოში კარგი საშუალებაა ინფორმაციაზე, როგორც რესურსებზე წვდომისთვის, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კომპანიის სასარგებლოდ. შესაბამისად, აღნიშნული თეორია გვიჩვენებს, რომ კორპორაციული ორგანიზაციის ძალა მდგომარეობს მის განკარგულებაში არსებულ სათანადო ინფორმაციის რაოდენობაში. კორპორაციული მმართველობის ყველა თეორია მიმართულია ეფექტური მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებაზე, რაც გულისხმობს ისეთი დირექტორთა

საბჭოების ჩამოყალიბებას, რომლებშიც იქნებიან როგორც აღმასრულებელი, ასევე არააღმასრულებელი დირექტორები.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა კვლევის ინტენსივობა კორპორაციულ მმართველობასა და ფირმის შედეგებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. თუმცა ამ საკითხის კვლევა ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარეობდა. (Hermalin B. a., 1991); (Kang, 1995); (Gompers P. I., 2003); (Barnhart, 1994) და სხვები; განვითარებადი ქვეყნების კონტექსტში, როგორიც საქართველოა, ემპირიული ნაშრომები ამ საკითხზე ჯერ კიდევ საწყის სტადიაზეა. ამის მიზეზს შესაძლოა წარმოადგენდეს კომპანიების მხრიდან შედარებით ნაკლები ღიაობის ან მონაცემებზე წვდომის პრობლემა.

აგენტობის და სტიუარდობის თეორიების საფუძველზე შემუშავებული სრულყოფილი თეორიული ჩარჩო დაგვეხმარება პასუხი გავცეთ საკვლევ შეკითხვას.

კვლევის მოსალოდნელი შედეგები

განხორციელებული კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს, ჩამოვაყალიბოთ მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებები, თუ როგორ აისახება საქართველოში სააქციო საზოგადოებების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობა ბიზნესის შედეგებზე. კვლევის შედეგად განისაზღვრება, რა გავლენას ახდენს ბიზნესის ეფექტიანობაზე სამეთვალყურეო საბჭოს ზომა; დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორების რაოდენობა; შეხვედრების სიხშირე; აღმასრულებელი დირექტორის დუალობა; ინსტიტუციური საკუთრება.

გამოვლინდება სააქციო საზოგადოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ძლიერი და სუსტი მხარეები საქართველოში. ჩამოყალიბდება რეკომენდაციები სააქციო საზოგადოების ინსტიტუციურ-ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფისათვის. კვლევის შედეგები, შეავსებს და გააღრმავებს ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებულ თეორიულ ცოდნას სააქციო საზოგადოების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობის შესახებ. ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოიცემა სამეცნიერო პუბლიკაცია, რაც ხელს შეუწყობს კვლევითი სამუშაოების შემდგომ გაღრმავებას.

ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

გარდამავალი(მრავალწლიანი)პროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით,პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. **"სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვა საქართველოში". ფუნდამენტური კვლევები. გრანტი: FR19-19-619**

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **2020-2022**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მარინე თავართქილაძე- პროექტის ხელმღვანელი

2. ანა ფირცხალაიშვილი- პროექტის კოორდინატორი

3. შოთა შაბურიშვილი - პროექტის ძირითადი პერსონალი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის2021 წლის ეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

წინამდებარე პროექტი ეძღვნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური და ეკონომიკური უფლებების, მისი დაცვის მექანიზმების, კანონმდებლობის აღსრულებისა და ეფექტიანობის მეცნიერულ შესწავლა-შეფასებას. პროექტს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი გამოყენება შეეძლებათ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს: სახელმწიფო სტრუქტურებს, სამოქალაქო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სექტორებს.იგი მოსახერხებელი წყარო იქნება პრაქტიკოსებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეგულირების ინსტრუმენტების გასაცნობად. შიდა ეკონომიკური საქმიანობის აქტიურმა თუ პოტენციურმა მონაწილეებმა შესაძლოა გამოიყენონ სხვადასხვა საინფორმაციო-საკონსულტაციო შინაარსის მასალების მოსამზადებლად. კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები გაუმჯობესებენ საქართველოში მოქმედ სამართლებრივ ნორმებს, მათი აღსრულებისა და ეფექტიანობის ხაირსხს და აგრეთვე შესაბამისობაში მოიყვანს გაეროს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვის საერთაშორისო პაქტთან[1] და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ არსებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ სამართლებრივ სტანდარტებთან.

ასოცირებული პროფესორი ლალი ხიხაძე

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1. თ. შენგელია., ლ.ხიხაძე., ხ.ბერიშვილი., ბ.გასვიანი.

2) მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. აფხაზეთის ეკონომიკა: თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. (მონოგრაფია).

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. თბ., „უნივერსალი“ 2021

4) გვერდებისრაოდენობა

1. 207გვ.

5.3. კრებულები

1)ავტორი/ავტორები

1. ლ.ხიხაძე,ეთიკური და ზნეობრივი პრინციპები საერთაშორისო ბიზნესის კომუნიკაციების განმსაზღვრელი

2.ლ.ხიხაძე, ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და სმარტკონტრაქტების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში.

[1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0

3.ლ. ხიხაძე, თ.ხატიაშვილი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის აქტუალური პრობლემები საქართველოში და გლობალიზაციის პირობებში მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები
2)კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული
,, XXI საუკუნის ეკონომიკური,სოციალური და ტექნოლოგიური გამოწვევები(3-4 ივლისი, 2021
ISBN 978-9941-491-53-5
2. საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული
,, XXI საუკუნის ეკონომიკური,სოციალური და ტექნოლოგიური გამოწვევები(3-4 ივლისი, 2021
ISBN 978-9941-491-53-5
3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებულში ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში'' თსუ, 5 ნოემბერი 2021
ISBN 978 9941-491-35-1
3) გამოცემისა დგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, თსუ ეკონომიკის ინსტიტუტი
2. თბილისი, თსუ ეკონომიკის ინსტიტუტი
3.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
4) გვერდების რაოდენობა
1. 7 გვერდი
2. 8 გვერდი
3.10 გვერდი

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. საერთაშორისო ბიზნესში ეთიკა ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ქცევის პრინციპებს ეფუძნება, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ბიზნესსუბიექტების რელიგიურ, ფილოსოფიურ და კულტურულ ფასეულობებთან, ეროვნულ ტრადიციებთან და თანამედროვე შეხედულებებთან.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე ეთიკური და ზნეობრივი ქცევის მაღალი სტანდარტები მოითხოვს, რომ საერთაშორისო კომპანიამ კეთილსინდისიერება, პატიოსნება და მიუკერძოებლობა უნდა გამოიჩინოს ყველა ბიზნესპარტნიორთან, ვისთანაც საქმიანი ურთიერთობები გააჩნია.

საერთაშორისო ბიზნესში ეთიკა ესაა ცოდნის სისტემა, უნივერსალური ეთიკური ნორმებისა და ზნეობრივი პრინციპების ერთობლიობა, რომელთა საფუძველზე უნდა იხელმძღვანელონ ბიზნესსუბიექტებმა საქმიანი ურთიერთობისას. ეთიკური და ზნეობრივი ნორმების დაცვა ეხმარება საერთაშორისო კომპანიებს წარმატების მიღწევაში საერთაშორისო ბაზარზე და ბიზნეს წრეებში, რაც აძლიერებს ბიზნესსუბიექტების კონკურენტუნარიანობასა და სიცოცხლისუნარიანობას გრძელვადიანი საქმიანი თანამშრომლობის პერიოდში.

საერთაშორისო ბიზნესში ეთიკური და ზნეობრივი პრინციპები არეგულირებენ ბიზნესკომუნიკაციის პროცესში მონაწილე სუბიექტების ქცევებს, ამცირებენ მათ შორის

უთანხმოებებსა და კონფლიქტებს, მკაფიოდ განსაზღვრავენ თითოეული ბიზნესსუბიექტის პოზიციასა და აქტივობას.

2. თანამედროვე ეტაპზე ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციების სისტემების განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებულად იზრდება ინტერესი სმარტ კონტრაქტის,[2] როგორც აღნიშნული ტექნოლოგიის ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტის მიმართ. სწორედ სმარტ კონტრაქტის მეშვეობით ბიზნესს შეუძლია მიიღოს ის სიკეთეები, რაც შედეგად მოყვება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას.

სმარტ კონტრაქტზე საუბარი აქტუალური გახდა ინტერნეტ სივრცეში ბლოკჩეინისა და კრიპტოვალუტის გამოჩენის შემდეგ, ბლოკჩეინი და სმარტ კონტარქტი განიხილება, როგორც მონაცემთა შენახვის სამართლებრივად აღიარებული მეთოდი, იმ პირობით, რომ ისინი წინააღმდეგობაში არ მოვლენ არსებულ წესებთან და კანონებთან. ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც ხორციელდება ბლოკჩეინ სისტემაში განიმარტება, როგორც იურიდიული ძალის მქონე. თუკი მხარეებმა აირჩიეს ბლოკჩეინი საკუთარ მონაცემთა შენახვის ადგილად, მაშინ ასეთი წყაროდან მიღებული მონაცემი მიიჩნევა იურიდიულად ვარგისად. არ შეიძლება ხელშეკრულება მოკლებულ იქნას იურიდიულ ძალას ან იძულებით აღსრულებას იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების დადებისას გამოყენებულ იქნა ელექტრონული ხელმოწერა და პირობები მოცემულია სმარტ კონტარქტის ფორმით.

ბლოკჩეინ სისტემაში ელექტრონული ხელმოწერა აღიარებულია კანონმდებლობით. ხელმოწერა და ხელშეკრულება, რომელიც დაცულია ბლოკჩეინ ტექნოლოგიით ითვლება ელექტრონულად.

3. გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას მისი ფინანსური სისტემის მდგრადობა და ფინანსური რესურსების მიმოქცევის ოპტიმალური რეგულირება წარმოადგენს. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, სწორედ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება წარმოადგენს ეკონომიკისა და ბიზნესის სექტორის აღმავლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ქვეყნის პერსპექტიული ზრდა და პროგრესი შეუძლებელია საინვესტიციო კაპიტალის გარეშე, რომლის მობილიზების საშუალებას პირველადი და მეორადი ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბოლოოდ საფონდო ბირჟის განვითარებული მექანიზმი წარმოადგენს.

საქართველოში ფინანსური სისტემის მდგრადობა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული და საბაზრო ეკონომიკის განსაკუთრებულ მოთხოვნას წარმოადგენს, მაგრამ დღეისათვის საქართველოში მრავალი პრობლემაა, რის გამოც ფასიანი ქაღალდების ბაზარი არ არის მზად აქტიური და გამართული საფონდო ბირჟის ფუნქციონირებისათვის.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. კრებულები

1) ავტორები

1. **L.Khikhadze.Carrent problems of business safety end foreign trade polisy regulation in Georgia and principal aspects of its improvement**

2. L.Khikhadze Advantages of integrated marketing kommunikations and synergic effect in global business development

2) კრებულისსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. **World economy and international economic** relations. International Scientific Collection – Vol. 4.. ISBN 978-611-01-1865-1

2. World economy and international economic relations. International Scientific Collection – Vol. 3. Kyiev, GUL 2021. ISBN 978-611-01-1865-2

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. Kyiev, GUL 2021

2. Kyiev, GUL 2021

4) გვერდებისრაოდენობა

1. 6p.

2. 7p.

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნესის სექტორის სრულფასოვანი ინტეგრაცია, რაც უპირატესად მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩართვასა და საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების რაციონალურ რეგულირებას, რადგანაც საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების სტიქიურობა და უკონტროლობა საფრთხეს უქმნის ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და ბიზნესის უსაფრთხოების პრობლემების ზრდას. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას და ბიზნესის უსაფრთხოების მდგრადობას არსებითად განსაზღვრავს საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობა, ეროვნული ინდუსტრიის განვითარების დონე, ვალუტის სიმტკიცე, ინფლაციის დონე, საგარეო ვაჭრობის მოცულობა(ექსპორტ-იმპორტის სავაჭრო ბრუნვა), საინვესტიციო ნაკადების მოცულობა და კაპიტალდაბანდების პროირიტეტული სფეროები, რაც ერთობლივად გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის თანამედროვე მდგომარეობაზე და ქვეყნის სამომავლო განვითარებაზეც.

საკვანძო სიტყვები: საგარეო ვაჭრობა, სახელმწიფოებრივი რეგულირების აქტუალობა, ბიზნესის უსაფრთხოება, გლობალური ბიზნესი, მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიები, კონკურენტუნარიანობა, საექსპორტო პოტენციალი და ნომენკლატურა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, დემპინგური და სუბსიდირებული იმპორტი.

2. თანამედროვე ეტაპზე ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები შეიძლება აღვიქვათ, როგორც სინქრონიზებული, კომპლექსური კომუნიკაცია, ეს არის მარკეტინგული კომუნიკაციის ერთობლივად გამოყენების შესაძლებლობა, რომლის მიზანია საერთაშორისო კომპანიის სასურველ აუდიტორიასთან ორმხრივი კომუნიკაციის დამყარება. ინტეგრირებულ მარკეტინგულ კომუნიკაციებში რეკლამა, პიარი, ბრენდინგი და სხვა კომუნიკაციის საშუალებები ავსებს ერთმანეთს და იქმნება სინერგიის ეფექტი, რომელიც გვაძლევს ეფექტური

და რაციონალური კომუნიკაციის მიღწევის ფართო შესაძლებლობას, რაც ცალკეული მარკეტინგული კომუნიკაციის გამოყენებისას არაეფექტიანი და შეუძლებელია.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს წამყვან საერთაშორისო კომპანიებში ბიზნესკომუნიკაციის ფუნდამენტური საფუძველია ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები. ისინი ხასიათდება შემდეგი პოზიციებით: ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები არის მომხმარებლის მოთხოვნილებების ღრმა და სრული ცოდნა, მის წინაშე მდგარი სოციალური -ეთიკური პასუხისმგებლობის შეგნება;

PR-ის, რეკლამისა და ბრენდინგის მთავარი ამოცანაა პოზიტიური ურთიერთობის ფორმირება, რასაც მივყავართ მოქმედებისაკენ. თუ საკონტაქტო აუდიტორია არ მოქმედებს, ნიშნავს, რომ საკომუნიკაციო პროგრამას არ მიუღწევია შედეგამდე;

საერთაშორისო კომპანია ვერ მიაღწევს წარმატებას(მიზნების რეალიზაციას), თუ მას არ ექნება პოზიტიური საქმიანი ურთიერთობები მიზნობრივ აუდიტორიებთან. რაც უფრო კონკურენტუნარიანი ხდება გლობალური ბაზარი, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტეგრირებულ მარკეტინგულ საქმიან ურთიერთობებს.

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები გულისხმობს PR-ის და რეკლამის ჩართვას მარკეტინგის პროცესის ყველა სტადიაზე _ დაგეგმვიდან ბაზარზე წინ წაწევამდე.

ასოცირებული პროფესორი უშანგი სამადაშვილი

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიებიISSN-ის მითითებით

1)ავტორი/ავტორები

1. უშანგი სამადაშვილი. Ushangi Samadashvili .

2)სტატიისსათაური, ISSN

1. **საშუალო კლასი საქართველოში: მდგომარეობა, გამოწვევები, შესაძლებლობანი.**
Middle class in Georgia: The situation, challenges, opportunities

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **მე-VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში".**

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი 2021 წლის 5 ნოემბერი.**

5) გვერდებისრაოდენობა

1.

2. **-509გვ.**

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

წინამადებარე ნაშრომში გადმოცემულია საშუალო კლასის არსი და მნიშვნელობა; დასაბუ-თებულია საქართველოში საშუალო კლასის ფორმირების აქტუალობა; გამოყოფილია საშუალო კლასის იდენტიფიცირების მთავარი კრიტერიუმები; შერჩეული კრიტერიუმის მიხედვით

განსაზღვრულია ქართული საშუალო კლასის სიდიდე და სტრუქტურული ელემენტები; დახასიათებულია საშუალო კლასის დინამიკა და მდგომარეობა კორონაპანდემიამდე და მის შემდეგ; გამოვლენილია საქართველოში საშუალო კლასის რაოდენობისა და ხარისხის ზრდის შესაძლებლობები და შემუშავებულია მათი ეფექტიანი გამოყენების წინადადებები და რეკომენდაციები.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. **შანგი სამადაშვილი, რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური. USHANGI SAMADASHVILI, REVAZ SHENGELIA, ZHUZHUNA TSIKLAURI.**

2) სახელმძღვანელოსსახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. **თანამედროვე ეკონომიკა.** (მე-2 განახლებული გამოცემა). **ინდექსირებულია საერთაშორისო ბაზაში Crossref Doi DOI PREFIX: 10.36962 / RSME01 2021 MODERN ECONOMICS** (2nd Updated Edition).. **gamomcemloba `universali~. Crossref Doi DOI PREFIX: DOI PREFIX: 10.36962 / RSME012021**

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. **თბილისი 2021. გამოცემლობა „უნივერსალი“ Tbilisi 2021 gamomcemloba `universali~.**

4) გვერდებისრაოდენობა

1. -**432 გვერდი**

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის ყველა დონის სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ეკონომიკის, მიკროეკონომიკის, მაკროეონომიკის, ბიზნესის საკითხებით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

ასისტენტ-პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი

7.2.უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. L. V. Kadagishvili, N. A. Bezhitashvili

2) მოხსენების სათაური

1. Mechanisms for regulating ecological problems in agribusiness (the case of Georgia)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. VI International Scientific And Practical Conferences

“Tools Of National Economy And National Security Regulation In Modern Global Challenges”

November 5-6, 2021. Khmelnytsky

ანოტაცია ბუნებრივი რესურსები ეროვნული სიმდიდრეა, რომელიც ქვეყნის განვითარების მატერიალურ საფუძველს ქმნის. მათ რაციონალურ და კომპლექსურ გამოყენებაზეა დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური თვითდამკვიდრება და ადამიანთა ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება. მსოფლიო საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა მნიშვნელოვანი ნაწილი

თანხმდება, რომ ეკონომიკური საქმიანობის გარემოზე ზემოქმედებამ, ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებულმა და ხშირად არარაციონალურმა გამოყენებამ, საზოგადოება გარემოს დაბინძურების კუთხით მრავალი ლოკალური და გლობალური პრობლემის წინაშე დააყენა, რაც ბოლო წლებში უფრო მნიშვნელოვანი გახდა. გარემოს ბუნებრივი ბალანსის რღვევა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია სასოფლო სამეურნეო საქმიანობის გააქტიურებასთან. ეკონომიკური საქმიანობის არცერთი სხვა დარგი არ არის დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან, ისე, როგორც სოფლის მეურნეობა. საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სასოფლო სამეურნეო საქმიანობა იყენებს ბუნებაში არსებულ რესურსებს და ახდენს გარემოზე ზემოქმედებას, რის შედეგადაც სულ უფრო ფართოვდება გარემოს დეგრადაცია. თანდათანობით ცხადი ხდება მიწის, წყლისა და სხვა სახის ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობა. გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისათვის წინა პლანზე გამოდის სასოფლო სამეურნეო საქმიანობასა და გარემოს შორის ურთიერთიერთობის ნორმალიზაცია, რაც გამოიხატება არა ამ საქმიანობის შემცირებაში, არამედ გარემოსადმი ფრთხილ და დამზოგველ დამოკიდებულებაში. სოფლის მეურნეობის განვითარების პარალელურად, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება ჩვენი ქვეყნის მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობაა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად არ ისახავს სასოფლო სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემების სრულად შეფასებას. ნაშრომში შეფასებულია სამი მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემა - ნიადაგის დეგრადაცია, მცენარეული და ცხოველური ნარჩენებით გამოწვეული საფრთხეები და მინერალური სასუქებითა და ქიმიკატებით გამოწვეული საფრთხეები - და მოცემულია ამ პრობლემების რეგულირების მექანიზმები.

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - ***მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრა***
I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი ***პროფესორი დავით ნარმანია***
I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე
ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი
ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი
ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი
ასისტენტ პროფესორი ეკა გულუა

პროფესორი დავით ნარმანია

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. **საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობის ანალიზი (თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე)**

მიმართულება - ბიზნესის ადმინისტრირება

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 03/2021-12/2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. დავით ნარმანია - პროექტის ხელმძღვანელი
2. გიული ქეშელაშვილი - პროექტის მკვლევარი
3. მანანა ხარხელი - პროექტის მკვლევარი
4. ეკა ჩოხელი - პროექტის მკვლევარი
5. ვასილ კიკუტაძე - პროექტის მკვლევარი
6. ეკატერინე გულუა - პროექტის მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რომელიც ჩატარდა სამი მიმართულებით და მოიცავდა დამსაქმებლებს, დასაქმებულებს და დაუსაქმებლებს, გამოვლინდა შემდეგი:

დამსაქმებლებს მიაჩნიათ:

- შრომის ბაზარზე კვალიფიციური კადრების მოძიება რთულია, რადგან ბაზარი განიცდის მათთვის სასურველი კომპეტენციის მქონე კადრების სიმცირეს;
- კადრების შერჩევის პროცესში მათთვის უპირატესია პირადი კონტაქტები, შემდეგ უმაღლესი სასწავლებელები, ყველაზე ნაკლებად პროფესიული სასწავლებელები, ხშირია ასევე კონკურენტი კომპანიისგან კადრის გადმობირება;
- ვაკანტურ პოზიციაზე უმეტესად უწევთ განსხვავებული სპეციალობების მქონე კადრის აყვანა; მაღალ რგოლში განსაკუთრებით სჭარბობს პროფილური განათლების არმქონე კადრები;
- კადრების შერჩევის პროცესში, აპლიკანტის უმაღლესი სასწავლებლებში მოსწრება და აპლიკანტის უმაღლესი სასწავლებელების იმიჯი მათთვის მეტნაკლებად მნიშვნელოვანია.

დასაქმებულები აღნიშნავენ:

- სამსახურებრივი პოზიცია ხშირად არ შეესაბამება უნივერსიტეტში მიღებულ კვალიფიკაციას;
- უმეტესი დამსაქმებლების მხრიდან დასაქმებული სტუდენტებისთვის მოქნილი სამუშაო გრაფიკის უზრუნველყოფა კვლავ პრობლემაა;
- დასაქმებულ სტუდენტთა უმრავლესობას მუშაობა ბაკალავრიატში სწავლის დროს აქვს დაწყებული.

დაუსაქმებლები ხაზს უსვამენ დაუსაქმებლობის ძირითად მიზეზებს:

- სწავლის პროცესის და სამუშაოს შეუთავსებლობას;
- სათანადო კავშირების არქონას;
- სათანადო კომპეტენციის არქონას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ორგანიზაციების კონკრეტული მოთხოვნების შესწავლა გარკვეულ კომპეტენციებთან მიმართებაში, რაც შესაძლებელია გახდეს დამატებითი შემოსავლების წყარო უნივერსიტეტისთვის;

- პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლება და პროგრამების გაუმჯობესება, ორგანიზაციებთან უფრო აქტიური თანამშრომლობით, რაც კვლავ უნივერსიტეტების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა;
- დასაქმებული სტუდენტების სრულფასოვანი განათლების მიღებისთვის საჭიროა უნივერსიტეტის მხრიდან შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება - ბიზნესთან შეთანხმება, მოქნილი სამუშაო და სასწავლო გრაფიკების თაობაზე;
- სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია მოხალისეობის, სტაჟირების პროგრამებზე მუშაობა, რაც სტუდენტებს ორგანიზაციების მხრიდან მოთხოვნილი გამოცდილების დაგროვებაში და სათანადო სამუშაო ადგილების მოძიებაში დაეხმარება;
- კავშირის გაუმჯობესება დამსაქმებლებთან, დახმარების გაწევა დაუსაქმებელ სტუდენტებთან კავშირების დამყარებაში, რითაც უნივერსიტეტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სამუშო ძალის ბაზრის გაჯანსაღებაში;
- ფაკულტეტზე წარმატებული, საშუალო და მაღალი დონის მენეჯერების პერიოდული მოწვევა სტუდენტებთან შესახვედრად, მათი კარიერული წინსვლისა და გამოცდილების გასაზიარებლად;
- ფაკულტეტის ეგიდით, წელიწადში ორჯერ მაინც დასაქმების კვირეულების მოწყობა;
- სტუდენტებთან მეტი მუშაობა მათი თვითშეფასების ასამაღლებლად და იმაში დასარწმუნებლად, რომ მათი წარმატებულად დასაქმება მხოლოდ მათ უნარ-ჩვევებზეა დამოკიდებული.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

Davit Narmania
Eka Chokheli
Manana Kharkheli
Giuli Keshelashvili
Vasil Kikutadze
Ekaterine Gulua
Nino Vardiashvili
Beka, Tofuria
Davit, Gavardashvili

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

ISBN 978-1-63901-719-5

1. **TSU COMPETITIVENESS ASSESSMENT BASED ON THE RESEARCH OF UNIVERSITY ENTRANTS' ATTITUDE (ACCODING TO THE EDUCATIONAL PROGRAMS OF THE FACULTY OF ECONOMICS AND BUSINESS)**

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Brussels, EUSER

4) გვერდების რაოდენობა

1. 92

ვრცელი ანოტაცია

The aim of the research is to identify the determinants of program/university selection by university entrants. In particular, to determine the criteria according to which they choose the program/university and to develop practical recommendations for Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Based on this purpose, we have studied educational traditions abroad and in Georgia; The main trends in the development of the world market for higher education and innovative approaches in the context of globalization are analyzed; Studies on the competitiveness of educational institutions made by international organizations, research institutes and the world's leading universities are presented; Priorities of educational services are outlined;

In the research process, by the statistical survey methodology, based on a questionnaire survey, we have studied the main factors determining the competitiveness of universities operating in Georgia. The qualitative analysis has allowed us to identify key trends in the sector, formulate hypotheses based on the research objectives, and accurately describe the quantitative research elements. The anonymous questionnaire survey method was used. A questionnaire was developed based on the established hypotheses. 580 university entrants were interviewed in the capital of Georgia - Tbilisi and in 7 regions. The main questions of the questionnaire were of the closed type. The survey allowed us to determine the entrants' attitudes, the level of their involvement and interest.

As a result of the study, some recommendations have been developed and submitted to TSU Faculty of Economics and Business Management and academic community.

ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობის კვლევა საქართველოში
2. სოციალური მეცნიერებანი, ეკონომიკა და ბიზნესი
3. #FR - 18 – 6156
4. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
5. საქართველო

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **2019-2021 წ.**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ვასილ კიკუტაძე - პროექტის ხელმძღვანელი;

2. მურთაზ კვირკვაია - კოორდინატორი;
3. ნათია დაღელიშვილი - ძირითადი მონაწილე;
4. გივი გუჯარაიძე - ძირითადი მონაწილე;
5. თამარ თავხელიძე - ძირითადი მონაწილე;

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობა განვითარების საწყის ეტაპზეა. თანამშრომლობის არასათანადო ხარისხი განაპირობებს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. თანამშრომლობის ამჟამად არსებული პრაქტიკა დახვეწას და ეფექტიანი კოოპერაციის სხვა ასპექტების სრულყოფას საჭიროებს. კვლევამ ცხადყო, რომ განსხვავებული ხედვები, სტიმულები, ბიუროკრატიის დონე და არასაკმარისი დრო საკმაოდ ხშირად არის თანამშრომლობის შემაფერხებელი ფაქტორი. კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ თანამშრომლობა რიგ შემთხვევებში არასისტემურია, ამასთან, ზოგჯერ ფორმალური ხასიათი აქვს და სასურველ შედეგებს არ იძლევა. საქართველოში არსებობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის მრავალმხრივი წარმატებული თანამშრომლობის მაგალითებიც, თუმცა მათი რიცხვი მცირეა და ქვეყნის მასშტაბით თანამშრომლობის ხარისხზე ზეგავლენას ვერ ახდენს. კვლევის ფარგლებში სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვამ, უცხოური გამოცდილების შესწავლამ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვამ დაადასტურა, რომ თანამშრომლობის მნიშვნელობა ყველა დაინტერესებული მხარის მიერ ფართოდ არის აღიარებული. განათლებისა და მეცნიერების სფეროში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს ერთობლივი კვლევების, აკადემიური პროგრამების განვითარებაში ჩართულობის, უწყვეტი განათლებისა და სხვა მიმართულებით, რაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მყარ საფუძველს წარმოადგენს.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ვასილ კიკუტაძე
2. მურთაზ კვირკვაია
3. ნათია დაღელიშვილი
4. გივი გუჯარაიძე
5. თამარ თავხელიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობა საქართველოში,

DOI: 10.36172/EKONOMISTI

p ISSN 1987-6890

e ISSN 2346-8432

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური “ეკონომისტი”, “Ekonomisti” #2,

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. საქართველოს, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
5) გვერდების რაოდენობა
1. 10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის თანამშრომლობა განვითარების საწყის ეტაპზეა. თანამშრომლობის არასათანადო ხარისხი განაპირობებს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. თანამშრომლობის ამჟამად არსებული პრაქტიკა დახვეწას და ეფექტიანი კოოპერაციის სხვა ასპექტების სრულყოფას საჭიროებს. კვლევამ ცხადყო, რომ განსხვავებული ხედვები, სტიმულები, ბიუროკრატიის დონე და არასაკმარისი დრო საკმაოდ ხშირად არის თანამშრომლობის შემაფერხებელი ფაქტორი. კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ თანამშრომლობა რიგ შემთხვევებში არასისტემურია, ამასთან, ზოგჯერ ფორმალური ხასიათი აქვს და სასურველ შედეგებს არ იძლევა. საქართველოში არსებობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის მრავალმხრივი წარმატებული თანამშრომლობის მაგალითებიც, თუმცა მათი რიცხვი მცირეა და ქვეყნის მასშტაბით თანამშრომლობის ხარისხზე ზეგავლენას ვერ ახდენს. კვლევის ფარგლებში სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვამ, უცხოური გამოცდილების შესწავლამ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვამ დაადასტურა, რომ თანამშრომლობის მნიშვნელობა ყველა დაინტერესებული მხარის მიერ ფართოდ არის აღიარებული. განათლებისა და მეცნიერების სფეროში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს შორის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს ერთობლივი კვლევების, აკადემიური პროგრამების განვითარებაში ჩართულობის, უწყვეტი განათლებისა და სხვა მიმართულებით, რაც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მყარ საფუძველს წარმოადგენს.

ასოცირებული პროფესორი გიული ქებულაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითიპროექტები

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითიპროექტის2021 წლის ეტაპისძირითადითეორიულიდაპრაქტიკულიშედეგებისშესახებვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1.2.

1)

დასრულებულიპროექტისდასახელებამეცნიერებისდარგისადასამეცნიერომიმართულებისმითითებით

1. საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობის ანალიზი (თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე).

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 09.03.2021-20.12.2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი დავით ნარმანია.

2. პროექტის წევრები: ასოცირებული პროფესორები: ეკა ჩოხელი, გიული ქეშელაშვილი, მანანა ხარხელი, ვასილ კიკუტაძე, ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე გულუა, დოქტორანტები: ნინო ვარდიაშვილი, სესილი ტაბატაძე, მიხეილ მაკასარაშვილი.

2. პროექტის ხელმძღვანელი_ეკონომიკის დოქტორი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წევრი, თსუ პროფესორი **დავით ნარმანია** მენეჯმენტის სპეციალისტია. მას აქვს დიდი გამოცდილება სტრატეგიულ კვლევებში, რისკების მართვასა და ანალიზში და ეკონომიკის მართვის პრობლემების კვლევებში. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია და აქვს საერთაშორისო კვლევითი-პროექტების ხელმძღვანელობის საკმაოდ დიდი გამოცდილება. პროექტში მისი ფუნქცია იყო პროექტის საერთო ხელმძღვანელობა, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან განათლების სისტემის შესაბამობის ანალიზის ორგანიზება და მედიატორობა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ხედვებისა და მოსაზრებების, მასთან დაკავშირებული გამოწვევების გამოვლენის, დასაქმებულებისა და დამსაქმებელთა შეხედულებების კვლევების ჩატარების პროცესების ორგანიზება.

პროექტის ძირითადი შემსრულებელი-ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი მენეჯმენტის სპეციალისტია. მას სტრატეგიული კვლევებისა და ანალიზის, ეკონომიკის მართვის პრობლემების კვლევის დიდი გამოცდილება აქვს. ამ მიმართულებით მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და არაერთი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აქტიური შემსრულებელია. პროექტში მისი ფუნქცია იყო უმაღლესი განათლების სისტემასა და შრომის ბაზარს შორის ამჟამად არსებული ურთიერთობების შესწავლა-გაანალიზება და პრობლემების გამოვლენა.

პროექტის ძირითადი შემსრულებელი - ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **გიული ქეშელაშვილი** მენეჯმენტის სპეციალისტია. მას ანტიკრიზისული მართვის, პროქტების მართვისა და ანალიზის დიდი გამოცდილება აქვს. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ძირითადი შემსრულებელი და სამეცნიერო კონსულტანტია. პროექტში მისი ფუნქცია იყო იმ წინააღმდეგობების შესწავლა-გაანალიზება, რომელსაც აწყდებიან ერთ მხრივ, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები სამსახურის ძიების პროცესში და, მეორე მხრივ, შესაბამისი დამქირავებლები ვაკანსიების შევსების პროცესში.

პროექტის ძირითადი შემსრულებელი - ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი მენეჯმენტის სპეციალისტია. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი და კონსულტანტია. მას მეცნიერული კვლევის საკმაო გამოცდილება აქვს. პროექტში მისი ფუნქცია იყო დამსაქმებლების მოთხოვნებთან სამუშაოს მაძიებელთა უნარ-ჩვევების შესაბამისობის

ანალიზის ჩატარება, საქართველოს შრომის ბაზარსა და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ურთიერთკავშირის გაანალიზება და გამოწვევების განსაზღვრა.

პროექტის ძირითადი შემსრულებელი - ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სპეციალისტია. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი და კონსულტანტია. ვასილ კიკუტაძე განათლების სფეროში საქმიანობს და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტია. მას მეცნიერული კვლევის დიდი გამოცდილება აქვს.პროექტში მისი ფუნქცია იყო დამსაქმებლების მოთხოვნებთან სამუშაოს მაძიებელთა უნარ-ჩვევების შესაბამისობის ანალიზის ჩატარება, გამოწვევების გამოვლენა და გადაჭრის გზების განსაზღვრა.

პროექტის ძირითადი შემსრულებელი - ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე გულუა მენეჯმენტის სპეციალისტია. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი და კონსულტანტია. მას მეცნიერული კვლევის დიდი გამოცდილება აქვს.პროექტში მისი ფუნქცია იყო თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების პრობლემების გაანალიზება და საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ურთიერთკავშირის განსაზღვრა.

დამხმარე პერსონალი ნინო ვარდიაშვილი მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის II კურსის დოქტორანტია. პროექტში მისი ფუნქცია იყო ინფორმაციის მოპოვება და სოციოლოგიური კვლევის მიმართულებით რესპოდენტთა მიერ შევსებული ანკეტების ინფორმაციული დამუშავება

დამხმარე პერსონალი სესილი ტაბატაძე მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის II კურსის დოქტორანტია. პროექტში მისი ფუნქცია იყო ინფორმაციის მოპოვება და სოციოლოგიური კვლევის მიმართულებით რესპოდენტთა მიერ შევსებული ანკეტების ინფორმაციული დამუშავება.

დამხმარე პერსონალი მიხეილ მაკასარაშვილი მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის II კურსის დოქტორანტია. პროექტში მისი ფუნქცია იყო ინფორმაციის მოპოვება და სოციოლოგიური კვლევის მიმართულებით რესპოდენტთა მიერ შევსებული ანკეტების ინფორმაციული დამუშავება.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

მსოფლიოსა და საქართველოშიც დიდი ყურადღება ეთმობა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე ორიენტირებული განათლების სისტემის შექმნას. ამაზე მეტყველებს განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შეუსაბამობამობაზე მსოფლიოში განხორციელებული და მიმდინარე მრავალრიცხოვანი კვლევები. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია _„საქართველო 2020“, ადამიანური რესურსების განვითარებისთვის სამ ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების აქტიურ განხორციელებას მოითხოვს. მათ შორის ერთ-ერთია: „**შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება**“.

უმუშევრობის მაღალი დონე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირება მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანია განხორციელდეს შრომის ბაზრის ასიმეტრიულობის, მობილობის დაბალი ხარისხის, დაბალი პროდუქტიულობისა და არაადეკვატური კვალიფიკაციის არსებობის ანალიზი.

უმაღლესი განათლება საქართველოში დგას მნიშნველოვანი გამოწვევების წინაშე. ათასობით ახალგაზრდა ეუფლება უმაღლეს განათლებას იმ იმედით, რომ შემდეგ გაიზრდება მათი დასაქმების შანსი და შესაბამისად, შემოსავალიც. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოება: გამოკითხული ორგანიზაციების ნაწილი განიცდის გარკვეულ პოზიციებზე შრომითი რესურსების ნაკლებობას, რაც აიხსნება იმით, რომ, უმეტეს შემთხვევაში, დამსაქმებლები ვერ ახერხებენ სათანადო კვალიფიკაციისა და უნარების მქონე კადრების მოძიებას.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №533 „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021“, შემუშავდა განათლების, გადამზადებისა და ახალგაზრდობის, მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და შესაბამისი დანართებით გათვალისწინებული ვალდებულებების საფუძველზე. იგი შეესაბამება ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს. ამასთან, მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი SWOT ანალიზის მიხედვით, განათლების სისტემის სისუსტეებად განიხილება: შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან განათლების სისტემის შეუსაბამობა; განათლების დაბალი ხარისხი; სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და კერძო სექტორს შორის არასაკმარისი თანამშრომლობა; განათლების ყველა საფეხურზე მასწავლებელთა მაღალი ასაკი და მათი კვალიფიკაცია.

ზემოხსენებული პრობლემების გადაჭრა მნიშვნელოვანია, როგორც ევროპასთან და ევროპულ განათლების სისტემასთან დაახლოების, ასევე ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით. კვლევაში განხილულია საქართველოს შრომის ბაზარი და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ურთიერთკავშირი. თუმცა აქცენტი გაკეთებულია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების პრობლემებზე.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. დავით ნარმანია, ეკა ჩოხელი, მანანა ხარხელი, გიული ქეშელაშვილი, ვასილ კიკუტაძე, ეკატერინე გულუა, ნინო ვარდიაშვილი, ბექა თოფურია, დავით გავარდაშვილი.

2) მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. TSU COMPETITIVENESS ASSESSMENT BASED ON THERESEARCH OF UNIVRSITY ENTRANTS ATTITUDE, ISBN 978-1-63901-719-5.

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. Brussels, EUSER

4) გვერდებისრაოდენობა

1. 99

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

ნაშრომში განხილულია ის გამოწვევები, რომლებიც გლობალიზაციამ ეკონომიკის წინაშე დააყენა. ეს პროცესები განათლების სისტემაშიც აისახა. საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს კონკურენციის გაწევა გლობალურ ბაზარზე უწევთ. შესაბამისად, საქართველოში დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და გლობალურ გარემოში არსებული გამოწვევების ფონზე, მუდმივად იცვლება უმაღლესი განათლების მიღების მსურველი აბიტურიენტების დამოკიდებულება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ: აბიტურიენტებს სურთ შეარჩიონ ის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მათ მოთხოვნებს მაქსიმალურად დააკმაყოფილებს. თავის მხრივ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც ცდილობენ შექმნან ისეთი პირობები, რომ მეტი აბიტურიენტი მიიზიდონ.
ნაშრომში გაანალიზებულია საგანმანათლებლო ტრადიციები უცხოეთსა და საქართველოში, უმაღლესი განათლების მსოფლიო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ინოვაციური მიდგომები, საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის პრობლემები. გამოკვეთილია საგანმანათლებლო მომსახურების პრიორიტეტები.

სტატისტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორები. კერძოდ, გამოყენებულია იქ ინდუქციის და დედუქციის, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სიღრმისეული თვისებრივი ანალიზის შედეგად დადგენილია სექტორში არსებული ძირითადი ტენდენციები, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზები და გაწერილია რაოდენობრივი კვლევის შედეგები.

ჩატარებულია აბიტურიენტების მიერ უმაღლესი სასწავლებელების შერჩევაზე გავლენის მქონე ფაქტორების კვლევა. ანონიმური ანკეტური მეთოდით საქართველოს მაშტაბით გამოიკითხა 580-მდე აბიტურიენტი. რესპოდენტების გამოკითხვისას გამოყენებულ იქნა 12 კითხვარი. მიღებული მონაცემები დამუშავდა ზოგადი სიხშირული ანალიზის მეთოდით. ასევე ,,ესპიესეს სტატისტიკსის“ (SPSS Statistics) პროგრამის საფუძველზე ჩატარდა ჯვარედინი (კროსტაბულაციური) ანალიზი. შეფასდა მონაცემთა სანდოობა და ცვლადებს შორის კავშირების დონე ხი-კვადრატ ტესტის (Chi-Square Tests), პირსონის კორელაციური ტესტის, კრონბახის ალფას (Cronbach's Alfa) საფუძველზე.
კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტს.

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. ავთანდილ სილაგაძე, ბაბულია მღებრიშვილი, გიული ქეშელაშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. მენეჯერული და მარკეტინგული აზროვნების განვითარება გვიანფეოდალური ხანის საქართველოში (Managerial and Marketing Thinking in Late Feudal Georgia)

ISSN:2344-2174

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ECOFORUM ტომი 10, ნომერი 3 (26) 2021

4) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. **რუმინეთი**

5) გვერდების რაოდენობა

1. **5**

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. სტატიაში განხილულია მენეჯერული და მარკეტინგული აზროვნების განვითარების მდგომარეობა გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში. იმდენად, რამდენადაც იმ პერიოდის საქართველოს ქალაქებში ძირითად ორგანიზაციებს ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები წარმოადგენდა, საქმიანობაში მენეჯერული და მარკეტინგული მიდგომების გამოყენების მდგომარეობა, სწორედ მათ მაგალითზეა შესწავლილი. სტატიის ავტორების მიერ გაანალიზდა ამქრების წესდებები. ამ ნორმატიული დოკუმენტების შესწავლით გაირკვა, რომ ქართული ამქრები თავიანთ საქმიანობას ახორციელებდნენ უსტაბაშის ხელმძღვანელობით. მას, და სხვა ხელმძღვანელებს, ამქრის წევრები ირჩევდნენ საერთო კრებაზე. უსტაბაშები, თანამედროვე გაგებით, იყვნენ ამქრების მენეჯერები. წესდებებიდან ირკვევა, რომ ამქრების საქმიანობა ემყარებოდა მენეჯმენტის ორგანიზაციისა და კონტროლის ფუნქციებს. ყურადღება ექცეოდა მოტივაციის ფუნქციასაც, თუმცა ეს მკაფიოდ არ არის გამოხატული გაანალიზებულ წესდებებში. ამქრები თავიაანთ საქმიანობას მარკეტინგული მიდგომით, ე.ი. მომხმარებელზე ორიენტაციით ახორციელებდნენ. სწორედ ამიტომ აქცევდა ამქარი, პირველ რიგში, ყურადღებას ხარისხიანი საქონლის წარმოებას. ხარისხიანი საქონლის წარმოების მიზანი არ იყო მხოლოდ არსებული მომხმარებლების შენარჩუნება და ახალი მომხმარებლების მოზიდვა. ამქრის ხელმძღვანელობისთვის ეს იყო მთელი საზოგადოების თვალში რეპუტაციის შექმნისა და ამაღლების გზაც, რაც დადებითად იმოქმედებდა მუშაობის საბოლოო შედეგებზე. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში არსებული ამქრები თავიანთ საქმიანობას მენეჯერული და მარკეტინგული მიდგომებით ახორციელებდნენ. ასე, თანდათანობით, ვითარდებოდა მენეჯერული და მარკეტინგული აზროვნება საქართველოში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **ბაბულია მღებრიშვილი, გიული ქეშელაშვილი**

2) მოხსენების სათაური

1. **კორონავირუსული პანდემიის ქრისტიანული გააზრებისთვის**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **5 ნოემბერი, 2021 თბილისი, საქართველო**

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

(მოხსენება გამოქვეყნდა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის,-გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში,-შრომების ელექტრონულ კრებულში)

7.2.უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. გიული ქეშელაშვილი, მარიამ ჯიბუტი

2. გიული ქეშელაშვილი, მარიამ ჯიბუტი

2) მოხსენების სათაური

1. ტექნოლოგიური შესაძლებლობები პანდემიის პირობებში (კოვიდ19)

2. ბიზნეს გარემოს განვითარების გამოწვევები პანდემიის პირობებში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 28-29 ივლისი 2021, ლატვია

2. 18-19 სექტემბერი 2021, თურქეთი

ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი

1. საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობის ანალიზი (თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე).

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 09.03.**2021**-20.12.**2021**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი დავით ნარმანია.

2. პროექტის წევრები: ასოცირებული პროფესორები: ეკა ჩოხელი, გიული ქეშელაშვილი, მანანა ხარხელი, ვასილ კიკუტაძე, ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე გულუა, დოქტორანტები: ნინო ვარდიაშვილი, სესილი ტაბატაძე, მიხეილ მაკასარაშვილი.

2. პროექტის ხელმძღვანელი_ეკონომიკის დოქტორი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წევრი, თსუ პროფესორი **დავით ნარმანია** მენეჯმენტის სპეციალისტია. მას აქვს დიდი გამოცდილება სტრატეგიულ კვლევებში, რისკების მართვასა და ანალიზში და ეკონომიკის მართვის პრობლემების კვლევებში. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია და აქვს საერთაშორისო კვლევითი-პროექტების ხელმძღვანელობის საკმაოდ დიდი გამოცდილება. პროექტში მისი ფუნქცია იყო პროექტის საერთო ხელმძღვანელობა, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან განათლების სისტემის შესაბამობის ანალიზის ორგანიზება და მედიატორობა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ხედვებისა და მოსაზრებების, მასთან დაკავშირებული გამოწვევების გამოვლენის, დასაქმებულებისა და დამსაქმებელთა შეხედულებების კვლევების ჩატარების პროცესების ორგანიზება.

პროექტის ძირითადი შემსრულებელი-ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი მენეჯმენტის სპეციალისტია. მას სტრატეგიული კვლევებისა და ანალიზის, ეკონომიკის მართვის პრობლემების კვლევის დიდი გამოცდილება აქვს. ამ მიმართულებით მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და არაერთი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აქტიური შემსრულებელია. პროექტში მისი ფუნქცია იყო უმაღლესი განათლების სისტემასა და შრომის ბაზარს შორის ამჟამად არსებული ურთიერთობების შესწავლა-გაანალიზება და პრობლემების გამოვლენა.

პროექტის ძირითადი შემსრულებელი - ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი გიული ქეშელაშვილი მენეჯმენტის სპეციალისტია. მას ანტიკრიზისული მართვის, პროქტების მართვისა და ანალიზის დიდი გამოცდილება აქვს. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ძირითადი შემსრულებელი და სამეცნიერო კონსულტანტია. პროექტში მისი ფუნქცია იყო იმ წინააღმდეგობების შესწავლა-გაანალიზება, რომელსაც აწყდებიან ერთ მხრივ, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები სამსახურის ძიების პროცესში და, მეორე მხრივ, შესაბამისი დამქირავებლები ვაკანსიების შევსების პროცესში.

პროექტის ძირითადი შემსრულებელი - ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი მენეჯმენტის სპეციალისტია. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი და კონსულტანტია. მას მეცნიერული კვლევის საკმაო გამოცდილება აქვს. პროექტში მისი ფუნქცია იყო დამსაქმებლების მოთხოვნებთან სამუშაოს მაძიებელთა უნარ-ჩვევების შესაბამისობის ანალიზის ჩატარება, საქართველოს შრომის ბაზარსა და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ურთიერთკავშირის გაანალიზება და გამოწვევების განსაზღვრა.

პროექტის ძირითადი შემსრულებელი - ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სპეციალისტია. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი და კონსულტანტია. ვასილ კიკუტაძე განათლების სფეროში საქმიანობს და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტია. მას მეცნიერული კვლევის დიდი გამოცდილება აქვს.პროექტში მისი ფუნქცია იყო დამსაქმებლების მოთხოვნებთან სამუშაოს მაძიებელთა უნარ-ჩვევების შესაბამისობის ანალიზის ჩატარება, გამოწვევების გამოვლენა და გადაჭრის გზების განსაზღვრა.

პროექტის ძირითადი შემსრულებელი - ეკონომიკის დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი **ეკატერინე გულუა** მენეჯმენტის სპეციალისტია. იგი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საერთაშორისო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი, ძირითადი შემსრულებელი და კონსულტანტია. მას მეცნიერული კვლევის დიდი გამოცდილება აქვს.პროექტში მისი ფუნქცია იყო თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების პრობლემების გაანალიზება და საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ურთიერთკავშირის განსაზღვრა.

დამხმარე პერსონალი - ნინო ვარდიაშვილი მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის II კურსის დოქტორანტია. პროექტში მისი ფუნქცია იყო ინფორმაციის მოპოვება და სოციოლოგიური კვლევის მიმართულებით რესპოდენტთა მიერ შევსებული ანკეტების ინფორმაციული დამუშავება

დამხმარე პერსონალი - სესილი ტაბატაძე მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის II კურსის დოქტორანტია. პროექტში მისი ფუნქცია იყო ინფორმაციის მოპოვება და სოციოლოგიური კვლევის მიმართულებით რესპოდენტთა მიერ შევსებული ანკეტების ინფორმაციული დამუშავება.

დამხმარე პერსონალი-მიხეილ მაკასარაშვილი მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის II კურსის დოქტორანტია. პროექტში მისი ფუნქცია იყო ინფორმაციის მოპოვება და სოციოლოგიური კვლევის მიმართულებით რესპოდენტთა მიერ შევსებული ანკეტების ინფორმაციული დამუშავება.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

მსოფლიოსა და საქართველოშიც დიდი ყურადღება ეთმობა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე ორიენტირებული განათლების სისტემის შექმნას. ამაზე მეტყველებს განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შეუსაბამობამობაზე მსოფლიოში განხორციელებული და მიმდინარე მრავალრიცხოვანი კვლევები. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, ადამიანური რესურსების განვითარებისთვის სამ ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების აქტიურ განხორციელებას მოითხოვს. მათ შორის ერთ-ერთია: „**შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება**“.

უმუშევრობის მაღალი დონე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირება მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანია განხორციელდეს შრომის ბაზრის ასიმეტრიულობის, მობილობის დაბალი ხარისხის, დაბალი პროდუქტიულობისა და არაადეკვატური კვალიფიკაციის არსებობის ანალიზი.

უმაღლესი განათლება საქართველოში დგას მნიშნველოვანი გამოწვევების წინაშე. ათასობით ახალგაზრდა ეუფლება უმაღლეს განათლებას იმ იმედით, რომ შემდეგ გაიზრდება მათი დასაქმების შანსი და შესაბამისად, შემოსავალიც. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოება: გამოკითხული ორგანიზაციების ნაწილი განიცდის გარკვეულ პოზიციებზე შრომითი რესურსების ნაკლებობას, რაც აიხსნება იმით, რომ, უმეტეს შემთხვევაში, დამსაქმებლები ვერ ახერხებენ სათანადო კვალიფიკაციისა და უნარების მქონე კადრების მოძიებას.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №533 „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021“, შემუშავდა განათლების, გადამზადებისა და ახალგაზრდობის, მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და შესაბამისი დანართებით გათვალისწინებული ვალდებულებების საფუძველზე. იგი შეესაბამება ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს. ამასთან, მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი SWOT ანალიზის მიხედვით, განათლების სისტემის სისუსტეებად განიხილება: შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან განათლების სისტემის შეუსაბამობა; განათლების დაბალი ხარისხი; სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და კერძო სექტორს შორის არასაკმარისი თანამშრომლობა; განათლების ყველა საფეხურზე მასწავლებელთა მაღალი ასაკი და მათი კვალიფიკაცია.

ზემოხსენებული პრობლემების გადაჭრა მნიშვნელოვანია, როგორც ევროპასთან და ევროპულ განათლების სისტემასთან დაახლოების, ასევე ქვეყნის მძიმე ეკონომიკური

მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით. კვლევაში განხილულია საქართველოს შრომის ბაზარი და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ურთიერთკავშირი. თუმცა აქცენტი გაკეთებულია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების პრობლემებზე.

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. დავით ნარმანია, ეკა ჩოხელი, მანანა ხარხელი, გიული ქეშელაშვილი, ვასილ კიკუტაძე, ეკატერინე გულუა, ნინო ვარდიაშვილი, ბექა თოფურია, დავით გავარდაშვილი.

2) მონოგრაფიის/წიგნისსათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. TSU COMPETITIVENESS ASSESSMENT BASED ON THERESEARCH OF UNIVRSITY ENTRANTS ATTITUDE, ISBN 978-1-63901-719-5.

3) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. Brussels, EUSER

4) გვერდებისრაოდენობა

1. 99

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

ნაშრომში განხილულია ის გამოწვევები, რომლებიც გლობალიზაციამ ეკონომიკის წინაშე დააყენა. ეს პროცესები განათლების სისტემაშიც აისახა. საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს კონკურენციის გაწევა გლობალურ ბაზარზე უწევთ. შესაბამისად, საქართველოში დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და გლობალურ გარემოში არსებული გამოწვევების ფონზე, მუდმივად იცვლება უმაღლესი განათლების მიღების მსურველი აბიტურიენტების დამოკიდებულება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ: აბიტურიენტებს სურთ შეარჩიონ ის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მათ მოთხოვნებს მაქსიმალურად დააკმაყოფილებს. თავის მხრივ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც ცდილობენ შექმნან ისეთი პირობები, რომ მეტი აბიტურიენტი მიიზიდონ. ნაშრომში გაანალიზებულია საგანმანათლებლო ტრადიციები უცხოეთსა და საქართველოში, უმაღლესი განათლების მსოფლიო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ინოვაციური მიდგომები, საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის პრობლემები. გამოკვეთილია საგანმანათლებლო მომსახურების პრიორიტეტები.

სტატისტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორები. კერძოდ, გამოყენებულია იქ ინდუქციის და დედუქციის, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სიღრმისეული თვისებრივი ანალიზის შედეგად დადგენილია სექტორში არსებული ძირითადი ტენდენციები, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზები და გაწერილია რაოდენობრივი კვლევის შედეგები.

ჩატარებულია აბიტურიენტების მიერ უმაღლესი სასწავლებელების შერჩევაზე გავლენის მქონე ფაქტორების კვლევა. ანონიმური ანკეტური მეთოდით საქართველოს მაშტაბით გამოიკითხა 580-მდე აბიტურიენტი. რესპოდენტების გამოკითხვისას გამოყენებულ იქნა 12

კითხვარი. მიღებული მონაცემები დამუშავდა ზოგადი სიხშირული ანალიზის მეთოდით. ასევე ,,ესპიესეს სტატისტიკსის“ (SPSS Statistics) პროგრამის საფუძველზე ჩატარდა ჯვარედინი (კროსტაბულაციური) ანალიზი. შეფასდა მონაცემთა სანდოობა და ცვლადებს შორის კავშირების დონე ხი-კვადრატ ტესტის (Chi-Square Tests), პირსონის კორელაციური ტესტის, კრონბახის ალფას (Cronbach's Alfa) საფუძველზე.

კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტს.

7.2.უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ეკა ჩოხელი

2. ეკა ჩოხელი, მზია ტიკიშვილი, დავით ნიჟარაძე

3. ნინო მიქიაშვილი, ეკა ჩოხელი, მზია ტიკიშვილი, დავით ნიჟარაძე, შორენა დავითაია, მიხეილ მაჩიტაძე

2) მოხსენების სათაური

1. სტარტ-აპების მართვის გამოწვევები საქართველოში

2. პანდემიის გავლენა უმაღლესი განათლების ხარისხზე საქათველოში

3. სამეცნიერო კვლევების გლობალური და ლოკალური პრობლემები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 28-29 ივლისი 2021, იურმალა, ლატვია

2. 28-29 ივლისი 2021, იურმალა, ლატვია

3. 28-29 ივლისი 2021, იურმალა, ლატვია

ასოცირებული პროფესორი მანანა ხარხელი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. იანვარ 2021-დეკემბერი2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი პროფესორი დავით ნარმანია,

2. პროექტის წევრები: ასოცირებული პროფესორები ეკა ჩოხელი, მანანა ხარხელი, გიული ქეშელაშვილი, ვასილ კიკუტაძე, ასისტენტ პროფესორი ეკატერინე გულუა.

ყველასათვის ცნობილია, რომ ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის საფუძველი წარმოების ფაქტორებია - მიწა, კაპიტალი, შრომა, მეწარმული უნარები და სახელმწიფოს ეკონომიკური როლი. ამ ფაქტორებისა და მათი როლის შესწავლას არაერთმა უცხოელმა და ქართველმა მეცნიერმა დაუთმო ყურადღება. თუ ადრეულ წლებში ეკონომიკის ზრდის ძირითად წყაროებად კაპიტალს, შრომას, მიწას და ბუნებრივ რესურსებს ასახელებდნენ, ამ ბოლო წლებში წინა პლანზე წამოიწია ადამიანურმა კაპიტალმა ანუ ადამიანში დაგროვილმა ცოდნამ, გამოცდილებამ, კომპეტენციებმა, კრეატიულობის დონემ და სხვა ამ ტიპის მახასიათებლებმა,

რომელთა მასშტაბზე, ხარისხსა და ინოვაციურობაზე არის დამოკიდებული წარმოების ყველა სხვა ფაქტორის სათანადოდ ამუშავება და, საბოლოოდ, ქვეყნის ღირსეული ეკონომიკური ზრდა. ყველა ზემოთ აღნიშნულ თვისებას ადამიანს სწორედ განათლება აძლევს (გამონაკლისია მხოლოდ გენეტიკურად თანდაყოლილი ნიჭი, ტალანტი).

განათლების მიღება ადამიანის ცხოვრების უწყვეტი პროცესია. ამ პროცესში ერთ-ერთ საკვანძო როლს კი საუნივერსიტეტო განათლება ასრულებს. უნივერსიტეტის მთავარი ფუნქციაა მოამზადოს ადამიანი პროფესიული საქმიანობის დასაწყებად და განუვითაროს მას ისეთი უნარები, რომლებიც დაეხმარება კარიერულ წინსვლაში. საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ახერხებენ უნივერსიტეტები შრომის ბაზრისთვის კვალიფიციური სამუშაო ძალის მიწოდებას, აქტუალური და საკამათოა არა მარტო ქართულ რეალობაში, არამედ გლობალურადაც. ხშირ შემთხვევაში, უნივერისტეტები სტუდენტებს გარკვეულ თეორიულ ცოდნასთან ერთად უზრუნველყოფენ საბაზისო უნარ-ჩვევებითაც, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში წარმატების მისაღწევად უნივერსიტეტებმა ძირითადი აქცენტები უნდა გააკეთონ სტუდენტებში კომუნიკაციის უნარების, კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური აზროვნების გაუმჯობესებაზე. მნიშვნელოვანია, რომ მათ შექმნან ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს სამუშაო გარემოსთან ადვილად ადაპტირებაში. უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდები თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი ცოდნით, უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით.

უმაღლესი განათლების სისტემა ინდივიდებისთვის პიროვნული და პროფესიული განვითარების მნიშვნელოვან შესაძლებლობას იძლევა. კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად და, შესაბამისად, შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებზე საპასუხოდ საგანმანათლებლო დაწესებულებები გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ. თანამედროვე რეალობა და სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესი კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად უნივერსიტეტებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვისკენ უბიძგებს.

ზოგადად უნივერსიტეტებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სამ ძირითად მიმართულებას: პირველ რიგში, ინფრასტრუქტურულად ისინი უნდა იყვნენ გამართულები და აკმაყოფილებდნენ თანამედროვე მოთხოვნებს. დახვეწილი ციფრული ინფრასტრუქტურის არსებობის აუცილებლობა განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა Covid-19 პანდემიის პირობებში. უნივერსიტეტებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც სტუდენტებს მომავალში, რეალურ სამუშაო გარემოში გაუადვილებს სხვადასხვა პროგრამასთან ან აღჭურვილობასთან მუშაობას.

მეორე მიმართულება ეს ლექტორების კვალიფიკაციის ამაღლება. ლექტორებმა უნდა შეძლონ და გასცენ არამარტო თეორიული ცოდნა, არამედ უნდა დაეხმარონ სტუდენტებს სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებაში, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი. აღნიშნული უნარები საშუალებას აძლევს სტუდენტებს ეფექტურად გაუმკლავდნენ სოციალურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ პრობლემებს. მხოლოდ ცოდნა ან ინფორმაცია საკმარისი არ არის, სამუშაო ადგილზე სტუდენტებს უნდა შეეძლოთ პრობლემების გადაჭრა და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება; მათ უნდა შეეძლოთ კრიტიკული აზროვნება.

მესამე მიმართულება სხვადასხვა კომპანიებთან აქტიური თანამშრომლობაა, რათა სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ გაიარონ სტაჟირების პროგრამები წამყვან კომპანიებში. ეს მათ მისცემს დიდ გამოცდილებას და გაუადვილებს მომავალში სამუშაო გარემოში ადაპტაციას. სწავლის პერიოდში შესაბამის დარგში სტაჟირება ხელს უწყობს სტუდენტს პროფესიულ სფეროში წარმატების მიღწევაში. საუნივერსიტეტო გარემოში სტუდენტები დისკუსიაში, დებატებში ჩართვით და თანატოლებთან ურთიერთობით იღებენ სხვადასხვა თეორიულ გამოცდილებას, თუმცა მნიშვნელოვანია მათთვის ისეთი შესაძლებლობების მიცემა, რომელთა საშუალებით ამა თუ იმ აკადემიურ კონცეფციას გამოიყენებენ პრაქტიკაში, რეალურ სამუშაო გარემოში და შეძლებენ კონკურენტუნარიან სამუშაო ძალად ჩამოყალიბებას.

კვლევის მიზანი სწორედ იმ გამოწვევების და პრობლემების წარმოჩენა იყო, რომლებიც ხელს უშლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების კონკურენტუნარიან პროფესიონალებად ჩამოყალიბებას, რის გამოც ისინი ვერ აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ვერ აღწევენ წარმატებას პროფესიულ საქმიანობაში.

ნაშრომში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე შესწავლილი იქნა თუ რამდენად არიან ქართული უნივერსიტეტები კვალიფიციური სამუშაო ძალის მოსამზადებლად მზად, გარდა ამისა, გამოვლინდა სწავლების პროცესში ძირითადი პრობლემები და შემუშავებული იქნა რეკომენდაციები სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის და ისეთი პროგრამების შემუშავებითვის, რომელთა დახმარებითაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები შეძლებენ წარმატებული კარიერის შექმნას შრომის ბაზარზე.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. დავით ნარმანია, ეკა ჩოხელი, მანანა ხარხელი, გიული კეშელაშვილი, ვასილ კიკუტაძე,ეკატერინე გულუა, ნინო ვარდიაშვილი, ბექა თოფურია, დავით გავარდაშვილი.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. TSU COMPETITIVENESS ASSESSMENT BASED ON THERESEARCH OF UNIVRSITY ENTRANTS ATTITUDE, ISBN 978-1-63901-719-5.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Brussels, EUSER

4) გვერდების რაოდენობა

1. 99

საგანმანათლებლო ფუნქცია ნებისმიერი ცივილიზებული საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციაა. ცხადია, რომ მომავალი იმ ქვეყნებსა და ერებს აქვთ, რომლებიც შეძლებენ სხვებს აჯობონ ახალი ცოდნის ათვისებაში, სამეცნიერო მიღწევებსა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში. განათლების დონე და ხარისხი განაპირობებს როგორც ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობას, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო ფუნქციის რეალიზაციაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ისეთი რთული სოციალური ინსტიტუტი, როგორიცაა განათლების სისტემა.

გლობალიზაციის პროცესმა მნიშვნელოვნად დააჩქარა უმაღლესი განათლების განვითარების პროცესი. გამოწვევები, რომლებიც გლობალიზაციამ ეკონომიკის წინაშე დააყენა, განათლების სისტემაზეც აისახება. საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს კონკურენციის გაწევა უკვე გლობალურ ბაზარზე უწევთ. შესაბამისად, საქართველოში დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და გლობალურ გარემოში არსებული გამოწვევების ფონზე, მუდმივად იცვლება უმაღლესი განათლების მიღების მსურველი აბიტურიენტების დამოკიდებულება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ: აბიტურიენტებს სურთ შეარჩიონ ის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მათ მოთხოვნებს მაქსიმალურად დააკმაყოფილებს. თავის მხრივ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც ცდილობენ შექმნან ისეთი პირობები, რომ მეტი აბიტურიენტი მიიზიდონ.

ნაშრომში განხილულია საგანმანათლებლო ტრადიციები უცხოეთსა და საქართველოში; გაანალიზებულია უმაღლესი განათლების მსოფლიო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ინოვაციური მიდგომები გლობალიზაციის პირობებში; მოყვანილია საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების კვლევები; გამოკვეთილია საგანმანათლებლო მომსახურების პრიორიტეტები.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიის საშუალებით შევისწავლეთ საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობის მადეტერმინირებელი ძირითადი ფაქტორები. კერძოდ გამოყენებული იქნა ინდუქციის და დედუქციის, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სიღრმისეულმა თვისობრივმა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა სექტორში არსებული ძირითადი ტენდენციები, ჩამოვაყალიბეთ ჰიპოთეზები კვლევის მიზნებიდან გამომდინარე და ზუსტად გავწერეთ რაოდენობრივი კვლევის ელემენტები.

ჩატარდა აბიტურიენტების მიერ უმაღლესი სასწავლებელების შერჩევაზე გავლენის მქონე ფაქტორების კვლევა. ანონიმური ანკეტური მეთოდით საქართველოს მაშტაბით გამოიკითხა 580-მდე აბიტურიენტი. რესპოდენტების გამოკითხვისას გამოყენებულ იქნა 12 კითხვარი. მიღებული მონაცემები დამუშავდა ზოგადი სიხშირული ანალიზის მეთოდით. ასევე ,,ესპიესეს სტატისტიკსის“ (SPSS Statistics) პროგრამის საფუძველზე ჩატარდა ჯვარედინი (კროსტაბულაციური) ანალიზი. შეფასდა მონაცემთა სანდოობა და ცვლადებს შორის კავშირების დონე ხი-კვადრატ ტესტის (Chi-Square Tests), პირსონის კორელაციური ტესტის, კრონბახის ალფას (Cronbach’s Alfa) საფუძველზე.

კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტს.

6.4. სტატიები

1) Manana Kharkheli

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. The Importance of Having a Goal for Effective Time Management, ISSN 2348-7585

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. The Importance of Having a Goal for Effective Time Management, Vol 9

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Online Journal

5) გვერდების რაოდენობა

1. 8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

სტატიაში განხილულია დროის ეკონომიის ძირითადი წყაროები. დროის დინებას ადამიანები სხვადასხვანაირად აღიქვამენ. ზოგისთვის იგი სწრაფად გადის, ზოგისთვის პირიქით ძალიან ნელა. თუმცა სინამდვილეში, დრო ისე გადის, როგორც უნდა გადიოდეს. ერთადერთი რესურსი, რომელსაც ადამიანები თანაბრად ფლობენ, ეს დროა. დროის წინაშე ყველა ერთნაირია, განსხვავება იმაში მდგომარეობს, თუ ვინ როგორ გამოიყენებს ამ დროს. წარმატებულია მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია დროის ეფექტიანი გამოყენება, ანუ ერთსა და იმაავე დროში მეტი საქმის მოსწრება.

მენეჯერი კომპანიის კოლექტივის წევრია. მას არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ მთელი კოლექტივის ხელმძღვანელობა ავალია. თუმცა, კოლექტივის თითოეულ წევრსა და მენეჯერს თანაბარი დროითი შესაძლებლობები გააჩნიათ, განსხვავება იმაში მდგომარეობს რომ კოლექტივის წევრი მხოლოდ საკუთარ დროს, ხოლო მენეჯერი როგორც პირადს, ასევე კოლექტივის წევრების დროსაც მართავს.

ორგანიზაციაში არსებული შრომითი პირობები, შრომის და დასვენების რაციონალური განაწილება, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს დასაქმებულის მიერ სამუშაოს ჯეროვნად და დროულად შესრულებაზე. აუცილებელია სამუშაო ადგილზე შრომითი პირობების სრულყოფა, რისთვისაც საჭიროა მუშაობის პროცესში კომფორტის შექმნა, ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა, სანიტარულ-ჰიგიენური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს რომ სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადამიანის შრომისუნარიანობაზე, რაც ინდივიდუალური ხასიათისაა.

გარემო, სადაც ხელმძღვანელებს საშუალოება ეძლევა ზეგავლენა მოახდინონ ადამიანებზე და აიმაღლონ იმიჯი, არის გამოსვლები, შეხვედრები, თათბირები. შესაბამისად ნებისმიერი მცდელობა ხელმძღვანელისა, რომ დადებითი რეპუტაცია შეიქმნას თანამშრომლების თვალში, ჯეროვან მომზადებას საჭიროებს. ამიტომ დროის მენეჯმენტის სპეციალისტები ურჩევენ მათ თათბირის თუ ნებისმიერი შეხვედრის წარმართვისას იყვნენ პროფესიონალები და მაქსიმალურად შეეცადონ მათი გამოსვლები არ იყოს უინტერესო, დროში გაწელილი, დაზოგონ როგორც საკუთარი ასევე აუდიტორიის დროითი რესურსი, რადგან დროს უკან ვერ დაიბრუნებენ, ამიტომ საჭიროა ეკონომიურად გამოიყენონ.

რადგან საკითხი დროის ეკონომიას ეხება, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დაგვრჩეს მენეჯერბისა და მთლიანად ორგანიზაციის მიერ დასაქმებულთათვის შრომის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ, ამცირებს სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილ დროის მოცულობას. შრომა კეთილმოწყობილ გარემოში უნდა მიმდინარეობდეს, რათა რომელიმე არახელსაყრელი გარემო ფაქტორი დამაბრკოლებლად არ წარმოგვიდგეს.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დროის ეკონომიას მოგვცემს თათბირების ჩატარებისას გამოყენებული დროის კონტროლია. ამიტომ თათბირების მომზადებას ხელმძღვანელმა გაცილებით მეტი დრო უნდა დაუთმოს ვიდრე მის ჩატარებას. გამოყენებული დროის შემცირება ასევე შესაძლებელია თვითმენეჯმენტით. როცა ადამიანი მაქსმიალურად მოახდენს თავისი შესაძლებლობების რეალიზებას, იმუშავებს ნაყოფიერად, გააზრებულად მართავს დროს, იგი დაძლევს არა მარტო პირად, არამედ საზოგადეობრივ ცხოვრებაში არსებულ პრობლემებს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მანანა ხარხელი, მორჩილაძე გიორგი

2. მანანა ხარხელი, მორჩილაძე გიორგი

2) მოხსენების სათაური

1. ციფრული განათლება და სხვადასხვა თაობების აზრი მის შესახებ

2. პანდემიის გავლენა ადამიანურ კაპიტალზე. ადამიანური კაპიტალის ინდექსი.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. საქართველო, თბილისი, სტუ 6 კორპუსი, 28 – 29. 2021

2. საქართველო, გორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 10.09.2021

ანოტაცია

1. სტატიაში განხილულია ციფრული განათლების არსი, მისი განსხვავება ტრადიციული განათლებისგან და ის მოთხოვნები, რომლის წინაშე მან სწავლება/სწავლის პროცესი დააყენა.

ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ციფრულმა ტექნოლოგიამ საზოგადოება ორ თაობად - ციფრულამდელ და ციფრულ თაობად გაყო და, რაღაცა ზომით ისინი ერთმანეთს დაუპირისპირა. ციფრულამდელი თაობა განათლების ტრადიციული წესით აღიზარდა და ამიტომ ვერ (ან არ) აღიარებს მას, ციფრული თაობა კი, აღფრთოვანებულია ე. წ. „ციფრული განათლებით“ და სხვა ფორმატში ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.

სტატიაში გაკეთებული დასკვნები ემყარება იმ მინიკვლევის შედეგებს, რომელიც ავტორს ჩატარებული აქვს თავის სტუდენტებში და კოლეგა-პროფესორებთან.

2. 2020 წლის პირველ ნახევარში, მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელებისა და პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად, მკვეთრად შემცირდა წარმოების მოცულობა, გაჩნდა ხარვეზები საქონლის მიწოდებაში, შეიზღუდა მომსახურების სფერო. საქართველოსთვის და ბევრი სხვა განვითარებადი ქვეყნისთვის დამატებითი სირთულეები შექმნა სხვა ქვეყნებში მყოფი ჩვენი მოქალაქეების მიერ ფულადი გადმორიცხვების მკვეთრმა შემცირებამ, რაც საცალო ვაჭრობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. განსაკუთრებით დაზარალდნენ ის ქვეყნები, რომლელთა ეკონომიკის მნიშვნელოვან წილს ტურიზმი წარმოადგენს. იმ ქვეყნებში სადაც შეზღუდვების შემოღება დააგვიანეს პანდემიის უფრო მასობრივი აფეთქებები მოხდა, მაღალი იყო სიკვდილიანობის მაჩვენებელი და მკვეთრად შეიზღუდა ბიზნეს საქმიანობა. შედეგად, გაიზარდა უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებელები. ვირუსის პირველი ტალღის „მოგერიების“ შემდეგ, ბევრ ქვეყანაში და ჩვენთნაც შეიმჩნეოდა ეკონომიკის გარკვეული გამოცოცხლება. თუმცა ამ გაზრდილმა მობილობამ

გამოიწვია ვირუსის კიდევ უფრო დამანგრეველი მეორე ტალღა და ამჟამად მესმე ტალღას ებრძვის მსოფლიო. საქართველოში პანდემიის ფაქტორს, მეორე და მესამე ტალღის პარალელურად, თან დაერთო არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია. ეს დამატებთი წნეხი გახდა ეკონომიკის ვარდნისა და ლარის დევალვაციისთვის.

როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოშიც კორონავირუსის პანდემიამ განათლებასა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ნეგატიური გავლენით, პირდაპირი დარტყმა მიაყენა ადამიანურ კაპიტალს. სტიქიური უბედურებებისგან განსხვავებით, რომელთა დამანგრეველი მოქმედება ფიზიკურ კაპიტალზე გაცილებით დიდია ვიდრე ადამიანურზე, პანდემიამ ხელუხლებელი დატოვა ქარხნები, ფაბრიკები, ინფრასტრუქტურა, თუმცა უკიდურესად ნეგატიური გავლენა მოახდინა ადამიანთა ჯანმრთელობაზე, ჩაშალა მოსწავლეებისა და სტუდენტების სწავლის პროცესი.

სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების დახურვამ და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლამ, სასწავლო წლის დიდი ნაწილის დაკარგვა გამოიწვია. ცალკე პრობლემაა დისტანციური სასწავლო პროცესის ნაკლები ეფექტურობა და ცოდნის შემოწმებასთან დაკავშირებული სირთულეები. ამასთან, არსებული ვითარება კიდევ უფრო ამძაფრებს განსხავავებას სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა შორის, სრულფასოვანი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

პანდემიას ეწირება ათასობით ადამიანი. გამოჯანმრთელებულთაგან ბევრს კი პანდემიამ, როგორც ჯანმრთელობის ასევე ფსიქოლოგიური პრობლემები დაუტოვა. არსებული სიტუაციში ჯანდაცვის სექტორს არ ეძლევა სხვა ავადმყოფობებთან გამკლავების სრულყოფილი საშუალება. პანდემიის დასრულების შემდეგ საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ინვესტიციების გაკეთება როგორც განათლებაში, ასევე ჯანდაცვაში.

ადამიანური კაპიტალის განვითარების დონე, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ყველა ქვეყნის ეკონომიკისთვის. ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებები მთლიან შიდა პროდუქტში 10-30%-ით გამოწვეულია ადამიანური კაპიტალის განვითარების დონეში არსებული განსხვავებით. აღსანიშნავია, რომ ადამიანური კაპიტალის გავითარებაში პანდემიით გამოწვეული დღევანდელი ხარვეზები ნეგატიურ გავლენას მოახდენს ბევრი მომავალი წლის განმავლობაში.

2018 წლიდან მსოფლიო ბანკი ახორციელებს ადმიანური კაპიტალის განვითარების პროექტს. ამ პროექტის ფარგლებში შემუშავდა ე.წ. ადამიანური კპიტალის ინდექსი (HCI), რომელიც გვიჩვენებს მშრომელთა მომდევნო თაობის პროდუქტიულობას სრული განათლებისა და სრულყოფილი ჯანმრთელობის ეტალონთან შედარებით. პანდემიიდან გამომდინარე აღნიშნული ინდექსი გაუარესდა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. Manana Kharkheli.

2) მოხსენების სათაური

1. HUMAN RESOURCE MANAGEMENT IN A CRISIS PERIOD

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 1-2 Juna, 2021 - Riga, Latvia

ანოტაცია

მსოფლიოში გავრცელებულმა პანდემიანამ, მნიშნველოვნად შეცვალა საქმის კეთების წესი ბევრ კომპანიაში. ობიექტური გარემოებაა ის, რომ მრავალი ორგანიზაცია აღმოჩნდა კრიზისულ სიტუაციაში. თავის მხრივ კრიზისულ სიტუაციაში კომპანიებს გადარჩენისთვის ესაჭიროებათ თავიანთი სტრატეგიის გადახედვა და ცვლილება, იმისთვის, რომ ადაპტირდნენ შეცლილ გარემოსთან. ცვლილებების განხორციელება კი ხშირად დაკავშირებულია სირთულეებთან, რადგან სხვა მიზეზებთან ერთად, მნიშნველოვნად იკვეთება დაინტერესებული მხარეების (თანამშრომლების, მომწოდებლების, კლიენტების და ა.შ.) ინტერესები. მოცემულ მოხსენებაში განხილულია, კრიზისულ სიტუაციაში ჩვენი აზრთ, ერთ - ერთი უმნიშნველოვანესი, კერძოდ - ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც დაეხმარება სხვდასხვა დონის მენეჯერებს, გაზრდილი განუსაზღვრელობის პირობებში ადამიანების მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში.

ასისტენტ-პროფესორი ეკატერინე გულუა

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობის ანალიზი (თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგალითზე).

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

09.03.2021-20.12.2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი დავით ნარმანია.

2. პროექტის წევრები: ასოცირებული პროფესორები: ეკა ჩოხელი, გიული ქეშელაშვილი, მანანა ხარხელი, ვასილ კიკუტაძე, ასისტენტ-პროფესორი: ეკატერინე გულუა, დოქტორანტები: ნინო ვარდიაშვილი, სესილი ტაბატაძე, მიხეილ მაკასარაშვილი.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მსოფლიოსა და საქართველოშიც დიდი ყურადღება ეთმობა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნაზე ორიენტირებული განათლების სისტემის შექმნას. ამაზე მეტყველებს განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შეუსაბამობამობაზე მსოფლიოში განხორციელებული და მიმდინარე მრავალრიცხოვანი კვლევები. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“, ადამიანური რესურსების განვითარებისთვის სამ ძირითად მიმართულებას ითვალისწინებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან რეფორმების აქტიურ განხორციელებას მოითხოვს. მათ შორის ერთ-ერთია: „**შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება**“.

უმუშევრობის მაღალი დონე საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირება მომდევნო წლებში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანია განხორციელდეს

შრომის ბაზრის ასიმეტრიულობის, მობილობის დაბალი ხარისხის, დაბალი პროდუქტიულობისა და არაადეკვატური კვალიფიკაციის არსებობის ანალიზი.

უმაღლესი განათლება საქართველოში დგას მნიშნველოვანი გამოწვევების წინაშე. ათასობით ახალგაზრდა ეუფლება უმაღლეს განათლებას იმ იმედით, რომ შემდეგ გაიზრდება მათი დასაქმების შანსი და შესაბამისად, შემოსავალიც. ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოება: გამოკითხული ორგანიზაციების ნაწილი განიცდის გარკვეულ პოზიციებზე შრომითი რესურსების ნაკლებობას, რაც აიხსნება იმით, რომ, უმეტეს შემთხვევაში, დამსაქმებლები ვერ ახერხებენ სათანადო კვალიფიკაციისა და უნარების მქონე კადრების მოძიებას.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №533 „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021“, შემუშავდა განათლების, გადამზადებისა და ახალგაზრდობის, მეცნიერების, კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და შესაბამისი დანართებით გათვალისწინებული ვალდებულებების საფუძველზე. იგი შეესაბამება ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს. ამასთან, მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი SWOT ანალიზის მიხედვით, განათლების სისტემის სისუსტეებად განიხილება: შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან განათლების სისტემის შეუსაბამობა; განათლების დაბალი ხარისხი; სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და კერძო სექტორს შორის არასაკმარისი თანამშრომლობა; განათლების ყველა საფეხურზე მასწავლებელთა მაღალი ასაკი და მათი კვალიფიკაცია.

ზემოხსენებული პრობლემების გადაჭრა მნიშვნელოვანია, როგორც ევროპასთან და ევროპულ განათლების სისტემასთან დაახლოების, ასევე ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების თვალსაზრისით. კვლევაში განხილულია საქართველოს შრომის ბაზარი და უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ურთიერთკავშირი. თუმცა აქცენტი გაკეთებულია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების პრობლემებზე.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები:

1. TSU COMPETITIVENESS ASSESSMENT BASED ON THE RESEARCH OF UNIVERSITY ENTRANTS'ATTITUDE. Narmania, D., Chokheli, E., Kharkheli, M., Keshelashvili, G., Kikutadze, V., Gulua, E., ... & Gavardashvili, D. EUSER Books (2021). 99pg.

https://books.revistia.com/files/books/TSU_competitiveness_assessment_ISBN9781639017195.pdf

1) ავტორი/ავტორები

1. დავით ნარმანია,
2. ეკა ჩოხელი,
3. მანანა ხარხელი,
4. გიული ქეშელაშვილი
5. ვასილ კიკუტაძე

6. ეკატერინე გულუა
7. ნინო ვარდიაშვილი
8. დავით გავარდაშვილი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
თსუ-ის კონკურენტუნარიანობის შეფასება აბიტურიენტთა დამოკიდებულების კვლევის საფუძველზე
ISBN 978-1-63901-719-5
3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
Printed in Brussels, EUSER - EUROPEAN CENTER FOR SCIENCE EDUCATION AND RESEARCH, Weiveldaan 41, D Block. 1930, Brussels, Zaventem, Belgium.
4) გვერდების რაოდენობა: **99**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში განხილულია ის გამოწვევები, რომლებიც გლობალიზაციამ ეკონომიკის წინაშე დააყენა. ეს პროცესები განათლების სისტემაშიც აისახა. საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებს კონკურენციის გაწევა გლობალურ ბაზარზე უწევთ. შესაბამისად, საქართველოში დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებისა და გლობალურ გარემოში არსებული გამოწვევების ფონზე, მუდმივად იცვლება უმაღლესი განათლების მიღების მსურველი აბიტურიენტების დამოკიდებულება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ: აბიტურიენტებს სურთ შეარჩიონ ის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც მათ მოთხოვნებს მაქსიმალურად დააკმაყოფილებს. თავის მხრივ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც ცდილობენ შექმნან ისეთი პირობები, რომ მეტი აბიტურიენტი მიიზიდონ.
ნაშრომში გაანალიზებულია საგანმანათლებლო ტრადიციები უცხოეთსა და საქართველოში, უმაღლესი განათლების მსოფლიო ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ინოვაციური მიდგომები, საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის პრობლემები. გამოკვეთილია საგანმანათლებლო მომსახურების პრიორიტეტები.

სტატისტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობის ძირითადი ფაქტორები. კერძოდ, გამოყენებულია იქ ინდუქციის და დედუქციის, თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. სიღრმისეული თვისებრივი ანალიზის შედეგად დადგენილია სექტორში არსებული ძირითადი ტენდენციები, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზები და გაწერილია რაოდენობრივი კვლევის შედეგები.

ჩატარებულია აბიტურიენტების მიერ უმაღლესი სასწავლებელების შერჩევაზე გავლენის მქონე ფაქტორების კვლევა. ანონიმური ანკეტური მეთოდით საქართველოს მაშტაბით გამოიკითხა 580-მდე აბიტურიენტი. რესპოდენტების გამოკითხვისას გამოყენებულ იქნა 12 კითხვარი. მიღებული მონაცემები დამუშავდა ზოგადი სიხშირული ანალიზის მეთოდით. ასევე ,,ესპიესეს სტატისტიკსის“ (SPSS Statistics) პროგრამის საფუძველზე ჩატარდა ჯვარედინი (კროსტაბულაციური) ანალიზი. შეფასდა მონაცემთა სანდოობა და ცვლადებს შორის კავშირების დონე ხი-კვადრატ ტესტის (Chi-Square Tests), პირსონის კორელაციური ტესტის, კრონბახის ალფას (Cronbach’s Alfa) საფუძველზე.

კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტს.

6.4. სტატიები

1. Study of Signs of Discrimination in Labor Relations of Georgia. Ekaterine Gulua, Shalva Baghaturia, Natalia Sikmashvili, Maia Shavliashvili; *European Journal of Social Science Education and Research*, *8*(1), (2021). 26-37. DOI: https://doi.org/10.26417/219wtt86t

1) ავტორი/ავტორები

1. ეკატერინე გულუა
2. შალვა ბაღათურია
3. ნატალია სიყმაშვილი
4. მაია შავლიაშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

საქართველოს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ნიშნების კვლევა

DOI: https://doi.org/10.26417/219wtt86t

ISSN 2411-9563 (Print) ISSN 2312-8429 (Online)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

ევროპის ჟურნალი სოციალური მეცნიერებები, განათლება და კვლევა 8 (1) 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

REVISTIA, *Copyright* (c) 2021 European Journal of Social Science Education and Research

5) გვერდების რაოდენობა 12 (26-37).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომი ეძღვნება საქართველოში შრომით ურთიერთობებში თანასწორობის და დისკრიმინაციის შესწავლას. კვლევის მიზანია საქართველოს შრომის ბაზარზე, სამუშაო ადგილების მიმწოდებლების მოთხოვნის შესწავლა, მ.შ. სამუშაო ძალის შრომითი თანასწორობის პრინციპების გათვალისწინების შეფასება. კვლევის პროცესში განხორციელდა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევა.

კვლევის ობიექტად შეირჩა შრომითი დისკრიმინაციის ერთ-ერთი სახე - დისკრიმინაცია დასაქმებამდე - ვაკანსიის გამოცხადების დროს. შესწავლილ იქნა 2020 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით გამოქვეყნებული 3719 განცხადება, რომელიც გაანალიზდა წინასწარ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების საფუძელზე.

კვლევა ჩატარდა ,,HR-Hub"-ისა და **„Stream**"-ის კვლევითი ჯგუფის და ადამიანური პოტენციალის მართვის ლაბორატორიის ერთობლივი მუშაობით. მონაწილეები: შალვა ბაღათურია, ნატალია სიყმაშვილი, მაია შავლიაშვილი, ეკატერინე გულუა. ნაშრომი გამოქვეყნდა ,,HR-Hub"-ისა და **„Stream**"-ის სპონსორობით.

ნაშრომში განხილულია როგორც თემასთან დაკავშირებული თეორიული საკითხები, საერთაშორისო გამოცდილებები, ასევე კვლევის შედეგები და შესაბამისი რეკომენდაციები. კვლევის შედეგები გახმოვანდა საქართველოს სატელევიზიო არხის საშუალებით. ნაშრომი გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეცენზირებად, რეფერირებად, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში

2. Challenges and Opportunities for Teaching Practical Skills at Higher Education Institutions under the conditions of COVID-19 Pandemic. Kasradze, Tea, & Gulua, Ekaterine. *European Journal of Social Sciences Education and Research Articles*, *8*; (2021). 63-78pg;

DOI: https://doi.org/10.26417/733dvf87y

1) ავტორი/ავტორები

1. თეა კასრაძე

2. ეკატერინე გულუა

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში პრაქტიკული უნარ–ჩვევების სწავლების გამოწვევები და შესაძლებლობები პანდემიის პირობებში

DOI: https://doi.org/10.26417/733dvf87y

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

ევროპის ჟურნალი სოციალური მეცნიერებები, განათლება და კვლევა 8 (1) 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

REVISTIA, *Copyright* (c) 2021 European Journal of Social Science Education and Research

5) გვერდების რაოდენობა: **16** (63-78)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კოვიდ-19 პანდემიის უპრეცედენტო გამოწვევების პირობებში ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის, სოციალური უთანასწორების, ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დისბალანსის შემცირების მნიშვნელოვანი წინაპირობა მაღალი ხარისხის განათლების დანერგვა და შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი პრაქტიკული უნარ–ჩვევებით აღჭურვილი სამუშაო ძალის მიწოდების უზრუნველყოფაა. ეს ერთის მხრივ უზრუნველყოფს ეკონომიკური სუბიექტების წარმატებულ ოპერირებას, მეორეს მხრივ კი აქვს სოციალური ფუნქცია – ადამიანური კაპიტალის განვითარება ხელს უწყობს სოციალური პრობლემების მოგვარებას. ნაშრომი ეძღვნება ახალი გლობალური გამოწვევების კონტექსტის გათვალისწინებით ბიზნესის პრაქტიკული უნარ–ჩვევების სწავლების გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესწავლას საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. ნაშრომის მიზანია: საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარ–ჩვევების სწავლების შესაბამისობის ხელშეწყობა ბიზნეს სექტორის მხრიდან სამუშაო ძალის პრაქტიკული უნარ–ჩვევებზე მოთხოვნებთან. კვლევის პროცესში შევისწავლეთ, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ეხება პანდემიის და პოსტ–პანდემიის პირობებში სამუშაო ძალისადმი ახლად წარმოქმილ მოთხოვნებს, სტუდენტებისათვის პრაქტკული ცოდნის გადაცემის სამომავლო ორიენტირებს, გავაანალიზეთ საქართველოში პრაქტიკული უნარ–ჩვევების სწავლების გამოცდილებები და არსებული მდგომარეობა –

შევისწავლეთ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების პოზიცია პრაქტიკის სწავლების შეფასების თვალსაზრისით, რაც ოფიციალურად ასახულია უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებში და მისი თვითშეფასების ნაწილში სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების სახით.

ნაშრომში აგრეთვე გაანალიზებულია ავტორების მიერ ჩატარებული სტუდენტთა პრაქტიკის სწავლებისადმი დამოკიდებულების კვლევის შედეგები. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში პრაქტიკის სწავლებისადმი სტუდენტების დამოკიდებულების შესასწავლად ჩავატარეთ ანკეტური გამოკითხვა (დახურული კითხვები) თსუ–ის ადამიანური პოტენციალის მართვის ლაბორატორიის ეგიდით. გამოკითხვას დაექვემდებარა ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის 614 სტუდეტი, თითქმის თანაბარი პროპორციით ერთ სახელმწიო (თსუ) და ერთ კერძო (კსუ) უნივერსიტეტში. (ანალოგიური კვლევა ამავე ლაბორატორიის ფარგლებში ჩატარდა თსუ-ში 2017 წელსაც).

არსებული გამოწვევების გამოვლენის საფუძველზე გამოვკვეთეთ ის შესაძლებლობები, რომელსაც გვაძლევს საუკეთესო გამოცდილებების გაზიარება და შევიმუშავეთ სათანადო რეკომენდაციები თანამედროვე მოთხოვნებათან შესაბამისი პროფესიონალი კადრების მომზადებისათვის.

3. Difficulties in managing diversity in Georgian educational organizations. Goletiani, K., Mushkudiani, Z., Gulua, E., & Janelidze, N. *Access Journal*, *2*(2), (2021). 123-137. https://doi.org/10.46656/access.2021.2.2(1)

1) ავტორი/ავტორები

1. ქეთევან გოლეთიანი
2. ზურაბ მუშკუდიანი
3. ეკატერინე გულუა
4. ნათელა ჯანელიძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

საქართველოს საგანმანათლებლო ორგანიზაციებშიმრავალფეროვნების მართვის გამოწვევები
https://doi.org/10.46656/access.2021.2.2(1)
ISSN 2683-1007 (Online)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

ACCESS: Access to science, business, innovation in digital economy" Journal *2*(2), (2021)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

ACCESS Science Journals

5) გვერდების რაოდენობა:15 (123-137)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ოცდამეერთე საუკუნეს თამამად შეიძლება ვუწოდოთ გლობალიზაციის საუკუნე. გლობალიზაციის პროცესში აქტუალური ხდება სხვადასხვა ქვეყნებში ორგანიზაციებში დასაქმებულთა მრავალფეროვნების (განსხვავებების) მართვის გამოწვევების შესწავლა. იმის გამო, რომ საქართველოს დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება არც თუ ისე სახარბიელოა, საქართველომ მნიშვნელოვანია დაიკავოს გარკვეული ნიშა მსოფლიოს სხვადასხვა ბაზრებზე, რისთვისაც აუცილებელია ბევრი ინოვაციური მოდელის დანერგვა რიგ სფეროებში, ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მენეჯმენტი. მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდების დანერგვა რთული პროცესია მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

ნაშრომის მიზნებია: ადამიანური კაპიტალის პროდუქტიულობის გაუმჯობესების დეტერმინანტების შესწავლა, გუნდური მმართველობითი სისტემების დანერგვის მექანიზმების ანალიზი. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია გუნდის წევრთა თანაბრობის, მათი როლისა და მნიშვნელოვნების განცდის მხარდაჭერა, პასუხისმგებლობის განაწილებისა და გაცნობიერების პროცესის ქმედითი მექანიზმებით უზრუნველყოფა, ჯანსაღი გუნდური მუშა-პროცესების ინიცირება.

მეთოდები/მიდგომა: საქართველოს სამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩატარდა როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევები.

შედეგები: კვლევის ძირითადი ანალიზისა და მისი მსჯელობის შედეგად გამოიკვეთილია პერსონალის მართვის და განსაკუთრებით კი მრავალფეროვნების მართვის ეფექტურობის და ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი ღონისძიებები.

დასკვნები: განხილულია ქართულ კომპანიებში გუნდური მუშაობის, მრავალფეროვნების მართვის გამოწვევები; ასევე, აქცენტი გაკეთებულია პერსონალის მართვის პროცესში გამოვლენილ პრობლემებსა და მათი დაძლევის მექანიზმებზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.2. უცხოეთში

1.

Challenges and Opportunities for Teaching Practical Skills at Higher Education Institutions under the conditions of COVID-19 Pandemic, Tea Kasradze, Ekaterine Gulua, 23rd International Congress on Social Sciences 5 March -3 April 2021, Brussels, Book of Proceedings, EUSER, ISBN 9781638776239, 312-325pg. **(Participant and Book Editor)**

https://books.revistia.com/files/proceedings/icss23_proceedings_isbn_9781638776239.pdf?v=3

1) მომხსენებელი/მომხსენებლები:

1. თეა კასრაძე (მომხსენებელი)

2. ეკატერინე გულუა (კონგრესის შრომების კრებულის რედაქტორი და მომხსენებელი)

2) მოხსენების სათაური:

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში პრაქტიკული უნარ–ჩვევების სწავლების გამოწვევები და შესაძლებლობები პანდემიის პირობებში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

5 მარტი 2021 წ. ბრიუსელი, ბელგია, შერეული (აგრეთვე სინქრონული, ონლაინ) კონგრესი სოციალურ მეცნიერებებში.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

კონგრესის ნაშრომების კრებული, EUSER, ISBN 9781638776239, 312-325გვ

https://books.revistia.com/files/proceedings/icss23_proceedings_isbn_9781638776239.pdf?v=3

2.

Study of Signs of Discrimination in Labor Relations of Georgia. *European Journal of Social Science Education and Research*; Ekaterine Gulua, Shalva Baghaturia, Natalia Sikmashvili, Maia Shavliashvili; 23rd International Congress on Social Sciences 5 March -3 April 2021, Brussels, Book of Proceedings, EUSER, ISBN 9781638776239, 203-213pg. **(Participant and Book Editor)**

https://books.revistia.com/files/proceedings/icss23_proceedings_isbn_9781638776239.pdf?v=3

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ეკატერინე გულუა (მომხსენებელი და კონგრესის შრომების კრებულის რედაქტორი)
2. შალვა ბაღათურია
3. ნატალია სიყმაშვილი
4.მაია შავლიაშვილი

2) მოხსენების სათაური

საქართველოს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის ნიშნების კვლევა

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

5 მარტი 2021 წ. ბრიუსელი, ბელგია, შერეული (აგრეთვე სინქრონული, ონლაინ) კონგრესი სოციალურ მეცნიერებებში.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

კონგრესის ნაშრომების კრებული, EUSER, ISBN 9781638776239, 203-213გვ.
https://books.revistia.com/files/proceedings/icss23_proceedings_isbn_9781638776239.pdf?v=3

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

- ✓ 2021 წლის საუნივერსიტეტო გრანტის პროექტის შედეგების საფუძველზე მზადდება მონოგრაფია
- ✓ რეცენზირების ეტაპს გადის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის 2021 წლის საფაკულტეტო გრანტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი:

„შრომის ბაზრის კომპეტენციებისადმი მოთხოვნისადმი სტუდენტთა დამოკიდებულების კვლევის შედეგები.“ ავტორები: დავით ნარმანია, ეკა ჩოხელი, ეკატერინე გულუა, სესილი ტაბატაძე.

[The Results of a Study of Students Attitudes to the Demand for Competencies in the Labor Market (On the example of TSU Faculty of Economics and Business) AUTHORS: Narmania D., Chokheli E., Gulua E., Tabatadze S., International Journal of Social Sciences, https://www.eurrec.org/ijoss-about.html;]

I. 1. სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინხტიტუტი, განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - ***გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა***

I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი:***პროფესორი გიორგი ღაღანიძე***

I.3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –

ასოცირებული პროფესორი მირონ ტუღუში
ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი
ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი
ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე
ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე

პროფესორი გიორგი ღაღანიძე

1) ავტორი/ავტორები

გიორგი ღაღანიძე იგორ არეფეევი თეა მუნჯიშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

საგარეო ვაჭრობის პროგნოზირების სისტემური და ანალიტიკური მოდელის შემუშავება

ISBN 978-9941-491-35-1

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

თბილისი, თსუ გამომცემლობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საგარეო ვაჭრობაზე პანდემიის ფაქტორის გათვალისწინებით მშპ-ზე საგარეო ვაჭრობის ზეგავლენისა და გადაწყვეტილების შესაძლო შედეგების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ადექვატურად ასახვის მიზნით განხილულია სიმულაციის მეთოდით ჩვენს მიერ შემუშავებული გრავიტაციული მოდელის მოდიფიცირებული ვარიანტი. მასში გათვალისწინებულია ლოგიკო-რეფლექსური მოდელირება. წარმოდგენილ საგარეო ვაჭრობის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელის საფუძველი გრავიტაციული და ლოგიკო-რეფლაქსური მოდელირებაა.

ასოცირებული პროფესორი ბადრი რამიშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **ბადრი რამიშვილი**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. **ტექნოლოგიური მეგატრენდის ეკონომიკური ანალიზი და მისი განვითარების მიმართულებები პოსტ-პანდემიურ სამყაროში doi.org/10.36962/104/6-9/20216941**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. „ეკონომიკა“ ტომი 104, N6-9. 2021

ISSN 2587-4713 DOI:10.36962/ECS

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი, სტუ, სსუ

5) გვერდების რაოდენობა

1. 41-56 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ტექნოლოგიური პროგრესი ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელია და ის ადამიანის ცხოვრების ყველა მიმართულებაზე ახდენს გავლენას.

გადაჭარბებული არ არის სამეცნიერო ნაშრომში გატარებული მოსაზრება, რომ ტექნოლოგიური მეგატრენდი ურთიერთზემოქმედების ხარისხით გამოირჩევა დანარჩენ ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ენერგეტიკულ და მილიტარისტულ მეგატრენდებს შორის. ტექნოლოგიური განვითარების უმნიშვნელოვანეს ტრიგერად ყოველთვის გვევლინებოდა ომი, თუ მისთვის მზადება. ოდითგან, ვიდრე ცივი ომის დასრულებამდე, კაცობრიობას ნიშანდობლივი თვისება ახასიათებდა, ის საუკეთეო რესურსებს, როგორც მატერიალურს, ასევე ადამიანურს, სამხედრო მიზნებისთვის გაიღებდა და გამომდინარე აქედან, ტექნოლოგიური პროგრესის ერთ-ერთი მამოძრავებელი უხსოვარი დროიდან სწორედ სამხედრო სფერო იყო. ამიტომ, დიდი ყურადღება ეთმობა მილიტარისტული და ტექნოლოგიური ტრენდების ურთიერთზეგავლენას. ეს იმითაცაა გამართლებული, რომ სადღეისოდ პლანეტაზე მიმდინარე ახალი კორონავირუსით გამოწვეული კოვიდ 19-ის პანდემია, ექსტრემალური მოთხოვნის ფორმირების ხასიათით ჰგავს საომარ ვითარებას. ნაშრომში ტექნოლოგიური მეგატრენდის ჭრილით, რელევანტური ინდიკატორების გამოყენებით განხორციელებულია სამი - გლობალური დასავლური, რუსული და ჩინური ძალის ანალიზი, რის საფუძვლეზეც ავტორი ასკვნის, რომ საქართველოსთვის დასავლურ გლობალურ ძალასთან ალიანსი არამარტო უსაფრთხოების თვალსაზრისითაა სასიცოცხლო მნიშვნელობის, არამედ მხოლოდ ასე შეიძლება იმ სავალალო მაჩვენებლების სწრაფად გამოსწორება, რაც მას აქვს ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **ბადრი რამიშვილი**

2) მოხსენების სათაური

1. **ტექნოლოგიური გარემოს გავლენის შეფასება საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე**

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. თბილისი, თსუ 2021, VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“

ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი

5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. *მაია გიორგობიანი,* ***ნინო ფარესაშვილი,*** *დავით დუგლაძე*

2) სტატიისსათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

2. კადრებისშერჩვისპროცესშიკომპეტენციებისგანსაზღვისმნიშვნელობა

http://iem.ge/ojs/index.php/journal/article/view/44?fbclid=IwAR2l-LZmuvekcOunlKKEVqmTwoDi_kOio_hRdLoU-DpA36q2v2qGpa03eUg

3)ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

2. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა, ტომი 8, გამოცემა№ 1 (2021)

4)გამოცემისადგილი, გამომცემლობა

2. 04.06.2021; ბათუმი; ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი

5) გვერდებისრაოდენობა

2. 9

ვრცელი ანოტაცია (ქართულენაზე)

1. ციფრული ტექნოლოგიებისა და ტრანსფორმაციების პარალელურად, საქართველოში ინტენსიურად ხდებოდა ტურიზმის ყველა სახეობის აღორძინება და განვითარება, COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ დაამუხრუჭა ტურიზმის რაოდენობრივი პარამეტრების სწრაფი ზრდის ტემპები, ხოლო შემდეგ ტურიზმი ეკონომიკური განუსაზღვრელობის ფაზაში გადაიყვანა, რის გამოც პარალიზებული აღმოჩნდა ტურიზმის ყველა სახეობა.

პანდემიის შემდეგ როგორი იქნება ტურიზმის განვითარების ძირითადი ინდიკატორების ტემპები ძნელი სათქმელია, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შეიძლება რომ მოლოდინები საქართველოში არსებობს და ისინი პოზიტიურია.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგედა საკრუიზო ტურიზმის წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და მისი განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

სტატიაში განხილულია საკრუიზო ტურიზმის განვითარების მნიშვნელობა საქართველოში ტურიზმის აღორძინება განვითარებისათვის. დახასიათებულია საკრუიზო ტურიზმის პოტენციალი. მსოფლიოში ასრებული ტენდენციების მიხედვით საკრუიზო ხაზების საერთასორისო ასოციაციის 2020 წლის წლიური ანგარიშზე დაყრდნობით, გაანალიზებულია მსოფლიოში კრუიზების სტატისტიკა.

მიგვაჩნია, რომ ტურიზმის ბიზნესის მფლობელთათვის უნდა დაიწყოს საგანმანათლებლო პროექტები, უნდა მოხდეს თანამშრომლების გადამზადება, რათა მიეცეთ ზუსტი რეკომენდაციები საზღვაო კრუიზებისა და COVID-რეგულაციებთან დაკავშირებით, ტურისტულ კომპანიებს საჭიროების შემთხვევაში, უნდა მიეცეთ დაბალპროცენტიანი სესხების აღების შესაძლებლობა; მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა ტურიზმის, მათ შორის საკრუიზო ტურიზმის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის;

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. ფარესაშვილი ნინო

2.ტიკიშვილი მზია

3.ხარაძე ნატალია

4. გოლეთიანი ქეთევან

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. **STUDY OF RESPONDENT BEHAVIOR IN CONFLICT SITUATION BY CROSS-TABULATION ANALYSIS (SPSS)**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **International Conference on Sustainable Transport System and Maritime Logistics**

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **s. Batumi Navigation Teaching University, June 24, 2021. Publisher: Batumi Navigation Teaching University, Georgia.**

2. DOI: https://doi.org/10.46361/ISTSML-2021

Published under the terms of the Creative Commons CC BY-NC 4.0 License © Batumi Navigation Teaching University, 2021 © Collective authors, 2021

5) გვერდების რაოდენობა

1. **44-51**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

COVID-19-მა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანების ცხოვრებაზე, მათ სამუშაო სტილზე, ტემპზე, განწყობაზე და ზოგადად ცხოვრების რიტმზე. COVID-19-მა ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი მთელს მსოფლიოში ეკონომიკური გაურკვევლობის ფაზაში გადაანაცვლა მან გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები თანამშრომლების ქცევაში, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოსთან და ყოველდღიურ საქმიანობასთან.

ხშირ შემთხვევაში, მათი ქცევა იწვევს სხვადასხვა სახის კონფლიქტს, რაც კიდევ უფრო ართულებს მართვის პროცესს.ორგანიზაციების უმეტესობა საკმაოდ დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, მაგ შეიქმნა ფინანსური პრობლემები, დეფიციტური იყო გარკვეული რესურსები. ამ ყველაფერმა გააძლიერა შიდა კონკურენცია. ამ ფაქტორების გამო შეიცვალა ადამიანების ქცევა და დამოკიდებულებები. მათი ემოციური დონე გაიზარდა გაურკვევლობის გამო, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება.

შეიცვალა ორგანიზაციული კონფლიქტების ბუნებაც და მენეჯერებისთვის მათი მართვა გამოწვევად იქცა.

სტატიაში განვიხილავთ კონფლიქტურ სიტუაციებს და რესპონდენტთა მიდგომას სამუშაო პოზიციების გათვალისწინებით.

ჰიპოთეზებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები და დასკვნები

ყველა ორგანიზაციას აქვს კონკრეტული სტილი, კონკრეტული წესები, პოლიტიკა და სიტუაციები, რომლებიც ზოგად წესებში კომბინირება შეუძლებელია ასე რომ, მნიშვნელოვანია მათი გათვალისწინება.

ასევე, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს, რომ კონფლიქტს ხშირად შეიძლება ჰქონდეს კონსტრუქციული ეფექტი.

დღევანდელი რეალობა და თანამშრომლების მაღალი თვითშეგნება მიუთითებს იმაზე, რომ გამჭვირვალე და სამართლიანი მმართველობით ნამდვილად შესაძლებელია თანამშრომლების პოზიტიური ქცევის მიღწევა ,რის შემდეგაც ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ შედეგებს, რომლებიც ნამდვილად აღკვეთს დისფუნქციურ კონფლიქტებს და ემსახურება ორგანიზაციულ მიზნებს.

მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი კვლევის შედეგების თეორიული დამუშავება და მათი გამოყენება გაზრდის ორგანიზაციაში ინდივიდების აქტივობას და გააუმჯობესებს კიდეც კომპანიის მუშაობას მთლიანად. თუ თანამშრომლები ხედავენ, რომ მენეჯერების ძალისხმევაა მიზნად ისახავს მათი ნიჭისა და იდეების მაქსიმიზაციას, არაკონფლიქტური გარემოს შექმნას,

მათი ქცევა და მოქმედება მიმართული იქნება ორგანიზაციის წარმატებისკენ, რაც ორივე მხარისთვის მომგებიანია.

აღსანიშნავია, რომ საჯარო სექტორში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კონფლიქტური სიტუაციების პროგნოზირებასა და მართვას.

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.2.უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნინო ფარესაშვილი, ნანული ოქრუაშვილი, მაია ნიკვაშვილი
2. ნინო ფარესაშვილი, ნანული ოქრუაშვილი, ქეთევან ჩიტალაძე
3. ნანული ოქრუაშვილი, ნინო ფარესაშვილი, თეონა ედგვერაძე

2) მოხსენების სათაური

1. Challenges Of The Education System In The Process Of Human Capital Formation In Georgia
2. The Need For Cross-Cultural Competencies In A Multicultural Environment
3. Current State of Market Development of Organic Products in Georgia

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ვალენსია, ესპანეთი, 2021 წლის 8-10 მარტი
2. ვალენსია, ესპანეთი, 2021 წლის 8-10 მარტი
3. პოლონეთი, 2021 წლის 21-23 მაისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. ნაშრომის მიზანია საქართველოში ადამიანური კაპიტალის ფორმირების არსებული მდგომარეობის განხილვა, ადამიანური კაპიტალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და არსებული პრობლემების ანალიზის საფუძველზე ადამიანური რესურსების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება. დღეისათვის საყოველთაოდაა აღიარებული კონცეფცია, რომლის მიხედვით ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანეს როლს ადამიანური კაპიტალი ასრულებს. ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი განვითარება ემყარება ადამიანური კაპიტალის, როგორც ქვეყნის უმთავრესი რესურსის, ცოდნისა და უნარების განვითარებას, განათლების ხელმისაწვდომობისა და უწყვეტი განათლების პრინციპების რეალიზაციის შესაძლებლობებს. ნაშრომში გაანალიზებულია განათლების გავლენა საქართველოს ადამიანური კაპიტალზე და მის განვითარებაზე, შეფასებულია ის ცვლილებები და გამოწვევები, რასაც თანამედროვე პირობებში ადგილი აქვს საქართველოს გა ნათლების სისტემასა და ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების სფეროში, გამ ოვლენილია ამ მიმართულებით არსებული პრობლემები და შემუშავებულია არსებულ პრობლემათა აღმოფხვრის კონკრეტული რეკომენდაციები.
2. გლობალურ გარემოში მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა ყურადღების გადატანა ტრანსნაციონალურ და კულტურულ კომპეტენციებზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზაციებში მრავალფეროვანი სამუშაო ძალის მართვაში. კულტურული ცვლადების საფუძვლიანი ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია მენეჯერებისთვის მენეჯმენტის ფუნქციების განხორციელებისა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების განხორციელების პროცესში. დღეს მნიშვნელოვან პრობლემად იქცა იმის გარკვევა, თუ რა მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე შრომის ბაზარი კურსდამთავრებულთა ახალ თაობას და პირიქით, ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რას ელიან სამუშაოს მაძიებლები სამუშაოსა და კარიერაში. მენეჯერებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა გაარკვიონ,

რა ზომები უნდა იქნას მიღებული სამუშაო ძალის ერთიანი მიზნისა და მოლოდინის ქვეშ გაერთიანებისთვის. ამიტომ, მენეჯერებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ორგანიზაციულ კლიმატს და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს.

ნაშრომში განხილულია თანამშრომლების ემოციებისა და დამოკიდებულებების გავლენა შრომით კმაყოფილებაზე, ასევე შეფასებულია შრომითი კმაყოფილების გავლენა ორგანიზაციულ ქცევებზე და თანამშრომლების კეთილდღეობაზე. სამუშაოთი კმაყოფილებისა და ემოციური ინტელექტის როლის გათვალისწინებით, განხილულია ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამშრომლების ქცევაზე, ასევე ინდივიდუალური განსხვავებები, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამუშაოთი კმაყოფილების ფორმირების პროცესზე. მულტიკულტურულ გარემოში მაღალი შედეგების მისაღწევად აუცილებელია სხვადასხვა ბიზნეს კულტურის შესწავლის ძირითადი მეთოდებისა და მიდგომების საკმარისი ცოდნა; ნაშრომში დასაბუთებაულია ის გარემოება, რომ ეროვნული ბიზნეს კულტურა უდიდესი გავლენას ახდენს კორპორატიულ კულტურაზე და ორგანიზაციის მართვის ფუნქციების შესრულებაზე, შესაბამისად, უმაღლესი განათლების მიღების პროცესში აუცილებელია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ეფექტიანი ინტერკულტურული კომუნიკაციის ჩამოყალიბება და მომავალ მენეჯერებში კულტურული კომპეტენციისა და სხვადასხვა რელიგიისა და მრწამსის ადამიანების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების განვითარება.

3. დღეისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესი და მასთან დაკავშირებული ჯანსაღი კვება წარმოადგენს საქართველოს, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობის ცხოველმყოფელობის უმთავრეს მახასიათებელს. ქართველ მომხმარებლებში არსებული ჯანმრთელობაზე ზრუნვის გაზრდილი ტენდეცია თავის ასახვას პოვებს ეკოლოგიურად სუფთა, ორგანული პროდუქციის შეძენის გაზრდილ ინტერესში. შესაბამისად, ორგანულ პროდუქციაზე არსებული მზარდი მოთხოვნა ხდება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარების ერთერთი მთავარი ტრენდი. სტატიაში განხილულია ორგანული პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების მსოფლიო ტენდენციები და გადმოცემულია საქართველოში ორგანული პროდუქტების ბაზრის განვითარების ამჟამინდელი მდგომარეობა, გაანალიზებულია ქვეყნის ორგანული პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის ძირითადი ინდიკატორები. ნაშრომში ასახულია ორგანული პროდუქციის მომხმარებელთა კვლევის შედეგები, რომლის საფუძველზე გამოვლენილია ორგანული პროდუქტის ბაზარზე ქართველი მომხმარებლის ქცევის თავისებურებები და სამომხმარებლო უპირატესობები, დადგენილია ორგანული პროდუქციის ეროვნული ბაზრის ფორმირებაზე მოქმედი სპეციფიკური ფაქტორები და ორგანული პროდუქციის ბაზრის ფუნქციონირების ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა მომხმარებლებში ,,ორგანული პროდუქტის“ ცნებისა და მისი დამახასიათებელი თვისებების ცოდნისა და ინფორმირებულობის დონე, ორგანული პროდუქტის შეძენის სიხშირე, ორგანული პროდუქციის შესყიდვის საფასო და არასაფასო დეტერმინებისამი დამოკიდებულება. კვლევამ წარმოაჩინა საფასო დეტერმინებისადმი მომხმარებელთა მგრძობელობის მაღალი დონე. კერძოდ, ის გარემოება, რომ საქართველოში ორგანულ პროდუქციაზე არსებული, თვით ევროკავშირის მაღალშემოსავლიან ქვეყნებთან შედარებითაც კი მაღალი ფასები, წარმოადგენს ქვეყნის

მოსახლეობის მიერ ორგანულ პროდუქციის მოხმარების შემაკავებელ ფაქტორს. კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები ორგანული პროდუქციის ეროვნული ბაზრის შესაძლელობებისა და პერსპექტივების შესახებ. ნაშრომის ბოლოს კი, გადმოცემულია ის კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანული პროდუქციის ბაზრის მდგრად განვითარებას და ამდენად, მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის მიღწევას.

ასოცირებული პროფესორი ნატალია ხარაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტი

პროექტის სახელწოდება „სამუშაო-ცხოვრების, თვითგანვითარების შესაძლებლობები და გამოწვევები დისტანციური მუშაობის პირობებში“

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021 წლის მარტი- 2021 წლის დეკემბერი

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნატალია ხარაძე - პროექტის ხელმძღვანელი - - გლობალურ გარემოში მენეჯმენტის ასოცირებული პროფესორი

2. გიორგობიანი მაია-სამეცნიერო ხელმძღვანელი-ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრა, ასოცირებული პროფესორი

3. მელქოშვილი თინა-ძირითადი შემსრულებელი-ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრა, ასოცირებული პროფესორი.

4, გელაშვილი სოფიო- შემსრულებელი - გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრის დოქტორანტი

5. გოგუაძე მარიკა- შემსრულებელი-გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრის მაგისტრანტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დისტანციური მუშაობა უკანასკნელ პერიოდში კოვიდინფექციის ფონზე მნიშვნელოვან და აუცილებელ პირობად იქცა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორის შემთხვევაში. ცხოვრების წესი და სამუშაო ჩვევები ახალ მოთხოვნებს უყენებს სამუშაოს მაძიებელს, ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა თავად დამსაქმებლისთვისაც.

დღემდე დისტანციური მუშაობა დამსაქმებლისა და დასაქმებულის თავისუფალ არჩევანს წარმოადგენდა, დღეს კი საქმიანობის გაგრძელება დისტანციური მუშაობის თავისებურებების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი გახდა.

ბოლო პერიოდში უამრავი კვლევა ჩატარდა, იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოთხოვნები ექნებათ დასაქმებულებს დისტანციური მუშაობის მიმართ. Global Workplace Analytics-ის მიერ 2020 წლის ივლისში ჩატარებული კვლევის შედეგად, აღმასრულებელი დირექტორების 89% მიიჩნევს, რომ თანამშრომელთა 30%-ზე მეტი, გააგრძელებს კვირაში მინიმუმ ერთხელ მაინც დისტანციურად მუშაობას, ხოლო—დირექტორთა 55%-ს, აქვს იმის მოლოდინი, რომ თანამშრომელთა 60% მოისურვებს დისტანციური მუშაობის გაგრძელებას კოვიდ-19-ის დასრულების შემდეგაც.

დისტანციურ მუშაობასთან დაკავშირებით მკვლევართა აზრი ორად არის გაყოფილი. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მას დადებითი ეფექტის მოტანა შეუძლია , ხოლო ნაწილის აზრით დისტანციური მუშაობა ადამიანებს სოციალური და პროფესიული იზოლაციის განცდას უმძაფრებს, სოციალიზაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს უკარგავს, რაც საბოლოოდ შრომის ნაყოფიერებაზე უარყოფითი ზეგავლენით ხასიათდება.

როგორია ქართულ რეალობაში დისტანციური მუშაობის მიმართ დამოკიდებულება და რა პრობლემების წინაშე დგას შრომის ბაზარი, ნაკლებად არის შესწავლილი. სწორედ ამ საკითხებს ეხება კვლევა

კვლევის ობიექტი და ამოცანები

აღნიშნული კვლევის ობიექტს წარმოადგენს საგანმანათლებლო სფერო. კერძოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა:

- უნივერსიტეტების, როგორც კოლექტივის , დამოკიდებულების დადგენა დისტანციურ მუშაობასთან :
- დისტანციური მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარის დადგენა რესპონდენტთა შეხედულებისამებრ;
- რა კავშირი არსებობს დისტანციურ მუშაობას და შრომით კმაყოფილებას შორის ;
- დისტანციურ მუშაობისა და შრომის ნაყოფიერებას შორის დამოკიდებულების ცვლილება;
- რა გავლენა მოახდინა დისტანციურმა მუშაობამ ოჯახურ ცხოვრებაზე
- რა გავლენას ახდენს დისტანციური მუშაობა დასაქმებულის / სტუდენტის თავისუფალ დროზე;
- როგორია დისტანციური მუშაობის შედეგად დასაქმებულთა/სტუდენტთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა
- ახდენენ თუ არა რესპონდენტები თვითგანვითარებას და ცოდნის გაზიარებას იზოლაციის პირობებში
- რა დაბრკოლებები არსებობს შრომის ნაყოფიერების ზრდასთან დაკავშირებით
- რა მოლოდინები არსებობს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიმართ და პირიქით რა მოთხოვნებს უყენებს დამსაქმებელი ორგანიზაციის წევრებს ;
- რა ტიპის გადამზადება ესაჭიროება არსებულ კადრებს ;
- რამდენად არის შესაძლებელი ორგანიზაციაში დასაქმებულთა სრულმა შემადგენლობამ შეძლოს ახალი გამოწვევებთან გამკლავება

მიღებული მასალები დამუშავდა SPSS სტატისტიკური პროგრამით და მიღებული შედეგები გამოადგება აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს, დოქტორანტებს, მაგისტრანტებს და სტუდენტებს

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. ფარესაშვილი ნინო

2.ტიკიშვილი მზია

3.ხარაძე ნატალია

4. გოლეთიანი ქეთევან

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. **STUDY OF RESPONDENT BEHAVIOR IN CONFLICT SITUATION BY CROSS-TABULATION ANALYSIS (SPSS)**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. **International Conference on Sustainable Transport System and Maritime Logistics**

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **s. Batumi Navigation Teaching University, June 24, 2021. Publisher: Batumi Navigation Teaching University, Georgia.**

2. DOI: https://doi.org/10.46361/ISTSML-2021

Published under the terms of the Creative Commons CC BY-NC 4.0 License © Batumi Navigation Teaching University, 2021 © Collective authors, 2021

5) გვერდების რაოდენობა

1. **44-51**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

COVID-19-მა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანების ცხოვრებაზე, მათ სამუშაო სტილზე, ტემპზე, განწყობაზე და ზოგადად ცხოვრების რიტმზე. COVID-19-მა ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი მთელს მსოფლიოში ეკონომიკური გაურკვევლობის ფაზაში გადაანაცვლა მან გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები თანამშრომლების ქცევაში, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოსთან და ყოველდღიურ საქმიანობასთან.

ხშირ შემთხვევაში, მათი ქცევა იწვევს სხვადასხვა სახის კონფლიქტს, რაც კიდევ უფრო ართულებს მართვის პროცესს.ორგანიზაციების უმეტესობა საკმაოდ დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, მაგ შეიქმნა ფინანსური პრობლემები, დეფიციტური იყო გარკვეული რესურსები. ამ ყველაფერმა გააძლიერა შიდა კონკურენცია. ამ ფაქტორების გამო შეიცვალა ადამიანების ქცევა და დამოკიდებულებები. მათი ემოციური დონე გაიზარდა გაურკვევლობის გამო, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება.

შეიცვალა ორგანიზაციული კონფლიქტების ბუნებაც და მენეჯერებისთვის მათი მართვა გამოწვევად იქცა.

სტატიაში განვიხილავთ კონფლიქტურ სიტუაციებს და რესპონდენტთა მიდგომას სამუშაო პოზიციების გათვალისწინებით.

ჰიპოთეზებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები და დასკვნები

ყველა ორგანიზაციას აქვს კონკრეტული სტილი, კონკრეტული წესები, პოლიტიკა და სიტუაციები, რომლებიც ზოგად წესებში კომბინირება შეუძლებელია ასე რომ, მნიშვნელოვანია მათი გათვალისწინება.

ასევე, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს, რომ კონფლიქტს ხშირად შეიძლება ჰქონდეს კონსტრუქციული ეფექტი.

დღევანდელი რეალობა და თანამშრომლების მაღალი თვითშეგნება მიუთითებს იმაზე, რომ გამჭვირვალე და სამართლიანი მმართველობით ნამდვილად შესაძლებელია თანამშრომლების პოზიტიური ქცევის მიღწევა ,რის შემდეგაც ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ შედეგებს, რომლებიც ნამდვილად აღკვეთს დისფუნქციურ კონფლიქტებს და ემსახურება ორგანიზაციულ მიზნებს.

მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი კვლევის შედეგების თეორიული დამუშავება და მათი გამოყენება გაზრდის ორგანიზაციაში ინდივიდების აქტივობას და გააუმჯობესებს კიდეც კომპანიის მუშაობას მთლიანად. თუ თანამშრომლები ხედავენ, რომ მენეჯერების ძალისხმევაა მიზნად ისახავს მათი ნიჭისა და იდეების მაქსიმიზაციას, არაკონფლიქტური გარემოს შექმნას,

მათი ქცევა და მოქმედება მიმართული იქნება ორგანიზაციის წარმატებისკენ, რაც ორივე მხარისთვის მომგებიანია.

აღსანიშნავია, რომ საჯარო სექტორში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კონფლიქტური სიტუაციების პროგნოზირებასა და მართვას.

2) ავტორი/ავტორები

1. ნატალია ხარაძე

2. მაია გიორგობიანი

3, თინა მელქოშვილი

4, ლია ძებისაური

5. დეა ფირცხალაიშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. **Effective strategies to manage the teacher intellectual work productivity in distance learning.**

https://doi.org/10.15549/jeecar.v8i4.840

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

***1. Journal of Eastern European and Central Asian Research (JEECAR), 8*(4),**

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **Vol 8 No 4 (2021): Journal of Eastern European and Cen**tral Asian Research

5) გვერდების რაოდენობა

1. **653-665.**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიის მიზანია ემპირიულად განსაზღვროს ინტელექტუალური მუშაობის პროდუქტიულობა, საუბარია მართვის ეფექტურ სტრატეგიებზე დისტანციური მუშაობის დროს. კვლევა ეყრდნობა საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში დასაქმებულთა ანკეტურ გამოკითხვას.

კერძოდ ექსპერტთა შეფასების მეთოდებზე დაყრდნობით, ინტეგრალური შეფასების მეთოდით გაანალიზდა საქართველოს სამი დიდი უნივერსიტეტის მასწავლებელთა ინტელექტუალური მუშაობის პროდუქტიულობის (TIWP) დონის და მისი ამჟამინდელი დონის შეფასების

ინდიკატორები. ANOVA მეთოდის გამოყენებით, განისაზღვრა ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ინტელექტუალური მუშაობის პროდუქტიულობაზე. კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა ეფექტური მართვის სტრატეგიები იქნეს განსაზღვრული. მიღებული რეკომენდაციებით შესაძლებელია მოხდეს სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსის დადგენა, რაც ჰარმონიული მუშაობის საშუალებას იძლევა და ამავდროულად დროის ეფექტურ მართვას უზრუნველყოფს.

3) ავტორი/ავტორები

1. ეკატერინე მაღლაკელიძე

2.ნატალია ხარაძე

3. ჰალინა კუსპლიაკი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. **Development of Remote Jobs as a Factor to Increase Labor Efficiency**

2. https://doi.org/10.15549/jeecar.v8i3.669

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Journal of Eastern European and Central Asian Research Vol 8 No 3 (2021):

Published under the terms of the Creative Commons CC BY-NC 4.0 License © Batumi Navigation Teaching University, 2021 © Collective authors, 2021

5) გვერდების რაოდენობა

1. . **337-348.**

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის მიზანი იყო დისტანციური მუშაობის ეფექტურობისა და მისი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების შეფასება. 2020 წლის დეკემბერი - 2021 წლის იანვრის კვლევის საფუძველზე, საქართველოში სადაზღვევო კომპანიების 528 თანამშრომელთან, დისტანციური მუშაობის თავისებურებები დადგინდა. დისტანციური მუშაობის ეფექტურობაზე მოქმედი ფაქტორები დასაბუთებულია ძირითადი კომპონენტის ანალიზით (PCA). სტრუქტურულმა მოდელირებამ დაადასტურა დისტანციური მუშაობის ინტენსივობის გავლენის თვისებრივი ბუნება მისი ეფექტურობის დონეზე, მისი ეფექტურობის ფაქტორების გათვალისწინებით. დასაბუთებულია დისტანციური მუშაობის ეფექტურობის მახასიათებლების ზემოქმედების კანონზომიერებები და პრიორიტეტი დისტანციური მუშაობის ინტენსივობიდან გამომდინარე. დისტანციური მუშაობის ოპტიმალური მოცულობა განისაზღვრა ემპირიულად. მისი მაქსიმალური ეფექტურობა უზრუნველყოფილია სადაზღვევო კომპანიების პროდუქტიულობის გაზრდისა და თანამშრომლების კმაყოფილების კუთხით.

ასოცირებული პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **ნუგზარ პაიჭაძე**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. **სტატია: „შრომის მწარმოებლურობის ზრდა როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორი“**

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. სტატია გამოქვეყნებულია საერთაშორისო ჟურნალში „ეკონომიკა და ბიზნესი“ (2021 წელი, #1).

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **თბილისი**

5) გვერდების რაოდენობა

5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)ანოტაცია.

სტატიაში განხილულია შრომის მწარმოებლურობასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე შრომის მწარმოებლურობის ზრდის მნიშვნელობა. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში შრომის მწარმოებლურობის დონის მაჩვენებლის გაანგარიშების დღეისათვის მოქმედი მეთოდის მოკლე დახასიათება, რიგ ქვეყნებში 2018 წლის მონაცემებით გაანგარიშებული შრომის მწარმოებლურობის დონის მაჩვენებლების მოკლე ანალიზი, მათი ფორმირების ტენდენციები სხვადასხვაგეოგრაფიული ზონისა თუ სახელმწიფოთა, ამა თუ იმ ნიშნით, გაერთიანებათა მიხედვით. მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჩვენ მიერ გაანგარიშებულ იქნა 2015- 2018 წლებისათვის საქართველოს ეკონომიკაში შრომის მწარმოებლურობის დონის მაჩვენებლების გაანგარიშება, როგორც საათობრივის, ასევე, ერთ მუშაკზე მიმართებით და ა. შ. დასასრულ, ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია, ავტორის აზრით, საქართველოში შრომის მწარმოებლურობის სრდის მაღალი ტემპების მიღწევისა და მათი შენარჩუნების ხელშემწყობი ღონისძიებები

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ნუგზარ პაიჭაძე

2. . ნუგზარ პაიჭაძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. „საქართველოში სათანადოდ დამტკიცებულ მინიმალური ხელფასის არსებობის აუცილებლობის შესახებ“,

2. „ტალანტების მართვა“

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის '"გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბისნესში“ მასალებში, რომელიც გაიმართა 2021 წლის 5 ნოემბერს.

2. თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიეროკონფერენციის_“21- ე საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“ მასალებში, რომელიც გაიმართა 2021 წლის 3-4 ივლისს.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **თბილისი**

2. თბილისი

5) გვერდების რაოდენობა

1. 6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განხილულია მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა: ხელფასის არსის თანამედროვე გაგება და მისი ორგანიზაციის ამოცანები საბაზროეკონომიკის პირობებში, მინიმალური ხელფასის არსი და მისი შემოღების აუცილებლობა, მიზანი, დანიშნულება და მიდგომები, დამოუკიდებელ საქართველოში, სათანადოდ დამტკიცებული და დამსაქმებელთათვის სავალდებულო. მინიმალური ხელფასის ფაქტობრივ არსებობასთან დაკავშირებული მდგომარეობის ანალიზი და ა. შ დასასრულ, ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია ქვეყანაში, ავტორის აზრით, შედარებით უმტკივნებულოდ მინიმალური ხელფასის შემოღებისკონკრეტული გზები.
2. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტალანტების მართვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა: მაღალკვალიფიციური კადრების მოძიება, მოზიდვა, შერჩევა, სწავლება, განვითარება,შენარჩუნება და დაწინაურება.

ასოცირებული პროფესორი მირონ ტულუში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. **მირონ ტულუში**

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1. სტატია: ,,ცნებების ,,საერთაშორისო ბიზნესისა“ და ,,საერთაშორისო მენეჯმენტის“ საერთო და განმასხვავებელი ნიშნების შესახებ; **URI:** http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/893

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. სტატია დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ორგანიზებულ VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის-,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებულში, გვ.346-353, ნოემბერი, 2021წ.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. **თბილისი,**

5) გვერდების რაოდენობა

1. 8

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)ანოტაცია.

სტატიაში დახასიათებულია ცნებების ,,ბიზნესის“, ,,მენეჯმენტის“, ,,საერთაშორისო ბიზნესისა“ და ,,საერთაშორისო მენეჯმენტის“ საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

იმის გამო, რომ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, არცთუ იშვიათად, ,,საერთაშორისო ბიზნესისა“ და ,,საერთაშორისო მენეჯმენტის“ ცნებების შინაარსის შესახებ ერთიანი ხედვა არ არსებობს, ავტორი შეეცადა დაეკონკრეტებინა ,,საერთაშორისო ბიზნესის“,

როგორც სამართავი სისტემის და ,,საერთაშორისო მენეჯმენტის“, როგორც მმართველი სისტემის არსი, მისია, მიზნები და ამოცანები, ასევე, გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო მენეჯერების საქმიანობასთან დაკავშირებული სირთულეები. კერძოდ, ,,საერთაშორისო ბიზნესის“ უმთავრესი მიზანია სხვადასხვა (ორ და მეტ) ქვეყანაში ფუნქციონირებად ორგანიზაციებს (ფირმებს, კომპანიებს, კორპორაციებს და მათი ფილიალებს) შორის საქმიანი ურთიერთდამოკიდებულებისა და საქმიანი ოპერაციების შედეგად, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საფუძველზე, ბევრად მეტი მოგების მიღება, ვიდრე ეს შესაძლებელია ერთი ქვეყნის ფარგლებში.

საერთაშორისო მენეჯმენტი მენეჯმენტის განსაკუთრებული სახეობაა, რომლის მთავარი მიზნებია სხვადასხვა ქვეყანაში ბიზნესის წარმოების საფუძველზე საერთაშორისო ბიზნესორგანიზაციების (მათი ფილიალების) კონკურენტული უპირატესობების ფორმირება, განვითარება და გამოყენება; ასევე ამ ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული და სხვა თავისებურებების სიღრმისეულად შესწავლა და საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის გამოყენება.

საერთაშორისო ბიზნესორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობა ბევრადაა დამოკიდებული როგორც შიგა, ასვე გარე გარემოზე, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გარე გარემოს დეტალურად შესწავლას, კოკრეტულად კი **ეკონომიკურ გარემოს** (ბიზნესორგანიზაციის და მასთან კავშირში მყოფი საერთაშორისო კომპანიების განთავსების ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების დონე, ტენდენციები, ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები (მშპ, დასაქმების და უმუშევრობის დონე, ინფლაცია, საგადასახადო სისტემა, ეროვნული ვალუტის მდგრადობა, გაცვლითი კურსების დინამიკა, სატრანსპორტო სისტემა, საინვესტიციო კლიმატი, დასაქმებისა და უმუშევრობის, სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები და ა.შ.), **პოლიტიკურ გარემოს** (ბიზნესორგანიზაციასთან კავშირში მყოფი საერთაშორისო კომპანიების განთავსების ქვეყნებში არსებული პოლიტიკური და მმართველობითი სისტემა, იდეოლოგია და ა.შ.), **სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოს** (ბიზნესორგანიზაციასთან კავშირში მყოფი საერთაშორისო კომპანიების განთავსების ქვეყნებში არსებული სამართლებრივი სისტემები, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების დაცვის მდგომარეობა, ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა, სავაჭრო და საინვესტიციო რეგულირების მდგომარეობა და ა.შ.), **ტექნოლოგიური გარემო** (ბიზნესორგანიზაციასთან კავშირში მყოფი საერთაშორისო კომპანიების განთავსების ქვეყნებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის მდგომარეობა, ბიოტექნოლოგიების, ტელეკომუნიკაციის და ელექტრონული ბიზნესის განვითარების მდგომარეობა და ა.შ.);

სტატიაში გაკეთებულია დასკვნა, რომ უკანასკნელ პერიოდში გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესში მიმდინარე ძვრების შედეგად საგრძნობლად გართულდა საერთაშორისო მენეჯმენტის გარე გარემო, მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო მენეჯერების მიმართ მოთხოვნები. დღეს მაღალი რანგის საერთაშორისო მენეჯერი წარმოუდგენელია გლობალური აზროვნების გარეშე. სტატიაში გამოკვეთილია ის ძირითადი საკითხები, რომელთა გათვალისწინება, ავტორი აზრით, საერთაშორისო მენეჯმენტის მისიისა და მიზნების რეალიზაციას ემსახურება.

I. განყოფილება, ლაბორატორია) დასახელება - *მარკეტინგის კათედრა*
I. 2. სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: *პროფესორი ნუგზარ თოდუა*
I. 3. სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:
ასოცირებული პროფესორი ბაბულია მღებრიშვილი
ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში
ასოცირებული პროფესორი ნანა ოქრუაშვილი
ასოცირებული პროფესორი მაკა კობალავა
ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე
ასისტენტ-პროფესორი მაია ვეშაგური
ასისტენტ-პროფესორი მაია სეთური

პროფესორი ნუგზარ თოდუა

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ნუგზარ თოდუა, ჩარიტა ჯაში, ეკატერინე უროტაძე
2. ნუგზარ თოდუა, თეონა გოგიტიძე
2) სტატიის სათაური, ISSN
1. უმაღლესი განათლების მარკეტინგის ახალი მიდგომები (კონცეპტუალური მიმოხილვა), ISSN 1987-5789
2. ციფრული მარკეტინგის გამოყენების თავისებურებები საბანკო სექტორში, (ISSN: 1512–4649; ISSN: 2667-9752[Online])
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი 3
2. ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. თბილისი, „შპს ACT“
5) გვერდების რაოდენობა
1. 23
2. 18
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში განიხილულია უმაღლესი განათლების მარკეტინგის ახალი ტენდენციები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციებისა და კვლევების მიხედვით. მასში მოცემულია განათლების მარკეტინგის დეტერმინანტების: უნივერსიტეტის იმიჯის, მომსახურების ხარისხის, სტუდენტთა კმაყოფილებისა და ლოიალურობის ურთიერთკავშირის ანალიზი. ასევე ხაზგასმულია ციფრული ტექნოლოგიების, სოციალური მედიისა და გავლენისმომხდენი მარკეტინგის როლი სტუდენტთა კმაყოფილებასა და ლოიალურობაში. ჩატარებული ანალიზი სასარგებლოა საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უნივერსიტეტების მიერ ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიების განსახორციელებლად.

2. 21-ე საუკუნეში ბიზნესი ციფრული ტექნოლოგიებით მართვადი სისტემა გახდა, რომელსაც მომხმარებელთა ქცევასა და შრომის მწარმოებლურობაზე უდიდესი გავლენის მოხდენა შეუძლია. ახალ ინფორმაციულ ერაში ინტერნეტის გამოყენება გლობალიზაციის თვალსაჩინო მაგალითია. თანამედროვე ეკონომიკაში ელექტრონული პლატფორმები

გვთავაზობენ ინფორმაციის უწყვეტ გავრცელებას, მომხმარებლებთან ინტერაქტიულ კომუნიკაციას და ტრანსაქციების განხორციელების ციფრულ სისტემებს. გატარებული ცვლილებების პარალელურად, ციფრული რევოლუციის პირობებში, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ბანკების ელექტრონული ტრანსფორმაციაც აუცილებელი გახდა, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიებს ინფორმაციის გამოყენების პროდუქტიულობის, პერმანენტულობისა და გამჭვირვალობის ზრდის უნარი გააჩნია.

ნაშრომში გამოვლენილია ციფრული მარკეტინგის ის ძირითადი თავისებურებები, რომლებიც საბანკო სექტორში კომპანიების წარმატებას განაპირობებს. საფინანსო ინდუსტრიაში ციფრული არხების გამოყენება დღითიდღე იზრდება და, ქვეყნების განვითარების დონის მიუხედავად, ყველგან მზარდი ტენდენციით ხასიათდება. სტატიაში წარმოდგენილია ციფრული საბანკო მარკეტინგის სტრატეგიებისა და შესაძლებლობების ანალიზი, რომლებიც ბიზნესის ცვალებად გარემოში მომხმარებელთა მოზიდვის შეუცვლელი პირობაა.

ნაშრომში გამოკვეთილია სოციალური მედიის როლი საბანკო ინდუსტრიაში ინდივიდუალური შეტყობინებების ფორმირებისა და მიზნობრივ აუდიტორიაზე მორგებული პროდუქტის შექმნის პროცესში. მეორადი მონაცემების შესწავლის საფუძველზე ყურადღება გამახვილებულია მობილური მარკეტინგის როლზე ციფრულ საბანკო მარკეტინგში. აღნიშნულია, რომ მობილური მარკეტინგი მომხმარებლისათვის საბანკო ოპერაციების განხორციელებას ამარტივებს.

სტატიაში გამოკვეთილია COVID-19-ის პანდემიის პერიოდში საბანკო ინდუსტრიაში ციფრულ სერვისებზე გადართვის მნიშვნელობა, აგრეთვე ციფრული არხების გამოყენების მაჩვენებლები, მობილურ ბანკინგში მომხმარებელთა ჩართვის დონე და სამომავლო პროგნოზები. ნაჩვენებია, რომ COVID-19-ის პანდემიის პირობებში ბანკებისათვის მთავარი საკითხია მომხმარებელთა ნდობის განმაპირობებელი მაჩვენებლების გამოვლენა. ნაშრომში წარმოდგენილია უახლესი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც, COVID-19-ის პანდემიის დაწყებიდან დღემდე, მომხმარებელთა ქცევის ძირეულ მახასიათებლებზე აისახა. მეორადი მონაცემების ანალიზის შედეგად სტატიაში დადგენილია, რომ სმარტფონების აქტიურმა გამოყენებამ ონლაინ რეკლამის მნიშვნელობა გაზარდა, რაც მომავალშიც შენარჩუნდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც საფინანსო კომპანიებმა წარმატების მისაღწევად უნდა გაითვალისწინონ და თავიანთი ბიუჯეტის ოპტიმიზაცია, სწორედ, პოპულარული ციფრული პლატფორმების მიმართულებით მოახდინონ.

ნაშრომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად წარმოჩენილია მსოფლიოში კრიპტოვალუტის გაზრდილი მოხმარება, რასაც მომხმარებლებში მისი პოპულარობის მკვეთრი მატება განაპირობებს. აქედან გამომდინარე, სტატიაში ნაჩვენებია, რომ თუ ტექნოლოგიური კომპანიები ციფრული ვალუტის გამოყენებას გააფართოებენ, ბანკების ფიზიკური მომსახურების ფორმები მოძველებული აღმოჩნდება და საბანკო პროდუქტების პოპულარიზაციის ერთადერთ გზად სწორედ ციფრული მარკეტინგი დარჩება.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნუგზარ თოდუა, ეკატერინე უროტაძე
2. ნუგზარ თოდუა, ჩარიტა ჯაში

2) მოხსენების სათაური

1. სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე.
2. სოციალური მარკეტინგის პარადოქსები ჯანდაცვაში (Covid-19-ის პანდემიის კონტექსტში)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2021 წლის 3 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
2. 2021 წლის 5 ნოემბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. სტატიაში შესწავლილია სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების როლი თანამედროვე ტურისტულ ბიზნესში. სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების ძირითად დეტერმინანტებად ნაშრომში მიჩნეულია ინფორმაციულობა, ხელმისაწვდომობა, ინტერაქტიულობა, პერსონალიზაცია და უსაფრთხოება. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე დადგენილია მომხმარებლების მიერ საქართველოს დესტინაციების მიერ შემოთავაზებული სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების დონეების შეფასებები. რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავენ ინფორმაციულობის, ხელმისაწვდომობის, ინტერაქტიულობის, პერსონალიზაციისა და უსაფრთხოების გავლენას სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების აღქმაზე, აგრეთვე სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების აღქმის გავლენას მომხმარებლების სამოგზაურო განზრახვაზე.
2. COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანად გაზარდა სოციალური მარკეტინგის ინტერვენციების როლი ჯანდაცვის სფეროში, როგორც გლობალურ, ასევე ეროვნულ დონეზე. ახალ სოციალურ პროდუქტთან, ვაქცინაციასთან მიმართებით მომხმარებელთა ქცევის დაგეგმვა, ფორმირება და მისი სტიმულირება უალტერნატივოდ დადგა დღის წესრიგში. სტატიაში ხაზგასმულია გლობალური პანდემიის პირობებში ვაქცინაციისადმი საზოგადოებრივი მოთხოვნის ზრდისა და მომხმარებელთა ქცევის ტრანსფორმირების აუცილებლობა. ნაშრომში გაანალიზებულია სოციალური მარკეტინგის სფეროში მომუშავე მეცნიერთა უახლესი შრომები, საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციები და დასკვნები. ვაქცინის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, ვაქცინაციის მიღებისას მომსახურების სერვისების გამართულობა და უწყვეტობა, სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზი და საზოგადოების მზაობა გლობალური პანდემიის დასრულების საფუძველია. მომხმარებელთა ქცევის შეცვლის წახალისებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციების ინსტრუმენტების დანერგვას და გამოყენებას. COVID-19-ის პანდემიამ გააღრმავა სოციალური უთანასწორობა მრავალი ქვეყნის მოსახლეობას შორის და გავლენა მოახდინა დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე. სტატიაში ნაჩვენებია, რომ აუცილებელია სოციალური მარკეტინგის საუკეთესო პრაქტიკის დემონსტრირება ვაქცინაციის კამპანიებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს COVID- 19-ის დამარცხებას.

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნუგზარ თოდუა, ეკატერინე უროტაძე, თორნიკე ხოშტარია, არიან მატინი
2. ნუგზარ თოდუა, ეკატერინე უროტაძე

2) მოხსენების სათაური

1. Impact of Smart Tourism Technologies on Tourists Intention to Travel (Case of Georgia).
2. Impact of Smart Tourism Technologies on Tourists Satisfaction (Case of Georgia).

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2021 წლის 12 ივლისი, სარაგოსას უნივერსიტეტი (ესპანეთი)
2. 2021 წლის 10 ნოემბერი, კიევის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტი (უკრაინა)

4. კვლევაში ნაჩვენებია, რომ ქართველი მომხმარებლები დადებითად აღიქვამენ ტურისტული კომპანიების მიერ შეთავაზებულ სმარტ ტურისტული ტქქნოლოგიების მახასიათებლებს, თუმცა მათ საშუალო დონეზე აფასებენ. ამავდროულად, შედარებით მაღალია სმარტ

ტურისტული ტექნოლოგიების მახასიათებლების გავლენა ქართველი მომხმარებლების აღქმაზე და მოგზაურობის განზრახვაზე. სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს კვლევაში გამოყენებული მოდელის სანდოობას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ავტორების მიერ შერჩეული სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების მახასიათებლები შეესაბამება ტურისტულ ინდუსტრიას. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგებს აქვს თეორიული და მენეჯერული მნიშვნელობა ტურიზმის სფეროში სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით. კვლევის შედეგები დაეხმარება ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულ მენეჯერებს, გააფართოონ სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების მახასიათებლების აღქმა და აქტიურად გამოიყენონ ისინი მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის.

5. სტატიაში გამოკვლეულია ჭკვიანი ტურისტული ტექნოლოგიების გავლენა თანამედროვე ტურისტულ ინდუსტრიაზე. ლიტერატურული მასალების გაანალიზების საფუძველზე ჩამოყალიბებულია კვლევის კონცეპტუალური სტრუქტურა და შესაბამისი ჰიპოთეზები, რომელთა შემოწმებისათვის ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე დადგინდა ქართული ტურისტული კომპანიების მიერ შემოთავაზებული ჭკვიანი ტურისტული ტექნოლოგიების დონეების შეფასებები. რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავენ ჭკვიანი ტურისტული ტექნოლოგიების ცალკეული ცვლადების აღქმის გავლენას ქართველი ტურისტების კმაყოფილებაზე.

ასოცირებული პროფესორი ბაბულია მღებრიშვილი

6.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. ბაბულია მღებრიშვილი, ეკატერინე უროტაძე

2. ბაბულია მღებრიშვილი, თამაზ ზუბიაშვილი

3. ავთანდილ სილაგაძე, ბაბულია მღებრიშვილი, გიული ქეშელაშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გამოწვევები კორონავირუსული პანდემიის პირობებში (Challenges of Business Social Recponsibility in the Conditions of Coronavirus Pandemic) ISSN:2344-2174

2. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები დსთ-სა და ევროკავშირის ქვეყნებთან (Georgia's Trade Relations with CIS and EU Member States) ISSN: 2344-2174

3. მენეჯერული და მარკეტინგული აზროვნების განვითარება გვიანფეოდალური ხანის საქართველოში (Managerial and Marketing Thinking in Late Feudal Georgia) ISSN:2344-2174

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ECOFORUM ტომი 10, ნომერი 3 (26) 2021

2. ECOFORUM ტომი 10, ნომერი 3 (26) 2021

3. ECOFORUM ტომი 10, ნომერი 3 (26) 2021

4) გამოცემისადგილი, გამომცემლობა

1. **რუმინეთი**
2. **რუმინეთი**
3. **რუმინეთი**

5) გვერდებისრაოდენობა

1. **6**
2. **6**
3. **5**

ვრცელიანოტაცია (ქართულენაზე)

1. სტატიაში დახასიათებულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები კორონავირუსული პანდემიის პირობებში. მსჯელობა გაშლილია სამი მიმართულებით: მარკეტინგული ეთიკის მოთხოვნების დაცვა; გარემოს დაცვა; მონაწილეობა საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. სტატიის ავტორები თვლიან, რომ კორონავირუსული პანდემიის პირობებში ქართული ბიზნესი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება. ამასთან, ის, ძირითადად, კეთილ ნებას იჩენს და მორალურ და ეთიკურ ნორმებსაც იცავს. ამ მიმართულებით ბიზნესი, ცხადია, არ კონტროლდება, მაგრამ მის მფლობელებსა და მენეჯერებს, ძირითადად, კარგად აქვთ გაცნობიერებული პოზიტიური იმიჯის როლი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში. პოზიტიური იმიჯის შექმნაში კი მორალური პრინციპების დაცვა დიდ როლს ასრულებს. სტატიაში, გარემოს დაცვის კუთხით, არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნა ბიზნესის პასუხისმგებლობის ამაღლების საჭიროებაზე. სტატიის ავტორებს არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ცალკეული მოქალაქის პასუხისმგებლობის ამაღლება გარემოს დაცვაში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სამთავრებო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებას. სტატიის ავტორების აზრით, საზოგადოების წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, ბიზნესის როლის ამაღლება დაეხმარება როგორც ბიზნესში დასაქმებულ ადამიანებს, ისე მომხმარებლებსა და მთელ საზოგადოებას კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებაში.

2. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა (დსთ) და ევროკავშირის ქვეყნებთან. ამ გზით ავტორები შეეცადნენ, ეჩვენებინათ, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და მისი განხორციელება ხელს არ უშლის საქართველოს სავაჭრო ურთიერთობებს დსთ-ს ქვეყნებთან და მათ შორის რუსეთთან. ეს დადასტურდა სავაჭრო ურთიერთობების ამსახველი ფაქტობრივი მაჩვენებლების ანალიზის შედეგებით. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ევროკავშირთან შეთანხმების გაფორმების შემდეგ, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები გაფართოვდა როგორც ევროკავშირის, ისე დსთ-ს ქვეყნებთან. მაგრამ, საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპები დსთ-ს ქვეყნებთან აღემატებოდა ევროკავშირთან საგარეო ვაჭრობის ზრდის ტემპებს. ავტორები სთვლიან, რომ ეს დსთ-ს ქვეყნებში ქართული პროდუქციის ცნობადობის მაღალი დონის შედეგია. ამასთან, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა შეესაბამება დსთ-ს ქვეყნების ბაზრების მოთხოვნებს. ევროკავშირის ქვეყნების ბაზრებზე ქართული პროდუქცია, დამოუკიდებელი საქართველოს სახელით, მხოლოდ ახლა იკვლევს გზას. მისი ცნობადობის დონე დაბალია. სტატიის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის

ბაზარზე, პროდუქციის ცნობადობის ასამაღლებლად, ქართულმა ბიზნესმა, პირველ რიგში, უნდა გამოიყენოს ყოფილი სოციალისტური სისტემის ქვეყნების ბაზრები. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ექსპორტისა და იმპორტის სტრატეგიების შემუშავებასა და სავაჭრო კადრების პროფესიონალიზმს.

3. სტატიაში განხილულია მენეჯერული და მარკეტინგული აზროვნების განვითარების მდგომარეობა გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში. იმდენად, რამდენადაც იმ პერიოდის საქართველოს ქალაქებში ძირითად ორგანიზაციებს ხელოსანთა და ვაჭართა ამქრები წარმოადგენდა, საქმიანობაში მენეჯერული და მარკეტინგული მიდგომების გამოყენების მდგომარეობა, სწორედ მათ მაგალითზეა შესწავლილი. სტატიის ავტორების მიერ გაანალიზდა ამქრების წესდებები. ამ ნორმატიული დოკუმენტების შესწავლით გაირკვა, რომ ქართული ამქრები თავიანთ საქმიანობას ახორციელებდნენ უსტაბაშის ხელმძღვანელობით. მას, და სხვა ხელმძღვანელებს, ამქრის წევრები ირჩევდნენ საერთო კრებაზე. უსტაბაშები, თანამედროვე გაგებით, იყვნენ ამქრების მენეჯერები. წესდებებიდან ირკვევა, რომ ამქრების საქმიანობა ემყარებოდა მენეჯმენტის ორგანიზაციისა და კონტროლის ფუნქციებს. ყურადღება ექცეოდა მოტივაციის ფუნქციასაც, თუმცა ეს მკაფიოდ არ არის გამოხატული გაანალიზებულ წესდებებში. ამქრები თავიაანთ საქმიანობას მარკეტინგული მიდგომით, ე.ი. მომხმარებელზე ორიენტაციით ახორციელებდნენ. სწორედ ამიტომ აქცევდა ამქარი, პირველ რიგში, ყურადღებას ხარისხიანი საქონლის წარმოებას. ხარისხიანი საქონლის წარმოების მიზანი არ იყო მხოლოდ არსებული მომხმარებლების შენარჩუნება და ახალი მომხმარებლების მოზიდვა. ამქრის ხელმძღვანელობისთვის ეს იყო მთელი საზოგადოების თვალში რეპუტაციის შექმნისა და ამაღლების გზაც, რაც დადებითად იმოქმედებდა მუშაობის საბოლოო შედეგებზე. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქებში არსებული ამქრები თავიანთ საქმიანობას მენეჯერული და მარკეტინგული მიდგომებით ახორციელებდნენ. ასე, თანდათანობით, ვითარდებოდა მენეჯერული და მარკეტინგული აზროვნება საქართველოში.

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.1.საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. **ბაბულია მღებრიშვილი,** გიული ქეშელაშვილი

2) მოხსენებისსათაური

1. **კორონავირუსული პანდემიის ქრისტიანული გააზრებისთვის**

3) ფორუმისჩატარებისდროდაადგილი

1. **2021წ 5 ნოემბერი თბილისი, საქართველო**

ასოცირებული პროფესორი ნანა ოქრუაშვილი

7. სამეცნიეროფორუმებისმუშაობაშიმონაწილეობა

7.2.უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნინო ფარესაშვილი, ნანული ოქრუაშვილი, მაია ნიკვაშვილი

2. ნინო ფარესაშვილი, ნანული ოქრუაშვილი, ქეთევან ჩიტალაძე

3. ნანული ოქრუაშვილი, ნინო ფარესაშვილი, თეონა ედგვერაძე

2) მოხსენების სათაური

1. Challenges Of The Education System In The Process Of Human Capital Formation In Georgia

2. The Need For Cross-Cultural Competencies In A Multicultural Environment

3.Current State of Market Development of Organic Products in Georgia

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ვალენსია, ესპანეთი, 2021 წლის 8-10 მარტი

2. ვალენსია, ესპანეთი, 2021 წლის 8-10 მარტი

3.პოლონეთი, 2021 წლის 21-23 მაისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

6. ნაშრომის მიზანია საქართველოში ადამიანური კაპიტალის ფორმირების არსებული მდგომარეობის განხილვა, ადამიანური კაპიტალის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და არსებული პრობლემების ანალიზის საფუძველზე ადამიანური რესურსების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება. დღეისათვის საყოველთაოდაა აღიარებული კონცეფცია, რომლის მიხედვით ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანეს როლს ადამიანური კაპიტალი ასრულებს. ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი განვითარება ემყარება ადამიანური კაპიტალის, როგორც ქვეყნის უმთავრესი რესურსის, ცოდნისა და უნარების განვითარებას, განათლების ხელმისაწვდომობისა და უწყვეტი განათლების პრინციპების რეალიზაციის შესაძლებლობებს. ნაშრომში გაანალიზებულია განათლების გავლენა საქართველოს ადამიანურ კაპიტალზე და მის განვითარებაზე, შეფასებულია ის ცვლილებები და გამოწვევები, რასაც თანამედროვე პირობებში ადგილი აქვს საქართველოს გა ნათლების სისტემასა და ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების სფეროში, გამ ოვლენილია ამ მიმართულებით არსებული პრობლემები და შემუშავებულია არსებულ პრობლემათა აღმოფხვრის კონკრეტული რეკომენდაციები.
7. გლობალურ გარემოში მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა ყურადღების გადატანა ტრანსნაციონალურ და კულტურულ კომპეტენციებზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზაციებში მრავალფეროვანი სამუშაო ძალის მართვაში. კულტურული ცვლადების საფუძვლიანი ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია მენეჯერებისთვის მენეჯმენტის ფუნქციების განხორციელებისა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების განხორციელების პროცესში. დღეს მნიშვნელოვან პრობლემად იქცა იმის გარკვევა, თუ რა მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე შრომის ბაზარი კურსდამთავრებულთა ახალ თაობას და პირიქით, ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რას ელიან სამუშაოს მაძიებლები სამუშაოსა და კარიერაში. მენეჯერებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა გაარკვიონ, რა ზომები უნდა იქნას მიღებული სამუშაო ძალის ერთიანი მიზნისა და მოლოდინის ქვეშ გაერთიანებისთვის. ამიტომ, მენეჯერებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ორგანიზაციულ კლიმატს და მის განმსაზღვრელ ფაქტორებს.

ნაშრომში განხილულია თანამშრომლების ემოციებისა და დამოკიდებულებების გავლენა შრომით კმაყოფილებაზე, ასევე შეფასებულია შრომითი კმაყოფილების გავლენა ორგანიზაციულ ქცევებზე და თანამშრომლების კეთილდღეობაზე. სამუშაოთი კმაყოფილებისა და ემოციური ინტელექტის როლის გათვალისწინებით, განხილულია ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამშრომლების ქცევაზე, ასევე ინდივიდუალური განსხვავებები, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამუშაოთი კმაყოფილების ფორმირების პროცესზე. მულტიკულტურულ გარემოში მაღალი შედეგების მისაღწევად აუცილებელია სხვადასხვა ბიზნეს კულტურის შესწავლის ძირითადი მეთოდებისა და მიდგომების საკმარისი ცოდნა; ნაშრომში დასაბუთებაულია ის გარემოება, რომ ეროვნული ბიზნეს კულტურა უდიდესი გავლენას ახდენს კორპორატიულ კულტურაზე და ორგანიზაციის მართვის ფუნქციების შესრულებაზე, შესაბამისად, უმაღლესი განათლების მიღების პროცესში აუცილებელია სხვა კულტურის წარმომადგენლებთან ეფექტიანი ინტერკულტურული კომუნიკაციის ჩამოყალიბება და მომავალ მენეჯერებში კულტურული კომპეტენციისა და სხვადასხვა რელიგიისა და მრწამსის ადამიანების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების განვითარება.

8. დღეისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესი და მასთან დაკავშირებული ჯანსაღი კვება წარმოადგენს საქართველოს, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობის ცხოველმყოფელობის უმთავრეს მახასიათებელს. ქართველ მომხმარებლებში არსებული ჯანმრთელობაზე ზრუნვის გაზრდილი ტენდეცია თავის ასახვას პოვებს ეკოლოგიურად სუფთა, ორგანული პროდუქციის შეძენის გაზრდილ ინტერესში. შესაბამისად, ორგანულ პროდუქციაზე არსებული მზარდი მოთხოვნა ხდება მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის განვითარების ერთერთი მთავარი ტრენდი. სტატიაში განხილულია ორგანული პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების მსოფლიო ტენდენციები და გადმოცემულია საქართველოში ორგანული პროდუქტების ბაზრის განვითარების ამჟამინდელი მდგომარეობა, გაანალიზებულია ქვეყნის ორგანული პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის ძირითადი ინდიკატორები. ნაშრომში ასახულია ორგანული პროდუქციის მომხმარებელთა კვლევის შედეგები, რომლის საფუძველზე გამოვლენილია ორგანული პროდუქტის ბაზარზე ქართველი მომხმარებლის ქცევის თავისებურებები და სამომხმარებლო უპირატესობები, დადგენილია ორგანული პროდუქციის ეროვნული ბაზრის ფორმირებაზე მოქმედი სპეციფიკური ფაქტორები და ორგანული პროდუქციის ბაზრის ფუნქციონირების ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა მომხმარებლებში ,,ორგანული პროდუქტის“ ცნებისა და მისი დამახასიათებელი თვისებების ცოდნისა და ინფორმირებულობის დონე, ორგანული პროდუქტის შეძენის სიხშირე, ორგანული პროდუქციის შესყიდვის საფასო და არასაფასო დეტერმინებისამი დამოკიდებულება. კვლევამ წარმოაჩინა საფასო დეტერმინებისადმი მომხმარებელთა მგრძობელობის მაღალი დონე. კერძოდ, ის გარემოება, რომ საქართველოში ორგანულ პროდუქციაზე არსებული, თვით ევროკავშირის მაღალშემოსავლიან ქვეყნებთან შედარებითაც კი მაღალი ფასები, წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის მიერ ორგანულ პროდუქციის მოხმარების შემაკავებელ ფაქტორს. კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები ორგანული პროდუქციის ეროვნული ბაზრის შესაძლელობებისა და პერსპექტივების შესახებ. ნაშრომის ბოლოს კი, გადმოცემულია ის

კონკრეტული ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ორგანული პროდუქციის ბაზრის მდგრად განვითარებას და ამდენად, მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის მიღწევას.

ასოცირებული პროფესორი მაკა კობალავა

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
მარინე კობალავა
1. ISSN 2720-7811
2) სტატიის სათაური, ISSN
1. პანდემია, გლობალიზაცია და პიარი
2. ISSN 2720-7811
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „აკადემლაბი“
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. ქ. თბილისი
5) გვერდების რაოდენობა
1. 12-16გვ.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
სტატიაში გაანალიზებულია კორონავირუსის პანდემიის დროს გამოწვეული მოვლენების ზეგავლენა
საზოგადოებრივი აზრისა და საზოგადოების ცნობიერის მართვის შესაძლებლობებზე. ასევე, შეფასებულია ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების ვალიდურობა და დისტანციურად მუშაობის მეთოდებზე გადასვლის პირობებში ელექტრონული პიარის როლი და მნიშვნელობა.
6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. მარინე კობალავა
2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. BLACK PR, GOALS AND MEANS -ISSN: 2344-2174
2. Opportunities for Effective Conflict Management Caused by Global Crisis
3. The Multicultural Nature of Feminism – ISSN: 2581- 7027
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Ecoporum; Volume 10, Issue 1(24)
2. International Conference Material; Volume 280
3. International Journal of Multidisciplinary and Current Educational Research; Volume 3
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Ecoporum
2. E3S Web Conf. Second International Conference on Sustainable Futures: Environmental, Technological, Social and Economic Matters (ICSF 2021)
3. Athens, Greece
5) გვერდების რაოდენობა
1. 5

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

PR წარმოადგენს საზოგადოებრივ ინტერესებთან აფილირებულ პროცესს, რომელიც მიმართულია ურთიერთობების დასამყარებლად საზოგადოების ფართო ფენებთან. PR-ის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალიზაციისა და დემოკრატიზაციის პირობებში. PR-ი წარმოადგენს ერთგვარ ტექნოლოგიას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებასთან კომუნიკაციის კონსოლიდაციას, წინასწარშერჩეული აუდიტორიის მიდგომების ჩამოყალიბებას და საზოგადოებრივი ინტერესების აღიარებას. PR-ი ხშირ შემთხვევაში დამარწმუნებელი ინფორმაციის, პროპაგანდისა და სხვა მანიპულაციის საშუალებების მატარებელია. თანამედროვე მსოფლიოში ტრენდად იქცა საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი კომპონენტის, შავი პიარის მართვის ელემენტების გამოყენება შესაბამის სფეროებში. თანამედროვე სამყაროში წარმატებულად გამოიყენება შავი პიარის ტექნოლოგიები, როგორც საკომუნიკაციო საშუალებებში, ასევე უახლეს კონსტრუქტირებული ტექოლოგიებით აღჭურვილ სფეროებში. შავი პიარის გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების წესად ჩამოყალიბდა. შავი პიარის გამოყენების შესაძლებლობა განუსაზღვრელია და ამ ეტაპისათვის გაუზომელი. შავი პიარის გავრცელების სფეროებია, როგორც პოლიტიკური სექტორი, ასევე ბიზნესის სექტორი.

ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ნუგზარ თოდუა, ჩარიტა ჯაში, ეკატერინე უროტაძე

2) სტატიის სათაური, ISSN
1. უმაღლესი განათლების მარკეტინგის ახალი მიდგომები (კონცეპტუალური მიმოხილვა), ISSN 1987-5789
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
5) გვერდების რაოდენობა
1. 23

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განიხილულია უმაღლესი განათლების მარკეტინგის ახალი ტენდენციები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციებისა და კვლევების მიხედვით. მასში მოცემულია განათლების მარკეტინგის დეტერმინანტების: უნივერსიტეტის იმიჯის, მომსახურების ხარისხის, სტუდენტთა კმაყოფილებისა და ლოიალურობის ურთიერთკავშირის ანალიზი. ასევე ხაზგასმულია ციფრული ტექნოლოგიების, სოციალური მედიისა და

გავლენისმომხდენი მარკეტინგის როლი სტუდენტთა კმაყოფილებასა და ლოიალურობაში. ჩატარებული ანალიზი სასარგებლოა საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უნივერსიტეტების მიერ ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიების განსახორციელებლად.
7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ნუგზარ თოდუა, ჩარიტა ჯაში
2) მოხსენების სათაური
1. სოციალური მარკეტინგის პარადოქსები ჯანდაცვაში (Covid-19-ის პანდემიის კონტექსტში)
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 2021 წლის 5 ნოემბერი, თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვანად გაზარდა სოციალური მარკეტინგის ინტერვენციების როლი ჯანდაცვის სფეროში, როგორც გლობალურ, ასევე ეროვნულ დონეზე. ახალ სოციალურ პროდუქტთან, ვაქცინაციასთან მიმართებით მომხმარებელთა ქცევის დაგეგმვა, ფორმირება და მისი სტიმულირება უალტერნატივოდ დადგა დღის წესრიგში. სტატიაში ხაზგასმულია გლობალური პანდემიის პირობებში ვაქცინაციისადმი საზოგადოებრივი მოთხოვნის ზრდისა და მომხმარებელთა ქცევის ტრანსფორმირების აუცილებლობა. ნაშრომში გაანალიზებულია სოციალური მარკეტინგის სფეროში მომუშავე მეცნიერთა უახლესი შრომები, საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციები და დასკვნები. ვაქცინის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, ვაქცინაციის მიღებისას მომსახურების სერვისების გამართულობა და უწყვეტობა, სამედიცინო პერსონალის პროფესიონალიზი და საზოგადოების მზაობა გლობალური პანდემიის დასრულების საფუძველია. მომხმარებელთა ქცევის შეცვლის წახალისებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომუნიკაციების ინსტრუმენტების დანერგვას და გამოყენებას. COVID-19-ის პანდემიამ გააღრმავა სოციალური უთანასწორობა მრავალი ქვეყნის მოსახლეობას შორის და გავლენა მოახდინა დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე. სტატიაში ნაჩვენებია, რომ აუცილებელია სოციალური მარკეტინგის საუკეთესო პრაქტიკის დემონსტრირება ვაქცინაციის კამპანიებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს COVID- 19-ის დამარცხებას.

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე უროტაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ნუგზარ თოდუა, ჩარიტა ჯაში, ეკატერინე უროტაძე
2) სტატიის სათაური, ISSN
1. უმაღლესი განათლების მარკეტინგის ახალი მიდგომები (კონცეპტუალური მიმოხილვა), ISSN 1987-5789
4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
5) გვერდების რაოდენობა
1. 23
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში განიხილულია უმაღლესი განათლების მარკეტინგის ახალი ტენდენციები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციებისა და კვლევების მიხედვით. მასში მოცემულია განათლების მარკეტინგის დეტერმინანტების: უნივერსიტეტის იმიჯის, მომსახურების ხარისხის, სტუდენტთა კმაყოფილებისა და ლოიალურობის ურთიერთკავშირის ანალიზი. ასევე ხაზგასმულია ციფრული ტექნოლოგიების, სოციალური მედიისა და გავლენისმომხდენი მარკეტინგის როლი სტუდენტთა კმაყოფილებასა და ლოიალურობაში. ჩატარებული ანალიზი სასარგებლოა საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე უნივერსიტეტების მიერ ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგიების განსახორციელებლად.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. ბაბულია მღებრიშვილი, ეკატერინე უროტაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის გამოწვევები კორონავირუსული პანდემიის პირობებში (Challenges of Business Social Recponsibility in the Conditions of Coronavirus Pandemic) ISSN:2344-2174

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნალი „ECOFORUM“, ტომი 10, ნომერი 3 (26) 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. რუმინეთი

5) გვერდების რაოდენობა

1. 6

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში დახასიათებულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხები კორონავირუსული პანდემიის პირობებში. მსჯელობა გაშლილია სამი მიმართულებით: მარკეტინგული ეთიკის მოთხოვნების დაცვა; გარემოს დაცვა; მონაწილეობა საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში. სტატიის ავტორები თვლიან, რომ კორონავირუსული პანდემიის პირობებში ქართული ბიზნესი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე ხორციელდება. ამასთან, ის, ძირითადად, კეთილ ნებას იჩენს და მორალურ და ეთიკურ ნორმებსაც იცავს. ამ მიმართულებით ბიზნესი, ცხადია, არ კონტროლდება, მაგრამ მის მფლობელებსა და მენეჯერებს, ძირითადად, კარგად აქვთ გაცნობიერებული პოზიტიური იმიჯის როლი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებაში. პოზიტიური იმიჯის შექმნაში კი მორალური პრინციპების დაცვა დიდ როლს ასრულებს. სტატიაში, გარემოს დაცვის კუთხით, არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნა ბიზნესის პასუხისმგებლობის ამაღლების საჭიროებაზე. სტატიის ავტორებს არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ცალკეული მოქალაქის პასუხისმგებლობის ამაღლება გარემოს დაცვაში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს სამთავრობო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებას. სტატიის ავტორების აზრით, საზოგადოების წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, ბიზნესის როლის ამაღლება დაეხმარება როგორც ბიზნესში დასაქმებულ ადამიანებს, ისე მომხმარებლებსა და მთელ საზოგადოებას კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებაში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნუგზარ თოდუა, ეკატერინე უროტაძე
2) მოხსენების სათაური
1. სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე.
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 2021 წლის 3 ივლისი, თბილისი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
1. სტატიაში შესწავლილია სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების როლი თანამედროვე ტურისტულ ბიზნესში. სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების ძირითად დეტერმინანტებად ნაშრომში მიჩნეულია ინფორმაციულობა, ხელმისაწვდომობა, ინტერაქტიულობა, პერსონალიზაცია და უსაფრთხოება. ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე დადგენილია მომხმარებლების მიერ საქართველოს დესტინაციების მიერ შემოთავაზებული სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების დონეების შეფასებები. რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავენ ინფორმაციულობის, ხელმისაწვდომობის, ინტერაქტიულობის, პერსონალიზაციისა და უსაფრთხოების გავლენას სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების აღქმაზე, აგრეთვე სმარტ ტურისტული ტექნოლოგიების აღქმის გავლენას მომხმარებლების სამოგზაურო განზრახვაზე.
7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ნუგზარ თოდუა, ეკატერინე უროტაძე, თორნიკე ხოშტარია, არიან მატინი
2. ნუგზარ თოდუა, ეკატერინე უროტაძე
2) მოხსენების სათაური
1. Impact of Smart Tourism Technologies on Tourists Intention to Travel (Case of Georgia).
2. Impact of Smart Tourism Technologies on Tourists Satisfaction (Case of Georgia).
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 2021 წლის 12 ივლისი, სარაგოსას უნივერსიტეტი (ესპანეთი)
2. 2021 წლის 10 ნოემბერი, კიევის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტი (უკრაინა)
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
9. კვლევაში ნაჩვენებია, რომ ქართველი მომხმარებლები დადებითად აღიქვამენ ტურისტული კომპანიების მიერ შეთავაზებულ სმარტ ტურისტული ტქქნოლოგიების მახასიათებლებს, თუმცა მათ საშუალო დონეზე აფასებენ. ამავდროულად, შედარებით მაღალია სმარტ ტურისტული ტქქნოლოგიების მახასიათებლების გავლენა ქართველი მომხმარებლების აღქმაზე და მოგზაურობის განზრახვაზე. სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს კვლევაში გამოყენებული მოდელის სანდოობას. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ავტორების მიერ შერჩეული სმარტ ტურისტული ტქქნოლოგიების მახასიათებლები შეესაბამება ტურისტულ ინდუსტრიას. აქედან გამომდინარე, კვლევის შედეგებს აქვს თეორიული და მენეჯერული მნიშვნელობა ტურიზმის სფეროში სმარტ ტურისტული ტქქნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით. კვლევის შედეგები დაეხმარება ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულ მენეჯერებს, გააფართოონ სმარტ ტურისტული ტქქნოლოგიების მახასიათებლების აღქმა და აქტიურად გამოიყენონ ისინი მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის.
10. სტატიაში გამოკვლეულია ჭკვიანი ტურისტული ტექნოლოგიების გავლენა თანამედროვე ტურისტულ ინდუსტრიაზე. ლიტერატურული მასალების გაანალიზების საფუძველზე ჩამოყალიბებულია კვლევის კონცეპტუალური სტრუქტურა და შესაბამისი ჰიპოთეზები, რომელთა შემოწმებისათვის ჩატარებულია რაოდენობრივი კვლევა. ჩატარებული

მარკეტინგული კვლევის საფუძველზე დადგინდა ქართული ტურისტული კომპანიების მიერ შემოთავაზებული ჭკვიანი ტურისტული ტექნოლოგიების დონეების შეფასებები. რეგრესიული ანალიზის გამოყენებით მიღებულია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სიდიდეები, რომლებიც ასახავენ ჭკვიანი ტურისტული ტექნოლოგიების ცალკეული ცვლადების აღქმის გავლენას ქართველი ტურისტების კმაყოფილებაზე.

ასისტენტ-პროფესორი მაია ვეშაგური

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. თამარ ქობლიანიძე, ჭაბუკა ქარდავა, ვეშაგური მაია

2) სტატიის სათაური, ISSN **1987-7471**

1. მარკეტინგის თავისებურებები ჯანდაცვაში

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ,,სოციალური ეკონომიკა“ – **XXI** საუკუნის აქტუალური პრობლემები, № 4

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 77

5) გვერდების რაოდენობა

1. 7

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიაში გაანალიზებულია ჯანდაცვის სერვისების სპეციფიკური ბუნება, მისთვის დამახასიათებელი რისკები, კონკრეტულ სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის პროგნოზირების სირთულე.

ყურადღება გამახვილებულია მარკეტინგული ბერკეტების მნიშვნელობაზე, რომლებსაც შეუძლიათ დარგის ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის განვითარების ხელშეწყობა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ჯანდაცვის სისტემების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა.

აღწერილია მარკეტინგული ინსტრუმენტების და სტრატეგიების გამოყენების სარგებელი: სამიზნე აუდიტორიის და მასზე მიმართული მომსახურების პროდუქტის განსაზღვრა, სამედიცინო სერვისებზე პაციენტების მოლოდინების სიღრმისეული კვლევა, ლატენტური მოთხოვნილებების იდენტიფიცირება და დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების გამოვლენა, პაციენტის/ექიმის მოტივაციის და ქცევის ცვლილების ანალიზი, სამედიცინო სერვისების მიმართ მომხმარებელთა მაქსიმალური ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, საბაზრო გარემოში არსებული შესაძლებლობებისა და საფრთხეების დადგენა.

ჯანდაცვის დაწესებულებებში მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის ამაღლებას, ჯანდაცვის რეფორმების ხელშეწყობას და სისტემის ოპტიმიზაციას როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე მთელი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. მარკეტინგული ღონისძიებები ხელს უწყობენ ჯანდაცვის

სერვისებზე მოთხოვნის აქტიურ ფორმირებას როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციულ სექტორში და სამედიცინო მომსახურების ფასეულობის განუხრელ ზრდას.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. ეკატერინე მაღლაკელიძე, ეკა გეგეშიძე, **მაია ვეშაგური,** ნათია ქამუშაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. EMPOWERING RESIDENTIAL CUSTOMERS TO BENEFIT FROM NET METERING IN THE POWER MARKET OF GEORGIA. **DOI:** 10.20472/IAC.2019.050.023

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. Proceedings of the 50th International Academic Conference

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Paris, France

5) გვერდების რაოდენობა

1. 21

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ჩვენ ვაგრძელებთ გამოკვლევების სერიას საპასუხო მოთხოვნის პროგრამებიდან მიღებულ სარგებელზე და, ამჯერად, შევჩერდებით ნეტო-აღრიცხვაზე, როგორც მარკეტინგულ ინსტრუმენტზე, რომელსაც შეუძლია ჩაანაცვლოს არაეკონომიკური ინვესტიციები ძვირადღირებული ელ. ენერგიის გამომუშავებაზე და, შესაბამისად, დაგვეხმაროს ენერგოეფექტიანობის მიზნების მიღწევაში. ნაშრომში განხილულია ნეტო-აღრიცხვაში მონაწილე სამი მომხმარებლის ქეისი.

ჩვენს კვლევას ორი მიზანი აქვს: პირველი, იმის დემონსტრირება, რომ ელ. ენერგიის საცალო მომხმარებლებს ყოველწლიურად შეუძლიათ დაზოგონ ფული კომუნალურ გადასახადებზე მზის პანელების გამოყენებით ზედმეტი ელ. ენერგიის გამომუშავების გზით და ჭარბად გამომუშავებული ელ. ენერგიის ქსელში მიწოდებით, თუ ისინი ჩართული იქნებიან ნეტო-აღრიცხვის პროგრამაში; მეორე, იმის ჩვენება, რომ მოქნილი მოთხოვნა ყველაზე პერსპექტიული და ინტუიტიურად მოქმედი ახალი სფეროა, რომელიც განახლებადი რესურსების გამოყენებას უწყობს ხელს. საქართველოსათვის, მზის ენერგია ხშირად არის გადაწყვეტილება გეოგრაფიულად მოშორებული თემის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ელ. ენერგიაში. მაშინ, როდესაც ზოგიერთი ფიქრობს, რომ ნეტო-აღრიცხვა არის ტვირთი იმ მომხმარებლებისათვის, რომლებიც მზის ენერგიას არ იყენებენ, ჩატარებულმა მოგება-ზარალის ანალიზმა, სწორედ რომ, საწინააღმდეგო აჩვენა.

კვლევის მიზნების მისაღწევად განხილულია სამი შემთხვევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სამმა ელ. ენერგიის საცალო მომხმარებელმა, რომლებიც ნეტო-აღრიცხვაში არიან ჩართულნი და ჭარბად გამომუშავებულ ენერგიას აწვდიან სადისტრიბუციო კომპანია სს „თელასს“, რომელიც აერთიანებს 358,14 კვტ მზის ენერგიას თავის სასერვისო ტერიტორიაზე და, რომელზეც ნეტო-აღრიცხვით გამომუშავებული მზის ენერგიის 49% (739,75 კვტ) მოდის. მოგება-ზარალის ანალიზის გასაკეთებლად, ჩვენ გამოვითხოვეთ მონაცემები ცვალებად დენში, რათა თვალი გვედევნებინა ამ სამი აბონენტის მიერ ქსელში ფაქტიურად მიწოდებული მზის

ენერგიის მოცულობისათვის 2018 წლის 31 იანვრიდან ამავე წლის 31 დეკემბრამდე. ანალიზის გაკეთების მიზნით, მოპოვებული იქნა დამატებითი ინფორმაცია სემეკიდან და კომპანია შპს „ელექტრონის“ კერძო მონაცემთა ბაზებიდან.

კვლევის ფარგლებში შემოწმდა შემდეგი საკვლევი ჰიპოთეზა: „ელექტროენერგიის მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ სარგებელი ნეტო-აღრიცხვის საცალო ტარიფიდან, თუ გადაწყვეტენ მონაწილეობა მიიღონ ამ საპასუხო მოთხოვნის პროგრამაში, თუმცა სარგებელი საკმარისად დიდი არ არის ნეტო - აღრიცხვის საკომპენსაციო სტრუქტურისა და ბაზარზე შესვლის ბარიერების გამო“.

ჩატარებულმა მოგება-ზარალის ანალიზმა აჩვენა, რომ ნეტო-აღრიცხვას შეუძლია ელექტროენერგიის საცალო მომხმარებლებს დაუზოგოს ასობით დოლარი კომუნალურ გადასახადებზე ყოველწლიურად. ამდენად, ნეტო-აღრიცხვაში ჩართვა ფულის დაზოგვის მიზნით კარგი არჩევანია. კვლევის ფარგლებში, ასევე, დადასტურდა კვლევის დასაწყისში დასმული ჰიპოთეზაც.

ასისტენტ-პროფესორი მაია სეთური

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. **მაია სეთური; დიანა ქადარია**
2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. **სახლში მიტანის სერვისი - მომხმარებელთა დამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი (Home Delivery Service - Some Issues of Customers Attitude). ISSN 1314-7242**
3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
გაანალიზდა HCV საწყისი კვლევის მონაცემები:

ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები (ნიმ) HCV ინფექციის მაღალი რისკის ჯგუფს წარმოადგენენ. საქართველო C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების ქვეყნებს მიეკუთვნება, კერძოდ მოსახლეობის 5.4%-ს აღენიშნება ქრონიკული HCV ინფექცია. საქართველოში HCV ინფექციის სეროპრევალენტობის ბოლო კვლევამ ცხადყო, რომ ნიმ-ბი HCV ინფიცირებული პირების 39%-ს შეადგენენ. მაღალი რისკის ჯგუფებს შორის დაავადების ყველაზე მაღალი გავრცელება (68-80%) სწორედ ნიმ-შია. საქართველოს C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნული სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ნიმ-ში HCV ინფექციის ინციდენტობის შემცირება წარმოადგენს. კოჰორტული კვლევები ინფექციის გადაცემის შეფასების და ინციდენტობის დადგენის თვალსაზრისით ოქროს სტანდარტად ითვლება.

კვლევას დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. კერძოდ, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნება ნიმ-ში HCV ინფექციის ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები და ასევე აქტიური C ჰეპატიტის მქონე პირების ანტივირუსული მკურნალობის გამოსავლები. ამასთან HCV ინფექციის გავრცელების და ახალი შემთხვევების შემცირების მიზნით შემუშავდება პრაქტიკული ღონისძიებები, რაც საბოლოო ჯამში დიდად შეუწყობს ხელს საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის წარმატებულ განხორციელებას და დასახული სამიზნეების მიღწევას.

კვლევაში ჩართული იქნა საქართველოს ზიანის შემცირების ქსელის მიერ რეკრუტირებული 1800 ნიმ. კვლევის სიბიექტებს ჩაუტარდა კვლევა anti-HCV ანტისხეულებზე და ინტერვიუები.

563 (32,3%) ნიმუში დადებითი იყო HCV ინფექციაზე. კოჰორტაში ჭარბობდნენ მამაკაცები. საშუალო ასაკი შეადგენდა 41,5 წელს. პაციენტების დაახლოებით 15%-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება. ნიმ-ის დაახლოებით ნახევარი იყო დაუსაქმებელი. 90.5%-ის შემოსავალი არ აღემატებოდა 700 ლარს თვეში. ნარკოტიკების ინექციურ მოხმარებას პაციენტები აღნიშნავდნენ 22 წლიდან, ხოლო ნარკოტიკების მოხმარების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა ხუთ წელს. პაციენტების 56,9%-ში ადგილი ჰქონდა ზიარის შპრიცების გამოყენებას ბოლო 6 თვის მანძილზე. აქტიური C ჰეპატიტით პაციენტები გადამისამართდნენ სამკურნალო დაწესებულებებში და ჩაერთვნენ C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში. იმ პაციენტებზე, რომლებსაც არ ჰქონდათ HCV ინფექცია საწყის ვიზიტზე, მოხდება დაკვირვება ყოველ 6 თვეში ერთხელ HCV ინფექციაზე გამოკვლევის თვალსაზრისით და განისაზღვრება HCV ინფექციის ინციდენტობა და მასთან ასოცირებული რისკის ფაქტორების ანალიზი. 1800 anti-HCV ნეგატიური პირიდან დაკვირვების 6 თვის თავზე ვიზიტზე მოვიდა 929 პირი. 929 პირიდან 12 პირმა აღნიშნა ნარკოტიკის ინექციური გზით მოხმარება ბოლო 30 დღის მანძილზე. HCV სეროკონვერსია დაფიქსირდა 9 (0,8%) ბენეფიციარში. მულტივარიაციული ლოჯისტიკური რეგრესიის ანალიზის მიხედვით სეროკონვერსიასთან ასოცირებული რისკის ფაქტორებს წარმოადგენდა:

ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარება (p=0.14), ინვაზიური სამედიცინო მანიპულაციები - ქირურგიული ოპერაცია (p=0.59) და სტომატოლოგიური მანიპულაციები (p=0.16).
კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ HCV ინფექციის ინციდენტობა კოჰორტაში იყო დაბალი. მიუხედავად სტატისტიკურად არასარწმუნო კავშირებისა, ახალი ინფექციის ალბათობა მაღალი იყო იმ პირებში, რომლებიც მოიხმარდნენ ინექციური გზით ნარკოტიკს (1,82/100 ადამიანი-წელი vs 0.54 100 ადამიანი-წელი). გარდა ამისა, ინვაზიური სამედიცინო პროცედურების მქონე პაციენტებს აღენიშნებოდა HCV დაინფიცირების უფრო მაღალი რისკი.
კვლევის ფარგლებში ასევე განხორციელდა HCV ინფექციაზე სკრინინგის და მკურნალობის გამარტივებული მიდგომებით მოდელის ინტეგრირების შეფასება საქართველოს პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში.
სპეციალიზირებული კლინიკებისგან განსხვავებით პირველადი ჯანდაცვის რგოლისთვის მოწოდებულია HCV დიაგნოსტიკური კვლევების და ანტივირუსული მკურნალობის მონიტორინგის შედარებით გამარტივებული მოდელი. კერძოდ: პირველადი ჯანდაცვის ქსელში HCV ანტივირუსული მკურნალობა ჩაუტარდებათ მხოლოდ იმ ქრონიკული C ჰეპატიტით პაციენტებს, რომელთაც აქვთ ღვიძლის მსუბუქი დაზიანება (FIB-4 ქულა < 1.45) და რომელთაც წარსულში ანტივირუსული მკურნალობა არ ჩატარებიათ.
HCV ინფექციით ავადმყოფების ანტივირუსული მკურნალობის წინა გამოკვლევების ალგორითმი შედგება შემდეგი საფეხურებისგან: 1. საწყისი დიაგნოსტიკა 2. მკურნალობის წინა დიაგნოსტიკა
1. საწყისი დიაგნოსტიკა: საწყისი დიაგნოსტიკა უტარდებათ მხოლოდ იმ პაციენტებს, რომელთაც სკრინინგული გამოკვლევით დადგენილი აქვთ Anti-HCV (+) დადებითი შედეგი. საწყისი დიაგნოსტიკა მოიცავს შემდეგს: ექიმის კონსულტაცია; ქრონიკული C ჰეპატიტის დიაგნოზის დადასტურება რომელიმე კონფირმაციული (დამადასტურებელი) ლაბორატორიული ტესტით (GeneXpert, HCV core ანტიგენი, HCV რნმ-ის განსაზღვრა პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით). პაციენტები, რომელთაც ქრონიკული C ჰეპატიტის დიაგნოზი არ დაუდასტურდებათ, აღარ განიხილებიან მკურნალობის კანდიდატებად (ბენეფიციარებად) და მათ შემდგომი გამოკვლევები აღარ ჩაუტარდებათ. პაციენტები, რომელთაც ქრონიკული C ჰეპატიტის დიაგნოზი დაუდასტურდებათ, განიხილებიან მკურნალობის კანდიდატებად (ბენეფიციარებად) და მათ ჩაუტარდებათ მკურნალობის წინა დიაგნოსტიკური კვლევები.
მკურნალობის წინა დიაგნოსტიკა პირველადი ჯანდაცვის რგოლში ანტივირუსული მკურნალობის გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელია განისაზღვროს ღვიძლის დაზიანების სიმძიმე. ამისათვის საჭიროა ავადმყოფს უტარდება:

- FIB-4 ქულის დათვლა (სპეციალური ფორმულის გამოყენებით).
- პაციენტებს, რომელთაც FIB-4 ქულა აღმოაჩნდებათ ≥1.45 აღარ განიხილებიან პირველადი ჯანდაცვის რგოლში მკურნალობის კანდიდატებად და აღნიშნული პაციენტები გადამისამართდებიან სპეციალიზირებულ კლინიკაში (HCV ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის პროვაიდერ კლინიკაში) შემდგომი გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის.
- პაციენტებს, რომელთაც FIB-4 ქულა აღმოაჩნდებათ < 1.45, განიხილებიან პირველადი ჯანდაცვის რგოლში მკურნალობის კანდიდატებად და აღნიშნულ პაციენტებს ჩაუტარდებათ მკურნალობის წინა გამოკვლევები გამარტივებული ალგორითმითHCV ანტივირუსული მკურნალობის მონიტორინგი პირველადი ჯანდაცვის რგოლში

პირველად ჯანდაცვის რგოლში ისევე, როგორც მკურნალობის წინა გამოკვლევები, HCV ინფექციის ანტივირუსული მკურნალობის მონიტორინგიც შედარებით გამარტივებულია (გამოიყენება მონიტორინგის გამარტივებული სქემა). პაციენტებს, რომელთაც ანტივირუსული მკურნალობა უტარდებათ რიბავირინის შემცველი რეჟიმით (სოფოსბუვირი/ლედიპასვირი + რიბავირინი) მკურნალობის პერიოდში ჩაუტარდებათ სისხლის საერთო ანალიზი და ALT აქტივობის განსაზღვრა ყოველ 4 კვირაში ერთჯერ (მე-4, მე-8 და მე-12 კვირა). პაციენტებს, რომელთა ანტივირუსული მკურნალობის რეჟიმი არ შეიცავს რიბავირინს, მკურნალობის პერიოდში ყოველ 4 კვირაში ერთხელ (მე-4, მე-8 და მე-12 კვირა) ჩაუტარდებათ მხოლოდ ALT აქტივობის განსაზღვრა. HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა უნდა მოხდეს მკურნალობის დასრულებიდან 12 ან 24 კვირის შემდეგ. ანტივირუსულ მკურნალობაზე მყოფი პაციენტებისთვის ყოველ 4 კვირაში დაგეგმილია ექიმთან ვიზიტი კლინიკური შეფასების მიზნით. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების მედდის მიერ კვირაში ერთხელ პაციენტთან სატელეფონო კონტაქტის გზით მოხდება მკურნალობაზე დამყოლობის (treatment adherence)

და ასევე ანტივირუსული მედიკამენტების გვერდითი ეფექტების კონტროლი. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებიდან ანტივირუსული მედიკამენტების გაცემა პაციენტისთვის მოხდება თვეში ერთხელ.

2021 წლის დეკემბრის მონაცემებით, სულ 10 პირველადი ჯანდაცვის რგოლის დაწესებულებამ განახორციელა C ჰეპატიტის მკურნალობისა და მოვლის სერვისების მიწოდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ინტეგრირებული მოდელი დაფუძნებული იყო "ერთი ფანჯრის" პრინციპზე, რომლის მიხედვითაც პაციენტებმა მიიღეს HCV სკრინინგის, მკურნალობის და მოვლის სერვისები პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში. ამ ცენტრებში მკურნალობა უტარდებოდა წარსულში არანამკურნალებ და ღვიძლის მსუბუქი ხარისხის დაზიანების მქონე პაციენტებს, ხოლო ღვიძლის შორსწასული ფიბროზის / ციროზის მქონე პირები გადამისამართდნენ სპეციალიზირებულ კლინიკებში. მკურნალობა ჩატარდა Sofosbuvir / Ledipasvir და / ან Sofosbuvir / Velpatasvir შემცველი რეჟიმებით 12 კვირის განმავლობაში. მდგრადი ვირუსული პასუხი (SVR) განისაზღვრა, როგორც არაგანსაზღვრადი ვირუსი თერაპიის დასრულებიდან 12-24 კვირის თავზე.

შედეგები: 2018 წლის აგვისტოდან 2021 წლის დეკემბრის ბოლომდე მთლიანობაში პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში სულ 1454 პაციენტს ჩაუტარდა FIB4 ტესტირება; 954 პაციენტმა დაიყო მკურნალობა; 883-მა დაასრულა მკურნალობა; 864 პაციენტს ეკუთვნოდა SVR კვლევა. 438 პაციენტიდან, რომლებშიც შეფასდა SVR, განკურნება მოხდა 430 პაციენტში (SVR მაჩვენებელი - 99%). ჩვენმა კვლევამ აჩვენა HCV დიაგნოსტიკის და მკურნალობის გამარტივებული მოდელის მიზანშეწონილობა და ეფექტიანობა პირველადი ჯანდაცვის რგოლში. ქვეყნის მასშტაბით ამ მოდელის გაფართოება აუცილებელია იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს პაციენტების კლინიკურ სერვისებში ჩართულობის და შენარჩუნების მაჩვენებლები.

კვლევის შუალედურ შედეგებზე და ძირითად სამეცნიერო დასკვნებზე გაკეთდა სამეცნიერო მოხსენებები ევროპის წამყვან სამეცნიერო კონფერენციებზე

2. პროექტის კოდი N: Med31/20-21110

პროექტის სახელწოდება: „SARS-CoV-2 ზე იმუნური რეაგირება და იმუნიტეტი"

პროექტის ბიუჯეტი: 29 850 აშშ დოლარი

გრანტის მიმღები: ს.ს. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი.

პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღი: 16 ოქტომბერი, 2020წ. – 30 აგვისტო, 2021წ.

საანგარიშო პერიოდი: 16 ოქტომბერი, 2020 წ. – 31 აგვისტო, 2021 წ.

ანგარიშის ავტორი: პროექტის დირექტორი - თენგიზ ცერცვაძე, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის გენერალური დირექტორი, პროფესორი.

პროექტის შინაარსი/მიზანია საქართველოში COVID-19-ით პაციენტებში SARS-CoV-2-ზე იმუნური პასუხის (ვირუსის საწინააღმდეგო IgG ანტისხეულების) და მისი მდგრადობის შესწავლა, ასევე იმუნურ პასუხთან და მის მდგრადობასთან ასოცირებული ფაქტორების შეფასება.

პროექტის განხორციელება, შესრულებული აქტივობები:

კვლევაში მონაწილეობდა 250 პირი, მათ შორის 150 COVID-19-სგან გამოჯანმრთელებული და 100 - COVID ვაქცინირებული. COVID-19-სგან გამოჯანმრთელებულ 150 პაციენტს შორის საშუალო ასაკი შეადგენდა 46 (IQR: 33-56) წელს, 122 (81.3%) იყო ქალი, მონაწილეთა დიდ უმრავლესობას იმუნოლოგიური მარკერების (CD4, CD8, CD19 და CD16/56 უჯრედები) მაჩვენებლები ჰქონდათ ნორმის დიაპაზონში. 105 (70.0%) პირი მკურნალობას გადიოდა ამბულატორიულად, ხოლო 45 (30.0%) პაციენტი - სტაციონარულ მკურნალობას. დაკვირვების პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა (მედიანა) შეადგენდა 23 (IQR: 16-27) კვირას.

COVID ვაქცინირებულ 100 პირს შორის საშუალო ასაკი იყო 51 (IQR: 40-60) წელი, 77 (77.0%) იყო ქალი, უმრავლესობას იმუნოლოგიური მარკერები ჰქონდათ ნორმის დიაპაზონში. 86 (86.0%) პირს COVID ვაქცინაცია ჩაუტარდა Astrazeneca-ს ვაქცინით, ხოლო 14 (14.0%) პირს - Pfizer BionTech-ის ვაქცინით. ვაქცინირებულ პირების დაკვირვების პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა იყო 5 (IQR 3-8) კვირა.

ორ საკვლევ ჯგუფს შორის შედარებამ აჩვენა, რომ ვაქცინირებული პირები იყვნენ უფრო ხანდაზმულები, აღენიშნებოდათ CD19 და CD16/56 უჯრედების უფრო მაღალი რაოდენობა, ასევე დაკვირვების პერიოდი იყო უფრო ხანმოკლე (ცხრილი 1).

ცხრილი 1. საკვლევი პოპულაციის მახასიათებლები

	გამოჯანმრთელებული (n=150)	ვაქცინირებული (n=100)	p სიდიდე
ასაკი, მედიანა (IQR)	46 (33-56)	51 (40-60)	0.007
ასაკობრივი კატეგორიები, n (%)			
<45	71 (47.3)	34 (34.0)	0.04
45+	79 (52.67)	66 (66.0)	
სქესი, n (%)			
ქალი	122 (81.3)	77 (77.0)	0.40
მამაკაცი	28 (18.7)	23 (23.0)	
CD4 T უჯრედების რიცხვი, მედიანა (IQR)	919 (737-1194)	1017 (761-1138)	0.25
CD8 T უჯრედების რიცხვი, მედიანა (IQR)	546 (385-663)	560 (425-646)	0.74
CD4/CD8 თანაფარდობა, მედიანა (IQR)	1.81 (1.35-2.40)	1.82 (1.40-2.44)	0.42
CD19 B უჯრედების რიცხვი, მედიანა (IQR)	238 (181-337)	342 (227-404)	<0.0001
CD16/56 NK უჯრედების რიცხვი, მედიანა (IQR)	238 (158-332)	290 (216-358)	0.004
დაკვირვების პერიოდი კვირეებში, მედიანა (IQR)	23 (16-27)	5 (3-8)	<0.001
COVID-19 მკურნალობა, n (%)			
ამბულატორიული	105 (70.0)		
ჰოსპიტალური	45 (30.0)		
ვაქცინის ტიპი, n (%)			
Vaxzevria (AstraZeneca)		86 (86.0)	
Comirnaty (Pfizer BionTech)		14 (14.0)	

იმუნური პასუხი და მისი მდგრადობა

COVID-19-ისგან გამოჯანმრთელებული 150 პირიდან 143-ს (95.3%) აღმოაჩნდა განსაზღვრადი SARS-CoV-2 IgG ანტისხეულები პირველი გამოკვლევისას, რომელიც ჩატარდა COVID-19 დიაგნოზიდან საშუალოდ 9 (IQR: 5-12) კვირის შემდეგ. დაკვირვების პერიოდის ბოლოს 5 პაციენტში, რომლებსაც თავდაპირველად ჰქონდათ პოზიტიური IgG ანტისხეულები, მოხდა სერორევერსია, შესაბამისად, IgG ანტისხეულების მქონე პირთა როადენობა შემცირდა 92.0%-მდე (138/150) საშუალოდ 23 (IQR: 16-27) კვირის შემდეგ (ცხრილი 2).

სერორევერსირებული და არასერორევერსირებული პაციენტების ჯგუფები ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდნენ ასაკის, სქესის, COVID მკურნალობისა და მოვლის სერვისის ტიპისა და იმუნოლოგიური მარკერების თვალსაზრისით.


ვაქცინირებულ 100 ადამიანს შორის 89-ს (89.0%) აღმოაჩნდა დადებითი SARS-CoV-2 IgG ანტისხეულები პირველი გამოკვლევისას, რომელიც ჩატარდა ვაქცინის პირველი დოზის გაკეთებიდან საშუალოდ 3 (IQR: 2-4) კვირის შემდეგ. დაკვირვების პერიოდის ბოლოს 4 პაციენტში, რომლებსაც თავდაპირველად ჰქონდათ ნეგატიური IgG ანტისხეულები, მოხდა სეროკონვერსია, შესაბამისად, IgG ანტისხეულების მქონე პირთა პროპორცია გაიზარდა 93.0%-მდე (93/100) საშუალოდ 5 კვირიანი (IQR: 3-8) დაკვირვების პერიოდის შემდეგ. ვაქცინირებულ პირებს შორის, რომლებსაც აკვირდებოდნენ მინიმუმ 2 კვირის განმავლობაში, სეროპოზიტიურობის მაჩვენებელი იყო 96.8% (92/95) (ცხრილი 2).

ცხრილი 2. SARS-CoV-2 IgG დადებითობა


SARS-CoV-2 IgG დადებითობა	გამოჯანმრთელებული	ვაქცინირებული
IgG+ პირველი შეფასებისას	95.3% (143/150)	89.0%(89/100)
IgG+ დაკვირვების პერიოდის ბოლოს	92.0% (138/150)	93.0%(93/100)
IgG+ მათ შორის, ვისზეც დაკვირვება მოხდა ≥2 კვირის შემდეგ		96.8%(92/95)

კაპლან-მეიერის ანალიზმა აჩვენა, რომ გამოჯანმრთელებულ პირებს შორის SARS-CoV-2 IgG ანტისხეულების არსებობის სავარაუდო ალბათობა თანდათან მცირდება დროთა განმავლობაში და 0,89-მდე იკლებს დიაგნოზის დასმინდა 36-ე კვირას (სურათი 1). ვაქცინირებულ პირებს შორის SARS-CoV-2 IgG ანტისხეულების არსებობის ალბათობა კი მკვეთრად იზრდება დროთა განმავლობაში და აღწევს 0,99-ს ვაქცინაციის შემდეგ მე-12 კვირაში (სურათი 2).

სურათი 1. კაპლან-მეიერის ანალიზით SARS-CoV-2 IgG ანტისხეულების არსებობის ალბათობა COVID-19-ისგან გამოჯანმრთელებულ პირებს შორის



სურათი 2. კაპლან-მეიერის ანალიზით SARS-CoV-2 IgG ანტისხეულების არსებობის ალბათობა ვაქცინირებულ პირებში



ალბათობა

-2 IgG ანტისხეულების არსებობასთან დაკავშირებული ფაქტორები შეფასებული იყო კოქსის პროპორციული რისკის მულტივარიაციულ მოდელში. მთლიან კოჰორტაში ვაქცინირებულ პირებს 7-ჯერ მეტი ალბათობა ჰქონდათ IgG ანტისხეულების არსებობის. სხვა ფაქტორები, რომლებიც

სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო დაკავშირებული IgG პოზიტიურობასთან, იყო CD19 B უჯრედების დონის მატება (HR 1.004, 95% CI: 1.001-1.006, p=0.01). გამოჯანმრთელებულ პირებს შორის ერთადერთი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად ასოცირდება IgG პოზიტიურობასთან, იყო CD19 B უჯრედების დონის მატება (HR 1.004, 95% CI: 1.000-1.008, p=0.04). ვაქცინირებულ პირებს შორის, Pfizer-BionTech (Comirnaty) ვაქცინით აცრა სტატისტიკურად სარწმუნოდ იყო დაკავშირებული IgG დადებითობასთან - HR 20.65 (2.04-209.25, p=0.01).

ცხრილი 3. SARS-CoV-2 IgG დადებითობასთან დაკავშირებული ფაქტორები

	მთლიანად		გამოჯანმრთელებული		ვაქცინირებული	
	HR (95% CI)	p სიდიდე	HR (95% CI)	p სიდიდე	HR (95% CI)	p სიდიდე
ვაქცინირებული vs. გამოჯანმრთელებული	7.181 (1.748-21.293)	0.009				
ასაკი	0.981 (0.949-1.015)	0.28	0.975 (0.931-1.021)	0.27	0.977 (0.909-1.049)	0.52
მამაკაცი vs. ქალი	0.585 (0.146-2.34)	0.45	0.226 (0.012-4.164)	0.32	0.745 (0.095-5.818)	0.78
CD4 T უჯრედების რიცხვი (ერთეულის მატებით)	0.999 (0.997-1.002)	0.68	0.997 (0.993-1.001)	0.14	1.001 (0.994-1.007)	0.84
CD8 T უჯრედების რიცხვი (ერთეულის მატებით)	0.999 (0.996-1.002)	0.66	1.003 (0.997-1.009)	0.34	0.996 (0.985-1.007)	0.49
CD4/CD8 თანაფარდობა (ერთეულის მატებით)	0.388 (0.083-1.818)	0.23	1.211 (0.143-10.279)	0.86	0.105 (0.003-4.083)	0.23
CD19 B უჯრედების რიცხვი (ერთეულის მატებით)	1.004 (1.001-1.006)	0.01	1.004 (1.000-1.008)	0.04	1.004 (0.998-1.010)	0.19
CD16/56 NK უჯრედების რიცხვი (ერთეულის მატებით)	1.000 (0.996-1.003)	0.92	1.002 (0.997-1.006)	0.49	0.997 (0.989-1.005)	0.48
ჰოსპიტალიზებული vs. ამბულატორიული			0.583 (0.106-3.203)	0.53		
Comirnaty vs. Vaxzevria ვაქცინები					20.65 (2.04-209.25)	0.01

3. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადების (COVID-19) მწვავე ფაზის ეპიდემიოლოგიური, პათოფიზიოლოგიური და კლინიკური მახასიათებლები, ისევე როგორც გამოსავლები, დეტალურად იქნა აღწერილი მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში.[1-3] ნაკლებად არის შესწავლილი COVID-19-ის გრძელვადიანი ზეგავლენა ჯანმრთელობაზე.[4,5] მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ჩატარებული კვლევები მიუთითებენ რომ გამოჯანმრთელებული COVID-19 პაციენტების უმრავლესობას (75%-მდე) აღენიშნება სიმპტომების გახანგრძლივება, მათ შორის ხშირია დაღლილობა, ზოგადი სისუტე, ძილისა და სხვა ნეირო-კოგნიტური პრობლემები, და რა თქმა უნდა პულმონოლოგიური დარღვევები.[6-9] დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევაში ლაბორატორიულ-ინსტრუმენტულ გამოკვლევებზე დაყრდნობით კლინიკურად მნიშვნელოვანი დარღვევა აღენიშნა გამოჯანმრთელებული პირების 35%-ს, მათ შორის დაავადების მსუბუქი ფორმის მქონე პირებში დარღვევების სიხშირემ 7% შეადგინა.[10] აშშ-ში ჩატარებულ ფართომასშტაბიან კვლევაში გამოჯანმრთელებული პაციენტების 19.9% დასჭირდა განმეორებითი ჰოსპიტალიზაცია და 9.1% გარდაიცვალა გამოჯანმრთელებიდან 60 დღის ფარგლებში.[11] განსაკუთრებული ყურადღების საგანია ისეთ ორგანოთა გრძელვადიანი დაზიანება, როგორიცაა გული, თავის ტვინი, თირკმლები, რაც არცთუ იშვიათად შეიძლება გამოვლინდეს დაბალი რისკი მქონე ახალგზარდა პირებში

პოსტ-კოვიდური სინდრომი საქართველოში არ შესწავლილა. ამასთან რუტინული კლინიკური პრაქტიკა გვიჩვენებს გამოჯანმრთელებული COVID-19 პაციენტების მომართვიანობის მატებას. შესაბამისად დღის წესრიგში დადგა პოსტ-კოვიდური სინდრომის გავრცელებისა და კლინიკური თავისებურებების

შესწავლა მეცნიერულად სარწმუნო მიდგომების გამოყენებით. წარმოდგენილი კვლევა შევასებს ამ საკითხზე არსებული ინფორმაციის დეფიციტის და დიდად შეუწყობს ხელს პოსტ-კოვიდური სინდრომის მართვის სტრატეგიების შემუშავებასა და დანერგვას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია COVID-19 პანდემიის პოპულაციურ ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შესამსუბუქებლად.

მიზანი

1. პოსტ-COVID სიდნრომის პრევალენტობის განსაზღვრა
2. პოსტ-COVID სინდრომის კლინიკური გამოვლინებების დახასიათება
3. პოსტ-COVID სინდრომის განვითარებასთან დაკავშირებული რისკ ფაქტორების გამოვლენა

მეთოდოლოგია

ერთ-ეტაპიანი ჯვარედინ-სექციური კვლევა.

პოპულაცია

კვლევის სამიზნე პოპულაციას წარმოადგენს თბილისის მაცხოვრებელი ზრდასრული პირები, რომლებიც გამოჯანმრთელდნენ ლაბორატორიულად დადასტურებული (ცხვირხახის ნაცხის პჯრ ან ანტიგენის ტესტით) COVID-19 დაავადებისგან. კლვევა მოიცავს როგორც ჰოსპიტალურ სექტორში ნამკურნალებ, ისე ამბულატორიულ პირობებში გამოჯანმრთელებულ პირებს

ჩართვის კრიტერიუმებია:

- ასაკი ≥ 18 წელი
- დრო გამოჯანმრთელებიდან კვლევაში ჩართვამდე არანაკლებ 1 თვე
- წერილობითი ინფორმირებული თანხმობა

გამორიცხვის კრიტერიუმია:

- დრო გამოჯანმრთელებიდან კვლევაში ჩართვამდე >6 თვე

შერჩევა

მონაწილეთა შესარჩევად გამოყენებულ იქნება სტრატიფიცრებული რანდომული მიდგომა. სტრატიფიკაცია მოხდება სქესის, ასაკის და მკურნალობის ტიპის (ჰოსპიტალური/ამბულატორიული) მიხედვით, ჰოსპიტალურად და ამბულატორიულად ნამკურნალები პირების 50%-იანი ალოკაციით. მონაწილეთა სამიზნე რაოდენობაა 400.

კვლევაში ჩართვაში 25%-იანი უარის გათვალისწინებით, თბილისის მაცხოვრებლებში ოფიციალურად დადასტურებული შემთხვევების სიიდან, ზემოაღნიშნული მეთოდით შერჩეულ იქნება 500 პირი. პოტენციურის მონაწილეების კვლევაში მოწვევა განხორციელდება ტელეფონის მეშვეობით, სურვილის შემთხვევაში ჩაინიშნება ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრში ვიზიტის თარიღი და დრო, სადაც კლვევაში მონაწილეობა დადასტურდება ინფორმირებულ თანხმობაზე ხელმოწერით.

პროცედურები

პროცედურები მოიცავს პაციენტის კლინიკურ შეფასებასა ექიმი ინფექციონისტის მიერ და გამოკითხვას სტრუქტურული კითხვარის მეშვეობით, ასევე ლაბორატორიულ და ინსტრუმენტულ გამოკვლევებს. საჭიროებისამებრ ჩატარდება არა-ინფექციური დარგის ექიმი სპეციალისტის კონსულტაცია. ყველა გამოკვლევა და კონსულტაცია განხორციელდება მონაწილისათვის უფასოდ.

კითხვარი შედეგაბ 11 სექციისგან (იხ. დანართი 1), რომელიც შედგენილა იქნა გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით და მოიცავს საერთაშორისოდ ვალიდირებულ ინსტრუმენტებს. კითხვარის მეშვეობით მოპოვებულ იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- მონაწილის ვიტალური მაჩვენებლები ვიზიტისას
- მონაწილის სოციო-დემოგრაფიული მონაცემები
- ინფორმაცია გადატანილი COVID-19 დაავადების შესახებ
- ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახბ ვიზიტისას, მათ შორის ინფორმაცია სიმპტომების შესახებ
- სუნთქვის გაძნელების/ქოშინის შეფასება მძიმე მწვავე რესპირატორული და აღმოცენებადი ინფექციების საერთაშორისო კონსორციუმის (ISARIC) COVID-19 პროტოკოლის მიხედვით[17]
- დაღლილობის შეფასება FAS შკალის მეშვეობით[18]
- ცხოვრების ხარისხის შეფასება EQ-5D-5L ინტსრუმენტის მეშვეობით[19]
- ინფორმაცია თანხმლები დაავადებებისა და რისკ ფაქტორების შესახებ (შეკითხვები თამბაქოსა და ალკოჰოლოჰის მოხმარების შესახებ, კვების რეჟიმისა და ფიზიკური აქტივობის შესახებ ადაპტირებულ იქნა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის STEPS კითხვარის მიხედვით[20])
- ფსიქოლოგიური დისსტრესის შეფასება კესლერის შკალის მეშვეობით[21]

- მენტალური კეთილდღეობის შეფასება ვარვიკ-ედინბურგის შემოკლებული შკალის მეშვეობით[22]

კითხვარის ნაწილი შეივსება მკვლევარის მიერ გამოკითხვის გზით, ნაწილი კი უშუალოდ მოანწილის მიერ.

ლაბორატორიული გამოკვლევები

კლინიკური შეფასებისა და კითხვარის შევსების შემდეგ მონაწილეს აეღება ვენური სისხლის ნიმუში საბაზისო ლაბორატორიული კვლეებისათვის და ჩააბარებს შარდს. ჩატარებული კლინიკურის შეფასებისა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე მონაწილეს საჭიროებისამებრ ჩაუტარდება დამატებითი ლაბორატორიული კვლევები.

საბაზისო ლაბორატორიული კვლევები

1. სისხლის საერთო ანალიზი
2. შარდის საერთო ანალიზი
3. ალანინამინოტრანსფერაზას (ALT) კონცენტრაციის განსაზღვრა
4. ასპარტატამინოტრანსფერაზას (AST) კონცენტრაციის განსაზღვრა
5. კრეატინინის კონცენტრაციის განსაზღვრა
6. C რეაქტიული ცილის რაოდენობრივი განსაზღვრა
7. კოაგულოგრამა
8. D-დიმერის კონცენტრაციის განსაზღვრა
9. გლიკოზირებული ჰემოგლობინის კონცენტრაციის განსაზღვრა

დამატებითი ლაბორატორიული კვლევები, რომლებიც ჩატარდება საჭიროებისამებრ

1. ტროპონინის კონცენტრაციის განსაზღვრა
2. ლაქტატდეჰიდროგენაზას (LDH) კონცენტრაციის განსაზღვრა
3. გლუკოზის კონცენტრაციის განსაზღვრა
4. ლიპიდური პროფილის განსაზღვრა

შენიშვნა: დამატებითი ლაბორატორიული კვლევების ჩამონათვალი შედგენილია არსებული მტკიცებულებების მიმოხილვის საფუძველზე. ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ჩატარდება სხვა გამოკვლევებიც.

ინსტრუმენტული გამოკვლევები

საბაზისო ინსტრუმენტული გამოკვლევები მოიცავს:

1. გულკმერდის კომპიუტერულ ტომოგრაფია*
2. სპიროგრაფია
3. ელექტრკარდიოგრაფია
4. ექოკარდიოგრაფია

*გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფია საბაზისო გამოკვლევის სახით ჩაუტარდებათ მხოლოდ ჰოსპიტალურ სექტორში ნამკურნალებ პირებს. ამბულატორიულ პირობებში ნამკურნალებს პირებს აღნიშნული გამოკვლევა ჩაუტარდებათ საჭიროებისამებრ

ჩატარებული კლინიკურის შეფასებისა და ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების საფუძველზე მონაწილეს საჭიროებისამებრ ჩაუტარდება დამატებითი ინსტრუმენტული კვლევები.

დამატებითი ინსტრუმენტული კვლევები, რომლებიც ჩატარდება საჭიროებისამებრ


1. თავის ტვინის მაგნეტურ-რეზონანსული გამოკვლევა
2. ელექტრონეირომიოგრაფია
3. მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა
4. კიდურების, ტრანს(ინტრა) და ექსტრაკრანიული დუპლექსონოგრაფია
5. სხეულის პლეტიზმოგრაფია

შენიშვნა: დამატებითი ინსტრუმენტული კვლევების ჩამონათვალი შედგენილია არსებული მტკიცებულებების მიმოხილვის საფუძველზე. ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ჩატარდება სხვა გამოკვლევებიც.

არა-ინფექციური დარგის სპეციალაისტების კონსულტაცია

კვლევა ითვალისწინებს არა-ინფექციური დარგის სპეციალაისტების კონსულტაციას. არსებული მტკიცებულებების მიმოხილვის საფუძველზე გათვალისწინებულია პულმონოლოგის, ნევროლოგის, კარდიოლოგის, ენდოკრინოლოგის, ჰემატოლოგის და ფსიქიატრის კონსულტაცია. ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ჩატარდა სხვა დარგის ექიმების ონსულტაციებიც.

დიაგრამა. კვლევის გეგმა



მონაცემთა მართვა და ანალიზი

მონაცემთა შეგროვება განხორციელდება ქაღალდმატარებლების მეშვეობით, რომელიც მოიცავს კითხვარს, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევების პასუხებს, ექიმის კონსულტაციას. ყველა მონაცემი შეტანილ იქნება კვლევის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად ჩატარდება პერიდული მონიტორინგი შემაჯამაბელი ცხრილების ანალიზის და შეტანილი მონაცემების წყარო დოკუმენტებთან დადარების გზით.

მონაწილეთა მახასიათებლების, სიმპტომების და დაავადებების/მდგომარეობების სიხშირის აღსაწერად გამოყენებული იქნება დესკრიფციული ანალიზი. დაღლილობის, ცხროვრების ხარისხის, ფსიქოლოგიური დისტრესის და მენტალური კეთილდღეობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნება შესაბამისი ინსტრუმენტის ავტორების მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგია.[18,19,21,22]

პოსტ-კოვიდური სინდრომის გამოვლინებებთან დაკავშირებული ფაქტორების შეფასება განხორციელდება მულტივარიაციული ანალიზის მეთოდით. რეგრესიული მოდელის შესაქმენლად გამოყემებულ იქნება ცვლადების მიზანმიმართული შერჩევის მეთოდი.[23] საბოლოო მოდელში შენრჩუნებულ იქნება $p<0.10$ სიდისის მქონე ყველა ცვლადი, დამაბნეველი ეფექტის (confounding) მქონე ყველა ცვლადი (დამაბნეველ ეფექტად ჩაითვლება მთავარი ასოციაციის ცვლილება ±10%-ით) და ყველა ეფექტის მოდიფიკატორი.

სტატისტიკური ანალიზისათვის გამოყენებულ იქნება პროგრამა SAS ვერსია 9.4. სტატისტიკურად სარწმუნოდ განისაზღვრება p სიდიდე <0.05.

ბიო-ეთიკის საკითხები

კვლევა განხორიცლედება ეროვნული და საერთაშორისო რეგულაციების სრული დაცვით.

კვლევა განხორციელდება ბიეთიკური კომიტეტის თანხმობით. კვლევაში ჩართვა იქნება ნებაყოფლობითი, რაც დადასტურდება ინფორმირებული თანხმობის ფორმაზე მონაწილისა და მკვლევარის ხელმოწერით. მონაწილეებს ექნებათ სრული უფლება დატოვონ კვლევა ნებისმიერ დროს

კვლევაში მონაწილეობას ახლავს მინიმალურზე ნაკლები რისკი, რაც დაკავშირებულია კვლევით გათვალისიწნებული პროცედურების ჩატარებასთან, როგორიცაა ვენიდან სისხლის აღება და ინსტრუმენტული გამოკვლევები.

მონაცემთა კონფიდენციალობის მიზნით თითოეულ მონაწილეს მიენიჭება უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი. მონაცემთა ბაზაში შევა მხოლოდ დე-ინდეტიფიცირებული მონაცემი. პიროვნების მაიდინტიფიცირებელი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტები შენახულ იქნება დაცულ ადგილას, რომელზეც წვდომა მხოლოდ კვლევის ავტორიზებულ პერსონალს ექნება. პუბლიკაციებში (ანაგარიში, სამეცნიერო სტატია) პიროვნების მაიდინტიფიცირებელი ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული, ყველა მონაცემი წარმოდგენილი იქნება შემაჯამებელი ცხრილების სახით.

4. აივ მოლეკულური ეპიდემიოლოგიის და მკურნალობის ახალი სტრატეგიები აღმოსავლეთ ევრიოპის რეგიონში; პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტებით მკურნალობის პრიორიტიზირება HCV ინფექციით პაციენტებში HIV molecular epidemiology and new treatment strategies in Russia and eastern Europe. Work package title Prioritisation of DAA treatment in HCV infected individuals.

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები
4.1. საერთაშორისო პატენტები:
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

4.2. ეროვნული პატენტები
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.
2.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

5) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1.

2) სტატიის სათაური, ISSN
1.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

5) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.
2.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1. Tengiz Tsertsvadze, David Sergeenko, Amiran Gamkrelidze, Nikoloz Chkhartishvili, Maia Butsashvili, David Metreveli, Akaki Abutidze, Lia Gvinjilia, Muazzam Nasrullah, Francisco Averhoff
2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. National Hepatitis C Elimination Program of Georgia; Hepatitis C: Epidemiology, Prevention and Elimination

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Springer. აშშ
2.

4) გვერდების რაოდენობა
1. 8, pp 237-245 Chapter. First Online: 01 May 2021

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
საქართველო აღმოსავლეთ ევროპის პატარა ქვეყანაა (მოსახლეობა: 3,7 მილიონი ადამიანი), რომელიც მდებარეობს კავკასიაში რუსეთსა და თურქეთს შორის. ქვეყანა მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა C ჰეპატიტის მაღალი გავრცელებით, ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით 5.4% (150,000 ადამიანი) ცხოვრობს ქრონიკული HCV ინფექციით. კვლევებმა სხვადასხვა პოპულაციაში აჩვენა, რომ ადამიანებს, რომლებიც ინექციურ ნარკოტიკებს იკეთებენ აქვთ ყველაზე მაღალი ანტი-HCV პრევალენტობა 70%-მდე, შემდეგ მოდის აივ-ით (40%), ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანები (21%) და სხვები.

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. E. Boeke, ,a Lindsey Hiebert, a Imam Waked, Tengiz Tsertsvadze, Lali Sharvadze, Maia Butsashvili, Mamuka Zakalashvili, Win Naing, Neil Gupta, Fredrick Kateera, Craig McClure, 1 John W. Ward, and Christian B. Ramers
2. Nino Rukhadze, Ole Kirk, Nikoloz Chkhartishvili, Natalia Bolokadze, Lali Sharvadze, Pati Gabunia, Jens Lundgren, Tengiz Tsertsvadze
3. Nikoloz Chkhartishvili, Carla J. Berg,Lorien C. AbromsORCID Icon, Lela Sturua,Otar Chokoshvili, George Khechiashvili, Tengiz Tsertsvadze, Yan Ma,Carlos E. Rodriguez-Diaz,

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. etreatment of Chronic Hepatitis C Infection: Real-World Regimens and Outcomes From National Treatment Programs in Three Low- and Middle Income Countries
2. Causes and outcomes of hospitalizations among people living with HIV in Georgia's referral institution, 2012–2017, https://doi.org/10.1177/0956462420984701
3. Smoking and cessation-related attitudes among men who have sex with men in the country of Georgia

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Clinical Infectious Diseases. Received 24 December 2020; editorial decision 7 May 2021; published online 20 May 2021.
2. International Journal of STD & AIDS First Published February 20, 2021.
3. AIDS Care. Pages 1373-1377 | Received 10 Jan 2020, Accepted 11 Aug 2020, Published online: 24 Aug 2020

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. აშშ
2. აშშ
3. აშშ

5) გვერდების რაოდენობა
1. 7
2. 7
3. 10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში მეორე რიგის რეკომენდებულ მკურნალობაზე წვდომა შეზღუდულია იმ პაციენტებისთვის, რომლებშიც C ჰეპატიტის ანტივირუსული თერაპია იყო წარუმატებელი. ალტერნატიული რეჟიმები და მასთან დაკავშირებული გამოსავლები კარგად არ არის შესწავლილი ეგვიპტეში, საქართველოსა და მიანმარში ეროვნული პროგრამების მონაცემების გაერთიანებული ანალიზის გამოყენებით განმეორებითი ანტივურუსული მკურნალობის შედეგად მყარი ვირუსული პასუხი (განკურნება) მიღეულ იქნა პაციენტთა >90%-ში.

2. ჩვენ შევაფასეთ ტენდენციები ჰოსპიტალიზაციის მიზეზებისა და გამოსავლების შესახებ აივ ინფექცია/შიდსით პაციენტებს შორის, რომლებიც მკურნალობას იტარებდნენ ინფექციური პათოლოგიის

და შიდსის ცენტრში. კვლევა იყო რეტროსპექტული. სულ დაფიქსირდა 2085 ჰოსპიტალიზაცია 1123 პაციენტს შორის 2012–2017 წლებში, პაციენტების 65.1% (731/1123) აღენიშნებოდა CD4 რაოდენობა <200. 2085 ჰოსპიტალიზაციადან 931 (44.7%) გამოწვეული იყო შიდს ინდიკატორული დაავადებებით. 2012 წელს შიდს ინდიკატორულმა დაავადებებმა შეადგინა ჰოსპიტალიზაციის 50.3%, 2017 წელს 41.6%-თან შედარებით (p = 0.16). საერთო ჯამში, 167 ჰოსპიტალიზაციას (8.0%) მოჰყვა ლეტალური შედეგი. შორსწასული იმუნოდეფიციტის მქონე პაციენტებს აღენიშნებოდათ უფრო მაღალი სიკვდილობა (11.5% vs 5.2%, p <0.0001). 167 გარდაცვლილ პაციენტს შორის, 137-ს (82.0%) ჰქონდა CD4 რაოდენობა <200 ჰოსპიტალიზაციისას. მულტივარიაციულ ანალიზში, სიკვდილთან მნიშვნელოვნად დაკავშირებული ფაქტორები მოიცავდა შორსწასულ დაავადებას (OR 2.81, 95% CI: 1.10-7.15), CD4 უჯრედების რაოდენობა <50 (OR 4.34, 95% CI: 2.52-7.47) და 50 -100 (OR 2.37, 95% CI: 1.27-4.42). საქართველოში ჰოსპიტალიზაციისა და ლეტალური გამოსავლების მნიშვნელოვან მიზეზად რჩება შორსწასული აივ ინფექცია/შიდსი. ინფექციის ადრეული გამოვლენა გადამწყვეტია შიდსით ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილიანობის შესამცირებლად.

3. მამაკაცებში, რომელთაც აქვთ სექსი მამაკაცებთან (MSM), დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში, მოწევა და მოწევასთან დაკავშირებული ფაქტორები არასაკმარისად არის შესწავლილი. ჩვენ შევისწავლეთ მწეველობის სტატუსის, მწეველობის დონის და მოწევის შეწყვეტის მნიშვნელობის და სანდოობის კორელაცია 608 MSM-ში საქართველოში, რომლებიც შეგროვდნენ 2016 წლის ივნისი-სექტემბრის განმავლობაში (აივ-ის არმქონე 493 პირი თანაბარი გადანაწილებით საქართველოს 3 ქალაქიდან; აივ-ის მქონე 115 პირი ეროვნული შიდსის ცენტრიდან). საშუალო ასაკი იყო 26 წელი, 78.6%-მა აღნიშნა ალკოჰოლის მიმდინარე (ბოლო 30 დღის განმავლობაში) მოხმარება, და 22.4%-მა აღნიშნა გასული წლის განმავლობაში ნარკოტიკების უკანონო გამოყენება. საერთო ჯამში, 73.8% იყო მიმდინარე მწეველი, მათგან 87.1% ეწეოდა ყოველდღიურად, ღერების საშუალო რაოდენობა დღეში (cpd) იყო 19.8, 64.6% ეწეოდა გაღვიძებიდან ≤30 წთ-ში, და მოწევის შეწყვეტის მნიშვნელობა და სანდოობა იყო 6.8 და 6.4 (სადაც 0 = საერთოდ არა, 10 = უკიდურესად), შესაბამისად. მულტივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მიმდინარე მწეველობა კორელირებს გასული თვის განმავლობაში ალკოჰოლის მოხმარებასთან და გასული წლის განმავლობაში ნარკოტიკების უკანონო გამოყენებასთან (p's < .001). მწეველებს შორის cpd კორელირებდა უფროს ასაკთან და გაღვიძებიდან 30 წუთის განმავლობაში მოწევასთან; მოწევის შეწყვეტის უფრო მაღალი მნიშვნელობა (≥7) კორელირებდა განათლების უფრო მაღალ დონესთან და ნარკოტიკების უკანონო მოხმარების არარსებობასთან; და მოწევის შეწყვეტის უფრო მაღალი სანდოობა (≥7) ასოცირებული იყო უფრო დაბალ cpd-ისთან, გაღვიძებიდან ≤30 წთ მოწევასთან და რეგიონებში ცხოვრებასთან დედაქალაქთან შედარებით. ამ დასკვნების გათვალისწინებით, თამბაქოს და სხვა ნივთიერებების მოხმარების პრობლემის გადაჭრას MSM-ს შორის საქართველოში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1.

2) მოხსენების სათაური
1.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. შარვაძე ლ, გაბუნია ფ, აბუთიძე ა, ჩოკოშვილი ო , დვალი ნ, ცერცვაძე თ, ჩხარტიშვილი ნ.
2. ჩხარტიშვილი ნ, ეზუგბაია მ, გაწერელია ლ, დვალი ნ , ქარჩავა ნ, ძიგუა ლ, მეჭურჭლიშვილი რ, აბუთიძე ა, გოგიჩაიშვილი შ, ცერცვაძე თ.
3. ქარჩავა მ, დვალი ნ, ღვაბერიძე მ, ჩოკოშვილი ო , ცერცვაძე თ, ჩხარტიშვილი ნ
4. ნინო რუხაძე, თენგიზ ცერცვაძე, ლალი შარვაძე და სხვ.

5. თეა ბორკოვსკა, ეკატერინე ქარქაშაძე, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი , თენგიზ ცერცვაძე
6. რევაზ მეჭურჭლიშვილი, მარინე ეზუგბაია, მარინა ენდელაძე, აკაკი აბუთიძე, ანი ბაქრაძე, ალექსანდრე გოგინავა, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, თენგიზ ცერცვაძე
7. აკაკი აბუთიძე,1,2 ნიკოლოზ ჩხარტიშვილი,1 ლანა გაწერელია1 მარინე მირზიაშვილი,1 ეკატერინე ქარქაშაძე,1 მარინე ქარჩავა,1 ლელა ძიგუა,1 ნათია დვალი,1 რევაზ მეჭურჭლიშვილი,1 თენგიზ ცერცვაძე,1,2
8. თენგიზ ცერცვაძე,1,2 ამირან გამყრელიძე,3 ნიკოლოზ ჩხარტიშვილი,1 აკაკი აბუთიძე,1,2 ლალი შარვაძე,2,4 ვახტანგ ქერაშვილი,1 მაია ბუწაშვილი,5 დავით მეტრეველი,6 ლია ღვინჯილია,7 თინათინ ქუჩულორია,7 შონ შადაკერი,8 თამარ გაბუნია, 9 ეკატერინე ადამია,9 სტეფან ცოიცემი,10 ნეზამ აფდალი,11 სანჯეევ არორა,12 კარლა ტორნტონი,12 ფრანცისკო ავერჰოფი,8 ფეიჯ არმსტრონგი
9. თენგიზ ცერცვაძე, ამირან გამყრელიძე, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, აკაკი აბუთიძე, ლალი შარვაძე, ვახტანგ ქერაშვილი, მაია ბუწაშვილი, დავით მეტრეველი, ლია ღვინჯილია, შონ შადაკერი, თამარ გაბუნია, ეკატერინე ადამია, სტეფან ცოიცემი, ნეზამ აფდალი, სანჯეევ არორა, კარლა ტორნტონი, ფრანცისკო ავერჰოფი, ფეიჯ არმსტრონგი.
10. თენგიზ ცერცვაძე,1,2 ამირან გამყრელიძე,3 ნიკოლოზ ჩხარტიშვილი,1 აკაკი აბუთიძე,1,2 ლალი შარვაძე,2,4 ვახტანგ ქერაშვილი,1 მაია ბუწაშვილი,5 დავით მეტრეველი,6 ლია ღვინჯილია,7 თინათინ ქუჩულორია,7 შონ შადაკერი,8 თამარ გაბუნია, 9 ეკატერინე ადამია,9 სტეფან ცოიცემი,10 ნეზამ აფდალი,11 სანჯეევ არორა,12 კარლა ტორნტონი,12 ფრანცისკო ავერჰოფი,8 ფეიჯ არმსტრონგი8

2) მოხსენების სათაური
1. HCV ინფექციის მაჩვენებელი HCV-ით მცხოვრებ ადამიანებში წარმატებული DAA თერაპიის შემდეგ თბილისში, საქართველოში
2. SARS-CoV-2-ის მონიტორინგი წინა ხაზზე მომუშავე მედმუშაკებს შორის თბილისში, საქართველოში
3. ახალი აივ ინფექციის შემთხვევების მონიტორინგი საქართველოში, 2018-2020 წწ
4. გაწერის შემდგომი სიკვდილიანობა ჰოსპიტალიზებულ აივ ინფიცირებულ პირებს შორის
5. ჰიპერგლიკემიის გავრცელება და გავლენა სიკვდილიანობაზე აივ ინფიცირებულებში საქართველოში
6. რემდესივირის ეფექტი COVID-19-ით პაციენტების სიკვდილობაზე: რეტროსპექტული კოჰორტული კვლევა
7. SARS-CoV-2 ანტისხეულების სეროპრევალენტობა წარსულში არადიაგნოსტირებულ პირებში თბილისში, საქართველოში: სამი განმეორებითი კვლევის შედეგები
8. HCV სკრინინგის და მკურნალობაში ჩართვის მეთოდების შეფასება C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოში; ოპტიმალური მოდელის შემუშავება ელიმინაციის მიზნების მიღწევის მიზნით
9. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრესი საქართველოში აპრილი 2015 - დეკემბერი 2020
10. C ჰეპატიტის ელიმინაციის 5 წლიანი პროგრესი საქართველოში აპრილი 2015 - აპრილი 2021

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონფერენცია აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების საკითხებზე. 2021 წ. Central and Eastern European Meeting on Viral Hepatitis and HIV 2021
2. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონფერენცია აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების საკითხებზე. 2021 წ. Central and Eastern European Meeting on Viral Hepatitis and HIV 2021
3. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონფერენცია აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების საკითხებზე. 2021 წ.
4. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონფერენცია აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების საკითხებზე. 2021 წ. Central and Eastern European Meeting on Viral Hepatitis and HIV 2021
5. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონფერენცია აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების საკითხებზე. 2021 წ. Central and Eastern European Meeting on Viral Hepatitis and HIV 2021
6. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონფერენცია აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების საკითხებზე. 2021 წ. Central and Eastern European Meeting on Viral Hepatitis and HIV 2021
7. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონფერენცია აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების საკითხებზე. 2021 წ. Central and Eastern European Meeting on Viral Hepatitis and HIV 2021

8. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონფერენცია აივ/შიდსის და ვირუსული ჰეპატიტების საკითხებზე. 2021 წ. Central and Eastern European Meeting on Viral Hepatitis and HIV 2021
9. The International Liver Congress 2021. 23/06/2021 - 26/06/2021. აბსტრაქტი N 1553. პოსტერ პრეზენტაცია.
10. ამერიკის ღვიძლის კონგრესი. ნოემბერი 2021 წ. HEPATOLOGY 74, N1. AASLD პოსტერ პრეზენტაცია. აბსტრაქტი N 925

მოხსენების ანოტაცია *(საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)*
1. შესავალი : საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნულმა პროგრამამ ყველა აივ ინფიცირებულისთვის (PLHIV) უზრუნველყო საყოველთაო ხელმისაწვდომობა პირდაპირ ანტივირუსული (DAA) თერაპიაზე . ჩვენ გამოვიკვლიეთ HCV-ის რეინფექციის პოტენციური გავლენა PLHIV, რადგან ქვეყანა ცდილობს PLHIV-ში C ჰეპატიტის სრულ ელიმინაციას.
მეთოდები: ჩავატარეთ რეტროსპექტული კოჰორტული კვლევა საქართველოს რეფერალურ დაწესებულებაში - ინფექციური დაავადებების, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევის ცენტრში თბილისში, საქართველოში. ანალიზი მოიცავდა აივ ინფიცირებულ პაციენტებს, რომლებმიც განიკურნენ C ჰეპატიტისგან 2015-2018 წლებში და ჩაუტარდათ განმეორებითი სკრინინგი ინფექციაზე სულ მცირე ერთხელ განკურნებიდან 6 თვის შემდეგ. ეროვნული გაიდლაინები გვირჩევენ HCV ყოველწლიურ სკრინინგს HCV RNA ტესტის გამოყენებით. პაციენტებს თვალყურს ადევნებდნენ დოკუმენტირებული მდგრადი ვირუსოლოგიური პასუხის თარიღიდან ბოლო HCV RNA შემოწმებამდე, 2021 წლის ივნისის ჩათვლით. ხელახალი ინფექციის თარიღი განისაზღვრა, როგორც შუა წერტილი HCV RNA ტესტის ბოლო უარყოფით და პირველ დადებით შედეგს შორის. ანალიზისთვის მონაცემები ამოღებულ იქნა შიდსის ეროვნული საინფორმაციო სისტემიდან. სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SAS 9.4-ის გამოყენებით.
შედეგები: კვლევაში ჩართული 347 პაციენტს შორის საშუალო ასაკი 47 (IQR 43.1-52) წელი იყო, 307 (88.5%) მამაკაცს წარმოადგენდა, 257 (74.1%) ინტრავენური ნარკოტიკების გამოყენებით დაინფიცირდა (IDU), 70 (20.4%) - ჰეტეროსექსუალური კონტაქტით და 16 (4.6%) მამაკაცის მამაკაცთან სექსუალური კონტაქტით. ყველაზე ხშირი HCV გენოტიპი გენოტიპი 1 - 131 (38.0%)იყო, რასაც გენოტიპი 3 - 112 (32.5%)მოჰყვებოდა. სულ 194 (55.9%) პაციენტი განიკურნა HCV-გან ლედიპასვირით/სოფოსბუვირით რიბავირინით ან მის გარეშე და 153 (44.1%) - სოფოსბუვირით/რიბავირინით პეგილირებული ინტერფერონით ან მის გარეშე. პაციენტებს თვალყურს ადევნებდნენ მედიანური 3.0 (IQR: 1.8-4.0) წლის განმავლობაში, რის შედეგადაც დავაკვირდით 1021 ადამიანს-წელში (PY). სულ 26 (7.5%) ადამიანს ჰქონდა HCV რეინფექცია, საერთო სიხშირით 2.55 (95% CI: 1.66-3.73) 100PY-ზე. ხელახალი ინფექციის მედიანური დრო 2.2 (IQR: 1.6-2.8) წელი იყო. ხელახალი ინფექციის სიხშირე 2.96 (95% CI: 1.86-4.48) შეადგენდა 100 PY-ზე IDU-ით ინფიცირებულ პირებს შორის (22 ხელახალი ინფექცია), 0.46 (95% 0.01-2.57) 100 PY-ზე ჰეტეროსექსუალურად ინფიცირებულ პირებს შორის (1 რეინფექცია) და 6.00 (95% CI: 1.24-17.53) 100 PY-ზე MSM-ში (3 რეინფექცია). აივ-ის გადაცემის გზებს შორის მაჩვენებლების შედარებამსტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები აჩვენა MSM-სა და ჰეტეროსექსუალურად ინფიცირებულ პირებს შორის (P=0.045), IDU-სა და ჰეტეროსექსუალურად ინფიცირებულ პირებს შორის (p=0.043), მაგრამ არა MSM-სა და IDU-ს შორის (p=0.414).
დასკვნები: რეინფექციის საერთო მაჩვენებელი დაბალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ IDU-ით ინფიცირებული ადამიანები ტრადიციულად ხელახალი ინფექციის რისკის ქვეშ არიან, MSM -ებს შორის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ამ პოპულაციაში HCV ინფექციის გაჩენასა და შემთხვევების რიცხვის ზრდაზე, რომელიც ადრე დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში იყო გამოვლენილი.

2. ჯანდაცვის მუშაკებს SARS-CoV-2 ინფექციის გაზრდილი რისკი აქვთ. ჩვენ გატყობინებთ SARS-CoV-2-ის პერსპექტიული კვლევის შედეგებს საქართველოში ინფექციური დაავადებების, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის (IDACIRC) რეფერალური დაწესებულების თანამშრომლებს შორის.
მასალები და მეთოდები: IDACIRC არის 100 საწოლიანი საავადმყოფო, საიდანაც 75-მდე საწოლი ექსკლუზიურად დაეთმო COVID-19 პაციენტების მოვლას პანდემიის პიკების დროს. IDACIRC-ს ჰყავს 343 სრული განაკვეთით მომუშავე თანამშრომელი, საიდანაც 118 მუშაობდა COVID-19-ით განყოფილებაში ,ხოლო 50-მდე თანამშრომელი საჭიროებისამებრ როტირებდა კოვიდ განყოფილებებში. SARS-CoV-2-ის ხედამხედველობა ითვალისწინებდა ინფექციის კონტროლის მკაცრი პოლიტიკის განხორციელებას და მონიტორინგს, თანამშრომლების რეგულარულ სკრინინგს RT-PCR-ის გამოყენებით, დადასტურებული შემთხვევების გამოძიებას ინფექციის წყაროს დასაბუთებისთვის და თანამშრომლებს შორის კონტაქტის

მიკვლევას. წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს 1 წლიან პერიოდს 2020 წლის 26 თებერვლიდან 2021 წლის 28 თებერვლამდე, საქართველოში COVID-19 ვაქცინაციის შემოღებამდე.
შედეგები: კვლევის პერიოდში SARS-CoV-2-ის კუმულაციური 270758 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა დაფიქსირდა ქვეყანაში, მათ შორის 1621 შემთხვევა (43.6 100 000-ზე) დაფიქსირდა პირველი ტალღის განმავლობაში (26 თებერვალი-31 აგვისტო, 2021) და 269137 შემთხვევა (724. 100 000-ზე) მეორე ტალღის დროს (2021 წლის 1 სექტემბერი-2021 წლის 28 თებერვალი).IDACIRC-ში ყოველკვირეული ჰოსპიტალიზაციის საშუალო რაოდენობა 52 (IQR: 41-71) იყო, მათ შორის 45 (IQR: 33-51) პირველი ტალღის დროს და 77 (IQR: 54-111) მეორე ტალღის დროს. სულ ჩატარდა 9029 RT-PCR ტესტი თანამშრომლებს შორის და 98-ს (მთლიანი პერსონალის 28.6%) დაუსვეს COVID-19-ის დიაგნოზი კუმულაციური სიხშირით 2.5 (95% CI: 2.0-3.1) 100 ადამიანზე თვეში. ყველა შემთხვევა დადასტურდა პანდემიის მეორე ტალღის დროს: სიხშირე 0.0 (95% CI: 0.0-0.17) 100 ადამიანზე თვეში პირველი ტალღის დროს vs 5.6 (95% CI: 4.5-6.8) 100 ადამიანზე თვეში მეორე ტალღის დროს (p<0.0001). ინფექციების ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა ICU განყოფილებაში (46.4%), შემდეგ სასწრაფო დახმარების განყოფილებაში (43.8%) და COVID-19 პალატის პერსონალში (36.7%) vs 19-24% სხვა განყოფილებებთან შედარებით (p=0.02). ინფექციების უმრავლესობა (80.6%, 79/98) დაფიქსირდა 2020 წლის 26 ოქტომბერი - 20 დეკემბერი პერიოდში, ეპიდემიის პიკი IDARCIC-ში (16 შემთხვევა დიაგნოზირებულია 30 ნოემბრის კვირაში) ემთხვევა პანდემიის პიკს ქვეყანაში (30 ნოემბრის კვირაში დაფიქსირდა 30107 შემთხვევა ქვეყნის მასშტაბით). მულტივარიაციულ ხაზოვან რეგრესიულ ანალიზში ახალი დიაგნოზების რაოდენობა ქვეყანაში იყო ერთადერთი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად ასოცირდებოდა IDARCIC-ის დაავადების გავრცელებასთან (p<0.0001). შემთხვევის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თანამშრომლებს შორის ინფექციის გადაცემის პირველად წყაროს ოჯახის წევრები წარმოადგენდნენ (ინფექციების 32.7%), რამაც შემდგომში გამოიწვია პერსონალიდან პერსონალზე დაავადების გავრცელება არაკლინიკურ ადგილებში (შესვენების ოთახები, ოფისები) (ინფექციების 36.7%). ინფექციების მხოლოდ 8.2% გადაეცა COVID-19 პაციენტიდან კლინიკურ პერსონალს, ყველა ინფიცირებული თანამშრომელი გამოჯანმრთელდა COVID-19-ისგან.
დასკვნები: გადაცემის მაღალი მაჩვენებლები ზოგადად საზოგადოებაში მნიშვნელოვნად ზრდის ინფექციის რისკს ჯანდაცვის მუშაკებს შორის. ნიღბების ტარება და სოციალური დისტანციური წესების დაცვა არაკლინიკურ ადგილებში გადამწყვეტია პერსონალს შორის დაავადების გადაცემის მინიმიზაციისთვის.

3. ბოლოდროინდელი აივ ინფექციის მეთვალყურეობა შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს აივ ინფექციის გადაცემის გზის მონიტორინგისთვის. ჩვენ მიზნად დავისახეთ პროპორციის შეფასება საქართველოში 2018-2020 წლებში დაფიქსირებულ ახლად დიაგნოსტირებულ შემთხვევებს შორის , ახალი ინფექციის ტესტირების ალგრითმის (RITA) გამოყენებით.
მეთოდები: ჩვენ ჩავატარეთ რეტროსპექტული კვლევა . კვლევაში გამოყენებული მასალა ავიღეთ 2018-2020 წლებში რეგისტრირებული აივ ინფექციის, ახალი დიაგნოზის მქონე პირებისგან. RITA-მ გამოიყენა LAg ფერმენტის იმუნოანალიზი (EIA), როგორც ლაბორატორიული ტესტი ბოლო ინფექციისთვის, რომელიც დაემატა ეპიდემიოლოგიურ, ლაბორატორიულ და კლინიკურ ინფორმაციას, რათა დიფერენცირებულიყო ინდივიდი ახლად ინფიცირებული იყო, თუ ინფექცია ხანგრძლივი დროის მანძილზე ჰონდა. აივ ინფექცია ახლად ჩაითვლებოდა, თუ LAg EIA ანალიზით დაფიქსირდა ახალი ინფექცია და არ აქვს ხანგრძლივი ინფექციის კლინიკური, ლაბორატორიული ან ისტორიული მტკიცებულება (CD4 უჯრედების რაოდენობა <200, შიდსის განმსაზღვრელი დაავადების არსებობა ან პლაზმური აივ რნმ < 1000 აივ დიაგნოზის დრო).
შედეგები: კვლევა მოიცავდა 1697 ახლად დიაგნოზირებულ პირს, რაც წარმოადგენს საქართველოში 2018-2020 წლებში დიაგნოსტირებული პირების 90.7%-ს. მათ შორის საშუალო ასაკი 38 (IQR: 30-48) წელი იყო. 1299 (76,5%) მამაკაცი წარმოადგენდა. აივ-ის გადაცემის ძირითადი გზები მოიცავდა: ჰეტეროსექსუალურ კონტაქტს (708 [41.7%] მამაკაცი და 384 [22.6%]ქალი), კაცის კაცთან სექსს (344 ადამიანი [20.3%) და ინექციური ნარკოტიკების მოხმარებას (236 ადამიანი [13.9%). სულ 271 (16.0%) პირი იყო კლასიფიცირებული, როგორც ახალი ინფიცირებული. ახალი ინფიცირების შემთხვევების პროპორცია არ შეიცვალა დროთა განმავლობაში: 15.6% 2018 წელს, 14.4% 2019 წელს და 18.6% 2020 წელს (p =0.22). ასაკის მიხედვით ანალიზებმა აჩვენა ბოლო ინფექციის ყველაზე მაღალი გავრცელება 18-29 წლის ადამიანებში (33.9%) OR 2.78 (95% CI: 1.97-3.93, p<0.0001) vs 30-39-; OR 2.73 (95% CI: 1.85-4.02, p<0.0001) vs 40-49 5.89 (95% CI: 3.48-9.98, p<0.0001) vs 50+ წელი. საერთო ჯამში, MSM-ების 33.7% ახალი ინფექციის შემთხვევა იყო, რაც მნიშვნელოვნად მაღალი იყო გადაცემის სხვა გზებთან შედარებით: OR

3.73 (95% CI: 2.06 -6.73, p<0.0001) vs ინექციური ნარკოტიკების მოხმარება; vs OR 2.19 (95% CI: 1.57-3.05, p<0.0001) ჰეტეროსექსუალურის კონტაქტით ინფიცირებულ მამაკაცებთან; OR 2.58 (95% CI: 1.71-3.89, p<0.0001) vs ჰეტეროსექსუალური კონტაქტით ინფიცირებული ქალებთან. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირებულა ჰეტეროსექსუალური კონტაქტით და ინექციური ნარკოტიკების მოხმარებით ინფიცირებულ პირებს შორის. MSM-სა და სხვა გადაცემის გზებს შორის განსხვავება განსაკუთრებით მაღალი ახალგაზრდებში იყო.
დასკვნები: ახლად დიაგნოსტირებული ინფექციის წილი დროთა განმავლობაში დაბალი რჩებოდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ტესტირების სტრატეგიებში ხარვეზები არსებობს. ახალი ინფიცირების მაღალი მაჩვენებლები ახალგაზრდებში და MSM ამ პოპულაციის ქვეჯგუფებში აივ-ის გადაცემის ახალ შემთხვევებზე მიუთითებს

4. აივ დადებითი პირები ჰოსპიტალიზაციის შემდეგაც კი რჩებიან სიკვდილის რისკის ქვეშ, განსაკუთრებით ისინი, ვისაც შორსწასული აივ დაავადება აქვს. ჩვენ თბილისში 2012-2017 წლებში ჩავატარეთ ჰოსპიტალიზირებული აივ ინფიცირებული პაციენტების რეტროსპექტული ანალიზი.
მასალები და მეთოდები: კვლევა ჩატარდა ინფექციურ დაავადებათა, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევით ცენტრში, რომელიც არის საქართველოს რეფერალური დაწესებულება აივ დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და მოვლისთვის და მოიცავდა საავადმყოფოდან წარმატებით გაწერილ შიდს პაციენტებს. ჰოსპიტალიზაციის შესახებ მონაცემები ამოღებულია სიკვდილიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები შეფასდა კოქსის პროპორციული რისკის მოდელში.
შედეგები : ანალიზში ჩართულ 951 ადამიანს შორის საშუალო ასაკი 42 (IQR 37-44) წელი იყო. 745 (76.3%) მამაკაცი წარმოადგენდა, 494 ნარკოტიკების ინექციური მოხმარებით დაინფიცირდა და 424 (43.4%) ჰეტეროსექსუალური კონტაქტით. სულ 420 (43.0%) პაციენტი იყო ჰოსპიტალიზირებული შიდსის განმსაზღვრელი მდგომარეობის გამო. პაციენტთა უმრავლესობას დიაგნოზი გვიან დაუსვეს, 62.1%-ს CD4 რაოდენობა <200 cell/mm3 იყო. ჰოსპიტალიზაციის დროს 374 (38.3%) CD4 რაოდენობა <100 ჰქონდა და 193 (19.8%) 100-200 უჯრედი/მმ3 შორის. სულ 274 (28.0%) პაციენტი გარდაიცვალა 4.6 (IQR: 3.5-6.5) წლის დაკვირვების პროცესში. სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაკვირვების პროცეში 6.1 (95% CI: 5.4-6.9) სიკვდილი 100 ადამიანზე იყო (PYFU). შიდსის განმსაზღვრელი მდგომარეობის გამო პირებს გაწერის შემდგომი სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი აღენიშნებოდათ შიდსებთან არ მქონე კოჰორტასთან შედარებით: 8.0 (95% CI 6.8-9.5) სიკვდილი 100 PYFU-ზე vs 4.8 (95% CI 4.0-5.7) სიკვდილი 100 PYFU-ზე, P< 0.0001. მულტივარიაციული რეგრესიის ანალიზით ფაქტორები, რომლებიც სიკვდილიანობასთან იყო დაკავშირებულია, მოიცავდა: წინა ჰოსპიტალიზაციას შიდსის განმსაზღვრელი მდგომარეობის გამო (HR 1.32, 95% CI: 1.02-1.71), ასაკის ზრდას (HR 1.052, 95% CI: 1.04-1.06), მამრობითი სქესის (HR 1.44, 95% CI: 1.02-2.05), CD4 საწყისი რაოდენობსა <100 (HR 1.77, 95% CI: 1.30-2.42) და CD4 უჯრედების რაოდენობას 100-200 (HR 2.22, 95% CI : 1.60-3.09). კონკურენტული რისკის ანალიზის მიხედვით გაწერის შემდგომი სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად იყო ასოცირებული შიდსისთან დაკავშირებულ მიზეზებითან (HR 2.95, 95% CI: 2.00-4.59).
დასკვნები: შიდსი და საწყისი იმუნოდეფიციტი რჩებიან სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორები საავადმყოფოდან წარმატებული გამოწერის შემდეგაც კი. ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობის დაწყება გადამწყვეტი იქნება როგორც ჰოსპიტალიზაციის , ასევე სიკვდილიანობის შესამცირებლად .

5. აივ-ით ინფიცირებულთა სიცოცხლის ხანგრძლივობა და ცხოვრების ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდა ანტირეტროვირუსული თერაპიის დანერგვის შემდეგ. მეორე მხრივ, იმატა არაგადამდები დაავადებების გავრცელებამ აივ ინფიცირებულ პაციენტებში, განსაკუთრებით კი მეტაბოლურმა დარღვევებმა. სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ ჰიპერგლიკემია ტიპი 2 დიაბეტისას ან მის გარეშე ასოცირდებულია ცუდ გამოსავლებთან აივ ინფიცირებულებში. საქართველოში არ არის ინფორმაცია აივ ინფიცირებულებში ჰიპერგლიკემიასა და და ჰიპერგლიკემიით გამოწვეული სიკვდილიანობას შესახებ . კვლევის მთავარი მიზანი იყო ჰიპერგლიკემიის პრევალენტობის დადგენა და მისი გავლენის შეფასება სიკვდილიანობაზე აივ ინფიცირებულებში.
კვლევის მასალა და მეთოდები : ინფექციურ დაავადებათა, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის კვლევით ცენტრში თბილისში, საქართველოში ჩატარდა რეტროსპექტული კოჰორტული კვლევა. კვლევაში მონაწილეობდა ზრდასრული აივ ინფიცირებული პირი, რომელთაც დაავადების დიაგნოზი დაესვათ 2012-2018 წლებში. დაკვირვება გაგრძელდა 2020 წლის ჩათვლით. პაციენტები, რომლებიც დაიღუპნენ ან დაიკარგნენ დიაგნოსტირებიდან 6 თვის განმავლობაში, გამოირიცხნენ ანალიზიდან.

ჰიპერგლიკემიად ჩაითვალა გლუკოზის დონე, თუ გლუკოზა უზმოდ ≥100 (≥5.6 მმოლ/ლ) , ხოლო კვებიდან 2სთ-ში ≥140 (≥7.8 მმოლ/ლ). მონაცემები დემოგრაფიული, კლინიკური და ლაბორატორიული მახასიათებლების შესახებ ამოღებული იქნა აივ-ის ეროვნული ბაზიდან . კავშირი ჰიპერგლიკემიასა და სიკვდილიანობას შორის შეფასდა მულტივარიაციული ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზში. სტატისტიკური ანალიზისთვის გამოვიყენეთ SAS 9.4 (SAS Institute Inc., Cary, NC, USA).

შედეგები : კვლევაში ჩართული 2914 აივ ინფიცირებულ პაციენტიდან, საშუალო ასაკი 40.4 წელი იყო, 710 (24.4%) მდედრობით სქესს წარმოადგენდა და 202 (6.9%) არაგადამდები თანმხლები დაავადება ჰქონდა (გულ-სისხლძარღვთა დაავადება, თირკმლის დაავადება ან კიბო). ყველა პაციენტმა დაიწყო არტ, არტ მედიანური დრო 3.6 წელის შეადგენდა. ჰიპერგლიკემიის პრევალენტობა 8.3% (242/2914) იყო. პრევალენტობა ასაკთან ერთად იზრდებოდა - 2,2%-დან 18-29 წლის ადამიანებში 17,2%-მდე 65+ წელს (p<0,0001). ჰიპერგლიკემიის უფრო მაღალი გავრცელება დაფიქსირდა ადამიანებში, რომლებსაც CD4 საწყისი რაოდენობა <200 (18.2% 8.3%-ის წინააღმდეგ, p<0.0001) ჰქონდათ და არაგადამდები თანმხლები დაავადებების არსებობისას (27.3% 6.9%-ის წინააღმდეგ, p<0.0001). შემდგომი დაკვირვების პროცესში 296 (10.2%) პაციენტი გარდაიცვალა. ჰიპერგლიკემიის მქონე პაციენტებში სიკვდილიანობა 35.7% , ნორმოგლიკემიურ პაციენტებში კი 8.0% შეადგენდა (p<0.0001). ჰიპერგლიკემია მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული სიკვდილიანობასთან მრავალვარიანტული ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზში ასაკის, სქესის, თანმხლები დაავადებების და წინა შიდსის დიაგნოზის კორექტირების შემდეგ: OR 3.33 (95% CI: 2.25-4.92).

დასკვნები: ჰიპერგლიკემია, რომელიც ხშირი იყო ხანდაზმულ პაციენტებსა და CD4 უჯრედების დაბალი დონის მქონე პაციენტებში, დაკავშირებულია გაზრდილ სიკვდილიანობასთან. ჰიპერგლიკემიის სკრინინგი და მენეჯმენტი ინტეგრირებული უნდა იყოს აივ ინფექციის რუტინულ კლინიკურ სერვისებში.

6. COVID-19-ის სამკურნალოდ რემდესივირი ერთადერთი დადასტურებული და ფართედ ხმარებული ანტივირუსული მედიკამენტია რემდესივირი, თუმცა დისკუსიები მისი ეფექტიანობის შესახებ კვლავ მიმდინარეობს. საქართველოში COVID-19-ით პაციენტების მკურნალობა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. რემდესივირი ხელმისაწვდომია 2020 წლის 25 დეკემბრიდან და ინიშნება მკაცრი კლინიკური კრიტერიუმების საფუძველზე, და კლინიკური მიმდინარეობის დეტალური ინფორმაციის აღრიცხვით.

მეთოდები: რეტროსპექტული კვლევა ჩატარდა სიკვდილიანობაზე რემდესივირის ეფექტიანობის შესაფასებლად მძიმე მიმდინარეობის COVID-19-ით ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში 2020 წლის 25 დეკემბრიდან 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში, რომელიც არის ქვეყნის რეფერალური დაწესებულება ინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის. მონაცემები შეგროვდა სამედიცინო ისტორიებიდან და კლინიკური ბაზიდან.

შედეგები: სულ შეფასდა COVID-19-ით 350 მძიმე პაციენტი, საიდანაც 202 იყო რემდესივირით ნამკურნალები. სრული კოჰორტის საშუალო ასაკი იყო 60 წელი (IQR: 49-69). რემდესივირის ჯგუფში პაციენტების საშუალო ასაკი იყო 61 წელი (IQR: 53-70), ხოლო სტანდარტული მკურნალობის ჯგუფში კი 57 (IQR: 45-68) (p=0.02). 350 პაციენტიდან 199-ს (56.9%) ჰქონდა ერთი თანმხლები დაავადება მაინც, აქედან 125 (61.9%) პაციენტს რემდესივირის ჯგუფში. 122 პაციენტს (34.9%) ჰოსპიტალიზაციისას ჟანგბადის სატურაცია ჰქონდა ≤93% - 70 (34.7%) რემდესივირის ჯგუფში და 52 (35.1%) სტანდარტული მკურნალობის ჯგუფში (p=0.92).

საერთო სიკვდილობა იყო 4.3% (15/350) -2.5% (5/202) რემდესივირის ჯგუფში და 6.8% (10/148) სტანდარტული მკურნალობის ჯგუფში (p=0.05); სტანდარტული მკურნალობის ჯგუფში 65 წელს ზევით პაციენტებში ნებისმიერი თანმხლები დაავადებით მნიშვნელოვნად მეტი იყო სიკვდილობა ვიდრე რემდესივირის ჯგუფში (18.8% vs. 5.6%, p=0.03 და 12.2% vs. 2.4%, p=0.01 შესაბამისად)

მულტივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა ზღვრული ასოციაცია რემდესივირის გამოყენებასა და სიკვდილის რისკის შემცირებას შორის (risk ratio (RR)=0.36; 95% CI: 0.13-1.05, p=0.06). ასაკი ≥65 წელი და საბაზისოდ ჟანგბადის სატურაცია ≤93% დამოუკიდებლად იყვნენ ასოცირებულნი სიკვდილის რისკის ზრდასთან (RR=11.90; 95% CI: 2.19-64.69, p=0.0004 და RR= 3.20; 95% CI: 1.17-8.81, p=0.02, შესაბამისად)

დასკვნა: ჩვენი მონაცემების საფუძველზე რემდეისივირის გამოყენება COVID-19-ით პაციენტებში შესაძლოა ამცირებდეს სიკვდილის რისკს, თუმცა ყველა მიზეზით სივდილობა სტატისტიკურად განსხვავებული არ იყო საკვლევ ჯგუფებს შორის. ჩვენი მონაცემები მხარს უჭერს რემდესივირის

გამოყენებას მძიმე COVID-19-ით პაციენტებში, განსაკუთრებით მოხუცებში და თანმხლები დაავადებების მქონე პაციენტებში.

7. ახალი კორონავირუსული ინფექციის გავრცელების ზუსტი შესწავლა უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი ჯანდაცვის პასუხის დაგეგმვისთვის. მონიტორინგის დღევანდელი სისტემებით შესაძლებელია სრულყოფილად ვერ შეფასდეს დაავადების გავრცელება, ვინაიდან ადგილი აქვს კლინიკურად მანიფესტირებული დაავადების მქონე პირების უპირატეს ტესტირებას და ასიმპტომური ან დაავადების მსუბუქი შემთხვევების სავარაუდო გამორჩენას.
SARS-CoV-2 IgG ანტისხეულების სეროპრევალენტობის შესაფასებლად ჩატარებული იქნა კვლევა ქალაქ თბილისის იმ ზრდასრულ მოქალაქეებში, რომლებთანაც წარსულში არ იყო დიაგნოსტირებული ახალი კორონავირუსული დაავადება (COVID-19).
მეთოდები: ჩატარდა სამი ჯვარედინ-სექციური კვლევა ქალაქ თბილისის ზრდასრულ მოქალაქეებში 2020 წლის 18-27 მაისს, 2020 წლის 9-21 ნოემბერს და 2021 წლის 10-24 მარტს. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო შემდეგი: ასაკი ≥18 წელზე, წარსულში დადასტურებული SARS-CoV-2 ინფექციის არარსებობა, კვლევის პერიოდისთვის COVID-19-თვის დამახასიათებელი სიმპტომების არარსებობა.
მონაწილეთა ჩართვა მოხდა respondent driven sampling-ით. კვლევაში ჩართვის მსურველები ავსებდნენ მოკლე კითხვარს და აბარებდნენ სისხლს SARS-CoV-2 ანტისხეულების განსასაზღვრად შემდეგი მეთოდით (COVID-19 IgG/IgM სწრაფი ტესტი, Zhejiang Orient Gene Biotech). სეროპრევალენტობის მაჩვენებელი შეწონილ იქნა პოპულაციის ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა ასაკი, სქესი და ქალაქ თბილისის უბანი 2014 წლის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით.
შედეგები: 2020 წლის მაისში, 2020 წლის ნოემბერსა და 2021 წლის მარტში კვლევაში ჩაერთო, შესაბამისად, 1068, 900 და 903 პირი. საერთო სეროპრევალენტობა იყო 0.8% (95% CI: 0.3%-1.6%) 2020 წლის მაისში, 8.2% (95% CI: 6.5-10.2%) - 2020 წლის ნოემბერში და 22.7% (95%CI: 20.0%-25.6%) - 2021 წლის მარტში (p<0.0001). Weighted სეროპრევალენტობა იყო 0.9% (95% CI: 0.4%-2.0%) 2020 წლის მაისში, 8.5% (95% CI: 6.4%-10.9%)- 2020 წლის ნოემბერსა და 22.4% (95% CI: 19.5%-25.6%) - 2021 წლის მარტში (p<0.0001). ტესტის სანდოობის შემდგომი შესწორებისას სეროპრევალენტობა გაიზარდა 1.0%-მდე (95% CI: 0.4%-2.2%) 2020 წლის მაისში, 9.1%-მდე (95% CI: 7.0%-11.7%) 2020 წლის ნოემბერში და 23.8%-მდე (95% CI: 20.6%-27.3%) 2021 წლის მარტში (p<0.0001). 2021 წლის მარტის კვლევის თანახმად, COVID-19-ის არადიაგნოსტირებული შემთხვევების რაოდენობა იყო 204,520, ხოლო რეგისტრირებული შემთხვევების - 100,641. ჯამურად SARS-CoV-2-ით ინფიცირებულთა სავარაუდო რიცხვი იყო 305,161, რაც 3-ჯერ და მეტად აღემატება ოფიციალურ პრევალენტობას.
დასკვნა: ჩვენი კვლევა მიუთითებს, რომ ინფიცირების არარეგისტრირებული შემთხვევები წარმოადგენს ინფიცირების საერთო რაოდენობის 2/3-ს. დიაგნოსტიკის გაფართოება უმნიშვნელოვანესია COVID-19-ის პანდემიის ეფექტური მართვისთვის, მათ შორის ვაქცინაციის აქტიური დანერგვის შემდეგაც.

8. HCV ინფექციის დიაგნოსტირების შემდეგ, პაციენტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კვალიფიციური სამედიცინო სერვისის მიწოდება და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. HCV ინფიცირებული პირების მკურნალობის კურსში ჩართვა მთავარი გამოწვევაა. საქართველომ 2015 წლის აპრილში დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის მსოფლიოში პირველი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 74.000-ზე მეტ ადამიანს დაენიშნა ანტივირუსული თერაპია და ფიქსირდება განკურნების ძალიან მაღალი მაჩვენებელი. პროგრამაში რეგისტრირებულ პაციენტთა რაოდენობა შემცირდა, ძირითადად, არასაკმარისი ტესტირების და მკურნალობის კურსში დაბალი ჩართულობის გამო. მკურნალობის კურსში ჩართულობის უზრუნველსაყოფად ოპტიმალური მოდელის შემუშავება ელიმინაციის პროგრამისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია.
მეთოდები: კვლევის მიზანს წარმოადგენდა დიაგნოსტიკისა და HCV მკურნალობაში ჩართულობის სხვადასხვა მეთოდების შეფასება და ყველაზე ოპტიმალურის შერჩევა. შეფასდა HCV სკრინინგის და მოვლის კასკადი ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ჰოსპიტალური სექტორისთვის, პირველადი ჯანდაცვისთვის, ზიანის შემცირების ცენტრებისთვის, პროვაიდერი კლინიკებისთვის და ინტეგრირებული HCV/HIV/TB სერვისისთვის მარტი 2018 - ნოემბერი 2020 პერიოდში. ჩართულობა განისაზღვრა 1) კონფირმაციული HCV რნმ-ის ან core ანტიგენის განმსაზღვრელი ტესტის ჩატარებით ანტისხეულებზე კვლევის დადებითი შედეგის შემდეგ და 2) შემდგომი ვიზიტით სპეციალისტთან.
შედეგები: კოჰორტა მოიცავდა 24.460 პირს HCV ანტისხეულებზე კვლევის დადებითი შედეგით. კონფირმაციული მეთოდით ტესტირებულთა ყველაზე დიდი რიცხვი დაფიქსირდა HCV პროვაიდერ კლინიკებში, ხოლო შემდეგ ზიანის შემცირების ცენტრებში, დეცენტრალიზებულ ჰოსპიტალურ

სექტორში, ინტეგრირებული HCV/HIV/TB მოდელის შემთხვევაში, ცენტრალიზებულ ჰოსპიტალურ სექტორში, პირველადი ჯანდაცვის სკრინინგის მოდელის შემთხვევაში (91.5%, 86.2%, 79.5%, 75.1%, 74.5% და 63.6%, შესაბამისად). მკურნალობაში ჩართვა მაღალი იყო HCV პროვაიდერ კლინიკებში, ინტეგრირებული HCV/HIV/TB მოდელის შემთხვევაში, ზიანის შემცირების და პირველადი ჯანდაცვის სკრინინგის მოდელის შემთხვევაში (87.1%, 79.9%, 77.8% და 69.1%, შესაბამისად). HCV ვირემიაზე ტესტირების და მკურნალობაში ჩართვის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალი იყო HCV პროვაიდერ კლინიკებში ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ ჰოსპიტალურ სექტორთან, პირველადი ჯანდაცვის, ზიანის შემცირების, ინტეგრირებული HCV/HIV/TB სკრინინგის მოდელებთან შედარებით (91.5% vs. 74.5%, p<0.0001 და 87.1% vs. 45.6%, p<0.0001; 91.5% vs.79.5%, p<0.0001 და 87.1% vs. 61.6%, p<0.0001; 91.5% vs. 63.6%, p<0.0001 და 87.1% vs. 69.1%, p<0.0001; 91.5% vs. 86.2%, p<0.0001 and 87.1% vs. 77.8%, p<0.0001; 91.5% vs. 75.1%, p<0.0001 and 87.1% vs. 79.9%, p<0.0001, შესაბამისად).
დასკვნა: ჩვენი მონაცემები მიუთითებს, რომ პროვაიდერი კლინიკების სკრინინგის მოდელი ყველაზე მაღალეფექტურია პაციენტთა მკურნალობაში ჩართულობის თვალსაზრისით. ჰოსპიტალური სექტორის ცენტრალიზებულ მოდელთან შედარებით, დეცენტრალიზებული მოდელი ავლენს ვირემიაზე ტესტირების და მკურნალობაში ჩართულობის შედარებით მაღალ მაჩვენებლებს. მკურნალობის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მიღწეული იქნა პირველადი ჯანდაცვის და ზიანის შემცირების HCV სკრინინგის მოდელის შემთხვევაში. თითოეული მოდელის შემთხვევაში მნიშვნელოვანია კასკადში ჩართულობაზე მოქმედი ფაქტორების შემდგომი შესწავლა. პროგრამის მიზნების მისაღწევად უნდა შეფასდეს და აღმოიფხვრას პირველადი ჯანდაცვისა და ზიანის შემცირების ცენტრებში HCV მკურნალობასა და მოვლაზე ხელმისაწვდომობის ბარიერები.

9. აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრის დახმარებით და ფარმაცევტული კომპანია გილეადის კეთილი ნებით, უსასყიდლოდ გადმოეცა პირდაპირი მოქმედების ანტივირუსული მედიკამენტები, 2015 წლის აპრილში საქართველომ დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის მსოფლიოში პირველი პროგრამა. პროგრამის ძირითადი ამოცანებია: საყოველთაო სკრინინგი C ჰეპატიტზე სახელმწიფოს მასშტაბით, ახალი შემთხვევების აქტიური გამოვლენა, მკურნალობაში ჩართვა, დეცენტრალიზებული მკურნალობა, მკურნალობის უზრუნველყოფა HCV დიაგნოსტირებული ყველა პირისთვის, ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარება. პროგრამის პირველადი მიზნები 2020 წლისთვის იყო შემდეგი: ა) HCV ინფიცირებულ პირთა 90%-ის დიაგნოსტირება, ბ) HCV დიაგნოსტირებულ პირთა 95%-ის მკურნალობა, გ) HCV ნამკურნალებ პირთა 95%-ის განკურნება. რეპორტი ეძღვნება C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის პროგრესს 5 წლის განმავლობაში.
მეთოდები: პროგრამის ფარგლებში ინახება ინფორმაცია თითოეული რეგისტრირებული პაციენტის შესახებ. გამოყენებული იქნა სოფოსბუვირის, სოფოსბუვირ/ლედიპასვირის და სოფოსბუვირ/ველპატასვირის შემცველი რეჟიმები. 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოძიებული იქნა ინფორმაცია HCV ტესტირებული პირების და ასევე იმ პირების შესახებ, რომლებთანაც მიჩნეულია, რომ მიღწეულია ე.წ. მყარი ვირუსული პასუხი.
შედეგები: 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტიური HCV ინფექცია დიაგნოსტირებული იქნა 90,578 პირთან, რაც წარმოადგენს ქვეყანაში ამ დიაგნოზით სავარაუდოდ მცხოვრები 150.000 პირის 60.4%-ს. 72.811 (80.4%) პაციენტმა დაიწყო მკურნალობა - აღნიშნული წარმოადგენს სავარაუდო სამკურნალო პოპულაციის (128.250) 56.8%-ს. მყარი ვირუსული პასუხი შეფასდა 51.208 პაციენტთან, 50.644 (98.9%) იყო HCV ნეგატიური პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის მეთოდით, რაც სავარაუდო სამიზნე პოპულაციის (121.837) 41.6%-ია. განკურნების მაღალი მაჩვენებლი დაფიქსირდა ყველა გენოტიპის შემთხვევაში: 98.9% - I გენოტიპის, 98.9% - II გენოტიპის და 98.3% - III გენოტიპის შემთხვევაში. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, წარმოადგენს ე.წ. ძნელად სამკურნალო გენოტიპს. მყარი ვირუსული პასუხი მიღწეული იქნა ღვიძლის შორსწასული (F3 და F4) და მსუბუქი (≤ F2) ფიბროზით პაციენტების, შესაბამისად, 98.2%-სა და 99.1%-ში.
დასკვნა: საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პროგრესი C ჰეპატიტის ელიმინაციის თვალსაზრისით, რაც მდგომარეობს HCV ინფიცირებულ პირთა 40%-ზე მეტის გამოვლენასა და მკურნალობაში. ელიმინაციის მიზნის მისაღწევად საჭიროა ინფიცირებული პირების გამოვლენა, მკურნალობაში ჩართვა, მყარი ვირუსული პასუხის შესაფასებლად ტესტირების უზრუნველყოფა და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

10. აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრის დახმარებით და ფარმაცევტული კომპანია გილეადის მხარდაჭერით 2015 წლის აპრილში საქართველომ დაიწყო C ჰეპატიტის ელიმინაციის მსოფლიოში

პირველი პროგრამა. პროგრამის ძირითადი ამოცანებია: საყოველთაო სკრინინგი C ჰეპატიტზე, ახალი შემთხვევების აქტიური გამოვლენა, მკურნალობაში ჩართვა, დეცენტრალიზებული მკურნალობა, მკურნალობის უზრუნველყოფა HCV დიაგნოსტირებული ყველა პირისთვის, ეფექტური პრევენციული ღონისძიებების გატარება. პროგრამის მიზნები 2020 წლისთვის იყო შემდეგი: ა) HCV ინფიცირებულ პირთა 90%-ის დიაგნოსტირება, ბ) HCV დიაგნოსტირებულ პირთა 95%-ის მკურნალობა, გ) HCV ნამკურნალებ პირთა 95%-ის განკურნება. რეპორტი ეძღვნება C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის პროგრესს 5 წლის განმავლობაში.

მეთოდები: აქტიური HCV ინფექციით საქართველოში მცხოვრებ პირთა სავარაუდო რაოდენობა ემყარება 2015წ ჩატარებულ სეროპრევალენტობის კვლევას, რომლის თანახმადაც ზრდასრული პოპულაციის 5.4%-ს აღენიშნებოდა აქტიური ინფექცია (დაახლოებით 150.000 პირი).

პროგრამის ფარგლებში ინახება ინფორმაცია თითოეული რეგისტრირებული პაციენტის შესახებ. გამოყენებული იქნა სოფოსბუვირის, სოფოსბუვირ/ლედიპასვირის და სოფოსბუვირ/ველპატასვირის შემცველი რეჟიმები. 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოძიებული იქნა ინფორმაცია HCV ტესტირებული პირების და ასევე იმ პირების შესახებ, რომლებთანაც მიჩნეულია, რომ მიღწეულია ე.წ. მყარი ვირუსული პასუხი. HCV სკრინინგის და მკურნალობის მონაცემთა ნაციონალური ბაზიდან ჩატარდა 2015 წლის აპრილი - 2021 წლის აპრილი - პერიოდის ინფორმაციის ანალიზი.

შედეგები: 2021 წლის 30 აპრილის მდგომარეობით, ჩატარებული ტესტირების შედეგად, HCV ანტისხეულები დაფიქსირდა 136,813 ზრდასრულ პირთან; მათგან კონფირმაციული ტესტირება ჩაუტარდა 114,916 (80.4%) მოქალაქეს. ტესტირებულთაგან 92,022 (80.1%) პაციენტს აღმოაჩნდა აქტიური HCV ინფექცია (რნმ ან core - ანტიგენ დადებითი), რაც ქვეყანაში ამ დიაგნოზით მცხოვრები სავარაუდო 150.000 პირის 61.3%-ია. 74,073 პაციენტმა დაიწყო მკურნალობა, რაც სავარაუდო სამკურნალო პოპულაციის (128.250) 57.8%-ია.

მყარი ვირუსული პასუხი შეფასდა 52.602 პაციენტთან, 52.029 (98.9%) იყო HCV ნეგატიური პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის მეთოდით, რაც 2020 წლის 90-95-95 მიზნის (121.837) 42.7%-ია.

განკურნების მაღალი მაჩვენებლი დაფიქსირდა ყველა გენოტიპის შემთხვევაში: 98.9% - I გენოტიპის, 98.9% - II გენოტიპის და 98.3% - III გენოტიპის შემთხვევაში. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, წარმოადგენს ე.წ. ძნელად სამკურნალო გენოტიპს. მყარი ვირუსული პასუხი მიღწეული იქნა ღვიძლის შორსწასული (F3 და F4) და მსუბუქი (≤ F2) ფიბროზით პაციენტების, შესაბამისად, 98.2%-სა და 99.1%-ში.

დასკვნა: საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პროგრესი C ჰეპატიტის ელიმინაციის თვალსაზრისით, რაც მდგომარეობს HCV ინფიცირებულ პირთა 60%-ზე მეტის გამოვლენასა და მათი დიდი ნაწილის მკურნალობაში განკურნების მაღალი მაჩვენებლით, მიუხედავად ფიბროზის სტადიისა. გამოწვევები რჩება HCV ინფიცირებული პირების იდენტიფიცირებისა და მათი მკურნალობაში ჩართვის თვალსაზრისით. მკურნალობაში ჩართვის გაუმჯობესებისა და HCV კასკადის ხარვეზების გამოსწორებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ანტივირუსული მკურნალობის ინტეგრირებული, დეცენტრალიზებული მოდელი, რომელიც უკვე დანერგილია ბევრ ლოკაციაზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება

მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით

ნინო შარაშიძე, პროფესორი, კათედრის ხელმძღვანელი

მაია ხუბუა, ასოცირებული პროფესორი

ნინო ლომია, ასოცირებული პროფესორი

ინგა ბოჭორიშვილი, ასისტენტ -პროფესორი

თინათინ სუპატაშვილი , ასისტენტ -პროფესორი

ნინო აგლაძე , ასისტენტ-პროფესორი

მოწვეული პედაგოგები : გულნარა აბულაძე, ირინა ჯაში, ირმა მაისურაძე, ლიანა რიგვავა

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1. SARS-COV-2 ით გამოწვეული ინფექციის შესახებ ინფორმირებულობის დონის შეფასება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ხელმძღვანელი: ნინო შარაშიძე, პროფესორი, კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების კათედრის ხელმძღვანელი; მონაწილეები: ნინო ლომია, მოწვეული ლექტორი, კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების კათედრა; თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები: გიორგი ბაზერაშვილი - კვლევის კოორდინატორი, გიორგი გაგუა, გიორგი წკრიალაშვილი, მარიამ ბელქანია, ნანო ბებია, სოფიო დოხტურიშვილი, ანა ღვინიაშვილი, გიორგი მილორავა, გიორგი ბაზერაშვილი, სალომე ქვათაძე, ქეთევანი ჯახტანიძე, თეა ლობჟანიძე, ნუცა ასათიანი, მარიამი ასპანიძე, გიორგი ალექსანაშვილი, ლეილა მაჩაიძე, ირა ქებაძე

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
კვლევა მიზნად ისახავდა SARS –COV-2 გამოწვეული ინფექციის რიგი საკითხების შესახებ ინფორმირებულობის დონის შეფასებას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის. სტუდენტთა საერთო რაოდენობის გათვალისწინებით განსაზღვრული იყო შერჩევის ზომა (573 სტუდენტი). გამოკვლევა ითვალისწინებდა სტუდენტთა გამოკითხვას სატელეფონო ინტერვიუს გზით. ინტერვიუსთვის გამოყენებული იქნება იყო მიერ მოწოდებული კითხვარის მოდიფიცირებული ვერსია. კითხვარის სტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს SARS-COV-2 ინფექციას შესახებ გაცნობიერება სხვადასხვა მიმართულებით: გავრცელება, გადაცემის გზები, დაავადების გამოვლინება, მკურნალობისა და პრევენციის მეთოდები. კვლევა იყო ანონიმური. სტუდენტების შერჩევა მოხდა დეპერსონალიზებული სატელეფონო ნომრების მიხედვით შერჩევითი რიცხვების გენერირების გზით. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება SARS-COV-2 ინფექციის პრევენციის სირთულეების გამოვლენისა და ღონისძიებათა შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებების დაგეგმვის თვალსაზრისით. სავარაუდოდ, ინტერვიუს კითხვების გააზრება ხელს შეუწყობს სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებას SARS-COV-2 ინფექციას შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და დაცვის ღონისძიებათა ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზების მიმართულებით.

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3.2. დასრულებული პროექტი
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

4. პატენტები
4.1. საერთაშორისო პატენტები:
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

4.2. ეროვნული პატენტები
1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

5) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1.

2) სტატიის სათაური, ISSN
1.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

5) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.3. კრებულები
1) ავტორები
1.

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

4) გვერდების რაოდენობა
1.
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. Berdzuli N, Lomia N, Staff AC, Lazdane G, Pestvenidze E, Jacobsen AF,

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. Audit of Early and Late Maternal Deaths in Georgia: Potential for Improving Substandard Obstetric Care doi:10.2147/IJWH.S288763

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Int J Womens Health. 2021;13:205-219. Published 2021 Feb 17.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. აშშ

5) გვერდების რაოდენობა
1. 14
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. Quality of care is an important factor in reducing preventable maternal deaths, yet it is a significant challenge in many countries. Substandard and poor quality of care is the leading factor in two-thirds of maternal deaths in European countries. Our study investigated the deaths of all women of reproductive age in 2012 in Georgia. The aim was to define the underlying causes of maternal deaths and to identify the factors in women's care which contributed to the fatal outcomes.A national Reproductive Age Mortality Survey was conducted in Georgia in 2014–15. Data from multiple sources was triangulated to identify all deaths of women of reproductive age. This was followed by verbal autopsy diagnoses. Each case of early and late maternal death was investigated through interviews and medical record reviews at the last medical facility providing care for the deceased woman. A specialist panel reviewed and assigned underlying causes of death, assessed the management of each woman's condition, and identified elements of suboptimal care.We identified a total of 23 maternal deaths, including 15 (65%) early and eight (35%) late deaths. The maternal mortality ratio was 26.3 per 100 000 live births. The four leading causes of early maternal deaths were: sepsis, hemorrhage, embolism, and pregnancy-induced hypertension. Embolism and sepsis were the direct causes of the eight late maternal deaths. Cancer, tuberculosis, and postpartum suicide constituted the indirect causes of death. Improvements in care which would have made a difference to the outcomes were identified in 87% of early maternal deaths and 67% of late maternal deaths due to direct obstetric causes. Delayed recognition and inappropriate management of maternal complications were common across almost all cases studied. The findings from Georgia highlight the conclusion that most maternal deaths were preventable and that improvement in obstetric care is urgently required

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1.
2) მოხსენების სათაური
1.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1.

2) მოხსენების სათაური
1.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1.
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება
კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
დიმიტრი კორძაია - კათედრის ხელმძღვანელი
ნოდარ ხოდელი - ასოცირებული პროფესორი
ზურაბ ჩხაიძე - ასოცირებული პროფესორი
ია კირალიძე - ასისტენტ-პროფესორი
ნანა გოიშვილი - ასისტენტ-პროფესორი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

ექსტრაკორპორული გულ-ფილტვის რეანიმაციისა და მულტიორგანული პერფუზიული კონსერვაციის უწყვეტი მოდელის ეფექტურობის დადასტურება (წინაკლინიკური კვლევა) (მეცნიერების დარგი - მედიცინა; სამეცნიერო მიმართულება - ხელოვნური სისხლმიმოქცევა კარდიორეანიმაციაში, ორგანოთა კონსერვაცია, სისხლის ტუმბო, პერფუზია).

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
2018-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ნოდარ ხოდელი - პროექტის ხელმძღვანელი
დიმიტრი კორძაია -ექსპერიმენტული საოპერაციო ჯგუფის მონაწილე
ზურაბ ჩხაიძე - ექსპერიმენტული საოპერაციო ჯგუფის მონაწილე
ნანა გოიშვილი - ექსპერიმენტის მორფოლოგიური ჯგუფის მონაწილე
ია კურვალიძე - ექსპერიმენტის მორფოლოგიური ჯგუფის მონაწილე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტი „**ექსტრაკორპორული გულ-ფილტვის რეანიმაციისა და მულტიორგანული პერფუზიული კონსერვაციის უწყვეტი მოდელის ეფექტურობის დადასტურება (წინაკლინიკური კვლევა)**“ ითვალისწინებს ექსტრაკორპორული გულ-ფილტვის რეანიმაციისა და მულტიორგანული პერფუზიული კონსერვაციის უწყვეტი მოდელის ეფექტურობის შეფასებას ექსპერიმენტში. კვლევა გულისხმობს ცხოველებში გულის გაჩერების მოდელირებას და გულ-ფილტვის ექსტრაკორპორული რეანიმაციის ჩატარებას პორტატული საპერფუზიო სისტემით; გულის შეუქცევადი გაჩერების (რეფრაქტერული ასისტოლია) მოდელირებას და პორტატული საპერფუზიო სისტემით პერფუზიის პროლონგირებას “in situ” ორგანოთა ნორმოთერმული, პერფუზიული კონსერვაციის უზრუნველყოფით.

პროექტის 2021 წლის ეტაპის ექსპერიმენტული ნაწილი, 2020 წლის მსგავსად, სრულფასოვნად ვერ განხორციელდა კორონავირუსთან დაკავშირებული რეგულაციებისა და ექსპერიმენტებში მონაწილე თანამშრომლების ავადობის გამო. ამიტომ მუშაობა წარიმართა საკუთარი კონსტრუქციის სისხლის ტუმბოს დახვეწაზე და მის გამოცდებზე სასტენდო ექსპერიმენტებში, და, ასევე, შესწავლილ იქნა მცირე ექსპერიმენტულ ცხოველებში ენდოკრინული ჯირკვლების (თირკმელზედა და ფარისებრი ჯირკვალი) მორფოლოგია მათი 4-8 სთ-იანი კონსერვაციის პირობებში.

კერძოდ, **საპერფუზიო სისტემის დახვეწისათვის:**

- განხორციელდა ტრანსფორმირებული პნევმოამძრავის ელექტრონული მართვის პულტის შემუშავება და მოდელის შექმნა. ჩატარდა მისი სტენდური გამოცდები;
- სისხლის ტუმბოს ფუნქციის შესასრულებლად გამოიცადა რამოდენიმე თანამედროვე ძრავი და მათგან შერჩეულ იქნა ოპტიმალური;
- გამოიცადა რამოდენიმე ვარიანტი გორგოლაჭოვანი ტუმბოს თავისა და მათგან შეირჩა ოპტიმალური. ამ ტესტირებებში ძირითადი მოთხოვნა იყო გორგოლაჭოვანი ტუმბოს მუშაობის უზრუნველყოფა რევერსირების რეჟიმში გარკვეული სიჩქარეების დროს;
- მოდერნიზებული ტუმბოს ბაზაზე აგებული საპერფუზიო სისტემის კონსტრუქციაში ტექნიკური ცვლილებების შეტანით, კერძოდ ორსაკნიანი ტუმბოს სისხლის საკნების მოცულობის ცვლით მიღწეულია შესაძლებლობა ასეთი ტუმბოს მრავალ ექსპერიმენტულ ცხოველზე გამოყენებისა, ვირთაგვიდან 50-60 კილოგრამიან ცხოველებამდე, მოხდა ხანგრძლივ ტესტირებაში ასეთი საპერფუზიო სისტემის გამოცდა.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

პროექტი „ახალი უნივერსალური საპერფუზიო მოწყობილობის საშუალებით ორგანოთა ტრანსპლანტატების “ex vivo” შენახვის/რეკონდიცირების მეთოდების ექსპერიმენტული კვლევა“. (FR-19-7543)
სამეცნიერო მიმართულებები: ორგანოთა მანქანური პრეზერვაცია, რეკონდიცირება, სისხლის ტუმბო, პერფუზია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
20202-2023 წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
ზურაბ ჩხაიძე - პროექტის ხელმძღვანელი
ნოდარ ხოდელი - კოორდინატორი
დიმიტრი კორძაია - მკვლევარი
ოთარ ფილიშვილი - მკვლევარი
ხავიერ პადილო - კონსულტანტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პირველი საანგარიშო პერიოდი მოიცავს დროს 2020 წლის მარტიდან 2021 წლის მარტამდე. კოვიდ ინფექციის ეპიდემიამ საგრძნობლად შეაფერხა სამუშაოები და გამოიწვია გარკვეული ცვლილებები პროექტში, მაგრამ ამ პერიოდისთვის მაინც შესრულებულია შემდეგი ამოცანები:

1. იმის გამო, რომ ორსაკნიანი სისხლის ტუმბოში სითხის გორგოლაჭვანი ამძრავი რევერსირებად რეჟიმში დიდმოცულობიანი პერფუზიის დროს იწვევდა სითხის არათანაბარ გადანაწილებას მკვრივ საკნებში მოგვიხდა ახალი თანამედროვე ნაბიჯოვანი ამძრავების გამოცდა და აგრეთვა გორგოლაჭოვანი თავების შემოწმება. შედეგად დადგინდა ოპტიმალური ვარიანტი ამძრავისა და გორგოლაჭოვანი თავისა. მოწყობილობა მთლიანობაში აიწყო სტენდზე და გამოიცადა ხანგრძლივ ცდებში სხვადასხვა დატვირთვით რეჟიმებში და ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში, რამაც მოწყობილობის სანდოობა გვიჩვენა.
2. შემუშავდა, შეიქმნა და სტენდზე გამოიცადა ამძრავის მართვის ელექტრონული ელემენტები;
3. დამზადდა კომპაქტური მოძრავი ურიკა-შტატივი, რომლის ქვედა ნაწილში დამონტაჟდა შექმნილი ორსაკნიანი ტუმბო მყარ კორპუსში თავისი ამძრავით;
4. შეიქმნა ტუმბოს მართვის კომპიუტერული პროგრამა;
5. შეიქმნა უნივერსალური საპერფუზიო მოწყობილობის (უსმ) მართვის კომპიუტერული პროგრამა;
6. შემუშავდა და შეიქმნა ორგანოთა განსათავსებელი რეზერვუარი, შიგთავსის წონისა და ტემპერატურის კონტროლით;
7. სრულიად საპერფუზიო მოწყობილობა ღვიძლის და თირკმელემის “ex vivo” პერფუზიისთვის გამოიცადა სტენდზე სითხეების ცირკულაციის დროს ჰიდროდინამიკურ მონაცემთა ფიქსირებით პლანშეტის ეკრანზე.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. ***ახალი საფაკულტეტთაშორისო ინტერდისციპლინური ტრანსლაციური ბიომედიცინა***

(მიმართულება - ჰეპატოლოგია) DP2016_22

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. **2017-2021**

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი - დიმიტრი კორძაია
   დოქტორანტები - ქეთი ცომაია, ლეილ აპატარაშვილი, ნინო ქარუმიძე
   ახალგაზრდა მეცნიერი - ელზა აზმაიფარაშვილი
   კონსულტანტი - ეკატერინა ერენპრაიზა

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **სამივე დოქტორანტმა დაამტავრა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა დაიცვა დისერტაცია:**

- ქეთი ცომაიამ - „ღვიძლის სტრუქტურული გარდაქმნები რეზექციისა და განმეორებითი რეზექციის შემდეგ (ექსპერიმენტული კვლევა)“ – 2021 წლის ივლისი
- ნინო ქარუმიძემ - "სხვადასხვა პათოლოგიის პირობებში ზრდასრული ვირთაგვას ღვიძლში კომპენსატორულ-ადაპტაციური მექანიზმების აქტივაციის თავისებურებები" – 2021 წლის ნოემბერი
- ლეილა პატარაშვილმა -: "ღვიძლის მატრიქსის არქიტექტონიკის თავისებურებები (ადამიანის, სხვა ძუძუმწოვრების და ფრინველების ღვიძლის შემაერთებელქსოვილოვანი ჩონჩხის შედარებითი დახასიათება)" - – 2021 წლის ივლისი

2. **პროექტი „დიგიტალიზაციის გამოყენებით გულ-ფილტვის შემოვლის აპარატის სისხლნაკადის მართვის ინოვაციური ტექნოლოგიისა და მოწყობილობის შემუშავება, დანერგვის შეთავაზება და ტრანსფერი“ (CARIS-19-1227) (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით)**

1. **სამეცნიერო დარგი“ მედიცინა; სამეცნიერო მიმართულებები: კარდიორეანიმაცია, კარდიოსინქრონული კონტრპულსაცია, მიოკარდიუმის განტვირთვა, ორგანოთა პრეზერვაცია,**

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

2020-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

ნოდარ ხოდელი - პროექტის ხელმძღვანელი
ზურაბ ჩხაიძე - კოორდინატორი
ოთარ ფილიშვილი - მკვლევარი
ნინო ინაური - მკვლევარი
გიორგი სტურუა - მკვლევარი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ძირითადი და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ერთწლიანი საანგარიშო პერიოდი მოიცავს დროს 2020 წლის ივნისიდან 2021 წლის ოქტომბრამდე (კოვიდ პანდემიის გამო პროექტის დასრულება გადავადებულ იქნა). საბოლოოდ პროექტი წარმატებით დასრულდა, რადგან შეიქმნა გულ-ფილტვის შემოვლის აპარატის სისხლნაკადის მართვის ინოვაციური მოწყობილობა, რომელიც გულგაჩერებულ პაციენტებში ექსტრაკორპორული რეანიმაციის პირობებში გულის მუშაობის აღდგენის შემდეგ, ეფექტურად და სარწმუნოდ განტვირთავს დაზიანებულ მიოკარდიუმს, რაც ზოგადად რეანიმაციის საერთო გამოსავალზე დადებითად იმოქმედებს და საგრძნობლად გააუმჯობესებს პოზიტიური შედეგების სტატისტიკას. აღსანიშნავია ისიც, რომ შექმნილმა ეპიდ მდგომარეობამ მსოფლიოში არ მოგვცა საშუალება მოწყობილობის ტრანსფერის განსახორციელებლად საზღვარგარეთ. მიუხედავად ამისა მოწყობილობის ექსპერიმენტული ნიმუში

მზადყოფნაშია მისი შეთავაზების მოგვიანებით განსახორციელებლად. ამჟამად მოწყობილობა ინახება მორფოლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქირურგიის ცენტრში და წარმატებით გამოიყენება ექსპერიმენტებში ცხოველებზე. პროექტის შესრულების პერიოდში გაკეთდა საპატენტო განაცხადი საქპატენტში. აღნიშნულ მოწყობილობაზე განხორციელდა საპატენტო ძიება, სხვა აუცილებელი საექსპერტო მოქმედებები და ამჟამად პატენტწარმოება დასრულების ფაზაშია.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები
3.1. გარდამავალი პროექტი

3.2. დასრულებული პროექტი
4. პატენტები
4.1. საერთაშორისო პატენტები:
4.2. ეროვნული პატენტები

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
5.2. სახელმძღვანელოები
5.3. კრებულები

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები
1. Ходели Н., Чхаидзе З., Шенгелия О., Сонгулашвили Д., Инаури Н. PMID: 34103449
2. Tsomaia K., Azmaiparashvili E., Gvidiani S., Bebiashvili I., Gusev S., Kordzaia D. PMID: 33658422
3. Patarashvili L, Azmaipharashvili E, Jandieri K, Gvidiani S, Tsomaia K, Kikalishvili L, Sareli M, Chanukvadze I, Kordzaia D. PMID: 33658421
4. L. Patarashvili, S. Gvidiani, E. Azmaipharashvili, K. Tsomaia, M. Sareli, D. Kordzaia, and I. Chanukvadze doi: 10.4254/wjh.v13.i11.1484
5. Elza Azmaiparashvili, Leila Patarashvili, Irakli Bebiashvili, Keti Tsomaia, Salome Gvidiani, David Tananashvili, Manana Kakabadze, Sergey Gusev, Dimitri Kordzaia https://doi.org/10.1111/joa.13441
6. Kiparoidze, Salome; Karumidze, Nino; Bakuradze, Ekaterine; Modebadze, Irina; Levan Rusishvili; Kordaia, Dimitri et al . DOI:10.32604/mcb.2021.015596
7. I.S.Bebiashvili, M.Sh. Kakabadze, S.M. Gvidiani, K.B. Tsomaya, S.A. Gusev, D.J. Kordzaia

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1. Совершенствование Перфузионного Потока Насосов Крови **PMID: 34103449**
2. Structural changes in rats` liver during the first 2 weeks following 2/3 partial hepatectomy. PMID: 33658422
3. Liver extracellular matrix peculiarities in mammals and avian **PMID: 33658421**
4. Porta-caval fibrous connections — the lesser-known structure of intrahepatic connective-tissue framework: A unified view of liver extracellular matrix doi: 10.4254/wjh.v13.i11.1484
5. Spatial architecture of biliary tree in mammals: Fractal and Euclidean geometric features. https://doi.org/10.1111/joa.13441
6. Study of Hepatocytes Polyploidization Peculiarities in Cholestatic Liver of Adult Rats DOI:10.32604/mcb.2021.015596
7. Features of ductular reaction for extrahepatic cholestasis in rats

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Georgian Medical News. 2021.#4(313). **IF 0,25**
2. Georgian Medical News, 01 Jan 2021, (310) **IF 0,25**
3. Georgian Medical News, 01 Jan 2021, (310) **IF 0,25**
4. World J Hepatol. 2021 Nov 27; 13(11) **IF 3,17**
5. Journal of Anatomy, First published: 04 April 2021 vol. 239, Issue3 **IF 2,610**
6. Molecular & Cellular Biomechanics; Forsyth Vol. 18, Iss. 3, (2021) **IF 0,34**
7. Bulletin of Experimental Biology and Medicine, 2021, Volume 172, No 12 IF 0.804

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. საქართველო.
2. საქართველო
3. საქართველო
4. USA
5.Wiley online library
6. Tech Science Press (TSP)
7. რუსეთი

5) გვერდების რაოდენობა
1. 158-162
2. 134-141
3. 124-133
4. 1484–1493.
5. 682-692
6. 131 138.
7. 774-779

ვრცელი ანოტაცია ქართულ ენაზე:

1. **შესავალი.** ბოლო წლების კვლევებმა აჩვენა, რომ გულ-ფილტვის ხელოვნური შემოვლის დროს პულსური ნაკადი გამორიცხავს პერფუზიის მთელ რიგ გართულებებს, რომლებიც თან ახლავს პერფუზიებს სისხლის უწყვეტი ნაკადით. მეორეს მხრივ, გორგოლაჭოვანი ან ცენტრიფუგული ტუმბოებით წარმოებული პულსირებადი პერფუზიები, რომლებიც რიგ მნიშვნელოვან გართულებებს იძლევა. მეორეს მხრივ, ეს ტუმბოები კლინიკურად აპრობირებულია და წარმატებით გამოიყენება მუდმივი სისხლის ნაკადის მისაღებად პერფუზიის დროს.

კვლევის მიზანი იყო პრეკლინიკური აპარატის შემუშავება და შექმნა, რომელიც გორგოლაჭოვანი და ცენტრიფუგული ტუმბოების ნაკადს პულსირებად ნაკადად გარდაქმნის.

მასალა და მეთოდები. შექმნილია ელექტრონულად კონტროლირებადი მოწყობილობა (პულსატორი), რომელიც გარდაქმნის გორგოლაჭოვანი და ცენტრიფუგული ტუმბოებით წარმოქმნილ სისხლნაკადს კარდიოსინქრონიზებულ პულსურ ნაკადად. ჩატარდა პულსატორის ტესტირება სტენდზე სხვადასხვა დატვირთვის რეჟიმში.

განსჯა. მოპულსირე კარდიოსინქრონიზებულ სისხლმიმოქცევასრომელსაც შემუშავებული პულსატორი უზრუნველყოფს, სტრესული მიოკარდიუმის ეფექტური, როგორც მოცულობითი, ისე წნევითი განტვირთვა შეუძლია.

დასკვნა. პულსაციის სიხშირის, სისტოლური-დიასტოლური ხანგრძლივობის, მკაფიო კარდიოსინქრონიზაციისა და იმპულსის დაწყების და შეწყვეტის კონტროლის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მიოკარდიუმის მოცულობით და წნევით განტვირთვას დამხმარე სისხლმიმოქცევის პირობებში.

2. კვლევის მიზანი - ჰეპატოციტების ზომისა და ფორმისა და სინუსოიდური ქსელის არქიტექტურის ცვლილებების გამოკვლევა ღვიძლის 2/3 რეზექციის შემდეგ 2 კვირიან დინამიკაში. ექსპერიმენტები ჩატარდა 190-200 გრამ წონის 16 ზრდასრულ მამრ ვირთაგვაზე, რომელთაც ჩაუტარდათ ღვიძლის 2/3 რეზექცია, ხოლო იმავე ვირთაგვის ღვიძლის რეზექცია განიხილებოდა როგორც კონტროლი. ჩვენ გამოვიკვლიეთ ღვიძლის ქსოვილი ჰისტოლოგიური, იმუნოჰისტოქიმიური, მორფომეტრიული მეთოდებით და სინუსოიდური კაპილარული ქსელის არქიტექტურა კოროზიული ტილოების ელექტრონული მიკროსკოპით. კვლევა ჩატარდა ოპერაციიდან 24 საათში, 48 საათში, 96 საათში, 1 კვირაში და 2 კვირაში. ღვიძლის აცინუსის პირველ და მესამე ზონებში ჰეპატოციტების ფორმა და ზომა იცვლება ექსპერიმენტის ვადის მიხედვით. ჰეპატოციტების ფორმისა და ზომის ცვლილებებით, იქმნება ახალი უჯრედშორისი კავშირები, მათ შორის დეფორმირებული მეზობელი ჰეპატოციტების ატიპიური მემბრანის გამონაზარდების ჩართვით. რეგენერაციიდან ერთი კვირის შემდეგ, კოროზიული ტილოების ელექტრონული მიკროსკოპული გამოკვლევა ავლენს სინუსოიდების ქსელს, რომელიც სივრცით განსაზღვრავს სხვადასხვა ფორმისა და ზომის ლობულებს, მათ შორის, რომლებიც, როგორც ჩანს, ორი "ნორმალური" ლობულის კომბინაციაა. ზედაპირული სინუსოიდები ხშირად შესამჩნევად გაფართოებულია (25 მკმ-მდე). გარდა ამისა, ზოგიერთ უბანში შეიმჩნევა მცირე დიამეტრის (6-7μm)

სინუსოიდური ჩამოსხმები უხეში ზედაპირით და პატარა კვირტის ფორმის გამონაზარდებით, რაც ხაზს უსვამს ზიგზაგის ფორმას. ღვიძლის ვენების შენაკადების არსებობა და მათთან დაკავშირებული დიდი სინუსოიდები, რომლებიც გვხვდება ცალკეულ უბნებში, ავლენს სისხლძარღვთა გაჩენის დამახასიათებელ თვისებას. მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ღვიძლის მასის აღდგენის მიუხედავად, რეგენერაციის პროცესი დასრულებული არ არის. რეგენერირებული ღვიძლი გადის ჰეპატოციტების ფორმისა და ზომის ტრანსფორმაციის მუდმივ პროცესს, ასევე სისხლძარღვთა ქსელის ტრანსფორმაციას, რაც საფუძვლად უდევს ღვიძლის ლობულების სივრცითი არქიტექტურის ცვლილებას.

3. ღვიძლის მატრიცის კვლევების ანალიზი ცხადყოფს, რომ ღვიძლის შემაერთებელი ქსოვილის ჩონჩხის შესახებ ცოდნა არ არის სისტემატიზებული, ტერმინოლოგია ურთიერთგამომრიცხავია და ზოგიერთი კომპონენტის აგების საკითხი ზოგჯერ იწვევს კამათს. ჩვენ დასახული გვაქვს მიზანი, შევისწავლოთ სხვადასხვა ძუძუმწოვრებისა და ფრინველების ღვიძლის შემაერთებელი ქსოვილის მატრიცის აგების თავისებურებები ამ სტრუქტურის ზოგადი და სპეციფიკური ნიმუშების იდენტიფიცირებისა და სისტემატიზაციის მიზნით. ძუძუმწოვრების ღვიძლი ნაღვლის ბუშტით (ღორი, ცხვარი) და ნაღვლის ბუშტის გარეშე (ვირთაგვები) და ფრინველები (შინაური ქათმები ნაღვლის ბუშტით) შესწავლილი იქნა ანატომიური პრეპარირების, ჰისტოლოგიის, ჰისტოქიმიის, ჰისტოტოპოგრაფიის, იმუნოჰისტოქიმიის, კოროზიული ტვიფრების ელექტრონული მიკროსკოპის სკანირების მეთოდებით და ფლუორესცენტული მიკროსკოპიით. ძუძუმწოვრებისა და ფრინველების ღვიძლში ვლინდება სხვადასხვა სისქის და შემადგენლობის შემაერთებელი ქსოვილის გარსები პორტული გზებისა და ღვიძლის ვენების ირგვლივ. ეს მემბრანები სხვადასხვა გზით არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ღვიძლის კაფსულასთან და შემაერთებელი ქსოვილის შიდალობულურ ქსელთან და ქმნის უჯრედგარე მატრიქსს, რომელიც აძლიერებს ღვიძლის ქსოვილის სტრუქტურას და ეხმარება ორგანოს შეინარჩუნოს მთლიანობა სხვადასხვა პათოლოგიურ პირობებში.

4. ღვიძლის შემაერთებელქსოვილოვანი სტრუქტურის შესახებ ცოდნა არ არის სისტემატიზებული, ტერმინოლოგია არათანმიმდევრულია და ზოგიერთი პერსპექტივა ღვიძლის მატრიცის კომპონენტების კონსტრუქციაზე წინააღმდეგობრივია. გარდა ამისა, მე-20 საუკუნის ბოლო ორ ათწლეულამდე ითვლებოდა, რომ ღვიძლის კარის გზებისა და ღვიძლის ვენების შემაერთებელქსოვილოვანი გარსები ღვიძლში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არიან და რომ ისინი ერთმანეთთან კონტაქტს არ ამყარებენ. პროფესორ შალვა თოიძისა და მისი კოლეგების მიერ 1970-იან წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ოპერაციული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის განყოფილებაში დაწყებული კვლევის შედეგებმა შეცვალა ეს წარმოდგენა. კერძოდ, ილია ჭანუყვაძემ აჩვენა, რომ ზოგიერთ მიდამოში, სადაც ისინი ერთმანეთს კვეთენ, დიდი პორტალური კომპლექსების შემაერთებელი ქსოვილის გარსები და ღვიძლის ვენები ერწყმის ერთმანეთს. ასეთი შერწყმის უბნებს ეწოდება პორტა-კავალური ბოჭკოვანი კავშირები (PCFC). ამ აზრის მიმოხილვა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ღვიძლის შემაერთებელი ქსოვილის ჩონჩხის სისტემატურ გაგებას და წარმოაჩინოს აქამდე დაუფასებელი PCFC, როგორც ნამდვილი სტრუქტურა მაღალი ბიოლოგიური და კლინიკური მნიშვნელობით. აღწერილია ღვიძლის შემაერთებელი ქსოვილის ჩარჩოს კომპონენტები - კაფსულები, ფირფიტები, გარსები, საფარები და განხილულია მათი ურთიერთკავშირი. მოცემულია PCFC-ის არსის ანალიზი და მისი სხვადასხვა ფორმების აღწერა. ასევე აღნიშნულია, რომ PCFC-ის სხვადასხვა ფორმის ანალოგები გვხვდება სხვადასხვა ძუძუმწოვრებში.

5. სხვადასხვა ორგანოებისა და სტრუქტურების ფრაქტალური არქიტექტურის შესწავლამ გააფართოვა მათი ფუნქციონირებისა და სტრუქტურული მოწყობის დიაპაზონის განსაზღვრის შესაძლებლობები, რაც, შედეგად, აისახა დიაგნოსტიკისა და თერაპიული ზემოქმედების ახალი მიდგომების შემუშავებაში. ექსკრეციული სადინრების სისტემების არქიტექტურა, ჰემო- და ლიმფური მიმოქცევის საწოლებისა და ბრონქული ხის მსგავსი, განიხილება ფრაქტალურად. ამავდროულად, ლიტერატურაში კვლავ ჩნდება ინფორმაცია ნაღვლის ხის აქამდე უცნობი სტრუქტურების შესახებ. ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ბილიარული ხის სივრცითი გეომეტრიის თავისებურებები და შეგვეფასებინა მისი ფრაქტალური და ევკლიდური მახასიათებლების მნიშვნელობა ისეთი მიდგომების შემუშავებისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ ინტრაჰეპატური ბილიარული ტრაქტის არქიტექტურის ყოვლისმომცველ აღწერას. ჩვენ გამოვიკვლიეთ ექვსი მამაკაცის, შვიდი მამრი ძაღლის და შვიდი მამრი ვირთაგვის ნაღვლის ხის არქიტექტურა კოროზიული ჩამოსხმის მეთოდის გამოყენებით. კოროზიის

ჩამოსხმა მომზადდა ნაღვლის სადინარებში გამაგრებული ლატექსის შეყვანით. პრეპარატები შევისწავლეთ მსუბუქი სტერეომიკროსკოპის და სკანირების ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენებით. ნაღვლის ხის განშტოება სხვადასხვა ტიპისაა. გარდა ამისა, კორელაცია ნაღვლის სადინრების კალიბრსა და სიგრძესა და მათ წესრიგს შორის არ არის მნიშვნელოვანი. ამიტომ ნაღვლის ხე არ უნდა ჩაითვალოს კლასიკურ ფრაქტალად, იგი შედგება ძირითადი მოდულებისაგან, რომლებიც წარმოდგენილია ნაღვლის არხების ქსელით (პირველი არაფრაქტალური მოდული) და ნაღვლის ხე ფრაქტალური განშტოებით (მეორე მოდული), რომელიც ადრენინებს ნაღველს, მილაკოვანი ბადისა და დამატებითი მოდულებისგან, რომლებიც წარმოდგენილია ლორწოვანის სანაღვლე ჯირკვლებით (ძუძუმწოვრებში ნაღვლის ბუშტით) ან პერიპორტალური ნაღვლის ბუშტით (ძუძუმწოვრებში ნაღვლის ბუშტის გარეშე) და აბერანტული სანაღვლე გზებით. ნაღვლის ბუშტის ასეთი კონფიგურაცია ოპტიმალურად უნდა უზრუნველყოფდეს ღვიძლის ფიზიოლოგიური ფუნქციის შეუფერხებლად განხორციელებას, აგრეთვე მის ადაპტაციას სხვადასხვა პათოლოგიებთან, რომელსაც თან ახლავს ბილიარული ჰიპერტენზია. ის ასევე შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დუქტულური რეაქციის, ბილიარული რეგენერაციის და/ან კანცეროგენეზის დიაგნოზსა და შეფასებაში.

6. ლიტერატურის მიხედვით, ღვიძლის რეგენერაციის ძირითადი მოდელების გამოყენებით (რეზექციის შემდეგ ან ქიმიურად ინდუცირებული) დადგენილია რეგენერაციული ზრდის განვითარების სხვადასხვა მექანიზმები და კინეტიკა. ამდენად, სხვადასხვა პათოლოგიურ პირობებში ადაპტაციურ-კომპენსაციის პროცესების ზოგადი კანონზომიერების დასადგენად, შესწავლილია ნაღვლის საერთო სადინარების ლიგირებიდან პირველი ოთხი დღის განმავლობაში ზრდასრული თეთრი ვირთხების ქოლესტაზურ ღვიძლში მიმდინარე პროცესები. ნაჩვენებია, რომ ქოლესტაზურ ღვიძლში კომპენსატორულ-ადაპტაციური პროცესები მიმდინარეობს სხვადასხვა კინეტიკით, ვიდრე რეზექციის შემდეგ. კერძოდ, ქოლესტაზის დროს დესტრუქციული პროცესებით გამოწვეული გაზრდილი ფუნქციური დატვირთვის საპასუხოდ, ღვიძლი ადრეულ ეტაპზე რეაგირებს მაღალი პლოიდური (ბირთვული ტეტრაპლოიდური) უჯრედების მარტივი გაყოფით და შემდგომ უზრუნველყოფს მათ რაოდენობრივ ზრდას. ქოლესტაზურ და რეზექტირებულ ღვიძლში მიმდინარე პროცესებს შორის სხვაობა უფრო გამოხატულია ნაღვლის საერთო სადინრის ლიგირების შემდეგ მესამე და მეოთხე დღეს. კერძოდ, 4c უჯრედები კვლავ ყველაზე მაღალია ქოლესტაზურ ღვიძლში, ხოლო ყველა პლოიდური უჯრედი თანაბარი რაოდენობით იმყოფება რეგენერირებულ ღვიძლში რეზექციის შემდეგ. რეპარაციული რეგენერაციისთვის დამახასიათებელი კომპენსატორული ზრდის ფაქტი აღნიშნულ თარიღში არ გამოვლენილა ქოლესტაზურ ღვიძლში.

7. დუქტულური რეაქცია ვითარდება ღვიძლის რეგენერაციის, ფიბროზის, კანცეროგენეზის პროცესში, თუმცა საკმარისად არ არის შესწავლილი სხვადასხვა პათოლოგიის დროს სადინრის პროფილების სახეები, წარმოქმნის ეტაპები და ტოპოგრაფია. ვირთაგვებში ნაღვლის საერთო სადინარის ოკლუზიის მოდელზე ნაჩვენებია, რომ სადინრის პროფილების რაოდენობა და ტოპოგრაფია მჭიდრო კავშირშია ნაღვლის სტაზის ხანგრძლივობასთან. ამ შემთხვევაში, სადინრის პროფილები შეიძლება განთავსდეს ღვიძლის კარის ტრაქტის შიგნით, უკვე არსებული სანაღვლე გზების გვერდით და/ან ინტრამურალურად, კარის ვენის ირგვლივ, პერიპორტალურად, ლობულების შიგნით, პორტოკავალური ფიბროზული ქსოვილის სისქეში, ღვიძლის ვენების ადვენტიციაში, პორტალური გზების დამაკავშირებელი ძგიდტტბის სისქეში, ასევე, ღვიძლის „კარის ფირფიტაში“. ახალი სადინრის პროფილების ფორმირება შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული ნაღვლის სადინარების გაფართოებით, ქოლანგიოციტების გამრავლებით, ასევე ჰეპატოციტების ტრანსდიფერენციაციისა და მეზენქიმული ღეროვანი უჯრედების გააქტიურების შედეგად.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
6.2. სახელმძღვანელოები
6.3. კრებულები
6.4. სტატიები
7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
7.2. უცხოეთში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება:
კლინიკური ქირურგიის კათედრა

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა
ხელმძღვანელის მითითებით:

*პროფესორი.: **მერაბ კილაძე***
ასოცირებული პროფესორი: ამირან ანთაძე
ასოცირებული პროფესორი: ვლადიმერ გონჯილაშილი
ასისტენტ პროფესორები: გიორგი ხეროდინაშვილი, გია ლურსმანაშვილი, შალვა გიუაშვილი, ოთარ კეპულაძე, გიორგი მამამთავრიშვილი, თორნიკე გვაზავა
მოწვეული პედაგოგები: ნინო ჩიქობავა, ნინო სოსელია, პაატა თუთბერიძე

1. ა) გიორგი დავითაშვილი (პროექტის ხელმძღვანელი) - სამეცნიერო ლიტერატურისა და საველე-ეთნოგრაფიული გზით მოპოვებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების შესწავლის საფუძველზე გამოვლენილი ტერმინების ანალიზი და განმარტება; ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების შესწავლის საფუძველზე იურიდიული ხასიათის ტერმინების მოძიება, კერძოდ, მ. კეკელიას მიერ სვანეთში, ხევში, მთიულეთში, იმერეთში, ხევსურეთში საველე-ეთნოგრაფიული გზით მოპოვებული მასალების, ასევე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული ტრადიციების ცენტრის „ქართული ჩვეულებითი სამართლის შემსწავლელი ლაბორატორიის“ თანამშრომელთა მიერ სვანეთში, ხევსურეთში, ფშავში, სამეგრელოში, ლეჩხუმში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში, მესხეთში, ქართლში საველე-ეთნოგრაფიული გზით შეკრებილი ქართული ჩვეულებთი სამართლის მასალების შესწავლის საფუძველზე. ბ) დავით ბოსტოღანაშვილი - ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების, კერძოდ, ალ. ოჩიაურის, ვ. ბარდაველიძის, თ. ოჩიაურის, მ. კედელაძის საარქივო მასალების მიხედვით, იურიდული ტერმინების მოძიება და ანალიზი. გ) ელზა ჩაჩანიძე - ქართული ჩვეულებითი სამართლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურიდან და საარქივო მასალებიდან, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას, ივ. ცისკარიშვილის მ. კოვალევსკის, რ. ერისთავის, ნ. ხიზანაშვილის, ალ. ხახანაშვილის, ბ. გაბურის, თ. სახოკიას, რ. ხარაძის, იბ. აბაშიძის და სხვა ავტორების ნაშრომებსა და მასალებში იურიდიული ტერმინების მოძიება და ანალიზი. დ) სულხან ონიანი - ქართული ჩვეულებითი სამართლის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურიდან და საარქივო მასალებიდან, კერძოდ, ბ. ნიჟარაძის, ეგ. გაბლიანის, ა. დავითიანის, დ. მარგიანის, ა. ონიანის და სხვათა ნაშრომებიდან და საარქივო მასალებიდან იურიდიული ტერმინების მოძიება და ანალიზი.

2. ლაშა ბრეგვაძე (პროექტის შემსრულებელი)

3. მარინა გარიშვილი - პროექტის შემსრულებელი, ელ. ვერსიის შემქმნელი, ტერმინების გამოწერა და ქრონოლოგიური და თემატური პრინციპებით დალაგება

4. გოჩა ფერაძე (რედაქტორი)

5. გოჩა ფერაძე (ავტორი)

6. ირინა აქუბარდია (პროექტის შემსრულებელი)

7. პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი დგებუაძე, პროექტის სამეცნიერო კოორდინატორები: მერაბ ტურავა, ედუარდ შრამი (იენის უნივერსიტეტის პროფესორი) და კლაუს კრესი (კიოლნის უნივერსიტეტის პროფესორი) პროექტის პარტნიორები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი / სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC) / ბილეფელდის უნივერსიტეტი / იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი / ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი / კიოლნის უნივერსიტეტი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2021 წელს პროექტის (ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის ტერმინოლოგიური ლექსიკონი) ფარგლებში მოხდა იმ იურიდიული ტერმინების მოძიება, ანალიზი და განმარტება, რომლებიც დაკავშირებულია შერიგების ინსტიტუტთან ქართულ ჩვეულებით სამართალში (ყოველწლიურად ქართული ჩვეულებითი სამართლის ტერმინების მოძიება და განმარტება ხდება თემატიკის მიხედვით). ზემოთაღნიშნული ავტორების სამეცნიერო ნაშრომებისა და საარქივო მასალების საფუძველზე პროექტის მონაწილეებმა მოიძიეს შერიგების ინსტიტუტთან დაკავშირებული ტერმინები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიხედვით. კერძოდ, ეს არის ტერმინები დაკავშირებული შუამავლის/შუაკაცის, შუამავლობის/შუაკაცობის ინსტიტუტთან მთელი საქართველოს მასშტაბით, შერიგების პროცესთან, შერიგების უზრუნველყოფის გარანტიებთან დაკავშირებით ქართულ ჩვეულებით სამართალში. მოძიებული და განმარტებული იქნა იურიდული ტერმინები, რომლებიც დაკავშირებულია სვანეთში მორვებით შერიგებასთან, ასევე შერიგების ისეთ ხალხურ ფორმებთან, როგორიცაა სახლში შეძღოლა ლუფხვილებით, სახლში შეძღოლა ლუფხვილების გარეშე და სხვა. ასევე, მოძიებული და განმარტებული იქნა იურიდული ტერმინები ხევსურეთში მკვლელობისა და დაჭრა-დასახიჩრების შემთხვევაში შერიგების პროცესთან დაკავშირებით, კერძოდ, ე.წ. რიგის ყენებასთან, მიწადშაე საკლავის მიყვანასთან, საგვარო, სადედო, საქალო, სამმო რიგთან, ბიძაშვილების პირშესამყრელოსთან, ჯვარში შეჯდომასთან, თოფის აღებასთან, მკვლელის და მისი

ოჯახის წევრების მოკლულის ოჯათან შერიგებასთან, თავის გათავებასთან, პატივის მიცემასთან, ერთად შეყრასთან, თაოპირად გარიგებასთან დაკავშირებით. დამატებით იქნა მოძიებული ტერმინები აჭარაში „მიცვალებულის შეწირვასთან“, როგორც შერიგების კომპონენტთან დაკავშირებით, ასევე მოძიებული იქნა ტერმინები ხევში მკვლელობის შემთხვევაში მკვლელისა და მოკლულის გვარების, მოკლულის ოჯახთან უშუალოდ მკვლელის შერიგების პროცესთან დაკავშირებით. ქართულ ჩვეულებით სამართალში შერიგების ინსტიტუტთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურასა და საარქივო მასალაში მოძიებულ და შემდეგ განმარტებულ იქნა ასამდე ტერმინი.

ლაშა ბრეგვაძემ 2021 წლის განმავლობაში გააგრძელა მუშაობა გრძელვადიან კვლევით პროექტზე, რომლის სახელწოდებაცაა „სამართლიანობის თანამედროვე თეორიები“. პროექტი შედგება ოთხწლიანი ფაზისგან. პროექტის თითოეულ ერთწლიან ფაზაში მუშავდება სამი კონკრეტული თეორია სამართლიანობის შესახებ. პროექტის მიზანია 12 კონკრეტული თეორიის ირგვლივ კონცენტრირებული მასალის შეჯერება, კრიტიკული ანალიზი და ტექსტთა კორპუსის შედგენა, რაც საბოლოო ჯამში გამოყენებული იქნება სასწავლო მიზნებისთვის. 2021 წელს მოძიებულ და დამუშავებულ იქნა მასალები შემდეგი სამი თეორიის შესახებ: უტილიტარიზმი, დისკურსის თეორია და დეკონსტრუქტივიზმი. ეს თანამედროვე თეორიები სამ განსხვავებულ სამართლებრივ კულტურაში ჩამოყალიბდა და განვითარდა: თანამედროვე უტილიტარიზმის სამშობლოდ ინგლისი ითვლება. დისკურსის თეორია გერმანიაში განვითარებული უახლესი პერსპექტივაა. დეკონსტრუქტივიზმის იდეა კი საფრანგეთიდან იღებს სათავეს. ჯერემი ბენთამის და ჯონ სტიუარტ მილის კლასიკური ნაშრომების ანალიზთან ერთად ყურადღება დაეთმო უტილიტარიზმის თაობაზე დღევანდელი შეხედულებების და აქტუალური ავტორების ნაშრომთა დამუშავებას. მონოგრაფიულ გამოკვლევებთან ერთად, მოძიებულ იქნა თემატურ კრებულებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები. დისკურსის თეორიასთან დაკავშირებით დამუშავებულ იქნა იურგენ ჰაბერმასის ნაშრომები, ასევე კლაუს გიუნთერისა და რაინერ ფორსტის (ჰაბერმასის მოსწავლეთა) ნაშრომები. დეკონსტრუქტივიზმტან დაკავშირებით კი შესწავლილ იქნა ჟაკ დერიდას გახმაურებული ნაშრომი – „სამართლის ძალა: ხელისუფლების მისტიკური საფუძველი“. კვლევითი პროექტის საბოლოო შედეგი იქნება მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისთვის ახალი სასწავლო კურსის შეთავაზება, რომელიც დაეფუძნება სწორედ ამ პროექტის ფარგლებში გამოცემულ წიგნს. წიგნი გააერთიანებს სამართლიანობის 12 ყველაზე რეზონანსულ და აქტუალურ თეორიას, რომელთაც მოდერნულობის პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი. რასაკვირველია არ იქნება უგულებელყოფილი ანტიკურობისა და შუა საუკუნეების თეორიული ნააზრევიც, თუმცა ნაშრომის თითოეული თავი კონცენტრირებული იქნება სწორედ ახალ დროზე. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ასევე სამართლიანობის შესახებ ჩამოყალიბებულ უახლეს პერსპექტივებს, რაც მოიცავს პოსტმოდერნულ თეორიებსაც.

ქართული სამართლის წყაროები შეიცავენ უმდიდრეს იურიდიულ ტერმინოლოგიას, რომელიც ენციკლოპედიური ლექსიკონის ფორმატში, საჭიროებს განმარტებას და ქრონოლოგიური და საგნობრივი პრინციპით, სისტემატიზირებას. აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ქართული სამართლის ისტორიის, რომანისტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტის აკადემიურმა პერსონალმა გაინაწილა კონკრეტული სამართლის ძეგლები და მოახდინა მათი ელ. ვერსიების შექმნა და ტექსტიდან სამართლებრივი ტერმინები ამოკრება. ამგვარი სამუშაო შესრულდა დიდი სჯულის კანონის მიმართ.

გოჩა ფერაძე არის რედაქტორი თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ეგიდით გამომავალი მრავალტომეულის „სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები“. ამჟამად მიდის მუშაობა კრებულის მეხუთე ტომზე, რომელიც ეძღვნება XX საუკუნის გამოჩენილი ქართველი სამართლის ისტორიკოსის, პროფესორ მიხეილ კეკელიას ხსოვნას. მიმდინარეობს ღვაწლმოსილი მეცნიერის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის (სამეცნიერო შრომების, პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული წერილების, საჯარო გამოსვლების) ამსახველი მონაცემების შეგროვება. რედაქტირების ეტაპზეა კოლეგების (იურისტების, ისტორიკოსების), მიერ კრებულში გამოსაქვეყნებლად გადმოგზავნილი სამეცნიერო შრომები.

გოჩა ფერაძე აგრძელებს მუშაობას მონოგრაფიის “პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში“, II ნარკვევზე, რომელიც რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1803 წლის ბრძანებით საქართველოში პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ბრალმდებლის, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებს ეძღვნება. უნდა აღინიშნოს რომ მოცემულ ეტაპზე სამეცნიერო ლიტერატურასა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით, უკვე მოძიებული და დადგენილია XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში არამარტო ქართულ გუბერნიებში (თბილისის, ქუთაისის), არამედ ზოგადად კავკასიის სამეფისნაცვლოში მომსახურე ქართველ პროკურორთა აბსოლუტური უმრავლესობის პირადი და სამსახურებრივი მონაცემები, მუშაობა მიმდინარეობს მათი წვლილის წარმოსაჩენად რეგიონის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კვლევაში (ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეფექტური ფუნქციონირების სამართლებრივი გარანტიები) განხილულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, იდენტიფიცირებულია საქმის განხილვის დროს გამოვლენილი პრობლემები, განსაკუთრებით აქცენტირებულია ვერდიქტის დაუსაბუთებლობის საკითხი, ნაფიც მსაჯულთა ე.წ. „ნულიფიკაციის“ პრობლემა, მედიის ზეგავლენა ნაფიც მსაჯულებზე და ა.შ. გამოთქმულია რეკომენდაციები კანონმდებობის სრულყოფის მიზნით. ირინა აქუბარდია ამჟამად მუშაობს საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების, ეროვნული და ევროპული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის კუთხით. ნაშრომის დასრულება დაგეგმილია 2022 წლის იანვარ-თებერვალში.

საქართველოში საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი განსაკუთრებით გაიზარდა, მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაიწყო გამოძიება საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილ დანაშაულებზე. ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „საქართველოს სიტუაცია“ გამოსაყოფია, ვინაიდან, ეს არის სასამართლოს პირველი პრეცედენტი: (1) აფრიკის კონტინენტის გარეთ; (2) საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში; (3) გაეროს უშიშროების საბჭოს წევრის ქვეყნის ,,სავარაუდო მონაწილეობით“. მხოლოდ კანონიერი, სისხლის სამართლის პრინციპებზე დამყარებული მართლმსაჯულება უზრუნველყოფს როგორც საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობას, უშიშროებასა და კეთილდღეობას.

საქართველომ რომის სტატუტის რატიფიცირება 2003 წელს მოახდინა, რითიც სასამართლოს 2003 წლის 1 დეკემბრიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ან მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ გენოციდის, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე იურისდიქცია მიანიჭა. შესაბამისად, იგი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მონაწილე სახელმწიფოა. საერთაშორისო სისხლის სამართლის სახით სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების პრევენციული საერთაშორისო ,,მექანიზმი“ ამართლებს მისი შექმნის უმთავრეს იდეას - აღსრულების პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმებით პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სისხლისსამართლებრივ დევნას. სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სწორ პოლიტიკაზე საერთაშორისო სისხლის სამართალია პასუხისმგებელი. ასეთი სისტემის გამოყენება საქართველოს სიტუაციისათვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის გულისხმობს კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივ დევნას ,,კოლექტიური ძალისხმევით“ ჩადენილი დანაშაულებისათვის. ამ დროს, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ცნება უნდა განიმარტოს ფართოდ, როდესაც ბრალდებულს, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო გავლენა მოეხდინა დანაშაულებრივ შედეგზე. ორგანიზებული ძალაუფლების სტრუქტურის მიერ ჩადენილი დანაშაულები ერთიანად, ფართო მნიშვნელობით უნდა იყოს განხილული, როგორც ინდივიდუალური აქტი - სისხლის სამართლის უმთავრესი პრინციპების ,,ფრთხილი“ გამოყენებით.

სამეცნიერო პროექტის მიზანია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დოქტრინისა და პრაქტიკის ანალიზი, განსაკუთრებით, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ისეთ მნიშვნელოვან ენდემურ საკითხებზე, როგორებიცაა: ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები); ომის დანაშაული (მატერიალური და მენტალური ელემენტები, განსაკუთრებით, ის სტანდარტები,

რომლებიც ჩამოყალიბდა ამ დანაშაულებზე ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ); კომპლემენტარულობის პრინციპი; კონკრეტული დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვა; იმუნიტეტი, ოფიციალური თანამდებობრივი მდგომარეობის საკითხი.

საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ხუთთვიანი სამუშაო-კვლევითი ვიზიტი ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში, ოთხთვიანი სამეცნიერო-კვლევითი მივლინება იენის უნივერსიტეტში, კიოლნის უნივერსიტეტსა და მაქს-პლანკის საზღვარგარეთისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტში, აგრეთვე, ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და პრაქტიკოსი იურისტების მონაწილეობით საზაფხულო-საზამთრო სკოლები თსუ-ის სტუდენტებისათვის, ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სამუშაო შეხვედრა საქართველოსა და გერმანიაში.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები
2. ძველი ქართული იურიდიული ტერმინოლოგია
3. ქართული სამართლის ძეგლების თარგმანი ინგლისურ და რუსულ ენებზე. (ვახტანგის სამართლის წიგნის (მეორე ნაწილი) ინგლისური თარგმანი; რუის-ურბნისის ძეგლისწერის (მეორე ნაწილი) რუსული თარგმანი
4. ”ღია საზოგადოების ფონდი”-ს (OSGF) საგრანტო პროექტი: ”კანონშემოქმედება - თეორიული და პრაქტიკული ასპექტები - სახელმძღვანელოს შექმნა”. მიმართულება - სამართლის მეთოდები; საკონსტიტუციო სამართალი
5. საქართველოს მუნიციპალური სამართალი - სახელმძღვანელო, საკონსტიტუციო სამართლის მიმართულება
6. საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტი: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის კომენტარი, სისხლის სამართლის მიმართულება
7. საუნივერსიტეტო საგრანტო ყოველწლიური პროექტი: რელიგიური დანაშაული
8. თსუ გრანტის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტი: „ქმედების საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დაუფლებით დანაშაულად კვალიფიკაციის საკითხები (კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)“
9. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის შესავალი ნაწილისა და დასკვნითი ნაწილის რუსულ ენაზე თარგმნა და სამართლებრივი ტერმინოლოგიის გამოყოფა
10. „ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII საუკუნეების საქართველოში“
11. „საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი)“, სისხლის სამართალი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021
2. 2021
3. 2021
4. 2019-2021
5. 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე
6. 2020-2021
7. 2021
8. 2021 წ. 1 იანვარი - 2021 წ. 31 დეკემბერი
9. 2021 წელი
10. 2020-2021
11. 2020-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მე-12 წიგნის ქართულ თარგმანი შეასრულეს: ნ. სურგულაძემ (1, 2, 3,4, 5 და 7 თავები) და გ. რუსიაშვილმა (მე-6 თავი); მე-13 წიგნის ქართულ თარგმანი შეასრულეს: ნ. სურგულაძემ (1, 2, 3, 4 თავები), მ. შუხოშვილმა (მე-5 და მე-6 თავი), მ. ხოფერიამ (მე-7 თავი). შესავალი წერილი და შენიშვნები თარგმანს დაურთო ნ. სურგულაძემ. ლექსიკონი შეადგინეს ნ. სურგულაძემ და მ. შუხოშვილმა, საძიებლები შეადგინეს ნ. სურგულაძე, მ. ხოფერიამ და ა. წიგნაძე. გამოცემის რედაქტორები: ნ. სურგულაძე (მთავარი რედაქტორი), დ. ბოსტოღანაშვილი და მ. გარიშვილი.
2. ვახტანგის სამართლის წიგნზე მუშაობდნენ: ნ. სურგულაძე, გ დავითაშვილი და მ. ხოფერია, ხოლო კათალიკოსთა სამართლის წიგნზე - მ. გარიშვილი და ა. წიგნაძე.
3. ვახტანგის სამართლის წიგნის ინგლისურ თარგმანზე მუშაობდნენ: ნ. სურგულაძე, მ. რუსეიშვილი, ქ. სურგულაძე, ა. წიგნაძე; რუის-ურბნისის ძეგლისწერა რუსულად თარგმნეს: მ. გარიშვილმა, გ. დავითაშვილმა, დ. ბოსტოღანაშვილმა.
4. ზურაბ მაჭარაძე, ანა ნაცვლიშვილი, ვახტანგ ხმალაძე - ავტორები; გიორგი კვერენჩხილაძე - რედაქტორი.
5. ა) ნანა ჭიღლაძე - პროექტის ხელმძღვანელი ბ) ვასილ გონაშვილი - მონაწილე გ) ირაკლი კახიძე - მონაწილე.
6. თანაავტორები: ა) მ. ტურავა – თსუ პროფესორი; ბ) მ. ივანიძე (თანაავტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი) – თსუ პროფესორი; გ) ნ. თოდუა – თსუ პროფესორი; დ) მ. შალიკაშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი; ე) ლ. ფაფიშვილი – თსუ პროფესორი; ვ) ი. ხერხეულიძე – თსუ მოწვეული ლექტორი; ზ) თ. ცქიტიშვილი – თსუ ასისტენტ-პროფესორი; თ) ლ. ხარანაული – თსუ ასისტენტ-პროფესორი; ი) გ. ჩაკვეტაძე – თსუ ასისტენტი; კ) ი. აქუბარდია – თსუ ასოცირებული პროფესორი; ლ) ი. დვალიძე – თსუ ასოცირებული პროფესორი.
7. მაია ივანიძე (ავტორი).
8. ნონა თოდუა - პროექტის ავტორი.
9. მარინა გარიშვილი - პროექტის შემსრულებელი, რუსულ ენაზე მთარგმნელი, ელ. ვერსიის შემქმნელი, ტერმინების გამოწერა და ქრონოლოგიური და თემატური პრინციპებით დალაგება.
10. ნუგზარ სურგულაძე, გოჩა ფერაძე (რედატორები)
11. ა) ირაკლი დვალიძე, სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; ბ) ლევან ხარანაული, სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი; გ) გიორგი თუმანიშვილი, სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; დ) თემურ ცქიტიშვილი, სამართლის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი; ე) გიორგი ჩაკვეტაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2021 წელს ძველი ქართული სამართლის, რომანისტიკისა და სამართლის ისტორიის ინსტიტუტის ფარგლებში ნუგზარ სურგულაძის ხელმძღვანელობით შესრულებული იქნა საფაკულტეტო გრანტით გათვალიწინებული სამი პროექტი. გამოსაცემად მომზადებული იქნა იუსტინიანეს დიგესტების მე-12-13 წიგნების ქართული თარგმანი (თარგმანი ლათინური ენიდან, შესავალი წერილი, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი). აღნიშნული ნაშრომებში განხილულია ძირითადად კონდიქციური სარჩელები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები და ინსტიტუტები. 2021 წელს პროექტის ფარგლებში დამუშავებული იქნა ქართული სამართლის ორი მნიშვნელოვანი ძეგლი (სამართალი ბატონიშვილისა ვახტანგისა და კათალიკოსთა სამართალი). პროექტის მიზანია შესწავლილი იქნეს შუა საუკუნეებში შედგენილი ქართული სამართლის წიგნები და კანონთა კრებულები. თითოეული წყაროს შესწავლისას მოძიებული იქნას ძეგლში მოცემული ყველა სამართლებრივი შინაარსის ტერმინი, დაფიქსირებულ და ამოწერილ იქნას მოცემულ წყაროში თითოეული იურიდიული ტერმინის ხმარების ყველა შემთხვევა და ამის შედეგად დადგინეს ტერმინის მნიშვნელობა/მნიშვნელობები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული

სამართლის ძეგლების ინგლისურ ენაზე თარგმანს, რაც დაეხმარება უცხოელ მეცნიერებს ძველი ქართული სამართლისა და კულტურის გაცნობისა და შესწავლის საქმეში.

კვლევითი პროექტის (”კანონშემოქმედება - თეორიული და პრაქტიკული ასპექტები - სახელმძღვანელოს შექმნა”) შედეგად შეიქმნა მონოგრაფია - „კანონმდებლობის შექმნა. თეორია და პრაქტიკა“. მონოგრაფია აუდიტორიას წარმოდგენას შეუქმნის თანამედროვე სახელმწიფოში კანონის არსსა და დანიშნულებაზე, კანონშემოქმედებითი პროცესის ამოცანებზე, პრინციპებსა და მეთოდებზე, ასევე რეგულირების გავლენის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი ნებისმიერი, განსაკუთრებით კი ტოტალიტარული წარსულისაგან გათავისუფლებული საზოგადოებისათვის, უპირველესად ქმედითი დემოკრატიული და სამართლებრივი ინსტიტუტებისა თუ მექანიზმების შექმნას უკავშირდება. სახელმწიფოებში, და მათ რიგებს საქართველოც განეკუთვნება, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურისა თუ გამოცდილების დეფიციტს განიცდიან, მოხდა დემოკრატიული რეფორმების დიდწილად გაიგივება სამართლებრივ რეფორმებთან. შესაბამისად, ხსენებულმა გარემოებამ განაპირობა კანონშემოქმედებითი პოლიტიკის გააქტიურება, კანონმდებლობის ინტენსიური შექმნა და სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი აქტების - კონსტიტუციური, ორგანული და ორდინარული კანონების, კანონის ძალის მქონე თუ კანონქვემდებარე აქტების მიღება-გამოცემა.

კანონმდებლობა სამართლის გადმოცემის, მისი გამოხატვის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა და მას არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. უპირველესად, სწორედ კანონმდებლობა წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და ადამიანის უფლება-თავისუფლებათა აღიარება-გარანტირების ქმედით მექანიზმს. ამასთან, ქართული კანონმდებლობის შექმნის პროცესის ანალიზი ცხადყოფს, რომ მიღებული სამართლებრივი აქტების გარკვეული ნაწილი ხარვეზიანია, სრულყოფილად ვერ პასუხობს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს გამოწვევებს, რაც, თავის მხრივ, ართულებს დასახული მიზნის მიღწევას და არაერთ პრაქტიკულ პრობლემას განაპირობებს.

თანამედროვე ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივი პრაქტიკისათვის ხილულია კანონშემოქმედებისა თუ კანონმდებლობის აღსრულების პროცესში არსებული მრავალფეროვანი პრობლემატიკა, რასაც, უპირველესად, განაპირობებს არამდგრადი პოლიტიკური გარემო, კანონმდებლობის შექმნის პროცესში სახელმწიფოსა და ადამიანის როლის არასრულყოფილი გააზრება და, რაც მთავარია, თავად კანონშემოქმედების პროცესის ხარისხი. ამასთან, სასიცოცხლოდ აუცილებელია კანონმდებლობის შექმნის პროცესი ეფუძნებოდეს გამჭვირვალე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით წარმართულ საკანონმდებლო პროცესს, რაც, უდავოდ, ამცირებს ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების რისკს და, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს დემოკრატიულ ლეგიტიმაციას. თავის მხრივ, სწორედ ხსენებული გარემოებებითა და არსებული პრაქტიკითაა ნაკარნახევი კანონმდებლობის შექმნის პროცესისადმი პოლიტოლოგიისა თუ იურისპრუდენციის ინტერესი.

„კარგი კანონი“ უზრუნველყოფს ხელისუფლების ბოჭვას ადამიანის უფლება-თავისუფლებებით და ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს პოლიტიკური ნების რეალიზებას. შესაბამისად, „კარგი კანონის“ მიღება, რომელიც დემოკრატიულ საკანონმდებლო პროცედურებს ეფუძნება, თანამედროვე სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, სახელმძღვანელოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმად „კანონშემოქმედებითი საქმიანობის საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელება ამ ორგანოს პრივილეგია კი არ არის, არამედ იმ ხალხის დაცვის მექანიზმია, რომელთა უფლებრივ მდგომარეობასაც განსაზღვრავს კანონები და ვისგანაც კანონის მიღების კომპეტენცია წარმოდგება“ (2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება, II-36).

კანონმდელობის შექმნის პროცესი უდავოდ აქტუალურია ქართული სახელმწიფოსთვის, რომელიც ჯერ კიდევ ტრანზიციის ეტაპზე იმყოფება კონსოლიდირებული დემოკრატიის მიმართულებით. ამ პროცესში მძაფრად ვლინდება კანონშემოქმედების, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციის მიზანი, რაც დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების ხელშეწყობას გულისხმობს.

სწორედ ზემოხსენებული პრობლემების სისტემურ გააზრებას ეძღვნება ხსენებული ნაშრომი. მასში დეტალურადაა განხილული არა მხოლოდ კანონშემოქმედების თეორიული ასპექტები, ძირითადი პრინციპები და ცნებები, არამედ წარმოჩენილია ის პრაქტიკული ნაკლოვანებები, რაც ახასიათებს ქართულ საკანონმდებლო პროცესს, საკანონმდებლო აქტების მომზადების, განხილვის, მიღებისა თუ პრომულგაციის სტადიებზე. ნაშრომი გვაწვდის საგულისხმო ინფორმაციას კანონისა და კანონშემოქმედების არსის, ნორმის ენის, კანონის განმარტების მნიშვნელობისა და ხერხების თაობაზე, რეგულირების ზეგავლენის შეფასების (RIA), განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურებისა თუ „ნეგატიური“ კანონმდებლის მნიშვნელობაზე, ასევე კანონშემოქმედებასთან და საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე.

ნაშრომი გახლავთ ერთგვარი „მოძღვრება კანონზე“, რომელიც უცილობლად დააინტერესებს მკითხველთა ფართო წრეს და ღირებულ წვლილს შეიტანს ქართული პოლიტიკურ-სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების პროცესში.

თანამედროვე იურიდიული სკოლის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაში, სპეციალიზაციის ეტაპზე, საკონსტიტუციო სამართლის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო კურსებს შორის ერთ-ერთი „საქართველოს მუნიციპალური სამართალია.“ მიუხედავად მისი მნიშვნელობისა საუნივერსიტეტო განათლებაში და, ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობის როლისა დემოკრატიული სახელმწიფოს ცხოვრებაში, უახლესი, აქტუალურ კანონმდებლობასა და პრაქტიკას მორგებული სახელმძღვანელო არ არსებობდა.

წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორებმა, საფაკულტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში, მოამზადეს შესაბამისი ტექსტი, რომელიც მზადდება გამოსაცემად. იგი საშუალებას მისცემს სტუდენტებს შეისწავლონ და გაითავისონ მუნიციპალიზმის არსი და ძირეული პრინციპები, მისი დამკვიდრების და განვითარების ეტაპები საქართველოში, ცალკეული ინსტუტუტები და ინსტრუმენტები, რომლებიც ქმნიან რეალური ადგილობრივი თვითმმართველობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას ქვეყანაში.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი პირობა და პოლიტიკური სისტემის განვითარების ხარისხის საზომია. ქართულ რეალობასთან მუნიციპალური დემოკრატიის შესისხლხორცების პროცესი დასრულებული არაა. საქართველოში ადგილობრივი მართვის გაჯანსაღების მცდელობა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა, თუმცა მის დასრულებას არაერთი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი უშლის ხელს. ქართული სისტემა შორსაა სრულყოფილებისგან და დღესაც რეფორმირების პროცესშია. შესაბამისად, შემოთავაზებული სახელმძღვანელო, იმავდროულად პასუხის გაცემის მცდელობაა მითითებულ პრობლემებზე.

სახელმძღვანელო განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, საჯარო მოსამსახურეებისთვის, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოხელეებისთვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

სახელმძღვანელოში, პირველ რიგში, განხილულია ის ისტორიული რეალობა, რომელიც ქართულ სახელმწიფოს დაუგროვდა ათვლის წერტილიდან დღემდე. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი იმ მოკლევადიან, მაგრამ ფასდაუდებელი გამოცდილებას, რომელიც 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში დაგროვდა და რომელმაც ღირებული ასახვა ჰპოვა იმ პერიოდის მოაზროვნეთა სხვადასხვა ფორმის ნაშრომებში. მათ მსჯელობის საგნად აქციეს მთელი რიგი მექანიზმები, რომლებსაც იცნობდა, ძირითადად, ევროპული პრაქტიკა და რომელთაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უნდა უზრუნველეყოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური ფუნქციონირება, რაც დემოკრატიული პროცესების აუცილებელი პირობა იყო.

საქართველოს მუნიციპალური სამართლის სახელმძღვანელო შემუშავებულია ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში გამოქვეყნებული ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე. სახელმძღვანელოს მომზადებისას გამოყენებულ იქნა როგორც საქართველოს კანონმდებლობა, აგრეთვე მუნიციპალიტეტების ნორმატიული აქტები. სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებიც. სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროპული ქარტიის

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და ქარტიის დამატებითი ოქმის დებულებების განმარტებას.

სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი საკითხები:

- დეცენტრალიზაციის კონცეფცია - დეცენტრალიზაციის კონცეფციის განმარტება, დეცენტრალიზაციის ფორმების და სახეები, დეცენტრალიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები.
- სუბსიდიარობის პრინციპი - სუბსიდიარობის კონცეფციის ისტორიული და თანამედროვე გაგება, სუბისიდიარობის პრინციპის შეფარდების სტანდარტი და გამოწვევები, სუბისიდიარობის პრინციპი როგორც კონსტიტუციური პრინციპი.
- ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები - უფლებამოსილებების და ფუნქციების გამიჯვნა, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების კონცეფცია და მოდელები, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების სახეები (საკუთარი და დელეგირებული, სამანდატო და ნებაყოფლობითი), ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების მოცულობა და მისი განსაზღვრის პრინციპები, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები საქართველოში.
- სახელმწიფო ზედამხედველობა - სახელმწიფო ზედამხედველობის კონცეფციის განმარტება, სახელმწიფო ზედამხედველობის სახეები (დარგობრივი და სამართლებრივი ზედამხედველობა) და მიზნები, სახელმიწფო ზედამხედველობის დრო - წინასწარი და შემდგომი ზედამხედველობა, სახელმწიფო ზედამხედველობა საქართველოში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების შეწყვეტა და დათხოვნა, პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები და ქონება - ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური ავტონომიის კონცეფცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები და ქონება საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონება.
- ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვის გარანტიები - ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციური დაცვის გარანტიები და მათი სახეები. ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვის სამართლებრივი და ინსტიტუციური გარანტიები საქართველოში.
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების და მუნიციპალიტეტების მერების არჩევის წესი და მასთან დაკავშირებული ქართული გამოწვევები.
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობა - ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობა, მოქალაქეთა მონაწილეობის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები, ევროპული ქარტიის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ დამატებითი ოქმი, მოქალაქეთა მონაწილეობის სახეები და ფორმები, მოქალაქეთა მონაწილეობა საქართველოში.
- მრავალდონიანი მმართველობა - სახელმწიფოს მართვის თანამედროვე ტენდენციების მიმოხილვა, მრავალდონიანი მმართველობის კონცეფცია, მრავალდონიანი მმართველობის სახეები, სამხარეო საკონსულტაციო საბჭო საქართველოში.

სახელმძღვანელოში ცალკე თავი ეთმობა საქართველოს დედაქალაქის – თბილისის სტატუსს, სადაც განხილულია თბილისის დღეს არსებული სამართლებრივი მდგომარეობა, დედაქალაქის უფლებამოსილებები, რომელიც შედარებულია მუნიციპალიტეტის უფლებებთან და თვითმმართველობის კოდექსის მიღებამდე არსებულ კანონმდებლობასთან.

განხილულია ქ. თბილისის ექსკლუზიური უფლებამოსილებები, დელეგირების წესი, თბილისის ორგანოები, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებები, საკრებულოს სხდომები, საკრებულოს სტრუქტურა, თბილისის აღმასრულებელი ორგანოების სისტემა, თბილისის მერის სამართლებრივი მდგომარეობა, თანამდებობიდან გადაყენების წესი, უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები, თბილისის მთავრობა, მისი სტრუქტურა, ფორმირების წესი და უფლებამოსილება, ადმინისტრაციული ერთეულები - რაიონები, რაიონის გამგეობების სტატუსი.

ფართოდ არის გადმოცემული მუნიციპალიტეტის ორგანოები - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, საკრებულოს უფლებამოსილებები სხვადასხვა სფეროებში, ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევის წესი, საკრებულოს ბიურო, კომისიები, სამუშაო ჯგუფები, საკრებულოს ფრაქციები, თანამდებობის პირები, საკრებულოს წევრის სტატუსი, მერის სტატუსი და უნდობლობის გამოცხადების წესი, უფლებამოსილება, მერის წარმომადგენელი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

თვითმმართველობის კონსტიტუციური გარანტიები წარმოჩენილია გარკვეულწილად შედარებითი ანალიზის საფუძველზე, კონსტიტუციური რეფორმების კონტექსტში, დიდი ადგილი ეთმობა მათ შესაბამისობას ევროპულ სტანდარტებთან - „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიასთან და მის დამატებით ოქმთან. განხილული 2010 და 2017 წლების კონსტიტუციური რეფორმების შედეგები, როდესაც თვითმმართველობის შესახებ თავი დაემატა კონსტიტუციას და სათითაოდ არის გამოკვეთილი თვითმმართველობის ყველა კონსტიტუციური გარანტია: სუბსიდიარობის პრინციპი, ფინანსური სახსრების შესაბამისობა, ორგანოების არჩევითობა, აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულება, თვითმმართველი ერთეულის ფორმირების წესი, თვითმმართველობის ცნება, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხთა ორგანული კანონით მოწესრიგება, უფლებამოსილებების გამიჯვნის პრინციპი, ე.წ. ნარჩენი უფლებამოსილების საკითხი, საკუთარი უფლებამოსილებები, უფლებამოსილების დელეგირების წესი, სამართლებრივი ზედამხედველობა, თვითმმართველი ერთეულის ქონება, თვითმმართველი ერთეულის ორგანიზაციული მოწყობისა და საკადრო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლობა, სხვა თვითმმართველ ერთეულთან თანამშრომლობა, თვითმმართველ ერთეულებთან კონსულტაციის პრინციპი, გადაწყვეტილების სავალდებულობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილებები ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის და მისი დამატებითი ოქმის რატიფიცირების შესახებ ითვალიწინებენ ტერიტორიულ დათქმას და არ იღებენ პასუხისმგებლობას ქარტიის ნორმების გავრცელებაზე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში.

სახელმძღვანელო დაბეჭდილი, გავრცელებული და გამოყენებული იქნება 2022 წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

თანამედროვე სისხლის სამართალი მუდმივად განიცდის სიახლეებს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თითოეული მუხლის შინაარსის სწორი ინტერპრეტაცის და კომენტარი. სისხლის სამართლის მიმართულების პროფესორების მიერ მომზადდა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი. მაია ივანიძის მიერ დამუშავებული იქნა დანაშაულის ჩადენის სტადიები – დაუმთავრებელი დანაშაული. კერძოდ, დანაშაულის მომზადება, დანაშაულის მცდელობა, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. თითოეული მუხლის კომენტარი მოიცავს კონკრეტული მუხლის შინაარსს, (თავისი შემადგენელი ნაწილებით), ასევე მოცემულ საკითხზე სასამართლო პრაქტიკის განხილვასა და შედარებითსამართლებრივ ანალიზს. აღნიშნული ნაშრომი გათვალისწინებულია სტუდენტებისა და პრაქტიკოსი იურისტებისთვის. ირინა აქუბარდიას მიერ შესრულებულ იქნა სსკ მე-17[1] (რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი) და სსკ 29-ე (დამნაშავის შეპყრობა) მუხლების კომენტარი. თითოეული მუხლის კომენტარი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ა) მუხლის დისპოზიცია; ბ) სარჩევი; გ) საკითხების გაშლა (ყოველ ჯერზე მსჯელობის დაწყებამდე დაკონკრეტებულია მუხლის რომელ ნაწილს ეხება კომენტარი); დ) რეკომენდაციები (მუხლის პერსპექტივა). სსკ მე-17[1] მუხლთან (რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტირი) მიმართებით დამატებით ყურადღება გამახვილებულია მუხლის შემოღების მოკლე ისტორიაზე. სსკ 29-ე მუხლის კომენტარისას კი მატერიალური და საპროცესო ნორმების შეჯერების საფუძველზე დამატებით განხილულია დამნაშავის შეპყრობის და დაკავების ურთიერთგამიჯვნის პრობლემები. სსკ–ის მე-17[1] მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება, 29-ე მუხლი კი ორი ნაწილისაგან. შესაბამისად, გამოყოფილია თითოეული ნაწილის კომენტარი. ნაშრომში გამოყენებულია სათანადო სპეციალური ლიტერატურა. კვლევა შესრულდა შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით. შესაბამისად, გაანალიზებულ იქნა სხვა ქვეყნების, კერძოდ, აშშ-ს, გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისი მუხლები. ორივე მუხლის კომენტირებისას განხილულია იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები, გაანალიზებულია სხვადასხვა ავტორთა შეხედულებები

პრობლემურ საკითხებზე, გაკეთებულია დასკვნები და გამოთქმულია წინადადებები და რეკომენდაციები სსკ მე-17[1] და 29-ე მუხლების სრულყოფის თაობაზე.

ნაშრომი (რელიგიური დანაშაული) ეძღვნება რელიგიისა და სამართლის, კერძოდ, სისხლის სამართლის ურთიერთობის საკითხს. კვლევაში გადმოცემულია რელიგიური დანაშაულის ისტორიულ ხასიათი, ასევე წარმოდგენილია საეკლესიო სამართლის არსი და მნიშვნელობა. ძველ ქართულ სამართლის ძეგლებში მოძიებული წყაროები მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ეკლესიისა და სამართლის ურთიერთობის შესახებ. მათი განზოგადებით შეიძლება დავასკვნათ, რელიგიური დანაშაული ყველა ქართული სამართლის ძეგლში იყო ასახული. ისინი თავიანთი შინაარსით ქართულ ტრადიციებს შესანიშნავად წარმოაჩენენ. ნაშრომში ასევე განხილულია რწმენის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიები. რელიგიური დანაშაულის საერთაშორისო ხასიათი და მნიშვნელობა წარმოდგენილია იმ კონკრეტულ საქმეებით, რომელიც განხილულია მოცემულ კვლევაში. თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლი იცავს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ რწმენის თავისუფლებას. ამდენად, რწმენის თავისუფლება და საქართველოს სისხლის სამართლის კანმონმდებლობა მოცემული კვლევის ცალკე თავშია განხილული. რწმენის თავისუფლების შედარებითსამართლებრივი ანალიზი საძიებელ საკითხს ფართო სპექტრით წარმოაჩენს. ნაშრომში განხილულია ყველა სახის რელიგიური დანაშაული, რომელიც ძველ ქართულ სამართლის ძეგლებში იყო ასახული და დღეს ჩვენი ქვეყნის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსითაც არის გათვალისწინებული. ნაშრომი მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისითაც.

ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლის - რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერის ელ. ვერსიის შექმნა, მისი რუსულ ენაზე თარგმნა და ტექსტიდან იურიდიული ტერმინოლოგიის სისტემატიზირებას ქრონოლოგიური და თემატური პრინციპით.

პროფესორ გიორგი ნადარეიშვილის დაბადებიდან 95 წლისთავთან დაკავშირებით ინგლისურ ენაზე ითარგმნა და გამოსაცემად მომზადდა მონოგრაფია: „ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII საუკუნეების საქართველოში“. ეს უაღრესად საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი ქართულ ენაზე გამოცემულია ჯერ კიდევ 1959 წელს და დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს (205 გვერდი).

პროექტის („საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით (კომენტარი)) პერსონალის მიერ შესრულდა შესაბამისი მუხლების კომენტარების ძირითადი ნაწილი, რომლებიც ამ ეტაპზე ექვემდებარება რედაქტორის (ირაკლი დვალიძის) მიერ სამეცნიერო კონტროლს, ცვლილებებისა და დამატებების შეტანას, როგორც თეორიული, ისე ტექნიკური კუთხით.

ირაკლი დვალიძის მიერ კომენტირებულია სსკ-იხ 182-ე და 186-ე მუხლები, ასევე ის ძირითადი დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც საერთოა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში. ზემოაღნიშნული მუხლების კომენტირებისას დამუშავდა სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა, კრიტიკულად იქნა განხილული მეცნიერთა მოსაზრებები და შესწავლილი იქნა სასამართლოს გადაწყვეტილებანი. დიდი შრომა იქნა გაწეული კომენტარის სამეცნიერო-შინაარსობრივ გამართულობასა და ავტორთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებში კოლიზიური შეხედულებების აღმოხვრაზე. ამასთან საკმაოდ დრო და ენერგია დაეთმო ტექსტის ენობრივ მხარეს, მის სტილისტურ და ტექნიკურ გამართულობას.

კვლევის პროცესში მითვისებასა და გაფლანგვასთან დაკავშირებით (სსკ-ის 182-ე მუხლი) წარმოჩინდა მრავალი ხარვეზი, რომელიც გამოწვეულია დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობების არასწორი გააზრებით. რაც ყველაზე არსებითია, დეტალურად გაანალიზდა აღნიშნული დანაშაულების არამხოლოდ ძირითადი შემადგენლობანი, არამედ დამამძიმებელი გარემოებანი და დანაშაულთა კონკურენციის საკითხები.

სსკ-ის 186-ე მუხლთან მიმართებით გამოითქვა მრავალი ახალი შეხედულება, რომელიც არ ფიქსირდება სამეცნიერო ლიტერატურაში. გაანალიზებულია პრედიკატული დანაშაულისა და დანაშაულში თანამონაწილეობის მიმართება აღნიშნულ დანაშაულთან.

ლევან ხარანაულის მიერ კომენტირებულია სსკ-ის 177-ე და 178-ე მუხლები. დასახელებული ნორმების დამუშავების პროცესში გამოყენებულია ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე საკანონმდებლო, მათ შორის, სასამართლო პრაქტიკა. აღნიშნული ნორმების დახასიათება განხორციელდა დანაშაულის ზოგადი სისტემის მიხედვით, რა დროსაც დაწვრილებით გაანალიზდა მოცემული დანაშაულებში ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.

ნაშრომში ცალკე გამოიყო ზემოთ დასახელებული დანაშაულების გამოვლენის ფორმები და გაანალიზებულია ნორმათა კონკურენციის საკითხები, ქურდობა და ძარცვა გამიჯნულია სხვა მომიჯნავე დანაშაულებისგან.

გარდა ამისა, განხილულ მუხლებში არის მეცნიერული დაკვირვების შედეგად ისეთი შეფასებები, რაც მეცნიერთა მიერ ამ მუხლების გარეშემო მანამდე ჩამოყალიბებულ მოსაზრებებთან არ მოდის შესაბამისობაში.

ნაშრომში ცალკე გამოიყო ზემოთ დასახელებული დანაშაულების გამოვლენის ფორმები და გაანალიზდა ნორმათა კონკურენციის საკითხები, სადაც აღნიშნული ნორმები გამიჯნულია სხვა მომიჯნავე დანაშაულებისგან. კომენტარებში მოტანილია პრაქტიკული მაგალითები და ხაზგასმულია მათთან დაკავშირებულ ცალკეულ პრობლემურ საკითხებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

თემურ ცქიტიშვილის მიერ კომენტირებულია სსკ-ის 179-ე, 180-ე, და 185-ე მუხლები. აღნიშული მუხლების დასამუშავებლად მან მოიძია ქართულენოვანი და გერმანული ლიტერატურა, გააანალიზა სასამართლო პრაქტიკა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების გათვალისწინებით. ზემოაღნიშნული მუხლების კომენტირებისას გაანალიზებულია შესაბამისი ნორმატიული მასალა, კრიტიკულად იქნა განხილული სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული მეცნიერთა მოსაზრებები. ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული ქურდობის და თაღლითობის, თაღლითობის და მოტყუებით ქონებრივი დაზიანების, ყაჩაღობის და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულთა შემადგენლობების გამიჯვნის საკითხზე.

გიორგი თუმანიშვილის მიერ კომენტირებულია სსკ-ის 181-ე, 183-ე და 182[2] ზემოხსენებული მუხლების კომენტარებზე მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული გერმანულ სისხლის სამართალის კანონმდებლობაში არსებული ანალოგიური ხასიათის დანაშაულის შემადგენლობებსა და გერმანულ (სხვადასხვა ინსტანციის) სასამართლო პრაქტიკაზე. აღნიშნული წყაროების შესწავლით გამოვლინდა მთელი რიგი აქტუალური პრობლემებისა და დაისახა მათი გადაჭრის გზები, რომლებიც არც ქართულენოვან ლიტერატურაში და არც სასამართლო პრაქტიკაში ამ ეტაპზე არ მოიძიება.

კვლევის პროცესში კრიტიკულადაა განხილული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები აღნიშნული დანაშაულების კვალიფიკაციის ცალკეულ პრობლემურ საკითხებზე. წარმოჩინდა ის ხარვეზები, რაც ახასიათებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურას და დაისახა პრობლემის გადაჭრის ახლებური გზები.

გიორგი ჩაკვეტაძის მიერ კომენტირებულია სსკ-ის 187-ე, 188-ე, 189-ე და 189[1] მუხლები. აღნიშნული მუხლების კომენტირებისას მოძიებული შესაბამისი ქართული და უცხოური ლიტერატურა, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებები. გადმოცემულია ინტელექტუალური და სამრეწველო საკუთრების სფეროში არსებულ ტერმინთა განმარტება. გაანალიზებულია ეროვნული კანონმდებლობა. მაგალითად, საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“; საქართველოს 1999 წლის 23 ივნისის კანონი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“; საქართველოს 1999 წლის 5 თებერვლის „საქართველოს საპატენტო კანონი“; საქართველოს 1999 წლის 22 ივნისის კანონი „ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ“. საქართველოს 2010 წლის 4 მაისის კანონი „დიზაინის შესახებ.“ ასევე გაანალიზდა საერთაშორისოსამართლებრივი აქტები: 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია (საქართველო შეურთდა 1995 წლის 16 მაისს); შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ რომის კონვენცია (საქართველო შეურთდა 2004 წლის 14 აგვისტოს) და სხვ.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. ფუნდამენტური კვლევების კონკურსი, რუსეთისმცოდნეობა თემა: XIX საუკუნის რუსული წერილობითი წყაროები და საისტორიო ლიტერატურა საქართველოს შესახებ

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021-2024 წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ა) მარინა გარიშვილი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ძველი ქართული სამართლის ისტორიის, რომანისტიკის (რომის კერძო სამართლის), სამართლის ისტორიის ინსტიტუტი; ბ). დალი კანდელაკი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, რუსეთისმცოდნეობის ინსტიტუტი; გ) ანა მანაგაძე, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტი, რუსეთისმცოდნეობის ინსტიტუტი; დ) ირაკლი თხილაიშვილი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი, რუსეთისმცოდნეობის ინსტიტუტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის მიზნის მისაღწევად პირველ ეტაპზე აუცილებელია რუს ავტორთა ნაშრომების თარგმნა ქართულად. თარგმანისას უცხო სიტყვათა განმარტებების დამუშავება და კომენტარების დამუშავება; მეორე ეტაპზე განხორციელდება რუსულენოვანი თარგმნილი მასალის შედარება ქართულ, რუსულ და უცხოენოვან პირველწყაროებთან, საისტორიო და სამეცნიერო ლიტერატურასთან, ასევე მასალების ფართო სპექტრთან. პარალელურად მოხდება ბიბლიოგრაფიის შედგენა, ჯგუფის წევრების მიერ სტატიების მომზადება ჟურნალებში გამოსაცემად და მოხსენებების მომზადება სამეცნიერო ფორუმებისათვის; კვლავ გაგრძელდება უცხო სიტყვათა განმარტებების და კომენტარების დამუშავება. მესამე ეტაპზე მოხდება მონოგრაფიის წინასიტყვაობის, შესავალი ნაწილის, უცხო სიტყვათა განმარტებების, კომენტარების, საძიებლების და რუსულ/ინგლისურენოვანი რეზიუმეების მომზადება და მონოგრაფიის რედაქტირება. დასრულებული კვლევის შედეგი ანუ მონოგრაფია დასამტკიცებლად წარედგინება დარგობრივ (თსუ იურიდიული და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების) სარედაქციო/საგამომცემლო საბჭოებს და დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ მონოგრაფია გამოიცემა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით და განთავსდება თსუ ინტელექტუალური ნაშრომების რეპოზიტორში და თსუ ციფრულ ბიბლიოთეკაში.

კონკრეტულ თემის - XIX საუკუნის რუსული წერილობითი წყაროები და საისტორიო ლიტერატურა საქართველოს შესახებ - კვლევის შედეგებით - ბეჭდური და ელვერსიის სახით გამოქვეყნებული ორტომეული მონოგრაფიით, რეიტინგულ და არარეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებით, საქართველოსა და უცხოეთში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებზე წაკითხული მოხსენებებით, რომელშიც ობიექტურად შეფასდება საქართველოს ისტორიული წარსული, ამაღლდება თანამედროვე როგორც ქართველი, ასევე უცხოური საზოგადოების ცნობიერება. მონოგრაფიის მეორე ტომში განთავსებული რუსული და ინგლისურენოვანი რეზიუმეები (თითოეული 40 გვერდამდე), საშუალებას მისცემს უცხოელ მკითხველს და სამეცნიერო წრეებს წარმოდგენა შეექმნას რუსი საჯარო მოხელეების, საზოგადო მოღვაწეების და მოგზაურების მიერ დაწერილ საქართველოს ისტორიაზე. მონოგრაფიის გამოცემის შემდეგ თსუ-ს „ნორჩ ჰუმანიტართა სკოლაში“ და საქართველოს სხვადასხვა რაიონში სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეებისათვის წაკითხული ლექციებით, ახალგაზრდა თაობა გაიგებს არაერთ სიახლეს და საინტერესო ფაქტს საკუთარი ქვეყნის ისტორიიდან. მონოგრაფიის გამოცემით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანთ ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი, XIX საუკუნის ოთხი რუსი ავტორის - ალექსეი ერმოლოვის, პლატონ ზუბოვის, ორესტ ევეცკისა და ნიკოლაი

დუბროვინის - ნაშრომებს, შესაბამისად, გავამდიდრებთ საქართველოს ისტორიის რუსულენოვანი წყაროების ბაზას.

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.
2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1.
2.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
2.
დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1. მეცნიერების დარგი/სამეცნიერო მიმართულება: სამართალი, კონკურენციის სამართალი პროექტის დასახელება: Digital Cooperation Fellowship დამფინანსებელი ორგანიზაცია: ალექსანდრე ვონ ჰუმბოლდტის ფონდი ქვეყანა: გერმანია
2. მეცნიერების დარგი/სამეცნიერო მიმართულება: სამართალი, კონკურენციის სამართალი პროექტის დასახელება: 2 თვიანი გრანტი მაქს პლანკის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტისაგან დამფინანსებელი ორგანიზაცია: მაქს პლანკის შედარებითი და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტი ქვეყანა: გერმანია
3. მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ინსტიტუტის სტიპენდია
4. „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალის“ (http://lawjournal.ge/) რედაქტორობა
5. გერმანულ-ქართული ონლაინ ლექსიკონი. დაფინანსებულია საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის (IRZ) მიერ
6. გერმანულ-ქართული ელექტრონული სისხლის სამართლის ლექსიკონი, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ)
7. „გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“ - ელექტრონული ჟურნალი - Deutsch-Georgische Strafrechtszeitchrift (DGStZ), სისხლის სამართალი, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ), გერმანია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. პროექტის დაწყების წელი: 2021 წელი, პროექტის დასრულების წელი: 2021 წელი
2. პროექტის დაწყების წელი: 2022 წელი, პროექტის დასრულების წელი: 2022 წელი
3. 2020-2021
4. 2019-
5. დაწყება სექტემბერი 2021 - გრძელდება 2022 წელსაც
6. პროექტის დაწყება - ნოემბერი 2021
7. 2015 - დღემდე

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. გიორგი ცერცვაძე - გრანტის მიმღები პირი, მკვლევარი
2. გიორგი ცერცვაძე - გრანტის მიმღები პირი, მკვლევარი
3. თამარ ზარანდია (სტიპენდიანტი)
4. მთავარი რედაქტორები: ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი, პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი, ასოც. პროფ. ლადო სირდაძე, სამუშაო ჯგუფი: ნინო ქავშბაია; თათია ჯორბენაძე; ანა ბაიაძე; ტილმან სუტორი
5. მორის შალიკაშვილი (პროექტის შემსრულებელი)
6. მაკა ხოდელი (ერთ-ერთი ავტორი)
7. თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი, სამართლის დოქტორი ანრი ოხანაშვილი, ჟურნალის მთავარი რედაქტორი - Schriftleiter. პროექტს გერმანული მხრიდან კოორდინაციას უწევენ ასევე: ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფ. მარტინ ჰეგერი და ებერჰარდ კარლის თიუბინგენის უნივერსიტეტის პროფ. ბერნდ ჰაინრიხი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის გამო, ჰუმბოლდტის ფონდმა, მეცნიერებს, რომლებიც წინა წლებში უკვე ფლობდნენ მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გრანტს, რომელიც გამოცდილი მეცნიერებისთვისაა განკუთვნილი, მისცა შესაძლებლობა, ონლაინ ემუშავათ სამთვიან კვლევით პროექტზე, რომლებიც ფონდის მიერ წინასწარ იქნა შერჩეული. რადგან გიორგი ცერცვაძე უკვე იყო მათი გრანტის მფლობელი, რომლის ფარგლებშიც კონკურენციის სამართლის სახელმძღვანელოზე იმუშავა 2017-2020 წლებში, ამჯერადაც მიეცა საშუალება ემუშავა პროექტზე, რომელიც საქართველოს კონკურენციის სამართლის სამართლებრივ და ეკონომიკურ გავლენებს ეხება. დასრულების შემდეგ, ნაშრომი ხელმისაწვდომი იქნება, როგორც ელექტრონულად, ასევე ბეჭდური სახითაც.

2021 წლის ოქტომბერში, გიორგი ცერცვაძეს ეცნობა, რომ მისი საკვლევი პროექტი, რომელიც ევროკავშირის პრაქტიკის მნიშვნელობას ეხება ქართული კონკურენციის სამართლის აღსრულებისთვის, შერჩეული იქნა და კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება, მისთვის საინტერესო, აქტუალური საკითხი, ჰამბურგში, მაქს პლანკის შედარებითი და კერძო სამართლის ინტიტუტში იკვლიოს. გრანტი ორ თვიანია, რომლის ფარგლებშიც შეუძლია იკვლიოს აღნიშული საკითხი.

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერება გაჯერებულია გერმანული სამართლებრივი ტერმინოლოგიით, ასევე, ცნობილია ნეოლოგიზმები, რომელიც ქართველმა მეცნიერებმა დაამკვიდრეს სისხლის სამართალში. გერმანული გავლენა დღესაც ნათლად ჩანს ქართულ სისხლის სამართალზე.

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კოდექსი ძირითადად ეფუძნება გერმანულ მოდელს. გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალს შორის ბევრი მსგავსების მიუხედავად, განსხვავებებიც არსებობს, განსაკუთრებით ტერმინოლოგიაში. ეს განსხვავებები კი ართულებს გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ღრმა საგნობრივი დისკუსიის წარმართვას. ხშირად არაა ადვილი სამართლებრივი ტერმინის თარგმნა. საჭიროა მათი შინაარსობრივი განმარტება, ახსნა. რადგან ერთი და იგივე ტერმინების უკან ხშირად იმალება სხვადასხვა იურიდიული კონსტრუქცია.

ეს დაბრკოლება გადაილახება პროექტის საფუძველზე შექმნილი გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ლექსიკონით. პროექტის მიზანია, გამოიკვეთოს მსგავსება და განსხვავებები გერმანულ და ქართულ სისხლის სამართალს შორის კონცეპტუალური ანალიზის საფუძველზე. შედეგად, სისტემატიზირებული სახით იქნება წარმოდგენილი მეცნიერებისა და პრაქტიკისთვის ნებისმიერ დროს უფასოდ ხელმისაწვდომი ერთიანი ნაშრომი. ელექტრონული ლექსიკონი მნიშვნლოვენ წვლილს შეიტანს ორ ქვეყანას შორის სამეცნიერო დიალოგის შენარჩუნებასა და გაღრმავებაში.

მრავალწლიანმა პროექტმა („გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი“) ფუნქციონირება დაიწყო 2015 წლის 8 ოქტომბრიდან, როდესაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში ოფიციალურად დაარსდა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი. 2016 წელს, პროექტის ფარგლებში შეიქმნა გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის ორენოვანი (გერმანულ-ქართული) ელექტრონული გვერდი. ჟურნალი ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე -

www.dgstz.de და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის უფასოდ. ჟურნალის საიტიდან გამოქვეყნებული პუბლიკაციების ჩამოტვირთვაც უფასოა.

ასეთი სახის ელექტრონული ჟურნალი საქართველოს ისტორიაში პირველია სისხლის სამართლის სფეროში, რომელმაც ძირითადად ხელი უნდა შეუწყოს ქართული სისხლის სამართლის ევროპეიზაციას. ჟურნალის მიზანია ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკის დაახლოება და შედარებით ანალიზის წარმოება, რომელიც ხორციელდება გერმანელი და ქართველი სისხლის სამართლის პროფესორების სამეცნიერო ნაშრომების ამ ჟურნალში გერმანულ და ქართულ ენებზე გამოქვეყნებით. ჟურნალის მიზანია ასევე, სამეცნიერო წერის კულტურის ამაღლება სისხლის სამართლის მიმართულებით. ჟურნალი ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესორებზე, არამედ, ასევე დოქტორანტებსა და სტუდენტებზე და სისხლის სამართლის სპეციალისტებზე.

2021 წელს, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალის ფარგლებში, მომზადდა და გამოიცა ჟურნალის ოთხი ელექტრონული გამოცემა. ოთხივე გამოცემაში, ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და სისხლის სამართლის სპეციალისტების ავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები ეძღვნებოდა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის დოგმატურ და აქტუალურ საკითხებს.

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. EU4Justice („პენიტენციური სისტემის გაძლიერება დანაშაულის განმეორების პრევენციის მიზნით“)
2. DAAD სამეცნიერო-კვლევითი სტიპენდია (Research Stays for University Academics and Scientists 2021 (57552334)); სისხლის სამართალი, გერმანია.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2020-2021
2. 01/07/2021 - 31/08/2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მორის შალიკაშვილი (პროექტის შემსრულებელი)
2. პროექტის ავტორი - სამართლის დოქტორი, მაკა ხოდელი LL.M (Freiburg); სამეცნიერო ხელმძღვანელი - ბერლინის ჰუმბოლდტ-უნივერსიტეტის პროფესორი მარტინ ჰეგერი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

EU4Justice პროექტის ფარგლებში, შეიქმნა სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისთვის, სახელწოდებით ,,დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები“.

ფარული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში კვლევის ახალი სფეროა. ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს სამეცნიერო ლიტერატურა, რამდენადაც ფარული საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლიდან გაჩნდა და ამ ინსტიტუტს დიდი ისტორია არ აქვს.

ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში კვლევის პერიოდში მაკა ხოდელს ჰქონდა შესაძლებლობა პროფესორ მარტინ ჰეგერთან წარემართა საინტერესო დისკუსია თემაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. მსგავსი დისკუსიები ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისთვის და აძლევდა გერმანულ და ქართულ დოგმატიკას შორის არსებული ცენტრალური, განსხვავებული მახასიათებლების შედარებითი განხილვის შესაძლებლობას.

სამეცნიერო კვლევის ფარგლებში გერმანიაში ყოფნის დროს მან დაამუშავა გერმანული სამეცნიერო ლიტერატურა ფარულ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემატიკის შესახებ, კერძოდ, მნიშვნელოვანი კვლევები ისეთი

ცნობილი გერმანელი მეცნიერებისა, როგორებიცაა: კლაუს როქსინი, ულრიხ აიზენბერგი, კლაუს როგალი, მარტინ ჰეგერი, კრისტიან იეგერი, ბერნდ ჰაინრიხი, ჰანს-იოახიმ რულოდფი, ლუის გრეკო და სხვები.

მან დაამუშავა აღნიშნულ სკაითხთან დაკავშირებით გერმანიაში განვითარებული მნიშვნელოვანი თეორიები, მაგ.: მიულენთაიხის თეორია, აწონ-დაწონვის თეორია, სამი საფეხურის თეორია.

ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევის საფუძველზე მან მოამზადა სტატია „სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის ცალკეული პრობლემები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში“, რომელიც 2021 წლის დეკემბრის ბოლოს გამოქვეყნდა გერმანულ-ქართულ სისხლის სამართლის ჟურნალში (DGStZ).

იგი გეგმავს, დამუშავებული მასალის საფუძველზე გამოსცეს მონოგრაფია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

როგორც თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, მის ცოდნას სტუდენტებს გადასცემს. ზემოხსენებული პუბლიკაციები მეტად მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში. მისი პუბლიკაციები განსაკუთრებით გამოადგებათ ქართველ სტუდენტებს, რადგან ქართულ ენაზე შესაბამისი სპეციალიზებული ლიტერატურის ნაკლებობაა.

4. პატენტები

4.1. საერთაშორისო პატენტები:

1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

4.2. ეროვნული პატენტები

1) საპატენტო თემატიკის სათაური
1.
2.

2) გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები
1.
2.

3) პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი
1.
2.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები
1. გიორგი დავითაშვილი
2. კონსტანტინე კორკელია

3. დავით პატარაია (რედ.)
4. სერგი ჯორბენაძე, ქეთევან მესხიშვილი, გიორგი ბათლიძე, ნანა ამისულაშვილი
5. გიორგი დგებუაძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. შურისძიება და შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, ISBN 978-9941-9726-5-2
2. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში COVID-19-ის პანდემიის დროს: მიღებული გამოცდილება და რეკომენდაციები
3. INTERNATIONAL LAW: SELECTED ISSUES 978-9941-13-999-4
4. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ISBN 978-9941-8-3152-2
5. „დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში“, ISBN 978-9941-25-819-0

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“.
2. UN OHCHR, თბილისი, იხ. ნაშრომის ქართული ვერსია: https://bit.ly/3jrqlYf
3. თსუ-ის გამომცემლობა (TSU Press)
4. თბილისი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობა
5. თბილისი, „მერიდიანი“

4) გვერდების რაოდენობა
1. 580 გვერდი (B2 ფორმატი)
2. 210 გვერდი
3. 256 გვერდი
4. 242 გვერდი
5. 360 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

გიორგი დავითაშვილის წიგნში განხილულია სისხლის აღებისა და შერიგების ინსტიტუტი XIX-XX საუკუნეში საველე-ეთნოგრაფიული გზით მოპოვებული მასალების საფუძველზე. ამ მასალების ანალიზით დგინდება შემდეგი გარემოებები:

1. XIX-XX საუკუნეში საქართველოს ზოგიერთ მთის რეგიონში ფიქსირდება სისხლის აღების ინსტიტუტის არსებობა. აღსანიშნავია, რომ სვანეთში, ხევსურეთსა და აჭარაში, განსაკუთრებით კი მთიან აჭარაში სისხლის აღება, როგორც წესი, ადათი XX საუკუნის მეორე ნახევარშიც კი შემორჩა. ეს XX საუკუნის 60-80-იან წლებში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალითაც დასტურდება. ამ მასალებშიც კი ფიქსირდება სისხლის აღების, თუ სისხლის აღების მიზნით მკვლელის დევნის არაერთი კონკრეტული ფაქტის დეტალური აღწერილობა, პროცესში ჩართულ ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ამ კუთხეებში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ჩვეულებითი სამართლის, როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი წერილობითი სამართლისაგან დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემის მოქმედება, საკმაოდ ინტენსიური ფორმით. საქართველოს მთის სხვა რეგიონებში კი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში სისხლის აღების ინსტიტუტის მოქმედება ნაკლებინტენსიური იყო, ვიდრე ზემოთდასახელებულ კუთხეებში. ფშავში, ხევში, მთიულეთში, თუშეთში, მთის რაჭაში სისხლის აღებას XIX საუკუნეში ჯერ კიდევ ადათის სახე ჰქონდა, თუმცა შემდეგში მისი მოქმედება თანდათანობით მინავლდა და XIX საუკუნის ბოლოს თუ XX საუკუნის დასაწყისში ისეთი მკაცრი სახით აღარ მოქმედებდა, როგორც მაგალითად, ხევსურეთსა და სვანეთში, ზოგიერთ კუთხეში კი შურისძიების ცალკეულ გამოვლინებებს თუ ჰქონდა ადგილი. ეს განპირობებული იყო იმით, რომ სახელმწიფო ხელისუფლებას მეტად ხელეწიფებოდა ამ კუთხეებში ჩვეულებითი სამართლის მოქმედების შეზღუდვა, ვიდრე, მაგალითად, ზემო სვანეთსა და ხევსურეთში.

2. საქართველოს იმ კუთხეების მცხოვრებნი, სადაც სისხლის აღების ინსტიტუტს XX საუკუნის განმავლობაში ინტენსიური ხასიათი ჰქონდა, ახლობლის მკვლელობის შემთხვევაში სისხლის აღებას

აღიქვამდნენ როგორც ვალდებულებას, ხოლო სისხლის აუღებლობას კი სირცხვილად მიიჩნევდნენ. ასეთი დამოკიდებულება ახლობლის მკვლელობისადმი განაპირობებდა მკვლელის და მისი ახლობლების აქტიურ დევნას სისხლის აღების მიზნით. საქართველოს ამ კუთხეებში სისხლის აღების ვალდებულება შთამომავლობაზე გადადიოდა. არაერთი ფაქტია შვილიშვილის მიერ ბაბუის სისხლების.

3. საქართველოში XIX-XX საუკუნეებში არ დასტურდება სისხლის აღება შეუზღუდავი ფორმით. ამ ინსტიტუტის უძველესი პერიოდის ნიშან-თვისებებიდან გადმონაშთის სახით შენარჩუნებულად შეიძლება მივიჩნიოთ სისხლის აღების ხანდაზმულობის არ არსებობა. საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც სისხლის აღება XX საუკუნის განმავლობაშიც საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს ატარებდა, ეს ინსტიტუტი გარკვეულ ფარგლებში იყო მოქცეული ადგილობრივი ჩვეულებითი (ხალხური) სამართლის ნორმებით. აღნიშნული ნორმები შემოფარგლავდა მკვლელის იმ ნათესავთა წრეს, რომელთა მიმართ შესაძლოა განხორციელებულიყო სისხლის აღება. საქართველოს კუთხეთა უმრავლესობაში, მათ შორის ხევსურეთსა და სვანეთში მკვლელის ნებისმიერი მოგვარის მკვლელობა სისხლის აღების მიზნით, ადგილობრივი ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, დაშვებული არ იყო, ისე როგორც მკვლელის ყველა მოგვარეს არ ჰქონდა უფლება მოეკლა მოგვარის მკვლელი. საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც შენარჩუნებულ იქნა სისხლის აღების წესი, ფიქსირდება სისხლის აღების სუბიექტთა და ობიექტთა წრე შევიწროვებული სახით და ამ წრის კიდევ უფრო შევიწროვების ტენდენცია. სისხლის აღების მიზნით პირველ რიგში ცდილობდნენ მკვლელის მოკვლას. თუ ეს შეუძლებელი ხდებოდა, მაგალითად, მკვლელის გახიზვნის, მისი შურისმაძიებელთა ძალისხმევის გარეშე გარდაცვალების გამო და სხვა, მაშინ ცდილობდნენ სისხლის აღების ობიექტთა წრიდან მკვლელის რომელიმე ახლო ნათესავის – ძმის, მკვიდრი ბიძაშვილის – მკვლელობას. უფრო შორეული ნათესავის მკვლელობა შედარებით იშვიათად ფიქსირდება. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც სისხლის აღების ინსტიტუტი ინტენსიური სახით არსებობდა, დამნაშავის, მკვლელის პერსონიფიცირების ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო, მიუხედავად კოლექტიური პასუხისმგებლობის ელემენტების შემონახულობისა.

4. საქართველოს ყველა კუთხეში სადაც სისხლის აღების ინსტიტუტი ამა თუ იმ სახით შემორჩა, ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი უშვებს შერიგებას სისხლის აღების გარეშე, რასაც საკმაოდ ხშირ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი ადგილობრივი ავტორიტეტული პირების ჩარევის შედეგად.

5. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ფიქსირდება სისხლის აღების ინსტიტუტის განვითარების ეტაპი, როდესაც სისხლის აღების ალტერნატივად გვევლინება კომპოზიციების სისტემა. მაგალითად, სვანეთში, ხევსურეთში XX საუკუნეშიც კი მკვლელობისათვის, დაჭრა-დასახიჩრებისათვის და ზოგიერთი სხვა დანაშაულისათვის დადგენილი ქონებრივი საზღაურის გადახდა წარმოადგენდა შერიგების აუცილებელ პირობას. აღსანიშნავია, რომ სვანეთში დროთა განმავლობაში შესაძლებელი გახდა შერიგება სისხლის აუღებლად კომპოზიციის გადახდის გარეშეც.

6. საქართველოს კუთხეებში, სადაც დანაშაულის ჩადენა დაზარალებულისათვის დიდ შეურაცხყოფად და სირცხვილად აღიქმებოდა, ითვლებოდა, რომ მკვლელობისა და სხვა დანაშაულის ჩადენა იწვევდა დამნაშავესა და დაზარალებულს შორის თანასწორობის დარღვევას. დაზარალებული მხარე თვლიდა, რომ დამნაშავე მხარემ იგი დაამცირა, დაამდაბლა მასთან მიმართებით და ამიტომ მათ შორის თანასწორობა დაირღვა. თანასწორობის აღდგენის, შესაბამისად სირცხვილის ჩამორეცხვის საშუალებად განიხილებოდა სისხლის აღება. მკვლელობის და სხვა დანაშაულთა ამგვარი აღქმა დაზარალებულის მხრიდან მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა სისხლის აღების ვალდებულების, წეს-ჩვეულების სახით არსებობას.

7. სისხლის აღების, როგორც ვალდებულების განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო რელიგიურ-სარწმუნოებრივი შეხედულებები, კერძოდ, კი წარმოდგენები მიცვალებულთა სამყაროზე. რომლებიც საქართველოს ზოგიერთ მთის რეგიონში XX საუკუნეშიც შემორჩა. ამ შეხედულებების მიხედვით მიცვალებულთა სამყაროში გადასული გარდაცვლილთა სულები აგრძელებენ ხორციელ ცხოვრებას და უდიდეს გავლენას ახდენენ ამქვეყნიურ ყოფაზე. ხალხს სწამდა, რომ სწორედ მოკლულის სული ითხოვდა თავისი მოგვარეებისაგან სისხლის აღებას, ხოლო თუ მოკლულის ნათესავები სისხლს არ აიღებდნენ, მაშინ ამით გაბოროტებულ მოკლულის სულს უნარი ჰქონდა უბედურება მოევლინა მისი ცოცხლად დარჩენილი ნათესავებისათვის. ეს კი უბიძგებდა მოკლულის ნათესავებს, მის მოგვარეებს აუცილებლად ეძიათ შური. აქედან გამომდინარე, სისხლის

აღება, ხალხის აღქმით, წარმოადგენდა ვალდებულებას მოკლულის სულის მიმართ. საზოგადოებაში გავრცელებული რწმენა-შეხედულებით, მოკლულის სულს სრულად დააკმაყოფილებდა და დააშოშმინებდა მოკლულის სულისათვის მკვლელის „შეწირვა“, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ სისხლის აღების შედეგად მოკლული უნდა გამხდარიყო მის მიერ მოკლულის მონა-მოსამსახურე იმქვეყნად. „მიცვალებულისადმი შეწირვა“ შესაძლოა გამოხატულიყო კონკრეტულ მოქმედებაში, მაგალითად, მკვლელის მოკვლაში მის მიერ მოკლულის საფლავზე, მკვლელისათვის ყურის მოკვეთაში, რასაც თან ახლდა „მიცვალებულისადმი შეწირვის“ გამომხატველი ფრაზების წარმოთქმა, რაც მაგალითად, ხევსურეთში დასტურდება. მოკლულისადმი ყურის მოჭრა სიმბოლური გამოხატულება იყო იმისა, რომ მოკლული იმქვეყნად მის მიერ მოკლულის ყურმოჭრილი მონა უნდა გამხდარიყო.

8. სისხლის აღების აღქმა ვალდებულებად, ხოლო სისხლის აუღებლობისა სირცხვილად განაპირობებდა იმას, რომ მოკლულის ახლო ნათესავები, პირველ რიგში მისი ძმა, მამა, შვილი, ახლო ბიძაშვილი, იწყებდნენ მკვლელის და მისი ახლო ნათესავების, მოგვარეების დევნას სისხლის აღების მიზნით. კერძოდ, თავს ესხმოდნენ მკვლელის სახლს, შეიძლება იგი გადაეწვათ კიდეც, მკვლელს გზებს უკრავდნენ, უსაფრთდებოდნენ სახლთან, ან იმ სოფელთან, სადაც იგი იმალებოდა და როდესაც შესაძლებლობა გაუჩნდებოდათ შეეცდებოდნენ მის მოკვლას. მკვლელი და მისი ახლო ნათესავები კი, იძულებულნი იყვნენ გახიზნულიყვნენ და დაეტოვებინათ საკუთარი სახლ-კარი. ხშირად მკვლელს და მის ძმებს სამუდამოდ უხდებოდა გადახვეწა საცხოვრისიდან საქართველოს სხვა კუთხეში, ან საერთოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ. ფიქსირდება მტრის მიმართ რაინდული დამოკიდებულების წესებიც. მაგალითად, აჭარაში მიუღებლად ითვლებოდა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მკვლელის მიმართ შურისძიების განხორციელება, მტრის მოკვლა ცოლ-შვილის, საერთოდ, ქალის თანდასწრებით და სხვა.

9. საპასუხო მკვლელობა უმრავლეს შემთხვევაში დაპირისპირებულ მხარეთა მიერ კი აღიქმებოდა მხარეებს შორის თანასწორობის აღდგენად, თუმცა სხვადასხვა მიზეზით ყოველთვის არ წყვეტდა შურისძიების ჯაჭვს და სრულიად შესაძლებელია, ორივე მხრიდან არაერთ მსხვერპლს ჰქონოდა ადგილი.

10. საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც სისხლის აღება ფიქსირდება, ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი გვთავაზობს შერიგების ჩამოყალიბებულ მექანიზმს, რომელიც გათვალისწინებულია ნებისმიერი ხასიათის კონფილიქტის მოსაგვარებლად, ეს იქნება უბრალო სამეზობლო დავა, თუ მკვლელობის შედეგად გამოწვეული სასტიკი მტრობა. შერიგების მიზანს წარმოადგენდა: 1. ნებისმიერი სიმწვავის დაპირისპირებისას მხარეთა შორის კონფლიქტამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა; 2. მხარეთა შორის თანასწორობის აღდგენა.

11. საქართველოს ყველა კუთხეში ვხვდებით შუაკაცობის/შუამავლობის ინსტიტუტს. ხალხური სამართლის ამ ინსტიტუტის მეშვეობით ხდებოდა უმრავლესი კონფლიქტების მოგვარება დაპირისპირებულ მხარეებს შორის. შუამავლების/შუაკაცების ფუნქციას ასრულებდნენ საზოგადოების ავტორიტეტული, თავისი პატიოსნებით, წესიერებით, სიდინჯით გამორჩეული პიროვნებები, რომელთაც ჰქონდათ ცხოვრებისეული გამოცდილება, ძველი ადათ-წესების, ხალხური სამართლის ნორმების ცოდნა და დაზარალებულის დარწმენების უნარი.

12. განსაკუთრებით რთულდებოდა შერიგება ისეთი დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში, რომლებიც სისხლის აღების გამომწვევი იყო. ამ დროს შერიგების მიღწევა მხოლოდ შუაკაცების/შუამავლების ხანგრძლივი და დიდი ძალისხმევის შედეგი შეიძლება ყოფილიყო. არაგანზრახი დანაშაულისას, მაგალითად, მკვლელობისას, შერიგება უფრო გაადვილებული იყო, ვიდრე განზრახი დანაშაულისას, იქაც კი, სადაც ობიექტური შერაცხვის ელემენტები ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო, მაგალითად, ხევსურეთში.

13. ქართული ჩვეულებითი სამართალი იცნობს შერიგების უზრუნველმყოფ ფაქტორებს: შვილად აყვანას, სულიერი ნათესაობის დამყარებას, დამოყვრებას, დაძმობილებას, დაფიცებას, სამნის ჩასმას, პირგასამტეხლოს და სხვა.

14. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საველე-ეთოგრაფიული გზით მოპოვებული ქართული ჩვეულებითი სამართლის მასალების მიხედვით შესაძლებელია საუბარი შერიგების ორდინალურ მოდელზე, რომელიც გულისხმობს შუამავლების მისვლას დაზარალებულ მხარესთან მისი შერიგებაზე დაყოლიების მიზნით, რაც შესაძლოა არაერთხელ გამხდარიყო საჭირო კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე.

15. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ფიქსირდება მხოლოდ ამ კუთხისათვის დამახასიათებელი შერიგების წესი. მაგალითად, ხევსურეთსა და ხევში მკვლელობის შემთხვევაში მკვლელის და სისხლის აღების სხვა ობიექტების შერიგება დაზარალებულ მხარესთან ეტაპობრივად ხდებოდა – ჯერ მკვლელის უფრო შორეული ნათესავები ურიგდებოდნენ დაზარალებულებს სისხლის აღების ობიექტთა წრიდან, შემდეგ უფრო ახლო ნათესავებს და ბოლოს თვით მკვლელს.

16. ხევში მკვლელობის შემთხვევაში შერიგება ორეტაპიანი იყო. ჯერ დაზარალებულ ოჯახს ურიგდებოდა მკვლელის გვარი, მეორე ეტაპზე კი თვითონ მკვლელი, მისი ძმები და მათი ოჯახის წევრები. გვარის შერიგება უმრავლეს შემთხვევაში მკვლელობიდან მოკლე დროში, მოკლულის დაკრძალვის წინ ხდებოდა. მკვლელის და მისი ძმების შერიგება კი საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ. ორივე შემთხვევაში დაზარალებული ოჯახის თანხმობა შერიგებაზე შუამავლების ძალისხმევის შედეგად მიიღწეოდა. განსაკუთრებული ძალისხმევა ჭირდებოდა დაზარალებულთა დაყოლიებას მკვლელთან შერიგებაზე და ამის მიღწევა ხშირად დიდი ხნის მანძილზე შეუძლებელიც კი იყო.

17. ხევსურეთში კი თავდაპირველად ხდებოდა მკვლელის გვარის შემორიგება. უფრო ზუსტად იმ მოგვარეების, რომლებიც არ იყვნენ მკვლელის ქვეგვარის, ე.წ. საძმოს წარმომადგენლები და მიეკუთვნებოდნენ მკვლელის გვარის სხვა ქვეგვარებს, სხვა საძმოებს, რომლებთანაც მკვლელის საძმოს ძმობა გაყრილი ჰქონდა. შემდეგ ხდებოდა მკვლელის ბიძაშვილების შემორიგება, უფრო ზუსტად მკვლელის საძმოგაუყრელი ბიძაშვილების, რომლებიც მკვლელის საძმოს წევრები იყვნენ, თუმცა არა ახლო, არამედ გარე ბიძაშვილები. შემდეგ კი ხდებოდა მკვლელის ახლო ბიძაშვილების, ე.წ. შინშების, მკვლელის ძმების და თვით მკვლელის შემორიგება. ხევსურეთში შერიგების პროცესის დაწყება უკავშირდებოდა შუამავლების მიერ დაზარალებული მხარის დაყოლიებას ე.წ. „რიგის ყენებაზე“, რაც შერიგების მრავალეტაპიან და ხანგრძლივ პროცესს გულისხმობდა და ითვალისწინებდა მკვლელის ოჯახის მიერ მოკლულის ოჯახისათვის ყოველწლიურად საკლავის გაგზავნას და დაკვლას მოკლულის სულის მოსახსენებლად. შემდეგ შუამავლებს ცალკე უნდა ეზრუნათ დაზარალებულ მხარესთან მკვლელის გარე ბიძაშვილების შემორიგებაზე, წლების შემდეგ კი მკვლელის, მისი ძმების, თუ ახლო ბიძაშვილების. მკვლელის მხარეს ასევე უნდა ეზრუნა მოკლულის დედის ძმებთან, მოკლულის ოჯახიდან გათხოვილ ქალებთან (მოკლულის მამიდებთან და დებთან), მათ შთამომავლობასთან შერიგებაზე, რისი მიღწევაც ასევე მხოლოდ შუამავლების ძალისხმევით ხდებოდა. თან არსებითი ისაა, რომ მკვლელის შერიგება დაზარალებულ მხარესთან ხევსურეთში მაინც არ ითვლებოდა საბოლოო შერიგებად და ყოველწლიურად საკლავის მიყვანა მკვლელის ოჯახის მიერ დაზარალებულის ოჯახისათვის, ე.წ. „პატივის მიცემა“ მკვლელის და მისი ნათესავების მიერ მოკლულის ნათესავებისადმი, გრძელდებოდა საბოლოო შერიგებამდე, ანუ „თავის გათავებამდე“. „პატივის მიცემა“ გამოიხატებოდა მკვლელის და მისი ნათესავების მიერ მოკლულის ნათესავების მიმართ ხათრის დაჭერაში, მორიდების, მორჩილების გამოვლენაში, კერძოდ, მკვლელს და მის ნათესავს გზა უნდა დაეთმო მოკლულის ნათესავისათვის, მისი თანდასწრებით არ უნდა ეჩხუბა, ემღერა, ეცეკვა, ემხიარულა, სუფრაზე შეხვედრისას მისთვის სასმისი უნდა გაეგზავნა და მხოლოდ მისგან ნებართვის მიღების შემდეგ შეეძლო სუფრაზე დაჯდომა და სხვა. „თავის გათავების“ დაწესებამდე ყოველწლიურად საკლავის გაგზავნა მკვლელის ოჯახის მიერ მოკლულის ოჯახისადმი, და პატივის მიცემა სამუდამოდ გრძელდებოდა. მხოლოდ 1909 წელს იქნა ხევსურთა მიერ შემოღებული ე.წ. „თავის გათავება“, რაც საბოლოო შერიგებას გულისხმობდა და სპობდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას მკვლელობისათვის, მათ შორის „პატივის მიცემის“ და ყოველწლიურად საკლავის გაგზავნის ვალდებულებას. საბოლოო შერიგება მხარეებს შორის ძირითადად მკვლელის გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა. შერიგების გარკვეული თავისებური წესები ფიქსირდება ასევე სვანეთსა და აჭარაშიც.

18. ხევსურეთში შუამავლების ნებისმიერი თხოვნა დაზარალებული მხარის შერიგებაზე დასაყოლიებლად (შერიგების ყველა ეტაპზე) გარკვეული ტიპური, სტანდარტული არგუმენტების მოხმობითაც ხდებოდა. მაგალითად, შუამავლები აუცილებლად ეტყოდნენ დაზარალებულ მხარეს, რომ დამნაშავე მხარე მზად იყო ხევსურული წესით განსაზღვრული ყველა ვალდებულება, მათ შორის ქონებრივი საზღაურის გადახდის თვლასაზრისით, შეესრულებინა მათ წინაშე; ასევე შეახსენებდნენ დაზარალებულ მხარეს, რომ ასეთი შემთხვევა, რაც მოხდა, პირველი არ არის, ადრეც მომხდარა და ყველაფერი ხევსურული წესით უნდა გარიგდეს; თან გააფრთხილებდნენ, რომ დაზარალებული ე.წ. მერჯულე, ანუ ახალი წესის დამფუძნებელი, არ უნდა გამხდარიყო. ცხადია, კონკრეტული საქმის

სპეციფიკიდან გამომდინარე შუამავლები დაზარალებული მხარის წინაშე სხვა არგუმენტებსაც წარმოაყენებდნენ.

19. შერიგების თითოეული ეტაპი ხევსურეთში წინასწარ განსაზღვრული ცერემონიალის მიხედვით ტარდებოდა. ფიქსირდება ამ ცერემონიალების გამართვა ჯვარში, ანუ ადგილობრივ სალოცავში მკვლელის ბიძაშვილების, ძმების, თვით მკვლელის შემორიგებისას, ასევე, თავის გათავებისას, თუმცა შესაძლოა აღნიშნული ცერემონიალები არა ჯვარში, არამედ მოკლულის ოჯახში გამართულიყო. თითოეულ შერიგებას (მკვლელის ბიძაშვილების, ძმების, თვით მკვლელის და თავის გათავებას) წინასწარ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები მოჰყვებოდა. აღნიშნული სამართლებრივი შედეგი შერიგების ცერემონიალის დროს მხარეების მიერ ერთმანეთისადმი ნათქვამ სიტყვებშიც, მიცემულ პირობაშიც ვლინდებოდა. განსაკუთრებით ეს დაზარალებული მხარის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, დადებულ პირობას ეხება. შესაბამისად, სახეზეა, მხარეების მიერ სხვადასხვა შერიგების სამართლებრივი შედეგების სიტყვიერი დადასტურება საჯარო სახით, ხშირად სალოცავში, რაც ხელს უწყობდა შერიგების განმტკიცებას და თითოეული შერიგების სამართლებრივი შედეგების უპირობო დაცვას მხარეების მიერ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შერიგებაში მონაწილე მხარეების მიერ მიცემული სიტყვა, პირობა სრულიად შესაძლებელია სამართლებრივი მნიშვნელობის აქტად იქნეს მიჩნეული.

20. შერიგების მისაღწევად აუცილებელი იყო დაზარალებულ მხარეს ჰქონოდა განცდა, რომ მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შედეგად დარღვეული თანასწორობა აღდგენილ იქნა. სისხლის აღების გარეშე ამის მიღწევა საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც სისხლის აღების ინსტიტუტი XX საუკუნეშიც შემორჩა და ადათ-წესის სახით მოქმედებდა, სრულიად შესაძლებელი იყო, მათ შორის განზრახი მკვლელობისას. ამისათვის კი აუცილებელი იყო დაზარალებულ მხარეს ჩაეთვალა, რომ მიუხედავად სისხლის აუღებლობისა მან სირცხვილი, დამცირება მაინც ჩამოირეცხა. ამისათვის საქართველოს ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად, სვანეთსა და ხევსურეთში XX საუკუნეშიც ხდებოდა დანაშაულისათვის წინასწარ დადგენილი ქონებრივი საზღაურის გადახდა. ამის გარდა, შერიგების ცერემონიალებისას მკვლელს და მის ნათესავებს დაზარალებულის წინაშე დამცირებულად უნდა წარმოეჩინათ თავი – მათ წინაშე მუხლებზე (მუხლზე) უნდა დამდგარიყვნენ, მოკლულის სახლში ჩოქვით უნდა შესულიყვნენ, სვანეთში შერიგების პირობად ფიქსირდება დამნაშავის კერიის ქვეშ გაძრომა, რაც საქართველოს ამ კუთხეში დამნაშავის უდიდესი დამცირება იყო და დაზარალებულის აღქმაში დანაშაულის შედეგად მისი დამცირების, შეურაცხყოფის გაბათილებას გულისხმობდა და მხარეებს შორის თანასწორობის აღდგენას უწყობდა ხელს. ასევე, შესაძლოა ჩატარებულიყო ისეთი რიტუალი, რომლის იდეა მდგომარეობდა მკვლელის მიცვალებულისადმი შეწირვაში მისი მოკვდინების გარეშე. „მიცვალებულისადმი შეწირვა“ ქართულ ჩვეულებით სამართალში სისხლის აღების წესის შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში კი შერიგების მექანიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების კვალობაზე „მიცვალებულისადმი შეწირვა“ სასამართლო მტკიცებულებისა და ასევე შერიგების ინსტიტუტის კომპონენტადაც იქცა. მაგალითად, აჭარაში შერიგების ცერემონიალის კომპონენტად გვევლინება მკვლელის შემოტარება მის მიერ მოკლულის საფლავისთვის, რა დროსაც მკვლელი ნებაყოფლობით თანხმდებოდა შეწირვოდა მოკლულს და იმქვეყნად მისი მონა-მოსამსახურე გამხდარიყო. ხევში ფიქსირდება მკვლელის დაზარალებულ ოჯახთან შერიგება მოკლულის საფლავთან, როდესაც მკვლელი სინანულის და პატიების თხოვნის ნიშნად წვებოდა მოკლულის საფლავზე და ასე დარჩებოდა მოკლულის ოჯახის წევრების და ნათესავების მოსვლამდე, რომლებიც მკვლელს და ასევე საფლავთან დაჩოქილ მკვლელის ნათესავებსაც წამოაყენებდნენ, რაც პატიების და შერიგების ნიშანი იყო. ცალკეულ შემთხვევაში მკვლელის საფლავზე წოლა მთელი ღამეც გაგრძელებულა.

21. შერიგების პროცესზე რელიგიის მნიშვნელოვანი გავლენა განსაკუთრებით კარგად ჩანს ხევსურეთში. ხევსურები დარწმუნებული იყვნენ, რომ მკვლელობასთან დაკავშირებული შერიგების მისაღწევად, აუცილებელი იყო როგორც ადგილობრივი სალოცავების, ანუ ჯვრების, ისე მიცვალებულთა სამყაროდან მოკლულისა და მისი მიცვალებული ნათესავების სულების ხელშეწყობა. ამიტომ იყო, რომ მკვლელობისათვის გათვალისწინებული ქონებრივი საზღაურის ნებისმიერი კომპონენტის გადახდას თან სდევდა კურეტისა და საკლავის მიყვანა. საკლავი აუცილებლად დაიკვლებოდა მოკლულის სულის მოსახსენებლად. საკლავის დაკვლით მოკლულის სულის საპატივცემულოდ, დამნაშავე აღიარებდა დანაშაულს და თავს იხრიდა მოკლულის ახლობლების მიმართ. საკლავის დაკლვა მოკლულის სულის საპატივცემულოდ ხდებოდა თვით მოკლულის და

საიქიოში მყოფი მისი მოგვარეების, ახლობლების სულების დასაშოშმინებლად და შერიგებაზე დასაყოლიებლად, რაც ხევსურული რწმენა-შეხედულებით გახდებოდა საწინდარი რეალობაში შერიგების პროცესის წარმატებით განვითარებისა. რაც შეეხება კურეტს, მას ძირითადად მოკლულის სალოცავს, ჯვარს წირავდნენ, რომლის დახმარებაც მოსისხლეთა შერიგებაში ასევე აუცილებლად მიაჩნდათ.

22. შერიგების ცერემონიალის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო შერიგების სუფრა, რომელიც ან დამნაშავის, ან დაზარალებულის ოჯახში იმართებოდა, ან ორივეს ოჯახში რიგრიგობით. მკვლელობის შემთხვევაში შერიგების სუფრას ესწრებოდნენ როგორც მკვლელი და მისი ნათესავები, ასევე მოკლულის ნათესავები. შერიგების სუფრას უცილობლად უნდა დასწრებოდა ყველა ის პიროვნება, რომელსაც ჩვეულებითი სამართლით სისხლის აღების უფლება ჰქონდა. თუ რომელიმე მათგანი შერიგების სუფრას გამოაკლდებოდა, იგი შერიგებულად არ ითვლებოდა და მას უფლება რჩებოდა სისხლი აეღო. ამიტომ, შუამავლები განსაკუთრებით ადევნებდნენ თვალყურს იმას, რომ დაზარალებული მხარის ყველა წარმომადგენელი დასწრებოდა შერიგების სუფრას.

წიგნი (INTERNATIONAL LAW: SELECTED ISSUES) წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის თანამედროვე პრობლემების თაობაზე სტატიათა კრებულს და ეძღვნება გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს ლევან ალექსიძეს. წიგნი გამოიცა ინგლისურ ენაზე. წიგნში განთავსებული სტატიები პასუხობენ საქართველოს წინაშე მდგარ მნიშვნელოვან საერთაშორისოსამართლებრივ გამოწვევებს, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის ზოგად პრობლემურ საკითხებს.

ნაშრომი ეხება სისხლის სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს - დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის პრობლემას, რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართალში განვითარდა ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით. ეს საკითხი სისხლის სამართლის დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკისათვის განსაკუთრებით პრობლემატურია ფართომასშტაბიანი და სისტემური დანაშაულების ჩადენისას, რომლებიც იწვევს მაღალი რანგის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერების ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი და კვლევის სხვა მეთოდების გამოყენებით ნაშრომში საფუძვლიანად გაანალიზებულია საერთაშორისო სისხლის სამართალში ეროვნული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით განვითარებული ინდივიდის პასუხისმგებლობის სისტემა, რაც წარმოადგენს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სამართლის ,,კოდიფიკაციას“. ინდივიდუალური შერაცხვის მოდელის წარმოსაჩენად განხილულია ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დანაშაულის ცნებები, გაანალიზებულია საერთაშორისო სისხლის სამართლში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მოდელის დაფუძნების ისტორია, გამოკვლეულია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სტატუტისეული და დოქტრინალური ცნებები, პრეცენდენტულ სამართალთან პარალელების გავლებით განხილულია ამსრულებლობა-თანამონაწილეობის ფორმები, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დანაშაულში მონაწილეობის ფორმების კატეგორიზაცია სასჯელის შეფარდებისას, რა დროსაც გაკეთებულია შედარება დანაშაულში მონაწილეობის ანგლოამერიკულ და გერმანულ მოდელებთან. დაბოლოს, ,,კოდიფიცირებულია“ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სამართალი.

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის მთავარი ამოცანაა, უმეტესწილად, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებისა და სხვა, არაფორმალური ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნა, პირველ რიგში, დანაშაულის ამსრულებლობის ფორმებით, ხოლო, მეორე რიგში, თუ ეს ამსრულებლობით ვერ ხერხდება, თანამონაწილეობის ფორმებით. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის კონცეფციის რეალიზაცია სისხლის სამართლის ეფექტურ გამოყენებაზეა დამოკიდებული. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კოდიფიკაცია მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მისი მეშვეობით საერთაშორისო სისხლის სამართალი ქმნის დოგმატიკას, რომელსაც ეყრდნობა სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულება.

5.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. ბესარიონ ზოიძე (რედ.)
2. ბესარიონ ზოიძე (რედ.)
3. ლადო ჭანტურია (რედ.), თამარ ზარანდია (რედ.), გიორგი რუსიაშვილი (რედ.)
4. ნ. თოდუა, მ. ტურავა, მ. ივანიძე (რედ.), ნ. თოდუა, მ. ტურავა. ნ. ივანიძე, ლ. ფაფიაშვილი, ი. აქუბარდია, თ. ცქიტიშვილი, ი. ხერხეულიძე, ლ. ხარანაული (ავტორები)
5. მორის შალიკაშვილი/ ია შეყრილაძე/ ლადო ჯავახიშვილი, თემურ მაღრაძე და სხვები
6. ნინო გოგნიაშვილი
7. ნინო გოგნიაშვილი
8. ირაკლი ბურდული, გიორგი მახარობლიშვილი, დემეტრე ეგნატაშვილი, ნონა ზუბიტაშვილი, გიორგი ალადაშვილი, გვანცა მაღრაძე, ანა თოხაძე

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. როინ მიგრიაული, სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო
2. გვანცა ჩადუნელი, გიორგი ფარულავა, ლევან მაისურაძე, ნანა რამაზაშვილი, გიორგი სულხანიშვილი, ქეთევან ბანცური, გიორგი შაქარაშვილი, კონცენტრაციების კონტროლი საქართველოში: სამართლებრივი და ეკონომიკური კრიტერიუმების გავლენა კონკურენციასა და მომხმარებლის კეთილდღეობაზე
3. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, საოჯახო სამართალი, ISBN 978-9941-8-1812-7
4. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი (დანაშაული)
5. დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის საფუძვლები, ISBN 978-9941-8-3465-3
6. კრიმინალისტიკა, 2021 წ., ISBN 978-9941-25-848 – 0
7. კრიმინალისტიკა - ძირითადი საკითხები კითხვა - პასუხებით, ტესტებით, კაზუსებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით - 2021 წ. ISBN 978-9941-34-016 – 1
8. საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო საკორპორაციო, საბანკო და ეკონომიკური სამართლის ინსტიტუტი (თსუ იურიდიული ფაკულტეტი)

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, 2021
2. თბილისი, 2021
3. „ალეფი“, თბილისი, 2021
4. ქ. თბილისი, გამოცხადებულია ტენდერი გამომცემლობის შესარჩევად
5. თბილისი, 2021, გამომცემლობა ,,ინტერნეშენელ ჯენერა სერვისი“
6. ქ. თბილისი, გამომც. „მერიდიანი“
7. ქ. თბილისი, გამომც. „მერიდიანი“
8. თბილისი

4) გვერდების რაოდენობა
1. 192 გვ.
2. 201 გვ.
3. 646 გვ.
4. –
5. –
6. 304 გვ.
7. 416 გვ.
8. 393 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში (კრიმინალისტიკა) განხილულია - კრიმინალისტიკის თეორიისა და მეთოდოლოგიის, კრიმინალისტიკური ტექნიკის ის თანამედროვე სამეცნიერო-პრაქტიკული საშუალებები, რომელთა გამოყენებაც ხელს უწყობს მტკიცებულებათა სრულფასოვან აღმოჩენა-ამოღება, ფიქსაციასა და მათ სათანადოდ შესწავლას. წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, ექსპერტებისა და პოლიციის აკადემიის მსმენელთათვის. ნაშრომი ასევე

დახმარებას გაუწევს ადვოკატებს, გამომძიებლებს, პროკურორებს, მოსამართლეებსა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს. წიგნი ილუსტრირებულია.

ნაშრომში (კრიმინალისტიკა - ძირითადი საკითხები კითხვა - პასუხებით, ტესტებით, კაზუსებითა და პრაქტიკული სავარჯიშოებით) განხილულია - კრიმინალისტიკის კურსის მეთოდოლოგიის, კრიმინალისტიკის ტექნიკის, კრიმინალისტიკის ტაქტიკისა დ ცალკეულ დანაშაულთა გახსნის მეთოდიკის მნიშვნელოვანი საკითხები კითხვა - პასუხებით. განხილული საკითხების თემატიკის მიხედვით, მოცემულია ტესტები და კაზუსები, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოები, რაც დაეხმარება მკითხველს საკითხების უკეთ აღქმასა და გაანალიზებაში. საგამომძიებო ორგანოების თანამშრომლების, მოსამართლეების, ადვოკატებისა დ აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

„საკორპორაციო სამართლის სახელმძღვანელო“ არის პირველი სახელმძღვანელო შესრულებული ქართული საკორპორაციო სამართლის დარგში. იგი გადმოსცემს საკორპორაციო სამართლის არსს, რეგულირების სფეროს, მის ძირითად პრინციპებს, თეორიულ მოძღვრებას „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონით მოწესრიგებული მეწარმე სუბიექტების დაარსება-დაფუძნების, ორგანიზაციული მოწყობის, მართვის, ქონებრივი სტრუქტურის შესახებ, პარტნიორთა უფლება-მოვალეობათა, პასუხისმგებლობის სამართლებრივ წინაპირობათა განსაზღვრის საკითხს.

5.3. კრებულები

1) ავტორი/ავტორები

1. კონსტანტინე კორკელია (რედ.)
2. მაია ივანიძე (რედ.)
3. მაია ივანიძე (რედ.)
4. გოჩა ფერაძე (რედ.)
5. თამარ ზარანდია, ნათია ჩიტაშვილი, ირაკლი კახიძე, ნანა მჭედლიძე, დემეტრე ეგნატაშვილი, თამარ ტატანაშვილი
6. თემურ ცქიტიშვილი, ოთარ გამყრელიძე, ნონა თოდუა, მაია ივანიძე, მერაბ ტურავა, ბერნდ ჰაინრიხი (რედაქტორები)

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია, ISBN 978-9941-9721-6-4
2. პროფ. ნონა თოდუას 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული საიუბილეო კრებული
3. პროფ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული საიუბილეო კრებული
4. ვარლამ ჩერქეზიშვილისადამი მიძღვნილ პირველ დარგთაშორის სამეცნიერო კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებათა კრებული
5. სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენის აკრძალვის კონცეფცია - ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და საუნივერსიტეტო პოლიტიკა, ISBN 978-9941-941-23-8
6. სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი
2. თბილისი, გამომც. „მერიდიანი“
3. თბილისი
4. თსუ გამომცემლობა
5. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
6. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“

4) გვერდების რაოდენობა

1. 249 გვერდი

2. 350 გვერდი
3. –
4. 155 გვერდი
5. 195 გვერდი
6. –

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროფ. ნონა თოდუას 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემულ საიუბილეო კრებულში წარმოდგენილია ქართული იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები. აღნიშნული სტატიები ეძღვნება სამართლის აქტუალურ საკითხებს და მნიშვნელოვანია, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით. იგი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, მეცნიერებს, პრაქტიკოსებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს. საიუბილეო კრებულში მოცემულია პროფესორ ნონა თოდუას ბიოგრაფიული მონაცემები, ასევე მისასალმებელი სიტყვები და საინტერესო სამეცნიერო ნაშრომები.

პროფ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული საიუბილეო კრებული ეძღვნება ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს და იენის უნივერსიტეტის პროფესორს ქალბატონ ქეთევან მჭედლიშვილს. კრებულში გამოქვეყნებულია ქართველი და გერმანელი ავტორების ნაშრომები. მნიშვნელოვანია, რომ თემები ეხება მეტად აქტუალურ საკითხებს სისხლის სამართალში. სტატიის ავტორები არიან თსუ დოქტორანტები, პროფესორები, პრაქტიკოსები, ასევე გერმანელი მეცნიერები. კრებული წარმოადგენს თსუ იურიდიული ფაკულტეტის ტრადიციის ნაწილს, როდესაც სამახსოვრო წერილებით მისალოცი ბარათებით და საინტერესო სტატიების ხდება პროფესორისათვის იუბილის აღნიშვნა.

დიდი მამულიშვილის პოლიტიკური ემიგანტის ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 175 წლისთავთან დაკავშირებით გამოსაცემად მომზადდა 2019 წლის 7 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვარლამ ჩერქეზიშვილისადამი მიძღვნილ პირველ დარგთაშორის სამეცნიერო კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებათა კრებული (თსუ გამომცემლობა, ISSN 978-9941-941- ; 155 გვერდი); უკვე დაწყებულია მუშაობა მომდევნო 2022 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვარლამ ჩერქეზიშვილისადამი მიძღვნილი მორიგი დარგთაშორისი სამეცნიერო კონფერენციის ჩასატარებლად და იმავდროულად გამოფენის მოსაწყობად.

ევროპულ სამართალთან ქართული კანონმდებლობის სამართლებრივი დაახლოების ვალდებულებიდან გამომდინარე, აკადემიური სივრცისთვის შეთავაზებული კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ევროკავშირის სამართალში სექსუალური შევიწროების საკითხზე არსებული რეგულაციების მიმოხილვას, აგრეთვე ევროპის ქვეყნებში სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს თავისებურების შესწავლას. გარდა აღნიშნულისა, ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აშშ-ის, როგორც ამ სფეროში ღირებული და უძველესი სამართლებრივი ტრადიციის მქონე სახელმწიფოს, სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი გარანტიებისა და ორგანიზაციული მექანიზმების ანალიზს.

კვლევის ფარგლებში ასევე შესწავლილია სექსუალური შევიწროების კონცეფტუალური ფორმირებისა და საკანონმდებლო აღიარების დინამიკა, სექსუალური შევიწროების ნორმატიული მნიშვნელობა და მაკვალიფიცირებელი სამართლებრივი წინაპირობები, მტკიცების ტვირთის განაწილების წესი, უნივერსიტეტების, როგორც დამსაქმებლისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სექსუალური შევიწროების ამკრძალავი პოლიტიკის მოდელები, სამუშაო ადგილსა და საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმები და დისციპლინური საქმისწარმოების პროცედურული პრინციპები და გარანტიები.

კვლევის მეორე ნაწილი ეთმობა სიძულვილის ენის განმარტების საკითხებს სხვადასხვა საერთაშორისო აქტის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვას, იმ საერთაშორისო აქტებიდან ამონარიდების ანალიზს, რომელიც სიძულვილის ენასთან მიმართებით მნიშვნელოვან განმარტებებს გვთავაზობს.

კვლევა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საქართველოს უსდ-ებს სექსუალური შევიწროებისა და სიძულვილის ენის პოლიტიკის შემუშავებაში, ეფექტიან განხორციელებასა და ცნობიერების ამაღლების პოლიტიკის გეგმაზომიერ წარმართვაში, საუნივერსიტეტო სივრცეში უფლებათა მატერიალური და პროცესუალურსამართლებრივი გარანტიების ეფექტიან აღსრულებაში, დისციპლინური საქმისწარმოების ფარგლებში საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და დემოკრატიულ მართლწესრიგთა სტანდარტებთან ეროვნული პრაქტიკის შესაბამისობის უზრუნველყოფაში.

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1.

2.

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI

1.

2.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1.

2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1.

2.

5) გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ნანა ჭიღლაძე
2. ნანა ჭიღლაძე
3. კონსტანტინე კორკელია
4. ბესარიონ ზოიძე
5. ბესარიონ ზოიძე
6. ბესარიონ ზოიძე
7. ლადო ჭანტურია
8. ლადო ჭანტურია
9. ლადო ჭანტურია
10. ლადო ჭანტურია
11. ლადო ჭანტურია
12. ლოურენს მ. ფრიდმანი (ინგლისურიდან მთარგმნელი – ლაშა ბრეგვაძე)
13. ტოლკოტ პარსონსი (ინგლისურიდან მთარგმნელი – ლაშა ბრეგვაძე)
14. ლაშა ბრეგვაძე
15. ლაშა ბრეგვაძე
16. მაია ივანიძე (თანაავტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი)
17. მაია ივანიძე
18. ნონა თოდუა
19. გოჩა ფერაძე

20. ვასილ გონაშვილი
21. ვასილ გონაშვილი
22. ირაკლი კახიძე
23. თამარ ზოიძე
24. თამარ ზოიძე
25. გიორგი რუსიაშვილი
26. გიორგი რუსიაშვილი
27. გიორგი რუსიაშვილი
28. გიორგი რუსიაშვილი
29. გიორგი რუსიაშვილი
30. გიორგი რუსიაშვილი
31. გიორგი რუსიაშვილი
32. გიორგი რუსიაშვილი
33. გიორგი რუსიაშვილი
34. გიორგი რუსიაშვილი
35. გიორგი რუსიაშვილი
36. ირინა აქუბარდია
37. ირინა აქუბარდია
38. გიორგი თუმანიშვილი
39. მორის შალიკაშვილი
40. მორის შალიკაშვილი / ხატია თანდილაშვილი
41. ლავრენტი მაღლაკელიძე
42. ლავრენტი მაღლაკელიძე
43. თემურ ცქიტიშვილი
44. თემურ ცქიტიშვილი
45. თემურ ცქიტიშვილი
46. თემურ ცქიტიშვილი
47. გიორგი დგებუაძე
48. გიორგი დგებუაძე
49. მაკა ხოდელი
50. ანრი ოხანაშვილი, ბაჩანა სურმავა
51. ანრი ოხანაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN
1. პარლამენტის ავტონომიურობის პრინციპი პირველ ქართულ კონსტიტუციაში
2. ფიქრები ადგილობრივ თვითმმართველობაზე ,,პირველი რესპუბლიკის'' პერიოდში
3. ადამიანის უფლებათა შეზღუდვები საქართველოში პანდემიის დროს
4. „ღირებულებათა კონსტიტუციურ-სამართლებრივი წესრიგი, როგორც ძირითადი უფლების შეზღუდვის საფუძველი კოვიდ-პანდემიის პირობებში (საქართველოს მაგალითზე)“, ISSN 2667-9574
5. „ადამიანის სამართალსუბიექტობის კატეგორიის დახმარებით ცხოველის სამართალსუბიექტობის დასაბუთების ცდა“
6. „ნორმატიული შინაარსის „კონცეფცია“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში „ნოდარ დვალის საქმეზე“ საკუთრების კეთილსინდისიერ შეძენასთან დაკავშირებით“
7. გამოხატვის თავისუფლება და სხვათა უფლებები სტრასბურგის სასამართლოს სამოსამართლო სამართალში
8. სიცოცხლის უფლება - ევროპული სტანდარტი და საქართველო (ქართულად, რეზიუმე ინგლისურად)
9. პირველი ქართული კონსტიტუციის ერთი საუკუნე (ქართულ-ინგლისურად)
10. მოსამართლის დამოუკიდებლობა და სასამართლოს ავტორიტეტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამოსამართლო სამართლის მიხედვით
11. წინათქმა

12. „დასრა: მომავალი გლობალური მართლწესრიგი“, ISSN 1987-7668
13. „სამართალი და სოციალური კონტროლი“, ISSN 1987-7668
14. „სახელმწიფოს ზოგადი თეორია გლობალიზაციის ეპოქაში: კლასიკური ინტერდისციპლინური მოძღვრების პერსპექტივები სუპრანაციონალური ინტეგრაციის ეპოქაში“ ISSN 2587-5191, ISSN 2667-9817
15. „გლობალური ადმინისტრაციული სამართლის აღმოცენება: ტრანსნაციონალური სივრცის მარეგულირებელი სტრუქტურები“
16. „სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით“
17. „რწმენის თავისუფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები საქართველოში“
18. ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციის საკითხები
19. „პირველი ქართველი პროკურორები“
20. „აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსი 1917 წლიდან დღემდე“
21. „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამართლებრივი სტატუსი - შექმნიდან დღემდე“
22. ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური რეგულირების ფარგლები (ისტორიული განვითარება, თანამედროვეობა და შედარებითი კონტექსტი)
23. „საჯარო რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის გავლენა საკუთრების კეთილსინდისიერ შეძენაზე“
24. „მომხმარებელთა დაცვის სამართლის ცნება და მისი ადგილი კერძო სამართლის სისტემაში“
25. შვილად აყვანის სამართლებრივი საკითხები, ISSN 2587-5191
26. თავდები ვალის უზრუნველყოფა, ISSN 2587-5191
27. კაზუსის ამოხსნა: „ორმხრივი სიყვარული“ (მეუღლეთა შორის ჩუქება, ქონების გაყოფა განქორწინების შემდეგ), ISSN 2587-5191
28. კაზუსის ამოხსნა: „სიმამრის საჩუქარი“ (საჩუქრის უკუმოთხოვნა სკ-ის 398-ე მუხლის საფუძველზე), ISSN 2587-5191
29. კაზუსის ამოხსნა: „ჩვეულებრივი ოჯახის ისტორია“ (მეუღლეთა საერთო ქონების განკარგვა და განქორწინების შემდეგ საერთო ვალების დაფარვა), ISSN 2587-5191
30. კაზუსის ამოხსნა: „შპს მომარჯვებული ისარი“ (სარჩელის შეცვლის აკრძალვა, საპროცესო თანასწორობის პრინციპი, „კერძო დასკვნა“ და მისი მნიშვნელობა), ISSN 2587-5191
31. კოლუზია და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ISSN 2587-5191
32. „ორი ნაკვეთი და და ერთი განრისხებული მოსარჩელე“, ISSN 2587-5191
33. სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებადობა, ISSN 2587-5191
34. სინდიცირება, პარალელური სესხები და „მოლაპარაკების“ ამხანაგობა, ISSN 2587-5191
35. გადახდილი ანაზღაურების უკან წაღების პირობის (Clawback) დასაშვებობა სასამსახურო და შრომით ხელშეკრულებებში, ISSN 2587-5191
36. პოლიციის პრევენციული და რეპრესიული ღონისძიებების გამიჯვნის პრობლემები
37. კონტროლის მექანიზმები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე (სტატია დასრულდა 2021 წ. დეკემბრის ბოლოს)
38. სისხლის სამართლის საქმეთა მედიის მიერ გაშუქება და დაბალანსებული საინფორმაციო პოლიტიკა
39. ჩიკაგოს სკოლის კრიმინალურ სუბკულტურული კვლევების ფსიქოანთროპოლოგიური ასპექტები
40. პოლიციელი, როგორც მსხვერპლი
41. ობიექტური შერაცხვის პრობლემა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ISSN 25566-575
42. ბრალდებულის მიერ ნიმუშის აღებაზე უარის თქმა - თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია, თუ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა?! ISSN 1512-259X
43. წინარე ქმედება, როგორც გარანტის მოვალეობის და უმოქმედობის მიზეზობრიობის დამაფუძნებელი გარემოება
44. შენიშვნები თამარ მახარობლიძის დისერტაციაზე: არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები
45. გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეშვიდე გამოცემა, 2019; წიგნი II, 2020, რეცენზია
46. მერაბ ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, რეცენზია

47. „კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა ეროვნული და საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით“
48. „მაღალი თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული სახელმწიფო აპარატის გამოყენებით ჩადენი დანაშაულებისათვის“
49. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის ცალკეული პრობლემები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში, ISSN 2566-5758
50. „საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ჭრილში: საქმე ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ (N9043/05)”, ISSN 2566-5758
51. „კორპორაციული დანაშაული: დამნაშავე კორპორაციის მოდელის საჭიროება?”, ISSN 2566-5758

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. პირველი ქართული კონსტიტუცია - 100, 2021
2. ავთანდილ დემეტრაშვილი - 80, 2021
3. ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია, კ. კორკელია (რედ.), 2021
4. „თანამედროვე შრომის სამართლის მიმოხილვა“, №2, 2021, სპეციალური გამოცემა
5. კერძო სამართლის მიმოხილვა, N3, 2020-21
6. კერძო სამართლის მიმოხილვა, N3, 2020-21
7. ავთანდილ დემეტრაშვილის 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული
8. „პირველი ქართული კონსტიტუციის 100 წელი“, გამომცემლები მინდია უგრეხელიძე, ბექა ქანთარია
9. „პირველი ქართული კონსტიტუციის 100 წელი“, გამომცემლები მინდია უგრეხელიძე, ბექა ქანთარია
10. „ნონა თოდუა, 60, საიუბილეო კრებული“
11. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, საოჯახო სამართალი
12. სამართლის ჟურნალი, 2021, № 1
13. სამართლის ჟურნალი, 2021, № 2
14. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2021, № 12
15. თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მაცნე, 2022, № 1
16. „სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება“ (სტატიათა კრებული)
17. პირველი ქართული კონსტიტუცია 100 წელი (სტატიათა კრებული)
18. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის საიუბილეო კრებული - 60
19. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ რევაზ გოგშელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებული
20. ავთანდილ დემეტრაშვილი 80, საიუბილეო კრებული
21. პირველი ქართული კონსტიტუცია, 100 წელი
22. პირველი ქართული კონსტიტუცია 100 წელი, სტატიების კრებული, ISBN 978-9941-491-38-2
23. კერძო სამართლის მიმოხილვა, N3, 2020-21
24. –
25. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 1/2021
26. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 2/2021
27. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 2/2021
28. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 2/2021
29. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 2/2021
30. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 5/2021
31. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 6/2021
32. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 9/2021
33. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 9/2021
34. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 8/2021
35. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 7/2021
36. „ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი - 60, საიუბილეო კრებული“
37. –
38. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი 2/2021 (პროფესორ, სამართლის დოქტორ, საპატიო დოქტორ ჰაინერ ალვარტისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოცემა – 1)

39. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი 60 წლის საიუბილეო კრებული
40. რევაზ გოგშელიძის 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული
41. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი
42. მართლმსაჯულება და კანონი, N3(71)
43. ნონა თოდუა 60, თბ., 2021
44. ქართულ-გერმანული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 2021 წლის მე-4 ნომერი. http://lawjournal.ge
45. გერმანულ-ქართული შედარებითი სამართლის ჟურნალი, 2021 წლის მე-2 და მე-3 ნომერი. http://lawjournal.ge
46. თსუ სამართლის ჟურნალი, 2020, №2
47. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო კრებული: „კონსტიტუციური სახელმწიფოს პასუხები გლობალურ საფრთხეებს“
48. საერთაშორისო სამეცნიერო კრებული: „გენოციდის დანაშაულისა და ადამიანის უფლებათა დაცვის აქტუალური პრობლემები“
49. DGStZ, 4/2021
50. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი (DGStZ – www.dgstz.de), პირველი გამოცემა - აგვისტო, 2021 წელი
51. გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი (DGStZ – www.dgstz.de), მესამე გამოცემა - ნოემბერი, 2021 წელი

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თსუ გამომცემლობა
2. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა
3. თბილისი
4. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“
5. თბილისი
6. თბილისი
7. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა
8. თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, 2021
9. თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, 2021
10. თბ. „მერიდიანი“, 2021
11. თბილისი, 2021
12. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
13. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
14. თბილისი, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა
15. თბილისი, მერიდიანი
16. გამომცემლობა: „მერიდიანი“ 2021
17. გამომცემლობა: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021
18. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“
19. თბილისი
20. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021, ISBN 978-9941-8-1800-4
21. თსუ გამომცემლობა, 2021
22. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
23. თბილისი, იბეჭდება
24. –
25. IRZ, თბილისი
26. IRZ, თბილისი
27. IRZ, თბილისი
28. IRZ, თბილისი
29. IRZ, თბილისი

30. IRZ, თბილისი
31. IRZ, თბილისი
32. IRZ, თბილისი
33. IRZ, თბილისი
34. IRZ, თბილისი
35. IRZ, თბილისი
36. თბილისი, „მერიდიანი“, 2021
37. –
38. https://dgstz.de/storage/documents/Oh7ggyowbR8Fo4RmZTODQoMeZrsa56pTC6zIlkFb.pdf
39. გამოიცემა 2022 წელს
40. მზადდება გამოცემისთვის გადასაცემად
41. თბილისი, ელექტრონული ჟურნალი
42. ქ. თბილისი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი
43. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“
44. თბილისი, თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა
45. თბილისი, თსუ თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა
46. თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა
47. თბილისი, „სამშობლო“
48. თბილისი, „საარი“
49. –
50. ელექტრონული ჟურნალი
51. ელექტრონული ჟურნალი

5) გვერდების რაოდენობა
1. 250
2. 575
3. 60
4. 17 ნაბეჭდი გვერდი
5. 15 ნაბეჭდი გვერდი
6. 16 ნაბეჭდი გვერდი
7. –
8. 18 გვერდი
9. 1 გვერდი
10. 20 გვერდი
11. 1 გვერდი
12. 19 გვერდი
13. 10 გვერდი
14. 16 გვერდი
15. 20 გვერდი
16. –
17. –
18. 47 გვერდი
19. 21 ნაბეჭდი გვერდი
20. 31 გვერდი
21. –
22. 25 გვერდი
23. 25 ნაბეჭდი გვერდი
24. ხელნაწერი, 30 ნაბეჭდი გვერდი
25. 11 გვერდი
26. 10 გვერდი

27. 4 გვერდი
28. 2 გვერდი
29. 4 გვერდი
30. 13 გვერდი
31. 9 გვერდი
32. 6 გვერდი
33. 6 გვერდი
34. 20 გვერდი
35. 14 გვერდი
36. 25 გვერდი
37. –
38. 8 გვერდი
39. 35 გვერდი
40. 15 გვერდი
41. 6 გვერდი
42. 24 გვერდი
43. –
44. –
45. –
46. –
47. 11 გვერდი
48. 21 გვერდი ქართულ ენაზე, 18 გვერდი ინგლისურ ენაზე
49. 12 გვერდი
50. 10 გვერდი
51. 6 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ქართულ კონსტიტუციონალიზმში 1921 წლის კონსტიტუციას თვალსაჩინო ადგილი განეკუთვნება. მან წარსულში სამართლებრივი საფუძველი შეუქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, დღევანდელობისთვის კი საპროგრამო ორიენტირად იქცა, რომლის „ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით“ საქართველოს მოქალაქეებმა მოქმედი კონსტიტუცია გამოაცხადეს. დღემდე ფართო განხილვის საგანია პირველი კონსტიტუციის მნიშვნელობა, მისი ცალსახად საამაყო დებულებები თუ სავარაუდო რისკები, რომლებსაც შესაძლოა, ამოქმედების შემთხვევაში ეჩინა თავი. გადაუსინჯავია, რომ ის ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტი იყო, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა ცივილიზებულ მსოფლიოში ქართული სახელმწიფოს თანაცხოვრების ამბიცია.

პირველ ქართულ კონსტიტუციაში გამოკვეთილი ადგილი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს სტატუსს უკავია. იმ ეპოქაში არ ყოფილა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო ცხოვრების რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც საქართველოს პარლამენტს თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვა. ნიშანდობლივია, რომ კონსტიტუციის ავტორებმა ერთგვარად, გაიზიარეს მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდში გაბატონებული ძირითადი დოქტრინა და საკანონმდებლო ხელისუფლებას, როგორც ხალხის სუვერენიტეტის მატარებელს, პოლიტიკურ სისტემაში ცენტრალური ადგილი მიაკუთვნეს. შესაბამისად, პარლამენტის უზენაესობის იდეა წამყვანი აღმოჩნდა. გავრცელებული იყო აზრი, რომ „ვითომდა პარლამენტს ყველაფერი შეუძლიან... ინგლისის პარლამენტშიც ხშირად ამბობენ, რომ „მას შეუძლია ყველაფერი, მხოლოდ დედაკაცს ვერ გადააქცევენ მამაკაცადო. ეს შეხედულება, რასაკვირველია, ყოვლად მიუღებელია. იგი ფაქტობრივად არ არის მართალი, თუმცა საპარლამენტო ინსტიტუტის გამორჩეულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

იმ დროს არაერთმა ქვეყანამ აიტაცა პარლამენტის უზენაესობის იდეა და ასახა კიდეც ძირითადი კანონების ტექსტებში. სავარაუდოა, რომ პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი მამები ასევე „მოხიბლულები“ იყვნენ „ხალხის რჩეულთა საკრებულოს“ ამგვარი აღქმით, რაც კონსტიტუციის ტექსტიდანაც კარგად ჩანს. მიაჩნდათ, რომ პარლამენტი უზენაესი ძალაუფლებით აღჭურვილი დაწესებულებაა, მთელი ხალხისა და სახელმწიფოს სახელით მოქმედებს და ლაპარაკობს. ფორმალურად, მიღწეულ იქნა მიზანი, რომელიც გულისხმობდა სრული ხელისუფლების

პარლამენტის ხელში მოქცევას, რომელიც ხალხის ნებით უნდა ყოფილიყო შეზღუდული. მას უნდა განეხორციელებინა წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო, საკონტროლო, დამფუძნებელი ფუნქციები. მიზნის მისაღწევად საჭირო იყო პარლამენტის ავტონომიის, ორგანიზაციული დამოუკიდებლობის აღიარება.

სტატიის (პარლამენტის ავტონომიურობის პრინციპი პირველ ქართულ კონსტიტუციაში) მიზანი სწორედ 1921 წლის კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული ავტონომიის პრინციპის, მისი უზრუნველმყოფი მექანიზმების ანალიზია, რომელიც სხვა, არაერთი საკითხის მსგავსად, მეტად საინტერესოა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი პირობა და პოლიტიკური სისტემის განვითარების ხარისხის საზომია. ქართულ რეალობასთან მუნიციპალური დემოკრატიის შესისხლხორცების პროცესი, რასაკვირველია, დასრულებული არაა. საქართველოში ადგილობრივი მართვის გაჯანსაღების მცდელობა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა, თუმცა მის დასრულებას არაერთი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი უშლის ხელს. ქართული სისტემა შორსაა სრულყოფილებისგან და დღესაც რეფორმირების პროცესშია. ამდენად, მნიშვნელოვანია განვლილი გზის გადახედვა, კრიტიკული გაანალიზება და მხოლოდ ასეთი მიდგომებით შეიძლება მომავალი განვითარების ოპტიმალური სტრატეგიის შერჩევა. მათ შორის, საინტერესო და ანგარიშგასაწევია ის მოკლევადიანი, მაგრამ ფასდაუდებელი გამოცდილება, რომელიც 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში დაგროვდა.

ზოგადად, ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში წარმოუდგენლად დიდია იმ ეპოქის მნიშვნელობა, რომელიც ,,პირველ რესპუბლიკად'' იწოდება. ,,დამფუძნებელმა მამებმა'' ეროვნული კონსტიტუციის ფარგლებში ჩამოაყალიბეს სუვერენული სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძველი და განსაზღვრეს ახლადშექმნილი ქვეყნის ვექტორი. ,,ქვეყნის სავიზიტო ბარათზე“ მუშაობის პარალელურად, მაშინდელ ქართველ მოაზროვნეთა ყურადღება მიმართული იყო ცალკეული საჯარო ინსტიტუტების სიღრმისეული შესწავლისა და მათთვის მყარი თეორიული საფუძვლის შექმნისკენ. საქართველოს დემოკრატიამ თავიდანვე აუღო ალღო თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემას და თვითმმართველობა აამუშავა, როგორც თავისი ბუნებრივი დასაყრდნობი, თავისი ძლიერების საფუძველი და მთელი ქვეყნის ამაღორძინებელი ძალა. ერთ-ერთი პრინციპული საკითხი, რომელიც ახალგაზრდა სახელმწიფოს მშენებლობის გარიჟრაჟზე გახდა აქტუალური, იყო ,,რანაირი უნდა იყოს თვით სისტემა მმართველობის ორგანიზაციისა, რა დაწესებულებათა საშუალებით უნდა მოწესრიგდეს სახელმწიფო ტერიტორიაზე ბრძანებლობა და აღმასრულებლობა“. შესაბამისად, მოაზროვნეებმა მსჯელობის საგნად აქციეს მთელი რიგი მექანიზმები, რომლებსაც იცნობდა, ძირითადად, ევროპული პრაქტიკა და რომელთაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უნდა უზრუნველეყოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტური ფუნქციონირება, რაც დემოკრატიული პროცესების აუცილებელი პირობა იყო.

დღესაც აღფრთოვანებას იწვევს ის მიგნებები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის შინაარსის, მისი არსებითი მახასიათებლების კვლევის ფარგლებში გვხვდება და, ერთგვარად, მის თეორიულ მოდელად წარმოგვიდგება, რაც, დიდწილად, წარმოდგენილია სტატიის (ფიქრები ადგილობრივ თვითმმართველობაზე ,,პირველი რესპუბლიკის'' პერიოდში) ფარგლებში.

წინამდებარე კრებულში („სისხლისსამართლებრივი სანქციები და სასჯელის შეფარდება“) ასახულია ქართველი და გერმანელი მეცნიერების ნაშრომები სისხლისსამართლებრივ სანქციებთან და სასჯელის შეფარდებასთან დაკავშირებით. კრებულს განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს ის ფაქტი, რომ საძიებელი პრობლემის გარშემო ავტორები გვთავაზობენ მეტად თანამედროვე და აქტუალური ხასიათის თემებს, რაც თავისი არსით მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ქართულ სისხლის სამართალში. მაია ივანიძის მიერ დამუშავებული სტატია „სასჯელის შეფარდების ზოგადი საწყისები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის მიხედვით“, წარმოაჩენს იმ საკანონმდებლო სიახლეებს, რაც არასრულწლოვანთა სასჯელის სახეებთან და მისი შეფარდების თავისებურებებთან დაკავშირებით არის შემოთავაზებული საქართველოს არასრულწლოვათა მართლმსაჯულების კოდექსში. სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკა არასრულწლოვანთა სასჯელებთან მიმართებით თანამედროვე ხასიათს ატარებს. მნიშვნელოვანია ის პრინციპებიც, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ამოსავალი საწყისია. სტატაში ყურადღება ეთმობა

არასრულწლოვანთა ინდივიდუალურ ანგარიშს, რომელსაც არასრულწლოვანთა საქმის განმხილველი მოსამართლე იყენებს სასჯელის დანიშვნისას. ნაშრომში ყურადღება ეთმობა სასამართლო პრაქტიკის თავისებურებებს არასრულწლოვანთა საქმის განხილვისას. თითოეული სასჯელის სახის გამოყენებისას მოსამართლის მხრიდან სასჯელის დანიშვნის თავისებურებების სწორად შეფასებას. ნაშრომი მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, რამდენადაც იმ სიახლეებს მოიცავს, რასაც 2015 წელს შემოთავაზებული და 2016 წლიდან ამოქმედებული საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გვთავაზობს. გამოცემის ინიციატორები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი. თანაავტორები: 1. პროფესორი ო. გამყრელიძე – საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილების გამგე. 2. პროფ. მ. ტურავა – თსუ პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე; 3. პროფ. ნონა თოდუა – თსუ პროფესორი; 4. პროფესორი თ. ცქიტიშვილი – თსუ ასისტენტ-პროფესორი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ- თანამშრომელი. 5. პროფ. მაია ივანიძე – თსუ პროფესორი; 6. პროფ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი – იენის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ მოწვეული პროფესორი; 7. პროფ. ირაკლი დვალიძე – თსუ ასოცირებული პროფესორი; 8. პროფ. ედიშერ ფუტკარაძე – თსუ მოწვეული ლექტორი; 9. პროფ. ირინე ხერხეულიძე – თსუ მოწვეული ლექტორი; 10. პროფ. ი. ვარძელაშვილი – თსუ მოწვეული ლექტორი; 11. პროფესორი ბერნდ ჰაინრიხი – ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორი: 12. პროფესორი ქინცინგი – თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტის პროფესორი.

ქართული სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში ძნელად მოიძებნება 1921 წლის 21 თებერვალზე საამაყო თარიღი. ასი წლის წინ დამოუკიდებელი საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის წარმომადგენლობითმა ორგანომ ქვეყნის პირველი კონსტიტუცია მიიღო. მოცემულ ნაშრომში , სწორედ ამ განვლილი ასი წლის განმავლობაში, ქართული კონსტიტუციონალიზმის სხვადასხვა მნიშვნელოვან პრობლემებს მიეძღვნა თითოეული სტატია. მაია ივანიძის მიერ დამუშავებული საკითხი ეძღვნება: „რწმენის თავისუფლების კონსტუტიციურ-სამართლებრივ გარანტიებს საქართველოში“. 1921 წლის, 1995 წლის და კონსტიტუციის ახალი რედაქციით (2017/2018 წლები), რწმენის აზრის, სინდისის თავისუფლება არის აღიარებული. მოცემული კვლევა ეძღვნება საქართველოში სხვადასხვა დროს მოქმედი კონსტიტუციით გათვალისწინებული რწმენის თავისუფლების ამსახველ ნორმებს. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაფუძნებიდან დღემდე – რწმენის თავისუფლება – კონსტიტუციით განმტკიცებულ ძირითად უფლებას წარმოადგენს. სტატიაში მოცემულია საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული რწმენის თავისუფლების დაცვის სისხლისსამართლებრივი თავისებურებანი. ბუნებრივია, დროის ცვლილებასთან ერთად რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან დაკავშირებული მიდგომები იცვლება. საქართველოში მორწმუნეთა რიცხვი იზრდება, ასევე გაიზარდა საქართველოს ეკლესიის როლი სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში. ეს ცვლილებები კონსტიტუციურსამართლებრივ ჭრილში მეტად მნიშვნელოვანია. ამ მნიშვნელოვან ცვლილებებს და მათ ასახვას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ეძღვნება მოცემული კვლევა. მნიშვნელოვანია, რომ იგი საიუბილეო თარიღს – კონსტიტუციის 100 წლის იუბილეს უკავშირდება. თანაავტორები: 1. კონსტანტინე კორკელია – თსუ პროფესორი; 2. გიორგი თევდორაშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე; 3. გია გოგიბერიძე – თსუ მოწვეული ლექტორი; 4. ვასილ გონაშვილი – თსუ ასოცირებული პროფესორი; 5. მაია ივანიძე – თსუ პროფესორი; 6. ნანა ჭიღლაძე – თსუ პროფესორი; 7. მაია კოპალეიშვილი – თსუ პროფესორი; 8. ი. ხარშილაძე – თსუ პროფესორი; 9. გიორგი კვერენჩხილაძე – თსუ პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე; 10. ირაკლი კახიძე – თსუ ასოცირებული პროფესორი; 11. გიორგი კახიანი – თსუ ასოცირებული პროფესორი.

გოჩა ფერაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ რევაზ გოგშელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში გამოსაქვეყნებლად მოამზადა წერილი: „პირველი ქართველი პროკურორები“ (21 ნაბეჭდი გვერდი). ნაშრომში წარმოჩენილია 1821-1826 წლებში საქართველოს უზენაესი მთავრობის პირველი ქართველი პროკურორის გიორგი (იაგორ) ჭილაშვილისა და 1814-1828

წლებში საქართველო-იმერეთის უწმინდესი სინოდის პირველი პროკურორის ვასილ ჭილაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მონაცემები. განხილულია მათ მიერ რუსეთის იმპერიის მოხელის მუნდირში, უმკაცრესი კონტროლისა და თვალთვალის პირობებში სამშობლოსა და თანამემამულეების საკეთილდღეოდ გატარებული უმნიშვნელოვანესი რეფორმები.

სტატიების კრებული (პირველი ქართული კონსტიტუცია 100 წელი) გამოხატავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საჯარო სამართლის პროფესორთა გუნდის გამოხმაურებას პირველი ქართული კონსტიტუციის ასწლიანი იუბილესადმი.

ირაკლი კახიძის ნაშრომის მიზანია, შესწავლილ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური რეგულირების პრაქტიკა, მათ შორის გაანალიზდეს აღნიშნული საკითხების კონსტიტუციური რეგულირების ისტორიული განვითარების დინამიკა და თანამედროვე ტენდენციები. ნაშრომი აყალიბებს საერთო სურათს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების კონსტიტუციური რეგულირების განვითარების დინამიკის თაობაზე საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციიდან დღემდე პერიოდში. ანალიზის შედეგები მნიშვნელოვან მინიშნებებს იძლევა საქართველოს მმართველობით სისტემაში ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის როლის, მნიშვნელობისა და განვითარების პერსპექტივის შესახებ.

ნაშრომის პირველ ნაწილში მოცემულია მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპის ქვეყნებში მოქმედ კონსტიტუციებში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების კონსტიტუციური რეგულირების ფარგლების შეფასება. ამ შემთხვევაში მთავარი ამოცანა იყო მითითებულ პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური რეგულირების პრაქტიკის დადგენა. ეს ინფორმაცია საშუალებას იძლევა, შედარებითი ანალიზის საფუძველზე უკეთესად შეფასდეს საქართველოს პირველი რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის შესაბამისი ნორმების შინაარსი და მნიშვნელობა.

ნაშრომის მეორე ნაწილი თანამედროვე კონსტიტუციებში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების რეგულირების კონსტიტუციური ფარგლების იდენტიფიცირებას ეთმობა. ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ევროპის სახელმწიფოების კონსტიტუციების შესწავლა. სამართლებრივი ტრადიციების განსხვავების მიუხედავად, დღეს ევროპის სახელმწიფოები ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში საერთო პრინციპებსა და ღირებულებებზე თანხმდებიან, რომლებიც ევროსაბჭოს საერთაშორისოსამართლებრივ აქტში – ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიაში დეკლარირდება. ქარტია რატიფიცირებული აქვს ევროპის ყველა სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოსაც. ამდენად, ევროპის ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების კონსტიტუციური რეგულირების ფარგლების დადგენა შესაძლებლობას იძლევა, შედარებით კონტექსტში გააზრებულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციაში ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის ადგილი და მნიშვნელობა.

სტატიაში (პოლიციის პრევენციული და რეპრესიული ღონისძიებების გამიჯვნის პრობლემები) განხილულია პოლიციის პრევენციული ღონისძიებების ცალკეული სახეები, ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიები პრევენციული ღონისძიებების გამოყენებისას, ხაზგასმულია პოლიციის ორმაგი ფუნქციის - პრევენციული და რეპრესიული ამოცანების განხორციელების თავისებურებები და განსხვავებული სამართლებრივი ბუნების გამო არაერთგვაროვანი საშუალებების და მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. გადმოცემულია პოლიციის პრევენციული და რეპრესიული ღონისძიებების გამიჯვნის პრობლემები, სტატიაში არის მცდელობა, გაირკვეს - არის თუ არა პრევენციული ყველა ის ღონისძიება, რომლებსაც ითვალისწინებს პოლიციის შესახებ კანონი, ხომ არ იკვეთება მათი რეპრესიული ბუნება და ვინაიდან ზოგიერთი მათგანი იმავდროულად სხვადასხვა საკანონმდებლო ჩარჩოშია მოქცეული, ხომ არ დგას საკანონმდებლო დონეზე მათი გამიჯვნის აუცილებლობა. ნაშრომში იდენტიფიცირებულია პოლიციის ცალკეული პრევენციული ღონისძიებების საკანონმდებლო მოწესრიგების თუ პრაქტიკული გამოყენების კუთხით არსებული პრობლემები და ხარვეზების აღმოსაფხვრელად გამოთქმულია რეკომენდაციები და მოსაზრებები.

სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში ღია სხდომაზე განხილვა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და ასევე განმტკიცებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო პრინციპი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ

სასამართლოში საქმის განხილვამდეც ცალკეულ შემთხვევებში საზოგადოება პროკურატურისა და მედია საშუალებების მხრიდან უკვე საკმარისად არის ინფორმირებული საქმის მნიშვნელოვანი გარემოებებისა და დანაშაულის სავარაუდოდ ჩამდენი პირის თაობაზე. არაერთი მედია საშუალება დიდ ყურადღებას უთმობს საკუთარი საინფორმაციო პოლიტიკიდან გამომდინარე კრიმინალურ ქრონიკებს და ცდილობს ამით მოიპოვოს საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი. თუმცა, ამას შეუძლია სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს, როგორც ცალკეული პირების ღირსება, ისე მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და ამასთან, აქციოს მსხვერპლად პროცედურული სამართლიანობის წესები. სტატიაში (სისხლის სამართლის საქმეთა მედიის მიერ გაშუქება და დაბალანსებული საინფორმაციო პოლიტიკა) მოკლედ არის მიმოხილული პროკურატურისა და მედიის საინფორმაციო პოლიტიკის მნიშვნელობა. საუბარია იმ რისკებზე, რაც შეიძლება მოყვეს დაუბალანსებელ საინფორმაციო პოლიტიკას სისხლის სამართლის პროცესისა და პროცესის მონაწილეთათვის. სტატიაში სარეკომენდაციო სახით ასევე ასახულია დაბალანსებული საინფორმაციო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

ანოტაცია სტატიაზე („კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა ეროვნული და საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით“): ადამიანის უფლებათა იმპლემენტაცია საერთაშორისო სისხლის სამართლის ფარგლებში სხვადასხვა საშუალებით ხდება. ადამიანის უფლებათა სამართალი ეხება ადამიანის უფლებათა დარღვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, როგორც წესი, სახელმწიფოს მხრიდან მისი მოქალაქეების მიმართ, საერთაშორისო სისხლის სამართლში ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობა კი მიზნად ისახავს, სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელოს ინდივიდებზე, რომლებმაც ჩაიდინეს ასეთი ქმედება.

კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვა სისხლის სამართალში ეროვნული და საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით ხდება. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დეფინიცია. გენოციდისა და ომის დანაშაულებისაგან განსხვავებით, რომელთა კოდიფიკაცია მოხდა კონვენციებში დამტკიცებული ცნებებით, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ჩამოყალიბდა არათანმიმდევრული დეფინიციების საფუძველზე. დანაშაულის შემადგენლობა შეიქმნა იმ მიზნით, რომ შეავსოს ის სივრცე, რომელსაც ომის დანაშაულის შემადგენლობა ღიად ტოვებს.

ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს და უმძიმეს დანაშაულს საერთაშორისო სისხლის სამართლის ისტორიაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მსოფლიოს მშვიდობას, უშიშროებას და კეთილდღეობას. დანაშაულის შემადგენლობის გაფართოების მცდელობა მუდმივად მიმდინარეობდა.

მოხსენება ეხებოდა ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობას, კვალიფიკაციისათვის აუცილებელ ნიშნებს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით. გაანალიზდა დანაშაულის ჩამოყალიბების ისტორია, თუ რა გზა განვლო მან ჰააგამდე, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება რომის სტატუტის მე-7 მუხლის მიხედვით, დანაშაულის მატერიალური ელემენტები (სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმა; სახელმწიფო ან ორგანიზაციული პოლიტიკა) დანაშაულის მენტალური ელემენტები (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი გარემოებები) და სხვა დანაშაულის შემადგენლობისგან განმასხვავებელ ნიშნები.

ანოტაცია სტატიაზე („მაღალი თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული სახელმწიფო აპარატის გამოყენებით ჩადენი დანაშაულებისათვის“): საერთაშორისო სისხლის სამართლის პერსონალური პასუხისმგებლობის კონცეფცია უარყოფს კოლექტიური შერაცხვის მოდელს, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და სანქცია უნდა ემყარებოდეს ინდივიდის ბრალეულობის ხარისხს. ამ მიზნით იგი გვთავაზობს კონკრეტული პასუხისმგებლობის სახის ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდს, auctor intellectualis სისხლისსამართლებრივი დევნის აუცილებლობით. ამ მხრივ, საერთაშორისო მატერიალური სისხლის სამართლის მიზანია დაეხმაროს პროცესუალურ ნაწილს, რომ სათანადოდ წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი კანონიერებისა და ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპების

მაქსიმალური დაცვითა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციების „ფრთხილი“ გამოყენებით, რომ არ დაიკარგოს ultima ratio ფუნქცია.

საერთაშორისო სისხლის სამართალი შეგვიძლია მივიჩნიოთ ეროვნული კანონმდებლობის „კატალიზატორად“. ამ ფუნქციას კომპლემენტარულობის პრინციპი ახორციელებს ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით. ჰორიზონტალური ასპექტი ფოკუსირებულია საერთაშორისო სამართალში დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმწიფოთა ვალდებულებებზე6. რაც შეეხება ვერტიკალურ ასპექტს, იგი პირდაპირ ეროვნული კანონმდებლობის „კატალიზატორის“ ფუნქციას ასრულებს.

საერთაშორისო სისხლის სამართალი შესაძლოა გახდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი მოდელი მსოფლიო სამართლებრივ სისტემათა შორის. მისი მიზანი არაა ადამიანის ყველა ფუნდამენტური უფლების დარღვევის საერთაშორისო კრიმინალიზაცია. რომელი დარღვევაც არაა სისხლისსამართლებრივი ხასიათის, ამას საერთაშორისო სამართალი სისხლის სამართლისგან დამოუკიდებლად არეგულირებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა სამართალში. შესაბამისად, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინა ამ მხრივ ადამიანის უფლებათა სამართალს ეყრდნობა - საერთაშორისო სისხლის სამართალს ადამიანის უფლებათა სამართალი განუმარტავს სისხლისსამართლებრივად დასჯად არაჰუმანურ ქმედებათა შინაარსს.

საერთაშორისო თანამეგობრობის მთავარი „დავალება“ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) მიმართ კოლექტიური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის შეზღუდვა იყო, რომ სახელმწიფოსა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას შორის ყოფილიყო მიჯნა გავლებული. მთავარია, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, რომის სტატუტის 25-ე მუხლის ინტერპრეტაციით, ინდივიდის ბრალეულობას, დანაშაულში მონაწილეობის ხარისხს დაქვემდებარებოდა, რაც სისტემური პასუხისმგებლობის კონცეფციის მიმართ არსებულ ხარვეზებსა და კრიტიკას აღმოფხვრიდა, ისე, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის მიზნებს არ შექმნოდა საფრთხე. ამ „დანაკლისის“ აღმოფხვრას ხელს უწყობს საერთაშორისო სისხლის სამართალში დაფუძნებული კონცეფციები, რომლებიც ითვალისწინებს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მაღალი თანამდებობის პირებზე, უმეტესწილად, ორგანიზებული სახელმწიფო აპარატის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულებისათვის.

ჰორიზონტალური და ვერტიკალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი, უმეტესწილად, „პირველი დონის დამნაშავეა“. ეს არის მაღალი პოლიტიკური ან სამხედრო თანამდებობის პირი, რომელიც ახდენს მასშტაბური (საერთაშორისო) დანაშაულების „ლეგალიზაციას“, მათ დაქვემდებარებაში მყოფი ყველა პირის ჩართვით. იგი გამოირჩევა სხვა ამსრულებლისგან იმით, რომ იყენებს სახელმწიფოს აპარატსა და ხელქვეითებს დანაშაულების უშუალოდ ჩასადენად. იგი არის დანაშაულის შემოქმედი. ასეთი ამსრულებელი შეიძლება იყოს, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაური - პოლიტიკური ძალაუფლების, „სახელმწიფო აპარატზე ბატონობის“ უნარის მქონე პირი. იგი ქმნის განსხვავებულ სოციალურ რეალობას, რომლითაც აქეზებს სხვას, ორგანიზებას უწევს ან გეგმავს დანაშაულების ჩადენას. ზოგადად, ასეთი ტიპის ამსრულებლებს უმაღლესი სასჯელი ეფარდებათ.

საერთაშორისო სისხლის სამართალში დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის რამდენიმე მოდელი არსებობს. ნაშრომის გააანალიზებულია თანაამსრულებლობის - ჰორიზონტალური, არაპირდაპირი ამსრულებლობის - ვერტიკალური და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის ჰიბრიდული კონცეფციები.

მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემატიკა მნიშვნელოვანი გამოწვევაა სისხლის სამართლის პროცესში. მწვავე დისკუსიის საგანია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა. იქიდან გამომდინარე, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2014 წლიდან გაჩნდა, ამ ღონისძიებათა შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა გამოყენებას არ აქვს დიდი ისტორია.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფარული საგამოძიებო ღონისძიების, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობა განსაკუთრებულ სამართლებრივ შეფასებას საჭიროებს. მაგალითად, მეტად საინტერესო და საკამათოა შემდეგი საკითხები: სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ფარული მიყურადების საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება ზღუდავს თუ არა ბრალდებულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან

კონსტიტუციურ გარანტიას - თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიას; აგრეთვე, სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისას კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები შეიძლება თუ არა რაიმე ფორმით შემდგომში გამოყენებულ იქნეს სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

ამ საკითხების ირგვლივ არსებული ძირითადი პრობლემური ასპექტების გარკვევის მიზნით ამ სტატიაში (სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის ცალკეული პრობლემები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში) განხილულია ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებათა დასაშვებობის ზოგადი საკითხები (II ნაწილი), ფარული მიყურადების შედეგად კანონდარღვევით მოპოვებული მტკიცებულებები, მათ შორის, nemo tenetur პრინციპის გათვალისწინების საკითხი ფარული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისას და კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებათა გამორიცხვის შემდგომი გავლენა (III ნაწილი).

სტატიაში („საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ჭრილში: საქმე ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ (N9043/05)") გაანალიზებულია სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ (N9043/05), კერძოდ, მისი ძირითადი ასპექტები; შემდეგ კი, ამ გადაწყვეტილების მიხედვით, წარმოდგენილი და განხილულია საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი.

სტატია („კორპორაციული დანაშაული: დამნაშავე კორპორაციის მოდელის საჭიროება?") გამოქვეყნებულია პროფ. ჰაინერ ალვარტისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში. სტატიაში განხილულია ჰაინერ ალვარტის კონცეფცია კორპორაციათა პასუხისმგებლობის შესახებ - სისხლის სამართლის კოდექსში სპეციალური შემადგენლობის – „საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნა კორპორაციის მიერ", აგრეთვე წარმოდგენილია კორპორაციის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გერმანული და ქართული პერსპექტივიდან.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები

1. ანრი ოხანაშვილი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. Die Strafbarkeit des Organisationstäters und des Organisators in Deutschland und Georgien, ISBN 978-3-8487-7756-3

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. Baden-Baden 2021, Nomos-ის გამომცემლობა - Nomos Verlagsgesellschaft

4) გვერდების რაოდენობა

1. 444 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წიგნში (Die Strafbarkeit des Organisationstäters und des Organisators in Deutschland und Georgien) წარმოებული კვლევის ძირითადი არსი მდგომარეობს გერმანულ სისხლის სამართალში განვითარებული სამართლებრივი ფიგურის - ორგანიზატორიული ამსრულებლის - და ქართულ სისხლის სამართალში კანონით დარეგულირებული ორგანიზატორის ფიგურის ანალიზსა და შედარებაში. ორგანიზატორული ამსრულებელი გერმანულ სისხლის სამართალში შუალობითი ამსრულებლობის ერთ-ერთი სახეა და მისი დასაბუთება ხდება ქმედებაზე ორგანიზაციული ბატონობით, მაშინ, როდესაც ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ორგანიზატორის დასაბუთება ხორციელდება განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით. ეს სამართლებრივი ფიგურა მიჩნეულია ფართო გაგებით თანამონაწილეობის ყველაზე საშიშ ფორმად. ამიტომ, ის

გათანაბრებულია დანაშაულის ამსრულებელთან და გაგებულია ორგანიზატორული ამსრულებლის მსგავს ფიგურად. წიგნში წარმოდგენილი კვლევით დასტურდება, რომ სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაში ორგანიზატორული ამსრულებლობა დასაბუთებადია. წიგნში ორგანიზატორის ფიგურა კი გაკრიტიკებულია, რადგან ის საბჭოთა პერიოდში პოლიტიკური მიზნით ხელოვნურად შექმნილი ინსტრუმენტია, რომელსაც სისხლისსამართლებრივი დოგმატური საფუძველი აკლია და ამიტომაც მისი თანამონაწილეობის ამ ფორმით არსებობა გაუმართლებელია.

6.2. სახელმძღვანელოები

1) ავტორი/ავტორები

1. დავით პატარაია

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. International Law: Text, Cases and Materials 9781032101231

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. UK, 1st Edition, First Published 2021, Routledge, იხ. https://www.routledge.com/International-Law-Text-Cases-and-Materials/Pataraia/p/book/9781032101231

4) გვერდების რაოდენობა

1. 1152 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

წიგნი (International Law: Text, Cases and Materials) არის საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელო. მასში განხილულია საერთაშორისო სამართლის ზოგადი კურსის ყველა თემა, მასში განმარტებულია როგორც საერთაშორისო სამართლის ძირითადი ცნებები და ფუნდამენტური პრინციპები, ასევე დეტალურადაა მიმოხილული სამართლის ამ სისტემის თითოეული აღიარებული დარგი.

წიგნი მომზადებულია სპეციალურად მისთვის დავით პატარაიას მიერ შემუშავებულ ფორმატში. ტექსტურ ნაწილთან ერთად, აქ წარმოდგენილია ამონაკრებები სასამართლო საქმეებიდან, საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და დოკუმენტებიდან, მეცნიერთა ნაშრომებიდან. გარდა ამისა წიგნში შეხვდებით საილუსტრაციო გამოსახულებებსაც, რათა მკითხველს გაუადვილდეს საგნის დაუფლება. წიგნი მოიცავს თითქმის ყველაფერს, რაც საჭიროა სტუდენტისთვის საერთაშორისო სამართლის ზოგადი კურსის შესასწავლად.

ეს ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო იქნება არსებითი საკითხავი არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ზოგადი კურსის დაუფლების მსურველთათვის, არამედ როგორც საწყისი მასალა მათთვის, ვისაც სურს ზოგადად გაეცნოს საერთაშორისო სამართლის ცალკეულ დარგებს.

6.3. კრებულები

1) ავტორები

1. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ერიკ ჰილგენდორფი, მაია ივანიძე, ნონა თოდუა, მორის შალიკაშვილი

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN

1. მედიცინის სისხლის სამართალი გერმანულ-ქართულ შედარებით ჭრილში

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ბერლინი, გამომცემლობა Duncker & Humblot

4) გვერდების რაოდენობა

1. 350 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

6.4. სტატიები

1) ავტორი/ავტორები

1. კონსტანტინე კორკელია
2. ბესარიონ ზოიძე
3. ბესარიონ ზოიძე
4. ლადო ჭანტურია
5. ლადო ჭანტურია
6. ლადო ჭანტურია
7. ლადო ჭანტურია
8. ლადო ჭანტურია
9. მაია ივანიძე (თანაავტორი და გამოცემის სარედაქციო კომისიის წევრი)
10. მაია ივანიძე
11. ნონა თოდუა
12. მარინა გარიშვილი, თორნიკე ნემსწვერიძე
13. მარინა გარიშვილი, თორნიკე ნემსწვერიძე
14. მორის შალიკაშვილი
15. სერგი ჯორბენაძე
16. ნინო გოგნიაშვილი
17. გიორგი დგებუაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN

1. COVID-19-ის პანდემიის დროს საქართველოში დაწესებული ადამიანის უფლებათა შეზღუდვების კანონიერება და პროპორციულობა, (2021 წლის სექტემბერი), ხელმისაწვდომია: https://ssrn.com/abstract=3922554, ISSN 2702-9360
2. „საჯარო რეესტრის სანდოობა და უძრავ ქონებაზე საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა“ (იბეჭდება გერმანულად)
3. „სანივთო სამართლის საგანი და პრინციპები“ (იბეჭდება გერმანულად)
4. Rechtstransformation, Rechtsharmonisierung und Rechtswissenschaft. Zur Rolle der wissenschaftlichen Kooperation in der Entstehung neuer Rechtsordnungen (იბეჭდება)
5. Participatory rights in the case-law of the European Court of Human Rights
6. Обоснование судебных решений и «баланс прав» по гражданским делам в соответствии с практикой Европейского Суда по правам человека
7. Вопросы частного права в практике Европейского Суда по правам человека
8. Юридические лица как субъекты прав человека в судебной практике Европейского Суда по правам человека
9. „ექიმის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებელი დანაშაული“
10. „ოჯახში ძალადობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით“
11. ქმედების კვალიფიკაცია, როცა იდენტიფიცირებულია მხოლოდ ერთი ამსრულებლის პიროვნება
12. Основные этапы эволюции правовой мысли в Грузии
13. Оголтелая борьба (интервенция в юридическую науку и перепетии проведенной в Тбилиси 30-х годах «дискуссии») советчины против истинной юридической научной мысли в 30-х годах XX столетия
14. ბულინგის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა
15. Labour Dispute Practice in Georgia and Necessary Elements of Arbitration Agreements, ISSN: 1842-6859
16. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ქართულ და საერთაშორისო სამართალში, პრობლემები და გამოწვევები“ – ISSN 1829-4847
17. „ჰორიზონტალური და ვერტიკალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებები საერთაშორისო სისხლის სამართალში“

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. შედარებითი საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის კვლევა No. 2021-23
2. პროფესორ ტიციანა ქიუზის რედაქტორობით შედგენილი კრებული
3. პროფესორ ტიციანა ქიუზის რედაქტორობით შედგენილი კრებული

4. –
5. Proceedings of the High-Level International Conference on Human Rights and Environmental Protection
6. Дифамація. Збірка статей. За редакціею професора І.В. Спасибо-Фатеевоі
7. Актуальные проблемы частного права. Академику М.К. Сулейманову Liber Amicorum
8. Субъекты гражданского права и реформа системы юридических лиц. Материалы международной научно-практической конференции, посвященной 50-летнему юбилею профессора Карагусова Фархада Сергеевича
9. მედიცინის სისხლის სამართალი გერმანულ-ქართულ ჭრილში (სტატიათა კრებული)
10. სვუპსკის პომერანული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი
11. პოლონური ჟურნალი
12. Journal of Polish-Georgian law, #1
13. Annales Pomorienses Ius (API), #1
14. გერმანულ ქართული სისხლის სამართლის ელექტრონული ჟურნალი https://www.dgstz.de (სტატია გამოქვეყნდა ქართულ და გერმანულ ენაზე)
15. ROMANIAN ARBITRATION JOURNAL, 2/2021, April-June 2021
16. №12, 2021 წ. ჟურნალი - „კანონის დამცველი“ - სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალი
17. საერთაშორისო სამეცნიერო კრებული: „თავისუფლების დაცვა და სისხლის სამართალი“

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. ჰაიდელბერგი, გერმანია
2. ზაარლანდის უნივერსიტეტის, გერმანია
3. ზაარლანდის უნივერსიტეტის, გერმანია
4. –
5. Strasbourg, 5 October 2020, Council of Europe, 2021
6. Харків, ЕКУС, 2021
7. Алматы, 2021
8. Алматы, 2021
9. გერმანია, დუნკერი & ჰუმბოლტი (dunker & humblot) 2021
10. გამომცემლობა: “annales Pomorienses. Ius” 2021
11. ქ. ვარშავა
12. პოლონეთის რესპუბლიკა, ქ. სუფსკი
13. პოლონეთის რესპუბლიკა, ქ. სუფსკი
14. თბილისი/ბერლინი
15. CCIR, Wolters Kluwer, Bucharest
16. ქ. ერევანი, გამომც. LIMUSH – PRINTHOUSE
17. პოლონეთი, „სვუპსკის პომერანული უნივერსიტეტი“

5) გვერდების რაოდენობა
1. 28 გვერდი
2. 17 ნაბეჭდი გვერდი
3. 25 ნაბეჭდი გვერდი
4. –
5. 5 გვერდი
6. 13 გვერდი
7. 14 გვერდი
8. 6 გვერდი
9. –
10. –
11. –
12. 12 გვერდი
13. 23 გვერდი
14. 10 გვერდი

15. 11 გვერდი
16. 9 გვერდი
17. 12 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მედიცინის სისხლის სამართალი თანამედროვე პერიოდის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. თსუ იურიდიული ფაკულტეტის ინიციატივით და გერმანელი კოლეგების მხარდაჭერით 2019 წელს, 22 ივლისს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მედიცინის სისხლის სამართლის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ როგორც ქართველი მეცნიერ-იურისტები და პრაქტიკოსები, ასევე გერმანელი კოლეგები. აღნიშნულ კონფერენციაზე მაია ივანიძის მოხსენების თემა გახლდათ „ექიმის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებელი დანაშაული“. კონფერენციის მასალები შეიკრიბა და გამოქვეყნდა კრებულის სახით 2021 წელს, სახელწოდებით: “Medizinstrfrecht im deutsch georgischen vergleich”. კრებულში გამოქვეყნდა სტატიები, რომელთა ავტორები გახლავთ: 1. პროფესორი ქეთევან მჭედლიშვილი ჰედრიხი – თსუ მოწვეული პროფესორი, იმავდროულად იენის დრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. 2. პროფ ნონა თოდუა – თსუ იურიდიული ფაკულტეტი პროფესორი; 3. პროფ მერაბ ტურავა – თსუ იურიდიული ფაკულტეტი პროფესორი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე; 4. პროფ. მ. ივანიძე – თსუ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი; 5. პროფ ნუნუკა კვანტალიანი – რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, თსუ მოწვეული ლექტორი; 6. პროფ. ი. ხერხეულიძე – თსუ მოწვეული ლექტორი; 7. პროფ. ირმა გელაშვილი – ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; 8. პროფ მ. კვაჭაძე – საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, საქართველოს უზენასი სასამართლოს ანალიტიკური სამმართველოს სამსახურის ხელმძღვანელი; 9. პროფ. თ. სადრაძე – თსუ მოწვეული ლექტორი პროფ. თ. ცქიტიშვილი – თსუ ასისტენტ პროფესორი; გერმანელი ავტორები: 10 ერიკ ჰინგელდორფი – ვიურცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი; 11. მარტინ პაულ ვასმერი – კიოლნის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი; 12. ალბინ ეზერი – მაქს პლანკის უნივერსტეტის საზღვარგარეთის და საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმართულების დირექტორი; 13. კარსტენ კუშე – ვიურცბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. მაია ივანიძის მოხსენება, რომელიც დასახელებულ კრებულში სტატიის სახით გამოქვეყნდა ეძღვნება „ექიმის მიერ ჩადენილ გაუფრთხილებელ დანაშაულს.“ იგი ეხება და მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მედიცინის მუშაკებმა თავიანთი პროფესიული მოვალეობის დარღვევით არ მიიღეს ყველა აუცილებელი და გადაუდებელი ღონისძიება, რათა პაციენტისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. ასევე საგულისხმოა სანქციის სახები ამგვარი ტიპის დანაშაულისათვის. საკითხი ეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლს. მნიშვნელოვანია მისი განსხვავება ე,წ. უბედური შემთხვევისაგან. სტატიაში მოყვანილი იქნა კონკრეტული მაგალითები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, როგორც საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან, ასევე გერმანული სასამართლოს რეალობიდან. მნიშვნელოვანია, რომ შემთხვევა გაუფრთხილებლობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ექიმს მაინც უწევს გადაწყვეტილების მიღება, ყველა კონკრეტული შემთხვევის სირთულიდან გამომდინარე და ამის გათვალისწინების აუცილებლობიდან მომდინარეობს ის პრობლემები, რასაც თანამედროვე პრაქტიკა ითვალისწინებს. სტატია მოიცავს საძიებელ საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

ნონა თოდუას სტატიაში განხილულია იურიდიულ ლიტერატურაში ნაკლებად დამუშავებული და სასამართლო პრაქტიკისთვის პრობლემური საკითხი: როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას ასრულებს რამდენიმე პირი, საიდანაც იდენტიფიცირებულია მხოლოდ ერთის ვინაობა? ანდა როცა ამ პირთაგან მხოლოდ ერთია სისხლის სამართლის სუბიექტი, სხვა პირი კი ვერ ჩაითვლება ასეთად მისი უასაკობის ან ფსიქიკური დაავადების გამო? სტატიაში განხილულია განსხვავებული მოსაზრებები ამ საკითხზე, ასევე საქართველოს სასამართლო პრაქტიკა და გაკეთებულია დასაბუთებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც ასეთ ვითარებაში შეუძლებელია იდენტიფიცირებული პირის (ასევე იმ პირის, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის სუბიექტს) ქმედების კვალიფიკაცია, როგორც ჩადენილი ჯგუფურად, რადგან ჯგუფურობისთვის არაა საკმარისი, სახეზე იყოს ორი ან მეტი ფაქტობრივი

ამსრულებელი. საამისოდ აუცილებელია, სახეზე იყოს სულ მცირე ორი ამსრულებელი იურიდიული თვალსაზრისით, ანუ ასაკს მიღწეული, ბრალუნარიანი პირები. სტატიაში გაკრიტიკებულია საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხში. ასევე განხილულია ის გამონაკლისი შემთხვევები, როცა მსგავს ვითარებაში შესაძლებელია იდენტიფიცირებული პირის ქმედების კვალიფიკაცია, როგორც ჩადენილი ჯგუფურად (ანუ თანაამსრულებლობით).

სტატიაში (Основные этапы эволюции правовой мысли в Грузии) განხილულია ქართული სამართლებრივი აზრის განვითარების სამი ძირითადი ეტაპი. სამართალშემოქმედების თითოეულ პერიოდს ახასიათებდა ისეთი თავისებურებანი, რომლებიც თანსდევდა ქართულ სამართალს ადრეული, განვითარებული და გვიან შუა საუკუნეების ხანაში. სტატიაში დასახელებულია ის ობიექტური გარემოებანი, რომლებიც აისახა ქართული სამართლის წყაროებში, უცხო (დამპყრობელი) ძალის ბატონობის პირობებში. ამავდროულად, სამართლის კონკრეტული პირდაპირი და ირიბი წყაროების განხილვისას, სტატიის ავტორი ასკვნის, რომ ქართული სამართალი და სამართლებრივი აზრის ისტორია ვითარდებოდა დასავლეთ ევროპის სამართლებრივი კულტურის მოწინავე ტენდენციების გავლენით.

ანოტაცია სტატიაზე (Оголтелая борьба (интервенция в юридическую науку и перепетии проведенной в Тбилиси 30-х годах «дискуссии») советчины против истинной юридической научной мысли в 30-х годах XX столетия): საქართველოს ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების პროცესი შეეხო დაპყრობილი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველას სფეროს, მათ შორის - მეცნიერებასა და კულტურას. უდიდესი ზიანი მიადგა ქართულ სამართლებრივ მეცნიერებას, რომელიც, გასაბჭოებამდე, მოწინავე ევროპული აზრის ზემოქმედების გავლენით ვითარდებოდა. ქართველი მეცნიერი-იურისტები, რომლებმაც განათლება მიიღეს ევროპის ყველაზე პრესტიჟულ სასწავლო დაწესებულებებში, საკუთარ ნაშრომებში ასახავდნენ სხვადასხვა სკოლის ევროპელი მასწავლებლებისა და კოლეგების თეორიებს. გასული საუკუნის 30-ანი წლების დასაწყისში, ყველა ჟურის საბჭოთა ფუნქციონერებმა სასტიკი ბრძოლა გაუმართეს იმ მოწინავე მოაზროვნეებს, რომლებმაც არ მიიღეს ან უარყვეს მარქსიზმ-ლენინიზმის დოქტრინა „პროლეტარიატის დიქტატურისა და კლასობრივი მტრის მიმართ ძალადობის“ შესახებ და მათი საზოგადოებისგან იზოლაციის მიზნით, ჩაატარეს ე.წ. „მეცნიერული დისკუსია“, რომელსაც მომაკვდინებელი შედეგი იქონია ქართული სამართლებრივი აზრის მიმართ: ქართული იურიდიული აზრის საუკეთესო წარმომადგენლები ან ფიზიკურად გაანადგურეს, ან მრავალი ათწლეულის განმავლობაში, იძულებული გახადეს დაქვედებარებოდნენ პარტიულ დოგმატეს, ჭეშმარიტი მეცნიერული აზრის საზიანოდ.

სტატიაში („არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ქართულ და საერთაშორისო სამართალში, პრობლემები და გამოწვევები“) განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი საკითხები. მისი წარმოშობა და განვითარება. მისი როლი და დანიშნულება. ძირითადი აქცენტები გაკეთებულია ქართულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე, მისი განვითარების ეტაპზე. იმ ორგანოებზე და მათ როლზე, რაც დაკავშირებულია მართლმსაჯულების სრულფასოვან განხორციელებასთან. ასევე, პარალელებია გავლებული საერთაშორისო კანონმდებლობასთან. განხილულია ინსტიტუტისთვის დამახასიათებელი ძირითადი პრობლემები და ის ძირითადი გამოწვევები, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს, როგორც კანონმდებლობაში, ისე, პრაქტიკაში.

საერთაშორისო სისხლის სამართლის იურისდიქციის სფერო კომპლექსურია. ერთი მხრივ, ratione materiae იურისდიქციის ფარგლებში, სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოყენებით, იგი ემსახურება სისხლის სამართლის მთავარ მიზანს, დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილებასა და მართლწესრიგის დაცვას, კერძოდ, ფართომასშტაბიანი, ჯგუფური და სისტემატური საერთაშორისო დანაშაულების თავიდან აცილებას. მეორე მხრივ, ratione personae იურისდიქციის ფარგლებში, სჯის, უმეტესწილად, მაღალი თანამდებობის იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების სტატუტებით დასჯადი დანაშაულები. აღნიშნული ორი „მიმართულების“ უზრუნველყოფას საერთაშორისო სისხლის სამართალი, კომპლემენტარულობის პრინციპის გათვალისწინებით, ჯერ ეროვნულ კანონმდებლობას ანდობს.

ჰორიზონტალური, ვერტიკალური და ჰიბრიდული პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებების ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ JCE-ის უარყოფითა და თანაამსრულებლობის, არაპირდაპირი ამსრულებლობისა და არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინების ჩამოყალიბებით ICC ცდილობს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ისეთი დოგმატიკის შექმნას, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერ-იურისტთა ნააზრევზე.

საერთაშორისო სისხლის სამართლის ამსრულებლობის ახალი დოგმატიკა, საერთო ჯამში, ad hoc ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინასთან შედარებით, უფრო პრაგმატულია, განსაკუთრებით, მაღალი თანამდებობის პირთა მიერ ორგანიზებული სახელმწიფო აპარატის გამოყენებით ჩადენილი დანაშაულებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კუთხით. რომის სტატუტი ეყრდნობა დანაშაულში მონაწილეობის „ბრალეულობის იერარქიას“, რისი განსაზღვრაც სავალდებულოა – დასჯის სიმძიმე უნდა განისაზღვროს ბრალის ხარისხით, რომელიც სასჯელის აუცილებელი წინაპირობაა. სასჯელის შეფარდება ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის დადგენის გარეშე შეუძლებელია.

ნაშრომში („ჰორიზონტალური და ვერტიკალური პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოებები საერთაშორისო სისხლის სამართალში“) განხილული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დოქტრინები სისტემურად განსხვავდება სხვა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დოქტრინისგან. ამსრულებლობის დოქტრინის ფარგლებში, გერმანული სისხლის სამართლის ქმედებაზე ბატონობის თეორიაზე დაყრდნობით, მკვიდრდება დანაშაულზე კონტროლის კონცეფცია არსებითი კონტრიბუციის სტანდარტით, კერძოდ, თანაამსრულებლობისთვის – ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობისა და არაპირდაპირი ამსრულებლობისათვის – ორგანიზაციაზე კონტროლის სახით. რაც შეეხება, არაპირდაპირ (თანა)ამსრულებლობას, იგი, შესაბამისად, დანაშაულზე კონტროლის სისტემურ ცნებას ეყრდნობა. შესაბამისად, საერთაშორისო სისხლის სამართალს რომის სტატუტის ფარგლებში აქვს ამსრულებლობის ცნების მართვის რამდენიმე დამოუკიდებელი მოდელი, ჰორიზონტალური – თანაამსრულებლობისა და ვერტიკალური – არაპირდაპირი ამსრულებლობის დოქტრინების სახით და ასევე, „ჰიბრიდული“ – არაპირდაპირი (თანა)ამსრულებლობის დოქტრინა, რომელიც დამოკიდებულია ამსრულებლობის აღნიშნული ორი დოქტრინის ცნებებზე.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ბესარიონ ზოიძე
2. სერგი ჯორბენაძე
3. გიორგი დგებუაძე

2) მოხსენების სათაური

1. ღირებულებათა კონსტიტუციუსამართლებრივი წესრიგი, როგორც ადამიანის უფლებათა შეზღუდვის საზომი კოვიდპანდემიის პირობებში (ზოგადი მიმოხილვა საქართველოს მაგალითზე)
2. კოვიდპანდემია და ცრუ ინფორმაციის გავრცელება
3. „სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კონცეფცია საერთაშორისო სისხლის სამართალში“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. „COVID-19-ის პანდემია და ადამიანის უფლებები“, 2021 წლის 29 ნოემბერი, ალტე უნივერსიტეტი/Zoom
2. „COVID-19-ის პანდემია და ადამიანის უფლებები“, 2021 წლის 29 ნოემბერი, ალტე უნივერსიტეტი/Zoom
3. თბილისი, საქართველო, 5–9.7.2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

7.2. უცხოეთში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. ნუგზარ სურგულაძე, მარიამ ხოფერია
2. მაია ივანიძე
3. ნონა თოდუა
4. პშემისლავ დომბროვსკი, მარინა გარიშვილი, ოსკარ კანეცკი, ნუგზარ სურგულაძე, მარიამ ხოფერია, თორნიკე ნემსწვერიძე, მაჩეი ჰელმინი, პიოტრ სკორეკი
5. სერგი ჯორბენაძე
6. გიორგი დგებუაძე

2) მოხსენების სათაური

1. On the development of some institutions of criminal law in medieval Georgia (IX POLISH-GEORGIAN COLLOQUIUM)
2. „ოჯახში ძალადობა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით“
3. ქმედების კვალიფიკაცია, როცა იდენტიფიცირებულია მხოლოდ ერთი ამსრულებელი ან როცა მხოლოდ ერთი ამსრულებელი სისხლის სამართლის სუბიექტი
4. Основные этапы эволюции грузинской правовой мысли (ქართული სამართლებრივი აზრის განვითარების ძირითადი ეტაპები) - რუსულ ენაზე
5. Freedom of Expression on Social Media in Georgia – Case for the Urgent Need of Online Regulation
6. „უფროსის (მეთაურის) ბრძანების შესრულება, როგორს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. 2021 წლის 22 ოქტომბერი, სლუპსკი, პოლონეთი
2. 2021 წლის 21 ოქტომბერი, ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია: „თავისუფლების დაცვა და სისხლის სამართალი“, ორგანიზატორი: პოლონეთის სვუპსკის პომერანული უნივერსიტეტი
3. ფორუმი ჩატარდა ონლაინ ფორმატში
4. 22.10.2021; საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა: თსუ იურიდიული ფაკულტეტისა და პოლონეთის რესპუბლიკის ქ. სუპსკის იურიდიული ფაკულტეტის ერთობლივი საერთაშორისო-სამეცნიერო ონ-ლაინ კონფერენცია. კონფერენციის თანახელმძღვანელი-მონაწილე და მოხსენებით გამომსვლელი
5. Regulating Online Disinformation: Comparative Perspectives, Dublin City University and CIU, 01.10.2021, via Zoom
6. სვუპსკი, პოლონეთი, 21.10.2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

მაია ივანიძის მოხსენება ეხება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ თავისებურებებს, კერძოდ იმ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ ოჯახში ძალადობის შემთხვევებს. ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცნობს მსგავსი სახის ნორმებს. მაგ., გერმანია. მოხსენებაში მოყვანილია მაგალითები საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან. ასევე განხილულია ის პრობლემები, რომელიც თავს იჩენს ამ ტიპის ყოველი კონკრეტული შემთხვევისას. მოხსენებაში მითითებულია რეკომენდაციები დასახელებული პრობლემის გადასაჭრელად. კონფერენციაში მონაწილე სხვა მომხსენებლები: დანილ სერგეევსკი – ურალის სახ. უნივერსიტეტი; ლუდმილა ინოგამოვა – მოსკოვის სახ. უნივერსიტეტი; სერგეი მალიკოვი – მოსკოვის სახ. უნივერსიტეტი; ნატალია სიდოროვა – სანკ-პეტერბურგი; ნ. თოდუა – თსუ პროფესორი; გ. დგებუაძე – თსუ ასისტენტ-პროფესორი; თ. სადრაძე – თსუ მოწვეული ლექტორი.

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

კონსტანტინე კორკელია იყო ექსპერტი/მომხსენებელი შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებზე ადამიანის უფლებათა საკითხებზე (სია არ არის ამომწურავი):

– ექსპერტი, ტრენინგი სიცოცხლის უფლებისა და წამების აკრძალვის შესახებ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის, UNDP-ის მხარდაჭერით, 2021 წლის ნოემბერი-დეკემბერი;

– მთავარი ექსპერტი, პასუხისმგებელი ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის (2021-2030 წწ.) პროექტის შემუშავებაზე, ნარატიული ნაწილი, მომზადდა საქართველოს მთავრობის თხოვნით და UNDP-ის მხარდაჭერით, 2021 წლის ოქტომბერი-ნოემბერი;

– ტრენერი, პირადი მონაცემების ელჩების ტრენინგი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, მხარდაჭერილია UNDP-ის მიერ, კაჭრეთი, 2021 წლის 20-21 მაისი;

– ექსპერტი, მოდულის მომზადება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 მუხლზე (წამების აკრძალვა) შსს-ს თანამშრომლებისათვის, OHCHR-ის მხარდაჭერით, 2021 წლის მარტი.

მიმდინარე წლის 20 ნოემბრიდან 12 დეკემბრის ჩათვლით, გიორგი თუმანიშვილი კვლევითი მივლინებით იმყოფებოდა გერმანიაში ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში. აღნიშნული კვლევითი მივლინების ფარგლებში იმუშავა შემდეგ თემაზე: ,,ბრალდებულის დაცვა საზოგადოების წინასწარი განწყობებისგან სისხლის სამართლის პროცესში“. კვლევის დასრულებისთანავე სტატიის სახით ნაშრომს გამოაქვეყნებს გერმანულ-ქართულ სისხლის სამართლის ჟურნალში. კვლევითი მივლინება დაფინანსებულია DAAD-ის მიერ ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში.

ანა თოხაძემ მიიღო სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების, ადაპტაციის თეორიული კურსის დასრულების დამადასტურებელი სერტიფიკატი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით.

ანა თოხაძემ მიიღო სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ ორგანიზებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების შემოწმების ეტაპის ჩაბარების დამადასტურებელი მოწმობა.

ყურადღება!

*** სათანადო გრაფაში მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითება სავალდებულოა.**

*** ერთი და იგივე ნაშრომი (კოლექტიურიც და ინდივიდუალურიც) ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, და არა სათითაოდ ყველა ფაკულტეტისა და ყველა ავტორის შრომების სიაში, რადგან ის მაინც განიხილება, როგორც ერთი ნაშრომი და ექნება ერთი შეფასება.**

*** ანოტაცია ინფორმაციულად იმდენად ტევადი უნდა იყოს, რომ რეცენზენტს სრული წარმოდგენა შეექმნას პროექტზე. უცხოენოვანი ნაშრომის ანოტაცია უნდა მოგვაწოდოთ ქართულ ენაზე.**

*** ანგარიში აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ნაბეჭდი (1 (ერთ) ეგზემპლარად, შრიფტი - Sylfaen) და ელექტრონული ვერსიის (CD-დისკი) სახით.**

*** ანგარიში, რომელიც არ არის შედგენილი ამ დანართის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტიზას (შეფასებას) არ ექვემდებარება და შეფასების შემაჯამებელ დოკუმენტში აღინიშნება ფორმულით „არ შეფასდა“.**

N 544/30 14/01/2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელს

გიორგი ღვედაშვილს

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის

მოადგილის თეონა მატარაძის

მიმართვა

ბატონო გიორგი,

თქვენი N 24056/10 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2021 წელს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ჩართული იყო სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებულ 6 სამეცნიერო-კვლევით პროექტში, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებულ 8 სამეცნიერო-კვლევით პროექტში, უცხოური გრანტებით დაფინანსებულ 7 სამეცნიერო პროექტში. საქართველოში აკადემიურმა პერსონალმა გამოსცა 6 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო, 5 კრებული და 34 სტატია DOI ან ISSN -ის მითითებით, ხოლო უცხოეთში - 5 მონოგრაფია, 4 კრებული და 11 სტატია. საანგარიშო წლის პერიოდში ისინი მონაწილეობდნენ საქართველოში გამართულ 30 და უცხოეთში გამართულ 23 ფორუმში. ასევე, ახორციელებდნენ სხვა სახის სამეცნიერო აქტივობებსაც.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის დეტალურ ანგარიშს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში წარმოვადგენთ როგორც ნაბეჭდი (1 ეგზემპლარად), ისე ელექტრონული (CD) სახით.

პატივისცემით,

თეონა მატარაძე

დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში
ადმინისტრაცია

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
- -

თეონა მატარაძე - ასოცირებული პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი
გია ჟორჟოლიანი - პროფესორი
ნოდარ ბელქანია - პროფესორი
მარიამ გერსამია - პროფესორი
მარინა მუსხელიშვილი - პროფესორი
გუგული მაღრაძე - პროფესორი
მედეა ბადაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ჯაბა უროტაძე - ასოცირებული პროფესორი
ზურაბ აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი
თამარ ვეფხვაძე - ასოცირებული პროფესორი
ლაშა ტუღუში - ასისტენტ-პროფესორი

თეონა მატარაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. თეონა მატარაძე, გიორგი შუბითიძე

2) სტატიის სათაური, ISSN
1. მცხეთის მცხოვრებთა ურბანული იდენტობის რეპრეზენტაცია ქალაქის იმიჯში,
ISSN 2667-9620 (online)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. გარემო და საზოგადოება, N3, დეკემბერი

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

5) გვერდების რაოდენობა
1. 35 გვერდი გვ.103-138

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
საბჭოთა კავშირის დაშლი შემდეგ ტრანსფორმაციის პროცესი შეეხო ქალაქებსაც, რომელთა იერსახე რადიკალურად შეიცვალა მიგრაციის, პრივატიზაციის, ფართომასშტაბიანი არალეგალური მშენებლობების და ქაოტური ურბანული განვითარების შედეგად (Tsenkova, 2012, Mariotti & Koželj, 2016). ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სტაბილიზაციის გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ საქართველოში მოგვიანებით, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნიდან განახლდა ქალაქდაგეგმარების პროცესი. დედაქალაქისა და დიდი ქალაქების შემდეგ, ურბანული განვითარების გეგმის შექმნის საკითხი აქტუალური მცირე ზომის ქალაქებთან მიმართებაშიც გახდა.

წარმოდგენილი ნაშრომი ფოკუსირებულია შეისწავლოს საქართველოს ისტორიული დედაქალაქის ურბანული განვითარების ტენდენციები. განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება კი გახლავთ ქალაქ მცხეთის რელიგიურ-ისტორიული მონუმენტებისთვის UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის შენარჩუნება და მცხეთის ისტორიული იმიჯის ხაზგასმა. დირკ ფერჰეინის მიხედვით ქალაქის იმიჯი გადაჯაჭულია ურბანულ იდენტობასთან და წარმოადგენს ერთი მონატის ორ მხარეს, რადგანაც „ქალაქი ცდილობს თავისი ინტერნალური იდენტობა ექსტერნალურ იმიჯად წარმოაჩინოს (გაყიდოს) (Verheyen, 1997: 44).

განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში მცხეთის ურბანული იდენტობისა შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ კვლევის შერეული მეთოდოლოგია, კერძოდ, რაოდენობრივი გამოკითხვა (პირისპირი ინტერვიუს გზით გამოიკითხა 465 ადამიანი) და ფოკუს ჯგუფი (რვა 6-9 მონაწილისაგან შემდგარი ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარი ჯგუფები).

თეორიული დისკუსიის შედეგად გამოვლინდა, რომ ურბანული იდენტობის მაფორმირებელი ფაქტორი თითოეული ქალაქისათვის სპეციფიკური ფაქტორი ან ფაქტორები შეიძლება იყოს, რაც ამ ურბანული სივრცის უნიკალური მახასიათებლ(ებ)ისგან იქმნება. ძირითადად, ურბანული იდენტობა ისტორიულად, თავისთავად და ადგილობრივების ძალისხმევით ყალიბდება, თუმცა შეიძლება ურბანული იდენტობის მიზანმიმართული ფორმირებაც, განსაკუთრებით კი ურბანული დაგეგმარების პროცესში. ურბანული გეგმარების საფუძველი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი პროცესების ასახვა (მაგ. ეთნიკური ნაციონალიზმისა თუ სოციალური ინტერაქციების), თუმცა ის ასევე შეიძლება იყოს პოლიტიკური ელიტის ან სხვადასხვა ელიტების გავლენით წარმართული პროცესი, რამაც შეიძლება ქალაქის არაერთგვაროვანი იმიჯის ფორმირებაც გამოიწვიოს. და ბოლოს, მართალია ქალაქის იდენტობა ადგილობრივთა ქალაქზე მიჯაჭულობის ხასიათს ასახავს, თუმცა ის სივრცის ჰოლისტურ წარმოდგენაში ვლინდება და აფორმირებს ქალაქის იმიჯს, რომელსაც ტურისტები ეზიარებიან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მცხეთის იდენტობის მაფორმირებელი მთავარი ფაქტორებია ქალაქის ეკოლოგიური სისტემა, რელიგიური ძეგლები, თბილისთან მიმართებაში განსხვავებულობა და მცხეთაში ხანგრძლივად ცხოვრების საფუძველზე ადგილობრივთა უპირატესი საკუთრების უფლება. ქალაქგეგმარების პროცესი ქალაქ მცხეთაში საერთაშორისო, თუ ადგილობრივი აქტორების პოლიტიკური ინტერესების დომინირების ფონზე მიმდინარეობს და მასში ადგილობრივ მოსახლეობას თავისი ხედვებისა და ღირებულებების ასახვის ნაკლები შესაძლებლობა აქვს. თუმცა ქალაქის იდენტობა მუდმივად ცვალებადი ფენომენია, რომელიც არამხოლოდ არქიტექტურასთან და სივრცესთან დაკავშირებული ფენომენია, არამედ მოიცავს კულტურულ კონტექსტსა და სოციალური ურთიერთქმედებებს შორის ინტერაქციას (Kuvač & Schwai, 2017). შესაბამისად, შეიძლება ამ ეტაპზე, ქალაქ მცხეთის ახალი გენერალური გეგმის შემუშავების პროცესში ახალი იდენტობის ფორმირება გარედან მართულ პროცესად გვევლინება, თუმცა იდენტობა ვერ ჩამოყალიბდება ლოკალური ისტორიისა და ადგილობრივი ენტერპრენუარების (მეწარმეების) მარკეტინგული სტრატეგიების გამოყენების გარეშე (Zukin, 2011), რაც ალბათ ქალაქ მცხეთის განვითარების თანმდევი პროცესი გახდება.

ჯაბა უროტაძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. ჯაბა უროტაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. “Challenges of Georgia’s Pension System”, ISSN 0208-7375.
სტატია გამოქვეყნდა 2020 წლის დეკემბერში, თუმცა ამის თაობაზე შეტყობინება 2021 წლის იანვარში მივიღე და ამიტომ ეს ინფორმაცია არაა ასახული 2020 წლის ანგარიშში.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Polish Political Science Yearbook, vol. 49(3)

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Torun, Poland, Wydawnictwo Adam Marszałek

5) გვერდების რაოდენობა
1. 15 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სტატიის მიზანია გადანაწილებითი საპენსიო სისტემის (პირველი სვეტი) ფარგლებში პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტის გაზრდისა და ნებაყოფლობითი დაგროვებითი საპენსიო სისტემის (მესამე სვეტი) მოცვის გაფართოების საშუალებების გამოვლენა. ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს საპენსიო სისტემის დახვეწის კუთხით.

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება
სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
- -
ამირან ბერძენიშვილი - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
იაგო კაჭკაჭიშვილი - პროფესორი
სალომე ნამიჭეიშვილი - ასოცირებული პროფესორი
ნინო შატბერაშვილი - ასოცირებული პროფესორი
თამარ მახარაძე - ასოცირებული პროფესორი
ნათელა დონაძე - ასოცირებული პროფესორი
ლია წულაძე - ასოცირებული პროფესორი
ლელა გაფრინდაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ნინო დურგლიშვილი - ასოცირებული პროფესორი
კახა ქეცბაია - ასოცირებული პროფესორი
ანა დიაკონიძე -ასოცირებული პროფესორი
შორენა თურქიაშვილი - ასისტენტ-პროფესორი
ნათია სვანიძე - ასისტენტ-პროფესორი

ამირან ბერძენიშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. ამირან ბერძენიშვილი/კახა ქეცბაია

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. სოციოლოგიური თეორიები და თანამედროვე საზოგადოება
ISBN 978-9941-33-190-9
გადაცემულია დასაბეჭდად

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, გამ. „უნივერსალი“

4) გვერდების რაოდენობა
1. 698 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
წიგნში სოციოლოგიური თეორიები თანამედროვე საზოგადოებასთან მიმართებაშია განხილული და ეხმიანება ყველა იმ პროხესებს რომლებიც სწრაფადცვალებად გლობალურ და ლოკალურ სოციუმებში მიდინარეობს. ნაჩვენებია თუ როგორ და რა შემთხვევაში არის შესაძლებელი სოციოლოგიური თეორიების კვლევით სტრატეგიებად და პარადიგმებად გამოყენება ემპირიული კვლევის შედეგების საინტერპრეტაციოდ.

5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები
1. ავტორთა კოლექტივი

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ფილოსოფიური ძიებანი
ISSN 1512-2468 UDC (უაკ) 1 (479.22) (061.2)

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბ., გამომც. „უნივერსალი“

4) გვერდების რაოდენობა
1. 464 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
„ფილოსოფიური ძიებანის~ ოცდამეხუთე კრებული ტრადიციულად ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომებს მოიცავს და საქართველოში მიმდინარე ფილოსოფიური კვლევა-ძიების ნათელ სურათს იძლევა.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ა.ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია
2. ა.ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია
3. ა. ბერძენიშვილი
4. ა.ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია
2) სტატიის სათაური, ISSN
1. სოციოლოგიის საგნის შესახებ, პაატა გუგუშვილის მიერ დასავლური სოციოლოგიის კრიტიკული ანალიზი
ISSN 1987-5789
ESSN 198-5426
2. Religionin the Information Society (Sociological Etude) ჟურნალის DOI: https://doi.org/10.52340/gs
E-ISSN: 2667-9760
https://journals.4science.ge/index.php/GS/issue/view/43
3. გეორგ ზიმელი - დიდი ქალაქის, როგორც ობიექტური კულტურის ზრდის და ინდივიდუალური კულტურის შემცირების „ნამდვილი არსენის“ შესახებ
4. О некоторих оссобенностьях постсоветской трансформаций общества

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, # 4
2. ჟურნ. „ქართველი მეცნიერები“ Vol. 3 No. 4 (2021) ინდექსირებულია Google cholar, Crossref, WorldCat და Cosmos-ის ბაზებში, ჟურნალის IMPACT FACTOR 0.62
3. კრ. ფილოსოფიური ძიებანი. ტ. 25. ISSN 1512-2468. ISSN 1512 — 2468 UDC (უაკ) 1 (479.22) (061.2) ფ. 562
4. ჟურნალი THE CAUCASUS AND THE WORLD International Scientific Journal, Кавказ и Мир Международный научный журнал #
ISSN 1987 - 7293
ჟურნალის სარედაქციო საბჭოში შედიან უცხოელი წევრები

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თსუ-ს გამომცემლობა
2. თბილისი, „ასოციაცია მეცნიერებისათვის“
3. გამ. უნივერსალი, თბ. 2021
4. გამ. მერიდიანი, თბ. 2021

5) გვერდების რაოდენობა
1. 15
2. 9

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. სტატიაში განხილულია საკითხი სოციოლოგიის საგნისა და მეცნიერული სტატუსის შესახებ აკად. პ. გუგუშვილის მიერ დასავლური სოციოლოგიის დეფინიციის კრიტიკული რეცეფციის

მიხედვით. ხაზგასმულია, რომ სოციოლოგიის საგნის პრობლემა მუხედავად აზრთა სხვადსხვაობისა და სიმრავლისა დღემდე გადაუჭრელია. შესაბამისად საყურადღებოა სახელოვანი ქართველი მეცნიერისა და საქართველოში სოციოლოგიის ერთ-ერთი პიონერის პ. გუგუშვილის მოსაზრებები ამ კონკრეტული საკითხის შესახებ. სოციოლოგიის საგნის დასავლურ დეფინიციებში აქცენტი კეთდება ზოგადად სოციოლოგიის მიერ საზოგადოების შესწავლაზე და არა უშუალოდ სოციოლოგიის შესწავლის საგანზე. თქმა იმისა, რომ სოციოლოგია მეცნიერულად შესწავლის საზოგადოებას, საზოგადოებრივ ჯგუფებს და ურთიერთობებს, გამოხატავს მხოლოდ ჩვენს შემეცნებით-მეცნიერულ მიმართებას შესასწავლი ობიექტისადმი, მაგრამ არა სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების კონკრეტულ საგანს. ასეთია აკად. პ. გუგუშვილის მიდგომა სოციოლოგიის საგნისადმი, რაც სოციოლოგიის მეცნიერულობის პირობა უნდა იყოს. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სოციოლოგია, როგორც მეცნიერება ხელიდან გაგვეცლება. ამიტომაც აუცილებელია სოციოლოგიის დეფინიციებში ამ მეტად თეორიული, მაგრამ სოციოლოგიისთვის საჭირბოროტო ფაქტის დაფიქსირება. კერძოდ იმის თქმა, რომ სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით სოციოლოგია იკვლევს საზოგადოების, სოციალური ჯგუფების, სოციალური წარმონაქმნების, თუნდაც პიროვნების და ა. შ. როგორც მთლიანი წარმონაქმენების არსებობის, ფუნქციონირების და ცვალებადობის კანონებსა და კანონზომიერბებს. ამ გაგებით აკად. პ. გუგუშვილის მიერ სოციოლოგიის საგნის დეფინიცია მეცნიეული თვალსაზრისით მოწოდების სიმაღლეზეა და დღემდე ანგარიშგასაწევია. სტატია ლოგიკურ-სოციოლოგიური ანალიზის მეთოდის გამოყენებით საკითხის თეორიულ-სოციოლოგიურ კვლევას წარმოადგენს, რომელიც საკვლევი თეორიული პრობლემის შესახებ არსებულ პირველად (პ. გუგუშვილის ნაშრომს „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია“) და რიგ მეორად წყაროებს ემყარება. სოციოლოგიის საგნის შესახებ აკად. პ. გუგუშვილის ნაშრომიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სოციოლოგიის საგნისა და მისი მეცნიერული სტატუსის საკითხი მართლაც პრობლემად დარჩება მანამდე, ვიდრე არ შემოვსაზღვრავთ მისი კვლევის საგანს და არ ვცნობთ სპეციფიკურ კანონებს, რომლებსაც სხვა სოციალური მეცნიერებებისაგნ განსხვავებით სოციოლოგია შეისწავლის. სწორედ ამ პათოსს ატარებს აკად. პ. გუგუშვილის ნაშრომი.

2. ავტორთა მიერ სტატიაში გაანალიზებული საკითხებია: მართლა აქვს თუ არა ადგილი რელიგიის როლის დაკნინებას თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში? თუკი კულტურა იქცა მასკულტურად, იგივე ხომ არ ემუქრება რელიგიასაც? თუკი ეს ასეა და რელიგია მართლაც დაკარგავს თავის მნიშვნელობას, გავლენას საზოგადოებაზე, მაშინ როგორი იქნება ამ პროცესის საბოლოო შედეგი? ხომ არ მივდივართ ურელიგო საზოგადოებისაკენ? თუ პირიქით მოხდება - ყოველივე ეს საპირისპირო რეაქციას გამოიწვევს და ტრადიციული რელიგიები ახალ გარემოში ახალი ენერგიით შეივსებიან და სისხლსავსე ცხოვრებას დაიწყებენ. სტატიის ავტორთა აზრით, ინფორმაციული სივრცე ადამიანის სულიერი ცხოვრების მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირული გრსია. ამიტომ ვირტალური და კიბერეკლესია ვერსაოდეს ვერ შეცვლის ნამდვილ ტაძარს. ის რეალური ტაძრის პაროდია და სიმულაციაა მხოლოდ. ერთხელაც იქნება ადამიანი გამოაღწევს ამ სიმულაციისა და ვირტუალური რეალობის ტყვეობიდან და ისევ მიუბრუნდება მარადიულ ჭეშმარიტებასა და ნამდვილ რელიგიურ რწმენას. ფსევდორელიგიისა და ფსევდორწმენის ილუზიით გათანგულს ეტყობა ჯერ კიდევ დიდი გამოცდა ელის წინ. დიდი მიხვედრა არ სჭირება იმას, რომ ხელოვნურად შექმნილ, ვირტუალურ სიცრცეში კონსტრუირებულ ფსევდორელიგიას არა აქვს მომავალი და, რომ ყოველგვარი ექპერიმენტები ამ სფეროში იმთავითვე დასაღუპავად განწირულია. რელიგიური ცხოვრება ტრანსცენდენტთან ცოცხალი ურთიერთობაა, რომელიც ვირტუალიზაციის შემთხვევაში იკარგება. რელიგიის ციფრული გამოსახულება აბსურდია და მეტი არაფერი. მოერგება კი რელიგია ამ ახალ სიტუაციას, როგორც ამას ახერხებდა მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციების ეპოქაში, ამას დრო გვიჩვენებს.
3. სტატიაში სოციოლოგიის კლასიკოსის გეორგ ზიმელის ქალაქის სოციოლოგიის საკვანძო საკითხებია განხილული. კერძოდ ნაჩვენებია ობიექტური კულტურის ზრდისა და

ინდივიდუალური კულტურის დამცრობის სოციალური მექანიზმები და მისი გავლენა სოციუმზე.

4. სტატიაში საზოგადოების პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის მტკივნეული პროცესის რიგი თავისებურერებია განხილული. ავტორთა აზრით, სოციოლოგიური თვალსაზრისით, ტრანსფორმაციის პროცესი ანომიურობით ხასიათდება. დღეს საქართველო, როგორც ერთ-ერთი პოსტსაბჭოური ქვეყანა, იმყოფება სწორედ ღრმა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ტრანსფორმაციის ეპოქაში. ამგვარი ღრმა ტრანსფორმაციის დროს საზოგადოება აუცილებლად ვარდება, ე. დიურკემის სიტყვებით რომ ვთქვათ, ანომიის მდგომარეობაში, როდესაც ძალას კარგავს ძველი საზოგადოების გამაერთიანებელი მორალური კოდი, ღირებულებები, ქცევის ნორმები, კანონები, ხოლო ახლის დამკვიდრებას და განმტკიცებას ათეული წლები სჭირდება.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ამირან ბერძენიშვილი/კახა ქეცბაია

2) მოხსენების სათაური
1. მსოფლიო რელიგიები გლობალიზაციურ და ინფორმაციულ ეპოქაში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. თბილისი, თსუ, 2021 წ. 24-25 ივნისი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
მოხსენებაში განხილულ იქნა გლობალიზაციისა და ინფორმაციონალიზმის ეპოქაში რელიგიის პრობლემა. მომხსენებლების ინტერესის ობიექტია მსოფლიო რელიგიების დამოკიდებულება გლობალიზაციისა და ინფორმაციონალიზმისადმი. კერძოდ, რა მიმართებაშია აღნიშნულ პროცესთან ტრადიციული რელიგიები, როგორია მათი პოზიცია და შესაძლებელია თუ არა ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერების დადგენა - ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ მეცნიერულ გამოკვლევებზე (პირველადი და მეორად იწყაროები) დაყრდნობითა და ფაქტობრივი ანალიზის საფუძველზე ძირითადადი პოზიციების გამოკვეთა. მოხსენებაში განხილულია გლობალიზაციასა და მსოფლიო რელიგიებს შორის არსებული გამოწვევები, კერძოდ, მსოფლიო რელიგიების პასუხი გლობალიზაციისადმი . კვლევის შედეგად გამოვლინდა სამი პოზიცია: 1) გლობალიზაციის პროცესის სრული ან ნაწილობრივი მიღება; 2) გლობალიზაციის კრიტიკა და 3) ალტერნატიული პოზიციები. თითოეული მათგანი თითქმის ყველა რელიგიაშია დაცული. პირველ პოზიციას იკავებენ: იუდაიზმი, კათოლიციზმი, პროტესტანტები და სუნიტური ისლამის მიმდევრები. მეორე პოზიციას - ისლამი და რუსული მართლმადიდებელობა; მესამე პოზიცია მოიცავს ევრო-აზიურ ტრადიციულ რელიგიებს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გლობალიზაციის მიმართ გონივრულ მიდგომას ავლენს, რომლის საფუძველია ის ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურულიდა რელიგიური იდენტობის შენახვას. მოხსენების დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ ზოგადად გლობალიზაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რელიგიურ რწმენას. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა აქცენტი გლობალიზაციის ეპოქაში რელიგიებისა და რელიგიური შეხედულების გაქრობის შესახებ.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ამირან ბერძენიშვილი/კახა ქეცბაია
2. ამირან ბერძენიშვილი/კახა ქეცბაია

2) მოხსენების სათაური
1. მეცნიერების პრობლემები პოსტსაბჭოთა ეპოქაში (რუს. ენაზე)
2. On Feminist Studies in Contemporary Sociology of Science and Critique of Feminist Epistemology

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. **development in modern crisis conditions»**
(თეზისების კრებული დაბეჭდილია. გაცემულია შესაბამისი სერთიფიკატი)
2. უკრაინა, დნეპრი, საერთაშორისო ინტერნეტ კონფერენცია, 13th International Scientific and Practical Internet Conference «MODERN MOVEMENT OF SCIENCE», 19 October 2021
(თეზისების კრებული დაბეჭდილია. გაცემულია შესაბამისი სერთიფიკატი)
https://mail.google.com/mail/u/5/#trash/FMfcgzGlkZCjXPCrkKmSkGZCDQhwRlCQ?projector=1&messagePartId=0.1

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. მოხსენებაში განხილულიქნა მეცნიერების პრობლემები პოსტსაბჭოთა ეპოქაში. ეს პრობლემებია: სამეცნიერო კადრების შემცირება; არასაკმარისი სახელმწიფო დაფინანსება; სამეცნიერო კადრების დაბერების პრობლემა; სამეცნიერო კადრების გადინების პრობლემა; განათლებისა და მეცნიერების არასათანადო მართვა და ორგანიზება და სხვა; ცალკე საკითხია აგრეთვე მსოფლიო მეცნიერება და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობები.
2. მოხსენება შეეხებოდა ფემინისტური კვლევებს თანამედროვე მეცნიერების სოციოლოგიაში და ფემინისტური ეპისტემოლოგიის კრიტიკას. მომხსენებლების აზრით, მეცნიერების ფემინისტური ეპისტემოლოგიის ცენტრალური ელემენტი სიტუაციური ცოდნაა. სიტუაციური ცოდნა სუბიექტის პერსპექტივის შესახებ წარმოდეგნაა. მიზეზები რის გამოც ცოდნა შეიძლება სიტუაციური იყოს შემდეგია: ა) პირველი პირის ცოდნა განსხვადება მესამე პირის ცოდნისაგან; ბ) ცდონა გულისხმობს ემოციებს, განწყობებს, ღირებულებებს; გ) ცოდნაზე გავლენას ახდენს პირადი ურთიერთობები, პიროვნული გამოცდილება; დ) ადამიანებს სხვადასხვა კოგნიტური სიტუაციები აქვთ. სუბიექტური სიტუაცია სოციალური როლებისა და იდენტობებისაგან შედგება. ამიტომ ცოდნა არა უბრალოდ სიტუაციურია, არამედ სოციალურადაა განსაზღვრული. სქესი სოციალურ სიტუაციას გარკვეულ რეჟიმში აყენებს, შესაბამისად, ის გარკვეულწილად განსაზღვრავს ცოდნას. ეს დებულებები ფემინისტური ეპისტემოლოგიის საერთო ელემენტებია. რაც შეხება უშუალოდ ფემინისტური ეპისტემოლოგიის კრიტიკას, მომხსენებლებს მიაჩნიათ, რომ ფემინიზმს ახასიათებს რეალტივიზმი და ერთგვარ მეცნიერებამდელ მიმდინარეობას წარმოადგენს. გარდა ამისა, რაციონალობის გადახედვის ფემინისტური მოთხოვნაც იწვევს კრიტკიას. მეცნიერების როგორც მასკულინური ფენომენის აღწერით ფემინიზმი ქალების მეცნიერებით დაინტერესების შესაძლებლობას ამცირებს. ამას შეიძლება დავამატოთ, რომ მამაკაცი-მეცნიერის სტერეოტიპიზებული სახე არასოდეს არ გამოირჩევა მასკულინობით. სამხედროების, ბანდიტების და სპორტსმენების ფონზე მეცნიერები ქალურ ფიგურებად გამოიყურებიან. ყოველივე ეს ფემინისტური ეპისტემოლოგიის კრიტიკის შემადგენელი ნაწილია.

ლია წულაძე

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.2.
1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. ვიზალიბერალიზაციის შემდგომი დისკურსები საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ (სოციოლოგია, FR17_91)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2018-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ლია წულაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
ფლორა ესებუა (მკვლევარი)
ირინე ოსეფაშვილი (მკვლევარი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომი საქართველოს მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესს ეხება და მას სოციოლოგიური პერსპექტივიდან სწავლობს, კერძოდ, ევროინტეგრაციის ყოველდღიურ „გამოყენებაზე" ამახვილებს ყურადღებას. ევროინტეგრაციის „გამოყენების" მნიშვნელოვანი ასპექტია მისი დისკურსული გამოყენება, ანუ რიტორიკული მანიპულირება ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით პოზიტიური თუ ნეგატიური ასოციაციების გამოწვევის მიზნით. შედეგად, დისკურსის გზით ევროპეიზაციის ამა თუ იმ პრაქტიკისთვის ლეგიტიმურობის მინიჭება თუ ჩამორთმევა ხდება.

წარმოდგენილი ნაშრომი, რომელიც 2018-2019 წლებში განხორციელებულ ემპირიულ კვლევას ეფუძნება, სწორედ, საქართველოს პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტისა და მოსახლეობის ევროპეიზაციასთან დაკავშირებულ დისკურსებს განიხილავს, ქვეყნის მიერ ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდეგ. ეს ნაშრომი ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს ჩვენი წინა კვლევითი პროექტისა (2014-2016, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის მხარდაჭერით), რომლის ფოკუსი ევროპეიზაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები იყო, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. თუმცა, ბოლო კვლევას ახალი კვლევითი კომპონენტი დაემატა, კერძოდ, პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტასთან სიღრმისეულ ინტერვიუებსა და მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუსჯგუფებში Q მეთოდოლოგიაც ინტეგრირდა, რომლის რაოდენობრივი ანალიზი თვისებრივ მონაცემებს ამდიდრებს.

კვლევამ გამოავლინა ელიტებისა და მოსახლეობის საკმაოდ ამბივალენტური დისკურსები ქვეყნის ევროპეიზაციის შესახებ. ეს ამბივალენტობა თავს იჩენს როგორც საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული პრაგმატული და იდენტობის ფაქტორების განხილვისას, ისე ევროპეიზაციის მექანიზმების - პირობითობის და სოციალიზაციის - წამყვან როლზე მსჯელობისას ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მსგავსი ამბივალენტობა კვლევის მონაწილეთა დისკურსულ პერფორმანსს უბიძგებს.

წულაძე ლია, ესებუა, ფლორა & ოსეფაშვილი, ირინე. (2021). *ვიზალიბერალიზაციის შემდგომი დისკურსები საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ.* თბილისი: ნეკერი. http://css.ge/wp-content/uploads/Vizaliberalization-2021_For-web.pdf

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1. „მედიატიზებული ევროკავშირი: ევროკავშირის შესახებ მედიით გაშუალებული დისკურსები და მათი რეპრეზენტაცია საზოგადოებრივ განწყობებში" [MEDIATIZED EU].
საგრანტო ხელშეკრულება # 101004534.
კვლევისა და ინოვაციის პროგრამა, H2020-SC6-TRANSFORMATIONS-2020, ჰორიზონტი 2020, ევროკომისია, ბელგია.
2. „ბაზრები: გამოწვევები და შესაძლებლობები განვითარებადი ბაზრებისთვის: არაფორმალური ბარიერები, ბიზნესგარემო და სამომავლო ტენდენციები აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში" [MARKETS].
საგრანტო ხელშეკრულება # 861034.
მარი კურის კვლევისა და ინოვაციის პროგრამა, H2020-MSCA-ITN-2019,
ჰორიზონტი 2020, ევროკომისია, ბელგია.
3. „ჩრდილოვანი: არაფორმალური ეკონომიკისა და ჩრდილოვანი პრაქტიკების კვლევა ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონებში" [SHADOW].

საგრანტო ხელშეკრულება # 778188.
ევროკავშირის მარი სკლოდოვსკა კურის კვლევისა და ინოვაციის პროგრამა, H2020-MSCA-RISE-2017, ჰორიზონტი 2020, ევროკომისია, ბრიუსელი, ბელგია.
4. საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ ცნობადობის გაზრდა ეთნიკურ უმცირესობებში. ჟან მონეს პროექტები, ევროკომისია, ბრიუსელი, ბელგია. პროექტის საიდენტიფიკაციო ნომერი: 611936-EPP-1-2019-1-GE-EPPJMO-PROJECT.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2021-2024
2. 2020-2023
3. 2018-2022
4. 2019-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. კონსორციუმი შედგება 7 ქვეყნისგან: DCU, ირლანდია; CSS, საქართველო; კოიმბრას უნივერსიტეტი (პორტუგალია); ტალინის ტექნიკური უნივერსიტეტი (ესტონეთი); მადრიდის ნებრიხას უნივერსიტეტი (ესპანეთი); ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტი (უნგრეთი); ENC, ბელგია.
პროექტის კოორდინატორია დუბლინის ქალაქის უნივერსიტეტი (DCU). პროექტის ავტორი და ემპირიული კვლევის ხელმძღვანელია ლია წულაძე (CSS, აღმასრულებელი დირექტორი).
2. კონსორციუმი შედგება 9 ქვეყნისგან: DCU, ირლანდია; UCL, დიდი ბრიტანეთი; ბრემენის უნივერსიტეტი (გერმანია); მაასტრიხის უნივერსიტეტი (ჰოლანდია); სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლა რიგაში (ლატვია); ჰელსინკის უნივერსიტეტი (ფინეთი); ლიუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი (ბელგია); CSS, საქართველო; ტალინის ტექნიკური უნივერსიტეტი (ესტონეთი).
პროექტის კოორდინატორია დუბლინის ქალაქის უნივერსიტეტი (DCU). კონსორციუმის ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელია ლია წულაძე (CSS, აღმასრულებელი დირექტორი).
3. კონსორციუმი შედგება 8 ქვეყნისგან: DCU (ირლანდია, კოორდინატორი);
CSS (ლია წულაძე, აღმასრულებელი დირექტორი, კონსორციუმის ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი);
ლუნდის უნივერსიტეტი (შვედეთი);
ბუქარესტის უნივერსიტეტი (რუმინეთი);
სტოკჰოლმის ეკონომიკის სკოლა რიგაში (ლატვია);
ტალინის ტექნიკური უნივერსიტეტი (ესტონეთი);
ლევადას ანალიტიკური ცენტრი (რუსეთი);
კიევის სოციოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტი (უკრაინა).
4.ლია წულაძე, პროექტის ხელმძღვანელი;
დიანა ლეჟავა, პროექტის კოორდინატორი;
ლელა ჯავახიშვილი, პროექტის წევრი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტის მიზანია, სამიზნე ქვეყნების მედიის დისკურსების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს „ევროპული პროექტის“ განხორციელებას. ამასთან, პროექტი იკვლევს, თუ როგორ რეაგირებს ამ დისკურსებზე საზოგადოება. ევროპეიზაციის შესახებ მედიატიზებული პოლიტიკური დისკურსების კვლევას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ე.წ. ძველი ევროპის, ახალი ევროპისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროპეიზაციის შესახებ დამოკიდებულებების სიღრმისეულად გააზრებისთვის. პროექტში გამოვიყენებთ შერეული ტიპის მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს როგორც რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების, ასევე დელიბერაციული მეთოდის გამოყენებას; კერძოდ, პროექტის ფარგლებში განხორციელდება მედიის დისკურსების კვლევა დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდის საშუალებით, ჩატარდება სიღრმისეული ინტერვიუები პოლიტიკურ ელიტასა და მედიის წარმომადგენლებთან, მოხდება მოსახლეობის რაოდენობრივი გამოკითხვა ქვეყნის მასშტაბით

და ბოლოს, გაიმართება დელიბერაციული დისკუსიები საზოგადოებასთან. აღნიშნული საველე სამუშაოები ჩატარდება თითოეულ სამიზნე ქვეყანაში, რაც საშუალებას მოგვცემს, შვიდი ქვეყნის შედარებითი ანალიზი განვახორციელოთ და პოლიტიკის რეკომენდაციები შევიმუშაოთ პოლიტიკის შემქმნელებისთვის ეროვნულ და ევროკავშირის დონეებზე.

2. პროექტის მიზანია იმ ფორმალური და არაფორმალური პრაქტიკების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს ბიზნესგარემოს განვითარებას აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ეს ფაქტორები მოიცავს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ და კულტურულ ფაქტორებსაც, როგორიცაა კულტურული ღირებულებები და არაფორმალური სოციალური ნორმები. პროექტს ორმაგი მიზანი აქვს: ერთი მხრივ, სიღრმისეულად შეისწავლოს სამიზნე რეგიონებში არსებული ბიზნესგარემო და მისი ცვლილების ტენდენციები; მეორე მხრივ კი, აღნიშნული საკითხების სიღრმისეული ცოდნით აღჭურვოს ახალგაზრდა მკვლევრები, რომლებიც უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე იკვლევენ სამიზნე რეგიონებში მიმდინარე სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს. ეს უკანასკნელი კომპონენტი მოიცავს პროექტში მონაწილე ორგანიზაციების მიერ დოქტორანტების ხელმძღვანელობას, რომლებიც მოცემული რეგიონით არიან დაინტერესებულნი და ორგანიზაციის ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ, პროექტის დასრულებისთვის, შესაბამის თემაზე სადოქტორო დისერტაციას დაიცავენ. ლია წულაძე ხელმძღვანელობს იტალიელ დოქტორანტს, რომელიც კონსორციუმის პარტნიორი უნივერსიტეტებიდან ჩარიცხულია ბრემენის უნივერსიტეტში და მუშაობს არაფორმალური სოციალური ნორმების როლზე ღვინის ექსპორტისას ევროკავშირის ბაზარზე (საქართველოს და მოლდოვას შედარებითი ანალიზი).
3. პროექტის მიზანია „ჩრდილოვანი” პრაქტიკების, განსაკუთრებით კი, „ჩრდილოვანი” ეკონომიკის კვლევა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რომლებიც, მიუხედავად უამრავი ბუნებრივი რესურსის და საბაზრო პოტენციალის ქონისა, არასასურველ პარტნიორებად მიიჩნევიან დასავლეთის ქვეყნებში, მათი არასანდო საინვესტიციო გარემოს, ფართოდ გავრცელებული ოპორტუნიზმისა და კორუფციის, მაღალი ინფლაციის და სახელმწიფო რესურსების მისაკუთრების გამო. მოცემული პროექტი ორმაგი დატვირთვისაა - კვლევითი და საგანმანათლებლო - და მიზნად ისახავს როგორც რეგიონის შესახებ ახალი ცოდნის შექმნას ჩრდილოვანი პრაქტიკების გამოყენებასთან დაკავშირებით, ისე მკვლევართა ახალი თაობის მომზადებას არაფორმალობის საკითხებზე პოსტსაბჭოთა სივრცეში. პროექტის შედეგად იგეგმება როგორც ჩრდილოვანი ეკონომიკის ინდექსის შექმნა სამიზნე ქვეყნებში და მათ შორის შედარებითი ანალიზის განხორციელება, ისე ჩრდილოვანი პრაქტიკების ტაქსონომიის შედგენა აღნიშნული რეგიონის მაგალითზე. ემპირიული კვლევა მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს.
4. პროექტის მიზანია, ევროკავშირის საკითხებზე ცნობადობის გაზრდა საქართველოს 3 ეთნიკურ უმცირესობას შორის: აზერბაიჯანულ და სომხურ (როგორც ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფები) და ქისტ (როგორც ყველაზე მცირე ეთნიკური ჯგუფი) მოსახლეობას შორის. როგორც CRRC Georgia-ს მიერ ევროკავშირის მიმართ ცნობადობის და დამოკიდებულებების შესახებ კვლევები აჩვენებს (2009-2019), ეთნიკური უმცირესობების დამოკიდებულება ევროკავშირისა და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ თვალსაჩინოდ განსხვავდება ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის შესაბამისი განწყობებისგან, კერძოდ, ეთნიკური უმცირესობები როგორც აღნიშნულ საკითხებზე ნაკლები გათვითცნობიერებულობით ხასიათდებიან, ისე მეტად ნეგატიურ განწყობებს ავლენენ ქვეყნის ევროინტეგრაციის მიმართ. ამდენად, პროექტის მიზანია ეთნიკურ უმცირესობათა ცნობადობის გაზრდა ევროკავშირისა და საქართველოს ევროინტეგრაციის შესახებ. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ 18-30 წლის ახალგაზრდები აღნიშნული ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სამივე რეგიონიდან, როგორც მომავალი აზრთა ლიდერები, რომელთაც ჩაუტარდათ ტრენინგები ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ადგილობრივი მედია, რომლის წარმომადგენლებიც ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებს აშუქებენ და ფართო მოსახლეობას შესაბამის გზავნილებს აწვდიან. პროექტი მიმართულია იმაზე, რომ მის საფუძველზე ახალგაზრდებმა და მედიის წარმომადგენლებმა სამივე რეგიონიდან შეძლონ ევროკავშირის შესახებ ცნობადობის

გასაზრდელად საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება. პროექტის შედეგად შეიქმნა პოლიტიკის დოკუმენტი სამივე რეგიონის თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, სადაც დეტალურადაა აღწერილი ამ რეგიონების ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევები და მათი შესაძლო გადალახვის გზები, როგორც ეს თავად პროექტის მონაწილე ახალგაზრდებს ესახებათ.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. ლია წულაძე, ფლორა ესებუა & ირინე ოსეფაშვილი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ვიზალიბერალიზაციის შემდგომი დისკურსები საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ.
ISBN 978-9941-479-80-9
http://css.ge/wp-content/uploads/Vizaliberalization-2021_For-web.pdf

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, ნეკერი.

4) გვერდების რაოდენობა
1. 215 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ნაშრომი საქართველოს მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესს ეხება და მას სოციოლოგიური პერსპექტივიდან სწავლობს, კერძოდ, ევროინტეგრაციის ყოველდღიურ „გამოყენებაზე" ამახვილებს ყურადღებას. ევროინტეგრაციის „გამოყენების" მნიშვნელოვანი ასპექტია მისი დისკურსული გამოყენება, ანუ რიტორიკული მანიპულირება ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით პოზიტიური თუ ნეგატიური ასოციაციების გამოწვევის მიზნით. შედეგად, დისკურსის გზით ევროპეიზაციის ამა თუ იმ პრაქტიკისთვის ლეგიტიმურობის მინიჭება თუ ჩამორთმევა ხდება.
წარმოდგენილი ნაშრომი, რომელიც 2018-2019 წლებში განხორციელებულ ემპირიულ კვლევას ეფუძნება, სწორედ, საქართველოს პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტისა და მოსახლეობის ევროპეიზაციასთან დაკავშირებულ დისკურსებს განიხილავს, ქვეყნის მიერ ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდეგ. ეს ნაშრომი ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს ჩვენი წინა კვლევითი პროექტისა (2014-2016, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის მხარდაჭერით), რომლის ფოკუსი ევროპეიზაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები იყო, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. თუმცა, ბოლო კვლევას ახალი კვლევითი კომპონენტი დაემატა, კერძოდ, პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტასთან სიღრმისეულ ინტერვიუებსა და მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუსჯგუფებში Q მეთოდოლოგიაც ინტეგრირდა, რომლის რაოდენობრივი ანალიზი თვისებრივ მონაცემებს ამდიდრებს.
კვლევამ გამოავლინა ელიტებისა და მოსახლეობის საკმაოდ ამბივალენტური დისკურსები ქვეყნის ევროპეიზაციის შესახებ. ეს ამბივალენტობა თავს იჩენს როგორც საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული პრაგმატული და იდენტობის ფაქტორების განხილვისას, ისე ევროპეიზაციის მექანიზმების - პირობითობის და სოციალიზაციის - წამყვან როლზე მსჯელობისას ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ მსგავსი ამბივალენტობა კვლევის მონაწილეთა დისკურსულ პერფორმანსს უბიძგებს.

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1. ლია წულაძე

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები [სახელმძღვანელო დასრულებულია და გადაცემულია რეცენზიისთვის]

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა
1. 200 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
მოცემული სახელმძღვანელო სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივ მეთოდებს ეძღვნება და საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებზეა გათვლილი, რომლებიც კვლევის მეთოდების შესავლის კურსს იცნობენ (თუმცა, სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებსაც გამოადგებათ). სახელმძღვანელო 8 თავისგან შედგება და ლოგიკურად მიყვება კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებს, კვლევის დიზაინით დაწყებული და კვლევის ანგარიშით დასრულებული. ავტორი რაოდენობრივი კვლევის სამ ძირითად მეთოდზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც სოციოლოგებისთვის განსაკუთრებით რელევანტურია: მასობრივი გამოკითხვა, რაოდენობრივი კონტენტანალიზი და Q მეთოდოლოგია. ამასთან, თითოეული თავის ბოლოს შესაბამისი ემპირიული ნიმუშებია წარმოდგენილი ავტორის და მისი კოლეგების კვლევებიდან. ამდენად, სახელმძღვანელოს სტრუქტურა და შინაარსი ავტორის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. ლია წულაძე
2. ლია წულაძე, ირინე ოსეფაშვილი
3. ლია წულაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. Managing Ambivalence: An Interplay Between the Wanted and Unwanted Aspects of European Integration in Georgia.
DOI: https://doi.org/10.1515/9783110684216-007
2. Georgia's Europeanization: Performative Games and Peculiarities of "Enforced Socialization."
https://muse.jhu.edu/article/780978
3. A Monocrat's Hobby and its Power: On Shadow Politics in Georgia.
https://doi.org/10.1080/23761199.2020.1871564

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. The Unwanted Europeanness? Understanding Division and Inclusion in Contemporary Europe
2. Demokratizatsiya: The Journal of Post-Soviet Democratization 29/1
3. Caucasus Survey 9/1

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. ბერლინი, De Gruyter
2. ვაშინგტონის უნივერსიტეტი, აშშ
3. Routledge, დიდი ბრიტანეთი

5) გვერდების რაოდენობა
1. 161-184
2. 91-109
3. 42-59

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
1. The paper discusses political and intellectual elites and population's discourses on European integration in Georgia. It shows how, in Delanty's words, the idea of Europe and Georgians' Europeanness is invented and reinvented through the abovementioned discourses, which reveal Georgians' ambivalent views regarding pragmatic considerations and identity concerns related to the country's Europeanization: Both elite and popular discourses construct a European Union (EU) that improves the protection of human rights in Georgia concurrently doubting that Georgians need to be taught human rights because of their natural tolerance. These discourses present the EU as Georgia's security guarantee and doubt that the EU can really

safeguard the country against Russian threats. Both discourses assume that Georgia shares European values and are concerned that European values might threaten Georgian traditions. Such ambivalent views point to a complex relationship between the wanted and unwanted aspects of European integration in Georgia.

2. The paper discusses the elite and popular discourses on Europeanization in Georgia analyzing the perceptions of Europeanization strategies. This topic is approached from the sociological perspective focusing on the "usage" of Europeanization. The authors demonstrate that while even the ruling party representatives consider conditionality the main driver of the country's Europeanization, the same participants dismiss EU demands stressing the importance of Georgia's aspiration towards modernization. The discourse on the country's "mental modernization" is especially noteworthy, which is viewed by both elites and population in the light of Developmental Idealism. Such a duality reveals the research participants' perception of external demands and internal motivation as being closely intertwined that highlighs the role of what we call "enforced socialization": They view conditionality and socialization as complementary processes and believe that it is enforcement that should encourage respective social learning. However, as the discourses of enforced socialization coexist with the ones of selective Europeanization, they sound rather performative.
3. This article discusses how shadow politics is enacted in Georgia with shadow actors setting the agenda from the political backstage. It conceptualizes acting "along with the state" as a novel form of informality, to describe a situation when state regulations are in place and shadow actors try to "correspond" to such regulations not through adapting their actions but making the state adapt to their needs via modifying formal rules. Such an enactment of shadow politics is demonstrated based on two recent environmental cases. The paper describes how, on the one hand, a shadow actor strategically uses his both visible and invisible power for informal land appropriation and construction, as well as the purchase and transportation of century-old trees, while on the other hand, authorities challenge environmental NGOs and activists resisting his "hobby" by politicizing their protest actions.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ლია წულაძე
2. ლია წულაძე
3. ლია წულაძე

2) მოხსენების სათაური
1. საქართველოს ევროპეიზაცია: პერფორმატიული თამაშები და „იძულებითი სოციალიზაციის" თავისებურებები.
2. ევროპეიზაციაში ჩაქსოვილი ნაციონალიზმი: როგორ გავიგოთ საქართველოში არსებული ამბივალენტური დისკურსები.
3. ევროპეიზაცია, კომუნიკაცია და კოსმოპოლიტანიზმი. სოციალურ კვლევათა ცენტრის საზაფხულო სკოლა: „ტექნოლოგიები, მონაცემები და საერთაშორისო ურთიერთობები."

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. მაისი, 2021. რუსეთის და ევრაზიის კვლევების ცენტრის (RESC) სემინარი, წმ. ანტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი. მთლიანი სემინარი დაეთმო ლია წულაძის მოხსენებას: https://www.sant.ox.ac.uk/events/georgias-europeanization-performative-games-and-peculiarities-%E2%80%98enforced-socialization%E2%80%99
2. მაისი, 2021. ეროვნებების კვლევის ასოციაციის (ASN) 25-ე მსოფლიო კონფერენცია. ჰარიმანის ინსტიტუტი, კოლუმბიის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკი, აშშ.
https://www.asnconvention.com/panels-by-date
3. ივნისი, 2021. კოიმბრას უნივერსიტეტი, პორტუგალია.
https://ces.uc.pt/summerwinterschools/?lang=2&id=28163

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

კახა ქეცბაია

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები

1) ავტორი/ავტორები
1. კახა ქეცბაია/იაშა კუტუბიძე
2. ამირან ბერძენიშვილი/კახა ქეცბაია

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ინტერაქციული პროცესების სოციოლოგია
ISBN 978-9941-26-984-4
2. სოციოლოგიური თეორიები და თანამედროვე საზოგადოება
ISBN 978-9941-33-190-9
გადაცემულია დასაბეჭდად

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, გამ. „უნივერსალი“
2. თბილისი, გამ. „უნივერსალი“

4) გვერდების რაოდენობა
1. 220 გვ.
2. 698 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. წიგნში უმთავრესად სოციალური ინტერაქციის სპეციფიკური პრობლემები და თეორიებია განხილული. კერძოდ ინტერაქციული თეორიებიდან გაანალიზებულია ჯ. მიდის, ჩ. კულის, ჰ. ბლუმერის, ი. გოფმანის, ჰ. გარფინკელისა, პ. ბლაუს, ჯ. ჰომანსისა და რ. ემერსონის კონცეფციები. მოცემულია ინტერაქციული პროსესების სოციოლოგიური ანალიზის თავისებურებები და ნაჩვენებია თუ როგორ და რა შემთხვევაში არის შესაძლებელი ამ კონცეფციების კვლევით სტრატეგიებად და პარადიგმებად გამოყენება ემპირიული კვლევის შედეგების საინტერპრეტაციოდ. მონოგრაფიის დასკვნით ნაწილში განხილულია ე. ფრომის სოციალური ფსიქოანალიზის კონცეფცია და ნაჩვენებია მისი კავშირი ინტერაქციული პროცესების სოციოლოგიასთან.
2. წიგნში სოციოლოგიური თეორიები თანამედროვე საზოგადოებასთან მიმართებაშია განხილული და ეხმიანება ყველა იმ პროხესებს რომლებიც სწრაფადცვალებად გლობალურ და ლოკალურ სოციუმებში მიდინარეობს. ნაჩვენებია თუ როგორ და რა შემთხვევაში არის შესაძლებელი სოციოლოგიური თეორიების კვლევით სტრატეგიებად და პარადიგმებად გამოყენება ემპირიული კვლევის შედეგების საინტერპრეტაციოდ.

5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები
1. ავტორთა კოლექტივი

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ფილოსოფიური ძიებანი
ISSN 1512-2468 UDC (უაკ) 1 (479.22) (061.2)

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბ., გამომც. „უნივერსალი“

4) გვერდების რაოდენობა
1. 464 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

„ფილოსოფიური ძიებანის~ ოცდამეხუთე კრებული ტრადიციულად ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომებს მოიცავს და საქართველოში მიმდინარე ფილოსოფიური კვლევა-ძიების ნათელ სურათს იძლევა.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. კახა ქეცბაია
2. კახა ქეცბაია
3. ა.ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია
4. ა.ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია
5. ა.ბერძენიშვილი, კახა ქეცბაია

2) სტატიის სათაური, ISSN
1. განათლების მომავალი XXI საუკუნეში - „თხევადი განათლება“
ISSN 1512-2468
2. მართლმადიდებლობის სოციალური ჰაბიტუსის ცალკეული თავისებურებების შესახებ
ISSN 1512-2468
3. სოციოლოგიის საგნის შესახებ, პაატა გუგუშვილის მიერ დასავლური სოციოლოგიის კრიტიკული ანალიზი
ISSN 1987-5789
ESSN 198-5426
4. Religionin the Information Society (Sociological Etude) **ჟურნალის DOI:** https://doi.org/10.52340/gs
E-ISSN: 2667-9760
https://journals.4science.ge/index.php/GS/issue/view
5. О некоторих оссобенностьях постсоветской трансформаций общества

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. კრ. ფილოსოფიური ძიებანი. ტ. 25.
2. კრ. ფილოსოფიური ძიებანი. ტ. 25.
3. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ # 4
4. ჟურნ. „ქართველი მეცნიერები“ Vol. 3 No. 4 (2021)
ინდექსირებულია: Google cholar, Crossref, WorldCat და Cosmos-ის ბაზებში,
ჟურნალის IMPACT FACTOR 0.62
5. ჟურნალი THE CAUCASUS AND THE WORLD International Scientific Journal
Кавказ и Мир Международный научный журнал #23
ISSN 1987 - 7293
ჟურნალის სარედაქციო საბჭოში შედიან უცხოელი წევრები

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბ., გამომც. „უნივერსალი“
2. თბ., გამომც. „უნივერსალი“
3. თსუ-ს გამომცემლობა
4. თბილისი, „ასოციაცია მეცნიერებისათვის“
5. გამ. მერიდიანი, თბ. 2021.

5) გვერდების რაოდენობა
1. 20 გვერდი
2. 16 გვერდი
3. 15 გვერდი
4. 9 გვერდი
5.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. სტატიაში ე. ტოფლერის „მომავლის შოკის“ თეორიის საფუძველზე განხილულია განათლების მომავლის საკითხი. ჩამოყალიბებულია მოსაზრება, რომ არსებული განათლების სისტემა ინდუსტრიული საზოგადოების მოთხოვნებზეა ორიენტირებული და შესაბამისად ამისა დროის მოთხოვნებს ვერ პასუხობს, ამიტომ ახალი, მომავალზე ორიენტირებული განათლების სისტემით უნდა შეიცვალოს.
2. სტატიაში მართლმადიდებლობის სოციალური ჰაბიტუსის დახასიტებგაა მოცემული. ავტორის აზრით, მართლმადიდებლობას ზნეობრივად სწორად გააზრებული სოციალური დოქტრინა

გააჩნია, რაც აბათილებს იმის შესახებ მოსაზრებას, რომ თითქოს მართლმადიდებლობა სოციალური დოქტრინას მოკლებულია.

3. სტატიაში განხილულია საკითხი სოციოლოგიის საგნისა და მეცნიერული სტატუსის შესახებ აკად. პ. გუგუშვილის მიერ დასავლური სოციოლოგიის დეფინიციის კრიტიკული რეცეფციის მიხედვით. ხაზგასმულია, რომ სოციოლოგიის საგნის პრობლემა მუხედავად აზრთა სხვადსხვაობისა და სიმრავლისა დღემდე გადაუჭრელია. შესაბამისად საყურადღებოა სახელოვანი ქართველი მეცნიერისა და საქართველოში სოციოლოგიის ერთ-ერთი პიონერის პ. გუგუშვილის მოსაზრებები ამ კონკრეტული საკითხის შესახებ. სოციოლოგიის საგნის დასავლურ დეფინიციებში აქცენტი კეთდება ზოგადად სოციოლოგიის მიერ საზოგადოების შესწავლაზე და არა უშუალოდ სოციოლოგიის შესწავლის საგანზე. თქმა იმისა, რომ სოციოლოგია მეცნიერულად შესწავლის საზოგადოებას, საზოგადოებრივ ჯგუფებს და ურთიერთობებს, გამოხატავს მხოლოდ ჩვენს შემეცნებით-მეცნიერულ მიმართებას შესასწავლი ობიექტისადმი, მაგრამ არა სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების კონკრეტულ საგანს. ასეთია აკად. პ. გუგუშვილის მიდგომა სოციოლოგიის საგნისადმი, რაც სოციოლოგიის მეცნიერულობის პირობა უნდა იყოს. სხვა დანარჩენ შემთხვევაში სოციოლოგია, როგორც მეცნიერება ხელიდან გაგვეცლება. ამიტომაც აუცილებელია სოციოლოგიის დეფინიციებში ამ მეტად თეორიული, მაგრამ სოციოლოგიისთვის საჭირბოროტო ფაქტის დაფიქსირება. კერძოდ იმის თქმა, რომ სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით სოციოლოგია იკვლევს საზოგადოების, სოციალური ჯგუფების, სოციალური წარმონაქმნების, თუნდაც პიროვნების და ა. შ. როგორც მთლიანი წარმონაქმენების არსებობის, ფუნქციონირების და ცვალებადობის კანონებსა და კანონზომიერბებს. ამ გაგებით აკად. პ. გუგუშვილის მიერ სოციოლოგიის საგნის დეფინიცია მეცნიეული თვალსაზრისით მოწოდების სიმაღლეზეა და დღემდე ანგარიშგასაწევია. სტატია ლოგიკურ-სოციოლოგიური ანალიზის მეთოდის გამოყენებით საკითხის თეორიულ-სოციოლოგიურ კვლევას წარმოადგენს, რომელიც საკვლევი თეორიული პრობლემის შესახებ არსებულ პირველად (პ. გუგუშვილის ნაშრომს „თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია“) და რიგ მეორად წყაროებს ემყარება. სოციოლოგიის საგნის შესახებ აკად. პ. გუგუშვილის ნაშრომიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სოციოლოგიის საგნისა და მისი მეცნიერული სტატუსის საკითხი მართლაც პრობლემად დარჩება მანამდე, ვიდრე არ შემოვსაზღვრავთ მისი კვლევის საგანს და არ ვცნობთ სპეციფიკურ კანონებს, რომლებსაც სხვა სოციალური მეცნიერებებისაგნ განსხვავებით სოციოლოგია შეისწავლის. სწორედ ამ პათოსს ატარებს აკად. პ. გუგუშვილის ნაშრომი.

4. ავტორთა მიერ სტატიაში გაანალიზებული საკითხებია: მართლა აქვს თუ არა ადგილი რელიგიის როლის დაკნინებას თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში? თუკი კულტურა იქცა მასკულტურად, იგივე ხომ არ ემუქრება რელიგიასაც? თუკი ეს ასეა და რელიგია მართლაც დაკარგავს თავის მნიშვნელობას, გავლენას საზოგადოებაზე, მაშინ როგორი იქნება ამ პროცესის საბოლოო შედეგი? ხომ არ მივდივართ ურელიგო საზოგადოებისაკენ? თუ პირიქით მოხდება - ყოველივე ეს საპირისპირო რეაქციას გამოიწვევს და ტრადიციული რელიგიები ახალ გარემოში ახალი ენერგიით შეივსებიან და სისხლსავსე ცხოვრებას დაიწყებენ. სტატიის ავტორთა აზრით, ინფორმაციული სივრცე ადამიანის სულიერი ცხოვრების მხოლოდ და მხოლოდ ზედაპირული გრსია. ამიტომ ვირტალური და კიბერეკლესია ვერსაოდეს ვერ შეცვლის ნამდვილ ტაძარს. ის რეალური ტაძრის პაროდია და სიმულაციაა მხოლოდ. ერთხელაც იქნება ადამიანი გამოაღწევს ამ სიმულაციისა და ვირტუალური რეალობის ტყვეობიდან და ისევ მიუბრუნდება მარადიულ ჭეშმარიტებასა და ნამდვილ რელიგიურ რწმენას. ფსევდორელიგიისა და ფსევდორწმენის იღუზიით გათანგულს ეტყობა ჯერ კიდევ დიდი გამოცდა ელის წინ. დიდი მიხვედრა არ სჭირება იმას, რომ ხელოვნურად შექმნილ, ვირტუალურ სიცრცეში კონსტრუირებულ ფსევდორელიგიას არა აქვს მომავალი და, რომ ყოველგვარი ექპერიმენტები ამ სფეროში იმთავითვე დასაღუპავად განწირულია. რელიგიური ცხოვრება ტრანსცენდენტთან ცოცხალი ურთიერთობაა, რომელიც ვირტუალიზაციის შემთხვევაში იკარგება. რელიგიის ციფრული გამოსახულება აბსურდია და მეტი არაფერი. მოერგება კი რელიგია ამ ახალ სიტუაციას, როგორც ამას ახერხებდა მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციების ეპოქაში, ამას დრო გვიჩვენებს.

5. სტატიაში საზოგადოების პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის მტკივნეული პროცესის რიგი თავისებურერებია განხილული. ავტორთა აზრით, სოციოლოგიური თვალსაზრისით, ტრანსფორმაციის პროცესი ანომიურობით ხასიათდება. დღეს საქართველო, როგორც ერთ-ერთი პოსტსაბჭოური ქვეყანა, იმყოფება სწორედ ღრმა სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ტრანსფორმაციის ეპოქაში. ამგვარი ღრმა ტრანსფორმაციის დროს საზოგადოება აუცილებლად ვარდება, ე. დიურკემის სიტყვებით რომ ვთქვათ, ანომიის მდგომარეობაში, როდესაც ძალას კარგავს ძველი საზოგადოების გამაერთიანებელი მორალური კოდი, ღირებულებები, ქცევის ნორმები, კანონები, ხოლო ახლის დამკვიდრებას და განმტკიცებას ათეული წლები სჭირდება.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ამირან ბერძენიშვილი/კახა ქეცბაია

2) მოხსენების სათაური
1. მსოფლიო რელიგიები გლობალიზაციურ და ინფორმაციულ ეპოქაში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. თბილისი, თსუ
2021 წ. 24-25 ივნისი
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
მოხსენებაში განხილულიქნა გლობალიზაციისა და ინფორმაციონალიზმის ეპოქაში რელიგიის პრობლემა. მომხსენებლების ინტერესის ობიექტია მსოფლიო რელიგიების დამოკიდებულება გლობალიზაციისა და ინფორმაციონალიზმისადმი. კერძოდ, რა მიმართებაშია აღნიშნულ პროცესთან ტრადიციული რელიგიები, როგორია მათი პოზიცია და შესაძლებელია თუ არა ამ მხრივ გარკვეული კანონზომიერების დადგენა - ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ მეცნიერულ გამოკვლევებზე (პირველადი და მეორად იწყაროები) დაყრდნობითა და ფაქტობრივი ანალიზის საფუძველზე ძირითადადი პოზიციების გამოკვეთა. მოხსენებაში განხილულია გლობალიზაციასა და მსოფლიო რელიგიებს შორის არსებული გამოწვევები, კერძოდ, მსოფლიო რელიგიების პასუხი გლობალიზაციისადმი . კვლევის შედეგად გამოვლინდა სამი პოზიცია: 1) გლობალიზაციის პროცესის სრული ან ნაწილობრივი მიღება; 2) გლობალიზაციის კრიტიკა და 3) ალტერნატიული პოზიციები. თითოეული მათგანი თითქმის ყველა რელიგიაშია დაცული. პირველ პოზიციას იკავებენ: იუდაიზმი, კათოლიციზმი, პროტესტანტები და სუნიტური ისლამის მიმდევრები. მეორე პოზიციას - ისლამი და რუსული მართლმადიდებელობა; მესამე პოზიცია მოიცავს ევრო-აზიურ ტრადიციულ რელიგიებს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გლობალიზაციის მიმართ გონივრულ მიდგომას ავლენს, რომლის საფუძველია ის ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურულიდა რელიგიური იდენტობის შენახვას. მოხსენების დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ ზოგადად გლობალიზაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რელიგიურ რწმენას. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა აქცენტი გლობალიზაციის ეპოქაში რელიგიებისა და რელიგიური შეხედულების გაქრობის შესახებ.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ამირან ბერძენიშვილი/კახა ქეცბაია
2. ამირან ბერძენიშვილი/კახა ქეცბაია

2) მოხსენების სათაური

1. მეცნიერების პრობლემები პოსტსაბჭოთა ეპოქაში (რუს. ენაზე)
2. On Feminist Studies in Contemporary Sociology of Science and Critique of Feminist Epistemology

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. უკრაინა, დნეპრი
2021 წ. 3-4 ივნისი
საერთაშორისო ინტერნეტ კონფერენცია **«Ways of science development in modern crisis conditions»**
(თეზისების კრებული დაბეჭდილია. გაცემულია შესაბამისი სერთიფიკატი)
2. უკრაინა, დნეპრი
საერთაშორისო ინტერნეტ კონფერენცია
13th International Scientific and Practical Internet Conference **«MODERN MOVEMENT OF SCIENCE»**
19 October 2021
(თეზისების კრებული დაბეჭდილია. გაცემულია შესაბამისი სერთიფიკატი)
https://mail.google.com/mail/u/5/#trash/FMfcgzGlkZCjXPCrkKmSkGZCDQhwRlCQ?projector=1&messagePartId=0.1

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
1.მოხსენებაში განხილულ იქნა მეცნიერების პრობლემები პოსტსაბჭოთა ეპოქაში. ეს პრობლემებია: სამეცნიერო კადრების შემცირება; არასაკმარისი სახელმწიფო დაფინანსება; სამეცნიერო კადრების დაბერების პრობლემა; სამეცნიერო კადრების გადინების პრობლემა; განათლებისა და მეცნიერების არასათანადო მართვა და ორგანიზება და სხვა; ცალკე საკითხია აგრეთვე მსოფლიო მეცნიერება და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობები.
2.მოხსენება შეეხებოდა ფემინისტური კვლევებს თანამედროვე მეცნიერების სოციოლოგიაში და ფემინისტური ეპისტემოლოგიის კრიტიკას. მომხსენებლების აზრით, მეცნიერების ფემინისტური ეპისტემოლოგიის ცენტრალური ელემენტი სიტუაციური ცოდნაა. სიტუაციური ცოდნა სუბიექტის პერსპექტივის შესახებ წარმოდგენაა. მიზეზები რის გამოც ცოდნა შეიძლება სიტუაციური იყოს შემდეგია: ა) პირველი პირის ცოდნა განსხვადება მესამე პირის ცოდნისაგან; ბ) ცდონა გულისხმობს ემოციებს, განწყობებს, ღირებულებებს; გ) ცოდნაზე გავლენას ახდენს პირადი ურთიერთობები, პიროვნული გამოცდილება; დ) ადამიანებს სხვადასხვა კოგნიტური სიტუაციები აქვთ.
სუბიექტური სიტუაცია სოციალური როლებისა და იდენტობებისაგან შედგება. ამიტომ ცოდნა არა უბრალოდ სიტუაციურია, არამედ სოციალურადაა განსაზღვრული. სქესი სოციალურ სიტუაციას გარკვეულ რეჟიმში აყენებს, შესაბამისად, ის გარკვეულწილად განსაზღვრავს ცოდნას. ეს დებულებები ფემინისტური ეპისტემოლოგიის საერთო ელემენტებია. რაც შეხება უშუალოდ ფემინისტური ეპისტემოლოგიის კრიტიკას, მომხსენებლებს მიაჩნიათ, რომ ფემინიზმს ახასიათებს რეალტივიზმი და ერთგვარ მეცნიერებამდელ მიმდინარეობას წარმოადგენს. გარდა ამისა, რაციონალობის გადახედვის ფემინისტური მოთხოვნაც იწვევს კრიტკიას. მეცნიერების როგორც მასკულინური ფენომენის აღწერით ფემინიზმი ქალების მეცნიერებით დაინტერესების შესაძლებლობას ამცირებს. ამას შეიძლება დავამატოთ, რომ მამაკაცი-მეცნიერის სტერეოტიპიზებული სახე არასოდეს არ გამოირჩევა მასკულინობით. სამხედროების, ბანდიტების და სპორტსმენების ფონზე მეცნიერები ქალურ ფიგურებად გამოიყურებიან. ყოველივე ეს ფემინისტური ეპისტემოლოგიის კრიტიკის შემადგენელი ნაწილია.

შორენა თურქიაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1. მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროექტი "განქორწინების გავლენა შემდგომი თაობის დამოკიდებულებებზე ოჯახის ინსტიტუტის მიმართ"

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. შორენა თურქიაშვილი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (პროექტის ხელმძღვანელი).

მარიამ შოთაძე, მკვლევარი-სტუდენტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი.

ლიკა კობახიძე, მკვლევარი-სტუდენტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი.

გიორგი წულაია, მკვლევარი-სტუდენტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საბჭოთა კავშირში განქორწინებების რიცხვის ზრდა რადიკალურად მაღალი იყო და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის მეორე ადგილს იკავებდა, განქორწინება საბჭოთა კავშირის კონკრეტულ რესპუბლიკებში და დიდ ურბანულ ქალაქებში უფრო დიდი იყო და ამ ტენდენციას პირდაპირი ასახვა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაზე არ ჰქონდა (Moskoff 1983). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, საჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში განქორწინების რაოდენობა სტაბილურად მზარდია. განქორწინებას თან სდევს გარკვეული შედეგები. შესაბამისად, კვლევის მიზნად დაისახა შესწავლილ იქნას განქორწინების გავლენა განქორწინებული წყვილის შვილებზე ზრდასრულ ასაკში იდეალური ოჯახის შესახებ წარმოდგენებსა და დამოკიდებულებაზე ოჯახის ინსტიტუტის მიმართ.

მიზნის შესაბამისად დაისახა შემდეგი ამოცანები:

ა) შევისწავლოთ როგორ იხსენებენ ზრდასრული ასაკის ადამიანები მათი მშობლების განქორწინების პროცესს და როგორ აღწერენ განქორწინების გავლენებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე;

ბ) შევისწავლოთ როგორი წარმოდგენები აქვთ ზრდასრული ასაკის ადამიანებს (რომელთა მშობლები განქორწინდნენ მათ არასრულწლოვნებამდე) ოჯახის ფენომენთან დაკავშირებით, როგორ წარმოუდგენიათ იდეალური ოჯახი და იდეალური პარტნიორი.

გ) შევისწავლოთ ზოგადად როგორი წარმოდგენები აქვთ ზრდასრული ასაკის ადამიანებს (რომელთა მშობლები კვლავ დაქორწინებული არიან) ოჯახის ფენომენთან დაკავშირებით, როგორ წარმოუდგენიათ იდეალური ოჯახი და იდეალური პარტნიორი.

დ) შევადაროთ არის თუ არა განსხვავება ზრდასრული ასაკის ადამიანების წარმოდგენებსა და ღირებულებებს შორის ოჯახთან მიმართებაში, რომლთა მშობლები დაქორწინებული არიან ან განქორწინდნენ მათ სრულწლოვანების მიღწევამდე.

ე) შედარების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები შევადაროთ თეორიულ მსჯელობებს განქორწინების გავლენების შესახებ;

კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად გამოიყო შემდეგი კვლევის კითხვა:

რა გავლენას ახდენს მშობლების განქორწინება არასრულწლოვან ასაკში მყოფ შვილებზე და ზრდასრულ ასაკში ეს გავლენა იწვევს თუ არა ოჯახის ინსტიტუტთან დაკავშირებით განსხვავებულ ხედვებს.

შესაბამისად განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

პროექტში ჩართულ სამაგისტრო საფეხურის სტუდენტ მკვლევართან ერთად მოხდა რელევანტური ლიტერატურის (სტატიების, მონოგრაფიების, კვლევითი ნაშრომების) მიმოხილვა, რის შედეგადაც უფრო დეტალურად გამოვლინდა ის კრიტერიუმები, რომლებიც გამოყენებულ იქნა ემპირიული კვლევის ინსტრუმენტების შექმნისას.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ კვლევის მეთოდს, კერძოდ ნახევრად-სტრუქტურირებულ ინტერვიუს და ექსპერტულ ინტერვიუს. განისაზღვრა კვლევის დიზაინი და მომზადდა პროექტში ჩართული 2 საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი მკვლევარი საველე სამუშაოების ჩასატარებლად.

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
- -

ალექსანდრე კუხიანიძე - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი

მალხაზ მაცაბერიძე - პროფესორი

გია ჟორჟოლიანი - პროფესორი

კორნელი კაკაჩია - პროფესორი

ავთანდილ ტუკვაძე - ასოცირებული პროფესორი

სალომე დუნდუა - ასოცირებული პროფესორი

ზვიად აბაშიძე - ასოცირებული პროფესორი

თამარ ქარაია - ასისტენტ- პროფესორი

გიორგი მელიქიძე - ასისტენტ-პროფესორი

ვალერიან დოლიძე - ასისტენტ-პროფესორი

მალხაზ მაცაბერიძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი ,,პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური სპექტრი თანამედროვე საქართველოში‘‘

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021 წლის 1 აგვისტო-2022 წ. 30 აპრილი

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მალხაზ მაცაბერიძე - პროექტის ხელმძღვანელი, თამარ ორჯონიკიძე - დოქტორანტი, კოორდინატორი, გრეტა ივანიშვილი - მაგისტრანტი, მკვლევარი, ნინო ყარალაშვილი - ბაკალავრი, მკვლევარი

ხატია სტეფანოვი - ბაკალავრი, მკვლევარი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მოცემული პროექტის მიზანია შეისწავლოს, ერთი მხრივ, თანამედროვე საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიები და, მეორე მხრივ, მოცემული იდეოლოგიების ჩამოყალიბების მიზეზები. მოცემულ პროექტს ოთხი ძირითადი მოსალოდნელი შედეგი აქვს, ესენია:

- საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიების განსაზღვრა, დახასიათება და მიღებული შედეგებით სასწავლო მასალის გამდიდრება;
- პარტიული იდეების საკითხისადმი სამეცნიერო ინტერესის ზრდა;
- პარტიული იდეოლოგიის გაზომვის ინდიკატორებზე სამეცნიერო მსჯელობის გაძლიერება;

- საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური ანალიზის გზამკვლევის მომზადება

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ მოცემული პროექტის დასრულების შედეგად, შესაძლებელი იქნება, საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიების განსაზღვრა და მათი ძირითადი მახასიათებლების ჩამოყალიბება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში არსებული კურიკულუმის გამდიდრებას. კერძოდ, აღნიშნულ საფეხურებზე არსებულ სასწავლო კურსებში (რაც, პარტიულ პოლიტიკას შეეხება) შესაძლებელია სალექციო კვირად სწორედ მოცემული კვლევის მიგნებების დამატება. ამდენად, ეს მოსალოდნელი შედეგი გაამდიდრებს სასწავლო პროცესს. აღსანიშნავია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის მე-6 სტანდარტი ითხოვს, რომ მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შედეგები ინტეგრირებული უნდა იყოს სასწავლო პროგრამაში. ამასთან, თანამედროვე საუნივერსიტეტო სასწავლო მასალა მდიდარი არ არის მიმდინარე კვლევითი პროექტების შედეგებით. შესაბამისად, მოცემული მოსალოდნელი შედეგი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის დახვეწას, კვლევისა და სასწავლო პროგრამის მეტად ინტეგრირებას.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება FR – 18 – 20157
ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი, დამტკიცებული შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 20 ივნისის N 80 ბრძანებით
7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებანი, 7.5 სოციალური მეცნიერება, 7.5.6. პოლიტიკური მეცნიერებანი

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2019-2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. მალხაზ მაცაბერიძე - პროექტის ხელმძღვანელი, თამარ ორჯონიკიძე - ახალგაზრდა მკვლევარი, პროექტის კოორდინატორი ოთარ ჯანელიძე , მკვლევარი პაატა სურგულაძე , მკვლევარი ირაკლი იაკობაშვილი , მკვლევარი ნათია ზედგინიძე

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს ისტორიაში დემოკრატიულად არჩეულ პირველ უმაღლეს საკანონმდებლო ინსტიტუტად აღიარებულია 1919 წელს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე პროპორციული პრინციპით, ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეული საქართველოს დამფუძნებელი კრება.

დამფუძნებელი კრება, როგორც საშუალება ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებების მქონე საზოგადოების წევრების (ფენების) დემოკრატიული კონსოლიდაციისა, ფრანგული განმანათლებლობიდან (კერძოდ კი - ჟან-ჟაკ რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულებიდან“ მომდინარეობს. ქვეყანაში დამფუძნებელი კრების არჩევის და ამოქმედების ძირითადი ამოცანა მდგომარეობს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთთანამშრომლობის პრინციპების შემუშავებასა და ამ პირობების ქვეყნის ძირითად კანონად (სხვა სიტყვებით - ქვეყნის კონსტიტუციად) დამკვიდრებაში. ქვეყნის დამფუძნებელი კრების შექმნის მიზანია ქვეყნის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება. საქართველოში 1919 წელს დამფუძნებელი კრების არჩევის მიზანი სწორედ ქვეყნის ძირითადი კანონის - კონსტიტუციის - შემუშავება და ამით ქართულ

საზოგადოებაში რევოლუციური სულისკვეთების დაშოშმინება, ქვეყნის ცხოვრების მშვიდობიან, კანონებით განსაზღვრულ კალაპოტში მოქცევა იყო. საქართველოში დამფუძნებელი კრების საარჩევნო კანონს საფუძვლად დაედო 1917 წლის გაზაფხულ-შემოდგომაზე რუსეთის დამფუძნებელი კრების მოსამზადებელ "დროებით მთავრობასთან არსებულ იურიდიული სათათბიროში" და "სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების კანონის შემმუშავებელ საგანგებო კომისიაში" მომზადებული - იმ ეპოქისათვის უაღრესად პროგრესული - დემოკრატიული საარჩევნო კანონი. რუსეთის სათათბიროსა და მისი კომისიის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ იმ დროს ყოფილ რუსეთის იმპერიის ქვეყნებში მყოფი ინტელექტუალური ელიტა, მათ შორის თებერვლის რევოლუციის აღიარებული ლიდერები: ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ირაკლი (კაკი) წერეთელი და ევგენი გეგეჭკორი. საქართველოში დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა 1919 წლის გაზაფხულზე. ახლადარჩეული დამფუძნებელი კრების პირველი საჯარო სხდომა შედგა 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დედაქალაქში - თბილისში. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში სხვადასხვა დროს აირჩიეს 7 პარტიის 145 დეპუტატი. მიიღეს ფუძემდებლური შინაარსის მქონე 400 - მდე კანონი. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ არსებობა შეწყდა 1921 წლის მარტს, ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო ძალის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოჭრის და ჩვენი კანონიერი ხელისუფლების დამხობის შედეგად. საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატთა მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა უცხოეთში გახიზნულიყო და პოლიტიკური ემიგრაციის პირობებში გაეგრძელებინა თავისი მუშაობა. საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატთა საქართველოში დარჩენილი ჯგუფი მათ მიმართ საქართველოში გაბატონებული საბჭოთა ხელისუფლებისგან თანმიმდევრულ დევნა - შევიწროების თუ ფიზიკური განადგურების მსხვერპლი შეიქმნა.

2.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წიგნების გამოცემისდ საგრანტო პროექტი „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება, მიღება, სახელმწიფო მოწყობის კონცეფცია" SP-21-290

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2021 წლის 22 ივლისი - 2022 წლის 22 იანვარი

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. მალხაზ მაცაბერიძე - პროექტის ხელმძღვანელი, თამარ ორჯონიკიძე - პროექტის კოორდინატორი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მონოგრაფია გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. საგრანტო პროექტის ნომერი SP-21-290. მონოგრაფია ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის მიღების მე-100 წლისთავს.

მონოგრაფიაში, ავტორის მიერ ამ საკითხის მრავალწლიანი კვლევის საფუძველზე, საარქივო და იმდროინდელი პრესის მასალებზე დაყრდნობით, სხვა ავტორების ნაშრომების გათვალისწინებით, წარმოდგენილია 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების ისტორია, განხილულია 1921 წლის კონსტიტუციის ამოსავალი დებულებები და სახელმწიფოს მოწყობის ძირითადი პრინციპები. წარმოჩენილია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ადგილი ქართულ და მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. მონოგრაფია დახმარებას გაუწევს იმ მკვლევრებს, რომლების მუშაობენ ქართული კონსტიტუციონალიზმის და თანამედროვე საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ასევე სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიის და საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხებს. მიმდინარე წელს, კონსტიტუციის მიღების მეასე წლისთავზე, მონოგრაფიის გამოქვეყნებას გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებაზე ფიქრი ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიწყო: ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ,

როდესაც განიხილებოდა ამიერკავკასიის კონსტიტუციის შემუშავება, დღის წესრიგში დადგა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება, როგორც ფედერაციის სუბიექტისა. მონოგრაფიაში წარმოდგენილი იქნება ამიერკავკასიის და საქართველოს კონსტიტუციასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები საარქივო მასალებსა და იმდროინდელ პრესასთან დაყრდნობით.
საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ (საქართველოს პარლამენტმა) შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც მოამზადა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მრავალი თავი, თუმცა კონსტიტუციის პროექტის შემუშავება მთლიანობაში ვერ მოასწრო. მონოგრაფიაში დაწვრილებით იქნება განხილული საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობა.
საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ შეკრებისთანავე (1919 წ. მარტი) შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც თავიდან დაიწყო კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა, რასაც ერთ წელზე მეტი მოანდომა (1920 წლის მაისის ჩათვლით) და კონსტიტუციის პროექტი გამოაქვეყნა. მონოგრაფიაში, არსებული საარქივო მასალის და იმდროინდელი პრესის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნება კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პროცესი.
ცალკე საკითხია კონსტიტუციის პროექტის განხილვა (დამფუძნებელ კრებაში დაიწყო 1920 წ. 24 ნოემბერს) და მიღება დამფუძნებელი კრების მიერ. სამწუხაროდ, დამფუძნებელი კრების ბოლო პერიოდის (1921 წლის თებერვალ-მარტის ომის) შემორჩენილი მასალები უაღრესად ფრაგმენტულია. მონოგრაფიაში დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტის განხილვის, მიღების და გამოქვეყნების საკითხები.
მონოგრაფიის რამდენიმე თავი ეთმობა 1921 წლის კონსტიტუციის კონცეფციის საკვანძო საკითხების განხილვას: დემოკრატიული რესპუბლიკის კონცეფცია, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა, ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური გარანტიები, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, 1921 წლის კონსტიტუციის საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. მალხაზ მაცაბერიძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია: შემუშავება, მიღება, სახელმწიფოს მოწყობის კონცეფცია ISBN 978-9941-8-3843-9

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, 2021

4) გვერდების რაოდენობა
1. 368 გვ.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მონოგრაფია გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. საგრანტო პროექტის ნომერი SP-21-290. მონოგრაფია ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის მიღების მე-100 წლისთავს.
მონოგრაფიაში, ავტორის მიერ ამ საკითხის მრავალწლიანი კვლევის საფუძველზე, საარქივო და იმდროინდელი პრესის მასალებზე დაყრდნობით, სხვა ავტორების ნაშრომების გათვალისწინებით, წარმოდგენილია 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების ისტორია, განხილულია 1921 წლის კონსტიტუციის ამოსავალი დებულებები და სახელმწიფოს მოწყობის ძირითადი პრინციპები. წარმოჩენილია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ადგილი ქართულ და მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. მონოგრაფია დახმარებას გაუწევს იმ მკვლევრებს, რომლების მუშაობენ ქართული კონსტიტუციონალიზმის და თანამედროვე საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ასევე სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიის და საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხებს. მიმდინარე წელს, კონსტიტუციის მიღების მეასე წლისთავზე, მონოგრაფიის გამოქვეყნებას გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობაც აქვს.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებაზე ფიქრი ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიწყო: ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის შემდეგ, როდესაც განიხილებოდა ამიერკავკასიის კონსტიტუციის შემუშავება, დღის წესრიგში დადგა საქართველოს კონსტიტუციის შემუშავება, როგორც ფედერაციის სუბიექტისა. მონოგრაფიაში წარმოდგენილი იქნება ამიერკავკასიის და საქართველოს კონსტიტუციასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები საარქივო მასალებსა და იმდროინდელ პრესასთან დაყრდნობით.
საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ (საქართველოს პარლამენტმა) შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც მოამზადა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის მრავალი თავი, თუმცა კონსტიტუციის პროექტის შემუშავება მთლიანობაში ვერ მოასწრო. მონოგრაფიაში დაწვრილებით იქნება განხილული საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობა.
საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ შეკრებისთანავე (1919 წ. მარტი) შექმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც თავიდან დაიწყო კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა, რასაც ერთ წელზე მეტი მოანდომა (1920 წლის მაისის ჩათვლით) და კონსტიტუციის პროექტი გამოაქვეყნა. მონოგრაფიაში, არსებული საარქივო მასალის და იმდროინდელი პრესის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნება კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პროცესი.
ცალკე საკითხია კონსტიტუციის პროექტის განხილვა (დამფუძნებელ კრებაში დაიწყო 1920 წ. 24 ნოემბერს) და მიღება დამფუძნებელი კრების მიერ. სამწუხაროდ, დამფუძნებელი კრების ბოლო პერიოდის (1921 წლის თებერვალ-მარტის ომის) შემორჩენილი მასალები უაღრესად ფრაგმენტულია. მონოგრაფიაში დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტის განხილვის, მიღების და გამოქვეყნების საკითხები.
მონოგრაფიის რამდენიმე თავი ეთმობა 1921 წლის კონსტიტუციის კონცეფციის საკვანძო საკითხების განხილვას: დემოკრატიული რესპუბლიკის კონცეფცია, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა, ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური გარანტიები, ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, 1921 წლის კონსტიტუციის საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია.

5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1. მალხაზ მაცაბერიძე.

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. საბჭოთა კავშირი: იდეოლოგია და პოლიტიკა ISBN 978-9941-491-27-6

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თსუ გამომცემლობა, 2021

4) გვერდების რაოდენობა
1. 403 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
სახელმძღვანელო გამოიცა თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ სახელმძღვანელოების კონკურსის შედეგად. დეკანის ბრძანება 25/05/2020 წ. N 12/30. განკუთვნილია ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისთვის.
სახელმძღვანელოში განხილულია საბჭოთა კავშირის ისტორიის (1922-1991) ძირითადი ეტაპები. საბჭოთა კავშირის შექმნა, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა მარქსიზმ-ლენინიზმის სახელით ხორციელდებოდა და ამ იდეოლოგიით აღჭურვილი კომუნისტური პარტიის „ბრძნული“ საქმიანობის შედეგად მიიჩნეოდა. ამ იდეოლოგიის რიგი დებულებებისა დროთა განმავლობაში იცვლებოდა, მიმდინარე პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, თუმცა ტოტალიტარული არსი უცვლელი რჩებოდა.საბჭოთა კავშირი, ფაქტობრივად, რუსეთის სახელმწიფოს ფორმა იყო, რადგანაც ე.წ. „მოკავშირე რესპუბლიკებს“ არანაირი „სუვერენიტეტი“ არ გააჩნდათ, ყველაფერი მოსკოვიდან იმართებოდა.
სამწუხაროდ, საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოაქციეს და თავის თავზე იწვნია შვიდი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე „ახალი საზოგადოების მშენებლობის“ კომუნისტური ექსპერიმენტი.
სახელმძღვანელო შედგება 15 თავისგან, სალექციო კვირების შესაბამისად, და საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ-პოლიტიკური ევოლუცია განხილულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: 1. რა

იყო და რატომ უნდა შევისწავლოთ საბჭოთა კავშირი; 2. საბჭოთა კავშირი როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური პროექტი; 3. ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაცია: „სუვერენული“ საბჭოთა რესპუბლიკების იურიდიული დემონტაჟი; 4. მსოფლიო რევოლუციის ამაო მოლოდინი; 5. ბოლშევიკური იდეოლოგიისა და პოლიტიკის კრიზისი („სამხედრო კომუნიზმიდან“ „ახალ ეკონომიკურ პოლიტიკამდე“); 6. ლენინის ავადმყოფობა და სიკვდილი. ლენინის „ანდერძი“ და ლენინის მემკვიდრეები; 7. პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბრძოლა საბჭოთა კავშირში 1920-იან წლებში; 8. სოციალიზმის მშენებლობის სტალინური გეგმა: ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია; 9. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა 1928-1939; 10. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემა 1930-იან წლებში; 11. საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში 1939-1945; 12. საბჭოთა კავშირი „გვიანი სტალინიზმის“ პერიოდში - საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1945-1953 წლებში; 13. ხრუშჩოვის მმართველობა 1953-1964 წლები; 14. ლეონიდ ბრეჟნევი. „განვითარებული სოციალიზმის“ ხანა. გერონტოკრატია და საბჭოთა კავშირის კრიზისი; 15. გორბაჩოვის „გარდაქმნა“ და საბჭოთა კავშირის დაშლა

5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები
1. მალხაზ მაცაბერიძე. წინასიტყვაობა კრებულისათვის
2. მალხაზ მაცაბერიძე.
3. მალხაზ მაცაბერიძე (რედაქტორი და თანაავტორი)

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. სერგი დანელია. რას მოითხოვს სამშობლო. პოლიტიკური წერილები 1917-1921. თბ. 2021 ISBN 978-9941-8-3975-7
2. პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოების დაფუძნება - კრებულში „ნეოპლატონიზმი: მოძღვრება და მისი რეცეფცია“. ISBN 978-9941-18-348-5
3. ნაციონალიზმი. ენციკლოპედიური ცნობარი.

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2021
3. თბილისი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2021 ISBN 978-9941-9747-2-4 SP-21-552

4) გვერდების რაოდენობა
1. 152
2. გვ. 1-11
3. 192 გვ

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
წინასიტყვაობა კრებულისათვის - სერგი დანელია. რას მოითხოვს სამშობლო. პოლიტიკური წერილები 1917-1921
კრებულში შედის ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის სერგი დანელიას მიერ „დარიანის“ ფსევდონიმით 1917-1921 წლებში ქართულ პრესაში (გაზეთ „საქართველოში“) გამოქვეყნებული სტატიები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: „ერი და რევოლუცია“, „როგორი უნდა იყოს საქართველოს დემოკრატია?“, „რას მოითხოვს სამშობლო?“, „ეროვა და პოლიტიკა“, „სასკოლო პოლიტიკაზე“, „ბოლშევიზმი და საქართველო“, „საშუალო სკოლის მართვა-გამგეობისათვის“, „ჯამაგირის ნატურალიზაცია“, „ტერმინი ეროვნული დემოკრატია“, „სადღეისოთ“, „ჩვენი პოზიცია“, „ჩვენი პარტიის ტაქტიკა“.
სერგი დანელიას ინტერესი მრავალმხრივია: რა უნდა მოიმოქმედოს ინტელიგენციამ რევოლუციის პერიოდში, როგორი უნდა იყოს ეროვნული არასოციალისტური დემოკრატია საქართველოში. ამ თემას ეძღვნება მისი რამდენიმე სტატია, სადაც განსაზღვრავს ეროვნული დემოკრატიის არსს და როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, აყალიბებს 1921 წ. იანვარში შექმნილ დემოკრატიული პარტიის ტაქტიკას.
სერგი დანელია თავის სტატიებში განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს, აკრიტიკებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკას, განიხილავს სასკოლო

პოლიტიკის საკითხებს, რადგანაც წლების მანძილზე თავად მუშაობდა სკოლაში და კარგად იცნობდა მის პრობლემებს.
სერგი დანელიას ამ პერიოდის ყველაზე ვრცელი ნაშრომი ეხება რუსეთის რევოლუციის, ბოლშევიზმის თეორიისა და პრაქტიკის განხილვას და მას მიუღებლად მიიჩნევს საქართველოსთვის.
სერგი დანელიას 1917-1921 წლების პოლიტიკური წერილების კრებული საშუალებას იძლევა უფრო სრულყოფილად განვიხილოთ მისი მოღვაწეობა და წვლილი ქართული პოლიტიკური აზრის განვითარებაში.

პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოების დაფუძნება - კრებულში „ნეოპლატონიზმი: მოძღვრება და მისი რეცეფცია“.

სტატიაში განხილულია „პეტრიწის სახელობის საფილოსოფიო საზოგადოების“ დაფუძნება 1918 წ. 26 მაისს, რაც შემთხვევით დაემთხვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. მიუხედავად რთული ვითარებისა, იმდროინდელი საქართველოს ცნობილმა მოღვაწეებმა გადაწყვიტეს ამ საზოგადოების შექმნა. დაფუძნების ინიციატორები იყვნენ სერგი გორგაძე, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ რობაქიძე და იოსებ ყიფშიძე. საზოგადოების თავმჯდომარე სერგი გორგაძე (1876-1929) იყო. 23 მაისს ქართულ პრესაში პირველად ჩნდება ცნობა, რომ 26 მაისს შედგებოდა საზოგადოების დამფუძნებელი სხდომა. სხდომა მართლაც შედგა, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო სხდომა მალევე დაამთავრეს, წესდების მიღებისა და გამგეობის არჩევის შემდეგ ს. გორგაძის მოხსენება შემდეგისთვის გადაიდო.
სტატიაში განხილულია საფილოსოფიო საზოგადოების წესდება, წარმოდგენელია ამ საზოგადოების წევრები, რომელთა შორისაც რატომღაც არ იყო წარმოდგენილი ივანე ჯავახიშვილი. ს. გორგაძის მოხსენება „ფილოსოფიო და მისი მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში“ 1923 წელს გამოქვეყნდა.

ნაციონალიზმი. ენციკლოპედიური ცნობარი. თბილისი, 2021

ენციკლოპედიურ ცნობარში ნაციონალიზმთან დაკავშირებული 225 ტერმინია განმარტებული, მათ შორის ქართულ ნაციონალიზმთან დაკავშირებით. ტერმინთა დიდ ნაწილს თან ახლავს სამეცნიერო ლიტერატურის სია. ცნობარი გათვალისწინებულია სპეციალისტებისათვის, სტუდენტებისთვის და საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის. ენციკლოპედიური ცნობარი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. საგრანტო პროექტის ნომერი SP-21-552

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. მალხაზ მაცაბერიძე
2. მალხაზ მაცაბერიძე
3. მალხაზ მაცაბერიძე
4. მალხაზ მაცაბერიძე
5. მალხაზ მაცაბერიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია - საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო ISSN – 2587-5337
2. 1921 წელი ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში
3. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველი
4. საქართველოს დამფუძნებელი კრება და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი
5. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების სათავეებთან საქართველოში

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი. გამოცემა N 1-2 / 2021
2. ქართული პარლამენტარიზმი, 2021, N 1(5)
3. ქართული პარლამენტარიზმი, 2021, N 1(5)
4. ქართული პარლამენტარიზმი, 2021, N 2 (6)
5. პოლიტიკური მეცნიერება საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები. 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო / გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
2. თბილისი, თსუ,
3. თბილისი, თსუ,
4. თბილისი, თსუ,
5. თბილისი, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

5) გვერდების რაოდენობა
1. გვ.81-101 ქართულად: https://constcourt.ge/files ინგლისურად;
https://constcourt.ge/files/4/Full%20Issue%20(1).pdf
2. გვ.4-28 http://psage.tsu.ge/index.php/parliamentarism/article/view/213
3. გვ.29-44 http://psage.tsu.ge/index.php/parliamentarism/article/view/214
4. გვ. 4-30 http://psage.tsu.ge/index.php/parliamentarism/article/view/216
5. გვ.5-11 ISBN 978-9941-8-3976-4

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია - საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლო

ქართული ელექტრონული მისამართი სრულად: https://constcourt.ge/files/4/%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90%20(2).pdf

სტატიაში მოკლედ განხილულია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების ეტაპები, საქართველოს ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიების შემადგენლობა, კონსტიტუციის შემუშავების დროს მიმდინარე დებატების თემატიკა, დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის მიღება და მისი მნიშვნელობა საქართველოს შემდგომი ისტორიისთვის. საბჭოთა პერიოდში 1921 წლის კონსტიტუცია იყო სიმბოლო იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში (პირველ რიგში სოციალ-დემოკრატებში) ჩამოყალიბდა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის გეგმაც. საქართველოში, როდესაც შესაბამისი პირობები შეიქმნებოდა, უნდა აღდგენილიყო 1921 წლის კონსტიტუციის მუხლები, რომლებიც პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს უზრუნველყოფდა, რის საფუძველზეც ჩატარდებოდა თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები. ახალი საკანონმდებლო ორგანო კი იმ ცვლილებებს შეიტანდა 1921 წლის კონსტიტუციაში, რასაც საჭიროდ ჩათვლიდა.

2. 1921 წელი ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში

1921 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველომ უაღრესად დემოკრატიული კონსტიტუცია მიიღო, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ საქართველო ტოტალიტარიზმის პირობებში აღმოჩნდა, რასაც დემოკრატიული ინსტიტუტების დემონტაჟი მოჰყვა. საბჭოთა რეჟიმის არსს გამოხატავდა 1922 წლის 2 მარტს მიღებული კონსტიტუცია, რომელიც რსფსრ 1918 წლის კონსტიტუციის თარგზე იყო გამოჭრილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციასთან მისი შედარება მკაფიოდ წარმოაჩენს საბჭოური კონსტიტუციონალიზმის ცრუდემოკრატიულ და ფასადურ ხასიათს. სტატიაში განხილულია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიღებისა და მის შემდგომ ბედთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები (კონსტიტუციის მიღების დაჩქარება, კონსტიტუციის ფაქტობრივი და იურიდიული მოქმედების საკითხი, საბჭოთა რეჟიმის მიერ 1921 წლის კონსტიტუციის იგნორირება და „საბჭოური კონსტიტუციის“ ცრუდემოკრატიული არსი). 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია დიდი ხნის მანძილზე დარჩა სიმბოლოდ იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თავისუფალი და დემოკრატიული საქართველო.

3. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი - საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველი

სტატიაში განხილულია საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში დეკლარირებული პრინციპების (ხალხის და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, დემოკრატიული რესპუბლიკა, დემოკრატიული რესპუბლიკა, ნეიტრალიტეტი, კეთილმეზობლობა სხვა ქვეყნებთან, მოქალაქეთა უფლებების დაცვა, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა) რეალიზება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში და ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე დებატები საკონსტიტუციო კომისიასა და დამფუძნებელ კრებაში.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მოწყობის ძირითადი პრინციპების რეალიზებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოქალაქეთა უფლებების დაცვას განურჩევლად სქესისა, რელიგიური კუთვნილებისა და ეროვნებისა. ეს იყო მთლიანობაში 55 მუხლი, რაც კონსტიტუციის (149 მუხლი) მესამედზე მეტს შეადგენდა.

დამოუკიდებლობის აქტში ჩამოყალიბებული პრინციპები ნეიტრალიტეტისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ სხვა სახელმწიფოებთან აღარ შეუტანიათ კონსტიტუციაში, რადგანაც ეს მუხლები დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა და უკვე მოცემული იყო დამოუკიდებლობის აქტში, რომელიც კონსტიტუციას შესავალი ნაწილის სახით ერთვოდა.

4. საქართველოს დამფუძნებელი კრება და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმიანობის სრულყოფილ შესწავლას მნიშვნელოვნად ართულებს შესაბამისი წყაროების ნაკლებობა. არ არის მიკვლეული (თუკი საერთოდ ასეთი რამ შეიქმნა) იმის დროს გამართული დამფუძნებელი კრების სხდომათა სტენოგრაფიული ანგარიშები, მნიშვნელოვანი ხარვეზებითაა შემონახული სხვა დოკუმენტაცია. ომის პირობებში დამფუძნებელი კრების ნორმალური საქმიანობა შეწყდა. შემორჩენილია ერთი დოკუმენტი, რომელიც კარგად ასახავს იმ დროს შექმნილ ვითარებას. 1921 წლის 24 თებერვალს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი თავდაცვის საბჭოს სასწრაფო წერილს უგზავნის, სადაც აღნიშნულია, რომ უკანასკნელი მობილიზაციით (19 წლიდან 40 წლამდე) „დამფუძნებელი კრების კანცელარიის თითქმის მთელი შემადგენლობა, გარდა ორი-სამი კაცისა, ჯარში უნდა იქნას გაწვეული“. ამით დამფუძნებელი კრების მუშაობა მთლიანად ფერხდება. ამიტომ მობილიზაციიდან დამფუძნებელი კრების კანცელარიის 7 თანამშრომლის განთავისუფლებას ითხოვენ. უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისის სასწრაფოდ დატოვებას 24 თებერვალს ღამით მოჰყვა დამფუძნებელი კრების დოკუმენტაციის ნაწილობრივი განადგურება, ანდა გატანილი დოკუმენტების ნაწილის შემდგომ დაკარგვა. 28 თებერვალს ქუთაისში გამართული დამფუძნებელი კრების სხდომის შესახებ მხოლოდ საგაზეთო ანგარიში მოგვეპოვება, ბათუმში 17 მარტს გამართული დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის შესახებ კი მხოლოდ მოგონებების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ. თებერვალ-მარტის ომის დროს დამფუძნებელი კრების საქმიანობასთან დაკავშირებით დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი დოკუმენტური მასალა თავმოყრილია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ დამფუძნებელი კრების დოკუმენტების მრავალტომეულის ბოლო, მერვე ტომში. მასალა, სამწუხაროდ, საკმაოდ მცირეა, თუმცა მისი გაანალიზებაც წარმოდგენას გვიქმნის ომის პერიოდში დამფუძნებელი კრების საქმიანობის შესახებ.

5. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების სათავეებთან საქართველოში

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერებისადმი ინტერესი საქართველოში ჩნდება აღნიშნული დისციპლინის ჩამოყალიბებასთან ერთად XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში. სტატიაში განხილულია იმდროინდელი ქართული პრესის პოლიტიკური პუბლიცისტიკა, პოლიტიკურ პარტიებს შორის მიმდინარე დისკუსია, ქართულ ენაზე ნათარგმნი ნაშრომები სახელმწიფოს, პოლიტიკის სხვადასხვა პრობლემატიკის შესახებ.

აღნიშნული მასალის განხილვა აჩვენებს, რომ იმდროინდელ საქართველოში, ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ერის ცნებისა და ეროვნული საკითხის გააზრება, პოლიტიკური იდეოლოგიების სხვადასხვა ასპექტების გაშუქება, დიდი ყურადღება ექცეოდა საერთაშორისო ვითარების ანალიზს. გაჩნდა პოლიტიკური მეცნიერების შესახებ პირველი ნაშრომის დაწერის იდეაც (გიორგი წერეთელი, 1896).

ზემოთქმულიდან შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოში პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბების დაწყების შესახებ. ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურად წარიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) არსებობის პერიოდში. თუმცა საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესი შეაჩერა. პოლიტიკური მეცნიერების პრობლემატიკის განხილვა მხოლოდ ემიგრანტულ წრეებში მიმდინარეობდა.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.3. კრებულები

1) ავტორები

1. Мацаберидзе М. Конституционные права национальных меньшинств в демократической Республике Грузия (1918-1921)

2. Мацаберидзе М. Консультативные структуры этнических меньшинств: международный опыт и Грузия

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. Этносоциальные процессы в Республике Казахстан. Сборник научных трудов. Часть 1 ISBN-978-601-304-118-6
2. Этносоциальные процессы в Республике Казахстан. Сборник научных трудов. Часть 2 ISBN – 978 – 601-304-120-9

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Институт философии, политологии и религиоведения. Алматы. ИФПР КН МОН РК, 2021
2. Институт философии, политологии и религиоведения. Алматы. ИФПР КН МОН РК, 2021

4) გვერდების რაოდენობა
1. С.102-110
2. С.231-238

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ეთნიკური უმცირესობების კონსტიტუციური უფლებები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ფართო უფლებებს ანიჭებდა ეროვნულ უმცირესობებს და ცდილობდა მათ ინტეგრაციას ახლადშექმნილი სახელმწიფოს ცხოვრებაში. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მმართველი პოლიტიკური ძალის - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საქმიანობას, რომელმაც თავისი პარტიული სიით უზრუნველყო დამფუძნებელ კრებაში საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა ძირითადი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის ყოფნა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალა (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები) თანხმდებოდა იმაზე, რომ ეროვნულ უმცირესობებს ფართო უფლებები უნდა მინიჭებოდათ და დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ უმცირესობათა ჩართვას საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ეს პირველ რიგში ითქმის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე, რომელიც ხელისუფლებაში იმყოფებოდა. „ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ გამომდინარეობდა ჩვენი პოლიტიკის დოქტრინიდან, მთელი ჩვენი წარსული მოღვაწეობიდან“, - აღნიშნავდა შემდგომ თავის მოგონებებში ნოე ჟორდანია.[1]

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის გამოხატულება იყო ტერმინი „საქართველოს ხალხი“, რომელიც აღნიშნავდა საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად მათი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა. ამ ტერმინს იყენებდა მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების დროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიჩნეული იქნა ეროვნულ უმცირესობათა კონსტიტუციური უფლებებისა და გარანტიების ჩამოყალიბება. საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მასალები თვალსაჩინოდ გვიჩვენებენ, თუ რა დიდი ყურადღება დაეთმო კონსტიტუციის შემუშავებისას "რესპუბლიკის მცირე ერების უფლებათა" განსაზღვრას.

ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო სტრუქტურები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო

დღეისათვის ქართულ რეალობაში ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმები რამდენიმე სტრუქტურის სახით არის წარმოდგენილი: სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან არსებული სამთავრობო კომისია, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან არსებული საკონსულტაციო საბჭო, თვითმმართველობის დონეზე არსებული საკონსულტაციო მექანიზმები. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში საკონსულტაციო მექანიზმები მეტწილად თვითორგანიზების (სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭო) ან

[1] ნ. ჟორდანია. ჩემი წარსული. თბ., „სარანგი“, 1990, გვ.104

კონკრეტულ უწყებასთან სამუშაო ჯგუფების ფორმატით არსებობს და მას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების უმაღლეს ორგანოებთან მყარი და ინსტიტუციონალიზებული დიალოგის ფორმა არ აქვს.

ეთნიკური უმცირესობების საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები აკრიტიკებენ საქართველოში არსებულ ვითარებას და აღნიშნავენ, რომ არათუ პარლამენტისა და მთავრობის დონეზე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის დონეზეც კი არ არსებობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობითი, რეგულარული და მდგრადი საკონსულტაციო პლატფორმა, რომელსაც ის რეგულარულად უსმენს და ანგარიშს აბარებს. ამდენად, მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ამ სფეროში საერთაშორისო პრაქტიკის უფრო მეტი გამოყენება. პირველ რიგში კი საჭიროდ მიაჩნიათ პოლიტიკისა და ადამიანის უფლებების მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების დროს, პარლამენტსა და მთავრობას სახალხო დამცველთან მოქმედ ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსთან რეგულარული, ღია და დემოკრატიული, კანონის საფუძველზე გაწერილი კონსულტაციების ვალდებულება ჰქონდეს.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მალხაზ მაცაბერიძე
2. მალხაზ მაცაბერიძე
3. მალხაზ მაცაბერიძე
4. მალხაზ მაცაბერიძე
5. მალხაზ მაცაბერიძე
6. მალხაზ მაცაბერიძე
7. მალხაზ მაცაბერიძე

2) მოხსენების სათაური

1. 1921 წელი ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში
2. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება
3. საქართველოს დამფუძნებელი კრება და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი
4. „სხვა“ 25 თებერვალი
5. 26 მაისი და საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები
6. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი და საქართველოს დამფუძნებელი კრება
7. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების სათავეებთან საქართველოში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს პირველი კონსტიტუციის 100 წელი“. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2021 წლის 21 თებერვალი
2. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია 100 წლისაა“. კონფერენცია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 22 თებერვალი 2021 წელი
3. კონფერენცია „100 წელი რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. 2021 წ. 24 თებერვალი
4. სამეცნიერო კონფერენცია „25 თებერვალი მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2021 წლის 2 მარტი
5. „26 მაისი მეხსიერების პოლიტიკის კონტექსტში“. ვებინარი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021 წლის 26 მაისი
6. მე-9 საერთაშორისო კონფერენცია. „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021 წლის 24-25 ივნისი
7. სამეცნიერო კონფერენცია „პოლიტიკური მეცნიერება საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები“. პოლიტიკურ მეცნიერებათა საქართველოს ასოციაცია, 2021 წლის 6 ნოემბერი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. **1921 წელი ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში**

1921 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა ქართული კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველომ უაღრესად დემოკრატიული კონსტიტუცია მიიღო, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ საქართველო ტოტალიტარიზმის პირობებში აღმოჩნდა, რასაც დემოკრატიული ინსტიტუტების დემონტაჟი მოჰყვა. საბჭოთა რეჟიმის არსს გამოხატავდა 1922 წლის 2 მარტს მიღებული კონსტიტუცია, რომელიც რსფსრ 1918 წლის კონსტიტუციის თარგზე იყო გამოჭრილი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციასთან მისი შედარება მკაფიოდ წარმოაჩენს საბჭოური კონსტიტუციონალიზმის ცრუდემოკრატიულ და ფასადურ ხასიათს. სტატიაში განხილულია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიღებისა და მის შემდგომ ბედთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები (კონსტიტუციის მიღების დაჩქარება, კონსტიტუციის ფაქტობრივი და იურიდიული მოქმედების საკითხი, საბჭოთა რეჟიმის მიერ 1921 წლის კონსტიტუციის იგნორირება და „საბჭოური კონსტიტუციის“ ცრუდემოკრატიული არსი). 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუცია დიდი ხნის მანძილზე დარჩა სიმბოლოდ იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თავისუფალი და დემოკრატიული საქართველო.

2. საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის შემუშავება და მიღება

მოხსენებაში მოკლედ განხილულია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავების ეტაპები, საქართველოს ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიების შემადგენლობა, კონსტიტუციის შემუშავების დროს მიმდინარე დებატების თემატიკა, დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის მიღება და მისი მნიშვნელობა საქართველოს შემდგომი ისტორიისთვის. საბჭოთა პერიოდში 1921 წლის კონსტიტუცია იყო სიმბოლო იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში (პირველ რიგში სოციალ-დემოკრატებში) ჩამოყალიბდა კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის გეგმაც. საქართველოში, როდესაც შესაბამისი პირობები შეიქმნებოდა, უნდა აღდგენილიყო 1921 წლის კონსტიტუციის მუხლები, რომლებიც პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს უზრუნველყოფდა, რის საფუძველზეც ჩატარდებოდა თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები. ახალი საკანონმდებლო ორგანო კი იმ ცვლილებებს შეიტანდა 1921 წლის კონსტიტუციაში, რასაც საჭიროდ ჩათვლიდა.

3. **საქართველოს დამფუძნებელი კრება და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი**

1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმიანობის სრულყოფილ შესწავლას მნიშვნელოვნად ართულებს შესაბამისი წყაროების ნაკლებობა. არ არის მიკვლეული (თუკი საერთოდ ასეთი რამ შეიქმნა) იმის დროს გამართული დამფუძნებელი კრების სხდომათა სტენოგრაფიული ანგარიშები, მნიშვნელოვანი ხარვეზებითაა შემონახული სხვა დოკუმენტაცია. ომის პირობებში დამფუძნებელი კრების ნორმალური საქმიანობა შეწყდა. შემორჩენილია ერთი დოკუმენტი, რომელიც კარგად ასახავს იმ დროს შექმნილ ვითარებას. 1921 წლის 24 თებერვალს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი თავდაცვის საბჭოს სასწრაფო წერილს უგზავნის, სადაც აღნიშნულია, რომ უკანასკნელი მობილიზაციით (19 წლიდან 40 წლამდე) „დამფუძნებელი კრების კანცელარიის თითქმის მთელი შემადგენლობა, გარდა ორი-სამი კაცისა, ჯარში უნდა იქნას გაწვეული“. ამით დამფუძნებელი კრების მუშაობა მთლიანად ფერხდება. ამიტომ მობილიზაციიდან დამფუძნებელი კრების კანცელარიის 7 თანამშრომლის განთავისუფლებას ითხოვენ. უნდა ვიფიქროთ, რომ თბილისის სასწრაფოდ დატოვებას 24 თებერვალს ღამით მოჰყვა დამფუძნებელი კრების დოკუმენტაციის ნაწილობრივი განადგურება, ანდა გატანილი დოკუმენტების ნაწილის შემდგომ დაკარგვა. 28 თებერვალს ქუთაისში გამართული დამფუძნებელი კრების სხდომის შესახებ მხოლოდ საგაზეთო ანგარიში მოგვეპოვება, ბათუმში 17 მარტს გამართული დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომის შესახებ კი მხოლოდ მოგონებების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ. თებერვალ-მარტის ომის დროს დამფუძნებელი კრების საქმიანობასთან დაკავშირებით დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი დოკუმენტური მასალა თავმოყრილია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ დამფუძნებელი კრების დოკუმენტების მრავალტომეულის ბოლო, მერვე ტომში. მასალა, სამწუხაროდ, საკმაოდ მცირეა, თუმცა მისი გაანალიზებაც წარმოდგენას გვიქმნის ომის პერიოდში დამფუძნებელი კრების საქმიანობის შესახებ.

4. „სხვა“ 25 თებერვალი

მოხსენებაში განხილულია 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში გამოსული სამი გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“, „საქართველოს“ და „ერთობის“ ნომრები. ასევე ქვეყნდება ამ საგაზეთო ნომრების სრული ტექსტები. 25 თებერვალს გამოსული გაზეთები უმნიშვნელოვანესი წყაროა ქართული საზოგადოების იმდროინდელი განწყობის შესასწავლად; ამ გაზეთებში კარგად

ჩანს, თუ როგორ აფასებდნენ შექმნილ ვითარებას, რა იმედებით და მოლოდინებით ცხოვრობდნენ, რითი იმხნევებდნენ თავს და როგორ იბრძოდნენ.

5. 26 მაისი და საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები

მოხსენებაში განხილულია საქართველოს დამოუკიდებლობის წანამძღვრები და პირობები 1918 წლის 26 მაისს. საქართველოს პოლიტიკური სისტემის ისტორიული განვითარების განხილვისას განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას: 1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო საქართველოში პირველი თანამედროვე პოლიტიკური სისტემის მქონე სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფოებრიობის არქონის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ჩამოყალიბდა; 2. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, მიუხედავად თავისი ხანმოკლე არსებობისა, ღრმა კვალი დაამჩნია საქართველოს შემდგომ ისტორიას. საბჭოთა რეჟიმის არსებობის პერიოდში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ქართველი ხალხისათვის იყო თავისუფლების და დამოუკიდებლობის განსახიერება, საბჭოთა რეჟიმი კი ცდილობდა მისი ხსოვნის წაშლას. 3. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველო დაიპყრო და ძალით შეიყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, იძულებული იყო ანგარიში გაეწია ქართული სახელმწიფოსათვის, რომელსაც 1918 წელს ჩაეყარა საფუძველი. 4. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1990-იანი წლების დასაწყისში მოიაზრებოდა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. ამ თვალსაზრისს ემყარებოდა დამოუკიდებლობის რეფერენდუმზე (1991 წლის 31 მარტი) დასმული კითხვა („გინდათ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე“), ისევე როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის (დროშის, გერბის, ჰიმნის) აღდგენა.

6. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი და საქართველოს დამფუძნებელი კრება

მოხსენებაში ჩვენამდე მოღწეული წყაროების მოძიების და ურთიერთ-შეჯერების საფუძველზე განხილულია საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921) საქმიანობის ბოლო პერიოდი. სამწუხაროდ, ამ პერიოდის ამსახველი დამფუძნებელი კრების რიგი სხდომების სტენოგრამები და სხვა დოკუმენტები მიკვლეული არ არის. მსჯელობა გვიხდება იმდროინდელი პრესის მასალების და თანამედროვეთა მოგონებების გამოყენებით.

საქართველოს დამფუძნებელი კრება 1921 წლის გაზაფხულზე მიიღებდა კონსტიტუციას, რომლის საფუძველზეც შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო და 1921 წ. 6 ნოემბერს შეიკრიბებოდა საქართველოს პირველი არჩეული პარლამენტი, რითაც დამფუძნებელი კრება დაამთავრებდა თავის საქმიანობას, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

საბჭოთა რუსეთის და მისი მოკავშირეების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თავდასხმამ დაარღვია დამფუძნებელი კრების მშვიდობიანი საქმიანობა. ქვეყანა სასიკვდილო საფრთხის წინაშე დადგა. ამ პერიოდში დამფუძნებელი კრების საქმიანობაში შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი მიმართულება: კანონშემოქმედებითი და მიმდინარე ომის პირობებში ქვეყნის თავდაცვის ორგანიზება.

მიუხედავად შექმნილი რთული ვითარებისა, დამფუძნებელმა კრებამ დაამთავრა კონსტიტუციის განხილვის პროცესი და 1921 წ. 21 თებერვალს მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, 22 თებერვალს კი დაამტკიცა კონსტიტუციის ფრანგული თარგმანი. კონსტიტუციის მიღებით დამფუძნებელმა კრებამ შეასრულა თავისი უმთავრესი ამოცანა, რის გამოც ის იყო მოწვეული.

ომის ბოლოდ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უარი თქვა კაპიტულაციაზე და მისი 1921 წლის 17 მარტის დადგენილებით ემიგრაციაში გაიგზავნა საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი. მათ დაევალათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლის გაგრძელება.

დამფუძნებელი კრების მონაწილეობა თავდაცვის ორგანიზებაში მრავალმხრივი იყო: ა/ დამფუძნებელი კრების სხდომებზე (1921 წლის 15, 21 და 28 თებერვალი, 17 მარტი) და მისი პრეზიდიუმის შეკრებებზე, სხვადასხვა სხდომებზე განიხილებოდა მიმდინარე საომარი მოქმედებები; ბ/ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ დადგენილებებში დაგმობილია საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორები და კანონგარეშედ არიან გამოცხადებული ბოლშევიკური „რევკომის“ წევრები; გ/ დამფუძნებელმა კრებამ მიიღო რამდენიმე მიმართვა საერთაშორისო საზოგადოებისადმი, რათა მათ დახმარება გაეწიათ აგრესიის მოგერიებაში; დ/ დამფუძნებელი კრების წევრები პირადად მიდიოდნენ ფრონტზე, ჩადიოდნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სამხედრო ნაწილების, მოქალაქეთა გასამხნევებლად და თავდაცვის ორგანიზებისათვის.

თუკი ომის დასაწყისში დამფუძნებელი კრება ერთსულოვანი იყო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ომში წარუმატებლობასთან ერთად დამფუძნებელი კრების რამდენიმე წევრი, რომლებიც

ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები იყვნენ, დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეს იმ იმედით, რომ ბოლშევიკური რეჟიმი შეასრულებდა დაპირებას და დაიცავდა საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.
დამფუძნებელი კრების წევრთა ნაწილი წავიდა ემიგრაციაში, საქართველოში დარჩენილი დამფუძნებელი კრების წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა კი რეპრესირებული იყო საბჭოთა რეჟიმის მიერ.
საქართველოს კონსტიტუციის მიღებით და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაგრძელებით დამფუძნებელმა კრებამ შექმნა სამართლებრივი პირობები საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

7. თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების სათავეებთან საქართველოში

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერებისადმი ინტერესი საქართველოში ჩნდება აღნიშნული დისციპლინის ჩამოყალიბებასთან ერთად XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში. სტატიაში განხილულია იმდროინდელი ქართული პრესის პოლიტიკური პუბლიცისტიკა, პოლიტიკურ პარტიებს შორის მიმდინარე დისკუსია, ქართულ ენაზე ნათარგმნი ნაშრომები სახელმწიფოს, პოლიტიკის სხვადასხვა პრობლემატიკის შესახებ.
აღნიშნული მასალის განხილვა აჩვენებს, რომ იმდროინდელ საქართველოში, ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ერის ცნებისა და ეროვნული საკითხის გააზრება, პოლიტიკური იდეოლოგიების სხვადასხვა ასპექტების გაშუქება, დიდი ყურადღება ექცეოდა საერთაშორისო ვითარების ანალიზს. გაჩნდა პოლიტიკური მეცნიერების შესახებ პირველი ნაშრომის დაწერის იდეაც (გიორგი წერეთელი, 1896).
ზემოთქმულიდან შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოში პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბების დაწყების შესახებ. ეს პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურად წარიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) არსებობის პერიოდში. თუმცა საქარ-თველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესი შეაჩერა. პოლიტიკური მეცნიერების პრობლემატიკის განხილვა მხოლოდ ემიგრანტულ წრეებში მიმდინარეობდა.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. Malkhaz Matsaberidze

2) მოხსენების სათაური
1. *The 30 Years of the Post-Soviet Period in Georgia: Achievements and Problems*

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. INTERNATIONAL CONFERENCE 30 YEARS OF USSR COLLAPSE AND DEVELOPMENT IN THE POST-SOVIET SPACE Chişinău, December 9th, 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

საქართველოს პოსტსაბჭოთა 30 წელი: მიღწევები და პრობლემები

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განვლილი გზა, მიღწევები და პრობლემები პერიოდულად ხდება განხილვის საგანი. განსაკუთრებით ეს ეხება დამოუკიდებლობის 30 წლისთავს. ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა და ექსპერტთა გამოკითხვებიც. ამ გამოკითხვების საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს მიღწევების, შეცდომების და პრობლემების საინტერესო ჩამონათვალი. მთავარი მიღწევები უკავშირდება ქვეყნის ევროპეიზაციას და ევროატლანტიკურ ორიენტაციას, მთავარი პრობლემები კი საფრთხეს უქმნის ქვეყნის დასავლურ ორიენტაციას. ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში პრეზიდენტის ინსტიტუტმა განიცადა: საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან გადაიქცა საპარლამენტო რესპუბლიკად, თუმცა ეს მხოლოდ მიმდინარე პოლიტიკურ კონიუნქტურას უკავშირდება და არ გაუზრდია დემოკრატიის ხარისხი ქვეყანაში.
პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში შექმნილი რეალობა კარგად შეიძლება გააზრებული იქნას „კონკურენტული ავტორიტარიზმის თეორიის“ ფარგლებში. მმართველი პოლიტიკური ძალა

ცდილობს დაიცვას დემოკრატიული თამაშის წესები, სანამ უშუალოდ საფრთხე არ დაემუქრება მის ხელისუფლებაში ყოფნას.

ავანდილ ტუკვაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ა. ტუკვაძე, ე. გელაშვილი, ა. აბზიანიძე
2. ა. ტუკვაძე, ე. გელაშვილი, ა. აბზიანიძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1. 2018 Presidential elections in Georgia (Elections without a leader)
https://journals.4science.ge/index.php/GS/index
2. ლიდერობის თეორიები და პოსტსაბჭოთა ავტორიტარი ლიდერები
https://journals.4science.ge/index.php/GS/index

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Vol. 3 Issue 3, 2021 https://doi.org/10.52340/gs.2021.08.03
2ქართველი მეცნიერები Vol. 3 Issue 3, 2021 https://doi.org/10.52340/gs.2021.08.08

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. საქართველო, თბილისი
2. საქართველო, თბილისი

5) გვერდების რაოდენობა
1. 18–35
2. 114–136
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში: არჩევანი ლიდერების გარეშე

სტატიაში აღნიშნულია, რომ 2018 წლის კონსტიტუცია, რომელიც ძალაში შევიდა პრეზიდენტის ინაუგურაციის დღიდან, ქვეყანაში ამკვიდრებს საპარლამენტო მმართველობის მოდელს და ბოლო შემთხვევა იყო პრეზიდენტის არჩევა საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით (6 წლის ვადით), 2024 წლიდან პრეზიდენტს აირჩევს საარჩევნო კოლეგია და ქვეყანა სრულად გადავა მმართველობის საპარლამენტო ფორმაზე. ნაშრომში გაანალიზებულია აგრესიული საარჩევნო კამპანიის განმაპირობებელი ფაქტორები: მძიმე სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა, მმართველი გუნდის მიერ დაშვებული შეცდომები, პოლიტიკური კულტურის თავისებურებები, ქართული მენტალიტეტისა და ცნობიერების კონტრასტულობა, რუსეთის ინტერესების დაცვაში კანდიდატების ურთიერთ ბრალდებები–„კომპრომატებით ომი“, სალომე ზურაბიშვილის და გრიგოლ ვაშაძის წინასაარჩევნო დაპირებები, ხელისუფლების მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ გამოყენებული სამთავრობო რესურსები, საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ გამოქვეყნებული წინასწარი ანგარიშები (რომლის მიხედვითაც არჩევნების ლეგიტიმაცია ეჭვის ქვეშ არ დამდგარა, მაგრამ იყო კრიტიკული შენიშვნები), არჩეული პრეზიდენტის საინიგურაციო სიტყვაში გაჟღერებული ახალი ინიციატივები (დემოკრატიული ფასეულობები და პოლიტიკური პრიორიტეტები), რომლებიც მომავლის იმედებს აჩენს საზოგადოებაში.

ლიდერობის თეორიები და პოსტსაბჭოთა ავტორიტარი ლიდერები
ნაშრომში პოლიტიკური ლიდერობის ირგვლივ არსებული თეორიებია განხილული (თვისებათა, სინთეზური, მიმდევრების, სიტუაციური, ფსიქოლოგიური); დიდი ადგილი ეთმობა თვისებათა თეორიის ანალიზს, დასაბუთებულია თვისებათა თეორიის აქტუალობა ლიდერობის ფენომენის შესწავლის პროცესში, კერძოდ არგუმენტირებულადაა გაანალიზებული ლიდერისათვის დამახასიათებელი პიროვნული თვისებების მნიშვნელობა ლიდერობის ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში; მოყვანილია მაგალითები თუ როგორ შეძლეს გამორჩეულმა ლიდერებმა სიტუაციის თავის სასარგებლოდ გამოყენება და ასევე როგორ შეცვალეს არსებული სიტუაციები.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის ახსნას; მაგალითებითაა დასაბუთებული, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში არის მიზეზი ავტორიტარი ლიდერების მმართველობის; განხილულია რუსეთში ვლადიმირ პუტინის და საქართველოში მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარული მმართველობის თავისებურებები.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ა. ტუკვაძე, ვ. დოლიძე
2. ა. ტუკვაძე, გ. ლობჯანიძე
3. ა. ტუკვაძეა. აბზიანიძე

2) მოხსენების სათაური
1. Внешние фактори демократизации в Грузии
2. PARRTY GIEAVAGES IN GEORGIA
3. "SOVEREIGN DEMOCRACY" AND THE DEMOCRATIZATION PROCESS IN RUSSIA

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 2nd International Scientific and Practical Internet Conference, June 3-4, 2021. – Dnipro, Ukraine, 2021. – 513 p.)June 3-4, 2021
2. 2021. – Dnipro, Ukraine,1–2 April «MODERN MOVEMENT OF SCIENCE»
3. 2nd International Scientific and Practical Internet Conference, June 3-4, 2021. – Dnipro, Ukraine, 2021. – 513 p.) June 3-4, 2021.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

სალომე დუნდუა

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. FR-19-124

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2019-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. სალომე დუნდუა პროექტის ხელმძღვანელი, თამარ ქარაია - პროექტის კოორდინატორი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სოციალური მოძრაობები თანამედროვე საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მოქალაქეთა ჩართულობა და ამ პროცესში თვითორგანიზების მიღწევა წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე განგრძობადი სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევა, რომლებმაც საზოგადოების პოლიტიკური კულტურის განვითარებასა და საზოგადოებასა და ხელისუფლების ურთიერთობაზე საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა. განსახილველად წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს, გაანალიზოს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევები, როგორც

სოციალური მოძრაობის მაგალითები. მოცემული შემთხვევების საკვლევად შერჩევა განაპირობა ერთი მხრივ იმან, რომ მოცემული შემთხვევები (კონკრეტულად კი, „დაიცავი გუდიაშვილი," „დაიცავი საყდრისის ოქროს საბადო", „არა - პანორამა/მირზაშაფის პროექტს" „დაიცავი ვაკის პარკი", "დაიცავი ბათუმის ძველი ბულვარი," „თეთრი ხმაურის მოძრაობა," მაღაროელთა საპროტესტო მოძრაობა ტყიბულსა და ჭიათურაში , „აუდიტორია 115" და „ლაბორატორია 1918") თანამედროვე საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის ყველაზე რეზონანსული და გავლენიანი მაგალითებია და მეორე მხრივ იმან, რომ საკვლევად შერჩეული ყველა შემთხვევა აკმაყოფილებს სოციალური მოძრაობის კრიტერიუმებს და, შესაბამისად, შეესაბამება მოცემული ცნების მარიო დაიანის მიერ შემოთავაზებულ კატეგორიზაციას, რომელსაც ჩვენ კვლევის პროცესში ვეყრდნობით.

კვლევის მიზანია, შეისწავლოს როგორც შიდა, ასევე ინტერჯგუფური მოძრაობები, თანაშრომლობები, წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები, არსებობს თუ არა ჯგუფებს შორის კოალიციები და სოლიდარული განწყობები და, შესაბამისად, რამდენად ახდენს გავლენას ერთი მოძრაობის წარმატება/წარუმატებლობა სხვა მოძრაობის მიერ სტრატეგიის დაგეგმვაზე და საბოლოო შედეგის მიღწევაზე; კვლევა დაფუძნებულია როგორც სამაგიდო კვლევაზე, ასევე იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუირების მეთოდს როგორც საკვლევად შერჩეულ შემთხვევებში ჩართულ აქტივისტებთან, ასევე ხელისუფლების, სამეცნიერო წრეების, ექსპერტების წარმომადგენლებთან.
კვლევა მიღებული შედეგების ახსნას შეეცდება სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ფართო პარადიგმის ჭრილიდან (უფრო კონკრეტულად კი, პოლიტიკური პროცესის და კოლექტიური ქცევის თეორიებზე დაყრდნობით).
კვლევის შედეგები აისახება ორ სამეცნიერო სტატიაში და ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე.

ავანდილ ტუკვაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ა. ტუკვაძე, ე. გელაშვილი, ა. აბზიანიძე
2. ა. ტუკვაძე, ე. გელაშვილი, ა. აბზიანიძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1. 2018 Presidential elections in Georgia (Elections without a leader)
https://journals.4science.ge/index.php/GS/index
2. ლიდერობის თეორიები და პოსტსაბჭოთა ავტორიტარი ლიდერები
https://journals.4science.ge/index.php/GS/index

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. Vol. 3 Issue 3, 2021 https://doi.org/10.52340/gs.2021.08.03
2ქართველი მეცნიერები Vol. 3 Issue 3, 2021 https://doi.org/10.52340/gs.2021.08.08

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. საქართველო, თბილისი
2. საქართველო, თბილისი
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. სალომე დუნდუა, თამარ ქარაია

2) მოხსენების სათაური
1. „დავიცვათ #ჩემი, #შენი, #ჩვენი ბათუმი" -სოციალური მოძრაობა ბათუმის ისტორიული იერსახის გადასარჩენად
.
3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 24-25 ივნისი, თბილისი, საქართველო

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

სამოქალაქო აქტივიზმმა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში განვითარების საინტერესო გზა განვლო. აქტივობებს შორის გამორჩეულია რეგონალური ურბანული აქტივიზმის შემთხვევები და მახასიათებლები, რომლის განხილვასაც მოცემულ მოხსენებაში ბათუმში მიმდინარე მოძრაობების მაგალითზე ვგეგმავთ.

სამოქალაქო აქტივიზმი ბათუმში სამი ლოკაციის ირგვლივ ვითარდება. ესენია: ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ბათუმის ბულვარი და ბათუმის რივიერა. სამივე პროექტს თან გასდევს და აერთიანებს ბათუმის ისტორიულ კულტურული ზონის დამტკიცების მოთხოვნა, რომლის არდაკმაყოფილებამ დიდწილად განაპირობა ამ პროექტების პრობლემატურობის საკითხი.

ბათუმმა ბევრი ჩარევა განიცადა, მაგრამ მოხსენებაში მიმოვიხილოთ სამ ძირითადს, რომელთა გაანალიზება ერთიან ჭრილში შესაძლებელია. ესეია ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, ბათუმის ბულვარის (მოიცავს რვაფეხას საკითხსაც) და ბათუმის კონცხის (რივიერას) საკითხები. ამ პროექტების საერთო მახასიატებელია ფაქტორებია: სამივა მათგანში იკვეთება დეველეპორთა ინტერესები, სამივე შემთხვევაში ხელისუფლება მხარს უჭერს პროექტის განხორციელებას, აქედან პირველი და მესამე მხარდაჭერილია ქვეყანაში ძალაუფლების მქონე მტავარი პირების მხრიდან, ხოლო ბათუმის ბულვარის შემთხვევაში, დეველოპერები ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერის დონეს ვერ სცდებიან; სამივე მათგანის განხორციელებას ეწიანააღმდეგებიან როგორც სამოქალაქო აქტივისტები, ასევე დარგის სპეციალისტები და რაც მთავარია, მიუხედავად პერიოდული წარმატებებისა სამივე მათგანის საკითხი დღემდე ბუნდოვანია.

კვლევა დაფუძნებულია თვისებრივი კვლევის მეთოდებზე, კერძოდ, 2020-2021 წწ. ჩატარდა 16 სიღრმისეული ინტერვიუ, ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიისა და მედიის წარმომადგენლებთან.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. სალომე დუნდუა, თამარ ქარაია,

2) მოხსენების სათაური
1. How the Political Opportunities Matter: Urban Social Movement in Georgia

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 25 ნოემბერი, ლვოვი, უკრაინა,

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
საქართველოში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ბევრ სფეროს შეეხო ფუნდამენტური რეფორმა. ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქალაქების რეურბანიზაცია და მოდერნიზაცია იყო. ამ პროცესმა, თავის მხრივ, გამოიწვია მთელი რიგი პროცესები ისტორიული ძეგლების, ზოგჯერ კი მთელი უბნების დაზიანების კუთხით, ეს ასევე შეეხო სოციალური სივრცეების მასტაბებს ურბენულ ზონებში. მთლიანობაში, მზარდმა ურბანიზაციამ საფუძველი ჩაუყვარა ურბანულ სამოქალაქო აქტივიზმსა და გრასრუთ მოძრაობების გააქტიურებას.

მოძრაობათა წარმატების ან წარუმატებლობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოსავლენად, კვლევის პროცესში 3 მოძრაობა შეირჩა შესასწავლად თბილისში, როგორც საქართველოს ცენტრალურ ურბანულ სივრცეში. ესენია: მოძრაობა „გუდიაშვილის სკვერის გადასარჩენად“, „არა პანორამა თბილისს! „და „გადაარჩეინეთ ვაკის პარკი“. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოძრაობა აქტიური იყო ერთსა და იმავე პერიოდში, ერთიდაიმავე აქტივისტები იყვნენ მასში ჩართულები,

თუმცა ამ მოძრაობათა შედეგები განსხვავებულია: პირველი მოძრაობა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებუია, ვაკის პარკის გადასარჩენად მიმართული მოძრაობა განეკუთვნება ნაწილობრივ წარმატებულთა კატეგოარიას, ხოლო პანორამას წინააღმდეგ მიმართულმა აქტივობებმა შედეგს ვერ მიაღწია.

კვლევა დაფუძნებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიაზე, კერძოდ შემთხვევის ანალიზზე. გაანალიზდა მრავალი პირველადი და მეორეული წყაროები, რომელიც აღწერდა პოლიტიკურ პროცესებსა და არსებულ შესაძლებლობებს.

ზვიად აბაშიძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. Zviad Abashidze

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
A POLITICAL DISCOURSE ON NATION AND NATION-BUILDNG IN A POST-COMMUNIST STATE: THE CASE OF GEORGIA UNDER ZVIAD GAMSAKHURDIA . e-ISSN 2298-0997

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. European Journal of Transformation Studies. Vol. 9, N. 2

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Europe Our House. Tbilisi

5) გვერდების რაოდენობა
1. 16

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
წარმოდგენილი სტატია ეხება ნაციონალობისა და ერადქმნადობის დიკსურსს საქართველში ზვიად გამსახურდია მმართველობის დროს. ავტორი ასაბუთებს, რომ იმ დროინდელი ყველა ოფიციალური გამოსვლის თუ დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე, არსად ფიქსირდება ზვიად გამსახურდია მკაცრად ეთნონაციონალისტური გარიყულობის პოლიტიკა, რაც ხშირ შემთხვევაში წარმოდგენილია სამეცნიერო დისკურსში. მისთვის უფრო დამახასიათებელია ერის და ნაციონალობის ჰიბრიდული მიდგომა (ეთნიკური და სამოქალაქოს ნაზავი), რაც სრულად ჯდება როგორც რეგიონულ, ისე ფართო აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის კონტექსტში, რასაც საკუთარი ობიექტური მიზეზები გააჩნდა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ზვიად აბაშიძე
.
2) მოხსენების სათაური
1. როჯერს ბრუბეიკერისა და სამი სმოჰას პოსტ-კომუნისტური ნაციონალური პროექტების ანალიზი და საქართველო.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. საქართველოს პოლიტოლოგთა ასოციციაცია. თბილისი, 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

თამარ ქარაია

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. YS-21-995
2. FR-19-124

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2021-2023
2. 2019-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. თამარ ქარაია - პროექტის ხელმძღვანელი
2. თამარ ქარაია - პროექტის კოორდინატორი, სალომე დუნდუა პროექტის ხელმძღვანელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მეხსიერების „დაუსრულებელი“ პროექტები თანამედროვე საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებობდა მოლოდინი, რომ საქართველოც ჩაერთვებოდა მეხსიერების პოლიტიკის იმ „ინდუსტრიაში“, რომელიც ამ მიმართულებით კვლევების გააქტიურებას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე დამოუკიდებელ საქართველოში საბჭოთა კავშირის დისტანცირებასა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში წარსული მაგალითების ჩართვა და მისი საჭიროებისამებრ ინტერპრეტაცია ყოველდღიურობის ნაწილს წარმოადგენდა, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. საქართველოში მეხსიერების პოლიტიკის კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ასპექტი მისი ეპიზოდური, „დაუსრულებელი“ ხასიათია. ყველა ხელისუფლება ააქტიურებდა მეხსიერების კონკრეტულ ვერსიას -„პროექტს“; გვთავაზობდა მის ახლებურ ინტერპრეტაციას შესაბამისი ფაქტების სელექციით, ან ცვლიდა მის მიერვე შემოთავაზებულ ინტერპრეტაციას გარემოებათა ცვლილების შესაბამისად, რაც ამ „პროექტების“ კვლევას საინტერესოს ხდის.
განსახილველად წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე არსებული ძირითადი მეხსიერების „პროექტების“ შესწავლა. ესენია: „სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თავიდან დაწყება და მიზნების კორექტირება“, „უცნობი წარსულის აღმოჩენა და მისი ინტერპრეტაციები“, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შეფასება“, „1918-21 წწ. რესპუბლიკის შეფასება“ „საბჭოთა ნარატივისგან დისტანცირება“, „მსხვერპლის მეხსიერების შექმნა“, „დაპირებული ლუსტრაცია“, „ჩუმი 90-იანები“, „ზვიად გამსახურდიას შეფასება“. ეს პროექტები პერიოდულად, სხვადასხვა ინტენსივობით ჩნდება საზოგადოების ცხოვრების დღისწესრიგში, და როგორც წესი, მათ გაჩენას და დამკვიდრების მცდელობებს სხვადასხვა არგუმენტები უძღვის წინ.
განსახილველად წარმოდგენილი პროექტის მიზანია, ზემოთ მოყვანილი კონკრეტული შემთხვევების გაანალიზების საფუძველზე, განსაზღვროს: რა ფაქტორები განაპირობებს საქართველოში მეხსიერების „პროექტების“ „დაუსრულებელ“ ხასიათს და მათ საზოგადოების დღის წესრიგში გაჩენას; როგორ აგებენ ერთიან ე.წ. მასტერ ნარატივს; ასევე შეისწავლის, ამ პროცესის წარმართველ აქტორებს და მათ მონაცვლეობის განმაპირობებელ ფაქტორებს. კვლევა დაფუძნებულია თვისებრივი კვლევის მეთოდებზე. კერძოდ: ე.წ. სამაგიდო კვლევის პირობებში გაანალიზდება ბეჭდური და სოციალური მედიის მასალები, სამთავრობო დოკუმენტები, ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართვები, ინტერვიუები, განცხადებები. ასევე გაანალიზდება ე.წ. „მეხსიერების ადგილები“, რაც მოიცავს დღესასწაულებს, მუზეუმებს, არქივებს და ა.შ. მიღებული მონაცემები გაანალიზდება კრიტიკული დისკურს ანალიზის გამოყენებით, რომლის დროს მთავარი აქცენტი გაკეთდება ვოდეკისულ მიდგომაზე. მონაცემების მოსაპოვებლად ასევე გამოვიყენებთ სიღრმისეული ინტერვიუებს პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ პოლიტიკის შემუშავების, გადაწყვეტილების მიღებისა და იმპლემენტაციის პროცესში. ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლების,

მიმართვების, ინტერვიუების და ა.შ. გასაანაიზებლად გამოვიყენებთ თვისებრივ კონტენტ ანალიზს, რომელიც ოფიციალური დოკუმენტების და ტექსტური, ვიდეო და აუდიო მასალების შინაარსის გაანალიზების საშუალებას იძლევა.
მოცემული კვლევის სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განსხვავებით ადრე არსებული კვლევებისაგან, ის კონკრეტული ერთი შემთხვევის გაანალიზებას არ ისახავს მიზნად, არამედ კომპლექსური ხასიათისაა და ნარატივების ფორმირება/ტრანსფორმაციის ერთიანი სურათის შექმნას ისახავს მიზნად.
მიღებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე მომზადდება სტატია, რომელიც გამოიცემა მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალში, ასევე ქართულენოვანი მონოგრაფია, რომელიც გამოიყენება როგორც ძირითადი სასწავლო მასალა საუნივერსიტეტო კურსის ფარგლებში და გაკეთდება მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე.

სოციალური მოძრაობები თანამედროვე საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მოქალაქეთა ჩართულობა და ამ პროცესში თვითორგანიზების მიღწევა წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე განგრძობადი სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევა, რომლებმაც საზოგადოების პოლიტიკური კულტურის განვითარებასა და საზოგადოებასა და ხელისუფლების ურთიერთობაზე საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა. განსახილველად წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს, გაანალიზოს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევები, როგორც სოციალური მოძრაობის მაგალითები. მოცემული შემთხვევების საკვლევად შერჩევა განაპირობა ერთი მხრივ იმან, რომ მოცემული შემთხვევები (კონკრეტულად კი, „დაიცავი გუდიაშვილი,“ „დაიცავი საყდრისის ოქროს საბადო“, „არა - პანორამა/მირზაშაფის პროექტს“ „დაიცავი ვაკის პარკი“, “დაიცავი ბათუმის ძველი ბულვარი,” „თეთრი ხმაურის მოძრაობა,“ მაღაროელთა საპროტესტო მოძრაობა ტყიბულსა და ჭიათურაში , „აუდიტორია 115” და „ლაბორატორია 1918“) თანამედროვე საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის ყველაზე რეზონანსული და გავლენიანი მაგალითებია და მეორე მხრივ იმან, რომ საკვლევად შერჩეული ყველა შემთხვევა აკმაყოფილებს სოციალური მოძრაობის კრიტერიუმებს და, შესაბამისად, შეესაბამება მოცემული ცნების მარიო დაიანის მიერ შემოთავაზებულ კატეგორიზაციას, რომელსაც ჩვენ კვლევის პროცესში ვეყრდნობით.
კვლევის მიზანია, შეისწავლოს როგორც შიდა, ასევე ინტერჯგუფური მოძრაობები, თანაშრომლობები, წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები, არსებობს თუ არა ჯგუფებს შორის კოალიციები და სოლიდარული განწყობები და, შესაბამისად, რამდენად ახდენს გავლენას ერთი მოძრაობის წარმატება/წარუმატებლობა სხვა მოძრაობის მიერ სტრატეგიის დაგეგმვაზე და საბოლოო შედეგის მიღწევაზე; კვლევა დაფუძნებულია როგორც სამაგიდო კვლევაზე, ასევე იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუირების მეთოდს როგორც საკვლევად შერჩეულ შემთხვევებში ჩართულ აქტივისტებთან, ასევე ხელისუფლების, სამეცნიერო წრეების, ექსპერტების წარმომადგენლებთან.
კვლევა მიღებული შედეგების ახსნას შეეცდება სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ფართო პარადიგმის ჭრილიდან (უფრო კონკრეტულად კი, პოლიტიკური პროცესის და კოლექტიური ქცევის თეორიებზე დაყრდნობით).
კვლევის შედეგები აისახება ორ სამეცნიერო სტატიაში და ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სოციალური მოძრაობები თანამედროვე საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მოქალაქეთა ჩართულობა და ამ პროცესში თვითორგანიზების მიღწევა წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის თითქმის სამი ათწლეულის მანძილზე შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე განგრძობადი სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევა, რომლებმაც საზოგადოების პოლიტიკური კულტურის განვითარებასა და საზოგადოებასა და ხელისუფლების ურთიერთობაზე საგრძნობი ზეგავლენა

მოახდინა. განსახილველად წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს, გაანალიზოს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში სამოქალაქო აქტივიზმის შემთხვევები, როგორც სოციალური მოძრაობის მაგალითები. მოცემული შემთხვევების საკვლევად შერჩევა განაპირობა ერთი მხრივ იმან, რომ მოცემული შემთხვევები (კონკრეტულად კი, „დაიცავი გუდიაშვილი," „დაიცავი საყდრისის ოქროს საბადო", „არა - პანორამა/მირზაშაფის პროექტს" „დაიცავი ვაკის პარკი", "დაიცავი ბათუმის ძველი ბულვარი," „თეთრი ხმაურის მოძრაობა," მაღაროელთა საპროტესტო მოძრაობა ტყიბულსა და ჭიათურაში , „აუდიტორია 115" და „ლაბორატორია 1918") თანამედროვე საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმის ყველაზე რეზონანსული და გავლენიანი მაგალითებია და მეორე მხრივ იმან, რომ საკვლევად შერჩეული ყველა შემთხვევა აკმაყოფილებს სოციალური მოძრაობის კრიტერიუმებს და, შესაბამისად, შეესაბამება მოცემული ცნების მარიო დაიანის მიერ შემოთავაზებულ კატეგორიზაციას, რომელსაც ჩვენ კვლევის პროცესში ვეყრდნობით.

კვლევის მიზანია, შეისწავლოს როგორც შიდა, ასევე ინტერჯგუფური მოძრაობები, თანაშრომლობები, წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები, არსებობს თუ არა ჯგუფებს შორის კოალიციები და სოლიდარული განწყობები და, შესაბამისად, რამდენად ახდენს გავლენას ერთი მოძრაობის წარმატება/წარუმატებლობა სხვა მოძრაობის მიერ სტრატეგიის დაგეგმვაზე და საბოლოო შედეგის მიღწევაზე; კვლევა დაფუძნებულია როგორც სამაგიდო კვლევაზე, ასევე იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუირების მეთოდს როგორც საკვლევად შერჩეულ შემთხვევებში ჩართულ აქტივისტებთან, ასევე ხელისუფლების, სამეცნიერო წრეების, ექსპერტების წარმომადგენლებთან.

კვლევა მიღებული შედეგების ახსნას შეეცდება სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ფართო პარადიგმის ჭრილიდან (უფრო კონკრეტულად კი, პოლიტიკური პროცესის და კოლექტიური ქცევის თეორიებზე დაყრდნობით).

კვლევის შედეგები აისახება ორ სამეცნიერო სტატიაში და ასევე საერთაშორისო კონფერენციებზე.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1. თამარ ქარაია, ქეთევან მუხიგული
2. თამარ ქარაია, ქეთევან მუხიგული

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამოქალაქო განათლების კურსი, სტუდენტის სახელმძღვანელო
ISBN 978-9941-8-3508-7
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სამოქალაქო განათლების კურსი, მასწავლებლის გზამკვლევი
ISBN 978-9941-8-3509-4

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, International Foundation for Electoral Systems (IFES).
2. თბილისი, International Foundation for Electoral Systems (IFES).

4) გვერდების რაოდენობა
1. 150
2. 125

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.როგორც გამოცდილებამ უჩვენა, დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრება მთელ რიგ უნარ-ჩვევების და ღირებულებების ჩამოყალიბებას საჭიროებს, რისი გამოცდილებაც არადემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებს არ აქვთ. ეს უნარჩვევა შეიძლება იყოს სოფლის/მუნიციპალიტეტის საერთო კრებებზე დასწრება, ინიციატივის წამოყენება, პეტიციის შექმნა, ინფორმაციის გამოთხოვა და ა.შ.

გამოცდილებამ ასევე უჩვენა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეობა გაცილებით რთულია ვიდრე არადემოკრატიულის, რადგანაც პირველი მოითხოვს სხვადასხვა რესურსის

(დროის, ძალისხმევის, ფინანსების და ა.შ.) გაღებას საკუთარი და თემის მიზნების განსახორციელებლად.
ამ გამოცდილების დაგროვებას ზოგჯერ ათწლეულები სჭირდება. ამ პერიოდს „დემოკრატიაზე გადასვლის პროცესს“ უწოდებენ. გარდამავალ პერიოდში ადამიანები აგროვებენ ცოდნას და რაც მთავარია სწავლობენ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. სწორედ ამ გზას გადის ახლა საქართველო და მასთან ერთად გავდივართ ყველა საქართველოს მოქალაქე.
ამ პროცესში მთავარია მოქალაქეებმა გავიაზროთ როგორც სახელმწიფოს როლი და დანიშნულება, ასევე პირადი როლი სახელმწიფოს ფუნქციონირების და საზოგადოების გაძლიერების პროცესში.
რადგანაც აქტიური სამოქალაქო განწყობების მქონე მოქალაქეები ცვლიან საზოგადოებას და ამზადებენ და აჩქარებენ რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებას, მოცემული სახელმძღვანელო სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

2. მასწავლებლის გზამკვლევი მიზნად ისახავს დაეხმაროს პროფესიული სასწავლებლების სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს საგნის სწავლების პროცესში. ის მოიცავს როგორც სასწავლო მასალას, ასევე სავარჯიშოებს და ტესტებს. სახელმძღვანელოში ასევე დეტალურად განხილულია სამოქალაქო ჩართულობის პროექტის განხორციელებისას გასათვალისწინებელი რჩევები.
გზამკვლევი მოიცავს ოთხ ძირითად მიმართულებას. ესენია: პოლიტიკური სისტემა და მისი მახასიათებლები, ასევე ადამიანის უფლებები და მათი დაცვის გარანტიები, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე, ასევე სამოქალაქო საზოგადოება და მოქალაქეთა ჩართულობის სტრატეგიები, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არის გარანტირებული. სახელმძღვანელო ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი ასევე საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების მიმოხილვას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. თამარ ქარაია, სალომე დუნდუა

2) მოხსენების სათაური
1. „დავიცვათ #ჩემი, #შენი, #ჩვენი ბათუმი“ -სოციალური მოძრაობა ბათუმის ისტორიული იერსახის გადასარჩენად

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 24-25 ივნისი, თბილისი, საქართველო

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
სამოქალაქო აქტივიზმმა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში განვითარების საინტერესო გზა განვლო. აქტივობებს შორის გამორჩეულია რეგონალური ურბანული აქტივიზმის შემთხვევები და მახასიათებლები, რომლის განხილვასაც მოცემულ მოხსენებაში ბათუმში მიმდინარე მოძრაობების მაგალითზე ვგეგმავთ.
სამოქალაქო აქტივიზმი ბათუმში სამი ლოკაციის ირგვლივ ვითარდება. ესენია: ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ბათუმის ბულვარი და ბათუმის რივიერა. სამივე პროექტს თან გასდევს და აერთიანებს ბათუმის ისტორიულ კულტურული ზონის დამტკიცების მოთხოვნა, რომლის არდაკმაყოფილებამ დიდწილად განაპირობა ამ პროექტების პრობლემატურობის საკითხი.
ბათუმმა ბევრი ჩარევა განიცადა, მაგრამ მოხსენებაში მიმოვიხილოთ სამ ძირითადს, რომელთა გაანალიზება ერთიან ჭრილში შესაძლებელია. ესეია ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, ბათუმის ბულვარის (მოიცავს რვაფეხას საკითხსაც) და ბათუმის კონცხის (რივიერას) საკითხები. ამ პროექტების საერთო მახასიატებელია ფაქტორებია: სამივა მათგანში იკვეთება დეველეპორთა ინტერესები, სამივე შემთხვევაში ხელისუფლება მხარს უჭერს პროექტის განხორციელებას, აქედან პირველი და მესამე მხარდაჭერილია ქვეყანაში ძალაუფლების მქონე მტავარი პირების მხრიდან, ხოლო ბათუმის ბულვარის შემთხვევაში, დეველოპერები ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერის დონეს ვერ სცდებიან; სამივე მათგანის განხორციელებას ეწიანააღმდეგებიან

როგორც სამოქალაქო აქტივისტები, ასევე დარგის სპეციალისტები და რაც მთავარია, მიუხედავად პერიოდული წარმატებებისა სამივე მათგანის საკითხი დღემდე ბუნდოვანია.
კვლევა დაფუძნებულია თვისებრივი კვლევის მეთოდებზე, კერძოდ, 2020-2021 წწ. ჩატარდა 16 სიღრმისეული ინტერვიუ, ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიისა და მედიის წარმომადგენლებთან.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. თამარ ქარაია, სალომე დუნდუა

2) მოხსენების სათაური
1. How the Political Opportunities Matter: Urban Social Movement in Georgia

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 25 ნოემბერი, ლვოვი, უკრაინა

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
საქართველოში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ბევრ სფეროს შეეხო ფუნდამენტური რეფორმა. ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქალაქების რეურბანიზაცია და მოდერნიზაცია იყო. ამ პროცესმა, თავის მხრივ, გამოიწვია მთელი რიგი პროცესები ისტორიული ძეგლების, ზოგჯერ კი მთელი უბნების დაზიანების კუთხით, ეს ასევე შეეხო სოციალური სივრცეების მაშტაბებს ურბანულ ზონებში. მთლიანობაში, მზარდმა ურბანიზაციამ საფუძველი ჩაუყარა ურბანულ სამოქალაქო აქტივიზმსა და გრასრუთ მოძრაობების გააქტიურებას.
მოძრაობათა წარმატების ან წარუმატებლობის განმაპირობებელი ფაქტორების გამოსავლენად, კვლევის პროცესში 3 მოძრაობა შეირჩა შესასწავლად თბილისში, როგორც საქართველოს ცენტრალურ ურბანულ სივრცეში. ესენია: მოძრაობა „გუდიაშვილის სკვერის გადასარჩენად“, „არა პანორამა თბილისს! „და „გადაარჩეინეთ ვაკის პარკი“. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოძრაობა აქტიური იყო ერთსა და იმავე პერიოდში, ერთიდაიმავე აქტივისტები იყვნენ მასში ჩართულები, თუმცა ამ მოძრაობათა შედეგები განსხვავებულია: პირველი მოძრაობა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულია, ვაკის პარკის გადასარჩენად მიმართული მოძრაობა განეკუთვნება ნაწილობრივ წარმატებულთა კატეგოარიას, ხოლო პანორამას წინააღმდეგ მიმართულმა აქტივობებმა შედეგს ვერ მიაღწია.
კვლევა დაფუძნებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიაზე, კერძოდ შემთხვევის ანალიზზე. გაანალიზდა მრავალი პირველადი და მეორეული წყაროები, რომელიც აღწერდა პოლიტიკურ პროცესებსა და არსებულ შესაძლებლობებს.

გიორგი მელიქიძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. გიორგი მელიქიძე
2. გიორგი მელიქიძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. *How to Run an Election Campaign: The Case of Georgia;*
2. ISBN-10: 6203306703
ISBN-13: 978-6203306705

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Republic of Moldova
2. Lambert Academic Publishing;

4) გვერდების რაოდენობა
1. 52
2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პოლიტიკური კონსულტირების სათავეები ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე პერიოდში იღებს სათავეს. არჩევნებისთვის მზადება მნიშვნელოვანი იყო ყველა ეპოქაში. პოლიტიკოსის გვერდით ყოველთვის იყო მრჩეველი. საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისში, 70 წლიანი საბჭოთა მმრათველობის შემდეგ, პირველი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფოებრიობის გზაზე. პოსტსაბჭოთა საქართველოში მრავალპარტიულმა, კონკურენტულმა არჩევნებმა საშუალება მისცა პოლიტიკურ პარტიებს გამოეყენებინათ საარჩევნო კამპანიის წარმოებისას დასავლური გამოცდილება. საარჩევნო კამპანიის მოდელის ტრანსფორმაცია დაიწყო ძალიან რთულ პირობებში, ქვეყნის განვითარების პერსპექტივა, რომელიც გაჩნდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სამხედრო მოქმედებებმა შეაფერხა. 1990-იანი წლების მეორე ნახევარში უფრო სტაბილური ვითარება იყო ქვეყანაში; თუმცა, პარტიების ფრაგმენტაცია და სუსტი პარტიული სისტემა გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა. პასუხი კითხვაზე - რატომ მოხდა საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაცია ,,ვარდების რევოლუციის“ დროს ნათელია: იმ პირობებში, როდესაც მასმედიის როლი გაიზარდა პარტიების მყიფე იდეოლოგიური საფუძვლების და ამომრჩევლის ინტერესების სუსტი რეპრეზენტატულობის კომპენსირება ხდებოდა პოლიტიკის პერსონალიზაციით. საქართველოში, სხვა ახალი დემოკრატიის მსგავსად აქტიურად განხორციელდა საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაციის პროცესი. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკის პერსონალიზაცია და პარტიული სისტემის მყიფე იდეოლოგიური და სტრუქტურული საფუძველი დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს პარტიული სისტემის გამოკვეთილ მახასიათებელს წარმოადგენდა. ძლიერმა მასმედიამ და მედია ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოლიტიკური კამპანიის ტრანსფორმაციის კუთხით. პოსტსაბჭოთა საქართველოს საწყის პერიოდში პარტიების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა დემონსტრაციისთვის ფართო მასების მობილიზება. ყოვლისმომცველი პოლიტიკა კიდევ ერთი ნიშანი იყო წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში. საქართველოში პოლიტიკის მედიატიზაცია ეტაპობრივად განხორციელდა და პიკს ,,ვარდების რევოლუციის“ დროს მიაღწია. საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზაციის საწყის ეტაპზე, პარტიები სპეციალისტებს (კონსულტანტებს) დახმარებისთვის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში მიმართავდნენ.

ვალერიან დოლიძე

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.3. კრებულები
1) ავტორები
1. ვალერიან დოლიძე

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ISBN 978-5-7779-2555-8
სამეცნიერო სტატიების კრებული: Развитие политических институтов и процессов: зарубежный и отечественный опыт.
სტატია: Посткоммунистические революциий и политические изменения в постсоветском пространстве: пример Грузии

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Омск, издательство Омского государственного университета, 2021 (რუსეთი)

4) გვერდების რაოდენობა
1. 5 გვ. стр. 223-228

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
საქართველოში პოსტკომუნისტური რევოლუცია წარმოადგენდა კარდინალური ცვლილებების პროცესს, რომელიც მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. 60-ნი წლების დასაწყისში დაწყებულმა ცვლილებებმა ეკონომიკაში, კულტურასა და იდეოლოგიაში, მოამზადეს პოსტკომუნისტური რევოლუცია-პოლიტიკური ცვლილებები, რომლებმაც მოსპეს ის პოლიტიკური წინაღობები, რომლებიც აბრკოლებდნენ საზოგადოების გადასვლას განვითარების თვისებრივად ახალ სტადიაზე და შექმნეს ახალი ეკონომიკური, სახელმწიფო და სოცილურ-კლასობრივი სისტემები. პოსტკომუნისტური რევოლუცია საქართველოში გრძელდებოდა 12 წელი (1990-2012). ის დაიწყო ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლით, ვითარდებოდა და ღრმავდებოდა შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში და დამთავრდა სააკაშვილის ელექტორალური ავტორიტარიზმის პირობებში. საქართველოში პოსტკომუნისტურ ცვლილებებს საფუძვლად უდევს მშრომელთა სუვერენიტეტის შეცვლა ერის სუვერენიტეტით, ხოლო მისი შედეგია შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და იდეოლოგიური ცვლილებების სოციეტალური ჩარჩოს შექმნა. ეს რევოლუცია არის საბჭოთა საზოგადოების ინდივიდუალიზმისა და ნაციონალიზმის მიმართულებით ევოლუციის შედეგი

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. Irakli Ubilava[1], Avtandil Tukvadze[2] and **Valerian Dolidze[2]** Irakli

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. Globalization and post-pandemic world order: place of Georgia in transformative international system
#pp.9 e-ISSN 2261-2424
DOI https: // doi.org/
10.1051/shsconf/20219201050

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. SHS Web of Conf. Volume92, 2021
The 20 th International Scientific Conference Globalization and its Socio-Economic Consequences 2020.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Zilina , Slovak Republic
SHS Web of conferences

5) გვერდების რაოდენობა
1. #pp.9(სტატიის)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
პოსტ-პანდემიურ სამყაროში გლობალიზაცია დასუსტდება, ხოლო ეროვნული სახელმწიფოების როლი კი გაძლიერდება. ასეთ პირობებში, ძლიერი სამხედრო პოტენციალის მქონე ქვეყნებისათვის, მნიშვნელოვნად გაიზრდება პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული კონტროლის დამყარების მნიშვნელობა ისეთ ქვეყნებზე , რომლებიც მდიდრები არიან ბუნებრივი რესურსებითა და ნედლეულით და აგრეთვე ხელსაყრელი ადგილი უჭირავთ ტრანზიტის თვალსაზრისით. ერთ-ერთი ასეთი რეგიონია სამხრეთ კავკასია და საქართველო. მსოფლი პოლიტიკის თეორიული და პარადიგმული რევიზიონიზმის შედეგად გამოწვეული მსოფლიო სისტემის რესტრუქტურიზაცია საქართველოს აიძულებს , რომ ახლებურად გაიაზროს თავისი ადგილი რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ურთიერთობების სისტემაში, რათა უზრუნველყოს ეროვნული უსაფრთხოება და სტაბილური დემოკრატიული განვითარება. ასეთ პირობებში, თაობების პოლარიზებული მსოფლმხედველობა (ორთოდიქსულ-კონსერვატორულიv.ლიბერალური და დემოკრატიული) გამოიწვევს ორპარტიული სისტემის

წარმოშობას. ამ პარტიათაგან ერთი ორიენტირებული იქნება დასავლეთზე, ხოლო მეორე კი რუსეთზე. ასეთი პარტიული სისტემა უზრუნველყოფს ბალანსირებულ საგარეო პოლიტიკაზე დაფუძნებული უსაფრთხოების სისტემის ფუნქციონირებას.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. V.Dolidze
2. ვ.დოლიძე

2) მოხსენების სათაური
1. Cumulative process of development of democracy in Georgia
2. 78 წლის თეორია და ათწლიანი ციკლები აშშ პოლიტიკაში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. 9th International Scientific online Conference "Space, Society, Politics"
Tbilisi 24-25 june https://ssp.tsu.ge/axali/en
2. 20-22 მაისი, 2021
ამერიკისმცოდნეობის 22-ე ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
ეძღვნება შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების 245 წლისთავს
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკლტეტი
ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი
ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1. საქართველოს უახლესი ისტორიის განმავლობაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ქვეყნის დემოკრატიული პოტენციალია გაძლირება, რაც გულისხმობს დემოკრატიის პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციური, ნორმატული და კულტურულ ქცევითი კომპონენტების განვითარებას. თუმცა თითოეული მათგანის განვითარება და გაძლიერება ერთდროუად არ ხდება. დღეს დემოკრატიის ყველაზე განვითარებულ კომპონენტად რჩება მისი ნორმატული ქვესისტემა, რომელიც ქმნის სამართლებრივ სივრცეს დემოკრატიის ინსტიტუციური და კულტურულ - ქცევითი კომპონენტების განვითარებისათვის. ყველაზე სუსტად განვითარებულია კულტურულ ქცევითი კომპონენტი, რაც აბრკოლებს, როგორც დემოკრატიული სამართლებრივი სივრცის პრაქტიკულ რეალიზაციას, ასევე ინსტიტუციური ქვესისტემის განვითარებასაც. ქვეშევრდომლური პოლიტიკური კულტურა არის მთავარი ფაქტორი, რომელიც აბრკოლებს დემოკრატიისათვის ადექვატური ქცევების ფორმირებას და ნოყიერ ნიადაგს წარმოშობს კლიენტელისტური მართველობის გაძლიერებისათვის.დემოკრატიული სამართლებრივი სივრცის შემდეგ, ყველაზე განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტია თავისუფალი მედია, რომელსაც მოსდევს მესამე სექტორი, რომელიც ტრადიციულად ძლიერი იყო საქართველოში. ოცნების მმართველობის პერიოდში მნიშვნელოვანი განვითარება განიცადეს პოლიტიკურმა პარტიებმა. მაგრამ საკუთარი ფუნქციების შესრულების თვალსაზრისით ისინი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან მედიასა და არასამთავრობო სექტორს.ოცნების მმართველობის დროს კიდევ უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს, საკუთარი განვითარების დონით, სხვადასხვა დემოკრატიული ინსტიტუტები, თუმცა იერარქია მათი სიმწიფის მიხედვით კვლავაც მნიშვნელოვანია.
   მიუხედავად იმისა, რომ ფრიდომ ჰაუსისის რეიტინგებში საქართველოს თავისუფლების ინდექსი კლებულობს, ეს არ ნიშნავს დემოკრატიული განვითარების დამუხრუჭებას. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოვლინებაა საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციის გაღრმავება, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების დაახლოების პროცესის გაძლირება, დასავლეთის აქტივიზაცია, ოპოზიციის გაძლიერება. ეს საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ დემოკრატიის უკანდახევა ჯერ კიდევ არ არის იმდენად ძლიერი, რომ ქვეყანა

გადავიდეს ელექტორალურ ავტორიტარიზმში, რომლის რეალურ საფრთხესაც წარმოშობს ქვეშევრდომლური კულტურის დომინანტობა საზოგადოებაში.

2. ამერიკელი მწერლის, არნოლდის აზრით, ტრამპის წარმატების ერთ -ერთი ახსნა ეფუძნება ამერიკის ისტორიაზე დაკვირვებას, რომელიც ცნობილია, როგორც 78 წლიანი პერიოდის თეორია. ამ თეორიის თანახმად, ყოველი 78 წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, პერიოდულად, აშშ პარტიებში ხდება ფუნდამენტალური ხასიათის ცვლილებები, რომლებიც გრძელდებიან 10 წელიწადს: 1776- 1788, 1854-1864, 1932-1942. თითოეული ეს ათწლეული ერთმანეთისაგან გამოყოფილია 78 წლით და დაკავშირებულია მთავარ ომებთან: ამერიკის რევოლუცია, ამერიკის სამოქალაქო ომი და მეორე მსოფლიო ომი
პირველი 78 წლიანი ციკლი იწყება 1776 წელს, როცა ჯორჯ ვაშინგტონის ფედერალისტურმა პარტიამ დემოკრატებად და რესპუბლიკელებად დაიწყო დაყოფა. 78 წლის შემდეგ, 1854 წელს ღრმა ცვლლება განიცადა ვიგების პარტიამ , რომელიც დაიშალა დემოკრატებად და რესპუბლიკელებად, ხოლო კიდევ 78 წლის შემდეგ კი უკვე დემოკრატიულმა პარტიამ განიცდა ღრმა ცვლილება
ამ თეორიის ლოგიკის მიხედვით, მორიგი 78 წლიანი პერიოდის მომდევნო ათწლეულში (2010 -2020 წწ.) ამერიკულ პოლიტიკურ პარტიებს კვლავ უნდა განეცადათ კარდინალური ცვლილებები. ერთი შეხედვით, მოვლენებიმთითქოს მართლაც ასე წარიმართა : 2010 -2018 წლები განიხილება, როგორც ორივე პარტიის შიგნით მომხდარი სერიოზული ძვრების პერიოდი. 2010წელს, Tea party-ის მოძრაობის წარმოშობასთან ერთად, ღრმა ცვლილებები მოხდა რესპუბლიკურ პარტიაში., ხოლო 2016 წლის არჩევნებში კი გაიმარჯვა ტრამპმა . ყოველივე ეს თითქოს ამტკიცებს ამ თეორიის სისწორეს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. მასში ფაქტები ხელოვნურად არის შერჩეული სასურველის დასამტკიცებვლად და იგნორირებულია ისეთი ისტორიული მოვლენები, რომლებიც საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. В.Долидзе
2. В. Долидзе, А.Туквадзе

2) მოხსენების სათაური
1. Посткоммунистические революции и политические измененииея в постсоветском пространстве: пример Грузии
2. Внешние факторы демократизации Грузии

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. **11-13.06. 2021**XIIМеждународная
Научно-практическая Конференция « Развитие Политических Институтов и Процессов : Зарубежный иОтечественный Опыт Омский государственный университет им. Ф.М. Достоевского
რუსეთი
2. 1-2 აპრილი 2021
International Electronic Scientific and Practical Journal “Way Science”
XII International Scientific and Practical Internet Conference
“Modern Movement Of Science”
Dnepro (Ukraine)

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

პოლონეთში იბეჭდება:

1. В. Долидзе. Циклы демократизации и дедемократизации в процессе формирования политического режима в Грузии, რომელიც გამოვა მონოგრაფიაში: Кавказ Вчера Сегодня Между Востоком и Западом т-IV
2. В. Долидзе. Внутренние и внешние факторы демократизации Грузии: Кавказ Вчера Сегодня Между Востоком и Западом т-V (მონოგრაფია)

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
- -

ფიქრია ასანიშვილი - ასოცირებული პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
ზურაბ დავითაშვილი - პროფესორი
თორნიკე თურმანიძე - პროფესორი
ეკა აკობია - ასოცირებული პროფესორი
ნიკოლოზ სამხარაძე - ასოცირებული პროფესორი
დავით მაცაბერიძე - ასოცირებული პროფესორი

ფიქრია ასანიშვილი

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ფიქრია ასანიშვილი

2) მოხსენების სათაური
1. ძლიერი რეგიონული სახელმწიფოების ჩართულობა ყარაბაღის მეორე ომში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახეწლიფო უნივერსიტეტი. სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია. სივრცე საზოგადოება, პოლიტიკა. თბილისი 15.06.2021

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. Pikria Asanishvili

2) მოხსენების სათაური
1. Balance of power shift in the South Caucasus after the Second Kharabakh war and Georgian path to NATO

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. THE WROCŁAW SECURITY SUMMIT 2021 2nd International Science Conference NATO and the EU – strategic partnership and cooperation within Euro-Atlantic security area Wrocław, December 14-16, 2021

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

დავით მაცაბერიძე

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.2. დასრულებული პროექტი

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა
1. სახელმძღვანელო - ევროპული ფასეულობების განმტკიცება და გავრცელება სამხრეთ კავკასიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების გზით
სახელმძღვანელოს თავის თან-ავტორი: აღმოსავლეთ პარტნიორობა როგორც მშვიდობის მშენებლობის სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში: საქართველოსა და სომხეთის მაგალითი კონრად ადენაუერის ფონდი (KAS)

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2020-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. რუბენ ელამირიანი (თანაავტორი)

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

სწავლების გზით შესაძლებელია ევროპული ფასეულობების დანერგვა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ევროპული დიდი ქარტიის შესაბამისად.

ევროკავშირმა 1993 წელს შექმნა კოპენჰაგენის კრიტერიუმები პოტენციური წევრი სახელმწიფოებისათვის, რომელთაც ხელი შეუწყვეს დემოკრატიზაციის უფრო სტრუქტურირებული პროცესის წარმართვას (Pinzari, 2015, p. 10). 2000-იანი წლების ხავერდოვანი რევოლუციების შემდეგ, პირველ რიგში საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში აღმოსავლეთ პარტნიორობა იქცა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებშუ ევროკავშირის წამყვან ინიციატივად განვითარებისა და დემოკრატიზაციის პროცესის წარმართვის კუთხით. საქართველოს სწამს, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაწზომილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია აღმოსავლეთ პარტნიორების იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთან კონფლიქტები გააჩნიათ.“ აღმოსავლეთ პარტნიორობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებას ვინაიდან ეს შექმნის აღმოსავლეთ პარტნიორობაში დაგეგმილი ყველა ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობას. თუმცა, საქართველოს ხელისუფლება იმედგაცრუებული იყო რომ უსაფრთხოების საკითხები და შიდა კონფლიქტები დიდი ყურადღებას არ იმსახურებდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში.

ევროკავშირმა იმავე ზემოდან ქვემოთ მიდგომა გამოიყენა დემოკრატიზაციასთან მიმართებაში რომელმაც კარგად იმუშავა ცენტრალურ ევროპაში, მაგრამ ის არ აღმოჩნდა წარმატებული აღმოსავლეთ ევროპაში. სამიზნე ქვეყნებს მტკივნეული რეფორმები უნდა განეხორციელებინათ ევროკავშირში გასაწევრიანებლად. აღმოსავლეთ სამეზსობლოში ევროკავშირის დემოკრატიზაციამ მხედველობაში არ მიიღო რუსეთის როლი და გავლენა გაყინული კონფლიქტების სახით. საზღვრებს მიღმა დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობისათვის ევროკავშირის ინტერესები წარმოადგენს მორალურ პრინციპებს და კერძო ინტერესებს.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. დავით მაცაბერიძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1. პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციის გამოწვევები საქართველოში: დემოკრატიზაცია და მისი გარე და შიდა მტრები

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. ჟურნალში აღმოსავლეთ ევროპა - რეგიონული კვლევები, N4, 2021,

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.https://psage.tsu.ge/index.php/Easternstudies/issue/view/38 მოლდავეთის რესპუბლიკა.

5) გვერდების რაოდენობა
1. 35-50

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ევროკავშირის დემოკრატიის ხელშეწყობის მცდელობებმა უგულებელყო გეოპოლიტიკური რეალიები, ამგვარად არ უნდა იყოს გასაკვირი თუ უფრო მეტი დასავლური ჩართულობის გარეშე საქართველო ნელ-ნელა დასავლეთსა და რუსეთს შორის მიუმხრობლობის პოზიციას დაიკავებს. არაწინასწარმეტყველებადმა და მოწყვლადმა გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ, სადაც ძველი ტიპის კავშირების აღარ არის ვალიდური, შიძლება ძირი გამოუთხაროს ვეროკავშირის მიდგომას რეგიონისადმი მოქნილობის კონცეფტით, რომელიც გეოპოლიტიკური შინაარსისაა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის და ევროკავშირს რუსეთის გეოპოლიტიკურ მეტოქედ აქცევს საერთო სამეზობლოში. ევროკავშირს სჭირდება პოლიტიკის ტრანსფორმაცია არა მარტო აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი სახელმწიფოებისადმი პოლიტიკისადმი გადახედვის კუთხით, არამედ ასევე იდეებისა და იდეალების დაკავშირებით და მისი ნორმატიკული ძალის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით იმგვარად, რომელიც მორგებული იქნება ადგილობრივ გამოწვევებზე. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის უკეთესი გააზრება აღმოსავლეთ ევროპის/ახლო აღმოსავლეთის უფრო ვრცელი რეგიონისადმი
გაზრდის თითოეული სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოს მნიშვნელობას ევროკავშირისადმი.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. დავით მაცაბერიძე

2) სტატიის სათაური, ISSN
1. ევროკავშირის კონტრასტული სახეები საქართველოში ISSN 2449 – 2825 E ISSN 2449 – 2833

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. პოლიტიკა - სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალი, ტ5, N4, ივლისი-აგვისტო, 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1.

5) გვერდების რაოდენობა
1.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მონაწილე 6 პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან გამოიკვეთა სამი წევრი, - საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, რომლებიც მკაფიოდ აფიქსირებენ ევროკავშირში გაწევრიანების სურვილს. ჩამოყალიბდა „აღმოსავლეთის პარტნიორობის ასოცირების ტრიო“, რომლის მიზანიცაა თანამშრომლობის გაღრმავება ევროკავშირში გაწევრიანების მისაღწევად. თუმცა, ცალკე ძალისხმევა დასჭირდება ევროკავშირის მხრიდან აღნიშნული სამეულის აღიარებას და, მით უმეტეს გაწევრიანების პერსპექტივის დაფიქსირებას.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. დავით მაცაბერიძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. კონფლიქტი აფხაზეთის ირგვლივ: ურთიერთგამომრიცხავი ნაციონალური პროექტები და ფრაგმენტირებული სახელმწიფოებრიობა,

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. წიგნში პოსტ-საბჭოთა კონფლიქტები: 30 წლიანი კრიზისი, რედაქტორები: ალი ასკეროვი, სტეფან ბრუქსი და ლაშა ჭანტურიძე

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. ნიუ იორკი: ლექსინგტონ ბუქს/როუმენ&ლითელფილდ, 2020,
978-1-4985-9654-1

5) გვერდების რაოდენობა
1. 115-135 (ინგლისურ ენაზე)

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პოსტ-საბჭოთა კონფლიქტმა აფხაზეთის ირგვლივ დიდი ინტერესი მიიპყრო აკადემიური და პოლიტიკური წრეებისაგან. ის სიღრმისეულად იქნა შესწავლილი გამოცოცხლებული ეთნიკური სიძულვილის, კონფლიქტური იდენტობების, წარსული ნარატივიზაციის ელიტების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაპირისპირების კუთხით. საბჭოთა კავშირის დაშლის დროისათვის მან საერთაშორისო განზომილება შეიძინა და საერთაშორისო უსაფრთხოების ნაწილად იქცა, რომელიც მოსკოვისა და ვაშინგტონის დაპირისპირების ნაწილად განიხილებოდა რუსეთ დასავლეთის საზღვრებზე. თუმცა, არსებულ ლიტერატურას არ აქვს გაანალიზებული წარსულის პოლიტიკური თხრობის საკითხი, რომელმაც გაამართლა და რაციონალური საფუძველი შეუქმნა აფხაზი ეთნიკური ჯგუფის პოლიტიკურ და ეთნო-კულტურულ პრეტენზიებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონფლიქტის დასაწყებად.
1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1. ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის მრავალწლიანი პროექტი - **ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია** (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები). პროექტის თავდაპირველი ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი (აგი) აბაშიძე.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2010-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1.
ა) მარი წერეთელი - მიწვეული მკვლევარი, ძირითადი პერსონალი;
ბ) ლეილა სულხანიშვილი - ფილოლოგიის დოქტორი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი;

გ) მანანა ბარათაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი;
დ) ნინო მამარდაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი. პროექტის ხელმღვანელი;
ე) მანანა ყიფიანი - ფილოლოგიის დოქტორი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი;
ვ) ნანა ზღულაძე - ი. ჭავჭავაძის კვლევის ცენტრის მეცნიერ თანამშრომელი. მკვლევარი, ძირითადი პერსონალი.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ილია ჭავჭავაძის პერსონალურ ენციკლოპედია - პროექტი მოიცავს პერიოდს - 2007 წლიდან 2020 წლამდე. 2010 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ დაბეჭდა ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია (1837-1907) – ,,სიტყვანი“. პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო 2010 წლიდან. დასახელებული პროექტის ფარგლებში 2021 წელს ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრი აგრძელებდა მეორე წიგნზე მუშაობა. □□□□ სახელწოდებაა - ,,მასალები ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედიისათვის”, რომელშიც აისახა შემდგომი კვლევის შედეგები. წიგნს დაემატა მნიშვნელოვანი მასალა, შედეგად, გაფართოებული, შევსებული სახით წარმოდგა ე.წ. „პერსონალიები“, რომელშიც თავს იყრის პიროვნებათა ბიოგრაფიისა და ღვაწლის ამსახველი მონაცემები. კვლევის პროცესში დამუშავდა პირველწყაროები, დიდძალი საარქივო მასალა (მათ შორის საოჯახო არქივები), პერიოდული გამოცემები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, თეატრალური, ეთნოგრაფიული და სხვა საზოგადოებების, მრავალი ორგანიზაციის შემონახული დოკუმენტაცია. ასევე, ინტერნეტ სივრცეში არსებული უამრავი წყარო. შესწავლილ იქნა თავად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ტომეულებიც, ილიას ბიბლიოგრაფია, საიუბილეო კრებულები, მემუარული ლიტერატურა, ქართული და უცხოური ენციკლოპედიები, პერიოდული გამოცემები, ბიბლიოგრაფიული ცნობარები, რათა შედარებითი ანალიზით დადგენილიყო ცალკეული დოკუმენტების, მონაცემებისა და ფაქტების უტყუარობა. გასწორდა თავად ბიბლიოგრაფიულ ლიტერატურაში არსებული ცალკეული უზუსტობანი. კვლევა-ძიების არეალი მოიცავდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის იმპერიის, ევროპისა და ზოგადად, მსოფლიოს იმჟამინდელ ისტორიულ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ გეოგრაფიულ სივრცეს.

პროექტის მოცემულ ეტაპზე პარალელურად ვმუშაობდით ტექსტის რედაქტირებასა და სრულყოფაზე, მასალის შევსებასა და ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტებასა და დიდძალ წყაროებთან შეჯერებაზე. ასევე დამუშავდა მე-19 საუკუნის პრესა, ანუ მონაცემები იმ ქართულ და უცხოურ პერიოდული გამოცემებიდან, რომლებიც ექცევა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღაწეობის პერიოდის არეალში. ასევე, უშუალოდ პირველწყაროებიდან ზუსტდება წიგნში შესული, იმ პერიოდში გამოქვეყნებული ცალკეული მწერლის, პუბლიცისტისა თუ მთარგმნელის ცალკეული ნაწარმოების დაბეჭდვის ზუსტი თარიღები და ბიბლიოგრაფიული მონაცემები. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ წიგნი მზად არის გამოსაცემად და მიტანილია გამომცემლობა ,,უნივერსალში“. დაიბეჭდება 2022 წლის იანვრის თვეში.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. მარი წერეთელი

2) სტატიის სათაური, ISSN
1. „ხოლერას პანდემია გაზეთ „ივერიაში“: სარედაქციო პოლიტიკა და გაშუქების თავისებურებანი“

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ინტერდისციპლინური საერთაშორისო რეფერირებული სამეცნიერო ონლაინ ჟურნალი „გარემო და საზოგადოება", დეკემბერი, (ტ.3.#3) 2021 წ.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. http://www.es.tsu.ge/index.php/es/about

5) გვერდების რაოდენობა
1. 20 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომში შესწავლილია მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ხოლერას პანდემიის პერიოდი და მისი პრესაში გაშუქების სპეციფიკა, ქართული ჟურნალისტიკის კლასიკური გამოცემის, გაზეთ ,,ივერიის" მაგალითზე. მასალის კლასიფიკაციის, მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვებისა და კონტექსტურად შესწავლის შედეგად, კონტენტ-ანალიზის მეთოდით გამოიკვეთა ხოლერას პერიოდის ,,ივერიის" სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც გაზეთის რედაქტორის, ილია ჭავჭავაძის სტრატეგიულ ხედვას წარმოაჩენს და ქმნის გამოცემის დღის წესრიგს.
კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ფრეიმინგის თეორია, რისი მეშვეობითაც განისაზღვრა ,,ივერიაში" პანდემიის გაშუქების მთავარი მახასიათებლები, პუბლიცისტური სტატიების ქვეტექსტები და გზავნილები. 1892 წელს ხოლერა გავრცელდა რუსეთის მთელ იმპერიაში, კასპიისპირეთის რეგიონში, აზიისა და ევროპის ქვეყნებში. გამოცემა თანმიმდევრულად და ოპერატიულად აშუქებდა პანდემიას. ხოლერას თემაზე ,,ივერიის" პუბლიცისტიკა მოიცავს ახალ ამბებს, მიმოხილვებს, მეთაურ და თემატურ სტატიებს, რომელთა ავტორებიც იყვნენ: ვაჟა ფშაველა, ალექსანდრე ყიფშიძე, სტეფანე ჭრელაშვილი, იოსებ ბოცვაძე, ალექსანდრე ნიკიტინი, გრიგოლ გველესიანი და სხვ. პუბლიკაციები ხასიათდება მკვეთრი მიზანდასახულობით, თემები გააზრებულია სიღრმისეულად, ავტორები საკითხებს განიხილავენ განსხვავებული აზრობრივი დატვირთვით, ინდივიდუალური აღქმითა და მნიშვნელოვანი პუბლიცისტური აქცენტებით, რაც ხოლერის ეპიდემიას, როგორც კრიზისს, ფართო პოლიტიკური და სოციალური რაკურსით წარმოაჩენს. ცალკე აღნიშვნის ღირსია ,,ივერიის" კორესპონდენტთა პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ინფორმაციული და ანალიტიკური რაკურსით აცნობს მკითხველს სხვადასხვა რეგიონში ინფექციის მიმდინარეობის პროცესს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. პანდემიისათვის თანამდევია დეზინფორმაციის ნაკადი, მითები და ხატები, რისგანაც არც იმდროინდელი სინამდვილე ყოფილა დაზღვეული. ,,ივერია" ყალბ ინფორმაციას უპირისპირებდა არგუმენტირებულ სიმართლეს. პარალელისათვის საინტერესოა თანამედროვე პანდემიის, კოვიდ 19-ის მაგალითი, როდესაც მასმედია არც თუ იშვიათად თავად ავრცელებს დეზინფორმაციის ნაკადს - „ინფოდემიას", რაც განსხვავებულ ნარატივებს ქმნის და მოტივირებულია გეოსტრატეგიული, პოლიტიკური და კომერციული ინტერესებით.
კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ გაზეთი ,,ივერია" პანდემიას, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, კონცეპტუალური სარედაქციო პოლიტიკით აშუქებდა და თანამედროვე მედიისთვისაც პასუხისმგებლიანი გამოცემის თვალსაჩინო მაგალითია.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. მარი წერეთელი

2) მოხსენების სათაური
1. მოხსენება: „ხოლერას პანდემია გაზეთ ,,ივერიაში": სარედაქციო პოლიტიკა და გაშუქების თავისებურებანი"

თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის XV საერთაშორისო სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. „ლიტერატურა და პანდემია. ისტორიული და თემატური გამოცდილება

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. ონლაინკონფერენცია, 22-24 სექტემბერი, 2021 წ.
http://conference.litinstituti.ge/en/committee-members/

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
სტატიის სახით დაიბეჭდა საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინჟურნალში "გარემო და საზოგადოება", კვლევის ანოტაცია წარმოდგენილია ზემოთ.

მაია ტორაძე

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. მაია ტორაძე, მარიამ გერსამია
2. მაია ტორაძე, ლიანა მარქარიანი

2) მოხსენების სათაური
1. "Gender stereotypes in Georgian media"
2. "Covid-19 Infodemic and Fake News in Georgian Social Media"

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. The 9 th International Scientific Conference "Space, Society, Politics"
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Social and Political Sciences
http://ssp.tsu.ge/axali/assets/media/uploads/images/ssp2021_program_and_abstracts.pdf
2. The 9 th International Scientific Conference "Space, Society, Politics"
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Social and Political Sciences
http://ssp.tsu.ge/axali/assets/media/uploads/images/ssp2021_program_and_abstracts.pdf

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. Maia Toradze, Liana Markariani
2. Maia Toradze; Mariam Gersamia, Liana Markariani

2) მოხსენების სათაური
1. Fake Website's Indicators and Its Specifics (Case of Georgia),

2. *Gender Stereotypes and Safety risks for female journalists in Georgian Media (2019/2021 analysis)*,
book of abstracts, Conference, Law, Business and Innovation Studies (LBIS) Conference;
ISBN: 978-605-71173-0-4

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. International Scientific Conference Charles University, Prague, 25 march, 2021

https://aijournalism.fsv.cuni.cz/en/conference/conference-iii/abstracts/
2. London; Business and Innovation Studies (LBIS) Conference;
https://lbisconference.com/wp-content/uploads/2021/12/LBIS-ABSTRACT-BOOK.pdf

ნანული ტალახაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. ნანული ტალახაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1. ,,უფლებრივი თანასწორობის პრობლემა 1918-1921 წლების ქართულ პრესაში“
ISSN 1987-7323 E- ISSN 2720-7900

https:// doi.org/10.52340/lac

https://journals.4science.ge/index.php/enadakultura

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ,,ენა და კულტურა“№26

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. ქუთაისი 2021

5) გვერდების რაოდენობა
1. 6 გვერდი გვ. 209-2015

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

უფლებრივი თანასწორობის პრობლემა 1918-1921 წლების ქართულ პრესაში

ნაშრომში განხილულია 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდის მედიის ფუნქციონირების პარამეტრები, ის პროცესები, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყანაში პლურალისტური მედიაკლიმატის შექმნასა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას ადამიანის უფლებების დაცვისა და სოციალური თანასწორობის მიმართულებით, კერძოდ, გენდერულ ჭრილში. ამ მიზნით, გამოვარჩიეთ და შევისწავლეთ 1918-1921 წლების წარმართველი, იდეოლოგიურად განსხვავებული მთავარი პოლიტიკური პარტიების მთავარი ბეჭდვითი ორგანოები: სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი ,,ერთობა“, სოციალ-ფედერალისტების ,,სახალხო საქმე“, ეროვნულ-დემოკრატების ,,საქართველო“ და გავაანალიზეთ რამდენად ადექვატურად, როგორი ხედვებითა და ჟურნალისტური ხერხებით აშუქებდნენ აღნიშნული გაზეთები ფემინისტურ ნარატივს. გავითვალისწინეთ ისტორიული კონტექსტი და ის დინამიკა, რომელიც მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან იკვეთება და მედია ინტერესდება ქალთა პრობლემებით და ძირითადი აქცენტები კეთდება ქალთა განათლების აუცილებლობაზე. თუმცა მეოცე საუკუნის მეორე ათწლეულში უფრო აქტუალური ხდება უფლებრივი თანასწორობის იდეა ქალთა მიმართებით, როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების კუთხით. აღნიშნულ საკითხებს სამივე პარტიული გაზეთი მეტ-ნაკლებად შეეხო, თუმცა პოლიტიკური თუ იდეოლოგიური პოზიციებიდან გამომდინარე, განსხვავებული რაკურსებით. ,,ერთობის,, ფემინისტური ნარატივი უფრო პოზიტიური და რევოლუციური პათოსით არის აღბეჭდილი და უამრავი ინფორმაცია გვხვდება ,,ამხანაგი

ქალების“ აქტიურობის, მათი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანების, მათი სხდომების, შეკრებების, მიტინგების შესახებ.

ეროვნულ -დემოკრატიული პარტიის ორგანო ,,საქართველო“ აღნიშნულ თემატიკას სხვა მიმართებით განიხილავს. იგი უფრო ტრადიციული მშვენიერი ქართველი ქალბატონების სტერეოტიპების ,,ტყვეობაშია“, ,,კნეინების“ სილამაზესა და მათ კდემამოსილებას ასხამს ხოტბას, ასევე ფართოდ აშუქებს ქალების სახელოვნებო და სამწერლო მოღვაწეობას.

ქალთა უფლებების დაცვის პრობლემები ყველაზე პრიორიტეტული აღმოჩნდა სოციალ-ფედერალისტებისთვის და ,,სახალხო საქმის“ ფურცლები ქალ ავტორებს, ქართველ ფემინისტებს დაეთმო (ნ. ნაკაშიძე, კ. მიქელაძე და სხვ.). მათი მაღალპროფესიულად მომზადებული კრიტიკული მასალები აქცენტს აკეთებდნენ ქალის როლზე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში, მის აქტიურ სამოქალაქო და პოლიტიკურ საქმიანობაზე და იმ ხარვეზებზე, რომელიც ხელისუფლების მხრიდან სათანადო რეაგირებას ვერ უზრუნველყოფდა. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული თემატიკის წარმოჩენის ინტენსივობა პერიოდულად იცვლებოდა ქვეყნის რთული საშინაო და საგარეო პოლიტიკური რეალობების მიხედვით. ხშირ შემთხვევაში სოციალური და უფლებრივი კონტექსტების გადაფარვა გამოწვეული იყო ქვეყნის დამოუკიდებლობაზე და თავდაცვისუნარიანობაზე ზრუნვის მოტივაციით და წინა პლანზე იწევდა მოწოდებები პატრიოტული მოვალეობების შესახებ.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ 1918-1921 წლების პარტიულ პრესაში, ერთი მხრივ, მკაფიოდ აისახა ის სასიკეთო ნაბიჯები, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლებამ გადადგა საკანონმდებლო დონეზე ადამიანის უფლებების დაცვისა და კონკრეტულად ფემინისტური მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, ნეგატიურ ჭრილში წარმოჩნდა ხელისუფლების არასათანადო დაინტერესება ქალთა სოციალური და უფლებრივი თანასწორობის პრობლემებით. ფაქტობრივად, მოლოდინი, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდებოდა ადამიანის უფლებების პატივისცემისა და თანასწორობის კულტურა, რომელიც მყარ საფუძველს შეუქმნიდა სამართლიანი და დასავლური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობას, პრაქტიკულად ვერ განხორციელდა. ამ მიმართულებით ქვეყნის წინსვლა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოკუპაციამ 70 წლით შეაჩერა.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ნანული ტალახაძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ,,უფლებრივი თანასწორობის პრობლემა 1918-1921 წლების ქართულ პრესაში“ ISSN 1987-7323 E- ISSN 2720-7900

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი ,,ენა და კულტურა“№26

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ქუთაისი 2021

5) გვერდების რაოდენობა

1. 6 გვერდი გვ. 209-215

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

მითითებული 5.4. გრაფაში

ნათია კუპრაშვილი

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა:
პროექტი: ამერიკული მედიაგანათლების პროგრამა

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2019- 2022

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ნინო ჭალაგანიძე;
ნათია კუპრაშვილი;
მანანა შამილიშვილი;
მარინა სალუქვაძე;
ხათუნა კაჭარავა;
ზაზა ცოტნიაშვილი;
ეკა თხილავა;
ნათია კალაძე;
სოფიო ვასაძე;
მზია თადუმაძე;
მარიკა შერაზადიშვილი;
დავით პაიჭაძე;
მაგდა მემანიშვილი;
დალი ოსაფაშვილი;
ნინო ჟიჟილაშვილი;
ხათუნა იოსავა;
ინგა შამილიშვილი;
თეა თათენაშვილი;
მაკა დოლიძე;
ლელი ბიბილაშვილი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პროექტის ბენეფიციარები, თსუ-ს პროფესორებთან ერთად, ქვეყნის კიდევ რამდენიმე მედიასკოლის წარმომადგენლები (პროგრამების ხელმძღვანელები) არიან.

"დეპოლის, ლაიოლასა და სხვა მსხვილი უნივერსიტეტების პროფესორების, ასევე პრაქტიკოსი ჟურნალისტებისა და მედიაექსპერტების მიერ შემუშავებული პროგრამა საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას ისახავს მიზნად. ჩვენი პროგრამა დადასტურებულად ზრდის სტუდენტთა ცოდნას."- აღნიშნა დეპოლის უნივერსიტეტის კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ჯეისონ მარტინმა.

პროგრამა ორი წელია, გრძელდება და ინტენსიურ სამუშაო შეხვედრებს ითვალისწინებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მივლენილი დელეგაციის წევრები არიან: პროფესორები: ნინო ჭალაგანიძე, მანანა შამილიშვილი, ნათია კუპრაშვილი, ხათუნა მაისაშვილი და მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი მარინა სალუქვაძე.

2021 წელსაც ამერიკული მედიაგანათლების პროგრამა WorldChicago წარმატებით განაგრძობს საქართველოში საქმიანობას. ახალი ვიზიტის ფარგლებში, ამერიკელმა კოლეგებმა საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით არაერთი საინტერესო ღონისძიება განახორციელეს. ნოემბერ-დეკემბრის თვეებში ამერიკის უნივერსიტეტების ექსპერტთა ჯგუფმა თბილისსა და რეგიონებში სამუშაო შეხვედრები ჩაატარა მედიასკოლების წარმომადგენლებთან. გაიმართა ტრენინგები და ინდივიდუალური კონსულტაციები. დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები.
https://multimedia.tsu.ge/ge/article/WorldChicago?fbclid=IwAR3r0f8Pd7rBqzFpecqdwWiDrRgGet0ekhkZ_XWPxZYcZnKjV-7g0ly1SNQ

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1. სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა:
აშშ-ს საელჩოს მიერ მხარდაჭერილი თსუ-სა და ჟურნალისტიკის რესურს-ცენტრის (JRC) პროექტი „ისწავლე ჟურნალისტიკა ონლაინ“

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2019 – 2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ნათია კუპრაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი, ავტორი;
ნინო ჭალაგანიძე - პროექტის მონაწილე, ავტორი;
მანანა შამილიშვილი - პროექტის მონაწილე;
ინგა შამილიშვილი -პროექტის მონაწილე;
მზია თადუმაძე - პროექტის მონაწილე;
მარიკა შერაზადიშვილი -პროექტის მონაწილე;
ნინო ჭანტურაია - პროექტის მონაწილე;
ნინო ხელაძე - პროექტის მონაწილე.

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

"ისწავლე ჟურნალისტიკა ონლაინ", - სწორედ ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც ჟურნალისტიკის რესურსცენტრი, საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს რამდენიმე მედიასკოლასთან თანამშრომლობით ახორციელებს.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები პროექტში ლიდინგის ფუნქციას ინაწილებდნენ.
მიმდინარე წლის მანძილზე მონაწილეთა მიერ მომზადდა სასწავლო მასალები ციფრული მედიის შემსწავლელთათვის სამი ძირითადი სასწავლო მიმართულებით: „ტრანსმედია“, „სთორითელინგი“ (ამბავთხრობა) და „პოდკასტინგი“. გარდა საკითხავი მასალებისა, მომზადდა ასევე ვიდეოლექციები პრაქტიკოს ჟურნალისტთა მონაწილეობით. ყველა მასალა თავმოყრილია ვებგვერდზე: www.mediaedu.ge. ამ რესურსით ისარგებლებენ აღნიშნული უნივერსიტეტების სტუდენტები.

აღნიშნული სასწავლო მოდულები მომზადებულია ამერიკელი ხალხის და აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სასწავლო უნივერსიტეტის. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროფესორ-მასწავლებელთა თანამშრომლობის შედეგად, ჟურნალისტიკის რესურსცენტრის – JRC -ს პროექტის ,,ასწავლე ჟურნალისტიკა ონლაინ" ფარგლებში.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. ნინო ბოლქვაძე, ქეთევან ჩაჩავა, გოგიტა ღვედაშვილი, ელინა ლანგე-იონათამიშვილი, ჯეიმს მაკმილანი, ნანა კალანდარიშვილი, ანა კეშელაშვილი, ნათია კუპრაშვილი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ISBN: 978-9934-564-36-9

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. NATO STRATEGIC COMMMUNICATIONS CENTRE OF EXCELLENCE

4) გვერდების რაოდენობა
1. 110 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

The idea to produce this publication originated from the ongoing cooperation between the NATO Strategic Communications Centre of Excellence (NATO StratCom COE) and the Ministry of Defence of Georgia. The NATO StratCom COE has previously explored the information environments of Moldova and Ukraine. These exercises have proven helpful for people engaged in strategic communications who wish to gain a nuanced understanding of countries that are valuable partners of NATO. Georgia, a country of some 3.7 million people, has held Euro-Atlantic integration ambitions since declaring independence in 1991. Three decades later, the majority of Georgians identify as European and want Georgia to join both the EU and NATO. But Georgia's path to European integration remains divisive, uncertain, and reversible. There are many reasons for this, including Georgia's unique geographical location; its unresolved ethnic and interfaith tensions; the clout of the Georgian Orthodox Church; the country's hopeful but fragile transition to democracy; and, of course, its past and present relationship to Russia. Since the 2008 Georgia-Russia war, Russia has compromised Georgia's territorial integrity, occupying roughly 20 per cent of the country. Creeping occupation continues. Russia's influence attempts also affect far more than Georgia's physical environment: they are omnipresent in Georgia's information ecosystem. Like many other Eastern European countries—where Russia tries to influence public opinion and policy-making to counter Western influence—Georgia faces day-to-day activity of proKremlin media and political and civil society actors. They spread anti-Western messages, engage in disinformation, and try to wedge rifts within Georgian society and between Georgia and its allies. This publication, written by local Georgian experts, explains Russia's interests in Georgia and how they arise from the perspectives of Georgia's information environment's cognitive, information, and physical domains. It also addresses important questions of how to counter foreign hostile influence in a budding democracy. METHODOLOGY The authors were selected for their expertise and previous research or civic activity in their discussion topics. Their work methodology included desk-based research and semi-structured interviews with other experts. Each author freely chose the emphasis for their chapter in order to best illustrate the question at hand. All chapters were independently written and can be used without the context of the complete publication.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ნათია კუპრაშვილი; ნინო ჭალაგანიძე

2) მოხსენების სათაური
1. "Perception of hate speech in the of freedom of speech context - Georgian media culture example"

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა", 2021 წლის 24-25 ივნისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ონლაინ პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

Perception of hate speech in the of freedom of speech context – Georgian media culture example

The hate speech, generally, considers expression of intolerance towards a definite group and very often such communication provokes a kind of violence. Stimulation of abhorrence refers to a group of persons determined on the basis of race, ethnical identity, nationality, gender, religion, sexual orientation, as a rule, it refers to minorities. However, all countries have their own unique contexts that complicate a vivid determination of so called "hate speech". In some cases, all kinds of negative expressions being humiliating, insolent, slanderous or discriminative ones towards anybody are perceived by the community and/or separate groups as a hate speech.

Unclearness of perceiving of the hate speech was demonstrated by discussions on media regulation of Georgia held in 2019 when the government expressed a desire, motivated by necessity of regulation of the hate speech, to change a system of media self-regulation existing in Georgia. Many initiatives were expressed and they were targeted to make the hate speech applied in media punitive and regulatory.

The research is conducted using a qualitative methodology. We have 27nalysed a practice of self-regulation of the hate speech in Georgia within the year of 2019, and selected cases which were high-sounding in TV media outlets resulted in broad discussions and which had been discussed by the self-regulatory authorities.

In addition to 27nalysed27 of the cases and observing of decisions made by the self-regulatory authorities, we have also used a method of profound interviews.

As we have mentioned above, we have selected two high-sounding cases in the most interesting period of the research (2019). For both periods of the research it was an author text of the anchor man of the national broadcasting company "Rustavi 2". The first case was considered personally by the self-regulation council of the Rustavi 2 as well as by the Georgian Charter of Journalistic Ethics. We have 27nalysed two different approaches applied by both self-regulatory councils.

We received similar results of radically different interpretations of self-regulatory authorities as a result of conducting of deep interviews. Representatives of parties consider that the text expresses a hate speech towards Christians, but representatives of civil organizations and academic fields of universities do not consider that the text had been discriminative towards anybody. One of the explanations was as follows: "The given example is unlikely in compliance with a definition establishing the hate speech. It represents a subjective opinion of a definite journalist. I think that it does not collide with constitutional norms of freedom of speech, neither is considered as a humiliating act against religious feelings as the religious passage was devoted to discretion of a definite politics and not for the discrimination of this confession.

Analyses of both examples demonstrated that understanding and perception of the term of hate speech are not clearly formed neither in a general society, nor in professional circles of Georgia. The hate speech is often put on the same level with the humiliating and indecent expressions. Approaches and explanations of media self-regulatory boards are quite different.

The present research partially confirmed a hypothesis that stakeholders interpret the hate speech with a broad understanding which considers indecent and humiliating expressions. It was also completely confirmed that interpretation and regulation of the hate speech with a broad understanding in practice bears definite risks for freedom of medial in fragile democracies.

Keywords: communication, stereotypes, hate speech, media, freedom of speech and expression

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

N	სხვა აქტივობები
1.	ჟურნალისტიკის რესურსცენტრის (JRC) მიერ ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციის: „განათლება ძალადობრივი ექსტრემიზმის და რადიკალიზაციის პრევენციისთვის“, - ერთ-ერთი სექციის მოდერატორი. 2021, 07.12,. shorturl.at/uxTX0
2	კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ჟურნალისტიკის რესურსცენტრის (JRC) მიერ ორგანიზაბული აგროჟურნალისტიკისა და აგროგანათლების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, საერთაშორისო არაკომერციულ ორგანიზაცია „მერსი ქორპსი“-ს მხარდაჭერით გაიმართა; თანაორგანიზატორი, ერთ-ერთი სექციის მოდერატორი, 2021, 13.04,. http://multimedia.ciu.edu.ge/news/index/AGRI-CONFERENCE-AT-CIU

თამაზ ჯოლოგუა

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი
1. ქართული ევროპეიზმის სათავეებთან (ალექსანდრე ორბელიანის (1802-1869) თხზულებათა აკადემიური ოთხტომეულის გამოცემა)
საიდენტიფიკაციო კოდი FR – 19 – 7480

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 09.03.2020-09.03.2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **როსტომ ჩხეიძე** - ხელმძღვანელი, **მაია ცერცვაძე** - კოორდინატორი, **ძირითადი შემსრულებლები:** თამაზ ჯოლოგუა, ჯულიეტა გაბოძე, ნინო ვახანია, ელისაბედ ზარდიაშვილი, მაია არველაძე
გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
მიზანი: შედგენა ალექსანდრე ორბელიანის თხზულებათა ოთხტომეულის მე-4 ტომისა, რომელშიც შედის მწერლის მიერ 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული

ჩვენებები, კერძო და საქმიანი მიმოწერა და მისივე სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები. საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნულ არქივში მოძიებულ იქნა ალ. ორბელიანის ჩვენებები, ხოლო კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ეროვნულ ცენტრსა და გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში - ალ. ორბელიანის მიმოწერა. მოხდა მოძიებული მასალის სისტემატიზაცია და ბიბლიოგრაფიის შედგენა, მომზადდა მასალა სამეცნიერო აპარატისთვის (პასპორტები, შენიშვნები, კომენტარები, პირთა ანოტირებული და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები).

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. დიმიტი ყიფიანი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. თხზულებანი (10 ტომად). ტ. VI. შეადგინა, რუსული ტექსტები თარგმნა, შენიშვნები, კომენტარები და საძიებლები დაურთო **თამაზ ჯოლოგუამ.**
ISBN 978-9941-463-37-2 (დიმიტრი ყიფიანი. თხზულებანი) 978-9941-9750-9-7 (VI ტომი)

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

4) გვერდების რაოდენობა
1. 588

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
დიმ. ყიფიანის აკადემიური ათტომეულის VI ტომში შესულია ავტორის საჯარო სიტყვები, სხვადასხვა ტიპის ნაწერები (განყოფილება სხვადასხვა: 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისთვის მიცემული ჩვენებები, ეკატერინე დადიანსა და ნიკოლოზ დადიან-მინგრელსკისთან დაკავშირებული ტექსტები, ჰომეოპათიური რვეული და სხვ.), აგრეთვე, ჩანაწერები და დაუსრულებელი თხზულებები. უმეტესი ნაწილი ტომში შესული ტექსტებისა ხელნაწერთა საფუძველზე ქვეყნდება პირველად. წიგნს ახლავს სამეცნიერო აპარატი: შენიშვნები, კომენტარები, პირთა ანოტირებული და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები. მომზადებულია მასალა დანარჩენი 4 ტომისთვის, რომლებშიც შევა დიმ. ყიფიანის ოფიციალური, საქმიანი და კერძო წერილები (ტომები აღჭურვილი იქნება სამეცნიერო აპარატით: შენიშვნებით, კომენტარებითა და საძიებლებით).

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

საანგარიშო წელს განხორციელდა და ეთერში გავიდა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი - 10-სერიანი დოკუმენტური ფილმი „ერი და პრესა“. იდეის ავტორი კოტე ჯანდიერი, რეჟისორი ანდრო ჭიაურელი. სცენარის ავტორი თამაზ ჯოლოგუა, კოტე ჯანდიერის მონაწილეობით. https://1tv.ge/show/eri-da-presa/

მარინე ლომიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. მარინე ლომიძე

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ოთარ ჭილაძის ღრუბელი
საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN-978-9941-8-2219-3

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. გამომცემლობა ,,სეზანი“

4) გვერდების რაოდენობა
1. 175 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

კვლევის ობიექტი ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებული ,,ღრუბელია“, სადაც თავმოყრილია 20 ინტერვიუ. მათ შორის 10-10 ქართული და უცხოური მედიასაშუალებებით გამოქვეყნებული დიალოგია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული.

ბოლო ინტერვიუ 2008 წლით არის დათარიღებული. წიგნში განხილულია მწერალი:

- რამდენად გვაცნობს თავის შემოქმედებით გეგმებს და ამხელს წარსული ამბების დეტალებს;
- როგორ გვიხსნის ნაცნობი მოვლენების/ფაქტების არსს, გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს;
- რამდენად აქვს საშუალება სრულყოფილად გამოთქვას აზრი;
- რამდენად იკვეთება ინტერვიუში მისი ინტერესი ჟურნალისტისადმი, როგორც საზოგადოებრივი აზრის შემქმნელისადმი, მოსაუბრისა და პიროვნებისადმი.

ჟურნალისტი:

- როგორ აღწევს მიზანს და რამდენად ინარჩუნებს ინდივუდუალობას;
- როგორ იცავს საზოგადოებრივ ინტერესს და, ამასთან, როგორ ახერხებს თავი დააღწიოს კომუნიკაციის ხელისშემშლელ ფაქტორებს;
- როგორ ავლენს პასუხისმგებლობას რესპონდენტისადმი; რამდენად ემიჯნება იდეოლოგიური სტერეოტიპების გავლენას და იცავს თუ არა მიუკერძოებლობის პროფესიულ სტანდარტს;

რამდენად ახორციელებს ინტერვიუს მთავარ დანიშნულებას, რაც გულისხმობს პიროვნებათაშორის ვერბალურ ურთიერთობას ინფორმაციის მისაღებად, ახალი ცოდნის დასაგროვებლად და საზოგადოების ინფორმაციულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებად. კვლევის ჰიპოთეზა გამართლდა: წარმოდგენილი დიალოგები სანიმუშოა, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის პარადიგმა, ასე პრობლემად რომ იქცა თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკასა და PR-ის პრაქტიკაში.

დადასტურდა, სოციალურად რამდენად სასარგებლო ჟანრია ინტერვიუ-დიალოგი, თუ მისი მონაწილეები პროფესიონალები არიან. ინტერვიუს ჟანრის ამ თხზულებებში რესპონდენტი თავისი საქმისა და როლის (ინტერვიუირებულის) ჩინებული ოსტატია (ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით) და ჟურნალისტებიც ართმევენ თავს პროფესიულ მოვალეობას (ეს იშვიათი გამონაკლისია დღევანდელ ქართულ მედიაში ზოგადად!). წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი - წარმოაჩინოს ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია - მიღწეულია.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. მარინე ლომიძე

2. მარინე ლომიძე
3. მარინე ლომიძე
4. მარინე ლომიძე
5. მარინე ლომიძე

2) სტატიის სათაური, ISSN
1. ოთარ ჭილაძე და გაბრიელ მარკესი (შტრიხები პუბლიცისტური პარალელებისთვის), ISSN 1512-2530
2. ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია (ოთარ ჭილაძის დიალოგების მიხედვით), ISSN 2587-4810
3. ოთარ ჭილაძის დიალოგების გააზრების საკითხისათვის, ISSN 1512-2468
4. ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებულის ძირითადი თემატიკა, ISSN 2587-4810
5. გაკვეთილები ოთარ ჭილაძისგან, ანუ ,,მწერლები სიკვდილის მერეც აგრძელებენ ბრძოლას...“ (გადაცემულია დასაბეჭდად).

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,ინტელექტუალი“ #41.
2. სამეცნიერო ჟურნალი ,,სპექტრი“ #4
3. ფილოსოფიური ძიებანი XXV
4. სამეცნიერო ჟურნალი ,,სპექტრი“#5

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი
2. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2021
3. გამომცემლობა ,,უნივერსალი“. თბილისი 2021
4. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2021

5) გვერდების რაოდენობა
1. 8 გვერდი
2. 6 გვერდი
3. 16 გვერდი
4. 5გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. ოთარ ჭილაძე და გაბრიელ მარკესი (შტრიხები პუბლიცისტური პარალელებისთვის) ოთარ ჭილაძისა და გაბრიელ გარსია მარკესის მოსაზრებების პარალელების განხილვას, მიზანშეწონილად მივიჩნევ უმთავრესად გამოვყო მათი კომენტარები ჟურნალისტიკის რაობაზე.და მსჯელობის ლოგიკა, ცხადია, სრულიად გამორიცხავს ამ ორი გენიოსის მიერ ტექნოლოგიების ცალსახად უარყოფას. ისინი მხოლოდ გვაფრთხილებენ იმ სავალალო შედეგებზე, რომელიც ცივილიზაციის მონაპოვრების გაუაზრებლად გამოყენებამ შეიძლება მოუტანოს კაცობრიობას. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ზემოხსენებული გნოსტიკური მატერიალიზმი დღეს მძლავრობს, რასაც მისი ოთხი საცეცი განაპირობებს: მედია, ტექნიკა, დიზაინი და მენეჯმენტი. თავის დროზე ტექნიკის ფენომენს ყურადღება მარტინ ჰაიდეგერმა მიაქცია და გვიჩვენა მისი საზრისი, ასე ვთქვათ ,,არატექნიკური“ ტენდენცია, რაც ტექნიკის უკან იმალება - ,,ძალაუფლების ნება“ და ,,სამყაროს ახალი სურათი“. [14, 194] სიტყვის ორივე ოსტატი ყურადღებას ამახვილებს მედიასაშუალებების ფუნქციონირებასა და ჟურნალისტიკაში შემოქმედებითი საქმიანობის არსზე, პროფესიონალიზმსა და ეთიკურობაზე. საყურადღებოა ის

გარემოებაც, რომ ჟურნალისტის პროფესიის ე.წ. გაადამიანურებისთვის ისინი აუცილებლად მიიჩნევენ სწავლას, აღზრდასა და განათლებას.

მიუხედავად იმისა, რომ ამ უზუსტესი „დიაგნოზების“ დასმის შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მსოფლიოში და, მით უფრო, ქართულ რეალობაში, მედიასივრცეს, გაუმჯობესება არ დასტყობია. სამწუხაროდ, პირიქით, მდგომარეობა უფრო არაკეთილსაიმედო გახდა და ტექნოლოგიურ საშუალებათა დახვეწა და სრულყოფა მეტი საშიშროების განცდის საფუძველს იძლევა. მოსაზრებათა ამგვარი მსგავსება, როგორც შტრიხი, შეიძლება საინტერესო გამოდგეს იმ კრიტიკოსებისთვის, ვინც ოთარ ჭილაძეს „კავკასიელ მარკესად“ მიიჩნევს.

2.ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია (ოთარ ჭილაძის დიალოგების მიხედვით). ინტერვიუს, როგორც პუბლიცისტიკის ნიმუშის, PR-ის ინსტრუმენტად განხილვა განსაკუთრებით მომხიბვლელია, როცა საუბრის მონაწილენი (ინტერვიუერი და ინტერვიუირებული/კორესპონდენტი და რესპონდენტი) თანაბრად წარმართავენ დიალოგს და ერთმანეთს აძლევენ საშუალებას საზოგადოების წინაშე წარსდგნენ სათანადოდ, ღირსეული სახით: ჟურნალისტი პროფესიული სტანდარტის დამცველად - წარუძღვეს საზოგადოებრივი ინტერესის მომცველ საუბარს, ხოლო მოპასუხე - თავისი საქმის მცოდნედ და პიროვნებად.
წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტური პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია. კვლევის ობიექტი ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებული ,,ღრუბელია“, სადაც თავმოყრილია 20 ინტერვიუ. მათ შორის 10-10 ქართული და უცხოური მედიასაშუალებებით გამოქვეყნებული დიალოგია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ბოლო ინტერვიუ 2008 წლით არის დათარიღებული. საკითხების მრავალმხრივი გაშუქების პრინციპის დაურღვევლობა წარმოდგენილი ინტერვიუების ტენდენციად იკვეთება. ნათქვამის დასადასტურებლად გამოყოფილია ჟურნალისტური საქმიანობის რამდენიმე მახასიათებელი, რომელთა შორის ჟანრის შესაძლებლობების შემოქმედებითად გამოყენება უმთავრესია. ინტერვიუებში ჩანს ჟურნალისტთა მიზნის მიღწევისა და ამ ფონზე საკუთარი ინდივიდუალიზმის შენარჩუნების, საზოგადოებრივი ინტერესის დაცვისა და არასაჭირო პათოსის თავიდან აცილების მცდელობა. დასმული კითხვების ანალიზით იკვეთება მათი პასუხისმგებლობა დიდი მწერლის პერსონისადმი, ერთგვარად იდეოლოგიური სტერეოტიპებისგან გამიჯვნა. უმრავლეს შემთხვევაში კითხვები თავისუფალია მიკერძოებისა და სწორხაზოვნებისგან.

კვლევის ჰიპოთეზა გამართლდა: წარმოდგენილი დიალოგები სანიმუშოა, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის პარადიგმა, ასე პრობლემად რომ იქცა თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკასა და PR-ის პრაქტიკაში.

დადასტურდა, სოციალურად რამდენად სასარგებლო ჟანრია ინტერვიუ-დიალოგი, თუ მისი მონაწილეები პროფესიონალები არიან. ინტერვიუს ჟანრის ამ თხზულებებში რესპონდენტი თავისი საქმისა და როლის(ინტერვიუირებულის) ჩინებული ოსტატია (ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით) და ჟურნალისტებიც ართმევენ თავს პროფესიულ მოვალეობას (ეს იშვიათი გამონაკლისია დღევანდელ ქართულ მედიაში ზოგადად!). წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი - წარმოაჩინოს ინტერვიუ, როგორც ჟურნალისტის პროფესიული იმიჯის ტექნოლოგია - მიღწეულია.

3. **ოთარ ჭილაძის დიალოგების გააზრების საკითხისათვის.** კვლევის ობიექტი ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებული ,,ღრუბელია“, რომელშიც თავმოყრილია ქართული და უცხოური მედიასაშუალებებით გამოქვეყნებული 20 ინტერვიუ, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული 2008 წლის ჩათვლით.

განსახილველი ტექსტები, ისევე როგორც ოთარ ჭილაძის სხვა პუბლიცისტური ჟანრის თხზულებები, მხატვრული აზროვნების პალიტრით იპყრობს ყურადღებას. მისი პუბლიცისტური

ნარატივი, რომელსაც გამოარჩევს ენის სიმდიდრე, კულტურა და გამომსახველობა, მკითხველის მხატვრულ-პუბლიცისტური აზროვნების სრულყოფას ემსახურება.

ოთარ ჭილაძის დიალოგებში არსებითია ნააზრევის წარმოჩენის ყველა კომპონენტი: სიტყვა, სიტყვათშეთანხმებები, მსჯელობის ლოგიკა, კავშირები, გარდასახვის ხერხები. სიტუაცია აისახება ფაქტების შინაგანი (სოციალური) მნიშვნელობით, მოვლენების შინაარსითა და მათი განწესრიგებით.

ოთარ ჭილაძის თხრობის ყველა ერთეული მორგებულია პერსონიფიცირებული მსჯელობის ფორმასა და აზრის მსვლელობას. დიალოგებში გამოყენებულია მსჯელობის თითქმის ყველა სახე: ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ინდუქცია, განზოგადება, რომლებიც დასკვნების გამოტანის წინაპირობა და საფუძველი ხდება. ყურადღებას იპყრობს ოთარ ჭილაძის ნააზრევის წარმოსაჩენად არა იმდენად სიტყვის შინაარსი, რამდენდაც მისი მიზნობრივი დანიშნულება, ასევე განსაკუთრებულია ზმნის გამომსახველობითი როლი.

4. ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებულის ძირითადი თემატიკა. დიდი მწერლები ჩინებული პუბლიცისტებიც არიან. ბევრი ასეთი მაგალითი იცის კაცობრიობის ისტორიამ. ოთარ ჭილაძე ამ მხრივაც სანიმუშოა და მჯერა, ასეთად დარჩება ქართველთა შემდგომი თაობებისათვის.

ოთარ ჭილაძე დიდი მწერალია, კლასიკოსია – ეს აღიარებული ფაქტია. ჩვენი დროის ლიტერატორები მას საუკეთესო ქართველ კლასიკოს მწერალთა ხუთეულშიც კი ასახელებენ. ოთარ ჭილაძე ფლობს წერის ისეთ ხელოვნებას, რომელიც თავისი მაგიით ზემოქმედებს მკითხველზე და რომელსაც არ ეთმობა მწერლის სამყაროდან გამოსვლა. „საფიქრალითა და საზრუნავით გაოგნებული თავების“ ყურადღების მისაპყრობად, დასაყუჩებლად და დასაუნჯებლად იქმნებოდა ოთარ ჭილაძის შემოქმედება. სწორედ ამისათვისაა მოწოდებული მისი პოეზია, პროზა და მწერლის შემოქმედების არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი – პუბლიცისტიკა, რომლის თვალსაჩინო ნიმუშია ოთარ ჭილაძის დიალოგების კრებული „ღრუბელი“. მასში თავმოყრილია ოცი ინტერვიუ – ათი ქართული და ათიც უცხოური მედიასაშუალებებით გამოქვეყნებული გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული. ბოლო ინტერვიუ 2008 წლით არის დათარიღებული.

ინტერვიუებში წამოჭრილია თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხი თუ პრობლემა, რომლებიც ბოლო ათწლეულებია ასე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის. მათ შორისაა: მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და რეალობის განმაპირობებელი ფაქტორები; ქართველი საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი სახე; ქვეყნის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები; ლიტერატურის, როგორც სულიერი აღორძინების მთავარი იმპულსის, სოციალური დანიშნულება; ახალგაზრდობის განათლებისა და მიგრაციის ტენდენციები...

5. გაკვეთილები ოთარ ჭილაძისგან, ანუ „მწერლები სიკვდილის მერეც აგრძელებენ ბრძოლას...“

დიალოგების ტექსტები გამოხატავს მწერლის დროით ორიენტაციას; ნაკარნახევია საზოგადოებაში წარსულის, აწმყოსა და მომავლის მარადიული ფასეულობების დამკვიდრების სურვილით, მოწოდებულია შეახსენოს თანამედროვეებს ისინი, რათა გაუღვიძოს მოქმედების ინსტინქტი. ოთარ ჭილაძე, როგორც ქართული კულტურის ტრადიციების სისხლხორცეული მემკვიდრე, ჭეშმარიტი სულიერი სიმდიდრის შეუვალი დამცველი, მოქალაქე და მწერალი, დროით განზომილებას განიხილავს ფასეულობათა ერთიან კონცეპტუალურ სისტემასა და მოდელის ფარგლებში, მაგრამ მეტწილად იკვეთება პრიორიტეტთა ერთობლიობა, რომელსაც იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს არის: წესიერება, უსაფრთხოება, წარმატება, სოლიდარობა, დამოუკიდებლობა, რომლებსაც სპეციალისტები ე.წ. ზოგად ფასეულობებს უწოდებენ. ოთარ ჭილაძისეული დროისა და ფასეულობების ურთიერთმიმართება განსაზღვრავს ამ დიალოგების აქტუალობას და სწორედ ეს განაპირობებს ამ ჭრილში საკითხების განხილვის აუცილებლობას.

დიალოგებში ოთარ ჭილაძე ჩვეული პირუთვნელობით საუბრობს ქვეყანაში შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე. მოვლენებისა და ფაქტების მწერლისეული ხედვა და შეფასება, რომელიც განპირობებულია სიღრმისეული ცოდნითა და ფართო ერუდიციით, ერთი შეხედვით, შეიძლება უიმედობის განცდასაც აჩენდეს, მაგრამ, ასე არ არის! შემოქმედი რეალობას თვალს უსწორებს, მაგრამ მაინც ოპტიმისტია და მისი სიტყვები არც ჩვენ გვიტოვებს დაეჭვების უფლებას. ცხადია, ოთარ ჭილაძის გუმანი და მხატვრული ალღო მრავლისმთქმელია და მისი შეფასებებისადმი მკითხველი გულგრილი ვერ დარჩება. როგორც თავად ამბობს ერთგან, „როცა მწერალი „საზიზღრობას“ ქმნის, „მშვენიერების“ არსებობას ახსენებს მკითხველს...“

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. Marine Lomidze, David Maglaperidze

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. Pandemic: A New Factor of Media Challenge, ISBN: 978-1-913809-20-1

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. International Conference on Political Economy (ICOPEC2021@Manisa). Impacts of COVID-19 on Societies and Economies. Global Inequalities: ICOPEC 2021 Abstracts & Proceedings
First Edition, June 2021
IJOPEC Publication No: 2021/03

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Manisa, Turkey. | www.icopec.org

5) გვერდების რაოდენობა
1. 7 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
პანდემია: მედიის გამოწვევის ახალი ფაქტორი

კრიზისული სიტუაციების, კერძოდ პანდემიის, საკითხების გაშუქების ერთ-ერთი არსებითი ასპექტი ფსიქო-სოციალური ფაქტორის წარმოჩენაა, რომლის მიზანი უნდა იყოს ადამიანთა ერთობების კონსოლიდაცია, განწყობისა და მოტივაციის ამაღლება, კონკრეტული ქმედებისკენ მობილიზება, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე აზრის ფორმირება, პროფესიული შემოქმედებითი და შრომითი ენთუზიაზმის ამაღლება.

კრიზისის პირობებში მედია მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად უნდა დაეხმაროს ადამიანებს მძიმე სტრესულ ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას გაართვან თავი, გონივრულად მიუდგნენ პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასა და მათ განხორციელებას, სამოქალაქო შეგნების გამოვლენას, ისე, როგორც ეს მოხდა 2015 წლის ივნისში თბილისში ბუნებრივი კატასტროფის დროს: საზოგადოებრივი კონსოლიდაცია მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების ნიშნით. დაზარალებულთა მხარდაჭერა (მორალური, მატერიალური) გახდა საფუძველი, რითაც საქართველოს მოქალაქეებმა შეიმეცნეს, რომ ერთობის ძალა ბუნებრივ სტიქიასაც კი ამარცხებს. მიუხედავად ადამიანური და მატერიალური უდიდესი დანაკარგისა, გამოჩნდა მთავარი ფაქტორი, რაც საზოგადოებაში რწმენის საფუძველი გახდა - ერთობას შესწევს ძალა თავი გაართვას სირთულეებს, გამოწვევებს, რომლებიც ჩვენი ყოველდღიურობის თანამდევი შეიძლება გახდეს.

კრიზისი ანელებს მოქალაქეების ცხოვრების ტემპს და აფერხებს განვითარებას, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი და პიროვნული თვითშეგნების ნგრევას, აქვეითებს სასიცოცხლო პოტენციალს იმუნოსისტემის მკვეთრი დაქვეითების ჩათვლით. ეს გარემოება განსაკუთრებით გამოჩნდა პანდემიის დროს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მედიის როლი- რა პოზიციას დაიკავებს იგი: იზრუნებს საზოგადოებაში სიმშვიდის შენარჩუნებისთვის თუ ხელს შეუწყობს პანიკის, განგაშის დამკვიდრების ტენდენციას; მშვიდ, დაბალანსებულ, ექსპერტულ თვალსაზრისებს მიანიჭებს უპირატესობას თუ სკანდალურ შოკურ თერაპიას.

ნებისმიერი კრიზისი ასუსტებს პროცესის აღქმის ობიექტურობას, რაც განაპირობებს კიდეც ,,მეოთხე ხელისუფლებად“ წოდებული მედიის მთავარ მისიას: ფართო აუდიტორიას მიაწოდოს ოპერატიული და საგანმანათლებლო ინფორმაცია, როგორ მოიქცეს, რა მეთოდებით მართოს საკუთარი სულიერი და ფიზიკური პოტენციალი, როგორ შეეგუოს არსებულ რეალობას, იზრუნოს სიმშვიდის შენარჩუნებისა და აუცილებელი რეკომენდაციების რეალიზებითვის.

კრიზისის პირობებში განსაკუთრებით საჭიროა ფაქტების საჯაროობა და ყოვლად დაუშვებელია მათი დამახინჯება. ,,გარდიანის“ ოქროს წესი იმის შესახებ, რომ ფაქტები წმიდათაწმინდაა და შეფასება თავისუფალი, ყოველი ჟურნალისტისგან, ყველა ტიპის მედიასაშუალების სარედაქციო პოლიტიკისგან საჭიროებს ფაქტებისა და კომენტარის გამიჯვნას. სპინის ფაქტორი ანუ სასურველის რეალობად წარმოჩენის მეთოდი(ფაქტების არათანმიმდევრული, დაუბალანსებელი მიწოდება და არაობიექტური შეფასება), რომელიც მიკერძოებაა ფაქტობრივად, ცალკეული ადამიანთა ჯგუფისათვის შესაძლებელია ხელსაყრელიც იყოს. სწორედ აქ უნდა იმარჯვოს ,,მეოთხე ხელისუფლებამ“ იყოს ჭეშმარიტი Watch Dog-მაკონტროლებელი, რომელიც სპინდოქტორებს არ მისცემს საშუალებას მათთვის ,,ხელსაყრელ“ ინსტრუმენტად აქციონ მედია.

მედიამ ამ ერთი წლის მანძილზე გარკვეული გამოცდილება მიიღო, ცდილობს გაუმკლავდეს კრიზისს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ართმევს თავს გამოწვევებს: იკვეთება პროფესიული სტანდარტების დარღვევის ტენდენციაც, რაც ნეგატიურად აისახება საზოგადოების ქცევასა და განწყობებზე. ასე მოხდა ვაქცინაციის საკითხის გამო. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მედია მსგავსი მასშტაბური გამოწვევის წინაშე პირველად აღმოჩნდა.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

7.1. საქართველოში

1) მომხსენებელი/მომხსენებლები

1. მარინე ლომიძე
2. მარინე ლომიძე

2) მოხსენების სათაური

1. გაკვეთილები ოთარ ჭილაძისაგან ანუ „მწერლები სიკვდილის მერეც აგრძელებენ ბრძოლას...“
2. ოთარ ჭილაძე და გაბრიელ გარსია მარკესი (შტრიხები პუბლიცისტური პარალელებისთვის)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2021 წლის 28 მარტი.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი. ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაცია ამერიკისმცოდნეობის 22-ე ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენც. 20-21 მაისი, 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

1.მოხსენება გადაცემულია დასაბეჭდად
2.მოხსენება დაიბეჭდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ,,ინტელექტუალი“ #41.

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. Marine Lomidze, David Maglaperidze

2) მოხსენების სათაური
1. Pandemic: A New Factor of Media Challenge.

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. Pandemic: A New Factor of Media Challenge.

ანგარიშის ფორმა №2

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება - - - - - - - - - - - - - - - - - -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის დასახელება -
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა ხელმძღვანელის მითითებით
- -

იოსებ სალუქვაძე - პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი
ვაჟა ლორთქიფანიძე- პროფესორი
გიორგი გოგსაძე- პროფესორი
რევაზ გაჩეჩილაძე- პროფესორი
თამარ დოლბაია - ასოცირებული პროფესორი
გიორგი კვინიკაძე - ასოცირებული პროფესორი
ანზორ სახვაძე - ასოცირებული პროფესორი
ნინო პავლიაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ვალერიან მელიქიძე - ასოცირებული პროფესორი
ია იაშვილი - ასოცირებული პროფესორი
ვლადიმერ ჩხაიძე - ასისტენტ-პროფესორი

ვაჟა ლორთქიფანიძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.3. კრებულები
1) ავტორი/ავტორები
1. ვ. ლორთქიფანიძე

2) კრებულის სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინს-ტიტუტის შრომების კრებული. 2021 წ. ISBN 978-9941-9701-7-7

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი

4) გვერდების რაოდენობა
1. გვ. 33-50
ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს ძირძველ ტერიტორიებზე – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დაწყებიდან 30 წლის შემდეგაც, სულ უფრო აქტუალური ხდება მეცნიერულად დასაბუთებული პასუხის გაცემა იმ ინსინუაციებსა და სპეკულაციებზე, რომლებიც სულ უფრო ძლიერდება რუსეთის მხრიდან. ნაშრომში მოტანილია ფაქტობრივი მასალა, რომელიც დამაჯერებლად ცხადყოფს იმას, რომ როგორც აფხაზეთი, ასევე ყოფილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ძირძველი ქართული ტერიტორიებია და იქ უხსოვარი დროიდან სახლობდნენ

ქართველური ტომები. აფხაზეთი ყოველთვის საქართველოს შემადგენლობაში იყო. ამას ადასტურებს უამრავი – როგორც უძველესი, ასევე თანამედროვე ქართული და უცხოური წყაროები. ისტორიულ ჭრილშია გაანალიზებული მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლები. შესწავლილია საკითხი იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა კონფლიქტებს ეთნო-დემოგრაფიული საფუძველი. ანალიზი დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ასეთი საფუძველი არ არსებობდა და არც შეიძლებოდა ეარსება. მაშასადამე, კეთდება დასკვნა, რომ აღნიშნული კონფლიქტები აშკარად პოლიტიკური და სამხედრო ხასიათისაა.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ვ. ლორთქიფანიძე, ბ. ხორავა, დ. ჭითანავა, ქ. ციმინტია
2. ვ. ლორთქიფანიძე

2) სტატიის სათაური, ISSN

1. „მიგრაციული პროცესები სამეგრელოს სამთავროში XIX საუკუნის პირველ ნახევარში“.
2. „ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების მოძიების შესახებ“.

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, 2021 წ., ტ. 15, №1
2. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნებათმცოდნეობის სერია, 2021 წ., №2.

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. თბილისი
2. თბილისი

5) გვერდების რაოდენობა

1. 7 გვერდი
2. 17გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს ეთნო-დემოგრაფიული პროცესების დინამიკის კვლევა თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში უაღრესად აქტუალურია. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ისტორიული მხარეების, აფხაზეთისა და სამეგრელოს ისტორიული წარსულის წარმოსჩენად. ნაშრომი ეხება 1811 წელს ახალციხის საფაშოდან ეპიდემიის გავრცელების დროს და შემდეგ გლეხების გაქცევას სამეგრელოს სამთავროში. ასევე, ოდიშიდან – სამურზაყანოში. საარქივო მასალებზე დაყრდნობით დადგენილია სიები, 70-ზე მეტი გვარსახელი. მსგავსი დოკუმენტური წყაროების გამოვლენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეთნოდემოგრაფიული პროცესების შესასწავლად.
2. ქართველთა არაერთი თაობა ეძებდა ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილებს. საქართველოში მანამდე უცნობი წყაროები გამოქვეყნდა XX საუკუნის ბოლოს. ამ და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით ვ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, თსუ-ში შეიქმნა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელიც ერთი თვის განმავლობაში აწარმოებდა გათხრებსა და სხვა საძიებო კვლევით სამუშაოებს ინდოეთში, კერძოდ – გოაში, და გრასას ტაძარში. ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი ექსპედიციის მიზნები, თუ რას ეყრდნობოდა იგი კვლევის დროს და ასევე დეტალურად არის მოცემული ექსპედიციის შედეგები, დასკვნები და არგუმენტები.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ვ. ლორთქიფანიძე
2. ვ. ლორთქიფანიძე

2) მოხსენების სათაური
1. ჰქონდა თუ არა კონფლიქტებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ეთნო-დემოგრაფიული საფუძველი?
2. „Некоторые демографические аспекты конфликтов в Абхазии и Цхинвальском регионе“

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „სივრცე – საზოგადოება – პოლიტიკა. თსუ. 2021 წლის ივნისი
2. ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინს-ტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 2021 წლის სექტემბერი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

გიორგი გოგსაძე

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით
1. სახელმძღვანელოს „სივრცე და პოლიტიკა“ მე-2 გამოცემის მომზადება

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. მარტი, 2021 - ნოემბერი, 2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. გიორგი გოგსაძე - სახელმძღვანელოს ავტორი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
სახელმძღვანელო „სივრცე და პოლიტიკა“ არის ნაშრომი პოლიტიკური გეოგრაფიის შესახებ. გლობალიზაციამ და მისმა თანმდევმა პროცესებმა იმპულსი მისცა ახალი პრობლემების წარმოშობას, რომელთა გადაწყვეტა მსოფლიო თანამეგობრობის დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ამ კონტექსტში, პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანი და აუცილებელი ამოცანაა. პოლიტიკური გეოგრაფიის, როგორც სასწავლო კურსის სწავლებას საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დიდი ტრადიციები არ გააჩნია. მისი განვითარება კომუნისტური რეჟიმის დაცემის შემდეგ დაიწყო. 2013 წ., ფონდი „ღია საზოგადოება - ნიუ იორკის“ ფინანსური მხარდაჭერით“ შეიქმნა პროფ. გიორგი გოგსაძის სასწავლო კურსი „სივრცე, პოლიტიკა და იდენტობა“. ამჟამად გთავაზობთ ამ კურსის განახლებულ და შევსებულ ვერსია სახელწოდებით

„სივრცე და პოლიტიკა“. განახლებული სასწავლო კურსი „სივრცე და პოლიტიკა“ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, შედგება წინასიტყვაობის, 5 თავის და გამოყენებული ლიტერატურის სიისგან. კურსის პირველ თავში განხილულია მოსახლეობის გეოგრაფიის რაობა, ჩამოყალიბების ისტორია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოლიტიკური გეოგრაფიის კვლევის ძირითადი ობიექტების, როგორებიცაა სივრცე, ადგილი, ძალაუფლება, ტერიტორია, ტერიტორიულობა, მასშტაბი. მეორე თავში „ნაციონალიზმი, ეთნიკურობა, ეროვნული (ეთნიკური) იდენტობა“ მოცემულია ერის და ეთნოსის განმარტებები. განხილულია ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიის (დოქტრინის) ძირითადი მახასიათებლები. გაანალიზებულია ეროვნული/ეთნიკური იდენტობის ასპექტები. დეტალურად არის დახასიათებული ნაციონალიზმის ტიპები და პარადიგმები. მესამე თავი ეძღვნება თანამედროვე სახელმწიფოს საკითხებს. განხილულია სახელმწიფოს შესახებ თეორიები. ამ თავში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა 2 სახელმწიფოს გეოგრაფიული კომპონენტების კონფიგურაცია, საზღვრები, შიდა და გარე წყლების თავისებურებათა დახასიათებას. მეოთხე თავში მოცემულია კლასიკური და თანამედროვე გეოპოლიტიკური თეორიების, ასევე გეოპოლიტიკური ეპოქების აღწერა. განხილულია გეოპოლიტიკური რეპრეზენტაციები და კოდები. სახელმძღვანელოს მეხუთე თავში „პარტიული და საარჩევნო სისტემების გეოგრაფია“ თავდაპირველად წარმოდგენილია აღნიშნული სისტემების ზოგადი დახასიათება. ამ თავის დასკვნით ნაწილში წარმოჩენილია მსოფლიოს საარჩევნო სისტემების გეოგრაფიული თავისებურებები. მოცემული ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა შეესაბამება 15 კვირიან სასწავლო სემესტრს. კურსის ტექსტი მდიდარია მრავალრიცხოვანი ჩანართებით, რუკებით, ცხრილებით. სასწავლო კურსი შედგენილია ქართულ ენაზე და განკუთვნილია საქართველოს უნივერსიტეტების ბაკალავრიატის (სასურველია III-IV კურსების) სტუდენტებისთვის. მისი ცალკეული ნაწილები შეიძლება გამოყენებულ იქნას მაგისტრატურის სასწავლო კურსებში. გარდა ამისა, მოცემული ნაშრომი საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო აუდიტორიისთვის.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.4. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. გიორგი გოგსაძე, რევაზ გაჩეჩილაძე, ვლადიმერ ჩხეიძე, ია იაშვილი

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1. ამომრჩეველთა აქტივობა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში: დინამიკა და გეოგრაფია (წარმოებაშია)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. საზოგადოება და გარემო, #2, 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თსუ, თბილისი

5) გვერდების რაოდენობა
1. 23 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომის მთავარი მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში (1990-2020წწ.) ელექტორატის აქტივობის განმსაზღვრელი გეოგრაფიული, ასევე დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. სამეცნიერო კვლევებში ელექტორალური

მახასიათებლების მიმოხილვა და შეფასება მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. მთავარია გამოვარჩიოთ ის ფაქტორ(ებ)ი, რომელთა ზეგავლენა ამომრჩევლის აქტივობაზე, როგორც ზოგად, ისე რეგიონულ ჭრილში განსაკუთრებულია მოცემული საზოგადოებისთვის. ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: დამოკიდებელობის პერიოდში რა ფაქტორები მოქმედებდა საქართველოს ამომრჩევლების აქტივობაზე და როგორია ამ ფატორების თანამედროვე პოლიტიკურ-გეოგრაფიული გამოვლინებები. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობის დონეზე ძირითადად ორი ფაქტორი მოქმედებდა: მასობრივი (ე)მიგრაცია (1990-იანი წლები და 2000-იანი წლების პირველი ათწლეული) და არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობა (2010-იანი წლები).

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. Gachechiladze Revaz and Gogsadze Giorgi

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. 2020 PARLIAMENTARY ELECTIONS IN GEORGIA: RESULTS AND GEOGRAPHICAL PECULIARITIES
(წარმოებაშია)

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. European Spatial Research & Policy, Volume 28, #2, 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Institute of the Built Environment and Spatial Policy, University of Łódź

5) გვერდების რაოდენობა
1. 17 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

პოსტ-კომუნისტურ საზოგადოებებში ელექტორატის აქტივობაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული სიტუაციის გაუარესებაა. დამოუკიდებლობის პერიოდში საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად (დაახლოებით 1,5 მლნ ადამიანით) შემცირდა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პერიოდში ბუნებრივი მატება უმნიშვნელო, მაგრამ დადებითი იყო, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსახლეობის კლება მასობრივი ემიგრაციით იყო განპირობებული. მოსახლეობის რაოდენობის კლება პირდაპირ აისახა ელექტორატის რიცხვის შემცირებაზე. ამის საილუსტრაციოდ ვიტყვით, რომ დამოუკიდებლობის პერიოდში ყველაზე მაღალი აქტივობა პირველ საპარლამენტო, კერძოდ 1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნებში დაფიქსირდა – 67,1%, შემდეგ კი ელექტორატის აქტივობამ იკლო და 50-60% ფარგლებში მერყეობდა.

თუმცა, აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველოში, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ამომრჩეველთა აქტივობის დონე განუხრელად არ მცირდებოდა. მეტიც, აქტივობის მაჩვენებელი ხან იზრდებოდა და ხან მცირდებოდა. მაგალითად, უკანასკნელი, 4 საპარლამენტო არჩევნებზე, კერძოდ 2008–2012–2016–2020 წლებში ამომრჩეველთა აქტივობამ შეადგინა შესაბამისად, 52,1%, 59,5%, 51,8% და 56,1%.საქართველოში უკანასკნელი 3-4 საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობა 50-60% შორის ვარირებდა. ინტენსიური ემიგრაციის ქვეყანაში ელექტორატის აქტივობა თითქმის შეუძლებელია უფრო მაღალი იყოს. საქართველოს

არჩევნების ისტორია გვიჩვენებს, რომ ელექტორატის აქტივობის დონე პირდაპირ კავშირშია პოლიტიკური პროცესის დუღილის ტემპერატურასთან ანუ იმაზე, თუ მოცემული ეტაპზე რამდენად მაღალია პოლიტიკური ფსონები. დემოკრატიული მშენებლობის გზაზე ძალზე პოზიტიურად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში ეთნიკური უმცირესობების მზარდი ჩართულობა. თუმცა, ეს ძირითადად აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლის მოსახლეობაზე ვრცელდება. ჯავახეთის ეთნიკური სომხები მმართველი ძალის მიმართ კვლავ მაღალ ლოიალობას ინარჩუნებენ. საარჩევნო კანონმდებლობის და მისი ადმინისტრირების სრულყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ამომრჩევლების აქტივობის და მმართველი ძალის მხარდაჭერის მაჩვენებლების ხელოვნური ზრდის აღმოფხვრა. პარტიების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მონიტორინგის სრულყოფის შედეგად საქართველოს არც ერთ ოლქში აღარ ფიქსირდება რეალობასთან შეუსაბამო დონის აქტივობა ან მმართველი ძალის მხარდაჭერა. უკვე მესამე არჩევნებია, რაც ქვეყნაში პოლიტიკური პროცესის მთავარ აქტორებად 2 ძალა გვევლინება. ბოლო არჩევნებზე ქართულმა ოცნებამ და ნაციონალურმა მოძრაობამ ერთად აქტიური ელექტორატის ხმების დაახლოებით 80% მიიღეს. პროპორციულ თუ მაჟორიტარულ არჩევნებში ოპოზიციამ გამარჯვების მოპოვება ვერც ერთ ოლქში ვერ შესძლო. ამ მხრივ, საქართველო ჯერ კიდევ ჩამორჩება აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ პოსტ-კომუნისტურ, ამჟამად კი ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებს, სადაც პოლიტიკური სპექტრი გაცილებით მრავალფეროვანია. ევროპის ამ ნაწილთან შედარებით საქართველოს პოლიტიკური სისტემა გაცილებით ერთფეროვანია, განსაკუთრებული ქვეყნის სასოფლო არეალებში. ქვეყნის მსხვილი ურბანული ცენტრები გაცილებით მაღალი პოლიტიკური პლურალიზმით გამოირჩევიან. საარჩევნო ქცევის გეოგრაფიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში, ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ელექტორალური რეგიონები (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

რევაზ გაჩეჩილაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით
1) ავტორი/ავტორები
1. რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი გოგსაძე
2. რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი გოგსაძე, ვლადიმერ ჩხაიძე, ია იაშვილი
3. რევაზ გაჩეჩილაძე

2) სტატიის სათაური, ISSN
1. 2020 Parliamentary Elections in Georgia: Results and Geographical Peculiarities
2. ამომრჩეველთა აქტივობა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში: დინამიკა და გეოგრაფია
3. გეოპოლიტიკა და დიპლომატია სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის საზღვრების ჩამოყალიბებისას 1921 წელს.
ISSN 1512-1518

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი
1. *European Spatial Research and Policy (Poland), No 2, 2021*
2. ჟურნალი "*გარემო და საზოგადოება",* N3, 2021 გვ. 57-82
3. წელიწდეული *„ქართული დიპლომატია“,* N 19. 2021. გვ. 391-419

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Lodz, Poland

2. თბილისი, თსუ
3. თბილისი, არტანუჯი

5) გვერდების რაოდენობა
1. 14
2. 25
3. 28

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.სტატია გამოქვეყნდა მაღალრეიტინგულ ევროპულ გამოცემაში მას შემდეგ .რაც გაიარა დამოუკიდებელი შეფასება. ნაშრომის მიზანი იყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პოლიტიკურ-გეოგრაფიული თავისებურებების დადგენა. განხილული იქნა ამომრჩეველთა აქტივობის ფაქტორები (შედარება გაკეთდა 2008, 2012 და 2016 წლების არჩევნებთან). შესწავლილი იქნა არჩევნების შედეგები, მათ შორის საქართველოს მხარეების და დიდი ქალაქების მიხედვით. დადგინდა ძირითადი პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერი რეგიონები და ის, რომ დედაქალაქი თბილისი რჩება „საპროტესტო ქალაქად“: არა-ძირითადი (ე.წ. პატარა) პარტიების ამომრჩეველი კონცენტრირებულია ძირითადად თბილისში, ნაკლებად -- სხვა დიდ ქალაქებში.
2. ნაშრომის მთავარი მიზანი იყო წარმოგვეჩინა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში (1990-2020 წლები) ამომრჩეველთა აქტივობის განმსაზღვრელი გეოგრაფიული, ასევე დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. ელექტორალური მახასიათებლების მიმოხილვა და შეფასება მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. მთავარი იყო გამოგვერჩოა ის ფაქტორ(ებ)ი, რომელთა ზეგავლენა ამომრჩევლის აქტივობაზე, როგორც ზოგად, ისე რეგიონულ ჭრილში განსაკუთრებულია. ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: რა ფაქტორები მოქმედებს დამოუკიდებელი საქართველოს ამომრჩევლის აქტივობაზე და როგორია ამ ფაქტორების თანამედროვე პოლიტიკურ-გეოგრაფიული შედეგები. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ამომრჩეველთა აქტივობის დონეზე ძირითადად ორი ფაქტორი მოქმედებდა: მასობრივი ემიგრაცია (1990-იანი წწ. და 2000-იანი წწ. პირველი ათწლეული) და არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობა (2010-იანი წლები და 2020 წ.).
3. პირველწყაროებზე დაყრდნობით გაანალიზებულია რსფსრ-სა და ქემალისტურ თურქეთს შორის 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილი „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება“, რომელმაც დაადგინა თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის იმ დროისათვის უკვე გასაბჭოებული რესპუბლიკების (საქართველოს, სომხეთის, ნაწილობრივ -- აზერბაიჯანის) დღემდე არსებული საზღვრები. განხილულია ის გეოპოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ხელშეკრულების დადება და მისი კონკრეტული შინაარსი. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზად, რამაც იმოქმედა ხელშეკრულების ტერიტორიულ მდგენელზე მინეულია თურქეთ-სომხეთის 1920 წლის ომი, რომელშიც თურქული არმიის გამარჯვებამ, რაც გაფორმდა 1920 წლის ალექსანდროპოლის ხელშეკრულებით, განაპირობა თანამედროვე საზღვრის დიდი ნაწილის ფორმირება.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.4. სტატიები
1) ავტორი/ავტორები
1. რევაზ გაჩეჩილაძე

2) სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN
1. იმპერიების სასაფლაო აზიის შუაგულში -- ავღანეთი (ნაწილი 1).

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ჟურნალი *„ჩემი სამყარო“*
N 33, გვ. 40-49 [https://www.gfsis.org/files/my-world/33/aghanistan.pdf

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, რონდელის ცენტრი.

5) გვერდების რაოდენობა
1. 10

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
სტატიის პირველ ნაწილში განხილულია აზიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ჩაკეტილი სახელმწიფოს - ავღანეთის - საზღვრების ფორმირების პროცესი მე-18 საუკუნიდან. მე-19 საუკუნის შუა წლებიდან და 1907 წლამდე მიმდინარე ანგლო-რუსული „დიდი თამაში“, (დიპლომატიური მეტოქეობა ცენტრალურ აზიაში), დამთავრდა მრავალ-ეთნიკური ავღანეთის საზღვრების ჩამოყალიბებით. ავღანეთი იქცა ე.წ. „ბუფერულ ქვეყნად“ რუსეთისა და ბრიტანეთის ტერიტორიულ ინტერესებს შორის. ავღანეთის საზღვრები მთლიანად განაპირობა ამ შორს მდებარე იმპერიების დაპირისპირებულმა ინტერესებმა

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი გოგსაძე
2. რევაზ გაჩეჩილაძე
3. რევაზ გაჩეჩილაძე

2) მოხსენების სათაური
1. *Voter Turnout in Parliamentary Elections of Georgia: Dynamics and Geography*
2. სამხრეთ კავკასიის გარე პოლიტიკური საზღვრების ფორმირება მე-20 საუკუნეში
3. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებული სივრცითი გამოწვევები

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *"სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“.* თბილისი, 24-25 ივნისი, 2021
2. IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *"სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“.* თბილისი, 24-25 ივნისი, 2021
3.აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, 20-22 დეკემბერი, თბილისი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
1. გაანალიზებულია ამომრჩეველთა აქტივობა დამოუკიდებელი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში. ყურადღება გამახვილებულია აქტივობის ძირითად ფაქტორებზე და მის გეოგრაფიულ თავისებურებებზე
2. მოხსენებაში განხილული იყო სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის საზღვრების ფორმირებაზე მათ სამ დიდ მეზობელთან: რუსეთთან -- რომელსაც ემეზობლებიან აზერბაიჯანი და საქართველო (საზღვარი 1991 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა, მაგრამ საქართველოს შემთხვევაში დაირღვა 2008 წელს); ირანთან, რომელსაც ემეზობლებიან აზერბაიჯანი და სომხეთი (ის

მთლიანად იმეორებს რუსეთის იმპერიის საზღვარს სპარსეთთან, რომელიც 1813-1828 წლებში ჩამოყალიბდა) და თურქეთთან, რომელსაც ემეზობლებიან სომხეთი და საქართველო (ის გაფორმდა 1921 წელს).

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. რევაზ გაჩეჩილაძე

2) მოხსენების სათაური
1. Changing Political Geography of the Black Sea: "Bridge" or "Barrier"? Presentation N 1428

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. International Geographical Union: 34t^{h} International Geographical Congress, Istanbul, 16-20 August 2021

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

გიორგი კვინიკაძე

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1. გიორგი კვინიკაძე, ვალერიან მელიქიძე

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი
ISBN 978-9941-13-983-3 (pdf)

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თსუ. გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა
1. 242 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არაგეოგრაფიული სპეციალობების რუსულენოვანი სტუდენტებისთვის. სახელმძღვანელოს მასალა იძლევა საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაზისო წარმოდგენებს, როგორც ტერიტორიული ორგანიზაციის შემსწავლელი მეცნიერების შესახებ, საზოგადოების ცხოვრების კონკრეტულ პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პირობებში.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.1. საქართველოში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. გიორგი კვინიკაძე

2) მოხსენების სათაური
1. საგარეო ვაჭრობის პრობლემები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. თბილისი.თსუ.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
გამოქვეყნებულია

7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. გიორგი კვინიკაძე

2) მოხსენების სათაური
1. საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები ასიმეტრიული დამოკიდებულების კონტექსტში

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. დნეპრო. უკრაინა

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)
გამოქვეყნებულია

ერთეულს თუ საჭიროდ მიაჩნია, შეუძლია ანგარიშში შეიტანოს სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

დამატებითი ინფორმაცია აქტივობის შესახებ
მიმდინარე წელს არჩეული ვარ : 1. სამეცნიერო ჟურნალ „პოლონეთის გეოგრაფიული ჟურნალი“ (Polish Geographical Journal) / **სამეცნიერო საბჭოს წევრად** (ჟურნალი რიგისტრირებულია სკოპუსის ბაზაში). https://ptgeo.org.pl/en/journal/scientific-council/. **პოლონეთი, პოზნანი / ვარშავა.** 2. სამეცნიერო ჟურნალ „სოციალური ჰორიზონტები“ (SOCIAL HORIZONS/SH) / **სამეცნიერო საბჭოს წევრად.** ISSN 2787-0693; eISSN 2787-1207. **სერბეთი, ბელგრადი.** 3. სამეცნიერო ჟურნალ “გეოგრაფიისა და მდგრადი განვითარების ცენტრალური ევროპის ჟურნალი” (Central European Journal of Geography and Sustainable Development (CEJGSD). **სარედაქციო საბჭოს წევრად.**(ჟურნალი რიგისტრირებულია სკოპუსის ბაზაში). ISSN 2668-4322 ; ISSN-L 2668-4322. **რუმინეთი, ბუქარესტი.**
სალექციო კურსის რეცენზია გიორგი გოგსაძე. სივრცე და პოლიტიკა. (სალექციო კურსი). მე-2 გამოცემა. თბილისი, თსუ გამომცემლობა. 2021 წელი / **რეცენზენტი**

ნინო პავლიაშვილი

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი

1. **პროექტის დასახელება:** „ტურიზმისა და მოსახლეობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური აქტივობების ურთიერთკავშირი: მთიანი რეგიონების მდგრადობის ფორმირება“;
სამეცნიერო დარგი და მიმართულება: სოციალური მეცნიერებები; ინტერდისციპლინური.
საიდენტიფიკაციო კოდი: FR17_485

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2018-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. **ძირითადი ჯგუფი:**
იოსებ სალუქვაძე - ხელმძღვანელი;
თემურ გუგუშვილი - კოორდინატორი, ახალგაზრდა მეცნიერი;
გვანცა სალუქვაძე - ახალგაზრდა მეცნიერი;
დამხმარე ჯგუფი:
ნინო პავლიაშვილი - კონსულტანტი;
იოსებ ხელაშვილი - კონსულტანტი;
ნინო დურგლიშვილი - კონსულტანტი;
ინგრიდ-უტე ლეონჰოიზერი - კონსულტანტი.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)
კვლევითი პროექტის ჯგუფმა უზრუნველყო გაწერილი სამუშაოების თანმიმდევრულად განხორციელება, რამაც განაპირობა საველე სამუშაოებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და მონაცემთა ბაზების სრულყოფა, მათ შორის მესტიისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის დემოგრაფიული სტრუქტურის ანალიზი. ამასთან, საჯარო უწყებებიდან მოძიებულ იქნა კვლევისათვის აუცილებელი სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის საფუძველზე შეიქმნა ვიზუალური მასალა.
პირველი საანგარიშო პერიოდი მოიცავდა მივლინებებსა და ექსპედიციებს ორივე საკვლევ მუნიციპალიტეტში. პროექტის ხელმძღვანელი, კოორდინატორი და ახალგაზრდა მეცნიერი შეხვდნენ ყაზბეგისა და მესტიის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს. ორივე მუნიციპალიტეტში განხორციელდა დაინტერესებული მხარეების ინფორმირება კვლევის მიზნის, ამოცანებისა და პროექტის პრაქტიკული ღირებულების შესახებ. აღნიშნული მივლინებების მთავარი შედეგები მათთან ურთიერთობის ჩამოყალიბება და სამომავლოდ დაგეგმილ აქტივობებში მათი მონაწილეობაა. თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩატარდა ექსპედიცია, რის ფარგლებშიც განხორციელდა საპილოტე კვლევა.
მესტიასა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში ჩატარდა 120 სიღრმისეული და ფოკუსური ინტერვიუ როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებთან.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში
6.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. Nino Pavliashvili, Mzia Tutberidze
ნ.პავლიაშვილი, მ.თუთბერიძე
2. Giorgi Gogsadze, Nino Pavliashvili, Mariam Tsitsagi, Nana Kvirkvelia
გიორგი გოგსაძე, ნინო პავლიაშვილი, მარიამ ციცაგი, ნანა კვირკველია

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. Physical Geography of Georgia

chapter – "Physical-geographical Features of Tourist Development"
საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია (ინგლისურ ენაზე), თავი-ტურისტული მეურნეობის განვითარების ფიზიკურ-გეოგრაფიული წანამძღვრები
2. Challenges of the COVID-19 pandemic confront Georgia's tourism industry
in „COVID-19 and an Emerging World of Ad Hoc Geographies"
"კოვიდ-19 პანდემიის გამოწვევები და საქართველოს ტურიზმის ინდუსტრია"
კრებულში „კოვიდ-19 და მის ფონზე ფორმირებადი გეოგრაფიული სამყარო"

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. Cham (Switzerland), „Springer"
(In print)
2. „Springer"
(In print)

4) გვერდების რაოდენობა
1. 10 გვერდი
2. 12 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საქართველოს განსაკუთრებული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები მის ტერიტორიაზე მრავალფეროვანი და გამორჩეული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების განმსაზღვრელია. ქვეყნის ჯანსაღი კლიმატი, რთული ოროგრაფიული რელიეფი, მრავალფეროვანი ლანდშაფტები, ხშირი ჰიდროგრაფიული ქსელი და შავი ზღვის სანაპირო, სხვადასხვა შემადგენლობის მინერალური წყლები, ტყით დაფარული დიდი ფართობები და დაცული ტერიტორიები, სპელეო-ობიექტები ქმნიან საკურორტო და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ერთობლიობას. აღნიშნული მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების ბაზაზე საქართველოში პრეზიდენტის ბრძანებულებით და კანონით „ტურიზმის და კურორტების შესახებ", გამოყოფილია 103 კურორტი და 180-ზე მეტი საკურორტო ადგილი, რომელთაგან ექვსი კურორტი საერთაშორისო მნიშვნელობისაა.
   როგორც ყველა ბუნებაზე ორიენტირებული დარგისათვის, ტურიზმის განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური ფაქტორი. დიდი მნიშვნელობა აქვს კურორტებზე მინერალური წყაროების გამოსასვლელების, კლიმატური და სხვა რესურსების დაცვას დაბინძურებისაგან. მაღალმთიანი კურორტების ფუნქციონირებას საფრთხეს უქმნის ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი კატასტროფები: ზვავები, მეწყრები, ღვარცოფები.
   ფიზგეოგრაფიული პირობები განსაზღვრავენ არა მარტო კურორტის ტიპს და მის სამედიცინო პროფილს, არამედ მისი სივრცითი განვითარების შესაძლებლობებსაც.
   საქართველოს ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები იძლევიან იმის საშუალებას, რომ კურორტების რიცხვი გაიზარდოს, მით უმეტეს, რომ უკვე არსებობს მთელი რიგი ადგილებისა, რომელსაც ოფიციალური წრეები და მოსახლეობა კურორტებს უწოდებს მიუხედავად იმისა, რომ კანონით მიღებულ სიაში ისინი არ ფიგურირებენ.
2. ჯანდაცვის სისტემების სიმწიფისა და ხარისხის მიუხედავად, COVID-19-ის პანდემიამ უამრავი მოულოდნელი პრობლემა და ნეგატიური ეფექტი მოუტანა მთელ მსოფლიოს. საქართველომ პანდემიის პირველ ტალღას (2020 წლის მარტი-აპრილი) პანდემიის მართვის საფუძვლების (Find-Test-Trace-Isolate-Detect) გამოყენებით კარგად მართული და კარგად კოორდინირებული აქტივობებით უპასუხა. მაგრამ საზაფხულო სეზონზე გაზრდილმა მობილობამ, პანდემიური დაღლილობის გამო ნიღბების ტარების და დისტანცირების ჩვევების საზოგადოებისგან უგულებელყოფამ, საპარლამენტო არჩევნების ორი რაუნდის პირობებში ჩასატარებულმა

მრავალრიცხოვანმა მასობრივმა შეხვედრებმა 2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამოიწვია რეგიონული კლასტერების გამრავლება და სრულიად განსხვავებული მეორე ტალღა – ავადობისა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლებით (40-55 დღიური გარდაცვალება). პანდემიამ შეაფერხა ტურიზმის ზრდა, საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი, რომელიც მთლიან შიდა პროდუქტის 8%-ს შეადგენს და დაახლოებით 150 ათას სამუშაო ადგილს ქმნის. თბილისი, აჭარა, ქვემო ქართლი, იმერეთი და მცხეთა-მთიანეთი საქართველოში ყველაზე პოპულარული ტურისტული მიმართულებებია. საქართველოში ტურიზმის ინდუსტრია, განსაკუთრებით საერთაშორისო ჩამოსვლები, მძიმედ დაზარალდა COVID-19-ით. საერთაშორისო ტურისტული ვიზიტები საქართველოში 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, 80%-ით შემცირდა. წარმოდგენილი კვლევა შეისწავლის, თუ როგორ იმოქმედა COVID-19-ის პანდემიამ საქართველოს ტურისტულ ინდუსტრიაზე, როგორც სტრუქტურულად, ასევე გეოგრაფიულად. კვლევა მოიცავს პერიოდს 2020 წლის მარტიდან დეკემბრამდე. კვლევაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ქართული ოფიციალური წყაროებიდან მონაცემების შეგროვება, დამუშავება და ანალიზი, ასევე ავტორების მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, აღნიშნულ თემაზე არსებული აკადემიური და მედიის სტატიების მიმოხილვა, და GIS ტექნოლოგიები წინასწარი ანალიზისთვის. კვლევის მთავარი დასკვნა არის ის, რომ COVID-19-ის პანდემიამ ყველაზე დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ტურისტულ ბაზარზე, რამაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანი გამოიწვია; მაშინ, როცა საერთაშორისო ტურიზმი მკვეთრად დაეცა, შიდა ტურიზმი თითქმის უცვლელი დარჩა წინა წლებთან შედარებით, რამაც გამოავლინა ტურისტების ახალი რეგიონალური პრეფერენციები.

თუ საჭიროდ მიგაჩნიათ, შეგიძლიათ ანგარიშში შეიტანოთ სხვა, თქვენთვის მნიშვნელოვანი აქტივობაც.

2016 წლიდან დღემდე – თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;

2016 წლიდან დღემდე – საქართველოს გეოფრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

ია იაშვილი

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში
5.2. სახელმძღვანელოები
1) ავტორი/ავტორები
1. თსუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ავტორთა ჯგუფი

2) სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია
ISBN 978-9941-491-41-2
(განახლებული გამოცემა ბეჭდური სახით)

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2021

4) გვერდების რაოდენობა
1. 223 გვერდი

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

საქართველოს საზოგადოებრივ გეოგრაფიის სახელმძღვანელო შინაარსითა და სტრუქტურულად, ახალი წიგნია, რომელიც განსხვავება მანამდე შექმნილი სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოებისაგან. ისტორიულ-გეოგრაფიული დინამიკის გარდა, მთავარი აქცენტი კეთდება არსებულ პრობლემებზე; საუბარია საკითხებზე, რომლებიც აქტუალურია დღეს, განხილულია ის მიმდინარე დარგობრივი თუ რეგიონული მოვლენები, რომლებიც შეძლებისდაგვარად, წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას მეზო- ან მაკრო დონეზე (როგორც დადებითი, ასევე ქვეყნისათვის ნაკლებად ხელსაყრელი კუთხით), აფასებს საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიულ, გეოპოლიტიკურ, დემოგრაფიულ, სატრანსპორტო-ეკონომიკურ, სავაჭრო-საექსპორტო, ჰუმანურ-სოციალურ კაპიტალსა და პოტენციალს და სამეცნიერო კუთხით აჩვენებს სტუდენტებს მათი ქვეყნის ადგილს მსოფლიო პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში.

თითოეული თავი სრულდება კითხვებითა და დავალებებით განხილული მასალის ირგვლივ.

სახელმძღვანელო შედგება შესავლისა და შვიდი თავისაგან; თემებიდან გამომდინარე, თან ერთვის კარტოგრაფიული მასალა. პირველი ექვსი თავი შექმნილია ქართული გეოგრაფიული სახელმ-ძღვანელოებისათვის დამახასიათებელ სტილში, სადაც განხილულია ბუნებრივ-რესურსული, დემოგრაფიული, სამეურნეო, სოციალური სტრუქტურის საკითხები, ხოლო მე-7 თავი ეძღვნება ქვეყანაში არსებულ აქტუალურ პრობლემებს.

5.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

1) ავტორი/ავტორები

1. ია იაშვილი

2) სტატიის სათაური, ISSN

1. ტურისტული დანიშნულების მქონე მცირე ლოკაციების განვითარების ტენდენციები აშშ-სა და საქართველოში

ISSN 1512-2379

3) ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი

1. ამერიკისმცოდნეობის მე-9 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2021

4) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა

1. ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

5) გვერდების რაოდენობა

1. გვ. 389-403

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

დასავლურ ლიტერატურაში განხილულია მოდელები და მეთოდები, რომლითაც მკვლევარები განსაზღვრავენ ადგილობრივ მცხოვრებთა დამოკიდებულებას ტურიზმის ბიზნესის მიმართ. მოცემულ სტატიაში განვიხილავთ მცირე მასშტაბის, ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების ტენდენციებს ჩრდილო კაროლინას შტატის პატარა ქალაქ ვაშინგტონის მაგალითზე და შევადარებთ მას ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს საქართველოში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, პრომეთეს მღვიმის ტურისტულ კომპლექსზე.

შედარებითი კვლევის მიზანია იმის დადგენა, თუ როგორია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ტურისტული ბიზნესის მიმართ, რომელიც ახალია მოცემულ არეალში; რა მოლოდინები აქვთ ლოკალური თემის წევრებს და რა სოციალურ–ეკონომიკური სარგებელი

შეიძლება მოუტანოს ამ საქმიანობამ, როგორც მცირე დასახლებებს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების კუთხით, ასევე მათ მკვიდრთ.
პრომეთეს მღვიმის ტურისტულ კომპლექსზე ჩატარებული კვლევა ეყრდნობა ბალანსირებული და არაბალანსირებული ზრდის ეკონომიკურ თეორიასა და კოორდინაციის მარცხის თეორიას. (Cooper, et. al. 2008: 248).
მიგვაჩნია, რომ აღნიშნული თეორიები კარგად ესადაგება იმ მცირე მასშტაბის ამერიკული და ქართული თემების რეალობას, რომელთა განვითარების დინამიკა მოცემულ სტატიაშია განხილული. ტურიზმი მართლაც შეიძლება გახდეს კონკრეტული, მცირე რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის არსებითი დარგი, რომელიც უზრუნველყოფს ლოკალური მოსახლეობის დასაქმებას, ოჯახების შემოსავლების ზრდას, ხელს შეუწყობს მათ სოციალურ აქტივობასა და ბუნებრივი გარემოს მდგრადობის შენარჩუნებას. ამ მიმართებით, უაღრესად მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების მიმართ სამთავრობო მხარდაჭერა საერთაშორისო დონორთან ერთად გადადგმული ნაბიჯები, რომელიც წარმატების მომტანი იქნება ქვეყნისათვის. აღნიშნული ტენდენციები ჩვენმა კვლევამ დაადასტურა. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი სიღრმისეული ინტერვიუების სახით ყუმისთავის მღვიმის არეალის 10 კმ-იან რადიუსში. იმერეთის არაურბანიზებულ ტურისტულ რეგიონებში, სამთავრობო ლობირებით განხორციელებული პროექტები, დადებითად აისახება ლოკალური მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალური მდგომარეობაზე. ტურიზმის სექტორში სამთავრობო ინვესტირების შემდეგ, იგივე მოლოდინები აქვთ ჩრდილოეთ კაროლინას შტატის, ქალაქ ვაშინგტონის მცხოვრებთაც, რომლის კონკრეტულ შემთხვევასაც განვიხილავთ შედარებით-ანალიტიკური მიზნით.

7. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა
7.2. უცხოეთში
1) მომხსენებელი/მომხსენებლები
1. ია იაშვილი

2) მოხსენების სათაური
1. The Socio-Economic Consequences of the Policy of Restricting Population Mobility for Georgian International Migrants in the Conditions of COVID-19 Pandemic.
(კოვიდ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვის პოლიტიკის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ქართველ საერთაშორისო შრომით მიგრანტთა მობილობაზე)

3) ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1. კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ქ. კილი, გერმანია
https://drive.google.com/file/d/1N_O7MGU9REmmDR7KOt1-DyfxcZca_Dmq/view?usp=sharing

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

- ***The main goal*** of the research is to discuss the COVID-19 pandemic as a factor for Georgian migrants' mobility motivation as well as return strategy. At the same time, our survey is aimed to demonstrate Georgian government's response to the Corona crisis and the migration policy. The survey is intended to show some specifics of migration trends from Georgia from the gender viewpoint; particular, to analyze most of Georgian women migrants' responses to the pandemic who are employed in private-owned households as caregivers and their strategy to return.
- ***The subject*** of the survey is a transnational migrant family amid Covid-19 challenges;
- ***The main task*** is to identify what has changed for migrant women and their families in Georgia since the beginning of the virus outbreak and to compare it to the pre-pandemic period.

- As Georgia is slow in its reforms during the last decade, our ***hypothesis*** for the survey is that the less attractive political, economic and social environment in the country, even amid the tremendous COVID-19 pandemic threat, should not support migrants return home; thus, their current stay in Georgia is temporary. After the lifting of the mobility regulations, they will rush to their places of immigration;
- An online in-depth *qualitative research* ***method*** with 17 females and 2 male return migrants at their places of current destination;
- The length of each interview is 45 to 60 minutes;
- Our respondents from age 25 – 69, currently residing in the cities and towns of Greece (4 respondents), Italy (5), Israel (1), Russia (3), Turkey (1) and the United States (3) out of whom 3 due to the pandemic crisis have temporarily returned in the home country; 3 others reside in Georgia.
- The snowballing method was used to create the network of participants.
- According to the survey our hypothesis was proved. Taking into consideration the less favorable economic situation for active return of emigrants, who face the same problems in Georgia which previously made them emigrate (absence of appropriate jobs and low payments) impels many returning migrants to go abroad in search of temporary employment again.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

N 518/26
14/01/2022

518-26-3-202201141456

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსს
ბატონ გიორგი ღვედაშვილს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს (დანართი 1.)

პატივისცემით,
თამარ გაგოშიძე

დეკანი
ადმინისტრაცია

22, Ilia Tchavtchavadze Ave., building 3, 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი: +(995 32) 222 44 69 Tel
ელ.ფოსტა: psy-edu@tsu.ge E-mail

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

2021 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

1. სოფიო დოლიძე, ასოცირებული პროფესორი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი.

აკადემიური პერსონალი:

1. აბაშიძე თამარ, ასოც. პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
2. არუთინოვა ლუიზა, ასოც. პროფესორი, პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
3. აფთარაშვილი ია, ასოც. პროფესორი, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
4. გაგოშიძე, თამარ, პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
5. გამსახურდია ვლადიმერ, ასისტენტ-პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
6. დესპოტაშვილი მედეა, ასოც. პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
7. დოლიძე სოფიო, ასოც. პროფესორი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
8. თევდორაძე სოფიო, ასისტენტ-პროფესორი, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
9. იმედაძე ირაკლი, ასოც. პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
10. კვანჭილაშვილი ელენე, ასოც. პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
11. კუტალაძე იამზე, პროფესორი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
12. ლაბარტყავა ნინო, ასოც. პროფესორი, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
13. ლოდია თეონა, ასისტენტ-პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
14. მამუკაძე შორენა, ასოც. პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
15. მარწყვიშვილი ხათუნა, ასოც. პროფესორი, პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
16. მელიქიშვილი მანანა, ასოც. პროფესორი, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
17. მესტვირიშვილი მაია, ასოც. პროფესორი, პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
18. მოსაშვილი ქეთევან, ასისტენტ-პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;

19. ნადარეიშვილი ვახტანგ, პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
20. ჟვანია ირინე, ასოც. პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
21. რობაქიძე მაია, ასოც. პროფესორი, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი;
22. სორდია ნათია, ასისტენტ-პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
23. სურმანიძე ლალი, პროფესორი, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
24. ფანჯიკიძე მარიამ, ასისტენტ-პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
25. ფარსადანიშვილი ნაზი, ასისტენტ-პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
26. ფირცხალავა ეკატერინე, ასოც. პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
27. ქიტიაშვილი ანასტასია, პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
28. ყიფიანი გიორგი, ასოც. პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
29. ჩიტაშვილი მარინე, პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი;
30. წერეთელი მზია, პროფესორი, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
31. ხეჩუაშვილი ლილი, ასოც. პროფესორი, შეფასებისა და კონსულტირების ინსტიტუტი.

1. სამეცნიერო ან სასწავლო ერთეულის პერსონალის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები:

1.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით.

1. ,,პერსონალის შერჩევის მრავალფაქტორიანი კითხვარის შექმნა და სტანდარტიზაცია". დონორი: NATO; სოციალური მეცნიერებები/ფსიქოლოგია/შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები: 2020-2022 წწ
3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):
4) პროექტის ხელმძღვანელი: იამზე კუტალაძე; პროექტის კონსულტანტი: სოფიო დოლიძე.
5) *გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):*

პროექტის მიზანია აპლიკანტთა შეფასების მრავალფაქტორიანი ინსტრუმენტის შექმნა. შეფასების ახალმა მეთოდმა ხელი უნდა შეუწყოს პოლიციაში კვალიფიციური კადრების შერჩევას და, შესაბამისად, შერჩევის პროცედურის ვალიდობის ზრდას. შეფასების ინსტრუმენტი ეფუძნება პროექტის პოლიციელის კომპეტენციების ჩარჩოს, რომელიც იგივე ჯგუფის მიერ შემუშავდა 2020 წელს. შეფასების ინსტრუმენტი მომზადდა ტესტის კლასიკური თეორიისა (CTT) და დავალებაზე პასუხის თეორიაზე (IRT) დაყრდნობით. მომზადდა ინსტრუმენტის თეორიული ჩარჩო, გაზომვის პრაქტიკის ანალიზი თითოეული მახასიათებლისთვის და ტესტის სპეციფიკაცია. შეიქმნა შეკითხვების ბანკი, რომელმაც გაიარა ექსპერტული შეფასება და შინაარსობრივი ვალიდაციის პროცედურები. პიროვნული მახასიათებლების ნაწილი გამოიცადა 3000-მდე რესპონდენტზე. განისაზღვრა კითხვარების ფაქტორული სტრუქტურა, შეფასდა ფსიქომეტრული პარამეტრები.

1.2.

1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით

1. 6 თვიდან 6 წლამდე ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი ტესტის (E-T 6-6-R Entwicklungstest für Kinder von 6 Monaten bis 6 Jahren ß Revision. Petermann F. & Macha, T.) 2013 Frankfurt/M.: Pearson Assessment) ადაპტირებული, სტანდარტიზებული ქართული ვერსიის შემუშავება. sოციალური მეცნიერებები/ფსიქოლოგია.

2. სქესობრივი განათლება: მოსახლეობის ინფორმირებულობის, განწყობებისა და დამოკიდებულებების კვლევა. დონორი: შვედეთის სექსუალური განათლების ასოციაციის (RFSU);

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები:

1. 2019 წ.
2. 2020-2021წწ.

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):

1. ლუიზა არუთინოვა - პროექტის კოორდინატორი; თეონა ლოდია - მკვლევარი/ძირითადი პერსონალი; სოფიო დოლიძე - მკვლევარი/ძირითადი პერსონალი; ივანე მინდაძე - მთარგმნელი.
2. პროექტის კოორდინატორები: იამზე კუტალაძე, სოფიო დოლიძე

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია(ქართულ ენაზე):

1. კვლევითი პროექტის ფარგლებში შეიქმნა ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების მრავალხრივი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ადაპტირებული და ნორმირებულია ქართულ პოპულაციაზე 6 ასაკობრივი ჯგუფისთვის (2 წლიდან 6 წლამდე). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2-დან 6-წლამდე ასაკის 433-მა ბავშვმა და მათმა მშობლებმა. მათგან 213 გოგონა იყო, ხოლო 220 ბიჭი. მომზადდა ინსტრუმენტის ადმინისტრირების ქართული სახელმძღვანელო.

2. პროექტის – „სქესობრივი განათლება: მოსახლეობის ინფორმირებულობის, განწყობებისა და დამოკიდებულებების კვლევა“ – მიზანია სქესობრივი განათლების საკითხებში საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობისა და სქესობრივი განათლებისადმი დამოკიდებულების შესწავლა, იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაზღვრავს სქესობრივი განათლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებებსა და განწყობებს. კვლევა ეყრდნობა თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდოლოგიას. საზოგადოების დამოკიდებულების ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ოჯახი, სამოქალაქო სექტორი, რელიგიური და სხვა ინსტიტუტები თამაშობს, შესაბამისად, კვლევამ მოიცვა ყველა ეს სამიზნე პოპულაცია. ახალგაზრდა თაობის ინფორმირებულობაში, მის მიერ საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებაში სასკოლო განათლების კრიტიკული როლის გათვალისწინებით, დოკუმენტაციის ანალიზის მეთოდის გამოყენებით გაანალიზდა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც სქესობრივ განათლებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლების სპეციფიკის განმსაზღვრელი ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტია. თვისობრივი კვლევის ანგარიშში ფართო ინფორმაციაა წარმოდგენილი სასკოლო განათლების მნიშვნელოვანი „აქტორების“ დამოკიდებულებებისა და განწყობების შესახებ, რომელთაც ცენტრალური როლი უნდა შეასრულონ მომავალი თაობისთვის სწორი, მეცნიერულად დადასტურებული და ადეკვატური ინფორმაციის მიწოდებაში. ანგარიში მოიცავს საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვასაც („სქესობრივი განათლება სკოლაში: საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა“).

თვისობრივი კვლევის ანგარიშის საფუძველზე მომზადდა სქესობრივი განათლების მიმართ დამოკიდებულებების საკვლევი კითხვარი. კითხვარის საბოლოო ვერსიის კონსტრუირებაში მონაწილეობდნენ დარგის ექსპერტები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. კითხვარი, დემოგრაფიული ბლოკის გარდა, მოიცავს სქესობრივი განათლების შესახებ ინფორმირებულობის, მის მიმართ დამოკიდებულებების და შესაბამისი ქცევითი კომპონენტის შესაფასებელ ბლოკებს და 90 დებულებისგან შედგება. სქესობრივი განათლების მიმართ განწყობებში ეთნიკური ჭრილის შესასწავლად კითხვარი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით ჩატარდა გამოკითხვა საქართველოს მასშტაბით 1730 ადამიანზე როგორც დედაქალაქში, ისე 12 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში. შეიქმნა მონაცემთა ბაზა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონაცემების დამუშავება. კვლევის კომპლექსური ანგარიში მზად იქნება 31.12.2021.

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი:

1. სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გრანტი. გრანტის №DP2016_16; პროექტის სახელწოდება: ,,კვლევები პოზიტიური ფსიქოლოგიაში“; სოციალური მეცნიერებები; ფსიქოლოგია;
2. ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტი, გრანტის NYS-2016-8. როექტის სახელწოდება: “მე და საზოგადოება: პერსონალური და მასტერ ნარატივები და სოციალური ადაპტაცია”, სოციალური მეცნიერებები, ფსიქოლოგია;
3. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის (Joint Rustaveli-DAAD-fellowship programme, 2021) funding 57551607 () - 0000 პოსტ დოკ სტიპენდია” ქართველი მიგრანტები გერმანიაში: ურთიერთობები ჯგუფში და ჯგუფთაშორის - კონფლიქტი, აღქმა და დამოკიდებულებები”.

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები

1. 2016-2020
2. 2016-2020
3. 1/06/2021 – 29/11/2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. პროექტის ხელმძღვანელი - მესტვირიშვილი მაია. კვლევრები: მარწყვიშვილი ხათუნა ფანჯიკიძე მარიამ

2. პროექტის ხელმძღვანელი - ლილი ხეჩუაშვილი. კვლევის სისტენტები: მარიამ გოგიჩაიშვილი, გიორგი ჭუმბურიძე.
3. მკვლევარი - ეკატერინე ფირცხალავა.

3. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

3.1. გარდამავალი პროექტი
1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/ სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა.

1. ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების შექმნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში E-PSY (617980-EPP-1-2020-1-GE-EPPKA2-CBHE-SP) ERASMUS + Programme სოციალური მეცნიერებები/ფსიქოლოგია

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2021-2023

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. თეონა ლოდია - პროექტის კოორდინატორი კონსორციუმის წევრი პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკულიშედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. https://epsy.ge/ka/news/6

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა

1. REPORT Impact study of COVID-19 on older people and caregivers in the South Caucasus November 2020. Austrian and Swiss RC, IFRC and UNFPA. კოორდინატორი საქართველოში, ანგარიშის თაანავტორი: O. Krylova, Co-authors: L. Gevorgyan for Armenia, A. Balayeva for Azerbaijan, **E. Pirtskhalava** for Georgia

2) პროექტის დაწყების და დამთავრების წლები
1. 2020-2021

3) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1. ფირცხალავა ეკატერინე - კოორდინატორი საქართველოში

დასრულებული კვლევითი პროექტის 2021 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

5.1. მონოგრაფიები/წიგნები
1) ავტორი/ავტორები
1. ლილი ხეჩუაშვილი

2) მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN
1. "ცხოვრების ისტორია და ტრანსფორმაციული გამოცდილებები. დროში განფენილი ჩემი ამბავი: მე, შენ და სხვები", ISBN 978-9941-13-976-5 (PDF)

3) გამოცემის ადგილი, გამომცემლობა
1. თბილისი, თსუ გამომცემლობა

4) გვერდების რაოდენობა
1. 345

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ნაშრომი სამ ნაწილად გაერთიანებული ცხრა თავისგან შედგება. პირველი ნაწილი თეორიულ ჩარჩოს ეთმობა და ჩემ მიერ გამოყენებულ ყველა ძირითად ცნებას, კონსტრუქტსა და მიდგომას მოიცავს. პირველ თავში ორ ძირითად ცნებას მიმოვიხილავ. ესაა პიროვნება, როგორც მას მაკადამსი ხედავს სამმაგი ას მოდელის სახით, და იდენტობა, როგორც ინდივიდის მიერ სოციოკულტურულ გარემოსთან ინტერაქციის პროცესში კონსტრუირებული ერთიანობა. მეორე თავში მოკლედ არის მიმოხილული ნარატივი, როგორც იდენტობისა და პიროვნების განვითარების პროცესი და პროდუქტი. მესამე თავი ნარატიული კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას ეთმობა და განხილულია ნარატივის, როგორც მეთოდოლოგიური მიდგომის, კვლევაში გამოყენების საკითხები. კერძოდ, გამოყოფილი და აღწერილია ოთხი ძირითადი ასპექტი: ნარატიული კითხვების დასმა, ნარატივის მისაღებად მოწოდებული ინსტრუქციების შექმნა, ნარატივების შეგროვება და ნარატივების კოდირება. აქვე უნდა ვთქვა, რომ ნაშრომის ეს თავი ერთგვარი პრაქტიკუ-ლი გზამკვლევიცაა დამწყები მკვლევრებისთვის.

მეორე ნაწილში გაერთიანებულ სამ თავში ცხოვრების ისტორიების თხრობის უწყვეტ პროცესზე ვისაუბრებთ. მიმოვიხილავთ, როგორ, როდის და რატომ ვიწყებთ საკუთარი თავის შესახებ ამბის თხრობას და როგორ ვახერხებთ იმას, რომ მუდმივად ცვალებად გარემოში ვიზრდებოდეთ, ვვითარდებოდეთ, ვიცვლებოდეთ და, ამავდროულად, უწყვეტობისა და უცვლელობის განცდას ვინარჩუნებდეთ. მეოთხე თავში მოკლედ აღვწერთ იმ გარემოს, რომელშიც ინდივიდის იდენტობა ვითარდება. შემდეგ განვიხილავთ თხრობის, როგორც საკუთარი თავის ანუ ნარატიული იდენტობის, შექმნის პროცესს, რომელიც სხეულის, გონებისა და საზოგადოების დონეზე მიმდინარეობს. ასევე,

მიმოვიხილავთ ნარატივის თხრობის პროცესსა და სტრუქტურასთან დაკავშირებულ ცვლადებს. მეხუთე თავი ნარატიული იდენტობის სტაბილობისა და ცვალებადობის საკითხს ეძღვნება. მასში მოკლედ არის ასახული ნარატივის კომპონენტების ცვლილების დინამიკა. მეექვსე თავი ნარატიული იდენტობისა და ისეთი ტრანსფორმაციული გამოცდილებების ურთიერთმიმართებას შეეხება, როგორებიცაა იძულებით ადგილნაცვალობა საომარი მოქმედებების შემდეგ, ქამინგაუთი [1] არაჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების ცხოვრებაში და პენიტენციალურ სისტემაში ყოფნის გამოცდილება ყოფილი პატიმრებისთვის.

